შ ე ნ ი შ ვ ნ ა : VII ტომის ელექტრონულ ვერსიას აკლია თხზულება:
იძულებულს გყოფს გულგრილი არ დარჩე

თეატრი და მწერლობა

უდიდესი წარმატება ჰქონდა მოსკოვში გასტროლებისას «კავკასიურ ცარცის წრეს», მაგრამ მაწუხებს ის, რომ «ყვარყვარე» არ ჟღერდა ამ დონეზე. მაწუხებს, რადგან მჯერა «ყვარყვარე» მნიშვნელოვან პრობლემას ამუშავებს, «წრის» პრობლემა კი არ არის ახალი. ამ სპექტაკლში თეატრალური ფორმა უფროა მიმზიდველი, ვიდრე პრობლემა. «წრის» პრობლემა ათასგზის დაუმუშავებიათ. ცხადია, არც «ყვარყვარეს» პრობლემაა ახალი, მაგრამ ჩვენი ყოფის ამ ეტაპზე იგი უფრო თანამედროვედ ჟღერს. რასაკვირველია, სრულიადაც არ ვამცირებ ბ.ბრეხტის პიესის იდეურ-აზრობრივ სიღრმეს, მაგრამ მე დამაფრთხო ერთმა გარემოებამ - «კავკასიური ცარცის წრის» ბრწყინვალე რეჟისორულმა, აქტიორულმა ანსამბლმა, ზარზეიმურმა, დღესასწაულებრივმა განწყობილებამ ხომ არ წალეკა ჩვენი თეატრალური აზროვნების დიდი მონაპოვარი - «ყვარყვარეს» მკაცრი სიღრმე აზრისა, მისი მოქალაქეობრივი პათოსი.

ა.ბ. – გულწრფელად რომ გითხრა, მე არ ვარ მომხრე ორი მხატვრული ნაწარმოების ერთმანეთთან შედარებისა. ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს (თუ იგი ჭეშმარიტად მხატვრულია) აბსოლუტურად დამოუკიდებელი და თავისთავადი აქვს ყველაფერი – აზრიც, ფორმაც და მიზანიც. მაყურებელიც და მკითხველიც თავისი ჰყავს. ზოგს მრავალრიცხოვანი, ზოგს – მცირერიცხოვანი. თითოეული მათგანი თავის ამოცანას ემსახურება. მკითხველსა თუ მაყურებელზე მოხდენილი ზეგავლენაც ინდივიდუალურია.

ასეა «ყვარყვარესა» და «ცარცის წრის» საქმეც. ბევრი «ყვარყვარეს» «ცარცის წრის» წინამორბედად და მომამზადებლად თვლის. მე არ ვიზიარებ ასეთ აზრს. «ყვარყვარე» და «ცარცის წრე» ორი სრულიად სხვადასხვა მიზნისა და ამოცანის სპექტაკლია. თუ მათ შორის რაიმე კავშირია, ეს მხოლოდ ის არის, რომ ორივე რ.სტურუას ნამუშევარია და ბუნებრივია, მისი ხელი მათ ანათესავებს. სხვა მხრივ, ჩემი აზრით, ამ ორ წარმოდგენას საერთო არაფერი აქვს.

ჟანრობრივად ისინი განსხვავებულია. «ყვარყვარე» მწვავე პოლიტიკური სატირაა, «ცარცის წრე» კი ხალხური სანახაობითი კომედია (ასეთი კომედიისათვის დამახასიათებელი სენტიმენტალური ამბით – მიშიკო აბაშვილის თავგადასავალი). აქედან გამომდინარე, «ყვარყვარესათვის» დამახასიათებელია რაციონალური ელემენტის სიჭარბე, ხოლო «ცარცის წრისათვის» _ ემოციური ელემენტისა. ამით არის განპირობებული მაყურებელთა დამოკიდებულებაც. ბუნებრივია, რომ მოჭარბებულ რაციონალურობას მასობრივი მაყურებელი ნაკლებ ეტანება, ხოლო მოჭარბებულ ემოციურობას კი პირიქით _ ფუტკარივით ეხვევა (მე მგონია, განმარტება არ სჭირდება იმას, რომ რაციონალურობასა და ემოციურობას აპირობებს თითოეული მათგანის მხატვრული მიზანდასახულობა).

ორივე სპექტაკლის სიუჟეტური ხაზიც სხვადასხვაგვარად არის აგებული _ «ყვარყვარეში» იგი მთავარი პერსონაჟის კარიერისტულ სვლას მიჰყვება, ხოლო «ცარცის წრეში» დამოუკიდებელი ეპიზოდებით, სურათებით დახატულია ხალხის ყოფა. «ყვარყვარეში» უსახო ბრბოა ნაჩვენები. აქედან გამომდინარე, ნიველირებულია

ინდივიდი და ერთფეროვანი მასაა წარმოდგენილი. «ცარცის წრეში» ნაჩვენებია ხალხი და ამდენად რელიეფურად არის პიროვნება წარმოდგენილი, უარყოფითი თუ დადებითი თვისებებით. მაგალითად: ლავრენტი, ჟუჟუნა, იოსები, ბერი, ორი ბანოვანი, შალვა და სხვანი.

აზრობრივად ხომ განსხვავებული და განსხვავებულია ისინი. «ყვარყვარე» გმობს ყოველი ჯურის კარიერისტსა და დიქტატორს. «ცარცის წრე» ადიდებს სიკეთის მთესველ ადამიანს. ეს ორი სხვადასხვა აზრობრივი მიზანდასახულებაა. ისინი ერთმანეთს ხელს ვერ შეუშლის. წალეკვაზე ლაპარაკი ხომ სრულიად ზედმეტია.

ასეთია მოკლედ, ჩემი აზრით, ამ ორი სპექტაკლის ურთიერთმიმართება.

რაც შეეხება გართობის პრობლემას ხელოვნებაში, უნდა გითხრათ, რომ ჩვენ რატომღაც გვეშინია მისი. რატომ დაგვავიწყდა, რომ აზრის ისეთი გიგანტი, როგორიც ლევ ტოლსტოი იყო, ხელოვნების ამოცანად გართობას მიიჩნევდა! ოღონდ აზრის მიმწოდებელ გართობას. აზრი კი «ცარცის წრეს» არ აკლია.

გ.ბ. – სავსებით გეთანხმებით. აზრი სპექტაკლისა საკმაოდ ნათელი და კეთილშობილურია, ამაზე არც ვკამათობ, მაგრამ მე მაინც იმათ შორის მიგულეთ, ვინც დიდ პატივს სცემს «ყვარყვარეს» მკაცრ აზრს, მის მოქალაქეობრივ პოზიციას. და ბოლოს, მინდა კიდევ ერთი საკითხი დავსვა – იქნებ ამაზე საუბარი თქვენი თეატრის საიდუმლოს ამჟღავნებდეს, მაგრამ, ვგონებ, რაც უფრო ადრე დაეუფლებიან ამ საიდუმლოს სხვა თეატრებიც, მით უკეთესია ყოველი ჩვენგანისათვის. _ თქვენი თეატრის რეჟისორები, მსახიობები, პირადად თქვენ კატეგორიულად სვამთ ხოლმე საკითხს, რომ მაყურებელს არ აჩვენოთ მხატვრულად, აზრობრივად უმწიფარი ნაწარმოები თქვენივე თეატრისა. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია და ნიშნავს იმას, რომ თეატრს აქვს იმდენი შინაგანი ძალა თვითონვე იყოს პირუთვნელი მსაჯული თავისი ნახელავისა, თვითონვე სძლიოს თავისი შეცდომა. ცხადია, ყველას აქვს სურვილი ასეთად იგულოს თავი, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ათასი მიზეზი იჩენს თავს და ძალაუნებურად რეპერტუარში ადგილს იკავებს სუსტი სპექტაკლი. გამართლებაზე თუ მიდგა საქმე, შეიძლება ბევრ რამეს მოუძებნოს კაცმა მიზეზი, მაგრამ სწორედ საკუთარი ნაღვაწის მიმართ ასეთი პირუთვნელობა და ობიექტურობაა სანაქებო. ალბათ, ეს იოლად არ იქნა მიღწეული – მე მესმის ეს ყველაფერი განაპირობა თეატრის მაღალმა დონემ, მაგრამ თუ უფრო ღრმად წავალთ და განვიხილავთ ამ საკითხს – როგორ? რანაირად? რას ეყრდნობა თეატრი, როცა ასეთი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის ნახელავს? მიუხედავად იმისა, რომ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ამ ეტაპზე თეატრს უკვე აქვს უფლება ზოგჯერ ასეთი რამაც დაუშვას, ისე როგორც დიდ მწერალს ეპატიება ხოლმე სუსტი მოთხრობის გამოქვეყნება.

ა.ბ. – არავითარ საიდუმლოს ეს საუბარი არ გაამჟღავნებს. თეატრი შემოქმედებითი დაწესებულებაა და, უპირველეს ყოვლისა, მაღალმხატვრული პროდუქცია უნდა მიაწოდოს მომხმარებელს. აქ, ბუნებრივია, კომპრომისი დაუშვებელი უნდა იყოს. მიუხედავად ასეთი რწმენისა, ზოგჯერ იძულებული ვართ კომპრომისი მაინც დავუშვათ. კომპრომისს, სამწუხაროდ, ბევრჯერ ხელოვნებისაგან დაშორებული ფაქტორი განაპირობებს. მაგალითად, გეგმები. თეატრი სახელმწიფო დაწესებულებაა და გეგმებს დიდი ანგარიში უნდა გაეწიოს. წესი წესია და მას ვერსად გაექცევი. არ იფიქროთ, რომ გეგმების წინააღმდეგი ვიყო საერთოდ, მაგრამ შემოქმედებითი ორგანიზაციის დაგეგმვა სხვანაირად უნდა ხდებოდეს. აქ შემოქმედებით მარცხს გეგმა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს. არავითარ მარცხს ახლა გეგმა არ ითვალისწინებს. წლიურ გეგმაში ექვსი ახალი წარმოდგენა გვიზის და ექვსივე უნდა

მაყურებელს ვუჩვენოთ. ერთი დაწუნებული და მოხსნილი სპექტაკლი თეატრის მთელ მუშაობას თავდაყირა აყენებს. სასწრაფოდ უნდა დაიდგას სამაგიერო, ახალი წარმოდგენა. ეს კი, მოგეხსენებათ, მეტად ძნელია და ხელოვნებაში ნაუცბადევი ნამუშევარი ყოველთვის უვარგისია. ასე რომ არ იყოს, გაცილებით მტკიცე და მკაცრი ვიქნებოდით. მაგალითად, იმ პერიოდში, რაც მე რუსთაველის თეატრში ვმუშაობ, ჩვიდმეტი წარმოდგენა დაიდგა. ამ ჩვიდმეტიდან მაყურებელს მხოლოდ შვიდს ვუჩვენებდით. დანარჩენ ათს მოვხსნიდით, რაკი ვთვლით, რომ მათ ხელოვნებასთან არაფერი აქვთ საერთო. არადა, როგორც ზემოთ ვთქვი, შეუძლებელია გეგმას ანგარიში არ გავუწიოთ. ყველაფერი ეს უნდა გავითვალისწინოთ და იძულებული ვხდებით კომპრომისიც დავუშვათ. და თუ მაინც ვცდილობთ, რაც შეიძლება მკაცრი, კრიტიკული თვალით შევხედოთ რუსთაველის თეატრის მხატვრულ პროდუქციას, ეს უპირველესად განპირობებულია თეატრის კოლექტივის მაღალი მომთხოვნელობით თავისთავის მიმართ და ურთიერთნდობით. რუსთაველის თეატრის სარეჟისორო კოლეგიისა და სამხატვრო საბჭოს წევრებს ღრმად სჯერათ, რომ ყველა კრიტიკული შენიშვნა, რარიგ მკაცრიც უნდა იყოს იგი, ნაკარნახევია საქმის სიყვარულით და უკეთესის სურვილით. ეს გვაძლევს საშუალებას ერთმანეთს გულახდილად ველაპარაკოთ და ზოგჯერ მკაცრი განაჩენიც გამოვიტანოთ.

გაზ, «ახალგაზრდა კომუნისტი»,
№142-143, 1976.

წინ შემოქმედებითი წელიწადია

ხვალ თბილისელ მაყურებელს მორიგი სეზონის გახსნაზე იწვევს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი. პირველ წარმოდგენად ნაჩვენები იქნება ბ.ბრეხტის «კავკასიური ცარცის წრე». ახალი სეზონის დაწყების წინ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თეატრის დირექტორს აკაკი ბაქრაძეს სთხოვა, ტრადიციულ ინტერვიუში მოკლედ შეეფასებინა თეატრის კოლექტივის შარშანდელი საქმიანობა, ესაუბრა ახალ გეგმებზე, შემოქმედებით სიახლეებზე.

აკაკი ბაქრაძე – შარშანდელი სეზონი სამახსოვროდ დარჩება რუსთაველის თეატრის ისტორიაში იმ დიდი გამოხმაურებისა და მაღალი შეფასების გამო, რაც მოსკოვში გამართულმა საგასტროლო წარმოდგენებმა გამოიწვია. მოსკოველთა გულითადი ტაში ჩვენს კოლექტივს, ალბათ, კარგა ხანს გაჰყვება შემოქმედების სტიმულად, მაგრამ ყველა გასტროლი გარკვეულ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს კოლექტივზე. ამან ჩვენც თავბრუ დაგვახვია და ერთგვარად მოადუნა შემოქმედებითი იმპულსი. ისე რომ, გასულ სეზონს თუ შევაფასებ, ასე ვიტყვი, კმაყოფილი ვარ გასტროლებით, მაგრამ უკმაყოფილო _ მთლიანად სეზონით. სამწუხაროდ, შარშან მთელი წლის მანძილზე თეატრმა ვერ შეძლო ერთი ისეთი წარმოდგენის შექმნაც კი, რომელიც ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას დაიმსახურებდა, საერთო მსჯელობის საგანი გახდებოდა. როდესაც სეზონის ბოლოს ყოველივე ავწონ-დავწონეთ, შევაჯამეთ ჩვენი მუშაობის ავ-კარგი, დასკვნა ერთი იყო: ახალ სეზონში შემოქმედებით ძალთა მეტი

დაძაბვაა საჭირო, რომ მაყურებელმა მეტი მაღალიდეური ჟღერადობის, მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული დადგმები ნახოს.

ახალი სეზონის გეგმებსა და შემოქმედებით სიახლეებზე ერთად მოგვიხდება საუბარი, რადგან, პრინციპში, ისინი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ. წინ შემოქმედებით აღსავსე მთელი წელიწადია: მართალია, ჯერჯერობით ჩვენი რეპერტუარი კულტურის სამინისტროს არ დაუმტკიცებია (დამტკიცდება სექტემბრის მეორე ნახევარში) და 1976-1977 წლების სეზონის ზუსტ რეპერტუარზე ვერ ვილაპარაკებთ, მაგრამ ვისაუბროთ იმაზე, რაზეც ვაპირებთ მუშაობას. წლეულს თეატრის კოლექტივს ერთგვარი ექსპერიმენტის მოწყობა აქვს გადაწყვეტილი. იმის გარდა, რომ მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, ნახოს გასული სეზონის თითქმის ყველა წარმოდგენა, დასადგმელად ნავარაუდევი ყველა პიესა ორიგინალურია. ვნახოთ, რა შედეგს მივიღებთ, როგორი გამოხმაურება ექნება ამ სეზონს ფართო საზოგადოებრიობაში. პიესები შერჩეულია ყველა პირობების გათვალისწინებით _ არის კლასიკაც, თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებებიც. უფრო კონკრეტულად განზრახული გვაქვს წარმოვადგინოთ დიდი ილიას «კაცია-ადამიანი?!» მაგრამ ეს არ იქნება მწერლის მხოლოდ ამ კონკრეტული ნაწარმოების ინსცენირება. აქ მასშტაბი უფრო დიდია და სახელწოდებაც «კაცია-ადამიანი?!» _ უფრო მრავლისმომცველი და განზოგადებული. მასში უხვად იქნება გამოყენებული სცენები და ეპიზოდები მწერლის სხვა თხზულებებიდან, მისი პუბლიცისტიკა. დადგმაზე რეჟისორი რობერტ სტურუა მუშაობს.

ამ დღეებში რეჟისორი თემურ ჩხეიძე და დამდგმელი ჯგუფი დაიწყებს მუშაობას მიხეილ ჯავახიშვილის «ქალის ტვირთზე», წარმოდგენა ეძღვნება 1905-1907 წლების რევოლუციის 70 წლისთავის იუბილეს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს იქნება ტრილოგიის პირველი წარმოდგენა. რეჟისორს ჩაფიქრებული აქვს ეს ხაზი განაგრძოს ლ.ქიაჩელის «ჰაკი აძბათი» და ვ.კანდელაკის პიესით «დრო _ 24 საათი».

მაყურებელი ნახავს აგრეთვე «მზეს», რომელიც ნ.დუმბაძის მოთხრობების ინსცენირებაა (ინსცენირების ავტორია გ.გეგეჭკორი).

მიმდინარე სეზონში ჩვენს სადადგმო გეგმაში შედის კ.ბუაჩიძის «პლატონი», ალ.ჩხაიძის «თავისუფალი თემა», ლ.თაბუკაშვილის «დედაჩემის საყვარელი ვალსი», გ.ბათიაშვილის «განშორება». ესენი თანამედროვეობას ასახავენ.

ჩვენს მთელ საუბარს, განსაკუთრებით ბოლოს თქმულს თუ გავიაზრებთ, ერთი წუთით შესაძლოა შვებითაც კი ამოვისუნთქოთ და ვთქვათ, რას ვერჩით, ქართული დრამატურგია, რომელსაც აქამდე სულ თეატრის მიმართ ვალში ყოფნას ვუკიჟინებდით, დაძრულა, ამოქმედებულა, პიესები მოგვმრავლებიაო. მაგრამ _ ეს მხოლოდ ერთი წუთით. რადგან შვებით ამოსუნთქვამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ. ქართული თეატრი კვლავ მწვავედ განიცდის ეროვნულ დრამატურგიულ ნაწარმოებთა ნაკლებობას. როგორც ვნახეთ, ნაწარმოებთა უმრავლესობა, რომლებზეც ამჟამად თეატრის კოლექტივი მუშაობს, ინსცენირებაა და არა სპეციალურად თეატრისათვის დაწერილი პიესა. ხოლო ის პიესები, რომლებიც დასადგმელად შევარჩიეთ, არ არის დაზღვეული წვრილთემიანობისაგან, მოვლენათა ზერელე, ზედაპირული ასახვისაგან. კვლავ რჩება დღის წესრიგში დრამატურგთა მიმართ გამოთქმული სურვილი შემოქმედებით ფოკუსში მოაქციონ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული პრობლემები, ღრმად ჩასწვდნენ მათ არსს, მიგვანიშნონ მათი გადაჭრის გზები.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

პირველ რიგში, წმინდა შემოქმედებითი სიძნელეები, რომელთა გადალახვის ძალა ბარე ერთსა და ორს არ შესწევს და იოლი გზით სიარულს ამჯობინებს. და, ამის გარდა,

არის კიდევ ერთი, მე ვიტყოდით, საჩოთირო და დასაგმობი მიზეზი, რომელმაც სხვადასხვა ფორმით მარტო თეატრალურ ცხოვრებაში როდი მოიკიდა ფეხი: ეს გახლავთ ზოგიერთის აუხსნელი, დაუსაბუთებელი, გადამეტებული სიფრთხილე ახლის მიმართ. ზოგიერთს ეს ავკაცობით მოსდის, ზოგს ჩეხოვის ბელიკოვის ამბავი ემართება _ «იქნებ რამე ისე არ გამოვიდესო» და ყველაფერს გაფართოებული თვალებით, გამადიდებელი შუშით სინჯავს. ვგონებ, ესეც უნდა იყოს ჩვენი დრამატურგიის განვითარების ერთგვარი მუხრუჭი. საკმარისია, სცენაზე ცხოვრება დაიწყოს მწვავე პრობლემებით აღსავსე ნაწარმოებმა, რომ სხვადასხვა ინსტანციაში ჩნდება ავკაცებისა თუ ბელიკოვების დიდაქტიკური მოსაზრებანი, საგანგაშო სიგნალები, ამა და ამ ნაწარმოებში მავან ავტორს იმის თქმა კი არ სურს, რასაც ამბობს, არამდე _ სულ სხვა რამისაო. და საბოლოოდ, გამოდის რომ ამ «იქნებ რამე ისე არ გამოვიდეს» პოლიტიკით ზარალდება ქართული დრამატურგიაც და ქართული თეატრიც.

მაგრამ ეს ამჯერად ჩვენი საუბრის თემა არ არის. უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლებოდა, გაკვრით მაინც არ მეთქვა. თავისთავად თანამედროვე ქართული დრამატურგიის განვითარების პრობლემა, მისი კონტაქტები თეატრთან ცალკე საუბრის თემაა და ბევრ საკამათო საკითხს მოიცავს...

გაზ. «თბილისი»,
10 სექტემბერი, 1976

თეატრი და ბავშვები

აკაკი მინდიაშვილი _ რა დანიშნულება ჰქონდა კვირეულს _ «თეატრი და ბავშვები». ბავშვების თეატრით დაინტერესება და მისადმი ყურადღება მხოლოდ ერთი კვირით ხომ არ ამოიწურება (არიან ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ბავშვებითა და მათი თეატრით დაინტერესება ზუსტად ერთი კვირითაა საჭირო _ ორშაბათიდან ორშაბათამდე)?

ბ-ნო აკაკი, გთხოვთ მოგვითხროთ, როგორ ჩატარდა კვირეული, რა იყო მისი დევიზი და მისია? გაამართლა მან თავისი დანიშნულება? როგორ ფიქრობთ, სასარგებლო იქნება ამ ღონისძიების ჩატარება მომავალშიც? შეუწყობს იგი ხელს თეატრისა და ბავშვების დაახლოების საქმეს, საბავშვო თეატრალური ხელოვნების წინსვლასა და განვითარებას?

აკაკი ბაქრაძე – რა თქმა უნდა, «თეატრი და ბავშვები» კეთილი განზრახვით შემოიღეს და მიზანიც კეთილშობილი დაუსახეს. მაგრამ გულახდილად თუ ვიტყვით, ის შედეგი არ მოგვცა, რასაც მოველოდით. ეს ბუნებრივიც არის. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვისწავლეთ, რომ ყოველი ერთდროული ღონისძიება ბოლოს თავმომაბეზრებელ ბეგარად იქცევა. ასეთი გახდა კვირეულიც «თეატრი და ბავშვები». ახლა შევეცდები ავხსნა, რატომ მოხდა ეს.

სკოლას თავისი უამრავი საქმე აქვს. თეატრსაც. ამიტომ ისინი მთელი წლის მანძილზე არ ფიქრობენ ამ კვირეულის ჩატარებაზე. არც ახსოვთ. უცბად დგება დრო კვირეულის ჩატარების და იწყება ციებ-ცხელება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს სასწრაფოდ, რომ ბოლოს დაიწეროს ოქმი, სადაც აღინიშნება _ ღონისძიება ჩატარებულიაო. ამით ვალი მოხდილად ითვლება.

თეატრშიც მოუმზადებელნი არიან. იწყება ძებნა, ძიება, სათანადო რეპერტუარისა. რაკი თეატრი ამ კვირეულზე არ ფიქრობდა, არც სათანადო რეპერტუარი აქვს, ვაი-ვაგლახით შედგება იგი. ამ რეპერტუარში ისეთი სპექტაკლებია, რომელნიც ბავშვებს რამდენჯერმე აქვთ ნანახი და კიდევ ერთხელ წარმოდგენაზე დასწრება მათთვის არც საინტერესოა, არც სახალისო და არც მიმზიდველი. თუ მოდიან, მოდიან იმიტომ, რომ ევალებათ, ე.ი. თეატრში მისვლას ბეგარის ხასიათი აქვს. ბეგარა კი ყოველთვის სიძულვილის საგანია და არა სიყვარულისა.

კვირეულის დღეებში თეატრში შედგება მსახიობთა ბრიგადები, რომელთაც შეხვედრას უწყობენ ამა თუ იმ სკოლაში. ამ შეხვედრაზე წასვლა მსახიობებს ჭირის დღესავით ეზარებათ. იწყება ხვეწნა-მუდარა, უხერხულია, აუცილებლად უნდა წახვიდეთ. როცა თხოვნა არ გაჭრის, მაშინ ჯოხით მივერეკებით. უფრო ეშმაკი მსახიობები ავად ხდებიან და თავს ამით არიდებენ ასეთ შეხვედრას. ზოგიერთი მიდის, მაგრამ გულგასიებული _ ძალით წამომიყვანესო.

სკოლა ელოდება ამ მსახიობებს. ელიან ათ-თორმეტ კაცს. მივა ორი-სამი. ბავშვებს წინასწარ დარიგებული აქვთ მასწავლებლის დაწერილი ტექსტი, რომელიც უნდა წაუკითხონ მავან და მავან მსახიობს, ის კი არ მოსულა. დაბნეულმა ბავშვმა არ იცის, რა ქნას. იქმნება უხერხული მდგომარეობა და მთელ ამ საზეიმო შეხვედრას ელფერი ეკარგება.

ამას ემატება ის, რომ საქართველოში ყოველგვარი შეხვედრა აუცილებელი სმა-ჭამით უნდა დამთავრდეს. ჩვენ ვიცით, რა ძნელია ასეთი სუფრის გაშლა. რა ცეცხლის ფასი ჯდება იგი. ვერც ერთ მაღაზიაში ვერაფერს იშოვნი. უნდა იარო ნაცნობ-მეგობრებში, ქორ-ვაჭრებთან, რომ ასე თუ ისე, ქართველის თვალსაზრისით, მდიდრული მაგიდა გააწყო. რაკი ეს წვალება დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული, სტუმრის მოსვლა კი აღარ უხარია მასპინძელს, არამედ ბეგარასავით ელის. ასეთი სიტუაცია ამ შეხვედრას უკარგავს გულწრფელობას, უშუალობას, სილაღეს.

ალბათ, ეს კვირეულის მომწყობებმაც შეამჩნიეს, რადგან წელს ყველა სკოლა აღარ იყო ვალდებული მოეწყო შეხვედრა, არამედ რაიონში რომელიმე ერთი სკოლა კისრულობდა ამ საქმეს.

კვირეულის დღეებში სკოლებში ბავშვები ვალდებული არიან დაწერონ რაიმე თეატრალურ თემებზე. მაგრამ ყველა ბავშვს ხომ არ უყვარს თეატრი! ვალდებული კი არის დაწეროს. იწყება მშობლების სირბილი და ძებნა ისეთი კაცისა, ვინც ამგვარ შრომას დაწერს და მერე ბავშვი სკოლაში გადაწერს. ამიტომ თეატრალურ თემებზე წერამ ფორმალური ხასიათი მიიღო. კვირეულის დღეებში ბავშვების მიერ თეატრალურ თემებზე დაწერილი შრომების 90% (თუ მეტი არა) სინამდვილეში რომელიმე სპეციალისტის დაწერილია და არა ბავშვის.

არსებობს ასეთი კანონზომიერება: ბავშვის დაწერილში, ნათქვამში ყოველთვის მეტი უშუალობა, გულწრფელობა, უცნაურობა, არასტანდარტულობაა. თუ ბავშვი სტანდარტული მოდელებით წერს ან აზროვნებს, ეს აშკარად ან მშობლის, ან მასწავლებლის ნახელავია. თეატრალურ თემებზე დაწერილი თხზულებების ძირითადი ნაწილი კი სწორედ შტამპითა და სტანდარტით არის სავსე.

თეატრალურ თემებზე წერა არ უნდა იყოს სავალდებულო. ამ თემებზე უნდა წერონ იმ ბავშვებმა, ვისაც თეატრი უყვარს. არც ის არის სავალდებულო ყველა ბავშვს უყვარდეს თეატრი. ხელოვნებას იმიტომ აქვს უამრავი დარგი, რომ ყველას ჰქონდეს სულის საზრდო. ერთს მუსიკა უყვარს, მეორეს _ მხატვრობა, მესამეს _ კინო, მეოთხეს _ პოეზია და ა.შ. ჩვენ კი ვავალდებულებთ ყველას ყველაფერი უყვარდეს. თავისუფლების შეზღუდვამ, სავალდებულოდ გახდომამ შებოჭა ბავშვის სული და სიყვარულის მაგიერ

პროტესტის გრძნობა გაუჩნდა. ჩვენმა ძალდატანებამ ბავშვი მშვენიერებას კი არ აზიარა, არამედ დააშორა, რადგან «ესთეტიკურ აღზრდაში» მჩაგვრელი დაინახა და არა თავისუფლების მიმნიჭებელი. როცა თეატრიც აუცილებლობად ვაქციეთ, ბავშვები მას უფრო დავაშორეთ, ვიდრე დავუახლოვეთ.

ამიტომ არ მიმაჩნია მე მომავალში ამგვარი ღონისძიებების ჩატარება სასარგებლოდ. ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან ბავშვს მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს და არა ერთკვირეული. ეს კონტაქტი ბავშვმა თავისი არჩევანით, შინაგანი მიდრეკილებით უნდა დაამყაროს. მასწავლებელმა და მშობელმა ეს მიდრეკილება უნდა ამოიცნოს და ხელი შეუწყოს მის განვითარებას, მუდმივ კონტაქტს. ყველაფერი ის, რაც არ ემყარება თავისუფალ არჩევანს, გონიერ ადამიანში ბადებს სიძულვილს, ჩუმ პროტესტს. იგი ემსახურება ადამიანის სულიერი ძალის დათრგუნვას, დამონებას.

ხელოვნების, ლიტერატურის უპირველესი ამოცანა კი ადამიანის სულის განთავისუფლებაა.

ახალშობილი კვირეული «თეატრი და ბავშვები» ვერც ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას შეუწყობს ხელს და ვერც თეატრალური ხელოვნების განვითარებას.

ა.მ. – სკოლას თავის უპირველეს მიზნად მიაჩნია _ ბავშვი მეცნიერული ცოდნის საფუძვლებს აზიაროს. მე არ ვამცირებ ინტელექტუალური აღზრდის მნიშვნელობას, მაგრამ არ უნდა შეიქმნას ილუზია, თითქოს მხოლოდ გონებრივი აღზრდაა საკმარისი ბავშვის მორალური და ესთეტიკური კულტურის უზრუნველსაყოფად. ცალმხრივი, მხოლოდ გონებრივი, ინტელექტუალური კულტურა შესაძლოა აბსოლუტურ საშიშროებადაც კი იქცეს ხასიათისათვის, თუ ეს უკანასკნელი არ ექვემდებარება პატიოსნების, გრძნობისა და ნების აღზრდას (არისტოტელემ შენიშნა: «ადამიანი მით უფრო სწრაფად იქცევა ყველა არსებათა შორის უველურეს... არსებად, რაც უფრო ძლიერადაა იგი განვითარებული მარტოოდენ ინტელექტუალურად»).

პედაგოგებს არა აქვთ და არც შეიძლება გააჩნდეთ მონოპოლია ბავშვთა აღზრდის საქმეში, თუმცა მათ ხელთაა აღზრდის ყველაზე საუკეთესო იარაღი _ სკოლა. ეს უკანასკნელი ვერ გადაჭრის თავის წინაშე მდგომ ყველა პრობლემას თუ მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა და მტკიცე კავშირი არ დაამყარა ოჯახთან, თუ არ იქნა გამოყენებული ბავშვის ხასიათსა და ცნობიერებაზე ზემოქმედების ისეთი ძლიერი და აქტიური საშუალებანი, როგორიცაა წიგნი, თეატრი, კინო და ხელოვნების სხვა დარგები.

ბ-ნო აკაკი, თუ შეიძლება მოგვახსენეთ, შეუძლია თუ არა საბავშვო (მოზარდთა) თეატრს გარკვეული როლი ითამაშოს ბავშვის «გრძნობათა აღზრდასა» და მის მორალურ-ესთეტიკური კულტურის ფორმირებაში?

ა.ბ. – აღზრდის პრობლემა ურთულესი პრობლემა აღმოჩნდა. თუ ადამიანებს XX საუკუნემდე ილუზია გვკვებავდა, XX საუკუნემ ეს ილუზია მოსპო და სამაგიერო კი არაფერი მოგვცა. XX საუკუნემდე კაცობრიობას სჯეროდა, რომ მეცნიერული, ტექნიკური, სოციალური, რელიგიური და ა.შ. პროგრესი ადამიანს ზნეობრივად სრულყოფილს გახდიდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ადამიანმა შეძლო მთვარეზე ასვლა... ადამიანმა მოახდინა უზარმაზარი სოციალური რევოლუცია. ერთი სიტყვით, ბევრი რამ გააკეთდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეძლო უმთავრესი – ადამიანის ზნეობრივი გაუკეთესება. ადამიანი ისევ იპარავს, კლავს, მრუშობს, სძულს მოყვასი... თან ბოროტების მასშტაბი უსაშველოდ გაიზარდა. მარტო ორი მსოფლიო ომის გახსენება კმარა. ამას მიუმატეთ ტოტალურად გავრცელებული ტერორიზმი. ნახეთ, მაჰმადიანური ფანატიზმის როგორი აღორძინება ხდება! რაღა შორს მივდივართ,

ჩვენში, საქართველოში, ადამიანთა (დიდის თუ პატარის) მოტაცება დაიწყეს ფულის გამოძალვის მიზნით. ეს ხომ ზნეობრივი დაცემულობის საშინელი სურათია.

ყველაფერი ეს დატრიალდა იმის შემდეგ, რაც საუკუნეების მანძილზე ტონობით წიგნი დაიწერა, რომელიც სიკეთისაკენ მოგვიწოდებდა, ბოროტებას გმობდა, ურთიერთსიყვარულს, თანაგრძნობასა და თანადგომას გვიქადაგებდა.

როცა ყოველივე ამას გაითვალისწინებ, ერთ დასკვნამდე მიხვალ (ყოველ შემთხვევაში, მე ამგვარი დასკვნა გავაკეთე): არსებობა, სიცოცხლე ბოროტისა და კეთილის ბრძოლაა. მათ შორის წონასწორობა არასოდეს დაირღვევა. ვერც კეთილი გადასწონის და ვერც ბოროტი. ადამიანის მოვალეობა კი არის ამ ბრძოლაში თავისი ადგილი აირჩიოს, ან კეთილის მხარეს დადგეს, ან ბოროტის.

შეიძლება ჩემი პასუხი პესიმისტური მოგეჩვენოთ, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ უაღრესად ოპტიმისტურია. ოპტიმისტურია იმიტომ, რომ ღრმად მჯერა კეთილისა და ბოროტის კოსმიური წონასწორობა არასოდეს დაირღვევა ბოროტის სასარგებლოდ. ეს კი დიდი იმედია. ამ იმედს ემატება ის, რომ ადამიანს აქვს არჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის. ეს კი თავისუფლებაა, რომელსაც ვერავინ წაართმევს ადამიანს, თუ მან თვითონვე არ გაბარცვა თავისი თავი.

ეს საკითხის ერთი მხარეა, უფრო ზოგადი. არის მეორე მხარეც, უფრო კონკრეტული.

ბავშვს კეთილის თეორიის არ სჯერა, არც ესმის. ბავშვზე უფრო ზემოქმედებს და წარუშლელ კვალს ამჩნევს კეთილის პრაქტიკული ნიმუშები. ამიტომ აქვს ზნეობრივი აღზრდისათვის კეთილის პრაქტიკულ ნიმუშს არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა.

უფრო მკაფიო რომ გავხადო, მოვიშველიოთ სრულიად უბრალო მაგალითი: დღეს ახალგაზრდობა ძალიან არის გატაცებული ჯინსის ტანსაცმლით. კარგად მოგეხსენებათ, რომ სსრკ-ში არსად, არც ერთ მაღაზიაში ჯინსი არ იყიდება. ახალგაზრდებს (ხანდაზმულებსაც კი) აცვიათ და აცვია ძალიან ბევრს. საიდან, რა გზით? ისიც ვიცით, ამისი ორი გზა არსებობს, ერთი სპეკულაციაა და მეორეა _ თუ ვინმე საზღვარგარეთ იყო, იქიდან ჩამოიტანოს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საზღვარგარეთ ძალიან ცოტა გადის და ვინც მიდის, იმას ძალიან ცოტა ფული აქვს, გასაგები გახდება, რომ ეს გზა ჯინსის მოყვარულთა დიდ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს. მაშასადამე, არსებითად რჩება ერთადერთი გზა – სპეკულაცია და სპეკულანტობა. ეს კი აშკარა და ცხადია ყველასათვის, უზნეო გზაა. მაგრამ სხვა საშუალება არ არსებობს ყმაწვილმა მისი უბრალო, ელემენტარული სურვილი რომ დაიკმაყოფილოს. ახლა განვიხილოთ სიტუაცია ლოგიკურად.

ჩვენ ვეუბნებით ახალგაზრდებს: სპეკულაცია და სპეკულანტობა უზნეობაა, დანაშაულია.

ახალგაზრდებს უნდა ჯინსი. იგი არ იყიდება მაღაზიაში.

სურვილი რომ დაიკმაყოფილოს, ახალგაზრდა მიდის ქორვაჭართან და მამასისხლად ყიდულობს ჯინსს. თეორია – სპეკულანტი უზნეობაა – სასაცილო ხდება ამ ყმაწვილის თვალში.

თუკი ჩვენ ამგვარი პრიმიტიული რამისთვისაც კი ვამასხარავებთ, ვაკნინებთ ზნეობის თეორიულ პრინციპებს, როგორღა გვინდა უფრო რთული, მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა?

ყოველგვარ თეორიულ პრინციპს მაშინ შეუძლია გაიდგას ფესვი ადამიანის სულში, როცა პრაქტიკა, სინამდვილე უმაგრებს ზურგს. თუ ასე არ არის, თეორია, რარიგ მაღალიც უნდა იყოს იგი, წყლის ნაყვას ემსგავსება.

ამიტომ ზნეობრივ აღზრდას სათანადო მატერიალური ბაზა სჭირდება და ადამიანები, რომელნიც მორალური ცხოვრების სათანადო მაგალითს იძლევიან. თუ ასე არ იქნება, სკოლა, ოჯახი, თეატრი ვერაფერს გახდება ქადაგებით. აბსტრაქტული ქადაგება კონკრეტული ნიმუშის გარეშე სასაცილოა და მისი არავის სჯერა. ქრისტიანული იდეალისათვის ქეთევან დედოფალს თავი რომ არ გაეწირა, მის ქადაგებას არავინ იწამებდა.

თეატრი კერძოდ და ხელოვნება საერთოდ ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით მაშინ მოახდენს ზემოქმედებას და ნაყოფს გამოიღებს, როცა სცენიდან ნაქადაგები იდეალების კონკრეტულ ნიმუშებს რეალურ ცხოვრებაში შეხვდება ყმაწვილი.

ა.მ. – ამბობენ დიდი ხანია კანონად იქცა დევიზი: «ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს». ჰყავთ თუ არა ბავშვებს საუკეთესო მსახიობები («ბავშვებისთვის მსახიობი ისევე უნდა თამაშობდეს, როგორც უფროსებისათვის, ოღონდ უკეთესად» _ სტანისლავსკი), საუკეთესო მხატვრები, საუკეთესო რეჟისორები, საუკეთესო შენობა?

რით აიხსნება მოზარდთა თეატრიდან მსახიობების «ემიგრაცია» დრამატულ თეატრებში? რატომ მიიჩნევს ამ თეატრში მუშაობას ახალგაზრდა მსახიობი თავისი აქტიორული ცხოვრების პირველ, სატრენაჟო ეტაპად?

როგორ დგას მოზარდთა და საბავშვო თეატრების წინაშე კადრების მომზადების საქმე?

თუ აქვს მოზარდთა თეატრს სტუდიები, სადაც აღიზრდებოდნენ აქტიორები და რეჟისორები, მხატვრები და კომპოზიტორები, _ რომლებიც თავისი სურვილით, შეგნებულად მოვიდოდნენ ბავშვების თეატრში და ერთგულად მოემსახურებოდნენ მათი (ესთეტიკური) აღზრდის საქმეს?

რა პრობლემები აქვს გადასაწყვეტი მოზარდთა თეატრს, საბავშვო თეატრებს, საერთოდ, და როგორია მათი განვითარების პერსპექტივები?

ა.ბ. – მართალია, ლოზუნგი «ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!» - დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ იგი კანონად იქცა. არსად არ მინახავს, არც ერთ მაღაზიაში, არც სკოლაში, არც ხელოვნების დაწესებულებაში, რომ ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს ეკუთვნოდეთ. ამ მხრივ ჯერ დიდი და ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო იმას რომ მივაღწიოთ, რასაც ლოზუნგი გულისხმობს.

რაც შეეხება საბავშვო თეატრებს, უპირველესი, რაც მათ აკლიათ, ეს არის სათეატრო შენობა. არც ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრს და არც თოჯინების თეატრს შენობა არა აქვს. ისინი მეტისმეტად მძიმე პირობებში იმყოფებიან. არც არის რაიმე იმედი, რომ მათ უახლოეს ხანებში ექნებათ ახალი შენობა. მოგეხსენებათ, ყოველგვარი ოცნება, გეგმა, სურვილი ფუჭია, თუ არ არის ფული, მატერიალური საშუალება. ამიტომ ქართული საბავშვო თეატრების შენობით უზრუნველყოფის საქმე უიმედო მდგომარეობაშია.

რაკი არ არსებობს მუშაობის სათანადო პირობები, ბუნებრივია, რომ საბავშვო თეატრიდან გარბიან რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, ტექნიკოსები. ცდილობენ უფრო კეთილმოწყობილ თეატრს შეაფარონ თავი. არ შეიძლება ადამიანს მოსთხოვო მთელი სიცოცხლე ენთუზიაზმის ხარჯზე გაატაროს. ადამიანი იმიტომ შრომობს, რომ შრომამ კეთილდღეობა შეუქმნას.

არავითარი სტუდია საბავშვო თეატრებს არა აქვთ. მათთვისაც კადრებს თეატრალური ინსტიტუტი ამზადებს.

რა პრობლემები აქვს გადასაწყვეტიო. რაც ჩამოვთვალე განა საკმარისზე მეტი არ არის? როგორ უნდა ეშველოთ მათ და ამ მიმართულებით რა უნდა გაკეთდეს, ამაზე საბავშვო თეატრის თავკაცები უკეთ გიპასუხებენ.

ა.მ. – საბავშვო თეატრის რეპერტუარის პრობლემა კარდინალური პრობლემაა თეატრის შემოქმედებითი სახის განსაზღვრაში. დრამატურგიის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებასთანაა დაკავშირებული თეატრის შემდგომში განვითარების პერსპექტივები და მისი პოზიციების განმტკიცება.

ჩვენი საბავშვო დრამატურგია პასუხობს თანამედროვე მოთხოვნილებებს?

თუ სწერენ საგანგებოდ ქართული საბავშვო თეატრისათვის?

რეპერტუარში ეროვნული ნაწარმოებები სჭარბობს თუ უცხოური?

ბავშვებს განსაკუთრებით როგორი ხასიათის პიესები აინტერესებთ?

თუ მოქმედებს რეპერტუარის ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპი?

უმცროს, საშუალო და უფროსკლასელთა ესთეტიკური და ცხოვრებისეული გამოცდილება, მათი ფსიქოფიზიკური ბუნება განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ ითვალისწინებენ ამას რეპერტუარის შედგენისას?

როგორია ქართული საბავშვო პიესებისა და სპექტაკლების მხატვრული ღირებულება?

რა განსხვავებაა მოზარდთა და დრამატულ თეატრებს შორის?

რომელს უფრო უძნელდება ხოლმე რეპერტუარის შერჩევა და რატომ?

როგორია საბავშვო თეატრის მისია?

ა.ბ. – თქვენს კითხვას რომ ვუპასუხო, ჯერ უნდა გითხრათ ჩემი შეხედულება საერთოდ ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურის შესახებ. საბჭოთა, კერძოდ, საყმაწვილო ლიტერატურა მოდელირებული ლიტერატურაა. ჩვენში ყველაფერი წინასწარ შექმნილი მოდელის მიხედვით იწერება. ეს არ არის ახალი ამბავი. წინათაც დაწერილა მოდელირებული ლიტერატურის ნიმუშები (მაგ. რუსოს «ახალი ელიოზა», ჩერნიშევსკის «რა ვაკეთოთ?!» და სხვ.), მაგრამ თუ წინათ ეს ერთეული შემთხვევები იყო, ახლა ჩვენში იგი საყოველთაო მუდმივი პრინციპია. მოდელირებულ ლიტერატურაში ცხოვრება და ადამიანი ისეთად კი არ აისახება, როგორიც ისინი სინამდვილეშია, არამედ ამა თუ იმ აბსტრაქტული იდეის სურათად და პერსონიფიცირებულ სახედ. მაგ., არკადი გაიდარის თემური გარკვეული იდეის პერსონიფიცირებული სახეა. მისი ცხოვრება კი ამავე იდეის სურათი. თემურის საპირისპიროდ, ვთქვათ, ტომ სოიერი რომელიმე დოგმის შესაბამისად კი არ ცხოვრობს, არამედ თავისუფლად, ისე როგორც ნება და სინდისი უკარნახებს.

ახლა ასე დავსვათ საკითხი: შეიძლება თუ არა, არსებობდეს საბჭოთა ტომ სოიერი? ცხოვრებაში რამდენიც გნებათ, ლიტერატურაში კი – არა, რამეთუ ტომ სოიერი ყველა მოდელს არღვევს. საბჭოური საბავშვო ლიტერატურის მიხედვით, ტომ სოიერი დადებითი პერსონაჟი არ იქნება. იგი აუცილებლად ჯერ პიონერული, მერე კომკავშირული ორგანიზაციის აქტიური წევრი უნდა იყოს. ყველა დავალებას ოჯახსა და სკოლაში პირნათლად უნდა ასრულებდეს. ტრანსპორტში აუცილებლად დაუთმოს ადგილი ასაკით უფროსს და ა.შ. ერთი სიტყვით, ზუსტად დაპროგრამებულ კიბერნეტიკულ მანქანას უნდა ჰგავდეს.

ტომ სოიერი უარყოფითი პერსონაჟი თუ იქნება, მაშინ ვერ ასცდება მოდელირებას. საბჭოთა ლიტერატურაში უარყოფითი პერსონაჟიც მოდელირებულია. აქაც გარკვეული საზღვარია, რომლის იქით წასვლა არ შეიძლება. მაგ., საბჭოთა ლიტერატურაში არ არსებობს (ვერც იარსებებს) ქურდი ან მეძავი, რომელიც ცხოვრების ნორმალურ გზას სოციალურმა მოვლენამ აცდინა. გამოცხადებულია, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობს ქურდობისა და პროსტიტუციის სოციალური საფუძვლები. ამიტომ არც ამ ნიადაგზე გაჩენილი ქურდები და მეძავები არსებობენ. არც ლიტერატურა ეხება მათ, რადგან მწერლობაც ოფიციალურ დოქტრინას ექვემდებარება.

რა გამოიწვია ლიტერატურის მოდელირებამ? უპირველესად, ლიტერატურის ზნეობრივი და ემოციური ზემოქმედების დასუსტება. ამგვარი ლიტერატურისადმი ინტერესის დაკნინება.

თუ ზემორე ნათქვამი იქნება ჩემი პასუხის ამოსავალი წერტილი, მაშინ უნდა გითხრათ, რომ ჩვენს თეატრებს, საბავშვო იქნება თუ არა, არა აქვთ რეპერტუარი, რომელიც ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს უპასუხებს მათ მოთხოვნილებებზე.

ცხოვრება წავიდა წინ. თანამედროვე ტექნიკურმა საშუალებებმა დღევანდელი ახალგაზრდის ჰორიზონტი გააფართოვა. სხვა სურვილები გაუჩნდა. ლიტერატურა და ხელოვნება ამ წინსვლას ვერაფრით ვერ მიჰყვა. მათ შორის დიდი მანძილი აღმოჩნდა.

დღევანდელი თეატრი, თანამედროვე მწერლობა ჩვენს საზოგადოებას კი არ წარმართავს, არამედ მეტნაკლებად ართობს მას. განა თქვენ არ დაკვირვებიხართ, რომ დღეს სპორტი მეტ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ხელოვნება? ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ თითქოს ახალგაზრდობის ინტერესები დაჩლუნგდა და სერიოზული მოვლენები ნაკლებად აინტერესებთ. არა, ჩვენ ახალგაზრდებს იმას არ ველაპარაკებით, რაც მათ აინტერესებთ, იმ კითხვებზე არ ვაძლევთ პასუხს, რომელსაც ითხოვს. ჩვენ გაზეპირებულ მოყირჭებულ დოგმებს ვუმეორებთ, ვცდილობთ, ვაიძულებთ ახალგაზრდობას დამორჩილდნენ ერთხელ და სამუდამოდ ამოჩემებულ მოდელებს. ეს არ უნდა ახალგაზრდობას და მისი პროტესტი გულგრილობით გამოიხატება.

გულგრილობა კი ყველაზე საშინელი პროტესტია, რადგან იგი შინაგანი ენერგიისა და სურვილის სიკვდილის ნიშანია.

როცა ასეთი მდგომარეობაა, საბავშვო პიესებისა და სპექტაკლების რომელ მხატვრულ ღირებულებაზე შეიძლება ლაპარაკი?

ლიტერატურის შერჩევაზე ლაპარაკი შეუძლებელია. იგი არ არსებობს და ამიტომ საჭიროა ვილაპარაკოთ რეპერტუარის შექმნაზე. მაგრამ ჯერ პირწმინდად უნდა დაინგრეს ძველი მოდელი, შტამპები, სტანდარტები და გასუფთავებულ ადგილზე დაიწყოს ახლის შექმნა.

ა.მ. – რამდენადაც ვიცი, რეჟისორი და დრამატურგი ნაკლებ დაინტერესებას ამჟღავნებენ ბავშვების განსაკუთრებულად აქტიური და «რთული» (ე.წ. გარდამავალი) პერიოდის მიმართ. ამ ასაკში აღსაზრდელები უკვე გამოვიდნენ ზღაპრის სამყაროდან, მაგრამ ჯერ ვერც უფროსკლასელებთან ურთიერთობას აუღეს ალღო. მათ სურთ თავი დააღწიონ ჩვეულ მდგომარეობას – სკეპსისსა და გაუცხოებას. ისინი ეძებენ საკუთარ თავს და თავის გმირებს გარემომცველ სამყაროში. მათ სულში მიმდინარეობს ფარული და მტკივნეული ჭიდილი წინააღმდეგობებით აღსავსე გრძნობებისა. ეს სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ქმნადობის, თვითდამკვიდრების ხანაა. მათთვის უცხო არაა უკვე რთული და სერიოზული ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პრობლემები. მათ ბევრი რამ არ იციან. მაგრამ ცდილობენ ყველაფერში გარკვევას. მცირე ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. ხშირად ვერ ერკვევიან საკუთარ გრძნობებში. ეს-ეს არის იწყებენ ცხოვრების, საგნებისა და ადამიანების შესწავლას, მათ გაცნობიერებას. ბავშვის ფსიქოფიზიკური ფორმირების ეს ურთულესი პროცესი მოითხოვს ემოციურ-ზნეობრივ ზემოქმედებათა განსაკუთრებულ სპეციფიურ საშუალებებს, ამ დროს ყველაზე საუკეთესო გზები ბავშვის სულში მიმდინარე იდუმალი პროცესების საწვდომად თეატრს მოეპოვება. თეატრისაგან ბავშვი ელოდება, უპირველეს ყოვლისა, დახმარებას, თანადგომას, თანამონაწილეობასა და გულზიარობას იმ ეთიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებითაც ის ამ პერიოდში ცხოვრობს. მისთვის მნიშვნელოვანია იმდენად არა თავისი შინაგანი

სამყაროს ექსპანსია გარემომცველ სამყაროში, რამდენადაც გამახვილებული და დაძაბული ყურადღება საკუთარი აზრებისადმი, განცდებისადმი, ფიქრებისადმი, ტკივილებისადმი, სულიერი შეჭირვებისადმი, სიხარულისადმი, ურთიერთობებისადმი. ბავშვი ამ პერიოდში ანალიტიკოსია. იგი ეძებს საკუთარ ცხოვრებისეულ კრიტერიუმებს...

თუ მოზარდთა რეპერტუარს გადავხედავთ, ვნახავთ პიესებს, რომლებიც ასე თუ ისე შეესატყვისებიან უმცროს და უფროს კლასელთა მოთხოვნილებებს, მასში შუა კლასების ბავშვებისათვის ადგილი არ არის. თქვენი აზრით, ბ-ნო აკაკი, საჭიროა თუ არა შეივსოს ეს ცარიელი ადგილი საბავშვო თეატრალურ რეპერტუარში?

ა.ბ. – მე მგონია იმით, რაც ზემოთ ვთქვი, თქვენს მე-5 კითხვასაც ვუპასუხე. ყოველ შემთხვევაში პრობლემისადმი ჩემი დამოკიდებულება გამოვხატე.

ა.მ. – ბავშვობიდან დამამახსოვრდა სპექტაკლები, რომლებშიც პერსონაჟი-ცხოველები მოქმედებენ (რეპერტუარი უპირატესად ასეთი პიესებისაგან შედგებოდა). ჩვენ მოგვწონდა, გვხიბლავდა და გვიყვარდა ასეთი სპექტაკლები. ამჟამად მსგავსი კოსტიუმები ანაქრონიზმად აღიქმება, როლებიც შეიცვალა. დღეს ცხოველებს აცმევენ ადამიანებივით, ოღონდ ორიოდე დეტალით მიანიშნებენ, რომ ისინი ზოოლოგიური სამყაროდან არიან. მაგრამ ცვლილება მარტო გარეგან მხარეს როდი შეეხო. თუ ადრე ცხოველები ისე ფიგურირებდნენ როგორც ზღაპრის პერსონაჟები, ეხლა საბავშვო თეატრში შეინიშნება ლტოლვა ფილოსოფიური ალეგორიებისადმი, რომლებშიც ცხოველთა სამყარო აღიქმება, როგორც ადამიანური სამყაროს მოდელი.

მე ვფიქრობ, შეიძლება ბავშვებს ველაპარაკოთ სერიოზულ თემებზე, მაგრამ არა ინფანტილური ენის მოჩლექით, არამედ სერიოზულად, თუ გვაქვს ასეთი «სერიოზული» საბავშვო პიესები და «სერიოზული» სპექტაკლები? (გაიხსენეთ დოსტოევსკი, რომელიც თავის 5 წლის გოგონას ნატაშას და მის თანატოლებს ურთულეს პასაჟებს უკითხავდა «ძმები კარამაზოვებიდან»). ბავშვებს უნდა ვაჩვენოთ ცხოვრება, როგორც ასეთი, არ უნდა დავუმალოთ ცხოვრებისეული სიძნელეები, მისი დრამატულობა.

თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე, ბატონო აკაკი?

ა.ბ. – მართალი ხართ, ბავშვებს უნდა ელაპარაკო სერიოზულად. ინფანტილიზმი უნიჭო მწერლების მოგონილია. ინფანტილურად ლაპარაკი უფრო იოლია და იმიტომ. მაგრამ ის რომ გააკეთო, რასაც დოსტოევსკი აკეთებდა, დოსტოევსკივით ნიჭიერი უნდა იყო. მერედა სად არის ეს ნიჭიერება?

სერიოზული საბავშვო პიესები და სპექტაკლები რომ გვქონდეს, ძალიან ნიჭიერი და მოაზროვნე მწერლები უნდა გვყავდეს ამ სფეროში. დიოგენეს ფარნითაც რომ ეძებოთ, მათ ვერ იპოვით.

ა.მ. – ილია წერს: «არ ვიცი, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს»... დღეს სამწუხაროდ, ახალგაზრდობის უმრავლესობა ასე არ ფიქრობს.

მათ არ იციან თავისი ერის, თავისი წარსულის ისტორია (სასკოლო პროგრამებში საქართველოს ისტორია მკრთალადაა წარმოდგენილი).

იგივე მდგომარეობაა ქართულ თეატრშიც. მათ შორის საბავშვო თეატრშიც. არადა, ისტორიული თემატიკა შეიძლებოდა რეპერტუარის საინტერესო ნაწილად ქცეულიყო. ასეთ პიესებსა და სპექტაკლებს ექნებოდა (რა თქმა უნდა, თუ მაღალ დონეზე განხორციელდებოდა მათი დადგმა) როგორც შემეცნებითი, ისე მორალური და ესთეტიკური ღირებულება. ამ სპექტაკლებში შეიძლებოდა დასმულიყო თანამედროვე ახალგაზრდობისათვის აქტუალური, ეთიკური და სოციალური პრობლემები.

ბ-ნო აკაკი, თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე? რით ხსნით ისტორიული თემატიკისადმი ასეთ უყურადღებობას?

ა.ბ. – არსებობს არაოფიციალური ინსტრუქცია, რომელიც არსებითად კრძალავს ისტორიულ თემებზე დაწერილი პიესების დადგმას. თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ და არ გეხსომებათ, რა თავგამოდებული ებრძოდა ლიტერატურული კრიტიკა, მაგ., შალვა დადიანის, კ.გამსახურდიას ისტორიულ რომანებს. რატომ ხდება ეს? ამის პასუხი ილიას იმ სიტყვებშია, რომელიც თქვენ გაიხსენეთ. ყოველი ერი, რომელიც სხვა უფრო ძლიერს ექვემდებარება, მოვალეა დაივიწყოს საკუთარი ისტორია და გაბატონებული ერის ისტორიით იცხოვროს. ამიტომ არის, რომ ჩვენს სკოლებში ასწავლიან ისტორიას, რომელსაც «სსრკ ისტორია» ეწოდება, სინამდვილეში კი რუსეთის ისტორიაა. აბა, გადაფურცლეთ ეს წიგნი და ნახავთ, რომ არარუსებს (კავკასიის, შუა აზიის, ბალტიისპირეთის) ხალხების ისტორიას ათიოდე გვერდიც არ ეთმობა, როცა ზედმიწევნით და დაწვრილებით არის ნაამბობი რუსეთის ისტორია, ზოგიერთი უმნიშვნელო დეტალიც კი არ არის დავიწყებული.

ქართველმა ახალგაზრდობამ რომ კარგად იცოდეს მისი სამშობლოს ისტორია, მაშინ მას სხვა სურვილები, სხვა სიამაყე, თავისუფლებისადმი სხვა მისწრაფება ექნებოდა. ეს კი, რა თქმა უნდა, «გაბატონებული» ერისათვის ხელსაყრელი არ არის. ამიტომ შეძლებისდაგვარად, ისე რომ გაღიზიანება არ გამოიწვიონ, ებრძვიან ისტორიულ თემატიკას და ცდილობენ არ იყოს იგი სცენაზე წარმოდგენილი. თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ისტორიული თემატიკა მაინც უნდა აჩვენონ სცენიდან, მაშინ იგი უნდა დამორჩილდეს ოფიციალურ კონიუნქტურას. მაგ., ახლა მითითებაა, რომ 1983 წლისათვის, როცა გეორგიევსკის ტრაქტატს 200 წელი უსრულდება, დაიდგას ისტორიული ნაწარმოებები, გადაღებული იქნას ისტორიული ფილმები, მაგრამ მხოლოდ დადგენილი, მიღებული კონცეფციით. თქვენ იცით, როგორია ეს კონცეფცია. ამ კონცეფციის მიმართ რაიმე ეჭვი აკრძალულია.

ა.მ. – არსებობს სპექტაკლები, რომლებიც ბავშვებს არ აცნობენ, არ უჩვენებენ, თავს არ ახვევენ რომელიმე კონკრეტულ ჭეშმარიტებას. მაგრამ მათი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ძალზე აქტიურია. ისინი მოზარდში ავითარებენ წარმოსახვის ნიჭს, იწვევენ შემოქმედებასთან თანაზიარების გრძნობას, საკუთარ შემოქმედებით აქტივობას, აღვიძებენ მის უნარს _ ესთეტიკური სიამოვნება მიიღოს ხელოვნების ნაწარმოებისაგან. ერთი სიტყვით, ეს სპექტაკლები კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენენ მოზარდის პიროვნების, მისი თვისებების, მსოფლაღქმის ფორმირებაზე. ასეთ დადგმებში უარყოფილია პირდაპირი დამოძღვრება, თეატრალიზებული ნოტაციები (კ.უშინსკი: «თუ თქვენ გსურთ ბავშვი არამზადად აქციოთ, პატარაობიდანვე მიაჩვიეთ და უმეორეთ ყოველგვარი ზნეობრივი სენტენციები. შემდეგ ისინი უკვე ვერავითარ ზეგავლენას ვეღარ მოახდენენ მასზე...»), ზნეობრივ-მორალური დასკვნები, შეგონებანი და სენტენციები თვალსაჩინოდ კი არ ფორმულირდება, არამედ ამოიზრდება სპექტაკლის საერთო სტრუქტურიდან სპექტაკლის მთლიანი ემოციურ-სახეობრივი წყობიდან. აქ კატეგორიულად კონკრეტული მაგალითებით არ ასწავლიან ბავშვს: როგორ უნდა მოიქცეს და როგორ არ უნდა მოიქცეს. სპექტაკლი ჰქმნის ისეთ ატმოსფეროს, რომელიც ხელს უწყობს მოზარდში გარკვეული პოზიტიური პიროვნული თვისებების განვითარებას, ზრდის მასში მოქალაქეობრიობას, სიკეთეს, სულიერ სიფაქიზეს, დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, კეთილშობილებას, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს და ა.შ.

ბ-ნო აკაკი, თქვენ როგორი ხასიათის სპექტაკლებს ანიჭებთ უპირატესობას და რატომ? ჩვენს ქართულ საბავშვო თეატრალურ სინამდვილეში რომელი სპექტაკლები იდგმება ამ თვალსაზრისით?

ა.ბ. – როგორც უკვე გითხარით საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება მოდელირებული ლიტერატურა და ხელოვნებაა. იგი არ არსებობს ნოტაციებისა და სენტენციების გარეშე. ჩემთვის ასეთი ლიტერატურა და ხელოვნება მიუღებელია. ლიტერატურა და ხელოვნება უნდა იყოს ისეთი, როგორიც არის ცხოვრება, უთვალავი ფიქრით, უთვალავი აზრით, უთვალავი გრძნობით. მხოლოდ ამგვარ ლიტერატურასა და ხელოვნებას შეუძლია აღზარდოს ადამიანში ჭეშმარიტი ზნეობრივი და ესთეტიკური ფასეულობანი.

ა.მ. – რა კავშირია თეატრალურ ხელოვნებასა და თეატრალურ კრიტიკას შორის? რა ურთიერთმიმართებაა მათ შორის? ამჟამად რომელი უფრო მაღალ დონეზე დგას და რომელი მათგანი უფრო პასუხობს თანამედროვე აღმზრდელობით და ესთეტიკურ მოთხოვნილებებს? ერთ-ერთის ჩამორჩენა ხომ არ აბრკოლებს მეორის წინსვლას? რა მიგაჩნიათ საბავშვო თეატრალური კრიტიკოსისა და თეატრმცოდნის უპირველეს მოვალეობად? თუ ზრდის თეატრალური ინსტიტუტი საბავშვო თეატრალურ კრიტიკოსებსა და თეატრმცოდნეებს?

ა.ბ. – ჩვენში თეატრალური კრიტიკა და თეატრმცოდნეობა ამ ცნებების ნამდვილი მნიშვნელობით არ არსებობს. ჩვენში არის რეცენზირება. ისიც იშვიათად. რეცენზიას, კრიტიკასა და თეატრმცოდნეობას შორის არსებითი განსხვავებაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მათ ერთმანეთში ვურევთ, ვერ ვანსხვავებთ.

კრიტიკასა და თეატრმცოდნეობას დიდი გავლენა შეუძლია მოახდინოს თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი იქნებიან ეპოქის, ცოდნის, გემოვნების, მისწრაფებების დონეზე.

დღევანდელი ქართული თეატრალური კრიტიკა და თეატრმცოდნეობა ვერ ახდენს გავლენას ქართული თეატრის პრაქტიკულ საქმიანობაზე, რადგან ბევრად ჩამორჩება თეატრალურ კულტურას.

ა.მ. – დღეს ბევრს ლაპარაკობენ «პროფესიათა» ჰერმეტიზაციის შესახებ: თეატრალური კრიტიკოსები და თეატრმცოდნეები ძალზე ხშირად იკეტებიან საკუთარ დაკვირვებათა ენიგმურ რკალში. წერენ მხოლოდ «პირადი ხელოვნების» გამოცდილებით. იშვიათად და ისიც ფრაგმენტულად იყენებენ საანალიზოდ მომიჯნავე ხელოვნების დარგების პრობლემებსა და წარმატებებს: თეატრმცოდნეები – ლიტერატურას, ლიტერატორები – კინემატოგრაფიას და ა.შ.

რა ვითარებაა ამ მხრივ ქართულ სინამდვილეში?

ა.ბ. – ყოველგვარი პროფესიული ჰერმეტიზაცია უნიჭობის ნაყოფია. როცა ადამიანს აზროვნების დიაპაზონი ვიწრო აქვს და მოვლენათა ფართო რკალის აღქმა-ანალიზი უჭირს, თავის სიდუხჭირეს «პროფესიონალიზმით» ამართლებს. მოვა ნიჭიერი კაცი და ამ პროფესიულ ჰერმეტიზაციას გაარღვევს. ასეთი ნიჭიერი კაცი ყველაზე მეტად ქართულ თეატრალურ კრიტიკას და თეატრმცოდნეობას სჭირდება.

ა.მ. – თბილისის ერთ-ერთ სკოლაში სპექტაკლის განხილვისას მასწავლებელი მოწაფეებს ასეთ კითხვებს უსვამდა: «რა არის ამ პიესის, სპექტაკლის იდეა?» რა უნდოდა ეთქვა ავტორს ამ ნაწარმოებით?»

მასწავლებელს ავიწყდებოდა, რომ ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოები მისი თემის ან იდეის ყოველგვარ მშრალ ფორმულირებაზე უფრო ვრცელი და ტევადია (შედარებით იოლია ასეთი ინტელექტუალური ოპერაცია პრიმიტიული პიესის მიმართ).

ლ.ტოლსტოი განცვიფრებული იყო დილეტანტი კრიტიკოსების ცდით _ «ანა კარენინას» თემა და იდეა, ორიოდე ფრაზით, მოკლე ფორმულით გამოეხატათ («მე რომ სიტყვებით გამომეთქვა ყოველივე ის, რის გამოხატვასაც მთელი რომანით ვაპირებდი, ამისათვის ის რომანი უნდა დამეწერა, რომელიც დავწერე»). როდესაც ხელოვანი ნაწარმოებს ქმნის, მასში ერთგვარი უსასრულობა შეაქვს, რაც იძლევა ამ ნაწარმოების უსასრულო ინტერპრეტაციების შესაძლებლობას. მასწავლებელი კი ხშირად მოწაფეს აჩვევს ხელოვნების ნაწარმოების რაციონალურ, ლოგიკურ პრეპარირებას; თავს ახვევს სპექტაკლის საკუთარ სქემატურ ინტერპრეტაციას (ყველაფერი მორალურ-დიდაქტიკურ იდეებამდე დაჰყავს), რითაც ჰკლავს ბავშვში წარმოსახვის უნარს და სპექტაკლიდან მიღებულ ცოცხალ, უშუალო შთაბეჭდილებას. ეს სქემები, ეს ფორმულები მას მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება. წლების შემდეგ კი ნახულობს იგივე დადგმას და გაოცებულია: იგივე პიესა, იგივე სპექტაკლი მოწაფეობის დროიდან უფრო დიდაქტიკური და უფრო უსიცოცხლო ახსოვდა.

ბ-ნო აკაკი, ვინ შეიძლებოდა ბავშვებისათვის პედაგოგზე უკეთესი შუამავალი ყოფილიყო (ვთქვათ, კრიტიკოსი, თეატრმცოდნე) და როგორი ფორმით წარმოგიდგენიათ ეს შუამავლობა?

ა.ბ. – საერთოდ, ხელოვნებასა და მომხმარებელს შორის (კერძოდ, თეატრსა და ბავშვებს შორის) შუამავალი კრიტიკა უნდა იყოს, მაგრამ კრიტიკა, რომელსაც შეუძლია არა მარტო მხატვრული ნაწარმოებების ღრმა ინტერპრეტაცია, არამედ შემოქმედების ახალი იდეებით დამუხტვა. ასეთები კი არ არიან. თუმცა ეს კრიტიკოსების ბრალი არ არის. კრიტიკა პროკრუსტეს სარეცელზეა დაკრული და ისე სჭრიან და კერავენ, როგორც მოესურვებათ. პროკრუსტეს სარეცელზე მიკრული კრიტიკოსი კი ვერც ფიქრთა მპყრობელი იქნება და ვერც შუამავალი ხელოვნებასა და მომხმარებელს შორის. ამიტომ კრიტიკა ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. პედაგოგი კი შუამავლად ვერ გამოდგება. პედაგოგი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) სქოლასტიკური აზროვნების ტყვეა, ხელოვნება კი (თუ იგი ხელოვნებაა) _ თავისუფალი აზროვნების ტრფიალი.

ა.მ. – ჩვენს პერიოდულ პრესაში თოჯინების თეატრი ან საერთოდ არ მოიხსენიება, როგორც წესი, ანდა ძალზე ფრაგმენტულად აისახება თეატრმცოდნეობით ოპუსებში. სერიოზული კრიტიკა იშვიათად ეხება თოჯინების თეატრის მტკივნეულ და საჭირბოროტო პრობლემებს. ბ-ნო აკაკი, გთხოვთ, ორიოდე სიტყვით მოგვახსენოთ _ რა წარმოადგენს ყველაზე პატარების თეატრალური ხელოვნების სპეციფიკას, როგორია მისი შემოქმედებითი სახე და თანამედროვე დონე?

ა.ბ. – თოჯინების თეატრის შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ცუდად ვიცნობ მათ საქმიანობას. ვიცი მხოლოდ ის, რომ უმძიმეს პირობებში უხდებათ მუშაობა.

ა.მ. – ჩვენში საბავშვო თეატრი პედაგოგიურ მოვლენას წარმოადგენს. მთელი მისი მოღვაწეობა ასე თუ ისე პედაგოგიკასთანაა დაკავშირებული. ეს გულისხმობს თეატრის შემოქმედებით კონტაქტს სკოლასთან. ბუნებრივია, სკოლისა და თეატრის ურთიერთობა არ წარმომიდგენია პასტორალური დუეტის სახით: გარდაუვალია დისკუსიებიც, პრინციპული «შეჯახებებიც».

გთხოვთ, მოგვითხროთ როგორ ხორციელდება თეატრისა და სკოლის შემოქმედებითი თანამშრომლობა და რა პრობლემები არსებობს ამ თვალსაზრისით? როგორ წარმოგიდგენიათ მათი იდეალური ურთიერთკავშირი?

ა.ბ. – საბავშვო თეატრი პედაგოგიურ მოვლენას არ უნდა წარმოადგენდეს. თუ საბავშვო თეატრს პედაგოგიურ ხასიათს მივცემთ, მაშინ მას დავუკარგავთ ფუნქციას, როგორც ხელოვნებას. სკოლაში ბავშვი ცოდნის საფუძველს იძენს. ყველაზე საუკეთესო სკოლაც კი ამაზე მეტს ვერ ახერხებს. თეატრში კი მან სულის საზრდო უნდა მიიღოს,

თავისუფლებას ეზიაროს, ესთეტიკურად და ზნეობრივად ამაღლდეს. მართალია, დღევანდელი საბავშვო თეატრი ამ ფუნქციას ვერ ასრულებს. ზემორე მოხსენებულ მიზეზთა გარდა ეს იმითაც არის გამოწველური, რომ ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დღევანდელი საბავშვო თეატრიც პედაგოგიური იყოს.

სკოლასა და თეატრს შორის ჰარმონია კი არ უნდა იყოს, არამედ შეურიგებელი ბრძოლა. მაშინ ბავშვები სიამოვნებით წავლენ საბავშვო თეატრში. ახლა მათ საბავშვო თეატრში ატარებენ, როგორც სკოლის დამატებაში. ეს ბავშვებს არ სიამოვნებთ და ყოველნაირად გაურბიან საბავშვო თეატრს.

მე არა ვარ სკოლისა და თეატრის თანამშრომლობის მომხრე. ხელოვნება და ლიტერატურა ყოველგვარ სქოლასტიკას უნდა ებრძოდეს და ადამიანს თავისუფალ აზროვნებას უნდა აჩვევდეს.

ა.მ. – სასკოლო ცხოვრების ერთ-ერთი მძაფრი კოლიზიაა «მე» და «კოლექტივის» ურთიერთობა. თუ ეხება ჩვენი დრამატურგია ამ კოლიზიას? ჩემი აზრით, ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა!

საბავშვო დრამატურგია დუმს ბავშვობის უმშვენიერეს და უძლიერეს გრძნობაზე – პირველ სიყვარულზე. პედაგოგებისა (და მშობლების) გარკვეულ ნაწილში არსებობს მეშჩანური, ობივატელური შეხედულება: «მსგავს თემებზე» აღსაზრდელებთან საუბარი არ შეიძლება, «არაპედაგოგიურიაო». ამიტომ, ბუნებრივია, ბავშვი ამჯობინებს ამის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. სამაგიეროდ ხელოვნების ნაწარმოებში ეძებს პასუხს _ თავის ოცნებებზე, თავის «თეთრ ღამეებზე»... არ არსებობს ხელოვნებაზე უფრო ძლიერი საშუალება გრძნობათა აღზრდისა. შესაძლოა ისეთმა სპექტაკლებმა, როგორიცაა, ვთქვათ «რომეო და ჯულიეტა», «ლეგენდა სიყვარულზე», «პატარა გმირი» (დოსტოევსკი), უფრო მეტად გაუგონ პატარა შეყვარებულებს, ვიდრე მშობლებმა და პედაგოგებმა.

ბ-ნო აკაკი, თუ გვაქვს ასეთი სპექტაკლები?

თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

ა.ბ. - «მე»-სა და «კოლექტივის» კოლიზია მარტო სასკოლო ცხოვრებისა კი არა, მთელი კაცობრიობის ცხოვრების ურთულესი და უმძიმესი კოლიზიაა. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება. რადგან ყოველი ნიჭიერი და ჭკვიანი კაცი, ვისაც კი რაიმე კვალი დარჩენია საკაცობრიო ისტორიაში, ინდივიდუალისტია და კონფლიქტი აქვს კოლექტივთან. «ყვარყვარეში» კარგად ამბობს ტიტე ნატუტარი: «...წარმოვიდგინოთ თავმოყრილი 10 000-მდე კაცი. ყოველ მათგანს თითო კაცის ღონე აქვს და თუ ჩვენ მათ ღონეს შევაერთებთ, მივიღებთ უზარმაზარ ძალას... მაგრამ ათი ათასი კაცის ჭკუას თუ შევაერთებთ, ეს იქნება ვირის ჭკუაზე ნაკლები». აქედან გამომდინარე, უნდა დავფიქრდეთ, რა გვინდა ჩვენ. თუ ჭკუა, მაშინ ადამიანის «მე» უნდა აღვზარდოთ, თუ ღონე – მაშინ – კოლექტივიზმი. ამ შინაგანი წინააღმდეგობების მოგვარება არსებითად შეუძლებელია. მაგრამ, როცა ამ საკითხს ჩვენი დრამატურგია ეხება, იგი პრობლემას ოფიციალური მოდელის შესაბამისად წყვეტს: ისტორიის წარმმართველი ძალა ხალხია და, მაშასადამე, კოლექტივიზმის პრინციპს უნდა ვუმღეროთ ქებათა-ქება. ხოლო ის, ვინც უპირისპირდება უნდა დავგმოთ. ამგვარი პრიმიტიული პიესები უამრავია. მაგრამ ისინი არაფერს აძლევენ ადამიანის სულსა და გულს. მით უმეტეს, მოზარდისას, რომლის ინდივიდუალობა ჩამოყალიბების პროცესშია.

დღევანდელობის უპირველესი ამოცანა ინდივიდის («მე»-ს) აღზრდაა, რადგან ნულების გროვა სიდიდეს არ იძლევა. სიდიდეს ერთეულების კავშირი იძლევა.

რაც შეეხება სიყვარულის თემას, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მხრივ ჩვენს სკოლასა და ჩვენს საბავშვო თეატრშიც კი ცუდად არის საქმე. ჩვენ გვეშინია გულახდილად

ველაპარაკოთ ბავშვებს სიყვარულის საკითხზე. მსოფლიოს ყველა სკოლაში სქესობრივ აღზრდას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს. მხოლოდ საბჭოთა სკოლა დუმს ამ პრობლემაზე და თავი ისე უჭირავს თითქოს სიყვარული, სქესი არ არსებობდეს. ალბათ, ამის ბრალია, რომ ძალიან ცოტაა პიესები, რომლებიც სიყვარულის პრობლემას ეხება და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში იდგმება.

ა.მ. – ჩვენს საუკუნეში გამოიკვეთა აზროვნების პრიმატი ადამიანის ემოციურ მხარეზე.

აზროვნების პრიმატის დამცველები ხშირად ჰეგელს ეყრდნობიან, რომელიც თავის «ესთეტიკაში» ადამიანის მიერ ჭეშმარიტების შემეცნების ფორმათა შესახებ მსჯელობისას შენიშნავდა: ხელოვნება საბოლოო ჯამში «წარმოდგენის პოეზიიდან» «აზროვნების პროზაში» გადადისო.

ჩვენი თეატრების, სახელდობრ, მოზარდთა თეატრის შემოქმედებით სახეს რომელი განსაზღვრავს _ «აზროვნების პროზა» თუ «წარმოდგენის პოეზია»?

(ჩემი აზრით, საბავშვო თეატრისათვის ემოციურ-სახეობრივი ძიებანი უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება, ვიდრე «ინტელექტუალური დრამისა», როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლას აქცენტი ბავშვის გონებრივ, ინტელექტუალურ განვითარებაზე გადააქვს, ხოლო თეატრი შეიძლებდა იმას, რასაც სკოლა ვერ ახერხებს _ გრძნობათა აღზრდას).

ა.ბ. – არც «აზროვნების პროზა» და არც «წარმოდგენის პოეზია». ამგვარი რთული კატეგორიებით ჩვენი დრამატურგია არ აზროვნებს.

მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც ემოციურ-სახეობრივი ზემოქმედება არ ძალუძს, არც არის მხატვრული ნაწარმოები. ვერავითარი პრედიკატი ვერ გაამართლებს მას და ვერც მიანიჭებს მხატვრული ნაწარმოების სტატუსს. ყველა ეპოქაში და ყველა ხალხის მწერლობაში მხატვრული ნაწარმოების ურთიერთობის ენა პუბლიკუმთან იყო ემოციურ-სახეობრივი. ახლაც ასეა, როცა ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, ცხადია, რომ საყმაწვილო ლიტერატურასა და თეატრშიც ასე უნდა იყოს.

ა.მ. – მოზარდთა თეატრის მარშრუტები იშვიათად გადის სოფლის გზებზე. რა უნდა ქნას აქ მცხოვრებმა ათიათასობით ბავშვმა, რომლებიც პრაქტიკულად მოკლებულნი არიან თეატრთან შეხვედრის შესაძლებლობას. მათი ზიარება სულიერ ღირებულებებთან არა მარტო ესთეტიკური და ზნეობრივ-მორალური, სოციალური აღზრდის ამოცანაცაა. ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი (თუ ეს ასე არ ხდება) რაიონული ცენტრების მოქმედ თეატრებს მაინც განეხორციელებინათ საბავშვო თეატრალური დადგმები? ამით ასე თუ ისე მოხერხდებოდა თეატრისა და პერიფერიის ბავშვების დაახლოება (დღესდღეობით კი მეტისმეტად შორს ხომ არ დგანან ერთმანეთისაგან _ თეატრი და ბავშვები?).

ა.ბ. – ოფიციალური მოთხოვნის თანახმად ყველა თეატრში (დედაქალაქში და რაიონის ცენტრშიც) უნდა იდგმებოდეს საბავშვო სპექტაკლი. სამწუხაროდ, ამ მოთხოვნას თეატრები არ ასრულებენ და იშვიათად დგამენ წარმოდგენებს ბავშვებისათვის.

არსებობს ერთი ურთულესი პრობლემა, რომლის დაძლევა ჯერჯერობით არ ხერხდება – არათანაბარი კულტურული განვითარება სხვადასხვა რეგიონისა. ამ არათანაბარი კულტგანვითარების ერთ-ერთი მცირე ნაწილია რაიონში მცხოვრები ბავშვების თეატრმომსახურებაც. დღევანდელ ეტაპზე ამ უთანაბრობის დარღვევა შეუძლებელია. ეს მომავალმა უნდა გადაწყვიტოს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ხარვეზების ნაწილობრივ შევსებას ცდილობს ტელევიზია, მაგრამ ამ მიმართულებით უნდა გააქტიუროს მუშაობა.

დასასრულ, მე კარგად ვიცი, რომ ჩვენს დიალოგს არავინ დაბეჭდავს. ასეთი ჟურნალი ან გაზეთი, ასეთი რედაქტორი სსრკ-ში არ არსებობს. ჩემთვის უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, რას დაბეჭდავენ ჩემსას და რას არა. შეიძლება თქვენთვის აქვს მნიშვნელობა, რადგან ახალგაზრდა კაცი ხართ და, ბუნებრივია, გული დაგწყდებათ, თუ თქვენი ნაშრომი არ დაიბეჭდება. ბოდიშს ვიხდი, რომ ამის გათვალისწინება ვერ მოვახერხე. მაგრამ მინდა იცოდეთ ჩემი პრინციპული აზრი: დღეს ჩვენთვის გულწრფელობასა და გულახდილობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ტყუილის, პირფერობის, თვალთმაქცობის ოკეანეში, რომელშიც ჩვენ საცოდავად ვფართხალებთ, ტკივილის გულწრფელად გამოხატვას შეუძლია ნუგეშის მოგვრა. თუნდაც ერთ კაცამდე თუკი მიაღწევს ჩვენი გულწრფელი დიალოგი, უნდა ჩავთვალოთ, რომ ჩვენი მოვალეობა ისე შევასრულეთ, როგორც პატიოსან ადამიანებს შეჰფერით. ამის გრძნობა დიდი სიხარულია და აღზრდის კარგი გაკვეთილი.

29.XII.1979 – 10.I.1980

ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს

ნანა ჯოხარიძე – (აკაკი ბაქრაძე თავისი ერთი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: «ზოგჯერ კრიტიკულია ჩემი განწყობილება, ზოგჯერ კი, პირიქით, აღტაცებული, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი ჩემი გრძნობის გამოხატვისას გულწრფელი და ალალი ვყოფილიყავი. ეს ბუნებრივიც არის: მხოლოდ მართალსა და გულწრფელ აზრს აქვს ფასი». ეს ინტერვიუ მაქსიმალურად ავლენს მის გულწრფელ დამოკიდებულებას საჭირბოროტო საზოგადოებრივი პრობლემებისადმი. და კიდევ: აკაკი ბაქრაძე იმ პუბლიცისტთა რიცხვს განეკუთვნება, ვისაც არასოდეს მიაჩნია საკუთარი აზრი ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციად.)

_ ბატონო აკაკი, გვაინტერესებს თქვენი აზრი გარდაქმნაზე, კერძოდ კი იმაზე, თუ რა რას უნდა უძღოდეს წინ. მაგალითად, აზროვნების გარდაქმნა – ეკონომიკურ რეფორმებს თუ, პირიქით, ჯერ ეკონომიკური რეფორმებია საჭირო, რომელიც შემდეგ თავისთავად გარდაქმნის აზროვნებას.

აკაკი ბაქრაძე – თქვენს კითხვას რომ ვუპასუხო, უნდა გავიხსენო ერთი საყოველთაოდ ცნობილი დებულება, რომელსაც წინათ წამდაუწუმ მოუხმობდნენ, ახლა კი იშვიათად იხსენებენ. ეს დებულებაა: ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. თუ ამ დებულების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ჯერ ყოფიერება უნდა გარდაიქმნას და მერე გარდაიქმნება ჩვენი ცნობიერებაც, ჩვენი აზროვნებაც. მაგრამ ამ დებულებას არ ვიზიარებ. ამდენად ჩემი შეხედულებაც ყოფიერება-ცნობიერების ურთიერთობაზე სხვანაირია. ჩემი აზრით, ცნობიერება, რომელიც ემორჩილება ყოფიერებას, აღარ არის ცნობიერება. ყოფიერებას მასის ცნობიერების განსაზღვრა შეუძლია და არა პიროვნების. ადამიანი, რომლის ცნობიერებას განსაზღვრავს ყოფიერება, არ შეიძლება პიროვნებად ჩაითვალოს. პიროვნება სწორედ ის არის, ვისი ცნობიერებაც ებრძვის იმას, რასაც ყოფიერება ითხოვს. წინსვლას, აღორძინებას, გარდატეხა-განახლებას პიროვნება ემსახურება და არა მასა. ადამიანური საქმიანობის ყველა დარგში (ცხადია, სოციალურ-პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც) ახლის შემქმნელი პიროვნებაა. ამიტომ, თუ მართლა გვინდა განახლება-გარდატეხა მოხდეს, ცნობიერება უნდა შეგვეცვალოს.

მაგრამ ეს შეცვლა იოლი არ არის. უძნელესი და ურთულესია იგი. ამას შეიძლება თაობების გამოცვლა დასჭირდეს. გაგახსენებთ ერთ უძველეს ამბავს, როცა

წინასწარმეტყველმა მოსემ ებრაელები ეგვიპტიდან გამოიყვანა და აღთქმული ქვეყნისაკენ წაიყვანა, მან თვისტომნი უძნელესი და უმძიმესი გზით ატარა. ვინც ეგვიპტიდან გამოვიდა, ყველა გზაში დაიხოცა. მოსეს ისინიღა მიჰყვებოდნენ, ვინც გზაში დაიბადა. მაშინ ახალგაზრდა ებრაელებმა ჰკითხეს მოსეს, ეს რატომ გააკეთე, რატომ დაღუპე ისინი გზაშიო? წინასწარმეტყველმა უპასუხა: ვინც მონად დაიბადა, ისინი ვერასოდეს გაიგებენ თავისუფლების აზრსა და მნიშვნელობას. თავისუფლების აზრი იმან იცის, ვინც თავისუფალ კაცად დაიბადა. აღთქმულ ქვეყანაშიც ისინი უნდა მივიდნენ, ვინც გზაში თავისუფალ ადამიანად დაიბადაო.

გონება იმისთვის გვჭირდება, რომ ზუსტად ამოვიცნოთ და გავიგოთ, რატომ მოხდა ის მარცხი, რაც დღეს საჯაროდ აღიარებულია. აქაც თუ-ობით უნდა ვილაპარაკო. თუ ჩვენ ყველა მარცხი ამა თუ იმ ცალკეულ პიროვნებას დავაბრალეთ, მაშინ ცხადი იქნება, რომ ვერაფერს მივმხვდარვართ და ვერც ვერაფერი გაგვიგია იმისა, რაც ჩვენს თავზე დატრიალდა. თუ არ ვაღიარეთ, არ ვთქვით, რომ სოციალიზმი არ არის სრულყოფილი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, რომ მას ბევრ სიკეთესთან ერთად ბევრი ნაკლიც აქვს, ისე ვერაფრის გამოსწორებას ვერ მოვახერხებთ. ამის აღიარების არ უნდა შეგვეშინდეს. ჯერ არ არსებულა, არც არასდროს გაჩნდება და იარსებებს სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, რომელიც უნაკლო და სრულყოფილი იქნება. რატომ უნდა გვაშინებდეს ის, რომ სოციალიზმსაც თავისი ხარვეზები აქვს და არც ის არის სრულქმნილი? უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ სოციალიზმი უნაკლო მოვლენად წარმოვიდგინეთ. ყველა უბედურება ამან წარმოშვა. მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც არ გვინდა ამის აღიარება და ვეძებთ პიროვნებებს, რომელთაც ყველაფერს გადავაბრალებთ. თან ამას ამბობს ის მოძღვრება, რომელსაც ისტორიის წარმმართველ ძალად ხალხი მიაჩნია და პიროვნებას გადამწყვეტ როლს არ ანიჭებს.

ახლა, როცა გაზეთებს ვკითხულობ, ნათლად ვხედავ, რომ ყოფილი ცოდვილნი ისე ლაპარაკობენ, სხვებს ისე განიკითხავენ, თითქოს მათ ანგელოსის ფრთები ესხათ. ამას წინათ «კომსომოლსკაია პრავდაში» (1988 წლის 21 თებერვალი) ს.მიქოიანის წერილი წავიკითხე. ბერიას თათხავდა. მამამისის შვილი უფრო თავშეკავებული და მორიდებული უნდა იყოს. ხომ შეიძლება მასაც გაახსენონ ათეულწლობით ვინ უკმევდა გუნდრუკს სტალინს?

თუმცა ესეც ადამიანური სისუსტეა, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ადამიანი იმიტომ არის ადამიანი, არც უცოდველი შეიძლება იყოს და არც უცდომელი. ამიტომ ჩვენ ყოველი ადამიანის შეცდომაზეც უნდა შეგვეძლოს ლაპარაკი და მიტევების უნარიც გვქონდეს.

ასე, რომ გაწმენდა-გასუფთავება ჯერ ადამიანთა სულსა და აზროვნებაში უნდა მოხდეს. მერე შეეძლება განწმენდილ ადამიანს გარდატეხა შეიტანოს საზოგადოების ცხოვრებაში.

ნ.ჯ. – ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ეკოლოგიაზე, საერთოდ, და თბილისის გარემოს დაცვაზე, მისი სისუფთავის შენარჩუნებაზე – კერძოდ, ბევრჯერ გამიგონია, გმირთა მოედანზე ზღვარი დარღვეულია – ჰაერი დასაშვებზე მეტად ჭუჭყიანდებაო. ალბათ უნდა ითქვას ან დაიწეროს ამის შესახებ და აუცილებელი ღონისძიებებიც გატარდეს.

ა.ბ. – ეკოლოგია დღეს კაცობრიობის უდიდესი საზრუნავია, მაგრამ მარტო წერა არ კმარა, თუ ამას კონკრეტული საქმე არ მოჰყვება. რაც შეეხება თბილისს, დღეს ყველასთვის ცხადია, რომ მისი ეკოლოგიური მდგომარეობა მძიმეა. არც რაიმეს გასწორება იქნება შესაძლებელი, თუ თბილისის ზრდა ასე უთავბოლოდ გაგრძელდა, როგორც დღეს მიმდინარეობს. აუცილებელია სრული ობიექტური ინფორმაციის გამოქვეყნება თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, საზოგადოებრივი

აზრის შემუშავება და მერე ქმედით, კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღება. დაყოვნება არ შეიძლება. შესაძლოა მალე მდგომარეობის შეცვლა-გამოსწორება შეუძლებელიც გახდეს.

ნ.ჯ. – საზოგადოება სამართლიანად წუხს და შეშფოთებულია ახალგაზრდების იმ ნაწილის გამო, რომელიც ლოთობის, ნარკომანიის გამო წყდება ჯანსაღ ბირთვს, ვწუხვართ იმის გამო, რომ ვკარგავთ მათ, როგორც ადამიანებს, პიროვნებებს, მოქალაქეებს. მაგრამ თითქმის არაფერი იწერება იმათ შესახებ, ვისაც აშკარად ეტყობა სექსუალური ანომალია, იმათზე, ვინც გმირთა მოედნის მიწისქვეშა გასასვლელებში, ვაკის პარკთან, უცხო ენათა ინსტიტუტთან «მოღვაწეობენ». ვერიდებით ამ პრობლემაზე ლაპარაკს, არადა მამაკაცებს ვკარგავთ.

ა.ბ. – მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც ფიქრობს, რომ შეიძლება საზოგადოება ისე მოაწყო, ბოროტება, დანაშაული, ანომალია აბსოლუტურად არ იყოს. ასეთი საზოგადოება არც არასდროს არსებულა, არც არასდროს იქნება. არსებობა წონასწორობაა. ამდენად კეთილის გვერდით ყოველთვის იქნება ბოროტი, ჯანსაღის გვერდით – სნეული, ლამაზის გვერდით – მახინჯი, ღონიერის გვერდით – უძლური და ასე შემდეგ. ჩვენ მხოლოდ იმისთვის შეგვიძლია ბრძოლა, რომ ბოროტება და დანაშაული რამდენადაც შესაძლებელია მცირე იყოს.

თუ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ანომალიური მანკიერების ტყვეა, ეს იმის ბრალია, რომ ჩვენში ახალგაზრდობის ცხოვრება ერთფეროვანი, მოსაწყენი და უინტერესოა, როგორც კი ასეთ რამეს იტყვი, დემაგოგები მაშინვე აყვირდებიან – ეს კომკავშირის კრიტიკაა, მისი როლის დამცირებაა. ნუთუ აღარ დადგა დრო ვაღიაროთ, რომ კომკავშირული საქმიანობა ყველა ახალგაზრდას არ აინტერესებს და არც შეიძლება აინტერესებდეს? ადამიანთა, მით უმეტეს, ახალგაზრდა ადამიანის სამყარო უთვალავფერიანია და მის ყველა სურვილ-მოთხოვნილებას კომკავშირი ვერ უპასუხებს. კომკავშირელობა ბეგარის მოხდას არ უნდა ჰგავდეს. ახლა, სამწუხაროდ, ასეა. ვისაც უნდა კომკავშირელობა – იყოს კომკავშირელი, ვისაც არ უნდა – ნუ იქნება. ნუთუ ეს ელემენტარული თავისუფლება არ უნდა მივანიჭოთ საბჭოელ ახალგაზრდებს? რა იქნება, რა წახდება, რა დაშავდება, სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციებიც რომ არსებობდეს? მე თუ მკითხავთ, არც არაფერი წახდება და არც არაფერი დაშავდება. უბრალოდ, ახალგაზრდული ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი გახდება. ყველა სურვილისამებრ და ნებისამებრ აირჩევს ამ ორგანიზაციებს და დაიკმაყოფილებს სულიერ მისწრაფებებს.

რატომ გვგონია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა იმდენად უმწიფარია, თუ ვინმემ ხელი არ ჩაჰკიდა და ინსტრუქციის შესაბამისად არ ატარა, ისინი ქვეყანას დააქცევენ? იქნებ პირიქით, სწორედ ისინი ააშენებენ ქვეყანას.

მანკიერება ადამიანის ბუნების ნაწილია. მისი სრული გაქრობა არ მოხერხდება. რატომღაც ყველა ადამიანური მანკიერება ისე გვიკვირს, თითქოს ადამიანთა საზოგადოება არ ვიყოთ. ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია და სხვა ადამიანური მანკიერებანი იარსებებს მანამ, სანამ ადამიანი იქნება დედამიწის ზურგზე. ეს უბრალო რამ ვერ გაგვიგია და გაოცებული ვკითხულობთ – ჩვენში ხომ ამა თუ იმ მანკიერების სოციალური საფუძველი არ არსებობს? რა შუაშია სოციალური საფუძველი? რომელ სოციალურ ან პოლიტიკურ სისტემას შეუძლია შეცვალოს ადამიანის ბიოლოგიური თვისება? არც ერთს! სოციალურ ან პოლიტიკურ სისტემას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ეძებოს გზები ამა თუ იმ მანკიერების მოსავლელად, საკონტროლოდ. იზრუნოს იმ ადამიანებზე, რომელნიც აშკარად გამოხატული ბიოლოგიური მანკიერებით იტანჯებიან. ჩვენ ზრუნვის, თანალმობის, შველის ხელის

გაწოდების მაგიერ მათ დასჯას ვცდილობთ. სიტყვით თუ საქმით ვამათრახებთ. ასეთი დამოკიდებულება, მოსპობის მაგიერ, მანკიერებას ამრავლებს. ადამიანის გონებას არ ძალუძს წარმოიდგინოს უფრო მკაცრი რეჟიმი, ვიდრე სტალინის რეჟიმი იყო, მაგრამ მაშინ არც ერთი ადამიანური მანკიერება არ გამქრალა. ამის დამალვაც კი ვერ შეძლეს. ჩემი თუ არ გჯერათ, ნახეთ იმდროინდელი გაზეთები. დარწმუნდებით, რომ მაშინაც წერდნენ, წუხდნენ ამ ადამიანურ მანკიერებებზე, რაზეც დღესაც ვწერთ და ვწუხვართ. ეს ბუნებრივია. ამქვეყნად ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სასჯელს რაიმე მანკიერება მოესპო. ან სასჯელის ვინმეს შეშინებოდეს და მანკიერების გზას არ დადგომოდეს. იმის შემთხვევა კი მრავლად ყოფილა, როგორ უხსნია მანკიერების ჩიხში მომწყვდეული ადამიანი სიყვარულს, თანაგრძნობას, ზრუნვას.

ჩვენს საზოგადოებას ყველაზე მეტად სიყვარული აკლია. განსაკუთრებით იმ ადამიანებს, ვინც ბედმა მანკიერებისთვის გაწირა. თუ ამას ვერ მივხვდით და ერთმანეთს თანაგრძნობა არ გავუწიეთ, ვერავითარი მანკიერების მკურნალობას ვერ მოვახერხებთ.

ნ.ჯ. – ნებისმიერი ქალაქი, ცხადია, თბილისიც, ერთთავად შენდება, სახეს იცვლის. ახლის შენება დროდადრო ძველის ნგრევასაც გულისხმობს. თქვენი აზრით, ვის შეიძლება მიენდოს, ვის აქვს უფლება გასცეს ნებართვა კონკრეტული შენობის დანგრევა-არდანგრევის და მის ადგილზე ახლის აშენების თაობაზე? ამ უფლების მარტო არქიტექტორების ხელში ჩაგდება ალბათ არ იქნება სწორი. ხშირად თვით დიდი არქიტექტორების ახალ პროექტებს არცთუ უმნიშვნელო ნაგებობები ეწირება. ისე გამოდის, რომ რაც უფრო სახელიანია და გავლენიანია არქიტექტორი, მით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია. ქალაქი ქალაქელებს ეკუთვნით და მათი დასტური ამგვარ საკითხებში ალბათ აუცილებელია.

ა.ბ. – პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, სპეციალისტებს ეკუთვნით, მაგრამ აუცილებელია საზოგადოებრივი კონტროლიც. ყოველ დარგში, ცხადია, ხუროთმოძღვრებაშიც, არსებობს «სნეულება», რომელსაც შეიძლება ეწოდოს პროფესიული გონებასიჩლუნგე. პროფესიული გონებასიჩლუნგის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს დილეტანტის აზროვნების თავისუფლებას. პროფესიულ გონებასიჩლუნგეს ხშირად მიუყენებია აუნაზღაურებელი ზიანიც და ზარალიც სხვადასხვა საქმისათვის, მათ შორის, ხუროთმოძღვრებისთვისაც. ამ დროს აუცილებელია საზოგადოების ფხიზელი თვალი. საერთოდ, საზოგადოების აზრს, მის მოთხოვნას გულისყურით უნდა მოვეპყრათ, ანგარიში გავუწიოთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თბილისის დღევანდელი არქიტექტურა ხშირად ყოფილა მსჯელობის საგანი ჩვენს პრესაში. ამ მსჯელობაში პროფესიონალებსაც მიუღიათ მონაწილეობა და არაპროფესიონალებსაც. ბევრზე ბევრი საყურადღებო აზრი თქმულა, მაგრამ ამ აზრს არავითარი ნაყოფი არ გამოუღია. სიტყვა სიტყვად დარჩენილა და საქმედ არ ქცეულა. საზოგადოებამ უნდა მიაღწიოს იმას, რომ ყველა კეთილი ჩანაფიქრი, რომელიც ჩვენს ხუროთმოძღვრებს აქვთ, საზოგადოების ყველა კეთილი სურვილი საქმედ იქცეს, თორემ ლაპარაკს, შენიშვნას, წუხილს რა მნიშვნელობა აქვს, თუ ნათქვამს ერთ ყურში შევუშვებთ და მეორეში გავუშვებთ. თბილისს რომ არქიტექტურული თვალსაზრისით სერიოზული პატრონობა სჭირდება, ეს არც პროფესიონალისათვის არის უცნობი და არც არაპროფესიონალისთვის.

ნ.ჯ. – ჩვენი გაზეთის 22 იანვრის ნომერში დაიბეჭდა დისკუსია «ხიდი მომავალში». იქ ექვსი ახალგაზრდა მათთვის საინტერესო ზოგიერთ პრობლემაზე საუბრობდა. ბიჭებმა თქვენთან სამი შეკითხვა გამომატანეს. აინტერესებთ თქვენი აზრი საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურის სწავლებაზე. ხომ არ

გაქვთ რაიმე კონკრეტული წინადადება ამ სახელმძღვანელოებისა და პროგრამების შეცვლის შესახებ? უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლაში ღვთისმეტყველება? და ბოლოს – რა უნდა აკეთოს ქართველმა, თავისი ერისათვის ყველაზე სასარგებლო?

ა.ბ. – ჩვენდა საუბედუროდ, ხშირად პრობლემად ვხდით იმას, რაც პრობლემა არ არის და თავისთავად ცხადია. რად უნდა იმას მტკიცება, რომ ქართულ სკოლაში საქართველოს ისტორია უნდა ისწავლებოდეს, სომხურ სკოლაში – სომხეთის ისტორია, აზერბაიჯანულ სკოლაში – აზერბაიჯანის ისტორია. არც ის არის ძნელად დასამტკიცებელი, რომ იმ სახელმძღვანელოთი, რომელსაც ახლა «სსრკ ისტორია» ჰქვია, რუსეთის ისტორიას ასწავლიან და არა სსრკ-ისას. ამას ყველა ჭკუათმყოფელი მოწაფე ხვდება. რატომ ვატყუებთ ბავშვებს? ვიღაც ჩინოვნიკის მოგონილი ვერაფრით შეგვიცვლია.

ქართულ სკოლაში საქართველოს ისტორია უნდა ისწავლებოდეს, ხოლო რუსეთის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ისტორია (სსრკ-ის შექმნამდე) უნდა შედიოდეს «მსოფლიო ისტორიის» კურსში. ეს, ჩემი აზრით, საკამათო არ არის, მაგრამ მაინც მსჯელობის საგნად ვხდით.

როგორი უნდა იყოს, ჩემი წარმოდგენით, ისტორიის სახელმძღვანელო?

უპირველესად, იგი უნდა იყოს დაწერილი როგორც მხატვრული ნაწარმოები – მაღალი, ნატიფი, დახვეწილი სტილით. თავისუფალი ყოველგვარი ყალბი პათეტიკისა და ცრუ პათოსისგან.

მეორე: უნდა იყოს სრულიად ობიექტური და მართალი. ახლა ისტორიის სახელმძღვანელოები იწერება წინასწარ აკვიატებული ტენდენციით, რაც სახელმძღვანელოს სასწავლო წიგნად კი არ აქცევს, არამედ სააგიტაციო ფურცლად.

მესამე: დღეს ისტორიის სახელმძღვანელოებში არაფერი იწერება რელიგიაზე, ხალხის ზნე-ჩვეულებებზე, ხასიათზე, თვისებაზე. ამის გარეშე კი ისტორიის სახელმძღვანელო ემსგავსება ან სოციოლოგიურ, ან პოლიტიკურ ცნობარს. ისტორიის სახელმძღვანელოებში არ არის ისტორიულ პირთა ცხოვრება, მათი დახასიათება. ამის გამო ისტორიის სახელმძღვანელო მშრალია, ძნელად საკითხავი.

ისტორიის სახელმძღვანელოში უნდა იყოს ყველაფერი ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ამასთან, იგი არ უნდა იყოს უზარმაზარი ფოლიანტი, რომლის დანახვა ყველას შეაშინებს – მოწაფეებსაც და მასწავლებლებსაც. ისტორიის სახელმძღვანელო, მიუხედავად ამბავთა და საკითხთა სიუხვისა, უნდა იყოს პატარა მოცულობის, ადვილად სახმარი და საკითხავი.

ქართული ლიტერატურის პროგრამა ძალიან გადატვირთულად მიმაჩნია. სახელმძღვანელოში საგანგებოდ არჩეული ნაწარმოებები უნდა შედიოდეს. ისინი ყმაწვილს ესთეტიკურ გემოვნებას უნდა უხვეწდეს და ზნეობრივად ზრდიდეს. ამის გაკეთება მხოლოდ შედევრებს შეუძლია. ამის საშუალება გვაქვს, მაგრამ რატომღაც ჩვენი ლიტერატურის სახელმძღვანელოებში ერთობ ბევრია საეჭვო ღირებულების თხზულებანი. სულო ცოდვილო, ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, მავანი და მავანი ამას განგებ ხომ არ აკეთებს ჩვენი ბავშვების ესთეტიკური გემოვნების დასაჩლუნგებლად და ზნეობრივი დაქვეითებისათვის?

სრული რწმენით უნდა გითხრათ, რომ ადამიანმა, რომელმაც არ იცის რელიგიის ისტორია, არ შეიძლება თავის თავს კულტურული ადამიანი უწოდოს. ვერ უწოდებს იმიტომ, რომ უამისოდ ვერ გაიგებს კლასიკურ მწერლობას, მხატვრობას, მუსიკას... რა ღირებულება აქვს, მაგალითად, რელიგიის ისტორიის უცოდინარი ადამიანისთვის ქართული ხელოვნების ისეთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, როგორიც არის ჩვენი კედლის მხატვრობა? განა ადამიანს, რომელმაც რელიგიის ისტორია არ იცის, შეუძლია

თქვას, დანტეს «ღვთაებრივი კომედია» წამიკითხავსო, რენესანსის ეპოქის მხატვრობა ვიცი?... რა თქმა უნდა, არა. თეისტურ საზოგადოებაში კულტურის ხასიათს, ბუნებას, შინაარსს რელიგია განსაზღვრავს. ქართული საზოგადოება 1921 წლამდე თეისტური იყო. მაშასადამე, ქართული კულტურის ბუნება-ხასიათი განსაზღვრულია ქრისტიანული რელიგიით. ეს კულტურა რომ მართლა გაიგო, აუცილებელია რელიგიის ისტორიის ცოდნა. ამიტომ მიმაჩნია, რომ სკოლაში აუცილებლად (ხაზს ვუსვამ – აუცილებლად!) უნდა ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია მისი ყველა კომპონენტით.

თუ ყოველი ქართველი ღრმად დაეუფლება პროფესიას, კეთილსინდისიერად და პატიოსნად შეარსულებს თავის მოვალეობას, ექნება ეროვნული ცნობიერება, მთელი სისრულით შეიგნებს ათი მცნების აზრს, მაშინ ის გააკეთებს ერისთვის ყველაზე სასარგებლო საქმეს, ოღონდ არც აკაკი წერეთლის აფორიზმი უნდა დაავიწყდეს: «ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს, არ ეთქმის ქვეყნის შვილიო».

გაზ. «თბილისი»,
22.III. 1988

განახლების მოლოდინი

კორესპ. – ბატონო აკაკი! ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა თქვენი, როგორც რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის აზრი ამ საზოგადოების მომავალ საქმიანობაზე. გვაინტერესებს, რა როლს ითამაშებს იგი რუსთაველის პრემიების მინიჭების საქმეში, როგორ აფასებთ რუსთაველის ძეგლის ახალ ადგილას დადგმის საკითხს, ჩვენი დედაქალაქის რეკონსტრუქციას?

აკაკი ბაქრაძე – რუსთაველის საზოგადოება ამჟამად ყალიბდება. რას გააკეთებს იგი და როგორ, ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. უმჯობესი იქნება ეს საუბარი მოგვიანებით გაიმართოს, როცა საზოგადოების არსი უფრო ნათლად გამოვლინდება. ეს არსი ჯერ თავად რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმისთვისაც კი არ არის მკაფიო.

რუსთაველის საზოგადოებას რუსთაველის პრემიების მინიჭების საკითხში ჯერჯერობით არავითარი როლი არ ენიჭება. ამ პრემიების მიმნიჭებელი საგანგებო კომიტეტი არსებობს და ეს მისი საქმეა. როგორც ყოველ მოქალაქეს, ისე რუსთაველის საზოგადოებასაც, რა თქმა უნდა, აქვს უფლება გამოთქვას თავისი აზრი _ რამდენად არის ესა თუ ის პიროვნება ღირსი რუსთაველის პრემიის მინიჭებისა. მაგრამ, ჩვენში, მოგეხსენებათ, მეტად იშვიათია ადამიანიც და მთელი საზოგადოებაც, რომელიც გულწრფელად იტყვის თავის აზრს. ოჯახში, ზურგს უკან მალულად ყველა ბუზღუნებს, ილანძღება, მაგრამ როგორც კი იმავე აზრის საჯაროდ თქმას მოვთხოვთ, მაშინვე უარს იტყვის. პირიქით, ქებას დაუწყებს იმას, რასაც ზურგს უკან აგინებდა. ჩვენში ყველაფერი ანგარიშით კეთდება: ფიქრობს, დღეს რომ ვისმე ვაწყენინო, ხვალ იგი სამაგიეროს გადამიხდის. ამიტომ გაჩუმებას ამჯობინებს. ეს ერთი მხარეა მდგომარეობისა. მეორე მხარე კი ის გახლავთ, რომ ჩვენს ხალხს ობიექტურობისა უკვე აღარ სჯერა. მართალიც არის, რომ აღარ სჯერა. ამას წინათ, გაზეთ «კომუნისტში» (1988 წ. 3 ივნისი) იმათი სია გამოქვეყნდა, ვინც წარდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ასარჩევად _ ზოგი ნამდვილ წევრად, ზოგიც წევრ-კორესპონდენტად, მარტო კანდიდატების რაოდენობა გაგაოცებთ. ამდენი კანდიდატი, ვინც ღირსეულად შეიძლება დავასახელოთ არათუ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არამედ მთელ ევროპაშიც ვერ მოიძებნება. აშკარა და ნათელია, რომ

კანდიდატები წარადგინეს არა იმისდა მიხედვით, ვინ იყო ღირსი, არამედ ვარაუდით _ წარვადგინოთ ყველა, ვისაც აკადემიკოსობის ან წევრ-კორესპონდენტობის სურვილი აქვს, და მერე ამომრჩევლებმა იმტვრიონ თავი. კარგად იციან, რომ არც ამომრჩევლები შეიწუხებენ თავს და, ბოლოს, აკადემიაში აღმოჩნდება ის, ვისაც «ჩაწყობის» მეტი უნარი აქვს. ასეა ყოველგვარ საქმეში. უკაცრავად, მაგრამ «ფეხებზემკიდიაობამ» მძლავრად გაიდგა ფესვი ჩვენს ცნობიერებაში. არ არის გამორიცხული, რომ იგი ვეღარ ამოვძირკვოთ.

ასე, რომ მიიღებს თუ არა რუსთაველის საზოგადოება რუსთაველის პრემიის მინიჭებაში რაიმე მონაწილეობას, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ობიექტური და სამართლიანი დაჯილდოება ამ პრემიით მაინც არ მოხერხდება.

რუსთაველის ძეგლი ხელახლად რომ უნდა დაიდგას, ეს ცხადია. ისიც ნათელია, რომ დღევანდელ ძეგლში «ვეფხისტყაოსნის» ვნება, აღმაფრენა, სიბრძნე და სიდიადე არ იგრძნობა. სად უნდა დაიგას, ეს მაინც სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ. რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნება, თუ საზოგადოების აზრსაც გაითვალისწინებენ. მაგრამ საფიქრალი და სადარდებელი ის არის: ვინ გააკეთებს ამ ძეგლს?

თბილისი არქიტექტურული თვალსაზრისით სერიოზულ განსჯა-განხილვას ითხოვს. ის ახალი უბნები, რომელნიც თბილისში (სსრკ-ის სხვა ქალაქებშიც) აშენდა საბინაო შიმშილის დასაკმაყოფილებლად, არა მარტო ხუროთმოძღვრული კუთხით არის არარაობა, არამედ საერთოდ ანტიადამიანურია. ეს უბნები, ეს სახლები კლავს ადამიანში ყოველგვარ ესთეტიკურს, აჩლუნგებს და ამცირებს მას. სახლი, ბინა არ არის მარტო თავშესაფარი. იგი ხელოვნებაა, რომელიც ადამიანის სულს ზრდის. პირველ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ყოველი ადამიანი იმ ბინით, იმ სახლით, იმ უბნით იღებს, სადაც ჩვილობიდანვე იზრდება. რა შთაბეჭდილება უნდა მიიღონ ჩვენმა შვილებმა, ყმაწვილებმა იმ გეტოსაგან, რომელშიც მათ ვაცხოვრებთ? მე მგონი, პასუხი ძნელი არ არის. რა თქმა უნდა, მესმის, რომ აუცილებელი იყო უამრავი უბინაო ადამიანის მეტნაკლებად ბინით დაკმაყოფილება, მაგრამ არქიტექტურა დიდი ხელოვნებაა და ამის უგულებელყოფა არ შეიძლება. თან ის მაკვირვებს, რომ ხუროთმოძღვართა გამოფენაზე უამრავი გადასარევი პროექტი მინახავს. გაზეთშიაც ხშირად წამიკითხავს, საერთაშორისო ასპარეზზე ამა და ამ ქართველმა არქიტექტორმა პრიზი მიიღო, მაგრამ ყველაფერი ეს საერთოდ არ ჩანს. ან იმდენად მცირე რაოდენობის პროექტებს ვახორციელებთ, რომ არსებითად შეუმჩნეველია. ვიცი, პრესაში ესეც წამიკითხავს, სამშენებლო დაწესებულებანი და საშუალებანი ხელს უშლიან ან ძალა არ ჰყოფნით, ჩვენი არქიტექტორების ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მაგრამ ეს წინააღმდეგობა თუ არ გადაილახა, ქართული ხუროთმოძღვრება საერთოდ და, კერძოდ, თბილისის არქიტექტურა დიდად დაზარალდება, არაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რაც უკვე გაფუჭდა. ჩემი აზრი კი იმაზე, რაც უკვე გაფუჭდა, ის გახლავთ, რომ ე.წ. ახალი უბნები პირწმინდად უნდა დაინგრეს და ახალი უნდა აშენდეს (სხვათა შორის, ამ რამდენიმე წლის წინათ, ამავეს ამბობდა ერთი ახალგაზრდა არქიტექტორი ქალი. მასთან საუბარი «საბჭოთა ხელოვნებაში» დაიბეჭდა. მაგრამ ჟურნალის ნომერი აღარ მახსოვს). მაგრამ ამის გაკეთებას ვინ მოახერხებს? ან ამის სახსრები სად არის, ან სამშენებლო მასალა? ასე რომ, განწირული ვართ შევეთვისოთ და შევეგუოთ უსახურ არქიტექტურას.

რაც შეეხება ძველი უბნების რეკონსტრუქციას, თუ ეს, ერთი მხრივ, ძალიან მიხარია, მეორე მხრივ, ძალიან მეშინია. ის გასაგებია, რატომაც მიხარია. მაგრამ რატომ მეშინია, ამაზე ორიოდე სიტყვა აუცილებლად უნდა გითხრათ.

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც საკუთარი თვალით უნახავს, როგორი გამალებით და დაუნდობლად ანგრევდნენ ძველ თბილისს. ისიც მახსოვს, რა დღეში

ჰყავდათ ჩაგდებული იოსებ გრიშაშვილი ძველი თბილისის სიყვარულის გამო. რა სიტყვებით არ «ამკობდნენ» მას. ახლა ეს დამოკიდებულება შეიცვალა. ძველი თბილისი შევიყვარეთ. მაგრამ სად არის გარანტია, რომ ისევ არ დაგვჭყივლებს ვიღაც თავს და ბრძანებს _ ძველი თბილისი აღარ გვჭირდება. ყველაფერი მიწასთან გაასწორეთ, ახალი უნდა ავაშენოთ? ამის გარანტია ჯერჯერობით არ გვაქვს. ეს ერთი. მეორეც: ამ რამდენიმე წლის წინათ, განაახლეს ერთი უძველესი სახლი, რომელიც ერეკლე მეორის მოედანზე მდებარეობდა. მერე ამ სახლში სათეატრო მუზეუმი შეასახლეს. ამან დიდი აღტაცება გამოიწვია პრესაში. არ გასულა დიდი ხანი და ეს სახლი ავარიული გახდა. იქიდან სათეატრო მუზეუმი გამოიყვანეს და სხვაგან შეიყვანეს. ის ძველი თბილისური სახლი კი დაანგრიეს. ახლა მისი ნასახიც აღარ არსებობს. რა გამოდის? თურმე ის სახლი არ ყოფილა ისე რესტავრირებული, რომ ახალი ექსპლუატაციისათვის გაეძლო. ამაზე პრესა არაფერს ამბობს. რა ვქნათ მაშინ, თუ სხვა უბნებიც ისევეა რესტავრირებული, როგორც ის ძველი სახლი? თუ ეს უძველესი სახლი ერეკლე მეორის მოედანზე ერთადერთი გამონაკლისია? საერთოდ, რაღა თქმა უნდა, ძველი თბილისის განახლება კეთილშობილური საქმეა.

კორესპ. – დღევანდელმა საზოგადოებრივმა ყოფამ უამრავი კითხვა წამოჭრა ჩვენს წინაშე. გარდაქმნამ ცხოვრების გაბატონებული წესის შეცვლის იმედი გაგვიჩინა. რაში გესახებათ პირადად თქვენ გარდაქმნის სიკეთე? უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ლიტერატურა, ხელოვნება...

ა.ბ. – გულახდილად რომ გითხრათ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარდაქმნის რაიმე ხელშესახებ შედეგს ვერ ვხედავ. რა თქმა უნდა, იბეჭდება ისეთი წიგნები, რომელნიც ადრე არ იბეჭდებოდა. ისეთი პუბლიცისტური წერილებიც ქვეყნდება, რომელნიც ადრე არ ქვეყნდებოდა (თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ის წიგნები, რომლებსაც ახლა ბეჭდავს რუსული პრესა, დიდი ხანია წაკითხული გვაქვს. მათ უცხოეთში ბეჭდავდნენ. სსრკ-ში შემოჰქონდათ და ჩვენ ვკითხულობდით. ასე რომ, ეს მაინცდამაინც ახალი არ არის). არც აზრის გამოთქმას, ლაპარაკს გვიშლის ვინმე. თანდათანობით ვთამამდებით კიდეც და სოროებიდანაც გამოვყავით თავი. მაგრამ... მაგრამ გარდაქმნა მე ასე უბრალოდ არ მესმის. არც ის მინდა, რომ მას ასე მარტივი, უმნიშვნელო შინაარსი ჰქონდეს.

ახლა მოკლედ მოგახსენებთ, როგორი მინდა იყოს გარდაქმნის შედეგი.

სსრკ-ის კონსტიტუციაში წერია, რომ სსრკ სუვერენული სოციალისტური რესპუბლიკების კავშირია. მართლა სუვერენულია (გარდა რუსეთისა) მოკავშირე რესპუბლიკები? ვნახოთ, ასეა თუ არა.

არსებობს საქართველოს კომუნისტური პარტია. ასევე არსებობს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კპ, მაგრამ არ არსებობს რუსეთის კპ, მისი ცენტრალური კომიტეტი. როგორ, ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ჰყავს თავისი კპ და რუსეთს არა? საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის კპ ის პარტიაა, რომელსაც სახელად სკკპ ეწოდება. მაშასადამე, საქართველოს კპ არის რუსეთის კპ, ანუ სკკპ ნაწილი. მართლაც ასეა: პარტიულ ბილეთში, რომელიც ყოველ კომუნისტს უდევს ჯიბეში, წერია სკკპ და არა საქართველოს კპ. თუ საქართველოს კპ არის სკკპ ნაწილი, ხოლო სკკპ ნამდვილად და ფაქტიურად არის სახელი რუსეთის კპ, მაშინ, ისიც ცხადია, რომ საქართველო ვერ იქნება სუვერენული სახელმწიფო, რაკი მას სხვა პარტიის ნაწილი განაგებს.

არათუ ისეთ რთულ საკითხებში, როგორიც არის პარტია, არამედ შედარებით უბრალო საქმეშიც კი არ არის საქართველო (სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიც) სუვერენული. მაგალითად: არსებობს საქართველოს (სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაც) მეცნიერებათა აკადემია, მაგრამ არ არსებობს რუსეთის

მეცნიერებათა აკადემია. ისევ მიამიტად გავიკვირვოთ – როგორ, ყველა მოკავშირე რესპუბლიკას აქვს მეცნიერებათა აკადემია და რუსეთს არა? საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემია ის აკადემიაა, რომელსაც სახელად ჰქვია სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემია, აქაც რუსეთი შეცვლილია სსრკ-ით. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის აკადემია ექვემდებარება სსრკ-ის აკადემიას, ანუ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას. აქაც სუვერენულობა გამორიცხულია.

უფრო მეტიც. მსოფლიოს პირველობაზე ფეხბურთში დიდი ბრიტანეთიდან ცალ-ცალკე გამოდის ინგლისის, უელსის, შოტლანდიის (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით _ სკოტლენდის), ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდები. სსრკ-ში კი არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკას არა აქვს უფლება გამოიყვანოს თავისი ეროვნული გუნდი მსოფლიო პირველობაზე. უკრაინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია, მაგრამ მსოფლიო პირველობაზე საკუთარი გუნდის გამოყვანის უფლება არა აქვს. რა სუვერენულობაა ეს? ამგვარ ვითარებაში სუვერენულობაზე ლაპარაკი სასაცილოა, ანეკდოტს ჰგავს.

აღარაფერს ვამბობ, რომ არავითარ სუვერენულობაზე ლაპარაკი არ შეიძლება იქ, სადაც რესპუბლიკას არ ჰყავს ჯარი, არა აქვს დიპლომატიური კორპუსი და ა.შ.

ჩემი დასკვნა ის გახლავთ, რომ სსრკ-ის ძირითადი კანონი, ანუ კონსტიტუცია, უნდა შეიცვალოს. ყველა მოკავშირე რესპუბლიკას უნდა მიენიჭოს სრული სუვერენული უფლება, ანუ უნდა ჰყავდეს საკუთარი ეროვნული არმია და დიპლომატიური წარმომადგენლები უცხოეთში, ჰქონდეს ეროვნული ბანკი, დამოუკიდებელი ეკონომიკა. მთავრობას უნდა ირჩევდეს ხალხი. მთავრობა არ უნდა ინიშნებოდეს მოსკოვის განკარგულებით. ერთი სიტყვით, სუვერენულობა უნდა იყოს ის სუვერენულობა, რაც ნამდვილად იგულისხმება ამ სიტყვაში. თუ გარდაქმნას მოჰყვება ეს შედეგი, მაშინ იგი (გარდაქმნა) რეალურ, ნამდვილ შინაარსს შეიძენს. სხვაგვარად გარდაქმნა ცარიელ ლაპარაკად დარჩება.

კორესპ. – მარჯანიშვილის სახ. დრამატულ თეატრში მისვლის შემდეგ თქვენ წამოიწყეთ სალექციო კურსი «რელიგია და ხელოვნება». მართლაც არ შეიძლება ადამიანს განათლებული ეწოდოს, თუ იგი არ იცნობს რელიგიის ისტორიას, ასე მჭიდროდ რომ არის გადახლართული ხელოვნებასთან, ლიტერატურასა და ისტორიასთან. თქვენი აზრით, რა როლი აკისრია რელიგიის ისტორიის გაშუქებაში (არა რელიგიის პროპაგანდის თვალსაზრისით, არამედ იმ საგანძურის გამოსამზეურებლად, რაც საუკუნეების მანძილზე შეუქმნია კაცობრიობას) კინოხელოვნებას?

ა.ბ. – ხელოვნება არ არსებობს რელიგიური გზნების გარეშე. საერთოდ საბჭოთა ხელოვნების, კინო იქნება ის თუ ლიტერატურა, ყველაზე არსებითი ნაკლი ის არის, რომ მასში არ არის რელიგიური გზნება. ათეისტური საზოგადოება და ხელოვნების რელიგიური არსი? თითქოს შეუსაბამობაა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ხელოვნება, რომელიც არ ეხება ადამიანის სულს, არ არის ხელოვნება. სული კი რელიგიური ცნებაა. არავითარ მეცნიერებას, არავითარ მოძღვრებას არ ძალუძს სულის უარყოფა. რაკი ხელოვნება-ლიტერატურის საგანი სულია, ბუნებრივია, რელიგიურობაც აუცილებელია.

საბჭოთა ხელოვნება კონიუნქტურულია. კონიუნქტურულია არა მარტო იმიტომ, რომ იმ პრობლემებს ეხება, რომლებიც დირექტიულად ეძლევათ, არამედ თავად ხელოვნების დამოკიდებულებითაც პრობლემებისადმი. ასეთი ვითარებაა მაშინაც კი, როცა თითქოს ხელოვანი ძალიან «თავისუფლად» აზროვნებს. უფრო კონკრეტულად, გინახავთ თქვენ, მაგალითად, ისეთი საბჭოთა ფილმი, რომელშიც დამნაშავის მიმართ თანაგრძნობაა გამოვლინებული? კლასიკური ხელოვნება დანაშაულს არ ამართლებს,

მაგრამ დამნაშავეს უთანაგრძნობს. დამნაშავე უბედური ადამიანია, ხელოვნების შინაგანი მიდრეკილება კი უბედურების თანაგრძნობაა, თანალმობაა. საბჭოურ კინოში ხშირად შეხვდებით პერსონაჟს, რომელიც იპარავს. ეს ბუნებრივია, რადგან ჩვენში ქურდობა ტოტალურად გავრცელებული საქმიანობაა. მაგრამ ქურდი ყოველთვის სასტიკად არის დაგმობილი (ეს კონიუნქტურული პოზიციაა. ქურდობა ცუდია და ისიც, ვინც ცუდ საქციელს სჩადის, ცუდია). ვერ დაასახელებთ ფილმს, რომელშიც ქურდის მიმართ თანალმობა იყოს გამოვლენილი, ხელოვანს ჰქონდეს დამოკიდებულება: რა უბედური და საცოდავია ის კაცი, ვინც ქურდია. დამნაშავის მიმართ თანალმობა საბჭოურმა ხელოვნებამ არ იცის. მაშასადამე, არ იცის მოყვასის სიყვარული. ის, რამაც მოყვასის სიყვარული არ იცის, არ შეიძლება იყოს რელიგიური. იგი მხოლოდ კონიუნქტურულია.

საბჭოურ ხელოვნებაში არ არის არც პატიების თემა. ამქვეყნად არ არსებობს ადამიანი (მთელი საზოგადოებაც), რომელსაც რაიმე დანაშაული არ ჩაედინოს. უდანაშაულოდ ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია, ოღონდ გააჩნია დანაშაულის დოზას. ზოგჯერ დანაშაული მცირედ მიგვაჩნია და ყურადღებას არ ვაქცევთ. ზოგჯერ იგი დიდია და საზოგადოებაც ბობოქრობს. მაგრამ თუ ხალხი (ან ცალკეული პირი) მხოლოდ შურისძიების გზას დაადგა, მაშინ ცხოვრება ერთი უსასრულო დანაშაულის ჯაჭვად გადაიქცევა. ამიტომ რელიგიამ დაიწყო დიდი სიქველის _ პატიების – ქადაგება. დააკვირდით, როგორ აზროვნებს რელიგია. ბიბლიაში არის სიუჟეტი იოსებისა და მისი ძმების. იაკობს 12 შვილი ჰყავდა. მაგრამ იოსები გამორჩევით უყვარდა, ძმებს ეს შურდათ, ერთხელ ძმებმა იოსების თავიდან მოცილება გადაწყვიტეს. იგი ეგვიპტეში მიმავალ ვაჭრებს მიჰყიდეს. მამას იოსების სისხლიანი პერანგი აჩვენეს და უთხრეს – მხეცმა დაგლიჯაო. იაკობმა გამოიგლოვა შვილი. გამოხდა ხანი. იოსები ეგვიპტეში პირველი მინისტრი გახდა, ქვეყნის ბრძენი მმართველი. ამასობაში იმდროინდელ მსოფლიოში შიმშილობა დაიწყო. ერთადერთი ქვეყანა ეგვიპტეა, სადაც ყოველგვარი საზრდელი უხვად არის. ეს იოსების გამჭრიახობის შედეგი იყო. შიმშილით რომ არ ამომწყდარიყვნენ, იაკობმა შვილები ეგვიპტეში გაგზავნა სურსათის ჩამოსატანად. იოსებმა მიიღო ძმები. გაყიდულმა ძმამ იცნო მოღალატე ძმები, მაგრამ არაფერი უთხრა. ძმებმა კი ვერ იცნეს ეგვიპტელ დიდებულში იოსები. ამბის თხრობაში ზოგიერთი რამ გამოვტოვოთ და დასასრულს მივაქციოთ ყურადღება. იოსები შეპირდა, რომ საზრდელს მისცემდა, თუკი თავად იაკობიც ჩამოვიდოდა ეგვიპტეში. მეტი რა გზა იყო და შვილებმა მამაც ჩაიყვანეს ეგვიპტეში. მამა და ძმები იოსებმა დიდ დარბაზში შეჰყარა და ვინაობა გაუმხილა. სიხარულის მაგიერ, ძმებს შიშის ზარი დაეცათ. იოსები სამაგიეროს გადაგვიხდის და სიკვდილი არც ერთს არ აგვცდებაო. მაგრამ იცით, რა უთხრა მაშინ ძმებს იოსებმა? – ნუ გეშინიათ, მე თქვენ ბოროტის წილ ბოროტს არ მოგაგებთ. მიპატიებია, რადგან ეს ღმერთმა ინება ჩემი ეგვიპტეში გაყიდვა, რათა უდიდესი უბედურების ჟამს, მამა და ძმები შიმშილით სიკვდილისგან მეხსნაო. იოსებმა მამა და ძმები საჩუქრებით აავსო და სამშობლოში დააბრუნა.

ასე აზროვნებს რელიგია: შურისგების მაგიერ პატიება. ბოროტის კეთილად გადაქცევა.

გინახავთ თქვენ ისეთი საბჭოური ფილმი, რომელშიც პატიების დიადი იდეა იყოს? არც შეიძლება გვენახა, რადგან ჩვენ გვიქადაგებენ და გვარწმუნებენ, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა. მართალია, კაცობრიობას ბევრი სისხლი დაუღვრია, მაგრამ კაცობრიობის ისტორია მაინც არ არის კლასთა ბრძოლის ისტორია. კაცობრიობის ისტორია შექმნაა, შემოქმედებაა, შრომაა. განა კლასთა ბრძოლას შეეძლო შეექმნა ძველი ეგვიპტის, ინდოეთის, ჩინეთის კულტურა? ძველი საბერძნეთი და რომი,

ევროპული აღორძინების ეპოქა, «ვეფხისტყაოსანი», «ღვთაებრივი კომედია», «დონ კიხოტი», «ფაუსტი», კლასთა ბრძოლამ შვა გალილეი, ნიუტონი, კოპერნიკი და სხვანი? რა თქმა უნდა, არა. კაცობრიობის ისტორია არის სიყვარული, პატიება, თანალმობა, შრომა, შემოქმედება...

დღეს რომ ამდენს ვვიშვიშებთ და გულზე ხელს ვიბაგუნებთ – ეს რა უბედურება დაგვემართა, მილიონობით უდანაშაულო ადამიანი ამოგვიწყვეტია და ქვეყანა დაგვიქცევიაო, _ სწორედ იმის ბრალია, რომ საზოგადოების ცხოვრება კლასთა ბრძოლას დავაფუძნეთ. რაკი ისტორიის მამოძრავებელ ძალად კლასთა ბრძოლა გამოვაცხადეთ, სხვა რაღა დაგვრჩენოდა, უნდა გაგვეჟუჟა ერთმანეთი და ვჟუჟეთ კიდეც. ჩვენი ხელოვნება, ცხადია, კინოც, ამ თეორიას ეყრდნობოდა და სხვა იდეები პატიებისა, თანალმობისა, მოყვასის სიყვარულისა და ა.შ. დაივიწყა.

საზოგადოება, ადამიანი, ქვეცნობიერად ამას ადრე მიხვდა და გულმა იქით გაუწია, სადაც სიყვარულის და თანალმობის ხმა გაიგონა. ამან გამოიწვია რელიგიის ახალი პოპულარობა. ამის შედეგია ინტერესიც ჩემი ლექციებისადმი. ხელოვნებამაც საერთოდ და, კერძოდ, კინომაც ცრუ გზა უნდა დატოვოს. დაუბრუნდეს რელიგიურობას, ანუ აღადგინოს კლასიკური ხელოვნების გეზი. გაწყვეტილი ხაზი ისევ გაამთლიანოს.

დღეს უნდა მოვიდეს ხელოვნებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ბიბლიური ახალი იოსები, რომელიც გვეტყვის: თქვენ დიდი დანაშაული ჩაიდინეთ თავის თავის და კაცობრიობის წინაშე, მაგრამ მიპატიებია. ეს ღმერთმა იმიტომ დაუშვა, რომ კაცობრიობამ ცოცხალ მაგალითზე ჭკუა ისწავლოს და მსგავსი რამ აღარასოდეს გაიმეოროს.

კორეპ. – რას გვეტყვით ქართული ისტორიული ფილმისა და კინოეკრანიზაციის განვითარების გზებზე?

ა.ბ. – ისტორიული ფილმები ძალიან გვჭირდება. ჩვენ თანდათანობით გვავიწყდება ვინ ვართ, ვისი შთამომავალნი ვართ და რა ვალი გვაქვს ჩვენი წინაპრების. წარსულის გახსენება აუცილებელია, რომ მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ. თუ ჩვენ დღეს ვინმემ ან რამემ მძლავრად არ შეგვანჯღრია, სულ ადვილად შეიძლება საღათას ძილით ჩაგვეძინოს და კატასტროფა ისე მოხდეს, რომ ვერც კი გავიგოთ. ეს შენჯღრევა ყველაზე მძაფრად კინოს შეუძლია.

ვისაც კინოში უმუშავია, კარგად იცის, რომ ისტორიულ ფილმებს ჩვენი კინოხელოვნება ვერ იღებს არა მარტო იმიტომ, რომ მისი გადაღება ძნელია და ძვირი, არამედ იმიტომ, რომ კინოს თავკაცებს მოსკოვში არ სურთ საქართველოს წარსულის გახსენება (სკოლაშიც იმიტომ არ ასწავლიან საქართველოს ისტორიას). თუ ჩვენ გავიხსენებთ ჩვენს წარსულს, მაშინ ვეღარ დაგვაყვედრიან: რუსეთი რომ არ მოგშველებოდათ, საქართველოს სახსენებელიც არ იქნებოდაო. თუ ჩვენ ჩვენს წარსულს გავიხსენებთ, მაშინ მკაფიოდ დავინახავთ, როგორ მოგვატყუეს რუსეთის იმპერატორებმა.

თუ გვექნება ფილმები ფარნავაზის, წმ.ნინოსა და მირიანის, ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის და სხვათა ცხოვრება-საქმიანობის ამსახველი, მაშინ ჩვენ გვეცოდინება, რა ეროვნული ენერგიის პატრონი ვიყავით პოლიტიკასა და სამხედრო საქმეში და იმედიც დიდი გაგვიჩნდება მომავლისა. იმასაც მივხვდებით, რომ ჩვენი თავის პატრონი ჩვენვე შეგვიძლია ვიყოთ. მაგრამ საიდუმლო დავალება ის არის, რომ ეს იმედი არ უნდა გვქონდეს. სულ იმას უნდა ვფიქრობდეთ – ძიძამ რომ მიმატოვოს, რა მეშველება, ვინღა მიპატრონებსო. როგორც კერძო პირს, ვინც მუდამ სხვას შეჰყურებს ხელში და მისი მოწყალებით ცხოვრობს, არ გააჩნია ღირსება და თავმოყვარეობა, ასევეა მთელი ერიც.

მასაც არ გააჩნია ღირსება და თავმოყვარეობა, თუ ისიც მუდამ სხვისი მოიმედეა და სხვისი მფარველობით ცდილობს არსებობას. ჩვენთვის, ქართველებისათვის, ამ ღირსებისა და თავმოყვარეობის დაბრუნება აუცილებელია. ამ საქმეში უდიდესი (შეიძლება გადამწყვეტი) როლის შესრულება კინოს შეუძლია. ამიტომ ისტორიული ფილმები ჩვენ ჰაერივით, წყალივით გვჭირდება.

კორეპ. – რამდენიმე წლის წინათ ჩვენი პრესის ფურცლებზე გაიმართა დისკუსია ძველი ფილმების აღდგენის თაობაზე, როგორ ფიქრობთ, გამოიღო შედეგი ამ კამათმა?

ა.ბ. – ძველი ფილმების რესტავრაცია-აღდგენის საერთო წესი დღესაც არ არის შემუშავებული. ვისაც როგორ ესმის, ისე აკეთებს ამ საქმეს. კამათმა არავითარი შედეგი არ გამოიღო.

კორესპ. – თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს დოკუმენტური ფილმი?

ა.ბ. – საერთოდ, დოკუმენტური ფილმი, ჩემი აზრით, საბუთის გულგრილობითა და ობიექტურობით უნდა ასახავდეს ფაქტს, მოვლენას, მაგრამ არც ჟანრობრივი ერთფეროვნება ივარგებდა ხელოვნების ამ დარგში. შეიძლება გადავიღოთ ფილმი კომენტარებითაც. შეიძლება ფაქტის რესტავრაციაც. მოგეხსენებათ, ხელოვნების ყველაზე დიდი მტერი ერთფეროვნებაა. სწორედ ამ ერთფეროვნებას უნდა გავექცეთ. ვინ როგორ მოახერხებს ამას, ეს უკვე ხელოვანის ნიჭზეა დამოკიდებული. თეორია მას ვერ უშველის. შოლომ ალეიჰიმი ამბობდა: ნიჭი ფულივითა არის. ან გაქვს, ან არ გაქვს. ვინც უნიჭოა, ვერაფერს გააკეთებს, თუმცა შესაძლებელია ნაირ-ნაირი თეორიები თუთიყუშივით ჰქონდეს გაზეპირებული. ამიტომ მე არ ვარ მომხრე რომელიმე ერთი მაგისტრალური გზის არჩევისა. მე ასე მგონია, ყველა გზა კარგია, თუ მასზე ნიჭიერი ხელოვანი დადის. ყველა გზა ცუდია, თუ უნიჭოები ემსახურებიან. ერთხელ რენუარისთვის უკითხავთ – რა არის ხელოვნებაში მთავარი, რა თუ როგორ? რენუარს უპასუხებია – ვინ.

ყველა გზას ხელოვნებაში განსაზღვრავს ვინ.

კორესპ. – როგორც ცნობილია, მულტიპლიკაციურ ფილმს დიდი როლი აკისრია ბავშვის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში, მის აღზრდაში. რას გვეტყოდით ქართული მულტიპლიკაციური კინოს შესახებ?

ა.ბ. – ჩემი თაობა წიგნით აღზრდილი თაობაა. დღევანდელი თაობა კი კინოთი და ტელეთი იზრდება (რა თქმა უნდა, დღესაც არიან ბავშვები, რომელნიც წიგნით იზრდებიან, მაგრამ მე მოვლენის საერთო ხასიათზე ვლაპარაკობ). ეს კინოს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, განსაკუთრებით მულტიპლიკაციას. ჩვენ მულტფილმები უფრო დიდი რაოდენობითაც გვჭირდება და გაცილებით უფრო ღრმად გააზრებულიც. მე არავინ მეკითხება, თორემ მულტფილმებად გადავიღებდი ათ მცნებაში გაცხადებულ სიბრძნეს, ძველი და ახალი აღთქმის იგავებს. რა ზღვა მასალაა ეს და რა მაღალზნეობრივ იდეალებს ვაზიარებდით ბავშვებს მულტფილმების საშუალებით. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ ქრისტეს ცხოვრება მულტფილმებში, გაცოცხლებული კლასიკური რელიგიური მხატვრობის ნიმუშებით. რა ფილოსოფიურ-ზნეობრივი და ესთეტიკური სიბრძნით იქნება ისინი სავსე. ძველად არსებობდა პაწია წიგნები, რომელნიც ბავშვებს უამბობდნენ გასაგები და ლამაზი ენით ბიბლიის სიუჟეტებს. ასევე შეიძლებოდა მულტფილმებიც. ეს არც დიდებს აწყენდათ და არც პატარებს. მაგრამ თავი რომ დავანებოთ ოფიციალური ინსტანციების წინააღმდეგობას, არც მულტსპეციალისტებს აინტერესებთ ეს. ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ მულტფილმებში აუცილებლად ცხოველები, ფრინველები ან დაჯღანული ადამიანები უნდა მოქმედებდნენ. თან ისე უნდა იყოს ყველაფერი ეს გადაღებული, რომ ვერც მოწიფულმა ადამიანმა და ვერც ყმაწვილმა ვერაფერი გაიგოს.

მულტიპლიკაციის პრობლემა დიდი პრობლემაა. მას უაღრესად სერიოზული ყურადღების მიქცევა სჭირდება. ეს პრობლემა მთელი ჩვენი საზოგადოების დაფიქრებისა და ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

კორესპ. – ამ ბოლო ხანს ბევრი ისეთი ფილმი ვიხილეთ ეკრანზე, რომელთა ნახვის იმედი არ გვქონდა. ვიდეოფილმებით აღტაცების ბუმიც თითქოს განელდა. ეს ალბათ კანონზომიერია. თუ ცოტა ხნის წინ მაყურებელი ყოველგვარ ვიდეოფილმს ხალისით უყურებდა, დღეს უკვე არჩევანის საშუალება აქვს. საბჭოთა კინოს მესვეურთა აზრით, შესასყიდად უნდა შეირჩეს ის კინოსურათები, სადაც ნაჩვენები არ იქნება ძალადობა, პორნოგრაფია, თუმცა ბევრი ცნობილი კინორეჟისორის ნაწარმოები, რომლებიც აღიარებულია მსოფლიო მნიშვნელობის ფილმებად, შეიცავს მსგავს მოტივს. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხის მიმართ?

ა.ბ. – ხომ გაგიგონიათ ანდაზა: უნახავმა რა ნახაო... ვიდეობუმი ჩვენში ჩვენმა უნახაობამ გამოიწვია. გაგვიკვირდა ყველას, დიდსაც და პატარასაც. ამიტომ მივესიეთ და ვუყურებდით პირდაფჩენილი ქანცისგაწყვეტამდე. მერე თანდათანობით შევეჩვიეთ. ახლა უფრო თავშეკავებულნი ვართ. გაიარა შუშის ნატეხებით აღტაცებული ველურის განწყობილებამ. საჭიროა თავისუფლება და ღია საზოგადოება. მაშინ აღარ გაგვაკვირვებს არაფერი.

ერთი ძველი შემთხვევა მახსენდება. 40-იანი წლების მეორე ნახევარში უცხოეთიდან ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი დაბრუნდა. ჩემს კურსზე მოხვდა ერთი ასეთი დაბრუნებული ემიგრანტის შვილი, ერისთავი იყო გვარად. მაშინ საკ. კპ (ბ) ისტორიას გვასწავლიდნენ და ვაი, იმისი ბრალი, ვინც ამ საგანს ვერ ისწავლიდა და ნიშანს ვერ მიიღებდა. ბუნებრივია, საფრანგეთიდან ჩამოსული ყმაწვილისათვის არ იყო იოლი, საკ. კპ (ბ) ისტორიის სწავლა და გამოცდის ჩაბარება. ლექტორმა გადაწყვიტა მისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა და ამგვარი კითხვა დაუსვა: საით მიისწრაფის მუშათა კლასი საფრანგეთში? ერისთავმა სხარტად უპასუხა: რომ გახდეს ბურჟუა. ამ პასუხმა ლექტორი გააოგნა და გადაწყვიტა, გონს მოეყვანა ბურჟუაზიულ სკოლაში გაზრდილი ბიჭი. აუხსნა და განუმარტა: საფრანგეთში პროლეტარიატი იბრძვის იმისათვის, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხოს ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყაროს პროლეტარიატის დიქტატურა. ახლა სახელმწიფო ტყუილს მიუჩვეველი ყმაწვილი გაოცდა და წამოიძახა: როგორ, მე გუშინ დავბრუნდი საფრანგეთიდან და თქვენ მასწავლით იქ რა ხდება!

ახლა ჩვენ რომ ვინმემ გვკითხოს _ რისთვის იღებენ უცხოეთში პორნოფილმებს – ყველა ერთად, ერთხმად ვუპასუხებთ: პორნოფილმებით უნდა კაპიტალისტებს გახრწნან მუშათა კლასი (რა, ცოტა წაგიკითხავთ ამგვარი წერილები ჩვენს პრესაში?). არავის მოგვივა აზრად ნორმალური პასუხი: ყველა საზოგადოებაში არსებობს სექსუალურად ავადმყოფი ადამიანები. მათ დასამშვიდებლად კეთდება პორნოფილმები. წეღან მოგახსენეთ, ავადმყოფისადმი, დამნაშავისადმი თანალმობა უდიდესი სიქველეა-მეთქი. პორნოფილმებიც ამ თანალმობის გამოვლენაა იმათ მიმართ, ვისაც სექსუალური მანკიერება სჭირს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ეს არ გვესმის. ჩვენ შურისგების, დასჯის იდეით ვართ აღზრდილნი და სხვაგვარი დამოკიდებულება ვერც წარმოგვიდგენია. ამას ადასტურებს სწორედ ის მუქარა, რაც ჩვენს პრესაში გაისმა მეძავეთა მიმართ. სსრკ-ში მეძავენი ყოველთვის იყვნენ (სხვანაირად არც შეიძლებოდა: სსრკ-ში პროსტიტუციას სოციალური საფუძველიც აქვს და, ცხადია, ბიოლოგიურიც), მაგრამ პროსტიტუციაზე ლაპარაკის უფლება მხოლოდ ახლა მოგვცეს. მაშინვე წამოვიდა ზღვა წერილები პრესაში. საზოგადოება ითხოვდა – სასტიკად დასაჯეთო მეძავენი, თითქოსდა ისინი ადამიანები არ არიან. მთელი უზარმაზარი საკაცობრიო

ლიტერატურა სავსეა მეძავეთადმი თანაგრძნობითა და თანალმობით. იმიტომ, რომ მეძავი უბედური ადამიანია. მარტო ჩვენ აღმოვჩნდით დასჯის მომხრე. გახსოვთ, ქრისტესა და მეძავი ქალის იგავი? ბრბოს მეძავის ჩაქოლვა უნდა. ქრისტემ იკითხა – რაშიაო საქმე. უპასუხეს – ეს ქალი კახპაა და უნდა ჩავქოლოთო. მაშინ იესომ უპასუხა: პირველად ქვა იმან ესროლოს, ვინც უცოდველიაო. ბრბო სიტყვის უთქმელად გაიპარა, რადგან მათ შორის არავინ აღმოჩნდა უდანაშაულო. როცა სხვის დასჯას ვითხოვთ, ერთხელ ხომ მაინც უნდა ვკითხოთ თავს – ვართ კი ჩვენ უცოდველი? საკუთარი ცოდვების გამოსყიდვა სჯობს, სხვისი დასჯის მოთხოვნას.

მართალია, საუბარი გამიგრძელდა, მაგრამ კიდევ ერთი რამ უნდა გითხრათ. ფელინი თავის წიგნში _ «ვაკეთოთ ფილმი» _ წერს: _ ერთხელ ერთმა ახალგაზრდა ქალმა მკითხაო: თქვენს ფილმებში როსკიპები ყოველთვის დიდი სიმპათიებით გყავთ გამოყვანილი. ხომ ვერ გვეტყვით, რატომ? მაშინ პასუხი გამიჭირდა, მაგრამ ახლა, ამ ჩემს წიგნში მინდა ვუპასუხო და იმედი მაქვს, წაიკითხავსო. ახლა ფელინის პასუხიც მოვისმინოთ: _ დედები ჩვენ გვშობენ, როგორც ადამიანებს, როსკიპები კი გვაყალიბებენ როგორც მამაკაცებს. ამისათვის მათდამი დიდი მადლიერებით უნდა ვიყოთ სავსე.

როცა ჩვენ ამგვარ დამოკიდებულებას ვისწავლით, მაშინ ის პორნოფილმები აღარ გამოიწვევენ ჩვენს გაკვირვებას. აღარც ღამეებს გავათევთ მათი ყურებით.

იგივე ითქმის იმ ფილმებზეც, რომელშიც თითქოს ძალადობა, კაცისკვლა და სხვა უამრავი უბედურებაა ნაჩვენები.

ჯერ ერთი, თუ ეს ვიდეოფილმები ასეთი უბედურებაა, მაშინ რატომ მიმართავს ჩვენი ტელევიზია ფანდს? როცა უნდათ რომ ახალგაზრდები საეკლესიო დღესასწაულებზე არ წავიდნენ ან 26 მაისზე არ ილაპარაკონ, მაშინ ჩვენი ტელევიზია მთელი ღამე მთელ საქართველოს იმ «საზიზღარ» ვიდეოფილმებს უჩვენებს. გაუჭირდათ და ვიდეოფილმებში მოკავშირეებს ეძებენ? ამას წინათ თბილისელმა სტუდენტებმა, ე.წ. KBH ჩაატარეს. იმ საღამოს ერთი ასეთი კითხვაც დასვეს – რა მოხდებოდა 1917 წლის ოქტომბერში, მაშინდელ მთავრობას ვიდეოფილმები რომ ჰქონოდა? ამის პასუხი ასეთი გახლდათ: მთავრობა მთელი ღამე ვიდეოფილმებს უჩვენებდა და 25 ოქტომბრის რევოლუცია აღარ მოხდებოდა.

როგორც ხედავთ, ახალგაზრდობის თვალში თავი გაგვიმასხრებია. ეს ყოველთვის ასე მოხდება, როცა არ ვიცით – რას ვაკეთებთ. ჯერ ვიდეოფილმების გინებით ავიკელით ყველაფერი. მერე, როცა გაგვიჭირდა, საშველად მოვუხმეთ.

არაფერი ცუდი იმ ვიდეოფილმებში არ არის, თუ მას ისევე აღვიქვამთ, როგორც გადაღებულია. ისინი წამიერად გასართობი ფილმებია, რომელშიც, როგორც ზღაპარში, ნაჩვენებია ამა თუ იმ პერსონაჟის სიყოჩაღე, მამაცობა. შეიძლება სერიოზულად აღვიქვათ, მაგალითად, როგორ ხტება ადამიანი ერთი ცათამბრჯენიდან მეორეზე, ანდა ერთი კაცი როგორ უმკლავდება მთელ არმიას. როგორ ურტყამენ ერთმანეთს მუშტს, ფიცრებს, კეტებს, ძალაყინებს და არც ერთ მათგანს წარბიც კი არა აქვს გაკაწრული? ეს ხომ კლოუნადის ფორმაა და მეტი არაფერი, რატომ გადავაქციეთ იგი ჩვენი მტანჯველი ფიქრის საგნად? ისევ და ისევ იმისათვის, რომ ჩვენ ყველაფრისათვის მოუმზადებელი აღმოვჩნდით, ყველაფერი გვიკვირს, ყველაფერი გვაშინებს. ჩვენ მარტო ციხეებით არ გვაშინებდნენ, ჩვენ ხელოვნებითაც გვაშინებდნენ. სულ იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, თუ ქურდს აჩვენებ ფილმში, მთელი ქვეყანა გაქურდდებაო, თუ მკვლელს დახატავ, მთელი ქვეყანა მკვლელად გადაიქცევაო, თუ როსკიპს გამოიყვანთ, მთელი ქვეყანა გაბოზდებაო... როცა 70 წელიწადი ამას ჩაგჩიჩინებენ რაღა გასაკვირია, რომ გვეშინოდეს, თუ რაიმე მანკიერება დავინახეთ ეკრანზე.

როცა ჩვენ ნორმალურ ადამიანებს ისევ დავემსგავსებით, ჩვენც ღიმილით, ირონიით შევხედავთ «ძალადობით სავსე» ვიდეოფილმებს და აღარ მოგვეჩენება, რომ მათი ყურებით ქვეყანა დაიქცევა.

კორესპ. – მადლობას მოგახსენებთ საინტერესო საუბრისათვის.

ჟურნ. «კინო»,
№4, 1988

საუბარი კასტელის ალბომის გარშემო

1977 წელს გამოვიდა ქრისტეფორო კასტელის ალბომი, რომელიც მვირფას ცნობებს შეიცავს მე-17 საუკუნის საქართველოს შესახებ. ამ წიგნს თავის დროზე მიეცა შეფასება, მაგრამ იგი იმდენად საინტერესოა, რომ მასზე საუბრის გაგრძელება ყოველთვის მიზანშეწონილია.

ამჟამად საუბრობენ გიორგი გაჩეჩილაძე და აკაკი ბაქრაძე.

გიორგი გაჩეჩილაძე:

როდესაც ვატიკანის არქივში მიხეილ თამარაშვილმა პირველად მიაკვლია საქართველოდან და მისი მომიჯნავე ქვეყნებიდან კათოლიკე მისიონერების მიერ გაგზავნილ რელაციებს, მას დაებადა სურვილი დაეწერა ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ისტორია.

ამ რელაციათა შორის საქართველოს ისტორიის და კულტურის სპეციალისტისათვის საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება დონ ქრისტეფორო დე კასტელის «ცნობებსა და ალბომს საქართველოს შესახებ».

ამ რამდენიმე წლის წინათ მივიღეთ ალბომის სრული გამოცემა, რომელიც გამომცემლობა «მეცნიერებამ» განახორციელა, ბეჟან გიორგაძის გაშიფრული ტექსტით, თარგმანითა და კომენტარით.

კასტელის ჩანახატებში «თვალის ერთი გადავლებით შეიძლება მთელი ფაქტის დანახვა...» და იმდროინდელი ქართველებისა და საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდების გაცოცხლება.

და მართლაც, თუ აქამდე ჩვენ ამ პერიოდის მხოლოდ ისტორიული ძეგლები, დაქცეული სასახლეები და მონასტერ-ეკლესიები, საფორტიფიკაციო ნაგებობები და ისტორიული წყაროები შემოგვრჩა _ ახლა ჩვენს წინაშეა ამ პერიოდის ქართველთა სახეების მთელი გალერეა.

ეს სურათები იუწყებიან მათ სულიერ წყობას და გარეგნულ იერს. მათში ცოცხლდება მთელი ეპოქის მატერიალური სამოსელი, ისტორიული ძეგლები და, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ფასდაუდებელი საწესჩვეულებო სურათები.

აკაკი ბაქრაძე:

ქრისტეფორო კასტელი 31 წლის ვაჟკაცი ყოფილა, როცა საქართველოში ჩამოსულა და 57 წლის ჭარმაგს დაუტოვებია ჩვენი ქვეყანა. სხვაგან გატარებულ 26 წელიწადს იგი დაუსნეულებია. თავად გვაუწყებს _ «რადგან სრულიად დასნეულებული ვიყავი, შევეცადე დავბრუნებულიყავი სამშობლოში» (გვ. 99) და დაბრუნებულა კიდეც.

26 წლის მანძილზე მას იმდენი უბედურება უნახავს საქართველოში, რომ ებრაელი წინასწარმეტყველებივით მოთქვამს:

«ეჰ, ვუმზერ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება. უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნესის ქაოსად გადაქცეულა.

იმ ადამიანებზე ვტირი, რომლებიც ჩვენი ქრისტეს დროშასავით შეუპოვარნი და ძალიან მამაცი მებრძოლნი იყვნენ და ახლა ეშმას მონებენ. საქართველოს იმ მიწას ვტირი, რომელიც მისი ბატკნების მკვებავი, აღთქმული წმიდა ქვეყანა და ქრისტეს მიმბაძველი იყო; ახლა კი ტაძრის საძოვარზე ნარ-ეკალი გაზრდილა. იმ ქვეყანას ვტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლეს, ახლა კი სიბეცისა და ბნელეთის დასაბამი გამხდარა.

იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთი შემეცნების სიბრმავის გამო, ბევრი სიღატაკეში ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია» (გვ. 203).

მართალია, ეს მისი სიტყვები არ არის. ამას ამბობს ქართველი ქალი – დაი ქრისტინე, რომელიც დახატული ჰყავს კასტელის. მიუხედავად ამისა, ეს მოთქმა მაინც გამოდგება ქართველთა მიმართ კასტელის დიდი პატივისცემისა და სიყვარულის საბუთად.

როგორც ეტყობა, დაი ქრისტინეს ღრმადმორწმუნეობა და პატრიოტიზმი იტალიელ მისიონერებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, რაკი კასტელის ბევრჯერ ჰყავს დახატული. თან სურათებს მრავლად ახლავს წარწერები. ჩანს, არ უნდოდა იტალიელ ბერს დაეკარგა ამ ქალის ქადაგების არცერთი სიტყვა, რამეთუ იგი ქართველთა გამოფხიზლების საწინდარად მიაჩნდა.

ამ მოთქმის ქართული დედანი არ შენახულა, მაგრამ იგი, ჩემი აზრით, მაინც უნდა შევიტანოთ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.

გიორგი გაჩეჩილაძე:

მაგრამ, ჩვენი მხრივ, დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა კასტელის მოღვაწეობა საქართველოში მიგვეჩნია მხოლოდ რელიგიური მისიონერობის გრძნობით გამსჭვალული კაცის უანგარო მოღვაწეობად.

კასტელის, ისევე როგორც სხვა მისიონერების ინფორმაციები, ჩვენ უნდა გვესმოდეს როგორც ევროპულ სახელმწიფოთა აგენტური ცნობები საქართველოს შესახებ. კასტელი მზვერავია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცნობების დამასრულებელი ფრაზაა: «ძრავალი ხნის განმავლობაში საქართველო ჩემი სატრფო იყოო» (გვ. 223). კასტელი მართლაც დიდი სიმპათიით რომაა ქართველი ხალხის მიმართ გამსჭვალული, ეს აშკარაა. მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანას ის არ უყურებდა მხოლოდ შეყვარებულის თვალით... და თუ უყურებდა, კარგად სწავლობდა მის ზნესა და საქციელს. ეს გარემოება განუზომლად ზრდის კასტელის ცნობების, როგორც ნამდვილისა და უტყუარის, მნიშვნელობას ჩვენი ისტორიისა და კულტურისათვის.

ერთ-ერთი პორტრეტის (173) მინაწერში (გვ. 120) კასტელი სრულიად დაუფარავად აუწყებს თავის რეზიდენტს რომში, რომ მისი ჩანახატების პერსონაჟები არიან ან «მისიონში მყოფი პატრების დიდი მეგობრები» ან კიდევ «კეთილისმყოფელები». კასტელი იუწყება, რომ ისინი ან მათ მიერ არიან მონათლულნი, ან მათი შვილები არიან. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ეს სურათები რომისათვის საინტერესოა და მნიშვნელოვანი არა მარტო «მათი ლამაზი სახეების გადასარჩენად», არამედ იმისათვის, რომ ისინი «მისმა ღვთაებრივმა უმაღლესობამ გაითვალისწინოს (შემდგომში) თავისი წმინდა სახარების მუშაკებად».

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ვატიკანის ელიტას საკმაოდ ფართო სადაზვერვო კონტინგენტი და დასაყრდენი ჰყავს საქართველოში საკუთარი პოლიტიკური ამოცანების განხორციელებისათვის. რომის მომხრეებისა და გულშემატკივრების ქსელი აქ ფართოა.

სხვა ადგილას კასტელი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ რომსა და პალერმოს შორის გემის მარცხის დროს დაიკარგა მისი ბარგი. სხვადასხვა ნივთებს შორის, ამ

ბარგთან ერთად, დაკარგულა «სიმაგრეების ნახატები, რაზმთა სერიები» (გვ. 137) ანუ წმინდა სამხედრო-სადაზვერვო ცნობები საქართველოს შესახებ. სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ისინი უდიდეს დანაკარგს წარმოადგენს ქართული არქიტექტურისა და ისტორიის თვალსაზრისით.

აკაკი ბაქრაძე:

მაგრამ რაც დარჩა, ისიც უზარმაზარი მასალაა მე-17 საუკუნის საქართველოს შესასწავლად. კასტელის წიგნში თითქმის ყველაფერს ექცევა ყურადღება _ ქართველთა გარეგნობას, ყოფას, ზნე-ჩვეულებას, თვისებებს...

ზოგჯერ იგი ერთი ჩანახატით პირდაპირ ნოველის სიუჟეტს ყვება. გაიხსენეთ 276-ე სურათი, რომელზეც გამოსახულია აზნაური სიასუს სოფია (ალბათ, ქართული სახელი და გვარი ზუსტად არ არის დაწერილი). იგი ქვრივი მანდილოსნის სახლში მივა ქალის ტყვედ წასაყვანად. მაგრამ ტურფა დედაკაცი შეუყვარდება და თავად გახდება მისი მორჩილი. დახატულია: ჯაჭვი მიუბამს ქალს აზნაურისათვის. ეს ხომ ბოკაჩოს ნოველაა!

მაგრამ ახლა ამისათვის არ გამიხსენებია ეს სურათი.

თუ მე-17 საუკუნის ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით ვიმსჯელებთ, იმდროინდელ საქართველოში უცნობი არ უნდა ყოფილიყო მაშინდელი ევროპული კონცეფცია ადამიანისა. მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც არსებობს და ფართოდ არის გავრცელებული კაცით ვაჭრობა.

კასტელი ჩივის: «იმერეთი, გურიის, აფხაზეთის პროვინციებიდან მიჰყავთ ბავშვები და მოედანზე ჰყიდიან. ეს ამბავი ყველასათვის ცნობილია» (გვ. 168). დაუხატავს კიდეც ადამიანით ვაჭრობის სურათები. თავისთავად შემაძრწუნებელი ფაქტია, მაგრამ უფრო მძიმეა შეგნების მოწამვლა. დააკვირდით, გვიან, საუკუნეზე მეტი ხნის მერე, ტყვეებით ვაჭრობის თავგამოდებული მოწინააღმდეგე სოლომონ პირველი მაინც ადამიანებს უგზავნიდა საჩუქრად რუსეთის იმპერატრიცას. 1775 წლის 30 მარტს სოლომონ პირველის ელჩი დავით კვინიხიძე გრაფ პანინს მოახსენებდა:

იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს საჩუქრად მივართვიო თავად იაშვილის ქალ-ვაჟი.

ცესარევიჩ პავლეს – თავად ღოღობერიძის ერთი ვაჟი და აზნაურ ბაქრაძის ერთი ქალი.

ხოლო პირადად თქვენ – ერთი ვაჟიო (რატომღაც ამ ბიჭის გვარი არ არის მოხსენიებული).

გიორგი მეცამეტე კრძალავდა თურქეთსა და სპარსეთში ადამიანის გაყიდვას, მაგრამ დასაშვებად მიაჩნდა იგი საქართველოსა და რუსეთში («... არ მიჰყიდონ თუ არ ქართველთა და დიდის რუსეთის მებატონეთა»).

უცნაური შეგნებაა – თან ებრძვიან ადამიანით ვაჭრობას, თან დასაშვებად მიაჩნიათ. რამ გამოიწვია ეს? რატომ მოიწამლა ქართველი საზოგადოების შეგნება? ამის ამოხსნას თანაბარი ერთსულოვნებით უნდა ცდილობდეს მეცნიერებაც და მწერლობაც.

გიორგი გაჩეჩილაძე:

უნდა გვახსოვდეს, რომ მე-17 საუკუნე საერთოდ არის დიდი ვნებათაღელვის საუკუნე. ეს არის კაცობრიობის თავაშვებული ცხოვრების ხანა. ხანა განუკითხაობისა და აულაგმავი თვითნებობისა.

თეიმურაზ პირველი, პიროვნული და ოჯახური თავგადასავლით, მიკრომასშტაბში გამოხატავს მე-17 საუკუნის არა მხოლოდ ქართულს, არამედ, ამ ეპოქის ზოგადადამიანურ ტიპს.

დააკვირდით, როგორი თანამიმდევრობით და კანონზომიერებით ლაგდება მის ხვედრსა და ხასიათში ერთმანეთის გამომრიცხავი საწყისები. უმაღლესი სუზერენი და ვასალი ხან სპარსეთისა და ოსმალეთის, ხანაც მოსკოვის მეფის მავედრებელი.

ქრისტიანული აღმსარებლობის შეუპოვარი დამცველი პოლიტიკაში და მისი მცნებების ხელმყოფი პირად ცხოვრებაში. დამნაშავე და მონანიე. ეროვნული თვითშეგნებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული მებრძოლი და კოსმოპოლიტი კულტურის ფრონტზე. მეომარი მხედარი და ბერ-მონაზონი. კაცი, რომლის ელჩებს საქრისტიანოს დაცვის მავედრებელი წერილები მიჰქონდათ რომის პაპსა და ევროპელ სუზერენებთან და რომელმაც საკუთარი ფეხით მოიარა იმდროინდელი პოლიტიკური ძვრების ცენტრები: მოსკოვი, კონსტანტინეპოლი, ისპაჰანი.

თუ ისინი სიტყვას ამბობენ, მათ მაღალფარდოვნებაში შემოჭრილია ენობრივი ნატურალიზმის ნიაღვარი. ერთმანეთში იხლართება სიცხადე და ბუნდოვნება, აზრის ნათლად თქმის მოთხოვნა და იმავე აზრის შენიღბვისა და რებუსად ქცევის წყურვილი. თანაარსებობენ რაციონალიზმი და ირაციონალიზმი, ეროტიკა და მისტიკა, ნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიზმი, სტოიციზმი და ეპიკურეიზმი. ერთმანეთს ენაცვლებიან სიმტკიცე და სულმოკლეობა, სამშობლოსათვის ბრძოლისა და უმაგალითო ღალატის მაგალითები.

კასტელის ჩანახატებში გაცოცხლებულია ასეთი ვნებათაღელვით შეპყრობილ ქართველთა მთელი ისტორიული გალერეა – თეიმურაზ პირველი და გიორგი სააკაძე, ლევან დადიანი და როსტომ მეფე, დედოფალი მარიამი და დედოფალი დარეჯანი, დიუდხან უნდილაძე და ალექსანდრე მესამე და სხვანი.

აკაკი ბაქრაძე:

ჩემი აზრით, მე-17 საუკუნე საქართველოში და მე-17 საუკუნე ევროპაში სხვადასხვაგვარია. საქართველოში დაკნინებულ-დაქვეითებული ფეოდალიზმის მდგომარეობაა. ევროპაში კი პირიქით – უკვე ბურჟუაზია ბატონდება. საუკუნეა გასული, რაც მანუფაქტურული წარმოება დაიწყო. აღმოჩენილია ამერიკა. გამოგონებულია წიგნის ბეჭდვა. შექმნილია კოპერნიკის მოძღვრება. ჭკვიანი ადამიანები აღარ ყოყოჩობენ არისტოკრატიული წარმომავლობით. ისინი ჩქარობენ ფული დააგროვონ და ტექნიკას დაეუფლონ. სამწუხაროდ, ამ მოვლენებთან საქართველოს ჯერჯერობით კავშირი არა აქვს.

მე-16-17 საუკუნის საქართველოს უბედურება მარტო ის არ არის, რომ სამეფო-სამთავროებად იყო დაქუცმაცებული. უფრო დიდი უბედურება იყო ის, რომ სოციალურად ჩამორჩებოდა. ამას კარგად აჩვენებს იმდროინდელი იტალიისა და საქართველოს მდგომარეობის შედარება. იტალიაც დაშლილია ქალაქ-სახელმწიფოებად და დუკატოებად. არც შინაური შუღლი და საგარეო ომები აკლია, მაგრამ ბურჟუაზიული ურთიერთობის გაბატონების წყალობით, უაღრესად განვითარებულია სოციალურად და კულტურულად. კარგად ცნობილია, ენგელსი მას პირველ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს უწოდებს, ხოლო რას წარმოადგენდა კულტურულად, ეს ყველამ უწყის.

მინდა ერთ გარემოებასაც მიექცეს ყურადღება. საქართველომ დახმარებისათვის ევროპასაც მიმართა, მაგრამ იგი ყრუ დარჩა ჩვენი თხოვნისადმი. რატომ? ბურჟუაზიულად მოაზროვნე ევროპული სახელმწიფოებისათვის საქართველო მიმზიდველი არ იყო, არც როგორც ნედლეულის წყარო და არც როგორც მზა საქონლის გამსაღებელი ბაზარი. ამ მხრივ გაცილებით ვრცელ ასპარეზს სთავაზობდა მათ თურქეთიც და სპარსეთიც. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ, როცა მე-18 საუკუნის ბოლოს პეტერბურგის სამეფო კარზე საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი იდგა, ევროპულად და ბურჟუაზიულად მოაზროვნე სახელმწიფო მოხელეები გრაფი კოჩუბეი და გრაფი ვორონცოვი კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ შეერთებისა.

საფუძველი გახლდათ სწორედ ის, რომ ეკონომიკურად საქართველო არაფერს აძლევდა რუსეთს. შეერთების მომხრენი კი იყვნენ ფეოდალურად მოაზროვნენი, რომელთაც ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითად პრინციპად არ გაუხდიათ.

ამ პოლიტიკურ-სოციალურ სიტუაციას საქართველოში უნდა დავუმატოთ ქართველი კაცის პიროვნული და ეროვნული ფსიქოლოგია, რაც, უნდა ვაღიაროთ, საფუძვლიანად შესწავლილი არ გვაქვს (ამ ცოტა ხნის წინათ, გურამ ასათიანმა სცადა ამის გაკეთება. იხილეთ მისი «სათავეებთან»). თუმცა არჩილმა და დავით გურამიშვილმა უტყუარი გასაღები დაგვიტოვეს ამისათვის. არჩილი ბრძანებს:

ასრე სჭირთ საქართველოსას
დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზვავდებიან, იტყვიან:
უჩემოდ ვით იმღერეთა?

დავითი დასძენს:
ბევრნი ბევრს რასმე იტყოდნენ,
მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა,
იქმოდა, რასაც ინებდა.

სხვათა შორის, ეს მწარე სიტყვები ვახტანგ მეექვსის მისამართით არის ნათქვამი. როგორც ვხედავთ, პირად პატივმოყვარეობას დაუძლევია საერთო სახალხო, საერთო ეროვნული ინტერესი.

ამ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების ბრალი უნდა იყოს, რომ მე-17 საუკუნის ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები ვერ გაერთიანდნენ ერთი მიზნით, საერთო ქართული საქმის საკეთებლად და ისინი ცალ-ცალკე აწყდებოდნენ მტრებს. არადა, მე-17 საუკუნის საქართველოში, ჩემი ფიქრით, ხუთი საყურადღებო სახელმწიფო მოღვაწეა – თეიმურაზ პირველი, გიორგი სააკაძე, ხოსრო-მირზა ბაგრატიონი ანუ როსტომ მეფე, ლევან მეორე დადიანი და მარიამ დედოფალი. კასტელიმ ხუთივეს პორტრეტი დაგვიტოვა.

გიორგი გაჩეჩილაძე:

ვისაც ისტორიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში აინტერესებს არა მხოლოდ ის, რაც მოხდა და განხორციელდა, არამედ ისიც, რაც არსებობდა ტენდენციისა და ღირებულებრივი ორიენტაციის სახით, მისთვის კასტელის ცნობები ფასდაუდებელი დოკუმენტებია.

სწორედ ამ თვალსაზრისითაა უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი კასტელის მიერ 1657 წელს შესრულებული სურათი, რომელზეც ასახულია საფრანგეთის, პოლონეთისა და საქართველოს ელჩთა ბანკეტი კონსტანტინეპოლში (109). ამ სურათის მინაწერში საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, ეროვნული თვითშეგნებისა და სოციალური ფსიქოლოგიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი შტრიხია გამხელილი. ეს არის დრო, როცა არ არსებობს პოლიტიკურად მთლიანი საქართველო და საქართველოს სახელით ევროპის დიპლომატებთან მოლაპარაკე ელჩი სხვა არავინ არის თუ არა სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის წარმომადგენელი ელჩი სოლოკია. სურათის მინაწერში კასტელი აღნიშნავს: «საქართველოს ელჩი სადღეგრძელოს ამბობს საქართველოს და სამეგრელოს მეფეების მისამართით. ყველა ფეხზე დგება და ქუდს იხდის. სვამენ მათი ჯანმრთელობისათვის» (გვ. 106).

რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ერთობლივი, მთლიანი საქართველოს იდეა, რომ ამ უკიდურესი დაქსაქსულობის დროს საქართველოს ერთ-ერთი სამთავროს, სამეგრელოს მთავრის ელჩს ევროპელ დიპლომატებთან ელაპარაკა მთლიანი საქართველოს სახელით და მათთვის შეეთავაზებინა სამეგრელოს მთავრისა და ქართველი მეფეების სადღეგრძელო.

აკაკი ბაქრაძე:

ეს არ უნდა იყოს საკვირველი, რამეთუ თავად კასტელი გვეუბნება – ლევან დადიანი მთელი საქართველოს იმპერატორობაზე ოცნებობდაო. რა თქმა უნდა, ერთობილი საქართველოს იდეა ბევრს აწუხებდა მაშინ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ არ ვიცით, როგორ ესახებოდათ ერთობილი საქართველოს აღდგენის გზები. ამიტომ ერთ-ერთი უპირველესი გრძნობა, რომელიც კასტელის ალბომის თვალიერებისას შეგიპყრობთ, გახლავთ სინანული – შესწავლილი და დაწერილი არ არის ქართული დიპლომატიის ისტორია.

ჩვენ კარგად ვიცით, როგორი სიტუაცია იყო მაშინ საქართველოში.

1555 წელს თურქეთმა და სპარსეთმა საქართველო გაიყვეს. იმიერ საქართველო თურქეთმა დაისაკუთრა, ამიერ საქართველო – სპარსეთმა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ, ვინც განიზრახავდა ერთობილი საქართველოსათვის ბრძოლას, მას მახვილი ერთდროულად უნდა აღემართა თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ. სხვაგვარად ერთიანობისათვის ბრძოლა არ მოხერხდებოდა. პოლიტიკურად თუ სამხედრო თვალსაზრისით, როგორ აპირებდნენ ამ პრობლემის მოგვარებას მე-17 საუკუნეში ისინი, ვინც საქართველოს მთლიანობის აღდგენას ცდილობდა, იქნება ეს ლევან დადიანი, გიორგი სააკაძე თუ სხვა ვინმე?

მე-17 საუკუნეში საქართველო რელიგიურადაც ორად არის გაყოფილი: არსებობს ქრისტიანული საქართველო და მაჰმადიანური საქართველო. მოგეხსენებათ, ერთი ერის შიგნით რელიგიური დაპირისპირებულობა ურთულესი და უმწვავესი პრობლემაა. მის მოგვარებას დიდი პოლიტიკური სიბრძნე სჭირდება. ამის მაგალითად, ისტორია რომ არ შევაწუხოთ, შეიძლება გავიხსენოთ დღევანდელი ამბებიც: ლიბანში ბრძოლა ქრისტიან და მუსლიმან არაბთა შორის; ოლსტერში კათოლიკე და პროტესტანტ ირლანდიელთა შორის და ა.შ. ერთი სიტყვით, რელიგიურ უთანხმოებათა შერიგება არანაკლებ რთულია, ვიდრე პოლიტიკური კაბალის თავიდან მოშორება. როგორ აპირებდნენ მე-17 საუკუნის საქართველოში რელიგიური პრობლემის მოგვარებას ისინი, ვინც ერთობილი საქართველოს აღდგენაზე ფიქრობდა?

ცნობილია ისიც, რომ ქვეყნის მთლიანობისათვის ბრძოლას ის საზოგადოებრივი ფენა, კლასი სჭირდება, რომელიც ამ მისიას იკისრებს და მისთვის სისხლს დაღვრის. სხვანაირად რა პროგრესული იდეის მატარებელიც უნდა იყოს მავანი და მავანი პიროვნება, უძლური და უღონო იქნება მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში. მე-17 საუკუნის საქართველოში რომელ საზოგადოებრივ ფენას, რომელ კლასს შეეძლო ამ ფუნქციის შესრულება?

თუმცა გიორგი სააკაძეზე დაწერილ ზოგიერთ ნარკვევში წერია: თავადური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში გიორგი სააკაძე წვრილ აზნაურობას უნდა დაყრდნობოდაო ისე, როგორც ამას, თავის დროზე, დავით აღმაშენებელი აკეთებდაო (ეს აზრია, სხვათა შორის, გატარებული ანა ანტონოვსკაიას რომანშიც). მე მგონია, ეს ანაქრონიზმია და ისტორიული პროცესის გაუთვალისწინებლობა. ერთია წვრილი აზნაურობა დავით აღმაშენებლის ეპოქაში და მეორეა მე-17 საუკუნეში. თუ დავითის დროს იგი მართლაც იყო სოციალური ძალა, მე-17 საუკუნეში წვრილი აზნაურობა აღარ არის ის ძალა, რომელსაც რაიმე პოლიტიკური და სოციალური იდეალის

განხორციელება შეუძლია. უკვე ითქვა, რომ მე-17 საუკუნე ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაა. როცა გიორგი სააკაძემ მოღვაწეობა დაიწყო ნიდერლანდების ბურჟუაზიული რევოლუცია უკვე მომხდარი იყო. ხოლო, როცა ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა, ცოცხალი იყვნენ და აქტიურად საქმიანობდნენ თეიმურაზ პირველიც, როსტომ მეფეც და ლევან დადიანიც. მერედა, როცა უკვე ბურჟუაზია ხდება პოლიტიკური და სოციალური ბრძოლის წამმართველი ძალა, შეიძლება ვამტკიცოთ – გიორგი სააკაძე წვრილ აზნაურობას უნდა დაყრდნობოდაო?

ცხადია, მე-17 საუკუნის საქართველოში არსებობდა ქვეყნის მთლიანობის აუცილებლობის შეგნებაც და ცალკეული პირებიც, ვინაც ოცნებობდნენ მის განხორციელებაზე, მაგრამ არ იყო უმთავრესი – საზოგადოებრივი ფენა, კლასი, რომელსაც შეეძლო ეთავა ეს მძიმე მისია. იმდროინდელი მეწინავე მოღვაწეები მსხვერპლი არიან პიროვნული მისწრაფება-სურვილისა და ობიექტური რეალობა-შესაძლებლობის სრული შეუსაბამობისა.

ბედნიერია ის სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ბედი არგუნებს იცხოვროს სუბიექტური მისწრაფებისა და ობიექტური შესაძლებლობის შესაბამისობის ეპოქაში. მაგრამ არც თეიმურაზ პირველი, არც ლევან დადიანი, არც გიორგი სააკაძე ასეთი ბედნიერი ადამიანები არ იყვნენ.

გიორგი გაჩეჩილაძე:

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ საით გადაიხრებოდა აზიური და ევროპული ნაკადების ჭიდილი საქართველოს ისტორიაში. მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამო, რომ მე-17 საუკუნის ეს ხანა ის პერიოდია, რომელმაც ნათელი გახადა ევროპული სამხედრო, სახელმწიფო და სოციალური ორგანიზაციის უპირატესობა აზიურთან შედარებით.

ქართული ქრისტიანული სამყარო თავისი ტენდენციურობით დასავლური ეიკუმენიის ანუ დასავლური ცივილიზაციის ანასხლეტია. ეს მომენტი ესმოდათ ჩვენი კულტურის მესვეურებს.

მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ აზიიდან გამოხსნის ჩვენეული სურვილი, არამედ ამ სურვილის მასაზრდოებელი ის შინაგანი იმპულსები, რომლებიც ჩვენი წყობისა და სახელმწიფო ორგანიზაციის პრინციპებიდან მომდინარეობდა.

ამიტომაა, რომ როდესაც ჩვენ XVII-XVIII საუკუნეების ქართულ კულტურაში ვარჩევთ ადამიანის კონცეპციისა და მხატვრული ფორმის განცდაში გამოვლენილ ისეთ ტიპოლოგიურ ნიშნებს, რომლებიც იმ დროის მსოფლიო ცივილიზაციის მაგისტრალურ გზებზე დგომის ნაყოფია, შეცდომაა მათი კვალიფიცირება გავლენის ცნებით. თავისთავად, გავლენებისა და საერთაშორისო იდეების მიღება-გადამუშავების გარეშე არცერთი ეროვნული კულტურა არ განვითარებულა. მაგრამ აქ მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი ტრადიცია, გამოცდილება და საკუთარი ამოცანები ხვდება გარედან მიღებულ შემოქმედებით იმპულსებს.

მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენადაა მომზადებული ესა თუ ის ერი ამ იდეების მისაღებად და გადასამუშავებლად.

კასტელის დროინდელ და კასტელის მიერ დახატულ საქართველოს კულტურულ-ისტორიულ პროცესებს ღრმა შინაგანი კავშირი და საერთო ტიპოლოგია აკავშირებს იმდროინდელ ევროპაში მიმდინარე პროცესებთან.

არ არის მაინცდამაინც დიდი ფანტაზია საჭირო, რომ ფართო შეხების წერტილები აღმოვაჩინოთ იმ დროის საფრანგეთში მიმდინარე ფრონდასა და ქართულ ფეოდალურ რეაქციას შორის. რაც შეეხება 30-წლიან ომს გერმანიაში და უცხოელთა თარეშის

ასპარეზად ამ ქვეყნის ქცევას, წინა აზიაში მისი პირდაპირი დუბლირებაა იმ დროის «ქართლის ჭირი».

ამით აიხსნება არა მხოლოდ ქართული თემით (ქეთევანის ცხოვრებით) გრიფიუსის დაინტერესება, არამედ ამ პერიოდის გერმანული ლიტერატურის წინაშე მდგარი თემატიკისა და ამოცანების ღრმა ნათესაობა ქართული მწერლობის ამოცანებთან.

გავიხსენოთ ევროპის კონტინენტზე რეფორმაცია-კონტრრეფორმაციის პროცესი და შევადაროთ იგი ოდნავ მოგვიანებით ქართული ეკლესიის ულმობელ ბრძოლას მართლმადიდებლობის გიდრების წინააღმდეგ და დავინახავთ ამ პროცესის არა მარტო ანალოგიას, არამედ შინაგან ნათესაობასაც.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ტიპოლოგია ეხება ამ პროცესებში ამოტივტივებულ ადამიანთა ტიპის სტრუქტურასაც. განა ბევრი რამ განასხვავებს გიორგი სააკაძის ტიპს კრომველის ტიპის სტრუქტურისაგან? ცხადია, მხოლოდ ის, რომ სააკაძე არის განუხორციელებელი კრომველი და რადგანაც განუხორციელებელია, ამდენად, მისი ცუდი და უარესი ვარიანტია. მაგრამ შეიძლება მათ შორის ბევრი საერთო მომენტის უარყოფა? მე მგონია, არა.

აკაკი ბაქრაძე:

როცა ტიპოლოგიურ პარალელებს ვატარებთ, ჩემი აზრით, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: როგორც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სულიერი და ხორციელი პოტენციის თვალსაზრისითი, ასევე განსხვავდებიან ერებიც. რაც ხელეწიფება ერთს, არ ძალუძს მეორეს. ამა თუ იმ ერის ძალისხმევა განსაზღვრულია რიცხობრივი რაოდენობით, ტერიტორიით (ტერიტორია მარტო სივრცეს არ გულისხმობს, არამედ სიმდიდრესაც – როგორც წიაღის, ისე ზედაპირის), მდებარეობით, კლიმატით, მეზობლებით და ა.შ. როცა ყველაფერ ამას მივიღებთ მხედველობაში, ნათელი გახდება, რომ საქართველოს ისტორიაში მომხდარი პროცესების ახსნაში ჩვენ გაცილებით მეტად დაგვეხმარება, ვთქვათ, პორტუგალიის, ჰოლანდიის ან დანიის მაგალითები, ვიდრე საფრანგეთის, ინგლისის ან გერმანიის (სამწუხაროდ, სწორედ ამ პატარა ქვეყნების ისტორიასა და კულტურას არ ვიცნობთ იმდენად, რომ პარალელების გავლება მოვახერხოთ. ეს ჩვენი განათლების სერიოზული ხარვეზია). მართალია, ესა თუ ის ისტორიული და კულტურული მოვლენა კლასიკური სრულყოფილებით დიდ ქვეყნებში ვლინდება და ნიმუშის ღირებულებას იძენს, მაგრამ მისი ეტალონად გამოყენების დროს ამა თუ იმ ერის პოტენცია და შესაძლებლობა არ უნდა დავივიწყოთ. ეს რომ მეტად მნიშვნელოვანია, ამას სწორედ კრომველი და გიორგი სააკაძე ადასტურებენ. პიროვნული ძალისხმევის თვალსაზრისით, ისინი მართლაც ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ რა ძირეული სხვაობაა მათი მოღვაწეობის შედეგებს შორის! რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოტენციას, ეს მკაფიოდ დაინახა არქანჯელო ლამბერტიმ, როცა ლევან დადიანზე თქვა: «ეს მთავარი ჩვენს განათლებულ ქვეყანაში რომ აღზრდილიყო და სწავლა-განათლება ჩვენის საუკეთესო მასწავლებლებისაგან მიეღო, ვერც ერთი მთავარი მას ვერ აჯობებდა. უმოძღვროდ და უოსტატოდ, მხოლოდ ბუნების მადლით შეუთვისებია მას მარად საქებური ზნე-ჩვეულებანი».

ყველამ იცის, გიორგი სააკაძე ბევრი რომანისა და პიესის გმირია. მაგრამ ყველგან იგი წარმოდგენილია როგორც მეომარი, სარდალი. არ ეხებიან საკითხს – რა იდეოლოგიურ საფუძველს ეყრდნობოდა მისი ქმედება. ჯერჯერობით ერთადერთი რომანი, რომელიც ცდილობს ამ კუთხით გაამახვილოს ყურადღება გიორგი სააკაძეზე, წელან, ჩემგან გაკვრით მოხსენიებული ანა ანტონოვსკაიას «დიდი მოურავია»... მაგრამ ამ რომანში (სხვებშიც) გათვალისწინებული არ არის ფეოდალური საზოგადოების ბუნება.

ფეოდალური სახელმწიფო სამართლის თანახმად, სამშობლოს ღალატი და მეფის ღალატი ერთი და იგივეა. ეს იდენტური ცნებებია, როცა რუსთაველი ამბობს, «ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათი ზეცას რბიან», ეს ნიშნავს - «ვინცა მოკვდეს სამშობლოსათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან». როცა რომელიმე ქართველი მემატიანე გიორგი სააკაძეს აუგად იხსენიებს, იგი ამას დიდი მოურავისადმი მტრობით კი არ სჩადის, არამედ ფეოდალური საზოგადოებისათვის აუცილებელი შეგნებისა და კანონის შესაბამისად იქცევა. ებრძვი ლუარსაბ მეორეს, ებრძვი თეიმურაზ პირველს, მაშასადამე, ებრძვი სამშობლოს. ასეთია ფეოდალური შეგნება და იმიტომ. ასეთ სიტუაციაში გამარჯვების ერთადერთი გზა არსებობდა: შეგნების შეცვლა. აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს, გაიყოს ორი ცნება – სამშობლო და მეფე. როცა ეს ალტერნატივა დადგა კრომველის წინ, მან აუცილებელი გადაწყვეტილება მიიღო. 1649 წლის 4 იანვარს თემთა პალატამ დაადგინა: «ღმერთის შემდეგ, ხალხია ერთადერთი მატარებელი სამართლიანი ხელისუფლებისა». მაშასადამე, მეფე და სამშობლო კი არ არის ერთი და იგივე, არამედ სამშობლო და ხალხია ერთი და იგივე. მეფე გაუთანაბრდა ჩვეულებრივ სახელმწიფო მოღვაწეს. ამიტომ მეფე, რომელიც არ ასრულებს ხალხის ნებას, შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს. დასაჯეს კიდეც. ეს იყო ცნობიერების რევოლუცია. ახალმა, ბურჟუაზიულმა შეგნებამ მოსპო ძველი, ფეოდალური.

გიორგი სააკაძე ამას ვერ იზამდა. მის უკან არც პარლამენტი იდგა და არც ბურჟუაზია. ეს მდგომარეობა განასხვავებს ძირეულად დიდ მოურავსა და კრომველს.

თუ ფეოდალურ შეგნებას გავითვალისწინებთ, გიორგი სააკაძეს ვერ ვუსაყვედურებთ რატომ დავით აღმაშენებლის მსგავსად არ მოიქეციო. დავითი თავად იყო მეფე. როცა იგი ეკლესიას, წვრილ აზნაურობას თუ მსხვილ ფეოდალებს ერთგულებისაკენ მოუწოდებდა, ეს უპირველესად სამშობლოს ერთგულებას გულისხმობდა. ვინც დავითს ორგულობდა, ის საქართველოს ღალატობდა. აქ ფეოდალური შეგნება არ დარღვეულა. პირიქით, სწორედ ეს შეგნება იყო დავითის ძალა. ისიც მტკიცედ იყენებდა მას. მაგრამ გიორგი სააკაძეს რა უნდა ექნა? ბუნებრივია, მასაც სჭირდება მომხრე, ერთგული ძალა. ვისი სახელით შეუძლია მათ მოუწოდოს? იგი მეფე არ არის და სამშობლოსთან თავს ვერ გააიგივებს. მას გვერდით არ უდგას ბურჟუაზია და პარლამენტი, რომელიც ახალ შეგნებას ჩამოაყალიბებს. ამიტომ აღმოჩნდა გიორგი სააკაძე იზოლირებული. ამიტომ არის მისი ტრაგედია მარტოკაცის ტრაგედია. ამიტომ არის, რომ მის ქმედებაში, შეიძლება, სუბიექტურად კეთილ განზრახვას ზოგჯერ ობიექტურად მავნე შედეგი მოჰქონდა.

გიორგი გაჩეჩილაძე:

ამ ეპოქის ვნებათა ჭიდილს და პერსონაჟთა გალერეას ფუნდამენტურად ჯერ არ შეხებია ქართველ მწერალთა კალამი. სამწუხაროდ, ეს ეპოქა ჯერ არ გვაქვს შესწავლილი არც სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. ჯერ არ გვაქვს სათანადოდ გააზრებული ამ ვნებამორეულ ადამიანთა ესთეტიზმი და სტილისტიკა.

აქ ერთი მომენტია საცნაური. ამ ისტორიულ პირთა ისეთი სახელები, როგორიცაა ნესტან-დარეჯანი, თამარი, თინათინი, «ვეფხისტყაოსნის» სამყაროდან მომდინარეობენ.

ამ ხორციელი მშვენიერებით შემკულმა დარეჯანებმა და თინათინებმა, ისევე როგორც მათმა მიჯნურებმა, «ვეფხისტყაოსნიდან» მემკვიდრეობით მიიღეს რენესანსული ავანტიურიზმის სული. მაგრამ რუსთაველიდან, სამწუხაროდ, მათ აითვისეს მხოლოდ პიროვნების მიერ რენესანსში მოპოვებული თავისუფლების გრძნობა, რომელმაც ახალ ისტორიულ სიტუაციაში აულაგმავი თვითნებობის სახე მიიღო. «ვეფხისტყაოსნის» გმირთა სათნოების ასპექტი მათი ინტერესების მიღმა აღმოჩნდა.

აი, გამარჯვებული, ლაღი, ბოროტის ამლაგმველი და ღმერთისაგან მხოლოდ კარგის მომლოდინე რუსთაველის იდეოლოგიისა და უტოპიურ პროგრამასთან მე-17 საუკუნის დამარცხებული, აულაგმავი ბოროტებისა და ღვთის რისხვის მომლოდინე ქართული საზოგადოების პოლემიკის, ოპოზიციისა და პაროდირების საფუძველი.

სწორედ ამიტომ აქვს ჩამოგლეჯილი რუსთაველის გმირებს, ამ პერიოდის «ვეფხისტყაოსნის» გაგრძელებებში, დიდების შარავანდედი.

სწორედ ამიტომაა, «ვეფხისტყაოსნის» სამყარო პაროდირებული და ოპოზიციურად გააზრებული, მანიერიზმის სულით გამსჭვალული ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის «ომანიანში». მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის თემაა.

ეს არის ხანა, როდესაც აზროვნების რაციონალისტურ პრინციპებს ჯერ არ ამოუდვია ლაგამი პიროვნების მიერ რენესანსის ეპოქაში მოპოვებული თავისუფლებისათვის. ირგვლივ გამეფებულია საერთო დაბნეულობისა და შფოთის ატმოსფერო. ადამიანები უიმედო თვალისცეცებით ეძებენ გზებს სიმშვიდისა და წესრიგისაკენ.

არქიტექტურაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფართო ასპარეზი ეხსნება ნერეულ, ტეხილ, ეფექტებზე აგებულ მხატვრულ ფორმებს. წინა პლანზე იწევს ერთმანეთის გამომრიცხავი საწყისების გამთლიანების ტენდენცია.

და მართლაც, თუ რუსთველური ადამიანის ნიშანთვისება იყო «სისრულე», «ბუნებაზიაროება», «სამამაცნო ზნენი», რომელსაც რენესანსული კულტურის კონტექსტში შეესატყვისებიან «ჰომო უნივერსალე» (სრულყოფილი ადამიანის) და «ვირტუ» (მამაცის) კონცეპცია, კასტელის ჩახატული პერსონაჟების ეპოქა ამ პრინციპების საწინააღმდეგო სისტემის ჩამოყალიბების ხანაა.

ლაღი, ძლიერი, გამარჯვებული და მომავლის მოიმედე ადამიანის ტიპს აქ ცვლის დამარცხებული, სასოწარკვეთილი, უიმედო პერსპექტივის მხედი ადამიანი. ადამიანის დაკნინების ასეთი პრინციპი შეჯამებული და განზოგადებულია ადამიანის მთელი მე-17 საუკუნის გასწვრივ გამოხატულ კონცეპციაში, როგორიცაა «ჰომო კაზუს» (შემთხვევითი ადამიანი).

მოუსვენრობა, წარმავლობა, მუდმივი მშფოთვარების განცდა, _ აი, ამ ადამიანის ემოციებში გაბატონებული გრძნობები. მისი აზროვნება და მხატვრული სტილი ერთმანეთის გამომრიცხავი საწყისების სათარეშო ასპარეზადაა ქცეული.

აკაკი ბაქრაძე:

«ჰომო კაზუს» გაჩენის და მისი თვისებების შესასწავლად ქართული მე-17 საუკუნე უხვი და ხელუხლებელი მასალაა.

თეიმურაზ პირველიც, გიორგი სააკაძეც, ლევან დადიანიც, ხოსრო-მირზა ბაგრატინი ანუ როსტომ მეფეც, მარიამ დედოფალიც და სხვანიც, შედარებით ნაკლებ ცნობილნიც, «ჰომო კაზუსის» ტიპიურ ნიშნებს ატარებენ.

თითოეული მათგანის სუბიექტური ენერგია აღემატება სინამდვილის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ თუ ენერგიის ერთი ნაწილი კეთილ საქმეში იხარჯება, მეორე ბოროტს ხმარდება. მაგალითად, ლევან დადიანს კასტელი ასე ახასიათებს: «კოლხელი მთავარი, ხალხის მმართველი, კეთილი, მზრუნველი, მოსარჩლე, სამართლიანი და გულმოწყალე» (გვ. 43). ეს ერთი მხრივ, მაგრამ მეორე მხრივ, დაუნდობელი და შურისმგებელი. ჯერ იყო და პირველ ცოლს დარეჯან შარვაშიძეს ცხვირი, ენა და ყურები დააჭრა და ასე დასახიჩრებული გაუგზავნა უკან მამას, მერე ბიძას, გიორგი ლიპარტიანს, წაართვა თანამეცხედრე დარეჯან ჭილაძე და ცოლად შეირთო. შეთქმულება მომიწყვესო, გაშმაგებულმა შეიპყრო სიმონ გურიელი და თვალები დათხარა. პაატა წულუკიძე კი ქვემეხის ლულაში ჩატენა და ასე ააფეთქა. პირველი ცოლის დარეჯან შარვაშიძის ხელში შეძენილი ორი შვილი მეორე ცოლმა დარეჯან

ჭილაძემ მოუწამლა. პირად ცხოვრებაში ესოდენ უბედური კაცი სამთავროს დიდებული მმართველი იყო. მაგრამ მისი უზარმაზარი პოტენცია, ჩაკეტილი სამეგრელოს სამთავროს ვიწრო ჩარჩოში, ერთნაირად იღვრებოდა კეთილსა და ბოროტში.

აქ თავს იჩენს «ჰომო კაზუსის» ერთ-ერთი თვისება – გაორებაც. სანიმუშოდ ხოსრო-მირზა ბაგრატიონს მოვუხმოთ. ერთი მხრივ, ირანის ყულარაღასი და ისპაჰანის ტარუღა და მეორე მხრივ, ქართლის მეფე. მაჰმადიანი, რომელიც ხელს არ უშლის ქართლში ქრისტიანულ აღმშენებლობას. მარიამ დედოფალიც გავიხსენოთ. ერთი მხრივ, აქტიური მოღვაწე, ეკლესია-მონასტრების შემკეთებელი და მაშენებელი (ბოლნისი შეაკეთა, რუისი განაახლა, ალავერდი შეამკო, დაბლაციხის ეკლესია ააგო, სვეტიცხოვლის გუმბათი აღადგინა), წიგნთა მომვლელ-პატრონი («ქართლის ცხოვრება» გადააწერინა), ქვრივ-ობოლთა გამკითხავი. მეორე მხრივ, უტყვი და მორჩილი ქალი, რომელიც ჯერ სიმონ გურიელს შერთეს, მერე, როცა სიძეს ცოლისძმამ, ლევან დადიანმა, თვალები დათხარა, მარიამი ხოსრო-მირზა ბაგრატიონს ანუ როსტომ მეფეს მიათხოვეს, შემდეგ კი, როცა როსტომი გარდაიცვალა, ქვრივ დედოფალს ვახტანგ მეხუთეზე ანუ შაჰ-ნავაზზე დასწერეს ჯვარი. ასე იქცა ტიკინად ეს ჭკვიანი, სათნო და ენერგიული ქალი პოლიტიკური კონიუნქტურის წყალობით.

გაორებულ «ჰომო კაზუსს», ბუნებრივია, პრინციპებიც მერყევი აქვს. შეიძლება მთელი სიცოცხლე, როგორც მეფე, სპარსელობას ებრძოდე, მაგრამ, როგორც პოეტი, ამტკიცებდე _ «სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი» (თეიმურაზ პირველი). შეიძლება მარაბდაში სპარსთა ლაშქარს სარდლობდე და ქართველთა დასამარცხებლად იბრძოდე, მაგრამ მერე ქართლის მეფე გახდე და მისი კეთილდღეობისათვის ზრუნავდე (ხოსრო-მირზა ბაგრატიონი). შეიძლება მარტყოფის გმირიც იყო და ბაზალეთის სამარცხვინო ბრძოლის მონაწილეც (გიორგი სააკაძე).

აქ საუბრის ძირითად გეზს უნდა გადავუხვიო და ერთი შენიშვნა გამოვთქვა. ბაზალეთის ბრძოლა არ შეიძლება სამოქალაქო ომის გამოვლენად მივიჩნიოთ. სამოქალაქო ომი სრულიად მკაფიო შინაარსის მატარებელი ცნებაა. სამოქალაქო ომი მიმდინარეობს მაშინ, როცა ერთი მმართველი კლასი ტოვებს ასპარეზს და მის ადგილს იკავებს მეორე, როცა ქვეყნის შიგნით ერთი სოციალ-პოლიტიკური სისტემა იცვლება მეორით. ბევრი ფეოდალური შინააშლილობით გამოწვეული ბრძოლა იცის ინგლისმა, მაგრამ სამოქალაქო ომი ეწოდება მხოლოდ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მომხდარ ბრძოლებს. ბევრი ფეოდალური შინააშლილობით გამოწვეული ბრძოლა იცის საფრანგეთმა, მაგრამ სამოქალაქო ომი ეწოდება მხოლოდ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მომხდარ ბრძოლებს. ბევრი ფეოდალური შინააშლილობით გამოწვეული ბრძოლა იცის რუსეთმაც, მაგრამ სამოქალაქო ომი ეწოდება მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის დროს მომხდარ ბრძოლებს.

მე-17 საუკუნე საქართველოში რევოლუციის ხანა არ არის. თუმცა, ეს უკვე ითქვა.

«ჰომო კაზუსს» პირადულსა და საქვეყნო საქმის შეუთანხმებლობაც ახასიათებს. გიორგი სააკაძის გამჭრიახმა თვალმა იპოვნა ისპაჰანის ქუჩებსა და მოედნებზე მოლაშლაშე ბრბოში უპატრონო და უსახლკარო ხოსრო-მირზა ბაგრატიონი და დიდი პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა. როცა ოსმალეთში გიორგი სააკაძის ოჯახი გაანადგურეს, დიდი მოურავის გადარჩენილი შთამომავლობა საქართველოში ხოსრო-მირზა ბაგრატიონმა დააბრუნა და მამულებიც უბოძა. მაგრამ მარაბდაში ისინი ერთმანეთის მხარდამხარ კი არ იდგნენ, არამედ პირისპირ: ქართველთა ბანაკში – გიორგი სააკაძე, სპარსელთა ბანაკში – ხოსრო-მირზა ბაგრატიონი. ერთმანეთზე ზრუნავდნენ, როცა საქმე პირადულს ეხებოდა, მაგრამ, როცა ქვეყნის ბედი მოითხოვდა ერთიანობას, გათიშული იყვნენ.

«ჰომო კაზუსი» შინაურის მიმართ უფრო დაუნდობელია, ვიდრე გარეშეს მიმართ.

როცა როსტომ მეფემ მარიამ დადიანის შერთვა გადაწყვიტა, სამეგრელოს მთავარმა და ქართლის მეფემ საქორწინო შეხვედრა ხანისწყლის ხეობაში, ბაღდადის ახლოს, კაკას ხიდთან დათქვეს. ჭკუაში არ დაუჯდა ეს იმერთა მეფე გიორგის და კახთა მეფე თეიმურაზს. ასე განაჩინეს: ვიდრე როსტომი ჩამოვიდოდა, თავს დასხმოდნენ ლევან დადიანს და საქორწინოდ მოსული მაყრიონი ერთიანად გაეჟუჟათ. მაგრამ გიორგი მეფის თანამზრახველთა შორის გამცემი აღმოჩნდა. მან იმერთა და კახთა მეფეების განზრახვა ლევანს აცნობა. ლევან დადიანი ის კაცი არ იყო, ვინც მზაკვრობას იოლად შეარჩენდა ვისმეს. სასწრაფოდ დაესხა თავს ხანისწყლის ხეობაში დაბანაკებულ გიორგისა და თეიმურაზს. გიორგი ტყვედ ჩავარდა. თეიმურაზმა გაქცევით უშველა თავს. მათი ლაშქარი კი პირწმინდად გაწყვიტა ლევან დადიანმა. ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო, როცა როსტომ მეფემ კაკას ხიდს მიაღწია. გაიმართა ქორწილი. ილხენდა ამერი და იმერი. მაგრამ არავის გახსენებია იქვე ჩახოცილი თანამოძმენი, მათი სისხლით დამბალი მიწა.

გლახა ჭრიაშვილივით გამიგრძელდა. მაგრამ მკაფიოდ მინდოდა მეთქვა: ზღვა მასალაა ეს მეცნიერებისთვისაც და მწერლობისთვისაც. განსაკუთრებით ისტორიული რომანის, პოემის, დრამის, მხატვრობისა და კინოსათვის. საოპერო მუსიკისთვისაც, თუ ვაგნერის თვალით შევხედავთ მას.

გიორგი გაჩეჩილაძე:

მარაბდის ბრძოლის შემდეგ ქართველებმა პრინციპული მნიშვნელობლის ბრძოლა მოიგეს ქსანთან. ამ ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა ცნობილი სპარსი სარდალი, შირვანის ბეგლარ-ბეგი ყაზან-ხან ჩერქეზი. ტყვე ზურაბ ერისთავს და თეიმურაზს მიჰგვარეს. არც ერთმა არ გამოიჩინა პოლიტიკური და სამხედრო მტრის წინააღმდეგ პრინციპული დამოკიდებულება. მოტივი? თურმე, ქართველ მეფესაც და სარდალსაც თავის დროზე პურ-მარილი ჰქონდათ მიღებული შირვანის ბეგლარბეგისაგან, ყაზან-ხანს გაქცევის შესაძლებლობა მისცეს და მანაც მშვენივრად გამოიყენა ეს შესაძლებლობა.

მაგრამ რაზე მეტყველებს ქვეყნის პოლიტიკურ მესაჭეთა ეს თვისება? ვისი და რა მსხვერპლის საფასურად გაკეთდა სუბიექტური ფუფუნების დასაკმაყოფილებელი ეს ჟესტი?

ამაზე არავინ დაფიქრებულა. ამ ფსიქოლოგიურ ფენომენს მეტი დაკვირვება და ანალიზი სჭირდება, რამეთუ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდეგ საფეხურებზეც არაერთხელ განმეორებულა მსგავსი მაგალითები. მეტიც, ასეთმა ჟესტმა თავისებური ინერციის სახე მიიღო. როცა როსტომთან დამარცხების შემდეგ, 1748 წ., თეიმურაზმა იმერეთში გადახვეწა გადაწყვიტა, გზა გამარჯვებულ როსტომს სთხოვა. როსტომი თანაგრძნობითა და ნათესაური სიყვარულით მოეპყრო მას.

«თეიმურაზის ცხოვრებაში» აკი წერს არჩილი:

«მხევლის ნაშობმან მეფემან საქმე ჰქმნა ბედაურისა.»

რა არის ეს – ესთეტიკური უპასუხისმგებლობის გრძნობა თუ პოლიტიკური აზროვნებისა და გამჭრიახობის მოჩლუნგება?

ფაქტი ერთია, ესთეტიკური უპასუხისმგებლობის გრძნობა რამდენადაც ლამაზი და მომხიბლავია, როდესაც იგი ზნეობიდან გამომდინარეობს, იმდენად მახინჯი და შემზარავია, როდესაც ზნეობრივი განურჩევლობითაა ნასაზრდოები.

აკაკი ბაქრაძე:

როგორც ვიცით, ქართული ტიპაჟისა და ქართული ყოფის ამსახველი სცენების გვერდით, კასტელის დახატული აქვს მახინჯი სახეები, თავზარდამცემი, რაღაც ფანტასტიკური ელემენტის შემცველი. ძნელია მათი შინაარსის ამოცნობა. მაგრამ ხომ არ

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მხატვრის ენით, სწორედ ზნეობრივი სიმახინჯის გამოვლინებებზე მიუთითებდა კასტელი ამ სურათებით? მით უმეტეს, რომ მომდევნო, მე-18 საუკუნეში საბა-სულხან ორბელიანის კალმით, ქართული მწერლობა ზნეობრივი სიმახინჯის აქტიურ კრიტიკას დაიწყებს. ალბათ, რაღაც უძღოდა ამას წინ. თავად კასტელი გვიდასტურებს, რომ მაშინ მოღვაწეობდნენ პოეტი სულხან ავთანდილაშვილი, პოეტი ქალი ვომინიჯა ბერიძე, მხატვარი ქალი როდია მიქელაძე. მათი ნაღვაწი არაფერი შემოგვრჩა და არც მათი არსებობა გვეცოდინებოდა, კასტელი რომ არა. მაგრამ ისტორიას აქვს მადლიერების გრძნობა და ისინი უკვალოდ არ დაუკარგა საქართველოს. ვინ უწყის, რაზე წერდნენ ისინი, რა აწუხებდათ. მათი ნაშრომი რომ დარჩენილიყო, იქნებ უფრო იოლად გაგვეგო კასტელის მახინჯი სახეების აზრი. ასეა თუ ისე, მაინც საინტერესო სამუშაოდ მეჩვენება კასტელის გონჯი სახეებისა და ს.-ს. ორბელიანის «სიბრძნე სიცრუისას» შედარებითი შესწავლა.

გიორგი გაჩეჩილაძე:

კასტელის ეს სურათები ძვირფასი ცნობაა მხატვრული გროტესკის ტრადიციისადმი საქართველოში გაღვიძებული ინტერესის გასათვალისწინებლად. ამ პერიოდის ლიტერატურისა და ხელოვნების ეს თავისებურება გრანდიოზულ გაგრძელებას იძენს მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისის რომანტიზმში.

რად ღირს, ამ თვალსაზრისით, თუნდაც გოიას ცნობილი «კაპიჩოსი» და «მხეცური სახეები», ისევე როგორც ტიეპოლოსა და კაროს გროტესკული ტილოები. აქედან ერთი ნაბიჯი რჩება ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფანტასტიკისა და წარმოსახვის ესთეტიკური პრინციპების გაშლამდე. ეს ის პრინციპი გახლავთ, რომელსაც დასავლურ კულტურაში ომი გამოუცხადა მე-18 საუკუნის რეალიზმმა. რაც შეეხება ქართულ კულტურას, უნდა გვახსოვდეს, რომ არჩილის ბრძოლა «სპარსთა ნაჭორის» წინააღმდეგ, არსებითად იმავე სახის ბრძოლა იყო ფანტასტიკის, გამონაგონისა და წარმოსახვის წინააღმდეგ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა თავის დასრულებულ სახეს გურამიშვილის «მართლის თქმის» პრინციპში იღებს.

მაგრამ ეს ცალკე და საგანგებო მსჯელობის საგანია. ჩვენთვის, ამჯერად, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კასტელის «პრიმიტიული და საზარელი სახეების» ჩანახატები და მათზე გაკეთებული მინაწერები აღადგენენ ქართული და ევროპული კულტურის მნიშვნელოვან ეპიზოდს.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კასტელის «პრიმიტიული და საზარელი სახეების» სერია საქართველოში შეიქმნა. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ კასტელი საქართველოში და ქართველ ხალხში ხედავდა არა მხოლოდ სილამაზისა და მშვენიერების დღესასწაულს. მის ფხიზელ თვალთამზერას არც «პრიმიტიული და საზარელი სახეების» გაელვება გამოპარვია.

ეს არ არის მისაჩქმალი და უმნიშვნელო გარემოება.

არანაკლებ საყურადღებო უნდა იყოს ჩვენთვის «პრიმიტიული და საზარელი სახეებისადმი» კასტელის ინტერესის ამოსავალი კონცეფცია. და მართლაც, რა იყო ის მასტიმულირებელი საწყისი, რამაც კასტელი ადამიანთა ცხოველური სახეების ხატვის იდეამდე მიიყვანა? იყო ეს შემთხვევითი ფაქტი ან შემოქმედებითი კაპრიზის გამოხატულება თუ ამ ეპოქის მხატვრული სტილისტიკისა და კულტურის საერთო ტენდენციებთან კოორდინირებული ძიების ნაყოფი?

აი კითხვები, რომლებსაც კასტელის «საზარელი და პრიმიტიული სახეების» მთელი სერია აყენებს ჩვენს წინაშე.

ეს მომენტი მით უფრო საგულისხმოა, როცა მათ შესახებ, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი მათგანის შესახებ, ინფორმაციას თავად კასტელი გვაუწყებს.

ავიღოთ, მაგალითად, თვალიკაკა გიმეტიას «ოჯახური პორტრეტი» (270). მის მინაწერებში ვკითხულობთ, რომ თვალიკაკას «ცოლ-შვილის ფიზიონომია ბროლიას მსგავსია» (გვ. 137).

პატილა პარკველიას (272) შესახებ კი კასტელი გვაუწყებს, რომ «მისი ფიზიონომია, მისი ცხვირი ფრინველის მსგავსია. შუბლს ზემოთ მოჩანს განცხრომილი ფრთოსანი მამლის სახე» (გვ. 137).

რაც შეეხება ბიძინას (273), რომლის გვარი აღნიშნული არ არის, მინაწერში ვკითხულობთ: «მისი სახე ძალიან ემსგავსებოდა დათვისას და ჩვენებითაც ნაკლებ განსხვავდებოდა მისგან» (გვ.137).

ეს მინაწერი გახლავთ კასტელის არა მხოლოდ გულახდილობის გამოხატულება. უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი აქ არის არასიმპათიური და უზნეო ადამიანებისადმი კასტელის, როგორც მხატვრის, დამოკიდებულების სტილისტიკა და ამ სტილისტიკის ამოსავალი კონცეფცია.

აკაკი ბაქრაძე:

საზარელი სახეების ამოხსნის პრობლემა უფრო რთულად მიმაჩნია. ვიტყვი რატომ.

პირველი: კასტელი ჯერ ბერი იყო და მერე მხატვარი. როგორც სასულიერო პირს, არ შეეძლო ადამიანი, რომელიც სახედ ღმრთისად არის შექმნილი, უბრალოდ, ღრმა მიზეზის თვინიერ, ცხოველისათვის შეედარებინა.

მეორე: კასტელის დახატული აქვს ისეთი საზარელი სახეებიც (293, 295, 296, 298), რომელთაც ცხოველებთან ანალოგიას ვერ მოუძებნი.

მესამე: რას ნიშნავს კასტელის სურათები «ადამიანის სახის მსგავსი ზღვის უცნაური ცხოველი» (500), «სპილოს მსგავსი ფესვები» (502), «ადამიანის სახის მსგავსი ბროწეული» (503) და ა.შ.? უბრალოდ თუ შევხედავდით ამას, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ კასტელის, როგორც ცნობისმოყვარე ადამიანს, აინტერესებდა ყველაფერი _ ჩვეულებრივიც და უცნაურიც. მაგრამ მთლად ასე არ უნდა იყოს.

მეოთხე: ეს უცნაური ფიგურები ზოგჯერ ცხადად რაღაცის სიმბოლოა. მაგალითად, სურათზე «კონსტანტინეპოლის პატრიარქი» (371). პატრიარქის ფეხებთან ჩაცუცქულია რაღაც მაიმუნის მსგავსი არსება. ანდა სურათი «ოსმალეთის დიდი მუფტი» (393). ასევე უცნაური არსებაა დახატული მუფტის ფეხებთან. მას ხელში თოკი უჭირავს, რომელიც მუფტის კისერზე აქვს გამობმული.

მეხუთე: კასტელი სიმბოლოებითაც რომ აზროვნებს, ეს უეჭველია. საბუთად გამოდგება სურათი «სარწმუნოების სიმბოლო არწივის ანთებული გულით (403). მეორე ნახატიც შეიძლება გავიხსენოთ _ «სიმბოლურად მაჰმადიან ურჩხულს თავს უჩეჩქავს ქრისტიანი» (406), მაგრამ ქრისტიანიც წელს ქვევით გველის ტანით არის დახატული.

ყველაფერი ეს იმას მეტყველებს რომ საზარელი სახეების შინაარსს მაშინ ამოვიცნობთ, ცოტა თუ ბევრად მკაფიოდ, როცა დავადგენთ – სარგებლობდა თუ არა კასტელი მე-17 საუკუნის ევროპულ მხატვრობაში გავრცელებული სიმბოლოებით. თუ სარგებლობდა, რა კავშირია იმ სიმბოლოებსა და საზარელ სახეებს შორის, იყენებდნენ თუ არა, პროპაგანდა ფიდეს მიერ სხვა ქვეყნებში გაგზავნილი აგენტებიც მხატვრობას ისეთსავე საშუალებად, როგორადაც კასტელი? თუ იყენებდნენ, რა მსგავსება-განსხვავებაა კასტელისა და მათ ნახატებს შორის. მაშინ შევიტყობთ, რას ამბობენ ისინი ქართულ სინამდვილეზე .

სამუშაო დიდია, მაგრამ მეტად საინტერესო.

გიორგი გაჩეჩილაძე:

კასტელის მიერ შესრულებულ ქართველთა მხოლოდ ჩაცმულობას რომ დააკვირდეს კაცი, იმ დროის პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ანაბეჭდი შეიძლება

ამოიკითხოს მასში. აქ ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ან ერთმანეთს უპირისპირდებიან საკუთრივ ქართული, სპარსული, ოსმალური და ევროპული ტანსაცმელი. რა იყო ეს მოდა? მაგრამ მოდა ხომ საზოგადოებისა და ადამიანთა გემოვნებისა და ღირებულებრივი ორიენტაციის ნიშანიცაა?

ახლა ავიღოთ სხვა მაგალითი. კასტელი გვიხატავს ქართული ლხინის სურათებს საქართველოს მეფის კარზე. განა ჩვენთვის უმნიშვნელოა ამ სურათებზე შემორჩენილი სამეფო ტახტისა და ავეჯის ფორმები? სადაურია და რომელ კულტურულ წრესა და სტილს განეკუთვნებიან ისინი, ეს სერიოზული საკითხია.

იმავე ლხინის დროს ქართველები მაგიდას უსხედან, მაგრამ სულხარ ავთანდილაშვილი და ვომინიჯა ბერიძე რომ სპარსულად არიან ფეხმორთხმულნი და ისე წერენ?

ჩვენ ხომ არცერთი სტრიქონი არ შემოგვრჩენია მათი, მაგრამ მათივე პორტრეტების მიხედვით განა არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი ქართულ კულტურაში უფრო აღმოსავლური კულტურული წრის მიმდევრები არიან?

მაგრამ მაგიდაზე ხელდაყრდნობილი, ფუნჯიანი მხატვარი როდია მიქელაძე და უცნობი მხატვარი ქალი, ასევე ფუნჯით, და რაც მთავარია, პლენერზე (ხომ სასწაული იქნება, აღმოჩნდეს მე-17 საუკუნის ქართული პეიზაჟის ფერწერული ნიმუში) _ ეს წმინდა ევროპული სკოლის გზაა.

აკაკი ბაქრაძე:

როგორია ეს გზა, ამის მტკიცე პასუხს იმის მერე მივიღებთ, როცა გამოწვლილვით შევისწავლით _ რა კავშირი არსებობს მე-17 საუკუნის ქართულ კულტურასა და ევროპულ ბაროკოს შორის. გარდა თქვენი ნარკვევისა, ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობას ფართოდ არ უმსჯელია, არ უკვლევია _ როგორ დგას მე-17 საუკუნის ქართულ მწერლობაში (სამწუხაროდ ხელოვნების სხვა დარგებში _ მხატვრობა, არქიტექტურა, თეატრი _ უფრო მწირი მასალა გვაქვს ხელთ) ადამიანის ბაროკოული კონცეფცია, პიროვნების შეზღუდულობა და არათავისუფლება, ამ არათავისუფლების შეგნება ადამიანის მიერ, როგორც აუცილებლობისა. ანდა, ბაროკოს ლიტერატურული ესთეტიკის თავისებურებანი _ აგების კონტრასტულობა, ცნებათა რელატივიზმი, გართულებული მეტაფორულობა, ფანტაზიისა და რაციონალიზმის ორგანული შერწყმა, სტილის «სიბნელე» და, ამავე დროს, ლტოლვა რელიეფური სახეებისაკენ... სანამ ეს საკითხები მკაფიოდ არ შეისწავლება, ძნელი იქნება მე-17 საუკუნის ქართული კულტურის ხასიათის განსაზღვრა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თანდათანობით ყველაფერი მოწესრიგდება.

ოღონდ, ერთი სინანული უნდა გამოვთქვა. ბევრი აქტუალური პრობლემის შესწავლას ერთობ გვიან ვიწყებთ. მეტი აქტიურობაც არის საჭირო და მეტი გაბედულებაც. ერთხელ შემუშავებულ შეხედულებებს უფრო თამამად უნდა ვარღვევდეთ, ცხადია, როცა ამის საფუძველი გვაქვს.

გიორგი გაჩეჩილაძე:

როგორც ვხედავთ, კასტელის ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ უამრავ კითხვას სვამს ამ ეპოქის ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა წინაშე.

აკაკი ბაქრაძე:

აშკარაა: დონ ქრისტეფორო დე კასტელის ალბომს არაერთგზის მიუბრუნდება ქართული მწერლობა და მეცნიერება. იგი ბევრი საყურადღებო ნაწარმოების წყარო გახდება. ამიტომ ვალდებული ვართ უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ბეჟან გიორგაძეს, ვინც ქართულად აამეტყველა კასტელის ალბომი. კიდევ ერთხელ მოწიწებით

დავუხაროთ თავი კათოლიკე ბერს მიქელ თამარაშვილს, რომელიც მარტოდმარტო შრომობდა ამ ძვირფასი მასალების მოსაპოვებლად და საქართველოში ჩამოსატანად.

ჟურ. «საბჭოთა ხელოვნება»
1983 წ. № 8

დიალოგი

გურამ პეტრიაშვილი _ ბატონო აკაკი, «ქართული ფილმის» რედაქციამ შემომთავაზა, რომ ჩვენ _ თქვენ და მე _ გვესაუბრა ქართული კულტურის საჭირბოროტო საკითხებზე.

სიხარულით დავთანხმდი იმიტომ, რომ თქვენ ჩემს ერთ-ერთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაუსწრებელ მასწავლებლად გთვლით. თქვენი კრიტიკული წერილები იყო ჩემი ახალგაზრდობის ერთ-ერთი უდიდესი შთაბეჭდილება მთელს თანამედროვე ქართულ კულტურაში.

განა არა, მუდამ ჩვენთან არიან ჩვენი დიდი წარსულის დიდი ადამიანები, მაგრამ სულ სხვა ძალა აქვს იმას, როდესაც იცი, რომ აი, ამ მართალი და სამართლიანი სიტყვის დამწერი შენს გვერდით ცხოვრობს.

სიხარულით მინდა დავადასტურო, რომ ახლა უკვე შემდეგი ახალგაზრდა თაობაც ყურადღებადქცეული და თვალანთებული გისმენთ.

მადლობას გეუბნებით და ზედმეტად რომ არ შეგაწუხოთ გრძელი შესავლით, გადავიდეთ საქმეზე.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ქართულ კულტურაზე საუბარს საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი ფიქრები ისეთ ყოვლად მნიშვნელოვან ფენომენზე, როგორიცაა ენა.

ენა საერთოდ და, უპირველეს ყოვლისა, დედა ენა-ქართული.

თავისი ზოგიერთი პუბლიკაციით ცენტრალური ჟურნალ-გაზეთები ნებით თუ უნებლიეთ ადასტურებენ, რომ ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა, როდესაც ბავშვები არამშობლიურ ენაზე სწავლობენ. და ისე გამოდის, რომ ისინი აგიტაციას უწევენ არარუს მოსახლეობას, თქვენც ასე მოიქეცითო. არადა, აგიტაცია რაღა საჭიროა, როდესაც ბევრ ქართველ მშობელს ისედაც მიჰყავს შვილი რუსულ სკოლაში.

თუ ასეთ მშობელს შეეკითხებით, რატომ აკეთებ ამასო, გაუკვირდება კიდეც, როგორ ვერ ხვდებით, ეს ხომ სულ მარტივი ამბავიაო.

ქართველ მშობლებს იმისათვის სურთ თავიანთ შვილებს არამშობლიურ ენაზე მიაღებინონ განათლება, რომ მათ ცხოვრება გაუადვილონ. ასეთი მშობლები ფიქრობენ: თუ ჩვენი შვილი რუსულად გაიზრდება უფრო კარგ სამსახურს იშოვისო.

დიდი უბედურებაა, რომ ბევრი ქართველისათვის ენა იქცა მხოლოდ რაღაც გარეგნულ დამატებად მათი არსებობისა.

მათ ჰგონიათ, რომ ენის შეცვლა ისეთივე უბრალო რამაა, როგორც ტანსაცმლის გამოცვლა. ჰგონიათ, რომ არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ენაზე ფიქრობ ან რა ენაზე უხსნი სიყვარულს ვინმეს, რა ენაზე ელაპარაკები მამას და რა ენაზე ეფერები შვილს.

კაი სამსახურის საშოვნელად კაცმა მშობლიური ენა არ უნდა დათმოს, რადგან ენა არის არა გარეგანი ნიშანი ამა თუ იმ ადამიანისა, არამედ მისი პიროვნული არსი.

ქართულად აღზრდილი ქართველი სხვა პიროვნებაა, რუსულად აღზრდილი იგივე ქართველი სულ სხვა სუბიექტია და გერმანულად აღზრდილი კიდევ სხვაა.

ერთ მშვენიერ დღეს ქართველი მშობელი გაოცებული აღმოაჩენს, რომ მისი შვილი, რომელიც არამშობლიურ ენაზე იზრდება, როგორღაც უცხოა მისთვის.

ეს ყველაფერი დიდი ხანია დამტკიცებულია, მაგრამ ბევრმა დაივიწყა, ისევ და ისევ «ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებაზე» ფიქრის გამო. მოვიტან ციტატას, რუსულად გამოცემული წიგნიდან, რადგან ისინი, ვის გასაგონადაც მინდა ვთქვა, ამ ენაზე უფრო წაიკითხავენ და დაიჯერებენ:

«Я уже обращал внимание слушателей на то, что различия между языками суть нечто большее, чем просто знаковые различия, что слова и формы слов образуют и определяют понятия и что различные языки по своей сути, по своему влиянию на познание и чувства являются в действительности различными мировидениями».

(ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი, «ენა და კულტურის ფილოსოფია», მოსკოვი. გამომცემლობა «პროგრესი». 1985 წელი, გვერდი 370).

დიახ, ქართული ენა სხვაგვარად ხედავს სამყაროს, რუსული _ სხვაგვარად, სომხური _ სხვაგვარად და სხვაგვარად კიდევ _ ინგლისური.

კაცს არამშობლიურ ენაზე გაზრდილი მისი შვილი იმიტომაც ეჩვენება უცხოდ, რომ შვილი უკვე სხვაგვარად ხედავს სამყაროს, ანუ შეიძლება ითქვას, სხვა სამყაროში ცხოვრობს.

ახლა კი, ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების თაობაზე.

არაქართულად გაზრდილი ქართველი ადამიანი ხომ თავისთავად დაკარგულია ქვეყნისათვის. გაცილებით დიდი უბედურებაა, როდესაც ასეთი ადამიანი ქართული კულტურის სფეროში იწყებს მუშაობას.

ჩვენს კულტურაში უკვე მოხდა საშინელი რამ: ახლა ქართულ კულტურას ქმნის ბევრი ისეთი ადამიანი, რომელსაც ქართულ კულტურაზე წარმოდგენაც არა აქვს, იმიტომ, რომ მისთვის ქართული ენა არაა მშობლიური ენა _ ის სხვა ენაზე აზროვნებს.

ახლახან ტელეგადაცემა იყო თეატრალურ კურიოზებზე. ყველაზე დიდი კურიოზი კი ის იყო, რომ იმ გადაცემის მონაწილე ერთი მსახიობი ყოველ მეორე სიტყვაში რუსულს ურევდა.

ერთხელ სწორედ თქვენ თქვით, ახლა დაშლილია ქართული ცნობიერებაო.

იმ მსახიობის ცნობიერება დაშლილია, რადგან მის ტვინში ერთმანეთს ეხლება ქართული და რუსული სიტყვები.

არაა დასამალი, რომ ქართული კულტურის ზოგიერთი მუშაკი ამასაც კი ამბობს _ აბა, რა ვქნათ, თუკი ამ ქართულ ენაზე ვერ ითქმის ის, რისი თქმაც ჩვენ გვინდაო.

სასაცილოა!

თქვე დალოცვილებო, ამ ენაზე «ვეფხისტყაოსნის» დაწერა მოხერხდა და თქვენ რა ისეთი ღრმააზროვანი სათქმელი გაქვთ, რომ ქართულად ვერ ითქვას? არ გიყვართ, პატივცემულო ამხანაგებო, ქართული, არ იცით ის, არ აზროვნებთ ამ ენაზე და იმიტომაც ვერ ამბობთ სათქმელს.

აბა, სხვა რა შევუთვალოთ ამ ეროვნულ ნიჰილისტებს ანუ, უბრალოდ თუ ვიტყვით, ვაიქართველებს.

ამ ვითომკულტურულებს და ვითომგანათლებულებს ქართული ენის ძალისა და მოქნილობის ხომ არა სჯერათ, მათ ქართული ენის ხმოვანებაც აღარ მოსწონთ.

ქართული «ფ» აითვალწუნეს და მის მაგიერ ევროპულ-რუსულ «Ф»-ს ამკვიდრებენ. და გაისმის აქეთ-იქიდან, ფელინი, ფილმი, ფესტივალი, გრაფი, ფალსიფიკაცია და სხვა.

«კოსტიუმი»-ს მაგიერ ამბობენ «კოსწЮმ»-ს, «ვისკონტი»-ს ნაცვლად «ვისქონწი»-ს და დიმიტრის მოფერებით «ძიმა»-ს ეძახიან.

განათლების მინიმუმია საჭირო იმისათვის, რომ კაცმა იცოდეს: ქართული უნიკალური ენაა. ამ ენაზე ყველაფერი ისე იკითხება, როგორცაა დაწერილი.

იწერება «ფილმი» და ასევე უნდა წავიკითხოთ.

«Я» ქართულში არა გვაქვს. ჩვენ ცალ-ცალკე წარმოვთქვამთ «ი»-ს და «ა»-ს. ეს იცის ყველა ქართველმა, ვინც იაკობ (და არა «Яკობ») გოგებაშვილის «დედაენა»-ზეა გაზრდილი.

ქართული ენის სამყაროში შესასვლელ კარიბჭეს დიდმა იაკობმა «აი ია» დააწერა. და თუ «Я»-ს მოყვარული ვითომქართველები ამას «аи Я»-დ წააკითხებენ თავის შვილებს _ ვაი, ჩვენ მაშინ!

აკაკი ბაქრაძე _ რა თქმა უნდა, ჩვენი ეროვნული ცნობიერება დაშლილია. ამას დიდი დაკვირვება და დიდი კვლევა არ სჭირდება, დღესავით ნათელია ყველასათვის. ამის გამოხატულება ის მაგალითებიც გახლავთ, რაც თქვენ მოიშველიეთ.

როდესაც ჩვენ შერეული ენით ვლაპარაკობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ნახევრად ვაზროვნებთ. სხვათა შორის, ახლა ესტონურ ჟურნალში, რომელიც ესტონურადაც გამოდის და რუსულადაც (ჟურნალს «ცისარტყელა» «Vikerkaar» ეწოდება), იბეჭდება ძალიან საინტერესო წერილები ამ პრობლემებზე (იხ. 1987 წლის 3-6-7 და მომდევნო ნომრები). ერთ-ერთი მათგანი, მატი ჰინტის წერილი ამირან კალაძემაც თარგმნა და ჩვენმა «საუნჯემ» გამოაქვეყნა პირველ ნომერში (მას ჩემი კომენტარები ახლდა, მაგრამ ჩემი წერილი სათანადო ინსტანციების მითითებით ამოიღეს). მატი ჰინტის წერილს მოჰყვა გამოხმაურებები. ამ გამოხმაურებებში მკაფიოდაა ნათქვამი, რომ როდესაც ადამიანი ერთდროულად ორ ენაზე შერეულად მეტყველებს, მისი ცნობიერება განახევრებულია. მას სრული ცნობიერება არა აქვს. ეს ბიოლოგიური ექსპერიმენტით არის დამტკიცებული. ბუნებრივია, განახევრებული ცნობიერება თავისუფლად ვერ ახერხებს ვერც ზუსტ აღქმას და ვერც აზროვნებას.

გ.პ. – და ეს ადამიანი პიროვნებაც აღარ არის.

ა.ბ. – ვისაც განახევრებული ცნობიერება აქვს, ის უკვე მახინჯი პიროვნებაა. ეს კი ბიოლოგიური საფრთხეა და არა მარტო პიროვნული, რადგან ადამიანი, როგორც მთლიანობა, აღარ არსებობს.

სწორედ ამაზეა ლაპარაკი ესტონურ «ცისარტყელაში». თუ «ორენოვანი» მეტყველება ასე აშინებს ესტონელებს, წარმოიდგინეთ _ როგორ უნდა გვეშინოდეს ჩვენ.

ჩვენში ხომ შერეული მეტყველება ტოტალურად არის გავრცელებული. ასეა მაშინაც კი, როცა მოსაუბრეებმა ძლივს იციან რუსული. ხშირად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც უჭირს რუსულად მეტყველება, მაგრამ მაინც ურევს რუსულ სიტყვებს ქართულში. ასეთი ცნობიერება დაბეჩავებული ცნობიერებაა. ბეჩავს ჰგონია, რომ არეული მეტყველება რაღაც უპირატესობის ნიშანია (რაკი სხვები ასე აკეთებენ) და ცდილობს «ელიტას» არ გამოაკლდეს.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თითქმის ყველა ქართველი საშუალო სკოლას და უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს, თითქოს განათლებულობით ძალიან მაღალ საფეხურზე ავედით. მაგრამ რა განათლებულობაა ის განათლებულობა, რომლის პატრონი განცხადებას ვერ წერს უშეცდომოდ მშობლიურ ენაზე? ძალიან, ძალიან იშვიათად შეგხვდებათ ქართველი ექიმი, ინჟინერი, აგრონომი და სხვა პროფესიათა წარმომადგენლები, რომელნიც ქართულად შეუმცდარად მეტყველებდნენ და წერდნენ. არა მარტო საბუნებისმეტყველო ცოდნის მქონეთ უჭირთ მშობლიურ ენაზე მეტყველება და წერა, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, ჰუმანიტარებსაც. ეს ერთი მხარეა საკითხისა. მეორე მხარეა ის, რომ ქართული სამეტყველო ენა და სამწერლობო ენა ძლიერ დაშორდა ერთმანეთს. ცხოვრებაში ჩვენ ჩვეულებრივ ვმეტყველებთ შერეული ენით _ ქართული, რუსული, სომხური სიტყვები ერთმანეთშია არეული. წერის დროს კი ვცდილობთ, რამდენადაც შეგვიძლია, სუფთა ქართულით ვწეროთ. რა თქმა უნდა, დაწერით არავინ დაწერს _ საპოჭნიკი უგლავოში პოლსაპოჭკებს აპაჩინკებს, მაგრამ ლაპარაკის დროს კი

თითქმის ყველა ასე ამბობს. თუ ასე გაგრძელდა, მალე ლიტერატურული ქართული ხელოვნური ენა გახდება და ბუნებრიობას დაკარგავს. საოჯახო ენა გახდება. ეს კი არსებითად ენის სიკვდილს ნიშნავს. სამეტყველო და სამწერლობო ენის ამგვარი დაშორება კინოსა და თეატრშიც გამოიწვევს ვითარების გართულებას. დიალოგი აღარ იქნება ბუნებრივი. მწერალი იძულებულია სამეტყველო ენის ჭუჭყი ჩამოაცილოს დიალოგს. ჩამოაცილებს და ბუნებრიობას კარგავს. ამგვარი დაპირისპირება სამეტყველო და სამწერლობო ენისა უბრალო რამ არ გახლავთ. ეს ურთულესი მოვლენაა. მისი დაძლევა მხოლოდ პრესაში წერითა და მოწოდებით არ მოხერხდება. ჩვენს ამ საუბარს თითო-ოროლა დაინტერესებული ადამიანი თუ წაიკითხავს. წამკითხველთაგან კიდევ უფრო მცირე თუ შეწუხდება. დანარჩენი კი ხელს ჩაიქნევს _ ერთი მოგცლია, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ ვლაპარაკობ. გაგებით ხომ ყველას ვაგებინებ, რაც მინდა და ჩემგან მეტი რაღა გინდათო. ხალხის ძირითადი ლიანგი ხომ ძველებურად გააგრძელებს ჭუჭყიანი ქართულით მეტყველებას. ახლა გარემოს გაჭუჭყიანებაზე ამდენი ლაპარაკია და ძალიან ეშინიათ მისი, ასევე დიდი საფრთხეა ენის გაჭუჭყიანებაც, მაგრამ რატომღაც ამის არ ეშინიათ. ეს წუხილის ღირსად არ მიაჩნიათ.

მესამე კუთხეც აქვს საკითხს: შერეული ენით მეტყველის გონებრივი პოტენციალი განახევრებულია. ეს კი, როგორც უკვე ითქვა, არა მარტო ეროვნულ-კულტურული თვალსაზრისით წარმოადგენს დიდ საგანგაშო მოვლენას, არამედ ბიოლოგიურითაც.

სამწუხაროდ, ჩვენში უკვე დამკვიდრებულია, მაგალითად, თეატრში რუსულ-ქართულად რეპეტიციის ჩატარება, ფილმის რუსულ-ქართულად დადგმა. ვინ იცის, იქნებ ქართველი მწერალიც, ერთ ფრაზას რომ ქართულად დაწერს, მეორე რუსულად მოსდის თავში და მერე თარგმნის. ეს ცნობიერების გაორების აშკარა საბუთია, რამაც ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრება ძალიან ჩამოარჩინა. გასაგებია, რამაც გამოიწვია ეს. ჩვენზე დიდ გავლენას ახდენს ის, რომ ისტორიული ვითარების გამო იძულებული ვართ უფრო ხშირად რუსულად ვიკითხოთ, ვიდრე ქართულად. რადიოთი, ტელევიზიით რუსულად ვისმენთ გადაცემებს. ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვიცით თუ არ ვიცით, რუსული ენის მოშველიება წამდაუწუმ გვჭირდება. ბუნებრივია, რომ ამგვარ სიტუაციაში ქართველის თავში რუსული ენა უფრო და უფრო მძლავრად ავიწროებს ქართულს და თანდათანობით დევნის.

გ.პ. – მაგრამ პროგრამად ქცევა ორენოვნებისა?!

ა.ბ. – რა თქმა უნდა, ორენოვნების პროგრამად ქცევას ყოველი შეგნებული მოქალაქე თავგამეტებული უნდა ებრძოდეს. ადამიანი იმიტომ არის ადამიანი, რომ მას უნდა შეეძლოს გააანალიზოს, რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი და თავდასაცავი პოზიცია შეიმუშაოს. საკუთარი ენა დაიცვას, რომ იგი სხვა, უფრო ძლიერი ენის მსხვერპლი არ გახდეს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სსრკ-ის მოქალაქე არარუსმა რუსული ენა არ იცოდეს. საერთოდ, ენების ცოდნა უდიდესი ბედნიერებაა. ყოველი ადამიანი უნდა ცდილობდეს, რამდენადაც შეუძლია სხვადასხვა ენის ცოდნას. განა გვაწყენდა აზერბაიჯანულის ან სომხურის ცოდნა? მით უმეტეს, რომ საუკუნეების მანძილზე მეზობლად ვცხოვრობთ. ჩვენ ერთმანეთის უფრო კარგად უნდა გვესმოდეს, ვიდრე დღეს გვესმის. ჩვენ საერთო ბედით ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები უფრო ღრმად და შორსმჭვრეტელურად დავინახავთ ჩვენს დღევანდელობას და მომავალს, საქმე უფრო კარგად წაგვივა. ჩვენ, საქართველოში, ბევრი აზერბაიჯანული და სომხური რაიონი გვაქვს. იქ რაიმე პარტიულ ან სახელმწიფო თანამდებობაზე ქართველი ვერ გაგვიწესებია, რადგან სომხურისა და აზერბაიჯანულის მცოდნე კადრები არ გვყავს. ამით ზარალი ჩვენ

გვადგება და არა სხვას. ასე რომ, ყველა ენის ცოდნა კარგია. ოღონდ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ მშობლიური ენა დაივიწყო და სხვის ენაზე აჟღურტულდე.

საქართველოში ბევრმა იცის რამდენიმე ენა. მაგრამ სწორედ სხვა ენის კარგად მცოდნენი არ კადრულობენ შერეულ მეტყველებას. მათ იციან, რომ ეს ორივე ენის უპატივცემულობაა. ორენოვანი, შერეული მეტყველება უფრო უმეცრების საბუთია, ვიდრე განათლებულობისა. მე-18 და მე-19 საუკუნეების რუსეთში ორენოვან რუსულ-ფრანგულ მეტყველებას ბელინსკისა და გერცენის თაობა «არისტოკრატიულ კრეტინიზმს» უწოდებდა.

ისე, რომ ჩვენ დიდი, რთული და სახიფათო პრობლემის წინ ვდგავართ. მის მოგვარებას ღრმა ეროვნული ცნობიერებაც სჭირდება და თავგადადებული შრომაც.

გ.პ. – ახლა ზოგიერთი ცენტრალური გაზეთი და ჟურნალი ძალიან დიდ აგიტაციას უწევს ერთ რამეს: მწერლებს და ხელოვნების მუშაკებს ორენოვანი შემოქმედებისკენ მოუწოდებენ. ასე მაგალითად, «ლიტერატურნაია გაზეტაში» დაიბეჭდა აზერბაიჯანელი მწერლის დიდი წერილი იმაზე, თუ როგორ დაწერა მან თავისი რომანი ჯერ რუსულად და მერე აზერბაიჯანულად (თუ პირიქით აღარ მახსოვს).

ზოგიერთმა ჩვენმა მწერალმაც დააწერა თავის წიგნს, თარგმანი ავტორისააო. ესე იგი ამით თქვა, ორენოვანი მწერალი ვარო. ახლახან ისეთი კურიოზი ვნახე, თვალს არ დავუჯერე. «ვრემიაში» გამოიყვანეს ყაზახეთში მცხოვრები გერმანელი ადამიანი. მწერალი ყოფილა თურმე. თქვა, ჩვენთან ხუთ ენაზე იბეჭდება წიგნებიო და ამას რომ ამბობდა, სევდა ჰქონდა ხმაში, რადგან თურმე ხუთივე ენაზე ვერ წერს და მხოლოდ სამით კმაყოფილდება.

უკვე გვაქვს მაგალითები იმისა, რომ ქართველი მსახიობები რუსულ სცენაზე რუსულად თამაშობენ და ეს სავალალო ფაქტი არავის ანაღვლებს. პირიქით, ჩვენი პრესა გახარებული წერს ამაზე.

ჩვენი მსახიობები რუსი პოეტების საღამოებს მართავენ და რუსულად კითხულობენ მათ ლექსებს.

ა.ბ. _ ორენოვნებისაკენ მოწოდებას პოლიტიკური მიზანდასახულობა აქვს და არა კულტურული ან განმანათლებლური. არავინ არის ისეთი ბრიყვი, ვინც არ იცოდეს, რომ შეუძლებელია ორენოვანი ენის არსებობა. ორენოვანი ან სამენოვანი (მრავალენოვანიც, თუ გნებავთ) ცალკეული პიროვნებანი შეიძლება არსებობდნენ. ისინი, ვისაც ენების ათვისების ნიჭი აქვთ. ასეთი რამ მასობრივად არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს. ყოველი კაცი არამშობლიურ ენას იმდენად სწავლობს, რამდენადაც ეს მას სჭირდება. უმრავლეს შემთხვევაში სწავლობენ საყველპურო დონეზე, ყოველდღიურ ურთიერთობაში ერთმანეთს რომ გააგებინონ. საყველპურო დონეზე საქართველოში რუსული იციან. არც ერთ რუსს არ დაუჩივლია ჯერ, რომ რუსულის არცოდნის გამო ქართველმა პურმარილი ვერ მაჭამაო. მაშ რაშია საქმე? რატომ ატყდა ერთი ვაიუშველებელი ორენოვნების გამო? პოლიტიკური მიზნით. ყველა, ვინც ორენოვნებას ქადაგებს, კარგად იცის, რომ არარუსი, რომელმაც მშობლიური ენა და რუსული თანაბრად იცის, ბოლოს რუსულის გამოყენებას ამჯობინებს. ამით თანდათან გადავა რუსულ ეროვნულ წიაღში. მაგალითად, როგორც კი რუსული ენა მეტნაკლებად კარგად ისწავლეს, ვთქვათ, გიორგი გულიამ და ფაზილ ისკანდერმა, მათ თავი დაანებეს აფხაზურად წერას და რუსულად დაიწყეს წერა. ასეთი ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება. ეს გამოწვეულია თუნდაც უბრალო ადამიანური სიხარბით. აფხაზურად მათ წაიკითხავდა სულ რამდენიმე ათასი კაცი, რუსულად კი მილიონები კითხულობენ. ეს არ არის უმნიშვნელო ამბავი მწერლური პატივმოყვარეობის დასამშვიდებლად. ცხადია, გარკვეული როლი შეასრულა ლიტერატურული ტრადიციის უქონლობამაც.

დღევანდელი ქართველი ხელოვანი პასუხს მარტო მისი თანამედროვეების წინაშე კი არ აგებს, არამედ წინაპრებისაც _ რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, თამარის, სულხან-საბას, დავით გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა და სხვათა წინაშე. ეს პასუხისმგებლობა ჩვენ უდიდეს ვალს გვაკისრებს. დავით კლდიაშვილიც გარუსებული იყო და მიხეილ ჯავახიშვილიც, მაგრამ ისინი დიდი ეროვნული პასუხისმგებლობით შეპყრობილი ადამიანები იყვნენ. დასძლიეს თავიანთი მძიმე მდგომარეობა და ქართული ეროვნული მწერლობის მშვენებანი გახდნენ. ალექსანდრე აბაშელმა და ვალერიან გაფრინდაშვილმა რუსულად დაიწყეს ლექსების წერა, მაგრამ ისინიც ქართულ წიაღში დაბრუნდნენ. ეს პიროვნების ღირსებაზეც მეტყველებს და ეროვნული კულტურის ძალაზეც.

არის ვითარება, როცა ადამიანი იძულებულია ორ ენაზე წეროს. ვთქვათ, მაგალითად, რუსი მწერალი ნაბოკოვი. მაგრამ ნახეთ რა ათვალწუნებით, რა ზიზღით ლაპარაკობს იგი ინგლისური ენის თვისებებზე და როგორ ადიდებს რუსულს (იხილეთ, თუ გნებავთ, 1988 წლის პირველი ნომერი «Новый мир»-ი), მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურად მეტი აქვს დაწერილი, ვიდრე რუსულად. ეს მისი ტრაგედიაა, გამოწვეული მისი ცხოვრების ვითარებით. მაშასადამე, ნაბოკოვი, როგორც მწერალი, უბედური კაცი იყო.

ყოველ ხალხს თავისი სულიერი სამყარო აქვს. ეს სამყარო ყველაზე მკაფიოდ ენაშია გამოხატული. ყველაფერი, რასაც ერი პატივს სცემს _ ზნე, ტრადიცია, ჩვეულება, ეროვნული მსოფლმხედველობა, მსოფლგანცდა და ა.შ. _ ენაშია არეკლილი და გამოხატული. უარყოფ ენას, ე.ი. უარყოფ შენს ისტორიას, კულტურას, წარმომავლობას, წინაპრებს. არსებითად უარს ამბობ თავის თავზე... გადაიქცევი ღამურად. აკაკის «ღამურა» ხომ გახსოვთ? დღეს ამ ლექსს ხშირ-ხშირად უნდა ვიხსენებდეთ, რადგან გაღამურების მოთხოვნილების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით.

გ.პ. _ საკვირველია, მართლაც სულ აკაკის «ღამურა» მიტრიალებს თავში. ახლახან «ნიანგში» (№6, 1988 წ.) დავბეჭდე ლექსი «ჩვენი დროის ღამურები», რომლითაც სწორედ საკუთარი ენის უარმყოფელი ადამიანები შევეცადე დამენამუსებინა. ნეტავი ვიცოდე, ერთ «ღამურას» მაინც თუ მოხვდა გულში.

მშობლიური ენის უარყოფა საკუთარ არსებობაზე უარის ქმას ნიშნავს. იმიტომ, რომ ადამიანი არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ თავის ენაზე. თქვენ არსებობთ ქართულად. მე ვარსებობ ქართულად.

ა.ბ. – დააკვირდით ერთ გარემოებას. დღეს ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია აიტმატოვი. მართლაც ნიჭიერი კაცია. როგორ გგონიათ, გახდება იგი როდესმე რუსული ლიტერატურის კუთვნილება? ჩემი აზრით, არასოდეს. მიუხედავად იმისა, რომ რუსულად წერს, აიტმატოვი სამყაროს არ უყურებს რუსულად. სამყაროს მაინც ყირგიზულად აღიქვამს. მაგრამ აღარც ყირგიზია, რაკი თავისი აზრი რუსულად მიაქვს მკითხველამდე. დროთა განმავლობაში ეს მისი გაორება უფრო საგრძნობი და ხელშესახები გახდება. ამიტომ კიდევ უფრო დასცილდება რუსულ სამყაროს. და როცა მას რუსული კულტურა განდევნის თავის სამყაროდან, აიტმატოვს ისევ მისი მშობლიური ყირგიზები შეიფარებენ სამადლოდ. რამდენიც უნდა ეცადოს იგი, მას რუსული ლიტერატურა არ მიიღებს. ამისი მაგალითი ბევრია და არა მარტო ლიტერატურაში, პოლიტიკაშიც. ამის ნათელი ნიმუშია სტალინი. რუსეთის ისტორიაში არ არის მეორე პოლიტიკოსი, რომელსაც რუსული სახელმწიფო ძლიერებისათვის იმდენი გაეკეთებინოს, რამდენიც სტალინს. მან ჩამორჩენილი რუსეთი, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, მსოფლიოს პირველ სახელმწიფოდ აქცია. მაგრამ თქვენ ხედავთ, როგორ ამოანთხია იგი რუსეთმა. მიუხედავად იმისა, რომ მას

საქართველოსათვის არაფერი გაუკეთებია ავის მეტი, ისევ ჩვენ ვიცავთ და ისევ ჩვენ გვტკივა გული. ეს ის ფესვებია, რომლის ამოგლეჯა არ ხერხდება. არაფერ შუაშია აქ ის, რომ მან ზღვა სისხლი დაღვარა და უთვალავი ადამიანი იმსხვერპლა. არც მის წინამორბედთ დაუღვრიათ ნაკლები სისხლი...

სხვათა შორის, პროლეტარიატის დიქტატურის განმარტება ასეთია: «დიქტატურა არის ისეთი ძალაუფლება, რომელიც უშუალოდ ძალდატანებას ეყრდნობა და არავითარი კანონით არ არის შეზღუდული.

პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა არის ისეთი ძალაუფლება, რომელიც მოპოვებულია და დაცულია პროლეტარიატის ძალდატანებით ბურჟუაზიაზე, ძალაუფლება, რომელიც არავითარი კანონით არ არის შეზღუდული» (ლენინი, თხზულებანი, ტ.28, 1952 წ. გვ. 282).

დღეს საქმე სტალინის უცხოობა გახლავთ. ამას წინათ «პრავდაში» კ.სიმონოვის ბარათები იყო გამოქვეყნებული. ეჟოვსაც აგინებდა და ბერიასაც. მაგრამ ეჟოვის გვარს წინ პრედიკატი არ ახლდა, ბერიას კი ახლდა _ выродок. ეჟოვი ბერიაზე ბევრად უარესი ჯალათი იყო, მაგრამ სიმონოვს მაინც დაენანა რუსი ეჟოვისათვის выродок ეწოდებინა, ქართველი ბერიასთვის კი ეს «ეპითეტი» იოლად გაიმეტა.

ასეა. ეს ბუნების კანონია და გამოგონილი ინტერნაციონალიზმით მას ვერ მოერევი. რუსულად მწერალი არარუსები არც რუსული ლიტერატურისათვის არსებობენ და არც მშობლიურისათვის.

გ.პ. – ბატონო აკაკი, უამრავი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს სტალინის შესახებ... ერთ-ერთი მიზეზი სტალინის პიროვნების, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული უცნაურობისა, იქნებ არის მისი ორენოვნება და მისი ორენოვანი არსებობა. არსებობა ქართველი კაცისა უცხო გარემოში. აი, მაგალითად, ყველა წერს, რომ ბერია და სტალინი ხშირად ლაპარაკობდნენ ქართულად, ესე იგი ჰქონდათ ამის მოთხოვნილება.

ცხადია, რაც არ უნდა დიდი სტალინისტი მოვიდეს და მოინდომოს მისი დაცვა, გაუძნელდება ეს საქმე. სტალინი სასტიკი ადამიანი იყო და, ცხადია, თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ის იშორებდა ისევე გულგრილად, როგორც ჭადრაკის ფიგურებს და ეს არავისთვის არაა დამალული. ვფიქრობ, რომ მისი ეს სისასტიკე და ბევრი სხვა არასახარბიელო თვისება მისი ორენოვნების, მისი დაშლილი ცნობიერების ბრალიც უნდა იყოს.

კარგი იქნება, თუ ისინი, ვინც ორენოვნებას ქადაგებენ, სწორედ ამ კუთხით შეხედავენ სტალინის პიროვნებას. ორენოვნება, გაორებული ცნობიერება, გაორებული არსებობა ზნეობრივ ურჩხულებს წარმოშობს. ეს სამომავლო გაფრთხილებად უნდა მიიღონ ორენოვნების აპოლოგეტებმა.

ა.ბ. – სტალინის პიროვნებაზე ლაპარაკი იოლი არ არის. ის ალიაქოთი, რაც დღეს მისი სახელის გარშემო ტრიალებს, უფრო ჩვენს გონებასიჩლუნგეს მოწმობს, ვიდრე მოვლენის არსში წვდომის უნარს. ჩვენ ადამიანი მასში ვერც მის სიცოცხლეში ვნახეთ და ვერც მისი სიკვდილის შემდეგ ვხედავთ. სიცოცხლეში ღმერთად გამოვაცხადეთ და ბრმად ვეთაყვანებოდით. მსოფლიოში არ არსებობს მეორე პიროვნება, რომელსაც იმდენი ქება-დიდება მოესმინოს, რამდენიც მას მოუსმენია და რამდენიც მასზე დაწერილა. სიკვდილის შემდეგ სატანად გამოვაცხადეთ. ყველა ბოროტება მას მივაწერეთ. აღარც ისეთი პიროვნება აღმოჩნდება, რომელსაც იმდენს ლანძღავდნენ და თათხავდნენ, რამდენსაც სტალინს.

რამ გამოიწვია ეს?

ჯერ ერთი, როგორც ჩანს, არიან ადამიანები, რომელნიც ლეგენდისათვის იბადებიან. ალბათ, ამ ადამიანების რიგს ეკუთვნის სტალინიც. ჯერ შეიქმნა ლეგენდა: სტალინი-

ღმერთი. ახლა იქმნება ახალი ლეგენდა _ სტალინი-სატანა. ადამიანი როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დაგვეკარგა. როცა ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის, ბუხარინის და სხვათა საქმიანობა ისე გვეცოდინება, როგორც სტალინის ვიცით, დავინახავთ, რომ ისინი ტყუპის ცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. დააკვირდით სტალინის სიტყვებს, რომელიც მან თქვა თავის იუბილეზე, როცა 50 წელი შეუსრულდა: Партия создала меня по образу и подобию своему.

როცა დღეს თვალი გადავავლეთ სსრკ-ში სოციალიზმის არსებობის 70 წელს, უთვალავი ნაკლი აღმოვაჩინეთ. ბუნებრივად დაისვა კითხვა: რაშია საქმე? ეს ნაკლოვანებანი სოციალიზმის თვისებაა თუ ვინმეს მიუძღვის სოციალიზმის დამახინჯებაში ბრალი? ცხადია, მიუხედავად, гласность-ობიასი, იმის თქმას ვერავინ გაბედავს, რომ ხარვეზები სოციალიზმის თანდაყოლილი თვისებაა. მაშასადამე, უნდა მოიძებნოს პიროვნება, ვისაც დაბრალდება სოციალიზმის დამახინჯება. რაკი სოციალიზმი, ის სოციალიზმი, რომელიც სსრკ-ში არსებობს, სტალინის აშენებულია, ცხადია, ხარვეზები და ნაკლოვანებანი მას უნდა დაბრალდეს და ასეც ხდება.

ჩვენ არ ვიცნობთ სტალინის პირად არქივს. ეს კი აუცილებელია, რომ მის ადამიანურ თვისებებს დავაკვირდეთ. ეს არქივი კი ჯერჯერობით ყველასათვის უცნობია.

ვისაც სტალინის ხელით შევსებული ანკეტები უნახავს, ის დამეთანხმება, რომ იგი ანკეტაში ასე წერდა: მშობლიური ენა _ რუსული, ეროვნება _ რუსი. მხოლოდ ფრჩხილებში იყო მითითებული: წარმომავლობით ქართველი. როგორც ხედავთ, რაკი რუსული სახელმწიფოს მეთაური იყო, იძულებული ხდებოდა, უარეყო თავისი ეროვნება. ისეთი ძლიერი პიროვნებისათვის, როგორიც სტალინი იყო, ასეთი უარყოფა შეუძლებელია არ ყოფილიყო მძიმე განცდის საფუძველი. ეს იძულებაა, ეს აუცილებლობის მორჩილებაა. არსებითად თავის დათრგუნვაა იმ მდგომარეობით, რომელიც მას შეექმნა. იძულება, მორჩილება, დათრგუნვა მონობაა. სტალინი მისი მდგომარეობის გამო მონა აღმოჩნდა. ამას შეუძლებელია არ გამოეწვია გაბოროტება. ეს გაბოროტება მის ცხოვრებასა და საქციელში ძალიან მძლავრად იგრძნობა.

სანამ ზემონათქვამს ღრმად არ გავაანალიზებთ, მანამდე სტალინის პიროვნებაზე ლაპარაკი ყოველთვის ზერელე იქნება.

გ.პ. – რომ მართლაც გრძნობდა არაქართულ გარემოსგან მტრულ განწყობას მისდამი, ამის დასტურია გენერალ ისაკოვის მოგონებანი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ «ზვეზდაში». გენერალი იგონებს, თუ როგორ უთხრა ერთხელ სტალინმა _ არ ვიცი, ამ მრავალრიცხოვანი ჩემი დაცვიდან როდის რომელი მომაჭედებს ტყვიას კეფაშიო.

ისიც ხომ ცნობილია, რომ არავის ენდობოდა. არ ენდობოდა იმიტომ, რომ გრძნობდა შეფარულ მტრულ დამოკიდებულებას.

ა.ბ. – ამას სხვა ელემენტებიც ერთვის, რომლებიც ერთ მთლიანობაში უნდა წარმოიდგინოს კაცმა. მაგრამ მაინც სწორედ ეროვნული ნიადაგიდან მოგლეჯა, ეროვნული ნიადაგიდან გადანერგვა სხვა ნიადაგში მოაზროვნე ადამიანისთვის უდიდესი ტრაგედიაა. შედარებით იოლად ამ გადანერგვას ჩიტირეკიები ეგუებიან.

გ.პ. – რადგან ჩვენი საუბარი კინოსტუდიის გაზეთში უნდა დაიბეჭდოს ეროვნული ცნობიერების დაშლის ბოლო მაგალითი კინოს სამყაროდან მინდა მოვიტანო.

ახლახან, რომ გავიგე თუ რა ჩანაფიქრები აქვს ამჟამად ქართველი რეჟისორების ერთ ნაწილს, რა დაგიმალოთ და ვიფიქრე, ხომ არ გადავარქვათ კინოსტუდია «ქართულ ფილმს» სახელი-მეთქი. ჩამოგითვლით ზოგიერთ ფაქტს: ქეთი დოლიძე ნიკიტა მიხალკოვის სცენარით დგამს ორსერიიან ფილმს. გიორგი შენგელაია ემზადება «ჰაჯი მურატის» დასადგმელად. ნანა ჯორჯაძე, მას შემდეგ რაც დადგა «ჩემი ინგლისელი პაპა», ახლა მარინე ცვეტაევაზე აპირებს გადაღებას. ალექსანდრე რეხვიაშვილი იწყებს

მიხეილ ბულგაკოვის მოთხრობაზე მუშაობას. ლეილა გორდელაძე, შეიძლება ითქვას, თავს იკლავს, ისე უნდა ჩვენი დადასტურებული არაკეთილისმსურველის – ფაზილ ისკანდერის მიხედვით რომ დადგას სამსერიიანი ტელეფილმი. ამას თუ დავამატებთ იმას, რომ ოთარ იოსელიანი საერთოდ დაკარგულია და კაცმა არ იცის, აფრიკაშია თუ ავსტრალიაში, მეტად სავალალო სურათი დაგვიდგება თვალწინ.

ახლახან წავიკითხე თქვენი მოგონებები. იქ პერესტიანის ნათქვამი მომხვდა გულში.

გავავლოთ პარალელი: ოციან წლებში არაქართველი რეჟისორები დგამდნენ ქართულ ლიტერატურას, ახლა კი ის ადამიანები, რომლებსაც ყველას ქართული აქვთ გვარი, დგამს სხვისას და სხვაზე.

თქვენ, როგორც კინოსტუდიაში ხანგრძლივად მომუშავე ადამიანმა და, საერთოდ, როგორც აკაკი ბაქრაძემ მინდა, რომ ორიოდე სიტყვა თქვათ იმის შესახებ, თუ როგორ შევაფასოთ ჩვენ ეს ყველაფერი. რა გვეშველება.

ა.ბ. – სახელის გადარქმევის მოთხოვნა, ალბათ, თქვენი ემოციური ექსტრემიზმის შედეგია. «ქართული ფილმი» იმ ფილმებსაც აკეთებს, რომლებშიც საქართველოს ეროვნული სახე ჩანს. მაგრამ გულწრფელი არ ვიქნები იმასაც თუ არ ვიტყვი, რომ «ქართულ ფილმში» არის მოვლენები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას აშინებს და, მათ შორის, მეც. ისიც უნდა დავამატო, რომ რასაც ახლა ვიტყვი, ეხება არა მარტო კინოს, არამედ თეატრსაც, მწერლობასაც, მხატვრობასაც.

ჩვენ არ გვაქვს ჩვენი მწერლობა-ხელოვნების სტრატეგიული მიზანი, საით მიდის ჩვენი მწერლობა-ხელოვნება და საით მიჰყავს მას ჩვენი ხალხი. მე არა მაქვს აქ მხედველობაში მარტო ეროვნული სტრატეგია. ვგულისხმობ ესთეტიკურ და ზნეობრივ სტრატეგიასაც.

სტრატეგიული მიზნის უქონლობა ყველაზე მკაფიოდ მაშინ ჩანს, როცა ფილმებში, რომანებში, სპექტაკლებში რელიგიას ვეარშიყებით. აღარც მორწმუნე კაცია ჩვენს მხატვრულ ნაწარმოებებში და აღარც ათეისტი. არის რაღაც შუაში გარჩენილი. ისევეა მაშინაც, როცა ზნეობრივ პრობლემებზე ვლაპარაკობთ, ანდა ესთეტიკური კრედოს გამოხატვა გვინდა. ლაპარაკს სანახევროდ ვბედავთ და ამას, ცხადია, არსად მივყავართ.

ახლა ჩვენს მუშაობას თვითნებური ხასიათი აქვს. რატომღაც მოხდა ისე, რომ თვითნებობას შემოქმედებითი თავისუფლება დავარქვით.

შემოქმედებითმა თავისუფლებამ ყოველთვის იცის რას ემსახურება. თვითნებობამ კი ისიც არ იცის, თავად თვითნებას რა უნდა, თუმცა ჯიუტად ებღაუჭება ამოჩემებულს.

მე მგონია, რომ დღეს ის დღეა, როცა ჩვენმა მწერლობა-ხელოვნებამ სტრატეგიული მიზანი უნდა დაისახოს და იქით წავიდეს. ეს არავის შემოქმედებითს თავისუფლებას არ შეზღუდავს.

მ.ცვეტაევასაც, მ.ბულგაკოვსაც, ფ.ისკანდერსაც და სხვებსაც ჰყავს თავისი პატრონი და ბევრად ჩვენზე უკეთესი. ჩვენ ჩვენსას მოვუაროთ, თორემ ისე შეიძლება დაგვემართოს _ მამა დავიწყებოდა და მამინაცვალს იფიცებდაო.

ახლა ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი ძვრები ხდება. ბევრი რამ იცვლება და ბევრი რამ უნდა გადაფასდეს. ამ გზაზე მწერლობა-ხელოვნება წინ უნდა მიგვიძღოდეს და უკან არ უნდა მოგვჩანჩალებდეს.

ავანგარდში ყოფნის ძალა ქართულ მწერლობასაც აქვს და ქართულ კინოსაც, ოღონდ ძველმა ისტორიულმა სენმა არ უნდა გვძლიოს. ამ სენს, მოგეხსენებათ, ბატონის მეტისმეტი ერთგულება ჰქვია, რასაც საკუთარის დაუფასებლობა ახლავს წესად.

ლექციების კითხვისას, ჩემთვის ხშირად მოუციათ კითხვა _ გწამთ თუ არა ღმერთი? ამ კითხვაში მე ქვეტექსტსაც ვხედავ: ჩვენი ხალხი ღმერთს დაეძებს. ხოლო იმას, ვინც ღმერთს დაეძებს, ღმერთთან წილნაყარი ხელოვნება-მწერლობაც სჭირდება. რაკი ასეა,

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რასაც პავლე მოციქული ამბობს კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (XIV, 14): «когда я молюсь на незнакомом языке, то хотя дух мой и молится, но ум мой остается без плода».

ციტატი რუსულად იმიტომ მოვიტანე, რომ ქართულ ტექსტში სიტყვა незнакомый გამოტოვებულია.

გ.პ. – იმისთვის, რომ სწორად შევიმუშაოთ როგორც თქვენ თქვით ეროვნული, ზნეობრივი და ესთეტიკური სტრატეგია, საჭიროა ჩვენი კულტურის ძველსა და მყარ ტრადიციებს დავუბრუნდეთ. ამ სტრატეგიის საფუძველი პირველ რიგში უნდა იყოს დიდი ქართული მწერლობა დაწყებული «ვეფხისტყაოსნით» და «ჰაკი აძბათი» დამთავრებული.

ჩვენ უნდა ვიყვნეთ დიდი ქართული კულტურის და ამ კულტურის საფუძველთა საფუძვლის – ქართული ენის ერთგულნი.

დავუბრუნდეთ ისევ იმ დიდ გერმანელ კაცს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტს.

«... Если каждый язык и может во всяком случае выразить любое понятие, то не каждый каждым понятием вдохновляется, и в этой пробуждающей, вдохновляющей и оплодотворяющей силе языков и состоит их прекраснейшее и важнейшее влияние. Итак, хотя языки в значительной степени представляют сознание нации, но они ими руководят, удерживая их в известных пределах и именно они первостепенным образом формируют или определяют национальный характер».

(იხილეთ 363 გვერდი ზემოთ აღნიშნულ წიგნში).

მინდა რომ ის ხალხი, ვისაც მშობლიური ენის დავიწყება დიდ ცოდვად არ მიაჩნია, ჩაუფიქრდეს, თუ რაა ნათქვამი ჰუმბოლტის ამ გენიალურ სტრიქონებში.

აქ თითქმის მათემატიკური სიზუსტითაა დასაბუთებული, რომ ენა და ერი ერთია.

და თუ ქართული სისხლის რამდენიმე წვეთი მაინც გვითრთის ძარღვებში, მაშინ შევისმინოთ ბრძენი ქართველის გაფრთხილება _ «რა ენა წახდეს, ერი დაეცეს».

ისე ხომ არ გავღამურებულვართ უკვე, რომ ერის დაცემა გვინდოდეს?

გაზ. «ქართული ფილმი»,
22 ივნისი, 1988

ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანას ვეკუთვნით...

ინტერვიუს უძღვებიან მაია წერეთელი და ზინა მჭედლური

კორესპ. – ბატონო აკაკი, ამბობენ, ლიტერატურა ცხოვრების მხატვრული ასახვააო. რას იტყოდით თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ ამ თვალსაზრისით?

ა.ბ. – თავდაპირველად უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ ვიზიარებ დებულებას _ ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების მხატვრული ასახვააო. მე მიმაჩნია და ვთვლი, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ახალი სინამდვილის შექმნაა, მართალია, გამოგონილი, ილუზიური, მაგრამ სრულიად ახალი სინამდვილის შექმნა. თუ ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების ასახვაა, მაშინ ის ფოტოგრაფიის დონეს ვერ გასცილდება, ვერ შექმნის იმ მრავალფეროვან სამყაროს, რომელიც ახასიათებს ლიტერატურასა და ხელოვნებას. ჩემი აზრით, ამ დებულებამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა, საერთოდ, საბჭოურ ლიტერატურასა და ხელოვნებას და, კერძოდ, ქართულს. ამიტომ, დადგა დრო, რომ ჩვენ იგი უარვყოთ და სხვა თვალსაზრისით შევხედოთ ლიტერატურასა და ხელოვნებას. ჩვენ არ უნდა შეგვაცდინოს, ვთქვათ, ისეთი რომანის არსებობამ, როგორიც არის ფლობერის «მადამ ბოვარი». ამ რომანში მართლაც ვერ

გაარჩევთ, სად თავდება რეალურობა და სად იწყება გამონაგონი. ამ თხზულებაში ზედმიწევნით ზუსტად არის დახატული სინამდვილე, მაგრამ ეს განზოგადოებისათვის არ გამოდგება. არ გამოდგება იმიტომ, რომ «მადამ ბოვარისა» და მისი მსგავსი თხზულებების გვერდით არსებობს ჰოფმანის, კაფკას და სხვათა ქმნილებანი, სადაც სრულიად ფანტასტიკური სამყაროა დახატული. თუ ამ ნაწარმოებებს მივუდგებით იმ აზრით, რომ ხელოვნება სინამდვილის ასახვაა, მაშინ ყველაფერ იმას, რასაც კაფკა ან ჰოფმანი ხატავს, ვერ ვერწმუნებით. ხდებოდა კიდეც ასე. კრიტიკა თავის დროზე ებრძოდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ის ვერ ხედავდა სინამდვილის უშუალო ანარეკლს. ამიტომ იყო უარყოფილი, მაგალითად, ისეთი დიდი მხატვარი, როგორიც სალვადორ დალია, რაკი მისი სამყარო არ ჰგავს სინამდვილეს. მაგრამ, როგორც იქნა, ჩვენ ამ ცრუ წარმოდგენისაგან გავთავისუფლდით. დავინახეთ, რომ ხელოვნების სამყარო უსაზღვროა. ამ უსაზღვროებაში შეიძლება ყოველგვარი მოვლენა არსებობდეს. სწორედ ამ კუთხით უნდა მივუდგეთ ხელოვნების ნაწარმოებებს.

ყველა ხელოვანი, ნიჭიერი იქნება ის თუ უნიჭო, ახალ სინამდვილეს ქმნის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნიჭიერის მიერ შექმნილი სამყარო საინტერესოა, ხოლო უნიჭოსი _ უინტერესო. ნიჭიერების დოზა განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების მასშტაბსა და სიდიადეს.

რა თქმა უნდა, დღესაც იქმნება საინტერესო ნაწარმოებები, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით. ჩემი აზრით, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ლიტერატურასა და ხელოვნებას სხვა დანიშნულება აქვს. ეს ჩვენი კულტურის დამახასიათებელი ნიშანია. არა თუ ისეთი მრავალრიცხოვანი ხალხების, როგორიც ფრანგები ან ინგლისელები არიან, არამედ უფრო მცირერიცხოვანი ერების ისტორიაშიც (ვთქვათ, დანიელების, ნორვეგიელების) მწერლობას არ ეკისრება ერის მეთაურის ფუნქცია. ეს ფუნქცია მწერლობას საქართველოში მიენიჭა. ეს ბევრი ფაქტორით არის განპირობებული. ჯერ ერთი, ჩვენში მეფეებიც მწერლობდნენ _ არა მარტო დაკნინებული და დამცირებული საქართველოს მეფეები, არამედ ძლევამოსილი და გალაღებული საქართველოს ხელმწიფენიც – დავით აღმაშენებელი, თამარი. მეორეც, ჩვენ ხშირად ვიყავით დაპყრობილი, სხვათა ქვეშევრდომნი. როცა ეროვნული ხელისუფლება არ გვყავდა, ეროვნული ხელისუფლების მოვალეობას მწერლობა ასრულებდა. მესამეც, ჩვენს ისტორიაში ისეთი მწერლების არსებობამ, როგორიც იყვნენ, გრიგოლ ხანძთელი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი, სიტყვაკაზმული ლიტერატურა ერის მეთაურის ფუნქციითაც აღჭურვა. როცა ამ ტრადიციას ვითვალისწინებთ, ბუნებრივია, რომ დღესაც ამ მოთხოვნებს ვუყურებთ მწერლობას. ამიტომ როდესაც დღევანდელ მწერლობაზე ვსაუბრობთ, შეიძლება გულისტკივილი გამოვთქვათ, რომ ის ამ ტრადიციულ ფუნქციას დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად ვერ ასრულებს. ცხადია, ცალკეულ გამონაკლისებს არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ საერთო ხასიათს ჩვენი დღევანდელი ხელოვნებისა და მწერლობისა. ის სამყარო, რომელსაც ჩვენი დღევანდელი სიტყვაკაზმული მწერლობა ქმნის, უფერული, უღიმღამო, სუსტია. მიმზიდველი, მძლავრი სულის ადამიანები ჩვენს მწერლობაში დღეს არ არსებობენ. ვთქვათ ისეთი, როგორიც არის ვაჟას მინდია, ანდა აკაკის ჰაჯი-უსუბი. აგრეთვე, უარყოფითი, მაგრამ დიდი ფილოსოფიური სიღრმის შემცველი ლუარსაბ თათქარიძე... არაფერს ვამბობ ავთანდილზე და ა.შ.

დღევანდელ ლიტერატურაში მძლავრი პიროვნების გამოხატულებაა დათა თუთაშხია, მაგრამ როგორც გითხარით, გამონაკლისებს არ ვგულისხმობ, მხედველობაში მაქვს საერთო სურათი. გარკვეული თვალსაზრისით, ასახვა გულისხმობს ფოტოგრაფირებას მაშინ, როდესაც მწერალს შეუძლია, სრულიად

არარეალური პიროვნება დახატოს, მაგრამ მასში (პერსონაჟში) ჩადებული ფილოსოფია ჩვენთვის ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი იყოს. შეუძლებელია, ალბათ, წარმოვიდგინოთ ისეთი კაცის არსებობა, როგორიც არის მინდია, მაგრამ, სამაგიეროდ, მასში არსებული დიდი სიკეთე, ჰუმანიზმი, ყველა ადამიანისათვის მიმზიდველია. ამაშია მწერლის ძალა, თორემ სინამდვილემ შეიძლება ჩვეულებრივი ფილისტერი შემოგვთავაზოს და მან ვერაფერი ვერ შეგვძინოს. ხშირად გამიგონია, რომ რეალური სინამდვილე არ იძლევა ძლიერი პიროვნების დახატვის საშუალებას. ცხოვრებაში აღარ არსებობენ სულით უდრეკი ადამიანები და ამიტომ ლიტერატურაშიც გაქრნენ ისინი. ეს აზრი მართალი იქნება, თუ ჩვენ გავიზიარებთ შეხედულებას _ მწერლობა და ხელოვნება სინამდვილის ასახვაა. მაგრამ, თუ ჩვენ ვაღიარებთ შეხედულებას, რომ ხელოვნება-ლიტერატურა ახალი, ილუზიური სინამდვილის შექმნაა, მაშინ მწერალს, ხელოვანს სრული უფლება აქვს მის მიერ შექმნილი სინამდვილე იმგვარი ადამიანებით დაასახლოს, როგორიც მას მიაჩნია მიზანშეწონილად. რა ბევრი მტკიცება უნდა იმას, რომ ესპანეთის რეალურ სინამდვილეში არ არსებობდა დონ-კიხოტი. მაგრამ სერვანტესის ნიჭმა ინება მისი შექმნა და შექმნა კიდეც. ახლა დონ-კიხოტი მოგზაურობს მთელ დუნიაზე და ასე იმოგზაურებს მარად, სანამ კაცობრიობა იარსებებს. ვინ ჩამოთვლის რამდენმა მწერალმა აღწერა ზუსტად სერვანტესის დროინდელი ესპანეთის სინამდვილე, მაგრამ ვის ახსოვს ისინი დღეს? ერთი სიტყვით, მთავარი ის არის, რა გვამდიდრებს, რა გვანიჭებს სულიერ სიდიადეს, რა იწვევს ჩვენში ემოციურ აღტყინებას, ამაღლებას. ფოტოგრაფირების, ასახვის დროს ეს არ ხდება. დღეს კი, აუცილებელია იმ ფილოსოფიური სიღრმის შექმნა ჩვენს ლიტერატურაში, რაც დამახასიათებელი იყო ჩვენი მწერლობისათვის უძველესი დროიდან დღემდე. თუ ჩვენ თვალს მივადევნებთ ამ მიმართულებით ჩვენს მწერლობას, შეიძლება დაგვენახა კიდეც გათიშვა ძველ და ახალ ლიტერატურულ სამყაროს შორის. რა თქმა უნდა, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვინ ქმნის და რა ქმნის ლიტერატურას. რენუარისათვის უკითხავთ ერთხელ რა არის ხელოვნებაში მთავარი _ რა თუ როგორ? რენუარის პასუხი ასეთი გახლავთ, მთავარია ვინ?

როცა რაიმე მხატვრულ მოვლენას კრიტიკულად ვუყურებთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ არსებობს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ცენზორი. მწერლის შიგნით რომ ცენზორი ზის, თვითონ უწევს მწერალს კონტროლს შემოქმედების პროცესში. კონტროლირებული შემოქმედება უნდა იყოს სრულიად თავისუფალი. მაშინ შეიძლება მან გამოიღოს ნაყოფი.

კორესპ. – და მაინც, თუ გამოყოფთ, რა ძირითადი ტენდენციები შეიმჩნევა, თქვენი აზრით, 70-80-იანი წლების ქართულ პოეზიასა და პროზაში?

ა.ბ. – მართალი რომ გითხრათ, რაიმე განსაკუთრებული ტენდენციის გამოყოფა მიჭირს. შესაძლებელია, ეს ჩემი ბრალიც არის. ალბათ, ამას უფრო ღრმა დაკვირვება და ანალიზი სჭირდება. თუმცა, სწორედ ის არის ყველაზე უფრო დამაფიქრებელი, რომ არ ჩანს ისეთი აშკარა სიახლე, როგორიც მე-19 საუკუნეში თერგდალეულთა თაობამ მოიტანა. ეს ვითარება უთუოდ უნდა შეიცვალოს, სხვანაირად მოეწყოს ყველაფერი. აუცილებელია უფრო მეტი დაფიქრება, მეტი ანალიზი იმ სინამდვილისა, რომელშიც ვცხოვრობთ.

ცხოვრება ერთ ადგილას არ დგას, მას ვერავინ გააჩერებს. ის თავისთავად ვითარდება. ლოგიკურად მიდის წინ. თუ ამას ადამიანმა თვალყური არ ადევნა. შეიძლება ჩამორჩეს. არა მგონია, რომ ჩვენ ყველა იმ საჭირბოროტო საკითხს ვცემდეთ პასუხს, რასაც ცხოვრება სვამს. არა მგონია, რომ ჩვენ ყველაფერს ვაანალიზებთ – რა ხდება, რატომ და რისთვის. როდესაც ამის ანალიზი გაკეთდება, რა თქმა უნდა, ახალი

ტენდენციები, ახალი მიმართულებები, ახალი აზრიც გაჩნდება, თვალსაჩინოც იქნება ეს და თვალშისაცემიც. ჯერჯერობით კი ამ მხრივ, როგორც წეღან მოგახსენეთ, ერთფეროვან, უღიმღამო სურათს ვხედავ. ცხადია, ეს ბევრი რამით უნდა იყოს განპირობებული, რაც აუცილებლად მოითხოვს ჩვენგან ახსნას, ამოცნობას.

დღევანდელი ქართული მწერლობა არ გვაძლევს იმ იდეალს, რომლისკენაც ჩვენი საზოგადოება უნდა მიისწრაფოდეს. ჩვენი მწერლობა იმითაც იყო გამორჩეული, თავის დროზე, XIX საუკუნეში თუ უფრო ადრე, რომ ის გარკვეულ იდეალს ყოველთვის იძლეოდა. მწერლობის მიერ შექმნილი ილუზიური სინამდვილე არა მარტო კონკრეტული ფილოსოფიით იყო სავსე, არამედ კონკრეტული პერსონაჟებითაც, მათ დიდი მიმზიდველობა ჰქონდათ. ეს მიმზიდველობა იწვევდა საზოგადოების ემოციურ აგზნებას. ემოციური შემოქმედება კი საზოგადოებას ზრდიდა. ამ მხრივ ჩვენი მწერლობის გააქტიურება აუცილებელია. დღეს უფრო ის დამოკიდებულება იგრძნობა სინამდვილისადმი ან ადამიანის მიმართ, რომელიც ინდიფერენტიზმს უფრო ახასიათებს, ვიდრე აქტიურობას.

არის ერთი პრობლემა, რომელიც არ შეიძლება არ იყოს მწერლობის ღრმა დაკვირვების საგანი. საზოგადოება ყოველთვის წინ მიჰყავს ადამიანს, ვისაც დიდი იდეალი ამოძრავებს, რომელსაც შეუძლია რაღაცისათვის თავის დადება, რომელიც იმეტებს ყველაფერს პირადულს სახალხოსათვის. ამას ლიტერატურაც ადასტურებს, რელიგიის ისტორიაც და საზოგადოებრივი ცხოვრებაც. ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებას, საზოგადოებას ცინიკურად, დაცინვით უყურებენ, არაფერი შეუქმნიათ. ვერავინ დაასახელებს ამქვეყნად ცინიკოსის მიერ შექმნილ რაიმე ღირებულებას. ყველა ღირებულება შექმნეს იმ ადამიანებმა, რომელთაც დიდი რწმენა ჰქონდათ. უიდეალოდ ცხოვრება წარმოუდგენელია როგორც კონკრეტული პიროვნებისა, ისე მთელი საზოგადოების. ყველა ახალ თაობას მოაქვს ახალი იდეალი. ყველა ახალი თაობა ახალ ნაბიჯს დგამს წინ, იდეალის გარეშე კი წინსვლა შეუძლებელია. არც უიდეალო თაობის მოსვლას ექნება რაიმე სერიოზული ღირებულება. იმ ნიმუშების მიხედვით, რომლებიც დღეს ჩვენში იბეჭდება, მიჭირს დავასახელო რა არის ეს იდეალი. ბრალს არავის ვდებ, შეიძლება მე ვერ ვხედავ, მაგრამ მკითხველს კიდევ უფრო მეტად გაუჭირდება მისი დანახვა. ეს უკვე დამაფიქრებელი ნაკლია.

კორესპ. – ბატონო აკაკი, ახალგაზრდულ კრებულ «სათავეზე» გვინდოდა თქვენი აზრის გაგება.

მასში დაბეჭდილ თითქმის ყველა ნაწარმოებს აერთიანებს ერთი ძირითადი ხაზი, ეს არის მარტოობის გრძნობა. ამას გარდა, მასში ნაკლებად არის ადამიანების სიყვარული, მათდამი ლტოლვა. რამდენად ორგანულად გეჩვენებათ ეს ქართული მწერლობისათვის? საიდან იღებს სათავეს?

ა.ბ. – ამ კრებულში მართლაც შეინიშნება ერთგვარი სევდიანი განწყობილება. პერსონაჟებსაც და იმ ახალგაზრდა ავტორებსაც, რომელთა ნაწარმოებებიც «სათავეშია» დაბეჭდილი, თითქოს მარტოობის განწყობილება დაუფლებიათ, თითქოს განდეგილად გრძნობენ თავს. რა თქმა უნდა, ამას აქვს თავისი საფუძველი. ეს საფუძველი ორგვარი შეიძლება იყოს. პირველი შედარებით უბრალოა და მალე წარმავალი. ეს გახლავთ ის, რომ ახალგაზრდა კაცს უყვარს მარტოობით პრანჭვა, ფიქრობს, რომ ეს აზროვნების სიღრმეს ნიშნავს, მისი ცხოვრების სიმწიფეს მოასწავებს. თუ ასეა, მაშინ ეს მალე გაივლის და ამაში საგანგაშო არაფერია. ეს პერიოდი ყველა ჩვენთაგანს გაუვლია. ახალგაზრდა ამას მალე ხვდება და მერე ჩვეულებრივ აგრძელებს საქმიანობას. მაგრამ არის მეორე საფუძველი, რომელიც საშიშია და ძნელად დასაძლევი. თუთ «სათავეს»

ავტორების მარტოობის განწყობილება გამოწვეულია გენეტიკური შიშით, რომელიც ათეული წლების მანძილზე ინერგებოდა, მაშინ ჩვენ ურთულეს პრობლემასთან გვაქვს საქმე. გენეტიკური შიშით დაბადებული უიმედობა ძნელი აღმოსაფხვრელია. ამას თაობები სჭირდება, თაობები _ გაზრდილი თავისუფლად, რწმენით, იდეალით.

კორესპ. – თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ალბათ, უფრო უარყოფით პასუხს უნდა მოველოდეთ, მაგრამ მაინც გვინდა გკითხოთ, ბოლოს გამოქვეყნებულმა რომელიმე ნაწარმოებმა თუ მიიქცია ამ თვალსაზრისით თქვენი ყურადღება?

ა.ბ. _ სამწუხაროდ არა.

კორესპ. – ბატონო აკაკი, ჩვენი ყურადღება მიიპყრო თქვენს მიერ ზნეობრივი გმირის ახლებურმა დანახვამ. მხედველობაში გვაქვს თქვენი წერილი «უღირსებო კაცი». ამ მიმართულებით, თქვენი აზრით, ბევრი რამ ხომ არ არის კიდევ გადასაფასებელი?

ა.ბ. – მე მიმაჩნია, რომ ყველაფერი, რაც შექმნილია არა მარტო 1921 წლიდან დღემდე, არამედ უფრო ადრეც, თუ გნებავთ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში – ყველაფერი არსებითად თავიდანაა შესასწავლი. არა იმიტომ, რომ ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა; ბევრია გაკეთებული, სერიოზული და საინტერესო, მაგრამ მაინც თავიდან არის შესასწავლი იმის გამო, რომ ჩვენ, ჯერ ერთი, როგორც წეღან აღვნიშნეთ, გამოვდიოდით მცდარი თვალსაზრისიდან – ლიტერატურა და ხელოვნება ცხოვრების ასახვაა. მეორეც – გვქონდა ტენდენციური დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ. კერძოდ, ლიტერატურაში აღწერილ მოვლენებს განვიხილავდით სოციოლოგიური თვალსაზრისით. ამან მოგვისპო საშუალება, ლიტერატურული მოვლენები შეგვეფასებინა ესთეტიკურად, მხატვრულად და ა.შ.

სწორედ ამის გამო გადახედვა და ახლებურად გაშუქება სჭირდება ყველა იმ მხატვრულ მოვლენას, რასაც ჩვენი მწერლობა და ხელოვნება ქმნიდა. ხშირად საბჭოთა პერიოდში იწერებოდა ნაწარმოებები საგანგებო შეკვეთით, რასაც პროპაგანდისტული დანიშნულება ჰქონდა. მართალია, მათ არავითარი კავშირი არა აქვს მხატვრულ ქმნილებებთან, მაგრამ მკითხველის დაჩლუნგების ფუნქციას ისინი ასრულებდნენ. თუმცა, ამან არ უნდა შეგვაშინოს. არსებობს უდიდესი, უცდომელი და მოუქრთამავი მსაჯული – დრო. იგი მოხვეტავს ყველა უნიჭოს და სანაგვეში გადაუძახებს. დარჩება ის, რაც ღირებულია, მშვენიერია, ამაღლებულია. ასე ხდებოდა ყოველთვის და ასე მოხდება მომავალშიც. საბუთად ჩამოგითვლით იმ რომანებს, რომელნიც მე და ჩემს თაობას ახალგაზრდობაში წაუკითხავს. წაგიკითხავთ თუ არა რომელიმე მათგანი და შეგიძლიათ თუ არა მათი ავტორების დასახელება _ «გადასასვლელი», «ქვა და რკინა», «დაფანტული ფურცლები», «სართულები», «ვარდნილი», «ჩაი», «აბესალომ მუხიგული», «მამამ გამომგზავნა» და სხვანი. როცა თქვენ ჩემი ხნის იქნებით, ასევე დაუსახელებთ მაშინდელ ახალგაზრდებს ბევრ თხზულებას, რომელსაც დღეს გატაცებით კითხულობთ და აღმოჩნდება, რომ იმათ არაფერი იციან. ასეთი «ულმობელია» დრო. იგი ადამიანების გონებას ასუფთავებს.

რატომ გავიხსენე მე ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებები? ყველაფერი, რაც იწერება, ეპოქის სურათია, დროის სულს გამოხატავს, ამდენად მათ, როგორც დოკუმენტებს, დიდი მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ _ რასა აქვს დოკუმენტის ღირებულება და რას მხატვრული. ამიტომ მათ სხვადასხვაგვარი შეფასება სჭირდება. ჩვენ არ გვყავს შეფასებული ისეთი მწერალი, როგორიც არის მიხეილ ჯავახიშვილი. იგი შეუსწავლელია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მას აღმოაჩნდა წინასწარმეტყველის ნიჭი. მ.ჯავახიშვილმა თავის რომანებში არსებითად იწინასწარმეტყველა ის, რაც შემდეგ მოხდა, კერძოდ, უნიათო ინტელიგენციის გაჩენა თეიმურაზ ხევისთავის სახით, რომელსაც თავის დაცვაც კი არ შეუძლია, არა თუ

სხვისთვის ხელის გამოღება. მან იწინასწარმეტყველა ხელისუფლებაში ისეთი ტიპების ბატონობა, როგორიც არის ჯაყო და ბევრი სხვა რამ.

ახლებურად უნდა შევისწავლოთ ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია და ბევრი სხვა.

ბევრია დაწერილი, მაგრამ მთელი სიღრმით არ არის დანახული ისეთი დიდი პოეტი, როგორიც არის გალაკტიონ ტაბიძე. ასე, რომ ამ მხრივ უამრავი სამუშაოა. ამასთანავე, ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოები სრულიად სხვაგვარ ახსნა-განმარტებას მოითხოვს. სრულიად სხვა კუთხით მიწოდებაა საჭირო მკითხველისათვის; ეს მომავლის პრობლემებია. მაგრამ ხანდაზმულმაც და ყმაწვილმაც ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენ გვაქვს, არ დარჩეს მიჩქმალული, ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები იყოს. ამდენად, მე მგონია, რომ ჩვენი მწერლობის დიდი სიმდიდრე ჯერჯეროზით დამალული გვაქვს ჩვენდა უნებლიეთ.

შესასწავლია ისიც, თუ როგორ აისახა მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში მარადიული პრობლემები: სიყვარული და სიძულვილი, პატიება და შურისგება, სიკეთე და ბოროტება, მადლი და ცოდვა და ა.შ. ამის შესახებ ჯერჯეროზით თითქმის არაფერი დაწერილა.

კორესპ. – ბატონო აკაკი, ამ თვალსაზრისით, ალბათ, ყველაზე ძნელი იქნება დადგენილი ნორმების, აი, როგორც, ვთქვათ, მექი ვაშაკიძის შემთხვევაში იყო, ამის შეცვლა.

ა.ბ. – რა თქმა უნდა, ძნელი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველგვარი სტანდარტული ფორმულა ადამიანის თავში დიდხანს რჩება და მათგან გათავისუფლება უჭირს ყველას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ეს ყველაფერი დაიშალოს და სრულიად ახლებურად წარმოდგეს ის, რაც გვაქვს.

«კოლხეთის ცისკართან» დაკავშირებით მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი. თქვენც დაასახელეთ ამ საუბარში ეს წერილი _ «უღირსებო კაცი». ამ მხრივ ლაპარაკის გაგრძელება აღარ ღირს. დავამატებ მხოლოდ იმას, რომ თუ «კოლხეთის ცისკარს» ისე წაიკითხავთ, მაშინ იგი უაღრესად მნიშვნელოვანი მხატვრული დოკუმენტია ეპოქისა. ამგვარი თავიდან წასაკითხი თხზულების ბევრი ნიმუშის დასახელება შეიძლება ქართული საბჭოური ლიტერატურიდან. მაგრამ მათ რკალში არ შეიძლება შევიტანოთ «გვადი ბიგვა». განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინალს. როდესაც გვადი ბიგვა არჩილ ფორიას მოკლავს, მთელი სოფელი მორბის შემთხვევის ადგილას და მათ შორის _ გვადი ბიგვას ბავშვებიც. აქ გვადი მარიამს ეუბნება: სისხლი არ დაანახოთ ბავშვებს, სისხლი. ეს ფინალი სრულიად სხვაგვარად წარმოაჩენს იმას, რაც «გვადი ბიგვაში» დაიხატა. აქ არის სწორედ გვადი ბიგვა ამაღლებული. ამ უქნარა და არაფრისგამკეთებელი კაცის სულში უკეთილშობილესი პიროვნება აღმოჩნდა, მას არ უნდა სისხლი დაინახონ მისმა შვილებმა, არ უნდა დაინახონ ის ტრაგედია, რომელიც მას ნებით თუ უნებლიეთ შეემთხვა. აი, ეს არის ამ ნაწარმოებში მთავარი. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ქალს, რომელსაც გვადი ბიგვა მიმართავს, მარიამი ჰქვია სახელად. ეს არ არის შემთხვევითი. ლეო ქიაჩელი უდიდესი ოსტატი იყო პერსონაჟებისათვის სახელების დარქმევისა. გვადი ბიგვას სხვა სახელს ვერაფრით ვერ შეურჩევთ. ვერც უჯუშ ემხას. ემხა ამ გვარის აფხაზური ფორმაა. მისი ქართული ფორმა ემხვარია, მაგრამ ვერაფრით ვერ იტყვით უჯუშ ემხვარი. იგი აუცილებლად ემხა უნდა იყოს. მაგრამ ასევე არაფრით არ შეიძლება თქვათ თარაშ ემხა (კ.გამსახურდიას «მთვარის მოტაცება»). თარაში უთუოდ და უთუმცაოდ ემხვარია. ჰაკი აძბაც ამგვარადვე მონოლითურად შეკრული სახელი და გვარია. როგორც უნდა მოინდომოთ, მას ვერ

დაშლით. პერსონაჟის სახელისა და გვარის ასეთი ზუსტი შერჩევა ნიჭიერებასთან ერთად, დიდი მხატვრული კულტურის გამოვლენაა. დიდად სამწუხაროა, რომ დღევანდელ პროზაში ეს კულტურა იკარგება.

კორესპ. – ახლებურად გაშუქების პრობლემა, ალბათ, განსაკუთრებული სიმწვავით სკოლებში დადგება?

ა.ბ. – რა თქმა უნდა...

კორესპ. – შესწავლას თუ ამდენი ხანი მოუნდა, წარმოვიდგინოთ რამდენი დრო დასჭირდება სახელმძღვანელოს შედგენას და მერე იმის დანერგვას სკოლაში?

ა.ბ. – სახელმძღვანელოების პრობლემა, საერთოდ, ურთულესი პრობლემაა. სახელმძღვანელოს დაწერა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე გამოკვლევისა, თუნდაც იმიტომ, რომ როცა სახელმძღვანელო იწერება, ყველა საკითხი, მონოგრაფიულად უკვე უნდა იყოს შესწავლილი. სახელმძღვანელოში ყველა აზრი ძალიან მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ის ახალგაზრდას გასაგებად და მკაფიოდ უნდა მივაწოდოთ. ამ მხრივ ჩვენ ძალიან დიდი სიძნელის წინაშე ვდგავართ. სახელმძღვანელოები არ იცვლება. ეს სწორედ იმის ბრალია, რომ ურთულესი საქმეა სახელმძღვანელოს დაწერა. შესაძლებელია ძალიან ნიჭიერი ლიტერატორი იყოს ადამიანი, მაგრამ სახელმძღვნელო ვერ დაწეროს. სახელმძღვანელოს ავტორს ერთნაირად უნდა ჰქონდეს პედაგოგის, მეცნიერის და მწერლის ნიჭი. სახელმძღვანელოს უნდა ჰქონდეს ესთეტიკური ღირებულებაც, შემეცნებითიც და პედაგოგიურ-აღმზრდელობითიც.

კორესპ. – ძალიან შორეულ მომავალში ხომ არ გადაიწევს ამ საქმის მოგვარება?

ა.ბ. – სიძნელემ არ უნდა შეგვაშინოს. ჩვენ შეძლებისდაგვარად უნდა ვეცადოთ ყველაფრის გაკეთებას. მერე უფრო ნიჭიერი ადამიანები მოვლენ და ისინი უკეთ გააკეთებენ. ჩვენ ჩვენი ვალი უნდა მოვიხადოთ, თუნდაც იმიტომ, რომ წინა კაცი უკანას ხიდია.

კორესპ. – ხომ შეიძლება სკოლაში ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებზე მოსწავლეებს სხვადასხვაგვარი აზრი მივაწოდოთ?

ა.ბ. – შეიძლება, რატომ არ შეიძლება, მაგრამ აქ უკვე დიდი როლი ენიჭება მასწავლებელს. მან უნდა მიაწოდოს ეს განსხვავებული აზრები ისე, რომ მოწაფეს შესაძლებლობა ჰქონდეს, თვითონ აირჩიოს რომელიც მოსწონს. ეს უკვე მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული.

საერთოდ, ლიტერატურის, ფილოსოფიის, ისტორიის სწავლებისას ერთი აზრის აკვიატება მიუღებელია. ეს ადამიანის გონებრივ სამყაროს აღარიბებს, ადამიანი მრავალ აზრს უნდა იცნობდეს, რომ მერე მან თავად აირჩიოს ის, რაც მისთვის უფრო მისაღებია. მე რომ მკითხოს კაცმა, სკოლა ვერ მისცემს ახალგაზრდას ცოდნას. ცოდნაში იმდენი რამ იგულისხმება, რომ ის არ შეიძლება მოთავსდეს რომელიმე ერთ სახელმძღვანელოში ან იმ პერიოდში, რომელიც სკოლაში უნდა გაატაროს ახალგაზრდა კაცმა. სკოლამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს აზროვნების უნარი, ასწავლოს მეცნიერების სიყვარული. მერე მოწაფე თვითონ შეიძენს ცოდნას, თუ რაიმე არსებითი ნაკლი აქვს ჩვენს სკოლას, სწორედ ის არის, რასაც ცოდნის სიყვარულის ვერჩანერგვა ჰქვია. აი, ამ უმძიმეს მანკიერებას უნდა დააღწიოს სკოლამ როგორმე თავი.

კორესპ. – ბატონო აკაკი, სიტყვა მასწავლებელზე ჩამოვარდა და ბარემ აქვე ვთქვათ პედაგოგიკაში ნოვატორობაზე. როგორია თქვენი აზრი?

ა.ბ. – მართალი გითხრათ, მე დიდი მცოდნე არ გახლავართ პედაგოგიკისა და უხერხულიც კია ჩვენგან ამ საკითხზე მსჯელობა, მაგრამ შემიძლია შემდეგი მოგახსენოთ: ვფიქრობ, რომ დღევანდელი სკოლა თავისი სტრუქტურით, თავისი შინაარსით, თავისი აღნაგობით აღარ შეესაბამება ჩვენს დროს. იგი მოძველებულად

გამოიყურება. უკვე მიუღებელია კოლექტიური სწავლების ის მეთოდი, რომელიც დღეს სკოლაში ბატონობს, როცა ერთ კლასში 30-40 მოწაფე ზის. ურთიერთობა მოწაფესა და მასწავლებელს შორის უფრო ინტიმური უნდა გახდეს, უფრო ვიწრო წრეში უნდა მიმდინარეობდეს სწავლება. ეს ერთი. მეორეც: სკოლა აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს იმ ტვირთისაგან, რომელიც დღეს აწევს. დღეს მოსწავლეები იძულებული არიან უამრავი საგანი უზარმაზარი სახელმძღვანელოებით ისწავლონ. რა საჭიროა, მაგალითად, რომ ყმაწვილმა, რომელიც ფიზიკას კარგად სწავლობს, აუცილებლად ისტორიაც კარგად ისწავლოს და პირიქით. რა საჭიროა, თუ მოწაფე ქიმიაში წარჩინებულია, გეოგრაფიაშიც წარჩინებული იყოს? რატომ ვაიძულებთ ბავშვებს ყველა საგანი ფრიადზე ისწავლონ? სინამდვილეში ხომ ეს შეუძლებელია? მაშასადამე, ვაიძულებთ მასწავლებელსაც და მოწაფესაც იყალთაბანდონ. განა არსებობს რომელიმე გამოჩენილი მეცნიერი, რომელმაც მეცნიერების ყველა დარგი იცის? ასეთები არ არსებობენ. სკოლაში მოწაფეები რატომ უნდა იყვნენ ამგვარ უღელქვეშ? სრულიად გაუგებარია. ჩვენ 10-11 წლის მანძილზე მოწაფეს ვასწავლიდით თითქმის ყველაფერს და სინამდვილეში კი არაფერს. ყველა საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფაქტიურად არის წერა-კითხვის მცოდნე. ამიტომ ჩვენ აუცილებლად უნდა გავათავისუფლოთ ჩვენი ბავშვების გონება იმ მძიმე ტვირთისაგან, რომელსაც დღეს ატარებენ. მაშინ სწავლაც უფრო ლაღი გახდება. ისიც უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის სრულიად გაუგებარია რატომ ვებრძვით რეპეტიტორობას. თუ რეპეტიტორი წესიერი კაცია, მას დიდი პატივისცემით უნდა მოვექცეთ, რადგან ის აძლევს ახალგაზრდას ჭეშმარიტ ცოდნას. თუ ის თაღლითია, მაშინ სხვა საქმეა. თაღლითი უნდა გამოვარჩიოთ წესიერი ადამიანისაგან, დავსაჯოთ კიდეც, მაგრამ რეპეტიტორობა, როგორც მოვლენა, არ უნდა უარვყოთ.

კორესპ. – ალბათ, სკოლის ფუნქციის დაკნინების ფონზე გამოჩნდა მაინც რეპეტიტორობა საშიშ მოვლენად...

ა.ბ. – თუკი სკოლამ ფუნქცია დაკარგა, ეს რეპეტიტორის ბრალი არ არის. ამაზე ვიფიქროთ – რატომ დაკარგა სკოლამ ფუნქცია. ბავშვს აქვს ინსტინქტი და ის ყველაფერს ხვდება. როდესაც ბავშვი რაღაცაზე უარს ამბობს, ამას ძალიან სერიოზული დაფიქრება სჭირდება. როდესაც მას რაღაც არ აინტერესებს, უნდა მივხვდეთ, რომ ის აშკარად უინტერესოა.

უფროს თაობას ხელმძღვანელობის პრეტენზია აქვს. მაგრამ ერთი რამ ავიწყდება: რომ უხელმძღვანელო, ძალიან კარგად უნდა გესმოდეს იმისა, ვისაც ხელმძღვანელობ. სამწუხაროდ, ჩვენ ჩვენი ბავშვების არ გვესმის. ვერ გავიგეთ, რომ დრო და გარემო შეიცვალა. ახლა ჩვენს ბავშვებზე ჩვენ კი არ ვახდენთ გავლენას, არამედ უცხოეთი. ტელევიზიამ, ვიდეომ, ინფორმაციის სხვა წყაროებმა (თუნდაც უცხოეთიდან შემოტანილმა წიგნებმა, ჟურნალებმა) დაიწყეს ჩვენი ახალგაზრდობის ცნობიერების ჩამოყალიბება. ჩვენ აღარ შეგვიძლია უცხოური გავლენის წინააღმდეგობა. ვაღიაროთ ეს აღარ შეგვიძლია იმიტომ, რომ უცხოური გავლენის წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენ დამალვით, ტყუილით, მიჩქმალვით ვეწეოდით, ახლა, თანამედროვე ინფორმაციის წყაროებმა შეუძლებელი გახადა დამალვა, ტყუილი, მიჩქმალვა. ჩვენ ხელცარიელი დავრჩით. ნამდვილი ბრძოლა სხვაგვარად უნდა ხდებოდეს: მოვიდა უცხოეთიდან ტანსაცმელი, უკეთესი უნდა დაახვედრო, მოვიდა მუსიკალური ნაწარმოები, უკეთესი უნდა დაახვედრო, მოვიდა ფილმი, უკეთესი უნდა დაახვედრო და ა.შ. ჩვენ ეს არ შეგვიძლია. ყველაფერი იმათი ჩვენსას სჯობს. ბავშვები ამას თვალნათლივ ხედავენ. ჩვენ კი ჩავჩიჩინებთ _ გინდა თუ არა, დაიჯერეთ, ჩვენ უკეთესები ვართო. ამას რომ ხედავენ და ისმენენ ჩვენი ბავშვები _ მათ ვეცოდებით კიდეც ჩვენ და ჩვენს უმწეობასაც

ნათლად ხედავენ. ამის გამო უფროსი და უმცროსი თაობა გაითიშა. შვილებმა მამების რწმენა დაკარგეს, სანამ ამას ღრმად არ გავაცნობიერებთ, ვერ ამოვავსებთ იმ ხევს, რომელიც ჩვენსა და ჩვენს შვილებს შორის გაჩნდა. სკოლამაც ამის გამო დაკარგა ავტორიტეტი.

კორესპ. – ბატონო აკაკი, თქვენ მრავალ მტკივნეულ საკითხზე ისაუბრეთ, მაგრამ რა მიგაჩნიათ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ყველაზე უფრო საჭირბოროტოდ, პირველ რიგში მოსაგვარებელ პრობლემად?

ა.ბ. – ბევრი რამ არის, რაც ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. რა მძიმეც უნდა იყოს ამის თქმა, მაინც უნდა გითხრათ: დღევანდელი საქართველო, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩამორჩენილი ქვეყანაა. ისეთი პატარა ქვეყნების ფონზე, როგორიცაა ფინეთი, ნორვეგია, დანია და სხვები, ჩვენ ძალიან ჩამორჩენილად გამოვიყურებით. ამ სამწუხარო ფაქტზე არავინ წერს, არავინ ეძებს გზებსა და საშუალებებს, რომ ჩვენ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ. ეს ერთი მთავარი პრობლემათაგანია, რომელიც უნდა აწუხებდეს ყველას – მთავრობასაც და საზოგადოებასაც. თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდება, არ არის გამორიცხული, რომ ამ ჩამორჩენილობიდან თავი ვეღარც დავაღწიოთ. დაგროვდება იმდენი პრობლემა, რომ ვეღარ მოვახერხებთ მათ მოგვარებას. უკვე განგაშის ატეხაა საჭირო.

ერთ კონკრეტულ საკითხს შევეხები. ეს გახლავთ ის, რასაც უწოდებენ კომპუტერიზაციას (დიახ, კომპუტერი და არა კომპიუტერი). ეს არის მოვლენა, ურომლისოდაც დღევანდელი საზოგადოების არსებობა უკვე შეუძლებელია. დღეს კომპუტერი ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში, როგორც ტელეფონი. ჩვენთვის კი ეს ჯერ შორეული ოცნებაა. კომპუტერიზაციის მიმართულებით სასწრაფოდ უნდა გადაიდგას ნაბიჯი წინ. ამაზე ბევრიც იწერება და, ალბათ, კეთდება კიდეც. მაგრამ უნდა დავსვათ კითხვა: როცა მართლა დაიწყება კომპუტერიზაცია, რა ენაზე იმუშავებენ კომპუტერები? ამ კითხვას ტყუილად არ ვსვამ. ჩვენ არ გვაქვს უბრალო, ხელით საბეჭდი მანქანების მრეწველობაც კი. კუსტარული მეთოდით ვცვლით რუსულ ასოებს ქართულით და ასე ვიყენებთ მათ. კომპუტერი რთული მანქანაა. მას ამგვარი კუსტარული ხერხით ვერ გააკეთებ. მაშასადამე, აუცილებელია საკომპუტერო მრეწველობის შექმნა ჩვენში. თუ ეს არ მოხდა, თუ ქართულად მეტყველი კომპუტერები არ შეიქმნა, არსებითად ქართული სკოლა, ქართული უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციას დაკარგავს. ფიქრობენ, ზრუნავენ ამაზე ჩვენი მეცნიერები? არ ვიცი. ამის თაობაზე ჯერჯერობით არსად არაფერი წამიკითხავს. არადა, ეს გადაუდებელი საქმეა. თუ ეს პრობლემა არ მოვაგვარეთ, თანამედროვე ტექნიკამ შეიძლება გააკეთოს ის, რაც ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ გააკეთა: ქართული ენა გადააქციოს პატუა-ენად (შინსახმარ ენად).

კორესპ. – ბატონო აკაკი, რადგან თანამედროვე პრობლემებზე ვსაუბრობთ, იქნებ იმაზედაც მოგვახსენოთ, როგორია თქვენი აზრი დღევანდელ ვითარებაში წარმოჩენილი სიახლეების შესახებ, თქვენი დამოკიდებულება, თუნდაც უთუოდ გამოცოცხლებული, განსაკუთრებით საკავშირო პრესის მიმართ. რას ხედავთ საინტერესოს და რა მიგაჩნიათ მიუღებლად?

ა.ბ. – რა თქმა უნდა, აუცილებელია გულახდილი საუბარი და სსრკ-ის უახლოესი წარსულის ყოველმხრივი შესწავლა. მისი კარგისა და ავის ჩვენება. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ შურისძიების გრძნობისაგან იქნებიან ადამიანები თავისუფალი. სიტყვა «შურისძიება» შემთხვევით არ მიხსენებია. რაც თავის დროზე ხრუშჩოვმა გააკეთა, ეს იყო წმინდა წყლის შურისძიება და არა რაიმეს გამოსწორებისათვის ჩადენილი საქციელი. ჯერ ერთი, ხრუშჩოვს არ ჰქონდა სტალინის

კრიტიკის უფლება – იმიტომ, რომ იგი მონაწილე იყო ყველა იმ საქმის, რასაც სტალინი აკეთებდა. თუ ის, რასაც სტალინი აკეთებდა, ბოროტმოქმედება იყო, ხრუშჩოვი ამ ბოროტების უაქტიურესი მონაწილე იყო. მაგრამ ხრუშჩოვს, როგორც თავად აღიარა, სტალინი ამასხარავებდა, აპამპულებდა. სიცოცხლეში ვერაფერი გაუბედა, რაკი ხრუშჩოვი სტალინის ყურმოჭრილი ყმა იყო. როცა სტალინი გარდაიცვალა, მაშინ იშოვა დრო და დაგროვილი ბოღმა ამოანთხია. ბოღმით გონდაკარგული ადამიანი კეთილს ვერ გააკეთებს. მეორეც, ხრუშჩოვი, როცა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, ძველებურად აგრძელებდა მის მიერ «უარყოფილ» გზას – 1956 წლის მარტში თბილისში გაჟუჟა უდანაშაულო ბავშვები, იმავე წელს სისხლში ჩაახრჩო უნგრეთის ამბოხება, მოაწყო პასტერნაკის რბევა და დევნა, მოქანდაკე ნეიზვესტნის წვერებში წვდა და გაცოფებულმა ლამის მოგლიჯა. ასეთი პიროვნება სიმართლისა და სამართლიანობის მქადაგებლად არ გამოდგება. ძველის უარყოფას და ახლის შექმნას წმინდა ხელები უნდა და არა სისხლში ამოსვრილი. ძველის უარყოფა და ახლის შექმნა მაშინ შეიძლება, როცა იმას გავაკეთებთ, რასაც ვამბობთ, თორემ თუ ერთი ვთქვით და მეორე ვაკეთეთ, ამით არაფერი შეიცვლება. ძველ საფუძველზე ახლის აშენება შეუძლებელია.

კორესპ. – ჩვენი საუბრიდან გასაგებია, მაგრამ მაინც ვის უწოდებთ მამულიშვილს, როგორ ადამიანს?

ა.ბ. – რამდენიმე პიროვნებას დავასახელებ და გასაგები გახდება, როგორია ჩემი წარმოდგენა ერისკაცზე. ერისკაცები იყვნენ _ გრიგოლ ხანძთელი, ცოტნე დადიანი, სულხან-საბა ორბელიანი, თერგდალეულები, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი... რა თქმა უნდა, არაფერს ვამბობ ისეთ გიგანტებზე, როგორიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი. თუ საქართველომ ყველაფერს გაუძლო და დღესაც ცოცხლობს, შრომობს, ქმნის, იბრძვის, ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყნის არსებობა ეყრდნობა სამ ბურჯს _ დავით აღმაშენებელს, თამარს და რუსთაველს. ეს ზოგადად. ახლა მინდა, ერისკაცობის კუთხით შევეხოთ ერთ პრობლემას, რომელიც, ჩემი ფიქრით, დაუყოვნებლივ მოითხოვს მოგვარებას. ეს პრობლემაა სამხრეთ საქართველოს ნასოფლარების, ნადაბარების აღდგენა-აღორძინება. ამჟამად არ არსებობს უფრო დიდი ეროვნულისაქმე, ვიდრე სამხრეთ საქართველოს პრობლემის მოგვარებაა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ სამხრეთ საქართველო იყო ქართული კულტურის გული. მარტო ის რად ღირს, რომ ამ მხრიდან იყვნენ დიდი მთაწმინდელები _ იოანე, ექვთიმე, გიორგი, შოთა რუსთაველი და მრავალი სხვანი. ამ კუთხეში მოხდა კოხტასთავის შეთქმულება. ამ კუთხეში შეიქმნა ქართული სამართლის დიდებული ნიმუშები, ხუროთმოძღვრების ძეგლები... ერთი სიტყვით, ბევრი მტკიცება არ უნდა იმას, რა მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს სამხრეთ საქართველოს მთელი ჩვენი სამშობლოსათვის. ამიტომ უპირველესი საქმეა ამ კუთხის აღორძინება.

ერი ყოველთვის არ უნდა უცდიდეს მთავრობის დადგენილებას, მის გადაწყვეტილებას. ხალხს თავად შეუძლია ბევრი რამის მოგვარება. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ სრულიად სერიოზულად გეუბნებით: რამდენი კაცი იქნება დღეს საქართველოში, ვისაც უთვალავი ფული აქვს? დამერწმუნეთ, რომ ძალიან დიდია მათი რიცხვი. თუ გამოვიყენებთ, ამ ფულიან ადამიანებს ბევრი დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ. მაგრამ დუმან, ფულები გადამალული აქვთ, ეშინიათ, ყველას სატუსაღოში ჩაგვყრიანო. მართლაც ვიჭერთ, მაგრამ რა გამოდის ამ დაპატიმრებიდან? არაფერი, ისევ ძველებურად გრძელდება სახელმწიფო ქონების პარვა, ფლანგვა, ნაირნაირი კომბინაციები. ციხის შიშით არავის შეუწყვეტია საქმოსნობა. იქნებ სჯობდეს, ისინი რაიმე ეროვნულ საქმეში ჩავაბათ და უწესოდ ნაშოვნი ფული აუცილებელი და გადაუდებელი საკითხის მოსაგვარებლად დავხარჯოთ? მე რომ ამის უფლება მქონდეს,

შევქმნილი სამხრეთ საქართველოს ასაღორძინებლად მებრძოლ ქართველ საქმოსანთა ასოციაციას. რა გაცინებთ, თქვენ გგონიათ მათ პატრიოტული გული არ უძგერთ? უძგერთ, ოღონდ შიშის გამო ხმას ვერ იღებენ. გაათავისუფლეთ ისინი ამ შიშისგან და ნახავთ _ რას მოიმოქმედებენ. საქმეში ის კაცი უნდა ჩააბა, ვისაც ფული აქვს, თორემ უფულო მარტო ლაპარაკით წაგჭამს თავს. ხომ ვიყენებთ ამ საქმოსნებს, მაშინ, როცა თბილისის «დინამოსათვის» რომელიმე ცნობილი ფეხბურთელის შოვნა დაგვჭირდება!.. გამოვიყენოთ უფრო დიდი ეროვნული საქმისათვის.

ასე, რომ ის კაცი, ვინც სამხრეთ საქართველოს აღორძინების საქმეს ჩაუდგება სათავეში და განახორციელებს კიდეც, უდიდესი ერისკაცი იქნება.

ისიც უნდა დავამატო, რომ, რაკი ახლა რუსთაველის საზოგადოება შეიქმნა, მისი უმთავრესი საზრუნავი სამხრეთ საქართველოს მოვლა-პატრონობა უნდა იყოს.

კორესპ. – დიდი ხანი არ არის, რაც კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბრძანდებით. თუ გამოიკვეთა უკვე მომავალში რა მიმართულებით წარიმართება თქვენი მუშაობა?

ა.ბ. – მე ვთვლი, რომ ამაზე საუბრის უფლება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მექნება. ჯერ საქმე უნდა გააკეთოს კაცმა და მერე ილაპარაკოს.

კორესპ. _ რა იქნება თქვენი მთავარი სათქმელი ქართველი მკითხველის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის მიმართ?

ა.ბ. – ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანას ვეკუთვნით. თითოეულმა თავისი ნიჭი და უნარი მთლიანად მას უნდა მოვახმაროთ. თუ თავის მოვალეობას ყველა პირნათლად მოიხდის, ეს ერის სამსახური იქნება. მაშინ არსებული სინამდვილეც უკეთესი გახდება და საერთო საქმეც წინ წავა.

ჟურნ. «ცისკარი»,
№7, 1988.

გვიანღა იქნება

ქეთევან სადღობელაშვილი _ ბატონო აკაკი, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ერთიანი ეროვნული ცნობიერების დაკარგვა?

აკაკი ბაქრაძე _ ამას ხანგრძლივი ისტორია აქვს. როცა ერთიანი ქართული ეროვნული სახელმწიფო დაინგრა, ამას თანდათან მოჰყვა ერთიანი ეროვნული ცხოვრების რღვევაც, ჩაკეტვა კუთხურობის ჩარჩოში. თავის დროზე ქრისტიანულმა რელიგიამ დიდი როლი შეარულა ქართველთა ერთი რწმენით, ერთი შეგნებით გაერთიანებაში. მაგრამ მერე, ისევ ისტორიული ცხოვრების ბედისწერის გამო, დაირღვა ჩვენი რელიგიური ერთიანობაც. ქართველთა ერთი ნაწილი მაჰმადიანი გახდა. თუ გავითვალისწინებთ რა ტერიტორიაზე გავრცელდა ისლამი (მესხეთი, აჭარა, ტაო-კლარჯეთი, საინგილო და სხვ.), მაშინ შეიძლება გვეთქვა, რომ თითქმის ნახევარი ქართველი მოსახლეობისა მუჰამედის რჯულის მიმდევარია. ამას დაერთო ისიც, რომ საქართველოში ფეხი მოიკიდა კათოლიკობამაც. ყველაფერი ეს სწორედ იმას მოწმობს, რომ ქართველი ხალხი რელიგიურად ერთიანი არ არის. რაკი გარკვეულ პერიოდში სარწმუნოება გაიგივებული იყო ეროვნებასთან, ცხადია, მართლმადიდებელი ქართველი კათოლიკე ქართველს ქართველად აღარ თვლიდა («ფრანგს» ეძახდა) და, მით უმეტეს, მაჰმადიან ქართველს («თათარს» ეძახდა). სამწუხაროდ და სავალალოდ, ამგვარი უკუღმართი დამოკიდებულება დღესაც არ არის აღმოფხვრილი, მიუხედავად იმისა, რომ ათეისტურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ.

დავქუცმაცდით ტერიტორიულადაც. არ ვგულისხმობ მხოლოდ იმ მიწა-წყალს, რომელიც საქართველოს საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა. სხვა მოვლენებზე მინდა ვილაპარაკო. ვინც დაკვირვებია, ნათლად დაინახავდა, რომ უცხო მოსახლეობით ყველაზე მეტად, საქართველოს პროვინციათა შორის, ქართლია დასახლებული. ეს დასახლებანი მიმართულია, ერთი მხრით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და საქართველო-სომხეთს შორის არის მოქცეული, ხოლო მეორე მხრით მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და იმერ და ამიერ საქართველოს შორის მდებარეობს. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ამას მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანი აქვს.

როცა ბიზანტიის დამხობის შემდეგ, აღმოსავლეთის ორი პატარა ქრისტიანული სამეფო _ საქართველო და სომხეთი _ ისლამურ გარემოცვაში მოექცა, სპარსეთ-თურქეთის თავკაცებმა გადაწყვიტეს საქართველოსა და სომხეთის გათიშვა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მათი ტერიტორიული დაშორიშორება, მათ შორის რელიგიურად და ეროვნულად განსხვავებული ხალხით დასახლებული კორდონის არსებობა. ამიტომ დაიწყეს საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ზოლში უცხო ტომის გამალებული დასახლება. ამით სპარსეთ-თურქეთი უზომოდ ასუსტებდა საქართველოსაც და სომხეთსაც.

ეს ამოცანის ერთი მხარე იყო. მეორე მხარე გახლდათ ის, რომ უნდა გაეთიშათ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოც. უნდა გაეთიშათ არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეროვნულადაც და ტერიტორიულადაც.

თუ ბოლომდე არა, ნაწილობრივ მაინც, საქართველოს მტრებმა მიზანს მიაღწიეს: შექმნეს არაქართული მოსახლეობით დასახლებული კორდონები.

საქართველოში რუსთა მმართველობის დამყარების შემდეგ, მართალია, ტერიტორიული გაერთიანება მოხდა, მაგრამ დამპყრობელი ყოველ ღონეს ხმარობდა სულიერად გაეთიშა ქართველი ხალხი. ამ მიზნით გაუქმდა ჯერ ჩვენი ქვეყნის სახელი «საქართველო» და მის მაგიერ გაჩნდა გუბერნიები და ოლქები. მერე ქართულ ეკლესიას ჩამოერთვა დამოუკიდებლობა და აიკრძალა ქართული წირვა-ლოცვა. სკოლიდან განიდევნა ქართული ენა, სხვადასხვა ცნობარებსა და წიგნებში ქართველი ეწოდებოდა მხოლოდ ქართლ-კახეთის მოსახლეობას, დანარჩენი ქართველები კი გამოცხადდა არაქართველებად. იდევნებოდნენ ქართველი მაჰმადიანები და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მათ, დაეტოვებინათ საქართველო და ისლამურ ქვეყნებში გადასახლებულიყვნენ. ხოლო მიტოვებულ ტერიტორიაზე დაესახლებინათ იმპერიისათვის უფრო საიმედო უცხო ხალხი. ე.ი. გრძელდებოდა სპარსეთ-თურქეთის წამოწყებული საქმე საქართველოს მოსახლეობის აჭრელებისა.

მე-19 საუკუნეში, რა თქმა უნდა, ქართველი მოღვაწეები ებრძოდნენ მტრის ამ შემოტევას, მაგრამ ძალთა შეფარდება მეტისმეტად არათანაბარი იყო. ცხადია, ვითარება საქართველოს სასარგებლოდ არ შეცვლილა. ამიტომ დაირღვა ჩვენი ერთიანი, მთლიანი ეროვნული ცნობიერება.

ქ.ს. – ბატონო აკაკი, თქვენი მტკივნეული სიტყვებიდან გამომდინარე, დღევანდელობას უამრავი პრობლემა მემკვიდრეობით მიუღია. თითზე კბენანი კი ვეღარას გვიშველის. არადა, დაბნეულია ჩვენი თაობა, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?

ა.ბ. _ დღეს უპირველესი ამოცანა სწორედ ის არის, რომ ისტორიის მიერ დანატოვარი ეს უმძიმესი მდგომარეობა როგორმე შევცვალოთ. თუ ვერ შევცვლით, ქართველ ხალხს უდიდესი საფრთხე ემუქრება. როცა დემოგრაფიაზე ვლაპარაკობთ, ეს არ უნდა გამოგვრჩეს და მთელი გულისყური უნდა მივაპყროთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა განსახლების პრობლემას.

ყველა ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხის შინაგან მიგრაციას. ამ პროცესზე დიდად არის დამოკიდებული ერისა და ქვეყნის ბედი. გასულ საუკუნესა და მე-20 ასწლეულის დასაწყისში ვაჟა-ფშაველამ უდიდესი საქმე გააკეთა, როცა არაგვის ხეობის მოსახლეობის ნაწილი შირაქში ჩაასახლა. იმითაც უდიდესი ეროვნული საქმე გაკეთდა, როცა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი დღევანდელ ლაგოდეხის რაიონში დაასახლეს. ეს ისე მოხდა, რომ იმ რეგიონებს არაფერი დაჰკლებია, საიდანაც მოსახლეობა წამოვიდა და ახალი რეგიონებიც ქართული მოსახლეობით შეივსო. დღეს ამ ძველი გამოცდილებით უნდა ვისარგებლოთ და პრობლემა ჭკვიანურად უნდა მოვაგვაროთ. ისე არ უნდა მოვიქცეთ, როგორც სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ მოვიქეცით, როცა მოსახლეობას ერთი რეგიონიდან მეორეში მათრახებით მივერეკებოდით. ვითომ ახალ მიწა-წყალს ვითვისებდით, ძველს კი საშვილიშვილოდ ვაპარტახებდით.

სულ ახლახან, აღორძინებული ხორნაბუჯის კურთხევა რომ მოხდა, ითქვა: ქართული ნასოფლარებისა და ნასახლარების რუკა შევადგინოთო. დაუწყია კიდეც ისტორიის ინსტიტუტს ამ რუკის შედგენა. დიდი ცოდნა არ არის საჭირო იმისათვის, რომ მიხვდე _ ამ რუკაზე ყველაზე დიდი რაოდენობით ნასოფლარი, ნასახლარი, ნადაბარი და ნავენახარი, საერთოდ პარტახი, იქნება სამხრეთ საქართველოში, ანუ გაჩიან-გარდაბან-საბარათიანო-თრიალეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. ჩვენი მტრები საუკუნეების მანძილზე სამხრეთიდან მოდიოდნენ და, ბუნებრივია, პირველი მათ სამხრეთ საქართველოს ისტორიული მოსახლეობა ეგებებოდა. ყველა ჭირი და უბედურება მან გადაიტანა. თუ საქართველო გადარჩა, ამაში ლომის წილი სამხრეთ საქართველოს ისტორიულ მოსახლეობას ერგება. ჩვენი უწმინდესი ვალი ის არის, რომ სამხრეთ საქართველოს ძველი ჭრილობა მოვურჩინოთ. აღვადგინოთ ის, რაც მტერმა და დრომ გაანადგურა, დავასახლოთ ქართველებით, ვისაც ეს მიწა-წყალი კანონიერად და სამართლიანად ეკუთვნის. საქართველოს ყველა კუთხიდან უნდა მოაშუროს ამ მხარეს ქართველობამ, რომ კვლავ ძველებურად ჟღერდეს აქ ქართული ენა, სიმღერა, ცეკვა-თამაში, დამკვიდრდეს ზნე-ჩვეულება, ცხოვრების წესი, ყოფა. ამასთანავე, ახალმა, აღორძინებულმა ნასოფლარებმა უნდა შეიძინონ 21-ე საუკუნის საქართველოს სახე.

ეს არ უნდა იყოს სურვილი და მისწრაფება მხოლოდ ადამიანთა ვიწრო ჯგუფისა, თუნდაც ხელისუფლებისა. ეს უნდა იყოს სურვილი და მისწრაფება მთელი საქართველოსი, მთელი ქართველი ხალხისა. ამ მისწრაფებაში უნდა გამოვლინდეს ქართველი ხალხის გაღვიძებული, ერთიანი, მთლიანი ცნობიერება.

ქ.ს. – ბატონო აკაკი, ალბათ მიმიხვდით, რომ უმწვავესი დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების პირობებში ჩვენი ინტერესი განსაკუთრებით გამძაფრებულია რუსთაველის საზოგადოების დემოგრაფიისა და ეკოლოგიის განყოფილებისადმი. ამიტომ გთხოვთ, უფრო კონკრეტულად მოგვითხროთ, თუ რის გაკეთებას აპირებს აღნიშნული განყოფილება? როგორ გესმით დემოგრაფიული პრობლემების ნაწილობრივ მაინც დაძლევის გზები?

ა.ბ. – დემოგრაფიული პრობლემების კონკრეტული და საქმიანი გადაწყვეტის მიზნით ახალგაზრდების ერთ ჯგუფს შემუშავებული აქვს დემოგრაფიული ფონდის დაწესება. მე ვიცნობ ამ წესდებას და, ვფიქრობ, რომ იქ კარგად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული _ როგორ უნდა გადაწყდეს ესა თუ ის დემოგრაფიული საკითხი. მალე ეს წესდება გამოქვეყნდება (მოსალოდნელია, სანამ ჩვენი საუბარი დაიბეჭდება, მანამ ეს წესდება უკვე გამოქვეყნდეს) და ყველას ექნება საშუალება გაეცნოს მას და აზრი გამოთქვას მის ავ-კარგიანობაზე.

რაც შეეხება სამხრეთ საქართველოში პარტახის აღორძინებას და ჩვენი ქვეყნის თანაბარ კულტურულ განვითარებას, 1974 წელს «ლიტერატურულ საქართველოში» მე ორი წერილი გამოვაქვეყნე _ პირველი «ჯავახეთო, ჯავახეთო...» და, მეორე, _ «გადაუდებელი საქმე». ამ წერილებს ჩვენი მკითხველი საზოგადოება არ აუღელვებია. ყველა მშვიდად შეხვდა, თუ არ გავიხსენებ ორიოდე კერძო წერილს, რომლებიც შინ მივიღე და ზოგიერთი ოფიციალური პირის დაცაცხანებას _ რა შენი საქმეა ამ საკითხებზე წერა, დაჯექი და ლექსები იკითხეო.

მე დღესაც იმასვე გავიმეორებ, რაც მაშინ ვთქვი:

იმისათვის, რომ სამხრეთ საქართველოს პარტახი აღორძინდეს, აუცილებელია ამ რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობის ძირფესვიანი გამოკვლევა და იქ ახალი საწარმო-დაწესებულებების აშენება (მაგალითისათვის დავამატებ ერთს: ძალიან გონივრულად და აზრიანად მოვიქცეოდით, თუ ტელევიზორების ქარხანა «ივერიას» თბილისში კი არ ავაშენებდით, არამედ სამხრეთ საქართველოში _ მარნეული იქნებოდა იგი, ბოგდანოვკა თუ წალკა. ამ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა დასახლებაც იქვე აიგებოდა. მაგრამ ახლა უკვე დაგვიანებულია. თუმცა, თუ ვინმეს ეს აზრი მოეწონება, ასაშენებელი კიდევ ბევრია და მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ).

თბილისი აუცილებლად უნდა განიტვირთოს, სანამ მისი უთავბოლო ზრდა ჩვენს ბედისწერად არ გადაქცეულა. ამისათვის აუცილებელია თბილისიდან გავიტანოთ ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი და ფაბრიკა-ქარხანა სამხრეთ საქართველოს რაიონულ ცენტრებში. ცხადია, მე მხოლოდ შენობის გადატანას არ ვგულისხმობ _ სტუდენტობის, პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა გაყვანასაც. ცხადია, ეს, რაც ახლა ვთქვი, უმრავლესობის საშინელ აღშფოთებას გამოიწვევს: თვითონ წაეთრიოს, ჩვენ თბილისში თავს დიდებულად ვგრძნობთო. გეხვეწებით, გემუდარებით: დამიჯერეთ, კარგად დავფიქრდეთ. არაფერი ისე საშიში არ არის ახლა ჩვენთვის, როგორც დაუოკებელი სურვილი _ მთელი საქართველო თბილისში ცხოვრობდეს. თუკი შეიძლება ლიტვის საუკეთესო თეატრი პაწია ქალაქ პანევეჟისში იყოს და არა ვილნიუსში, რატომ არ შეიძლება ამგვარი რამ საქართველოში? თუკი შეიძლება ყველაზე სახელგანთქმული კალათბურთელთა გუნდი კაუნასში იყოს და არა ვილნიუსში, რატომ არ შეიძლება ეს საქართველოში? თუკი შეიძლება მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული უნივერსიტეტი ტარტუში იყოს და არა ტალინში, რატომ არ შეიძლება ეს საქართველოში? კარგი, ბატონო, ჩვენი უნივერსიტეტი განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი კულტურის ისტორიაში და მას ვერ შევეხებით, მაგრამ პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და სხვა უამრავი ინსტიტუტი? დანარჩენმა საქართველომ რა დააშავა? რატომ არ უნდა ენთოს სხვა დაბა-ქალაქებში უმაღლესი განათლების ლამპარი?

ამგვარი გადანაწილება საქართველოში თანაბარი კულტურული დონის შექმნასაც შეუწყობს ხელს და ქართული მოსახლეობის დემოგრაფიულ წონასწორობასაც.

გავაკეთოთ ეს მანამ, სანამ თბილისი ქართველთა რეზერვაციად არ გადაქცეულა და მის გარშემო უცხო ტომის ზღვა არ აბობოქრებულა. როცა ეს მოხდება, მერე გვიანღა იქნება ღვინოში არეული ცრემლების ღაპაღუპი სუფრაზე.

გაზ. «ლიტერატურული საქართველო»,
7 ოქტომბერი, 1988

მე ვემსახურები ჩემს ხალხს

გიგი კორინთელი _ ბატონო აკაკი, სიხარულით შევიტყვეთ, რომ გეოფიზიცის ინსტიტუტმა თქვენ დაგასახელათ სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი?

აკაკი ბაქრაძე _ უპირველესად ის უნდა გითხრათ, რომ სსრკ-ში დეპუტატობა მძიმე მოვალეობა კი არ არის, არამედ _ ჯილდო. კარგად მოწველა ადამიანმა ძროხა, შეიძლება ჯილდოდ დეპუტატობა მისცენ. ბევრი ქვანახშირი მოანგრია, შეიძლება ჯილდოდ დეპუტატი გახდეს. დაწერე კარგი წიგნი, აქაც დასაშვებია დეპუტატობით დაგაჯილდოონ. რა თქმა უნდა, ამას არავითარი კავშირი დეპუტატობასა და მის საქმიანობასთან არა აქვს. ამგვარი დეპუტატებისაგან შემდგარი საბჭო თუ პარლამენტი საქმეს ვერ გააკეთებს. იგი უფუნქციოა და მოჩვენებითი დემოკრატიისათვის არსებობს.

დეპუტატად ყოფნის უფლება იმ პიროვნებას აქვს, ვისაც აქვს პოლიტიკური სახელმწიფოებრივი აზროვნება, აქვს მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური მრწამსი, ჰყოფნის პოლიტიკური გამბედაობა ბოლომდე დაიცვას შეხედულებები, კრედო. უნდა შეძლოს განახორციელოს პრინციპი, რომელიც კოლუმბიელმა მწერალმა მარკესმა გამოთქვა: მე ვემსახურები ჩემს ხალხს და არა ჩემი ხალხის მთავრობას.

გ.კ. – გარდაქმნა რომ სრულად განხორციელდეს, თქვენი აზრით, რა პრობლემებია პირველ რიგში მოსაგვარებელი?

ა.ბ. – ის, რასაც ახლა ვიტყვი, შეიძლება ზოგიერთს უტოპიად მოეჩვენოს, მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ მისი განხორციელება დღევანდელ ვითარებაში სრულიად თავისუფლად შეიძლება.

ახლა, როცა გარდაქმნაზე ამდენი ლაპარაკია, ბუნებრივია, იგი უნდა ეხებოდეს სსრკ-ის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, არამედ პოლიტიკურსაც.

(სხვათა შწორის, «ოგონიოკში» (1989, № 3) უკვე გამოქვეყნდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი მრჩევლის სტუპიშინის პატარა წერილი, სადაც ლაპარაკია საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნაზე ყველა ეროვნულ-ტერიტორიული წარმონაქმნის იურიდიული თანასწორობის პრინციპის შესაბამისად).

სსრკ-ის პოლიტიკურ სტრუქტურასთან დაკავშირებით მე გარკვეული აზრი მაქვს, რომელსაც ახლავე გაგაცნობთ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ სსრკ შედგება მოკავშირე რესპუბლიკებისაგან, რომელნიც, სსრკ-ის კონსტიტუციის თანახმად, სუვერენული სახელმწიფოები არიან. ეს კი სინამდვილეს არ შეეფერება. მოკავშირე რესპუბლიკები არ არიან სუვერენული სახელმწიფოები. თუ მართლა გვსურს გარდაქმნა, უპირველესად მოკავშირე რესპუბლიკათა ურთიერთდამოკიდებულება ჭეშმარიტად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს უნდა დაეფუძნოს. ამ პრობლემის გადაუწყვეტლად ვერ მოგვარდება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის საკითხიც, რაც ამჟამად აქტუალური სჯა-ბაასის საგანია. თუ ეროვნულად არ არის ადამიანი თავისუფალი, ვერც პიროვნულად იქნება თავისუფალი.

ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა მაშინ იქნება სუვერენული, თუ მას ეყოლება საკუთარი არმია, ექნება საკუთარი საგარეო საქმეთა სამინისტრო საკუთარი საელჩოებითა და წარმომადგენლობით უცხოეთში, ექნება საკუთარი სავალუტო ბანკი და ფულის ერთეული, იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. უამისოდ რაიმე სუვერენიტეტზე ლაპარაკი ზედმეტია. ერთი სიტყვით, სსრკ უნდა გახდეს დამოუკიდებელ, სუვერენულ, ეროვნულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი

თანამეგობრობის კავშირი. ჩემი აზრით, ეს დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილებაა. სკკპ ცკ მომავალმა პლენუმმა, რომელიც ეროვნულ საკითხს ეძღვნება, ეს საკითხი უნდა მოაგვაროს და კონსტიტუციურად დაადასტუროს. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ, ბოლოს და ბოლოს, რეალობად იქცეს ლოზუნგი _ ერთა თვითგამორკვევა (ანუ თვითაღდგენა) გამოყოფის უფლების ჩათვლით, რომლის გამოც რუსეთის იმპერიის დაჩაგრული ხალხები სოციალიზმს მიემხრნენ.

უნდა ითქვას ისიც, რომ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ნამდვილი სუვერენიტეტის მინიჭება აუცილებელია იმ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, რაც ახლა სრულიად მოუგვარებელია და რამაც გამოიწვია სსრკ-ის ჩამორჩენა.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა უნდა დაიგეგმოს და აშენდეს იმის შესაბამისად, რის უფლებას და საშუალებას იძლევა მოცემული რესპუბლიკის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, წიაღისეული და მიწისზედა სიმდიდრე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული მეურნეობანი, ერის ისტორიული გამოცდილება. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხები უნდა გადაწყვიტოს მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობამ საერთო სახალხო რეფერენდუმის გზით.

სსრკ-ის სოფლის მეურნეობა დაანგრია მიწის კოლექტიური საკუთრების პრინციპმა. მიწას უნდა ჰყავდეს პატრონი. მისი პატრონი ყველა დროში იყო გლეხი. ამიტომ სსრკ-ში მიწის პატრონი უნდა გახდეს გლეხი. ყველაფერი, რაც მას ხელს უშლის, უნდა გაუქმდეს, სულერთია კოლმეურნეობა იქნება თუ საბჭოთა მეურნეობა. მიწა სამუდამო მფლობელობაში უნდა გადაეცეს გლეხებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი სსრკ-ში სოფლის მეურნეობის ფეხზე წამოდგომა. თუ ასე არ მოხდება, სსრკ-ში სოფლის მეურნეობის სრული კატასტროფა გარდაუვალია. მას იჯარა და სხვა ამგვარი ღონისძიებანი ვერ იხსნის.

XIX საუკუნის ბოლო ხანს, ჩვეულებრივ, პოსტინდუსტრიულ ეპოქას ეძახიან. ამ ეპოქამ უდიდესი საერთაშორისო პრობლემა წარმოშვა _ ეკოლოგიური პრობლემა. ეკოლოგიური თვალსაზრისით, მთელი სსრკ-ც და, კერძოდ, საქართველოც ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას. ამის საბუთია არალის ზღვის პრობლემები. ვინც დაკვირვებით გაეცნო «ლიტერატურნაია გაზეტაში» (1989 წ., 25 იანვარი) გამოქვეყნებულ მასალას, დამერწმუნება _ რა მძიმე ვითარებაა ეკოლოგიურად სსრკ-ში. დიდად საწყენია, რომ მწერალთა ამ პლენუმზე ქართველები არ გამოსულან. სხვადასხვა რეგიონის ეკოლოგიური საკითხები ჩვენგან შორს არ დგას. ავიღოთ თუნდაც სევანის ტბის ბედი. ავტორიტეტული მეცნიერული აზრით, თუ დაშრება სევანის ტბა (რაც მოსალოდნელია), უდაბნოდ გადაიქცევა არა მარტო სომხეთი, არამედ აღმოსავლეთ საქართველოც. ასეთი დიდია სევანის ტბის მნიშვნელობა ამიერკავკასიისათვის. ამ საერთო საზრუნავის გვერდით, გვაქვს ჩვენი საკუთარი საზრუნავიც. საქართველოს უთავბოლო ინდუსტრიალიზაციამ ურთულეს ვითარებაში ჩააყენა ჩვენი ქვეყანა. ამ ვითარებიდან თავის დაღწევა შეიძლება ერთადერთ შემთხვევაში: უნდა შეწყდეს საქართველოს მრეწველობის «განვითარება» საერთო საკავშირო სტანდარტების მიხედვით. იგი უნდა დაიგეგმოს და განვითარდეს საქართველოს ბუნებრივი შესაძლებლობების შესაბამისად. უკრაინას სხვა შესაძლებლობა აქვს და საქართველოს _ სხვა, ყაზახეთს ერთი შესაძლებლობა აქვს და სომხეთს _ მეორე. თუ ეს თავისებურებანი არ იქნა გაცნობიერებული და გათვალისწინებული როგორც ხალხის, ისე ხელისუფლების მიერ, გამორიცხული არ არის არათუ პატარა მოკავშირე რესპუბლიკების, არამედ დიდის

განადგურებაც. ამის ნიშნები დღეს ნათლად ჩანს. უზარმაზარ რუსეთსაც ისევე ემუქრება ეკოლოგიური საფრთხე, როგორც პატარა ესტონეთს.

ამიტომ გახლავთ აუცილებელი ეკონომიკის პრობლემის გადაწყვეტა მოკავშირე რესპუბლიკათა შესაძლებლობებისა და თავისებურებების შესაბამისად.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ყოველი ადამიანის უდიდესი ზრუნვისა და ბრძოლის საგანი უნდა გახდეს. ეს არის პიროვნების თავისუფლების პრობლემა. სსრკ-ში ჩამოყალიბდა წარმოდგენა ადამიანზე, როგორც უზარმაზარი სახელმწიფოს უბრალო, უსულო ჭანჭიკზე. წლების მანძილზე ამ შეხედულებამ ადამიანს სსრკ-ში წაართვა უფლებანი, რომლითაც იგი უნდა სარგებლობდეს მე-20 საუკუნეში. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავთავისუფლდეთ ჭანჭიკის დამამცირებელ-დამაკნინებელ შეგნებისაგან. ეს რომ მოხდეს, ამისათვის საჭირო არ არის რაიმე ახალი თეორიებისა თუ შეხედულებათა შემუშავება. საკმარისია მტკიცედ დავიცვათ და სსრკ-ში საქმედ ვაქციოთ გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ჰელსინკის შეთანხმების პრინციპები.

ძალიან კარგი საქმე გააკეთა გაზეთმა «სახალხო განათლებამ», რომ 1989 წლის 8 თებერვლის ნომერში დასტამბა «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია». ასევე აუცილებელია ფართო საზოგადოებას გავაცნოთ ჰელსინკის ხელშეკრულების ძირითადი დოკუმენტები. მე ვფიქრობ, ეს დოკუმენტებიც სწორედ «სახალხო განათლებამ» უნდა გამოაქვეყნოს, რომ ჩვენმა მასწავლებლებმა კარგად იცოდნენ ადამიანის უფლება. იცოდნენ, რას ნიშნავს პიროვნების თავისუფლება, რომ ახალგაზრდობა ამ დიადი პრინციპებით აღზარდონ.

რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ მისი განხორციელება, რაზეც ახლა ვსაუბრობდით, ერთი და ორი დღის, ერთი და ორი წლის საქმე არ არის. იგი ხანგრძლივ შრომას მოითხოვს, მაგრამ აუცილებელია ეს საქმიანობა დღესვე დავიწყოთ. ისტორია განუხრელად მიდის წინ და იგი ჩვენ არ მოგვიცდის. სადაც არის 21-ე საუკუნე კარს მოგვიკაკუნებს. ჩვენ მას უნდა შევხვდეთ, როგორც ერი, აღჭურვილი სრული სუვერენიტეტითა და კაცობრიობის თანავარსკვლავედის სრულუფლებიანი წევრი.

გ.კ. – ახლახან მთელმა ქართველმა ხალხმა იზეიმა ერის დიდი შვილის დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავი. განუზომლად დიდია მისი წვლილი ქართველი ერის სულიერი ფორმირების საქმეში. თქვენი აზრით, რისი სწავლა სჭირდება დღეს ქართველ ხალხს დავითის ეპოქიდან?

ა.ბ. _ ამა წლის 8 თებერვალს გაზეთმა «სახალხო განათლებამ» რ.თვარაძის ფრიად საგულისხმო წერილი დაბეჭდა _ «ბრძოლა და ომი». ჩვენმა გრძელმა ისტორიამ გვიჩვენა, რომ ქართველები ბრძოლებს იგებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ომებს აგებდნენ, რის გამოც ჩვენ უფრო ხშირად დამარცხებული ვყოფილვართ, ვიდრე გამარჯვებულნი. დავითმა ქართველ ხალხს ბრძოლის მოგებაც ასწავლა და ომისაც, _ წერს რ.თვარაძე.

სწორედ ამის, ომის მოგების, სწავლა სჭირდება ჩვენს ხალხს დავითის ეპოქიდან.

მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, ჩერჩილმა თქვა _ ინგლისელები ყოველთვის იგებენ ერთადერთ ბრძოლას, უკანასკნელს, ამიტომ არიან გამარჯვებულიო. ჩერჩილი მართალია. ღირებულება უკანასკნელი ბრძოლის მოგებას აქვს. გერმანელებმა ყველა ბრძოლა მოიგეს, მაგრამ უკანასკნელი წააგეს. ამიტომაც განიცადეს დიდი ეროვნული კატასტროფა. სხვანაირი კაცი და მეფე იყო დავით აღმაშენებელი. მან პირველი ბრძოლაც მოიგო და უკანასკნელიც. ესეც მისი ეპოქის გაკვეთილია, რომელიც დღევანდელმა საქართველომ ზედმიწევნით უნდა დაისწავლოს.

მესამე გაკვეთილიც მოგვცა მან. როგორ შეიძლება მთელი ძალით წამოდგეს ერი ფერფლიდან და ნაცარტუტიდან. როცა იგი ტახტზე აბრძანდა, იავარქმნილი

საქართველო ნანგრევებში ეგდო. როცა დავითის სული უფლის წიაღში დაბრუნდა, საქართველო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გავრცობილი და კავკასიონივით იდგა შეურყეველი.

ეჰ, ვინ ჩამოთვლის რამდენი რამ უნდა ვისწავლოთ დავითისა და მისი ეპოქიდან. მაგრამ ერთი მაინც უნდა დავამატო: დავითი იდეალური ტიპია ხელისუფლისა. ამ საუბარში არ მოხერხდება დავითის, როგორც ხელისუფლის იდეალური ტიპის, დახასიათება-დახატვა. მაგრამ, როცა ამას გავაკეთებთ, ყველა თვალნათლივ დაინახავს, როგორი პიროვნება იყო იგი, რა საკაცობრიო მასშტაბის კაცი განისვენებს გელათის გალავნის კარიბჭეში. ეს უკვე იქნება გაკვეთილი არა მარტო ჩვენთვის, ქართველებისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის.

გ.კ. – გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში საკმაოდ გაიზარდა ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა. ბოლო დროის მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ახალგაზრდობას ამ მოძრაობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. რა აზრისა ხართ თანამედროვე ახალგაზრდობაზე და როგორ აფასებთ მის როლს საზოგადოების დემოკრატიზაციის მიმდინარე პროცესში?

ა.ბ. – არ შეიძლება ახალგაზრდობაზე ცუდი აზრისა იყო, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდი აზრისა ხარ მშობელი ხალხისა და ქვეყნის მომავალზე. მომავალზე ამგვარი ფიქრი არა მარტო სკეპტიციზმის გამოხატულებაა, არამედ საკუთარი შრომის გაუფასურებაც. მაშ რისთვის შრომობდი, იღვწოდი, თუ ახალგაზრდობის არ გჯეროდა? ამგვარი შრომა ხომ უნაყოფოა! როგორც ახალგაზრდობას ეშლება მწარედ, როცა წინაპრებს, წარსულს დაცინვით უყურებს, აგდებულად ეპყრობა, ასევე ღრმად ცდება ხანდაზმულობაც, როცა ახალგაზრდობას ეჭვის თვალით უყურებს, მისი არ სწამს.

თაობათა შორის რამდენი დავაც უნდა იყოს, რამდენი პაექრობაც, ისინი მაინც ერთი მთლიანია. ინდურ რელიგიებში კაცობრიობის სიცოცხლე წარმოდგენილია როგორც წრე-ბრუნვა, რომელიც არსად იწყება და არსად თავდება. დაბადება _ ზრდა – დაბერება – სიკვდილი – დაბადება... ეს ერთიანი, მთლიანი, უწყვეტი პროცესია, რომელიც არც არასოდეს დაწყებულა და არც არასოდეს დამთავრდება. ოღონდ ყოველი ახალი წრე თვისობრივად განსხვავებულია. ამ თვისობრივი განსხვავების შექმნა შეუძლებელია თაობათა შორის დავა-პაექრობის თვინიერ. აუცილებელი თვისობრივი სახეცვლილება სწორედ ახალგაზრდობას მოაქვს. ამიტომ «მამების» თაობის ღვაწლის ყველაზე კარგი გამგრძელებელნი ის «შვილებია», რომელნიც შეუპოვრად ედავებიან, ეკამათებიან, ეპაექრებიან ძველს და ამკვიდრებენ ახალს.

ხშირად ხანდაზმულებს სწყინთ, როცა ახალგაზრდები მკაცრად აფასებენ მათ საქმიანობას. ეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი ამბავია და არაფერია ამაში გასაგულისებელი. ახალგაზრდობა ყოველთვის ასე იქცეოდა და ყოველთვის ასე მოიქცევა. დღევანდელი «მამებიც» ასეთი იყნენ, როცა «შვილების» ასაკი ჰქონდათ. ეს ახალგაზრდობის თვისებაა და იმიტომ. ოღონდ ზოგიერთს ხანდახან ავიწყდება, როგორი იყო ახალგაზრდობაში. დავიწყებაც ასაკის ბრალია.

რომელიღაც ფრანგ კომპოზიტორს, თუ არ ვცდები, შარლ გუნოს უთქვამს: როცა ოცი წლის ვიყავ, ვფიქრობდი _ ყველაზე დიდი კომპოზიტორი ვარ მე. როცა 30-ისა შევიქენი, ცოტა სხვაგვარად დავიწყე განსჯა: ყველაზე დიდი კომპოზიტორები ვართ მე და მოცარტი. 40 წლისამ პირველობა მოცარტს დავუთმე და ვთქვი _ მოცარტი და მე, ხოლო 50 წლისამ მტკიცედ ვიცოდი _ ყველაზე დიდი კომპოზიტორია მოცარტი. ამიტომ ნურავის ეწყინება, თუ 20 წლის ყმაწვილი იტყვის _ ყველაფერი მე ვარ და შენ _ არაფერიო. როცა ის ყმაწვილი ორმოცდაათისა გახდება, თუ მართლა მოცარტი ხართ, უთუოდ გეტყვით _ უკაცრავად, ყველაფერი თქვენ ბრძანებულხართ და სულ ტყუილად

ვფიქრობდიო სხვანაირად. ასე, რომ არავის დაეკარგება კუთვნილი ადგილი. მაგრამ თუ მოცარტი არა ხართ, ვერაფერი გიშველით, ახალგაზრდობის ვერც ხოტბა და ვერც ძაგება.

როცა დღეს ახალგაზრდობა მკაცრად აკრიტიკებს ხანდაზმულებს, წყენის მაგიერ, სჯობს ის გავაანალიზოთ, რამ გამოიწვია ეს. სრულიად არ ვაკნინებ და ვამცირებ «პაპებისა» და «მამების» ღვაწლს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათ «შვილებს» უმძიმესი მემკვიდრეობა დაუტოვეს.

ამ 70 წლის მანძილზე განადგურდა საზოგადოება, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ძალა. იგი გახდა მხოლოდ ხელისუფლების ნების აღმასრულებელი და ამდენად უაღრესად პასიური. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საზოგადოებამ დაკარგა შემოქმედებითი უნარი. საზოგადოების შემოქმედებითი უნარის დაკარგვას ბუნებრივ შედეგად მოყვება მთელი ხალხის როგორც სულიერი დაქვეითება, ისე მატერიალური გაღატაკება. დღევანდელობამ თვალნათლივ დაგვანახა ეს. დღეს უპირველესი ამოცანაა საზოგადოების ისევ სოციალ-პოლიტიკურ ძალად გადაქცევა, მისთვის შემოქმედებითი უნარის დაბრუნება. ამ ამოცანის გადაწყვეტა ოდენ ახალგაზრდობას ხელეწიფება. რა თქმა უნდა, მას უნდა დაეხმარონ ხანდაზმულებიც, ვისაც ამის ღონე კიდევ შესწევს.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ხალხის ცხოვრების აღორძინებას სჭირდება სოციალური ნიადაგი. სოციალური ნიადაგი კი არის ათეული წლების მანძილზე დაგროვებული კულტურა შრომისა, ყოფისა, ურთიერთობისა. სოციალური ნიადაგია თაობიდან თაობაში რუდუნებით გადაცემული ცოდნა, დამოკიდებულება ფასეულობისადმი, საკუთარი თუ სხვისი სიცოცხლისადმი და, საერთოდ, ყველაფრისადმი, რისგანაც ცხოვრება შედგება. ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შემთხვევით, «პაპებისა» და «მამების» თაობამ (გასაგებია, მე ვგულისხმობ ლიანგს და არა გამონაკლისებს) ეს სოციალური ნიადაგი მოსპო. დღეს მისი აღდგენა ახალგაზრდობას დააწვა კისრად. ბევრად იოლია ომში გამარჯვება (თუნდაც ისეთ სასტიკში, როგორიც მეორე მსოფლიო ომი იყო), ვიდრე განადგურებული სოციალური ნიადაგის აღდგენა. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ამაზე იყო საუბარი «კომსომოლსკაია პრავდაში» (1989 წლის 8 თებერვალი. «ლუნნი ლანდშაფტ»).

როცა ახალგაზრდობას ესოდენ მძიმე მისია ეკისრება, შეუძლებელია მის მიმართ არ იყო გამსჭვალული ღრმა პატივისცემითა და მოკრძალებით.

დღეს ახალგაზრდობა გვაძლევს იმედს. ღმერთმა ჰქნას, რომ ხვალ იმედი საქმედ იქცეს.

გ.კ. – ენა, მამული, სარწმუნოება, _ რა გვილხინს და რა გვიჭირს დღეს?

ა.ბ. _ ბევრი რამ, ძალიან ბევრი რამ გვიჭირს დღეს. უჭირს ენასაც, მამულსაც, სარწმუნოებასაც. მაგრამ თუ მოვაგვარებთ ყველაფერ იმას, რაც თქვენი მეორე კითხვის პასუხად გითხარით, მაშინ უეჭველად დაგვიდგება ლხენის ჟამი.

გაზ. «თბილისის უნივერსიტეტი»,
3. III. 1989

აზროვნების წესი უნდა შეიცვალოს

თენგიზ თალაკვაძე _ გაოგნებული ვართ 9 აპრილის ტრაგედიით... ალბათ, აზროვნების უნარიც კი დაგვიქვეითდა, მომხდარის ანალიზი გვიჭირს. ასე უნდა მიექანებოდეს დემოკრატია უფსკრულში?..

აკაკი ბაქრაძე _ «დემოკრატია», რომელიც დღეს სსრკ-შია, შეიძლება დავახასიათოთ იმანუილ კანტის სიტყვებით: «იმსჯელეთ რამდენიც გნებავთ, რაზეც გნებავთ, ოღონდ მორჩილი იყავით».

თუ მორჩილება არ გინდა, მაშინ ვაი შენი ბრალი. მორჩილის «დემოკრატია» კი არ არის დემოკრატია. ამას ბევრი მტკიცება და ბევრი საბუთი არ სჭირდება. ისედაც ცხადზე ცხადია. კანტი იმის პასუხსაც იძლევა, როდის იწყება დემოკრატია. "შაპერე აუდე!" _ იქონიე ვაჟკაცობა და ისარგებლე საკუთარი ჭკუით!» ესეც არ არის საკმარისი. კანტი უმატებს, რომ საკუთარი ჭკუით სარგებლობა საჯაროდ, სახალხოდ უნდა ხდებოდეს. «საკუთარი ჭკუით საჯაროდ სარგებლობა ყოველთვის უნდა იყოს თავისუფალი. მხოლოდ ასე შეიძლება მისცე ხალხს განათლება».

არ არის იოლი საკუთარი ჭკუით ცხოვრება, რადგან (კიდევ შევაწუხებ კანტს) «თუ მე მაქვს წიგნი, რომელიც ჩემ მაგიერ აზროვნებს, თუ მყავს სულიერი მოძღვარი, რომლის სინდისს შეუძლია შეცვალოს ჩემი, მყავს ექიმი, რომელიც მიმითითებს ცხოვრების წესს და ა.შ. მაშინ რისთვისღა შევიწუხო თავი».

ჩვენ ათეული წლების მანძილზე ვცხოვრობდით სხვისი ჭკუით, სხვისი სინდისით, სხვისი ნებით, სხვისი კარნახით, თავის შეუწუხებლად. ახლა აღარ გვინდა ეს. თვალი გავახილეთ, გონება გაგვეხსნა და ნამუსმა შეგვაწუხა. გვინდა გვქონდეს ვაჟკაცობა და ვცხოვრობდეთ საკუთარი ჭკუით. გვინდა დემოკრატია, მაგრამ არა მორჩილისა. გვინდა თავისუფალი ადამიანის დემოკრატია. ამიტომ ვთქვით უარი მორჩილებაზე. მაგრამ ჩვენ სსრკ-ში ვცხოვრობთ, სადაც არსებობის ძირითადი და წარმმართველი პრინციპი მორჩილებაა. ამიტომ «გაგვიმასპინძლდნენ» ორლესული ბარებით, ქიმიური ბომბებით და ტანკებით. ეს კანონზომიერი შედეგია «დემოკრატიისა», რომელიც უარს არ ამბობს მორჩილებაზე, რომელმაც არ იცის, რა არის თავისუფლება.

ასე, რომ მორჩილების «დემოკრატიამ» ერთხელ კიდევ მოგვატყუა. მაგრამ მომხდარმა ტრაგედიამ ჩვენ არც უნდა დაგვაბნიოს და არც უნდა შეგვაშინოს.

ტრაგედია სულს წმენდს, ამაღლებს, ასპეტაკებს. განწმენდილი, გასპეტაკებული სულით ჩვენ ვივლით წინ, იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც ეწოდება დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რაც ვაჟამ გვიანდერძა: «არ გვეშველება, თუ ერთ დღეს, სისხლად არ იქეც, მელანო!..» ჩვენი მელანი უკვე იქცა სისხლად და ჩვენი თავისუფლებაც დაიწყო.

თ.თ. – თქვენ გჯერათ, რომ თავისუფლებისაკენ მიმავალი პროცესი არ შეჩერდება, გაგრძელდება. თუ ასეა, ხომ არ არსებობს საშიშროება, რომ 9 აპრილის ტრაგედია განმეორდება და თან უფრო დიდი მასშტაბით?

ა.ბ. – ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ გამორიცხული არაფერია. მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ ვეღარ განმეორდება. ვეღარ გაბედავენ. შევეცდები ავხსნა, რატომ.

პროცესი, რომელიც ამჟამად სსრკ-ში მიმდინარეობს, ადრე იქნება თუ გვიან, დამთავრდება ერთი შედეგით _ საბჭოეთის ხალხების სრული თავისუფლებით.

რა მაძლევს ამის თქმის უფლებას? უპირველესად ის მოვლენები, რომლებიც ხდება ბალტიისპირეთში, მოლდავეთში, ამიერკავკასიაში, თვითონ რუსეთში. მალე ამგვარივე მოვლენები გაჩნდება შუა აზიაში, უკრაინაში, ბელორუსიაში. აღორძინებულ ეროვნულ მოძრაობას ვერარა ძალა ვეღარ შეაჩერებს. თქვენ შეიძლება მითხრათ _ მიმართავენ ისევ სამხედრო ძალას, როგორც ჩვენთან, და ძალით მოსპობენ ყოველგვარ მოძრაობასო.

დასაშვებია, არ უარვყოფ, მაგრამ რამდენ ხანს? ვერავითარ პოლიტიკურ სისტემას სამხედრო ძალა დიდხანს ვერ აარსებებს. როგორ გგონიათ, რუსეთს სამხედრო ძლიერება აკლდა 1917 წელს? არ აკლდა. რუსეთის არმია იმდროინდელ უძლიერეს გერმანულ არმიას უმკლავდებოდა, მაგრამ მონარქია მაინც დაემხო. დაემხო უპირველესად იმიტომ, რომ ხალხს აღარ სჯეროდა მისი, აღარ სწამდა. როცა ხალხი აღარ უცხადებს ხელისუფლებას ნდობას, ამ ხელისუფლებას ვეღარაფერი გადაარჩენს.

ხელისუფლებამ თავად აღიარა, რომ ათეული წლების მანძილზე დანაშაულს სჩადიოდა. ხელისუფლება, რომელიც 70 წლის მანძილზე ან ბოროტებას სჩადის, ან თავს იმართლებს და ახალ დაპირებას იძლევა, რომელსაც ვერ ასრულებს, ვერ აღიდგენს ხალხის ნდობას. მართალია, ძალიან გვინდა, რომ ყველა უბედურება ერთს ან ორ კაცს დაბრალდეს, მაგრამ არ გამოვა ეს. ერთი კაცი, ვინც უნდა იყოს იგი, ვერაფერს შეძლებს, თუ მხარს არ უჭერენ მას. სტალინის მიერ ჩადენილ ბოროტებას პარტია ვერ აიცილებს. როცა სტალინი ბოროტებას სჩადიოდა, პარტია მას მხარს უჭერდა. ასევე უჭერდა მხარს ხრუშჩოვსაც და ბრეჟნევსაც. ჩვენ ყველა მანკიერება, ყველა უბედურება, რომელიც საბჭოეთს თავს დაატყდა, გვინდა ავხსნათ პიროვნების კულტით (ან, სხვაგვარად, _ სტალინის კულტით). ესეც თავის მოტყუებაა. აქაც ბოლომდე არ ვამბობთ სიმართლეს. არადა უნდა ვთქვათ. სსრკ-ში არსებობს პარტიის კულტი და არა პიროვნებისა. სტალინი 1953 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მის მერეც არაფერი შეცვლილა სსრკ-ში. პიროვნების კულტი სტალინის სიკვდილს თან გადაჰყვა. მაშ რატომ არაფერი შეიცვალა? უბრალოდ იმიტომ, რომ პარტიის კულტი დარჩა. სანამ პარტიის კულტს არ მოვიცილებთ, მანამ სსრკ-ში არაფერი შეიცვლება. ეს ხალხმა მკაფიოდ დაინახა. მართალია, ჯერ ხმამაღლა ეს არ უთქვამს. მაგრამ თავისი უნდობლობით გამოხატა. ის მოძრაობა, რაც ამჟამად მთელ სსრკ-ში მიმდინარეობს, ამის პირდაპირი და უშუალო დასტურია.

ყოველგვარი კულტი, პიროვნების იქნება თუ პარტიისა, დროებით შეიძლება არსებობდეს. მერე ყველაფერს ნათელი ეფინება და პატარა, გაბედული ბიჭი დაუფარავად ამბობს _ მეფე შიშველიაო.

პარტია მეტნაკლებად მაშინ დაიბრუნებს ხალხის ნდობას, როცა იმას აღასრულებს, რასაც ხალხი ითხოვს. სხვაგვარად გარიყული დარჩება. ხალხი კი არა მარტო ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული სისტემების შეცვლას მოითხოვს, არამედ პოლიტიკური სტრუქტურისაც. არა მარტო პიროვნულ თავისუფლებას მოითხოვს, არამედ _ ეროვნულსაც. მაკიაჟი და ცხვირის ოპერაცია პრობლემას ვერ მოაგვარებს. მას ძირეული, ფუნდამენტური შეცვლა სჭირდება. ძირეული, ფუნდამენტური ცვლილება მაშინ მოხდება, როცა დაწყებული პროცესი ბუნებრივად განვითარდება და ლოგიკურ ბოლომდე მივა.

რა თქმა უნდა, ბევრი შეეცდება ამ პროცესს ხელი შეუშალოს. არც სამხედრო დიქტატურის დამყარების ცდაა გამორიცხული. მაგრამ სამხედრო დიქტატურას დროებით თუ შეუძლია პროცესი დააბრკოლოს. უფრო მეტს ვერ მოახერხებს. მეტსაც ვიტყვი: თბილისში მშვიდობიანი მიტინგის გაჟლეტა მარტო ჩვენს დასაშინებლად არ მომხდარა, მას უფრო დიდი მიზანი ჰქონდა: ეს იყო ცდა სამხედრო დიქტატურის დამყარებისა მთელი კავშირის მასშტაბით. თუ ეს ცდა თბილისში გაამართლებდა, მას გაიმეორებდნენ სხვაგანაც. მაგრამ ხრიკმა არ გასჭრა. ქართველი ხალხი არ შეშინდა. არ დახარა მორჩილად თავი. ხოცვა-ჟლეტის ინიციატორებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ჩვენი გოგო-ბიჭებისა და ხანდაზმული მანდილოსნების სისხლმა მომავალი თავისუფლება გადაარჩინა და არა მარტო ჩვენთვის, არამედ სსრკ-ის სხვა ხალხებისთვისაც. ამიტომ ვართ გამარჯვებულნი. ამიტომ არ მჯერა ისიც, რომ შეიარაღებული ძალა საქართველოს ხელისუფლებამ მოიწვია. იგი გამოგზავნა

სამხედრო დიქტატურის მოტრფიალეებმა. თქვენ ნახავთ, რომ ამას ისტორია დაადასტურებს.

თ.თ. – მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ის საქმიანობა, რომელიც ამიერიდან უნდა გასწიოს ჩვენმა საზოგადოებამ?

ა.ბ. – ჩვენ ბევრი სამუშაო გვაქვს – თეორიულიც და პრაქტიკულიც. წეღან, ზემოთ, კანტის სიტყვები მოვიშველიე. იგი მარტო პიროვნებას არ ეხება. მთელ ერს ეხება. ერიც საკუთარი ჭკუით უნდა ცხოვრობდეს. მართალია, ჩვენ გამოვფხიზლდით, მაგრამ საკუთარი ჭკუით ცხოვრება ჯერ კიდევ არ დაგვიწყია. ისევ მოსკოვიდან ველით განკარგულებებს. ვცდილობთ ეს განკარგულებები მივუსადაგოთ ჩვენს საჭირბოროტო საკითხებს. თუ ასე გავაგრძელეთ, ჩიხიდან გამოსასვლელს ვერ მოვძებნით. აუცილებელია ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ თავის თავს თავად მოუაროს.

ახლახან ლიტვიდან ჩამოიტანეს დოკუმენტი, რომელსაც რუსულად ეწოდება «Материалы к Пленуму ЦК КПСС о совершенствовании межнациональных отношений в СССР».

იგი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიას შეუქმნია და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიებისთვის დაუგზავნია 1988 წლის დეკემბერში. თუ ეს დოკუმენტი ლიტვის მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო, დავიჯეროთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არ მოსულა? თუ მიიღეს, რატომ არავინ არაფერი იცის? რას ფიქრობს, როგორ უნდა წარდგნენ მომავალ პლენუმზე ის სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელთაც უშუალოდ ევალებათ ეროვნულ ურთიერთობათა ახლებური მოწესრიგება? რას ფიქრობენ ჩვენი სამეცნიერო ინსტიტუტები _ ისტორიის, ფილოსოფიის, სამართლის, ეკონომიკის თუ სხვანი? არ შეიძლება ხალხი არ იცნობდეს იმ დოკუმენტს, რომლითაც საქართველო მიიღებს მონაწილეობას პლენუმში. ხალხმა ამ დოკუმენტზე უნდა იმსჯელოს.

მომავალი კონსტიტუციები, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ისე მთელი კავშირის ამ პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად დაიწერება. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. თორემ თუ კონსტიტუცია დაიწერა, მერე ვეღარავინ გაასწორებს. გვექნება ისეთივე ყალბი კონსტიტუცია, როგორიც დღევანდელია. თვალთმაქცობა უფრო შორს სადღა უნდა წავიდეს? გვეუბნებიან _ კონსტიტუციის ფარგლებში ყველაფრის უფლება გაქვთო. როცა კონსტიტუციით დაპირებული _ სსრკ-დან თავისუფალი გასვლის უფლება მოვითხოვეთ, დიდიან-პატარიანად მუსრი გაგვავლეს.

თქვენ იცით, ადრე ჯერ სსრკ-ის კონსტიტუცია იწერებოდა და მერე მოკავშირე რესპუბლიკებისა. იმიტომ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციას არსებითად უნდა გაემეორებინა ის, რაც სსრკ-ის კონსტიტუციაში ეწერა. ახლა ხალხი სამართლიანად ითხოვს, რომ ჯერ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები დაიწეროს და მერე _ სსრკ-ისა. სსრკ-ის კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს იმ თავისებურებებს, რომლებიც ბუნებრივად აქვს ყველა მოკავშირე რესპუბლიკას. მაგალითად, შეუძლებელია ერთნაირი კონსტიტუცია ჰქონდეს ყაზახეთსა და საქართველოს. მათ შორის ისტორიის, ტრადიციის, რელიგიის, ცხოვრების წესის, გეოგრაფიული ლანდშაფტის, ერის ხასიათის და ა.შ. იმოდენა განსხვავებაა, რომ ერთნაირი კონსტიტუციით ყაზახი და ქართველი ხალხის დაჩაგვრისა და დამონების მეტი არაფერი გამოვა. ყოველი ხალხი ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც მისი ჯიში, ზნე-ჩვეულება, გენი ითხოვს.

ასე რომ მოხდეს, ამის არა მარტო უფლება უნდა გვქონდეს, არამედ ყოველმხრივ უნდა ვიყოთ ამისათვის მზად.

კონსტიტუცია არა მარტო ძირითად კანონთა კრებულია, არამედ იდეალის დამსახავიც. იმ იდეალის, რომლის რეალურად განხორციელებისათვის იღვწის ერი.

ჩვენი იდეალი _ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო _ მკაფიოდ დავსახეთ. მაგრამ ასევე მკაფიოდ ჯერ არ ვიცით, კონსტიტუციურად რა უფლებანი უნდა მოვიპოვოთ, აღთქმულ მიზანს რომ მივაღწიოთ. როგორი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული, საგანმანათლებლო და ა.შ. სისტემები გვჭირდება ოცნების განსახორციელებლად. ეს საკითხები რომ მოვაგვაროთ, აუცილებელია სპეციალისტების ხელდაკაპიწებული მუშაობა. მეცნიერულმა აზრმა უნდა გამოკვეთოს პრაქტიკული გზები, თორემ გრძნობის პატრიოტიზმის ამარა დავრჩებით. გრძნობის პატრიოტიზმის გამოვლენა უკეთილშობილესი საქმეა, მაგრამ უკმარია. მას აუცილებლად ცივი გონება, რაციონალიზმი უნდა მიეშველოს. გრძნობისა და გონების შეერთების თვინიერ გამარჯვების გზით ვერ ვივლით. კონკრეტულად რა როგორ წარმომიდგენია, ამაზე უკვე ვილაპარაკე, თუ სრულად არა, დაახლოებით მაინც, ა.წ. 23 მარტის «თბილისში» და განმეორებით თავს აღარ შეგაწყენთ. დავამატებ მხოლოდ, რომ ისტორიის პროცესი ჩვენს სასარგებლოდ მიმდინარეობს. მას ალღო უნდა ავუღოთ და ჭკუით მივყვეთ, 21-ე საუკუნეს ჩვენ თავისუფალი შევხვდებით. ეს გარდაუვალია. ოღონდ რაკი კანტით დავიწყე, მისივე სიტყვებით დავამთავრებ:

«რევოლუციის საშუალებით შეიძლება მოიცილოთ ანგარებისა და ძალაუფლების მოყვარულთა პიროვნული დესპოტიზმი და ჩაგვრა. მაგრამ რევოლუციის გზით ვერასოდეს მოახერხებთ განახორციელოთ აზროვნების წესის ჭეშმარიტი რეფორმა».

თუ აზროვნების წესი არ შეიცვალა, ერთი დესპოტის ნაცვლად მივიღებთ მეორეს. დემოკრატია კი საპნის ბუშტივით გაქრება.

გაზ. «ლიტერატურული საქართველო»,
28.IV.1989.

მონანიების უფლება

თ.მეტრეველი _ თქვენი აზრი დღევანდელ ეტაპზე სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ. მე ვფიქრობ, რომ «დღეს ჩვენ ხმამაღლა ვლაპარაკობთ იმას, რასაც ადრე ვჩურჩულებდით, ხოლო ვჩურჩულებთ იმას, რასაც ვფიქრობდით».

აკაკი ბაქრაძე _ ჯერჯერობით ჩვენ არ გვაქვს არც სიტყვის თავისუფლება და არც პრესის. მხოლოდ ნება დაგვრთეს ვილაპარაკოთ ზოგიერთ საკითხზე, რაზეც ადრე აკრძალული გვქონდა საუბარი. ცხადია, ამგვარი ნებართვა სიტყვის თავისუფლებას არ ნიშნავს.

ყველა დროში და ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება ნიშნავს ოპოზიციური აზრისა და ოპოზიციური პრესის არსებობას. სსრკ-ში კი ჯერ ამის ჭაჭანებაც არ არის (არალეგალურს არ ვგულისხმობ). სანიმუშოდ უბრალო მაგალითი: ამდენი ლაპარაკია არაფორმალურ საზოგადოებებზე, მაგრამ მათი აზრი და შეხედულება არც პრესაში იბეჭდება და არც ტელე-რადიოში ისმის. როცა არაფორმალებს მიეცემათ თავისუფლად ინფორმაციის საშუალებანი, მაშინ გამოჩნდება პრესისა და სიტყვის თავისუფლების პირველი ნიშნები, მანამდე კი ისევ და ისევ ნახევარი სიმართლის ტყვეობაში ვართ.

ესეც უნდა დავამატოთ: თუ სიტყვის თავისუფლება მართლა გვაინტერესებს, რატომ არ იბეჭდება მაშინ სსრკ-ში ისეთი წიგნი, როგორიც არის ალ.სოლჟენიცინის «ლენინი ციურიხში». ანდა ცნობილი ალგებრაისტის იგორ შაფარევიჩის «სოციალიზმი»?

ასე, რომ ჯერ სიტყვისა და პრესის თავისუფლების მოლოდინში ვართ.

თ.მ. – მოგეხსენებათ, ჩვენი განათლების სისტემა არც ისე მყარ ნიადაგზე დგას. თუ ნიცშეს გამონათქვამს მოვიშველიებთ «დიდ სახელმწიფოებში განათლების სისტემა შეიძლება დიდ სასადილოებში მომზადებულ კერძებს შევადაროთ», თქვენ რომ ჩვენი გრანდიოზული ინსტიტუტის რექტორად დაენიშნეთ, რას იღონებდით.

ა.ბ. – რას ვიღონებდი? ვერაფერს. სსრკ-ში განათლების სისტემა მოითხოვს საძირკვლიანად დანგრევას და ახალ საფუძველზე თავიდან აშენებას. ეს კი რექტორს არ ძალუძს. ამას სახელმწიფო ღონისძიება სჭირდება. სსრკ-ში ყველაფერი, მათ შორის განათლებაც, ეყრდნობა მასობრიობას. ხოლო ის, რაც მასობრივია, უვარგისია. ეს ბუნების უბრალო კანონზომიერებაა. გინახავთ მაგალითად, თქვენ მასობრივად ლამაზი, ჭკვიანი, ნიჭიერი? რა თქმა უნდა, არა. თითო-ოროლა თუ შეგხვედრიათ. როგორ შეიძლება მასობრივად განათლების მიღება? განათლების მიღებას ხომ ჭკუა სჭირდება, ნიჭი სჭირდება. სად, რომელი ღმერთი არიგებს ნიჭიერებას და ჭკუას მასობრივად? ამიტომ განათლებას იგი უნდა იღებდეს, ვინც ამის უნარით დააჯილდოვა უზენაესმა.

ზემორე ნათქვამს ისე ნუ გაიგებთ, თითქოს განათლებულთა განსაკუთრებული კასტის შექმნას მოვითხოვდე. არა, სრულიად სხვა რამეს ვამბობ.

სსრკ-ში უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი ასრულებს იმ როლს, რასაც ძველად აზნაურის ან თავადის სიგელი. თუ გქონდა სიგელი პრივილეგირებულთა ჯგუფს ეკუთვნოდი. ახლაც ასეა: თუ გაქვს დიპლომი პრივილეგირებულთა ჯგუფს ეკუთვნი. მართალია, არამატერიალურად, მაგრამ ზნეობრივად პრივილეგირებულთა.

როგორც წესი, ფაბრიკა-ქარხნებში მუშა ბევრად მაღალ ხელფასს იღებს, ვიდრე ინჟინერი. ეს თავდაყირა დაყენებული საქმეა. რაღად გინდათ ის ინჟინერი, ვისაც ნაკლები შემოსავალი აქვს, ვიდრე მუშას? დედამიწაზე არ არის სახელმწიფო, გარდა სსრკ-სა, სადაც ასეთი აბსურდული ვითარება არსებობს. აბსურდს ორი მიზეზი უდევს საფუძვლად. პირველი: სსრკ-ში ფასი აქვს რაოდენობას და არა ხარისხს. მეორე: სსრკ-ში შრომა სრულიად გაუფასურებულია.

ადამიანმა შრომით ტყავი რომ გაიძროს, ვერაფერს მიაღწევს. ხოლო ყველა გაქნილ-გაიძვერას შეუძლია ხელის გაუნძრევლად ფუფუნებაში იხრჩობოდეს. ამის გამო საბჭოთა ადამიანმა დაკარგა შრომის სიყვარული, პატივისცემა, არ სწამს მისი ღირებულება. ამიტომ ადამიანური პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება სურს უმაღლესი სასწავლებლის დიპლომით. მატერიალურ კეთილდღეობას კი ნაირ-ნაირი მაქინაციებით მოიპოვებს.

შრომას რომ ფასი ჰქონდეს, ყველა, ნიჭიერი და უნიჭო არ მიაწყდება უმაღლეს სასწავლებელს. იქ შესასვლელად არ გაჩაღდებოდა ვაჭრობა, როგორც ბოდბისხევის ბაზარში. შრომას კი მაშინ ექნება ფასი, როცა ყოველი პროფესიის ადამიანი, დაწყებული მეეზოვით დამთავრებული მეცნიერით, თავის საქმიანობით არა მარტო თავის რჩენას შეძლებს, არამედ ზომიერი კეთილდღეობის შექმნასაც.

როცა ადამიანი იქნება გარანტირებული, რომ პატიოსანი შრომით (სულერთია, რა პროფესიის კაციც უნდა იყოს იგი) შეუძლია არსებობა, მაშინ იგი არ ჩაებღაუჭება უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს. უმაღლეს სასწავლებელშიც ისინი შევლენ, ვისაც ჭეშმარიტად აქვთ განათლების სურვილი და არა შემთხვევითი პირები, რომელთაც სწავლა ჭირის დღესავით ეზარებათ.

როცა ვისწავლით, რომ არავითარი შრომა არ არის სათაკილო, რომ ყოველგვარი შრომა პატივისცემის ღირსია, რომ სათაკილოა და სამარცხვინოა მხოლოდ უქნარობა, მაშინ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს ფეტიშად არ გავხდით და მუხლმოდრეკილი არ მივმართავთ მსხვერპლს მრავალათასი მანეთის სახით.

განათლების სისტემა რომ მყარ ნიადაგზე დადგეს, მთელი საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლაა საჭირო. რომელ რექტორს ძალუძს ეს? არც ერთს. იმისათვის, რომ სწავლა-განათლებამ პირვანდელი ღირებულება დაიბრუნოს, მთელი საბჭოური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შეცვლაა საჭირო.

თ.მ. – რა განსხვავებას ხედავთ ძველ საინჟინრო კადრებსა და დღევანდელ თაობას შორის? როგორი პოზიცია უნდა დაიკავონ დღეს ქართველმა ინჟინრებმა? მხედველობაში მაქვს ეკოლოგიური, ენერგეტიკული და ეკონომიკური პრობლემები.

ა.ბ. – როგორც ყოველ ადამიანს, ისე ყოველ ქვეყანს აქვს თავისი შესაძლებლობა. თუ ადამიანი თავის შესაძლებლობას ვერ გაითვალისწინებს, შეიძლება აღმოჩნდეს სასაცილო ან ტრაგიკულ ვითარებაში. თუ ქვეყანა თავის შესაძლებლობას ვერ გაითვალისწინებს, იგი მხოლოდ ტრაგიკულ ვითარებაში აღმოჩნდება. ყოველმა სპეციალისტმა ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდეს სამშობლოს შესაძლებლობა და თავისი საქმიანობა-მოღვაწეობა სწორედ ამას უნდა შეუფარდოს. დღევანდელი ქართველი ინჟინრის ყველაზე საბედისწერო ნაკლი ის არის, რომ იგი საქართველოს შესაძლებლობის შესაბამისად კი არ მოღვაწეობს, არამედ მთელი სსრკ-ის. ამან დაარღვია და დაანგრია საქართველოს ბუნება. მე კარგად მესმის, რომ სუბიექტურად ქართველ ინჟინერთა უმრავლესობა საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობს, მაგრამ, რაკი თავიანთი საქმიანობა საკავშირო სტანდარტებს უნდა მიუსადაგონ, ობიექტურად ზარალი მოაქვთ. მართალია, ზარალი რბილი სიტყვაა, მაგრამ ამჟამად უფრო მკაცრ სიტყვას არ ვიხმარ. თავად ქართველი ინჟინრები, მაგალითად, რას დაარქმევენ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობას? რამდენი შრომა დაიხარჯა, რამდენი ფული, რამდენი წელი და რკინიგზა არ მუშაობს. რამდენი წელიწადია დგას თბილისში ორთაჭალჰესი, რომელსაც ერთი საათიც კი არ უმუშავია!.. არადა, მახსოვს რა აურზაური იყო პრესაში ატეხილი _ მსოფლიოში უნიკალური, გაუგონარი, არნახული და ასე დაუსრულებლად. რამდენი ასეთი ობიექტი შეიძლება ჩამოვთვალოთ? აღარაფერს ვამბობთ იმ ობიექტებზე, რომლებიც მუშაობენ, მაგრამ ვაი ამ მუშაობას...

ქართული ინჟინერია მაშინ შეასრულებს თავის მოვალეობას ეკოლოგიურადაც, ენერგეტიკულადაც, როცა ზედმიწევნით და მაქსიმალურად გაითვალისწინებს საქართველოს ბუნებრივ შესაძლებლობას. ამის შესაბამისად და შესაფერისად იმუშავებს, ააშენებს ჩვენს ქვეყანას. სხვის ჭკუაზე სიარულს არასოდეს მოუტანია სიკეთე და არც მომავალში მოიტანს.

კერძო პირიც და მთელი ხალხიც საკუთარი ჭკუით უნდა ცხოვრობდეს.

რაც შეეხება განსხვავებას ძველი და ახალი თაობის ინჟინრებს შორის, უნდა შემდეგი ვთქვა: რას უწოდებთ ძველ თაობას? მე ძველ თაობას ვუწოდებ რევოლუციამდელ ინჟინრებს, ხოლო ახალს _ რევოლუციის შემდეგდროინდელს. ამათ შორის ვხედავ განსხვავებას. ხოლო რევოლუციის შემდეგდროინდელ ინჟინერთა შორის (ხანდაზმული იქნებიან თუ ახალგაზრდები) არსებით განსხვავებას ვერ ვხედავ.

რევოლუციამდელ ინჟინერიას (და არა მარტო მას, ყოველი პროფესიის ადამიანებს) ჰქონდათ პროფესიული ღირსების, პატიოსნების მაღალი შეგნება და პასუხისმგებლობა.

ერთ ჩემს წერილში («პატიოსნება») ის ლეგენდა გავიხსენე, წიფის გვირაბის მშენებელ ინჟინერზე რომ შეიქმნა. ლეგენდის მიხედვით, ინჟინერმა თავი მოიკლა, რადგან ეგონა, რომ გაანგარიშება შეეშალა, რის გამოც გვირაბის თხრა სწორად ვერ წარმართა. ხალხმა

ამ ლეგენდით თავისი აზრი თქვა: უპირველესი და უმნიშვნელოვანესია პროფესიული ღირსება და ნამუსი. რა თქმა უნდა, ცალკეულ გამონაკლისს არ ვგულისხმობ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა _ პროფესიული ღირსება და ნამუსი დაიკარგა. აი, განსხვავება.

თ.მ. – როცა ჩვენი პარტიული მუშაკების უმრავლესობა ეროვნულ საკითხს ეხება თითქმის ყველა ამბობს, რომ ისიც ქართველია, «მაგრამ»... და იქვე წინააღმდეგობაში ვარდება ამ «მაგრამ»-ის გამო. რას გვეტყვით ადამიანის სულის ამ პლურალიზმის, გაორებისა თუ გამრავალფეროვნების შესახებ? ერთნი იმასაც ამბობენ რომ სულ ადვილია ტოტალიტარული რეჟიმისაკენ მიბრუნება. შეიძლება ამის დაშვება?

ა.ბ. _ უცნაურია, ჩვენი ცნობიერება ისე დაეცა, რომ ერსა და პარტიას ერთმანეთს ვუპირისპირებთ. ის კი დაგვავიწყდა, რომ ერი მარადიულია, პარტია კი _ დროებითი. პარტია იმისათვის არსებობს, რომ ერს ემსახუროს. თუ რომელიმე პარტია ამას არ აკეთებს, იგი დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს. ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, ვინ უწყის, რამდენი პარტია ყოფილა. ზოგს პირნათლად მოუხდია ვალი ერის წინაშე, ზოგიც შერცხვენილა და ისტორიის ასპარეზიდან თავლაფდასხმული წასულა. ერი კი არსებობს, ცხოვრობს, შრომობს, იბრძვის, ქმნის. ასე იქნება მარად. ამიტომ არ არსებობს არავითარი «მაგრამ»...

«მაგრამს» ვერ გაამართლეს იმის შიშიც და «ჭკუადამჯდართა წინდახედულებაც», რომ შეიძლება დრო შეტრიალდეს და მძვინვარე დიქტატურა დაბრუნდეს. თუ ამის საშიშროება არსებობს, მაშინ კიდევ უფრო მეტად გვმართებს ერთად დარაზმვა და თავგამეტებული ბრძოლა განახლებისათვის, იმისათვის, რომ აღარასოდეს დაბრუნდეს ის, რაც წავიდა.

ღმერთმა ადამიანს მონანიების უფლება მისცა. უზენაესს უყვარს იგი, ვინც მოინანიებს. ეს ცალკეული პიროვნების ვალიც არის და მთელი პარტიისაც. ამას «მაგრამ»-ისტების გასაგონად ვამბობ.

თ.მ. – ზოგიერთი არაფორმალური გაერთიანების წევრთაგან ხშირად გაისმის საყვედურები თვით მწერალთა კავშირის წევრთა მიმართაც. ერთ-ერთ შეხვედრაზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდობასთან ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა ბრძანა, რომ ფრანგებს აქვთ გამოთქმა «რევოლუციის ბარიკადებზე პოეტები არ უნდა იდგნენო». მაშინ როგორ ავხსნათ გალაკტიონის სიტყვები «დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია»? რომელი აზრია დღეს უფრო მისაღები?

ა.ბ. – ჩემთვის პირადად მისაღებია «დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია». ფრანგების მაგალითი ჩვენ არ გამოგვადგება. ფრანგების ისტორია და ცხოვრება სხვაა, ჩვენი _ სხვა. არც ერთ ფრანგ პოეტს არ სჭირდებოდა ეთქვა _ «ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა». საფრანგეთში ამას სხვები აკეთებდნენ და დიდებულადაც. ჩვენ სხვაგვარად არ შეგვეძლო. გვიჭირდა და იმიტომ. განა სულხან-საბამ არ იცოდა, რომ ბერისა და მწიგნობარის საქმე არ არის დიპლომატობა და სხვადასხვა ქვეყნის სამეფო კარზე ხეტიალი, მაგრამ მაშინაც გვიჭირდა და ისიც ყველას ემუდარებოდა საქართველოს ხსნას.

დღესაც გვიჭირს. ამ გაჭირვებისაგან ვერავინ გვიხსნის, თუ თავად არ ვიხსენით თავი.

რა თქმა უნდა, საქართველოშიც დადგება დრო, როცა პოეტები თავის საქმეს გააკეთებენ, ხოლო პოლიტიკოსები _ თავისას. მაგრამ სანამ ეს ჟამი არ მოსულა, პოეტიც იქ უნდა იდგეს, სადაც ქარიშხალია და ინჟინერიც, ექიმიც და აგრონომიც, ხაბაზიც და თერძიც, ბუხჰალტერიცა და მზარეულიც.

გაზ. «აღმშენებელი», №
2.VI.1989.

ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს ზღუდავს, ესაა მისი სინდისი

კორესპ. – ბატონო აკაკი, რა იგულისხმება ზნეობრიობაში?

აკაკი ბაქრაძე – ზნეობრიობაში შედის ის ათი მცნება, რომლებიც კარგად არის ცნობილი და კარგად იცოდა ყველამ, სანამ ქრისტიანული რელიგია არსებობდა როგორც გარკვეული სარწმუნოება ამა თუ იმ ქვეყანაში და, კერძოდ, ჩვენშიც. მაგრამ იმის შემდეგ, რაც საბჭოთა სახელმწიფო, როგორც ათეისტური სახელმწიფო, უარყოფდა ქრისტიანული რელიგიის მორალურ პრინციპებს, ჩვენ დაგვავიწყდა ეს ათი მცნება. აქედან გამომდინარე, შემოგვეპარა გარკვეული ზნეობრივი ნაკლოვანებებიც. ბუნებრივია, ყურადღებას აღარ ვაქცევთ იმ პრინციპებს, რაც თავის დროზე სავალდებულო იყო ყოველი მოქალაქისათვის და ყოველი მორწმუნე ქრისტიანისათვის. ამიტომ მე ზნეობრიობის ფარგალში სწორედ ამ ათ მცნებას ვათავსებ...

კორესპ. – ჩვენი ზნეობრივი დონე კატასტროფულად დაბალია. შესაძლებელია თუ არა მნიშვნელოვანი, სასიკეთო ცვლილებები ეკონომიკაში და პოლიტიკაში ჩვენი ზნეობრივი გაჯანსაღების გარეშე?

ა.ბ. – რა თქმა უნდა, ყოველგვარი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა რომელიმე პრობლემის მოგვარება ზნეობრიობის თვინიერ გამორიცხულია. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანზე. როგორი კანონიც უნდა შემოიღოს სახელმწიფომ, როგორი კანონითაც უნდა იმართებოდეს ესა თუ ის ქვეყანა, თუ ადამიანი არ არის ამ კანონის პატივისმცემელი, არ იცავს ზნეობრივ პრინციპებს, ბუნებრივია, არაფერი გამოვა, რადგან ადამიანს, პრინციპში, არაფრის ეშინია. ციხეში მჯდომი ადამიანიც კი ფიქრობს ათასგვარ დანაშაულზე, თუ მას მიზნად აქვს დასახული ამ დანაშაულის ჩადენა. მით უმეტეს თავისუფალ ადამიანს, რომელიც ამ მხრივ შეზღუდული არ არის, ვერავითარი ზემოქმედებით, იქნება ეს სამილიციო თუ სამხედრო ზემოქმედება, თუ რომელიმე ძალდატანებითი ფორმა, ზნეობრიობის ფარგლებში ვერ დაამწყვდევს და ვერ მოაქცევს. ყოველთვის შეუძლია ადამიანს მისი დარღვევა და იმის გაკეთება, რაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია. ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს ზღუდავს და რომელიც ადამიანს არ აძლევს ბოროტმოქმედების ჩადენის საშუალებას, ესაა მისი სინდისი. თუ სინდისის მიმართ არაა განწყობილი ღრმა პატივისცემით, მის ბოროტმოქმედებას ჩვენ ვერ შევწყვეტთ. იმისათვის, რომ გარდატეხა მოხდეს და საქმე გამოსწორდეს უპირველესად ზნეობრიობაა საჭირო და იმ ზნეობრივი პრინციპების პატივისცემა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იყო გამომუშავებული საზოგადოების მიერ, მთელი კაცობრიობის მიერ.

ამასთან ერთად არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც არ შეიძლება არ იქნეს ყურადღებამიქცეული დღევანდელ ვითარებაში. ეს გახლავთ რწმენა უზენაესის სამართლიანობისა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, უბრალოდ ღმერთის რწმენა, რადგან ადამიანს სჭირდება გარკვეული შიში, შიში _ არა ადამიანის მიმართ, შიში _ არა ხელისუფლების მიმართ, შიში _ არა მოყვასის მიმართ, არამედ შიში უზენაესის სამართლიანობის წინაშე. როდესაც რუსთაველი ამბობდა _ «შიში შეიქმს სიყვარულსა» _ იგი გულისხმობდა ღვთაებრივ შიშს და არა იმ შიშს, რომელიც სამხედრო ან

მილიციური რეჟიმით შეიძლება დამყარდეს ამა თუ იმ ქვეყანაში. ღვთაებრივი შიში უზენაესის წინაშე ჩვენს შინაგან სამყაროში უნდა არსებობდეს. როდესაც ჩვენს შინაგან სამყაროში ეს იარსებებს, მაშინ, ბუნებრივია, ყველა იმ საქმეს, რასაც ვემსახურებით, გავაკეთებთ კარგად და პატიოსნად. მაშინ თანდათანობით გამოსწორდება ყველაფერი ის, რაც ასე გვაწუხებს და ადამიანის მუდმივი მსჯელობის საგანია დღეს. თუ არ მოხდა ზნეობრიობის აღორძინება ყოველ ადამიანში, მაშინ ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ გამოსწორდება ესა თუ ის ხარვეზი _ სოციალური ხასიათისა, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული თუ რომელიმე სხვა, ძალიან ნაკლებად დამაჯერებელი გახლავთ, რადგან არ იქნება სწორედ ის, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს _ ზნეობრივი კანონი ჩვენს შიგნით, გულში, ჩვენს სულში, ან სხვანაირად თუ ვიტყვით, შიში უზენაესის წინაშე, როგორც მაქსიმალური უნივერსალური ზნეობრიობის სიმბოლოს წინაშე.

კორესპ. – ე.ი. თუ არ არის შიში უზენაესის წინაშე, ყველაფრის გაკეთების უფლება მაქვს.

ა.ბ. – რა თქმა უნდა. თუ მე არა მაქვს ჩემი უკვდავების, ჩემი სულის უკვდავების რწმენა, ე.ი. მე დროებით ვარ მოსული და ვერავინ ამიკრძალავს ვაკეთო ის, რაც მე მინდა, იმიტომ რომ ძალიან მცირეა დრო იმისათვის, მიწიერი ცხოვრებით რომ ვიცხოვრო. მაგრამ თუ მჯერა, რომ ჩემი სული აგრძელებს სიცოცხლეს, ჩემი სული მარადიულია, მრცხვენია დანაშაულის ჩადენისა ჩემივე საკუთარი სულის წინაშე.

ამგვარი გრძნობა სულის უკვდავებისა ყველა ადამიანში უნდა არსებობდეს. ამ რწმენის გარეშე ადამიანი ძალიან უბრალო ცხოველია, მხოლოდ ფიზიოლოგიური არსებაა და არა უზენაესი არსება, რომელიც ღმერთმა თავის სახით შექმნა. ამიტომ რწმენა უკვდავებისა უნდა არსებობდეს ადამიანში. ეს რწმენა არის საფუძველი იმისა, რომ ჩვენ ყველაფერს კარგად ვაკეთებთ. ვაკეთებთ იმისათვის, რომ თაობიდან თაობას გადაეცეს. ჩვენ არ ვშრომობთ მარტო დღევანდელობისათვის, მარტო ჩვენთვის. ყოველი ადამიანი მუშაობს შთამომავლობისათვის, სულერთია, რას აკეთებს ის _ ფეხსაცმელს კერავს თუ წიგნებს წერს, ხეს რგავს თუ კომპოზიტორია. ყოველი ადამიანი მუშაობს უკვდავებისათვის, რაკი მუშაობს უკდავებისათვის _ ამისი რწმენაც უნდა ჰქონდეს, მაშინ აკეთებს ის ყველაფერს მაღალ დონეზე. სხვანაირად არაფერს გააკეთებს, მხოლოდ იზრუნებს თავისი თავის შენახვისათვის. და დღეს ჩვენ სწორედ თავის თავის შენახვისათვის ვზრუნავთ. ამას ვერ ვახერხებთ კარგად და აქედან გამომდინარე ნაირ-ნაირი კომბინაციები, ნაირ-ნაირი მახინაციები, ნაირ-ნაირი ქურდობები და ა.შ. იმ წუთიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გვინდა, რაც ყველა ადამიანში არსებობს. მაგრამ ცხოვრება, არსებობა ნიშნავს ამ წუთიერი მოთხოვნილებების დათრგუნვას მარადიულობის სახელით. ჩვენ კი პირიქით, მარადიულობას ვთრგუნავთ წუთიერით მოთხოვნილებების სახელით. ამან გამოიწვია ჩვენი ზნეობრივი დაქვეითება, გამოიწვია ყველა ის მანკიერებანი, რომლებიც ასეთი დიდი დოზით არსებობენ ყველა ჩვენთაგანის ცხოვრებაში და ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში.

კორესპ. – კირიონის სიტყვებს გაგახსენებთ: როცა ქვეყანა დაპყრობილია, ყველა მკრეხელობა აქედან მოდისო...

ა.ბ. – როდესაც ლაპარაკია პიროვნების თავისუფლებაზე, იგულისხმება ეროვნული თავისუფლებაც, რადგან ადამიანი, კერძო პირი ვერ იქნება თავისუფალი, თუ ეროვნულად არ არის თავისუფალი. ამიტომ უპირველესად ეროვნულ თავისუფლებაზე ლაპარაკი საჭიროა იმ კონტექსტში, რა კონტექსტშიც პიროვნების თავისუფლებაა ნაგულისხმევი. სხვანაირად არ შეიძლება. მათი გათიშვა წარმოუდგენელია. რაკი პიროვნება თავისუფალი გვინდა იყოს, ბუნებრივია, ის ერიც თავისუფალი უნდა იყოს,

რომელსაც ეს პიროვნება ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, ზნეობრიობის ის ურთიერთდამოკიდებულებაც, მთელი ეროვნული თვალსაზრისით თუ კერძო პირის თვალსაზრისით, ერთ წრეშია მოქცეული და ერთ მთლიანობას წარმოადგენს. კათალიკოსი კირიონი სრულიად მართალს ამბობს. სხვათა შორის, დაახლოებით ასეთივე აზრი აქვს ენგელსსაც. ენგელსი ამბობს _ ყოველი დაჩაგრული ხალხი იმდენ ენერგიასა და დროს ახმარს იმას, რომ ამ დაჩაგრულობისაგან განთავისუფლდეს, სხვა მაღალი იდეალების სამსახურისათვის უკვე არ სცალიაო...

ტელეინტერვიუ.
2 ივნისი, 1989.

მშვიდობიანად მივაღწიოთ აღთქმულ მიზანს

ვილენ მარდალეიშვილი – ბატონო აკაკი, თქვენ პირუთვნელად, თამამად შეგიძლიათ საუბარი მრავალ საჭირბოროტო პრობლემაზე, მაგრამ, რა ვქნა, ისევ მოუცლელი ბრძანდებით... ამიტომ, იქნებ ძირითადად ერთ თემაზე გვესაუბრა. ვთქვათ, სსრკ უმაღლესი საბჭოს მუშაობაზე. საინტერესოა საშემოდგომო სესიაზე რატომ არ მონაწილეობთ?

ა.ბ. _ იმ საკანონმდებლო აქტებიდან, რომლებიც საშემოდგომო სესიაზე განიხილეს, არც ერთს არ ვთვლი რაიმე მნიშვნელობის მქონედ. ისინი მხოლოდ ფერუმარილის ღირებულებისაა. მათი დანიშნულებაა ბებერი და მახინჯი სახე შეალამაზონ. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სიბერისა და სიგონჯის დამალვა ვერ ხერხდება. რატომღაც ჩვენ მაინც დამალვის პოლიტიკას ვადგავართ. იმ მდგომარეობას, რომელიც სსრკ-ში შეიქმნა, შეკეთება-შერემონტება ვერ უშველის. სახელმწიფო, სოციალური, პოლიტიკურ-ეკონომიკური, ეროვნული სისტემა, რომელიც სსრკ-ში არსებობს, პირწმინდად უნდა დაინგრეს და სრულიად ახალი აშენდეს. ჩემი აზრით, სხვა გამოსავალი არ არის.

უფრო კონკრეტულად:

საშემოდგომო სესიაზე, მაგალითად, განიხილებოდა კანონი საკუთრების შესახებ. მართალია, მე ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ სპეციალური ცოდნა არ სჭირდება იმას, რომ საკუთრების ის ფორმები, რომლებიც სსრკ-ში უნდათ დანერგონ, არ მოგვცემს არავითარ შედეგს, არ შეცვლის არაფერს. ეს იქნება კიდევ ერთი ექსპერიმენტი, რომელიც მარცხით დამთავრდება (ამგვარი კანონების გამოცემისა და მერე მისი უარყოფის ზღვა მასალა არსებობს და მკითხველს მათი გახსენება თავისუფლად შეუძლია). რატომ ვარ მე ამგვარი კატეგორიული აზრის? სრულიად მარტივი ლოგიკის გამო.

დღემდე კაცობრიობის ისტორია იცნობს საკუთრების ორ ძირითად ფორმას _ კერძოსა და საზოგადოს (სახელმწიფო). სხვა ფორმები ამ ორის ნაწილებია. დღეს სსრკ-ში გამოჩნდა სურვილი მათი შერევის: ცოტა კერძო, ცოტა საზოგადო. მოგვცემს ეს რაიმეს? ლოგიკურად დავაკვირდეთ:

აშშ-ში, გფრ-ში, იაპონიაში და სხვაგან ეკონომიკა ეფუძნება კერძო საკუთრებას. სსრკ-ში და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში _ საზოგადო საკუთრებას. შევადაროთ ერთმანეთს მათი ეკონომიკური ვითარება და ცხადად დავინახავთ: სადაც კერძო საკუთრებაა, დოვლათი და სიუხვე თავზე გადასდით. სადაც საზოგადო საკთრებაა _ სიღატაკე მეფობს. ეკონომიკური პრობლემები ვერაფრით ვერ მოუგვარებიათ.

შედარებისათვის საუკეთესო ნიმუშია ორი გერმანია _ გფრ და გდს. ერთი და იგივე ხალხი, ერთი ჯიშის, ერთი ისტორიით, ერთი ტრადიციით, ერთნაირი თვისებით, ერთნაირი სიბეჯითით, ერთნაირი შრომისმოყვარეობით, ერთნაირი კეთილსინდისიერებით საქმის მიმართ, ერთნაირი კულტურის, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობით ძირეულად განსხვავებულია. თუ გფრ-ში ჩიტის რძე არ აკლიათ, გდრ-ში უჭირთ. საბუთად სხვა რაღა გინდათ: გდრ-ის მოსახლეობა გარბის გფრ-ში. ამ ცნობებით აჭრელებულია პრესა.

მე ვყოფილვარ ერთგანაც და მეორეგანაც. თუ გფრ-ში ვერც კი მიხვდებით, რომ ოდესმე ომი ყოფილა ქვეყანაზე, ისე განახლებული და აღდგენილია ყველაფერი, გდრ-ში თითქმის ყველა ქალაქში დანგრეულია მთელი უბნები, რომელთა აღდგენის თავი გდრ-ელებს არა აქვთ. როცა გდრ-ში ამ ნანგრევებს უყურებთ, უნებლიეთ გებადებათ კითხვა: ნუთუ ეს ის გერმანელები არიან, რომელთა შრომისმოყვარეობა კაცობრიობას ანცვიფრებდა?

რამ გამოიწვია ასეთი განსხვავება, ასეთი ცვლილება? ერთადერთმა: საკუთრების ფორმათა სხვაობამ. იქ, სადაც არსებობს კერძო საკუთრება, ადამიანის შრომას აქვს შედეგი. ხოლო იქ, სადაც არ არსებობს კერძო საკუთრება, ადამიანის შრომა უნაყოფოა. უნაყოფო შრომის შედეგი კი სიღარიბეა.

იაპონიას ტერიტორიის სიმცირე და სიმწირე ახრჩობს, მაგრამ მის ეკონომიკურ სასწაულს კაცობრიობა პირდაფჩენილი მისჩერებია. რუსეთს თვალუწვდენელი ტერიტორია აქვს, ბუნებრივი სიმდიდრით გატენილ-გაძეძგილი და სამოცდაათი წლის მანძილზე სასურსათო ტალონები ვერ მოიცილა. ჟურნალმა «ნაუკა ი ჟიზნ» (1989 წ. № 7, გვ.51) გამოაქვეყნა ტალონების სურათები, რომლებიც სამხედრო კომუნიზმით დაწყებული დღემდე არსებობს სსრკ-ში. რატომ არის ასე? იმიტომ, რომ კერძო საკუთრება თავისუფალი შრომის საშუალებას იძლევა, ხოლო თავისუფალი შრომა ეკონომიკურ სასწაულს ახდენს. საზოგადო (სახელმწიფო) საკუთრება კლავს პიროვნების ინიციატივას, რის გამოც მისი შრომა უშედეგოა, უნაყოფოა.

ამდენად საკუთრების ფორმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ გვინდა ეკონომიკური გამარჯვება მოვიპოვოთ, კერძო საკუთრება უნდა აღვადგინოთ. სხვაგვარად არაფერი გამოვა. თუ შერეული ფორმის ძიება დავიწყეთ, თუ ახალი ექსპერიმენტი წამოვიწყეთ, დამერწმუნეთ, ისედაც არეულ-დარეულ ქვეყანას ისეთ ქაოსში გადავუძახებთ, რომ იქიდან მისი გამოხსნა შეიძლება შეუძლებელიც გახდეს.

მართალია, დღეს ყველა ლაპარაკობს სსრკ-ის ეკონომიკურ ჩამორჩენილობაზე, მაგრამ ამას საკუთრების ფორმას კი არ აბრალებს, არამედ ცალკეულ პიროვნებათა შეცდომებს _ სოციალიზმის დეფორმაცია მოხდაო. ეს მორიგი ტყუილია. მაინც არ გვინდა ვაღიაროთ, რომ ცალკეულ ადამიანებს არ ძალუძთ ეკონომიკის ბედის გადაწყვეტა, თუკი იგი ნაღდ და ნამდვილ საფუძველს ეყრდნობა. როგორი პრეზიდენტიც უნდა დავსვათ აშშ-ში, მის ეკონომიკას ვერაფერს დააკლებს. სსრკ-ში კი ყოველ გენერალურ მდივანს შეუძლია თავდაყირა დააყენოს ეკონომიკა. რატომ? იმიტომ, რომ ეკონომიკას ცრუ, ყალბი საფუძველი აქვს. ეკონომიკურ მდგომარეობას განაპირობებს მისი საფუძველი, ანუ საკუთრების ფორმა. როგორიცაა საკუთრების ფორმა, ისეთივეა ეკონომიკა. ამიტომ უნდა დავასკვნათ: სსრკ-ის ეკონომიკური სიდუხჭირე განპირობებულია საკუთრების ფორმით და სანამ იგი არ გამოიცვლება საბჭოურ ეკონომიკასაც არაფერი ეშველება. საქმე სულ უარესობისაკენ და უარესობისაკენ წავა. სად მიგვიყვანს ეს, ყოველ გონიერ კაცს შეუძლია წარმოიდგინოს.

ეს არის ჩემი პირადი შეხედულება. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ არ ვიცი, უჭერს თუ არა მხარს ქართველი ხალხი კერძო საკუთრებას. როგორც მოგეხსენებათ,

საქართველოში რეფერენდუმი ამ საკითხზე არ გამართულა და ერის აზრი არ ვიცით. ჩემს მონაწილეობას სესიის მუშაობაში მაშინ ექნებოდა ფასი, თუ მეცოდინებოდა ხალხის აზრი, საკუთრების რა ფორმა მოსწონს მას, რას ემხრობა სულითა და გულით. სამართლიანად დაუსვეს კითხვა საშემოდგომო სესიაზე კერძო საკუთრების დამცველებს _ იცითო თქვენ ხალხის აზრი ამ საკითხზე? იქნებ ხალხს აღარ უნდა კერძო საკუთრება? ეს არ არის მარტივი კითხვა. ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავტორთა უმრავლესობა არ არის კერძო საკუთრების მომხრე. ჩემთან პირად საუბარშიც ბევრს გამოუთქვამს შიში – ვაითუ, კერძო საკუთრებამ ისტორიის ჩარხი უკან შეატრიალოსო. ეს შიში თუ არ გაიფანტა, თუ ხალხს არ გავაგებინეთ კერძო საკუთრების არსი, მისი ნამდვილი ღირებულება, შეიძლება სულიერად საზოგადოება მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს. დიმიტროვის სახელობის ქარხანაში ერთმა მოქალაქემ ისიც კი მკითხა _ «ბიძია თომას ქოხი» თუ გაქვსო წაკითხული. როცა ვუპასუხე, რა თქმა უნდა, წაკითხული მაქვს-მეთქი, გაბრაზებულმა მომაძახა: მერედა იმ საშინელების დაბრუნება გინდა, რაც იქ არისო აღწერილი!.. სამწუხაროდ, მთელ სსრკ-შიც და კერძოდ საქართველოშიც ძალიან ბევრი დგას ცოდნისა და შეგნების ამ დონეზე. ათეული წლების მანძილზე ისე ვაძაგებდით კერძო საკუთრებას, რომ დღეს შიშის ზარს გვცემს მისი გახსენებაც კი. ადამიანებს დავუმახინჯეთ ცოდნა, შეგნება, ჩავუნერგეთ შიში. ჯერ ადამიანთა ცნობიერება უნდა გავათავისუფლოთ და მერე გავმართოთ მსჯელობა საკუთრების რომელი ფორმა სჯობს.

თუ ხალხს არ გავაგებინეთ, რა არის კერძო საკუთრება, რა არის საზოგადო საკუთრება, ისე უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს არავითარი მნიშვნელობა და ძალა არ ექნება. ხალხს თუ კანონი არ მოსწონს ის ყოველთვის გამონახავს საშუალებას მას გვერდი აუაროს და არ შეასრულოს. სსრკ-ში ეკონომიკის საქმე იმიტომაც არის სავალალოდ, რომ ხალხს არ მოსწონს არსებული ეკონომიკური კანონები. ხალხი მას არაფრად არ აგდებს, იმას აკეთებს, რაც სურს. კანონებისა და ხალხის სურვილის შეუსაბამობამ გამოიწვია ეკონომიკური ქაოსი.

დეპუტატი უმაღლეს საბჭოში ხალხის სახელით ლაპარაკობს და იმას უნდა იცავდეს, რაც ხალხს მოსწონს. დეპუტატის პირად აზრს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. რა თქმა უნდა, დეპუტატი პირად თვალსაზრისს, პირად შეხედულებას ხალხს აცნობს. ამის შესაბამისად მას ამომრჩევლები კენჭს უყრიან და ირჩევენ, მაგრამ ამა თუ იმ საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები მთელი ერი არ არის. ისინი მცირე ნაწილია ხალხისა. ისეთი პრობლემა კი, როგორიც საკუთრების ფორმის პრობლემაა საერთო-სახალხო მნიშვნელობის მატარებელია. სხვების არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის აუცილებელია ერის აზრის ცოდნა. აუცილებელია ნათლად გარკვევა იმისა, მხარს უჭერს თუ არა ქართველი ხალხის უმრავლესობა კერძო საკუთრებას. უნდა ვიცოდეთ სწორედ გლეხისა და მუშის აზრი საკუთრების ფორმაზე, რადგან საკუთრებად მიწა და ფაბრიკა-ქარხნები მათ უნდა მიეცეს, თორემ პირადად მე და ჩემისთანებს საკუთრებად ქაღალდი და კალამიც გვყოფნის.

თუ ქართველ ხალხს არ სურს კერძო საკუთრება და მომხრეა საზოგადო საკუთრებისა, მაშინ მე დეპუტატად არ გამოვდგები. ცხადია, გასაგებია, რატომაც. როგორიც უნდა იყოს დეპუტატის შეხედულება საკუთრების ფორმაზე, ხალხის სურვილის წინააღმდეგ იგი ვერ წავა. თუ წავა, მაშინ ის ხალხის ინტერესის დამცველი კი არ იქნება, არამედ მისი მოწინააღმდეგე.

რაკი მე არ ვიცი, როგორია ქართველი ხალხის უმრავლესობის შეხედულება საკუთრების ფორმაზე, ბუნებრივია, ჩემს მონაწილეობას საშემოდგომო სესიის მუშაობაში აზრი არ ჰქონდა. ამიტომ არ წავედი სესიაზე.

აუცილებლად მიმაჩნია, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მოაწყოს საერთო-სახალხო რეფერენდუმი საკუთრების ფორმის თაობაზე. მერე კი დეპუტატები უნდა მოიქცნენ იმის შესაბამისად, რა შედეგსაც ეს რეფერენდუმი მოგვცემს.

თუ გრძელი ლაპარაკით თავი არ მოგაწყინეთ, კიდევ ორ საკითხს შევეხები.

დავსვათ კითხვა: ვინ უნდა აირჩიოს პრეზიდენტი _ სახალხო დეპუტატთა ყრილობამ, უმაღლესი საბჭოს სესიამ თუ მთელმა ხალხმა, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით? ამ კითხვის ჩემი პასუხი ასეთია: მთელმა ხალხმა, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. ბევრმა დეპუტატმა გამოთქვა საშემოდგომო სესიაზე ეს აზრი, მაგრამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ეს ხელისუფლების ხასიათის შეცვლა იქნებაო, იყო პასუხი. მართალია, ხელისუფლების ხასიათი შეიცვლება, მაგრამ საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ ხელისუფლების ხასიათი უნდა შეიცვალოს. სხვაგვარად არავითარი გარდაქმნა-»პერესტროიკა» არ გამოვა.

ამჟამად სსრკ-ში ძალაუფლება სამ ძალას აქვს ერთმანეთში გაყოფილი: პარტოკრატიას, ბიუროკრატიას, კლეპტოკრატიას. ამ სამში ყველაზე ძლიერი დღესდღეობით კლეპტოკრატიაა. პარტოკრატიაც და ბიუროკრატიაც მას მორჩილებენ. თუმცა გარეგნულად თითქოს პარტოკრატია «ებრძვის» კლეპტოკრატიას. ყველა ოცნება სსრკ-ში რაიმეს შეცვლაზე ფუჭად ჩაივლის, თუ ამ სამი ძალის გათიშვა-დაშლა არ მოხდა. მათი დაშლა-გათიშვა კი შეუძლებელი იქნება, თუ არ შეიცვალა ხელისუფლების ხასიათი. ჩემი აზრით, ხელისუფლების ხასიათის შეცვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შემოღებული იქნება პრეზიდენტის მმართველობა. ასეთი პრეზიდენტი კი ხალხმა უნდა აირჩიოს პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.

ჩვენ არ ვიცით არც ის, რა აზრის არის ამ პრობლემაზე ქართველი ხალხი.

ჩვენ მისთვის ეს აზრი არ გვიკითხავს. ესეც გასარკვევია. როცა ცნობილი გახდება, ხელისუფლების რა ფორმას უჭერს ქართველი ხალხი მხარს, მაშინ მეცოდინება რამდენად ემთხვევა ჩემი და ხალხის შეხედულება ერთმანეთს, რამდენად მაქვს უფლება ვილაპარაკო ხალხის სახელით.

ამ პრობლემის გაურკვევლობამაც მაიძულა არ წავსულიყავი საშემოდგომო სესიაზე.

და ბოლოს, საშემოდგომო სესიაზე მიმდინარეობს საუბარი იმ ცვლილებებზე, რომლებიც სსრკ-ის კონსტიტუციაში უნდა მოხდეს.

ამჟამად აბსურდული ვითარება გვაქვს. ერთი მხრივ, კატეგორიულად უარვყოფთ ე.წ. უძრაობის პერიოდს, მაგრამ, მეორე მხრივ, ვმუშაობთ და ვცხოვრობთ იმ პერიოდში მიღებული კონსტიტუციით. უმაღლესი საბჭოს სესიაზე, როგორც კი რაიმე ახლებური შეხედულება-გადაწყვეტილება გამოითქმის, მაშინვე დაავლებენ ხელს ბრეჟნევის კონსტიტუციას და იტყვიან _ ნახეთ როგორ წერია. წამოყენებული წინადადება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და, მაშასადამე, მიუღებელიაო. პირში კონსტიტუციაჩაჩრილი ორატორიც ჩერდება. ყოველი ახალი, საღი აზრი, რა თქმა უნდა, დღეს მოქმედ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ამიტომ მე თუ მკითხავთ, ყოველგვარი გარდაქმნა კონსტიტუციის შეცვლით უნდა დაგვეწყო.

ყოველი ქვეყნის სამართლებრივ სახეს და შინაარსს კონსტიტუცია განსაზღვრავს. ბუნებრივია, რომ აუცილებელია ახალი კონსტიტუცია. მაგრამ არის ერთი კითხვა, რომელსაც გულღიად უნდა ვუპასუხოთ. ეს კითხვა ასეთია: საჭიროა თუ არა საკავშირო კონსტიტუცია, თუ საკმარისია მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციები?

ამ კითხვის პასუხს განაპირობებს ის, თუ რისთვის ვიბრძვით. თუ ჩვენ ვიბრძვით დამოუკიდებელი, თავისუფალი, ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად, მაშინ სსრკ-ის კონსტიტუცია საჭირო არ არის. თუ ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ ერთიანი, მრავალეროვნული სახელმწიფო, მაშინ, ცხადია, სსრკ-ის ახალი კონსტიტუცია საჭიროა.

ჩემი შეხედულება ამგვარია: აუცილებელია დამოუკიდებელი, თავისუფალი, ეროვნული სახელმწიფოების შექმნა. ის სხვა საკითხია, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები როგორ ხელშეკრულებას დადებენ ერთმანეთს შორის. ამას მომავალი დაგვანახებს.

ყოველივე ზემოთქმულის გამო არ წავედი საშემოდგომო სესიაზე. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ხალხის აზრი. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, ბრძანებს ძველი სიბრძნე. ამის დავიწყება არ შეიძლება. ამიტომ საქართველოს კპ-მ, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს სსრ მთავრობამ უნდა მოაწყონ რეფერენდუმი ყველა ძირეული პრობლემის გარშემო და მერე ხალხის მოთხოვნის შესაბამისად მოიქცნენ.

ვ.მ. – ყრილობამ, სესიამ მეტი უფლებები მიანიჭა საბჭოებს, იმასაც მოვესწარით, ტელევიზიითაც კი გადაიცემა ამ თავყრილობების მიმდინარეობა. ზოგის ისეთი გამოსვლაც მოვისმინეთ, რომელიც უწინ წარმოუდგენელი იყო და, რომ იტყვიან, ყურებს არ ვუჯერებთ. ხალხმა გაბედა ხელისუფლების კრიტიკა, მასთან კამათი.

როგორ გგონიათ, ბატონო აკაკი, ეს ყოველივე ნიჭიერი რეჟისორის დადგმული სპექტაკლია, თუ, ბოლოს და ბოლოს, ეშველება რაიმე ხელისუფლებისადმი საბჭოთა ადამიანების ბრმად მორჩილებას?

ა.ბ. – რა თქმა უნდა, სპექტაკლია. ძველთაძველი კითხვაა: რეალურად ვის ეკუთვნის ხელისუფლება _ კომპარტიის ცკ-ს თუ საბჭოებს? ადრე პასუხი მკაფიო იყო: კომპარტიის ცკ-ს, მის პოლიტბიუროს. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1919 წელს გადაწყდა რკპ(ბ) მერვე ყრილობაზე.

რკპ(ბ) მერვე ყრილობის რეზოლუციაში ნათლად არის ნათქვამი, რომ რკპ(ბ) არის პარტია, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას და მთელი საბჭოთა აპარატი უპყრია ხელთ. პარტია მიისწრაფვის იქითკენ, რომ დაეუფლოს თანამედროვე სახელმწიფო ორგანიზაციებს, საბჭოებს და ყველა საბჭოთა პოსტზე აყენებს თავის ყველაზე უფრო მტკიცე და ერთგულ წევრებს. რკპ(ბ) მოვალეა დაამყაროს თავისი განუყოფელი ბატონობა საბჭოებში და ფაქტიურად აკონტროლოს მთელი მისი საქმიანობა («რკპ(ბ) მერვე ყრილობა», 1959 წ., გვ. 423, 428-29, რუსულად).

მაშასადამე, 1919 წ. შეიქმნა მმართველობის ის აპარატი, რომელიც დღეს ცნობილია მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემად. მერვე ყრილობაზე მომხსენებელი იყო ლენინი, თანამომხსენებელი _ ბუხარინი.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემას დღეს თითქოს ვებრძვით. მართლა ასეა? ჩემი შთაბეჭდილება ასეთია _ სიტყვით ვებრძვით, საქმით – არა.

როგორც იცით, სახალხო დეპუტატების პირველ ყრილობაზეც იყო ხანგრძლივი დავა-პაექრობა ძალაუფლების პრობლემის გარშემო. მაგრამ ყველაფერი ისევ ისე დარჩა, როგორც იყო. ორი მთავარი თანამდებობა _ გენერალური მდივნისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა – ერთი კაცის ხელში გადავიდა. ყველა ორატორი, რომელიც კი ძალაუფლების საკითხს შეეხო, ერთხმად ამბობდა, რომ ორივე ამ თანამდებობის ერთი კაცისათვის მიცემა შეუწყნარებელია. მაგრამ, რაკი მიხ. გორბაჩოვს არ ჰყავს ალტერნატიული მეტოქე, ამიტომ მაინც ორივე თანამდებობა მას უნდა დარჩესო. როგორც ხედავთ, მოტივი ერთობ უსუსურია. როგორ, სახელმწიფოში, რომელშიც სამას მილიონამდე კაცი ცხოვრობს, არ არის ალტერნატიული კანდიდატურა? როგორ, პარტიას, რომელსაც, თუ არ ვცდები 17 მილიონი კაცი ჰყავს წევრად, არ ძალუძს წამოაყენოს ალტერნატიული კანდიდატურა? ეს ხომ წარმოუდგენელია. რა თქმა უნდა, ალტერნატიული კანდიდატურის მოძებნა შეიძლება, მაგრამ საჭირო არ არის. თქვენც გახსოვთ და სსრკ-ის ყველა მოქალაქეს, ვინც კი ტელევიზორს უყურებდა და უსმენდა, როგორ დაასახელა თავი ალტერნატიულ კანდიდატად ხალხისათვის სრულიად

უცნობმა ინჟინერმა ობოლენსკიმ. ვინ არ იცოდა, რომ ობოლენსკის გამარჯვების არავითარი შანსი არ ჰქონდა, მაგრამ მისი კანდიდატურის გარშემო სჯა-ბაასი მაინც დიდხანს გაგრძელდა.

მეორე შემთხვევაც გავიხსენოთ.

უმაღლესი საბჭოს სესიამ უარყო, სხვა რამდენიმე კანდიდატთა შორის, რკინიგზის მინისტრის კანდიდატურაც. არ გასულა ორი კვირა, რომ დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა (ელცინის მეთაურობით) შეიტანა პრეზიდიუმში მოთხოვნა, რომ რკინიგზის მინისტრის კანდიდატურა თავიდან განხილულიყო, რადგან ადრე უსაფუძვლოდ მოხდაო მისი დაწუნება. მართლაც ყველაფერი თავიდან დაიწყო. მეორე განხილვისას რკინიგზის მინისტრის კანდიდატურა მოიწონეს და დაამტკიცეს. ისიც კი ითქვა, რომ დღეს არ არის სხვა კაცი, რომელიც რკინიგზას მოუვლისო. აქაც, სამასმილიონიან სახელმწიფოში ვერ იშოვეს ერთი მინისტრის შემცვლელი. უმაღლესმა საბჭომ უბოდიშოდ უარყო თავისი ადრინდელი გადაწყვეტილება და მიიღო მეორე. რა არის ეს?..

სხვა მაგალითების მოხმობაც შეიძლებოდა, მაგრამ საილუსტრაციოდ ეს ორიც კმარა. რაც შეეხება თქვენი კითხვის ბოლო ნაწილს, უნდა მოგახსენოთ, რომ მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება ხელისუფლებისადმი ბრმად მორჩილებას დააღწიოს თავი ხალხმა, როცა შეიქმნება მრავალპარტიული სისტემა. ყველა პარტიას ექნება მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა. ამ პარტიების წარმომადგენელი დეპუტატები პარლამენტში იბრძოლებენ საკუთარი პრობლემების პოზიციებიდან. ასეთ ვითარებაში იბადება აზრის თავისუფლებაც და პოზიციის სიმტკიცეც. სანამ ეს არ მოხდება, სანამ ერთმანეთისაგან არ გამოყოფილან კანონმდებელი, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებანი, არც დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი, არც პიროვნების თავისუფლებაზე და არც ვითარების არსებით შეცვლაზე.

ვ.მ. – ამ თავყრილობების მონაწილე, რას იტყვით, საქართველოს შესწევს უნარი პარლამენტარიზმის გზით სანუკვარ მიზანს მიაღწიოს?

ა.ბ. – ჩემი აზრით, შესწევს. ოღონდ ამას საქართველოს ხელისუფლების სულ სხვაგვარი მუშაობა სჭირდება და არა ისეთი, როგორიც დღეს მიმდინარეობს. გეტყვით, როგორ წარმომიდგენია ეს საქმიანობა.

უპირველესი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს გახლავთ თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია-გეგმის შექმნა. ძალიან მოხარული ვარ, რომ უკვე გამოქვეყნდა ასეთი გეგმის პროექტები. მათ გარშემო დისკუსიაც მიმდინარეობს. რატომღაც ზოგიერთის განაწყენება გამოუწვევია იმას, რომ რუსთაველის საზოგადოების კომისიამაც შეიმუშავა ეკონომიკური განვითარების კონცეფცია და ქართველ ხალხს წარუდგინა სამსჯავროზე. არ მესმის, რა არის აქ გასაბრაზებელი ან საწყენი. ნეტავ სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებიც შეიმუშავებდნენ ასეთ გეგმა-კონცეფციებს, მაშინ კიდევ უკეთეს საბოლოო ვარიანტს მივიღებდით. რამდენად მეტი ადამიანი, ორგანიზაცია, დაწესებულება მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენაში, მით უკეთესი.

რა თქმა უნდა, გამოქვეყნებული პროექტები სერიოზულ მუშაობას და ჩვენი სპეციალისტების აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. მე პირადად კი არსებული პროექტების ნაკლად ის მიმაჩნია, რომ ისინი მომავალ საქართველოს უყურებენ, როგორც სსრკ-ის ნაწილს. ეს ერთი. მეორე ხარვეზია ის, რომ არც ერთ პროექტში მკაფიოდ და მტკიცედ არ არის განსაზღვრული საკუთრების ფორმა. ეს კი, როგორც უკვე მოგახსენებდით, არსებითი და გადამწყვეტია. მაგრამ ამჯერად მთავარი ის არის, რომ

ნავსი გატეხილია. პროექტები გამოქვეყნებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, მიუხედავად ჩვენი სიზანტისა, საბოლოო ვარიანტსაც დავამუშავებთ.

მეორე პრობლემა, რომელიც ასევე სასწრაფოდ მოსაგვარებელია, გახლავთ მომავალი საქართველოს იურიდიული მოწყობის (იგულისხმება როგორც კონსტიტუცია, ისე სხვა სამართლებრივი აქტები) პროექტის შედგენა.

მესამე საკითხია ქართული ეროვნული არმიის შექმნა. ამასაც თავისი ეკონომიკური და იურიდიული საფუძველი სჭირდება. ესეც მკაფიოდ მოსაფიქრებელ-ჩამოსაყალიბებელია. საერთოდ კი ეროვნული არმიის შექმნის საკითხი რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს, თუ არ გვინდა ტრაგედია დატრიალდეს. ამიტომ ყველა თვალსაზრისით უმჯობესია დაუყოვნებლივ გავითვალისწინოთ და დავაკმაყოფილოთ ჩვენი ახალგაზრდობის სრულიად სამართლიანი მოთხოვნა.

როცა საერთო-სახალხო რეფერენდუმით მიღებულ-დამტკიცებული იქნება საქართველოს ეკონომიკური, იურიდიული, სამხედრო მოწყობის პროექტები, მას საქართველოს უმაღლესმა საბჭომ კანონის სახე უნდა მიანიჭოს. ამის საფუძველზე მერე დაისმის მათი სსრკ-ის უმაღლეს საბჭოში განხილვა-დამტკიცების საკითხი. აი, მაშინ დაგვჭირდება ჩვენ პრინციპული ბრძოლა. აი, ამისთვის უნდა ვიყოთ მზად. მაშინ უნდა გამოვავლინოთ დიპლომატიური ნიჭიერებაც, პოლიტიკური მოქნილობაც და ეროვნული სიმტკიცეც.

მხოლოდ ამ პრობლემების მოგვარების შემდეგ ყველაფრისათვისაც მზად ვიქნებით და გარეშე თუ შინაური მტრისათვის პასუხის გაცემაც შეგვეძლება.

რა თქმა უნდა, სულწასულებს მოეჩვენებათ, რომ ყველაფერი ზემოთქმულის გაკეთებას დიდი დრო დასჭირდება. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ დრო ჩვენს სიბეჯითეზე, მომზადებულობაზე, ცოდნაზე, მოთმინებაზე, თანამიმდევრულობაზე, გამჭრიახობაზე და შორსმჭვრეტელობაზეა დამოკიდებული. გამოვიჩენთ ამ თვისებებს? ყველაფერი კარგად იქნება. დროც ბევრი არ დაგვჭირდება. ვერ გამოვიჩენთ? მაშინ სხვას ვეღარაფერს დავაბრალებთ. ჩვენს საქმეს ჩვენვე წავახდენთ.

საერთო-სახალხო პოზიციის შემუშავება აუცილებელია, რადგან წინ დიდი საფრთხე გველის ეროვნული თვალსაზრისით. ახლა სსრკ-ში ეროვნულ კონფლიქტთა მოსაგვარებლად გზებს ეძებენ. სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი მათგანის, თუ ავტორი არა, დამცველი და პროპაგანდისტია ისეთი ავტორიტეტიანი კაცი, როგორიც აკადემიკოსი ა.სახაროვია. მართალია, ა.სახაროვის პროექტს არ იხილავს საშემოდგომო სესია, მაგრამ სრულიად არ არის გამორიცხული იგი ცხარე მსჯელობის საგანი გახდეს სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე. მისი აზრით, სსრკ-ში უნდა მოიშალოს საფეხურებიანი ურთიერთობანი ერთა შორის. მოკავშირე რესპუბლიკა უფრო მაღალი უფლების მქონეა, ვიდრე ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკა უფლებით აღემატება ავტონომიურ ოლქს და ა.შ. სახაროვს მიაჩნია, რომ ეს ერთა დისკრიმინაციაა და ამიტომ ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება უნდა შეიცვალოს. შეცვლა კი შეიძლება იმით, რომ უნდა გაუქმდეს მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის და ა.შ. სტატუსები. ყველა კომპაქტურად დასახლებულ ერს თანაბარი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უფლება უნდა ჰქონდეს და უშუალოდ ექვემდებარებოდეს ცენტრს.

საქართველოს მაგალითზე ეს თეორიული პროექტი ასეთ სახეს მიიღებს: დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნება აზერბაიჯანელთა, აფხაზთა, ოსთა, რუსთა, სომეხთა, ქართველთა და სხვათა თანაბარუფლებიანი ავტონომიური ერთეულები, რომელნიც უშუალოდ დაემორჩილებიან ცენტრს. თბილისს არავითარი უფლება მათ საქმეში ჩარევისა არ ექნება.

მისაღებია ეს ჩვენთვის? ცხადია, არა, რაკი საქართველო კარგავს არსებითად მთელ მის ისტორიულ ტერიტორიას, ამ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ძეგლებს, ისტორიას, წინაპართა საფლავებს... თუ რსფსრ-ში ავტონომიები არსებობს, როგორც ეს მართებულად შენიშნა ლ.ალექსიძემ, რუსეთის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე, საქართველოში პირიქით არიან: ავტონომიები არსებობს საქართველოს ძირეულ ტერიტორიაზე და ახალიც ამ ტერიტორიაზე შეიქმნება.

უეჭველია, რომ ა.სახაროვი და მისი რაზმი წამოყენებულ იდეას დაიცავს. რით ვუპირისპირდებით ჩვენ მას? გვაქვს საპირისპირო კონცეფცია? სამწუხაროდ, არა. ჩემი ან რომელიმე დეპუტატის კერძო აზრი საპირისპიროდ არ გამოდგება. არ გამოდგება იმიტომ, რომ სხვის ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლებული ყოველი ხალხისათვის ა.სახაროვის იდეა უაღრესად მომხიბლავია. საქართველოში საპირისპირო კონცეფცია უნდა შემუშავდეს არა მარტო ქართველთა შეხედულების შესაბამისად, არამედ საქართველოში მოსახლე ყველა ხალხის აზრის გათვალისწინებით. სხვაგვარად ისინი დაგვიპირისპირდებიან ჩვენ და უაღრესად რთულ ვითარებაში ჩავცვივდებით.

ვ.მ. – ბატონო აკაკი, ქართველ ერს ძვირად დაუჯდა გამოღვიძება, ამოძრავება... არც ფიზიკური ანგარიშსწორება დაგვაკლეს და არც ავის მომასწავებელი მუქარა, ძმამაც გაგვწირა და ძმადნაფიცმაც... თქვენი აზრით, რა უნდა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?..

ა.ბ. – ეროვნული გამოღვიძება და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ყველა დროში და ყოველთვის სისხლთან ყოფილა დაკავშირებული. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს და სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩაგვაგდოს. საქართველომ არსებობა სისხლით შეინარჩუნა. მე მარტო იმ სისხლს არ ვგულისხმობ, რომელიც საქართველომ მუსლიმანურ სამყაროსთან ბრძოლაში დაღვარა. განა სისხლს არ ვღვრიდით 1804, 1812, 1820, 1841 წლებში? განა სისხლს არ ვღვრიდით 1905-7 წლებში? 1921, 1924 წლებში? 1956 წლის მარტში? განა სისხლისღვრა არ არის ამდენი დაჭერილ-გადასახლებულ-დახვრეტილი 30-იან წლებში? 400 000 ქართველი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. ამან დემოგრაფიული წონასწორობა კინაღამ დაარღვია და გადაშენებას ბეწვზე გადავრჩით. ასე, რომ ჩვენ ბევრად უარეს მდგომარეობაში ვყოფილვართ და მაინც გამარჯვებული გამოვსულვართ. ახლაც ასე იქნება. ჩვენ, არავის გვინდა სისხლი და საშინელება, გვინდა მშვიდობიანად მივაღწიოთ აღთქმულ მიზანს.

რა გზას დავადგეთ? მე გონია, ჩემი აზრი უკვე გითხარით, როცა ვილაპარაკე მომავალი საქართველოს ეკონომიკურ, იურიდიულ, სამხედრო, პოლიტიკური მოწყობის თანამიმდევრობაზე. გაიზიარებს თუ არა ჩემს აზრს ჩვენი საზოგადოება, ეს უკვე მისი საქმეა.

გაზ. «კომუნისტი», 15.XI.1989.

ვცვლით თუ ვარემონტებთ?

იოსებ ჭუმბურიძე _ (ბატონ აკაკი ბაქრაძესთან, ძირითადად, ეკონომიკის საკითხებზე საუბარი მსურდა და ძალიან გამიხარდა, ინტერვიუსთვის რუსთაველის საზოგადოებასთან ბანკის დაარსების დღეს რომ დამიბარა. გვეგონა, დამფუძნებელი კრება საათ-ნახევარში მაინც დამთავრდებოდა, მაგრამ ის გაცილებით დიდხანს გაგრძელდა. ამის მთავარი მიზეზი იყო ხანგრძლივი ბჭობა ბანკის სახელწოდების გამო. უმრავლესობას სურდა, მას «ეროვნული ბანკი» დარქმეოდა, მაგრამ კომპეტენტურმა

პირებმა განმარტეს, რომ, მოქმედი კანონმდებლობით, ამის უფლება არ გვქონდა, რადგან, თურმე, ეროვნულ ბანკად ითვლება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი(?!). ეს უთუოდ ბედის ირონიაა, მაგრამ რას ვიზამთ. ჯერჯერობით, ვიდრე «ჩვენი თავი ჩვენადვე არ გვეყუდნეს», უნდა შევეგუოთ ასეთ სახელწოდებას _ «კომერციული ბანკი». დამფუძნებელი კრების შემდეგ ბატონი აკაკი მეტად დაღლილი ჩანდა. ინტერვიუს გადადება კი არ შეიძლებოდა, რადგან იგი მეორე დილით მოსკოვში უნდა გაფრენილიყო. ამიტომ კითხვები გამომართვა, პასუხებს ამაღამ დავწერ და შინ დავტოვებო. და აი, ჩემი შეკითხვებიც და ბატონი აკაკის პასუხებიც).

_ დამფუძნებელ კრებაზე ერთ მომენტში ცოტა გაფიცხებულმა ბრძანეთ, თუ ახლად შექმნილი ბანკი დღეს არსებულ კანონმდებლობას დაეფუძნება, მაშინ მის დაარსებას აზრი არა აქვსო. ბოლოს მაინც დათანხმდით. მაშასადამე, ჩათვალეთ, რომ ბანკი ასეთ პირობებშიც მოახერხებს ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთებას. რისი იმედი გაქვთ?

აკაკი ბაქრაძე _ ბანკი იქნება ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა. ყველა სიკეთე ამქვეყნად ბრძოლითა და შრომით არის მოპოვებული. ჩვენც ბრძოლითა და შრომით უნდა მოვიპოვოთ ის ბანკი, რომელიც დღეს არის საჭირო. არც დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძისათვის უჩუქებია ვისმეს ქართული საადგილმამულო ბანკი. დიდი ტანჯვა-წამებით მიაღწიეს მის დაარსებას. კარგად იცით, როგორც პირველი, ისე მეორე მოკლეს. ასეთია მებრძოლის ხვედრი. წარსულმა კარგი მაგალითი მოგვცა და ჩვენც უნდა მივბაძოთ.

ი.ჭ. – ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ მეკითხებოდეს, ქართველ საქმოსანთა ასოციაციას შევქმნიდიო. ბევრს ეუცხოვა თქვენგან ამის თქმა, თუმცა ადვილი გასაგები იყო, რასაც გულისხმობდით. ახლად შექმნილ ბანკში ხომ არ შემოვა ის ფული, რომლის გამოჩენასაც აქამდე უფრთხოდნენ?

ა.ბ. _ ჩემთვის გაუგებარია, რატომ ეუცხოვათ. საქმის კაცობას ისევე სჭირდება ღვთით ბოძებული ნიჭი, როგორც პოეტობას ან მუსიკოსობას. მედიჩები ისევე მონაწილეობდნენ დიდი იტალიური კულტურის შექმნაში, როგორც გენიალური მხატვრები, არქიტექტორები, მუსიკოსები, მწერლები. დიდი კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული დიდ სიმდიდრესთან. ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი და ალავერდი ვერ აშენდებოდა, საქართველო მდიდარი რომ არ ყოფილიყო. მოგეხსენებათ, მოგვიანო პერიოდში, როცა საქართველო დაეცა და გაღარიბდა, არაფერი ჩანს სამთავისის ბადალი. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ საქართველოში ნიჭიერი ხუროთმოძღვრები აღარ იბადებოდნენ, არამედ იმიტომ, რომ მათი ჩანაფიქრის განხორციელება ღატაკ ქვეყანას უკვე აღარ შეეძლო.

იმათ შორის, ვისაც ჩვენ ცხვირაბზუებით «საქმოსნებს» ვეძახით, ბევრი მეურნის ნიჭით დაჯილდოებული და მათი გამოყენება აუცილებელია. სსრ კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ებრძვის ფინანსისტის, ეკონომისტის, მეურნის ნიჭს. ამიტომაც არის საბჭოურ ეკონომიკაში ქაოსი. ამიტომაც არის იგი ჩამორჩენილი. თუ ჩვენი ბიზნესმენები დანაშაულს სჩადიან და ზოგჯერ ციხეშიც უწევთ ჯდომა, ეს იმ ეკონომიკურ-ფინანსური «კანონების» ბრალია, სოციალიზმმა რომ მოიგონა. სოციალიზმმა მათ ნიჭის გამოვლენის უფლება წაართვა (ამიტომ არის სოციალიზმი საშინელება). როცა ადამიანს ნიჭის გამოვლენის უფლებას წაართმევ, იგი ნებსით თუ უნებლიეთ, დანაშაულის გზას ადგება.

ეს უნდა გავითვალისწინოთ და მაშინ უფრო ღრმად დავინახავთ, ვინ არის დამნაშავე _ კონკრეტული პიროვნება თუ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა.

ვერაფერს გეტყვით, შემოიტანენ თუ არა ისინი ფულს. ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო და ჩვენს ფულიან კაცებს ეს შიში ჯერ არ განელებიათ. სოლომონ ისაკიჩ

მეჯღანუაშვილი დიდხანს მალავდა თავის სიმდიდრეს, მაგრამ ერთ დღეს მაინც გაამჟღავნა. ალბათ, ახლაც ასე მოხდება. მით უფრო, რომ მათ ხელისუფლების ახალი ფორმა, კლეპტოკრატია შექმნეს. ხელისუფლების ამ ფორმას კაცობრიობის ისტორია არ იცნობდა. იგი სოციალიზმმა დაბადა. კლეპტოკრატია არის გამფლანგველების, კომბინატორების, ხაზინის ქურდების და ა.შ. ხელისუფლება. იგი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე პარტოკრატია და ბიუროკრატია. კლეპტოკრატია რომ დავამარცხოთ, ამას ისეთივე რევოლუცია სჭირდება, როგორიც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია იყო. ჯერჯერობით ასეთი რევოლუციის ძალა ჩვენ არა გვაქვს. ამიტომ სჯობს, თუ მოხერხდება, მეტნაკლებად, კლეპტოკრატიის ქვეყნის სამსახურში ჩაყენება.

ი.ჭ. - «პერესტროიკამ» იდეოლოგიის სფეროში ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვალა. ეკონომიკის სფეროში კი გაუარესებაა (მაგალითად, შარშან საპონი იშოვებოდა). როგორ ახსნიდით ამ მოვლენას?

ა.ბ. _ ვერ დაგეთანხმებით. «პერესტროიკას» ჯერჯერობით იდეოლოგიის დარგში არაფერი შეუცვლია. ის, რომ წარსულის გინების უფლება მოგვცეს, ბევრს არაფერს ნიშნავს. შეცვლა მაშინ იქნებოდა, ახალ-ახალი მიმართულებანი რომ შექმნილიყო ფილოსოფიაში, ხელოვნებაში, სოციოლოგიაში, პოლიტიკაში და ა.შ. ჯერჯერობით ყველგან ყველაფერი ძველებურად არის, ოღონდ ათეული წლების მანძილზე დაგროვილ ბოღმას ვანთხევთ და წარსულს ვთათხავთ. ბოღმის ნთხევა და წარსულის გინება ძალიან საშიშია, რადგან ამან საზოგადოება (მთელი ერიც), შესაძლოა, გონებრივ საჭურისად აქციოს. ბოღმა ადამიანს საღი, თავისუფალი აზროვნების უნარს უკარგავს. წარსული კი მკვდარია. მკვდართან ბრძოლამ ადამიანი შეიძლება მანიაკი გახადოს. ეს საშიში მოვლენაა. ახლა აუცილებელია გონებისა და სულის გათავისუფლება, მომავალზე ფიქრი, ახლის შექმნა. მე მოგახსენებთ აზროვნების წესის გარდატეხაზე, აზროვნების ახალ ფორმებზე, ახალ სისტემებზე.

ბოღმის ნთხევა და წარსულის გინება ეკონომიკაში ვერაფერს შეცვლის. პირიქით, კიდევ უფრო გააუარესებს მდგომარეობას, კიდევ უფრო დიდ სიდუხჭირეში ჩაგვაგდებს. ეკონომიკაც მაშინ გამოსწორდება, როცა იდეოლოგია შეიცვლება. ახალი, 21-ე საუკუნის იდეოლოგია გაჩნდება. მაშინ ეკონომიკური ცვლილებაც მოხდება და საპონიც გამოჩნდება მაღაზიაში.

თუ აზროვნება არ შეიცვალა, თუ ახალი იდეოლოგია არ დაიბადა, არც ეკონომიკა შეიცვლება და არც ჩვენს დღევანდელ ენთუზიაზმს მოჰყვება შედეგი. ამიტომ თავს ნუ მოვიტყუებთ და ნუ ვიფიქრებთ, რომ «პერესტროიკამ» რაღაც შეცვალა.

ი.ჭ. – ხედავთ თუ არა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზას?

ა.ბ. _ მე მგონი, ზემოთ უკვე მოგახსენეთ ამის პასუხი. მაგრამ რამდენიმე სიტყვას მაინც დავამატებ: რა ხდება დღეს საბჭოთა კავშირში? სოციალიზმს ვარემონტებთ თუ ვცვლით მას ახალი სისტემით? თუ სოციალიზმს ვარემონტებთ, მაშინ ახლავე შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ აქედან არაფერი გამოვა. სოციალიზმის გარემონტება-შეკეთება შეუძლებელია. თუ სოციალიზმს ვცვლით, მაშინ ის უნდა ვიცოდეთ _ რით?.. ჯერჯერობით არავის უთქვამს, რით შეიძლება სოციალიზმი შეიცვალოს. არც მე ვიცი. ამიტომ მოგახსენეთ ზემოთ: აუცილებელია ახალი აზროვნება და ახალი მოძღვრებანი. თუ ამგვარი ნაბიჯი ვერ გადავდგით, მაშინ განახლება, კრიზისიდან გამოსვლა შეუძლებელი იქნება. ამჟამად ჩვენ ეკონომიკის აღორძინებაზე კი არ ვფიქრობთ, არამედ ყოფის ელემენტარულ გაუმჯობესებაზე.

ყველა მოაზროვნე ადამიანი ფიქრობს დღეს ახალი მოძღვრების შექმნაზე, მაგრამ ეს ადვილი არ არის. ათეული წლების მანძილზე იყო საბჭოთა კავშირში აზროვნება აკრძალული. უცბად აზროვნების უნარის შეძენა არ ხდება. ამას დიდი დრო უნდა.

შევიძენთ აზროვნების უნარს (ვიმეორებ: ბოღმის ნთხევა და წარსულის გინება აზროვნება არ არის), შევძლებთ ეკონომიკის გაუმჯობესებას. ვერ შევიძენთ აზროვნების უნარს, ვერც ეკონომიკას გავაუმჯობესებთ. ისევ ძველებურად ვივლით ჭაპანწყვეტით.

ი.ჭ. – რა თქმა უნდა, ბატონ აკაკისთან «ცოცხალი საუბარი» მერჩია. ცოტას შევეკამათებოდი. მაგალითად, ვკითხავდი: განა «პერესტროიკის» შედეგი არ არის მისი სახალხო დეპუტატობა, ან გრიგოლ რობაქიძის დაბრუნება, ან თითქმის უკვე დანგრეული ბერლინის კედელი, რომლის ნამსხვრევებსაც ამერიკელები საშობაო სუვენირებად იძენენ? რასაკვირველია, ბატონ აკაკის ვერ «ჩავჭრიდი», მაგრამ უფრო მეტის სათქმელად გამოვიწვევდი. ხომ საინტერესო იქნებოდა, რასაც მიპასუხებდა? იმედი მაქვს, ამის შესაძლებლობა სხვა დროს მომეცემა.

გაზ. «შანსი»,
20. XII. 1989.

გაერთიანება აუცილებელია

ამირან გომართელი _ ბატონო აკაკი, თქვენთან საუბარი მინდა დავიწყო ილიას ცნობილი წერილის _ «რა გითხრათ? რით გაგახაროთ?» _ გახსენებით. ილიას საახალწლო მიმოხილვა, როგორც სათაურიც ცხადყოფს, მაჟორულ ტონზე მეტად სევდანარევ კილოს შეიცავს. სევდა და მწუხარება რომ არ დაჰკლებია ქართველ ერს 1989 წელს, ეს ცხადია, მაგრამ მაინც, ეს განვლილი წელი, სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით, სევდის მეტ საფუძველს იძლევა თუ იმედისას?

აკაკი ბაქრაძე – მართალია, 1989 წელი ტრაგიკული იყო ჩვენთვის, მაგრამ უმთავრესი მაინც არ უნდა გამოგვრჩეს: 1989 წელს დაიწყო სოციალიზმის საფუძვლების შერყევა მსოფლიო მასშტაბით. დაიწყო სატანისტური ეკლესიის დაშლა. ნუ გაგიკვირდებათ, თუ სატანისტური ეკლესია ვახსენე. ახლა დრო და საშუალება არ არის ამ საკითხზე ვრცლად ვილაპარაკოთ. ეს როგორმე სხვა ვითარებაში გავარკვიოთ, მაგრამ ის კი უნდა ვთქვა, რომ საბჭოური მეცნიერება მარქსისტულ-ლენინურ სოციალიზმზე გველაპარაკება, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაზე, როგორც პოლიტიკურ სისტემაზე. ეს საკმარისი არ არის იმიტომ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმს სსრკ-ში და იქ, სადაც მსგავსი სისტემა ბატონობდა, უნდოდა შეეცვალა რელიგია. ანტირელიგიური პროპაგანდის გზით თავად სურდა, დამკვიდრებულიყო როგორც რელიგია. ამ მხარეს, ამ მიზანს მარქსიზმ-ლენინიზმისას ჩვენში არ აქცევენ ყურადღებას. უმთავრესი კი სწორედ ეს არის. ღმერთის უარყოფის გზით რელიგიად გახდომა გახლავთ სატანისტური ეკლესიის ამოცანა.

არც იმის საშუალებაა, რომ ვრცელი არგუმენტები მოვიტანო მარქსიზმ-ლენინიზმის რელიგიურობის დასამტკიცებლად, მაგრამ თითო-ოროლა საბუთს მაინც მოვიშველიებ:

კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც ვლინდება მავზოლეუმში დაკრძალული ლენინის მიმართ.

გახსოვთ, მაჰმადიანური რელიგიის ფორმულა: არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა და მუჰამედია მისი მოციქული. სსრკ-ში ეს ფორმულა ასეა გადასხვაფერებული: არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა და პარტიის თავკაცია მისი მოციქული. ლენინი უცვლელია ამ ფორმულაში, ხოლო პარტიის თავკაცის ადგილი ვაკანტურია: ხან სტალინს უჭირავს, ხან ხრუშჩოვს, ხან ბრეჟნევს და ა.შ.

მარქსიზმ-ლენინიზმი აღიარებულია უცდომელ მოძღვრებად. ესეც რელიგიურობის ნიშანია.

ერთი სიტყვით, ბევრი საბუთის მოშველიება შეიძლება, მაგრამ ამჯერად თავი შევიკავოთ. თქვენ წაკითხული გაქვთ ჩემი გამოუქვეყნებელი წიგნი «მწერლობის მოთვინიერება» და იცით, რომ იქ ამაზე ვრცლად არის ლაპარაკი. ალბათ, ამ წიგნის გამოქვეყნება ახლა შესაძლებელი გახდება და მკითხველის ცნობისმოყვარეობაც უფრო სრულად დაკმაყოფილდება.

ახლა კი იმით დავასრულებ ჩემს პასუხს, რომ ვიტყვი: 1989 წელს მსოფლიო მასშტაბით დაიწყო სოციალიზმის, როგორც სატანისტური ეკლესიის, ნგრევა. ეს არის უმთავრესი და ეს არის იმედის საფუძველი. მართალია სატანამ რუმინეთში უდანაშაულო ადამიანების სისხლის ზღვა დააყენა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვაგვარად არ ხერხდება. ვინმემ სისხლი უნდა გაიღოს. ამჯერად ეს რუმინელ ხალხს დაეკისრა.

ა.გ. – ბატონო აკაკი, თქვენ გახსოვთ ალბათ, მიხეილ ჯავახიშვილის ნათქვამი: «რუსეთი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამოგვრჩეთო. ჩვენც გასისხლიანებულები მივრბივართ და გვგონია _ რუსი სიკეთეს გვიშვრებაო». ასე ბაწარზე გამობმულნი, ბუნებრივია, გაფაციცებულნი შევყურებთ ყოველივე იმას, რაც დღეს რუსეთში ხდება. საკავშირო პრესამ («მოსკოვსკიე ნოვოსტი»-ს ვგულისხმობ) გვამცნო იმ დიდი საფრთხის შესახებ, რომლის წინაშე «პერესტროიკა» და მისი ლიდერი იდგნენ 9 დეკემბერს სკკპ ცკ-ის პლენუმზე. ამ ფაქტმა და სსრკ სახალხო დეპუტატთა II ყრილობის მიმდინარეობის პირველ დღეებზე დაკვირვებამ, საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას თქვენ მოგცათ საშუალება დასკვნისა: 9 დეკემბერს არსებითად დამთავრდა «პერესტროიკა». ყრილობის მუშაობის შემდგომმა დღეებმა ხომ არ შეგაცვლევინათ აზრი?

ა.ბ. – დიახ, ასეთი ფრაზა აქვს მ.ჯავახიშვილს «არსენა მარაბდელში». რაც შეეხება თქვენს კითხვას, სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის ბოლო დღეებმა კიდევ უფრო გამიმტკიცეს აზრი, რომ «პერესტროიკა» დამთავრდა, ხოლო მიხეილ გორბაჩოვის სიტყვა სკკპ ცკ პლენუმზე (იხ. «პრავდა», 1989 წ. 26 დეკემბერი) უკვე ამის დადასტურება იყო: «Нынешнее партийное, горсударственное руководство НЕ ДОПУСТИТ (ხაზი ჩემია _ **ა.ბ.**) распада союзного государства».

მაშასადამე, იმ თოკის გადაჭრის უფლებას არ მოგცემენ, რომლითაც რუსეთი საქართველოს მიათრევს. არადა, თუ ეს თოკი არ გადავჭერით, კატასტროფა გვემუქრება. რუსეთი თავქუდმოგლეჯილი მიექანება უფსკრულში და ჩვენც გადაგვიტანს. ახლა გვმართებს სწორედ ერთიანობა, გონიერება და წინდახედულება.

ა.გ. _ უკანასკნელი შვიდი ათეული წლის მანძილზე გამუდმებით ჩაგვძახოდნენ: მარქსიზმის კლასიკოსთა გამონათქვამები ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტებააო. ეს კია, მხოლოდ იმას იხსენებდნენ, რაც მათ სურდათ. ახლა მე და თქვენ ენგელსის ერთი გამონათქვამი გავიხსენოთ: «არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვას იმორჩილებს». მინდა გკითხოთ, ესმის თუ არა ეს ჭეშმარიტება რუს ხალხს, ან უფრო ზუსტად, არის თუ არა პროგრესული ძალა რუსეთში, რომელსაც შეგნებული აქვს დეკოლონიზაციის მნიშვნელობა საკუთრივ რუსეთის თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის თუ დღესაც მიზანი იმპერიული მოდელის სრულყოფაა?

ა.ბ. – რუსეთში, რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, ვისაც მკაფიოდ ესმის, რომ სსრკ-ის დაშლა დამოუკიდებელ, თავისუფალ სახელმწიფოებად აუცილებელია თვითონ რუსეთის გადასარჩენად. მაგრამ ისინი ძალიან ცოტანი არიან და დღესდღეობით რეალურ ძალას არ წარმოადგენენ. დღეს ისინი ჭარბობენ, ვისაც მიაჩნია, რომ სსრკ

ერთიანობა, უნიტარულობა ხელშეუხებელი და წმიდათაწმიდაა. ეს დეპუტატთა ყრილობამაც დაადასტურა და სკკპ ცკ პლენუმმაც.

ცხადია, დღევანდელი ვითარება უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ მოქცევით კი ისე უნდა მოვიქცეთ, რასაც ისტორიული პერსპექტივა გვპირდება. ისტორიული პერსპექტივა კი იმათ მხარეს არის, ვისაც აუცილებლად მიაჩნია სსრკ-ის დაშლა დამოუკიდებელ, თავისუფალ სახელმწიფოებად.

თუ ჩვენ მე-20 საუკუნის ისტორიას თვალს გადავავლებთ, ნათლად დავინახავთ ერთ გამოკვეთილ ტენდენციას: დიდი, მრავალეროვანი იმპერიების ნგრევისა და ეროვნული სახელმწიფოების შექმნის ტენდენციას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაინგრა იმპერიათა ერთი წყება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ _ იმპერიათა მეორე წყება.... ერთადერთი იმპერია, რომელიც ორივე მსოფლიო ომს გადაურჩა, რუსეთი იყო. ახლა სსრკ, როგორც იმპერია, მარტო დარჩა და მისი ჯერიც მოვიდა. იგი გვერდს ვერ აუვლის კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ გზას. ეს თავად მისთვის იქნება დამღუპველი. რაკი ასეა, რუსეთი უნდა ჩაებას აუცილებელ პროცესში და, მალე იქნება თუ გვიან, მანაც უარი უნდა თქვას იმპერიაზე. მართალია, ამას დღეს თითო-ოროლა კაცი ხვდება რუსეთში, მაგრამ ხვალ მათი რიცხვი გაიზრდება. ასე თანდათან საღად მოაზროვნე ადამიანები მიხვდებიან, რომ რუსეთის ეროვნული სახელმწიფოს გადარჩენისათვის არის ეს აუცილებელი.

უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, დღეს დასავლეთში ბევრი მოაზროვნე ფიქრობს, რომ შედარებით პატარა სახელმწიფოებად დაიშლება ისეთი გიგანტებიც კი, როგორიც არიან ჩინეთი და ინდოეთი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანაში ერთი მოდგმის ხალხი ცხოვრობს. ეს აუცილებელიაო, ფიქრობენ ისინი, ჩინეთისა და ინდოეთის კულტურული, ეკონომიკური, სოციალური და რელიგიური განვითარებისათვის. ტერიტორიული სიდიდე და ხალხმრავლობა მათი განვითარების დამაბრკოლებელი ძალააო. თუკი ასე გამოიყურება ჩინეთისა და ინდოეთის მომავალი, მით უფრო, ეს ელის სსრკ-ს, სადაც სხვადასხვა რასის, ერის, რელიგიის და კულტურის ერებია თავმოყრილი.

ასე, რომ ჩვენ ისტორიის პროცესს უნდა ვუგდოთ ყური და მას მივყვეთ.

დღეს ეროვნული სახელმწიფოების შექმნის პროცესი რომ არის ძირითადი და განმსაზღვრელი კაცობრიობის ისტორიისათვის, ამას ისიც მოწმობს, რაც ახლა თითქმის ყველა ქვეყანაში ხდება.

ჯერ ერთი, მშობლიური ენის აღდგენა-გაცოცხლებაზე ზრუნავენ ის ხალხები, რომელთაც მრავალი საუკუნის წინათ დაკარგეს იგი. და მეორეც, ამა თუ იმ ქვეყანაში, სხვადასხვა ვითარების გამო ჩასახლებული ხალხები იყრებიან და ისტორიულ სამშობლოში ბრუნდებიან (ყველაზე მკაფიო მაგალითი ებრაელებია).

ისტორიული პროცესის წინააღმდეგ სვლა არ შეიძლება. ამას კატასტროფა მოჰყვება. ბუნებრივია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამას რუსეთი ლიანგურად მიხვდება... მაშინ რუსეთი იმ ხალხების ჭეშმარიტ სიყვარულს დაიმსახურებს, რომელნიც დღეს ჯაჭვებით ჰყავს დაბმული. სიყვარული კი ყველას სჭირდება. მათ შორის, დიდსა და მრავალრიცხოვან ერებსაც.

ა.გ. – და მაინც, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესები აძლევს თუ არა საბჭოეთის ხალხებს უკეთესი უახლოესი მერმისის იმედს?

ა.ზ. – დღევანდელი სსრკ-ის იმპერია მარტო იმ ხალხებისგან არ შედგება, რომელნიც მასში შედიან. ამ იმპერიის ნაწილია სოციალისტური აღმოსავლეთი ევროპაც და აზიის თუ ამერიკის სოციალისტური ქვეყნები. როცა ბერლინის კედელი დაინგრა და ბრანდენბურგის კარები გაიხსნა, ეს მარტო დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის

შეერთების სიმბოლო კი არ არის, არამედ კომუნისტური იმპერიის გალავნის რღვევაც. ამიტომ ის, რაც აღმოსავლეთ ევროპაში ხდება, საქართველოს პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება. ის ზღვა სისხლი, რუმინეთში რომ დაიღვარა, საქართველოში უნდა დაქცეულიყო 9 აპრილს, მაგრამ რაღაც სასწაულმა გადაგვარჩინა. ის ორი ათასი სტუდენტი, ბუქარესტის უნივერსიტეტის ეზოში რომ დახვრიტეს, თბილისის უნივერსიტეტში უნდა დახოცილიყო, მაგრამ რაღაც უზენაესმა ძალამ გვიხსნა.

ეტყობა, მართლა გვწყალობს უფალი.

ა.გ. – შეიძლება ზოგს პარადოქსად მოეჩვენოს, მაგრამ დამეთანხმებით, არის რიგი პრობლემებისა, რომელთა მოგვარება ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც ხერხდება. ასე რომ, როგორც უნდა წარიმართოს «პერესტროიკის» ბედი, ჩვენ მაინც ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. რა მიგაჩნიათ ისეთ პრობლემებად, რომელთა მოგვარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სრულიად საქართველომ?

ა.ბ. – რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ ხელდაკაპიწებულებმა, შეუპოვრად და ბეჯითად. მით უმეტეს, რომ უამრავი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი.

დაუყოვნებლივ უნდა მოწესრიგდეს ეთნოკრიზისები, სამხრეთ საქართველოს დემოგრაფიული ვითარება, სტიქიით დაზარალებული ადამიანების ბედ-იღბალი...

ახლავე უნდა დავიწყოთ იმ ქართული ოჯახების დასასახლებლად ზრუნვა, რომელთაც რუსეთიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან გამოაძევებენ უახლოეს ხანებში (ამას ნურავინ გაიკვირვებს და ნუ მოეჩვენება დაუჯერებლად. ესეც ისტორიული პროცესის ნაწილია და მალე მოხდება).

და როგორც კატონ უფროსი დაჟინებით იმეორებდა და იმეორებდა _ ჩარტჰაგინენ ესსე დელენდამ (კართაგენი უნდა დაინგრესო) _ მეც უნდა გავიმეორო ჩემი ამოჩემებული მოთხოვნა:

უნდა სასწრაფოდ დამუშავდეს მომავალი საქართველოს ეკონომიკური, იურიდიული, პოლიტიკური და სამხედრო მოწყობის გეგმა-თეორია. ჩვენმა ხალხმა უნდა იცოდეს _ როგორი საქართველოსათვის იბრძვის იგი. დამოუკიდებლობა, მაგრამ როგორი?

მაგალითად, აშშ-ში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, უფრო პატარა ქვეყნებში _ დანიაში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში _ არსებობს აზრის თავისუფლებაც, მრავალპარტიულობაც, ნაირნაირი შეხედულებებიც, მაგრამ, ამასთან ერთად, არსებობს პოლიტიკური მმართველობის სისტემაც, რომელიც არსებითად, ყოველი პარტიისათვის ხელშეუხებელია. ამ სისტემის განმტკიცებას ემსახურება, როგორც ერი, ისე პარტიული ორგანიზაციები.

საქართველოში არიან მომხრეები მონარქიზმის, თეოდემოკრატიის, დემოკრატიის და ა.შ. (შექმნილია ორგანიზაცია «სტალინიც» კი), მაგრამ პოლიტიკური მმართველობის სხვადასხვა სისტემათა შორის რომელია ის, რასაც ყველა პარტია აღიარებს, პატივს სცემს და მისაღებად მიაჩნია მომავალი საქართველოსათვის?

პოლიტლიკური მმართველობის რა ფორმას ვაღიარებთ (უმრავლესობა მაინც, თუ ყველა არა), ეს სწორედ ახლა, უახლოეს ხანებში უნდა გაირკვეს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, ქართველმა ხალხმა იცოდეს, ეროვნული მოძრაობა როგორ პოლიტიკურ მმართველობას ჰპირდება მას და, მეორე მხრივ, ეს იქნება პლატფორმა-საფუძველი, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს ეროვნული მოძრაობის გაერთიანება.

გაერთიანება რომ აუცილებელია, ეს, მე მგონია, სადავო არ უნდა იყოს. რაკი ჩვენ გამოვაცხადეთ ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ცხადია, ვიმყოფებით საომარ ვითარებაში. საომარი ვითარების დროს კი ხელისუფლება

თავს იყრის რომელიმე ერთი ძალის ხელში. იმ ძალის ხელში, რომელსაც მთელი ერი უცხადებს ნდობას. ასეა ყველაზე უფრო დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი. ასე იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ში, როცა ერმა ნდობა გამოუცხადა რუზველტსა და მის პარტიას.

რომელია ეს ერთი ძალა, რომელსაც ენდობა დღევანდელ საომარ ვითარებაში საქართველო? იმ უთვალავ ორგანიზაცია-პარტიებს შორის, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, ყველას ჰყავს თავისი მომხრე და მოწინააღმდეგე. მაგრამ ის ერთიანი წარმმართველი ძალა, რომელსაც ერის უმრავლესობა აღიარებს და პატივს სცემს, ჩამოსაყალიბებელია. ჩემი აზრით, ეს 1990 წელს უნდა მოხდეს.

აქ უნდა გავიხსენოთ ჩვენი ასტროლოგების აზრიც. მართალია, ასტროლოგიაში ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ის, რასაც ისინი ვარაუდობენ, მაინც საყურადღებოდ და დაფიქრების ღირსად მიმაჩნია. მათი გაანგარიშებით, ეროვნული მოძრაობა კულმინაციას აპრილ-მაის-ივნისში მიაღწევს. მერე დაქვეითება დაიწყება და შემოდგომაზე სერიოზული საფრთხე დაემუქრება. 1990 წელს არავითარი არსებითი გარდატეხა არ მოხდება. იგი (არსებითი გარდატეხა) დაიწყება 1991 წელს. ვნახოთ, ყველაფერი წინ არის, მაგრამ ამ წინასწარმეტყველებას ნუ დავტოვებთ უყურადღებოდ.

როცა დღეს დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, ყველა, ვინც კი ეკონომიკურ პრობლემებში ერკვევა, შეწუხებული კითხულობს: როგორ უნდა დავწყვიტოთ ის ჯაჭვები, რომლითაც სსრკ-ში ერთმანეთზეა გადაბმული მოკავშირე რესპუბლიკები? ეს ჯაჭვები, მოგეხსენებათ, სწორედ იმისათვის არის შექმნილი, რომ, თუ რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკა მოისურვებს სსრკ-დან გასვლას, ვერაფრით მოახერხოს ეს. ეკონომიკური წინააღმდეგობა ისეთ დაბრკოლებად უნდა აღიმართოს, რომ მისი გადალახვა შეუძლებელი გახდეს. ამიტომ აუცილებელია ამ ჯაჭვების დაწყვეტა. მაგრამ, თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რაც დღეს ხდება, დავინახავთ, რომ ეს ეკონომიკური ჯაჭვები, დასუსტების მაგიერ, უფრო და უფრო მტკიცდება. ამის უტყუარი საბუთია ერთობლივი საწარმოები, რომლებიც ახლა იქმნება ან უკვე შექმნილია.

როგორც იცით, ერთობლივი საწარმო იქმნება რომელიმე უცხოურ ფირმასთან ადგილობრივი წარმოების დაკავშირებით. მაგრამ ნებართვა კი აუცილებლად მოსკოვმა უნდა მოგვცეს. მოსკოვის ნებართვის თვინიერ ერთობლივი საწარმო ვერ იმუშავებს. გარდა იმისა, რომ ამით იურიდიულად ხელფეხშეკრული ხარ, ეკონომიკურად მოგების ლომის წილი მოსკოვს მიაქვს. ამით ჩნდება ახალი, რთული ეკონომიკური ვითარება. მართალია, ეკონომიკურად ერთობლივმა საწარმომ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკას შეიძლება მისცეს რაღაც მოგება, მაგრამ ეროვნული მოძრაობის თვალსაზრისით, ქმნის თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობას. ამ შემთხვევაში ეროვნულ მოძრაობას ებრძვის არა მარტო მოსკოვი, არამედ ის უცხოური ფირმაც, რომელიც ერთობლივ საწარმოში მონაწილეობს. თუ სსრკ დაიშლება ეროვნულ სახელმწიფოებად, მაშინ უცხოური ფირმა უთუოდ დაზარალდება. შეიძლება გაკოტრდეს კიდეც. ამიტომ უცხოური ფირმისათვის აუცილებელი მყარი, სტაბილური პოლიტიკური ვითარება. ის ყველა ღონეს იხმარს, ეროვნულმა მოძრაობამ სტაბილურობა არ დაარღვიოს.

საბჭოთა ეკონომიკა ქაოტური ეკონომიკაა. აქედან თავის დაღწევა, ასე თუ ისე, კიდევ შეიძლება. კაპიტალისტური ეკონომიკა კი საათივით არის აწყობილი, არავინ დაუშვებს იქ უწესრიგობის შეტანის რაიმე ცდას. იმას, რასაც საბჭოური ხელისუფლება, უდარდელობისა და უზრუნველობის გამო, გულგრილად შეხედავს და შეგარჩენს, არც ერთი უცხოური ფირმა არ გაპატიებს და ცხრაპირ ტყავს გაგაძრობს, სანამ ყველა დანაკარგს არ აინაზღაურებს. ამდენად ცენტრს, უცხოური ფირმების სახით, მძლავრი მოკავშირე უჩნდება ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ.

გაზ. «ლიტერატურული საქართველო»,
19.I. 1990.

დღეს ჩვენ საომარ ვითარებაში ვიმყოფებით

მამუკა არეშიძე _ ბატონო აკაკი, ყველასათვის ცნობილია ის სამწუხარო ფაქტი, რომ ბოლო ხანებში განხეთქილება შეიმჩნევა ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში. ამის მანიშნებელია ისიც, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაცია ხვალინდელ თავყრილობაში, რომელიც იმართება სპორტის სასახლეში, მონაწილეობას არ ღებულობს. პრესაში იბეჭდება ორივე ჯგუფის პოზიცია, რომელიც საკმაოდ არგუმენტირებულია. ამის გამო ხალხი დაბნეულია. ამის თაობაზე თქვენი მოსაზრება მაინტერესებს.

აკაკი ბაქრაძე _ ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს ეროვნულ მოძრაობას განხეთქილება-გათიშვა დაემუქრა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ამ გათიშვა-განხეთქილების გაგრძელება. უნდა გამოიძებნოს გზები, რომლებიც საფუძვლად დაედება შეთანხმებას. ჩვენი ეროვნული მოძრაობის გათიშვა (არავის შეშინება არ მინდა და არც წინასწარმეტყველის როლში მინდა გამოვიდე) აშკარად იმის საბუთი და დამოწმება იქნება, რომ ეროვნულ მოძრაობას დაემუქრება დამარცხება, რადგან დღეს ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში არ არის არც ერთი ცალკეული პარტია, რომელსაც შეუძლია მარტო უხელმძღვანელოს ეროვნულ მოძრაობას და წარმართოს იგი გამარჯვების გზით. ჩვენ გამარჯვებას მოვიპოვებთ ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული მოძრაობა იქნება ერთიანი, მონოლითური და მთლიანი. ამიტომ განხეთქილება, ბუნებრივია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაშვებული. ყველა მხარემ, ყველა ორგანიზაციამ, ყველა პარტიამ, დაპირისპირებულმა ჯგუფებმა _ ეროვნულმა ფორუმმა და მრგვალმა მაგიდამ _ უნდა გამოძებნონ საშუალებანი და გზები იმისა, რომ ერთიანობა აღდგეს და შემუშავდეს მოქმედების ერთიანი გეგმა, იყოს ერთიანი ხელმძღვანელობა და ასე წარიმართოს ჩვენი ეროვნული მოძრაობა გამარჯვებისაკენ.

დღევანდელ ვითარებაში ერთიანობის დარღვევით, განხეთქილებით და გათიშვით ისარგებლებს მოწინააღმდეგე ძალა, რომელიც არ აპირებს ხელისუფლების დათმობას და, ცხადია, შეეცდება იმას, რომ ყველაფერი ის, რა შეცდომასაც დაუშვებს ეროვნული მოძრაობა, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და მიმართოს ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგოდ. ამიტომ, ბუნებრივია, ყველას სურვილი არის და მათ შორის ჩემიც, რომ მოვიკრიბოთ გონება, მოვიკრიბოთ ძალა, მოვიკრიბოთ ყველა ის საშუალება და ხერხი, რომლითაც შეიძლება ისევ და ისევ აღდგეს ჩვენი ერთიანობა, მოხდეს ეროვნული მოძრაობის გაერთიანება, შეთანხმება.

საქმე ის გახლავთ, რომ განხეთქილება მარტო თვითონ მოძრაობაში არ მოხდება, არამედ მთელ ქართველ ხალხში. თუ ეროვნული მოძრაობა გაიყოფა ორად, ბუნებრივია, ორივე მხარეს ხომ თავისი მომხრეები ეყოლება _ ჩვენი ხალხის ერთი ნაწილი იქნება ეროვნული ფორუმის მომხრე, მეორე ნაწილი _ მრგვალი მაგიდის მომხრე. აქედან გამომდინარე, თვითონ ხალხიც გაითიშება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელ ვითარებაში ჩვენი ხალხი მაინც გათიშულია, რადგან არსებობს ოფიციალური კომუნისტური ხელისუფლება, რომელიც ჯერჯერობით არ აპირებს

არსად წასვლას და არც ხელისუფლებაზე უარის თქმას, მასაც ჰყავს თავისი მომხრეები. ეს დაადასტურა 28-ე ყრილობამაც, სადაც იყო ლაპარაკი, როგორ განმტკიცდეს კომპარტია, როგორ იქნას ძალაუფლება შენარჩუნებული და როგორ შეიცვალოს ის ვითარება, რა ვითარებაშიც დღეს კომპარტია მოექცა. 28-ე ყრილობა არ ჰგავდა იმ ხალხის ყრილობას, რომელიც ძალაუფლების დათმობას აპირებს. პირიქით, ეს იყო იმ ხალხის ყრილობა, რომელიც ეძებს გზებს ხელისუფლების შენარჩუნებისათვის და პარტიის განახლებისათვის.

ამ ვითარებაში, ამ სიტუაციაში კომუნისტური ხელისუფლებისათვის ხელსაყრელია ეროვნული მოძრაობის გათიშვა, რადგან გათიშულთა წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე ერთიანი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კომკავშირი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ აპირებდა თვითლიკვიდაციას, ყოველ შემთხვევაში ამაზე ბევრი ლაპარაკი იყო, ახლა აღარ აპირებს ამას. გამოჩნდა ხალხი, რომელიც ცდილობს კომკავშირის გადარჩენას და საკმაოდ სერიოზულად აპირებენ ამისათვის ბრძოლას. ასე, რომ შეგვიძლია ბევრი ფაქტი მოვიშველიოთ, ბევრი მოვლენა დავასახელოთ იმის დასადასტურებლად, რომ შინაგანი განხეთქილება ჩვენს საზოგადოებაში, ქართველ ხალხში უკვე არსებობს. ამას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაემატოს განხეთქილება ეროვნული მოძრაობის შიგნით.

ცხადია, უცბად შეთანხმება-შერიგება არ მოხდება. ამას გარკვეული დრო სჭირდება, გარკვეული მოლაპარაკება სჭირდება. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მხარე დაფიქრდებიან ამ საკითხებზე, მოძებნიან გზებსა და საშუალებებს იმისათვის, რომ გაცილებით უფრო ახლო ურთიერთობა იქონიონ, მით უმეტეს, რომ ეს ურთიერთობა ადრე არსებობდა და დღეს, ალბათ, არ იქნება ძნელი ამის მოძებნა, ოღონდ უნდა გადავლახოთ ყველა ის პიროვნული უსიამოვნებანი, რომლებიც შეიძლება ადამიანურ ურთიერთობებში წარმოიშვას. ჩვენ ადამიანები ვართ და, ცხადია, ერთმანეთთან დამოკიდებულებაში ბევრ შეცდომას ვუშვებთ. რაკი ადამიანები ვართ, იმასაც უნდა მივაღწიოთ და ისიც უნდა მოვახერხოთ, რომ დავძლიოთ ჩვენი პიროვნული სიმპათია და ანტიპათიები, ემოციები, გადავლახოთ ისინი და მოვძებნოთ შერიგების გზები.

პრესაში გამოქვეყნდა დოკუმენტები როგორც ეროვნული ფორუმისა, ისე მრგვალი მაგიდისა, კონცეფციები. მე არ დამრჩენია ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ კონცეფციებში რაღაც ისეთი შეურიგებელი წინააღმდეგობა და ისეთი შეურიგებელი პოზიციები არსებობს, რომ არ შეიძლებოდეს საერთო გზების გამონახვა. ცხადია, იქ არის განსხვავებანი, ზოგჯერ სერიოზული განსხვავებანიც, მაგრამ ამის გადალახვა მოლაპარაკების გზით თავისუფლად შეიძლება. მხოლოდ უნდა დავმალოთ, დავძლიოთ ჩვენი შინაგანი გუნება-განწყობილება, შინაგანი ემოციები და უფრო მეტად ყური უნდა დავუგდოთ ჩვენს გონიერებას. ყურადღება უნდა მიექცეს არა იმას _ პიროვნულად როგორი ურთიერთდამოკიდებულება გვაქვს, არამედ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ეროვნულმა მოძრაობამ იკისრა. ეს პასუხისმგებლობა ძალიან დიდია და არავითარი უფლება ეროვნულ მოძრაობას, არც კოლექტიურად და არც პიროვნულად, არა აქვს, რომ მან ქართველ ხალხს არ უთხრას სიმართლე და კიდევ ერთხელ მოხდეს სრულიად დაუშვებელი მოვლენა _ ქართველი ხალხის გულის გატეხა.

ჩვენი გრძელი ისტორიის მანძილზე ქართველი ხალხი ბევრჯერ დამარცხებულა და ბევრჯერ გასტეხია გული. ეს გადაულახავს. მაგრამ დღევანდელი დამარცხება და დღევანდელი გულის გატეხა ასე უბრალო არ იქნება. არ იქნება იმიტომ, რომ ჩვენ მცირე დრო გვაქვს დარჩენილი იმისათვის, რომ მოვიპოვოთ თავისუფლება და აღვადგინოთ

ჩვენი დამოუკიდებლობა. ეს დრო არის ის ათწლეული, რომელიც მე-20 ს-ის დასასრულამდეა დარჩენილი. ეს დროა მოჭრილი, მოკვეთილი ჩვენთვის, რომ მოვაგვაროთ ჩვენი ეროვნული პრობლემები. 21-ე საუკუნეში კაცობრიობას ეროვნული პრობლემებისათვის აღარ ეცლება. 21-ე საუკუნეში კაცობრიობის წინაშე ისეთი დიდი გლობალური ხასიათის პრობლემები დადგება, რომ ამა თუ იმ ერის, მით უმეტეს, მცირერიცხოვანი და პატარა ერის თავისუფლებაზე არავინ აღარ დაფიქრდება. 21-ე საუკუნეში დაგვემუქრება კაცობრიობას ეკოლოგიური პრობლემების ზღვა, ეკონომიკური პრობლემების, დემოგრაფიული პრობლემების, კოსმოსური პრობლემებისა და კიდევ ვინ იცის _ რა. ასე, რომ 21-ე საუკუნე უკვე სხვა პრობლემების საუკუნეა. ჩვენ კი ჩვენი სატკივარი სწორედ ამ საუკუნეში უნდა მოვაგვაროთ და ამას იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ იქნება ჩვენი ეროვნული მოძრაობა მტკიცე და ერთიანი. განხეთქილების შემთხვევაში ჩვენ მეტ დროს დავხარჯავთ ერთმანეთთან ბრძოლაში, ვიდრე მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. მოგეხსენებათ, რომ როდესაც შინაპარტიული განხეთქილებანი ხდება, ეს გაცილებით უფრო მძაფრია, ვიდრე ვთქვათ, სხვა დაპირისპირებულ პარტიასთან ბრძოლა. ეს კომუნისტური პარტიის ისტორიამაც დაადასტურა. კომუნისტების წინააღმდეგ არც მეფეს უბრძოლია ისე სასტიკად, არც დროებით მთავრობას, არც რომელიმე სხვა პარტიას რუსეთში არსებულს, იმ სიმძაფრით, რა სიმძაფრითაც თვითონ კომუნისტები ებრძოდნენ ერთმანეთს და გაანადგურეს კიდეც ერთმანეთი. და დღესაც გრძელდება ეს ბრძოლა. როცა ცოცხლები არ დარჩა, ახლა მკვდრებს ებრძვიან. ეს შინაგანი ბრძოლა არ მთავრდება. არ მთავრდება სწორედ იმის გამო, რომ შინაპარტიული ბრძოლა უსასტიკესი ბრძოლაა, რომელიც ყოველთვის რომელიმე მხარის განადგურებით მთავრდება. ეს გასათვალისწინებელია და დიდი საშიშროების შემცველიც. ამიტომ ვფიქრობ, თუ ყველაფერ ამაზე სერიოზულად დავფიქრდებით, ყველა არსებულ მოვლენასა და ვითარებას გავითვალისწინებთ, გამოვძებნით იმ გზებსა და საშუალებებს, რითაც შეიძლება მოხდეს შეთანხმება.

მ.ა. – ზოგიერთისათვის ის მოჩვენებითი სტაბილიზაცია, რომელიც იყო დაახლოებით ამ 70 წლის განმავლობაში, უფრო უკეთესია, ვიდრე ამ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

ა.ბ. _ მართალი ბრძანდებით. ჩვეულებრივ რიგით ადამიანსაც და, თუ გნებავთ, სხვებსაც, რომელთაც ჰგონიათ, რომ რაღაც განსაკუთრებულს აკეთებენ, სჭირდებათ სტაბილიზაცია. ის მონატრულია ამ სტაბილიზაციას, რადგან წყნარად მოწყობილ მდგომარეობაში ხდება ყოველგვარი ცხოვრება _ იქნება შემოქმედებითი თუ პრაქტიკული, სამეურნეო თუ სამრეწველო, სამეცნიერო თუ სახელოვნო, რომელი შრომაც გნებავთ _ შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ნორმალურად და დაწყნარებით, როდესაც ქვეყანაში მდგომარეობა სტაბილურია.

მაგრამ ჩვენ ერთ რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება და ჩვენს მოქალაქეებსაც უნდა განვუმარტოთ: სტაბილურობა არის ორგვარი _ ერთი გახლავთ ის, როდესაც ესა თუ ის ხელისუფლება ძალით ამყარებს, იარაღით ამყარებს, მუშტით ამყარებს სტაბილურობას, რაც არსებითად მოჩვენებითი და დროებითია. ასეთი სტაბილურობა საბჭოთა კავშირში არსებობდა, როდესაც მას სტალინი მართავდა, ყველაფერი დაწყნარებული იყო, კაციშვილი არაფერზე ხმას არ იღებდა, ყველა თავჩაკიდული შრომობდა და საკუთარ თავსაც კი ვერ უმხელდა საკუთარი გულის ნადებს. ყველას ახლობლების, ოჯახის, ნათესავის, მეგობრების, ცოლ-შვილის ეშინოდა და ხმას არ იღებდა არაფერზე. ესეც სტაბილურობა იყო. მაგრამ ეს სტაბილურობა მოჩვენებითი იყო და ამ სტაბილურობის

შედეგად დაიბადა ყველა ის უზარმაზარი პრობლემა, რომელთა მოგვარება დღეს ვერაფრით მოხერხებულა.

მაგრამ არის მეორე სტაბილურობა _ ნამდვილი სტაბილურობა, რეალური სტაბილურობა, რომელიც ემყარება ქვეყნის ეკონომიკურ მოწყობას, ქვეყნის ეკონომიკურ სიმძლავრეს. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც სტაბილურობა სწორედ ეკონომიკურ მოწყობას ემყარება და სადაც მას (სტაბილურობას) მარადიული ხასიათი აქვს. აი, ასეთი სტაბილურობა გვინდა ჩვენც. ეროვნული მოძრაობა სწორედ იქითკენ მიისწრაფვის, რომ საქართველოში, როცა იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი, არსებობდეს მყარი სტაბილურობა და არა მოჩვენებითი, შემთხვევითი _ დამყარებული ძალადობასა და მუშტზე. მაგრამ იმისათვის, რომ ამას მივაღწიოთ, საჭიროა ბრძოლა. ამ ბრძოლაში ყოველთვის იმარჯვებს ის, ვინც მომზადებულია ბრძოლისათვის და ვისაც, ვთქვათ, ძირითად ამოცანად სწორედ ბრძოლა აქვს დასახული და არა ურთიერთმტრობა ან ურთიერთკინკლაობა. ვფიქრობ, პიროვნული ურთიერთდამოკიდებულება არ უნდა გვქონდეს ჩვენ ერთმანეთს შორის. ჯარისკაცს, რომელიც მტერს ებრძვის და სანგარში ზის, არავითარი უფლება არა აქვს იფიქროს იმაზე _ რა ურთიერთობა, რა დამოკიდებულება აქვს გვერდით მდგომ ჯარისკაცებთან, სძულს თუ უყვარს ისინი; პირიქით, ისინი ყველანი ერთად უნდა ფიქრობდნენ იმაზე, რომ ებრძოლონ მტერს. მთელი ყურადღება აქეთკენ უნდა იყოს გადატანილი. ერთმანეთთან დამოკიდებულება შემდეგ შეუძლიათ გაარკვიონ.

მ.ა. – გამარჯვების შემთხვევაში, რა თქმა უნდა.

ა.ბ. – რა თქმა უნდა, გამარჯვების შემთხვევაში. დღეს ჩვენ საომარ ვითარებაში ვიმყოფებით. ეს საომარი ვითარება გულისხმობს ჩვენს ერთიანობას, ჩვენს სიმტკიცეს, ჩვენს შეთანხმებულობას და ამიტომ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც საომარ ვითარებას შეეფერება. სხვა შემთხვევაში _ გათიშულობის, განხეთქილების, ურთიერთმტრობის შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებით იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაც მე-18 საუკუნეში გამოიგლოვა დავით გურამიშვილმა. კარგად მოგეხსენებათ, «ქართლის ჭირში» რას ამბობს ის და შესაძლებელია, ჩვენდა საუბედუროდ, ეს განმეორდეს, თუ ჩვენ ერთმანეთს დავუწყებთ მტრობას.

მ.ა. – შეგვახსენეთ, თუ შეიძლება.

ა.ბ. –
ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი
ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს, _
ეგრეთ ქართლი და კახეთი
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს.

ასე მოხდება ახლაც. ჩვენ ერთმანეთთან ბრძოლაში დავემსგავსებით დაქოჩრილ მამლებს. მერე მოვა მოწინააღმდეგე ძაღლი და არხეინად წაგვათრევს იქ, სადაც ჯერ არს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს მწარე გაკვეთილი, ისტორიის მანძილზე შეძენილი, მწარე სიტყვები დავით გურამიშვილისა, დღესაც კარგად უნდა გავითვალისწინოთ, კარგად ავწონ-დავწონოთ და მოვძებნოთ ის გზები, რომლებიც საფუძვლად დაედება ეროვნული მოძრაობის ერთიანობას, შეთანხმებასა და მტკიცე ბრძოლას იმ იდეალისათვის, რისთვისაც ეს ბრძოლა დაიწყო _ საქართველოს აღდგენისათვის და საქართველოს თავისუფლებისათვის. ყოველგვარი პიროვნული, ყოველგვარი კერძო

გვერდზე უნდა გადავდოთ და ერთმანეთს გავუწოდოთ შეთანხმების ხელი. კიდევ მინდა გავიმეორო, სხვა ყველა შემთხვევაში ჩვენ გველის დამარცხება.

მ.ა. – ცუდი პროგნოზია ამ შემთხვევაში. ბატონო აკაკი, დიდ მადლობას გიხდით. ღმერთმა ქნას, გულთან ახლოს მიეტანოთ თქვენი სიტყვები, ვისთვისაც არის ნათქვამი. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

ა.ბ. – მეც მაქვს ამის იმედი. როგორც წეღან მოგახსენეთ, ორივე ბანაკში, ორივე ჯგუფში, ორივე მხარეს არიან გონიერი, ჭკვიანი ადამიანები და ისინი მოძებნიან იმ გზებსა და საშუალებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთიანობასა და სიმტკიცეს.

მ.ა. – ღმერთმა გისმინოთ. გმადლობთ.

ტელეინტერვიუ.
22 მაისი, 1990.

გარდაუვალი აუცილებლობა

კორესპ. _ როგორ აფასებთ დღეს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. როგორია თქვენი ტაქტიკა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპზე?

აკაკი ბაქრაძე _ ამჟამად საქართველოში ყოველგვარი ვითარება, მათ შორის პოლიტიკურიც, ქაოსურია. დააკვირდით:

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დაპყრობა-ანექსია, რასაც მოსკოვის მხრიდან არავითარი რეაქცია არ მოჰყვა.

აუქმებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო 1922 წლის შემდეგ დადებულ ხელშეკრულებებს, მოსკოვი ისევ დუმს.

აცხადებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო საქართველოს სსრ კანონების უზენაესობას სსრკ-ის კანონებთან შედარებით, მოსკოვს ეს არ აწუხებს, არავითარ კონტრღონისძიებას არ მიმართავს.

ნახეთ, როგორ მშვიდად დაიშალა საქართველოს კომკავშირი. მოსკოვიდან თხოვნაც კი არ მოსულა, ამ საქმეს ნუ იზამთ, ფორმალურად მაინც იარსებეთო.

ამავე დროს მოსკოვი ლიტვის ყოველ ნაბიჯს ებრძვის, გმობს, უცხადებს ბლოკადას, უჭერს ყელში თოკს, აიძულებს გამოაცხადოს ლიტვის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების მორატორიუმი.

რატომ არის ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება?

ჩემი ფიქრით, ეს შედეგია იმისა, რომ მოსკოვი უკვე დიდი ხანია დათანხმდა ლიტვის (საერთოდ, ბალტიისპირეთის) დამოუკიდებლობას, მის საბოლოო გასვლას სსრკ-დან. გორბაჩოვის ნაირ-ნაირი განკარგულებანი ნიღაბია იმისა, თითქოს მოსკოვი იბრძვის ბალტიისპირეთის შესანარჩუნებლად. ეს აუცილებელია იმ ფანატიკოსი კომუნისტების (ესენი კი მეტად დიდი რაოდენობით არიან) დასამშვიდებლად, რომელთაც სიზმარშიც კი ვერ წარმოუდგენიათ ლიტვის ან ლატვია-ესტონეთის დამოუკიდებლობა-თავისუფლება. უნდა გათამაშდეს მოსკოვ-ბალტიისპირეთის «ბრძოლა». ამ მოჩვენებითი ბრძოლის პროცესს თანდათანობით შეეჩვევიან სსრკ-ის რღვევის მოწინააღმდეგეები. შეჩვეულები კი იოლად შეეგუებიან ლიტვის დამოუკიდებლობას. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება.

ასეთ თამაშს გორბაჩოვი ხშირად მიმართავს. ყველაზე მკაფიო მაგალითია პრობლემა, რომელ სამხედრო ბლოკში უნდა იყოს ერთიანი გერმანია. საბჭოთა მმართველობა თითქოს აქტიური წინააღმდეგი იყო ერთიანი გერმანიის ნატოში შესვლისა. ეს არაერთგზის განაცხადეს გორბაჩოვმაც და შევარდნაძემაც. მაგრამ ახლა მოულოდნელად (რა თქმა უნდა, გულუბრყვილო მასისათვის) დათანხმდნენ ერთიანი გერმანიის ნატოში ყოფნას.

ასე, რომ უახლოეს ხანებში მოსკოვი დათანხმდება ლიტვის (მთელი ბალტიისპირეთის) დამოუკიდებლობას. ყველასთვის ნათელი გახდება თამაშის შინაარსი. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება არა აქვს მოსკოვს საერთოდ ამიერკავკასიის მიმართ და, კერძოდ, საქართველოსადმი. იგი ბოლომდე იბრძოლებს საქართველოს შესანარჩუნებლად სსრკ-ის ფარგლებში. მოსკოვისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა გადაწყვეტილებებს მიიღებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო. ისინი ფარატინა ქაღალდი იქნება მანამ, სანამ მოსკოვი არ დათანხმდება საქართველოს გათავისუფლებას. ყველა ნიშნით ჩანს, რომ იგი ჯერჯერობით ამას არ აპირებს. ამიტომაც მშვიდად არის.

მოსკოვმა იოლად მოახერხა ისიც, რომ ჯერ ეთნოკონფლიქტებით არივდარია საქმე, მერე კი ეროვნულ მოძრაობაში ერთბაშად შემორეკა ყველა _ მტყუანი და მართალი. ყველამ ეროვნული დროშის ფრიალი დაიწყო. გარეგნულად დღეს საქართველოში ეროვნულ მოძრაობას მოწინააღმდეგე არ ჰყავს, გარდა თითო-ოროლა ფანატიკოსი ლენინელისა. როგორ, წელიწადში თუ წელიწადნახევარში ყველას უცბად შეეცვალა შეხედულება? ვინც 9 აპრილამდე ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ კბილებს აღრჭიალებდა, ახლა იმას ეროვნული მებაირახტრეობა უნდა. რა მოხდა? ერთ კასრ ღვინოში ერთ ჭიქა წყალს თუ ჩაასხამ, ღვინოს არ დაეტყობა. მაგრამ ერთ კასრ ღვინოში ერთ კასრ წყალს თუ ჩაასხამ, ღვინო გაწყალდება. აი, ეს ხერხი გამოიყენეს. ყველა შემოუშვეს ეროვნულ მოძრაობაში და, სამწუხაროდ, ეროვნულმა მოძრაობამაც ხელგაშლილად მიიღო ისინი. ამან ქაოსური ვითარება შექმნა. ქაოსი ხელსაყრელია საბჭოური ხელისუფლებისათვის და მომაკვდინებელია ეროვნული მოძრაობისათვის.

თუ გვინდა ეროვნულმა მოძრაობამ გაიმარჯვოს, საქართველოში მკაცრი წესრიგი უნდა დამყარდეს. საქმე საათივით უნდა აიწყოს. ერმა მკაფიოდ გამოკვეთილი მიმართულებით უნდა იაროს. ეს ეროვნულმა მოძრაობამ უნდა გააკეთოს. ამას ხელისუფლება არ გააკეთებს. რამდენადაც მეტად იქნება წყალი ამღვრეული, იმდენად უკეთ დაიჭერს ხელისუფლება სასურველ თევზს.

ერთიანი მიზანი, მოქმედების ერთიანი გეგმა, ერთიანი ხელმძღვანელობა _ ეს გარდაუვალი აუცილებლობაა.

კორესპ. – მოკლედ თქვენი სამოქმედო პროგრამის შესახებ. შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა თქვენი პროგრამის თუნდაც რამდენიმე პუნქტის განხორციელება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე?

ა.ბ. _ რუსთაველის საზოგადოების გეგმა, ამ ცოტა ხნის წინათ, გამოვაქვეყნეთ გაზეთ «მამულში» (1990 წ. № 8). მაგრამ მისთვის არავის მიუქცევია ყურადღება, არც უარყოფითი კუთხით და არც დადებითით. მიუხედავად ამისა, მას განმეორებით გაგაცნობთ.

«პირველი: არჩევნების გზით უზენაესი საბჭოსა და მთავრობის გადასვლა ეროვნული მოძრაობის ხელში.

მეორე: პრეზიდენტის არჩევა.

მესამე: ახალი კონსტიტუციის მიღება და მისი პრინციპებით რეფორმების ჩატარება, ჯერ ადმინისტრაციული და მერე ეკონომიკური.

მეოთხე: სსრკ-დან გამოსვლა და დამოუკიდებლობის აღდგენა».

თუ ხალხი ამ გეგმას გაიზიარებს, მისი განხორციელება თავისუფლად შეიძლება დღევანდელ პირობებშიც.

კორესპ. – რა წანამძღვრებია საჭირო საქართველოში ოფიციალური არასაბჭოური არჩევნების ჩასატარებლად?

ა.ბ. _ მე მგონია, საქართველოში ოფიციალური არასაბჭოური არჩევნები ამჟამად ვერ ჩატარდება.

რატომ?

არასაბჭოური, პარლამენტური არჩევნები რომ ჩატარდეს, ყველა პარტია თანაბარი უფლებით უნდა სარგებლობდეს და თანაბარი მდგომარეობა უნდა ჰქონდეს. სკკპ-ის 28-ე ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სკკპ ისევ რჩება ავანგარდისტულ პარტიად. უარი ითქვა სკკპ პარლამენტურ პარტიად გახდომაზე. სკკპ-ს ისევ ჰყავს უზარმაზარი პოლიტბიურო და ცკ ისევ არის აღჭურვილი უძლიერესი აპარატით და უთვალავი ფულით. დღეს არსებულ არც ერთ სხვა პარტიას ამის შესაძლებლობა არა აქვს. ყველა დისკრიმინაციულ მდგომარეობაშია.

ნურც ბუხარინის «ოსტროუმიეს» დავივიწყებთ _ «ჩვენში მხოლოდ ორი პარტია შეიძლება არსებობდეს: ერთი ხელისუფლების სათავეში, მეორე _ ციხეში». შემთხვევით ხომ არ დაუწყეს დღეს ბუხარინს თაყვანისცემა? რაღაცისათვის მისი გაცოცხლება, ალაბთ, საჭიროა, თორემ ბუხარინი ვისზე ნაკლები კაციჭამია იყო!..

ვითარებას არ შეცვლის არც საქართველოს კპ გამოყოფა სკკპ-დან. ეს გამოყოფა იქნება სრულად მოჩვენებითი. საქართველოს კპ ისევე იქნება «დამოუკიდებელი», როგორიც «დამოუკიდებელია» დღეს საქართველოს სსრ.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვფიქრობ, რომ საქართველოში დღეს არასაბჭოური არჩევნები ვერ ჩატარდება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა (ვისაც ამის სურვილი ექნება) მონაწილეობა არ მიიღონ ოქტომბრის ბოლოს არჩევნებში.

საქართველოს გასათავისუფლებლად სხვა გზა, გარდა სამართლებრივი პარლამენტური ბრძოლისა, არ არსებობს.

გარდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსი არ არსებობს სხვა იურიდიული ინსტიტუტიც, რომელსაც რეალური უფლება ექნება გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

დღეს კიდევ არსებობს (ხვალ შეიძლება აღარ იქნეს) საშუალება იმისა, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო შეივსოს ახალი დეპუტატებით, რომელთაც მინიმუმ სამი ნიშანი მაინც უნდა ახასიათებდეთ _ მაღალი პოლიტიკური განათლება, ორგანიზატორული საქმიანობის ნიჭი და ეროვნული მოძრაობის ერთგულება.

თუ ოქტომბრის ბოლოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩაიშლება, ამას მოსკოვი დიდი სიამოვნებითა და კმაყოფილებით შეხვდება. არსებითად საქართველო დარჩება საკანონმდებლო, იურიდიული ინსტიტუტის უქონლად. არადა, უამრავი საქმეა გასაკეთებელი, სწორედ კანონმდებლობის თვალსაზრისით. საქართველოს მომავალ თავისუფალ, დამოუკიდებელ, სამართლებრივ სახელმწიფოს იურიდიული საფუძველი დღესვე უნდა ჩაეყაროს. თუ ამის გაკეთება დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დავაპირეთ, საქართველოში ისეთი უბედურება დატრიალდება, რომ ლიბანი წესრიგის განსახიერებად მოგვეჩვენება.

ახალმა კანონებმა არა მარტო დემოკრატიული სამართლებრივი სისტემა უნდა შექმნას, არამედ ქართველ ხალხში დემოკრატიული აზროვნების უნარიც უნდა გამოიმუშავოს. თუ დემოკრატიული აზროვნება არ ვისწავლეთ, ვერაფერს გვიშველის

დემოკრატიული სახელმწიფო სტრუქტურა. მართალი იყო გერცენი, როცა ფიქრობდა: არ შეიძლება ადამიანი უფრო მეტად გაათავისუფლო გარეგან ცხოვრებაში, ვიდრე იგი თავისუფალია შინაგანად.

უზენაეს საბჭოს ეროვნული კონგრესი ვერ შეცვლის. ამას თავად კონგრესი აღიარებს. გაზეთებში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით, მას არც საკანონმდებლო ინსტიტუტის პრეტენზია აქვს და არც ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა. კონგრესს სურს ეროვნული მოძრაობის მაკოორდინებელი ორგანოს როლი შეასრულოს. მაგრამ ამას როგორ შესძლებს, თუ ეროვნული მოძრაობა ერთიანი არ იქნება? სამწუხაროდ, ჯერჯერობით გათიშულ ეროვნულ მოძრაობას შეთანხმების პირი არ უჩანს.

ცხადია, შეთანხება არ ნიშნავს საკუთარი პარტიული პრინციპების უარყოფას. შეთანხმება ნიშნავს იმ ძირეული დებულებების გამოძებნას, რომელსაც ორივე მხარე აღიარებს და თანაბრად პატივს სცემს. მაგალითად, აშშ-ის ორივე მთავარ პარტიას _ რესპუბლიკურსა და დემოკრატიულს _ მკაფიოდ გამოხატული საკუთარი პრინციპები აქვს, მაგრამ არსებობს ის საერთოც, რასაც ორივე აღიარებს და წმიდათაწმიდად მიაჩნია. ესენია: 1. კერძო საკუთრების ინსტიტუტი, 2. სახელმწიფოს რესპუბლიკური წყობილება, 3. ფედერალური კონსტიტუცია. ჩვენც უნდა გამოვძებნოთ ისეთი ფუნდამენტი, რაზეც აშენდება სხვადასხვა პარტიათა თანხმობა-კავშირი. სხვაგვარად ეროვნული მოძრაობა წინ ვეღარ ივლის. უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ, უზენაესი საბჭოს არჩევნებთან ერთად, უპირველესი მნიშვნელობა აქვს იმ კაცის გამოძებნას, საქართველოს მოსახლეობა ნდობას რომ გამოუცხადებს და, თუნდაც ერთი საარჩევნო ვადით, ქვეყნის ბედს ჩააბარებს. ქარიშხალში მოხვედრილ გემს მაშინ შეუძლია გადარჩენა, თუ ჭკვიანი, ენერგიული, საქმის მცოდნე კაპიტანი ჰყავს, რომელსაც კომანდა ერთგულებას უცხადებს და ემორჩილება. საქართველო დღეს ქარიშხალში მოხვედრილი გემია. კომანდაც სჭირდება და კაპიტანიც.

არასოდეს ვყოფილვარ და არც ოდესმე ვიქნები პიროვნების ლენინიზაციის მომხრე (ლენინიზაციას ვეძახი პიროვნების «გაღმერთებას»). ყველა ხედავს, რა დღეში ჩააგდო ლენინიზაციამ თავად ლენინი და მისი პარტია. პიროვნების ლენინიზაცია ანტიბუნებრივი, ანტიადამიანური მოვლენაა, სულერთია რისი სახელით ხდება იგი _ სოციალიზმისა თუ ეროვნული მოძრაობის. მას დამღუპველი შედეგი მოაქვს სწორედ იმ ადამიანისათვის, ვინც ლენინიზაციის მსხვერპლი ხდება, ლიანგის უგუნურების გამო. ადამიანს ადამიანურად უნდა დაფასება, თორემ ისტორიამ გესლიანი დაცინვა იცის. მაგალითი? ჯერ სტალინის გამოსვენება მავზოლეუმიდან და ახლახან _ დიმიტროვისა. ხვალ ამ ბედს ლენინი გაიზიარებს. ამიტომ, როცა ქვეყნის მეთაურის (პრეზიდენტის) არჩევნებზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ წმინდა დემოკრატიულ პრინციპს. პრინციპს, როცა ალტერნატიული კანდიდატურები არსებობენ, კენჭისყრაა საყოველთაო-სახალხო, ფარული და პირდაპირი.

კორესპ. _ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ლიტვური, ლატვიური, ესტონური ვარიანტების სახესხვაობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით ამ სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი უკანონოდ, ბათილად გამოცხადდა. რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს აქედან ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ?

ა.ბ. _ ამაზე ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ მაშინ, როცა პირველ კითხვაზე ვსაუბრობდით.

გაზ. «ლიტერატურული საქართველო»,
27 ივლისი, 1990.

ადამიანთა ბითუმად შეფასება არ შეიძლება

კორესპ. _ ბატონო აკაკი, როგორ ფიქრობთ, ინტელიგენციას, როგორც სოციალურ ფენას, შესწევს უნარი აწარმოოს დამოუკიდებელი პოლიტიკა, ჩამოაყალიბოს საკუთარი პარტია და გაატაროს საკუთარი პოლიტიკური ხაზი?

აკაკი ბაქრაძე _ რატომ არ შესწევს? ვინ დაამტკიცა ეს? პოლიტიკა აზროვნების სახეობაა, როგორც ფილოსოფია, ლიტერატურა, მეცნიერების ესა თუ ის დარგი… პოლიტიკას უნდა ემსახუროს ის, ვისაც ამისი ნიჭი აქვს. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელ სოციალურ კლასს ან ფენას ეკუთვნის ის, ვისაც პოლიტიკოსობა სურს. გადამწყვეტია ნიჭი. ხოლო ნიჭიერი შეიძლება იყოს გლეხიც, ინტელიგენტიც და მუშაც. «ნიჭს აძლევს ზენა მაღლით კაცს და არა გვარიშვილობა». არც კლასობრივი კუთვნილება იძლევა ნიჭს.

მაგრამ კითხვა გააჩინა იმან, რომ ჯერჯერობით ისევ მარქსისტულ-ლენინურად ვაზროვნებთ, იმის მიუხედავად, რომ ლენინსაც და კომუნიზმსაც თავგამეტებული ვაკრიტიკებთ. ჩვენში, სამწუხარდ, აზროვნების წესი ჯერ არ შეცვლილა.

დააკვირდით? თუ გადაათვალიერებთ ადრინდელ საბჭოურ პრესას, სულერთია, ქართული იქნება თუ რუსული, ნახავთ _ რა ლანძღვა-გინების კორიანტელია დაყენებული. აძაგებენ ყველას, ვინც კომუნისტი არ არის. ახლა ნახეთ დღევანდელი არასაბჭოური პრესა. აქაც ლანძღვა-გინების კორიანტელია დაყენებული. ოღონდ, ამჯერად, აძაგებენ კომუნისტებს. მოხდა ისე, რომ შეიცვალა გინების სუბიექტი და არა აზროვნების წესი.

მოაზროვნეა ის, ვინც არც ერთ უშვერ სიტყვას არ იხმარს და მეტოქეს თავის სიმართლეს დაუმტკიცებს მხოლოდ არგუმენტებითა და საბუთებით. ის, ვინც ლანძღვა-გინებას მიმართავს, არ ეძებს ჭეშმარიტებას, მას მხოლოდ მეტოქის დამცირება-შეურაცხყოფა სურს. ხოლო ის, ვინც ჭეშმარიტებას არ ეძებს, არ შეიძლება იყოს მოაზროვნე. ამიტომ, თუ გვინდა ჩვენი ცნობიერება განთავისუფლდეს, უპირველესად, თავი უნდა დავაღწიოთ მარქსისტულ-ლენინური აზროვნების წესს.

ეს გრძელი ტირადა იმიტომ დამჭირდა, რომ გითხრათ: ინტელიგენციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება რუსმა სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს, რასაც ქართველი სოციალ-დემოკრატებიც იმეორებდნენ. მერე კი რუსული სოციალ-დემოკრატიიდან გამოყოფილმა ბოლშევიკებმა ინტელიგენციის არა მარტო ლანძღვა-თრევა გააგრძელეს, არამედ ხორციელ განადგურებასაც მიჰყვეს ხელი. ამ ბოროტების ახსნა შეიძლება.

მოგეხსენებათ, სოციალ-დემოკრატებმა, მერე ბოლშევიკებმა კაცობრიობის მხსნელად და გადამრჩენად პროლეტარიატი გამოაცხადეს. მათი აზრით, პროლეტარიატი ააშენებდა აღთქმულ ქვეყანას. ვინც პროლეტარიატს ამ დიდი მისიის ასრულებაში უშლიდა ხელს, იგი უნდა მოესპოთ. კომუნისტების აზრით, ბურჟუაზიასთან ერთად, ხელის შემშლელი იყო ინტელიგენციაც. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მაშინ ინტელიგენციის ძირითადი ნაწილი მქონებელთა კლასს ეკუთვნოდა და, მეორეც, ღრმად მოაზროვნე ინტელიგენცია ნათლად ხედავდა კომუნისტური მოძღვრების უტოპიურობასა და საშიშროებას. სამაგალითოდ, საკმარისია გავიხსენოთ დოსტოევსკის «ეშმაკნი» (სოციალიზმის მხილების გამო უწოდა ლენინმა დოსტოევსკის «არხისკვერნი»). მოვიგონოთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა (მისი მამხილებელი პათოსის გამო მოჰკლეს ილია სოციალ-დემოკრატებმა). დააკვირდით აკაკის ლექსს «ჩემი ჭმუნვა». აქ ნაწინასწარმეტყველებია ყველაფერი, რაც დაგვემართა ეროვნული კუთხით. რუსი ფილოსოფოსების ერთმა ჯგუფმა გამოსცა კრებული «ვეხი». ამ კრებულში მათ

გააფრთხილეს რუსეთი: თუ ბოლშევიკებს გაჰყვებოდა რუსი ხალხი, კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა. მაგრამ ისტორიაში არის დრო, როცა ხალხი კარგავს გონებას და იმას მიჰყვება, ვინც ერს უფსკრულისაკენ მიუძღვის. ასე დაემართათ გერმანელებს, როცა ნაცისტებს ენდნენ. ასე დაემართათ რუსეთის ხალხებს, როცა ბოლშევიკებისა იწამეს.

მამხილებელი პათოსი რომ გაენადგურებინა, სოციალ-დემოკრატია ინტელიგენციას ამცირებდა და აკნინებდა. ხალხს უნერგავდა ინტელიგენციის სიძულვილს. ამიტომ დღეს, როცა ინტელიგენციას აძაგებენ, ეს მარქსისტულ-ლენინური აზროვნების ქვეცნობიერი გამოვლენაა. ჩვენი განათლებისა და აღზრდის გამო მარქსისტულ-ლენინური აზროვნება ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი. მისგან გათავისუფლებას დიდი დრო დასჭირდება.

ცხადია, ინტელიგენციის სრული განადგურება შეუძლებელი იყო. ამიტომ, გამარჯვების შემდეგ, კომუნისტებმა ახალი ცნება მოიგონეს _ მუშურ-გლეხური ინტელიგენცია. მიგიქცევიათ ყურადღება? ჩვენ არ ვამბობთ «ხელოვანნი», ვამბობთ _ «ხელოვნების მუშაკი». არ ვამბობთ «მეცნიერი». ვამბობთ «მეცნიერების მუშაკი». არ ვამბობთ «ვაჭარი». ვამბობთ «ვაჭრობის მუშაკი». რატომ? იმიტომ, რომ როცა სიტყვა «მუშაკს» ვამატებთ, ამით ყველას და ყველაფერს მუშათა კლასის კატეგორიაში ვათავსებთ. ინტელიგენტი საერთოდ კი არა, არამედ მუშა-ინტელიგენტი, გლეხი-ინტელიგენტი. რაცი სსრ კავშირი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოა, ცხადია, ინტელიგენტიც ან მუშაა, ან გლეხი. სასაცილოა, მაგრამ ფაქტია.

ინტელიგენციას შესწევს უნარი აწარმოოს დამოუკიდებელი პოლიტიკა. უნდა გააკეთოს კიდეც ეს. ამქვეყნად ყველა პოლიტიკური პარტია ინტელიგენციის შექმნილია, მათ შორის მუშათა და გლეხთა პარტიებიც. ინტელიგენცია ერის მოაზროვნე ნაწილია. უაზროვნებოდ კი ვერც ერთი პარტია ვერ იარსებებს.

კორესპ. – თვლით თუ არა, რომ ინტელიგენცია ზეპარტიული უნდა იყოს?

ა.ბ. _ ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები, რომელნიც ლოს-ალამოსში (აშშ) ატომურ ბომბს აკეთებდნენ, ვინ იყვნენ _ ზეპარტიულები, ქვეპარტიულები თუ პარტიულები? იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომელნიც დრო და ჟამის მოთხოვნილებას ემორჩილებოდნენ. თითოეულმა მათგანმა ზედმიწევნით იცოდა, რამდენი უბედურების მომტან იარაღს აკეთებდა, მაგრამ მაშინ ბომბის გაკეთება მათ ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნდათ. დრო და ჟამი ითხოვს ადამიანისაგან არჩევანის გაკეთებას. ადამიანიც მისი უნარისა და ნიჭის შესაბამისად აკეთებს ამ არჩევანს. ზოგჯერ ისტორია ამართლებს ამ არჩევანს, ზოგჯერ _ არა.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებს ბევრად ადრე შეეძლოთ ატომური ბომბის გაკეთება, ვიდრე შეერთებულ შტატებს (მით უმეტეს, სსრ კავშირს). მაგრამ გერმანელმა ფიზიკოსებმა ოტო ჰანმა, ლიზე მაიტნერმა და სხვებმა, უარი თქვეს. ვერც მუქარამ, ვერც ხვეწნამ და ვერც ჯილდომ ვერ აიძულა ისინი გაეკეთებინათ ბომბი. ანდრეი სახაროვმა კი გააკეთა წყალბადის ბომბი. ჯილდოებიც მიიღო (სამგზის სოციალისტური შრომის გმირი იყო). მერე დაიწყო ბრძოლა თერმობირთვული შეიარაღების წინააღმდეგ. რეპრესიებიც გადაიტანა. რუსეთის სინდისის სახელიც დაიმსახურა.

ვსვამ კითხვას: ვინ არის სინდისის განსახიერება _ ოტო ჰანი, რომელიც ვერაფერმა აიძულა გაეკეთებინა ბომბი, თუ ანდრეი სახაროვი, რომელმაც ჯერ ბომბი გააკეთა და მერე დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ?

ჩემი პასუხი _ ასეთი ოტო ჰანია და არა სახაროვი. მაგრამ ბევრი არ გაიზიარებს ჩემს აზრს. არ გაიზიარებს იმიტომ, რომ ოტო ჰანის ზეპარტიულობამ და სინდისიერებამ მისი სამშობლოს დამარცხება და განადგურება გამოიწვია. თანაც გერმანია დაამარცხა

რუსულმა ბოლშევიზმმა, რომელიც უფრო დიდი საშინელება იყო, ვიდრე გერმანული ნაციზმი.

ამიტომ ზეპარტიულობისა და პარტიულობის საკითხებს ვერ გადავწყვეტთ ცალსახად, დროისა და ვითარების გაუთვალისწინებლად. ოღონდ ის კი უნდა დავუმატო: პარტიულ-პოლიტიკურ საქმიანობას უნდა ეწეოდეს ის ინტელიგენტი, რომელსაც ამის ნიჭი აქვს და არა განუკითხავად ყველა. მაგრამ, როგორ გინდა დაარწმუნო ადამიანი, რომ ის უნიჭოა? ანატოლ ფრანსმა იხუმრა: ამქვეყნად ყველაზე კარგად და სამართლიანად ჭკუააო განაწილებული. ყველაფრის ნაკლებობას უჩივის ადამიანი. ერთადერთი, რის ნაკლებობას არავინ უჩივის და ყველა კმაყოფილია, ეს ჭკუააო.

თავისი ჭკუით კმაყოფილი ადამიანები ერთიანად გადაეშვნენ პოლიტიკაში და არავინ კითხულობს _ აქვთ თუ არა მათ ამის ნიჭი.

ეს ფრიად სახიფათოა და ამ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ზეპარტიულობა სჯობს პარტიულობას.

კორესპ. _ საერთოდ, რას ნიშნავს ინტელიგენტი? ვინ შეიძლება ჩაითვალოს ინტელიგენტად?

ა.ბ. _ ბევრს არაფერს. იმას, ვინც მიწას ამუშავებს, გლეხს ვეძახით. მუშად ვუხმობთ იმას, ვინც ფაბრიკა-ქარხნებში შრომობს. ის კი, ვინც წიგნიერ, გონებრივ საქმეს ემსახურება, ინტელიგენტის სახელს ატარებს. ბეჯითი, ზრდილი, თავაზიანი, მშრომელი, მუყაითი, ნიჭიერი, პატიოსანი გლეხიც შეიძლება იყოს ინტელიგენტი და მუშაც. ასევე შეიძლება იყოს გლეხიც, ინტელიგენტიც და მუშაც გაიძვერა, მუქთახორა, ნაძირალა, უნამუსო, ხეპრე. ადამიანის სულიერი ამაღლებულობა საქმიანობის სახეობას არ უკავშირდება. სულიერად ამაღლებული თვისების მქონედ ადამიანი ღმერთმა უნდა გააჩინოს. თუ ეს მადლი ღმერთმა არ დაგანათლა, წიგნის კითხვით ვერ შეიძენ. იმას კი არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, წიგნში რა წერია, არამედ იმას _ როგორი კაცი კითხულობს ამ წიგნს. ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანი ყველაზე სულელურ წიგნშიც კი იპოვის სიბრძნეს. ხოლო უნიჭო და უჭკუო _ ყველაზე ბრძნულ წიგნშიც ვერ ამოიკითხავს გონივრულს. ჭკუა და ნიჭი ღმერთის მადლია და თუ უზენაესმა ამაზე უარი გითხრა, ვერარა ძალა ვეღარ მოგანიჭებს.

ამიტომ ადამიანს პატივი იმისდა მიხედვით კი არ უნდა მივაგოთ, მუშაა იგი, ინტელიგენტი თუ გლეხი, არამედ იმისდა შესაბამისად, ჭკვიანია იგი თუ უჭკუო, ნიჭიერია თუ უნიჭო, ზნეკეთილია თუ უზნეო.

კორესპ. – იყო თუ არა საქართველოში ბუნებრივი ისტორიული წინაპირობები ინტელიგენციის, როგორც სოციალური ფენის ჩამოყალიბებისათვის?

ა.ბ. _ სოციალიზმი მთელ მსოფლიოში იმიტომაც დამარცხდა, რომ კაცობრიობის განვითარებას მხარი ვერ აუბა. იგი აზროვნებითაც XIX საუკუნის ცნებებითა და კატეგორიებით აზროვნებდა. თან ცდილობდა ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხისათვის სოციალური განვითარების ერთი მოდელი მოერგო. აბა, ქართული ინტელიგენციის რა სოციალურ ფენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX ასწლეულის პირველი მეოთხედის საქართველოში? ყველა ქართველი ინტელიგენტი რომ შეგვეკრიბა, ალბათ, მათი რაოდენობა 200-300 კაცს არ აღემატებოდა. ეს სოციალური ფენაა? მერე ხომ კაცობრიობის განვითარება ისე წავიდა, რომ კლასობრივი დიფერენციაცია თანდათან წაიშალა. სადღაა დღეს მსოფლიოში გლეხი, ინტელიგენტი, კაპიტალისტი, მუშა იმ სახით და თვისებით, როგორითაც მარქსს ან ლენინს ჰქონდათ წარმოდგენილი? მეცნიერულ-ტექნიკურმა განვითარებამ ყველაფერი ძირფესვიანად შეცვალა და კაცობრიობის სულ სხვაგვარი სოციალური სურათი შექმნა.

საქართველოში ინტელიგენცია სოციალური ფენა არც მაშინ ყოფილა, როცა ჩვენში მარქსიზმი შემოვიდა და დამკვიდრდა და არც დღეს არის, როცა სოციალიზმის დასამარებას ვესწრებით.

კორესპ. – საიდან მოვიდა საქართველოში ცნება «ინტელიგენცია». ისტორიულად რა როლს ასრულებდა საქართველოში ინტელიგენცია. რა ფუნქცია ჰქონდა მას?

ა.ბ. _ თავად სიტყვა «ინტელიგენტი» ლათინურია. ლათინურად «ინტელლეგენს» ნიშნავს მცოდნეს, გონიერს, განათლებულს, ნაკითხს. ამავე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებში. გერმანულში არის სიტყვა «ინტელლიგენცერ», რაც «ინტელიგენტად» ითარგმნება, მაგრამ დაცინვითი შინაარსი აქვს. «ინტელლიგენცერს» იმ კაცს ეძახიან, ვინც ყოყოჩობს განათლებით, ნამდვილად კი გუდაფშუტაა. ევროპულ ენებს ლათინური «ინტელლეგენს»-ისათვის ის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, რაც რუსულმა. რუსულში მას მიეცა გარკვეული სოციალური ფენის წარმომადგენლის აღმნიშვნელის შინაარსი. ხოლო ინტელიგენცია გარკვეულ სოციალურ ფენად მიიჩნიეს.

XIX საუკუნეში ინტელიგენტი და ინტელიგენცია რუსულიდან შემოვიდა ქართულში და იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც რუსულში.

XIX საუკუნიდან ქართველი ხალხის ქომაგი, დამცველი, პატრონი ინტელიგენციაა. თუ ფეოდალურ საქართველოში ქართველი ხალხის მეთაურის როლს ჩვენი არისტოკრატია ასრულებდა, XIX საუკუნეში მან ეს ფუნქცია დაკარგა. მეთაურობა გადავიდა ქართული არისტოკრატიის წიაღიდან გამოსული ინტელიგენციის ხელში (დ.ყიფიანი, ი.ჭავჭავაძე, ა.წერეთელი და სხვანი). მათ შეუერთდნენ სხვებიც, რომელნიც ვაჭართა და გლეხთა წრეს ეკუთვნოდნენ (ნ.ნიკოლაძე, ი.გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ა.შ.). ასე, რომ XIX საუკუნეში ქართული ინტელიგენცია იყო მთელი ქართველი ხალხის ნაწილი და არა რომელიმე კლასის. არ.ჯორჯაძეს აქვს ნარკვევი _ «ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის», სადაც ნათლად ჩანს _ რა ღვაწლი მიუძღვის ინტელიგენციას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მაგრამ რამდენიმე სიტყვას მაინც დავამატებ.

XIX საუკუნეში არ გვქონდა უნივერსიტეტი და უმაღლესი სასწავლებლები. XX ასწლეულში გვაქვს.

XIX საუკუნეში არ გვქონდა სამეცნიერო სკოლები. XX ასწლეულში გვაქვს _ მათემატიკის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ბიოლოგიის და ა.შ.

XIX საუკუნეში არ გვქონდა მეცნიერებათა აკადემია. XX ასწლეულში გვაქვს.

ყველაფერი ეს ქართული ინტელიგენციის შრომისა და ღვაწლის შედეგია. რა თქმა უნდა, მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერითა და თანადგომით.

კორესპ. _ დღესდღეობით რა როლს ასრულებს ინტელიგენცია საქართველოში მიმდინარე პროცესებში?

ა.ბ. _ თუ გავაგრძელებთ იმ საუბარს, რაც ზემოთ დავიწყეთ, უნდა ვთქვა, რომ დღევანდელი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა არა მარტო ჩვენი ინტელიგენტების თავკაცობით მიმდინარეობს, არამედ თეორიულადაც მათი მომზადებულია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე მეტნაკლებად ცნობილი მეთაური ინტელიგენტია. არც ერთ მათგანს უცხოეთში არ მიუღია განათლება, რომ იქიდან მოეტანა თავისუფლების იდეა. თავისუფლების იდეა მათში აღმოაცენა და აღზარდა ოჯახმა, ქართულმა მწერლობამ, ქართულმა უმაღლესმა სასწავლებელმა. ამის დავიწყება არ შეიძლება. ეს უმადურობაც იქნებოდა და უსამართლობაც. თუ ინტელიგენციის რომელიმე წარმომადგენლის საქციელი-

საქმიანობა არ მოგვწონს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ერთი ჯოხით უნდა გაირეკოს. უკვე გითხარით: ავი და კარგი ყველგან არის. მათ შორის ინტელიგენციაშიც.

აქტიური საქმიანობა ჩვენმა ინტელიგენციამ კიდევ უფრო მეტად უნდა გაზარდოს.

კორესპ. – როგორ გესახებათ ქართველი ინტელიგენციის ხვალინდელი დღე?

ა.ბ. _ XX საუკუნის მეორე ნახევარი ინტელიგენციის ეპოქაა. სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ კაცობრიობის ბედი ინტელიგენციას ჩააბარა. მოდის დრო, როცა ცნებები _ მუშა, გლეხი _ თანდათან საბოლოოდ დაკარგავს შინაარსს. გლეხი, რომელიც თავის მეურნეობას კომპიუტერით მოუვლის, უკვე ინტელიგენტი იქნება. მუშა, რომელიც რობოტიზებულ ქარხანასა თუ ფაბრიკაში იმუშავებს, უკვე ინტელიგენტი იქნება, ადამიანები, რომელნიც კოსმოსში და სხვა პლანეტებზე იშრომებენ, თავის საქმის ზედმიწევნით მცოდნენი (ე.ი. ინტელიგენტები) იქნებიან. XXI საუკუნეში ეს პროცესი საერთო-საკაცობრიო ხასიათს მიიღებს და მოხდება მსოფლიო საზოგადოების ინტელიგენტიზაცია. ამ პროცესში ჩაებმება თავისუფალი საქართველოც. ქართველი ინტელიგენტიც იმ როლს შეასრულებს, რასაც ეპოქა უკარნახებს.

კორესპ. _ შეიძლება ინტელიგენტად ჩაითვალოს ის, ვინც დგას პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის სამსახურში, გამოხატავს მის ინტერესებს. რა შეიძლება ეწოდოს ასეთი ტიპის მოხელეს?

ა.ბ. _ რა თქმა უნდა, შეიძლება. ინტელიგენტობა ინდულგენცია არ არის, რომ ადამიანი მანკიერებისაგან გაათავისუფლოს.

ყველა ქვეყანაში (ბუნებრივია, სსრ კავშირშიც) ინტელიგენცია მსახურობს პარტიულ-ბიუროკრატიულ და სახელმწიფოებრივ აპარატში. ამ სამსახურს მისი პიროვნული შეხედულება განაპირობებს. შეიძლება მოგვწონდეს ან არ მოგვწონდეს მისი ეს სამსახური, მაგრამ ამით მის ინტელიგენტობა-არაინტელიგენტობას ვერ განვსაზღვრავთ. მაგალითად, ან. ლუნაჩარსკი პარტიულ ჩინოვნიკად მსახურობდა, მაგრამ ინტელიგენტი არ იყოო, ამას ვერ ვიტყვით. არ იქნება ეს მართალი. ეს სხვაა, რომ არსებობს პატიოსანი და უნამუსო ინტელიგენტი. ადამიანის ყოველგვარ საქმიანობაში, მათ შორის, პარტიულ-სახელმწიფო აპარატშიც, შეიძლება მონაწილეობდეს როგორც პატიოსანი, ისე უნამუსო ინტელიგენტი. ამიტომ თითოეული ადამიანის საქციელი-საქმიანობა კონკრეტულად უნდა შეფასდეს. ბითუმად ვაჭრობა შეიძლება, ადამიანთა შეფასება _ არა.

გაზ. «7 დღე»,
7. XI. 1990

ისე კი, აქტიურობის მომხრე ვარ!

ზინა მჭედლური _ ბატონო აკაკი, უკვე აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ საქართველოს მომავალი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები საბჭოთა კავშირში. როგორია თქვენი პროგნოზი?

აკაკი ბაქრაძე – მთავარი ის გახლავთ, რომ სსრკ-ს როგორც მთლიანი, ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება არსებითად შეუძლებელია, მაგრამ არიან ძალები და საკმაოდ ღონიერი ძალები, რომლებიც ცდილობენ, როგორმე გადაარჩინონ საბჭოთა კავშირი და ეს სახიფათოა სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ მოსალოდნელია სამოქალაქო ომი, რადგან მთლიანობის შენარჩუნებას ცდილობს, ერთი მხრივ, არმია, რომელსაც შეიძლება მივუმატოთ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და აგრეთვე კომუნისტური პარტია, რომელიც მართალია ბალტიისპირეთში და საქართველოში

არსებითად დამარცხებულია, მაგრამ საბჭოთა კავშირის მასშტაბით წარმოადგენს ჯერჯერობით მაინც ძლიერ ძალას და დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ეს სამი ძალა შეერთებული დიდ საფრთხეს უქმნის თავისუფლებისათვის ბრძოლას ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკაში. ეს იქნება უდიდესი უბედურება არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის, რადგან კარგად იცით, რომ სსრკ მფლობელია ისეთი იარაღის, როგორიც არის თერმობირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ არის მცირერიცხოვანი, პროგრესული ნაწილი, რომელიც ცდილობს, რაღაც სიახლე შეიტანოს საბჭოს საქმიანობაში, მაინც არაფერი იცვლება და ძველი სტანდარტების მიხედვით მიმდინარეობს საქმიანობაც და აზროვნებაც. უზენაესი საბჭო რჩება ისევ ძველი პრინციპებისათვის მებრძოლ ინსტიტუტად და აქედან გამომდინარე, კანონიერების გზით რაიმე ახლის დამკვიდრება, ჩემი აზრით, მოსალოდნელი არ არის. ამას კარგად მოწმობს თუნდაც უზენაესი საბჭოს პოზიცია ლიტვაში დატრიალებული ტრაგედიის მიმართ. იქ ცდილობდა რამდენიმე კაცი პროტესტი გამოეთქვა ამის გამო. ჩვენც, საქართველოს დეპუტაციამაც შევადგინეთ საპროტესტო წერილი. ეს წერილი დაიბეჭდა სხვათაშორის გაზეთ «დროში», 2 თებერვლის ნომერში. მაგრამ ამ წერილს სამწუხაროდ არავინ მოაწერა ხელი. იქ პირდაპირ იყო დასმული საკითხი, პრეზიდენტის და მთელი მთავრობის გადადგომის შესახებ, ამის განხილვაც კი არ მოისურვეს. აქედან გამომდინარე უკვე ცხადად ჩანს, რომ უზენაესი საბჭო ცდილობს შეინარჩუნოს ის პოზიცია, რომელიც ხელისუფლებას აქვს ამჟამად და ხელი შეუწყოს სსრკ-ის მთლიანობის განმტკიცებას. ისიც საფიქრებელია, რომ ის დემოკრატიული რუსეთიც კი, რომელიც ამჟამად თითქოს უპირისპირდება კრემლს და მის ხელისუფლებას, საბჭოთა კავშირის დაშლის მომხრე არ არის. ამას ნათლად მოწმობს მოსკოვის ქალაქის თავის გ.პოპოვის წერილი, რომელიც დაიბეჭდა «ოგონიოკში», შემდეგ კი გამოვიდა ცალკე წიგნად. ის თავის პრინციპებს აყალიბებს ეკონომიკაში, სოციოლოგიაში. ლაპარაკობს რა თქმა უნდა, ეროვნულ პრობლემებზეც და სწორედ ეროვნული პრობლემის განხილვის დროს ის არსებითად ითხოვს საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას ერთიან სახელმწიფოდ. ადმინისტრაციული პრინციპის შეცვლას მოითხოვს და არსებითად კიდევ უფრო მძაფრ კოლონიალურ სისტემას ითხოვს, ვიდრე არსებობს.

ზ.მ. _ ე.ი. ამაში არ იგულისხმება სამოკავშირო ხელშეკრულება?

ა.ბ. – ამაში სამოკავშირო ხელშეკრულება არ იგულისხმება. ის სრულიად სხვა ფორმებს ეძებს. პირადად მე ექვს ასეთ წინადადებას ვიცნობ. მას სხვადასხვა მეცნიერები, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებები აყენებენ და როგორც ვარიანტებს სთავაზობენ უზენაეს საბჭოს და საერთოდ საბჭოთა საზოგადოებას. და ყველგან, როგორც წესი, არის ცდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირი დარჩეს ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო.

ზ.მ.– რა შეიძლება ითქვას მათ შესახებ, ვინც მომხრეა საბჭოთა კავშირის დაშლის. ასეთები არიან მაინც...

ა.ბ. – არიან ასეთები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რუსეთის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი დაიშლება და ჩამოყალიბდება რუსული ეროვნული სახელმწიფო, ისე როგორც, ვთქვათ, ქართული ეროვნული სახელმწიფო, უკრაინული ეროვნული სახელმწიფო და ა.შ. არის ასეთი ჯგუფი, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ძალიან მცირერიცხოვანი; მათ შორის ყველაზე აქტიურია ისტორიკოსი იური აფანასიევი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს აზრი თანდათანობით განვითარდება და ჯგუფი იმ ადამიანებისა, რომლებიც ასე ფიქრობენ, შეიძლება უფრო

მრავალრიცხოვანი გახდეს. ჯერჯერობით ეს არავითარ რეალურ ძალას არ წარმოადგენს...

ზ.მ. - «მამულის» ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ წერილში თქვენ ბრძანებთ, რომ ერთადერთი გამოსავალი ამ ეტაპზე არის ყველა რესპუბლიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაერთიანება, ერთიანი ცენტრის შექმნა, რომელიც დაუპირისპირდება იმპერიულ მოძრაობას. და თუკი ერთადერთი რეალური ძალა არმიაა, რომელიც სსრკ-ს ჯერ კიდევ ინარჩუნებს, ასეთ შემთხვევაში, თქვენი აზრით, რა ფორმით შეიძლება დაუპირისპირდეს მას ეს ერთიანი მოძრაობა, თუკი ასეთი რამ იარსებებს?

ა.ბ. – როდესაც ლაპარაკია ერთიან ცენტრზე, მე, რა თქმა უნდა, უპირველესად ვგულისხმობ იმას, რომ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხმა იცოდეს: ვინ, როდის, რას აკეთებს, რომ მოქმედება იყოს კოორდინირებული და დარტყმა, რომელიც იქნება მიმართული მეტროპოლიის წინააღმდეგ, ცენტრის წინააღმდეგ, იყოს ერთდროული, რათა მას იოლად არ შეეძლოს ცალცალკე ჩაახშოს ისინი. ძირითადად მე ამას ვგულისხმობდი, რადგან არმიასთან დაპირისპირება ამ შემთხვევაში მაინც რთული იქნება. გავითვალისწინოთ, რომ არსებითად არცერთ იმ ხალხს, რომელიც ამჟამად თავისუფლებისათვის იბრძვის, არ ჰყავს არმია.

აი, ახლა ჩვენთან ყალიბდება ეროვნული გვარდია, მაგრამ ამას გარკვეული დრო, წვრთნა, სათანადო შეიარაღება სჭირდება და ბუნებრივია ეს უცბად ვერ მოხერხდება. თავისთავად უაღრესად საჭიროა ეროვნული გვარდიის შექმნა, მაგრამ, როგორც მცირერიცხოვანი, ის გადამწყვეტ როლს ვერ შეასრულებს. მაგრამ საქართველო თუ შექმნის თავის ეროვნულ არმიას და ასევე უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და ა.შ. ეს უკვე რეალური ძალა გახდება. მით უფრო, რომ თვითონ რუსეთშიც, გარკვეული ნაწილი მოითხოვს, რომ რუსეთის ეროვნული არმიაც არსებობდეს. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ერთიანი საბჭოთა არმია შესაძლებელია დაიშალოს, მაგრამ არა უცბად. თავად გენერალიტეტი, ოფიცრობა ფიქრობს, რომ არმია უნდა იყოს ერთიანი. გორბაჩოვის წინააღმდეგ შეტევა არმიამ სწორედ ამ კუთხით მიმართა, რომ გორბაჩოვს სურს არმიის დაშლა, რაც ბუნებრივია, სსრკ-ს დაშლასაც გამოიწვევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამჟამად სწორედ არმია იცავს ყველაზე აშკარად საბჭოთა კავშირს. ეს გამოვლინდა კონკრეტულად იმ ამბებში, რომელიც 9 აპრილს მოხდა, შემდეგ ბაქოში იანვარში და ახლა ლიტვასა და ლატვიაში. თეორიულ გამოსვლებშიც, საუბრებშიც ოფიცრობა ცდილობს განამტკიცოს აზრი, რომ სწორედ არმიაა ქვეყნის ბატონ-პატრონი. აქედან გამომდინარე, ეროვნული არმიის იდეა უნდა აიტაცოს თავად ხალხმა და ამას უნდა შეხედოს ძალზე სერიოზულად. ყველა რესპუბლიკამ, ვისაც სურს დამოუკიდებლობა, ჩემი აზრით, ეს უნდა გააკეთოს. დღეს სამწუხაროდ, ყველას ცალ-ცალკე უსწორებენ ანგარიშს. იგივე ბალტიისპირეთში მოახერხეს ისიც კი, რომ ლიტვაში ჩაიდინეს ბოროტმოქმედება და მცირე შუალედის შემდეგ, იგივე განმეორდა ლატვიაში. ისიც კი ვერ მოხერხდა, რომ ლიტვას და ლატვიას ერთდროულად ემოქმედა.

მე მიმაჩნია, რომ ეს სერიოზული სისუსტეა ეროვნული მოძრაობისა ყველგან. ამიტომ ვფიქრობ, რომ რაღაც ცენტრი, რომელიც შეძლებს კოორდინირებას, მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

ზ.მ.– უახლოეს მომავალში საქართველოსათვის ორი რეალური საფრთხე გამოიკვეთა, ეს არის საბჭოთა კავშირის რეფერენდუმი და სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელსაც ყველანაირად შეეცდებიან რომ დაგვაძალონ. ამ ორ საკითხზე გვაინტერესებდა თქვენი აზრი...

ა.ბ. – რაც შეეხება რეფერენდუმს, მე მგონი რეფერენდუმი საქართველოში არ უნდა ჩატარდეს და ამას ყველა იზიარებს, რამდენადაც მე ვიცი და არაფერს განსაკუთრებულს ამ შემთხვევაში არ ვამბობ. რეფერენდუმის ჩატარება არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ყოველგვარი რეფერენდუმის და ყოველგვარი არჩევნების ფალსიფიცირებაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაშიც შეეცდებიან გააყალბონ ყველაფერი და მიიღონ ის შედეგი, რომელიც მათ სურთ. ჩვენმა ხალხმა თავისი რეფერენდუმი უკვე ჩაატარა როდესაც 28 ოქტომბრის არჩევნებში მან ეროვნულ მოძრაობას დაუჭირა მხარი. აქედან პასუხი უკვე გაცემულია ამ კითხვაზე. რაც შეეხება ახალ სამოკავშირო ხელშეკრულებას, საქმე აქ უფრო რთულად იქნება ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ალბათ სხვადასხვა მზაკვრულ ხერხსა და საშუალებას მიმართავენ, რათა როგორმე აიძულონ რესპუბლიკები ხელი მოაწერონ ამ ხელშეკრულებას. ისინი შეეცდებიან ქვეყნის შიგნით არივდარიონ საქმე, ერთმანეთს დაუპირისპირონ სხვადასხვა ხალხები და აქედან გამომდინარე, იძულებული გახადონ ქართველობა, წავიდეს ამ დათმობაზე. ისე, როგორც ეს გააკეთეს მოლდავეთში, როცა ორი ახლად შექმნილი ავტონომიური რესპუბლიკა დაუპირისპირდა თავად მოლდაველ ხალხს.

შეიძლება მიმართონ ეკონომიკურ ბლოკადას. ამას დაერთვება სხვა გასაჭირიც, რომელიც ბუნებრივად წარმოიქმნება, რადგან ახალი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების დროს წინანდელი განაწილების მეთოდი აღარ არსებობს, ხოლო ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობა ჯერ დამკვიდრებული არ არის. ყველაფერ ამის გამოყენება შეუძლია კრემლს და თავის სასარგებლოდ წარმართვა, როდესაც რეალურად დადგება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხი.

ზ.მ. – ვთქვათ, გვაიძულეს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო?

ა.ბ. – მაშინ ჩვენი თავისუფლება საკმაოდ მოზრდილი დროით გადაიწევს. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, ბუნებრივია, არ დაიდება მცირე ხნით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვითარება ჩვენს საწინააღმდეგოდ შეიცვლება, გაჭიანურდება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესი. ამიტომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიდოს და მთელმა ხალხმა ეს მკაფიოდ უნდა გააცნობიეროს. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას სჭირდება ერის მხარდაჭერა. თუ ხალხი გააცნობიერებს იმ გასაჭირს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ამგვარ ბრძოლას, მაშინ ის უფრო აქტიურად შეძლებს წინააღმდეგობის გაწევას, რადგან ის ეკონომიკური სიდუხჭირე, რომელიც ქვეყანაში მკვიდრდება დღეისდღეობით, ხალხის გადასატანია.

ზ.მ.– ამდენი პრობლემა რომ მოგვარდეს, საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვთან ბრძოლა რომ შეძლოს, ალბათ, აუცილებელია შინ იყოს ყველაფერი რიგზე. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. არსებობენ ძალები, რომელთაგან ზოგი შეგნებულად, ზოგი შეუგნებლად ხელს უშლიან ამ მოძრაობას.

ა.ბ. – აქ ერთი გარემოება არის გასათვალისწინებელი. ერთია, როცა არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, არსებობს პაექრობა, რასაც აუცილებელია მხარი დავუჭიროთ, თუ გვინდა დემოკრატიული პრინციპით ვიარსებოთ. არ უნდა ჩავთვალოთ, რომ სხვადასხვა აზრი, თუნდაც უკიდურესად დაპირისპირებული, არის მტრობა. ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ კამათი, დავა მოყვარული პოზიციიდან და საგანგებოდ ინსპირირებული მტრობა. ამიტომ ჩვენში არსებული აზრთა სხვადასხვაობა, პოზიციათა განსხვავებულობა მე სახიფათოდ არ მიმაჩნია. მით უმეტეს ჩვენ ვერ დავიკვეხნით პაექრობის, კამათის დიდი კულტურით. სამწუხაროდ, ეს ჩვენი ისტორიული ბედის შედეგია. არსებითად, დიდი ხნის მანძილზე, არ ვიცით რა არის

დემოკრატია, როგორ შეიძლება ორი პოლიტიკური მოწინააღმდეგე პიროვნულ ცხოვრებაში მეგობრებიც კი იყვნენ. ამას თანდათანობით უნდა შეჩვევა. ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი აზრის განვითარებას, აზრთა სხვადასხვაობას...

ზ.მ. – მაგრამ თუ ამ აზრთა სხვადასხვაობას მოქმედება მოჰყვება?

ა.ბ. – გააჩნია რა მოქმედება, რა იგულისხმება ამაში?

ზ.მ. – მე ვგულისხმობ დაპირისპირებას.

ა.ბ. – თუ დაპირისპირება გამოიხატება აზრით, მაშინ ეს, ჩემი აზრით, საშიშროებას არ წარმოადგენს. მაგრამ თუ ერთმანეთს ომი გამოვუცხადეთ, ბუნებრივია, ეს საშინელებაა, რადგან მას სისხლისღვრა შეიძლება მოჰყვეს. არსებითად ის, რაც ეხლა შიდა ქართლში ხდება, უკვე არის სამოქალაქო ომი. მართალია მცირე მასშტაბის, მაგრამ სამოქალაქო ომი. ამის გამო უნდა ვეცადოთ ამ პრობლემის მოგვარება და როგორმე ამ ცეცხლის ჩაქრობა, საჭიროა ამისაგან თავდახსნა...

ზ.მ. – თავდახსნაში არ იგულისხმება ალბათ დათმობა...

ა.ბ. – არა, რა თქმა უნდა. რაშია საქმე იცით? ყველაფერს აქვს თავისი შინაარსი და სიტყვა დათმობასაც. დათმობა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მოწინააღმდეგე მხარე გაიგებს რაშია საქმე და ისიც დაინახავს, რომ ეს მისთვის უბედურებაა. ისე, რაც ეხლა შიდა ქართლში ხდება, ოსებისათვის ბევრად უფრო დიდი უბედურებაა, ვიდრე ქართველებისათვის, რადგან ისინი არსებითად კარგავენ იმას, რაც მათ საქართველომ არა მარტო ახლა შესთავაზა, არამედ მასაც, რასაც საქართველო მათ ისტორიულად აძლევდა. თუ ისინი გაითვალისწინებენ იმას, რომ მათ თავიანთი ეროვნული «მე» ჩრდილოეთ ოსეთში დაკარგული აქვთ და ცნობიერებითაც, მდგომარეობითაც გარუსებულები არიან. თუ ოსებს სურთ გადარჩენა, ერთადერთი ქვეყანა, სადაც ისინი გადარჩებიან, არის საქართველო. თუ ამას ისინი გაიგებენ, მაშინ ჩვენს შორის შეიძლება მოხდეს მოლაპარაკება, გარკვეული შეთანხმება, კომპრომისიც, რადგან ჩვენ მივხვდებით, რომ საქმე გვაქვს შეგნებულ ნაწილთან და მას სურს თავისი ინტერესების დაცვა, ესმით ჩვენი ინტერესებიც. მე, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ იმას, რაც უკვე შესთავაზეს. ეს არის კულტურული ავტონომია, რადგან ამ კულტურულ ავტონომიაში შენარჩუნებულია ოსური ენის ღირსება, ოსური სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, წიგნი, გაზეთი და ა.შ., ე.ი. ყველაფერი ის, რაც ერის ეროვნულ სახეს ინარჩუნებს. შენარჩუნებული იქნება მათი ეროვნული «მე». რადგან პოლიტიკური ამბიციები კი არ ქმნის ერის ეროვნულ სახეს, არამედ ის შინაარსი, რითაც ერი არის ერი. ვთქვათ, მისი კულტურა, სახე, ენა, ზნე-ჩვეულება, ტრადიცია, სიმღერა, ცეკვა და ა.შ. არავინ აპირებს ამის ხელყოფას, ამის სრული გარანტიები აქვთ მათ ისტორიულად. გავიხსენოთ, რომ სწორედ ერეკლე მეორის დროს ოსებთან საგანგებოდ გაიგზავნა კაცი, რომელსაც ევალებოდა ოსური ანბანის და ოსური წიგნის შექმნა... და თუ ჩვენ ფეოდალიზმის ეპოქაში გვქონდა ამგვარი ცნობიერება, ბუნებრივია დღეს გაცილებით მაღალი ცნობიერება უნდა გვქონდეს. ასე რომ, ჩვენი მხრიდან ოსებს არავითარი საფრთხე არ ელოდებათ, მაშინ, როცა ეს საფრთხე რეალურია და არსებობს დღეს ოსეთში. აქედან გამომდინარე მათ გაცილებით მეტი უბედურება ელით, ვიდრე ჩვენ. თავი რომ დავანებოთ ყველაფერს, გარდა იმისა, რომ ადამიანები იხოცებიან, უამრავი ლტოლვილია როგორც ქართველი, ისე ოსი და ყველაფერი ეს არის სწორედ მოშლა არსებობისა ამ ტერიტორიაზე, რაც ორივე ხალხისათვის უდიდესი ტრაგედიაა. ამიტომ ვამბობ, რომ არის საშუალება კეთილის გაცნობიერების შემთხვევაში, მოიძებნოს საფუძველი იმ შეთანხმებისათვის, რომელიც როგორც ერთი, ისე მეორე მხრისათვის მისაღები იქნება და ჩვენი ეროვნული ინტერესიც არ იქნება დაკნინებული, მით უფრო,

რომ ყველამ კარგად იცის, მათ შორის ოსებმა ყველაზე უკეთ, რომ ისინი არსებითად სხვის სახლში ცხოვრობენ.

ახლა, რაც შეეხება იმ ძალებს, რომელთა დაპირისპირების შემთხვევაში, შეიძლება გარკვეული საფრთხე შეიქმნეს. ჩვენს დღევანდელ შინაურ ვითარებას მე ასე ვუყურებ. საქართველოში ამჟამად სამი პოლიტიკური ძალა არსებობს. ერთი არის უზენაესი საბჭო _ მასში შემავალი პარტიებით, მეორე _ ეროვნული კონგრესი, აგერთვე მასში შემავალი პარტიებით (რაღა თქმა უნდა, პლუს მხედრიონი), ხოლო მესამე _ კომუნისტური პარტია.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტია საქართველოში დამარცხდა და, არსებითად, პოლიტიკური ასპარეზიდან თითქოს წავიდა, ჯერჯერობით მაინც სერიოზულ ძალას წარმოადგენს, სწორედ იმის გამო, რომ, მიუხედავად დამოუკიდებელ კომუნისტურ პარტიად თავის გამოცხადებისა, ის მაინც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან არის დაკავშირებული. და რომ ეს ასეა, ამაზე მეტყველებს მოსკოვის მიერ საქართველოს კომპარტიის ანგარიშზე გადმორიცხული თანხა. დამოუკიდებელი კომპარტია არ შეიძლება სხვისგან იღებდეს დახმარებას. რაკი მოსკოვი საქართველოს კომპარტიას ეხმარება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მას დამოუკიდებლად არ თვლის. საჭიროა ორმხრივი თანხმობა ყოველგვარი გაყრისათვის. საქართველოს კომპარტია დამოუკიდებელი მაშინ იქნება, თუ ამას მოსკოვიც აღიარებს. მანამდე კი ის ნაწილია საბჭოთა კავშირის კომპარტიისა.

რაკი საქართველოს კომპარტია ნაწილია სსრკ კომპარტიისა, მიუხედავად საქართველოში კომუნისტების დამარცხებისა, ის მაინც დიდი ძალაა და ხვალ მოსკოვის მხარდაჭერით შესაძლოა მოვლენების განვითარებაში ძალზე არასასურველი როლი ითამაშოს. რა თქმა უნდა, ამ სიტყვებით მე არ მინდა რომელიმე ქართველ კომუნისტს წყენა ან შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ეს არის რეალური სურათი და მას გათვალისწინება სჭირდება თვითონ მათგან, რომ მომავალშიც უარესი როლი არ შეასრულონ. ამიტომ მე მაინც მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოს კომპარტია მაინც სერიოზული ძალაა და მას ანგარიშის გაწევა სჭირდება, ხოლო მის პოლიტიკას – გათვალისწინება.

მეორე ასეთი ძალა, რომელსაც ოფიციალურად ხელისუფლება არა აქვს, მაგრამ პოლიტიკური ძალაა, გახლავთ ეროვნული კონგრესი. თავის დროზე, ალბათ, გახსოვთ, მე ვწერდი _ ორი მმართველობის ინსტიტუტი ერთმანეთს დაუპირისპირდება-მეთქი. ამიტომ იყო, რომ არ მიმაჩნდა მიზანშეწონილად საქართველოში კონგრესის არჩევა. მიუხედავად იმ დაპირებებისა, რომელსაც კონგრესი იძლეოდა, რომ არავითარი დაპირისპირება არ მოხდება, რომ კონგრესს თავისი ფუნქცია ექნებაო და ა.შ. დაპირისპირება სამწუხაროდ მოხდა და ეს რეალური ფაქტია. კონგრესში რეალური ადამიანებია გაერთიანებული, რომელთაც თავიანთი სრულიად მკაფიო პოზიცია აქვთ და ამიტომ ის რეალური პოლიტიკური ძალაა.

და, რა თქმა უნდა, არა თუ პოლიტიკურ, არამედ მმართველ ძალას წარმოადგენენ ის პარტიები, რომლებიც უზენაეს საბჭოში შედიან.

აი, ამ სამ პოლიტიკურ ძალას შორის, იმისათვის, რომ საქართველომ მიაღწიოს აღთქმულ ქვეყანას, გახდეს დამოუკიდებელი, უსათუოდ უნდა მოხდეს შეთანხმება. მე ილუზიურად არ ვუყურებ ვითარებას, არ ვამბობ, რომ მათ შორის უნდა მოხდეს შერიგება, უნდა გადაეხვიონ ერთმანეთს და ძმობა შეჰფიცონ, ალბათ ეს არ მოხდება, მაგრამ მორიგების საფუძველი კი უნდა გამოინახოს. სხვანაირად სერიოზული საფრთხეა მოსალოდნელი. ღმერთმა ნუ ქნას, ეს ძალები იმდენად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ მათ შორის მოხდეს შეიარაღებული შეტაკება. შეთანხმების გარეშე კი

დაპირისპირება არ მარტო სიტყვიერი იქნება, არამედ სწორედ შეიარაღებული. მაშინ უკვე სერიოზული კატასტროფა დაგვემუქრება.

სიტყვიერი პაექრობა, კამათი, სჯა-ბაასი, თუნდაც ძალიან მკაცრი, საფრთხის შემცველად არ მეჩვენება. ხალხი თვითონ გაარჩევს მტყუან-მართალს. და თუ მიზანი ერთია, კიდევ ვიმეორებ, უსათუოდ უნდა მოხდეს შეთანხმება.

ზ.მ. – შეიარაღებული ფორმირებების შესახებ რას იტყოდით?

ა.ბ. – ახლა, რაკი იქმნება ეროვნული გვარდია, ისევ და ისევ შეთანხმების საფუძველზე, ისინი ეროვნულ გვარდიაში უნდა გაერთიანდნენ, უნდა შეიქმნას საერთო სამხედრო ხელმძღვანელობა, რადგან ვფიქრობ, და მე უბრალოდ ჩემი კეთილი სურვილი არ მალაპარაკებს, მათ შორისაც მოიძებნება შერიგების საფუძველი, რომელიც ბოლოსდაბოლოს, ეროვნულ გვარდიაში გამოიხატება.

ზ.მ. – ბატონო აკაკი, ახლა თქვენ საუბრობდით პოლიტიკურ ძალებზე, მაგრამ არის სხვა ძალაც, რომელიც არანაკლებ გასათვალისწინებელია, რადგან მას გაცილებით ცუდი როლის თამაში შეუძლია საერთო საქმეში. მხედველობაში მაქვს ეკონომიკური მაფია.

ა.ბ. – ამის შესახებ არაერთხელ დამიწერია. ეკონომიკურ მაფიას საქართველოში მე სრულიად შეგნებულად ვუწოდებ კლეპტოკრატიას, რადგან მაფია არ არის ის ძალა, რაც კლეპტოკრატია. მაფია არის ქვეყანაში როგორც სერიოზული საფრთხე, მაგრამ ის არის მაინც მცირე ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც ქვეყანას არ მართავს. ეს არის დამნაშავეთა ორგანიზაცია, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ქვეყნის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ არცერთ ქვეყანაში მმართველობით ძალას არ წარმოადგენს. ასეა იტალიაში, კლასიკური მაფიის ქვეყანაში. მოგეხსენებათ, მაფია იტალიაში დაიბადა, ასეა აშშ-ში და სხვაგან. საბჭოთა კავშირში კი კლეპტოკრატია არის ქვეყნის მმართველი. სსრკ-ს არც კომპარტია მართავს, არც სამხედროები, არც რომელიმე სხვა ძალა. საბჭოთა კავშირს მართავს კლეპტოკრატია, რადგან ის ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ კომპარტიას ან არმიას ან სხვა ძალას, კლეპტოკრატიისაგან არიან დასმულნი შესაბამის პოსტებზე, მის მიერ ნაყიდი კორუმპირებული პირები არიან. კლეპტოკრატია ნიშნავს მათ თანამდებობებზე და აძლევს იმ უფლებებს, რომლებიც ხელთ აქვთ. როდესაც, ქვეყანაში შეიძლება მთავრობის უკითხავად გაიყიდოს ტანკები, თვითმფრინავები და ა.შ. ეს იმას მოწმობს, რომ მთავრობა კი არ მართავს ქვეყანას, არამედ _ სწორედ კლეპტოკრატია, რომ არსებობს უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე თვითონ კომპარტია ან გენერალიტეტი. სსრკ-ში რომ ეკონომიკური მაფია იყოს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მაშინ ის იქნებოდა ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა, სადაც ვიღაც რაღაც დანაშაულს ჩაიდენდა, მაგრამ მის წინსვლას ამით საფრთხე არ შეექმნებოდა. სსრკ-ში კი არსებობს ეკონომიკური ძალა, რომელიც არა მარტო ფლობს რეალურად ძალაუფლებას, არამედ ცდილობს მუდმივ სიდუხჭირეში ამყოფოს ხალხი, რადგან ხალხი, რომელიც მუდამ ლუკმა პურზე ფიქრობს, იოლად სამართავია. საქართველოშიც ჯერჯერობით ასეა და მთელი ძალა, მთელი უნარი, მთელი ნიჭიერება სწორედ იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ ამას მოეკვეთოს ფეხები და ახალი საქართველო მყარ ეკონომიკურ საფუძველზე აშენდეს.

ზ.მ. – მაგრამ ამის გაკეთება ადმინისტრაციული ღონისძიებებით შეუძლებელია...

ა.ბ. – რა თქმა უნდა. კლეპტოკრატიასთან დაპირისპირება მხოლოდ ეკონომიკური ხერხებით შეიძლება.

იმ ძალთა განლაგებაში, რომლებზეც ჩვენ ვისაუბრეთ, კლეპტოკრატია კომპარტიის მოკავშირეა, არა მარტო იმიტომ, რომ კლეპტოკრატიის დიდი ნაწილი კომპარტიის წევრია, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ კლეპტოკრატია თავის დროზე კომუნისტურმა

რეჟიმმა დაბადა. ბუნებრივია, კლეპტოკრატია კვლავ ცდილობს იმ პარტიის მოვლა-პატრონობას, გადარჩენას და გაბატონებას, რომლის პირმშოსაც თვითონ წარმოადგენს, რადგან კომუნიზმის აღორძინების შემთხვევაში მას არ დაემუქრება ის საფრთხე, რომელიც ამჟამად ეროვნული ხელისუფლების მმართველობის დროს ემუქრება. ამიტომაც უნდა მივაპყროთ, ჩემი აზრით, ყურადღება დღეს კომპარტიას. ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავუშვებ პირადად იმას, რომ კომპარტია არ შეეცდება დაიბრუნოს ძალაუფლება და ისევ გახდეს საქართველოს ბატონ-პატრონი. თუნდაც დავუშვათ, ამას არ ფიქრობს კონკრეტულად კომპარტიის ხელმძღვანელობა, ამას ფიქრობს სსრკ-ს კომპარტია და ის ქართველი კომუნისტები, რომლებიც საქართველოს გარეთ ცხოვრობენ და მუშაობენ. ისინი შეეცდებიან შეაჩერონ ის პროცესი, საქართველოში რომ მიმდინარეობს. როგორი დაძაბული და მძაფრი ურთიერთობაც არ უნდა არსებობდეს უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს შორის, მაინც მოიძებნება საერთო ნიადაგი, რომელზეც შეიძლება მოხდეს მათი შერიგება, მაშინ როდესაც კომპარტიასთან ასეთი შერიგება შეუძლებელია.

გამომრჩა და უნდა დავამატო. სახიფათოა ისიც, რომკომპარტია ავტონომიურ რესპუბლიკებში ისევ მმართველი პარტიაა. როგორც აფხაზეთში, ისე აჭარაში არსებობს პარტიის საოლქო კომიტეტები, არსებობს პარტიული სტრუქტურები. სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი ეროვნული კონგრესის ყურადღებაც. საქართველოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას ემუქრება კომპარტია და არა სხვა, ეროვნული ძალები.

ზ.მ. – ბატონო აკაკი, აი, ჩვენ ვისაუბრეთ მოსკოვზე, საქართველოში არსებულ ძალებზე, კლეპტოკრატიისა და კომუნისტური პარტიის საფრთხეზე. გამოდის, რომ ჩვენი უზენაესი საბჭო, ეროვნული უზენაესი საბჭო, ძალზე უთანასწორო ბრძოლაშია ჩაბმული.

ა.ბ. – ცხადია. მართალია, ეროვნულმა მოძრაობამ გარკვეულ გამარჯვებას მიაღწია, ქართველმა ხალხმა ეროვნულ მოძრაობას დაუჭირა მხარი, აირჩია ეროვნული უზენაესი საბჭო, მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა. ის კიდევ უფრო რთულ ფაზაში შედის. საჭიროა იმის შენარჩუნებაც, რაც მოვიპოვეთ და საბოლოო გამარჯვების მიღწევაც.

ზ.მ. – და, აქედან გამომდინარე, ალბათ, უფრო აქტიური მხარდაჭერაც ყველას მხრივ, თუნდაც, იგივე უზენაესი საბჭოსი?

ა.ბ. – რა არის იცით? გააჩნია, რას ვგულისხმობთ აქტიურ დახმარებაში. ჩემი აზრით, დღეს კიდევ ერთი სახიფათო მოვლენა არსებობს, რომელიც აგრეთვე, მხედველობაშია მისაღები. ეს არის ყველას გაპოლიტიკება. პოლიტიკოსი უნდა იყოს ის, ვისაც ამის ნიჭი აქვს და არა ის, ვისაც სურვილი აქვს. ამიტომ, მე მიმაჩნია, რომ თუ აქტიურობს მწერალი მწერლობაში, ქმნის კარგ წიგნს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი აქტიურობაა და მნიშვნელოვანი დახმარება ეროვნული მოძრაობის. ასევე _ ინჟინერი, ექიმი და სხვა, თუ კეთილსინდისიერად შეასრულებს თავის მოვალეობას, ამით თავის წვლილს შეიტანს ქვეყნის სასიკეთო საქმეში, რადგან მოგვარდება ბევრი საჭირბოროტო საკითხი. პოლიტიკაში კი უნდა აქტიურობდნენ ისინი, ვინც ბუნებამ ამ ნიჭით დააჯილდოვა და არა შემთხვევითი ადამიანები, რომლებსაც პირადი მიზნები აქვთ პოლიტიკაში. აი, ასეთია ჩემი წარმოდგენა აქტიურობაზე. მთელმა ხალხმა, გლეხობამ, მუშებმა, ინტელიგენციამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ სწორედ ამ გზით შეგვიძლია ეროვნული მოძრაობის მხარდაჭერა. და, ბუნებრივია, იმ საკითხების განხილვაშიც უნდა მივიღოთ მონაწილეობა, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. პირუთვნელად ვთქვათ ჩვენი აზრი და ამ გზითაც გავუწიოთ უზენაეს საბჭოს შემწეობა. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, აქტიურობა იმ ადამიანებისა, რომელთაც პოლტიკის არაფერი

გაეგებათ, უზარმაზარი ხიფათის შემცველია, რადგან როდესაც არ იცი, რას აკეთებ და ისე ისვრი ქვებს აქეთ-იქით, შეიძლება ეს მოქნეული ქვა სწორედ იმას მოხვდეს შუბლში, ვის დასაცავადაც ქვა მოვიქნიეთ. ისე კი სხვა მხრივ აქტიურობის მომხრე ვარ.

რადიოჟურნალი «დროება»,
1990 წ.

დღეს შექმნილ ვითარებაში არსებობს ხსნის ერთადერთი გზა

კითხვა: ბატონო აკაკი, საქართველოში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ფსიქოზური განწყობილება სამოქალაქო ომის დაწყების შესაძლებლობის შესახებ ყოველდღიურად იზრდება. ხშირად გაიგონებთ საუბარს ძმათა შორის სისხლის ღვრის მოახლოების შესახებ.

არის თუ არა ეს იმპერიის მიერ ხელოვნურად მოწყობილი რიგითი შანტაჟი და ჩანს გამოსავალი ამ მძიმე მდგომარეობიდან?

პასუხი: რა მოხდება და როგორ განვითარდება დღევანდელი სიტუაცია დამოკიდებულია იმაზე _ მომავალში რა ვითარება შეიქმნება მსოფლიოში, სსრკ-ში და საქართველოში. ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და, ამდენად, ერთმანეთს განაპირობებს.

როცა მსოფლიოში შექმნილ ვითარებაზე ვლაპარაკობთ, ცხადია, იგულისხმება უპირველესად ერაყ-კუვეიტის კონფლიქტი. თუ იგი მშვიდობიანად, პოლიტიკური გზით მოგვარდება, ეს დიდად სასიხარულო ფაქტი იქნება. თუ ეს ვერ მოხერხდება და აუცილებელი გახდება ომი, მაშინ ეს დღევანდელ მდგომარეობას სსრკ-ში ძირფესვიანად შეცვლის. სსრკ ამ ომში აუცილებლად ჩაებმება. არც საგარეო და არც საშინაო თვალსაზრისით, სხვა გზა მას არა აქვს. იგი ნეიტრალური ვერ დარჩება, თუნდაც იმიტომ, რომ რეგიონი, სადაც ომის ხანძარი აენთება, მდიდარია ნავთობით. ომის შედეგად მოხდება ნავთობიანი ტერიტორიის გადანაწილება. სსრკ, როგორც ზესახელმწიფო, ამ გადანაწილებას გულგრილად ვერ შეხვდება. მას უნდა ერგოს ნავთობის გარკვეული წილი. ეს კი მაშინ მოხდება, თუ იგი ომში მიიღებს მონაწილეობას.

ომის შემთხვევაში ამიერკავკასია მთლიანად, და კერძოდ საქართველო, ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდება. დღეს უკვე გარკვეულია, რომ თუ ომი გაჩაღდება, თურქეთი ანტიერაყულ კოალიციაში იქნება, ხოლო ირანი _ პროერაყულ კავშირში. საბჭოთა არმია თურქეთშიაც უნდა შევიდეს, როგორც მოკავშირე და ირანშიაც, როგორც დამპყრობელი. მაშასადამე, ომი, ტერიტორიულად, უშუალოდ ეკვრის ამიერკავკასიას და აქაც შესაბამისი ვითარება შეიქმნება, ანუ დამყარდება სამხედრო წეს-წყობილება. ეს მოსპობს იმ მოჩვენებით «დემოკრატიულ თავისუფლებას», რაც დღეს არსებობს. აიკრძალება მიტინგები, დემონსტრაციები, მანიფესტაციები, მით უმეტეს, გაფიცვები და ამგვარი საპროტესტო ქმედებანი. ომის დაწყებისთანავე დააპატიმრებენ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებს. ცხადია, ეს გარკვეული დროით შეაფერხებს ეროვნულ მოძრაობას და მას დიდ გასაჭირში ჩააგდებს.

მოსალოდნელია მეორე ვარიანტიც. ერაყ-კუვეიტის გამო დაწყებული ომი გადაიზარდოს რელიგიურ ომში. ქრისტიანობა და მაჰმადიანობა დაეჯახოს ერთმანეთს.

სადამ-ჰუსეინი უკვე მოუწოდებს ჯიჰადისაკენ (საღმრთო ომისაკენ). განმეორდეს ჯვაროსნული საგრობა. დაბრუნდეს შუა საუკუნეები, მაგრამ არა ფარ-შუბითა და ხმლებით, არამედ თერმობირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღით.

სსრკ სანახევროდ მაჰმადიანური სახელმწიფოა (აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასია, ვოლგისპირეთი, შუა აზია). ჯიჰადის დროს როგორ მოიქცევიან სსრკ-ელი მუსლიმანები? რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველება მეტად ძნელია. მაგრამ. თუ სსრკ-ელმა მაჰმადიანებმა თავიანთ სარწმუნოებრივ ძმებს დაუჭირეს მხარი, მაშინ სსრკ-ში მოხდება გაუგონარი სისასტიკის სამოქალაქო ომი, რასაც მთელი ერების განადგურება შეიძლება მოჰყვეს. რელიგიურ სამოქალაქო ომში, როცა ქრისტიანობა და მაჰმადიანობა დაუპირისპირდება ერთმანეთს, გვინდა თუ არა გვინდა, საქართველო-სომხეთი რუსეთის მხარეს აღმოჩნდება. რა უბედურებას დაატრიალებს ეს კავკასიაში, ამის წარმოდგენა ადვილია.

მაგრამ ეს საშინელებანი მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, თუ ერაყ-კუვეიტის კონფლიქტის მოსაგვარებლად ომი გახდა აუცილებელი. ამ კონფლიქტში საქართველოს არავითარი როლის შესრულება არ შეუძლია. აქ გიგანტები მონაწილეობენ და იმათ კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული რა ხვედრს განუმზადებენ კაცობრიობას. თუ უგუნურებამ სძლია გონიერებას და ომი დაიწყო, საქართველო კიდევ ერთხელ გახდება მსხვერპლი სხვათა, უფრო ძლიერთა და ღონიერთა, უჭკუობისა და ტვინგაწყალებულობის.

მაგრამ ღმერთი მოწყალეა და ვიფიქროთ, რომ ერაყ-კუვეიტის კონფლიქტი მშვიდობიანად მოწესრიგდება.

ახლა სსრკ-ში არსებულ ვითარებას მივხედოთ. ჯერ ის ჩამოვთვალოთ, რაც უკვე მოხდა:

პირველი, დაინგრა ე.წ. სოციალიზმის ბანაკი. აღმოსავლეთ ევროპამ თავი დააღწია კომუნიზმის ბატონობას.

მეორე, საბოლოოდ გაკოტრდა მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც თეორია და პრაქტიკა.

მესამე, სსრკ აღმოჩნდა ეკონომიკურად გაღატაკებული და გაძვალტყავებული.

მეოთხე, სსრკ-ში შემავალმა ერებმა გამოიღვიძეს და დაიწყო მძლავრი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა.

მეხუთე, თავად რუსეთში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ნათლად დაინახეს, რომ შეუძლებელია სსრკ-ის ერთიანობა-უნიტარულობის შენარჩუნება და მომხრენი არიან მისი დაშლისა. მათი მიზანია ეროვნული რუსული სახელმწიფოს შექმნა.

რაც ჩამოვთვალეთ, ის ფაქტია და მისი უარყოფა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მაინც არიან ადამიანები, რომელთაც არ სურთ მომხდარის დაჯერება და ებღაუჭებიან ძველს. ეს ქმნის ორ დაპირისპირებულ ბანაკს, რაც, ცხადია, სახიფათოა.

მოხდა ისიც, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა სსრკ-ის უზენაესი საბჭო და რსფსრ-ის უზენაესი საბჭო. რუსეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ (არაფერს ვამბობ ბალტიისპირეთსა და ამიერკავკასიაზე) სუვერენიტეტი გამოაცხადეს. საგანგებოდ მიუთითეს, რომ მათ ტერიტორიაზე უზენაესობა ენიჭება რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის კანონებს და არა სსრკ-ის კანონებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სსრკ-ის უზენაესმა საბჭომ იურიდიულად დაკარგა ფუნქცია. ამას დაემატა ისიც, რომ სსრკ-ის უზენაესმა საბჭომ საგანგებო უფლებები მიანიჭა სსრკ-ის პრეზიდენტს. ამით სსრკ-ის უზენაესმა საბჭომ, ნებით თუ უნებლიეთ, არსებითად მოახდინა თვითლიკვიდაცია, რაკი პრეზიდენტს დიქტატორის ძალაუფლება მისცა. რაღა საჭიროა უზენაესი საბჭო, თუკი პრეზიდენტი იმას გააკეთებს, რასაც მოისურვებს? მაგრამ უფლება და ფუნქციადაკარგული უზენაესი საბჭო სსრკ-სა მაინც არსებობს.

ამრიგად, ერთ მხარეს არის დიქტატორის ძალაუფლებამინიჭებული პრეზიდენტი და უფუნქციო და უუფლებო სსრკ-ის უზენაესი საბჭო და მეორე მხარეს _ მოკავშირე რესპუბლიკები (განსაკუთრებით რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია), რომელთაც უნდა დაიცვან თავიანთი უზენაესი საბჭოების დეკლარაციები.

როგორ გადაწყდება მათი ურთიერთობა?

ან დიქტატორმა-პრეზიდენტმა უნდა გაიმარჯვოს და გაუქმდეს მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების დეკლარაციები, რითაც სსრკ-ში დამყარდება ძველებური კომუნისტური დიქტატურა და 5-წლიანი ლაპარაკი დემოკრატიაზე აღმოჩნდება ცარიელი ლაყბობა, ან დიქტატორი-პრეზიდენტი უნდა გადადგეს თავის მთავრობა-ამალიანად.

დაპირისპირებულობის ვითარებაში ვერავითარი ეკონომიკური რეფორმა ვერ განხორციელდება. ეს კი სრული კატასტროფით ემუქრება მთელ სსრკ-ს. სსრკ-ში ძველი, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა მთლიანად მოშლილია. მისი აღდგენა ისევე შეუძლებელია, როგორც მკვდრის გაცოცხლება. ახალი კი, არც ცუდი და არც კარგი, ჯერ არ შექმნილა. ეკონომიკაში ქაოსია. ამას პირდაპირ მივყავართ შიმშილობისაკენ. თუ სსრკ-ის ხელისუფლებამ სასწრაფოდ ვერ მოაგვარა ეკონომიკური რეფორმის პრობლემა, სსრკ-ში უახლოეს ხანებში დაიწყება შიმშილობა (ამას აქტიურად ხელს უწყობს კლეპტოკრატია) და დამშეული ბრბოები მოედებიან მთელ ქვეყანას. ეს არანაკლები უბედურებაა, ვიდრე სამოქალაქო ომი.

როცა ოციანი წლების დასაწყისში რუსეთში შიმშილობა მძვინვარებდა და დედაწულიანად აყრილი ბრბოები კავკასიას მოაწყდნენ, მაშინ საქართველოს ნაციონალ-უკლონისტურმა ხელისუფლებამ ჩაკეტა ჩვენი ქვეყნის საზღვრები და ისინი არ შემოუშვა საქართველოში (სხვათა შორის, ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი სტალინისა და ბუდუ მდივნის მტრობის. სტალინი ამტკიცებდა, რომ ინტერნაციონალისტ ბ.მდივანს კარები კი არ უნდა ჩაერაზა, არამედ დამშეული ბრბოებისათვის დახმარების ხელი გაეწოდებინაო (იხ. «რკპ(ბ) მეთორმეტე ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში»), მაგრამ მაშინ შედარებით იოლი იყო საზღვრებზე ურდულის დადება, რადგან საქართველოს ჯერ კიდევ ჰყავდა საკუთარი წითელი არმია. დღეს ეს ურთულესი საქმე იქნება, რაკი საკუთარი ჯარი არ გვყავს. ამიტომაც საქართველოს საკუთარი არმიის შექმნა უპირველესი ამოცანაა ამჟამად. საკუთარი ჯარი აუცილებელია სამოქალაქო ომისაგან თავდასაცავად.

სსრკ-ში სამოქალაქო ომით იმუქრება, ერთი მხრით, სსრკ-ის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს კონფლიქტი რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის უზენაეს საბჭოსთან, მეორე მხრით, შოვინისტური პარტიები («პამიატი» და მისი მსგავსნი), მესამე მხრით, მოსალოდნელია შიმშილობა. ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ შიმშილობის დროს ხშირად თავად ხელისუფლება იწყებს სამოქალაქო ომს. ამით იგი დამშეულებსაც ჟუჟავს და ხალხსაც შიშით თრგუნავს. Если хижины воюют, во дворцах чувствуют себя хорошо, _ გვაფრთხილებს «კომსომოლსკაია პრავდა» (1990 წ., 13 ივნისი). მაგრამ ისეთ თვალუწვდენელ, უზარმაზარ ქვეყანაში, როგორიც სსრკ-ია, სამოქალაქო ომი საბედისწეროა არა მარტო იქ მოსახლე ხალხებისათვის, არამდე მთელი მსოფლიოსათვისაც. ამიტომ მსოფლიო ყველა საშუალებასა და ღონეს იხმარს, რომ სსრკ-ში სამოქალაქო ომი არ გაჩაღდეს. მაგრამ სხვის იმედად ყოფნა ვერაფერი ნუგეშია. ჩვენ თავად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვის მზად. მზადყოფნა კი ნიშნავს იმას, რომ

უნდა გვყავდეს საქართველოში ხელისუფლება, რომელსაც ენდობა ხალხი,

უნდა არსებობდეს საკუთარი არმია, რომელსაც შეეძლება ქვეყნის დაცვა,

უნდა გვქონდეს საქართველოს ეკონომიკური მოწყობის საკუთარი პროგრამა, რომლის განხორციელებით იქნება ერი დაკავებული.

თუ შევქმნით ამგვარ ვითარებას, მეტნაკლებად მოვახერხებთ არ მივიღოთ მონაწილეობა სსრკ-ში აგიზგიზებულ სამოქალაქო ომში.

კი, მაგრამ რა ვუყოთ თავად საქართველოში დღეს შექმნილ ვითარებას? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, ჯერ გავარკვიოთ, რამ გამოიწვია ის მდგომარეობა, რაც ამჟამად საქართველოშია. ეს ორი გარემოების შედეგია: პირველად კრემლის ხელისუფლებისა და სსრკ-ის სუკ-ის საქმიანობისა და, მეორედ, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოუცდელობის.

საიდუმლო პოლიცია რუსეთში ყოველთვის ჩინებულად მუშაობდა. რამდენიმე მაგალითს გაგახსენებთ.

დეგაევი ერთდროულად იყო «ნაროდნაია ვოლიას» წევრიც და საიდუმლო პოლიციის აგენტიც. «ნაროდნაია ვოლიას» წევრებს რომ ღრმად ერწმუნათ დეგაევის ერთგულება, «ოხრანკამ» მას პოლიციის გენერალი სუდეიკინი მოაკვლევინა პეტერბურგში. საიდუმლო პოლიციამ საკუთარი გენერალი გასწირა, რომ დეგაევს შეუფერხებლად ეჯაშუშა.

სახელგანთქმული აზეფი ხომ წლების მანძილზე იყო რევოლუციონერთა «ერთგულიც» და საიდუმლო პოლიციის მსახურიც. ვითარების შესაბამისად ხან რევოლუციონერებს ხოცავდა და ხან _ მეფის ადმინისტრაციის ჩინოვნიკებს.

მალინოვსკი ლენინის მარჯვენა ხელადაც ითვლებოდა და საიდუმლო პოლიციის გაწაფული ფისკალიც იყო. თუ სახელმწიფო სათათბიროში ლენინის დაწერილ სიტყვებს წარმოთქვამდა, საიდუმლო პოლიციაში ბოლშევიკებს ასმენდა გულმოდგინედ.

ასეთი მაგალითები რამდენიც გნებათ, იმდენი შეიძლება გავიხსენოთ.

მეფის საიდუმლო პოლიციის ტრადიციას უნდა მივუმატოთ სსრკ-ის სუკ-ის გამოცდილებაც და ნათლად დავინახავთ, რა ძლიერ და ცბიერ მტერთან აქვს საქმე ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

არც ქართული მწერლობის გაფრთხილება უნდა დავივიწყოთ: მუშნი ზარანდიასებრ ნიჭიერი პოლიციელები დღესაც მუშაობენ სუკ-ში. ამიტომ ეროვნულ მოძრაობას დიდი სიფრთხილე და წინდახედულება მართებს. ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ჯერ არც აპარატი ჰყავს და არც გამოცდილება აქვს იმისა, რომ სუკ-ის ეს მზაკვრული ხლართები ამოხსნას.

ყველა ქვეყანაში ყველა საიდუმლო პოლიციას საგანგებო განყოფილება აქვს, რომელიც ერის თვისება-ფსიქოლოგიას სწავლობს. ქართველების თვისება-ფსიქოლოგიაც აქვთ მოსკოვში შესწავლილი. ამიტომ, სუკ-ი საქართველოში იმ მოდელით არ მუშაობს, რა მოდელითაც _ სომხეთში, ხოლო სომხეთში იმ ინსტრუქციას არ იყენებს, რასაც _ აზერბაიჯანში. ყველას თავთავისი «პატრონი» ჰყავს.

ქართველი ყველაფერს გულს უკავშირებს. ნაკლებად _ გონებას. ამას ჩვენი ენაც ადასტურებს. ჩემთვის ცნობილ ენებში არსად არ ფიგურირებს გული იმდენჯერ, რამდენჯერაც ქართულში: გულმართალი, გულმავიწყი, გულმოკლული, გულქვა, გულფიცხი, გულღია, გულღრძო, გულმტკივნეული, გულღვარძლიანი, გული გაუტყდა, გული მოუკვდა, გული მოიფხანა და ასე დაუსრულებლად. ეს კი იმას მეტყველებს, რომ ჩვენ უაღრესად ემოციური ხალხი ვართ. ჩვენი გაღიზიანება, ანკესზე წამოგება იოლია. ამის გამო ადვილად შეიძლება ჩვენი გაბრაზებაც და დამშვიდებაც. სულ უბრალო საქმისათვის უცბად გავიმეტებთ ახლობელს, ხოლო მტერს ასევე მყისვე ვაპატიებთ დანაშაულს. შეუმოწმებლად შეგვიძლია დავიჯეროთ ყოველგვარი ტყუილი და ჭორი.

სიმართლე კი ახლოს არ გავიკაროთ, რაკი ჩვენს გულს არ მოხვედრია. ჩვენი ეს თვისება-ბუნება კარგად აქვთ შეცნობილი და მის შესაბამისად მოქმედებენ.

ჩვენმა ეროვნულმა ბუნება-თვისებამ გაუადვილა სსრკ-ის სუკ-ს განხეთქილება შეეტანა ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. შეექმნა სამოქალაქო ომის საფრთხე. რა ვქნათ? უცბად და მოულოდნელად ხომ ვერ გამოვიცვლით ბუნება-თვისებას. როგორიც გაგვაჩინა ღმერთმა, ალბათ ისეთივენი დავრჩებით. მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ ჩვენ ზუსტად გავაცნობიეროთ ჩვენი ეროვნული ხასიათის დადებითი და მანკიერი თვისებები. დადებითს ვუპატრონოთ, მოვუაროთ, განვავითაროთ და მანკიერი კი, რამდენადაც შეგვიძლია, მოვიცილოთ. თავისთავი არა მარტო პიროვნებამ უნდა აღზარდოს, არამედ _ ერმაც. ერნსტ ტოლერს (მისი პიესა «ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ _ ქართველთათვის კარგად ცნობილია) აქვს წიგნი _ «სიყმაწვილე გერმანიაში». ამ წიგნში იგი პოეტ რიხარდ დემელთან საუბარს გადმოგვცემს.

«ჩვენ, ბებრებს, ნუ მოგვაჩერდებით. იარეთ თქვენი გზით, თუნდაც მთელმა მსოფლიომ დაგცინოთ და გდევნოთ. თქვენ ახლახან წამიკითხეთ ლექსი, რომელიც მთავრდება სტრიქონით: «მე მოვკვდი (დავიბადე), მოვკვდი (დავიბადე). მე თავად გავხდი ჩემი თავის დედა». ეს არის მთავარი. საკუთარი ცხოვრების რომელიღაც წუთში უარი უნდა თქვათ ყველაფერზე, ღვიძლ დედაზეც. თავად უნდა გახდეთ თავისთავის დედა».

ეს ერსაც ეხება. ერიც უნდა იშვას ახლად და თავად გახდეს თავისთავის დედა. მაშინ მტრის მზაკვრული გეგმა ვერ მოახერხებს გადაგვკიდოს ერთმანეთს, გვაჟუჟინოს ერთმანეთი.

მიუხედავად ბევრი გულსატკენი მოვლენისა, რომელიც ამ ბოლო დროს მოხდა, მე ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმედი. მჯერა, რომ საქართველო გაუძლებს ყველა კრიზისს, მათ შორის, სამოქალაქო ომის საფრთხესაც.

7.X.90 წ.

კითხვა დამისვა «დვრიტას» თანამშრომელმა
თამრიკო მოლაშვილმა

ისტორიის განაჩენი გარდაუვალია

მარინე გიგინეიშვილი _ ბატონო აკაკი, დღევანდელი დღე ე.წ. «კავშირში», მის ყველა რეგიონსა და რესპუბლიკაში არასტაბილურია: მხედველობაში მაქვს ანარქია, ეკონომიკური ქაოსი, სამხედროების განუკითხავი თარეში. როგორ ფიქრობთ, მოახერხებს დღევანდელი პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა გამოიყვანოს ქვეყანა ამ კრიზისიდან?

აკაკი ბაქრაძე – ვერა, ვერ მოახერხებს. ისტორიის განაჩენი გარდაუვალია და სსრკ უნდა დაიშალოს. მაგრამ, საუბედუროდ, ეს დაშლა მოხდება დიდი სისხლიანი და მსხვერპლიანი გზით. სსრკ-ის ხელისუფლებას მსხვერპლისა და სისხლის აცილება თუ უნდა, მაშინ მან უნდა აღიაროს სსრკ-ის რღვევის აუცილებლობა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკას, რომელსაც ეს სურს, მისცეს უფლება მშვიდობიანად გავიდეს სსრკ-დან. მაგრამ ლიტვაში და ლატვიაში მომხდარმა ამბებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ სსრკ-ის ხელისუფლება არ დათმობს არაფერს. ჯერჯერობით მას კიდევ შესწევს ძალა ან

ბოლშევიკური დიქტატურის გზით, ან სპარსეთის ყურის რეგიონში მიმდინარე ომში ჩართვით, ან სამოქალაქო ომითაც კი არსებობა გაიხანგრძლივოს. ერთი სიტყვით, იმოქმედოს პრინციპით: მე ვკვდები, მაგრამ არც შენ დაგაყრიო კაი დღეს.

მ.გ. – ყველა იმ მოვლენის შემდეგ, რაც თბილისში, ყარაბაღში, ლიტვაში მოხდა, შეძლებს პრეზიდენტი შეინარჩუნოს პოსტი და რამდენად შეიძლება მას ჰქონდეს უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერის იმედი?

ა.ბ. _ ეს იმაზეა დამოკიდებული, სჭირდება თუ არა საბჭოთა არმიას გორბაჩოვი. დღეს უკვე ნათელია, რომ არმიის ხელში გორბაჩოვი ტიკინაა. გენერალიტეტზეა დამოკიდებული რამდენ ხანს ითამაშებს ამ ტიკინით. რაც შეეხება სსრკ-ის უზენაეს საბჭოს, იგი იმას დაუჭერს მხარს, ვისაც არმია და გენერალიტეტი შესთავაზებს. მაგრამ ეს გარეგნულად, ხალხის გასაცუცურაკებლად შენიღბული იქნება კომპარტიის გადაწყვეტილებით, სსრკ-ის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

მ.გ. – ბატონო აკაკი, დღეს სამაჩაბლოსაკენ მთელი საქართველოს ყურადღებაა მიპყრობილი. როგორ ფიქრობთ, რაა გამოსავალი იქ შექმნილი სიტუაციიდან?

ა.ბ. – საქართველო ვერასოდეს დათმობს თავის გულს _ შიდა ქართლს. ქართული ენაც და ქართული სახელმწიფოებრიობაც ამ ტერიტორიაზე დაიბადა და აღორძინდა. ცხადია, ეს კონფლიქტი ინსპირირებულია იმისათვის, რომ შებოჭოს და შებორკოს ქართული ეროვნული მოძრაობა. მისი მთელი ყურადღება გადაიტანოს ამ მიმართულებით და ამით გააჭიანუროს სხვა საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრა, რითაც გამოიწვევენ ხალხის უკმაყოფილებას. ასეთი პრობლემები კი, მოგეხსენებათ, უთვალავია _ ეკონომიკაში, კულტურაში, განათლებაში და ა.შ.

შიდა ქართლის პრობლემა ურთულესი მოსაგვარებელია. თუ თავის მოტყუება არ გვინდა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ომია. ომი კი ყოველთვის იმის გამარჯვებით მთავრდება, ვინც ძლიერია. ასე იქნება ამჯერადაც. მართალია, ომისა და ხოცვა-ჟლეტის მომხრე არავინ არის, მაგრამ, საუბედუროდ, სხვა გზა არ ჩანს.

მ.გ. – რას ფიქრობთ ლიტვაში მომხდარ ტრაგედიაზე, როგორ შეხვდნენ პარლამენტში ამ ფაქტს და საერთოდ, რას იტყოდით ბალტიისპირეთში მიმდინარე პროცესებზე?

ა.ბ. _ თუ ადამიანი მეტისმეტად გულუბრყვილო არ იყო, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო იმაში, რომ, ადრე თუ გვიან, მოხდებოდა ის, რაც ვილნიუსსა და რიგაში მოხდა. კრემლი არაფრის დათმობას არ აპირებს. კომპარტიაც და საბჭოთა ხელისუფლებაც ჯერჯერობით ძლიერია, მიუხედავად იმისა, რომ ბალტიისპირეთშიაც და საქართველოშიაც ძლიერი მარცხი განიცადა. მაგრამ არსებითი ის არის, რომ კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძლიერებას განაპირობებს მთელი სსრკ და არა ესა თუ ის რეგიონი ცალ-ცალკე.

როგორც ამბობდნენ, კომპარტიას 18 მილიონამდე წევრი ჰყავდა სსრკ-ში. ხალხი მასობრივად გადის კომპარტიიდან, მაგრამ ჯერჯერობით გასულთა რიცხვმა მილიონიც ვერ შეადგინა. 5 მილიონი კაცი რომ გავიდეს, 13 მილიონი ხომ დარჩება. განა ეს მცირე ძალაა? ამას მიუმატეთ არმია, სუკ-ი!.. ამიტომ ნამდვილი, დაუნდობელი და შეუპოვარი ბრძოლა ჯერ წინ არის. ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენც და ბალტიისპირელებსაც. ჩვენი მოქმედების გეგმაც ამის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს.

საბჭოთა ხელისუფლება ის ხელისუფლებაა, რომელიც არავითარი უზნეობისა და სისასტიკის წინაშე უკან არ დაიხევს. ამას ადასტურებს მისი ისტორიაც და მისი დღევანდელობაც.

წინათაც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ბალტიისპირეთმაც და საქართველომაც ჭკუით და გამჭრიახობით უნდა აჯობოს კრემლს. ტყუილად ხომ არ გვასწავლის ანდაზა: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

რაც შეეხება უზენაესი საბჭოს პოზიციას. სსრკ-ის უზენაესი საბჭო ის სახელმწიფო ინსტიტუტია, რომელიც იცავს სსრკ-ის ერთიანობა-მთლიანობას. ამიტომ ლიტვის დასჯა მას მოეწონა. ათი-თორმეტი დეპუტატი ცდილობდა საცოდავად პროტესტის გამოთქმას, მაგრამ ვერაფერი მოახერხა, რაკი უზენაესი საბჭოს დანარჩენი წევრები დამსჯელ არმიას უთანაგრძნობდა.

ქართულმა დეპუტაციამ ასეთი საპროტესტო მიმართვა დაწერა:

Мы, Народные депутаты СССР, осуждаем бесчинства Вооруженных сил СССР в Литве. Считаем, что происшедшее в Литве является, вопиющим нарушением прав человека и нации.

Мы требуем:

разоблачения виновных и их наказания;

немедленного рассмотрения вопроса об отставке президента и правительства СССР, иначе происходяшее в Литве повторится во всех Союзных республиках, в том числе и в России. Тогда уже раз и навсегда установится в СССР режим Гулага и погаснут последние искорки тлеющей надежды.

ამ მიმართვაზე ხელისმოწერა, ქართველი დეპუტატების გარდა, არავინ მოისურვა.

ასე, რომ სსრკ-ის უზენაესი საბჭოს იმიჯი ნათელია.

მ.გ. – ბ-ნო აკაკი, როგორია თქვენი დამოკიდებულება ელცინისადმი.

ა.ბ. _ ჩემი დამოკიდებულება ელცინისადმი უარყოფითია. მე არ მჯერა მისი.

ჯერ კიდევ 1922 წელს გაზეთ «ლომისში» (№6) წერდა კ.გამსახურდია:

დიმიტრი ყიფიანს ეგონა კარგია რუსის მეფე. ცუდია რუსის მინისტრები და ჩინოვნიკები. მეფეს უყვარს საქართველო. ჩვენი ქვეყანა რუსის მინისტრებს და ჩინოვნიკებს სძულთ.

ნოე ჟორდანია და არჩილ ჯორჯაძე ფიქრობდნენ: ცუდია რუსის მეფეც, მინისტრებიც, ჩინოვნიკებიც. კარგია რუსის დემოკრატია...

ამ აზრს თუ გავაგრძელებთ, სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ დღესაც ასე ფიქრობენ ჩვენში: კარგია ელცინი, ცუდია გორბაჩოვი. ელცინს უყვარს ლიტვაც, ლატვიაც, საქართველოც, სომხეთიც.

ჩვენ სხვის იმედს უნდა გადავეჩვიოთ. ელცინიც ისეთივეა საქართველოსათვის, ბალტიისპირეთისათვის, როგორიც გორბაჩოვია. თუ დღეს ელცინი ბალტიისპირეთს ამოუდგა მხარში, ეს იმიტომ, რომ გორბაჩოვის სკამი შეირყა. იოლად შეიძლება იგი ჩამოვარდეს და ამ სკამზე ელცინი წამოსკუპდეს. დამერწმუნეთ, თუ ელცინი ჩაიგდებს ხელში პრეზიდენტის სკამს, ბალტიისპირელებს იმას კი არ ეტყვის _ თავისუფალი ბრძანდებით და როგორც გნებავთ, ისე იცხოვრეთო, არამედ _ სულ სხვას. კერძოდ: გახსოვთ, როცა გიჭირდათ, როგორ დაგეხმარეთ? ახლა მე მიჭირს. სულ ახლახან გავხდი პრეზიდენტი. თუ ახლავე თავისუფლება მოგეცით, მთელი რუსეთი ამიმხედრდება და ტახტიდან ჩამომაგდებს. ამიტომ ცოტა ხანს დარჩით სსრკ-ში და მერე, როცა საშუალება იქნება, მაშინ წადითო. შენამუსებული ბალტიისპირელები შეიძლება დათანხმდნენ კიდეც ამას.ყოველ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის. ამრიგად, ელცინის ტკბილი სიტყვა იმას გააკეთებს, რაც გორბაჩოვის ტანკმა ვერ შეძლო.

როგორც ყოველი ადამიანი უნდა არსებობდეს საკუთარი შესაძლებლობის იმედით, ასევე ყოველი ერი უნდა არსებობდეს საკუთარი შესაძლებლობის იმედით.

მ.გ. – რას ფიქრობთ საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, როგორია თქვენი პროგნოზი?

ა.ბ. _ რეფერენდუმს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ და საქართველოში არ უნდა ჩავატაროთ. თუ საქართველოში რეფერენდუმი ჩატარდა, მაშინ იმ შედეგს მიიღებენ, რაც კრემლში სურთ. ყოველნაირი არჩევნებისა და ყოველნაირი რეფერენდუმის ფალსიფიცირება შეიძლება. ამგვარი ფალსიფიკაცია ხელისუფლებას არ უჭირს, სსრკ-ში კი არა, ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი, როგორიც აშშ-ია.

მ.გ. – ბ-ნო აკაკი, დღეს არც ერთი ან თითქმის არც ერთი სახელმწიფოებრივი კანონი არ მოქმედებს. ირგვლივ ანარქია სუფევს. არსებობს სამხედრო გადატრიალების რეალური საფრთხე. რისი იმედი უნდა ჰქონდეს ე.წ. «მოკავშირე რესპუბლიკის» მოსახლეობას?

ა.ბ. – სამხედრო გადატრიალების საფრთხე კი არ არსებობს, სამხედრო გადატრიალება უკვე მოხდა. ის, რასაც ახლა გორბაჩოვი აკეთებს, გენერალიტეტის ნაკარნახევია. სხვა შედეგები თანდათან გამოაშკარავდება.

ჩვენ – ბრალიანსა თუ უბრალოს – იმის შესაბამისად მოქცევა მოგვიწევს, რა პერსპექტივაც დღეს ჩვენ წინ იშლება. ამ პერსპექტივას სამი მიმართულება აქვს _ ან ბოლშევიკური დიქტატურის განახლება, ან დიდი სამოქალაქო ომი, ან მესამე მსოფლიო ომი, რითაც სპარსეთის ყურის რეგიონში ატეხილი ხოცვა-ჟლეტა იმუქრება. სამივე ამ საფრთხეს ამზადებს და აპირობებს საერთაშორისო პოლიტიკური კრიზისიც (სპარსეთის ყურე. ერაყ-კუვეიტის პრობლემა), სსრკ-ში ეკონომიკური ქაოსიც, სსრკ-ის რღვევაც. ამ ვითარებაში ქართველ ხალხს სჭირდება ერთიანობა, გონიერება, შორსმჭვრეტელობა, მოქმედების მკაფიო გეგმა, გაძლების უნარი.

ბავშვობაში ერთი პატარა გერმანული ხალხური ლექსი მასწავლეს. მისი შინაარსი ასეთია: რძით სავსე კასრში ორი ბაყაყი ჩავარდა. ერთმა იფიქრა, აქედან რაღა ამომიყვანსო და ბედს დამორჩილდა. ფეხები აღარ გაანძრია და რძეში დაიხრჩო. მეორემ კი ბრძოლა არ შეწყვიტა. ფეხები მანამ იქნია და ამოძრავა, სანამ რძისგან კარაქი არ გააკეთა. მყარ კარაქს დაეყრდნო და კასრიდან ამოხტა.

მე ყოველთვის კარაქის გამკეთებელი ბაყაყის ნებისყოფა და იმედიანობა მხიბლავდა და დღესაც მხიბლავს.

მ.გ. – დღეს ყველას ძალიან აღელვებს რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ყოველდღიურად უარესდება. ბუნებრივია, ეს სიტუაცია აუცილებლად გამოიწვევს უმუშევრობას. როგორ ფიქრობთ, არსებობს გამოსავალი?

ა.ბ. – ის ეკონომიკური ქაოსი, რაც მთელ სსრკ-ში და კერძოდ საქართველოში არსებობს, ადვილად არ მოგვარდება და გამოსწორდება. ამის იმედი არ უნდა გვქონდეს.

როცა დღეს პრესაში გამოქვეყნებულ ეკონომიკური ხასიათის სტატიებს, ნარკვევებს, პროექტებს ვკითხულობ ან ზეპირ სჯა-ბაასს ვისმენ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სპეციალისტებსაც კი, ჯერჯერობით, ბოლომდე არა აქვთ გაცნობიერებული რა კატასტროფა (განსაკუთრებით ეკონომიკური) მოხდა რუსეთის იმპერიაში 1917 წლის ოქტომბერში.

სოციალიზმმა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეკონომიკა პირწმინდად მოსპო.

სოციალიზმი ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა.

ქვეყანა რომ ეკონომიკურად დაიქცეოდა, ეს ყოველმა საღად მოაზროვნე ადამიანმა 1917 წელსაც კარგად იცოდა. მაგრამ ასეთ ადამიანებს მაშინ ყურადღებას არავინ აქცევდა. ისტორიაში არის პერიოდები, როცა მთელი ერი შეიშლება, გონს დაკარგავს და საღ აზრს ყურს აღარ უგდებს. მაშინ რამდენიც უნდა ილაპარაკო, რამდენიც უნდა

მოუწოდო, ვერავის ვერაფერს შეასმენ. გონარეული ხალხი თავქუდმოგლეჯილი მიქრის უფსკრულისაკენ. მანამ ვერაფერი შეაჩერებს,სანამ უფსკრულში არ ჩავარდება. სსრკ-ში მოსახლე ხალხებიც მაშინ გამოფხიზლდნენ, როცა უფსკრულში აღმოჩნდნენ. მაგრამ უფსკრულიდან ამოსვლა არ არის იოლი. უმუშევრობაც უნდა გადავიტანოთ, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობაც (უფრო მეტიც, მოსალოდნელი შიმშილობაც), ელექტროენერგიის უქონლობაც... ერთი სიტყვით, ყველა გასაჭირი, რაც ეკონომიკის მოშლას ახლავს.

აღვადგენთ კი ეკონომიკას? აღვადგენთ, ოღონდ ერთადერთ შემთხვევაში: თუ დავბრუნდებით უკან 1921 წელში, როცა საქართველოში სოციალიზმმა დაისადგურა და თავიდან დავიწყებთ ყველაფერს. ჩვენ ახლა იმ ადამიანს ვგავართ, რომელსაც სახლ-კარი დაეწვა. იმ ადამიანმა ნაცარი და ფერფლი უნდა გადაწმინდოს, სამშენებლო მოედანი გაასუფთაოს და სახლის მშენებლობას ახლიდან შეუდგეს. მაგრამ ამ კაცს ამისათვის ძალ-ღონეც უნდა ჰყოფნიდეს, ფულიც უნდა ჰქონდეს და სამშენებლო მასალაც, მეზობლებიც უნდა ეხმარებოდეს. ასეთ მდგომარეობაშია ქართველი ხალხიც. შეძლებს კი ქართველი ერი ასეთ ვითარებაში ეკონომიკა ფეხზე დააყენოს? ამ კითხვას თავად ქართველმა ხალხმა უნდა უპასუხოს.

მ.გ. – ბატონო აკაკი, კარგად მოგეხსენებათ, ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა დიდი ქვეყნები ეკონომიკური კრიზისის დროს საკუთარი ნებით აქუცმაცებდნენ ქვეყანას მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად და მას სრულ ეკონომიკურ თავისუფლებას აძლევდნენ. როგორ ფიქრობთ, რატომ მიისწრაფვის ასეთი დაჟინებით ცენტრი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისაკენ?

ა.ბ. – კრემლის სურვილი _ დადოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება – ეკონომიკას არ უკავშირდება. მისი მიზანია შეინარჩუნოს სსრკ, როგორც ერთიანი, უნიტარული სახელმწიფო. არ დაშალოს იგი. მაგრამ ეს ამაო ცდაა. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება ვერ შეაჩერებს სსრკ-ის რღვევის პროცესს.

რაც შეეხება მცირე ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: რაკი საქართველო დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზას დაადგა, მას მოსკოვში შემუშავებული ეკონომიკური პროგრამები აღარ გამოადგება. საქართველომ საკუთარი ეკონომიკურ-ფინანსური სისტემა უნდა შექმნას. აქ უნდა გამოჩნდეს ჩვენი ეკონომისტებისა და ფინანსისტების ნიჭიერება და უნარი. ამჟამად ყველა მოკავშირე რესპუბლიკა სწორედ ეკონომიკური და ფინანსური კუთხით ჰყავს მოსკოვს ორივე ყურით დაჭერილი. საქართველოს ნამდვილი თავისუფლებაც მაშინ დაიწყება, როცა ამ ეკონომიკურ-ფინანსურ ჯაჭვს გავწყვეტთ. საკუთარ სისტემას შევქმნით. ამას ისე ნუ გაიგებთ, რომ რაღაც განსაკუთრებულს და გაუგონარს ვითხოვ. არა, ლაპარაკია ისეთ ეკონომიკურ-ფინანსურ სისტემაზე, რომელიც საქართველოს საშუალებას მისცემს ცივილიზებულ მსოფლიოს ეკონომიკურ-ფინანსურ სისტემაში ორგანულად ჩაერთოს. ეს არ არის ადვილი საქმე. ამას შეიძლება ათეული წლები დასჭირდეს. არავის ვაშინებ. უბრალოდ მინდა რეალისტურად შევხედოთ პრობლემას. ჩვენ კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ გზას 1921 წელს ავცდით. 70 წელი ჩამორჩენილობისა მცირე დრო არ არის. მით უფრო, რომ სინამდვილეში 70 წელი ორჯერ 70 წელია, რადგან სსრკ-ის მოსახლეობა (მათ შორის, ცხადია, ჩვენც) კაცობრიობის განვითარების საპირისპირო გზით მიდიოდა და დღესაც მიდის.

მ.გ. – ბ-ნო აკაკი, სპარსეთის ყურის კონფლიქტი მთელი მსოფლიოს შეშფოთებას იწვევს, როგორ განვითარდება მოვლენები, დაიწყება თუ არა მესამე მსოფლიო ომი, ეს და ბევრი სხვა კითხვა აღელვებთ ადამიანებს. როგორ ფიქრობთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ომს ჩვენი რესპუბლიკისათვის?

ა.ბ. – წინასწარმეტყველება უმადური საქმეა. ადამიანი იოლად შეიძლება შეცდეს და მერე დაცინვის საგნად გაიხადოს თავი. მაგრამ ერთ რასმეს მაინც ვიტყვი: თუ სპარსეთის ყურის რეგიონში ომი გაჭიანურდა და ერთ თვეში, თვენახევარში არ დამთავრდა, მაშინ იგი მესამე მსოფლიო ომში გადაიზრდება. სსრკ კი იომებს ერაყის მხარეზე, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. თუ ჩემი შავი პროგნოზი გამართლდა, მაშინ ამიერკავკასია ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდება. ისიც გასაგებია, რა მძიმე შედეგები ექნება ამას საქართველოსათვის. საქართველო მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომშიც და მეორეშიც, მაგრამ ომი საქართველოს ტერიტორიას უშუალოდ არ შეხებია. თუ მესამე მსოფლიო ომი დაიწყო, საუბედუროდ და სამწუხაროდ, იგი საქართველოს ტერიტორიასაც მოიცავს. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რა ძვირად დაგვიჯდება ეს ჩვენ. მაგრამ მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ და ვირწმუნოთ, რომ მესამე მსოფლიო ომის გრიგალი არ ამოვარდება და შეშლილი ბაღდადელი ქურდის პოლიტიკურ ვნებებს კაცობრიობა არ შეეწირება.

გაზ. «დრო»,
1-10 თებერვალი, 1991.

თანდათანობითობა

ცირა ქისტაური _ ბატონო აკაკი! როგორ შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა ტრაგედია, რომელიც თბილისში დატრიალდა?

აკაკი ბაქრაძე – სხვა სხვისა ომში ბრძენიაო, შეიძლება ასე გამოვიდეს, მაგრამ მაინც მოგახსენებთ ჩემს აზრს.

საბჭოური მეცნიერება ასწავლიდა, რომ განვითარების ორი გზა (ფორმა) არსებობს _ ევოლუციური ანუ თანდათანობითი და რევოლუციური, ანუ უცბად, ერთბაშად, ნახტომისებურად. მე სხვანაირი შეხედულების ვარ: განვითარების ერთი გზა (ფორმა) არსებობს _ ევოლუციური. რევოლუცია, მართალია, ცვლის ვითარებას, მაგრამ არის კი იგი განვითარება? ვფიქრობ, რომ არა. მაგალითად თავად სსრკ გამოდგება. 1917 წლის ოქტომბერმა რუსეთის იმპერიაში ძირეულად შეცვალა ყველაფერი _ ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ა.შ. სისტემები, მაგრამ იყო ეს განვითარება? ეს რომ განვითარება ყოფილიყო, რუსეთის იმპერიის მაგიერ წარმოქმნილი სსრკ არ დაიშლებოდა ხუხულასავით. არც იმ ქვეყნებს (რუსეთის ჩათვლით), რომელნიც სსრკ-ში შედიოდნენ, არ მოუწევდათ უკან დაბრუნება და ყველაფრის თავიდან დაწყება. სხვათა შორის, ასევე დაემართა ირანსაც. მუსლიმანურმა რევოლუციამ დაამხო ირანში შაჰის ხელისუფლება, მაგრამ წინსვლა-განვითარების მაგიერ, უკან დაბრუნდა ჩამორჩენილ ბნელეთში. დღეს ირანის ხელისუფლება თავს იმტვრევს, როგორ აღადგინოს ის, რაც დაანგრიეს და დაღუპეს. ისიც უნდა დავამატო, რომ 1789-94 წლების საფრანგეთის რევოლუციასაც ასე დაემართებოდა, ყველა ეს მარატები, დანტონები, რობესპიერები და სხვანი, ადრე რომ არ წასულიყვნენ პოლიტიკის ასპარეზიდან.

ასე, რომ რევოლუცია, მართალია, ცვლილებას ახდენს, მაგრამ იგი განვითარება არ არის. როგორც გითხარით, განვითარება ევოლუციაა, თანდათანობითობაა. ჩვენს გარშემო არსებულ ხილულ სამყაროშიც ასეა: ყველაფერი დიადი, ამაღლებული და მშვენიერი თანდათანობით იქმნება.

დედის წიაღში ჩასახული ბავშვი თანდათანობით იზრდება. ამ პროცესს ვერც ვერაფერი დააჩქარებს და ვერც ვერაფერი შეანელებს. თუ ვინმე უგუნური ამას მოიწადინებს, იგი მოსპობს ახალ სიცოცხლეს. მეტს ვერაფერს მოახერხებს.

ყანა თანდათანობით აღმოცენდება მიწიდან. თანდათანობით იზრდება და მწიფდება. არც ამ პროცესის აჩქარება და დაყოვნება მოხერხდება. უცბად მხოლოდ განადგურება შეიძლება.

ძველი ლათინური ანდაზა გვასწავლის _ რომი უცბად არ აშენებულაო (მერე რუსებმა ისესხეს და ამბობენ _ მოსკოვი ერთ დღეში არ აშენებულაო). სამი ათასი წელიწადი შენდებოდა მარადიული ქალაქი. მისი დანგრევა კი თერმობირთვული იარაღით რამდენიმე წუთში შეიძლება. ასეთია კანონზომიერება: უცბად მხოლოდ ბოროტი კეთდება. კეთილი თანდათანობით იქმნება. უცბად და ერთბაშად მიწისძვრა შეიძლება მოხდეს, ვულკანის ამოფრქვევა, ზვავების მოვარდნა. ერთი სიტყვით ის, რასაც ნგრევა შეუძლია და არა შენება.

ამ ვრცელი საუბრით თავი იმიტომ შეგაწყინეთ, რომ მეთქვა: ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა დადგომოდა ევოლუციის გზას, თანდათანობითობის გზას, მაშინ ის უბედურება არ მოხდებოდა, რაც თბილისში მოხდა. ამიტომ იყო რუსთაველის საზოგადოება იმთავითვე თანდათანობითობის მომხრე. გამოაქვეყნა კიდეც მან თავისუფლების თანდათანობით მოპოვების თავისი გეგმა (იხ. გაზეთი «კომუნისტი», 1990 წ., 17 აგვისტო). მაგრამ მას არავინ გამოხმაურებია და არც არავის ჩაუგდია ყურადღების ღირსად. ეს არ ყოფილა მოულოდნელი. უკვე 1989 წლის 11 ნოემბერს, თბილისის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე გამომჟღავნდა, რომ ქართველი ხალხი არ აირჩევდა ევოლუციის გზას. იგი რევოლუციურ ცვლილებას მიემხრობოდა (ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდაგაზეთ «თბილისში» 1989 წლის 14 ნოემბერს).

რევოლუციას კიდევ ერთი უარყოფითი თვისება აქვს: იგი არა მარტო იმ სინამდვილეს ანგრევს, რომელსაც ებრძვის, არამედ _ თავის თავსაც. როგორც წესი, რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი ყოველთვის იხლიჩებიან და ერთმანეთს უპირისპირდებიან. თუ ისევ მაგალითებს მოვუხმობთ, შეგვიძლია გავიხსენოთ, როგორ დაერივნენ ერთმანეთს საფრანგეთის რევოლუციის ხელმძღვანელები და გილიოტინით როგორ წააცალეს ერთმანეთს თავები. რუსეთის რევოლუციის თავკაცებმაც დაუზოგავად ჟუჟეს ერთმანეთი. ესეც რევოლუციის კანონზომიერებაა. სხვაგვარად არსად მომხდარა. სამოქალაქო ომებიც ამ დაპირისპირების შედეგია, თორემ თავდაპირველად ყველა რევოლუცია უმსხვერპლოდ ან ძალიან მცირე მსხვერპლით ხდება. ბასტილია უსისხლოდ აიღეს. არც შიგნით დახვედრიათ განსაკუთრებული რამ, რამდენიმე პატიმარი იპოვნეს (თუ მეხსიერება არ მღალატობს სულ 7 კაცი) და ისინიც გამოუსწორებელი რეციდივისტები. ლუი XVI-ის ხელისუფლებაც იოლად დაემხო. უბედურება მერე დატრიალდა, როცა რევოლუციის მომწყობნი ერთმანეთში ვერ მორიგდნენ და მათ შორის განხეთქილება მოხდა. სამოქალაქო ომიც ამას მოჰყვა. რუსეთის თებერვლის რევოლუციაც და ოქტომბრისაც 1917 წელს არსებითად უსისხლოდ ჩატარდა. სამოქალაქო ომი და ხოცვა-ჟლეტა მერე, 1918 წელს, გაჩაღდა, როცა ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს და ყველაფრის ბატონ-პატრონობა თავად მოინდომეს.

რაკი ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რევოლუციის გზა აირჩია, ბუნებრივია, ისიც ვერ ასცდებოდა გახლეჩა-დაპირისპირებას. თუმცა ახლა ამ ლაპარაკს აზრი აღარ აქვს. მოსახდენი უკვე მოხდა. იგი ისტორიას ეკუთვნის. ახლა მთავარია, რაც მოხდა ის გაკვეთილად გამოვიყენოთ.

განვითარება-წინსვლა მხოლოდ თანდათანობით შეიძლება. მართალია, ამას ნებისყოფა და მოთმინება უნდა, მაგრამ ქართული ანდაზა გვასწავლის: ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. ანდა როგორც სპარსელები ამბობენ _ მოთმინება მწარეა, მაგრამ ნაყოფი მისი ტკბილი.

ც.ქ. - «ქრისტიანული სათნოება ჩვენთვის უცხოა», წერთ თქვენ «მწერლობის მოთვინიერებაში». აქვე ზნეობრივ კატასტროფასაც ახსენებთ...

ა.ბ. _ ჯერ ერთი «ქრისტიანული სათნოება ჩვენთვის უცხოა» _ ჩემი სიტყვები არ არის. ეს ციტატია და იგი ეკუთვნის 20-იან და 30-იან წლებში კარგად ცნობილ კრიტიკოსს ბენიტო ბუაჩიძეს (გვ. 171), თან მან ეს სიტყვები სრულიად სხვა კონტექსტში თქვა. მიუხედავად ამისა, მაინც კითხვა მნიშვნელოვანია. ქართველი ქრისტიანია უფრო მეტად თუ წარმართი _ ეს პრობლემა ძალიან ფართოდ და აქტუალურად განიხილებოდა 20-იან და 30-იან წლების ქართულ მწერლობაში. გ.რობაქიძეს, ლ.ქიაჩელს, კ.გამსახურდიას, დ.შენგელაიას და სხვებსაც ძალიან ბევრი უმსჯელიათ ამაზე თავიანთ მოთხრობებსა და რომანებში, ნარკვევებში. მაგალითად, კ.გამსახურდია «დიონისოს ღიმილის» ბოლოსიტყვაობაში წერდა: «ქართული ქრისტიანული ეკლესია არასოდეს ისე ძლიერი არ ყოფილა, როგორც თუნდაც კათოლიკური და ორთოდოქსალური რუსული. სწორედ ამიტომაც გლეხური მასები საქართველოს მოსახლეობისა სათანადოდ ვერ მოთრგუნა ქართულმა ეკლესიამ. და ამასთანავე ამ უკანასკნელს ძალაც არ ეყო ქრისტიანობამდის არსებული რელიგიების ფესვები ამოეთხარა ქართული სინამდვილიდან. ტაია შელიას სახით მე წარვუდგინე ქართველ მკითხველს ქრისტიანობისაგან დაუთრგუნველი, მაგრამ მაინც ცრუმორწმუნე (ისეთი, როგორიც იყო არსებითად ქართველი გლეხი), ნახევრად წარმართი».

ქართველი ნახევრად წარმართია, ნახევრად _ ქრისტიანი, არსებითად ასეთი იყო მაშინ ჩვენს მწერლობაში გამართული სჯა-ბაასის დასკვნა. მე ვიზიარებ ამ აზრს და ეს ვითარება სახიფათოდ მეჩვენება, რადგან ეს მოწმობს, რომ ქართველის ცნობიერება გახლეჩილია ორად. მას გამთლიანება სჭირდება. ეს კი რთული და ხანგრძლივი პროცესია.

ც.ქ. – რას გვეტყვით თანამედროვე პრესის ზნეობაზე?

ა.ბ. – როგორც ყველგან, ისე პრესაშიც არიან ნიჭიერი და პატიოსანი ადამიანები და არიან უნიჭონიც და უსინდისონიც. საერთოდ კი, მიმაჩნია, რომ ქართულ პრესას დიდი მომავალი აქვს. ამის გარანტიას იძლევიან ახალგაზრდა ჟურნალისტები (ქალებიცა და ვაჟებიც), განსაკუთრებით ისინი, რომელნიც თავმოყრილნი არიან, მაგალითად, გაზეთებში «დრონი», «საქართველო», «7 დღე», «ახალგაზრდა ივერიელი».

ცხოვრება მძიმე განსაცდელს უმზადებს ადამიანს და, ცხადია, ზოგიერთი დღევანდელი ახალგაზრდა უღალატებს თავისი კალმის პატიოსნებას, მაგრამ რას იზამთ! ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ნუგეში ის არის, რომ მის ადგილს უფრო პატიოსანი ახალგაზრდები დაიჭერენ. მთავარი მაინც ის არის, რომ ქართულ პრესაში დღეს არსებობს მძლავრი ბირთვი ნიჭიერი, გაბედული და პატიოსანი ახალგაზრდა ჟურნალისტებისა.

ც.ქ. _ «სიმართლე» საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზეთია და, ამდენად, საინტერესოა მისი მკითხველისათვის თქვენი აზრი ქართული მილიციის მორალზე, მის უუფლებობაზე.

ა.ბ. _ მილიცია საზოგადოების ნაწილია და, ცხადია, რომ ისიც ისეთია, როგორიც არის მთელი საზოგადოება. თუ საზოგადოება იქნება ზნეობრივად უკეთესი, ბუნებრივია, მილიციაც იქნება ზნეობრივად უკეთესი. ეს ზოგადად. უფრო კონკრეტულად: რა თქმა უნდა, ხელისუფლებას უპირველესად, მაგრამ საერთოდ მთელ

საზოგადოებას მართებს დიდი ზრუნვა იმაზე, რომ საქართველოში არსებობდეს ზნეობრივადაც, ქონებრივადაც, უფლებრივადაც და იარაღითაც კარგად აღჭურვილი მილიცია. მილიცია მართლა უნდა იყოს გარანტი ქვეყანაში წესრიგისა. იმას უნდა მივაღწიოთ, რომ ხალხს მილიციის კი არ ეშინოდეს, არამედ კრძალვა ჰქონდეს მის მიმართ, როგორც კანონის გუშაგისა.

ვერც ერთი ქვეყანა ვერასოდეს ვერ მოახერხებს ფეხზე წამოდგომას, გაძლიერებასა და გაღონიერებას, თუ ხალხი კანონსა და წესრიგს პატივს არ სცემს. ვერც ერთი მილიცია და ვერც ერთი პოლიცია ვერ დაამყარებს ქვეყანაში წესრიგს, თუ ხალხი კანონს არ იცავს, არ ემორჩილება. კანონის მორჩილება, წესრიგის დაცვა ხალხის თვისება უნდა იყოს.

მთელ ხალხს ძვალსა და რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი შეგნება: მდიდარი, განათლებული, კულტურული ქვეყნის აშენება მხოლოდ შრომითა და წესრიგით შეიძლება. სხვანაირად არ მოხერხდება ეს და არც ჩვენს უბედურებას დაადგება საშველი. თუ წესრიგი ხალხის სულის თვისება იქნება, მილიციაც კარგად იმუშავებს. ხალხის მცირე, უწესრიგო და დამნაშავე ნაწილს იოლად მოუვლის.

ც.ქ. – დღეს ყველაზე მეტად დაცარიელებული სოფელი სტკივა საქართველოს. როგორ უნდა მივიყვანოთ გლეხი მიწასთან ან მოვუვლით კი კარზე ბოქლომდადებულ ფშავ-ხევსურეთს და რაჭას?

ა.ბ. – როგორ გითხრათ... მე იმედი მაქვს, რომ როცა კერძო საკუთრება დამკვიდრდება, როცა გლეხი დაიჯერებს, რომ მიწა მართლა მისია და ვერავინ ხელს ვერ ახლებს, როცა დარწმუნდება, რომ მოსავალიც მისია და ვერავინ წაართმევს, მაშინ იგი მიუბრუნდება მიწას და გულმოდგინედაც მოუვლის. მთავარი ახლა ის არის, რომ სამართლიანობის რწმენადაკარგულ ადამიანებს სამართლიანობის რწმენა დავუბრუნოთ.

რაც შეეხება ფშავ-ხევსურეთს, რაჭას და სხვა კუთხეებს, საიდანაც მოსახლეობის დიდი ნაწილი წამოვიდა, აქ განსაკუთრებულ ღონისძიებებს უნდა მივმართოთ. რას ვგულისხმობ კონკრეტულად:

უნდა შეიქმნას ფშავ-ხევსურეთის, რაჭის (შეიძლება რაჭა-ლეჩხუმის ერთად) საგანგებო მმართველობა. ამ მმართველობის წევრებს თავად ამ რეგიონების მოსახლეობა აირჩევს განსაზღვრული ვადით. ხალხს ყოველნაირად უნდა დავეხმაროთ, რომ მმართველობაში აირჩიოს სანდო, ნიჭიერი, საქმის მცოდნე, ენერგიული და ერთგული ადამიანები. მმართველობამ, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, თავად უნდა შეიმუშაოს გეგმა მდგომარეობის გამოსასწორებლად. გეგმის შემუშავება შედარებით იოლი საქმეა. ძნელია მისი განხორციელება, რადგან დიდძალი თანხა დასჭირდება. ეს თანხა, სესხის სახით, საქართველოს ხელისუფლებამ როგორმე უცხოეთში უნდა იშოვოს. გზების, ბინების, საქონლის სადგომების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების დარიგება სახელმწიფომ უნდა ითავოს.

ფშავ-ხევსურეთის, რაჭის და სხვა ამგვარ მდგომარეობაში მყოფი რეგიონების მოსახლეობა, სულ მცირე ხუთი წლით მაინც, უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადისაგან.

ხსენებულ კუთხეებში დამკვიდრებული უნდა იქნეს კერძო საკუთრება. მიწები უსასყიდლოდ გადაეცეს მოსახლეობას. საწარმოო-დაწესებულებანი კი, რომელიც ამ რეგიონებშია, გაიყიდოს აუქციონით და შემოსული ფული ამ რეგიონებსვე მოხმარდეს.

რაც გითხარით, თუ ძალიან არ ჰგავს ზღაპარს, ვფიქრობ, რომ ამ გზით ფშავ-ხევსურეთში, რაჭა-ლეჩხუმში, თუშეთში თუ სხვაგან შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება.

ც.ქ. – ვაჟას მიერ დასმული საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა დღესაც ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად ითვლება...

ა.ბ. – რა თქმა უნდა. საზოგადოებისა და პიროვნების კონფლიქტი მარადიულია. იგი ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იარსებებს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ პიროვნება შემოქმედია, საზოგადოება კი – არა. საზოგადოება მხოლოდ მომხმარებელია. გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს, აქვე ვიტყვი: შემოქმედებაში არ ვგულისხმობ ხელოვანს ან მეცნიერს. ვგულისხმობ საერთოდ შრომა-საქმიანობისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებას. მეხამლე, რომელიც კარგად კერავს ფეხსაცმელს, შემოქმედია. გლეხი, რომელიც კარგად უვლის ბაღ-ვენახს, შემოქმედია. მუშა, რომელიც კარგად შრომობს, შემოქმედია. მთავარია საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება და არა პროფესია. გინახავთ, ალბათ, სოფელში როგორ არის მოვლილ-ნაპატრონები გლეხის კარ-მიდამო და რა უპატრონობაა საკოლმეურნეო ნაკვეთებზე. ეს იმის ბრალია, რომ კოლექტივს არა აქვს შემოქმედებითი ნიჭი. შემოქმედებითი ნიჭი ინდივიდუალურია. ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ კოლმეურნეობის საქმე ცუდად იმიტომ არის, რომ იქ ხალხი არ მუშაობს. არა, უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით _ ვერ მუშაობს. ვერ მუშაობს იმიტომ, რომ კოლექტივი კლავს ინდივიდუალურ შემოქმედებითს ნიჭს. შემოქმედებას საზოგადოების ზეგავლენისაგან თავისუფალი ნიჭი სჭირდება. ყველაფერი ახალი პიროვნების, ინდივიდის თავში იბადება. ტელეფონს ყველა იყენებს. მისი გამოგონების აზრი კი პიროვნების გონებაში გაჩნდა. «ვეფხისტყაოსანს» ყველა წაიკითხავს, ვინც წერა-კითხვა იცის, მაგრამ იგი პიროვნებამ დაწერა. კოლექტივი ვერ შექმნიდა მას. მიზიდულობის კანონს ყველა ბავშვი სწავლობს. მართალია, ზოგი იმახსოვრებს და ზოგი ვერა, მაგრამ სწავლით კი ყველა სწავლობს. აღმოჩენით კი ეს კანონი პიროვნებამ აღმოაჩინა. კაცობრიობის პროგრესი მაშინ დაიწყო, როცა პიროვნება გამოეყო საზოგადოებას, თორემ ეს რომ არ მომხდარიყო, საზოგადოება ჯოგად დარჩებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანთა საზოგადოებას ცხოველთა ჯოგისაგან ან ფრინველთა გუნდისაგან განმასხვავებელ მრავალ ნიშანთა შორის არის კიდევ ერთი: ადამიანთა საზოგადოებაში ცოდნა ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. ცხოველთა ჯოგში ან ფრინველთა გუნდში კი პირიქით _ ცოდნა კოლექტიურია და არა ინდივიდუალური. მაგალითად, საქართველოდან რომ სამხრეთით, თბილ ქვეყნებში მერცხლები მიფრინავენ, ერთი მერცხალი მარტო ვერასოდეს ჩააღწევს და ვერც უკან დაბრუნდება. იმიტომ, რომ მან გზა არ იცის. ყველა ერთად კი ჩაფრინდება კიდეც და უკანაც მოფრინდება, რადგან გზა ყველამ ერთად იცის. ეს ექსპერიმენტით დამტკიცებული ფაქტია. ადამიანთა საზოგადოებაში კი, ფრინველთა და ცხოველთაგან განსხვავებით, როგორც ვთქვით, ინდივიდუალური ცოდნა არსებობს და არა _ კოლექტიური. ამიტომ, როცა საზოგადოება ებრძვის პიროვნებას, საბედისწერო შეცდომას სჩადის, რადგან ამით თავის კეთილდღეობას ებრძვის. რამდენად ბევრი პიროვნებაა საზოგადოებაში, იმდენად ძლიერია საზოგადოება. რამდენად ნიჭიერია პიროვნება, იმდენად ამაღლებულია საზოგადოება. მაგრამ, საუბედუროდ, საზოგადოებას ეს ხშირად არ ესმის და ეომება პიროვნებას, რითაც როგორც გითხარით, თავის თავს ამცირებს, აკნინებს და აქვეითებს. ვაჟაც ამ მარადიულ კონფლიქტს აღწერდა. აწუხებდა იგი და ჩვენც ბევრი საფიქრალი და განსასჯელი დაგვიტოვა. თუ დღევანდელი ვითარებით ვიმსჯელებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ვაჟას სიბრძნისაგან ბევრი ვერაფერი გვისწავლია და ვერც გონივრული დასკვნები გამოგვიტანია.

ც.ქ. – ყველაზე გონივრული გზა, რომლითაც დღეიდან უნდა იაროს საქართველომ.

ა.ბ. – არ ვიცი. კარგა ხანია საქართველოში ისტერიაა. ისტერიის დროს გონიერებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ისტერიასთან გონიერება არ ჭრის. ისტერიამ თავისი თავი თავად

უნდა ამოწუროს, ამოიფრქვეს და დამშვიდდეს. ამის შემდეგ შეიძლება გონიერებას მოვუხმოთ. როდის დაწყნარდება ისტერია, ვერაფერს გეტყვით. ეს ჩემთვის უცნობია.

ც.ქ. – უღრმესი მადლობა.

გაზ. «სიმართლე»,
№2, 1992

ხელისუფლება კი არ არის საქართველოს პატრონი, არამედ ქართველი ხალხი!

ფელიქს კოჟიაშვილი _ ბატონო აკაკი, გაზეთ «სიმართლეში» ახლახან დაბეჭდილ ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, რომ «რაკი ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რევოლუციის გზა აირჩია, ბუნებრივია, ისიც ვერ ასცდებოდა გახლეჩა-დაპირისპირებას». და იქვე უმატებთ: «თუმცა ახლა ამ ლაპარაკს აზრი აღარ აქვს. მოსახდენი უკვე მოხდა. იგი ისტორიას ეკუთვნის. ახლა მთავარია, რაც მოხდა (იგულისხმება დეკემბერ-იანვრის მოვლენები. _ ფ.კ.), ის გაკვეთილად გამოვიყენოთ».

და მაინც, ბატონო აკაკი, იქნებ ღირს «ლაპარაკი»? მით უფრო, რომ გაკვეთილად, ალბათ, უნდა გამოვიყენოთ არა მხოლოდ «მომხდარი», არამედ ისიც, რაც მას წინ უძღოდა, რამაც იგი განაპირობა. სასურველია უფრო ვრცელი, კონკრეტული საუბარი ზემოაღნიშნულ «რევოლუციის გზაზე»-ც... და საერთოდ, ბატონო აკაკი, ეჭვი არაა, მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება გასული წლის თქვენეული ანალიზი, შეფასება...

აკაკი ბაქრაძე _ როგორც ჩანს, გაზეთ «სიმართლეში» (1992 წ. № 2) ჩემმა ნათქვამმა უკმარისობის გრძნობა გააჩინა. შევეცდები უფრო დაწვრილებით გიპასუხოთ, ოღონდ გლახა ჭრიაშვილივით გაჭიანურებული პასუხი თუ გამომივიდა, მაპატიეთ.

იმგვარი მოვლენა, რაც 1985 წლიდან იმ თხუთმეტ ქვეყანაში ხდება, რომელთაც ერთად სსრკ ეწოდებოდა, კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. პირველად კაცობრიობის ისტორიაში თხუთმეტი ქვეყანა უკან, წარსულში უნდა დაბრუნდეს. უარყოს 1917 წლიდან გავლილი გზა და ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

რუსეთის იმპერია, მართალია ჩამორჩენილი სახელმწიფო იყო, მაგრამ, დანარჩენ კაცობრიობასთან ერთად, ბუნებრივი გზით ვითარდებოდა. ამ ბუნებრივი განვითარების შედეგად მომზადდა 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. უბედურება მერე დატრიალდა, როცა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ძალაუფლება ხელში ბოლშევიკებმა ჩაიგდეს. თუ აქამდე რუსეთის იმპერიაში მოსახლე ხალხები ისტორიის განვითარების ბუნებრივ გზას მიჰყვებოდნენ, 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ, ისინი სულ სხვა მიმართულებით წავიდნენ. იმისი ახსნა, რატომ მოხდა ეს, რატომ შეცვალა თებერვლის რევოლუცია ოქტომბრის რევოლუციამ, მთელ ნარკვევს მოითხოვს, მაგრამ ამჟამად ამაზე ლაპარაკი არ არის საჭირო. მთავარია ფაქტი. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ თებერვლის რევოლუცია დაემხო და ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა. ე.ი. გაიმარჯვა განვითარების არაბუნებრივმა, უტოპიურმა გზამ.

ოქტომბრის რევოლუცია რუსეთის იმპერიის ხალხების საზოგადოებრივი ცხოვრების ძირფესვიან შეცვლას ნიშნავდა.

უარყოფილი იქნა კერძო საკუთრება და დამკვიდრდა საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრება. დაიშალა კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა და დაიწყო სოციალისტური ეკონომიკური სისტემის შექმნა.

უარყოფილი იქნა რელიგია და დაიწყო ათეიზმის დამკვიდრება.

უარყოფილი იქნა არა მარტო მონარქია, არამედ მრავალპარტიული პარლამენტური რესპუბლიკაც. დაწესდა სახელად პროლეტარიატის დიქტატურა, საქმით კი – კომპარტიის დიქტატურა.

გაუქმდა პიროვნების თავისუფლება. მას ჩამოერთვა ყველა უფლება. იგი გახდა სახელწიფოს უბრალო ჭანჭიკი (თუმცა სსრკ-ის კონსტიტუცია სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდა). შეიქმნა საკონცენტრაციო ბანაკის ტიპის სახელმწიფო, რომელშიც ადამიანები ჯოგური წესით ცხოვრობდნენ. ჯოგს განაგებდა ყველა უფლებით აღჭურვილი მწყემსი.

სსრკ-ში შექმნილი სოციალისტური სისტემა თავისი არსით ანტიადამიანური, ანტისაზოგადოებრივი იყო. ეწინააღმდეგებოდა კაცობრიობის განვითარების ბუნებრივ კანონს. ამიტომ იგი უთუოდ უნდა დანგრეულიყო. დაინგრა კიდეც, სამოცდაათი თუ სამოცდათხუთმეტი წელიწადი ერთი ადამიანის სიცოცხლისათვის არის ხანგრძლივი პერიოდი, თორემ ისტორიისათვის თვალის ერთი დახამხამებაა. არც ერთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა არ არსებულა ასე ხანმოკლედ. მონათმფლობელობამაც, ფეოდალიზმმაც, კაპიტალიზმმაც საუკუნეებს გაუძლეს. მარტო მონათმფლობელური რომის იმპერია არსებობდა ათასი წელიწადი. სოციალიზმმა კი, რის ვაივაგლახით, ძლივს გასტანა სამოცდაათ წელიწადს.

სოციალიზმი, რაკი ანტიბუნებრივი, ანტიადამიანური მოვლენა იყო, თანდათანობით შიგნიდან გამოიხრა, შიგნიდან გამოიღრღნა და ერთ მშვენიერ დღეს დაიქცა.

სსრკ-ისა და სოციალისტური სისტემის არსებობა ერთი ფრიად საყურადღებო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: სსრკ-იც და სოციალისტური სისტემაც კომუნიზმის იდეით ფანატიკურად შეპყრობილი ადამიანების ძალისა და გონისხმევით შეიქმნა. მაგრამ იგი არ დანგრეულა ადამიანთა ძალის ან გონისხმევით. იგი თავისთავად, ბუნებრივი აუცილებლობით დაემხო. მაშასადამე, ადამიანს ძალუძს დროებით ანტიბუნებრივი საქმის გაკეთება, მაგრამ არ შეუძლია მისი შენარჩუნება. შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ იმის, რაც ბუნებრივია, რაც ბუნების არსებობისა და განვითარების კანონზომიერებას ემორჩილება. რაკი სსრკ დაიშალა და სოციალიზმი დაემხო, სსრკ-ში შემავალი 15 ქვეყანა ისტორიული განვითარების ბუნებრივ გზას უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ როგორ _ უცბად, ერთბაშად, ანუ რევოლუციურად თუ თანდათანობით, ანუ ევოლუციურად?

რევოლუცია ყოველთვის მიმართავს ძალდატანებას. ბოლშევიკებმა კერძო საკუთრება საზოგადოებრივ საკუთრებად ძალდატანებით შეცვალეს. მიწებს ცემა-ტყეპით, დაჭერა-დახვრეტით ართმევდნენ ხალხს და კოლმეურნეობებშიც მათრახით მიერეკებოდნენ. ამიტომ მიმართავდნენ ლიანგურ რეპრესიებს. როგორც ვნახეთ, საზოგადოებრივმა საკუთრებამ ვერ გაამართლა. სამეურნეო თვალსაზრისით, იგი ჩიხში აღმოჩნდა. დღეს ყველასათვის ნათელი გახდა, რომ აუცილებელია ისევ კერძო საკუთრებისაკენ მიბრუნება. სხვა გზა აღარ არსებობს. როგორ აღვადგინოთ კერძო საკუთრება _ ისევ ძალდატანებით თუ ნელ-ნელა, თანდათანობით? ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც ასე ვთვლი: კერძო საკუთრების თავიდან შემოღება უნდა მოხდეს თანდათანობით, ნელ-ნელა, დაკვირვებით, რომ ისევ არ დავუშვათ საბედისწერო შეცდომა. რევოლუციურად, ანუ უცბად, ერთბაშად კერძო საკუთრების შემოღება ისევ სისხლთან, ძალადობასთან, უკანონობასთან მიგვიყვანს.

ბოლშევიკებმა კომუნისტური დიქტატურაც ძალდატანებით დაამყარეს. ესეც ლიანგური რეპრესიებით განახორციელეს. გახსოვთ, ალბათ, ბუხარინის ცინიკური

ხუმრობა: ჩვენ, ბოლშევიკებიც, მრავალპარტიულობის მომხრე ვართ, ოღონდ ერთი პირობით: ერთი პარტია ხელისუფლების სათავეში, დანარჩენი _ ციხეშიო. მაგრამ ღმერთი სამართლიანია და თავად იწვნია, რაც არის ბოლშევიკების ციხეში ჯდომა. ახლა აუცილებელია სახელმწიფოს მმართველობის დემოკრატიული წესების აღდგენა-დამკვიდრება. სხვაგვარად ვერც ერთი სსრკ-ის თხუთმეტი რესპუბლიკიდან, მსოფლიო სახელმწიფოთა თანავარსკვლავედში ვერ შევა. მაგრამ სსრკ-ში შემავალ ხალხებს დიქტატურა შესისხლხორცებული აქვთ, ძვალსა და რბილში გამჯდარი. მათთვის დემოკრატია უცხო ხილია. დემოკრატიის არცოდნა ბუნებრივია. სსრკ-ში შემავალ ხალხებს _ არც სლავებს, არც კავკასიელებს, არც შუააზიელებს _ არასოდეს უცხოვრიათ დემოკრატიულ მმართველობაში. ეს ხალხები მონარქიული დესპოტიიდან ბოლშევიკურ დესპოტიაში მოხვდნენ. უცბად და ერთბაშად, ცხადია, დემოკრატიის მოტრფიალენი ვერ გახდებიან. როგორ ვასწავლოთ მათ დემოკრატია _ ისევ ძალდატანებით, ცემა-ტყეპით (ნუ გაგიკვირდებათ, ასეც შეიძლება დემოკრატიის სწავლა) თუ ნელ-ნელა, თანდათანობით, შთაგონებით? რა თქმა უნდა, თანდათანობით და შეგნებით. სხვა ყველა გზა ისევ ძალადობასა და სისხლს გამოიწვევს.

ერთი სიტყვით, საქართველოში (ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში) ძირეული, ძირფესვიანი ცვლილება უნდა მოხდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში _ პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთობაში, განათლებაში, კულტურაში. ეს ცვლილება თავისი შინაარსით რევოლუციურია, მაგრამ იგი ევოლუციური გზით უნდა განხორციელდეს. ეს იყო და არის ჩემი პოზიცია. მაგრამ ეს თანდათანობითი ცვლილება 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კი არ უნდა დაგვეწყო, არამედ გაცილებით ადრე, არსებითად, 1985 წლიდან. ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას გამოცდილება და შორსმჭვრეტელობა არ ეყო, რომ მიმხვდარიყო: 1953 წლიდან 1985 წლამდე სსრკ-მა და სოციალიზმმა ინერციით იგორა. 1985 წელს ინერციის ენერგია გამოილია და სსრკ-ის და სოციალიზმის ისტორია დამთავრდა. ეს კარგა ხანს არ დავიჯერეთ. ჩემი აზრით, ეს შეცდომა საპატიოა. ჩვენ კი არა, ამას თითო-ოროლა კაცის გარდა, მსოფლიოში ვერავინ მიხვდა. მსოფლიო პოლიტიკა დიდხანს უყურებდა მოვლენებს ეჭვის თვალით და ფიქრობდა: სსრკ-ში ნეტავ რას თვალთმაქცობენო და ფრთხილად უტრიალებდა გარშემო. ისტორიული პროცესის აზრი რომ უფრო ადრე ამოგვეცნო, მაშინ ბევრად უკეთ მომზადებული შეხვდებოდა ეროვნული მოძრაობა ოქტომბრის არჩევნებს. მაგრამ ეროვნული თავისუფლების მალე მოპოვების ეიფორიამ შეგვიპყრო და დრო, რომელიც ძირეული ცვლილების მომზადებას სჭირდებოდა, თვალსა და ხელს შუა გაგვეპარა.

თუ გახსოვთ, მიხეილ ჭიაურელის ფილმში «არსენა», ერთი ასეთი ეპიზოდია: საბარათიანოში რუსის ჯარი შედის. ხევზე გადებულ ხიდზე ზარბაზანი უნდა გაატარონ. ზარბაზნის სიმძიმეს ხიდი ვერ უძლებს და სადაც არის ჩაიქცევა. რუსი ჯარისკაცი ცდილობს ბოძად შეუდგეს ხიდს, მაგრამ მასაც არ ყოფნის ღონე, შეაკავოს ხიდის ნგრევა. ცოტაც და ხიდი ჩაინგრევა, ჯარისკაცსაც ქვეშ მოიყოლებს და ზარბაზანიც ხევში ჩაიმსხვრევა. მოულოდნელად არსენა მოვარდება. იგი შეებიჯგება ხიდს. მძლავრი ბეჭებით ხიდსაც გაამაგრებს, ზარბაზანიც მშვიდობიანად გაივლის და რუსი სალდათიც სიკვდილს გადარჩება.

იმ ხიდივით ინგრეოდა სსრკ 1990 წელს. ნგრევად უზარმაზარ სახელმწიფოს ბოძებად კომუნისტები ედგნენ. ეტყობა, ქართველი კომუნისტები მიხვდნენ, რომ დანგრეული სსრკ მათ ქვეშ მოიყოლებდა და გასრესდა. ისინი 28 ოქტომბრის არჩევნებში ეშმაკურად გამოეცალნენ საქართველოს სახელმწიფოს ნგრევად შენობას და ეროვნული მოძრაობის მხრებზე გადადგეს. ამიერიდან ყველა პასუხისმგებლობა 28

ოქტომბრის ხელისუფლებას ეკისრებოდა. მაგრამ იგი არსენასავით ღონიერი ვერ აღმოჩნდა, რომ საქართველოში შეეჩერებინა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული რღვევა. ეს პროცესი გრძელდებოდა. მისი შეჩერება შეეძლო ძირეულ, რადიკალურ რეფორმებს სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში. მის გატარებას სჭირდებოდა დიდი გამბედაობა, დიდი ნებისყოფა, დიდი ჭკუა, დიდი შორსმჭვრეტელობა და დიდი ენერგია. 28 ოქტომბრის ხელისუფლებამ ეს ვერ გაბედა. დღევანდელ საქართველოში კი ყოველი ხელისუფლება, რომელიც ვერ შეძლებს ძირეული, რადიკალური რეფორმების განხორციელებას, განწირულია დასამარცხებლად.

რაკი რადიკალური რეფორმები არ დაიწყო, წინსვლის მაგიერ ეროვნულმა მოძრაობამ ერთ ადგილას დაიწყო ტრიალი. ამან მისი შინაგანი დაშლა გამოიწვია, რის შედეგადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გადაიქცა კლასობრივ-პარტიულ ბრძოლად (ამის საბუთია 1991 წლის პრესა, რადიო-ტელევიზია, მიტინგებზე გამოსვლები). ეს ცვლილება იყო, და თანაც არსებითი, მაგრამ, როგორც ვთქვი, არ გახლდათ განვითარება, ევოლუცია.

კლასობრივ-პარტიულ ბრძოლას კი, როგორც წესი, იმ გარდაუვალ შედეგებამდე მივყავართ, რაც საქართველოში მოხდა.

ფ.კ. –შარშან, პრეზიდენტის არჩევნებისას ბევრს დასწყდა გული, რომ თქვენი კანდიდატურა ვერ იხილა პრეტენდენტთა შორის... უამრავ ადამიანს დღესაც აინტერესებს, თუ რატომ მოხდა ეს, თუ რატომ არ დააყენეთ ამომრჩეველი, როგორც ბატონი ნოდარ ნათაძე შენიშნავს, «უკეთესი არჩევანის წინაშე»..._

ა.ბ. _ საკითხავი უფრო ის არის, ვინც მიიღო მონაწილეობა, იმათ რატომ მიიღეს? მე ვიყავი და ვარ მომხრე იმისა, რომ საქართველო, პოლიტიკური მმართველობის თვალსაზრისით, იყოს პარლამენტური რესპუბლიკა. სხვათა შორის, ასეთი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-21 წლებში. მას ჰყავდა დამფუძნებელი კრება და მთავრობა, რომლის თავმჯდომარე იყო ჯერ ნოე რამიშვილი (მცირე ხნით) და მერე ნოე ჟორდანია. მაშინ საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყოლია. ჩემი ფიქრით, ეს იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსების ძალიან გონივრული გადაწყვეტილება იყო.

საერთოდ, ვითარებაში, როცა ესა თუ ის ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ყალიბდება, ძალიან სახიფათოა ერთი პიროვნების ხელში მთელი ძალაუფლების თავმოყრა. ეს ყოველთვის ცუდად მთავრდება როგორც ქვეყნისათვის, ისე პიროვნებისათვის. ამის უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ისე კი, ადამიანი საკუთარი რწმენის წინააღმდეგ არ უნდა წავიდეს და, ცხადია, მეც ვერ წავიდოდი ჩემი რწმენის წინააღმდეგ.

ფ.კ. – ბატონო აკაკი, გასულ წელს მეტად «ხმამაღლა ჟღერდა» თქვენი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დემონსტრაციული დუმილი, რაც იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ პრესის საშუალებით _ აგრესიულად თუ კრძალვით _ პოზიციის გამოხატვას, «გამოჩენას» გთხოვდნენ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ისე თქვენს ხმას გულწრფელად მოწყურებული უბრალო ადამიანები...

რა იყო, ბატონო აკაკი, თქვენი დუმილის (თუმცა ზოგჯერ დუმილიც პოზიციაა), მიზეზი? უაზრობად, უკაცრავად გამოთქმისათვის, «წყლის ნაყვად» ხომ არ მიგაჩნდათ მაშინ არსებულ ვითარებაში რაიმეს თქმა?

ა.ბ. _ სრულებითაც არ ვყოფილვარ გაჩუმებული. ჩემს საქმეს ვაკეთებდი. 1991 წელს დავწერე წიგნი აკაკი წერეთელზე (იმ ხასიათის, როგორიც არის ჩემი «ილია ჭავჭავაძე»

და «ნიკო ნიკოლაძე»). იგი უნდა დაბეჭდილიყო ჟურნალ «განთიადის» მეთერთმეტე ნომერში და ცალკე წიგნად გამოსულიყო გამომცემლობა «ნაკადულში», მაგრამ უქაღალდობის გამო შეფერხდა საქმე და დღემდე არ მიუღია მკითხველს. მზია ბაქრაძესთან ერთად (რადიოჟურნალისტში არ შეგეშალოთ. ეს გახლავთ ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტი) ვთარგმნე რემონ დიუ გეს წიგნი «მოსკოვი და წამებული საქართველო», რომელსაც ბეჭდავს ჟურნალი «ცისკარი». გამოვაქვეყნე რამდენიმე სტატია გაზეთებში «ცხოვრება და კანონი», «მამული». დავწერე წინასიტყვაობა კრებულისათვის «სიყვარულის წიგნი». რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა «სარანგს» დასასტამბად გადავეცი წიგნი «დაწუნებული გზა».

თუ ჩემი ხმა საზოგადოებას ვერ წვდებოდა, ეს იმის ბრალი კი არ იყო, რომ მე ვდუმდი, არამედ იმისა, რომ უფრო ხმამაღლა ჩემი ლანძღვა-გინება ისმოდა.

ფ.კ. – ბატონო აკაკი, ბოლო წლებში თქვენ არა ერთი და ორი საინტერესო მნიშვნელოვანი პოლიტოლოგიური ხასიათის წერილი გამოაქვეყნეთ. ამდენად კარგი იქნება საქართველოში და საქართველოს გარშემო დღეს არსებული სიტუაციის თქვენეული დახასიათება, შეფასება; პირველ რიგში გადასაწყვეტი რა ამოცანები დგას ხელისუფლების, მთელი ერის წინაშე, რათა, თქვენივე სიტყვებით თუ ვიტყვით, ისტორიის ასპარეზიდან არ გავქრეთ?

ა.ბ. – საქართველოს თავსდატეხილი უბედურება სწორედ ის გახლავთ, რომ ყველა საკითხი პირველი რიგის არის. აღარ იცი, რომელს მიანიჭო უპირატესობა, რით დაიწყო. ყველა საკითხი ერთდროულ დაწყებას ითხოვს. მაგრამ მაინც, მე მგონია, რომ თავდაპირველად უნდა განისაზღვროს, რა ორიენტაციას ადგება საქართველო. იმაზე მსჯელობაში _ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან (დსთ _ СНГ), _ ჩემი აზრით, დრო არ უნდა დაიკარგოს. დსთ ხელოვნურად შეკოწიწებული კავშირია და იგი სულ მოკლე ხანში საპნის ბუშტივით გაქრება. ამის საბუთად უკრაინა-რუსეთის დაძაბული ურთიერთობაც კმარა. ვერც რუსეთის ფედერაციის რღვევას შეაჩერებს რაიმე ძალა. ელცინი კი არა, რაც გენიალური პოლიტიკოსები იყვნენ ამქვეყნად, ყველა ერთად რომ გააცოცხლო, რუსეთის ფედერაციას დაშლისაგან ვერ იხსნიან. ეს ისტორიის გარდაუვალი განაჩენია და იმიტომ. როგორც სსრკ აღარ არსებობს დღეს, ასევე აღარ იარსებებს სულ მოკლე ხანში რსფსრ-ც. ასე, რომ ისეთ არაფერთან ურთიერთობა, როგორიც დსთ-ა საქართველოს არ სჭირდება. ამისათვის არც თავი უნდა შეიწუხოს და არც დრო უნდა დაკარგოს.

საქართველოს ბედზე შეიძლება ძალიან იმოქმედოს რუსეთ-უკრაინის მომავალმა ომმა. ამ ომის რეალური საშიშროება არსებობს. რუსეთს ორი გზა აქვს: ან უნდა შეეგუოს უკრაინის დაკარგვას, დათმოს ყველაფერი, რასაც უკრაინა ითხოვს ან ომის საშუალებით შეეცადოს უკრაინის შენარჩუნებას. ეს ომი იქნება დამღუპველი უკრაინისთვისაც, რუსეთისთვისაც და სხვა ქვეყნებისთვისაც, რომლებიც რუსეთ-უკრაინას მეზობლობენ. თუ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ყველას პირწმინდად არ დაუკარგავს ჭკუა, ეს ომი როგორმე თავიდან უნდა აიცდინონ. რა თქმა უნდა, საქართველოსათვისაც არ არის სასურველი რუსეთ-უკრაინის ომი, მაგრამ მათ შორის ურთიერთობის გართულება-დაძაბვა კი საჭიროა. მაშინ რუსეთს გაუჭირდება ჩაყოს ცხვირი საქართველოს საშინაო საქმეებში და წყალი აამღვრიოს.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ მსოფლიოში ის წონასწორობა დაირღვა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა. აშშ მარტო დარჩა მსოფლიოს «მბრძანებლად». ისტორია ითხოვს, რომ მას მეტოქე გაუჩნდეს. ეს იქნება ერთიანი ევროპა გერმანიის მეთაურობით.

საქართველომ ეს უნდა გაითვალისწინოს და ევროპაზე აიღოს ორიენტაცია. მართალია, აშშ დღეს მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, იგი ამჟამად ეკონომიკური და პოლიტიკური დიდების მწვერვალზეა, მაგრამ სულ მწვერვალზე ვერ გაჩერდება. უკან, დაბლა ჩამოსვლა უნდა დაიწყოს. ეს არსებობის კანონზომიერებაა. ერთიანი ევროპა კი მწვერვალისაკენ მიმავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობაა. საქართველო იმას უნდა გაჰყვეს, ვინც მწვერვალისაკენ მიდის და არა იმას, ვინც მწვერვალიდან უნდა ჩამოვიდეს.

ეს ერთი. მეორეც უნდა გავითვალისწინოთ. სულ უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთება ისლამური ფუნდამენტალიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებული მაჰმადიანურ სახელმწიფოთა ერთობა. დღეს ფარული ომი მიმდინარეობს სსრკ-ის მაჰმადიანური ნაწილის ხელში ჩასაგდებად. ერთი მხრივ, ეს სურს ისლამურ ფუნდამენტალიზმს და, მეორე მხრივ, დემოკრატიული ზომიერების ქვეყნებს. ბეიკერი რომ წამდაუწუმ შუა აზიაში დარბის, ამით არის განპირობებული. ისლამური ფუნდამენტალიზმი მომავალი მსოფლიოსთვის მომაკვდინებელი საშიშროებაა, ისტორიის თვალსაწიერზე იკვეთება ახალი ჯვაროსნული ომი _ ქრისტიანული მსოფლიო და მაჰმადიანური მსოფლიო (სხვათა შორის, ამ დაპირისპირებას ნოსტრადამუსიც წინასწარმეტყველებს). ამიტომ განაცხადა ელცინმა _ რუსული რაკეტები აშშ-ის ქალაქებისაკენ აღარ არიანო დამიზნებული. რუსულმა რაკეტებმა პირი იბრუნეს და სამხრეთისაკენ მიიხედეს. ახლა იმ რაკეტების ღილაკებზე სპარსულ-არაბული ქალაქების სახელები იწერება. ამიტომ ისლამურ ფუნდამენტალიზმს ჰაერივით სჭირდება თერმობირთვული ბომბის მფლობელი ყაზახეთი. დანარჩენმა მსოფლიომ კი იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ეს ბომბი ხელთ არ ჩაუვარდეთ ისლამურ ფუნდამენტალისტებს. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, შუა აზია და ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილოკავკასიელი და ვოლგისპირელი მაჰმადიანები ვის მიემხრობიან _ ისლამური ფუნდამენტალიზმის კლასიკურ ქვეყანას ირანს თუ ევროპული ორიენტაციის სახელმწიფოს თურქეთს.

ირანიც და თურქეთიც, მოგეხსენებათ, სომხეთ-საქართველოს უძველესი მეზობლები და მტერ-მოყვარენი არიან. გარდა ამისა, სომხეთ-საქართველოს ისეთი გეოგრაფიული ადგილი უჭირავს, რომ შეიძლება მომავალ დაპირისპირებაში შეიძინოს უპირველესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა. შეიძლება წინა აზიაში სომხეთ-საქართველო გახდეს ევროპა-ამერიკის ისეთი საყრდენი, როგორიც ამჟამად ისრაელია. საქართველომაც და სომხეთმაც ამ ვითარებით უნდა ისარგებლონ და იგი თავიანთი კეთილდღეობისათვის გამოიყენონ.

თუ ჭკუა გვეყოფა და შექმნილ ვითარებას გონივრულად გამოვიყენებთ, საქართველო ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სოციალურად, კულტურულად აყვავებულ ქვეყნად იქცევა. თუ ვერაფერს მივხვდით და ძველებურად გავაგრძელეთ ქუჩა-ქუჩა სირბილი, მიტინგების ისტერია, არ მოვიშალეთ ერთმანეთში კინკლაობა, ერთი სიტყვით, თუ საქართველოში არ შეიქმნა მყარი, სტაბილური სიტუაცია, არავინ ჩვენკენ არ მოიხედავს. არავინ გამოგვიწვდის ხელს და სამუდამოდ ბნელეთში ჩავიძირებით.

საერთაშორისო ყველანაირი გარემოება საქართველოს სასარგებლოდ მეტყველებს. ახლა ქართველ ხალხზეა (დიახ, ქართველ ხალხზე და არა მხოლოდ ხელისუფლებაზე) დამოკიდებული, რას იზამს _ ფეხს ჰკრავს კარზე მომდგარ თავისუფლებას თუ მას ფართოდ გაუღებს ჭიშკარს.

ფ.კ.– დღეს ჩვენში დიდი მსჯელობაა საქართველოში მონარქიის აღდგენა-არაღდგენის თაობაზე. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?

ა.ბ. _ ერთი ანდაზაა: ქვეყანა იქცეოდა და ციბაძე ბუქნას თამაშობდაო. იმ მძიმე ვითარებაში, რაშიც დღეს საქართველოა, მონარქიის აღდგენაზე ლაპარაკი ციბაძის

საქციელად მიმაჩნია. ევროპაში ყველგან, სადაც ამჟამად მონარქია არსებობს, მეფესა და მის სამეფო კარს ბუტაფორიის მნიშვნელობა აქვს. განა საქართველოს დღეს ბუტაფორიისათვის სცალია?! თან მეტად ძვირი ღირს ეს ბუტაფორია. შვედეთი, ბელგია თუ სხვანი, ინგლისზე რომ არაფერი ვთქვათ, მდიდარი ქვეყნებია და შეუძლიათ თავიანთ თავს უფლება მისცენ მონარქიის ბუტაფორიით ითამაშონ. საქართველომ რომ იმ სიმდიდრეს მიაღწიოს, რაც იმათ აქვთ, ორასი წელიწადი მაინც სჭირდება. ესეც იმ შემთხვევაში მოხდება, შრომით წელზე ფეხს თუ დავიდგამთ. ორასი წლის შემდეგ, თუ კიდევ იქნება ვინმე მონარქიის ბუტაფორიით თამაშის გუნებაზე, კი, ბატონო, ითამაშონ. დღეს კი ამის დრო არ არის და, თუ რაიმე შეგვიძლია, ჩვენი ნიჭი, ძალ-ღონე საქართველოს გადასარჩენად რეალურ შრომაში დავხარჯოთ.

ფ.კ. – ბატონო აკაკი, თქვენს ნაწერებში დიდი ადგილი ეთმობა ქართული ხასიათის კვლევას, ბევრი მწარე, «მკვახე შეძახილია» გამოთქმული ნაკლოვან, უარსათქმელ თვისებებზე. წერილში «მკვახე შეძახილი», აღნიშნავდით: «...ჩვენ კი სასტუმროს დავემსგავსეთ, სადაც ვისაც უნდა, როგორც უნდა და რამდენ ხანსაც უნდა, ისე ცხოვრობს. ეს კი სხვა არაფრის ბრალია, თუ არა ცუდად გაგებული იმ სილაღისა, რომელსაც ქართველი თავადაზნაურობა იჩენდა», რითაც «ქართველ ხალხს სამუდამოდ დაკარგული მიწა-წყალი დაუტოვეს».

მიწა-წყალი დაიკარგა «აქეთ», ჩვენს «არათავადაზნაურულ» პერიოდშიც. ორი წლის წინ გამოქვეყნდა ცნობა, რომ მარტო თბილისსა და მის შემოგარენში 18.000-ზე მეტი სახლი აშენდა უკანონოდ (ძირითადად არაქართველთა მიერ); გაყიდულ, მიტაცებულ იქნა უამრავი მიწა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. და ეს ხდებოდა ყველას, მთელი ხალხის თვალწინ. უბრალოდ, პროტესტის გრძნობაც კი არ გასჩენია არავის (მცირერიცხოვან გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით) და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის დროშით ხდებოდა ეს ყოველივე. კიდევ უფრო საინტერესო, მთავარი ისაა, რომ ამგვარი «ახსნა», «დროშა», «მასობრივ დონეზე» ხალისით იყო მიღებულ-გაზიარებული.

ხომ არ მიგაჩნიათ, ბატონო აკაკი, რომ ისეთი «აქსიომატური ჭეშმარიტებების» ხშირ-ხშირი, ამაყი გაცხადებებით (ყველა დონეზე), როგორიცაა «ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ ბუნებით!», «ჩვენ შემწყნარებლები ვართ!», «სხვებისთვის ლუკმისა და ჭერის გაყოფა ჩვენი ღირსებაა, ჩვენს ბუნებაშია!» და ა.შ. ხდებოდა არა მარტო და არა იმდენად ზემოაღნიშნული «სილაღის», არამედ საკუთარი უნიათობის, შინაგანი სისუსტის, უდარდელობის, უპასუხისმგებლობის, «ეზოს პატრიოტიზმის» («მთავარია, ჩემი სახლი, ეზო _ საკუთრად შემოღობილი ეზო _ მოვაწყო კარგად, იმის იქით რა ხდება, რა ჩემი საქმეა!») გამართლება? (ისევე, როგორც ამგვარი «თვითგანწმენდის», «თვითგამართლების» მოხერხებულ საშუალებად იქცა ასევე ერთობ მიღებულ-გათავისებული «70-წლიანი მონობის» პოსტულატი, _ «რა უნდა გვექნა, კიდევ კარგადა ვართ, კიდევ კარგები ვართ 70-წლიანი მონობის შემდეგ!»).

ა.ბ. _ აკაკი წერეთელი ერთ საყურადღებო ამბავს გვიყვება. აკაკის ნათესავი ჰყავდა ნესტორ წერეთელი. ეს კაცი სამხედრო პირი იყო, პეტერბურგში აღზრდილი, დეკაბრისტთა ამბოხის მონაწილე. დეკაბრისტები რომ დამარცხდნენ, ნესტორ წერეთელს სასჯელად სამსახურიდან დათხოვნა და საქართველოში დაბრუნება ერგო. იგი თავის მამულში, საწერეთლოში დასახლდა. ერთ დღეს, საღამოთი, ნახა, რომ საქონელი ბაკში არ შეერეკათ. იკითხა _ პირუტყვი გარეთ რატომ არისო დარჩენილი. მოსამსახურეებმა უპასუხეს _ მწყემსი ავად გახდა და ვინ შერეკავდაო. ნესტორ წერეთელს გაუკვირდა ეს _ კი მაგრამ, თქვენ რატომ არ შერეკეთ?! თქვენ ხომ თავისუფალი იყავით და არც ჯანმრთელობას უჩიოდითო. ახლა მოსამსახურეების

გაოცების ჯერი დადგა _ ჩვენ საქონლის პატრონობა არ გვევალება. ჩვენ ყველას ჩვენი საქმე გვაქვს და სხვისი რატომ უნდა გავაკეთოთო. ამ პასუხმა ნესტორ წერეთელი გადარია. _ ასეთი ბრიყვული პასუხი მეტი აღარ გავიგონოო, უყვირა მოსამსახურეებს. თქვენი ვალია ჩემს მამულსა და სახლკარს მოუაროთ. როცა თავისუფალი ხართ ყველამ ყველაფერი უნდა გააკეთოთ. სულ არ მაინტერესებს, კონკრეტულად ვის რა ევალება. ახლავე საქონელი ბაკში დააბინავეთო.

იმ ღამეს შინამოსამსახურეებმა ნესტორ წერეთელი მოკლეს.

როცა ალექსანდრე ორბელიანისა და აკაკის წერილებს კითხულობთ ქართულ ბატონყმობაზე, ცხადად ჩანს, რომ ყმებს მკაფიოდ გამოკვეთილი ვალდებულებანი ჰქონდათ. მეპურეს პური უნდა გამოეცხო. სხვა საქმეს მას ვერ დაავალებდნენ. არც მეპურე გააკეთებდა. მეღვინეს ღვინო უნდა მიეტანა ბატონთან. სხვა საქმე მას არ ევალებოდა და არც გააკეთებდა. მეურმე ურმით უნდა მომსახურებოდა. სხვა ვალდებულება მას არ ედო. ერთი სიტყვით, რაც გლეხს არ ევალებოდა, ვერც ბატონი დააკისრებდა და არც გლეხი შეასრულებდა ამ დავალებას. ტრადიციით გაუთვალისწინებელი ვალდებულების დაკისრება გაუგონარ უსამართლობად ითვლებოდა.

საუკუნეების მანძილზე ცხოვრების ამგვარმა წესმა ქართველ კაცს მყარი შეგნება ჩამოუყალიბა: უნდა უპატრონოს და მოუაროს იმას, რაც მას ეკუთვნის და რისი მოვლაც ევალება. სხვა რამ მას არ ეკითხება.

ეს შეგნება დღესაც ყოველ წვრილმანში ვლინდება. დააკვირდით: მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებს თუ დაათვალიერებთ, ნახავთ რა ჭუჭყსა და ნაგავშია ისინი ჩაფლული. რა უპატრონობა სუფევს. აბა, ბინებში შებრძანდით. სისუფთავისაგან ყველაფერი პრიალებს, კრიალებს, ლაპლაპებს. რატომ? იმიტომ, რომ ქართველმა იცის, ბინა მისია, სადარბაზო კი ყველასი. რაკი ყველასია, მას სადარბაზოსთან არა ესაქმება რა. ვისაც სურს, იმან მოუაროს.

ყველა ჩვენთაგანს უნახავს დიასახლისი, რომელიც ბინაში შესასვლელ კართან პაწია მოედანს გულმოდგინედ ასუფთავებს, მაგრამ ნაგავს იქვე, კიბის საფეხურებზე ყრის. იმიტომ, რომ ის შესასვლელი მისი ბინის ნაწილია, კიბე კი ყველასი. ამიტომ იგი შეიძლება უპატრონოდ დარჩეს.

ხომ მოგისმენიათ _ როგორ იხვეწებიან ენერგეტიკოსები, ელექტროენერგიის სიმცირის გამო გამორთეთ ყველა ნათურა და ელექტროხელსაწყო, რომელიც არ გჭირდებათო. რთავს ვინმე? სხვებისა არ ვიცი, მაგრამ მე არ მინახავს, რომ ვინმე ამ მოთხოვნას ასრულებდეს. არც შეასრულებს (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა). რატომ უნდა დაზოგოს ელექტროენერგია? მისი ხომ არ არის? ეს ენერგეტიკოსების საქმეა და, თუ ძალიან სურთ, თავად მოუარონ საქმეს.

სოფლებში რომ გაივლი, თვალს მოგჭრის ჩვენი გლეხების მოვლილ-ნაპატრონები ეზოები. იმ ეზოებს რომ უყურებ, თავი სამოთხეში გგონია. მაგრამ ამ ეზოების წინ რომსოფლის შარა მიდის, იმის ნახვა მტრისას: გადათხრილ-გადმოთხრილი, ორმოებით დაგლეჯილი, ქვა-ღორღით სავსე, უყურადღებოდ და უპატრონოდ მიტოვებული.

მთელ სოფელს თავისუფლად შეუძლია მისი შეკეთება. შეუძლია სოფლის სანიმუშო შარაგზა ჰქონდეს, მაგრამ არ აკეთებს. ეს მისი არ არის და იმიტომ. ასე ჰგონია მის შეგნებას, ეს გზა ვიღაცამ სხვამ უნდა შეაკეთოს და შეარემონტოს.

უთვალავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ზუსტად ის შეგნება ვლინდება, რასაც ნესტორ წერეთლის ყმები ავლენენ: საქონელი ბაკში რატომ შევრეკო, მწყემსი ხომ არ ვარო?! არ მევალება. სადარბაზოს რატომ მოვუარო, ჩემი ხომ არ არის?! გზა რატომ შევაკეთო, ჩემი ხომ არ არის? უცხო ტომმა რომ აითვისა, იმ ქართული მიწებისადმი

დამოკიდებულებაც ასეთია: დასახლდა უცხო, მაგრამ თავი რატომ უნდა შევიწუხო, ჩემი ხომ არ არის მიწა. თუ ეს შესაწუხებელია, მაშინ ხელისუფლებამ იმტვრიოს თავი. მე რა შუაში ვარ?!

თუ ქართველი საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში თავის ნებით გადასახლდა, მაშინ თავს კარგად გრძნობს. მაგალითად, იმერლები ლაგოდეხის რაიონში ჩასახლებულნი ან ფშავლები შირაქში დამკვიდრებულნი. მაგრამ თუ ხელისუფლებამ გააკეთა ეს და ერთი კუთხიდან მეორეში გადაასახლა ქართველი, ამას ვერასდიდებით ვერ ეგუება. მაგალითად, ორმოციან წლებში იმერლები და რაჭველები მესხეთში ჩაასახლა ხელისუფლებამ. არათუ ისინი, ვისაც ეს გადასახლება ერგო, არამედ იმათი შვილიშვილებიც კი გულსაკლავად წუწუნებენ _ რა უნდა იმერელ კაცს მესხეთში? რა უნდა რაჭველ კაცს მესხეთში? და იმ დღეზე ოცნებობენ, როცა რაჭაში ან იმერეთში დაბრუნდებიან. იმას კი ნაკლებად ფიქრობენ, რომ ყოველ მტკაველ დაუსახლებელ ქართულ მიწას მაშინვე აითვისებს უცხო ტომი.

დიდი დრო დასჭირდება იმ შეგნების ჩამოყალიბებას, რომ ქართველმა თავისთავი საქართველოს, ქართული მიწა-წყლის პატრონად სცნოს; დაიჯეროს: ხელისუფლება კი არ არის საქართველოს პატრონი, არამედ ქართველი ხალხი.

ხალხმა უნდა იცოდეს თავისთავის პატრონობა. ხალხი მარტო ხელისუფლების იმედად არ უნდა არსებობდეს. ამის შეგნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს.

ფ.კ.– ფაქტია, რომ დღეს ყველაფერი პოლიტიკამ «ჩაყლაპა». სხვა საკითხები, სხვა კატეგორიები ნაკლებად თუ გვაღელვებს. «ზნეობის საქმეც» კი მეტწილად პოლიტიკასთან მიმართებაში თუ გაგვახსენდება _ «არის თუ არა, უნდა იყოს თუ არა პოლიტიკა ზნეობრივი?»

არადა, როგორც ერთ წერილში აღნიშნავდით: «ზნეობრიობის პროპაგანდა კარგი პროპაგანდაა, საჭიროც და აუცილებელიც». ჩვენი დღევანდელობის, ცხოვრების, საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად მტკივნეულ რომელ ზნეობრივ პრობლემას გამოყოფდით? საერთოდ, რას იტყოდით ჩვენში არსებულ ზნეობრივ (გნებავთ არაზნეობრივ) ატმოსფეროზე?

ა.ბ. – დღეს საქართველოში და ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც სსრკ-ში შედიოდა, უფრო დიდი გარდატეხა-ცვლილება ხდება, ვიდრე 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბერში მოხდა. ყალიბდება თხუთმეტი ახალი, თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო. ძირფესვიანად იცვლება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. სისტემები. ასეთ ძირეულ გარდატეხა-ცვლილებას თან ახლავს არა მარტო ეკონომიკურ-პოლიტიკური ქაოსი, არამედ ზნეობრივი ქაოსიც. ახლა საქართველოში ზნეობრივი ქაოსია. ეს ტრაგიკულია, მაგრამ არაფერია გასაოცარ-გასაკვირი. ამგვარ ვითარებაში, რა სიტუაციაშიც დღეს საქართველოა, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში ზნეობრივი ქაოსი ისადგურებს. ვერც საქართველო იქნება გამონაკლისი. ასეთ დროს ზნეობრივ სიმტკიცესა და სიმაღლეს მყარი ფსიქიკის და ძლიერი ნებისყოფის თითო-ოროლა ადამიანი თუ ინარჩუნებს. დანარჩენი ზნეობრივ ქაოსს ემორჩილება და მის დინებას მიჰყვება. გაიხსენეთ, ზნეობრივად რა თავზარდამცემი ამბები ხდებოდა ინგლისის (1642-1649 წ.წ.), საფრანგეთის (1789-1794 წ.წ.), რუსეთის რევოლუციების დროს. შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ ერთ კონკრეტულ ფაქტს გიამბობთ. მაშინ კოლმეურნეობები რომ ყალიბდებოდა, ლაითურის ჩაის მეურნეობაში ოზურგეთის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ვაჟმა და სოფელ ბოხვაურის კომუჯრედის მდივანმა ქალმა საჯაროდ, ხალხის თვალწინ, იცხოვრეს ერთმანეთთან. ეს იმიტომ კი არ ჩაიდინეს, რომ გარყვნილები იყვნენ, არა, ახალი ზნეობის დანერგვის მიზნით. ქალ-ვაჟის თავისუფალი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის. ეტყობა ისინი სოციალისტ

ფურიეს კითხვამ გადარია. ფანეროგამია (საჯარო სქესობრივი ურთიერთობა) ფურიეს ზნეობრივად მისაღები მიაჩნდა. ასე იცის რევოლუციამ. იგი მარტო პოლიტიკურ სამყაროს კი არ არყევს, არამედ ზნეობრივსაც. ყველაფერს თავდაყირა აყენებს. განჯგონებულობას ამკვიდრებს. საბა ბრძანებს _ განჯგონებული იგია, ვისაც ბოროტი კეთილი ჰგონიაო. დღეს საქართველოში ზნეობრივად განჯგონებული ვითარებაა. მაგრამ გაძლება გვმართებს. თანდათანობით დრო დამშვიდდება. ცხოვრება კალაპოტში ჩადგება და ზნეობრიობაც აღორძინდება. მაგრამ გულხელდაკრეფილი არ უნდა ველოდოთ. ყველა ჩვენგანმა შეძლებისდაგვარად უნდა იშრომოს და იზრუნოს ზნეობრიობის აღსადგენად.

ფ.კ.– ერთ წერილში თქვენ გაქვთ მშვენიერი ტერმინი «მოუხმარელი თავისუფლება». ფაქტია, რომ ბოლო ორი წელი საქართველო ფაქტობრივად თავისუფალია _ შინა ცხოვრებაში. მაგრამ ხშირად გაიგონებდით «სრული დამოუკიდებლობის, თავისუფლების მოპოვებამდე ბევრს ვერაფერს გავაკეთებთ»-ო. რისი თქმა მინდა: ფაქტია, რომ ვერ გამოვიყენეთ ის შესაძლებლობანი, იმპერიის რღვევის პროცესმა რომ მოგვცა.

დღესაც «მოუხმარელი თავისუფლების» ვერ (არ) გამოყენების სინდრომის ქვეშ ხომ არ ვართ? ხომ არ გვირჩევნია, ისევ «არათავისუფლებას», «არასრულდამოუკიდებლობას» გადავაბრალოთ, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ მაინც?

ა.ბ. – თუ ადამიანი მზად არ არის თავისუფლებისათვის, იგი (თავისუფლება) გაცილებით უფრო დიდ ხიფათს შეიცავს, ვიდრე მონობა. 1861 წელს, რუსეთში, ბატონყმობა რომ გააუქმეს, უამრავმა ადამიანმა მოიკლა თავი _ უბატონოდ როგორ უნდა ვიცხოვროთო. ტყუილად ხომ არ ამბობს ანდაზა _ შეჩვეული ჭირი სჯობსო შეუჩვეველ ლხინს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა გაერომ დეკოლონიზაციის გეგმა შეადგინა, იქ მითითებული იყო _ რომელი კოლონია რამდენი ხნის შემდეგ მიიღებდა დამოუკიდებლობა-თავისუფლებას. ზოგი თავისუფლებას ხუთი წლის შემდეგ ეღირსებოდა, ზოგიც _ თხუთმეტის და ზოგიც _ ოცდახუთის. ეს თარიღები იმისდა მიხედვით იყო დადგენილი, რომელი ქვეყანა როგორ და როდისთვის იყო მზად თავისუფლებისათვის. მზადყოფნა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას არ გულისხმობდა, არამედ _ ფსიქოლოგიურ-ზნეობრივსაც.

სსრკ ისეთი სისწრაფით დაიშალა, რომ მომზადება ვერავინ მოასწრო. დანგრეული შენობიდან თავქუდმოგლეჯილი გამოვცვივდით გარეთ. ყველას ეშინოდა, ნანგრევებში არ მოვყვეთო. ამ მდგომარეობამ, რა თქმა უნდა, გარკვეული კვალი დაამჩნია საქართველოს თავისუფლებას. მაგრამ დღეს ქართველისათვის ერთი რამ უნდა იყოს უეჭველი და ცხადი: საქართველო თავისუფალია. მას ვერარა ძალა ვერ დააბრუნებს პოლიტიკურ მონობაში. მაგრამ ეკონომიკური მონობის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს. ეს საფრთხე არსებობს არა რუსეთის მხრიდან, რომელიც ღატაკია და თავისთავი გასჭირვებია, არამედ მდიდარი და დალხენილი აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთისა და სხვათა მხრიდან. ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს: ან აშშ-ის, ან ევროპის დახმარების თვინიერ ეკონომიკურ სიდუხჭირეს თავს ვერ დავაღწევთ. მაგრამ ისიც მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დახმარებამ ეკონომიკურ კაბალაში არ ჩაგვაგდოს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკური მონობა გაცილებით მძიმეა, ვიდრე პოლიტიკური. ეკონომიკური დაკაბალება არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ქართველი თავისი შრომისმოყვარეობით და საქმიანობით ტოლს არ დაუდებს არც ევროპელს და არც ამერიკელს. თუ ჩვენი ეკონომისტები თავად გამოძებნიან ეკონომიკური აღორძინების გზებს, თუ საქართველოში სანიმუშო წესრიგი დამყარდება, მაშინ ჩვენ ღმერთისაგან

მონიჭებულ თავისუფლებას კარგად გამოვიყენებთ და აღარ გავხდებით მოუხმარელი თავისუფლების მსხვერპლი.

ფ.კ. – სად იყო, «სადაა ქართული მწერლობა»? მეტისმეტად «მოთვინიერებული», _ თქვენი ტერმინია, _ ხომ არ იყო ჩვენი მწერლობა?

ა.ბ. - «მწერლობის მოთვინიერებაში» მე ქართული მწერლობის მძიმე მდგომარეობა აღვწერე კომუნისტური დიქტატურის პერიოდში. მაგრამ როგორ იბრძოდა იგი და რას აკეთებდა, ამას დაინახავთ მეორე წიგნში _ «გადარჩენა». სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით ვერ დავაფასეთ ის ღვაწლი, რაც ქართულმა მწერლობამ (საერთოდ ხელოვნებამ) დასდო ქართველ ხალხს მისი არსებობის უმძიმეს პერიოდში. მოკლედ ამაზე ლაპარაკი ძნელია. მე შევეცადე იგი ამეწერა «გადარჩენაში». როცა წიგნი გამოვა, იმედი მაქვს, მკითხველი ამას დაინახავს.

განა მიხეილ ჯავახიშვილის პირით არ გაგვაფრთხილა ქართულმა მწერლობამ, რომ საქართველო თეიმურაზ ხევისთავის ბედში ჩავარდებოდა, თუ უცხოს ბრმად მიენდობოდა? თუ ფხიზლად არ ვიქნებოდით, კვაჭი კვაჭანტირაძე და დამპატიჟე რომ დაეპატრონებოდნენ ჩვენს ქვეყანას? მანვე არ დაგვარწმუნა, რომ ქვეყნის ღირსების დაცვა, მხოლოდ ხალხს შეუძლია? გაიხსენეთ «არსენა მარაბდელი»:

ნარგიზების ფორზე ჭიდაობა დამთავრდა. ხალხი დაიშალა და შინ გასამგზავრებლად ემზადებოდა. საბარათიანოს გლეხობა «მეწინავე დროშის» წინ გაძღოლას ელოდებოდა. არსენას მამამ ღვთისავარმა ალამი ჩამოხსნა და ბატონის განკარგულებას დაუცადა. უცხო დროშას თვალი მოჰკრა არლოვმა და გაოცებულმა იკითხა _ ეს რა ამბავია? აუხსნეს რაც იყო და რაც ხდებოდა. რუსმა მაიორმა განკარგულება გასცა _ აქ რუსეთის დროშის გარდა სხვა დროშა არ ვიცი, ახლავე მომეცითო. იგი დროშას წაეტანა. ღვთისავარმა დროშა გვერდზე გასწია და ბატონების ბრძანებას დაელოდა _ როგორ მოვიქცეო. ყველა შეცბუნებული იდგა. არ იცოდნენ, რა ექნათ. არსენა მამასთან მივიდა, დროშა ჩამოართვა და ყველას გასაგონად გაგუდული ხმით თქვა: ეგ რუსი, თუ ბიჭია, მოვიდეს და ეს დროშა წაიღოსო.

რუსმა ვერ გაბედა, ვერ მივიდა და ის დროშა ვერ წაიღო.

განა ქართულმა მწერლობამ არ ჩაგვინერგა იმედი დემნა შენგელაიას პირით: ჩვენ, ქართველები, გლერტა ბალახივით ვართ, სამას წელიწადს ჩიტის ბუდედ რომ ეგო, მერე ქარმა მიწაზე დააგდო და შვებით ამოისუნთქა _ კინაღამ არ მოვკვდიო.

განა ქართული ისტორიული რომანისტიკა (კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, გრიგოლ აბაშიძე და სხვ.) არ გვახსენებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას და მისი აღდგენის გარდაუვალობას?

განა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კოლაუ ნადირაძის და სხვათა პოეზია არ ინახავდა ჩვენს სულს, არ აძლევდა საშუალებას ჩაფლულიყო ჭაობში, დაეკარგა მშვენიერება და ამაღლებულობა?

განა ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის ნოველები თავიანთი სევდითა და დარდით არ გვაკეთილშობილებდა. რომელი ერთი ჩამოვთვალო? საქმეში ჩახედული მკითხველი თავადაც ბევრს გაიხსენებს.

კი, ბატონო, იყო კონიუნქტურაც. მოთვინიერებული მწერლებიც მრავლად არსებობდნენ (აბა, რისთვის დავწერე «მწერლობის მოთვინიერება»?). უფრო მეტიც: კონსტანტინე გამსახურდიამაც დაწერა «ბელადი», «ვაზის ყვავილობა», ნარკვევები, რომლებშიც ხოტბაშესხმულია ლავრენტი ბერია. დემნა შენგელაიამ _ «ფიცი» და «მერხეული», ლეო ქიაჩელმა «მთის კაცი»... _ გალაკტიონ ტაბიძესაც, გიორგი ლეონიძესაც, მით უმეტეს სხვებს, უმღერიათ სოციალიზმისათვის, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა გადარჩენისათვის, სულის

გადარჩენისათვის, რადგან ბოლშევიკებს უმთავრესად სულის დათრგუნვა სურდათ. ქართველის სულის გადარჩენა მაშინ, გარდა ქართული მწერლობისა, სხვას არ შეეძლო, რადგან ეკლესია აკრძალული და კლიტედადებული იყო. ქართულმა მწერლობამ (საერთოდ ხელოვნებამ) ეს მოახერხა.

დღეს ჩვენ ვერ მოვახერხებდით თავისუფლებისათვის ბრძოლას, მწერლობას რომ არ ეხსნა ჩვენი სული. ეს ფაქტია და მისი უარყოფა არ მოხერხდება.

ვის შეუძლია დღეს დაიკვეხნოს _ უფრო დიდი სულიერი გმირობა ჩამიდენია, ვიდრე ყმაწვილი ანა კალანდაძის ლექსების პირველი საჯარო კითხვა იყო მწერალთა კავშირში _ კომუნისტური იდეოლოგიის მძვინვარების დროს? პოეტურ კულტურას რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ საშინელი სილის გაწვნა იყო ყველანაირი იდეოლოგიური დოგმებისათვის.

ბოლშევიკების დიქტატურის ეპოქაში ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწილმა ისე იცხოვრა და იშრომა, როგორც მზვერავები ცხოვრობენ და შრომობენ მტრის ბანაკში. მათი სული მთლიანია და იმას აკეთებენ, რაც ევალებათ. მხოლოდ მათი ცხოვრებაა გაორებული. ამის გაძლებას რკინის ნებისყოფა და რკინის რწმენა უნდა, რომ შენს ქვეყანას და შენს ხალხს ემსახურები. ქართული მწერლობის უკეთესმა ნაწილმა ეს თვისება გამოავლინა. ამიტომ ქართული მწერლობა არც ზედმეტად მოთვინიერებული ყოფილა და ყოველთვის იქ იყო, სადაც სინდისი და მამული უხმობდა.

მე განგებ გავიხსენე ისინი, ვინც 1921-53 წლებში ცხოვრობდა და ქმნიდა, რადგან სწორედ ეს იყო უმძიმესი და ურთულესი ხანა. სტალინის სიკვდილის მერე ბოლშევიკური დიქტატურა წელში გატყდა. მართალია, დრო და დრო, იგი კბილებს ისევ გამოაჩენდა, მაგრამ ძველი ძალა მაინც დაკარგული ჰქონდა.

და მაინც, ბრძოლა არ შეწყვეტილა. ჩვენი მწერლობის სულის სიმტკიცე დღესაც გამოჩნდა. მის საუკეთესო ნაწილს არც ღირსება დაუკარგავს, არც ისტერიას აჰყოლია და არც პოპულარიზმით მოხიბლულა. გაცილებით იოლია ხელისუფლების ძალდატანების გაძლება, ვიდრე უმეცარი და უმადური ლიანგის ლანძღვა-გინების ღვართქაფისა. ქართულმა მწერლობამ ამასაც გაუძლო. ეს იმის საბუთია, რომ მისი სული გაუტეხელია.

დროშის ფრიალით
საით მიდიან,
ჩემი სალომე და ჩემი ნიკო,
საით მიდიხარ,
ქვეშევრდომების დაბრმავებულო,
უწყვეტო რიგო?!
ეს უკვე იყო,
ღმერთმანი იყო,
ზუსტად ასეთი ცხოვრება იყო,
შენ კი გგონია,
შენ კი გგონია, რომ სხვა ნიავმა
დაჰბერა ბრიყვო!

არჩილ სულაკაური

ფ.კ. _ და ბოლოს, ვიცი, რომ ამჟამად «ოცნების წიგნზე» მუშაობთ. წინასწარ ხომ არ გაგვიმხელდით, რა არის, როგორი იქნება თქვენი «ოცნების წიგნი»?

ა.ბ. ამ წიგნში ჩემი სურვილია აღვწერო: ლუარსაბ თათქარიძეების, კვაჭი კვაჭანტირაძეების, ჯაყოების, ყვარყვარე თუთაბერების, ოყაჯადოების ქვეყანაში როგორ იბადება «სულიკო» და ცისკენ მიფრინავს მერანი, როგორ ჩნდებიან მინდია და დათა თუთაშხია;

შურისმგებელთა ისეთ საზოგადოებაში, როგორსაც ქმნიან თავადი პეტრეები, როგორ არსებობს ჰაჯი-უსუბი; ბოღმის, სიძულვილის, გაუტანლობის გარემოში როგორ იცინის და ლაღობს ილიკო და ილარიონი;

ბერძენის, არაბის, მონღოლის, თურქის, სპარსის თუ რუსის ბატონობის პირობებში როგორ მოევლინებიან ქვეყანას ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, ქეთევან წამებული;

როგორ ხერხდება ერთდროულად მწერლობაზე თავის დადება და კაცჭამიაობა;

და საერთოდ, როგორ ინახავს თავს ქართველი ოცნებით, _ უტოპიით მწარე და ბოროტებით სავსე სინამდვილეში.

გაზ. «საქართველო»,
21 თებერვალი, 1992.

კახეთის როლი მომავალ საქართველოში

კორეპ. – კახეთის როლი საქართველოს ძლიერებაში უწინ და პოტენციალი დღეს.

აკაკი ბაქრაძე – როცა არაბთა ბატონობის შემდეგ, ერთიანი, ანუ, როგორც ძველად იტყოდნენ, ერთობილი საქართველოს აღდგენა დაიწყო, იგი ოთხი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ერთეულის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ეს იყო აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს, ტაო-კლარჯეთის, ქართლის და კახეთის სამეფო-სამთავროები.

ქართველი მეფეების ტიტულატურაში კახელები გამოყოფით იხსენიებიან: მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა.

ნ.ბარათაშვილის _ «ძმანო, კახელნო, ნამდვილ ქართველნო...»

ერთი სიტყვით, კახეთი ტრადიციულად და, ბუნებრივია, დღესაც ერთი უმნიშვნელოვანესი კუთხეა საქართველოსი.

თქვენ იცით, რომ ადმინისტრაციულად საქართველოს ისტორიული პროვინციებისდა მიხედვით დაყოფის მომხრე ვარ (ეს ნ.გელაშვილმაც გაიხსენა თქვენს გაზეთში). რატომ ვარ ამის მომხრე?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს დაყოფა ბუნებრივია. ასეა იმ დღიდან, რაც საქართველო გაჩნდა დედამიწის ზურგზე. ეს დაყოფა ადამიანს არ მოუგონია. თავად უფალმა ინება ასე.

მეორეც იმიტომ, რომ ყოველ კუთხეს თავისი განუმეორებელი თავისებურება ახასიათებს. ფერი და კოლორიტი ამკობს. ეს ქართველი ხალხის სიმდიდრეა. იგი არამცდაარამც არ უნდა დაიკარგოს.

მესამეც, ეს ხელს შეუწყობს ყოველი კუთხის თანაბარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას. დღეს, სამწუხაროდ, ასე არ არის. მდიდარი კუთხეების გვერდით არსებობენ ეკონომიკურად ძალიან ღარიბი კუთხეებიც. სანამ ასე იქნება, საქართველო ღატაკ ქვეყნად დარჩება, მთელი ძალისა და გონისხმევა იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ საქართველო თანაბრად აღორძინებული ქვეყანა იყოს ეკონომიკურადაც და კულტურულადაც.

მეოთხეც, ყოველ ქართულ ისტორიულ კუთხეში უნდა იყოს მძლავრი კულტურული კერები. დღეს, თუ რაიმე გვაქვს, ყველაფერი თბილისშია თავმოყრილი. ასე არ არის არცერთ ცივილიზირებულ და განვითარებულ ქვეყანაში. რით არის, მაგალითად, რომზე ნაკლები ან მილანი, ან ვენეცია, ან ფლორენცია? რით სჯობს ბერლინი ან

მიუნხენს, ან ჰამბურგს, ან ფრანკფურტს? საქართველოშიც ასე უნდა იყოს. თბილისს არაფრით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს არც ახალქალაქი და არც ახალციხე, არც ზუგდიდი და არც თელავი, არც გორი და არც ოზურგეთი. მართალია, ეს დონე შორეული ოცნებაა, მაგრამ საფუძველი მას დღეს უნდა ჩაეყაროს.

ამ საქმეში კახეთს მაგალითის როლის შესრულება შეუძლია, როგორც მდიდარსა და დაწინაურებულ კუთხეს.

დღეს ქართველი ხალხის უპირველესი საქმე საქართველოს ეკონომიკური მოწყობაა. თუ მძლავრი ეკონომიკა არ გვექნა, თავისუფლებაც და დამოუკიდებლობაც ლიტონ სიტყვებად დარჩება. ამიტომ ქართველის ნიჭი, ენერგია, უნარი სწორედ ეკონომიკის მოწესრიგება-მოგვარებაში უნდა დაიხარჯოს. აქაც კახეთს გადამწყვეტი და არსებითი როლის შესრულება შეუძლია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი ბუნებრივად მდიდარი კუთხეა და მეორეც, იმიტომ, რომ კახელი ლომა ხარივით ბეჯითი მშრომელია.

კორეპ. – რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს კახეთიდან?

ა.ბ. – ახლა გაზეთები საქართველოში თხის კურკლებივით ყრია. მაგრამ ძალიან იშვიათად იპოვნით გაზეთს, რომელთა წაკითხვაც ღირდეს ან უხაროდეს ადამიანს. თუ გაზეთი «კახეთი» მიაღწევს იმას, რომ მისი ყოველი ნომრის წაკითხვა ღირდეს კიდეც და უხაროდეს კიდეც მკითხველს, ეს დიდი გამარჯვება იქნება.

ჩემი ფიქრით, ყოველი გაზეთის, მათ შორის «კახეთისაც», უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ სანიმუშო ქართულით მეტყველებდეს, რამდენადაც შესაძლებელია მართალი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, დაიცვას პაექრობა-კამათის ეთიკა, აამაღლოს მკითხველის აზროვნების კულტურა. თუ ამის გაკეთებას შეძლებს გაზეთი, იგი პირნათლად მოიხდის ვალს მთელი ერის წინაშე.

კორესპ. – ჩემის აზრით, კახეთში დღეს ჩხირიც კი საქართველოზე ფიქრობს... თქვენ როგორ ხედავთ კახეთს და ჩვენ გაზეთს საერთო ქართულ საქმეში?

ა.ბ. – სულ ცოტაც და ოცდამეერთე საუკუნე დაიწყება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ცივილიზაციის მიერ დაწყებული უნიფიკაცია კიდევ უფრო გაძლიერდება. ქართველი ხალხის ამოცანა ის იქნება, რომ ოცდამეერთე საუკუნის ცივილიზაციით იცხოვროს და თან ეროვნული თავისთავადობა არ დაკარგოს. ისინი შეახამოს და შეათვისოს ერთმანეთს.

ისტორიულად ქართველი ხალხის ეროვნულ სახეს სოფელი ინახავდა, სოფლის მოსახლეობა უვლიდა და პატრონობდა. სოფლის მდგომარეობა ოცდამეერთე საუკუნეში ძირეულად შეიცვლება. შეიცვლება ცხოვრების წესიც, სამეურნეო საქმიანობაც და კულტურული ყოფაც. აღარ იქნება სოფლის ორღობე. გზატკეცილები აშენდება, რადგან ამას ოცდამეერთე საუკუნის საავტომობილო ტრანსპორტი მოითხოვს. მიწასაც კომპიუტერებით დაამუშავებენ და საქონელსაც კომპიუტერებით მოუვლიან. ყოველ სოფელში კანალიზაცია იქნება. მუდმივად ცხელი და ცივი წყალი. ყოველი კაცი დღეში სამჯერ მიიღებს შხაპს, რომ თავი მსუბუქად და ლაღად იგრძნოს. ტელევიზიით მარტო თბილისს კი არ მოუსმენენ და ნახავენ, არამედ, დედამიწის თანამგზავრთა საშუალებით, მთელ მსოფლიოს. რომელ არხზეც გსურთ იმ არხზე გადართავთ ტელევიზორს და უყურებთ სადღაც ალიასკაში ღორჯოს როგორ იჭერს კაცი. ტელეფონით ვისაც გნებავთ და სადაც გნებავთ იმას დაელაპარაკებით. თელაველ ბიჭს კეიპტაუნელ გოგოსთან შეეძლება არშიყობა, რა თქმა უნდა, ინგლისურიც თუ ეცოდინება. მაგრამ მაშინ ინგლისურის ცოდნის პრობლემა აღარ იქნება. ერთი ათეული წელი რომ გაივლის, ქართველი ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად ისევე ადვილად იმეტყველებს, როგორც დღეს რუსულად საუბრობს. ეს დროის

მოთხოვნილება იქნება და იმიტომ. ერთი სიტყვით, ცხოვრება სოფლადაც და ქალაქადაც ძირფესვიანად შეიცვლება.

რასაც ვამბობ, ეს უნიადაგო ოცნება არ არის. ეს თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ბუნებრივი შედეგი იქნება. ქართველი ხალხი ამ პროცესს ფეხდაფეხ უნდა მიყვეს. სხვანაირად ჩვენ ჩამორჩენილობის მსხვერპლი გავხდებით. მაგრამ ამ პროცესში ისიც კარგად ჩანს, რომ ხელიდან გამოგვეცლება ჩვენი თვითმყოფადობის საძირკველი ტრადიციული ქართული სოფელი. გონიერებას მაშინ გამოვიჩენთ, თუ მოვახერხებთ ოცდამეერთე საუკუნის სოფლის აშენებასაც და ეროვნული სახის შენარჩუნებასაც. ამის პატარა მაგალითი ჩვენ უკვე გვაქვს: ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული წინანდალში. იქ საქართველოც არის და ევროპაც. ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან და მშვიდობიანადაც თანაარსებობენ. ამის მაგალითი იმერეთშიაც გვაქვს _ ნიკო ნიკოლაძის მამული დიდ ჯიხაიშში და სამეგრელოშიც _ სალომე დადიანის მამული ზუგდიდში. ეს იმას მოწმობს, რომ ქართველისთვის უცხო არ არის გონივრული ჰარმონიის მიღწევა. ამ ჰარმონიის გზით უნდა ვიაროთ ჩვენ. ეს თანხმობა-თანაარსებობა უფრო დიდი _ მთელი საქართველოს მასშტაბით _ უნდა განვახორციელოთ მომავალში.

იმედი მაქვს, რომ კახეთი ამ საქმეშიც მაგალითის მიმცემის როლს შეასრულებს.

გაზ. «კახეთი»,
1992, 5 მაისი

ქვეყნის თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება

კორესპ. – საქართველო გახდა თავისუფალი, მაგრამ პიროვნება მაინც არ არის თავისუფალი. რატომ მოხდა ეს?

ა.ბ. – ჯერ არც საქართველოა თავისუფალი. ჯერჯერობით ქართველმა ხალხმა მხოლოდ უფლება მოიპოვა ააშენოს თავისუფალი ქვეყანა. როცა ხალხი ააგებს თავისუფალ ქვეყანას, საქართველო მერე იქნება თავისუფალი. ამას კი დრო უნდა, დიდი დრო. ევროპის თავისუფალი ქვეყნები საუკუნეებით შენდებოდა – ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე. ძველი ათენის დემოკრატია, რომის დემოკრატია მერე შუა საუკუნეებში ვენეციისა და გენუის სავაჭრო რესპუბლიკები, ინგლისში 1215 წელს გამოცხადებული «თავისუფლების დიდი ქარტია», მომდევნო ეპოქაში შექმნილი გერმანული ქალაქების სავაჭრო კავშირი (ჰანზა), რეფორმაცია და ა.შ. ყველაფერი ეს ამზადებდა იმ თავისუფლებას, რომელითაც დღეს ევროპის ქვეყნები სარგებლობენ.

არაფერი მსგავსი ამდაგვარი პროცესებისა ისტორიულად საქართველოს არ გაუვლია. აზიური დესპოტური სახელმწიფოების მუდმივი შემოსევები აკნინებდა საქართველოს სახელმწიფოს განვითარებას. საქართველოს მონარქია, განსაკუთრებით მონღოლთა ბატონობის შემდეგ, თანდათანობით პრიმიტიულ ხასიათს იღებს. თუ ევროპა ამ დროს წინ მიდის, საქართველო უკან-უკან იხევს. არსებობას იმით ამთავრებს, რომ თავშესაფარს რუსეთის იმპერიაში პოულობს. რუსეთი თავად იყო დესპოტური სახელმწიფო. მისთვის სრულიად უცხო იყო ევროპული თავისუფლების გაგება. ცხადია, ვერც ქართველის ცნობიერებაში მოხდებოდა რაიმე განახლება. უბრალოდ აღმოსავლური დესპოტია შეიცვალა ჩრდილოური დესპოტიით. მერე, მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთის იმპერიაში რევოლუცია მოხდა და კომუნისტური რეჟიმი დამყარდა. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის უფრო სასტიკი დესპოტური წეს-წყობილება ვიდრე სსრკ-ში არსებული კომუნისტური რეჟიმი იყო. ასე, რომ

საქართველოს თავისუფალ ქვეყანაში ერთი დღეც არ უცხოვრია. დემოკრატიული საქართველოს ოცდაცამეტთვიანი არსებობა (1918, მაისი _ 1921, თებერვალი), ცხადია, ვითარებას ოდნავადაც ვერ ცვლის.

ერს, რომელსაც ასეთი მძიმე ისტორიული გზა აქვს გავლილი, თავისუფალი სახელმწიფოს აშენება მალე და იოლად არ შეუძლია. თავისუფალი საქართველო იქნება, მაგრამ გვიან. ამისათვის მთელი ერის და ცალკეული პიროვნებების ცხოვრებაში ძირეული ძვრებია აუცილებელი.

რაც შეეხება პიროვნებას, აქ შემდეგი უნდა ვთქვა: პიროვნების თავისუფლება თავად პიროვნებაზეა დამოკიდებული. თუ თავისუფლება პიროვნების თვისებაა, ეს პიროვნება ყოველგვარი რეჟიმის დროს, ყველაზე უფრო დესპოტურისაც კი, შეიძლება იყოს თავისუფალი. ხოლო თუ თავისუფლება პიროვნების თვისება არ არის, ყველაზე უფრო დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი ვერ იქნება იგი თავისუფალი. 1861 წელს, რუსეთში ბატონყმობა რომ გადავარდა, რამდენიმე ათასმა ყმამ თავი მოიკლა _ უბატონოდ როგორ უნდა ვიცხოვროთო. ისინი სოციალურად კი არ იყვნენ ყმები, არამედ ბუნებით. ასეთი ადამიანებიც არიან. ჩაადაევი საგიჟეთში ჩასვეს, მაგრამ მაინც თავისუფალი ადამიანი იყო, რადგან თავისუფლება მისი სულის თვისება გახლდათ.

თავისუფლობას არავინ ანიჭებს პიროვნებას. პიროვნება თავად ანიჭებს თავისთავს თავისუფლებას. გერმანელ მწერალს ერნსტ ტოლერს ლექსი აქვს, რომელშიც ასეთი სტრიქონებია: მე დავიბადე. მოვკვდი. დავიბადე. მე თავად გავხდი ჩემი თავის დედა. ამით ტოლერი იმას ამბობს, რომ ყოველმა ადამიანმა თავად უნდა აღზარდოს თავისთავი და თავისუფლებაც თავად უნდა მიანიჭოს.

დღესაც ასეა: ვინც ფიქრობს თავისუფლება სხვამ უნდა მიბოძოსო, იგი ვერასოდეს გახდება თავისუფალი. ხოლო იგი, ვისი ბუნების თვისებაა თავისუფლება, ყოველთვის იყო თავისუფალი და დღესაც თავისუფალია.

კორესპ. – თაობების შეწირვაა საჭირო თავისუფლებისათვის, თუ დღესაც შეიძლება იყოს პიროვნება თავისუფალი? დეკემბრის ამბები თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო, თუ ხელისუფლებისათვის?

ა.ბ. – მე მგონია, რომ ნაწილობრივ უკვე ვუპასუხე ამ კითხვას. საზოგადოებრივი თავისუფლების დამკვიდრებისათვის თაობების შეწირვა არ არის აუცილებელი. მას დრო უნდა და საზოგადოების ბუნებრივი განვითარება, საზოგადოებრივი ცნობიერების თანდათანობითი აღზრდა.

კაცობრიობის ისტორიაში ყოველგვარი ბრძოლა თავისუფლების სახელით ხდება _ ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, სოციალური თავისუფლებისათვის, პიროვნების თავისუფლებისათვის და ა.შ. არავინ ამბობს მონობისათვის ვიბრძვიო და არც ოდესმე იტყვის. ყოველგვარი თავისუფლებისათვის ბრძოლის გამართლება მისი შედეგია. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების ბრძოლამ თავისუფლებისათვის, დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, გაამართლა თავის შედეგით _ აშშ-ის შექმნით. მაგრამ რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლამ სოციალური თავისუფლებისათვის მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ვერ გაამართლა. ამ ბრძოლის შედეგად შექმნილი სსრკ დაიშალა. ვერც მუშათა კლასმა და ვერც გლეხობამ ის სოციალური თავისუფლება ვერ მოიპოვა, რისთვისაც სისხლი დაღვარა.

ერთი სიტყვით, შედეგია მთავარი, გადამწყვეტი და არსებითი.

თუ შარშანდელი დეკემბრის ბრძოლის შედეგად მკვიდრი და მყარი საძირკველი ჩაეყრება საქართველოს თავისუფლებას, დემოკრატიას, მაშინ იგი გამართლებული იქნება. თუ ვერ ჩაეყრება, მაშინ იგი ჩვენს ისტორიაში ჩაიწერება ბაზალეთის ომის მსგავს უაზრობად. ამას კი დრო აჩვენებს. იგი დაგვანახვებს.

რატომღაც ჩვენში ხელისუფლებისათვის ბრძოლას ათვალწუნებით უყურებენ. მართალი რომ გითხრათ, გაუგებარია რატომ. თუ პოლიტიკა გვინდა (დღეს კი საქართველო პოლიტით არის შეშლილი), მაშინ ხელისუფლებისათვის ბრძოლაც უნდა გვინდოდეს. პოლიტიკა სხვა არაფერია თუ არა ხელისუფლებისათვის ბრძოლა. პოლიტიკოსი, რომელიც ამბობს ხელისუფლებისათვის არ ვიბრძვიო, იგი ან ბრიყვია ან ცრუპენტელა. განა შეიძლება ადამიანი ამბობდეს _ პოეტი ვარ, მაგრამ ლექსების წერა არ მინდაო? ასევეა პოლიტიკოსიც. პოეტობის მიზანი ლექსების წერაა. პოლიტიკოსობის მიზანი _ ხელისუფლების მოპოვება.

კორესპ. – იარაღის ტარების, პროსტიტუციის, ნარკომანიის ლეგალიზაცია ნიშნავს თავისუფლებას თუ უბრალოდ დღევანდელი ცივილიზაციის ნიშანია?

ა.ბ. _ ამგვარ ლეგალიზაციას მე დღევანდელი ცივილიზაციის ნიშნად ვთვლი. თავისუფლებას იგი არ უკავშირდება. უბრალოდ დღევანდელმა კაცობრიობამ მკაფიოდ დაინახა, რომ მას არ ძალუძს არც იარაღის ტარების სურვილის, არც პროსტიტუციის, არც ნარკომანიის და არც სხვა ამგვარ მანკიერებათა აღკვეთა. რამდენიც უნდა აიკრძალოს, ისინი მაინც იარსებებენ, რადგან მანკიერებანიც ადამიანის თვისების ნაწილია. სანამ ადამიანი იარსებებს, მანკიერებანიც იარსებებენ. ამიტომ კაცობრიობამ მიზანშეწონილად ჩათვალა მათი ლეგალიზაცია. ლეგალიზებული მანკიერების კონტროლი უფრო იოლად შეიძლება, ვიდრე აკრძალულის.

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო.

1977 წლის მაისში რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ მექსიკაში იყო. მაშინ რუსთაველის თეატრში ვმუშაობდი. მეც მომიწია მექსიკაში ყოფნა. აგუასკალიენტეში (დაახლოებით ბათუმის ოდენაა) ქალაქს რომ ვათვალიერებდით, თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე და მე მოულოდნელად ნარკომანთა უბანში მოვხვდით. ჩვენ არ ვიცოდით და მერე შევიტყვეთ, რომ თურმე ქალაქში ნარკომანებისათვის საგანგებოდ პატარა უბანია გამოყოფილი. მას პოლიცია იცავს. აფთიაქებში თავისუფლად იყიდება ნარკოტიკები. არსებობენ სპეციალური სამედიცინო პუნქტები. ამ უბანში ნარკომანები თავისუფალი არიან და მათ არავინ არაფერს უშლის. უბანში შესვლა ყველა ნარკომანს თავისუფლად შეუძლია. გასვლა კი ექიმის დასტურის შემდეგ. ნარკომანები ამ უბანში ძალიან მშვიდად იქცევიან. რაიმე დანაშაული ძალიან იშვიათად ხდება.

როცა ჩვენი მასპინძლები ნარკომანთა უბნის არსებობას ამართლებდნენ, ხაზი სწორედ იმას გაუსვეს, რომ პოლიციაც და ექიმებიც ნარკომანთა ცხოვრებას ადვილად აკონტროლებენ. ნარკომანები მთელ ქალაქში არ დაძრწიან, არ დაეძებენ ნარკოტიკებს, არ მიმართავენ ნაირნაირ ბოროტმოქმედებას მათ საშოვნელად. სამედიცინო დახმარებასაც მაშინვე იღებენ, თუ დასჭირდათ. ამიტომ ნარკომანები არ გაურბიან ამ უბანს. პირიქით, სიამოვნებით ატარებენ იქ დროს.

ჩემი ნაამბობი მშვიდობიან სურათად გამოიყურება, მაგრამ რეალობა თავზარდამცემი საშინელებაა. ვისაც სურს ჯოჯოხეთი ცხადად წარმოიდგინოს, ეს უბანი უნდა ნახოს.

კორესპ. – ჩემი თაობისათვის თავისუფლება ნიშნავს _ მე ვაკეთებ იმას, რაც მინდა, როცა მინდა და როგორც მინდა. ნიშნავს ეს თავისუფლებას თუ თავისუფლება დიდი პასუხისმგებლობაა?

ა.ბ. _ თავისუფლების ყველასათვის მისაღები განმარტება არ არსებობს. იგი ყველას თავისებურად ესმის და, მათ შორის, თქვენ თაობასაც. მაგრამ ჩემთვის «პრინციპი» _ რაც მინდა, როცა მინდა და როგორც მინდა _ სრული ქაოსია და არა თავისუფლება.

სამყარო მაშინ შეიქმნა, როცა ქაოსისაგან წესრიგი დამყარდა, როცა ყოველი საგნის, სულიერი იქნება თუ უსულო, ურთიერთმიმართება განისაზღვრა. სამყაროს არსებობა

მკაცრ წესრიგს და ურთიერთმიმართებას გულისხმობს. წესრიგის თვინიერ სამყარო ვერ იარსებებს. ამიტომ თავისუფლება წესრიგია. «პრინციპი» _ რაც მინდა, როცა მინდა და როგორც მინდა _ უწესრიგობის საფუძველია და ამდენად ვერც თავისუფლება იქნება.

ადამიანი პასუხისმგებელია არა მარტო თავისიანების (დედა, მამა, და, ძმა, ცოლი, ქმარი, შვილი, ნათესავი, მეგობარი, ამხანაგი) არამედ ყოველი ადამიანის წინაშე. უფრო მეტიც: პასუხისმგებელია ცხოველის, ფრინველის, ხის, ქვის და ა.შ. წინაშე, რადგან, არსებობის წყალობით, ჩვენ ერთმანეთზე ვართ გადაჯაჭვული. ადამიანი არა მარტო იკვებება მიწის ნაყოფით, არამედ თავადაც მიწაში ჩადის, რომ სხვათა საკვები გახდეს. ამიტომ ადამიანის თავისუფლება განსაზღვრულია ამ კავშირითა და პასუხისმგებლობით. თუ ამ კავშირსა და პასუხისმგებლობას არ არღვევ, სხვას (სულერთია, ვინ არის ეს სხვა) არ აყენებ ზიანს, საკუთარ მოქმედებას თავად აკონტროლებ და წარმართავ, შეგიძლია შენს თავს უწოდო თავისუფალი.

კორესპ. – მშიერ კაცს შეუძლია იყოს თავისუფალი?

ა.ბ. – მშიერ პიროვნებას შეუძლია. მშიერ ლიანგს, ანუ მასას, _ არა.

კორესპ. – რა ადგილი უჭირავს ეკლესიას ადამიანის თავისუფლებაში?

ა.ბ. – ეს გააჩნია იმას, რა დამოკიდებულება აქვს ადამიანს ეკლესიისადმი.

არიან ადამიანები ფანატიკურად მორწმუნენი. ამ ადამიანებს თავისუფლება ესმით როგორც ეკლესიის ბრმა ერთგულება და, ბუნებრივია, რომ მათთვის ეკლესია არსებით როლს ასრულებს.

არიან ათეისტური შეხედულების ადამიანები. მათთვის ეკლესია შეიძლება იყო უბრალო პატივისცემის საგანი და არა უფრო მეტი. ცხადია, რომ მათ თავისუფლებაში ეკლესიას არ უჭირავს რაიმე მნიშვნელოვანი როლი.

არიან ადამიანები მორწმუნენი, მაგრამ არაფანატიკურად. ისინი აღიარებენ სინდისის თავისუფლებას და პატივს ცემენ განსხვავებული რწმენის ადამიანებს. მიაჩნიათ, რომ ყველა რელიგია იმსახურებს თანაბარ მოკრძალებას. ერთი სიტყვით, რელიგიისადმი იმ დამოკიდებულებას ავლენენ, რაც აღწერილია ლესინგის «ნათან ბრძენში». ასეთი ადამიანების თავისუფლებაში ეკლესია ასრულებს ზომიერ როლს.

9 მაისი, 1992 წ.

მალე დაცხრება ბოროტი ენერგიის პარპაში და შემოქმედებითს შრომას შევუდგებით

მანანა ყიფიანი _ ბატონო აკაკი! 190 წლის მანძილზე საქართველოში აღარავის ახსოვდა «თოფი მეთოფესა და მეთოფე სოფელსაო!»

190 წლის მანძილზე ქართველს წართმეული ჰქონდა უპირველესი ფუნქცია _ ყოფილიყო საკუთარი მიწა-წყლის დამცველი. კომუნისტური რეჟიმის დამყარებამდე თოფი როგორ არ ჰქონდა მეთოფეს, მაგრამ მეთოფე არ იყო სოფლისათვის _ ქართველი იარაღიანი დადიოდა, მაგრამ მის ქვეყანას სხვა «იცავდა». კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ თოფიც სხვას ჰქონდა და მეთოფეც სხვა იყო. ხოლო «სოფელს», ანუ ჩვენს ქვეყანას სხვა თოფიანი კაცები «იცავდნენ» _ ქართველს საბოლოოდ წაართვეს იარაღი... დადიოდა ქართველი კაცი უიარაღოდ, მტერი კი მრავალი ჰყავდა, აშკარა თუ ფარული.

რატომღაც ამ უიარაღო ქართველების მაინც ეშინოდათ და ჩუმ-ჩუმად იარაღდებოდნენ. ალბათ იცოდა მტერმა, ქართველებს ერთი ასეთი ლექსი რომ ჰქონდათ (ოღონდ თავად ქართველებს აღარ ახსოვდათ ეს ლექსი):

მტერო, დამჩაგრე, არ ვსტირი,
ტირილი დიაცთ წესია,
ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია,
მაცალე, ერთი გავმართო,
ჩახმახით ცეცხლის კვესია,
სულ ერთად მოგამკევინო,
რაც ჩვენზედ დაგითესნია...

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ცეცხლის კვესის ჩახმახით გამართვას კარგა ხანი დასჭირდა. ვერც იმას ვიტყვით, ჩუმად იმის დარდი ჰქონოდა ქართველს, მწარედ მჩაგრავენ და დროც მოვა ანგარიშის სწორებისო. ეს ასე რომ ყოფილიყო: არც სამაჩაბლოში და არც აფხაზეთში ამგვარად ნაღალატევი არ დარჩებოდა _ ქართველმა სხვა კაცის შეიარაღება ვერ შენიშნა.

დრომ თავისი მოიტანა და ქართველებს მაინც დასჭირდათ იარაღის ხელში აღება. ოღონდ მათთვის არავის შეუძახნია, როგორც ეს ძველად იყო _ «ან უპატრონეთ მამულსა, ან ქალს შემარტყით ხმალიო». შემძახებელი არავინ იყო. მე მაშინ ბევრისგან მესმოდა, იარაღს რა უნდა ქართველის ხელში, კაცს როგორ მოკლავს, თუნდაც მტერსო! უცნაური ის იყო, რომ გარშემო ყველას უნდა ჰქონოდა იარაღი, ქართველის გარდა, ყველაფერი იყო ცოდვა მისთვის, გარდა იმისა, ქვეყანა, სახლ-კარი და ცოლ-შვილი დაუცველი რომ რჩებოდა. საზოგადოება აშკარად უწევდა წინააღმდეგობას შეიარაღების პროცესს. ამიტომ მას ძალადობის მომენტები ახლდა. «ნაძარცვი ფულით ნაშოვნი ხალხის ბედნიერების არ მწამსო _ თუთაშხიასი არ იყოს, ეს ეჭვი აქაც გაჩნდა. მაგრამ იმას, რასაც ვერ იგუებს მორალი, თავისუფლად შეიგუებს პოლიტიკა. თუ სხვაგან საზოგადოება ნებაყოფლობით იღებდა სახსრებს შეიარაღებისათვის, საქართველოში ეს საზოგადოება აიძულეს, გაეღო სახსრები შეიარაღებისათვის.

ბატონო აკაკი! თქვენი მოსაზრებანი ქართველთა ამ პირველი სტიქიური შეიარაღების შესახებ. ძალადობის მომენტმა ხომ არ გააფუჭა შემდგომში რამე? ვინ აიღო პირველად ხელში იარაღი და როგორ წარმოგიდგენიათ ქართული ჯარი. უკვე გაჩნდა მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ ქართველს ჯარში სამსახურის რაღაც თავისებური ფორმა უნდა მოუძებნონ. რატომ ვერ იგუებს ქართველი ჯარში სამსახურის ტრადიციულ ფორმას?

აკაკი ბაქრაძე _ საქართველოს რეგულარული არმია, ანუ მუდმივი ჯარი არასოდეს ჰყოლია. ფეოდალურმა საქართველომ მისი შექმნა ვერ მოახერხა. პირველი ცდა რეგულარული არმიის შექმნისა, დავით აღმაშენებლის «როქის სპა» (დაქირავებული არმია), წარმატებით დამთავრდა. მართალია, იგი უმეტესად უცხოელებისაგან _ ყივჩაღებისაგან _ შედგებოდა, მაგრამ მათ საქართველოს ერთგული სამსახური გაუწიეს. შემდგომ ეს კეთილად დაწყებული საქმე ვეღარ განვითარდა. მონღოლთა შემოსევამ ყველაფერი მოშალა საქართველოში. მათ შორის, რეგულარული არმიის იდეაც. გვიან ერეკლე მეორემ სცადა მუდმივი ჯარის შემოღება და დამკვიდრება, მაგრამ მისი «მორიგე ჯარი» დაიშალა, როგორც კი ლევან ბატონიშვილი მოკვდა თუ მოკლეს. ასე, რომ საქართველო ყოველთვის სახელდახელოდ შეკრებილი ლაშქრით იცავდა თავს.

როცა გაგვიჭირდებოდა, ხალხი გამოდიოდა საომრად. ბევრ მათგანს საომარი იარაღიც არ ჰქონდა, მაგრამ ოსტატურად იყენებდა ცულს, წალდს, ცელს, მარგილს თუ კომბალს. მაშინ, აღმოსავლური ფეოდალიზმის პირობებში, როცა პრიმიტიული შეიარაღებით სარგებლობდნენ, წალდი არაფრით ჩამოუვარდებოდა ხმალს და მარგილი შუბს. შეიძლება სჯობდა კიდეც, ამიტომ ქართველი ზოგჯერ გამარჯვებული გამოდიოდა. მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც.

რაკი საუკუნეების მანძილზე ასე ხდებოდა, ქართველიც შეეჩვია და შეეგუა სახალხო ლაშქრის ტიპის სამხედრო სამსახურს და არა რეგულარული არმიისას.

ქართველი პირველად რეგულარულ არმიაში რუსეთის ხელისუფლებამ წაიყვანა. თუმცა თავდაპირველად, როცა საქართველოში რუსთა მმართველობა დამკვიდრდა, ქართველები არმიაში არ მიჰყავდათ. რუსებმა ქართული მილიცია შეადგინეს. ეს იგივე სახალხო ლაშქარი იყო, ოღონდ კარგად შეიარაღებული. თურქეთის წინააღმდეგ იყო თუ სპარსეთის, სადაც კი ამ მილიციამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო, ყველგან ვაჟკაცურად ომობდა. რუსეთის ხელისუფლება დიდად კმაყოფილი იყო მისით.

რუსეთის რეგულარულ არმიაში მხოლოდ ქართველი თავადაზნაურობა მსახურობდა. ჩინებსაც იხვეჭდა და ორდენებსაც. კრემლის სასახლის წმ. გიორგის დარბაზში კედლებზე ამოკვეთილია იმ ოფიცრებისა და გენერლების სახელები, რომელთაც თავი ისახელეს რუსეთის მიერ გამართულ ომებში. ვისაც ეს დარბაზი უნახავს, დამემოწმება, რომ რუსებისა და გერმანელების მერე ყველაზე მეტად იმ კედლებზე ქართველთა გვარებია ამოტვიფრული.

ქართველი ყოველთვის ომობდა, ოღონდ უფრო მეტად სხვის სასარგებლოდ. თანდათანობით იგი სხვის სამსახურს შეეჩვია. ქართველი რომ თავისი ქვეყნის სამსახურს (სამხედრო იქნება იგი თუ სამოქალაქო) შეეჩვიოს, ამას დიდი დროც უნდა და შეგნების შეცვლაც.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საბჭოთა არმიაში სამსახურმა ქართველს საერთოდ შეაძულა ჯარი.

დიდი მუშაობა დასჭირდება იმას, რომ ქართველმა ირწმუნოს _ რეგულარულ არმიაში სამსახური საამაყო და სასახელოა.

ბევრი ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ საქართველოში დაქირავებული არმია ყოფილიყო. პირადად მე ყოველთვის ვიყავი და ვიქნები დაქირავებული არმიის მომხრე, მაგრამ დღეს გაღატაკებულ, უფულო და უქონებო საქართველოს ამის საშუალება არა აქვს. ჯერჯერობით ერთადერთი ვარიანტი დარჩა _ სავალდებულო სამხედრო სამსახურით შექმნილი რეგულარული არმია. სხვა გზა და ფორმა არ არის.

ყოველმა ქართველმა კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ დღეს საქართველო ომშია.

რა თქმა უნდა, ყველა ჭკუათმყოფელი ქართველი იმის მომხრეა, რომ ოსთა და ქართველთა კონფლიქტი, აფხაზთა და ქართველთა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს, მაგრამ ამისი პირადად მე ნაკლები იმედი მაქვს. ქართველობა ოსებმა და აფხაზებმა აბუჩად აიგდეს, იმდენად უძლურად მიგვიჩნიეს. როცა აბუჩად აგიგდებენ, მაშინ მშვიდობიანი გზით სისხლიანი კონფლიქტის მოგვარება ნაკლებ სარწმუნოა. ამიტომ ჯარი საჭიროა იმისათვის, რომ საქართველოს ძალა იგრძნონ და მოკრძალებით მოგვეპყრონ.

სომხეთმა თავისი ოცნების _ დიდი სომხეთის შექმნის _ განხორციელება დაიწყო. დამარცხებითაც რომ დამთავრდეს «დიდი არმენიისათვის» ბრძოლა, სომხეთი მაინც დაგვესხმის ჩვენ თავს. ჯერ ერთი, იმისათვის, რომ ჯავახეთი წაგვართვას, და მეორეც, იმისათვის, რომ მესხეთის დაპყრობით შავი ზღვისაკენ გაიკაფოს გზა. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს არ მოხდება. მოხდება და ძალიან მალეც. თავი რომ დავიცვათ,

ამისათვის ჯარია საჭირო. სომხეთთან ბრძოლა იოლი არ იქნება. აზერბაიჯანთან ომმა დაადასტურა, რომ სომხეთი კარგად არის შეიარაღებული და ბრძოლისუნარიანი არმიაც ჰყავს.

აზერბაიჯანელებიც შეეცდებიან ქართული მიწა-წყლით მოითბონ ხელი, როცა ამის საშუალება და დრო მიეცემათ.

არც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების კონფედერაცია მოგვასვენებს. მარტო ის ფაქტი, რომ იმათ ქართული ქალაქი სოხუმი თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს, ნათლად გვეუბნება რა ზრახვებიც აქვთ. მათგან გამუდმებული მუქარის გარდა, არაფერი გვესმის. აქაც თავი რომ დავიცვათ, ჯარია საჭირო.

ამიტომ ქართული ჯარის შექმნას ყოველი ქართველი უდიდესი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს. არ არის დრო გაუთავებელი ლაყბობისა _ როგორ ჯარში იმსახურებს ქართველი. ლაყბობის სიყვარულმა ჩვენ უკვე გვიბიძგა უფსკრულისაკენ. სანამ დროა, ვუშველოთ ჩვენს ქვეყანას. ჯარი შევქმნათ და ამ ჯარში პატიოსნად ვიმსახუროთ.

მ.ყ. – ბატონო აკაკი! ამგვარად, საქართველოში დიდძალი იარაღი დაგროვდა. იარაღს გამოუცდელი ხელიც მისწვდა... მრავალი ჩახმახი შეიმართა. ამ ჩახმახს კი ქართველი კაცი ოდითგან ეშმაკის ცხენს ეძახდა. რომ იტყვიან, აიწყვიტა ამ ეშმაკის ცხენმა და ერთი ხალხური ლექსის არ იყოს _ «დაგელაობდეს სიკვდილი, სუდარაებსა ჰკერავდესო» _ ისეა ჩვენი საქმე. ამასწინათ, ერთ სატელევიზიო გადაცემაში პატარა სიუჟეტი აჩვენეს _ გადაედო გვარდიელს ავტომატი გვერდზე და იებს კრეფდა. იქვე პატარა ბიჭები ცნობისწადილით აწყდებოდნენ იარაღს, ხელის წატანება უნდოდათ. გვარდიელი სიტყვით იგერიებდა მათ, შეაჩვენოს ღმერთმა ეს ოხერი, რად გინდათ, აგერ იები, დედა არ გყავთ? დაკრიფეთ და წაუღეთო. მაგრამ ბიჭებს იმ წუთას არც იები უნდოდათ და არც დედა. გულაჩუყებული გვარდიელი იებს სთავაზობდა, ბიჭები კი იარაღისკენ იწევდნენ. ასე მოიწევს დღევანდელი ახალგაზრდობა იარაღისაკენ. შესაძლებელია კი მათი შეჩერება? ასე ადვილად ააღებინებ ხელს განზრახვაზე, ჰქონდეს საკუთარი იარაღი?

იქნებ სხვა რამეა საჭირო? იქნებ იარაღისადმი დამოკიდებულებას აღზრდა სჭირდება?

რაც უფრო საშიშია კაცის ხელში საბრძოლო იარაღი, მით მეტად უნდა ფლობდეს იგი მისი გამოყენების ხელოვნებას. ეს ხელოვნება კი, პირველ რიგში, გულისხმობს საკუთარი შესაძლებლობებისადმი გონივრულ დამოკიდებულებას. იარაღმა კი არ უნდა გაგხადოს ვაჟკაცი, ვაჟკაცმა უნდა მოჰკიდოს ხელი იარაღს. ვაჟასი არ იყოს _ «ვინა, ვინ არის კაი ყმა, ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს!»

იარაღის ტარებასაც შნო უნდა, იარაღი ღირსებას იძენს სწორედ «კაი ყმის» ხელში. გახსოვთ ალბათ მუცალის სიტყვები სიკვდილის წინ, ალუდას რომ გადაუგდო თოფი, «ეხლა შენ იყოს რჯულ ძაღლო, ხელთ არ ჩავარდეს სხვისასაო» _ მისი და მისი ძმის მკვლელზე მეტი სხვა ვიღა უნდა ყოფილიყო... მაგრამ მუცალმა იარაღის ფასიც იცოდა და ალუდასიც. თუ ალუდასნაირი ვაჟკაცი დაეუფლებოდა მის თოფს, მაშინ მისი ვაჟკაცობაც შეინახებოდა. იარაღი დაენანა უღირსისათვის მუცალს. როგორც უბელო ცხენია საშიში, ასევე გაუწვრთნელი იარაღია საშიში, როგორც ცხენს უნდა გაწვრთნა, ისე იარაღს უნდა გაწვრთნა კაცის ხელში.

შესაძლებელია თუ არა დღევანდელ ქართველში იარაღისადმი დამოკიდებულების აღზრდა? ეყოფა თუ არა მას იმის ძალა, რომ შეიგნოს _ იარაღი კი არ მატებს კაცს ღირსებას, ღირსეული კაცი იშნოებს იარაღს?

ა.ბ. _ იარაღის სიყვარული ადამიანში თანდაყოლილი, ღმერთის მიერ ჩანერგილი გრძნობაა. ადამიანი იარაღს მოწოდებებით, ლოზუნგებით, შეგონებებით არ ჩააბარებს.

დასაშვებია, მრავალთაგან თითო-ოროლამ დათმოს ნებით იარაღი. დიდი უმრავლესობა ამას არ გააკეთებს. თუ გვინდა, რომ შეიარაღებული ადამიანები ყოველ ნაბიჯზე არ დაძრწოდნენ, იარაღი ხელისუფლებამ უნდა ჩამოართვას მათ. განიარაღების სხვა გზა არასოდეს ყოფილა და არც იქნება. თქვენ რომ ლიტერატურულ ნიმუშებს იშველიებთ, ისინი საქართველოს მოსახლეობის ერთმა პროცენტმა თუ იცის. სხვა 99 პროცენტს ისინი არასოდეს გაუგონია და არც უნდა რომ გაიგონოს. იარაღი კი ძირითადად სწორედ იმ 99 პროცენტს აქვს.

მაგრამ ხელისუფლებამ რომ იარაღი ჩამოართვას ხალხს, იგი ძლიერი უნდა იყოს. ჯერჯერობით საქართველოს ხელისუფლება უსუსურია. უძლური იყო 28 ოქტომბრის ხელისუფლებაც და უძლურია 6 იანვრის ხელისუფლებაც. ძნელი სათქმელია, როდის შეიძენს საქართველოს ხელისუფლება ძალას, რომელსაც შეეძლება წესრიგის დამყარება.

შინააშლილობის მოგვარება ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში ძნელი იყო და არის. ისეთ კაცსაც კი, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო, შინააშლილობის დასაწყნარებლად ყივჩაღთა დაქირავება დასჭირდა. მაგრამ იგი შთამომავლობითი ხელმწიფე იყო და, როგორც ჩანს, დასაქირავებელი ფული ჰქონდა. დღეს რომ დღევანდელი ყივჩაღების დაქირავება დაგვჭირდეს, როგორ უნდა მოვახერხოთ ეს? ჯიბეგახვრეტილი ხელისუფლება ვის დაქირავებას შეძლებს?

იარაღისადმი დამოკიდებულების აღზრდა ლიანგში შეუძლებელია. ეს შეიძლება ცალკეულ პიროვნებებში. ასეთი ცალკეული პიროვნებები დღესაც არიან. მაგრამ ეს საქმეს არ შველის. ზნეობის ენა ცალკეულ პიროვნებებს ესმის. ლიანგისათვის ზნეობის ენა გაუგებარია. ლიანგმა მხოლოდ ერთი ენა იცის – ძალის ენა. ვინ მოსთვლის რამდენი საუკუნეა გვიქადაგებენ არა კაც ჰკლაო. არა იქურდო, არა ცილი სწამოო და ა.შ., მაგრამ მოახდინა ამან რაიმე ზეგავლენა ლიანგზე? არავითარი. ისევ ისე ჰკლავენ კაცს, ისევ ისე ქურდობენ, ისევ ისე სწამებენ ცილს და ა.შ. თუ პიროვნებას სურს ადამიანად დარჩეს, იგი ლიანგში არ უნდა გაერიოს. თუ გაერია, მაშინვე დაკარგავს ადამიანურს. თუ ადამიანური დაიკარგა, კაცი მხეცად გადაიქცევა, რისი მოწმეც ყველანი ვართ დღეს ჩვენ.

რელიგია, მწერლობა, ფილოსოფია იმისათვის კი არ იბრძვის, რომ ლიანგი ადამიანად აქციოს. ეს შეუძლებელია. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ ლიანგს ცალკეული პიროვნებანი გამოგლიჯონ და კაცის სახე მისცენ. ეს შესაძლებელია და ამგვარი რამ მომხდარა კიდეც.

ამდენად, თუ გვინდა საზოგადოებაში წესრიგი დამყარდეს, იარაღი უნდა ჩამოვართვათ მასას, ლიანგს. იარაღის მატარებელი ცალკეული ღირსეული პიროვნება წარსულშიც იყო, დღესაც არის და მომავალშიც იქნება. მაგრამ, როგორც გითხარით, ღირსება პიროვნებას აქვს და არა ლიანგს. ამიტომ ღირსეულობას ლიანგზე ვერ გავავრცელებთ. ვერც ვერასოდეს აღიზრდება ღირსეული ლიანგი.

მ.ყ. – ბატონო აკაკი! კიდევ ერთი კითხვა მინდა ზემოთაღნიშნულ საკითხს დავუკავშირო; რომ ვთქვათ, ძველად ყველა ვაჟკაცი იყოო, არ იქნება მართალი, მაგრამ ვაჟკაცობა რა იყო, ყველამ იცოდა. ნამდვილი ვაჟკაცი ძველადაც განსაკუთრებით საქებარი იყო. მხოლოდ რჩეულები ეუღლებოდნენ ვაჟკაცობისკოდექსს სრულყოფილად და ისინი ხალხშიც დარჩნენ.

დღეს, სამწუხაროდ, იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ ყველა ვერაა ვაჟკაცი, დღეს ლაპარაკია იმაზე, რომ უმეტესობამ არ იცის, რა არის ვაჟკაცობა, რომ სრულიად მოიშალა ვაჟკაცობის კოდექსი. ჩვენ არ ვიცნობთ იმ თაობას, რომელიც მოდის. ჩვენ ეს თაობა თვალსა და ხელს შუა გამოგვეცალა. გაწყვეტილია კავშირი ეკლესიასთან. ესაა თავის ბედს მინდობილი, მე ვიტყოდი, სრულიად დაუცველი თაობა; იგი ურწმუნო

ბებიებისა და ბაბუების, ურწმუნო დედებისა და მამების თაობაა; რა ადამიანური ბუნება გაუძლებს სამი თაობის ურწმუნოებას, ღმერთისგან მოწყვეტას.

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო, ისეა ჩვენი საქმე. ამიტომ გვეცლება ეს თაობა ხელიდან, თუ ტყვია გვაცლის, თუ ნარკოტიკები, თუ ქურდობა და ავაზაკობა! საკუთარ ცოდვებს ვინ ჩივის, წინაპართა მოუნანიებელი ცოდვებიც მისი საზიდია. ოჯახებს უჭირთ დღეს ბიჭის ყოლა. როგორ შეიძლება დღეს ამ ბიჭებს ეშველოთ, ამ ოჯახებს ეშველოთ და აქედან გამომდინარე ქვეყანას ეშველოს? რა თქმა უნდა, ისევ ღმერთმა უნდა გვიშველოს, მაგრამ ხომ უნდა სთხოვო ღმერთს?! საამისო ძალას კი მხოლოდ რწმენა იძლევა. ვინ უნდა გააღვივოს ეს რწმენა? ვის რა როლი აკისრია ამ საქმეში? ვის რისი გაკეთება შეუძლია?

ა.ბ. – ვაჟკაცობა მეტად იშვიათი თვისებაა. იგი არც ძველად ყოფილა გახშირებული და არც დღეს არის. მცირე რაოდენობით კი როგორც წინათ, ისე დღესაც არსებობს. ოღონდ დღევანდელ ვაჟკაცებს ოცდამეერთე საუკუნის ქართველები დაინახავენ. რუსები ამბობენ _ «Лицом к лицу лица не увидать». ეს ადამიანის გონების ხედვის კანონზომიერებაა. ამიტომ ნუ ვიტყვით, რომ დღეს ვაჟკაცები არ არიან. რამდენიც საჭიროა იმდენი არის. ის სხვაა, რომ დღევანდელი ბოროტებანი ჩვენზე ემოციურად მოქმედებენ და მოვლენებს ვაზვიადებთ.

არაფერი განსაკუთრებული და მოულოდნელი დღეს საქართველოში არ ხდება. როცა ერთი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემა ირღვევა და მეორე ჯერ კიდევ არ არის შექმნილი, ყველაფერი ირევა და თავდაყირა დგება. ასე ხდებოდა ყველა დროში და ყველა ქვეყანაში. მომავალშიც ასე მოხდება.

ეს რა ვყოფილვართ ქართველები, ერთმანეთს ვხოცავთო _ არის ერთი მოთქმა და ვაი-ვიში. რა, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს (1789-94 წ.წ.) ფრანგებმა ცოტა ჟუჟეს ერთმანეთი? რა, სამოქალაქო ომის დროს (1918-22 წ.წ.) რუსებმა ერთმანეთი დაინდეს? თუ პირწმინდად გაავლეს მუსრი ერთმანეთს? არც გერმანელებს დაუნდიათ ერთმანეთი, როცა გერმანიაში ნაციზმი ბატონობდა. სანიმუშოდ მარტო პოლკოვნიკ რემისა და მისი მომხრეების ამოწყვეტა კმარა.

ქართველებმა წიგნები დახიესო, ისე შევიცხადეთ, თითქოს ასეთი რამ არასოდეს მომხდარიყოს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიწევს, იმას გაგახსენებთ, რაც ჩემი თვალით მინახავს ბავშვობაში. წვავდნენ არა მარტო ტროცკის და სხვა პარტიული მეთაურების წიგნებს, არამედ მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის (თუმცა ერთადერთი წიგნი ჰქონდა გამოცემული) და სხვა დაპატიმრებულთა წიგნებსა და ბროშურებს. ამას ხალხი აკეთებდა და მერე როგორი სიამოვნებით. ასე ხდებოდა მთელს სსრკ-ში. განსხვავება არ ყოფილა. ყველა ასე იქცეოდა _ რუსი, სომეხი, ტაჯიკი, ყირგიზი, უკრაინელი თუ აზერბაიჯანელი. სტალინს რომ თავლაფი დაასხეს, მაშინაც განმეორდა ეს. მისი წიგნებიც დაწვეს.

განათლებული ევროპა შუა საუკუნეებშიც სწვავდა წიგნებს და მე-20 ასწლეულშიც. ნაცისტურ გერმანიაში წიგნების დაწვისათვის მაინცადამაინც არ წუხდნენ. ასე, რომ ადამიანი კულტურას არა მარტო ქმნის, არამედ ანგრევს კიდეც. წიგნს არა მარტო წერს, არამედ წვავს კიდეც. ერთიც ადამიანის თვისებაა და მეორეც. ადამიანს ორი ენერგია აქვს _ კეთილი და ბოროტი. კეთილი ქმნის, აშენებს, უვლის, პატრონობს. ბოროტი წვავს, ანგრევს, სპობს. ეს ორი ენერგია მუდამ ებრძვის ერთმანეთს. მაგრამ მაშინ, როცა ქვეყანა აიმღვრევა, ერთი სისტემა დაინგრევა და მეორე ჯერ კიდევ შექმნილი არ არის, ბოროტი ენერგია განსაკუთრებით შლის ფრთას და თავისუფალ პარპაშს იწყებს. ასეთი ვითარებაა დღეს საქართველოში. ბოროტი ენერგიის პარპაში მაშინ მოისპობა, როცა

ახალი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემა შეიქმნება. დღეს უმთავრესი სწორედ ამ ახალი სისტემის შექმნაა. ეს ძნელი საქმეა. მას დიდი დრო უნდა, შრომა და მოთმინება.

ისტორიის მსვლელობის კანონზომიერება გვეუბნება, რომ ომით, რევოლუციით, ტერორიზმით გამოვლენილი ადამიანთა ბოროტი ენერგიის პარპაში ხანმოკლეა. იგი მალე ამოწურავს თავისთავს. კეთილი ენერგიის საქმიანობა კი ხანგრძლივია. საუკუნეები გრძელდება.

ისტორიის ეს კანონზომიერება საქართველოს გვერდს ვერ აუვლის. მალე დაცხრება ბოროტი ენერგიის პარპაში და შემოქმედებითს შრომას შევუდგებით. ამაში ყველა მიიღებს მონაწილეობას, ისიც კი, ვინც დღეს ბოროტი ენერგიის ყურმოჭრილი ყმაა. ესეც ადამიანის ცხოვრების კანონზომიერებაა და იმიტომ. გაბრაზებული ხომ ყოფილხართ, როცა ყველაფრის მოსპობა-დანგრევა გსურთ, სიბრაზე ამოიფრქვევა, ადამიანი წყნარდება და ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგება. ეს არსებობის ისეთი წესია, რომელიც ყველგან და ყველა ვითარებაში მოქმედებს.

მ.ყ. – ბატონო აკაკი! დღეს აღარავისთვისაა დასამალი, რომ საქართველოში გონების დიდი დეფიციტია. განსაკუთრებით მამაკაცური გონისა. ამ ბოლო წლებში ერთმა ტენდენციამ იჩინა თავი; თუ ოჯახში ქალ-ვაჟი იზრდება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალის აღზრდას _ ენები, მუსიკა, ცურვა, არაფერს აკლებენ. გოგონები უმეტეს შემთხვევაში ბეჯითები არიან და კარგი სწავლა-აღზრდის პირობებში საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები ხდებიან. ამასობაში ვაჟი გოგონას ჩრდილში იზრდება, მეტი თავისუფლება აქვს, მეტი საშუალება სიზარმაცის, მისთვის ასე აქტიურად ვერ იცლიან, მაშინ როდესაც ვაჟის სწავლა-აღზრდას განსაკუთრებული გულისხმევა სჭირდება, სხვა გონებრივი და ფიზიკური წვრთნა უნდა. ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი _ ასკვნიან ოჯახში და მაშინ როცა ქალი თავად ირჩევს პროფესიას, ვაჟი უნდა სადმე «მოაწყონ», ასე ვღებულობთ ალბათ ნიჭიერ, მაგრამ გონებრივად უწვრთნელ მამაკაცს, რომელიც თავის ადგილს დიდხანს ვერ იპოვის ცხოვრებაში. თუ იპოვა საერთოდ! შემდეგ ასე საგანგებოდ გაზრდილი ქალი ასეთ ვაჟს უნდა გაჰყვეს, უმეტეს შემთხვევაში ასე ხდება. ვინ იცის, იქნებ აქაცაა იმ მრავალ უბედურებათა სათავე, რომელიც დღეს გვჭირს!

რა თქმა უნდა, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ყველა ოჯახს, ყველა ვაჟს ან ქალს არ ეხება. მაგრამ ამგვარი ტენდენცია აშკარად შეიმჩნევა. კიდევ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ; ქართველ დედას თავისი ვაჟი სავაჟკაცო წვრთნისათვის არ ემეტება და არც მისი ვაჟია მზად ამ საქმისათვის. ადრე, როცა საბჭოთა ჯარში წასვლა საშიში არ იყო, ყველაფერს აკეთებდა ოჯახი, რომ შვილი ჯარში არ გაეშვა, საგანგებოდ წვალობდა, რომ მისი პირმშო ბოლომდე ოჯახის კალთას ამოფარებული დარჩენილიყო.

ხომ არ უნდა გახდეს ჩვენი ვაჟების სწავლა-აღზრდის საკითხი საგანგებო ზრუნვის საგანი? მაგრამ ხომ არ შეიძლება ამ გზაზე აკაკისეული ერთი ფრაზა გადაგეღობოს _ «მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?»

ა.ბ. – საერთოდ სწავლა-აღზრდის პრობლემა ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული პრობლემაა დღეს. ამ მიმართულებით ბევრი ფიქრი და ზრუნვა გვმართებს. ძირფესვიანად შესაცვლელია ის სისტემა, რომლითაც დღეს ახალგაზრდობის (სულერთია, გოგო იქნება თუ ბიჭი) აღზრდა-განათლება ხდება. მაგრამ იმ საერთო-საკაცობრიო ტენდენციას ვერ გავექცევით, რაც მთელს მსოფლიოში ხდება. ეს გახლავთ ქალის მასკულინიზაცია და ვაჟის ფემინიზაცია. ყველა კარგად ხედავს, რომ ტოტალურად ყველგან ქალები ცდილობენ მამაკაცებს არაფერში «ჩამორჩნენ». საბუთად ყველასათვის იოლად დასანახი რამ მოვიშველიოთ: ქალები-ჯარისკაცები, ქალები-ფეხბურთელები, ქალები-მოჭიდავეები, ქალები-შტანგისტები და ასე დაუსრულებლად.

ეს პროცესი არ შეჩერდება. იგი დრომ მოიტანა და იმიტომ. ქალის მასკულინიზაციის თვალსაზრისით, კიდევ უფრო უარესი მოვლენების მოწმენი გახდებიან ოცდამეერთე საუკუნეში, არც პირიქითი პროცესი _ ვაჟის ფემინიზაცია _ შეჩერდება. გაქალაჩუნებული მამაკაცების ზღვა მოედება მსოფლიოს. მამაკაცების დიდ ნაწილს აღარ ექნება უნარი ქალების განაყოფიერებისა. ბავშვები ლაბორატორიული წესით ჩაისახებიან. ვიცით, რისი შედეგიაეს: მეცნიერულ-ტექნიკური ცივილიზაციის. მაგრამ არ ვიცით, რა მიზანს ემსახურება მასკულინიზაცია და ვაჟის ფემინიზაცია. რისთვის სჭირდება იგი კაცობრიობას. რაკი სამყაროში არაფერი ხდება უმიზნოდ და აუცილებლობის თვინიერ, უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებულ პროცესსაც თავისი დიდი მიზანი აქვს. ამის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. ამას მომავალი აჩვენებს. ჩვენ კი ღრმად უნდა გვწამდეს, რომ არც ნამდვილი ქალი გაქრება და არც ნამდვილი ვაჟი. მომავალი კაცობრიობის უმრავლესი და ძირითადი ნაწილი ისინი იქნებიან. კაცობრიობა მარადიულია და ნამდვილი დედაკაციც და ნამდვილი მამაკაციც მარადიულია.

ჩვენ, რაკი ადამიანები ვართ, ჟამიდან ჟამზე ყველას გვეუფლება გულგატეხილობა. ეს ადამიანის ემოციური ბუნების სისუსტეა და იმიტომ. მაგრამ ცივი გონებით თუ დავფიქრდებით, მკაფიოდ დავინახავთ, რომ სიცოცხლე-არსებობა ადამიანისთვის შეუცნობელი ძალის მოქმედების ნაყოფია. ამ ძალამ იცის _ საით მიდის კაცობრიობა, რა არის საჭირო და რა _ არა, რა არის აუცილებელი და რა _ არა. ჩვენ უნდა გვჯეროდეს მისი, რადგან, რაც მან შექმნა სიცოცხლე _ არსებობის სახით, იგი მშვენიერიც არის, კეთილი და სამართლიანიც. ამიტომ დღევანდელი ადამიანიც უნდა გაჰყვეს ძველ, კაცობრიობის მრავალნაცად გზას და შთამომავლობა ისე აღზარდოს, რომ ქალი ქალს ჰგავდეს და ვაჟი – ვაჟს. ამას ბრძოლა უნდა. ადამიანიც ბრძოლისათვის არის გაჩენილი. გახსოვთ, რას ეუბნება ხევისბერი ონისეს? ადამიანი წამებისათვის არისო გაჩენილი.

ცხოვრება ბრძოლა-წამებაა და სიცოცხლე-არსებობის ღირსიც ის არის, ვისაც ბრძოლა შეუძლია და წამების ატანაც. ბრძოლა-წამებით ცხოვრობდა კაცობრიობა დღემდე და ასე იცხოვრებს მომავალშიც.

გაზ. «საქართველო», [1]
17-23 ივლისი, 1992

მხატვრული რადიოპროგრამა «სახსოვარი» რამდენიმე შეკითხვა ბ-ონ აკაკი ბაქრაძეს

გადაცემა I

ლამარა კიკილაშვილი – უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც მეტისმეტად მძიმდება ხოლმე ჩვენი ცხოვრება, მეტისმეტად იძაბება და პირადად მე წინ თითქმის ველარაფერს ვხედავ. თუ ბედად რომელიმე გაზეთის ფურცლებზე ან ტელეეკრანზე ბ-ნი აკაკი ბაქრაძე გამოჩნდა, მასთან ერთად ერთგვარი სინათლეც მოდის და უკვე ვიცი, საით უნდა იაროს წესიერმა ადამიანმა. ეს ასეა, ალბათ, რაც თავი მახსოვს...

დღეს მე ბ-ონ აკაკისთან ვარ და მასთან საუბარს ფირზე ვიწერ.

ბ-ნო აკაკი, ამ ორი-სამი წლის მანძილზე ჩვენს ცხოვრებაში უმძიმესი მომენტების წინ, როცა ბევრისთვის ეს მომენტები ჯერ არც კი იყო ხოლმე ისე მძიმედ აღსაქმელი, თქვენ გამოდიოდით საჯაროდ პრესაში, ტელევიზიით და გვაფრთხილებდით. ერთი-ორჯერ ჩვენი ხვალინდელი დღის უმძიმესი სურათიც დაგვიხატეთ. მაგალითად,

არასოდეს დამავიწყდება თქვენი გამოსვლა ტელევიზიით ბ-ნ ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების, ალბათ, მეორე დღეს. თქვენ მრისხანე სახე გქონდათ, რაც ასე უჩვეულოა თქვენთვის. მრისხანე სახე გქონდათ და გვაფრთხილებდით. მერე კი, მართლაც, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თქვენ ამბობდით.

მე მინდა გკითხოთ, რას ხედავთ წინ ამჟამად, დღეს? რა გველის? რა იქნება ხვალ? აქვე დავსძენ, რომ ჩვენი საუბარი ლიტერატურას უნდა შეეხოს, მაგრამ ზოგიერთ მტკივნეულ კითხვას, ალბათ, მაინც გვერდს ვერ აუვლით.

აკაკი ბაქრაძე – ისტორიული პროცესის ამოცნობა ძნელი არ არის. ძნელი არ არის იმისათვის, ვინც ღრმად დაკვირვებია ამ პროცესებს და შეუმჩნევია, რომ კანონზომიერებანი მეორდება დროთა განმავლობაში. ამიტომ ძალიან მკაფიოდ შეიძლება სქემის ჩამოყალიბება _ რას რა მოჰყვება. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ისტორიული პროცესი ისეთივე ზუსტია, როგორც მათემატიკა. როდესაც ამ პროცესის აზრი გესმით, ამას წინასწარმეტყველებას ნუ დავარქმევთ. შემჩნევა იმისა, რას რა მოჰყვება, ძალიან იოლი საქმეა. სამწუხაროდ, ჩვენ უბრალოდ არ გვინდა, რომ ამ პროცესს ღრმად შევხედოთ. გვეჩვენება, რომ რაღაც მოულოდნელი, უცნაური და ამოუცნობი ამბები ხდება. ასე არ არის. ეს ყველაფერი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება და შედეგიც ყოველთვის მკაფიო და ნათელია. ის, რაც მოხდა ჩვენში, ამის დანახვა და წინასწარ ამოცნობა ძალიან ადრე შეიძლებოდა. მკაფიოდ შეიძლებოდა დახატვა იმ სურათისა, რისი მოწმეც შემდეგ უკვე რეალურად გავხდით. ასე იყო მაშინაც, როდესაც დაპირისპირება მოხდა ეროვნული მოძრაობის შიგნით და, არსებითად, ორ ბანაკად გაიყო იგი (ეროვნული მოძრაობა). მერე მისი ტრაგიკული შედეგები, რაც დღეს ყველას თვალწინ არის. ამიტომ იმ ჩემს ნათქვამში არაფერი განსაკუთრებული არ გახლავთ. უბრალოდ, ეს არის შედეგი იმისა, რომ მე დავკვირვებივარ ამ ისტორიულ პროცესებს და აქედან გარკვეული დასკვნები გამიკეთებია. აი, ამ დასკვნების ნაყოფი გახლდათ ის, რაც მე მაშინ მოგახსენეთ. ხოლო გაბრაზება, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ ძალიან იოლად მისახვედრი, ძალიან იოლად დასანახი რატომღაც არავინ დაინახა. რატომღაც ყველამ თვალი დახუჭა იმაზე, რაც ასე ნათელი და მკაფიო იყო. შედეგიც ძალიან ცუდი მივიღეთ. მაგრამ როგორც ჩანს, დგება დრო, მომენტი ადამიანის ცხოვრებაში, როცა ის თვალს ხუჭავს ისეთ რაღაცაზე, რაც ყველაზე უფრო ადვილი დასანახია. აქედანაა, ალბათ, ტრაგიკული უბედურებაც, რომელიც ამა თუ იმ ადამიანთა ჯგუფის თუ კერძო პირის საქციელს მოჰყვება.

დღესაც მკაფიოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის, რა იქნება ხვალ და როგორ განვითარდება მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ძნელი გზა გველის წინ. ამ ძნელ გზას გაძლება სჭირდება. გაგება სჭირდება იმასაც, რატომ იქნება ეს ძნელი. ძნელი იქნება, იმიტომ რომ საქართველოში და ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც ყოფილ სსრკ შედიოდნენ, იწყება სრულიად ახალი ჟამი ცხოვრებისა _ ახალი ფორმებით როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, განათლებისა და ა.შ. და ა.შ. ამიტომ ეს ძალიან რთული პროცესია. იოლად წარმოდგენა რაიმესი მიუღებელია, რადგან ხელს შეგვიშლის იმ საქმის გაკეთებაში, რაც მომავლისათვის უნდა გაკეთდეს. მაგრამ ძნელი იმას არ ნიშნავს, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ეს კეთილად არ წარიმართება და არ ჩადგება რაღაც მყარ კალაპოტში. ყველაფერი ჩადგება მყარ კალაპოტში. ჩადგება იმიტომ, რომ ის ამღვრეული სინამდვილე, ის ამღვრეული ცხოვრება, რომელიც დღეს არის, დროებითი მოვლენაა. გინახავთ, ალბათ, ნიაღვარი რომ მოვარდება ხევში და ყველაფერს წალეკავს, აღარაფერს ტოვებს გზაზე. აი, ასეთი ვითარებაა ახლა. მაგრამ ეს ნიაღვარი თანდათანობით წყნარდება და ბოლოს იმ ხევში შეიძლება ერთი წვეთი წყალიც კი ვერ იპოვოს კაცმა. ასეთია სოციალურ სინამდვილეში

მომხდარი ძვრებიც. ის ძვრები, რომლებიც დღეს ხდება საქართველოში, ნიაღვარს ჰგავს, მოდის და უნდა წალეკოს ყველაფერი, რაც გზაზე შეხვდება. მას არა აქვს განსჯა. მაგრამ თანდათანობით, როგორც გითხარით, ეს დაიწმინდება, ბოლოს კალაპოტიც გაიწმინდება და ცხოვრებაც თავისი გზით წავა ისე, როგორც აქამდე მიდიოდა.

ამიტომ მომავალი ძალიან საიმედოა და ძალიან ნათელი. ყველა ჩვენი შეცდომა მხოლოდ იმით იქნება განპირობებული, თუ ჩვენ ამ პროცესს ვერ გავითვალისწინებთ და თუ ჩვენი დამოკიდებულება ამ პროცესის მიმართ მშვიდი არ იქნება. თუ ჩვენ ყველაფერს ემოციურად და, უფრო მეტიც, ისტერიულად შევხედავთ, მაშინ უფრო გავართულებთ მდგომარეობას და უფრო მეტ უბედურებას გადავიტანთ, ვიდრე ეს აუცილებელია. ახლა მთავარი ის არის, რომ ამ კანონზომიერებას მივხვდეთ და ამ კანონზომიერების შესაბამისად მოვიქცეთ, რომ თავიდან ავიცილოთ ბევრი გაუგებრობა, ბევრი უბედურება, რომლებიც წინ გვიდევს. ამის თავიდან აცილება შეიძლება ისევე, როგორც შეიძლებოდა ყველაფრის თავიდან აცილება, რაც ჩვენში უკვე მოხდა.

თავის დროზე ვწერდი, რომ ჩვენი თავისუფლებისაკენ მოძრაობა, საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მოძრაობა თანდათანობით უნდა განხორციელებულიყო, ევოლუციური გზით. მაშინ არაფერი ის არ მოხდებოდა, რაც მოხდა. მაგრამ ჩვენ ყველაფერი ერთბაშად მოვინდომეთ და უცბად. უცბად არაფერი შეიძლება გაკეთდეს და გამოვიდეს. ამიტომ თანდათანობით უნდა ავაშენოთ ახალი სახელმწიფო საქართველოში და შევძლოთ ჩვენი ქვეყნის მყარ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა საფუძველზე დაყენება, რომ შემდეგ უკვე ყველაფერი მყარად შეიცავდეს იმ აუცილებელ პირობას, რომელიც მოიტანს კულტურის, განათლების და, საერთოდ, ყოფა-ცხოვრების აღორძინებას.

აი, ეს არის მთავარი. ჩვენ ამას უნდა მივხვდეთ, რადგან ის, რაც ხდება სსრკ ტერიტორიაზე, ის, რაც ხდება, კერძოდ, საქართველოში, არის ისტორიის აუცილებლობა და, რაკი ეს ისტორიის აუცილებლობაა, ბუნებრივად მიემართება წინსვლისა და გამარჯვებისაკენ, რადგან ისტორიამ არ იცის უკანსვლა _ თავის ზოგად პროცესში არ იცის უკანსვლა. ისტორია სულ წინ მიდის. არ უნდა ამას ბევრი მაგალითის მოშველიება. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ადამიანი ფლობდა ქვას, როგორც იარაღს. დღეს კი ატომური ენერგიისა და თერმობირთვული ენერგიის მფლობელია. ადამიანი დადიოდა ცხენით ან ურმით და დღეს კოსმოსში დაფრინავს რაკეტებით და ა.შ.

მაშასადამე, მთელი ეს პროცესი არის გამუდმებული წინსვლა. ასე იქნება მუდამ. იმიტომ რომ ადამიანთა ცხოვრება მარტო დედამიწის ცივილიზაციით არ შემოიფარგლება მომავალში. ეს იქნება დიდ, კოსმოსურ სივრცეში გასული ცივილიზაცია და, ბუნებრივია, რომ ამას მარადიული წინსვლა სჭირდება. ამ მარადიულ წინსვლაში დევს საქართველოც, როგორც ერთი პატარა ნაწილი მსოფლიოსი და, ბუნებრივია, ისიც წინ უნდა მიდიოდეს. რა ჩამორჩენილობაც გვქონდა, რა შეცდომებიც დავუშვით და რა უბედურებანიც ჩვენში მოხდა, ეს ყველაფერი ნაწილია აი, ამ წინსვლისა. რა უბედურებაც უნდა მოხდეს, რა ტრაგედიაც უნდა მოხდეს, რა საშინელი, ბნელი საქმეების მოწმეც უნდა ვიყოთ, ერთი რამ ნათელი და ცხადია _ კეთილი მაინც ყოველთვის იმარჯვებს, რადგან სხვანაირად არსებობა შეწყდებოდა. ადამიანის სიცოცხლე შეწყდებოდა დედამიწაზე, რომ კეთილი არ წარმართავდეს მას. აქედან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ჩვენი ტანჯვა, ჩვენი წამება, ჩვენი უბედურებანი, რომლებიც გადავიტანეთ, მოსამზადებელია იმისათვის, რომ ყველაფერი ბოლოს კეთილად დაგვირგვინდეს და კეთილად გადაიქცეს.

ამიტომ მე იმედიანად შევყურებ ამ პროცესს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უბედურება კიდევ არ იქნება, რომ დიდ შეცდომებს კიდევ არ ჩავიდენთ, რომ შეიძლება

სისხლისღვრა კიდევ არ იყოს. ყველაფერი ეს, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს უგუნურებაზეა დამოკიდებული, ჩვენს მოუთმენლობაზეა დამოკიდებული, ჩვენს ბრმა ემოციაზეა დამოკიდებული და პოლიტიკაში არ შეიძლება ბრმა ემოციით ცხოვრება. პოლიტიკაში ცივი გონებით შეიძლება ცხოვრება.

ემოცია კარგია პოეზიაში, ემოცია კარგია ხელოვნებაში, ემოცია კარგია მუსიკაში. ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც ადამიანის აღტაცებული სული მჟღავნდება. მაგრამ პოლიტიკა ასეთი ხელობა არ არის. პოლიტიკა არის ცივი, ანგარიშიანი ხელობა და იქ მხოლოდ და მხოლოდ გონებას უნდა უჯერებდეს ადამიანი. როგორც კი ის პოლიტიკას ემოციაში გადაიტანს, აქედან უბედურების მეტი არაფერი იბადება. ამას როგორმე გვერდი უნდა ავუაროთ, ეს როგორმე უნდა ავიცილოთ თავიდან. მაშინ, როგორც გითხარით, საქმე უკეთესად წარიმართება და გაცილებით ნაკლები იქნება შეცდომაც და უბედურებაც.

ასე, რომ მთლიანობაში იმ ისტორიული პროცესის გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელია საერთოდ კაცობრიობის განვითარებისათვის, ჩვენ მივემართებით გამარჯვებისაკენ, კეთილისაკენ, უკეთესისაკენ და რამდენადაც ამას გონივრულად შევხედავთ, იმდენად უფრო იოლად გავივლით ამ გზას. რამდენადაც უგუნურად შევხედავთ, იმდენად მეტ უბედურებას გადავიტანთ, მაგრამ პროცესი მაინც წარიმართება სიკეთისაკენ.

ლ.კ. – ღმერთმა გიშველოთ. დიდი მადლობა.

შემდეგი შეკითხვა: ჩემი აზრით და, ალბათ, ყველას აზრითაც, ჩვენ უპირველესად სულიერება უნდა დავიბრუნოთ. ამას წინათ ბ-ნი ივლიანე ხაინდრავა ერთ სატელევიზიო გადაცემაში ამბობდა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო დღეს არ არსებობს. არსებობს ტერიტორია, რომელზედაც სახელმწიფო უნდა ავაშენოთ.

ჩვენი სულიერი ცხოვრებაც ხომ ნანგრევებად არის ქცეული. ალბათ, სულიერების აღდგენით უნდა დავიწყოთ, რაც ბევრად ძნელი და რთული იქნება და ამ საქმეში უდიდესი ღვაწლი, ალბათ, სწორედ მწერლობამ, თეატრმა, ხელოვნებამ უნდა გასწიოს. მაგრამ ხალხს აქეთ გამოხედვაც აღარ უნდა. სული მოკვდა. ცუდ სინამდვილეს ვუცქერით თვალებში. ულეგენდოდ დავრჩით.

რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? როგორ დავიბრუნოთ თუნდაც სილამაზის განცდის უნარი? როგორ გამოვაცოცხლოთ ჩვენი სული?

ა.ბ. _ თუ გავიხსენებთ წარსულის ზოგიერთ მოვლენას, კერძოდ ვგულისხმობ ინგლისის რევოლუციას, საფრანგეთის რევოლუციას, თუ გნებავთ, რუსეთში რევოლუციას 1917-ში, ყველგან ერთ გარკვეულ სურათს დავინახავთ. ეს სურათი გახლავთ ის, რომ ერთდროულად იწყება როგორც მატერიალური რღვევა, ისე სულიერი რღვევაც, რადგან ის, რაც იშლება ბუნებრივად კვდება სულთან ერთად. არა მარტო იშლება ძველი ფორმები პოლიტიკური მმართველობისა, ან ეკონომიკური სტრუქტურისა, ან სოციალური მოდელისა, არამედ იშლება ხელოვნების სამყაროც, ლიტერატურის სამყაროც, იშლება სულიც. იგივე პროცესი მიმდინარეობს დღეს ჩვენთან, საქართველოში.

მაგრამ არის ერთი მოვლენა, რომელიც არ იწვევს აღტაცებას. პირიქით, გულისტკივილს იწვევს. ეს გახლავთ ის, რომ იმ ძველი რევოლუციების დროს, აშკარად ვხედავთ, მართალია იწყებოდა ერთის კვდომა, მაგრამ მეორის _ სულიერების აღორძინება ხდებოდა და ძალიან მძლავრადაც ხდებოდა ეს. უფრო ახალი გავიხსენოთ, იმავე 1917 წლის ორივე რევოლუცია _ თებერვლისაც და ოქტომბრისაც. იმასთან ერთად, რომ ძალიან ბევრი რამ დაინგრა სულიერების თვალსაზრისით და განადგურდა, მოჰყვა აღორძინებაც იმავე სულიერების თვალსაზრისით. ეს ხდებოდა როგორც

ლიტერატურაში, ისე ხელოვნების სხვა დარგებში. ძალიან საინტერესოა ამ მხრივ იმდროინდელი პერიოდი: თითქოს არ იყო საშუალება, დრო იმისა, რომ ელაპარაკათ თეატრზე, პოეზიაზე, მხატვრობაზე და ა.შ., მაგრამ სინამდვილეში ძალიან აქტიურად იქმნებოდა საინტერესო ქმნილებები, როგორც პოეზიაში, ისე ხელოვნების სხვა დარგებში. მაგალითად, იმავე პერიოდში, 1917-დან 21 წლამდე საქართველოში რუს ემიგრანტთა დიდი ტაღლა ჩამოვიდა. სწორედ საქართველოში რუსული ავანგარდიზმის პოეზიაში ძალიან მძლავრი კერა შეიქმნა. იმდროინდელ პრესაშიც და თბილისში რომ რუსული პრესა გამოდიოდა, იმაშიაც ასახულია ეს.

მაშასადამე, გადანაცვლება მოხდა ერთი ადგილიდან მეორე ადგილისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული საქართველოს მატერიალურ ცხოვრებაში იყო დიდი გასაჭირი და იყო სიძნელეები, სულიერად მაინც ძალიან სერიოზული და საინტერესო ამბები ხდებოდა. თუ გნებავთ, პოეზიის საღამოები, რომლებიც მაშინ თბილისში იმართებოდა და დიდი რაოდენობით ესწრებოდა საზოგადოება, ჩვენი ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების გამოფენები, საფუძველი ეყრებოდა ქართულ კინოს, მიმდინარეობდა, როგორც გითხარით, პარალელურად ერთის კვდომა, მეორის _ აღორძინება. ამგვარი პროცესი, რომელიც ყველა რევოლუციის დროს შეიმჩნეოდა, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არ შეიმჩნევა. ძველი თითქოს დავიწყებას ეძლევა, მაგრამ ახალი მძლავრი ტალღა განახლებისა, სულიერი განახლებისა, ჯერ არ ჩანს. რა თქმა უნდა, ამას სერიოზული დაკვირვება სჭირდება.

საქართველოს განთავისუფლებამ, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამ ჩვენში ჯერჯეროზით სულიერების თვალსაზრისით აღორძინება არ გამოიწვია. არ შექმნილა არც ერთი ლექსი, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა საზოგადოებაზე. არ დაწერილა სიმღერა, რომელიც დღეს საყოველთაო გახდებოდა და ყველა იმღერებდა. არ დახატულა სურათი, რომელშიც ეს ტკივილები თუ სიხარული აისახებოდა. არაფერს ვამბობ, რომ რომანი არ დაწერილა ან ფილმი არ გადაღებულა. ამას დიდი დრო და დიდი მუშაობა სჭირდება. მაგრამ ისეთი დარგები ხელოვნებისა, რომლებიც მოვლენებს უცბად ეხმიანება და უცაბედი აღტაცების შედეგად იბადება, იქაც არ არის არაფერი. ჩამოვთვალეთ კიდეც: არ არის ლექსი, არ არის სიმღერა, არ არის სურათი... ეს დამაფიქრებელი მოვლენა გახლავთ. ამგვარ შეფერხებას მე იმით ვხსნი, რომ ის, რაც საქართველოში მოხდა და ის პროცესი, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს, ჩვენთვის მოულოდნელი იყო. ჩვენ ამისთვის არ ვიყავით მზად.

როდესაც უზარმაზარი სახელმწიფო, საბჭოთა კავშირად წოდებული, დაინგრა, აი ამ სახელმწიფოს დანგრევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ჩვენ ჯერ გაოგნებისგან არ გამოვსულვართ. ჩვენში აღტაცების მაგიერ, გაოგნებაა. ამ გაოგნებამ წაგვართვა უნარი იმისა, რომ აღტაცება გამოვხატოთ. როგორც ჩანს, გარკვეული დრო დასჭირდება, გაოგნებისგან რომ გამოვფხიზლდეთ და შემდეგ შევძლოთ მისი სათანადო ემოციური გამოხატვა ჩვენს ხელოვნებაში.

თუმცა ნგრევა, რომელიც საბჭოთა კავშირში მოხდა, ჩვენთვის არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი. მაგრამ აქაც, ეტყობა, თავი იჩინა სწორედ იმ პროცესის უცოდინარობამ, რომელზედაც წეღან მოგახსენებდით _ არ მოხდა იმ ისტორიული პროცესის ისეთი ზუსტი აღქმა, რომელიც თანდათანობით შეიძლებოდა გაგვეაზრებინა და ყველაფრისათვის ბუნებრივი კალაპოტი მიგვეცა. არ მოხდა იმიტომ, რომ ვერ მივხვდით ერთ გარკვეულ მოვლენას, რაც აუცილებლად უნდა გაგვეთვალისწინებინა და აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩვენი ფიქრის საგანი. ეს გახლავთ ის, რომ 1917 წელს, როდესაც რუსეთში რევოლუცია მოხდა, რუსეთის იმპერია შეიცვალა და ეს

რუსეთის იმპერიის მოდერნიზაცია არ ყოფილა. აქ სხვა პროცესი მოხდა, რაც ღრმად ვერ წარმოვიდგინეთ და ვერ გავითვალისწინეთ.

კერძოდ რა. თუ გადავავლებთ თვალს იმპერიების ისტორიას, დავინახავთ, რომ ორი სახის იმპერია არსებობს. ერთი იმპერია შექმნილი ერის გონისა და ძალისხმევით, მეორე იმპერია შექმნილია ადამიანის, პიროვნების ძალისა და გონისხმევით. მაგალითად, რომის იმპერია იყო ერის ძალისხმევით შექმნილი იმპერია, ინგლისის იმპერია ასეთი იყო და რუსეთის იმპერიაც ასეთი იყო. მაგრამ არსებობდა პარალელურად პიროვნების მიერ შექმნილი იმპერიაც. ვთქვათ, ალექსანდრე მაკედონელის იმპერია, კარლოს დიდის იმპერია, ჩინგიზხანის იმპერია. ორივე იმპერია დროთა განმავლობაში იშლება, მაგრამ ერის ძალისხმევით შექმნილი იმპერია გაცილებით ხანგრძლივად არსებობს, მაშინ, როდესაც პიროვნების მიერ შექმნილი იმპერია ძალიან მალე იშლება. ასე მოხდა რუსეთშიც. თუ 1917 წლამდე არსებული იმპერია რუსეთში იყო რუსი ხალხის, ერის ძალისა და გონისხმევით შექმნილი იმპერია, 1917 წლის შემდეგ ბოლშევიკების მიერ შექმნილი იმპერია იყო პიროვნების მიერ შექმნილი იმპერია და ეს უმთავრესად სტალინის სახელს უკავშირდება. ე.ი. ეს იყო პიროვნების იმპერია. ეს რომ ამოგვეცნო იმთავითვე, მაშინვე უნდა მივმხვდარიყავით იმას, რომ, რაკი ეს პიროვნების მიერ შექმნილი იმპერია იყო, რუსეთის იმპერია, როგორც ძალა, უკვე დაინგრა 1917 წელს და ხელოვნურად გაგრძელდა იგი შემდეგ ერთი კაცის მიერ გამოვლენილი პოლიტიკური ნიჭისა თუ პოლიტიკური ძალმოსილების, თუ ენერგიის, თუ რითაც გნებავთ იმით. ამიტომ ის რომ მალე დაინგრეოდა, ეს ჩვენთვის გასაგები უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით მისი სიკვდილის შემდეგ. რაც სტალინს შეეძლო, მის მომდევნო პოლიტიკოსებს, მის მემკვიდრეებს არ შეეძლოთ. ისე, როგორც ვერ შეძლეს ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის შენარჩუნება მისმა მემკვიდრეებმა. ეს იმპერია მაკედონელის სიკვდილთან ერთად დაიშალა. ასევე რომ დაიშლებოდა რუსეთის იმპერიაც, რადგან მას განაჩენი უკვე 1917 წელს ჰქონდა გამოტანილი, ჩვენთვის ნათელი უნდა გამხდარიყო. რაკი ეს ვერ გავიგეთ, ჩავთვალეთ, ეს საშინელი რეჟიმი იმდენად ძლიერია, რომ ძალიან მალე არ დაიშლებაო.

მე, თუ გახსოვთ 9 აპრილის შემდეგ ვთქვი, რომ 21-ე საუკუნეს საქართველო თავისუფალი შეხვდება-მეთქი. ამის გამო ზოგი მეგობრულად და ზოგიც ზურგს უკან დამცინოდა, ეს უზარმაზარი სახელმწიფო ასე როგორ დაიშლებაო. მაგრამ ეს არა მარტო 1989 წლის 9 აპრილს შეიძლებოდა გვეთქვა, არამედ უკვე 1953 წელს, ის ისტორიული პროცესი ძალიან მკაფიოდ რომ წარმოგვედგინა და ჩაგვეხედა მის სიღრმეში. სწორედ იმის გამო, რომ ვერ ამოვხსენით ეს პროცესი, მიმართულება ისტორიისა ვერ გავიგეთ, უცბად ჩვენ თვალწინ ეს უზარმაზარი სახელმწიფო რომ დაემხო, გაოგნებული დავრჩით და ამ გაოგნებისაგან ვერ გამოვსულვართ, ჩვენს თავს რა მოხდა, არ ვიცით. დღესაც ბევრი ამტკიცებს იმას, რომ რუსეთი ისევ რაღაც მზაკვრობას ჩაიდენს, ისევ უნდა გვეშინოდეს მისი და რომ ხვალ ვინ იცის რა მოხდება და ა.შ. და ა.შ. არაფერი მოხდება. არ მოხდება, იმიტომ რომ რუსეთის იმპერიის არსებობა, რუსეთის დიდი სახელმწიფოს არსებობა, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდა. მისი აღდგენა, მისი განახლება არარა ძალას არ შეუძლია. ამიტომ ეს საშიშროება, ეს საფრთხე აღარ არსებობს. საფრთხე სხვა არსებობს. ეს გახლავთ ის, ჩვენ რამდენად შევძლებთ ჩვენი ქვეყნის აშენებას. რამდენად მოვახერხებთ საქართველო იყოს ქვეყანა, რომელიც გეამაყება ადამიანს ყველა თვალსაზრისით, ეკონომიკური იქნება, პოლიტიკური, კულტურული თუ რომელიც გნებავთ. ამიტომ ეს არის გადასაწყვეტი.

საქართველოს აღარ ემუქრება უკვე არსაით მხრიდან დაპყრობა, არც თურქეთის მხრიდან, არც სპარსეთის მხრიდან, არც რუსეთის მხრიდან, უფრო შორეულზე ხომ

ლაპარაკი ზედმეტია. შორეული მით უმეტეს არ დაიპყრობს საქართველოს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო დღევანდელ ვითარებაში გარკვეული საფრთხის წინაშე არ დგას. რა თქმა უნდა, დგას, მაგრამ ეს საფრთხე არ გახლავთ კონკრეტული ქვეყანა. ეს საფრთხე გახლავთ დღეს წარმოქმნილი ახალი კონფლიქტი. ეს კონფლიქტია მაჰმადიანური და ქრისტიანული სამყაროების ურთიერთდაპირისპირება, რაც ძალიან მკაფიოდ იკვეთება. რა თქმა უნდა, ამგვარი საფრთხე საქართველოსთვისაც არსებობს. მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, საქართველოს გარშემო ისევ შეიკრა მაჰმადიანური სამყარო _ აღმოსავლეთით ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი, რომელიც, ბუნებრივია, საერთო მაჰმადიანურ სამყაროს დაუკავშირდება. ასევე ჩრდილოეთით არსებული მაჰმადიანური პატარა სახელმწიფოები, ჩრდილოეთ კავკასიისა, ისინიც მაჰმადიანურ სამყაროსთან გაერთიანდებიან. აგერ ჩვენს სამხრეთით არსებული თურქეთიც. მაგრამ არის კიდევ შორეული პერსპექტივაც, რომ აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანური სახელმწიფოები ვოლგისპირეთის მაჰმადიანურ ქვეყნებს დაუკავშირდება, ხოლო მერე ისინი ყაზახეთსა და შუა აზიას. ასე, რომ მაჰმადიანური ძლიერი სამყარო იქმნება ჩვენ გარშემო. რა თქმა უნდა, ეს საფრთხეა. მაგრამ იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ ქრისტიანული სამყაროს ნაწილი ვართ, ბუნებრივია, ეს საფრთხე ჩვენ ისევე გვემუქრება, როგორც იმათ. ამ შემთხვევაში უკვე იმათი მფარველობის ქვეშ ვართ. უნდათ თუ არ უნდათ, ისინიც იმ ინტერესებს დაიცავენ, რა ინტერესებიც ჩვენ უნდა დავიცვათ. თუ, რა თქმა უნდა, მომავალში ამგვარი კონფლიქტი გაძლიერდება და გახდება რეალური საფრთხე.

მაგრამ ერთი გარემოებაც გახლავთ: მაჰმადიანური სამყაროც იძულებული იქნება შეცვალოს ის ფუნდამენტალიზმი, რომელსაც დღეს ბევრი ებღაუჭება იქ. იძულებული იქნება იმიტომ, რომ ერთი რამ ნათლად და მკაფიოდ გამოჩნდა დღევანდელ მსოფლიოში. ეს არის აღორძინების ის გზა, რომელსაც იმთავითვე ადგა ევროპა და რასაც დღეს ადგას ყველა სახელმწიფო, ვისაც სურს აღორძინება. ისტორიამ აჩვენა, რომ აღორძინების ერთადერთი გზა არის ევროპული გზა, რადგან ევროპული გზა დაკავშირებულია არა მარტო სულიერ აღორძინებასთან, არამედ პრაქტიკულ აღორძინებასთანაც. მთლიანად თანამედროვე ტექნიკური პროგრესი არსებითად ევროპაში დაბადებული აზრია და ეს ფორმა არსებობისა _ ტექნიკური პროგრესიც, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაც და სულიერი ამაღლებაც ერთად უნდა წარმოვიდგინოთ. ისინი ერთმანეთისაგან არ უნდა გაითიშოს. მაჰმადიანური ფუნდამენტალიზმი ამას თიშავს და რაკი თიშავს, ის ბუნებრივად ჩამორჩება დღევანდელ პროცესს. ცხადია, ის ხალხები, რომლებიც დღეს მაჰმადიანური ფუნდამენტალიზმის გავლენის ქვეშ არიან მოქცეული, ამას არ მოითმენენ. ის შეეცდება ეს ვითარება შეცვალოს. ამდენად მომავალში შეიძლება დაპირისპირებაც მაინცდამაინც დიდ საფრთხეს არ შეიცავდეს და სხვანაირად წარიმართოს სრულიად პროცესი. მაგრამ მე დღევანდელ ვითარებაზე მოგახსენებთ და ამგვარი საფრთხე, როგორც გითხარით, არსებობს საქართველოს მიმართ.

ერთადერთი სერიოზული საფრთხე, კიდევ ვიმეორებ, არის ის, ჩვენ, ქართველები, რამდენად შევძლებთ ჩვენი თავის მოვლას, როგორ ავაშენებთ ჩვენს ქვეყანას, როგორ მოვუვლით მის ეკონომიკას, როგორ მოვაწყობთ მას სოციალურად, პოლიტიკურად, რა ურთიერთობანი გვექნება იმ ხალხებთან, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და არ არიან ქართველები და, საერთოდ, როგორ ავაშენებთ ჩვენს კულტურას, ჩვენს სულიერ ცხოვრებას. აი, ეს არის პრობლემა დღეს. ამ პრობლემას სჭირდება სერიოზული შრომა, სერიოზული ანალიზი და, რა თქმა უნდა, იმ გზების მოძებნაც, რომლებიც აღორძინების გზაზე დაგვაყენებს. თუ რაიმე აქ შეგვეშალა, ამას სხვას ნუღარ დავაბრალებთ. ეს იქნება

მხოლოდ და მხოლოდ ქართველების ბრალი და თავის მართლება იმით, რომ ხელი შეგვიშალა ჩვენ ერთმა დამპყრობელმა თუ მეორემ, მესამემ _ არ იქნება სწორი და ყველა შეცდომაზე პასუხი ჩვენ, ქართველებმა, უნდა ვაგოთ.

ბუნებრივია, როცა ამას გავითვალისწინებთ, რეალურად დადგება ჩვენი სულიერი აღორძინების აუცილებლობა, რადგან ყველაფერი ამაღლებული და მშვენიერი მხოლოდ მაშინ იქმნება, როდესაც ის სულთან არის დაკავშირებული. სულთან არის დაკავშირებული, თუ გნებავთ, ფულის კეთებაც კი: არის ერთი ადამიანი, რომელიც ფულს აკეთებს მხოლოდ და მხოლოდ ანგარებისა და მოგებისათვის. არის მეორე ადამიანი, რომელიც ფულს აკეთებს იმისათვის, რომ ამ ფულმა დიდი სიკეთე მოიტანოს. არის ადამიანი, რომელიც ფულს მოიგებს და მხოლოდ და მხოლოდ სმა-ჭამაში დახარჯავს, არის ადამიანი, რომელიც ფულს მოიგებს და საავადმყოფოებს ააშენებს, სკოლებს ააშენებს, თეატრებს ააშენებს და ა.შ. ისე, როგორც ამას აკეთებდა ზუბალაშვილების გვარი. ისე, როგორც ამას აკეთებდა დავით სარაჯიშვილი და სხვები. მაშასადამე, ფულის მოგებასაც სული სჭირდება და მე იმედი მაქვს, რომ ის ადამიანები, რომლებსაც პრაქტიკული საქმიანობა შეუძლიათ ან, როგორც დღეს მოდურად გავრცელებული სიტყვით იტყვიან, ბიზნესის კეთება შეუძლიათ, მათში აღორძინდება სწორედ ეს სული და აი, ეს სული გახდება ახალი ლიტერატურის, ახალი თეატრის, ახალი კინოს, ახალი მხატვრობის, მუსიკისა და ა.შ. აღორძინების საფუძველი.

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს ნათქვამი: ხელოვნება შვილია უკიდურესი სიღატაკისა და აურაცხელი სიმდიდრისაო. მართლაც ასეა. ხელოვნებაში ან უკიდურესად ღატაკი ქმნის ძალიან ამაღლებულს, ან უკიდურესად მდიდარი. მაგრამ არის ხელოვნების დარგები, სადაც ღატაკი ვერაფერს შექმნის. ვთქვათ, ღატაკ ფიროსმანს შეუძლია სურათები დახატოს, მაგრამ ღატაკ კინორეჟისორს არ შეუძლია ფილმის გადაღება, ღატაკ თეატრალურ რეჟისორს არ შეუძლია სპექტაკლის დადგმა. მეტიც, ღატაკებს არ შეუძლიათ, მაგალითად, კარგი ტელევიზია ჰქონდეთ, რადგან ეს უკვე დიდ მატერიალურ სიმდიდრესთან არის დაკავშირებული. ამიტომ მატერიალური სიმდიდრე უნდა შეიქმნას, რომ მას მერე სულიც დაეყრდნოს. მაგრამ, როგორც გითხარით, ამ მატერიალური სიმდიდრის შექმნასაც თავისი სული სჭირდება და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა ბიზნესმენების წრიდან უფრო ხშირად დაიბადება დავით სარაჯიშვილი და სტეფანე ზუბალაშვილი, ვიდრე, დავუშვათ, ის ადამიანები, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი სტომაქისათვის სჭირდებათ ის სიმდიდრე, რასაც ისინი მოიპოვებენ. ასე, რომ აქ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული მატერიალურიც და სულიერიც. როცა ეს შერწყმა მოხდება _ მატერიალურისა და სულიერისა, მაშინ ჩვენი გაოგნებაც გაივლის და მივხვდებით, რომ უკვე აღტაცების დრო მოსულა. ეს აღტაცება კი გადაიზრდება იმ სულიერ აღორძინებაში, რასაც მოველით და რაც აუცილებელი გახლავთ.

ლ.კ.– მაგრამ ამას, ალბათ, ძალიან დიდი დრო სჭირდება.

ა.ბ. _ რა თქმა უნდა, დრო სჭირდება. საერთოდ, დროის ფაქტორი ყველაფერში არსებობს. ცხადია, სულიერ აღორძინებაშიც. ამიტომ მოთმინება უნდა გვქონდეს და უნდა შეგვეძლოს მოლოდინი. უცბად არაფერი ხდება. მით უმეტეს, სულიერი აღორძინება. ამიტომ ამას დრო სჭირდება, გამძლეობაც სჭირდება და თანდათანობითი ბრძოლაც იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს ის შენობა აშენდეს, რომელსაც სულიერი საქართველო დაერქმევა საბოლოოდ.

ლ.კ. – და ჩვენ საძირკვლის ჩაყრაში მაინც მივიღოთ მონაწილეობა.

ა.ბ. _ ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ყველა თაობამ _ ხანდაზმულთა თაობამაც და ახალგაზრდების თაობამაც, რადგან ეს ერთი მთლიანი ქართული მოვლენა უნდა იყოს.

3. III. 1992

გადაცემა II

ეს გადაცემა გამოყენებულია მე-3 ტომში (იხ. 537-544 გვ.)

გადაცემა III

ლამარა კიკილაშვილი _ ბატონო აკაკი, «დათა თუთაშხიას» თქვენ ერთხელ საუკუნის რომანი უწოდეთ.

აკაკი ბაქრაძე _ «დათა თუთაშხიას» მიმართ ჩემი დამოკიდებულება და ჩემი აღტაცება გამოვთქვი წერილით _ «ტარიგი ღმრთისაი». მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შემიძლია დაუსრულებლად ვილაპარაკო მასზე, რადგან მიმაჩნია, რომ ეს რომანი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია მე-20 საუკუნის ქართული მწერლობისა და ეს მით უფრო გასახარელია, რომ მე-20 საუკუნის ქართული პროზა ძალიან მძლავრი ნაკადი იყო ჩვენი ლიტერატურისა. მარტო გვარების დასახელებაც კმარა, როგორი ადამიანები მოღვაწეობდნენ მწერლობის ამ დარგში. ამ ვითარებაში, როცა იწერება ახალი ნაწარმოები, სრულიად სხვა სამყაროს რომ ხატავს, ეს უკვე თავისთავად მეტყველებს იმ მძლავრ ნიჭზე, რომელიც მის ავტორს აქვს.

«დათა თუთაშხია» ბევრი თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ნაწარმოები გახლავთ. თუნდაც ის, რომ «დათა თუთაშხიაში» არის ორი გმირი, ორი პერსონაჟი, რომლებიც თავისი გონების სიმძლავრით ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან, მაგრამ ერთი, ნებით თუ უნებლიეთ, ბოროტს ემსახურება, მეორე _ კეთილს. ეს, თავისთავად, ღრმა ფილოსოფიური შინაარსის შემცველი გახლავთ. აქ სრულიად მკაფიოდ და ნათლად არის მითითებული, რომ კეთილისა და ბოროტის ბრძოლა არასოდეს შეწყდება. ოღონდ, კეთილი ყოველთვის ახერხებს მაინც გამოვიდეს გამარჯვებული ამ ბრძოლაში, რადგან ბოროტი არსებობას მხოლოდ მაშინ ახერხებს, როდესაც ის კეთილს არის მიტმასნებული.

რომანში ძალიან კარგად არის ნათქვამი და ასახული ის, რომ, როცა დათა თუთაშხია დაიღუპა, მუშნი ზარანდიაც მალე მოკვდა, იმიტომ რომ მას არსებობა უდათაოდ არ შეეძლო, რადგან იმ კეთილს უნდა მიტმასნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ნიჭიერების სიძლიერით ის არ ჩამორჩება დათას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მას მიზანი არა აქვს, მისი ნიჭიერება ფუჭად იხარჯება. მუშნი ზარანდიას მძლავრი გონება, მთელი უნარი მზაკვრობისა, ცბიერებისა, არსებითად, ფუჭია იმის გამო, რომ მას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. მაშინ, როდესაც დათა ტოვებს სწორედ იმ შინაგან აღტაცებას და იმ შინაგან სისპეტაკეს, რომელიც ადამიანს არსებობისათვის აუცილებლად სჭირდება. ჩვეულებრივ, ამ მხრივ ამ რომანში ის არის, რაც ბუნების კანონზომიერებას წარმოადგენს საერთოდ. მაგალითად, სადაც ხორბალს დათესავთ, იქ სარეველა ყოველთვის ამოვა. მაგრამ სადაც სარეველას დათესავენ, იქ ხორბალი არასოდეს ამოვა. იმიტომ რომ ხორბალი თავისთავად არსებობს, როგორც კეთილი და

მას მიტმასნება არ სჭირდება. სარეველა კი უნდა მიეტმასნოს, ისე ვერ იარსებებს. ასეა ბოროტიც. უნდა მიეტმასნოს რაღაცას, რომ მან იარსებოს და ეტმასნება კიდეც.

სწორედ ეს მხარე რომანისა მეტად დამაფიქრებელი გახლავთ ყოველი ადამიანისათვის, იმიტომ რომ _ რა სურს იმ ადამიანს, ვინც ამ რომანს წაიკითხავს, რომელსაც არსებობისა და ცხოვრების რაღაც გეზი აქვს, რა სურს მას? იყოს თავისთავადი, კეთილის განმახორციელებელი. თუნდაც მცირე მასშტაბით, თუ იყოს სარეველა, პარაზიტი, სხვას მიტმასნებული?

ეს რთული პრობლემაა ყველა დროში და ყველა ეპოქაში. ბუნებრივია, რთული პრობლემაა დღესაც. ამგვარი პრობლემის დასმა იმ რთულ ვითარებაში, რომელშიაც დღეს ჩვენი საზოგადოება ცხოვრობს, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ და ძალიან ღრმა ფიქრის გამომწვევი.

გარდა ამისა, თვითონ რომანს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, თავისი ბევრი ღირსება აქვს. თუნდაც, ერთი მაგალითი. კარგად იცით, რომ რომანში თხრობა მიმდინარეობს სხვადასხვა პირის ნაამბობისდა მიხედვით. ადამიანები ყვებიან სხვადასხვა ეპიზოდს, სხვადასხვა შემთხვევას. მაგრამ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ამ ნოველებს თუ ამ ამბებს თავისი სალაპარაკო ენა აქვს. ისინი ერთმანეთს არ ჰგვანან; თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად ზუსტად არიან აღწერილი, რომ კუთხურობის მიხედვითაც კი განსხვავდებიან მთხრობელები ერთმანეთისაგან. ეს არის საოცარი ოსტატობა მწერლისა, როცა ვკითხულობთ, რომც არ იცოდეთ იმ კაცის გვარი, ვინც ამბავს ყვება, იმ წუთში მიხვდებით, რომელი კუთხიდან შეიძლება იყოს ეს კაცი და რა კუთხით შეუძლია მას სამყაროს დანახვა, რა ენობრივი მასალა აქვს და რა თავისებური კილო მეტყველებისა. აი, ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა და ამას ძალიან ღრმა ნიჭიერება სჭირდება, რომ ამგვარი ნიუანსები დაიჭიროს მწერალმა. გარდა ამისა, თითოეული პერსონაჟი დიდი სიმსუყით არის დახატული, ყველა მათგანი ცოცხალი არსებაა თავისი ფიზიკური გარეგნობით, სულიერი თვისებით, საქციელით, მეტყველებით, ჟესტით; ყველაფრით ის ადამიანია, რომელიც ძალიან რელიეფურად გამოიყურება და არ შეიძლება, რომ ის მკითხველს დაავიწყდეს, რადგან სრულად ჩამოყალიბებულია როგორც მისი გარეგნული, ისე სულიერი პორტრეტი. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რა დაკვირვებითა და რა ღრმა დაფიქრებით ხატავს ავტორი ყველა პერსონაჟს და იმას რასაც მათში დებს: არა მარტო ის არის ადამიანი, რასაც ამბობს, არამედ რასაც აკეთებს, როგორ იქცევა და, თუ გნებავთ, როგორი გარეგნობა აქვს და ამ გარეგნობის მიმართ რა დამოკიდებულება აქვს მას თვითონ და ყველა იმას, ვინც მის გარემოში ცხოვრობს და არსებობს.

მე ვთვლი, რომ ამგვარი ნიუანსებით ხატვა და ამგვარი ფერებით ხატვა ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ _ როგორც სუფთა ოსტატობის ნიმუში პროფესიული კუთხით. თან გალერეა იმ ადამიანებისა, რომლებიც რომანში მოქმედებენ, სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები არიან, სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა ასაკის. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი გალერეა ადამიანებისა გაივლის ჩვენ თვალწინ, მაგრამ ერთმანეთში არც ერთი არ აგერევათ. ყველა მათგანის მიმართ არის ძალიან დიდი და სერიოზული ინტერესი, როგორც მათი სულის მიმართ, ისე იმ ამბების მიმართ, რომლებშიაც ისინი მონაწილეობენ. მწერალი ხშირად ამა თუ იმ ვითარებაში ძალიან რთულ მდგომარეობაში აყენებს თავის პერსონაჟს. ზოგჯერ ისეთ მდგომარეობაშია პერსონაჟი ჩაყენებული, რომ მისმა საქციელმა თითქოს უარყოფითი დამოკიდებულება უნდა გამოიწვიოს, თითქოს უნდა გაგაღიზიანოს კიდეც. მაგრამ მერე ისე შემოაბრუნებს მწერალი ყველაფერ ამას, რომ უარყოფითი დამოკიდებულება, უბრალოდ, ღრმა

ტკივილის საგანი ხდება და არა, ვთქვათ, რაღაც ზერელე დამოკიდებულების გამოვლენისა.

კონკრეტულად, გავიხსენოთ ეპიზოდი, როდესაც დათა თუთაშხია არ მიეშველება გონებასუსტ კიკუს, რომელსაც ყაჩაღები დაუპირებენ გაუპატიურებას და გააუპატიურებენ კიდეც. იმ პერიოდში დათას გარკვეული ფილოსოფია ჰქონდა მისთვის ჩამოყალიბებული _ ადამიანი დახმარების ღირსი არ არის. და არც დაეხმარა. ამ სურათმა თითქოს უნდა განგაწყოთ დათას წინააღმდეგ. მაგრამ იმდენად დიდია დათას სულიერი სამყარო, რომ ეს არ გაღიზიანებთ. პირიქით, ეს ტკივილს აღძრავს _ რა სასოწარკვეთილებამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი ცხოვრებამ და რა საქციელი ჩაადენინოს მას! მაგრამ შემდეგ მწერალი ამას აბრუნებს და როდესაც კიკუს ძმას, ძობას უნდა დათას მოკვლა, დათა თუთაშხიას კეთილშობილება აიძულებს არათუ მოკლას კაცი, არამედ საერთოდ გადააგდოს იარაღი. და აი, აქ ხედავთ თქვენ ზნეობრივი სიწმინდის ძალას და იმ ზნეობრივი ზემოქმედების ძალას, რომელსაც შეუძლია მკვლელი და ყაჩაღი ისევ ადამიანად აქციოს. ადამიანის სულის ხასიათის შემობრუნების ამგვარი ნიუანსებით ძალიან მდიდარია რომანი.

მთელი სამყაროა, მთელი ერთი დამოუკიდებელი ნაწარმოების შინაარსია სეთური და მისი გარემო, მისი მუშები. ეს ის სამყაროა, რომელსაც პირობითად შეიძლება სეთურის ქვეყანა დავარქვათ, სადაც ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც გადაქცეული არიან მუშა-საქონლად. არაფრის განსჯა არა აქვთ, არაფერზე ფიქრობენ, არაფერს აკეთებენ და სადღაც მიდიან იმის გამო, რომ სეთურის მორჩილნი არიან და მიაჩნიათ, რომ სეთური მათი მამა და მარჩენალია. ახლა დააკვირდით ამ სურათს. ეს სურათი არა მარტო წარსული პერიოდის ამბებს ასახავს, არამედ ეს დღევანდელი საქართველოს სურათიც არის და დღევანდელი საქართველო ამაზე ღრმად უნდა დაფიქრდეს. ეს ყველაფერი დღევანდელ საქართველოს როგორც გარკვეული ბრალდება ისე ედება წინ. ერთი სიტყვით, უამრავი ამგვარი ეპიზოდისა და ამგვარი ამბის გახსენება შეიძლება, რომლებიც ამ რომანშია გადმოცემული ძალიან რელიეფურად, ძალიან მსუყედ და ძალიან მყარად. ამის გამო შეიძლება ეს რომანი გახდეს მუდმივი მსჯელობის, განსჯისა და ანალიზის საგანი როგორც კონკრეტული პერსონაჟების მიხედვით, ისე დაწერის, მისი მხატვრული არქიტექტონიკის მიხედვით და ა.შ. რა თქმა უნდა, ამგვარი მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული მწერლობისათვის მეტისმეტად გასახარელი გახლავთ.

ჩემი აზრით, «დათა თუთაშხია» ერთ-ერთი მარადიული წიგნია, რომელიც ჩვენს ხალხს სულ გაყვება მისი ცხოვრების გზაზე და ყოველთვის ექნება მას ინტერესი მისი კითხვისა და ამ კითხვის შედეგად მოგვრილი სიხარულიც. რა თქმა უნდა, ბედნიერია ავტორი, რომელსაც შეუძლია ასეთი წიგნი დაწეროს და დატოვოს როგორც თავის სასახელოდ, ისე იმ ხალხის სასახელოდ, ვინც უნდა იკითხოს ეს წიგნი და ვისაც აქვს საშუალება ამ წიგნთან ურთიერთობა ჰქონდეს.

ძალიან სამწუხაროა ის, რაც ჩვენში ამგვარი წიგნის ავტორის მიმართ ხდება. ეს ძალიან სამწუხაროა. მაგრამ მე თავს იმით ვინუგეშებ, რომ ამ შემთხვევაში არაფერი ისეთი განსაკუთრებული არ ხდება, რაც საქართველოში არ მომხდარა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ არ ვიცით ჩვენი ყველაზე დიდი კაცის _ «ვეფხისტყაოსნის» ავტორის სახელი და გვარი. ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც ალბათ ყველა ქვეყანას შეარცხვენდა. როგორ შეიძლება დაგავიწყდეს ადამიანს იმ კაცის სახელი და გვარი, ვინც საერთოდ განასახიერებს ყველაფერს საუკეთესოს, რაც ჩვენს ხალხს ჰქონია. რანაირი სიძულვილით უნდა სძულებოდათ «ვეფხისტყაოსნის» ავტორი, რანაირი სიძულვილი უნდა ყოფილიყო მის მიმართ, რომ მისი ყველაფერი დაკარგულიყო. ეს სიძულვილი

მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნიშნით იყო გამოწვეული, ნიჭიერების გამო. ნიჭიერების გამო სძულდათ ის.

ერთხელ შალვა ნუცუბიძემ იხუმრა _ რუსთაველიო ისეთი დიდი ადამიანი იყო როგორც შემოქმედი, რომ სხვების თავზე დადიოდა მისდა უნებლიეთ. და აი, იმ პატარებმა, რომელთა თავზეც ის დააბიჯებდა, ეს არ აპატიეს და მისი სახელი დაივიწყესო. მაგრამ რა ტრაგედიაა ჩვენთვის ეს _ იძულებული ვართ რაღაც მოგონილი სახელით და გვარით ვიცნობდეთ «ვეფხისტყაოსნის» ავტორს!

ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ, რა დღეში ჩააგდეს სულხან-საბა ორბელიანი იმის გამო, რომ ზოგიერთს არ მოსწონდა მისი პოლიტიკური ორიენტაცია და ზოგიერთს _ მისი ნიჭი. მოხუცი კაცი წვერებით ათრიეს სვეტიცხოვლის ეზოში. იქამდეც მიიყვანეს, რომ ბიბლია დააწვევინეს. ეტყობა, მან რაღაც თავისებური ინტერპრეტაცია მისცა ბიბლიას და მერე აიძულებს, რომ დაეწვა. ის თვითონ ბერი იყო და ბერს რომ აიძულებ ბიბლია დაწვას, რა მდგომარეობაში უნდა ჩაეგდოთ იგი!

ასეთი რამდენი მაგალითის გახსენება შეიძლება, თუნდაც აგერ უახლოეს, მე-19 საუკუნის ეპოქაში. ჩამოვთვალოთ უბრალოდ: კრიტიკოსი ესტატე ბოსლეველი მოკლეს, დიმიტრი ყიფიანი მოკლეს, ივანე მაჩაბელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და არ ვიცით _ რატომ და რისთვის, ილია ჭავჭავაძე მოკლეს, ნიკო ხიზანიშვილი მოკლეს, თედო რაზიკაშვილი მოკლეს და კათალიკოსი კირიონი მოკლეს. მოხდა 7 მკვლელობა დაახლოებით 35 წლის მანძილზე. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რა სასტიკი და ულმობელია ქართველის დამოკიდებულება მისი საუკეთესო შვილების მიმართ და რა უგუნურია ეს დამოკიდებულება!

ყველა ქვეყანაში ხდება უბედურება, ყველა ქვეყანაში შეიძლება მოკლან დიდი ადამიანი, მწერალი იქნება, პოლიტიკური მოღვაწე თუ სხვა რომელიმე დარგის წარმომადგენელი. მაგრამ აი ასეთ პატარა მონაკვეთში ამდენი დიდი ადამიანის მოკვლა და თან არც ერთი არ ვიცით _ რატომ და რისთვის, ვინ და როგორ, ეს უკვე პირდაპირ გასაოცარია. როდესაც ყველაფერ ამას გაითვალისწინებს ადამიანი, აღარ უნდა გაუკვირდეს, რომ ჭაბუა ამირეჯიბს _ «დათა თუთაშხიას» ავტორს _ ტალახს ესვრიან.

როგორც ჩანს, ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა და ჩვენი დამოკიდებულება ისტორიის მიმართ დარჩა ყრუ. აი, ეს არის გულდასაწყვეტი. თორემ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში და, ალბათ, დიდხანს, დიდი ხნის მანძილზე ამას საქართველო, ქართველი ხალხი თავს არ დაანებებს, რაკი წარსულში ეს ყოველთვის ხდებოდა და დღესაც მეორდება იგი. მაგრამ, თავისთავად, ეს ამ წიგნს ვერაფერს დააკლებს. უბრალოდ, როგორც ჩანს, დიდი წიგნის ავტორს დიდი ბიოგრაფიაც უნდა ჰქონდეს და ამ ბიოგრაფიის ნაწილია ესეც. მით უმეტეს, რომ ჭაბუა ამირეჯიბს მართლა საუკეთესო ბიოგრაფია აქვს. თვითონ შეიძლება იყოს ერთი დიდი და საუკეთესო რომანის პერსონაჟი. ალბათ თავისი თავგადასავალი რომ დაეწერა, შეიძლება ისეთივე საინტერესო წიგნი გამოსულიყო, როგორიც «დათა თუთაშხიაა». და ამ ბიოგრაფიის ავტორს ესეც სჭირდება. ეს აუცილებელიცაა. შეიძლება გული დაგვწყდეს, მაგრამ მაინც რაღაც კანონზომიერებას ემორჩილება ეს და ამ კანონზომიერებას უნდა გაუძლოს კაცმა.

ლ.კ. – თქვენ ისე კარგად თქვით ყველაფერი, რომ არაფერი აღარ მინდა შეგეკითხოთ. მინდა კონკრეტულად შეგეკითხოთ _ ამ რომანმა გამოსვლის შემდეგ სულიერი აღორძინება, რაღაც გავლენა ხომ მოახდინა?

ა.ბ. – ახლა რაშია საქმე: რა თქმა უნდა, ამგვარ წიგნს არ შეიძლება არ მოჰყვეს გარკვეული გავლენა, იმიტომ რომ, გვინდა თუ არ გვინდა, ის, ვინც მხატვრულ ნაწარმოებს გულით კითხულობს, ნამდვილი დამოკიდებულება აქვს მის მიმართ, შეუძლებელია მასზე ზეგავლენა არ მოახდინოს, რადგან ყველა ღირებული მხატვრული

ნაწარმოები ჩვენში დიდ ფიქრს იწვევს, დიდ განსჯას იწვევს, დიდ მუდმივ წუხილს იწვევს. ჩვენ შეიძლება ვერც კი მივხვდეთ ისე ახდენდეს ის ჩვენზე გავლენას. რა თქმა უნდა, მე არ ვგულისხმობ, რომ ის ახდენს გავლენას მთელ ლიანგზე, მასაზე. არა. ის ახდენს გავლენას ცალკეულ პიროვნებებზე. იმათზე, ვისაც წიგნთან კონტაქტი შეუძლია, რადგან როგორც გალაკტიონი ამბობს, არის მკითხველი და გადამკითხველი. გადამკითხველი არ არის აქ მხედველობაში. აქ მხედველობაშია სწორედ მკითხველი, რომელიც მყარ კონტაქტს ამყარებს წიგნთან და, აქედან გამომდინარე, ცხადია, მის სულიერ სამყაროში გარკვეული ძვრები ხდება. აი, ამ მხრივ «დათა თუთაშხიამ» მაშინაც მოახდინა ზეგავლენა, როცა იგი გამოვიდა და დღესაც ახდენს, მიუხედავად იმ აჟიოტაჟისა, რომელიც ამ ბოლო დროს არის ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ ეს აჟიოტაჟი, რომელიც დღეს ჩვენს საზოგადოებაშია და ეს გაღიზიანებაც გარკვეული წრისა, ესეც გავლენაა. ესეც გავლენაა, იმიტომ რომ არის ერთი კანონზომიერება, რომელიც შეიმჩნევა საზოგადოების ცხოვრებაში. ეს გახლავთ ის, რომ ნიჭსა და სილამაზეს ებრძვის ადამიანი მისი სულიერი სიღატაკის გამო. ეს მარტო საქართველოში არ ხდება. ყველგან ხდება ასე და ყველა ეპოქაში ხდებოდა ასე. ეს, სხვათა შორის, განსაკუთრებით აქვს ხაზგასმული კონსტანტინე გამსახურდიას. ის ამბობს, ყველაზე დიდი სიძულვილი, რომელიც შეიძლება დაიმსახუროს, ეს გახლავთ ნიჭი და სილამაზე. სიმდიდრეც კი არ იმსახურებს იმ სიძულვილს, რასაც იმსახურებს ნიჭი და სილამაზე, რადგან ორივე ღვთისგანაა ბოძებული. ის ადამიანი, რომელიც ღმერთმა ამით არ დააჯილდოვა, გაბოროტებულია. გაბოროტებულია არა იმის წინააღმდეგ, ვინც დააჯილდოვა, არამეს იმის წინააღმდეგ, ვინც დააჯილდოვეს. ეს ბუნებრივი შედეგია და ესეც გავლენაა.

თვითონ დათა თუთაშხია, როგორც პერსონაჟი, სულიერად ღატაკი ადამიანების სიძულვილს იწვევს, რადგან ვერ აუტანიათ დათას სიდიადე, თუმცა ის გამოგონილია, არარეალური კაცია და მხოლოდ ლიტერატურაში არსებობს. მაინც ვერ აუტანიათ. ეს მარადიული საყვედურია. ამ მარადიული საყვედურის ატანა იმ ადამიანებს არ შეუძლიათ, ვისაც თავისი სულიერი სიღატაკის გადალახვა არ ძალუძს. ესეც გარკვეული გავლენაა. ამასაც, როგორც ჩანს, რაღაც გარკვეული ახსნა სჭირდება და აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ უარყოფითი დამოკიდებულებაც გავლენაა, თავი რომ დავანებოთ დადებითს, თავი რომ დავანებოთ იმ შინაგან განცდას, რომელიც რომანის წაკითხვის შემდეგ გვეუფლება. უარყოფითი დამოკიდებულებაც გავლენაა, რადგან ის, ვისაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, გააღიზიანა იმ სისპეტაკემ, იმ სიბრძნემ, იმ კეთილშობილებამ და იმ ვაჟკაცობამ, რომელიც დათა თუთაშხიას, როგორც პერსონაჟს აქვს. აქედან გამომდინარე, ის ავტორზეც გადავიდა, რადგან ყველა ნაწარმოებში ავტორის რაღაც ნაწილიც დევს, ისევე როგორც ვერ დაიწერება ვერავითარი ნაწარმოები, თუ რაღაც გადატანილი, რაღაც განცდილი ავტორისა არ დევს შიგ. ასევე პერსონაჟშიც დევს ავტორის სული, მისი შინაგანი სამყაროს ტკივილი, რაღაც დაკვირვება, განცდა, სურვილები, ოცნებანი. ამიტომ დამოკიდებულება პერსონაჟისადმი ბუნებრივად გადადის ავტორზე და ავტორისადმი დამოკიდებულებაც შეიძლება გადავიდეს პერსონაჟზე. ეს გავლენა დღესაც გრძელდება და, მით უმეტეს, გაგრძელდება მომავალშიც, როცა დღევანდელი ვნებები დაცხრება და უფრო მშვიდი გვექნება დამოკიდებულება გარკვეული მოვლენებისადმი, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში მოხდა და, კერძოდ, თუ გნებავთ, ამ რომანის მიმართ. ამიტომ ეს გზა ძალიან ვრცელია, არსებითად დაუსრულებელი _ სხვადასხვა თაობა სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად წაიკითხავს მას და სხვადასხვა ღირებულებას აღმოაჩენს.

ლ.კ.– ჭაბუა ამირეჯიბს ყველაზე უფრო იმაზე ედავება ზოგიერთი, რატომ არ დაწერა მან მეორე, მესამე და მეოთხე ისეთივე რომანი, როგორიცაა «დათა თუთაშხია»...

ა.ბ. _ ამგვარი მოთხოვნაც დაკავშირებულია უმეცრებასთან. ლიტერატურის ისტორიაში უამრავი შემთხვევაა, როდესაც არსებითად ავტორი ერთ წიგნს წერს. არის, რა თქმა უნდა, ისეთი მწერლებიც, რომლებიც ბევრს წერენ, რამდენიმე ნაწარმოები აქვთ დაწერილი და ხშირ შემთხვევაში თანაბარი ძალისაც. მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში ბევრია მწერალი, რომელსაც ერთი რომანი აქვს დაწერილი და ამ რომანშია არსებითად თავმოყრილი ყველაფერი ის, რაც მას უნდოდა ეთქვა. ეს ჩვეულებრივი ამბავია და ლაპარაკი, რატომ მეორეს არ წერს, რატომ მესამეს არ წერს, ეს, როგორც გითხარით, ლიტერატურული უმეცრების შედეგია და არა სერიოზული მსჯელობისა.

ბევრი აქვს დაწერილი სერვანტესს და ის ნაყოფიერი მწერალი იყო, მაგრამ არაფერი მისი დაწერილი არ შეედრება «დონ-კიხოტს». არსებითად, სერვანტესი ერთი რომანის _ «დონ-კიხოტის» ავტორია. იმიტომ რომ ის, რაც მას სხვა აქვს დაწერილი, არაფრით შეედრება «დონ-კიხოტს» და შეიძლება ზოგჯერ იფიქროთ კიდეც, რომ ეს კაცი არ არის ამ რომანის ავტორი. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. უბრალოდ ეს იმის მაუწყებელია, რომ რაღაც ერთ ფოკუსში მოიყარა მწერლის მთელმა ნიჭიერებამ თავი და გამომჟღავნდა კონკრეტულად ამ ნაწარმოებში. ლაპარაკი იმაზე, რატომ სხვა რომანები არ არის ან სხვა მოთხრობები არ არის, უნაყოფო ლაპარაკია. მთავარია, რომ სულის ტკივილი გამოიხატა ერთ კონკრეტულ ქმნილებაში. სხვაში ის გამოიხატება, არ გამოიხატება, ან დაიწერება, ან არ დაიწერება, ან თუ დაიწერება უფრო სუსტი დაიწერება, ეს ჩვეულებრივი შემოქმედებითი პროცესია და ამ ჩვეულებრივ შემოქმედებით პროცესს ვერავინ აუვლის გვერდს. ეს თავისებურებაა თვითონ იმ ადამიანისა, ვინც ამ შემთხვევაში მწერალია და ავტორი ამა თუ იმ ნაწარმოებისა.

ასე, რომ ესეც ნაყოფია იმ გაღიზიანებისა, რომელიც რომანმა გამოიწვია, იმის სურვილისა, რომ ვიღაცის სიკეთე არ დაინახო, ვიღაცის ნიჭიერება არ დაინახო. ესეც ადამიანის სიხარბისა და ადამიანის მანკიერების შედეგია. ამ მანკიერებისაგანს ღმერთი არ ათავისუფლებს ადამიანს და, ბუნებრივია, ჩვენ ვერაფერს ვიზამთ, ვერაფრით მოვახერხებთ მის განთავისუფლებას, რადგან, როგორც ჩანს, ეს ის ღვთაებრივი ნაკლია, რაც მას (ადამიანს) აქვს.

ოთარ ჭილაძეს აქვს ნათქვამი _ ათი მცნება სხვა არაფერია თუ არა ადამიანის ათი მანკიერების წინააღმდეგ გამოთქმული სენტენციებიო. რადგან ეს ათი მცნება მარადიულია ადამიანში, ამიტომ ის სენტენციებიც მარადიულია. მართალია, იტყვი _ «არა კაც ჰკლა», მაგრამ ადამიანი მაინც კლავს კაცს. მაშასადამე, რაკი ეს მანკიერება მარადიულია, ეს სიბრძნეც მარადიულია. «არა იმრუშო», ადამიანი მაინც მრუშობს. და ეს მოთხოვნაც მარადიულია. ასე რომ ის, რაც ადამიანში დევს, რაც ადამიანის თვისებაა, მას ვერ ცვლის ვერაფერი. რაკი ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია ეს მანკიერება, ადამიანი მას ვერ მოერევა. ამ მანკიერების გამო ვეძებთ გზებსა და საშუალებებს, რომ ის დავამციროთ, ვინც ჩვენ თავისი ნიჭიერებით გვაჯობა და ვეძებთ ისეთ კუთხეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ბოროტი გავახაროთ და ვაზეიმოთ. ვთქვათ, რომ ეს მისი დაწერილი არ არის, ვიღაცას მოპარა ან აჩუქეს, ან რაღაც ამდაგვარი. მაგრამ ეს ლეგენდაა და მწერლობას უხდება ლეგენდა. განსაკუთრებით დიდ მწერალს უხდება ლეგენდა.

ლ.კ. – ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფიასაც უხდება ლეგენდა.

ა.ბ. – ბუნებრივია, რომ ყველა დიდი მწერალი მეტნაკლებად ლეგენდის გმირია და, ცხადია, ჭაბუა ამირეჯიბიც უნდა იყოს ლეგენდის გმირი. ისე არ შეიძლება.

ლ.კ. – დიდი მადლობა.

17. III. 1992.

გადაცემა IV

ლამარა კიკილაშვილი - ბ-ნო აკაკი, რა მოგცათ პირადად თქვენ ანა კალანდაძის პოეზიამ, როგორც პიროვნებას და როგორც მწერალს, როგორც შემოქმედს.

აკაკი ბაქრაძე _ ძალიან ბევრი რამ და ძალიან მიჭირს ლაპარაკი, იმიტომ რომ კონკრეტულად ამის ჩამოყალიბებას ვერ ვახერხებ, რადგან ძალიან დიდია, ძალიან ფართოა მისი პოეზია და რაღაც გამოვყო, მეძნელება. ალბათ, ვერც მოვახერხებ ამას. მთავარი ის არის, რაც ანა კალანდაძემ მოიტანა ჩვენს პოეზიაში და, საერთოდ, ანა კალანდაძის ლიტერატურულ-პოეტური სამყარო იმდენად მნიშვნელოვანია, როცა მას კითხულობ, სრულიად სხვა სამყაროში ცხოვრობ და სრულიად სხვა სინამდვილეს ეზიარები. მართალია, ეს წარმოდგენითი სინამდვილეა, ილუზიაა, მაგრამ ამ მშვენიერებას შეუძლია მიწიერი ყოფის გალამაზებაც და ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა, როდესაც ლაპარაკობენ ქართული მწერლობა როგორ იქცეოდა, რას აკეთებდა და არის ამის გამო ერთი შეხლა-შემოხლა, მე მინდა გავიხსენო სწორედ ის პირველი კითხვა ანა კალანდაძის ლექსებისა მწერალთა კავშირში, რაც თავის დროზე მოხდა. მიმაჩნია, რომ ეს იყო ყველაზე დიდი ამბოხება საბჭოთა სინამდვილის წინააღმდეგ, მხოლოდ სულიერი ამბოხება. იმიტომ რომ ამ ლექსებმა და აი, ამ ახალგაზრდა ქალის მოსვლამ ყველაფერი სულ სხვანაირი კუთხით წარმოაჩინა. მაშინ ცოცხალია გალაკტიონ ტაბიძე, ცოცხალია კოლაუ ნადირაძე, ცოცხალია გიორგი ლეონიძე და ა.შ. და აი, იმ სამყაროს მიჩვეულ ადამიანებსაც კი სულ სხვანაირად დაანახვა ანამ ის პოეტური სინამდვილე, რომელიც მან მოიტანა. რაკი ის ახალგაზრდა იყო და ახალი თაობის აზრი მოჰქონდა, ახალი სინამდვილე მოჰქონდა, ეს იყო სერიოზული ამბოხება, სულიერი ამბოხება ყველაფერი იმ რუტინის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს არსებობდა, იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც იმ დროს არსებობდა. თან ეს იყო ისეთი მძლავრი ამბოხება, რომ მას ვერაფერი დასძლევდა, ვერ მოერეოდა, ვერაფერი შეძლებდა მის გაუქმებას. ეს იყო სწორედ ის გარდატეხა, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო მაშინდელი თაობის, როგორც უფროსის, ისე ახალგაზრდა თაობის ცხოვრებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამ კუთხითაც არის, ალბათ, დასანახი და გასაანალიზებელი, საჩვენებელი ანა კალანდაძის გამოჩენა ჩვენს პოეზიაში.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახლა რატომღაც ჩვენში მოდაშია, გინდა თუ არა, მწერალი უნდა იყოს რაღაცისათვის მებრძოლი. სრულებით არ არის ეს აუცილებელი. თუმცა, თუ ასე იქნება, არც ეს არის ცუდი, კარგია. მე არ ვიცი, მაგალითად, რის წინააღმდეგ, კონკრეტულად რომ თქვას კაცმა, რა სინამდვილის წინააღმდეგ მებრძოლია, დავუშვათ, გოეთე ან, თუ გნებავთ, რუსთაველი. ის (რუსთაველი) არის, საერთოდ, მებრძოლი იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანის სული უნდა აიყვანოს ზევით, აზიაროს რაღაცას, ხიდი უნდა გასდოს ადამიანსა და ღმერთს შორის. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, მებრძოლია. მაგრამ რომელ სინამდვილეს ებრძვის რუსთაველი «ვეფხისტყაოსანში», ამის ახსნა წარმოუდგენელია ალბათ... ანდა გოეთე, რომელიც თანამდებობით მინისტრი გახლდათ, ძალიან კარგადაც ცხოვრობდა და ძალიანაც აფასებდა ამ თავის მინისტრობას. იმ დროს, როდესაც გერმანიაში დიდი აჟიოტაჟი იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ გერმანელი ახალგაზრდობის ბრძოლას ნაპოლეონის წინააღმდეგ, გოეთე მშვიდად იჯდა, სრულებით არ აწუხებდა ეს და, უფრო მეტიც, შვილიც კი არ გაუშვა ნაპოლეონის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფიქრობდა რაღაც

ისეთზე, რომელსაც არავითარი კონკრეტული მნიშვნელობა, ალბათ, იმ დროისათვის არ ჰქონდა.

სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად აქვს აღწერილი თომას მანს რომანში: «ლოტე ვაიმარში»: საზოგადოება ვერ გარკვეულა, რატომ არის ეს ბრძენი ასე გულგრილი ყველაფერი იმ ფუსფუსისადმი, რომელიც მის გარშემოა, და იმ მოვლენებისადმი, რომლებიც, ალბათ, იმ კონკრეტულ ვითარებაში გერმანიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ, საერთოდ, არის ის დიადი, იმიტომ რომ იმ სიდიადეში სწორედ ადამიანის სულის ამაღლებაზე ფიქრობს და ფიქრობს ისეთი სამყარო შექმნას, რომელშიაც ადამიანი იცხოვრებს და როცა მის წიგნს აიღებს ხელში, დაავიწყდება ყველა ის ჭუჭყი და უბედურება, რომელიც მის გარშემოა.

აი, ამგვარი სამყარო შემოიტანა ანა კალანდაძემ და იმ სამყაროში ჩვენ ყველანი გავთავისუფლდით საშინელებისაგან, რომელიც გარშემო გვქონდა _ დაწყებული უბრალო ცხოვრების წვრილმანიდან, დამთავრებული დიდი იდეოლოგიური ბატონობით. ყველაფერი ამისგან გავთავისუფლდით. შემთხვევით არ ვახსენე წეღან, რომ ცოცხალი არიან ამ დროს ჩვენი მწერლობის კოლოსები და ისინი ქმნიან და აქტიური შემოქმედნი არიან. და აი, ამ ვითარებაში მოდის სრულიად ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მოაქვს სრულებით ახალი სამყარო და ამ ახალ სამყაროში მხოლოდ სილამაზე და ოცნებაა, რაღაც ისეთი სამყაროა, რომელსაც არავითარი სიბინძურე არ ეკარება ახლოს. და უცბად თავისუფლდები ყველაფერი იმისგან, რაც შენ გაწუხებს, როგორც ადამიანს და გინდა, რომ არ იყოს ის შენს გარშემო და, ბუნებრივია, შენშიაც არ იყოს. ეს არის ყველაზე დიდი ბრძოლა, ჩემი აზრით. ეს არის ყველაზე დიდი ამბოხება, რომელიც ადამიანს შეუძლია, რადგან ის არავის კლავს, ის არავის აუბედურებს, ის ადამიანს ათავისუფლებს და რაკი ამას აკეთებს, ეს არის ყველაზე დიდი, რაც შეიძლება ადამიანმა, როგორც შემოქმედმა, გააკეთოს. იმიტომ რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში ყოველგვარი ბრძოლა მიმდინარეობს, ყოველგვარი _ სისხლიანიც და უსისხლოც, ჭუჭყიანიცა და სუფთაც, მაგრამ მაინც მთავარი, ალბათ, ის არის, რომ შენს სულში გამოიწვიოს აღორძინება და ამ აღორძინების შედეგად გათავისუფლდე იმ გარემოსაგან, რომელიც აკნინებს და ამცირებს ადამიანს. სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი, რომ უცბად მან სულში მოახდინა ის გარდატეხა, რომელიც, ჩემი ფიქრით, ყოველი ადამიანისათვის აუცილებელია.

ერთი გადმოცემა არსებობს ასეთი: ვაჟა-ფშაველა შინ ბრუნდებოდა. ყაჩაღების რაზმი დაესხა თავს და გაძარცვა მოინდომეს მისი. ხურჯინში ვერაფერი ნახეს, გარდა ქაღალდებისა. ყაჩაღმა დაათვალიერა ეს ქაღალდები, მაგრამ წერა-კითხვა არ იცოდა და რა არისო ეს _ იკითხა. მე ვწერო ლექსებს და რაღაცეებსო, ჩანაწერებსო. აბა, ერთი წამიკითხეო. ვაჟამ წაუკითხა «გოგოთურ და აფშინა». არაფერი უთქვამს ყაჩაღს. როცა პოემა დამთავრდა, ხურჯინი უკან დაუბრუნა, ცხენზე შეჯდა და წავიდა. რამდენიმე წლის შემდეგ ვაჟამ წერილი მიიღო, რომ ამ პოემის წაკითხვის შემდეგ ეს კაცი მასწავლებელი გამხდარა.

აი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. ეს მართალია თუ ტყუილი, იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც მის აზრს აქვს მნიშვნელობა. მწერლობა სწორედ ის არის, რომელიც შენ გაიძულებს მოახდინო უზარმაზარი გარდატეხა შენს სულში და სხვა გახდე. როდესაც ამას აღწევს პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი თუ ვინც გნებავთ, ეს არის ყველაზე დიდი დამსახურება მისი და მისი ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლენა.

იმ გადმოცემის ავტორი, რომელიც ვაჟაზე ამას გვიამბობს, თუ ეს ნამდვილი არ არის და მოიგონა, ძალიან კარგად ხედავს მწერლის ამოცანას, ძალიან კარგად ხედავს

ხელოვნებისა და, საერთოდ, სულიერი ცხოვრების ამოცანას. ეს მაიძულებს, სწორედ ამ კუთხით შევხედო ყველაფერ იმას, რასაც ჩვენი მწერლობა აკეთებდა საერთოდ, დღეს აკეთებს და კონკრეტულად, თუ გნებავთ, რა ღირებულება და მნიშვნელობა აქვს ანა კალანდაძის პოეზიას.

პოეზიას აქვს სწორედ ეს უნარი, როდესაც თქვენ მას კითხულობთ, აუცილებლად გინდათ, სხვანაირი იყოთ, აუცილებლად გინდათ, რომ ყველაფერი ცუდი მოიცილოთ და რაღაცნაირად ყველაფერ ამაღლებულს ეზიაროთ. აი, ეს არის პოეზიის ძალა და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანიც ეს არის, როდესაც ამას აღწევს პოეტი, უკვე თავისთავად ცხადია მისი მნიშვნელობაც და მისი ნიჭის ძლიერებაც.

ჩვენ არა მარტო მაშინ, როდესაც ანა კალანდაძე პირველად გამოვიდა, არამედ დღესაც აი, ამგვარი ზემოქმედება ძალიან გვჭირდება. ძალიან მძიმე ვითარებაში უნდა იყოს ადამიანი, კონკრეტული პიროვნება თუ მთელი ერი, ვისაც ამისი სურვილი არა აქვს, ვისაც შეუძლია, რომ ამას ყურადღება არ მიაქციოს და ამის მიმართ ყრუ დარჩეს.

ეს გარემოება დამაფიქრებელია დღევანდელ ვითარებაში და როდესაც ამას კარგად გავაანალიზებთ, მაშინ კიდევ განმეორდება ის დიდი სულიერი ამბოხება, რომელიც მოხდა თავის დროზე, როდესაც პირველად გამოჩნდა ანა კალანდაძე სამწერლო ასპარეზზე.

ლ.კ. – ბ-ნო აკაკი, ოთარ ჭილაძე საქვეყნოდ აღიარებული რომანების ავტორია. მოულოდნელად, მან პროზაშიც გამოავლინა უდიდესი ნიჭიერება. პირადად ჩემთვის იგი მაინც პოეტად რჩება, ძლიერი, უმშვენიერესი ხმის მქონე პოეტად. მისი ლექსების გარეშე ქართულ პოეზიას ვერ წარმოვიდგენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ რომანების გამოქვეყნების შემდეგ ხალხს თითქოს მიავიწყდა მისი პოეზია, რაზეც ძალიან მწყდება გული.

ა.ბ. _ ვთიქრობ, რომ ოთარ ჭილაძე თანაბრად ძლიერია პროზასა და პოეზიაში. მართალია, მის პროზას პოეტის ხელი ეტყობა და პოეტური ელემენტი ჭარბად არის მის პროზაში, მაგრამ ის ძალიან მძლავრად აზროვნებს და ასევე წერს კიდეც თავის რომანებს. ასე რომ, მგონია, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ასეა, ის თანაბრად ავლენს თავის ნიჭს როგორც პოეზიაში, ისე პროზაში. ერთი მთლიანი თვალსაზრისით, პოეზიისა და პროზის მთლიანი თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ის სამყარო, რომელიც მან შექმნა, რადგან ამ სამყაროში ძალზე სერიოზული პრობლემებია წარმოდგენილი და ასევე მეტად საინტერესოდ არის ის სამყარო დახატული.

მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ოთარ ჭილაძე მოქმედების თვალსაზრისით შორეულ მოვლენებზე გველაპარაკება, მართალია, აქეთაც გადმოდის, აგერ მეოცე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ეს ვრცელი დრო, დაწყებული ძველი ანტიკური ეპოქიდან, როდესაც არგონავტების მითის ელემენტია მის რომანში განმეორებული და აგერ დღემდე, რასაც ის «რკინის თეატრში» გვიამბობს, არსებითად მე-19 ს-ის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისს ეხება, მგონია, მთელ საქართველოს ისტორიას რაღაცნაირად ამთლიანებს და ერთ მოდელს ქმნის, მის წარმოდგენითს მოდელს იმ მოვლენებისა, რომლებიც მისთვის, როგორც ავტორისათვის, საინტერესოა და, ცხადია, ჩვენთვისაც საინტერესოს ხდის მას.

ამიტომ აი, ამ სამყაროში მოძრაობა ძნელია. რაკი დრო და სივრცე ძალიან დიდია, ბუნებრივია, ის ადამიანებიც მრავალფეროვანნი არიან, ვინც ამაში მოქმედებს. ერთბაშად, უცბად მათი წარმოდგენა-დახასიათება ძნელი ხდება. აშკარად გრძნობ იმას, რომ კავშირი უწყვეტია და ის ცალკე არ არსებობს. ვთქვათ, «გზაზე ერთი კაცი მიდიოდა», სადაც გარკვეულ ეპოქას ასახავს, მაგრამ ეს ეპოქა ეხმაურება აქეთა მოვლენებსაც. რაკი ყველაფერი ეს მთლიანობაშია, ამ უზარმაზარი სივრცისა და დროის

წარმოდგენა, უცბად დახასიათება ძალიან ძნელდება. ძნელდება იმიტომ, რომ დაგეკარგება მრავალი ნიუანსი, დაგეკარგება მრავალი მნიშვნელოვანი შტრიხი, რაც საჭიროა აღნიშნული და გამოყოფილი იქნეს... და ამ ვრცელ დროში მოძრაობა ძნელია.

ასევეა მის ლექსებშიაც. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს რაღაც კონკრეტული თემა აქვს მის კონკრეტულ ლირიკულ ლექსს, მთლიანობაში რომ წარმოიდგენ, აქაც დიდი სივრცული მოძრაობაა. «თიხის ფირფიტები» და მერე მომდევნო, თუ გნებავთ, ჩვენს დროში დაწერილი ლექსები, შეხმიანებაა იმ მოვლენებთან, რომლებიც მას აწუხებს, როგორც პოეტს. აი, ეს ერთმანეთს ამსგავსებს, ჩემი აზრით, რომანსა და პოეზიას, რომანტიკასა და პოეზიას და ასევე ართულებს მის აღქმას. რადგან ძალიან ვრცელ სამყაროს მოიცავს და, ბუნებრივია, რომ როცა მკითხველი ამ ვრცელ სამყაროში მოძრაობს, ყველაფრის ცოდნა, ყველაფრის დანახვა აინტერესებს. უჭირს ეს, რადგან ძნელია ამისი აღქმა. თან გრძნობს, ყველაფერი ეს ძალიან მნიშვნელოვანია, არ შეიძლება გამოტოვებულ იქნას რაიმე, რაღაც მოვლენას არ მიექცეს ყურადღება.

ოთარ ჭილაძის მთელი შემოქმედება, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რასაც ეროვნულ თვალსაზრისს ვუწოდებთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი ისტორიის მისებური მოდელია აქ შექმნილი. მოვლენათა მიმართ ჩვენი დამოკიდებულების, ქართული დამოკიდებულების მოდელია შექმნილი. ამ მხრივ ის საინტერესოა, რადგან არა მარტო რაღაც ამბავს გვიყვება, არა რაღაც თავგადასავალს გვიამბობს, არამედ იმ ფილოსოფიასაც, რა ფილოსოფიითაც ქართველი კაცი ცხოვრობდა. ამ ფილოსოფიას და ამ დამოკიდებულებას, ამ მსოფლმხედველობას თუ ცნობიერებას დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს ყველაფერი იმის თვალსაზრისით, რაც დღეს ხდება. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ შეიძლება ძალიან სერიოზული პარალელი გავავლოთ იმ ამბებს შორის, რაც ანტიკურ ეპოქაში ხდებოდა და რაც ძველ ვანში მოხდა დღევანდელობასთან შედარებით. თუ გნებავთ, ის, რომ ბოროტებამ იმდენად მოიდგა ფესვი, რომ ის მშვენიერება, რომელსაც «დარიაჩანგის ბაღი» ერქვა, გაქრა სადღაც და მხოლოდ მაშინ დაბრუნდება, როდესაც შენ სულიერი სილამაზე დაგიბრუნდება. განა ეს დღევანდელი სურათი არ არის?

დღესაც წავიდა ჩვენგან ეს ბაღი და სიღატაკე, სულიერი სიღატაკე დაგვეუფლა. როდის დაბრუნდება ეს ბაღი? მხოლოდ მაშინ, როდესაც იმ სულიერ სილამაზეს დავიბრუნებთ, რაც ასე იოლად გავიმეტეთ და გადავაგდეთ. და აი, ეს, მიუხედავად უზარმაზარი ეპოქისა, რომელიც შუაში დევს, ხელს არაფერს უშლის, არ უშლის იმის გამო, რომ სული ერთიანია, მთლიანია, არ იხლიჩება დროის შესაბამისად, მაინც ერთიანია. რაკი ერთიანია, ცხადია, წარსული და დღევანდელი აწმყო ერთმანეთისაგან დაშორებული არ არის. ერთმანეთში არსებობს და, აქედან გამომდინარე, შეიძლება ისიც თქვა, რომ ეს მომავალშიც ასე იქნება, რადგან განუყოფელია, ერთი მთლიანობაა და მხოლოდ პირობითად შეიძლება მიიჩნიო, რომ რაღაც ძველ დროში ხდება და რაღაც ახალი ამბავი დღევანდელ დღეს ხდება. ეს იგავი თუ პარაბოლა _ ყოველთვის დაიკარგება მშვენიერება, თუ ადამიანი სულიერად გაღატაკდა, _ რაც მისი რომანების ლაიტმოტივად მიმაჩნია, არის უმთავრესი და არის სწორედ წინა პლანზე წამოსაწევი, რადგან ეს ძალიან მტკივნეულია დღევანდელ ვითარებაში.

დღეს ჩვენ ვითომ თავისუფლებისათვის ვიბრძვით, ვითომ დემოკრატიისათვის ვიბრძვით, ვითომ ახალი საქართველოსათვის ვიბრძვით და სინამდვილეში ვებრძვით ყველაფერ მშვენიერს, რაც ქართულ სამყაროში არსებობდა. ამ მშვენიერის მოკვლა გვინდა და აი, ამ ცხედარზე მერე ვითომ თავისუფალი საქართველოს აშენება. ეს არის ყველაზე ტრაგიკული შეცდომა, ჩემი აზრით, რომელიც დღეს მოსდის საქართველოს. არ შეიძლება მშვენიერის მოკვლა. პირიქით, მშვენიერზე უნდა ააშენო ყველა სხვა

დანარჩენი _ თავისუფლებაც, დემოკრატიაც, დამოუკიდებლობაც, ეკონომიკური სიუხვეცა და დოვლათიც, რა თქმა უნდა, კულტურაც, განათლებაც და ყველაფერი. ეს მშვენიერებაზე უნდა აშენდეს. თუ ეს მშვენიერება მოკალი, მაშინ ყველაფერი დაიკარგება. მაშინ ეს ქვეყანა ოყაჯადოების ქვეყნად გადაიქცევა. ეს არის ყველაზე საშინელი. მაშინ ივლის ეს ზურგზე ჩანთამოკიდებული კუსა, რომლის გამოჩენა და რომლის ჩანთის ხმაური მთელ სამყაროს ზაფრას სცემს. კუსა განმეორდა ჩვენს ცხოვრებაში. ესეც წინასწარმეტყველებაა. დღეს დადის კუსა თავისი ჩანთით საქართველოში და ყველას ეშინია მისი. ეს არის სწორედ ის, რაც მწერალს აქვს, როგორც განმჭვრეტს, როგორც წინასწარმეტყველს. ის შეიძლება არც ფიქრობს ამაზე, საგანგებოდ არ იგონებს ამას, მაგრამ მის სულში არსებობს რაღაც, რომელიც აიძულებს მოვლენა იწინასწარმეტყველოს. ამ მოვლენას თავისი ინტუიციით, თუ სულიერი სამყაროთი, თუ ემოციური სამყაროთი ჭვრეტს, ხედავს და მერე გვეუბნება.

ყველაფერი ეს არის სწორედ ის ღვაწლი, რაც სჭირდება საქართველოს, ქართველ ხალხს, რისი დანახვაც მას არ სურს, და ვთქვათ, ითხოვს ისეთ რაღაცას, რაც მას ხელში უჭირავს და ვერ მიმხვდარა. დაახლოებით ისე გვემართება _ თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას ეძებდაო. ჩვენ პანტას მივსდევთ და თურაშაული გვინდა გადავაგდოთ. ეს არის ყველაზე ტრაგიკული, რაც დღევანდელ სინამდვილეში ხდება. როგორმე აი, აქედან უნდა გამოფხიზლდეს ჩვენი ხალხი. როცა აქედან გამოფხიზლდება ხალხი, მაშინ სხვა ვითარება შეიქმნება, სხვა სამყარო დაიხატება, ის შარა გამოჩნდება, ის გზა გამოჩნდება, რომლითაც უნდა ვიაროთ.

მე ის სურათიც ძალიან მომწონს, როდესაც ციმბირში მიდის ბიძა იმისათვის, რომ ობოლი ძმისწული ჩამოიყვანოს თავის ქვეყანაში. ამაში არის რაღაც სიმბოლური ხატი. ცალხელა, ავადმყოფი კაცი ეძებს თავის შთამომავლობას, ეძებს სიჯანსაღეს, რომელიც მას საშუალებას მისცემს არსებობის გაგრძელებისა. ასე უნდა მოხდეს ახლაც, როდესაც ამ ბრძოლის, ნგრევის თუ უბედურების დროს, ხორციელად დავკნინდით, სული უნდა გადავარჩინოთ. მოვძებნოთ ის ახალი თაობა, რომელიც გათავისუფლებული იქნება ამისაგან და მშვენიერების შეგრძნება ექნება.

ამგვარ სურათს ვხედავ მე ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში, ლტოლვას იმ განახლებისა და იმ მშვენიერებისაკენ, ურომლისოდაც ვერ მოახერხებს ვერც ქართველი ხალხი ცხოვრებას და ვერც საქართველო, როგორც ქვეყანა. მისი შემოქმედება ღირებული სწორედ ამ მხრივ არის. აი, ეს ტკივილი ამა თუ იმ ფორმით, ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ დოზით ყველგან არის _ ლექსი იქნება ეს თუ პროზაული ნაწარმოები. ესეც რაღაცნაირად ერთ მთლიანობაშია მოქცეული. ამიტომ ერთხელ დავწერე კიდეც _ მართალია, არ წერია რომანში, სად მიმდინარეობს მოქმედება, მაგრამ ძალიან კარგად იგრძნობა-მეთქი, რომ ეს სიღნაღია და ხედავ აქედან ალაზნის ველს, ხედავ ყველაფერს... რატომ? იმიტომ რომ ეს სამყარო გამოგონილია, ვთქვათ, წარსულია, ისტორიულია, მითოლოგიურია _ ამას მნიშვნელობა არა აქვს, მწერალი ხედავს იმ სინამდვილეს, რომლის ნაწილი თვითონ არის. რაკი ეს სინამდვილე თავისთავად არსებობს მასში, ის აირეკლება ამ რომანში და არ გვჭირდება კონკრეტული მითითება. ის იტყვის _ ეს ქალაქი ურუქია, მაგრამ შენ ძალიან კარგად იცი, რომ სიღნაღია.

ლ.კ.– მით უმეტეს, ჩვენ, იქაურები ძალიან კარგად ვგრძნობთ ამას. ოთარ ჭილაძემ ბავშვობა სიღნაღში გაატარა. მხოლოდ ბავშვობა გაატარა სიღნაღში, მაგრამ მას საოცარი მეხსიერება აქვს. ის გარემო, ის ეპიზოდები, ის ამბები, რაც მაშინ სიღნაღში ხდებოდა და რასაც ხალხი უყვებოდა ხოლმე, საოცარი სიცხადით სჭვივის მთელს რომანში.

ა.ბ. _ ბუნებრივია. ალბათ, ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ამ სამყაროსთან არიან დაკავშირებული, უფრო იოლად წვდება ამას. აკი ვამბობ _ მე, რომელიც, როგორც

სტუმარი ვყოფილვარ სიღნაღში, არსებითად არ მქონია მასთან მუდმივი კონტაქტი, ჩემთვის ეს დღესავით ნათელია, რადგან ჰაერიც კი იგრძნობა _ ის ბურუსი, ის სივრცე, სიღნაღიდან რომ ალაზნის ველს უყურებ. ბურუსშია ეს ყველაფერი. შორს კი, იქით ყვარლის მთები მოჩანს. ყველაფერი ეს ჩანს რომანში. ჩანს ეს იმდენად რელიეფურად, რომ არაფრის თქმა არ არის საჭირო, თავისთავად ხედავ. ვერ იტყვი, რომ ეს სხვაა, იმდენად რეალურია. ეს რეალურობა კიდევ ერთხელ აძლიერებს ზემოქმედებას, რადგან შინაგანად იწყება გახსენება მოვლენების, რომლებიც ყოველ ადამიანთან არის დაკავშირებული და თანაც მიგნების სიხარულიც იწვევს კიდევ აღტაცებას. მხატვრული ნაწარმოების კითხვისას ესენი ძალიან ღირებულია და ამისი განცდა ყველას აქვს, ვინც იცის უბრალოდ მხატვრული ნაწარმოების კითხვა.

სხვა რომანებში, მაგალითად «რკინის თეატრში», მართალია, მითითებულია ბათუმი და მისი მიდამოები, მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა, რომ მითითებულია. მკითხველი გრძნობს სულ სხვა სივრცეს, სულ სხვა სამყაროს, მის ყოფას, მის ჰაერს და იმ რაღაც ხელშეუხებელ არომატს, რაც ყველა ადგილსა და ადამიანების ცხოვრებას, ყოფას, თუ გნებავთ, კონკრეტული ადამიანის არსებობას ახლავს. ესენი არის სწორედ ის, რაც ინტიმურად გვაკავშირებს ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებთან, შენეულს ხდის და მასთან განშორება არ გინდა. აქედან ის ემოციური კავშირი, რაც აუცილებელია, რაც ყველაზე უფრო ღირებულია მხატვრული ნაწარმოებისათვის.

მე ასეთი აზრი მაქვს, რომ მხატვრული ნაწარმოები ემოციით აზროვნებს. როდესაც ჩემს ემოციას ის განაწყობს რაღაც გარკვეული მიმართულებით, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ იგი დამეუფლა და ჩემი ნაწილი გახდა. სხვა დანიშნულება ნაწარმოებს, ზემოქმედების თვალსაზრისით, არც აქვს. თუკი ამას აღწევს, უკვე ნიშნავს, რომ ის აზრით, ის პერსონაჟებიც, ის ურთიერთდამოკიდებულებანიც ჩემთვის ახლობელია, ჩემი ცხოვრების ნაწილია. მუდმივი კონტაქტი მკითხველსა და ავტორს შორის ამით მყარდება.

ლ.კ. – კოლოსალური შრომაა გაწეული, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენი ამაღლებისათვის.

ა.ბ. – გრანდიოზული შრომაა გაწეული. უდიდეს ნიჭიერებასთან ერთად, უდიდესი შრომისმოყვარეობაა გამოვლენილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

მისი პოეტურობა, ალბათ, ის არის, რომ მოულოდნელად, ისე თითქოს ავტორი არც აქცევს ყურადღებას, რაღაც სურათები შეერთდება მკითხველის თვალწინ და შენ თვითონ თხზავ რაღაცას, რომელიც ავტორისათვის მხოლოდ და მხოლოდ მითითების საგანია; იგი არ ჩერდება, აგრძელებს თავის ამბავს, მაგრამ გიტოვებს საშუალებას, ეს სურათი წარმოიდგინო და ამაში რაღაც პოეტური ხილვა დაინახო. აქედან ალბათ ისიც პოეზიაა თავისთავად, რომ ტექნიკურად იგი პროზად არის დაწერილი.

ლ.კ. – საოცარია. მართლა ძალიან დიდი მწერალია ოთარ ჭილაძე.

ა.ბ. – ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე უნდა ვთქვათ, რომ მიუხედავად გარკვეული დაუფასებლობისა, რომელსაც დღევანდელი საზოგადოება ავლენს, დღეს ჩვენ სერიოზული მწერლობა გვაქვს და სერიოზული ნაწარმოებების პატრონები ვართ. არასოდეს ყოფილა ისე, რომ გაუთავებლად შედევრები იწერებოდეს ლიტერატურისა ამა თუ იმ პერიოდში. იწერება ჩვეულებრივ ისეთი ნაწილიც, რომელიც აღარავის ემახსოვრება დროის გავლის შემდეგ. იწერება ის, რაც ღირებულია. ეს ღირებული ყოველთვის ცოტაა. ასე არ ყრია ნიჭიერება და კარგი ნაწარმოებები... მაგრამ ის, რაც არის დიდად მნიშვნელოვანი გახლავთ და ძალიან ღირებული. მაგრამ ამას, ალბათ, მომავალი უფრო კარგად დაინახავს და დააფასებს. ხომ ამბობენ – შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. ჩვენ მივეჩვიეთ ამ ადამიანებთან კონტაქტებს და...

ლ.კ. – მივეჩვიეთ. ჩვეულებრივ მიგვაჩნია, რომ ოთარ ჭილაძემ დაწეროს ახალი რომანი, ყველას მოგვეწონოს. წავიკითხოთ, ვთქვათ, რა კარგია და...

ა.ბ. – ასე არ არის შემოქმედება. ასე არ არის...

ლ.კ.– და რამხელა ბედნიერებაა ეს, ამას ნაკლებად ვხედავთ.

ა.ბ. _ ამას მერე სხვა თაობა დაინახავს და მერე შეიძლება ჩვენც დავინახოთ. როცა უფრო ღრმად მოხუცდება ადამიანი, წარსულს უყურებს და ხედავს _ რა გაიარა. იქ სხვა მწვერვალები ამოიმართება და მერე ხედავს. მაგრამ, როდესაც ახლოს ხარ, მაშინ ამას ვერ დაინახავ. ეს თვითონ ხედვის სპეციფიკაა, როგორც ჩანს, და თავისებურება. თუ დავფიქრდებით, შეგვიძლია იმის თქმა, რომ როგორც მე-20 საუკუნის I ნახევარი ქართული მწერლობისა იყო მძლავრი, ასევეა მძლავრი მეორე ნახევარიც. ამ მეორე ნახევარშიაც ძალიან სერიოზული შემოქმედებითი ცხოვრება მიმდინარეობს როგორც ლიტერატურაში, ისე ხელოვნების სხვა დარგებში. ის, რომ წამდაუწუმ ფეტვის მარცვლებივით არ იყრება შედევრები, ეს არასოდეს მომხდარა არც ერთ ქვეყანაში და არც არასოდეს მოხდება, «ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირადო». აი, ეს არის _ ტურფა ვერ გაიაფდება.

24. IV. 1992

გადაცემა V

ლამარა კიკილაშვილი _ ვინც ერის მომავალზე ფიქრობს, უპირველესად უნდა იფიქროს თავის სულიერ ამაღლებაზე და დაიწყოს ერის გამოსწორება თავისი თავის განწმენდით, საკუთარი ჯვრის მტვირთველობით, ღვთის ჭეშმარიტ გზაზე დადგომით _ გვითხრა სააღდგომო ეპისტოლეში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II.

ჩემი თაობა რწმენასთან და ეკლესიასთან, შეიძლება ითქვას, თავისით მივიდა, თითქმის დამოუკიდებლად. ამას წინათ გურამ რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ გადაცემაში ერლომ ახვლედიანმა თქვა, რომ გურამი არ იყო ეკლესიური, არც შეიძლებოდა იმ დროში ასეთი ყოფილიყო, მაგრამ როგორც სინათლისაკენ ისწრაფვის სული, ისე ისწრაფოდა სულიერებისაკენ, წინასწარ მომზადების გარეშე. მან საკუთარ თავში თვითონ აღზარდა ზნეობრივი ადამიანი, რომელიც უკვე მზად იყო რელიგიისათვის. ეს იყო მისი ერთი განსაკუთრებული თვისება. ისეთი იყო მისი ყოველდღიური ურთიერთობანი, რომ არ შეიძლებოდა ბოლოს არ მისულიყო რელიგიასთან

ამის გამეორება შეიძლება ჩემი თაობის ბევრ წარმომადგენელზე, განსაკუთრებით იმათზე, ვინც ქართულ მწერლობას, ხელოვნებას, ქართულ კულტურას ემსახურებიან და თავიანთი საქმიანობით, თუნდაც მხოლოდ ცხოვრების წესით, სული უბერეს და დღემდე ისე მოიტანეს ჩვენი ქვეყნის მომავალი თავისუფლების, ჩვენი ხალხის სულიერი ამაღლების იდეა.

მე მწამს, რომ ასეთი იყო ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული ის ორი მწერალი, რომელთაც დღევანდელი გადაცემა მივუძღვენით.

თავდაპირველად ნოდარ დუმბაძის შესახებ.

აკაკი ბაქრაძე – ნოდარ დუმბაძე სწორედ იმ თაობას ეკუთვნის ჩვენის მწერლებისას, რომელთაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურა შექმნეს და, არსებითად, მათ მხრებზე დგას ეპოქის ეს ნაწილი, მეორე ნახევარი მეოცე საუკუნისა.

ნოდარ დუმბაძე იშვიათი ბუნებისა და იშვიათი თვისების ადამიანი იყო. მას, როგორც პიროვნებას, ძალიან მძიმე და მტკივნეული ცხოვრება ჰქონდა გავლილი და ამ მტკივნეულმა ცხოვრებამ, ამ სიმძიმემ ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა მის ხასიათსა და ბუნებაზე. ის როგორც იყო შინაგანად ხალასი, მხიარული და სიცოცხლით სავსე კაცი, ბოლომდე ასეთი დარჩა. თუმცა, რატომღაც უზენაესმა მას ობლობაც არგუნა, შვილის უდროო სიკვდილიც, მერე უმძიმესი ავადმყოფობა და სხვა ამგვარი ბევრი გასაჭირი, ათასგვარი რაღაც ისეთი, რომელმაც თითქოს უნდა გატეხოს ადამიანი, მაგრამ მას აღმოაჩნდა შინაგანი სიმტკიცე _ ამ სამყაროსათვის, ამ ცხოვრებისათვის მაინც ეყურებინა ხალისით, ეყურებინა მხიარულად და ეს სხვისთვისაც გადაეცა, სხვისთვისაც ჩაენერგა ენერგია, ჩაენერგა ცხოვრების სიყვარული, ცხოვრების ხალისი.

მთელი მისი შემოქმედება სწორედ ამ ხალისით არის სავსე. რა ვითარებასაც უნდა აღწერდეს, ყველგან ხალისი იგრძნობა და შეუპოვრობა იმისა, რომ ცხოვრება ვერ მოერიოს ადამიანს, ვერ დაჩაგროს, ვერ გათელოს. ილიკო-ილარიონი იქნება ეს თუ «თეთრი ბაირაღები», თუ «მზიანი ღამე» _ ყველგან აღწერს, ერთი მხრივ, უკიდურეს გასაჭირს ადამიანისას, მაგრამ დამოკიდებულება _ ყველგან არის ხალისი, სიხარული, სიძლიერე სულისა. აქედან, კონტაქტი მკითხველთანაც _ სიხარული ისადგურებს მკითხველის არსებაშიც. ეს იშვიათი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში.

ჩვენს მწერლობაში არსებობს იუმორისტული ნაწარმოებების დიდი რაოდენობა, არსებობს სატირული ნაწარმოებების დიდი რაოდენობა, მაგრამ ხალისის ის დოზა, სიხარულის ის დოზა, რაც დუმბაძესთან არის, სხვაგან არ არის. სხვაგან არის უფრო მკაცრი სატირა, რაღაცის სასტიკი გმობა. დუმბაძესთან გმობაც არის, მაგრამ არის ამავე დროს სიყვარული, სიხალისე, დამოკიდებულება არა ისეთი, რომ თითქოს ეს მოიკვეთოს, უნდა გადავარდეს, არამედ გარკვეული თანალმობის განცდაც იმის მიმართ, ვისაც თითქოს დასცინის ერთი შეხედვით, მაგრამ შინაგანად მაინც სიყვარულის განცდაა.

ახლა ავიღოთ ისეთი მძაფრი სატირული ნაწარმოები, როგორიც არის «კაცია-ადამიანი». ასეთივე მძაფრი სატირაა მიხეილ ჯავახიშვილის «კვაჭი კვაჭანტირაძეში» ან, თუ გნებავთ, რომელიმე სხვა ნაწარმოებში. არის სევდიანი იუმორი, სევდის რაღაცნაირი განცდა იუმორთან ერთად დავით კლდიაშვილთან და ნაწილობრივ ნიკო ლორთქიფანიძესთან. თითქოს მწერალი გვიჩვენებს სასაცილო სურათს და შენც გარკვეულად გაყენებს მხიარულ გუნებაზე, მაგრამ თან ის ადამიანები გეცოდებიან, თან დიდი ტკივილია და მეტი სევდაა შიგ, ვიდრე თავდაპირველი მოჩვენებითი სასაცილოობა, რომელიც თვალში გეცემათ განსაკუთრებით დავით კლდიაშვილთან. მორბელაძეებს, სამანიშვილებს როცა უყურებთ, თითქოს ეს ყველაფერი სასაცილოა, მაგრამ სიღრმეში ძალიან მძიმე სევდით არის ყველაფერი ეს შეპყრობილი და გადმოცემული. როდესაც ქართული მწერლობა აი, ამგვარ ატმოსფეროს ქმნის, დუმბაძეს მოაქვს რაღაც სრულიად განსხვავებული თვისება. ეს განსხვავებული თვისება გახლავთ ის, რომ მას თან ახლავს სიხარული. მის უარყოფას ახლავს რაღაცნაირი მტკიცება იმ თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს ტკივილი, უკან მაინც დიდი სიხარულია და ცხოვრება, როგორც გარკვეული სინამდვილე. ამ ცხოვრებაში ადამიანი სიხარულისა და ხალისისათვის არის გაჩენილი. ეს ძალიან მკაფიოდაა გადმოცემული დუმბაძესთან. ვფიქრობ, რომ ამ თვისებით განსხვავდება იგი ყველა სხვა მწერლისაგან, როგორც თანამედროვე, ისე წარსულისა. ქმნის ამ მხრივ სრულიად ახალ მიმართულებას. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამის გამაგრძელებელი არ ჩანს, თანაც იმ დონეზე, რა დონეზეც ამას ნოდარ დუმბაძე აკეთებდა. რა თქმა უნდა, ეს თავისებურება,

ამგვარი მრავალფეროვნება დღევანდელ ქართულ მწერლობას სხვადასხვა ნიშანს აძლევს, სხვადასხვა კუთხით წარმოგვიჩენს.

უკვე ვილაპარაკეთ, ვახსენეთ «დათა თუთაშხია», ვახსენეთ ოთარ ჭილაძის შემოქმედება, ანა კალანდაძის შემოქმედება... დავინახეთ, რა მრავალფეროვანია ეს სპექტრი, ერთმანეთს არ ჰგავს არც ერთი. ყველას სრულიად განსხვავებული სამყარო აქვს და ცისარტყელასავით ათასგვარი ფერის შემცველია. ამავე დროს ერთიანი და მთლიანია. ამ სამყაროში სწორედ ის სიხარული, რაც ნოდარ დუმბაძეს მოაქვს თავისი მოთხრობებითა და რომანებით, ძალაა იმისა, რომ ადამიანი მტკიცედ და მყარად იდგეს ცხოვრებაში.

ნუ შევხედავთ ახლა ამას რაღაცისათვის ბრძოლის თვალსაზრისით, თუ გნებავთ, იმავე ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. განა ადამიანს ამ ბრძოლისათვის ის სიხარული არ სჭირდება, რომელსაც ნოდარ დუმბაძე გვინერგავს? განა შეიძლება იცხოვრო, იბრძოლო რაღაცისათვის, თუნდაც იმავე დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის თუ არ გაქვს ის სიხალისე, რომელიც ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებს აქვთ? უბედურება სწორედ მაშინ დაგვემართება, როდესაც ეს სიხალისე მოგვაკლდება, როდესაც ჩვენი ცხოვრებიდან წავლენ ადამიანები, როგორიც არიან _ ილიკო, ილარიონი, ბებია და სხვები, ვისთან ურთიერთდამოკიდებულებაც ამგვარ სიხარულს იწვევს... აი, მაშინ მოხდება...

უკანასკნელი ხანების მოვლენებში ყველაზე უფრო სწორედ იმან გამაოცა, რომ ქართველმა კაცმა გამოამჟღავნა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ბნელი ფანატიზმი და გონებრივი სიდუხჭირე, რასაც, მართალი გითხრათ, არ მოველოდი. შეიძლება ეს იმის ბრალია, რომ დაკვირვების სიღრმე და ძალა არ მეყო _ დამენახა მეორე მხარეც. მაგრამ სულ მეგონა, ქართველი კაცი ცხოვრობდა და უძლებდა ყველა იმ გასაჭირს, რაც მას ისტორიულად დაატყდა, თავისი შინაგანი მხიარულებით, იუმორით, ირონიული დამოკიდებულებით, სინამდვილის მიმართ. ეს იყო სწორედ მისი სიძლიერე. უცბად აღმოჩნდა, რომ ქართველს ამის მაგიერ შეუძლია თურმე ძალიან ბნელი თვისება გამოამჟღავნოს. მერე, როცა ისტორიას გადავხედე, აღმოვაჩინე, ეს ყოფილა ჩვენს ისტორიაში და მთლად მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რაც დღეს ხდება. როგორც ჩანს, დაგვავიწყდა და მოვლენებს სულ სხვა მიმართულებით ვუყურებდით. არადა ამის გახსენება აუცილებელი ყოფილა, რომ კონტაქტებიც დაგვენახა და რომ ეს არ არის შემთხვევითი და მოულოდნელი, არამედ ჩამარხული ყოფილა სადღაც სიღრმეებში ჩვენი სულისა, როცა დრო მიეცა და საშუალება, ზევით ამოვიდა, ზედაპირზე და ნათლად დასანახი გახდა.

გრ. რობაქიძე ამბობს: ქართველიო ცხოვრობს ფორმულით _ «გაიხარე, გამახარე». ე.ი. სიხარულია მისი ძირითადი მამოძრავებელი სტიმული. ალბათ, ამგვარმა განმარტებამ ჩვენზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა და უფრო აქეთკენ წარიმართა ჩვენი ყურადღება, ვიდრე იმის დასანახად, რომ ამის გვერდით სხვა, რაღაც შავი მხარეც არსებობს.

ნოდარ დუმბაძემ ის აჩვენა და დაგვანახა, რაც «გაიხარე, გამახარეს» ფორმულაში დევს, რადგან თვითონაც ხარობს და შენც განიჭებს ამ სიხარულს. თვითონაც სიყვარულით ავსებულა იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც იგი ხატავს და შენც ასეთივე სიყვარულით გავსებს.

მის შემოქმედებაში, არსებითად, ბოროტი არ არსებობს, რადგან ყველა მათგანში პოულობს ისეთს, რომელიც ღირებული და მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ის კაცი უკვე აღარ გძულს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება რაღაც-რაღაც საქციელი ჩაიდინოს ისეთი, რაც გაღიზიანებს, რაც უარყოფითად განგაწყობს, მარა რომელიღაც წუთში შემოაბრუნებს და გვიჩვენებს სრულიად სხვა კუთხით. აი, ეს მხარე, რომ ის

სიხარულის მწერალია, უაღრესად ღირებულია, რადგან ისეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც საქართველოა, აუცილებელია არ იყოს იგი ბოღმით სავსე, არ იყოს ფანატიზმით გონდაბნელებული, რადგან ძალა არ ეყოფა, ამას ვერ გაუძლებს და შეიძლება ამის გამო მისი თვითმკვლელობაც მოხდეს. ბოღმა და სიძულვილი ისეთი თვისების მატარებელია, რომელიც იმ კაცზე მოქმედებს, ვინც ამას ატარებს, ეს მარტო სხვის მიმართ არ არის მიმართული, ეს არის საკუთარი თავის წინააღმდეგაც მიმართული. ამისგან რომ გავთავისუფლდებით, მაშინ გვექნება საშუალება სინამდვილეს იოლად ვებრძოლოთ, იოლად განვიმტკიცოთ თავი როგორც პიროვნებამ, ისე ერმა.

ნოდარ დუმბაძის ეს თვისება, მისი შემოქმედების, მისი ნიჭის ეს თვისება _ მუდამ ამ სიხარულის წრეში რომ გატრიალებს, არის სწორედ ის იარაღი, რომლითაც აღჭურავს მკითხველს და მთელს საზოგადოებას, ვისაც მის რომანებთან აქვს კონტაქტი. როგორც მწერალი, როგორც პროზაიკოსი, ძალიან მსუყედ ხატავს და დასამახსოვრებელია ის ადამიანები, რომლებიც მის რომანებში მოქმედებენ, ცხოვრობენ, აზროვნებენ და ფიქრობენ. არც ერთი მათგანი არ დაგავიწყდებათ, რადგან ამ ადამიანებს თავისი ტკივილი, თავისი სიხარული აქვთ, რომ მათი არსებობა მეორე ადამიანსაც ანიჭებს ამ სიხარულს და აძლევს საშუალებას უფრო იოლად შეხედოს ყველაფერს, რაც მის გარშემო ტრიალებს.

იმთავითვე, როდესაც ილიკო და ილარიონი გამოქვეყნდა და ბოლომდე, მისი შემოქმედების დასასრულამდე, არსად შეფერხებულა ეს მთავარი ხაზი, არსად გაწყვეტილა, არსად ჩარეულა რაღაც სხვა მოტივი, უცხო მოტივი, რომელიც მისი ბუნებისათვის იყო მიუღებელი. ეს უკვე მყარი პოზიციაა, ეს უკვე არა მარტო მისი მსოფლმხედველობაა, არამედ მისი თვისებაცაა, როგორც მწერლისა, მისი ბუნებაა, მის არსებაში დევს და ეს არსება მთლიანად იფრქვევა, როდესაც ვკითხულობთ მის მოთხრობებს და რომანებს.

ციხის ატმოსფეროა აღწერილი «თეთრ ბაირაღებში». უფრო მძიმე ატმოსფეროს წარმოდგენა შეუძლებელია: იზოლირებულია ადამიანი, სასჯელი ელის, მოწყვეტილია ოჯახს, ამხანაგებს, მეგობრებს, ნათესავებს და მუდმივი შიში ეუფლება, ყველას შეუძლია მისი დამცირება, ყველას შეუძლია მისი გაქელვა. ამ ატმოსფეროშიც კი ეს ადამიანები საოცარი სიხარულით ცხოვრობენ. ზოგიერთი მათგანი დამნაშავეა, ზოგიერთი უდანაშაულოა, ზოგს დიდი აქვს დანაშაული, ზოგს _ მცირე. და აი, ეს დამნაშავეთა სამყარო საოცარი სიხარულით ცხოვრობს, რადგან ადამიანს სხვანაირად არ შეუძლია არსებობა. ეს არის ყველაზე დიდი ძალა მისი შემოქმედებისა. ყოველ შემთხვევაში, მე ამგვარად მესახება და, ალბათ, სხვასაც, ვისაც კარგად წაუკითხავს ნოდარ დუმბაძის თხზულებანი.

როგორც წეღან მოგახსენეთ, ეს გახლავთ იარაღი, რომელიც მან მოგვცა, მან გვიანდერძა, რადგან ყველა ვითარებაში, დღეს იქნება, ხვალ იქნება თუ კიდევ უფრო შორეულ მომავალში, ადამიანს ყოველთვის დასჭირდება სიხარული. ადამიანის ამის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება. როდესაც ამას განიჭებს მწერალი, ის უკვე აქტიური მონაწილეა, თუ გნებავთ, თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი.

თუ ჩვენ დღეს მივიხედავთ ნოდარ დუმბაძისაკენ, მივიხედავთ მისი რომანებისა და მოთხრობებისაკენ, ავივსებით სიხარულით და ძალიან მალე გავთავისუფლდებით იმ ბნელი ფანატიზმისაგან, რომელიც დღეს გვბოჭავს, გვართმევს არსებობის სიხარულს, ამყარებს იმ ბნელ დამოკიდებულებას ადამიანთა შორის, რომლის გაძლება არ შეიძლება. ამიტომ დღეს უკვე ისევ შეიძლება შემობრუნდეს და ხელმეორედ შეასრულოს მან თავისი ძალიან მნიშვნელოვანი როლი, რადგან მხოლოდ სიხარულით

შეიძლება, იუმორით შეიძლება, ირონიული დამოკიდებულებით შეიძლება იმ შავისა და ფანატიზმის დაძლევა, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდელ სინამდვილეში ასე გააქტიურდა.

ლ.კ. – ახლა კი რევაზ ინანიშვილის შესახებ. რევაზ ინანიშვილზე წერილებიც დაწერეთ, ტელევიზიითაც საინტერესოდ ისაუბრეთ. თუმცა სათქმელი კიდევ გექნებათ, ბ-ნო აკაკი.

რეზო თითქოს განყენებულ თემებზე წერდა, უმთავრესად ბუნებასა და ბუნების შვილებზე, მაგრამ მისი ყველა მოთხრობა შინაგანი ტკივილით თრთის. მას ჰქონდა მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიცია, როგორც მწერალს, როგორც მოქალაქეს და თავის ყოველ მოთხრობაში ამ პოზიციის დამცველი იყო. რა მისცა მისმა პოზიციამ ჩვენს საზოგადოებას და რა ადგილს დაიჭერს რეზო ინანიშვილის წიგნები, საერთოდ, ქართულ მწერლობაში?

ა.ბ. _ საერთოდ, ჩემი აზრით, მწერლობა და ხელოვნება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ ადამიანებზე, ვისაც უყვარს მწერლობა და ხელოვნება. თუ ადამიანს არ უყვარს ლიტერატურა, არ უყვარს ხელოვნება (რა დარგიც უნდა იყოს ხელოვნებისა), ბუნებრივია, მისგან არაფერს იღებს. შეიძლება, პირიქით, გააღიზიანოს კიდეც და მტრულად განაწყოს. ამიტომ როდესაც ლაპარაკია ხელოვნებისა და მწერლობის ზემოქმედებაზე, ყურადღება უნდა მიექცეს, ვისზე ახდენს იგი ზემოქმედებას. ე.ი. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც უყვარს და პატივს სცემს როგორც მწერლობას, ისე ხელოვნებას, ცხადია, მისი ესთეტიკური სამყაროც უფრო მშვენიერი, ლამაზი და უფრო სათნო ხდება. რაკი საზოგადოებაში ასეთი ნაწილი შედარებით მცირეა, ბუნებრივია, რომ ზემოქმედებაც ამ მცირე ნაწილზე ხდება. ეს არც ხალხს ეწყინოს და არც მწერლობას. ასეა შექმნილი ღმერთისაგან ეს სამყარო, ეს ხალხი, ეს ბუნება. ურთიერთდამოკიდებულებაც, ცხადია, ამგვარი გახლავთ. არის ადამიანი, რომელსაც შეიძლება აღტაცებისაგან, თუ წაიკითხავს კარგ ნაწარმოებს, სუნთქვაც კი შეეკრას. არის მეორე ადამიანი, რომელმაც შეიძლება ეს ყველაფერი სასაცილოდ მიიჩნიოს, დაიბოღმოს კიდეც და მძულვარებითაც აღივსოს. ამის უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ეს ისედაც ცხადი გახლავთ. კონკრეტულად რეზო ინანიშვილის შემოქმედებაც იმისათვის არის ძვირფასი, ვისთვისაც საერთოდ ძვირფასია და ლამაზია ლიტერატურა, ხელოვნება, ძვირფასია და ლამაზი სამყარო, რომელსაც მწერალი ხატავს.

რეზო ინანიშვილი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, კარგად მოგეხსენებათ, ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, მთელი სტუდენტობის პერიოდიდან დაწყებული დღემდე, კონტაქტებში ისეთივე იყო როგორც ადამიანი, როგორიც მისი მოთხრობების პერსონაჟები არიან. რეზო ინანიშვილს მისი სულიერი სამყარო გადაჰქონდა წიგნებში, მოთხრობებში, ნოველებში თუ მინიატურებში. იმ გარემოს, რომელ გარემოშიაც ბავშვობა გაუტარებია, ხანდაზმულობაშიაც ძალიან პატივს სცემდა, უყვარდა მისი ხაშმი და მისი უჯარმა _ ამის გარშემო, ივრის ხეობის გარშემო ყალიბდება მთელი ის მშვენიერება, რომელსაც იპოვით მის მოთხრობებში. ასეთივე განცდა უნდა ჰქონდეს იმ ადამიანსაც, ვინც მის მოთხრობებს კითხულობს და მაშინ მოხდება კონტაქტი და მაშინ მიხვდება იმ სილამაზეს, რომელიც მწერალს მოაქვს თავისი ნაწარმოებებით.

ძირითადად, ჩემი შთაბეჭდილებით, რეზო ინანიშვილი განწყობილების მწერალია. იმ განწყობილების სურათს ხატავს, რა განწყობილებასაც გვრის მას, თუ გნებავთ, ხე, ბაღი, ბაღჩა, ადამიანები, ცხოველები, მდინარე, ნაკადულები. ყველაფერ ამასთან ერთად ქსოვს იმ სამყაროს, რომლის მშვენიერებაც ადამიანს უნდა ახარებდეს და ახალ ბედნიერებას ანიჭებდეს. ყველაფერი ის, რაც ადამიანის გარშემოა, თავისთავად

მშვენიერია, ოღონდ ადამიანს ზოგჯერ შეუძლია ამის დანახვა და ზოგჯერ _ არა. ზოგიერთს სურს ეს დაინახოს, ზოგიერთს _ არა. თუ ამის დანახვა გსურს, ბუნებრივია, ეს ყველგან და ყველაფერში არსებობს. სწორედ ამას ეძებს რეზო _ ის, რაც მისთვის არის ძვირფასი და ახლობელი, სხვისთვისაც გახადოს ასეთივე ძვირფასი და ახლობელი. აქედან მიანიჭოს სიამოვნება იმ ადამიანს, ვინც მის მოთხრობებს კითხულობს, აგრძნობინოს რაღაც ტკბილი, თბილი და სასიამოვნო შინაგანი სულიერი განცდა, თუმცა რეზოს მოთხრობებში ძალიან ხშირად შეხვდებით მწარე ტკივილსაც, ადამიანის ბედის გამო. იმ პირველი მოთხრობიდან დაწყებული, «ბუდრუგანა» რომ ერქვა, სადაც უშუალოდ ომისშემდეგი პერიოდის გაჭირვება იყო გადმოცემული და ის ადამიანები, რომლებმაც ეს უზარმაზარი ტკივილი და სიმძიმე გადაიტანეს, დამთავრებული დღემდე, ყველგან ჩანს ადამიანის სულიერი სამყაროს დიდი ტკივილი, მიყენებული ათასგვარი უბედურებით, რომელიც ცხოვრებაში არსებობს და რასაც ადამიანი, უნდა თუ არ უნდა, ყოველ წუთში ხვდება, რასაც ეჯახება მისი ცხოვრება და, ცხადია, ზემოქმედებს ადამიანის სულზე. მაგრამ ყველაფერი ეს ერთად, მაინც რაღაც საოცარი სილამაზითა და იმედით მსჭვალავს ადამიანს. ყველაზე ტრაგიკული სურათიც კი, რომელსაც იგი ყვება, თავდება ისეთი განცდით, რომ შინაგანად მკითხველი იმედით არის სავსე. როგორი მტკივნეულიც უნდა იყოს სინამდვილე, როგორი მძიმეც უნდა იყოს სინამდვილე, ადამიანი არა მარტო იმედით ცხოვრობს, არამედ ადამიანს მაინც სჯერა კეთილის. ყველაზე უფრო უიმედობაშიაც კი ანათებს იმედისა და კეთილის ნაპერწკალი, სხვანაირად ადამიანი ვერ იარსებებს, სხვანაირად ცხოვრება საერთოდ არსებობას შეწყვეტდა. ამავე დროს კეთილის გამარჯვების კანონზომიერება თვითონ არსებობაში დევს _ სამყაროს არსებობაში დევს, ბუნებრის არსებობაში, კერძოდ, ადამიანის არსებობაში დევს. როდესაც ამას გრძნობთ, გადატანილს უკვე მხატვრულ ნაწარმოებში, მკითხველს განაწყობს რაღაც შინაგანი ძალითა და იმედით. მე მგონია, ამ თვისებით არის საინტერესო ყველაფერი ის, რასაც ქმნიდა რეზო ინანიშვილი და რაც მან დაუტოვა ჩვენს მწერლობას, ჩვენს ხალხს.

კიდევ ხაზს ვუსვამ, იმ ადამიანებზე, ვისაც ლიტერატურა უყვართ, ეს გავლენა არ შეწყდება, რადგან მუდამ იქნებიან ადამიანები, ვისაც უყვარს მწერლობა, ვისაც უყვარს ხელოვნება და ეს ადამიანები მუდამ იპოვნიან რეზო ინანიშვილის შემოქმედებაში მისი სულის საკვებს.

ბუნებრივია, არც კონტაქტი გაწყდება, რადგან სამყარო, რომელსაც რეზო ხატავს, ისაა მარადიული მშვენიერება, რაც ჩვენს არსებობას და ბუნებას ახლავს. ამ მშვენიერებაზე ვერავინ იტყვის უარს. რაკი მასზე უარს არ ვამბობთ, ვერც იმაზე ვიტყვით უარს, რაც ამას გვიჩვენებს, გვიხატავს და გვიყვება. რეზოსაც თავისი ადგილი აქვს, ამ თვალსაზრისით, ჩვენს მწერლობაში როგორც დღეს, ისე მომავალში.

1.V.1992

გადაცემა VI

ლამარა კიკილაშვილი _ ბატონო აკაკი რას იტყვით მურმან ლებანიძის პოეზიაზე?

აკაკი ბაქრაძე _ ...ჩემი აზრით, მურმან ლებანიძის პოეზიაც მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის იმ ნაკადს ეკუთვნის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და თავისებურიც.

მურმან ლებანიძის ლექსი საინტერესო და თავისებურია არა მარტო მაშინ, როცა ამ ლექსს თვითონ კითხულობს, ის ასეთია მაშინაც, როცა სხვა კითხულობს. მაგრამ წაკითხვისას თუ ის ინტონაცია არ დაიჭირე, რა ინტონაციითაც თვითონ ავტორი კითხულობს, შეიძლება, ის სიამოვნება ვერ მიიღო, რაც ამ ლექსს შეუძლია მოგგვაროს. როგორც ჩანს, ამ რიტმულ განწყობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. წერის დროს ის, ალბათ, თვითონ ქმნის ამ შინაგან რიტმს, რაც ქაღალდზე გადადის და ლექსში სამუდამოდ რჩება.

აკაკი წერეთელზე ამბობენ, სანამ ის ლექსის წერას დაიწყებდა, ღიღინებდაო და შემდეგ დაწერდა ლექსს. ალბათ ეს არის მიზეზი იმისა, რომ აკაკის ყველა ლექსის სიმღერა შეიძლება. ყველა ლექსი შეიძლება გადააქციოთ სიმღერად. მაშასადამე, რაღაც ამღერებული თვითონ პოეტშია და მერე ეს გადადის ქაღალდზე და თვითონ კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებში.

ასეა მურმან ლებანიძესთან. მისი მეტყველების კილო გადადის იმ ლექსში და იმ რიტმიულ განწყობილებას ქმნის, რაც მას ალბათ დაწერის წინ ჰქონდა. ეს უბრალოდ, ალბათ იმისათვის, რომ კითხვის დროს გაითვალისწინოს მკითხველმა ეს განწყობილება, რადგან ამით უფრო სრულად აღიქვამს ყველაფერს, რასაც მურმან ლებანიძის პოეზიაში წაიკითხავს.

მთავარი კი, ჩემი აზრით, მაინც ის არის, რომ მურმან ლებანიძეს ერთდროულად აქვს დღევანდელობის მძაფრი განცდაც და მისი განზოგადოების უნარიც. არის პოეტი, რომელიც შეიძლება შორეულ და დიდ მატერიებზე წერდეს და, აქედან გამომდინარე, ფართე იყოს მისი მხედველობისა და აზროვნების არეალი... და არის პოეტი, რომელიც შეიძლება კონკრეტულ ვითარებაზე წერდეს, კონკრეტულ სინამდვილეზე, ჰქონდეს პუბლიცისტური სიმახვილე და მისი ლექსის ეს თავისებურება მიმზიდველი იყოს გარკვეული პერიოდისათვის. მურმან ლებანიძე ძალიან კონკრეტულია თითქოს, მაგრამ ამ კონკრეტულის მიღმა ყოველთვის არის ის განზოგადება, ურომლისოდაც პოეტის სააზროვნო სისტემა შეიძლება ისეთი მდიდარი და საინტერესო არ იყოს.

ვთქვათ, მკითხველი კითხულობს მისი ლექსების ციკლს რაჭაზე. კონკრეტული არის ის სამყარო, რაზეც პოეტი ფიქრობს და ზოგადიც, საერთოც, რადგან ამ კონკრეტულში პოეტი ყოველთვის პოულობს საერთო ტკივილს, მთელ სიმძაფრეს ამ ტკივილისას. აქ არის განცდა იმისა, რომ ჩვენს კონკრეტულ კუთხეში საზოგადოება ტოვებს მიწაწყალს, მიდის საცხოვრებლად სხვაგან, ცარიელდება სოფლები, სახლები... იხატება მიტოვებული სამყარო... ეს არ არის ერთი ადგილი მხოლოდ. პოეტის წარმოდგენაში მიტოვებულია სამყარო მთლიანად. ამ ორი მომენტის შეერთება მურმან ლებანიძის პოეზიის დიდ ღირსებად მიმაჩნია, რადგან მისი ტკივილი მხოლოდ ერთი კონკრეტული მხარის გამო ტკივილი არ არის, ეს მთლიანი საქართველოს და, თუ გნებავთ, მთელი კაცობრიობის ტკივილიც არის, რადგან თუ ზოგადად წარმოვიდგენთ მიტოვებულ სახლ-კარს, მიტოვებულ კარმიდამოს, უპატრონობას, უკვე საერთო, საკაცობრიო ტკივილია და ეს ამბავი ერთი კონკრეტული კუთხის ტკივილზეა აშენებული, აგებული და განზოგადოებულად წარმოდგენილი. ცხადია, სწორედ ამგვარი გააზრება აძლევს ძალას ლექსებს რაჭაზე.

მურმან ლებანიძის პოეზიას ახასიათებს მძაფრი კრიტიკული პათოსიც მიმართული მანკიერი მოვლენების წინააღმდეგ. მაგრამ ამ კრიტიკული პათოსის მიღმა არის რწმენა, იმედი და სიხარული... რადგან მანკიერება, რომელიც შეიძლება პოეტის, პროზაიკოსის თუ დრამატურგის ფიქრის საგანი გახდეს, უნდა იყოს იმედის საფუძველიც, რომ ეს მანკიერება ბოლოს და ბოლოს, სადღაც ამა თუ იმ ვითარებაში მაინც დაძლეული იქნება,

გადალახული და კეთილი გაიმარჯვებს, რადგან ამ რწმენის გარეშე ყოველი კაცის ცხოვრება, ალბათ, წამებად გადაიქცეოდა.

ვთქვათ, ლექსი მე-19 საუკუნეზე _ «მძულს ეს მე-19, მძულს და მუდამ მძულდა»... რისთვის სძულდა მას ეს მე-19 საუკუნე... თითქოს ქართველს არ უნდა სძულდეს მე-19 საუკუნე, რადგან მე-19 საუკუნე არის ნიკოლოზ ბარათაშვილის საუკუნე, ილია ჭავჭავაძის საუკუნე, ვაჟას საუკუნე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მაგრამ აქ უცბად, უბრალოდ, შემობრუნებულია ის, რომ მაშინ ჩვენ პირველად გვაკადრეს, რომ ქართული ენა ძაღლის ენაა... აი, ამ უზარმაზარი ტკივილის მიზეზი. მე ხაზი მინდა გავუსვა სწორედ იმას, რომ ამ მძლავრსა და დიად მოვლენებს, რაც მე-19 საუკუნეში ჩვენში იყო, ჩვენთვის ძალზე მტკივნეულსა და უაზროს ხდის ეს ვიღაცის წამოსროლილი სიტყვა – რომ ქართული ენა ძაღლის ენაა და იშლება ყველაფერი... ჩვენს თვალწინ ჩნდება დიდი გასაჭირი. მე-19 საუკუნემ რომ მოგვიტანა _ დაპყრობა, კოლონიური მდგომარეობა, ქართული ენის უარყოფა, ქართული სკოლის უარყოფა და, ერთი სიტყვით, ყველა ის ჭირი, რომელიც თან ახლდა მე-19 საუკუნეს... რა თქმა უნდა, იმის პარალელურად, რომ არსებობდა დიდი ქართული მე-19 საუკუნეც.

ეს მაგალითისათვის მოვიყვანე, მაგრამ ასეთი რამ ხშირია მურმან ლებანიძის პოეზიაში და აქედან არის ის დრამატიზმიც, თითქოს შინაგანი კონფლიქტიც კარგსა და ავს შორის, რაც ლექსს დინამიკურსა და მოქმედს ხდის. ლექსი კი მარტო თხრობა არ არის, აქ შინაგანი ბრძოლაა, რაც ბუნებრივია, მკითხველსაც გადაედება და მის შთაბეჭდილებას უფრო ამძაფრებს.

თანაც, კრიტიკული დამოკიდებულება დღევანდელობისადმი, კონკრეტულად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისადმი, როცა მურმან ლებანიძის, როგორც პოეტის აქტიური შემოქმედება მიმდინარეობდა და საშუალებაც გაჩნდა იმისა, რომ ზოგიერთი მოვლენა კრიტიკულად დაგვენახა არა მარტო ჩვენი დროის, არამედ წარსული დროისაც. შესაძლებლობას აძლევს პოეტს, კონკრეტულად დახატოს ქართველი, იმ პერიოდში რომ ჩამოყალიბდა იქ, სადაც, ვთქვათ, მოხდა ხრესილის ბრძოლა, სადაც ქართველმა თავისი ძალა და ვაჟკაცობა დაამტკიცა, პატრიოტიზმი დაამტკიცა... და უცებ _ ხრესილი დუქნებისა და ყიდვა-გაყიდვის ადგილად არის ქცეული და ახლანდელი ქართველი ყიდის ღომს, დადის მაგიდებს შორის და ვიღაცას ემსახურება, რომ ფული იშოვოს, ორი კონკრეტული სურათის ჩვენებით ვხედავთ, რა სიმაღლიდან სად დავეშვით... მებრძოლის, მეორისა და ვაჟკაცის შთამომავლობა გადაქცეულა ლაქიების, მზარეულების და მიმტან-მომტანის საზოგადოებად.

ამ პაწია ლექსში უცბად ამოდენა დიაპაზონით ვმოძრაობთ და წარმოვიდგინოთ, რას განიცდის ავტორი... და აქედან მკითხველიც. პოეტის განცდა მძაფრია და ცრუ რომანტიკით შეუბღალავი, დახატულია რეალისტური სურათი, მაგრამ არც რომანტიკულობაა გამქრალი, რადგან იმედი რომანტიკულობამ უნდა მოგვცეს.

ლირიკული ლექსების ციკლი აბასთუმანზე. აქ სევდიანსა და ტკივილიან განწყობილებას უპირისპირდება ბუნების მშვენიერების სურათები და ამ კონკრეტულ დაპირისპირებაში იგრძნობა ძირითადი მამოძრავებელი ძარღვი, რაც საერთოდ ახასიათებს მურმან ლებანიძის პოეზიას _ ბუნების მშვენიერება წამიერად გავიწყებს ყველფერს და შესაძლებლობას გაძლევს, შეუერთდე დიად სიხარულს, რომელსაც სამყაროს მშვენიერება ბადებს.

საერთოდ, პოეზიაში შეიმჩნევა ორი ნაკადი _ ქალური ნაკადი და მამაკაცური ნაკადი.

როდესაც ისეთ პოეტების ლექსებს კითხულობ, როგორიცაა გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, ლადო ასათიანი და ამათ ვუმატებ მურმან ლებანიძეს, მყარად გრძნობ

მამაკაცურ საწყისს. ერთგვარი მამაკაცური გრძნობებია აქ გადმოცემული, თუმც ეს ლექსები სინაზეს მოკლებულიც არ არის.

მაგრამ არის პოეზიის მეორე ნაკადი, და არა მარტო ქალ პოეტების ლექსებში, არამედ თუნდაც გალაკტიონთან, სადაც ქალური სინაზე მეტია... შეიძლება მეშლებოდეს, მაგრამ ჩემს შთაბეჭდილებას მოგახსენებთ.

მამაკაცური ძალიან ხმამაღლა მეტყველებს მურმან ლებანიძის პოეზიაში... ეს მისი მამაკაცური მეტყველება აგრძელებს ხაზს, რომელიც ჩვენს პოეზიაში შემოდის უკვე ვაჟა-ფშაველათი დაწყებული. საინტერესო თავისებურება გახლავთ, რადგან არის მშვენიერება, რომელიც შეიძლება მამაკაცური თვალით იყოს დანახული.

მაგრმა ყველაფერს ერთად თუ თავს მოვუყრიდით, მე მინდოდა ასეთი დასკვნა გამეკეთებინა: მურმან ლებანიძის დამოკიდებულება სინამდვილისადმი უაღრესად ვაჟკაცურია, მამაკაცური, კრიტიკული და ამავე დროს იმედით სავსე, რადგან ამ კონკრეტულ სამყაროში ყოველთვის ხედავს მშვენიერებას და არასოდეს ავიწყდება მისი არსებობა. არასოდეს მისი განცდა არ არის ამ მშვენიერების გარეშე და ამიტომ კრიტიკაც სხვა განწყობილებისაა და სხვა იმედით გავსებს. ის არ არის კრიტიკა სასოწარკვეთილი კაცისა, ის არ არის კრიტიკული დამოკიდებულება ადამიანისა, რომელიც ცუდს ხედავს და არა აქვს იმედი. პირიქით, ეს არის კრიტიკა იმ კაცისა, რომელსაც იმის ძალაც ყოფნის, გადალახოს ეს და იმის ძალაც, რომ ბნელ, შავ სამყაროში დაინახოს ის ნათელი, რომელიც არასოდეს ქრება. მისი პოეზია თავიდან ბოლომდე განმსჭვალულია მძაფრი იმედით და, ხაზს ვუსვამ რა იმას, რომ ქართულ პოეზიას არასოდეს ჰქონია უიმედო განწყობილება, მე მგონია, მურმან ლებანიძე შეგნებულად თუ შეუგნებლად, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად აგრძელებს იმ მთავარ ხაზს, რომელიც რუსთაველმა დანერგა _ «ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა» (რომ ღმერთი კეთილის შემოქმედია, ის არ ქმნის ბოროტს... და ეს ხაზი, მე მგონია, რომ დაუსრულებლად გრძელდება და მურმან ლებანიძის პოეზიაშიც ბუნებრივად არსებობს.

ასე რომ, როგორც მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობა იყო მძლავრი, ასევე მძლავრია მეორე ნახევარიც და ამ მეორე ნახევარშიც ძალიან სერიოზული შემოქმედებითი ცხოვრება მიმდინარეობს როგორც ლიტერატურაში, ისე ხელოვნების სხვა დარგებშიც... წამდაუწუმ ფეტვის მარცვლებივით არ იყრება შედევრები, ეს არასოდეს მომხდარა არცერთ ქვეყანაში და არც მოხდება. «ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირადო», ამბობს რუსთაველი... და ამას თავისი კანონზომიერება აქვს...

8. V. 1992

გადაცემა VII

ლამარა კიკილაშვილი – ბატონო აკაკი, გაიხსენეთ თქვენი სტუდენტობის ხანა, თუნდ მანამდელიც; ვის მიუძღვის ღვაწლი თქვენი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

აკაკი ბაქრაძე _ თუ ვილაპარაკებთ კონკრეტულად, რა თქმა უნდა, ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში უპირველესად ჩემს მშობლებს _ ჩემს დედას და ჩემს მამას. მაგრამ გარდა ოჯახისა, ადამიანზე დიდ ზეგავლენას ახდენს ის, რაც მას აინტერესებს და უყვარს. მაგალითად, ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწერლობას, ლიტერატურას, ხელოვნებას... ის მე იმთავითვე მიყვარდა და, ცხადია, მასთან

კონტაქტი მოქმედებდა ჩემი ბუნებისა და ჩემი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაზე. ამ მხრივ ახლა განსაკუთრებით ვერ გამოვყოფ მწერლებს. რაკი მწერლობა მიყვარს, საერთოდ ლიტერატურა მიყვარს, ბევრი მწერალიც მიყვარს, სხვადასხვა კუთხით ისინი ჩემზე ზემოქმედებას ახდენდნენ. მათში ვპოულობდი სულიერ კმაყოფილებას.

მოგეხსენებათ, მოზარდის სამყარო იწოვს ყველაფერს, რაც მის გარშემოა და, ცხადია, იმასაც, რაც მან წაიკითხა, რასაც იგი გაეცნო. ჩემთვის ძნელია გითხრათ, ვინ უფრო მიყვარს _ აკაკი წერეთელი თუ ვაჟა-ფშაველა. თუმცა მათ საერთო, როგორც მწერალს, არაფერი აქვთ. ერთში სრულიად სხვა სამყაროა და მეორეში _ სრულიად სხვა. მაგრამ მიუხედავად ამ დიდი განსხვავებისა, ჩემთვის ისინი _ ორივე ძალიან საინტერესო, ახლობელი და საყვარელია. ცხადია, არ შემიძლია ვთქვა _ აი, ამას ვამჯობინებ ან იმას ვამჯობინებ. ისევე, როგორც მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში არ შემიძლია ვთქვა, ვინ უფრო დიდ აღტაცებას იწვევს ჩემში _ გალაკტიონ ტაბიძე თუ გიორგი ლეონიძე. უფრო მეტსაც გეტყვით, შედარებით უფრო დაბალი რანგის, როგორც პოეტი, ჩემზე დიდ ზემოქმედებას ახდენდნენ ახალგაზრდობაში და დღესაც გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი და მათი პოეზია.

მე არ ვგულისხმობ იმას, რითაც ჩვეულებრივ კონიუნქტურას ვალი გადაუხადეს. არა. მე ვგულისხმობ, რაც ნამდვილია მათ შემოქმედებაში და რაც ნამდვილ პოეზიასთან არის დაკავშირებული. ეს მაშინაც _ ახალგაზრდობაში, ბავშვობაში და დღესაც ძალიან დიდ და სერიოზულ ზეგავლენას ახდენს. ეს სამყარო ჩემთვის ძალიან ახლობელია და, ბუნებრივია, მანიჭებს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასაც. ასევე შემიძლია დავასახელო პროზაში ნიკო ლორთქიფანიძე და მიხეილ ჯავახიშვილი. მათი სამყარო ძირეულად განსხვავებულია, მაგრამ ვერ წარმომიდგენია ჩემი არსებობა იმ სევდისა და დარდის განცდის გარეშე, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს და ამავე დროს იმ მწარე სატირის გარეშე, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილისათვის არის დამახასიათებელი და იმ დაუნდობელი კალმის გარეშე, რომელიც ასე გამანადგურებლად ხატავს თეიმურაზ ხევისთავს, კვაჭი კვაჭანტირაძეს თუ სხვებს. ეს თითქოს ერთმანეთისაგან დაცილებული სამყაროები მისაღებიც არის, ახლობელიც არის და არც შემიძლია მათთან კონტაქტის გარეშე არსებობა, სულიერ-კულტურულ არსებობაზე მოგახსენებთ. ასევე შემიძლია ვილაპარაკო კონსტანტინე გამსახურდიას რომანებზე და ბევრიც მაქვს დაწერილი, თუ, რა თქმა უნდა, ამ დაწერილს რაიმე მნიშვნელობა აქვს, რადგან ამით გამოვხატავდი ჩემს მადლიერებას. ანდა ისეთი მწერალი, როგორიც არის ლეო ქიაჩელი ან დემნა შენგელაია. აქაც ხომ მსგავსება არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ადამიანი სხვადასხვა ნაკადს ითხოვს, სხვადასხვა თვისებას, რომ შეავსოს მთლიანად ის, რაც მის მოთხოვნილებას სჭირდება. ამიტომ კონკრეტულად ვერ დავასახელებ _ აი, ამათ ჰქონდათ განსაკუთრებული მნიშვნელობა. მაგრამ განუსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს მწერლობას და ჩვენს ლიტერატურას. ამ მთლიანობაში, ალბათ, ავად თუ კარგად, ყალიბდებოდა ჩემი ხასიათი.

ასევე მიჭირს გადმოვცე _ რა შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე ელენე ახვლედიანის მხატვრობა. მიჭირს, იმიტომ რომ რაღაცნაირი საოცარი განწყობილება მეუფლებოდა ბავშვობაშიც და დღესაც, როდესაც მის სურათებს ვუყურებ. ამავე დროს ასევე საინტერესოა და არ შემიძლია მოვიცილო ლადო გუდიაშვილი, რომელიც სულ სხვა სამყაროს შემოქმედია. ელენე ახვლედიანის ზამთრის ციკლი _ სურათები, რომლებიც ზამთარს ასახავს, იქნება ეს სიღნაღი, თბილისი თუ სხვა, _ აი, ეს ზამთრის ციკლი უცნაურ სამყაროს ხატავს, რომელთანაც კონტაქტის გარეშე, ალბათ, ვისაც ხელოვნება უყვარს, არსებობა ვერ წარმოუდგენია, ისევე როგორც იმ გროტესკული ფიგურების გარეშე, რომლებსაც ლადო გუდიაშვილი ქმნის. ამ გროტესკულ ფიგურებში დიდი

ფილოსოფიაა, დიდი აზრია, დიდი ფიქრია ავტორისა გადმოცემული და გაიძულებს, რომ შენც იფიქრო და მუდმივად მოქმედებდეს შენი გონება ამ მიმართულებით. ესეც, ალბათ, აუცილებელია, რომ ადამიანის გონება მუდმივად ვარჯიშობდეს. თუ ფეხბურთელს სჭირდება მუდმივი ვარჯიში იმისათვის, რომ ბურთს კარგად ფლობდეს, გონებასაც სჭირდება ასეთი მუდმივი ვარჯიში, რომ მას ყოველთვის შეეძლოს საღად აზროვნება და ყოველთვის იყოს მზად იმ სამყაროს აღსაქმელად, იმ ამბების აღსაქმელად, იმ მოვლენების აღსაქმელად, რომელიც მის გარშემო ტრიალებს. ამიტომ ამ მომზადებას ტვინისას, ამ ვარჯიშს ტვინისას წარმოადგენს სწორედ ეს მუდმივი კონტაქტი იმ სახელოვნებო სამყაროსთან, რომელიც შექმნილია, არსებობს და შეგიძლია მასთან კონტაქტის დამყარება.

ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ არაქართული მწერლობის მიმართაც, იქნება ეს ევროპული მწერლობა, რუსული თუ სხვა, რადგან ის ნაწილია იმ მთლიანი ხელოვნების, რომელთანაც ქართველს ამ შემთხვევაში აქვს კონტაქტი და რაც, აგრეთვე, ქართული კულტურის ნაწილია. რაკი იგი შემოსულია ჩვენს სულიერ სამყაროში, ისიც უკვე ქართული კულტურის ნაწილად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი შეიძლება ფრანგი იყოს, ან ინგლისელი, ან რუსი, ან გერმანელი. მაგრამ რაკი კონტაქტი გაქვს, ბუნებრივია, რომ ის შენივე ნაწილია და შენს კულტურას უერთდება, ამდიდრებს და აფართოებს. თარგმნილი ლიტერატურიდან «ღვთაებრივი კომედია», ან «დონ-კიხოტი», ან «ომი და მშვიდობა», ან «ფაუსტი», ან სხვა რამ ისევეა, ჩემი აზრით, ქართული ლიტერატურის ნაწილი, როგორც ის, რაც ქართველმა ადამიანმა შექმნა. თუ კონტაქტი გაქვს, თუ ურთიერთობა გაქვს, თუ ის შენს სამყაროს ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს, ცხადია, ზემოქმედებს და რაკი ზემოქმედებს, ადამიანის ბუნებას აყალიბებს, რა ეროვნებისაა ეს ადამიანი ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი ფართო კონტაქტები ყალიბდებობა ჩემი და, ალბათ, მთელი ჩემი თაობის ბუნება, მისი ცნობიერება და მისი განცდა იმ სამყაროსი, რომელშიაც იგი არსებობს. ე.ი. ამ მთლიანობაში შეიქმნა და ჩამოყალიბდა ჩემი თაობა. ბუნებრივია, იმ ნიჭისა და შესაძლებლობის შესაბამისად, რაც მას ღმერთმა დაანათლა, ისინი ემსახურებიან ხალხს, ქვეყანას და იმ საქმეს, რომელიც მათ აირჩიეს.

ლ.კ. – ბატონო აკაკი, თქვენ ისაუბრეთ მწერლობაზე, ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, რამაც თქვენი პიროვნების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენა მოახდინა. პიროვნება თუ შეგხვედრიათ ისეთი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება და ზეგავლენა მოახდინა თქვენზე.

ა.ბ. – პიროვნებაც ძალიან ბევრი შემხვედრია ისეთი, რომელთაც დიდი ინტერესი გამოუწვევია ჩემში, ვთქვათ, მიმიჩნევია, რომ აი, ამ კაცის ცოდნა, ამ კაცის განათლება, ამ კაცის დამოკიდებულება იმ საქმისადმი, რომელსაც იგი ემსახურება, არის ის, რაც ჩემში აღტაცებას იწვევს და მიბაძვის სურვილსაც. ამ მხრივ შემიძლია დავასახელო რამდენიმე ადამიანი, რომელთა ლექციები უნივერსიტეტში მომისმენია. უშუალოდ არასოდეს მასწავლიდა და ლექციებს არ მიკითხავდა შალვა ნუცუბიძე, მაგრამ უნივერსიტეტში ყოფნის დროს არ გამომიტოვებია არც ერთი მისი ლექცია. სადაც უნდა წაეკითხა იგი _ იქნებოდა ეს რომელიმე სხვა ფაკულტეტზე წაკითხული თუ საჯარო ლექცია როგორც უნივერსიტეტში, ისე სხვაგან სადმე _ არც ერთი არ გამომიტოვებია, რადგან ჩემში აღტაცებას იწვევდა მისი ერუდიცია, ფართო ფანტაზია, რომელიც შესაძლებელია ყოველთვის მეცნიერული თვალსაზრისით დასაბუთებული არ იყო, მაგრამ ძალიან საინტერესო მიგნებებს წარმოადგენდა, მისი მეტყველების კულტურა და ყველაფერი ეს ერთად აღებული, მიმაჩნდა, რომ მისგან უნდა გარკვეული გაკვეთილი ამეღო.

ჩვეულებრივ, უბრალოდ განათლებული ადამიანისათვის აუცილებელია მკაფიოდ ჩამოყალიბებული მეტყველების კულტურა. ეს ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის _ ბავშვობის დროსაც და დღესაც. ამიტომ იმ ადამიანებს, რომელთაც ამ მხრივ მაღალი კულტურა ჰქონდათ, ყოველთვის შეეძლოთ ზემოქმედების მოხდენა ჩემზე. ამ კუთხით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და იყო გარკვეული გაკვეთილი ჩემთვის, შემიძლია მასწავლებელიც ვუწოდო, _ კოტე ბაქრაძე.

კოტე ბაქრაძე კითხულობდა ფილოლოგიის, ისტორიის და ფილოსოფიის ფაკულტეტზე ერთდროულად ლოგიკის კურსს. ისეთი საინტერესო იყო, რომ პირადად მე, სხვების შთაბეჭდილებას ვერ მოგახსენებთ, პირდაპირ პირდაფჩენილი ვუყურებდი. თავისთავად ლოგიკა თითქოს ისეთი მეცნიერებაა, რომ ძნელად გამოიწვევს ემოციურ აღტაცებას ადამიანში, რაღაც მშრალი, გარკვეულ კანონებზე აგებული მეცნიერება, რომელიც სუფთად, მშრალად გვიყვება, რანაირად შეიძლება აიგოს მაგალითად მტკიცება-უარყოფის საკითხები და ა.შ. კოტე ბაქრაძე ამას აკეთებდა მხატვრული ნაწარმოების მოშველიებით. ერთხელ მახსოვს, ლოგიკის თვალსაზრისით, მან ჰაინეს ლექსის ანალიზი გააკეთა. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ანალიზი ლექსისა, რომელიც ოდესმე წამიკითხავს ან მომისმენია. ეს ლექციები არა მარტო საინტერესო იყო ცოდნისა და განათლების თვალსაზრისით, არამედ აზროვნების, კულტურისა და მეტყველების კუთხით. ცხადია, მანაც სერიოზული ზეგავლენა მოახდინა ჩემზე.

ბევრი ასეთი ადამიანის დასახელება შემიძლია. გახსოვთ, ალბათ, მე თქვენს ფაკულტეტზე ხშირად ვესწრებოდი ვუკოლ ბერიძის ლექციებს. დღესაც კი თვალწინ მიდგას, როგორ ხსნიდა ის მოკლე და გრძელ შაირს. დადიოდა აუდიტორიაში წინ და უკან, ნაბიჯების სიხშირისა და სიმოკლის მიხედვით უხსნიდა სტუდენტებს, რა არის გრძელი და რა არის მოკლე შაირი. ეს თავისთავად ქმნიდა ბუნებრივ მხიარულ განწყობილებას ლექციისას. საინტერესო იყო ის, რომ ხედავდი კაცს, რომლისთვისაც რუსთაველის პოეზია არსებობს არა მარტო მის ცნობიერებაში, როგორც რაღაც დაინტერესების საგანი, არამედ მის ბუნებაში და ეს მისი ფიზიკური ბუნებაც კი ამ ლექსით ცხოვრობს. ამის შეგრძნება ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კაცისათვის, რადგან უკვე იწყება მისი სერიოზული დამოკიდებულება იმ საგნის მიმართ, რომელსაც პედაგოგი აწოდებს.

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილსაც კითხვის თავისებური მანერა ჰქონდა. როცა საქართველოს ისტორიას ჰყვებოდა, თქვენ ხედავდით, რომ იმ ბრძოლას, იმ ტკივილს, იმ ტანჯვას, იმ რბევას, რასაც ჰყვება, იმდენად განიცდის, რომ თითქოს მოქმედებს, ვიღაცას ებრძვის, გაღიზიანებულია და ჩართულია იმ ვითარებაში, რა ვითარებაც მას აქვს წარმოდგენილი ძალიან მკაფიოდ და ნათლად. გიამბობს ამას, მაგრამ თვითონ არ არის მოამბე, თვითონ მონაწილეა ამ ამბისა და მისი გაღიზიანებული ინტონაცია, მისი ნერვიული თხრობის კილო, ყველაფერი გარწმუნებდა იმაში, რომ ეს კაცი ახლა აქ, აუდიტორიაში, კი არ არსებობს, არამედ იქ, იმ სამყაროში, რომელზედაც ის ლაპარაკობს. ამგვარი გადმოცემა, ამგვარი ატმოსფერო ლექციაზე, მე მგონია, არის ისეთი ემოციური ატმოსფეროს შექმნა, რაც სჭირდება სტუდენტს, რომ მისი ემოციური სამყარო ჩაებას იმ პროცესში, რა პროცესიც ლექციაზე მიმდინარეობს. თორემ თავისთავად შეიძლება ამბავს ჰყვებოდეს, ცოდნაც ჰქონდეს პედაგოგს, ეს მონაყოლიც მნიშვნელოვანს წარმოადგენდეს, ანალიზიც მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ თუკი არ არის ეს ემოციური შინაგანი საფენელი, სტუდენტს უჭირს კონტაქტის დამყარება და არ არის ის ყურადღება, რა ყურადღებაც უნდა იყოს. პაწია-პაწია დეტალებიც კი ახალგაზრდა კაცზე ახდენს უდიდეს ზეგავლენას და სხვა ატმოსფეროს უქმნის მას დამოკიდებულებისას.

ერთხელ მახსოვს ასეთი შემთხვევა. მათე ალექსიშვილი კითხულობდა რომისა და საბერძნეთის ისტორიას. ასეთი ჩვეულება ჰქონდა _ ერთ დღეს რომ ლექციას წაიკითხავდა, მეორე ლექციაზე გამოკითხვა ხდებოდა, შევისწავლეთ, დავიმახსოვრეთ თუ ვერა წინა წაკითხული ლექცია. ერთხელ ერთ-ერთი სტუდენტის გვარი ბლოკნოტში ამოიკითხა და გამოიძახა. აუდიტორიაში სტუდენტობა მრავლად იყო. ამ სტუდენტმა იფიქრა სახეზე არ ვემახსოვრებიო და არ გავიდა. სხვა სტუდენტებმა ვუპასუხეთ, არ არის, დღეს არ მოსულა ლექციაზეო. არაფერი უთქვამს მათე ალექსიშვილს. გააგრძელა თავისი ლექცია. როდესაც ლექცია დაამთავრა, მივიდა იმ სტუდენტთან, თითი დაადო და უთხრა _ თქვენ მობრძანდითო. ახლა რა უნდა ექნა, უნდა გასულიყო და გავიდა კიდეც. დააყენა დაფასთან. მერე მიუბრუნდა და უთხრა: «ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასაფარად დედამიწა გადაეფაროსო» და წავიდა.

ასეთი გაკვეთილები ძალიან ეფექტურია და კარგად მეტყველებს, როგორ შუძლია ლექტორს დაამყაროს კონტაქტი სტუდენტობასთან და ამით გამოიწვიოს სტუდენტობის დაინტერესება. ამის შემდეგ სულ სხვა იყო ჩვენი დამოკიდებულება მათე ალექსიშვილის ლექციებისადმი. აღმოჩნდა, რომ ამ კაცს ახსოვს სტუდენტები თავისი სახელით, გვარით, ყველაფრით და ვერ მოატყუებ. უკვე იძულებული იყავი, რომ ჩახმახივით ყოფილიყავი შემართული, რომ ასეთ სასაცილო ვითარებაში არ მოხვედრილიყავი.

იყო ასეთი შემთხვევა კიდევ. ვუკოლ ბერიძის ლექციაზე, შეიძლება თქვენც იყავით ამ ლექციაზე, არ მახსოვს, ერთი ჩვენი, დღეს უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დაფიქრებული იჯდა და ყურადღებით არ უსმენდა. მივიდა ვუკოლი, ჩუმად დაადგა თავზე და უთხრა: სხვაგან ქრის შენი გონება, შენი თავისა ლხენამან.

აი, ასეთი დამოკიდებულებანი და აი, ასეთი კონტაქტები ძალიან ადამიანურს ხდის ურთიერთობას მასწავლებელსა და მოწაფეს შორის, ამავე დროს შინაგანად ამშვიდებს სტუდენტს და გრძნობს, რომ არ ხდება რაღაც განსაკუთრებული პროცესი, არამედ მიმდინარეობს უმცროსისა და უფროსის კონტაქტი. ამ კოტნაქტში ბევრია ახლობლური, მშობლიური და ამგვარი განწყობილება იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველაფერი, რაც უნდა ისწავლოს სტუდენტმა, აითვისოს მშვიდად. იმ ადამიანების მიმართაც ნდობით განიმსჭვალოს, ვინც მას ასწავლის. ასე, რომ ადამიანები, რომლებსაც ჩვენთან, სტუდენტებთან, კონტაქტი ჰქონდათ, თავისი ადამიანური ბუნებით ახდენდნენ ზეგავლენას. მათი ადამიანური ბუნება უწყობდა ხელს ჩვენი ხასიათის ჩამოყალიბებას. და განსაკუთრებული სწორედ ის არის, რომ არც ერთი მათგანი არ თამაშობდა არც დიდ მეცნიერს, არც დიდ მოღვაწეს, არც დიდ პიროვნებას. ისინი იყვნენ ადამიანები და სურდათ ასევე ადამიანები აღეზარდათ მათში, ვინც მათ უსმენდა. ასეთი ზეგავლენა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ისეთი პიროვნებისა, რომლის გარშემო შექმნილია დიდებისა და განსაკუთრებულობის შარავანდედი, მაგრამ სინამდვილეში ცივია ეს დამოკიდებულება და ადამიანის სულზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს. პირიქით, თრგუნავს და ჩაგრავს მას. ეს საინტერესო, ადამიანური ურთიერთდამოკიდებულება კი იძლეოდა საშუალებას თანდათანობით, მშვიდად და წყნარად ჩამოყალიბებულიყო იმ ახალგაზრდის სულიერი სამყარო, ვინც ჩვენს დროს იზრდებოდა და სწავლობდა უნივერსიტეტში.

იგივე შეიძლება ითქვას აქტიურ საქმიანობაზეც მწერალთა კავშირში. მაშინ ახალგაზრდობა ძალიან აქტიურად დადიოდა მწერალთა კავშირში, ესწრებოდა განხილვებს, ჩვენი მწერლების საუბრებს, ახსნა-განმარტებებს. ესეც იყო აღზრდის გარკვეული სკოლა, რა თქმა უნდა, იმათთვის, ვისაც აინტერესებდა მწერლობა და

საერთოდ ჰუმანიტარული მეცნიერებანი. ასევე საინტერესო იყო სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში საჯარო ლექციები თუ სჯა-ბაასი სხვადასხვა საგანზე. მე ვთვლი, რომ უნივერსიტეტში დამკვიდრებული ტრადიცია _ ახალი წიგნი განხილულიყო, ახალი ფილმი განხილულიყო და ამაში აქტიური მონაწილეობა მიეღო სტუდენტობას პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, იყო ძალიან კარგი ტრადიცია. კარგი ტრადიცია თუნდაც, იმიტომ, რომ ადამიანი არა მარტო ახალ ცოდნას იძენდა ამ ურთიერთობით, არამედ საჯარო მეტყველების კულტურას სწავლობდა, ურთიერთდამოკიდებულების კულტურას სწავლობდა, სწავლობდა საპირისპირო აზრის მოთმინებით მოსმენას, პასუხის მიცემას და ა.შ. არ იყო ისტერიული ურთიერთობაში, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ასე ფართოდ გავრცელდა და არსებითად ჩაკლა ადამიანში სურვილი საპოლემიკო კონტაქტისა, საკამათო კონტაქტისა, აზრთა სხვადასხვაობის კონტაქტისა, რადგან ყველაფერი ეს გახდა მტრობის, ისტერიის, ბოღმისა და გესლის საგანი. მაშინ სწორედ ამის საწინააღმდეგო ვითარება იყო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ შეიძლება ისეთი რამ მომხდარიყო, რაც ძალიან მტკივნეული და ძალიან დამთრგუნველიც იყო. მაგრამ რაკი შინაგანი კულტურა არსებობდა, ეს კულტურა ყველაფერს უფრო სიმშვიდესა და ურთიერთგაგების ხასიათს, თვისებას ანიჭებდა. ამგვარ ატმოსფეროში ჩვეულებრივი რიგითი ადამიანებიც, რომელთა განსაკუთრებულობა შეიძლება დღეს არც ჩანდეს არსად, ზეგავლენას და ზემოქმედებას ახდენდა ახალგაზრდაზე და მისი ბუნების ჩამოყალიბებაზე.

ლ.კ. – ბატონო აკაკი, ახლა მინდა გკითხოთ, ამ უკანასკნელ ამბებამდე, რა იყო თქვენთვის ყველაზე მძიმე. ახლა გასაგებია ყველასათვის, ჩვენთვის რა არის მძიმე, მაგრამ მე მაინტერესებს მანამდე, რა იყო თქვენთვის ყველაზე მძიმე და რა განიჭებდათ სიხარულს.

ა.ბ. – საერთოდ, თუ ვილაპარაკებ ჩემი თაობის ცხოვრებაზე, ბევრი რამ იყო ძალიან მძიმე, რადგან რთულ და ძნელ პერიოდში მოგვიწია ცხოვრება. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რა ამბები იყო 30-იან წლებში, კონკრეტულად, ცნობილი 37 წელი, როცა უამრავი უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრება, გასამართლება, გადასახლება, დახვრეტა ხდებოდა. თითქმის არ დარჩენილა ოჯახი, რომელსაც რაღაც ტკივილი ამ თვალსაზრისით არ ჰქონოდა მიღებული. თითქმის არ იყოს ჩემი თაობის ახალგაზრდა, რომელიც ნახევრად ობლად არ დარჩენილიყო. ეს, ბუნებრივია, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენს ბავშვურ ცნობიერებაზე. მერე მოყვა ამას დიდი ომი და ომთან დაკავშირებული ყველა ის გაჭირვება, რაც ძალიან მძიმე ასატანია ყველა დროისა და ყველა ეპოქისათვის, ყველა ხალხისათვის. მით უმეტეს, რომ საქართველოსათვის ეს მეტად მძიმე პერიოდი იყო ყველა თვალსაზრისით და ყველა კუთხით. ჯერ ერთი, უამრავი მსხვერპლი, მერე მატერიალური და ფინანსური გასაჭირი. საშუალებაც არ იყო თუნდაც იმისა, რომ ნორმალურად ესწავლა სკოლაში ბავშვს. არ იყო იმიტომ, რომ ბევრი პირობა, რაც საჭიროა და აუცილებელი ნორმალური სწავლა-განათლებისათვის, უკვე აღარ იყო _ სიცივე ცალკე, ელექტროენერგიის უქონლობა ცალკე, ჩაუცმელობა და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით, უამრავი რაღაც მოვლენა, რაც ძნელი ასატანია და ძნელი გასაგებიც ახალგაზრდისათვის, მოზარდისათვის და ბავშვისათვის. ყველაფერი ეს შეცვალა ომის შემდგომმა პერიოდმა. კარგა დიდხანს გაგრძელდა ეს გასაჭირი. ასე, რომ ჩვენს თაობას ძალიან მძიმე ტკივილი ახსოვს. ამავე დროს ხდებოდა ისეთი მოვლენებიც, რაც დაინტერესებული და გონებაგახსნილი ბავშვისათვის მტკივნეულიც იყო და ძნელად გასაგებიც. ეს არის, როდესაც იწყებოდა საგანგებო რბევა ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის, მწერლისა თუ მეცნიერისა, როცა გამოიგონებდნენ რაღაც

პრობლემას და ამ პრობლემის გარშემო ატყდებოდა ერთი აურზაური. მაგალითად, კოსმოპოლიტიზმის პრობლემა არსებობდა, არსებობდა ენათმეცნიერების საკითხების პრობლემა, ეკონომიკისა და სოციალისტური რეალიზმის და ა.შ. საგანგებოდ გამოგონილი პრობლემები, რომელთა გარშემო წლების მანძილზე მიმდინარეობდა დავა-კამათი და ამ დავა-კამათში ერთნი ნადგურდებოდნენ, მეორენი აღზევდებოდნენ. თან ყოველთვის ნადგურდებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც უკეთეს ნაწილს წარმოადგენდა საზოგადოებისა და ცდილობდნენ ამით გაესწორებინათ ანგარიში იმ უკეთესი ნაწილისათვის. ცხადია, როდესაც ახალგაზრდა კაცის თვალწინ ეს ხდება, როცა ცნობიერების ჩამოყალიბება ხდება, მასზე დიდ ზეგავლენას ახდენს. ალბათ, ძალიან მტკიცე უნდა იყოს სულით, რომ ყველაფერმა ამან სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდოს ახალგაზრდა. საქმე ჩვენთან იქამდეც მივიდა, რომ ვაჟა-ფშაველაც კი შეურაცხვყავით, ვაჟა-ფშაველასაც გამოვუცხადეთ ბრძოლა და ომი; თანაც კარგად ვხედავდით, რომ ყველფერი ეს იყო ყოვლად უსაფუძვლო, ყოვლად უსამართლო, ყოვლად უზნეო, მაგრამ ვერავინ საწინააღმდეგოს ვერ ამბობდა. წერილებს წერდნენ, მოხსენებებს კითხულობდნენ, წიგნებს ბეჭდავდნენ და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რისი დამტკიცებაც არ შეიძლებოდა, მაგრამ იყო ამგვარი განკარგულება და ამ განკარგულებას შეშინებული საზოგადოება ასრულებდა. ასევე შემზარავია იმის წაკითხვა, როგორ ლანძღავდნენ კოსმოპოლიტიზმის გამო შალვა ნუცუბიძეს, სერგი დანელიას, კონსტანტინე კაპანელს და სხვებს. რა საშინელი სიტყვებით იყო ყველაფერი ეს დაწერილი, თავი რომ დავანებოთ უსამარფლობას და უზნეობას, რა ლანძღვა-გინების კორიანტელი იდგა პრესაში. ყველაფერი ეს იყო ძალიან მძიმედ ასატანი.

მაგრამ არსებობდა ერთიც, რომელიც ამტკიცებდა ჩვენს ბუნებას და გონებას. ამ მძიმე ატმოსფეროში, მართალია დაბეჭდვით არ დაგიბეჭდავდნენ, მაგრამ ზეპირი განხილვების დროს, ზეპირი გამოსვლების დროს კრებებზე ბევრი პრინციპული საკითხი ისმოდა და ბევრი პრინციპულად იცავდა სიმართლეს, კეთილშობილებას, პატიოსნებას. მახსოვს ბევრი ასეთი კრება, როგორც მწერალთა კავშირში, ისე მეცნიერებათა აკადემიაში, უნივერსიტეტში, სადაც სწორედ ეს მხარე კეთილშობილების გამოვლენისა, ეთიკური დამოკიდებულებისა, მეგობრის დაცვისა და სიმართლის თანადგომისა, ძალიან მკაფიოდ და ნათლად ვლინდებოდა. ამას ამჟღავნებდა სწორედ ის კეთილშობილი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც მუდამ ცდილობდა საკუთარი სახის შენარჩუნებას და არავითარ სიტუაციაში არ გატყდებოდა. ეს მკაფიოდ ჩანდა და ეს იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ალბათ, იმ ახალგაზრდობისათვის, რომელიც ამ მოვლენების მოწმე იყო. ეს ახალგაზრდები ხედავდნენ და გრძნობდნენ, რომ ყველა პირობებში და ყველა ვითარებაში შეუძლია ადამიანს შეინარჩუნოს კეთილშობილება. აი, ეს იყო ყველაზე დიდი გაკვეთილი. თანაც არც ის ადამიანები, რომელთა წინააღმდეგაც იყო ეს მიმართული, თავზე ნაცარს არ იყრიდნენ და ბოდიშებს არ იხდიდნენ. არა, ისინი იბრძოდნენ და ძალიან პრინციპულადაც იბრძოდნენ. როდესაც კოტე ბაქრაძის ლოგიკა გააკრიტიკეს და დაგმეს, როგორც არამარქსისტული და მოინდომეს მისი მიწასთან გასწორება, კოტე ბაქრაძეს ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია უკან. საოცარი ლოგიკითა და თანამიმდევრობით დაამტკიცა, რომ აბსურდი იყო ყველაფერი ის, რაც მის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს იყო უდიდესი გაკვეთილი როგორც პიროვნების კეთილშობილების, ისე მისი გაუტეხლობისა და პრინციპულობისა _ როგორ იცავს თავის აზრს, თავის შემოქმედებას და თავის პრინციპებს. ასევე, როდესაც მოხდა განხილვა გრიგოლ კიკნაძის წიგნისა, რომელიც ვაჟა-ფშაველას ეძღვნებოდა, მას აკრიტიკებდნენ ჩამორჩენილობისათვის, რომ პროვინციული შეხედულებანი ჰქონდა, რომ ჩაკეტილი იყო თავის თავში და ვერ

ხედავდა იმ ფართო მოვლენებს, რაც თითქოს მაშინდელ საქართველოში ხდებოდა, მან როგორც პიროვნებამ, არა მარტო თავი დაიცვა, არამედ აჩვენა _ როგორ უნდა იქცეოდეს ნამდვილი მეცნიერი და როგორ იცავდეს თავის თავსაც და იმასაც, რაზედაც წერს. ეს გაკვეთილი იყო და ძალიან დიდ აღტაცებასაც იწვევდა ახალგაზრდობაში, ასწავლიდა, რომ გაჭირვებასა და ყოველგვარ უბედურებას გაძლება სჭირდება და ამ გაძლების დროს შენ უნდა კლდესავით იდგე.

კიდევ ერთი მაგალითი. ყოფილი იმელის შენობაში ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ გამოვიდა ტალახაძე, პროკურორი იყო, რომელიც 24 წლისა და 37 წ-ის მონაწილე გახლდათ, ე.წ. «ტროიკის» წევრი, რომელსაც უამრავი ადამიანი ჰყავდა უსამართლოდ და უკანონოდ დახვრეტილი, დასჯილი და გადასახლებული, შეეცადა ივანე ჯავახიშვლის წიგნებში გამოთქმული სამეცნიერო დასკვნები საქართველოს ისტორიის შესახებ სულ სხვაგვარად წარმოეჩინა. კერძოდ, წამოაყენა დებულება, რომ ქართული სახელმწიფო მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს ჩამოყალიბდა, მანამდე ჯოგის ტიპებად ცხოვრობდნენ ქართველებიო. ამან დიდი გაღიზიანება გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. მაშინ პირველად გამოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, მე პირველად დავინახე, ქართველი ქალის აგრესიული ბუნება. სცემეს ქალებმა ტალახაძეს. რედიკულები ეჭირათ ხელში და კიბეზე რომ ჩამოდიოდა, ურტყამდნენ თავში ამ რედიკულებს. ეს ქალები, რომლებიც მერე ზოგიერთი მათგანი გამოჩენილი მეცნიერი გახდა და დღესაც აქტიურად მოღვაწეობს, საშინელი ემოციით იყვნენ ანთებული ამ კაცის წინააღმდეგ. თანაც ყველაზე მეტად ის აღიზიანებდათ, რომ ეს მკვლელი გამოდიოდა მეცნიერის მანტიამოსხმული და აკრიტიკებდა ივანე ჯავახიშვილს და თან იმოწმებდა, ივანე ჯავახიშვილი პირადად მელაპარაკებოდაო ამას, მართალია წიგნებში არ დაუწერიაო, მაგრამ ჩემთან პირად საუბარში ამბობდაო. საკუთარ დასკვნებს მიაწერდა ივანე ჯავახიშვილს. ამან გააღიზიანა ხალხი და ისეთი აგრესიული ბუნება, ახლა ყოველ ნაბიჯზე რომ შეგხვდებათ ქუჩაში, გამოუცხადეს ჩვენმა ქალებმა ტალახაძეს.

ამგვარი აქტიური ცხოვრება მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ის საგანგებოდ იყო მოგონილი, წინასწარი განზრახვა იყო ჩადებული მასში, მნიშვნელოვანი გახლდათ სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ ავლენდა ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს, ამ საუკეთესო ნაწილის პრინციპულობას, შეუდრეკელობას, ზნეობრიობას და კეთილშობილებას. ცხადია, როცა ამის მოწმე ხარ ახალგაზრდა კაცი, ბუნებრივად აკეთებ არჩევანს. ეს ბუნებრივი არჩევანი არა მარტო კეთილშობილების სასარგებლოდ არის, არამედ იმ სიმტკიცისა და გამძლეობის სასარგებოლდ, რაც ყოველ ადამიანს სჭირდება ცხოვრებაში. ეს არის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პერიოდში შეიძლება ნახოს ახალგაზრდა კაცმა.

ასე, რომ თუ ერთ მხარეს არსებობდა ძალიან მავნე მოვლენები, რომლებიც დღეს ადამიანთა ძრწოლას იწვევს, მის პარალელურად არსებობდა კეთილშობილებისა და მეგობრობის საუკეთესო მაგალითებიც. როდესაც ასე მკაფიოდ არსებობს ორი მხარე, არჩევანს იოლად აკეთებს ყველა ადამიანი, ვისაც შინაგანი, თანდაყოლილი კეთილშობილება აქვს. მისთვის ეს არის სწორედ სიმტკიცის წყარო და საგანი.

15.V.1992.

გადაცემა VIII

ლამარა კიკილაშვილი – ბატონო აკაკი, ჩვენმა თაობამ ბევრი რამ გადაიტანა. მძიმე წლები იყო ის წლები, მრავალმხრივ მძიმე, დათრგუნულებიც ვიყავით ხოლმე... მერე საიდანღაც სინათლე მოვიდა. მოვიდა ამ ბოლო წლებში. ეს მოულოდნელი არ ყოფილა. ამ სინათლეს ჩვენ მუდამ ველოდით. ამ სინათლის იმედით მოვედით დღემდე და ყველანი ვცდილობდით ეს იმედი გადაგვერჩინა. მით უმეტეს, თქვენ, რომელმაც საამისოდ ბევრი იღვაწეთ და აი, როცა ეს სინათლე ნამდვილად გაჩნდა, ვფიქრობ, ჩემი თაობის ადამიანთა სიხარული განსაკუთრებული იყო. მე მაგონდება 1989 წლის 26 მაისი, საოცრად ლამაზი დღე. გარეთ ვიყავი, იმ ახალგაზრდებთან ერთად ვიყავი, იმ მიტინგზე მშვიდობის პარკში. შემდეგ მათთან ერთად მოვიარე მთელი ვაკე, რუსთაველის პროსპექტი სანაპირომდე; სხვათა შორის, მარტო ვიყავი, სულ უცნობ ადამიანებს შორის, რომლებიც ძალიან ახლობელნი და ჩემიანები იყვნენ. ეს იყო ნამდვილი სიხარულის დღე. ასე მეგონა ფრთები მქონდა. მაშინვე, იმ დღესვე მინდოდა თავისუფლება. რაღაც უცნაური ძალა შევიგრძენი _ ბედნიერება, თავისუფალი ქვეყნის შვილს რომ შეიძლებოდა ჰქონოდა. უცნაური ძალით შევიგრძენი, რომ ძალიან მალე მოხდებოდა ის, რასაც წლების მანძილზე ველოდით. მოხდებოდა კი არა, თითქმის უკვე მომხდარი იყო. ჰოდა, ყოველივე ამას მოჰყვა აი, ეს მძიმე პერიოდი და პირადად მე ძალიან მძიმე განწყობა მაქვს...

აკაკი ბაქრაძე _ საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი ხალხი ძალიან დიდხანს ელოდა იმ სასიხარულო დღეებს, როდესაც აშკარად და ნათლად დაინახავდა, რომ თავისუფლება მოვიდა, რომ ქართველი ხალხი, როგორც ხალხი, კაცობრიობის ისტორიის ნაწილი გახდა და აღარ არის ვიღაცის დამატება. ეს დიდი ხნის მოლოდინი ბუნებრივად იწვევდა, როგორც ჩანს, ჩვენში იმის რწმენას, რომ უცბად ყველაფერი იქნებოდა ძალიან კარგად და არ დავუშვით ის, რომ, როდესაც რაღაც ძირეულად იცვლება და ძირეულად იშლება, ამავე დროს შეიძლება სიხარულის გვერდით ამოტივტივდეს რაღაც ბნელიც.

ყველა საზოგადოება ყველა დროში, ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში შეიცავს არა მარტო იმ ნაწილს, რომელიც საუკეთესოა, არამედ იმ უვარგის ნაწილსაც, რომელიც ბუნებრივად არსებობს. სხვანაირად შეუძლებელია. მაგრამ მთლიანად ჩვენი ყურადღება გადავიდა უკეთესისა და ნათელის მოლოდინისაკენ. როდესაც აღმოჩნდა, რომ თურმე ამის გვერდით იმანაც გაიღვიძა, რაც ჩვენთვის არასასურველია, ამან ჩვენზე მოახდინა დამთრგუნველი და გულის გამტეხი შთაბეჭდილება. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ეს ასე არ უნდა აღვიქვათ.

ერთი გარემოება კარგად უნდა გავითვალისწინოთ. არ შეიძლება, როდესაც რაღაც მოვლენა ხდება და თანაც ისეთი დიდი მოვლენა, როგორიც არის საზოგადოებრივი სინამდვილის სრული შეცვლა (და ჩვენში დღეს სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს), იცვლება მთლიანად მთელი საზოგადოებრივი ყოფიერება, იცვლება პოლიტიკური სისტემა, იცვლება ეკონომიკური სისტემა, იცვლება განათლების სისტემა, კულტურის სისტემა, სოციალური სისტემა და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველფერი _ მთელი ცხოვრება ერისა, საზოგადოებისა და ხალხისა ძირფესვიანად იცვლება. თანდათანობით უნდა ჩამოყალიბდეს ახალი. ცხადია, ამ შეცვლამ სიხარული გამოიწვია. ჩავთვალეთ, რომ აქ მხოლოდ კარგი უნდა იყოს. ვერ გავითვალისწინეთ, რომ ეს ასე არ არის. მარტო კარგი არ არსებობს. არსებობს კარგის გვერდით ცუდიც და კეთილის გვერდით ბოროტიც. რაკი ასეა, ბუნებრივია, ცუდმაც გაიღვიძა, იმანაც თავი წამოყო. თანაც აქტიურად. რა თქმა უნდა, იმიტომ რომ საერთოდ დადგა აქტიურობის პერიოდი და რაკი აქტიურობის პერიოდი დადგა, მარტო კარგი კი არ აქტიურობს, აქტიურობს ცუდიც. და ჩვენ იმის მომლოდინემ, რომ მხოლოდ კარგი იქნება, როცა დავინახეთ ეს ცუდიც, უცბად გული

გაგვიტყდა _ სად იყო ეს აქამდე, რატომ ვერ დავინახეთ? უბრალოდ, ვერ დავინახეთ, იმიტომ რომ ჩვენ მხოლოდ კარგს ველოდით და ის როგორ შემოიპარა ამისათვის ყურადღება არ მიგვიქცევია, იმიტომ რომ, როდესაც მიჩქმალულია ყველაფერი, მაშინ ცუდიც მიჩქმალულია. არა მარტო კარგია მიჩქმალული, არამედ ცუდიც მიჩქმალულია და ეს ცუდი სოროში იყო შემძვრალი.

ახლა ყველაფერი გაიხსნა, ყველაფერი ღიად არის, გვითხრეს _ ა, ბატონო, გამობრძანდით ამ მოედანზე, შეხედეთ ამ მზეს, ამ სინათლეს, გაიხარეთ. ცუდიც გამოვარდა გარეთ. ისიც ცდილობს თავისი ადგილის დამკვიდრებას. რაკი ეს მოულოდნელი იყო და ჩვენ სხვას ველოდით, ამან ცოტა არ იყოს, შეგვაშინა. მაგრამ, მე მგონია, ეს შიში უსაფუძვლოა: როდესაც ეს ამღვრეული სამყარო, ამღვრეული საზოგადოებრივი ცხოვრება დამშვიდდება და დაწყნარდება, ის ცუდიც დარჩება, მაგრამ ის თავის ადგილს დაიჭერს და ასე აქტიური და აგრესიული ვერ იქნება. მარტო ის იმოქმედებს და ის წარმართავს ჩვენს ცხოვრებას, რაც უკეთესია და რითაც არსებობს საზოგადოება. სხვანაირად, ჩვენ ვერ ვივლით წინ, თუ არ გაიმარჯვებს კარგი, კეთილშობილი, ამაღლებული და ზნეობრივი. წინ წასვლა კი აუცილებელია. ის თვითონ ბუნების კანონზომიერებაში დევს და ბუნება ამ კანონზომიერებას არ შეცვლის. ამიტომ ცუდიც თანდათანობით დაწყნარდება, დამშვიდდება, თავის ადგილას დადგება. კარგი კი იქნება ის წარმმართველი ძალა, რაც ახალ ცხოვრებას დაამკვიდრებს. როცა ეს გამოიკვეთება, მაშინვე გაქრება ის ჩვენი შინაგანი შიში, ძრწოლა და უგუნებობაც და, თუ გნებავთ, ზოგჯერ უიმედობაც კი. ეს, როგორც გითხარით, იმის ბრალია, რომ კარგის მოლოდინი გვქონდა და უცბად თურმე მის გვერდით სხვაც მოდის და მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ გუნება წაგვიხდინა.

ეს დაახლეობით ისეა, კაცი რომ ლხინს გამართავს და საუკეთესო მეგობრებსა და ახლობლებს დაპატიჟებს და ამ დროს ვიღაც უსიამოვნო კაციც რომ მოვა. არ იყო ის დაპატიჟებული, არ იყო ის გათვალისწინებული, მაგრამ გაიგო და თავისით მობრძანდა. მაგრამ ვერ გააგდებ სუფრიდან. უკვე გუნება გაგიფუჭდა, რადგან ის არ გინდოდა ამ სუფრასთან, ამ ამხანაგებში, ამ წრეში ყოფილიყო, მაგრამ მოვიდა. აი, ასე მოვიდა ის ცუდიც დაუპატიჟებლად, მაგრამ რაკი არსებობს, უნდა მოვიდეს. როცა ამას გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ ყველაფერი ნორმალურად და კარგად მიდის, მიუხედავად იმ გუნების გაფუჭებისა, რაც ცუდის გამოჩენამ გამოიწვია. მაგრამ ესეც, როგორც ვთქვით, თანდათანობით დაწყნარდება და სხვა მიმართულებით წავა ჩვენი ცხოვრება.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მძიმე და მკაცრი შრომა არ მოგვიწევს: დღეს არა მარტო უბრალოდ შევცვალეთ რაღაც ძველი და ეს რაღაც ძველი წავიდა, არამედ უმთავრესი ის გახლავთ, რომ ახალი რაღაც უნდა აშენდეს. ის ახალი აშენდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, მკაფიოდ წარმოვიდგენთ, რომ ასაშენებელია პოლიტიკური სისტემაც, ეკონომიკური სისტემაც, განათლებისაც, კულტურისაც, სოციალურიც და ყველაფერი, ერთი სიტყვით, ქართული სამყარო სულ თავიდან უნდა ჩამოყალიბდეს და ეს ზემოქმედებას მოახდენს ყველაფერზე _ ლიტერატურაზეც, ხელოვნებაზეც, მეცნიერებაზეც, სოფლის მეურნეობაზეც, მრეწველობაზეც, რაზეც გნებავთ...

როდესაც ამას წარმოვიდგენთ, რომ ყველაფერი ეს გასაკეთებელია და ამ შრომას უნდა შევუდგეთ, მაშინ უკვე მყარად დავდგებით ფეხზე და აღარ მივიღებთ მხედველობაში იმ ცალკეულ ავ მოვლენებს, რომლებიც, ბუნებრივია, გვაღიზიანებს და გვიშლის კიდეც ხელს, რადგან ქვებივით გზაზე ყრია, რომ ფეხი წავკრათ და საქმე

წესიერად ვერ გავაკეთოთ. მაგრამ გზა გასაწმენდია და როცა გავწმენდთ, ალბათ, ვიპოვით იმ სუფთა და მყარ გზას, რომელზედაც ვივლით მერე თანდათანობით.

ლ.კ. – ე.ი. ნათელს ვხედავთ და იმ ნათელისაკენ უნდა ვიაროთ.

ა.ბ. _ ცხადია. კიდევ ვიმეორებ, თვითონ არსებობის კანონზომიერება მოითხოვს იმას, რომ სულ წინ იაროს საზოგადოებამ და ადამიანმაც, მიუხედავად იმისა, რომ დაბრკოლება შეიძლება ათასგვარი შეგვხვდეს ამ გზაზე. მაგრამ რაკი ბუნებაში არსებობს სწორედ წინსვლის ტენდენცია და არსებობს სწორედ კეთილის გამარჯვების ტენდენცია. ეს დაბრკოლებანი თანდათანობით გადაილახება. მართალია, შეიძლება ზოგჯერ ამას დიდი ტკივილიც მოჰყვეს, სისხლიც მოჰყვეს, მაგრამ ეს არსებობის კანონზომიერებაში დევს და თუ ჩვენ გვეყოფა ჭკუა, შეიძლება ნაკლები იყო ეს მსხვერპლი. თუ არ გვეყოფა ჭკუა, შეიძლება უფრო მეტი. აი, ეს უკვე დამოკიდებულია ადამიანზე.

სხვათა შორის, ერთი უცნაური მოვლენა არსებობს ბუნებაში. ბოროტის ასაცილებლად ცხოველს აქვს ინსტინქტი. ამ ინსტინქტით გრძნობს ცხოველი, როგორ უნდა აიცდინოს საშიშროება და ებრძვის კიდეც ამ ინსტინქტით მას. ადამიანს არა აქვს ინსტინქტი. ადამიანს ამისთვის აქვს ჭკუა. ადამიანმა ჭკუით უნდა გაზომოს _ რა იქნება მისთვის კარგი და რა ცუდი, როგორც კონკრეტული პიროვნებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის, მთელი ერისათვის, რადგან მას ინსტინქტით არ შეუძლია გადარჩენა.

როცა ამას გავითვალისწინებთ, მაშინ უკვე დავიწყებთ აქტიურ გონებრივ მუშაობას და არ დავეყრდნობით მხოლოდ ბრმა ბედს, რომ იქნებ ამ ბრმა ბედმა სადღაც გამოგვიყვანოს და კეთილ გზაზე დაგვაყენოს. ეს ჩვენი გონებით უნდა ავირჩიოთ. ჩვენმა გონებამ უნდა დასძლიოს ყველა ის უარყოფითი, რომელიც დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებში წარმოიშვა. სხვა გზა ადამიანს არა აქვს. ადამიანს ღმერთმა მიანიჭა ჭკუა იმისათვის, რომ არჩევანი გააკეთოს. ვისაც ჭკუა არა აქვს, ღმერთმა მას ინსტინქტი მისცა, რომ იმასაც ჰქონდეს არსებობის საშუალება.

ლ.კ. _ ისინი ინსტინქტით მოქმედებენ...

ა.ბ. _ ჰო, იმიტომ რომ ისიც უნდა არსებობდეს. რაკი უნდა არსებობდეს, მასაც უნდა ჰქონდეს თავდაცვის საშუალება. ცხოველისათვის ინსტინქტია ეს თავდაცვის საშუალება, ადამიანისათვის _ ჭკუა. თუ ჭკუა არ გვეყოფა, ამას სხვას ვეღარ დავაბრალებთ. ეს უნდა დავაბრალოთ ისევ საკუთარ თავს.

ლ.კ. – იმედი ვიქონიოთ, რომ რაღაც იქნება...

ბატონო აკაკი, ჩვენ თაობებზე ვისაუბრეთ, კერძოდ, ჩვენს თაობაზე. ვთქვით ჩვენი თაობის გასაჭირი. მაგრამ, ჩემი აზრით, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია დღევანდელი ახალგაზრდობა, დღევანდელი თაობა. ეს ტრაგიკული თაობაა. ალბათ, ასეთი ტრაგიკული თაობა საქართველოს დიდი ხანია არ ჰყოლია. ისინი იძულებულნი გახდნენ იარაღი აეღოთ, ხელი აღემართათ ერთმანეთზე. ასეთ რამეს ჩვენი ახალგაზრდობის წლებში, საერთოდ, ვერ წარმოვიდგენდით. რა სალბუნი უნდა დაედოს მათ ჭრილობებს, რით უნდა შეკოწიწდეს მათი სული? რა ვუყოთ, რა ვუშველოთ, რით შეიძლება დავეხმაროთ ამ ახალგაზრდებს?

ა.ბ. _ აქ უნდა ვაღიაროთ ერთი რამ. თუ დღეს ახალგაზრდობას მოუწია იარაღით დაპირისპირება და ტრაგიკული ამბების მოწმენი გავხდით, ამაში დამნაშავე ჩვენ ვართ, უფროსები და არა ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ სისხლიან კონფლიქტში უშუალოდ მონაწილეობდნენ.

რატომ ვართ ჩვენ დამნაშავე? არა იმიტომ, რომ ვიღაცას ბოროტი უნდოდა ან რაღაც დანაშაულის ჩადენა სურდა, არამედ იმისათვის, რომ ვერ გამოვიჩინეთ სათანადო

სიბრძნე და სათანადო გამძლეობა და სიმტკიცე, რომ ყველა ის პროცესი, რომლებიც ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საქართველოში მიმდინარეობდა, უფრო გონივრულად წაგვემართა, უფრო მყარ კალაპოტში წაგვემართა, რომ საშუალება გვქონოდა მეტნაკლებად აგვეცდინა თავიდან ის უბედურება, რაც ჩვენში დატრიალდა და შეიძლება ხვალაც დატრიალდეს და ზეგაც. ამიტომაც მიმაჩნია, რომ უმთავრესი დანაშაული მაინც უფროს თაობას ედება, ვიდრე უშუალოდ იმ ახალგაზრდებს, ვინც ამ საქმეში მონაწილეობდა. პირიქით, ახალგაზრდები სწორედ ის კეთილშობილი ნაწილია, რაც ქმნის ჩვენი მომავლის იმედს და, სამწუხაროდ, გულსატკენი და სავალალოა, რომ ზოგიერთი მათგანი ვერ მოესწრება იმ დღეს, როცა ყველაფერი დაწყნარდება, კალაპოტში ჩადგება და მართლა დაიწყება საქართველოს ახალი ცხოვრება.

ჩვენი თაობისათვის გამართლების საფუძველი შეიძლება გამოიძებნოს, რადგან ძნელი იყო იმ ვითარებაში, რა ვითარებაც სსრკ-ში შეიქმნა, ზუსტად ამოგვეცნო ყველა პროცესი, რაც მოხდებოდა. ეს მარტო ჩვენ კი არ გვედება ბრალად, არამედ შეიძლება ითქვას მთელ კაცობრიობას, რადგან ვერც მთელმა კაცობრიობამ დაინახა ის პროცესი მკაფიოდ და ცხადად, რაც სსრკ-ში მოხდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, უფრო ღრმად რომ დავკვირვებოდით მოვლენებს, ეს უნდა შეგვემჩნია. უნდა შეგვემჩნია თუნდაც, იმიტომ, რომ უმთავრესი, რაც ხდებოდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მთელს მსოფლიოში და, კერძოდ, სსრკ-ში, გახლდათ ის, რომ მიმდინარეობდა დეკოლონიზაციის პროცესი, ე.ი. იშლებოდა ყველა დიდი იმპერიული სახელმწიფო და ყალიბდებოდა ეროვნული სახელმწიფოები. რაკი ასე მიმდინარეობდა პროცესი, ადრევე უნდა მოვმზადებულიყავით ამისათვის. შესაძლებელია რომელიმე თაობა ამას ვერ მოსწრებოდა, თუნდაც ჩვენი თაობა, მაგრამ პროცესის მიმდინარეობა უნდა შეგვემჩნია და გვეთქვა, რომ განვითარების რომელიღაც ეტაპზე ეს ასე მოხდებოდა. ბუნებაში არ ხდება ის, რომ როცა რაღაც პროცესი იწყება ის საბოლოოდ არ დამთავრდეს და მას წერტილი არ დაესვას. რაკი მე-20 საუკუნის ტენდენცია იყო დეკოლონიზაციის ანუ ერების განთავისუფლებისა და მრავალეროვანი იმპერიების დაშლის პროცესი, ბუნებრივია, ეს რუსეთის მიმართაც განხორციელდებოდა. ჩვენ ყველანი, როგორც გითხარით, ამისათვის უნდა მოვმზადებულიყავით და, შეძლებისდაგვარად, თანდათანობით გვემუშავა ამ მიზნით.

ჩვენ ეს ვერ წარმოვიდგინეთ. პირიქით, სსრკ-ის სიძლიერემ შეგვაშინა და შეგვექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს სახელმწიფო ძალიან დიდხანს არ დაინგრეოდა. როდესაც უცბად ამ სახელმწიფომ ნგრევა დაიწყო, ჩვენ ამისათვის მზად არ აღმოვჩნდით. ამ მოუმზადებლობამ წარმოშვა მოუფიქრებელი ნაბიჯები, ნაჩქარევი და ნაუცბადევი გადაწყვეტილებანი; შედეგად მივიღეთ ის გართულებები, რა გართულებებიც დღეს საქართველოშია და სხვაგანაც _ ვთქვა, მოლდავეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ა.შ. აი, ეს რომ ვერ გავითვალისწინეთ, არის ის მხარე, რომელიც შეიძლება ბრალად დაგვედოს. ეს უნდა ვაღიაროთ.

კიდევ ვერ დავინახეთ ერთი გარემოება: სულ სხვა ინტერპრეტაცია მივეცით იმ სახელმწიფოს, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერქვა. ჩვენი შეცდომის გამო, ეს ჩავთვალეთ რუსეთის იმპერიის მოდერნიზაციად, მაგრამ თურმე ეს რუსეთის იმპერიის მოდერნიზაცია კი არ ყოფილა, არამედ პიროვნული ნებით შექმნილი ახალი იმპერიული სახელმწიფო, სადაც, მართალია, რუსეთი თითქოს მოწინავე და პირველ როლს თამაშობდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იმპერია ისევე იყო რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ხალხისა, ვინც სსრკ-ში შედიოდა. რაკი იგი ჩავთვალეთ რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიად, ის ვეღარ დავინახეთ, რომ რუსეთის იმპერია არსებითად 1917 წლის თებერვალში დაინგრა.

რაც მერე შეიქმნა ეს სრულიად სხვა, ახალი ტიპის მოვლენაა; ჩვენ კი იმპერიის გაგრძელებად მივიჩნიეთ. ამიტომ ის პოზიცია და ის დამოკიდებულება გამოვავლინეთ, რაც რუსეთის იმპერიის მიმართ იყო სასარგებლო და არა ის დამოკიდებულება და სიახლე, რომელსაც ახალი სახელმწიფო ითხოვდა. ამან სერიოზული შეცდომა გამოიწვია. ჩვენ, ყველანი, არ ვგულისხმობ მარტო ქართველებს, არამედ რუსებს, უკრაინელებს, შუა აზიელებს თუ ბალტიისპირელებს, _ რომ მივმხვდარიყავით და ბრძოლა იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ბოლშევიკებმა შექმნეს სსრკ-ში, ყველას ერთად გვეწარმოებინა და ერთმანეთის გვერდიგვერდ, ეს პროცესი გაცილებით უფრო მალეც მოხდებოდა და გაცილებით უფრო მშვიდობიანად. ჩვენ ძველებური სისტემის წინააღმდეგ ვიბრძოდით და სინამდვილეში ის სისტემა თურმე დიდი ხანია აღარ არსებობდა.

ამის პარალელურად კიდევ არსებობდა მეორე დიდი პროცესი, რომელიც გამოიხატა ე.წ. «ცივი ომის» პროცესში. როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთმანეთს მკაფიოდ დაუპირისპირდა აშშ და სსრკ, ბუნებრივად, წარმოიქმნა საომარი ვითარება. მაგრამ ეს საომარი ვითარება არ მიმდინარეობდა ტყვიებით, ცეცხლით, უბედურებით და ა.შ., არამედ _ სიტყვებით, ეკონომიკური კუთხით და სხვა ამგვარი საშუალებებით; მაგრამ თავისთავად ეს ხომ ომი იყო, ცივს დავარქმევთ თუ ცხელს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ მაშინვე უნდა გვეფიქრა, რაკი მიმდინარეობდა დეკოლონიზაციის პროცესი, მრავალეროვანი სახელმწიფოების დაშლის პროცესი, ამ «ცივ ომში» დამარცხებით სსრკ დამარცხდებოდა, რადგან იგი რუდიმენტს წარმოადგენდა თანამედროვე კაცობრიობის განვითარებაში და, ბუნებრივია, დრო სსრკ-ის წინააღმდეგ იყო განწყობილი. თუმცა იყო პროპაგანდისტული ქადაგებანი _ სოციალიზმი კაპიტალიზმის დამსამარებელია, რომ სოციალიზმი კაცობრიობის მომავალია და რომ ყველა სახელმწიფო მსოფლიოში გახდებოდა ბოლოს და ბოლოს კომუნიზმისა და სოციალიზმის ამღიარებელი და ა.შ. მაგრამ მაინც ამ პროპაგანდისტულ ხმაურში უნდა დაგვენახა ნამდვილი პროცესი და ეს ნამდვილი პროცესი, როგორც გითხარით, გულისხმობდა სწორედ იმას, რომ აშშ-ისა და სსრკ-ის დაპირისპირებაში დამარცხების ნიშანი სწორედ სსრკ-ს ჰქონდა.

მხედველობაში უნდა მიგვეღო ისიც, რომ დრომ კარგად და მკაფიოდ აჩვენა _ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა არაა სიცოცხლისუნარიანი, ხოლო კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა სიცოცხლისუნარიანია. ეს ჩანდა ყოველ ნაბიჯზე. როდესაც საშუალება მოგვეცა და დავინახეთ, რა ხდებოდა უცხოეთში _ მაღაზიები სავსეა, ადამიანები კმაყოფილნი არიან, ყველას აქვს სახლ-კარიც, სამსახურიც, ხელფასიც და ყველაფერი ის, რაც ადამიანს არსებობისთვის სჭირდება, ხოლო ჩვენში ამ მხრივ იყო საშინელი სიდუხჭირე, ე.ი. კაპიტალისტური სამყარო მიდის წინ, ქმნის ახალ-ახალ მოვლენებს, ხოლო სოციალიზმი ვერაფერს ქმნის, მაინც ვერ დავინახეთ, რომ კაპიტალისტურ სამყაროში იქმნებოდა არა მარტო მატერიალური დოვლათი, არამედ ახალი მეცნიერული მიმდინარეობანი, ახალი ტექნიკური გამოგონებანი, ახალი მიმართულებანი ხელოვნებაში, ახალი სახეობები სპორტში; სოციალისტურ სინამდვილეში კი არაფერი ხდებოდა. იგი ერთ ადგილას იყო გაყინული და ახალს, თუ რაიმე უნდოდა, სესხულობდა კაპიტალისტური სამყაროდან.

როდესაც ყველაფერ ამას ხედავ, როგორ უნდა დაიჯერო, რომ კაცობრიობის მომავალი ეს (სოციალიზმი) არის და არა ის (კაპიტალიზმი). მაგრამ იდეოლოგიურმა ბანგმა ჩვენი აზროვნება იმდენად შეკრა, რომ ძალიან მკაფიოდ დასანახი მოვლენები ვერ დავინახეთ. რაკი ვერ დავინახეთ დროულად, როდესაც საშუალება მოგვეცა დანახვისა და ჩვენი დაგუბებული გრძნობის გამოხატვისა, უცბად, მოსწრებაზე

დავიწყეთ ყველაფერის კეთება. ვიფიქრეთ ახლა თუ არ მოვასწარით, შეიძლება ყველაფერი ხელიდან გამოგვეცალოს. ეს შიში, სხვათა შორის, დღესაც არსებობს. დღესაც უამრავი ადამიანი, რომელთაც უნდათ პოლიტიკაში იმოღვაწეონ და პოლიტიკასთან დააკავშირონ თავისი ბედი, გამუდმებით ლაპარაკობენ, რომ ისევ არსებობს კომუნიზმის რესტავრაციის საშიშროება, ისევ არსებობს რუსეთის იმპერიის საშიშროება და ა.შ. არაფერი ეს არ არსებობს, რადგან ეს უკვე არ დევს ისტორიის პროცესში. ამიტომ ამგვარი შიში დაახლოებით ის შიშია, ანდაზაში რომ არის ნათქვამი: შეშინებული ძაღლი სამ წელიწადს ჯირკს უყეფდაო. ჩვენ ახლა ჯირკს ვუყეფთ და გვგონია, რომ ამ ჯირკის უკან საშინელი ურჩხულია დამალული. არავითარი რესტავრაცია არც იმპერიის, არც კომუნიზმის, არც სოციალიზმის არ მოხდება.

ეს სურათი კაცობრიობის განვითარებისა რაკი ვერ წარმოვიდგინეთ, ბუნებრივად დავუშვით სერიოზული შეცდომები და ამ შეცდომების შედეგად წარმოიქმნა კრიტიკული ვითარება, რომელმაც გამოიწვია მეტისმეტად არასასიამოვნო და არსებითად ტრაგიკული ამბები. მაგრამ ყველაფერი კარგად რომ წარმოგვედგინა, მაშინ, ცხადია, ამ პროცესს მშვიდად შევხვდებოდით და მშვიდად გავუდგებოდით იმ გზას, რომელსაც ბუნებრივად მივყავდით თავისუფლებისაკენ. რაკი მივხვდებოდით, რომ ეს ბუნებრივი გზაა, სხვა მიმართულებით უკვე ვეღარ ვივლიდით და არ მოხდებოდა ყველაფერი ის, რაც მერმე შექმნის დაპირისპირებასა და კრიტიკულ ვითარებას, რომელიც ახლა ასე მძიმედ მოქმედებს როგორც ახალგაზრდობაზე, ისე ხანდაზმულებზე. საერთოდ, საზოგადოება მოექცა ერთგვარად დათრგუნულ ვითარებასა და მდგომარეობაში. მაგრამ ახლა ყველაფერი გვიანაა. ეს ადრე უნდა გაგვეკეთებინა. ახლა უბრალოდ მოვლენებს ვაანალიზებთ. მაგრამ ვითარებას ამით ვეღარ გამოვასწორებთ.

დღეს ერთი რამ კარგად უნდა გავითვალისწინოთ. რაკი თვითონ ტენდენცია მე-20 საუკუნისა ეროვნული თავისუფლებაა და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა, რაკი არ არსებობს საშიშროება რაიმე ძველის რესტავრაციისა _ იქნება ეს კომუნიზმი თუ რუსეთის იმპერია, და არ არსებობს საშიშროება ახალი კოლონიური სისტემის შექმნისა, მშვიდად უნდა შევხედოთ საქართველოს ისტორიის განვითარებას, თანდათანობით გამოვასწოროთ ყველა ის შეცდომა, რაც დავუშვით, რომ არ განმეორდეს მომავალში კიდევ ახალი უბედურებანი. როდესაც ამას კარგად გავაცნობიერებთ და ნათელს გავხდით მთელი საზოგადოებისათვის, თანდათანობით ავიცდენთ იმ შეცდომებს, რაც შეიძლება ისევ იყოს მოსალოდნელი, და იმ მსხვერპლსაც შევამცირებთ, რაც შესაძლებელია კიდევ განმეორდეს და რაც არავისთვის არცთუ სასურველი არ არის, საერთოდ წარმოუდგენელიც კია.

აი, ეს არის უპირველესად გასაკეთებელი. მე ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა თაობა, რომელიც დღეს შემოდის ასპარეზზე და ცდილობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთოს, იმათთვის ეს გასაგებია.

სხვათა შორის, ამის პირველი ნიშანი მომცა 29 მარტს ტელევიზიით ნაჩვენებმა პროგრამამ «საღამო მშვიდობისა». ამ პროგრამაში ჩემთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი ერთი თვისება. ეს გახლავთ ის, რომ მთელი პროგრამა იყო გაკეთებული ირონიით და დამოკიდებულება იმ პროცესებისადმი და იმ ამბებისადმი, რომელიც საქართველოში მოხდა, ირონიულად იყო წარმოდგენილი. მაგრამ ამაში იყო სითბო, ამაში იყო სიყვარულიც, მაგრამ ირონიული სიყვარული.

მაშასადამე, აი, ეს თაობა და აი, ეს ახალგაზრდები, რომლებმაც გააკეთეს ეს პროგრამა, მოვლენებს უკვე აღარ უყურებენ ბნელი ფანატიზმის თვალსაზრისით. ისინი მოვლენებს უყურებენ გათავისუფლებული გონების თვალსაზრისით და მათ შეუძლიათ

ადამიანური დამოკიდებულება ყველაფერისადმი. იქნება ეს მეტნაკლებად სახელმოხვეჭილი პიროვნება თუ მეტნაკლებად მნიშვნელოვანი პროცესი თუ საერთო განწყობილება და ატმოსფერო... ისინი ყველაფერ ამას უყურებენ ძალიან ირონიული კუთხით და ირონიულობა არის სწორედ ადამიანის გონების სიჯანსაღის პირველი ნიშანი. ადამიანი, რომელიც მოკლებულია თვითირონიას, მოკლებულია ხუმრობის უნარს, მოკლებულია იუმორს _ ის უკვე ავადმყოფი გონების პატრონია. როგორც ჩანს, ეს ელემენტი ამ თაობაში ქრება და რაკი ქრება იმ ბნელ ფანატიზმს, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ამოტივტივდა ზედაპირზე და საკმარისად მძლავრადაც მოქმედებდა, თანდათანობით ბოლო ეღება და მოდის სხვა ხალხი, რომელიც ამ პროცესს ჯანსაღად უყურებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ გადაცემას შეიძლება პროფესიული ბევრი ხარვეზი ჰქონდა, ვერ იყო ტექნიკურად თუ სხვა თვალსაზრისით კარგად გაკეთებული, მაგრამ მასში იყო უმთავრესი. აი, ის იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ ახალი თაობა, რომელიც მოდის, უკვე როგორც თავის თავის მიმართ, ისე სინამდვილის მიმართ თვითირონიით არის განწყობილი. ადამიანები არ არიან ბნელი ფანატიკოსები, რომლებიც რაღაც ამოჩემებულის გამო კედელს ურახუნებენ თავს და სხვა არაფრის გაგონება არ სურთ. რომელთაც სამყარო მხოლოდ ერთი შავი ფერით აქვთ წარმოდგენილი და ამას არიან ჩაბღაუჭებული. არა. იმათ დაინახეს ის უამრავი ფერი, რომელიც სამყაროში არსებობს და ის გაბრწყინებული ცისარტყელა, სადაც ადამიანისათვის არ არსებობს გარდა შინაგანი მხიარულებისა, შინაგანი ხალისისა და შინაგანი ბედნიერებისა სხვა განცდა. და აი, ეს მე მაძლევს იმედს იმისას, რომ კრიზისიდან გამოვალთ, რადგან სწორედ ამ თაობის ხელში გადავა მერე ცხოვრება და რაკი მათ ხელში გადავა ეს ცხოვრება, ისინი სწორედ იმ სიმსუბუქით წარმართავენ მას, რაც ცხოვრებასა და არსებობას სჭირდება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ტრაგიკული ვითარება, რომელიც მოხდა, რომელმაც ჩვენში დიდი ტკივილი და დიდი გულისტკენა გამოიწვია, ნელ-ნელა გამოსწორდება და დაადგება იმ გზას, რასაც იგი უნდა დაადგეს და რაც არის სწორედ ცხოვრების სიჯანსაღის გამოვლენა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობაც გადარჩენილია. ახალგაზრდობაც გამოვიდა იმ ჯადოსნური წრიდან, რომელშიაც დროებით მოექცა. რაკი ამ წრიდან რაღაც ნაწილი საზოგადოებისა უკვე გამოვიდა, ეს იმის ნიშანია, რომ საზოგადოების სხვა ნაწილიც მდგომარეობიდან გამოვა და დაადგება ბუნებრივი, ნორმალური განვითარების გზას. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ვიყავით მოწმენი ძალიან მძიმე ამბებისა, ვიყავით მოწმენი იმ ტრაგიკული ამბებისა, როდესაც ჩვენ ერთმანეთს მივესიეთ და ქვები დავუშინეთ, მაინც შედარებით მალე, ალბათ, მოიძებნება ის გზა, რასაც უნდა დადგომოდა იმთავითვე საქართველო და ის მოძრაობა, რომელიც საქართველოში იყო.

მაგრამ შეცდომა შეცდომაა; ამ შეცდომას მხოლოდ ანალიზი და შემდეგ აქედან გარკვეული დასკვნის გაკეთება სჭირდება. თუ არ მეშლება, მე მგონია, უკვე დაიწყო შემობრუნება და ამ შემობრუნების პირველ ნიშნად, როგორც გითხარით, ამ გადაცემას მივიჩნევ და ვთვლი, რომ რაკი ასე მოხდა, უკვე ახალგაზრდობა თანდათანობით იწყებს ბნელი გამოქვაბულიდან გამოსვლას და მზით განათებულ მოედანზე გადის. შემდეგში ურთიერთდამოკიდებულებაც ასეთივე მშვიდი იქნება და წაშლის ყველაფერ იმას, რაც ჩვენდა სამწუხაროდ, აი, ამ სამწლიან პერიოდში ასე აქტიურად მოქმედებდა და სიხარულის მაგიერ ჩვენ ტკივილი მოგვიტანა, შიში მოგვიტანა და, უბრალოდ, ცხოვრების მიმართ გარკვეული სიძულვილიც კი გაჩნდა ადამიანში, რადგან ვიფიქრეთ, თუ ეს უნდა მომხდარიყო, მაშინ რისთვისღა იბრძოდა ხალხი, რისთვისღა ვოცნებობდით, რისი იმედით ვცხოვრობდით, თუ შედეგი ეს იქნებოდა. მაგრამ,

როგორც ჩანს, ეს იყო გარკვეული შეცდომის ნაყოფი და რაკი ეს შეცდომა უკვე დავინახეთ, ნაყოფიც თანდათანობით გაქრება და ისევ ჩავდგებით იმ კალაპოტში, რომელიც კალაპოტითაც უნდა ვითარდებოდეს საქართველო და მისი ისტორიული ცხოვრება.

ლ.კ. – მე ისღა დამრჩენია, ბატონო აკაკი, ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს მივულოცო, რაკი მათ ნამუშევარს ასეთი შეფასება მიეცით...

ბატონო აკაკი, თქვენ წერთ, რომ კატასტროფის წინაშე მდგარნი ყოველთვის ზნეობრივი გმირობის წყალობით გადავრჩენილვართ. გაქვთ თუ არა ჩვენს დროში ზნეობრივი გმირობის იმედი, თუ ისევ მწერლობის იმედი ვიქონიოთ, რომ ის შეთხზავს ასეთ გმირობას და საზოგადოებას ამით ეწამლება.

ა.ბ. – ჩვენში ზნეობრივი გმირობის აუცილებლობა წარმოშვა იმ ვითარებამ, როდესაც საქართველოს აღარ ყოფნიდა არც სამხედრო, არც პოლიტიკური, არც სხვა რაიმე ძალა, რომ წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის; და დგება ისეთი პერიოდი, როდესაც კონკრეტულ ადამიანს უნდა ეკისრა ისეთი საქციელი, რომელიც ხალხს სიმხნევეს ჩაუნერგავდა, იმედს მისცემდა და აიძულებდა მაინც შებრძოლებოდა ცხოვრებას.

ვთქვათ, დემეტრე II საქციელი... მონღოლების ბატონობის მძიმე პერიოდია; საქართველოს აღარ ყოფნის ძალა რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს მას, იგი დათრგუნულია. და აი, უნდა მოვიდეს კაცი, რომელიც ისეთ საქციელს ჩაიდენს, რაც აფიქრებინებს მთელ დანარჩენ ქართველობას, რომ ჯერ ჩვენში ვაჟკაცობის, გმირობის და კეთილშობილების სული არ მომკვდარა და შექმნის იმედს. ეს იმედი შექმნა დემეტრე მეორემ.

დავუშვათ, ქეთევან დედოფლის საქციელი, როდესაც აგრეთვე შაჰ-აბაზისაგან შევიწროებული და დაუძლურებული საქართველო გრძნობს, რომ ვერ მოერევა სპარსეთს, ვერ დაძლევს მას; მაგრამ აი, ქალი აძლევს ნიმუშს იმისას, რომ ქართველის გატეხა არასდროს არაფერს შეუძლია, რომ შეიძლება დაგიპყრონ კიდეც, შეიძლება აგაოხრონ კიდეც, გადაგასახლონ, ყველა უბედურება დაგემართოს, მაგრამ თუ სული გაუტეხელია შენ მაინც გაუძლებ ამას... დედოფლის საქციელი კიდევ ერთხელ ამხნევებს საქართველოს და ა.შ.

დგება დრო, როდესაც ერს სჭირდება (რაკი მას აღარ შესწევს ფიზიკური ძალა თავისი თავის დასაცავად), ვიღაც ადამიანი, რომელიც მას გაამხნევებს და ეტყვის, რომ გაუტეხელი სული უნდა არსებობდეს ხალხისა; როგორც ჩანს, თვითონ ბუნება წარმოშობს იმ ადამიანებს, ვისაც ასეთი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია და აქედან ეძლევა ერსაც საშუალება ძალა მოიკრიბოს, გაუძლოს გასაჭირს და მაინც გავიდეს სამშვიდობოს. დღევანდელ დღეს ამგვარი დაძაბული ვითარება არ არსებობს, რადგან თვითონ, როგორც წეღან ვამბობდი, ისტორიულმა პროცესმა გამოიწვია ის, რომ წავედით თავისუფლებისაკენ. ეს ტენდენციაა საერთოდ საკაცობრიო ცხოვრებისა. ამ ტენდენციამ ჩვენც მოგვიტანა ის, რისთვისაც ვიბრძოდით და რისი სურვილიც ქართველ ხალხს ჰქონდა. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ დღევანდელ კრიზისულ ვითარებაშიც განსაკუთრებული მაგალითი ვინმემ აჩვენოს და ისიც გახდეს ნიმუში იმისა, რომ აი, ბატონო, როდესაც მძიმე ვითარებაა, არის კაცი, ვისაც შეუძლია ყველაფრის გაკეთება იმისათვის, რომ თავის ხალხს იმედის დიდი გრძნობა ჩაუნერგოს. მაგრამ რაკი თვითონ კაცობრიობა მიდის დღეს თავისუფლებისაკენ და თვითონ კაცობრიობა ემზადება იმისათვის, რომ პიროვნება არ იყოს დაჩაგრული, ისე მთელი ერი არ უნდა იყოს დაჩაგრული, ბუნებრივია, აუცილებლობა ამგვარი ზნეობრივი გმირისა, რომელიც ჩვენმა ისტორიამ იცის, თითქოს დღეს არ არსებობს. სანამ ვითარება არ შეიცვლება, სანამ რაღაც მდგომარეობა ისეთი არ გახდება, რომელიც გვიკარნახებს

ამგვარი გმირის შექმნას, ალბათ, არ იქნება, რადგან ყველაფერი დროის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული. დრომ უნდა დასვას ეს მოთხოვნილება და იმ დროს უნდა უპასუხოს ვიღაცამ. მაგრამ რაკი დრო სხვა მიმართულებით მიმდინარეობს, შესაძლებელია, რომ ის (ზნეობრივი გმირი) ცხოვრებამ არ წარმოშვას. შესაძლებელია დღეს უფრო მეტად გვესაჭიროება საღად მოაზროვნე ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ დროის ალღოს აღება და ისტორიული პროცესის წარმოდგენა, რომ ამ პროცესის მიმართულებით წავიდეს ჩვენი ქვეყანა, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც ეშაფოტზე ავლენ ერის გადარჩენის მიზნით. ჩვენ დღეს, საქართველოს და ასევე სხვა რესპუბლიკებსაც _ სომხეთს, აზერბაიჯანს, შუა აზიას თუ ბალტიისპირეთს _ გარედან საფრთხე არ გვემუქრება. გარედან არსებული საფრთხე სხვა ასპექტში და სხვა სიბრტყეში დევს. ამიტომ დღეს უფრო ის გვესაჭიროება, თვითონ შიგნით როგორ უნდა გავაკეთოთ ის საქმე, რისი გაკეთებაც გვევალება. თუ საქმე წახდება დღეს საქართველოში, ეს იქნება არა გარეთ შექმნილი ვითარების ბრალი, არამედ შიგნით არსებული მდგომარეობის ბრალი. ეს იქნება ჩვენი, თვითონ ქართველების, ბრალი, რადგან ვერ მივხვდით რა ხდება, ვერ ავუღეთ ალღო ამ პროცესს და ვერ მოვახერხეთ გავყოლოდით მას. ამიტომ ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს არა იქითკენ, რომ ვიღაც გარედან დაგვემუქრება და რაღაც დიდ საფრთხეს შეგვიქმნის, არამედ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ შიგნით რას გავაკეთებთ და რა ურთიერთდამოკიდებულება იქნება ჩვენში როგორც კერძო პირებს შორის, ისე სხვადასხვა კუთხეს შორის; ასევე როგორი იქნება ჩვენში მდგომარეობა ზნეობრივი თვალსაზრისით. აქ ახლა ვგულისხმობ მოვლენებს _ ქურდობას, ყაჩაღობას, მტაცებლობას. ამ მიმართულებით გვჭირდება მთელი ჩვენი ენერგიის დაძაბვა. ამ პროცესს მოსაგვარებლად ზნეობრივი გმირი არ სჭირდება. ამ პროცესს უფრო მეტად ჭკვიანი ადამიანი სჭირდება, რომელიც ყველაფერს გააანალიზებს, დასკვნას გააკეთებს და სხვასაც აიძულებს, ეს ყველაფერი კარგად გაიგოს და როცა გაიგებს, ნორმალური არჩევანი გააკეთოს; ჩვენ ჩვენს თავს უნდა ვუპატრონოთ. ჩვენს თავს ვუპატრონებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შიგნით ავაწყობთ ყველაფერს; თუ შიგნით შევძლებთ იმ მყარი წესრიგის დამყარებას, ურომლისოდაც ვერ იარსებებს ვერც ერთი სახელმწიფო; თუ შევქმნით შრომის ატმოსფეროს, თუ ვიქნებით შრომისმოყვარენი, თუ ვიქნებით წიგნისმოყვარენი, თუ ვიქნებით სწავლისმოყვარენი და ყველაფერ ამას გაერთიანებულს წავმართავთ იქითკენ, რომ აშენდეს ახალი ქვეყანა _ თავისუფალი საქართველო.

22. V. 1992.

გადაცემა IX

ლამარა კიკილაშვილი _ ბატონო აკაკი, რადიოში გისმენდით, ახალგაზრდობის გადაცემაში მონაწილეობდით. ისინი გეკითხებოდნენ და თქვენ პასუხობდით. თქვენი საუნივერსიტეტო ლექციები გამახსენდა. თქვენ როგორ იხსენებთ იმ დროს და თქვენს მაშინდელ ლექციებს?

აკაკი ბაქრაძე _ დიდი სიამოვნებით და დიდი კმაყოფილებით ვიხსენებ იმ ლექციებს, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის, როგორც ლექტორისათვის, რომ ახალგაზრდობა ასე იყო დაინტერესებული რაღაც საკითხებით, რაღაც ამბებით და მეც ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, მათი ცნობისმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა. როგორც ჩანს, რაღაც კონტაქტი არსებობდა, რაკი ინტერესი დიდი იყო და დიდი რაოდენობით ესწრებოდა ახალგაზრდობა. ეს იმას მეტყველებს კიდევ,

რაც უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს ახალგაზრდები მოელოდნენ რაღაც ახალს და სურვილი ჰქონდათ ახლის გაგებისა. ისინი, ალბათ, ქვეცნობიერად გრძნობდნენ, რომ ცხოვრება მიემართებოდა განახლებისაკენ და ამ განახლებაში მათაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, ისინიც უნდა ყოფილიყვნენ აქტიური ძალა იმ სიახლისა, რაც მოჰქონდა დროსა და ისტორიას. ამიტომ მათი დაინტერესება ამ ამბებით იყო ძალიან ბუნებრივიცა და ძალიან აქტიურიც. თან ისინი ცდილობდნენ არა მარტო რაღაც აეთვისებინათ, რაღაც ესწავლათ, არამედ იმასაც, რომ თვითონაც აქტიურნი ყოფილიყვნენ და თავიანთი დამოკიდებულება, თავიანთი შეხედულებანი, თავიანთი ფიქრები გაეზიარებინათ და ამის შედეგად აგებულიყო ჩვენი საუბარი, რომ ყველა ის საჭირბოროტო საკითხი, ყველა ის ფიქრი, რომელიც მათ აწუხებდათ, ყოფილიყო რაღაც გარკვეული დოზით მაინც დაკმაყოფილებული. აქედან მერე ახალი საკითხები წამოჭრილიყო მათ ცხოვრებაში და მოეძებნათ გზები და გადაწყვეტილებანი ყველა იმ საკითხისა, რასაც დრო და გარემოება სვამდა. ამიტომ მოგონება ამისა ძალიან სასიამოვნოა. მთელი ის ატმოსფერო, მთელი ის ახალგაზრდული სიხალისე, რომელიც ამ საუბრებს ახლდა, ძალიან სასიამოვნო გახლდათ და ძალიან მნიშვნელოვანიც. ალბათ, რაღაც გარკვეული ნაყოფი იმ საქმეში, რომელიც დღეს ხდება, ამ ლექციებმაც გამოიღეს. რაღაც დანერგეს, ყოველ შემთხვევაში, ისეთი, რასაც შემდეგშიც ექნება თავისი გარკვეული ნაყოფი.

ის ინტერესი, რაც მაშინ არსებობდა, ამ ბოლო დროს შევამჩნიე კიდევ. კერძოდ, ამას წინათ ქუთაისში ვიყავი. იქ დავიწყე ლექციების კითხვა და იქაც სხვა თაობა ახალგაზრდობისა ძალიან დაინტერესებითა და ძალიან გულისყურით უგდებენ ყურს ახალ პრობლემებს და ახალი პრობლემების შესაბამისად ცდილობენ ათვისებას იმ ამბებისა, რაც ჩვენში ხდება და რაც მომავალშიც მოხდება. ამიტომ ეს მუდმივი ინტერესი, მუდმივი განახლებისაკენ ლტოლვა თვისებაა საერთოდ ახალგაზრდა ადამიანისა. ამ ახალგაზრდების სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს, იმიტომ რომ დროთა განმავლობაში ცხოვრება ბევრ მათგანს, ჩვენდა საუბედუროდ და სამწუხაროდ, დაჩაგრავს, სიხალისეს წაართმევს, ბევრ უბედურებას დაატეხს თავს და ესეც საკმარისია მომავალში მათთვის. სანამ ისინი ახალგაზრდები არიან, უნდა იყოს ყოველგვარი საშუალება იმისა, რომ მათი სურვილები, მათი ცნობისმოყვარეობა, მათი მიდრეკილებანი და მისწრაფებანი დაკმაყოფილდეს და მათი ცნობიერების ჩამოყალიბება, რაც შეიძლება, ფართოდ და მყარად მოხდეს. მით უფრო, რომ ჩვენ ახლა უკვე აღარ გვეყოფა არც ის ცოდნის დონე, რაც აქამდე იყო; არც ის სპეციალური განათლება, რაც აქამდე იყო; არც ის ოსტატობა, თუ გნებავთ, საგნის ცოდნისა თუ ხელობის ცოდნისა, რადგან სხვა ატმოსფეროში და სხვა სინამდვილეში მოგვიწევს ცხოვრება და არსებობა. დღეს უკვე აუცილებელი გახდა, რომ საქართველო _ იქნება ეს მისი ახალგაზრდობა თუ ხანდაზმულები, მთელი ქართველი ხალხი _ იდგეს იმ დონეზე, რა დონეზეც დგას დანარჩენი მსოფლიო, განსაკუთრებით მოწინავე ნაწილი ამ მსოფლიოსი. ჩვენ დღეს თვალი თვალში უნდა გავუსწოროთ ყველას, სადაც უნდა ცხოვრობდეს ეს მოქალაქე, რომ გავხდეთ მართლა სრულუფლებიანი წევრი საკაცობრიო საზოგადოებისა. სხვანაირად ეს არ მოხერხდება და ამ მიმართულებით ყველა ჩვენთაგანმა, რაც შეუძლია, ყველაფერი უნდა გააკეთოს, განსაკუთრებით სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. დღეს ჩვენ ვეღარ დაგვაკმაყოფილებს ის დონე, რაც აქამდე იყო. ეს უცბად უნდა შეიცვალოს და ძალიან მაღალ დონეზე ავიდეს. თუ ამას შეძლებს ჩვენი სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, მაშინ, რა თქმა უნდა, ის თავის ფუნქციას შეასრულებს. მე თუ კვეხნად არ ჩამომერთმევა, ვთვლი, რომ გარკვეულად ვასრულებდი ამ ფუნქციას და მომავალშიც შევეცდები შევასრულო.

ლ.კ. – დიდი მადლობა. ახლა თინათინ ელბაქიძის საღამოებზე თქვენი აზრი.

ა.ბ. _ ჩემი აზრით, თინა ელბაქიძის საღამოები იყო ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა. ჯერ ერთი, იმიტომ რომ მან თეატრალურ ხელოვნებაში შემოიტანა ისეთი ელემენტი, რომელიც მანამდე ყურადღებამიქცეული არ იყო. კერძოდ, მე ვგულისხმობ იმას, რომ პირველად თინამ წაიკითხა პუბლიცისტური ხასიათის, კრიტიკული ხასიათის წერილები, ესეები, რაც მანამდე თეატრისათვის მაინცადამაინც სასურველი არ ჩანდა. თუ, ვთქვათ, იკითხებოდა პოეზიის ნიმუშები, პროზის ნიმუშები, არავინ აქცევდა ყურადღებას სწორედ იმ დარგს, რომელსაც კრიტიკა, ესეისტიკა, პუბლიცისტიკა ეწოდებოდა. თინამ ეს მოიტანა და ეს იყო განახლების გარკვეული საფუძველი. ალბათ, ამანაც გამოიწვია ის ინტერესი, რაც მისი საღამოების დროს მოხდა. აქ ფართო საზოგადოების დაინტერესება თანაბარი იყო _ ახალგაზრდაც და ხანდაზმულიც, ქალიცა და კაციც, არსებითად მთელი საზოგადოება გახდა მისი მსმენელი. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ამ საღამოებში იყო ჩადებული როგორც კრიტიკული ელემენტი, ისე იმედის ელემენტი. ე.ი. ერთდროულად ხდებოდა მხილებაც იმ სინამდვილისა, რომელიც ჩვენთვის უკვე აღარ იყო სასურველი და აგრეთვე მიწოდება იმ იმედისა, რომ მომავალში და უახლოეს ხანებში ეს ყველაფერი შეიცვლება. აქეთკენ მიჰყავდა მის საღამოებს საზოგადოება. ასე, რომ იმ პროცესის მომზადებაში, რომელიც მერე ჩვენში მოხდა, დიდი წვლილი აქვს ამ საღამოებს და, კერძოდ, თინა ელბაქიძეს, როგორც მსახიობს. საზოგადოებას ესაუბრებოდა, ელაპარაკებოდა და აწვდიდა იმ აზრს და იმ პრობლემებს, რაც აუცილებელი იყო საზოგადოებას სცოდნოდა. როგორც ჩანს, დაწერილი დაწერილად, მაგრამ ცოცხალ სიტყვას მაინც სხვა მნიშვნელობა აქვს. რაკი მსახიობი ამაში თავის ემოციას დებს, ის დაწერილი სიტყვა სრულიად სხვა შინაარსს იძენს; ემოცია გადამდები გახლავთ და რაკი გადამდებია, აზრიც უფრო იოლი აღსაქმელია.

ეს პროცესი მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ის ახალი პრობლემები, ახალი საკითხები, რომლებიც დღეს წამოიჭრა, ამავე გზით შეიძლება მივაწოდოთ საზოგადოებას. ეს ძალიან სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს მასზე. ცოცხალი პროცესი ადამიანთა ურთიერთობისა, კერძოდ, მსახიობისა და პუბლიკუმის ურთიერთობისა, ეტყობა ძალიან მნიშვნელოვანია და სულ სხვა შინაარსსა და ძალას სძენს ამგვარ საღამოებს. მე ვთვლი და მიმაჩნია, რომ ეს რამდენიმე წელიწადი, როდესაც თინა ელბაქიძე ამგვარ საღამოებს აწყობდა, იყო არსებითი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მომავალშიც ასეთივე იქნება, რა თქმა უნდა, უკვე ახალი მასალითა და ახალი დამოკიდებულებით გამდიდრებული და წარმოდგენილი.

არის პრობლემათა მთელი წყება, რომელიც დროთა განმავლობაში ხშირად წამოიჭრება, მაგრამ ასე იოლი გადასაწყვეტი არ არის. მას გაცილებით დიდი დრო სჭირდება, რომ მოგვარდეს. ის საკითხები, რომლებიც იმ წერილებში, იმ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში იყო, რომელსაც თინა ელბაქიძე კითხულობდა, ბევრი ისევ ისე დარჩა და გადასაწყვეტია. ამისი განმეორებაც შეიძლება და იმ საკითხების დასმაც, რომელიც დღეს წამოიჭრა და ხვალ იქნება გადასაწყვეტი. და ფიქრი იმაზე, რა არის საჭირო მომავალში, საითკენ და როგორ უნდა წავიდეს როგორც ჩვენი მატერიალური ცხოვრება, ისე ზნეობრივი ცხოვრება, ისე კულტურული თუ რომელიმე სხვა ასპექტი, რითაც ადამიანი არსებობს და რისგანაც ადამიანის მოწყვეტა არ შეიძლება, მე ყოველთვის ვთვლიდი და, ბუნებრივია, ახლაც ვთვლი, რომ ეს ჩვენი კულტურის ცხოვრებაში ძალიან აქტუალურიცაა და საჭიროც. ღმერთმა ჰქნას, ეს ხალისი და ეს სურვილი თვითონ ამ საღამოების ავტორს, თინა ელბაქიძეს, არასოდეს გაუქრეს.

ლ.კ. – ბატონო აკაკი, მინდა ჩვენი საუბარი თქვენი «ოცნების წიგნით» დავამთავროთ. როცა გაზეთ «საქართველოსთვის» მიცემულ თქვენს ინტერვიუში ამ წიგნის შესახებ

წავიკითხე, ჩემს მაშინდელ მძიმე განწყობას შვება აგრძნობინა თქვენმა სიტყვებმა, რომ გსურთ აღწეროთ ჯაყოების, ყვარყვარეების, ოყაჯადოების ქვეყანაში როგორ იბადება სულიკო და ცისკენ მიფრინავს მერანი, როგორ ჩნდებიან მინდია და დათა თუთაშხია.

ა.ბ. _ რაც შეეხება ჩემს წიგნს, ამას წინათ გაზეთ «საქართველოში» აღვნიშნე _ რატომ მინდა დავწერო და რასთან არის ყველაფერი ეს დაკავშირებული. ამ წიგნში გარკვეული ანალიზიც იქნება იმისა, რაც არსებობდა ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენს სინამდვილეში და იქნება გარკვეული ანალიზი იმ რეალური ვითარებისა, რაც დღეს არის. მე გაზეთში ვწერდი, რომ მაინტერესებს-მეთქი, გავაკეთო ანალიზი იმისა, როგორ ხდება, რომ ავთანდილისა და მინდიას სამშობლოში ადამიანი სულიერად იქამდე ეცემა, რომ ყველაზე უკიდურესი ბოროტების ჩადენაც კი შეუძლია. როგორ ხდება ეს? რა პროცესებია ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს ურთიერთობებში და ჩვენს წარმოდგენებში ისეთი, რომელიც ვერ ახერხებს მოაგვაროს ეს ამბები და რომ არ ხდება ზეგავლენა, დავუშვათ ასეთი დიდი მოვლენისა, როგორიც არის მინდია, ადამიანთა საზოგადოებაზე და რჩება ის არსებითად მაინც ლიტერატურაში. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ იმდენად დიდია ეს ოცნება, ჩვეულებრივი სინამდვილე მასთან ვერ დაამყარებს კავშირს, ე.ი. ჩვენ ყველანი მაინც მზიად დავრჩებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის და სრულიად ნორმალური ადამიანია, თუ სადღაც შევეცდებით ყველაფერ ამას ვაჯობოთ, ავმაღლდეთ უფრო ზევით და პატარა კონტაქტი მაინც დავამყაროთ ისეთ ადამიანთან, როგორიც მინდიაა.

აი, ეს საკითხები მინდა, თუ შევძელი რა თქმა უნდა, ამ წიგნში წარმოვადგინო. მიმაჩნია და წეღანაც მოგახსენებდით, რომ ლიტერატურა და ხელოვნება იმათზე ახდენს გავლენას, ვისაც უყვარს ლიტერატურა. მაგრამ მაინც არის ერთი ასპექტი, რომელიც, როგორც ჩანს, მთელ საზოგადოებაზე მოქმედებს. თუ დღეს, ვთქვათ, მე ვამყარებ კონტაქტს იმ მწერალთან, რომელიც მიყვარს, შეიძლება ამ მწერალს ბევრი არ კითხულობდეს. მაგრამ ხომ არის პერიოდი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში, თუნდაც მოწაფეობის ან სტუდენტობისა, როდესაც იგი იძულებულია მაინც წაიკითხოს ის, რაც შეიძლება არ უნდოდა წაეკითხა. დავუშვათ, სკოლაში იძულებულია მაინც წაიკითხოს «სტუმარ-მასპინძელი», მაინც წაიკითხოს «ბახტრიონი», მაინც წაიკითხოს «გველისმჭამელი». ხომ არის იძულებული? არის თუ არა საშუალება იმისა, რომ ყველა ადამიანზე ამან ზეგავლენა მოახდინოს იმის გამო, რომ იძულებულია წაიკითხოს. თუ წინასწარ არის განპირობებული ადამიანის ცნობიერებაში ის, რომ რამდენჯერაც უნდა წავიკითხო «გველისმჭამელი», თუ თვითონ არ ვარ ღმერთის მიერ მომზადებული მის აღსაქმელად, მაინც არ შემოვა ის ჩემს ცხოვრებაში.

ფილმი ვნახე ერთი. «მექანიკური ფორთოხალი» ეწოდება ამ ფილმს. იქ ასეთი ეპიზოდია. ახალგაზრდა კაცია მთავარი მოქმედი პირი. ღამე ესიზმრება ქრისტეს ჯვარცმის სურათი. სიზმარში ხედავს, რომ ქრისტე გოლგოთაზე მიჰყავთ და მას ბრბო მიაცილებს, რომაელი ლეგიონერები მიაცილებენ. უყურებს ამ პროცესს სიზმარში და თავი წარმოუდგენია არა ქრისტედ, არამედ რომაელ ლეგიონერად, რომელიც ქრისტეს შუბს აძგერებს ფერდში. კმაყოფილია იმით, რომ იგი რომაელი ლეგიონერია და შეუძლია ვიღაცა დასაჯოს. ამ სურათის ნახვისას გამიჩნდა აზრი _ მაშასადამე, წინასწარ ხომ არ არის ადამიანში მომზადებული ის ბოროტება, რომელსაც იგი მისი ცხოვრების მანძილზე ჩაიდენს. იმას კი არ ეცდება, რომ თვითონ იკისროს ტანჯვა, იკისროს წამება სხვათა თავისუფლებისათვის, იკისროს სულიერი ამაღლებულობა, არამედ უხარია _ იყოს სხვისი მჩაგვრელი, იყოს ბოროტმოქმედი, ჩაიდინოს ავი საქციელი, რადგან ამ ყმაწვილს სიხარულს ის კი არ გვრის, რომ თვითონ იყოს ამაღლებული, თვითონ იყოს დიადი მოვლენა, არამედ ის საცოდავი ლეგიონერი, რომელსაც შუბი უჭირავს ხელში და

შეუძლია წამებულს ფერდში გაუყაროს. თუ ამ პროცესს გავაანალიზებთ, მაშინ შეიძლება იძულებული გავხდეთ ვაღიაროთ, რომ ბოროტი მოვლენა წინასწარ არის განპირობებული და ადამიანთა საზოგადოება მას წინ ვერ აღუდგება. ის დარჩება, ოღონდ ადამიანთა საზოგადოება შეეცდება მის შემცირებას, შეეცდება მის რაღაც ჩარჩოში ჩაკეტვას, თორემ თავისთავად ვერ მოსპობს მას.

აი, ეს მინდა გამოჩნდეს ჩემს წიგნში. თუ თვალს გადავავლებთ მთელ ქართულ მწერლობას (საერთოდ, მთელ მსოფლიო მწერლობას, მაგრამ ქართული უფრო ახლობელია ჩვენთვის), დავინახავთ, რომ ჩვენს მწერლობაში იმთავითვე ბოლომდე არის მხოლოდ კეთილშობილების ქადაგება. გაუთავებელი ლაპარაკია მხოლოდ კეთილზე და რაღაც დაჟინებული, ზოგჯერ მოსაწყენადაც დაჟინებული მითითებაც კი არის, რომ კეთილი უნდა გააკეთო და კეთილს უნდა ემსახურო...

ვთქვათ, ხალხური ლე ქსი «ვეფხისა და მოყმის ბალადა», სადაც სიყვარულის უცნაური სიდიადეა გადმოცემული: დედა ცდილობს მისი შვილის მტრის დედას სამძიმარი უთხრას და გაიზიაროს ის ტკივილი, რაც მის მოწინააღმდეგეს აქვს. გავიხსენოთ მინდია და, თუ გნებავთ, აკაკის ჰაჯი-უსუბი «გამზრდელში», როდესაც ადამიანი პასუხისმგებლობას კისრულობს სხვის დანაშაულზე. აი, ამგვარ პრობლემებს უტრიალებს ქართული მწერლობა. ამის პარალელურად კი საქართველოში ყველა ეპოქაში ხდება უმძიმესი და უსაშინლესი დანაშაულებანი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საქართველოში არსებობს რაღაც ორი ნაწილი, რომელთაც ერთმანეთის არასოდეს ესმით. ის ერთი ცალკეა თავისთვის და ის მეორე ნაწილი ცალკე და თავის ბოროტ საქმეს აკეთებს. რატომ ხდება ეს? რამ გამოიწვია ის, რომ ამგვარი პოლარიზება ხდება მოვლენებისა. მე ვერაფრით ვერ ამიხსნია, ვერაფრით ვერ წარმომიდგენია იმგვარი პიროვნების არსებობა, როგორიც «თავად პეტრეში» აქვს აღწერილი დავით კლდიაშვილს. როცა კაცი შურისძიების გულისათვის რაღაც საშინელ დანაშაულებს სჩადის. რატომ მოხდა ის ისტორიული ფაქტი, როდესაც სოლომონ პირველმა როსტომ რაჭის ერისთავის ოჯახი გაანადგურა და ადამიანები, ჩვეულებრივ ერთმანეთთან ადრე ერთად მყოფნი და საქმეშიც ერთად მყოფნი, ერთმანეთს ისეთ სამაგიეროს უხდიან რომ შეგზარავს, როცა ამას კითხულობთ. დავუშვათ, როსტომ ერისთავის ცოლი, ფეხმძიმე ქალი გამოიყვანეს ეზოში და ცხენს გამოაბეს, ასე ათრიეს; როგორ დააბრმავეს პატარა ბიჭი, როსტომ ერისთავის ანტონი, როდესაც თონეში ჩაუგდეს ბურთი და ბავშვმა ჩაიხედა თონეში, ბურთს ეძებდა და სიცხემ თონისამ თვალებში ამოუშრო სისველე და დაბრმავდა.

აი, ამას აკეთებს ხალხი შეგნებულად იმ დროს, როდესაც კითხულობს «ვეფხისტყაოსანს» და ზეპირადაც იცის; როცა საქმე საქმეზე მიდგება, იცის ფასი ყველაფერ იმისა,რაც «ვეფხისტყაოსანში» წერია, მაგრამ შეიძლება შემობრუნდეს და ამგვარი რაღაც საქციელი ჩაიდინოს! აი, ეს არის ჩემი ყურადღების საგანი და ვცდილობ ავხსნა, რატომ არის ეს ასე. გამოწვეულია ეს, დავუშვათ, იმ ისტორიული მოვლენების შედეგად, რომ ქვეყანაში იყო გაჭირვება, ქვეყანას არბევდნენ, აწიოკებდნენ, იყო მატერიალური სიდუხჭირეც, ყოველგვარი უბედურებაც და ამ უბედურებამ აიძულა ადამიანი საშინელებანი ჩაედინა, თუ ეს არის თანდაყოლილი თვისება და ეს არასოდეს გაქრება! თუ ასეა, გამოდის, რომ ლიტერატურა და ხელოვნება, ყოველგვარი კეთილშობილი აზრი მხოლოდ საზოგადოების ნაწილზე ახდენს ზეგავლენას და არსებობს ადამიანთა გარკვეული წყება, რომელიც ვერასოდეს ვერაფერს შეიგნებს, იმთავითვე განწირულია ბოროტებისათვის, თვითონაც და სხვაც ბოროტების მსხვერპლია.

აი, ეს მხარე მნიშვნელოვანია, რადგან უნდა მივხვდეთ და შეიძლება თავიც დავიმშვიდოთ, რომ ვერასოდეს გარდავქმნით ჩვენ საზოგადოებას ისე, რომ კეთილის პარალელურად არ არსებობდეს ბოროტი, ცუდის პარალელურად არ არსებობდეს კარგი და აი, ამ რაღაც ერთიან დამოკიდებულებაში ვიაროთ წინ, ახალი ცხოვრებისაკენ.

აი, საკითხების წყება, რომელიც მინდა იყოს ამ წიგნში და ჩემი თვალთახედვით შევეცადო საზოგადოებას ამის შესახებ რაღაც ვუთხრა, რადგან ეს ამბები და ეს საკითხები განსაკუთრებით გამოვლინდა დღეს. თუ რაღაც-რაღაცა მიჩქმალული იყო ადრე, ახლა ეს ძალიან გამოვლინდა და ზედაპირზე ამოვიდა. რაკი ზედაპირზე ამოვიდა, რა თქმა უნდა, ის ისევ ჩადგება თავის კალაპოტში და ისევ მიიმალება. მაგრამ გამორიცხული არაა, რომ კიდევ ამოტივტივდეს რომელიღაც პერიოდში და ისევ მოიტანოს ზიანი. ასე, დრო და დრო ისევ იჩენს თავს, ისევ მოგვევლინება როგორც ბოროტება და ისევ შეუშლის ხელს საზოგადოების ნორმალურ ცხოვრებას. თუ, ვთქვათ, დავრწმუნდებით, რომ ეს ისეთი კანონზომიერებაა, რომელიც არასოდეს შეიცვლება, მომზადებული მაინც დავხვდებით და ის არ იქნება მოულოდნელი და უცაბედი.

ლ.კ. – ე.ი. კეთილი მაგალითით ძალიან ძნელია, რომ იმედი ვიქონიოთ, ვთქვათ ვინმეზე...

ა.ბ. _ კეთილი მაგალითით, ალბათ აღიზრდება ის, ვინც არის ამისთვის მომზადებული და ვის სულიერ სამყაროში არსებობს ამის წინასწარი პირობა. თუ ამის წინასწარი პირობა არ არსებობს, ისე ზეგავლენას ვერ მოახდენს. ესეც მნიშვნელოვანია, რადგან იქნებ ის მაინც შეძლოს ადამიანმა, რომ გამოყოს ის ადამიანები, ვისზეც ეს იმოქმედებს და ვისზეც არ იმოქმედებს. იმ ადამიანთა გადარჩენა შეიძლება, ვისზეც კეთილი მაგალითი იმოქმედებს, ხოლო იმ ადამიანის გადარჩენა, ვისზეც არ იმოქმედებს, ბუნებრივია, შეუძლებელია. ტყუილი შრომის დახარჯვაა და არავითარი კეთილი შედეგი ამას არ მოჰყვება. ეს უკვე ისეთი მოვლენაა, რომელსაც ადამიანი ვერ მოერევა, რაკი ადამიანის შიგნით არსებობს რაღაც წინასწარ განპირობებული და წინასწარ დაპროგრამებული. ეს უკვე ზემოდან მოდის და უზენაესს ემორჩილება.

ლ.კ. – ბატონო აკაკი, ძალიან დიდხანს _ ახალგაზრდობაში და შემდეგაც _ ბოროტებას თუ დავინახავდი, ვიფიქრებდი ხოლმე, რომ ეს შემთხვევითია, გამონაკლისია. სინამდვილეში არსებობს მხოლოდ სიკეთე ამ ქვეყანაზე და მუდამ ვცდილობდი ბოროტების მიტევებას... თავიც ბევრჯერ დამიდანაშაულებია, რატომ ვხედავ-მეთქი ასე ცუდად. მერე, როცა დავრწმუნდი, რომ მთლად ასე არ არის, ბევრჯერ მიფიქრია, რომ რუსთაველი ახალგაზრდა კაცი წავიდა ამქვეყნიდან და «ვეფხისტყაოსანი» ახალგაზრდამ შექმნა, თორემ ხანდაზმულობაში ასე ვეღარ იფიქრებდა-მეთქი. თუმცა, რა თქმა უნდა, რუსთაველი ძალიან ძლიერი პიროვნება იქნებოდა, სხვანაირად შეუძლებელია. ამჟამად ვერ ვიტყვი, ძალიან ბევრ ბოროტებას ვამჩნევ-მეთქი და ისევ სიკეთის მხარეზე ვარ, მაგრამ ძალიან მწყინს, როცა ბოროტებას უკვე რეალურად ვხედავ.

ა.ბ. _ ცხადია, ადამიანს ძალიან უჭირს შეეგუოს ბოროტებას. იგი ყოველთვის გამოიწვევს ადამიანში აღშფოთებას, ბრძოლის სურვილს, წინააღმდეგობის გაწევის სურვილს, ყოველთვის ექნება მისი განადგურებისაკენ მისწრაფება. მაგრამ, როგორც ჩანს, მუდამ წარმოიქმნება ამა თუ იმ ვითარებაში ბოროტება და წარმოიქმნება ზოგჯერ იმ ადამიანისაგან, რომლისგანაც ამას არ მოელი. ეტყობა, სადღაც არის მის ცნობიერებაში, თუ მის სხეულში, თუ მის არსებაში ჩალექილი ეს ბოროტება და თუ მიეცა საშუალება, ის უცბად წამოტივტივდება. როგორც ავადმყოფობაა ჩანერგილი ადამიანში იმთავითვე, ასევეა ჩანერგილი ყოველგვარი თვისება იმთავითვე. მაგრამ მერე დროთა განმავლობაში ამ ადამიანისათვის რაღაც გახდება უმთავრესი _

ერთისათვის, ალბათ, კეთილი საქმის კეთება, პატიოსანი, წესიერი ცხოვრება და მეორისათვის კი ბოროტება. ეს ბოროტება უკვე იმდენად ეუფლება მის არსებას, თვითონაც რომ მოინდომოს, მისგან ვერ გათავისუფლდება და ვერც სხვა გაათავისუფლებს. აი, ეს მხარე ქმნის ადამიანში ტრაგიკულობის დიდ შეგრძნებას _ თუ წინასწარ ვარ გამიზნული ვიღაცის მიერ ბოროტებისათვის, მაშინ ჩემი დანაშაული ხომ ძალიან ცოტაა. რა ვუყო იმას, რაც ჩამინერგეს და როგორ გავთავისუფლდე მისგან!

აქ უკვე ბოროტების ელემენტი იჩენს თავს. ძველი ბერძნები როცა ფიქრობდნენ, ადამიანს ბედისწერა ფლობსო, მთლად უსაფუძვლო, როგორც ჩანს, არ არის. მაგრამ ჩვენთვის, საზოგადოებისათვის, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია. არის ერთი კანონზომიერება _ ათი ჯანღონით სავსე ვაჟკაცი რომ შეიყვანოთ ერთ მომაკვდავ ავადმყოფთან, ათივე შეიძლება დაავადდეს, მაგრამ ეს ათი ჯანმრთელობას იმას ვერ გადასცემს, იმიტომ რომ ავადმყოფობა გადამდებია, ჯანმრთელობა კი _ არა. ასევეა ბოროტებაც. ბოროტება გადამდებია და კეთილი არ არის გადამდები. ამიტომაც უნდა ებრძოდეს გამუდმებით ადამიანი ბოროტებას, რომ ის არ გავრცელდეს. მაგრამ კეთილს ვერავის გადასდებთ. კეთილი დარჩება იმ კაცთან, ვინც მას ქმნის, მეორეს ვერ გადასცემს. ბოროტი, იცოცხლე, უცბად გავრცელდება, უცბად მოედება. ისევე როგორც ჯანმრთელობის დაცვაა მუდმივი ბრძოლის საგანი და ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლა, ასევეა საჭირო მუდმივი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, აი, ეს პროცესია შინაარსი ადამიანის არსებობისა. ადამიანთა საზოგადოება იმდენად იარსებებს, რამდენადაც გამუდმებით ებრძვის იგი ბოროტებას... აი, ასეთ რთულ რაღაცაში ვართ მოქცეული და ეს სირთულე, ეს მრავალფეროვნება, ეს სიღრმეები ძალიან ხშირად გვაყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ პოზიცია ვერ აგვირჩევია და ვერ გადაგვიწყვეტია _ რა გავაკეთოთ და როგორ მოვიქცეთ.

ლ.კ. – ისევ სიკეთის იმედით უნდა ვიყოთ...

ა.ბ. _ სიკეთის იმედით იმდენად, რამდენადაც ეს არის არსებობის ძირითადი მიმართულება. თუ თვალს გადავავლებთ კაცობრიობის ცხოვრებას, დავინახავთ, რომ სიკეთე ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. თუმცა კონკრეტული მსხვერპლი ბოროტებისა უამრავია, მაგრამ ზოგადად ყოველთვის სიკეთეა გამარჯვებული. უსამართლოდ დასჯილი კაცი ბოლოს და ბოლოს მაინც იქნება აღიარებული. უსამართლოდ თუ ვინმე განადიდეს, ისტორია მაინც მიუჩენს თავის ადგილს _ რომ იგი არ იყო ამ დიდების ღირსი და ა.შ.

ყველაფერი ეს, როგორც გითხარით, ჩემთვის არის წყარო იმ რწმენისა, რომ კეთილია წარმმართველი. ერთ ჩემს წერილში ერთი მაგალითი მოვიტანე და ახლაც გავიმეორებ: ახლა მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი ენერგიის წყაროს შექმნისათვის ბრძოლა და ეს არის თერმობირთვული სინთეზი. თუ აქამდე თერმობირთვული დაშლის შედეგად წარმოიშობოდა უზარმაზარი ენერგია, რაც მერე ბომბებისათვის გამოიყენეს და კაცობრიობას საშინელი საფრთხით დაემუქრა, ახლა პირიქით, სინთეზის შედეგად ახალი ენერგიის მიღება ხდება. მაგრამ ამისათვის საჭიროა დიდი ტექნიკური პროცესები და უზარმაზარი ტემპერატურა, სადაც ამგვარი სინთეზი შეიძლება მოხდეს. საჭიროა კიდევ ორი ნივთიერება _ დეიტერიუმი და ტრიტიუმი. თუ დეიტერიუმი არსებობს ბუნებაში, ტრიტიუმი არ არსებობს ბუნებაში. ტრიტიუმი წარმოიშობა სწორედ ატომური აფეთქებების შედეგად. ტრიტიუმის ის მცირე ნაწილიც კი, რომელიც დღეს აქვს კაცობრიობას, დაგროვილია სწორედ ამ აფეთქებების შედეგად; თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ სინთეზის შედეგად შეიძლება ენერგიის ისეთი წყარო მივიღოთ, რომელიც ყოველგვარ პრობლემას გადაწყვეტს დედამიწაზე, გამოდის, რომ ის ბოროტებაც კი, რომელსაც ატომური ბომბის აფეთქება ჰქვია, თავის არსში რაღაც

კეთილს შეიცავს. აქედან, სწორედ კეთილია კაცობრიობის არსებობის, სამყაროს არსებობის საფუძველი.

და ეს, მე მგონია, ძალიან კარგად არის დანახული ბიბლიაში. ეპიზოდია ასეთი: ძმებმა გაყიდეს იოსები ეგვიპტეში. მერე იოსები ეგვიპტის დიდი მინისტრი გახდა. როდესაც შიმშილობა დაიწყო, იაკობი და მისი შვილები იძულებულნი გახდნენ საკვები და საზრდელი ეგვიპტეში ეშოვნათ. ჩავიდნენ ძმები ეგვიპტეში და მივიდნენ სწორედ ამ გაყიდულ ძმასთან. ძმებმა ვერ იცნეს იოსები, მაგრამ იოსებმა იცნო ისინი. არაფერი უთქვამს. ერთხელ დაეხმარა მათ, მეორედ. მერე მოთხოვა, რომ მამაც ჩამოიყვანეთო და მოდითო. ყველა ერთად რომ იქნებით, მაშინ კიდევ მოგცემთო. ჩამოიყვანეს იაკობიც. მაშინ იოსები გამოუტყდა ძმებს, რომ მე იოსები ვარო. თავზარი დაეცათ. იფიქრეს, ახლა ეს ყოვლისშემძლე მინისტრი, ყოვლის მფლობელი და ბატონი სამაგიეროს გადაგვიხდის და საშინელი უბედურება დაგვემართებაო. მაგრამ, რასაც იოსები ეუბნება მათ, ძალიან უცნაური აზრია და ამავე დროს ძალიან ბრძნული: არა, მე თქვენ არაფერს დაგიშავებთ, იმიტომ რომ ბოროტება, რომელიც თქვენ ჩაიდინეთ ჩემ მიმართ, საჭირო იყო იმისათვის, რომ მე დღეს ეგვიპტეში ვყოფილიყავი და თქვენ სიკვდილისაგან გადამერჩინეთ. ე.ი. იმ ბოროტებამ, რომელიც ძმებმა ჩაიდინეს, დაბადა სიკეთე, რომელმაც გადაარჩინა ეს ძმები შიმშილისაგან სიკვდილს. ასე, რომ თვითონ ბოროტებაშიც დევს სიკეთე, რომელიც სადღაც, რომელიღაც დროს, რომელიღაც ვითარებაში გამოამჟღავნებს თავის თავს.

აი, ეს კანონზომიერება, ჯერ გამოთქმული ამ საღვთო წიგნში, მერე კონკრეტულ მაგალითში, რომელიც ზემოთ გიამბეთ, ერთმანეთს საოცრად ეხმაურება და ეხმიანება. გამოდის, რომ ეს თვითონ არსებობის კანონზომიერებაში დევს და ის ექსპერიმენტულადაც ჩანს და მოაზროვნის საშუალებითაც. ამიტომაც, ყველა უბედურებისდა მიუხედავად, რომლის მოწმე თავად ადამიანია, არსებობას წარმართავს სიკეთე.

ლ.კ. – დიდი მადლობა, ბატონო აკაკი. მადლობას გიხდით რადიომსმენელთა სახელითაც იმ საინტერესო საუბრებისათვის, რომლებმაც პირადად მე ბევრი რამ მომცა, რაც მთავარია, იმედი დამიბრუნა, სიკეთის იმედი გამიცოცხლა. მით უმეტეს, რომ საუბარი სწორედ ამ აზრით დაამთავრეთ: კაცობრიობის არსებობის საფუძველია სიკეთე, კაცობრიობის განვითარებას წარმართავს სიკეთე და ჩვენც ხომ კაცობრიობის ნაწილი ვართ.

29. V. 1992.

როცა სიტყვა ტყვიასავით ბრმაა

ქეთევან მელიქიძე _ შესაძლოა დღევანდელმა სტუდენტებმა ვერც კი გაიგონ, რატომ იყო ჩემი თაობისათვის ბედნიერი ის დღე, როდესაც უნივერსიტეტში ბატონი აკაკი ბაქრაძის ლექცია უნდა გამართულიყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და რადიო-ტელევიზიასა თუ რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე არაერთხელ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება ბატონ აკაკის. მაშინ კი, ჩემი სტუდენტობის ჟამს, ყოველივე ის, რასაც მწერალი წერდა თუ გასუსულ აუდიტორიას უამბობდა, უცხო ხილად აღიქმებოდა. მე არ მინდა ვინმეს, ეროვნულ მოძრაობაში მოღვაწეს ჩრდილი მივაყენო, ან ზედმეტად გავაზვიადო ვინმეს როლი, ამიტომაც ნურავინ იწყენს, თუ დიდი სიყვარულით სწორედ იმ პიროვნებას ვიგონებ, რომელთან შეხვედრასაც მთელი

არსებით ველოდი და მის მოუსვლელობას ისე განვიცდიდი, როგორც ჩაშლილი პაემნის გაწბილებული გოგო. იყო შემთხვევები, როდესაც აუდიტორია ვერ იტევდა ბატონ აკაკი ბაქრაძის მოსასმენად მობრძანებულ საზოგადოებას, რადგან სტუდენტების გარდა კიდევ მრავლად იყვნენ მასთან შეხვედრის მსურველნი, დაკეტილი დარბაზის კარის წინაც გვიყურ-ყუტია კარგა ხანს და ჩვენი სიჯიუტით გაოცებული და დამფრთხალი უფროსობა იძულებული გამხდარა დარბაზი დაეთმო მწერლისათვის. სხვათა შორის, სიჯიუტეში არც ბატონი აკაკი ჩამოგვრჩებოდა. ფეხსაც არ მოიცვლიდა (თუმცა ჩვენც დარჩენას ვემუდარებოდით, მაგრამ რომც არ გვეთხოვა მაინც), რადგან იცოდა, აუცილებლად უნდა ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა, ყალბ ბგერათა კაკაფონიაში, სუფთა ბგერასაც უნდა გაეჟღერა.

მართალი გითხრათ, დღემდე არ ვიცი, რატომ ვენდობოდით ასე ადამიანს, რომელსაც თითქმის არ ვიცნობდით. შესაძლოა ამის საბაბს მისი წერილები იძლეოდა, შესაძლოა კეთილი სახელი, რომელიც წლებმა მოუტანა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში მაშინაც კი, როცა დეპუტატად აირჩიეს და ტელევიზიით ვადევნებდით თვალყურს სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობას, სადაც ქართველ დეპუტატთა უმრავლესობა დუმდა და ამიტომაც ხალხმა ისინი «დუმილის ბიჭებად» მონათლა (მათ შორის ბატონი აკაკიც) პირადად ჩემში მის პასიურობას პროტესტი არ გამოუწვევია. რაზე შეიძლება ესაუბრო საზოგადოებას, რომელიც სტვენითა და ფეხების ბაკუნით ხვდება ანდრეი სახაროვის ყოველ სიტყვას? ალბათ არაფერზე. და ბატონი აკაკიც დუმდა. თუმცა როგორც მწერალს, ადამიანებსა და მათ საქციელზე დაკვირვების მშვენიერი შესაძლებლობა მიეცა და ვგონებ გამოიყენა კიდეც.

მოგვიანებით ბატონი აკაკი ბაქრაძე საქართველოს პოლიტიკური არენიდან გაქრა და ამას, რასაკვირველია, თავისი გარ-კვეული ობიექტური მიზეზები ჰქონდა. თუმცა ჩვენ, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობამ გადავწყვიტეთ, რომ პოლიტიკაში და სახელმწიფო მართვაშიც ის ხალხი ჯობდა, რომელიც მიტინგებზე ყვირილით იგლეჯდა ყელს და განსაკუთრებით ხშირად ტეხდა ტაშს (რა სამწუხაროა, რომ დღემდე ბევრი ფიქრობს ასე). ერთი სიტყვით, ბატონი აკაკის წასვლა ავად არავის ენიშნა მანამ, სანამ ჯერ კანტი-კუნტად, აქა-იქ, შემდეგ კი ძალზე მონდომებულად და მომეტებულად არ დაიწყეს მისი ლანძღვა. მიზეზი ძალზე პრიმიტიული იყო. იგი იმ მხარეს არ აღმოჩნდა, სადაც ხელისუფლებას სურდა, თუმცა არც ოპოზიციის მიტინგებზე სიარულითა და «ძირს დიქტატურის!» ძახილით ჩაუხლეჩია ხმა.

უზომოდ შეურაცხყოფილი იმ ბილწსიტყვაობით, რომელიც მის მიმართ გაისმოდა, მწერალი არც ერთხელ არ გამოეხმაურა ოპონენტებს, თუმცა მისი კალამი ოსტატობაში ნებისმიერს გაეჯიბრებოდა და, რასაკვირველია, დაჯაბნიდა. ბრმა სიტყვით დაჭრილი პიროვნება განზე გადგა და უხმოდ შეჰყურებდა უზნეობის ზეობას. იცოდა, არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. აკი საქართველო ის ქვეყანაა, სადაც პოეტებს კლავენ...

_ ბატონო აკაკი, თქვენი საქმიანობით თუ ცხოვრების წესით ხალხის სიყვარული დაიმსახურეთ და ალბათ ის შეურაცხყოფა, რომელიც მოგაყენეს განსაკუთრებით მოულოდნელი იყო...

აკაკი ბაქრაძე _ არა, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინცდამაინც არ გამკვირვებია არაფერი. შესაძლებელია იმიტომ, რომ საკმაოდ კარგად ვიცნობ ადამიანის ბუნებას. თითქმის შეუძლებელია კაცს მტერი არ ჰყავდეს.

როგორც ჩანს, მტერი საკმაოზე მეტი მყავდა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ საშუალება გამოეხატათ ჩემდამი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება. როგორც კი ამის საშუალება მიეცათ, აკი გამოხატეს კიდეც. გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ამ ხალხში

ზოგი ისეთიც გამოერია, რომელიც თითქოს იზიარებდა ჩემს მოსაზრებებს და მეთანხმებოდა კიდეც. მეტიც, იყო შემთხვევები, როცა ჩემს სიტყვებს იშველიებდნენ საკუთარი მოსაზრების თუ პოზიციის გასამყარებლად. მე არც ერთ ოპონენტს არ გამოვეხმაურე, რადგან ეს ჩემი ღირსების კიდევ უფრო დიდ შელახვად მივიჩნიე. შეუძლებელია ყველასთან მაღალ მატერიებზე საუბარი, ვერც შესაფერის ქცევას მოსთხოვ ყველას. ეს განსაკუთრებულ გამონაკლისებს შეუძლიათ. ამასთანავე, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი და პოზიცია. შესაძლოა ისინი თვლიდნენ, რომ ჩემი ლანძღვით სიმართლეს ემსახურებოდნენ. ეს მათ სინდისზე იყოს...

ქ.მ. – ახლა სიტუაცია შეიცვალა და მწერალთა შეურაცხყოფილი ნაწილი დაეპატრონა პრესასა და ტელევიზიას. ახლა მეორე მხრიდან წამოვიდა ნაღველის ნიაღვარი და რაოდენ სასიხარულოა, რომ არც ამჯერად უსწორებთ ანგარიშს არავის.

ა.ბ. _ მე ვთვლი, რომ ადამიანი, განსაკუთრებით კი კაცი, რომელსაც მწერალი ჰქვია, წვრილმან ანგარიშსწორებაზე უფრო მაღლა უნდა დადგეს. საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკ-ური სიტუაცია კვლავ დაძაბულია, ყოფა _ მოუწყობელი, ელემენტარული ცხოვრების პირობები არ გვაქვს, ხალხი გაღატაკებულია. ბევრს ხორცის ყიდვა უჭირს და ამ ვითარებაში გასაკვირიც არაა, რომ ერთმანეთს ჭამენ. რასაკვირველია, წიგნების დაწვა უზნეობაა, მაგრამ როცა საქმე აქამდე მიდის, რამდენიც უნდა უკიჟინო ამის ჩამდენს, ეგ შენი საქციელი ველურობა და ვანდალიზმიაო, იგი მაინც დახევს და დაწვავს წიგნს. ეს ფსიქოზი მარტო ჩვენ არ შეგვყრია. გაიხსენეთ, თვით ისეთი კულტურული და ცივილიზებული ერიც კი, როგორიც გერმანელები არიან, წვავდნენ წიგნებს.

ქ.მ. – ქართველ ხალხს განსაკუთრებით უყვართ მწერლები და უცებ, ერთმანეთს წაკიდებული თანამოკალმენი არ ინდობენ ერთმანეთს, მართალი გითხრათ, ვერაფერი მაგალითია ერისათვის.

ა.ბ. _ მწერალი ეტალონი უნდა იყოს საერთოდ ყოველივე კეთილის, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ რევოლუციური პროცესების მოწმენი გავხდით, როცა ყველაფერი ინგრევა, ისევე, როგორც დიდი შტურმის დროს ზღვის ზედაპირზე უამრავი ნაგავი ამოდის, რის არსებობასაც მანამდე ზღვაში ვერ წარმოვიდგენდით, სწორედ იმდაგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ასეთ დროს შეინარჩუნო ღირსება და ყოველივე ამაზე ზემოთ დადგე _ ძალიან ძნელია. ნუ მოვთხოვთ ადამიანებს იყვნენ იდეალურები. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვეულებრივი მოკვდავნი ვართ ჩვენც და ისევე ვცოდავთ და ვცდებით, როგორც სხვები.

ახლა ვგონებ ყველამ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ დავძლიოთ სულიერი თუ ეკონომიკური კრიზისი და თანდათანობით ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ისტორია ყველას კუთვნილ ადგილს მიუჩენს. ნაგავს _ სანაგვეზე გადაყრის. უეჭველად ასე იქნება. მაგრამ ადამიანთა ვნებებს დრო როგორც წესი ვერ აქრობს. ყველა დროს თავისი პრობლემები მოაქვს. თავიდან იწყება შეყვარება, სიძულვილი.

ქ.მ. – ბატონო აკაკი, თქვენ ხშირად გითქვამთ, რომ პარლამენტში არ უნდა იყვნენ მეჩაიე ქალები, მწველავები, ხარატები და ა.შ. რომ პოლიტიკა პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ. ჩვენ სახელმწიფო საბჭოს სხდომის შესვენების დროს ვსაუბრობთ და ამიტომაც ნუ მიწყენთ, მაგრამ ერთ კითხვას გკადრებთ. სახელმწიფო საბჭოს წევრები გამოჩენილი და დამსახურებული ადამიანები, რეჟისორები, მწერლები, პოეტები, პირადად თქვენ, უკეთ მართავთ ქვეყანას, ვიდრე იმ ავადსახსენებელ დროში მოღვაწე შრომის გმირები და წარმოების მოწინავენი? იქნებ ჯობია, ერთხელ და სამუდამოდ მეპურეს ვანდოთ პურის გამოცხობა? თუმცა შესაძლოა ცუდი შედარება მოვიყვანე და ამით გავანაწყენებ

იმ პიროვნებებს, რომლებსაც დიდ პატივს ვცემ და რომელთა ინტელექტსაც არამც და არამც მეჩაიე ქალისას არ შევადარებ.

ა.ბ. – სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა საკმაოდ ჭრელია, მაგრამ ჯერჯერობით ცუდად არ უძღვება დაკისრებულ მოვალეობას, თანაც ამ ხნის განმავლობაში, ვგონებ, ყველას დაგვიგროვდა მცირედი გამოცდილება. ოქტომბერში არჩევნები ჩატარდება და ბევრი რამ შეიცვლება. რასაკვირველია, ხელოვანს თავისი საქმის კეთება ურჩევნია და არა მგონია, ვინმემ საკუთარ საქმეს უღალატოს. ეს ყველაფერი დროებითია და ჩვენმა არეულმა დრომ მოიტანა. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ვინმემ თავის ადგილზე დაბრუნებას, პოლიტიკური მოღვაწეობა ამჯობინოს. არ ვიცი, სხვის მაგივრად ვერაფერს ვიტყვი.

გაზ. «შანსი»,
13.V.1992

პრივატიზაციისა და სხვათა შესახებ

ეს ინტერვიუ დაიბეჭდა გაზ. «ხიდში», 1992 წ., 19 სექტემბერს, მაგრამ გაანახევრეს და შეკრიჭეს.

აკ.ბაქრაძე

კორესპ. _ პირველმა თქვენ გამოთქვით პრესაში აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკონომიკას მხოლოდ კერძო საკუთრებაზე გადასვლა თუ უშველისო. ეს იყო ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში... პრივატიზაცია დაიწყო, თუ ხედავთ შედეგებს?

ა. ბ. _ რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია პრივატიზაციის დაწყება. ვერცერთი ქვეყანა ვერ იარსებებს, თუ მყარი ეკონო-მიკური საფუძველი არ ექნება. ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნა სწორედ პრივატიზაციით უნდა დაიწყოს და დაიწყო კიდეც. მართალია, მის შედეგს ჯერ საგრძნობლად ვერ ვხედავთ, მაგრამ მალე გამოჩნდება. მით უმეტეს, პრივატიზაციის ტემპს თუ მოვუმატებთ. არიან ძალები, რომელნიც, ზოგნი შეგნებულად და ზოგნი შეუგნებლად, ხელს უშლიან პრივატიზაციას. ყველამ ღრმად უნდა შეიგნოს, რომ, თუ რაიმე უშველის ჩვენს ძირფესვიანად მოშლილ ეკონომიკას, ეს კერძო საკუთრების დამკვიდრებაა. მისი ხელის შეშლა არაფრით არ შეიძლება.

კომუნისტურმა რეჟიმმა ხალხი სახელმწიფო ქონების, ხაზინის ძარცვას მიაჩვია. ეს ძარცვა-გლეჯა დღესაც გრძელდება. ხალხი იპარავს ყველაფერს, რისი მოპარვაც კი შეუძლია. იმას კი ვერ ხვდება, რომ თავისთავს ძარცვავს. მაგალითად, იზიდება და იზიდება საქართველოდან ფერადი ლითონები. ისედაც ღარიბ-ღატაკ საქართველოს უკანასკნელ ლუკმას აცლიან, მთლად მშიერ-მწყურვალს ტოვებენ. ვინ აკეთებს ამას? ისევ ქართველი. სიტყვით ისე არავის უყვარს თავის სამშობლო, როგორც ქართველს, მაგრამ საქმით ეს ძალიან იშვიათად დასტურდება. ხვალ, როცა ისევ ამუშავდება ჩვენი გაძარცვულ-გაქურდული ფაბრიკა-ქარხნები, როცა ისევ დაგვჭირდება ფერადი ლითონები, მამასისხლად გვექნება საყიდლად. ჩვენსავით სულელი არავინ არის. მუქთად არავინ არაფერს მოგვცემს. კუდის რიკამდე გაგვაძრობენ ტყავს და ისე მოგვყიდიან, თუ გნებავთ იმავე ფერად ლითონებს, რომელსაც ჩვენ ასე უგუნურად ვყრით და ვანიავებთ.

ამიტომ პრივატიზაციის გეგმაში ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული _ **როგორ დავიცვათ საპრივატიზაციო ქონება**.

შეიძლება გახსოვთ, ამ რამდენიმე წლის წინათ ვთქვი, რომ კომუნისტური რეჟიმი, საბჭოთა წესწყობილება სამ ვეშაპს ეყრდნობა-მეთქი: პარტოკრატიას, ბიუროკრატიას და კლეპტოკრატიას. ამ სამი ვეშაპიდან პარტოკრატია დაიშალა, კომპარტიის გაუქმების შედეგად. ბიუროკრატია და კლეპტოკრატია კი ისევ ძველებურად არსებობს და მძვინვარებს.

თუ ჩვენ გვინდა წარმატებით დავასრულოთ პრივატიზაცია, ბიუროკრატიაც უნდა მოვშალოთ და კლეპტოკრატიაც.

ბიუროკრატია მაშინ მოიშლება, როცა ძირეულ ადმინისტრაციულ რეფორმას ჩავატარებთ. მე თუ მკითხავდა კაცი, ვიტყოდი, რომ ადმინისტრაციული რეფორმა მანამ უნდა ჩაგვეტარებინა, სანამ პრივატიზაციას დავიწყებდით. პრივატიზაციის წესიერად და რიგიანად ჩასატარებლად აუცილებელია მყარი ადგილობრივი მმართველობანი. ფორმალურად რაიკომის მდივნები და აღმასკომის თავმჯდომარენი შეიცვალნენ. მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. ადგილობრივი ხელისუფლების ახალ წარმომადგენლებს ზოგს გამოცდილება არ ჰყოფნის, ზოგს _ ნიჭიერება და ზოგიც მომხვეჭელები, მიმთვისებელნი და ხაზინის ქურდები აღმოჩნდნენ. მანკიერებანი ადამიანის თვისებაა და არა ამა თუ იმ პარტიის ან ორგანიზაციის ნიშანი. რამდენადაც შესაძლებელია, მმართველობის ისეთი სისტემა უნდა შეიქმნას, რომ ადამიანმა მანკიერების გამოვლენა შედარებით ნაკლებად შეძლოს. როგორმე ადგილობრივი მმართველობის ახალი სისტემა უნდა შევქმნათ, თუ გვინდა პრივატიზაციაც წარმატებით დამთავრდეს და ქვეყანაც ეფექტურად იმართებოდეს.

სამწუხაროდ, ძირეული ადმინისტრაციული რეფორმის ჩატარება ვერც 28 ოქტომბრის ხელისუფლებამ მოახერხა და ჯერჯერობით ვერც 6 იანვრის ხელისუფლება ახერხებს.

ახალი ტიპის ადგილობრივი მმართველობა კლეპტოკრატიის შესაბოჭავადაც იყო საჭირო. მართალი რომ გითხრათ, მიამიტად ვფიქრობდი, რომ კლეპტოკრატებს პატრიოტიზმის გრძნობა აღმოაჩნდებოდათ და თავიანთ ნაძარცვ-ნაპარავ ქონებას დამოუკიდებელ საქართველოს ხაზინას დაუბრუნებდნენ. მაგრამ მწარედ მოვტყუვდი. არაფერი ქვეყნის სასარგებლო მათ არ გააკეთეს. მოგეხსენებათ, როცა 1918 წლის 26 მაისს დემოკრატიული საქართველო შეიქმნა, ქართველმა თავადაზნაურობამ, გენერალ კოტე აფხაზის მეთაურობით, მთელი თავის ქონება შეაგროვა და დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას გადასცა. ეს სინდისი ნაწილობრივადაც არ აღმოაჩნდა ქართულ კლეპტოკრატიას. პირიქით: სახელმწიფო ხაზინის ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ახალი ძალით გააჩაღეს. ამიტომ, როგორც 28 ოქტომბრის, ისე 6 იანვრის ხელისუფლებას კლეპტოკრატიის ქონების ექსპროპრიაცია უნდა მოეხდინა. თუ ეს არ მოხდება მაშინ, პრივატიზაციის პროცესის დროს, გინდ გაიყიდოს, გინდ უფასოდ განაწილდეს და დარიგდეს საპრივატიზაციო ქონება, ყველაფერი მაინც კლეპტოკრატიას ჩაუვარდება ხელში.

ხელისუფლებას იმისათვის, რომ ქვეყანას უპატრონოს და მართოს, ფული სჭირდება. სად იშოვოს ხელისუფლებამ ეს ფული? დიდი საწარმო-დაწესებულებანი აღარ მუშაობენ. ქვეყანას არავითარი შემოსავალი არა აქვს. არ არსებობს მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა და ხაზინაში არაფერი შედის. კლეპტოკრატია არ ეხმარება ხელისუფლებას. პირიქით, ყელში წაუჭირა ხელი და მის დამორჩილებას ცდილობს. შარაგზის ყაჩაღები და ქურდ-ავაზაკნი გააქტიურდნენ. აუტანელი კრიმინოგენური

ვითარება შეიქმნა. ერთადერთი, რაც ამ სიტუაციაში დარჩა ხელისუფლებას, ის გახლავთ, რომ საპრივატიზაციო ქონება გაყიდოს და ცარიელი ხაზინა რითიმე შეავსოს.

იმათი ზრახვა, ვინც საპრივატიზაციო ქონების გაყიდვის წინააღმდეგია, გასაგებია და კეთილშობილურიც. ისინი სოციალური სამართლიანობის დაცვას ცდილობენ. არ სურთ მთელი ქონება იმათ ჩაუვარდეთ ხელში, ვინც გუშინ ხაზინის ქურდობით ისქელებდა ჯიბეს. მაგრამ უბედურება ის გახლავთ რომ, თუ კლეპტოკრატიის ქონების ექსპროპრიაცია ვერ მოხერხდა, მაინც ყველაფრის მფლობელნი ისინი იქნებიან. აბა, დააკვირდით: ვთქვათ, რომელიმე იქსს მივეცით უფასოდ რაიმე თუნდაც პატარა საწარმო. ის ამ საწარმოს ვერ აამუშავებს, რადგან ფული არა აქვს. ვერც ხელისუფლება ასესხებს ფულს, რადგან არც მას აქვს. მაშინ ღარიბ იქსთან მივა კლეპტოკრატი იპსილონი და ეტყვის _ მომყიდე ეს საწარმო, შენ მაინც ვერ მოიხმარო მას, რაკი უფულო ხარ. უკეთესი არ არის შენ ფული იშოვნო, მე _ საწარმო (გამორიცხული არ არის იმ საწარმოში სამუშაოც შესთავაზოს). ცხადია, იქსი მაშინვე გაყიდის ნაჩუქარ საწარმოს. იგი იპსილონის საკუთრება გახდება. ეს სოციალურ სამართლიანობას ვერ დაამყარებს. ამით ღატაკი ღატაკად დარჩება. კლეპტოკრატი კიდევ უფრო გამდიდრდება. ხელისუფლებას კი ისევ არაფერი ექნება. ღარიბი ხელისუფლება ქვეყნის პატრონად ვერ გამოდგება. ისედაც თავგზააბნეულ ქვეყანას მთლად ქაოსი დაეუფლება.

ამიტომ უმჯობესია, რომ საპრივატიზაციო ქონება გაიყიდოს. ხელისუფლებას რაღაც შემოსავალი ექნება, რომ უპოვარს და უქონელს მცირედი დახმარება მაინც აღმოუჩინოს. ხოლო სოციალური შურისგება იმით დავიკმაყოფლოთ, რომ კლეპტოკრატი, თუ იგი უნიჭოა, საბაზრო ეკონომიკის ვითარებაში, თვალისდახამხამებაში გაკოტრდება. არც ძველი ნაპარავი შერჩება და არც ახალი ნაყიდი. ხოლო, თუ კლეპტოკრატი ნიჭიერია, იგი საბაზრო ეკონომიკის დროსაც მოახერხებს საქმის მომგებიანად წარმართვას, მაშინ რაღას ვერჩით: ნიჭს პატივისცემაც უნდა და ფულიც ალალია მისთვის.

ერთი სიტყვით, პრივატიზაციის პროცესში ბევრი საკითხია გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი. თუ ეკონომიკურად ძლიერი საქართველო გვინდა, ყველაფერი უნდა დავძლიოთ, წელზე ფეხი დავიდგათ და პრივატიზაცია გამარჯვებით დავამთავროთ.

კორესპ._ «ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას!» პირველად სოციალისტების ეს დებულება თქვენ შეაბრუნეთ და წერდით, რომ «თუ ცნობიერებამ წინააღმდეგობა არ გაუწია ყოფიერებას, ადამიანი დაკარგავს ღვთაებრივ სახეს და პირუტყვს დაემსგავსებაო». დღეს რა შეხედულებისა ხართ ქართველი კაცის ცნობიერებაზე, მის სულიერ-ემოციურ სამყაროზე... დამეთანხმებით, იგი საგრძნობლად შეიცვალა უარესობისაკენ.

ა.ბ. _ არ შეცვლილა. ისეთივეა როგორიც იყო, ოღონდ, რაც მალულ-დაფარული გახლდათ, ის გამოვლინდა ღიად. კომუნისტური რეჟიმის დროს არა მარტო კეთილი იყო შებოჭილი და შეზღუდული, არამედ _ ბოროტიც. ახლა ზღუდეები მოიშალა და ბოროტმა ნავარდი დაიწყო.

ერთხელ ვთქვი და ახლაც უნდა გავიმეორო. სიკეთე გადამდები არ არის. გადამდები ბოროტებაა ისევე, როგორც სიჯანსაღე არ არის გადამდები და სნეულება კი გადამდებია. ერთ ღონემიხდილ ავადმყოფს ორი ცხრა ჯანმრთელობით სავსე ვაჟკაცი რომ დააყენოთ თავზე, ვერცერთი ვერ გადასდებს სნეულს ჯამრთელობას. იმ ავადმყოფს კი შეუძლია ყველა დააავადოს. რაკი ასეთია კანონზომიერება, მონავარდე ბოროტი რომ დაინახა, ისიც მოექცა მის გავლენის ქვეშ, ვისაც ავკაცობაზე არასოდეს უფიქრია.

როდესაც ერთი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური სისტემა მოიშლება და მეორე ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში ასე ხდება:

თავაშვებული ბოროტება ნავარდობს. მისი აღკვეთა თანდათანობით მოხდება, ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური სისტემის შექმნის პარალელურად. რა თქმა უნდა, ამას დროც უნდა და გაძლებაც.

ქართველი იქნება, თუ რომელიმე სხვა ერი, მონურ მდგომარეობაში იმიტომ კი არ არის, რომ დაპყრობილია უფრო ძლიერი ქვეყნის მიერ, არამედ იმიტომ, რომ მისი ცნობიერება ყოფიერებას ემორჩილება და ისე ცხოვრობს, რასაც ყოფიერება კარნახობს.

სამშობლოდან გაძევებული და ორი ათასი წლის მანძილზე მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ებრაელობა არასოდეს ყოფილა მონა, რადგან მათი ცნობიერება არასოდეს დამორჩილებია ყოფიერებას. ყველა ვითარებაში, გეტოებსა და საკონცენტრაციო ბანაკებშიაც კი, ებრაელი მისი ცნობიერების მიხედვით ცხოვრობდა და არ ემორჩილებოდა ყოფიერებას. ამიტომ აღმოჩნდა მათი ძალა, რომ ოცი საუკუნის მერე სამშობლოში, როგორც ისინი ამბობენ, ერეც-ისრაელში, დაბრუნებულიყვნენ და მსოფლიოს ერთი უმდიდრესი და ულამაზესი ქვეყანა შეექმნათ.

მართალია, საქართველო დამოუკიდებელია, რაც მისი გაეროში მიღებითაც დადასტურდა, მაგრამ ქართველი ხალხი ჯერ თავისუფალი არ არის, რადგან იგი ყოფიერებას ემორჩილება. ამის უტყუარი საბუთია აუტანელი კრიმინოგენური სიტუაცია, ყველანაირი დანაშაული, რაც დღეს ხდება _ დაწყებული ნემსის ქურდობით და დამთავრებული ადამიანის მოტაცებით. ღირსების დაკარგვით: ქართველი როსკიპები თურქეთის ბაზრებში. საყოველთაოდ გავრცელებული მჩოდარობა (მჩოდარი ქართულად სპეკულანტს ეწოდება). ბევრი სხვა უბედურებაც.

ასე თავისუფალი ადამიანები არ იქცევიან. ასე ყოფიერების მონები იქცევიან.

ქართველი მანამ ვერ გახდება თავისუფალი, სანამ ქართველის ცნობიერება ყოფიერების მონობას თავს არ დააღწევს.

კორესპ._ «ადამიანი უპირველესად და მერე ქრისტიანი, ებრაელი, თუ მაჰმადიანი» _ ლესინგის ეს სიტყვები თქვენ წამძღვარებული გაქვთ ერთ-ერთ კრიტიკულ წერილისათვის. თქვენი აზრი რელიგიაზე _ რელიგიური სალოცავების თანაარსებობაზე ჩვენთან და თურქეთში.

ა.ბ. _ ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები სინდისის თავისუფლების მომხრე.

ყოველთვის ვთვლიდი და ვთვლი, რომ ყველა რელიგია ზნეობრივია და ყოველ ადამიანს სრული უფლება აქვს იწამოს ის, რაც მის სულს სურს. ასევე სრული უფლება აქვს ადამიანს იყოს ათეისტი, თუ ეს მისი რწმენაა.

ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები რელიგიათა ჰარმონიული თანაარსებობის მომხრე; ყოველი რჯულის ადამიანის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთდაფასების, ურთიერთმოკრძალების მომხრე.

ყოველ ქვეყანაში, მეტი რომ არ ვთქვა, სირცხვილია რელიგიური ფანატიზმის არსებობა, მით უმეტეს, საქართველოში, სადაც სხვადასხვა რელიგიისა და რელიგიური მიმართულების აღმსარებელი ადამიანები ცხოვრობენ. თავად ქართველებიც ორი დიდი რელიგიის აღმსარებელნი არიან _ ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის.

გარდა ამისა, ქრისტიანობას, მაჰმადიანობას, იუდაიზმს ექვსი ძირითადი დებულება საერთო აქვს _ 1. ღმერთის არსებობა, 2. ღმერთის ერთება, 3. ღმერთის განგება, 4. ღმერთის მიერ ქვეყნის შექმნა, 5. გამოცხადება და 6. მკვდრეთით აღდგომა. ამ დებულებათა საერთოობა საკმარისი საფუძველია იმისა, რომ ერთმანეთს ტოლერანტულად მოვექცეთ და არა ფანატიკურად.

კი ბატონო, ყველა რელიგიის სწავლულებმა იდავონ, იკამათონ, იპაექრონ სიტყვით, არგუმენტებით და არა სიძულვილითა და ტყვიით. ერთ ძველ ამბავს გაგახსენებთ.

მოგეხსენებათ, მესიის მოვლინების აზრი ებრაელთა შორის დაიბადა. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი გვაუწყებენ ამას. მაგრამ ებრაელები ქრისტეს არ თვლიან მესიად. ამ საკითხის გარშემო 1263 წელს ესპანეთში, ბარსელონაში, დისკუსია მოეწყო ქრისტიან და ებრაელ რჯულისმცოდნეთა შორის.

პაბლო კრისტიანიმ (ქრისტიანად მონათლული ებრაელი იყო) დაარწმუნა ესპანეთის მეფე ხაიმე პირველი არაგონელი ასეთი დისკუსიის აუცილებლობაში. თავად მეფე დაინიშნა მსაჯულად. ებრაელთა მხრიდან სიტყვისგებაში მონაწილეობდა მოშე ბენ ნახმანი, მაშინ მთელ ევროპაში სახელგანთქმული სწავლული.

ნახმანმა პაბლო კრისტიანის და სხვა ქრისტიან მოძღვრებს კითხვა დაუსვა: ძველი აღთქმის კონცეფციის თანახმად, მესიის მოვლინების შემდეგ უნდა შეწყდეს ომები, სისხლისღვრა, ძარცვა-გლეჯა. საყოველთაო მშვიდობა და ბედნიერება უნდა დამყარდეს. ქრისტეს მოსვლის შემდეგ ეს არ მომხდარა. ისევ გრძელდება ომები, სისხლისღვრა, ძარცვა-გლეჯა. ამის მერე, როგორღა შეიძლება ქრისტე მესიად მივიჩნიოთ?

ბარსელონას დისპუტზე ქრისტიანმა რჯულისმცოდნეებმა იმ კითხვას ვერ უპასუხეს.

მეფე ხაიმე პირველს, დისკუსიის მსაჯულს, ისე მოეწონა მოშე ბენ ნახმანის კითხვა, რომ გამარჯვება არცერთ მხარეს არ მიანიჭა. ნახმანი კი პატივცემული გაისტუმრა.

ყველას ახსოვს «დედაენაში» დაბეჭდილი ლექსი _ «ბიჭო, ვისი ხარ მალხაზო...» ისიც გახსოვთ, რომ ეს ლექსი მთავრდება სტრიქონით: «გასწავლი წერა-კითხვასა, არაკებს გეტყვი ბევრსაო». ეს ლექსი ხალხურია და ეს უკანასკნელი სტრიქონი ხალხურ ვარიანტში ასე იკითხება: «გასწავლი ქრისტეს მცნებასა, არაკებს გეტყვი ბევრსაო». იაკობ გოგებაშვილმა შეცვალა სტრიქონი _ «გასწავლი ქრისტეს მცნებასა», _ სტრიქონით _ «გასწავლი წერა-კითხვასა». და იცით, რატომ? «დედაენა» ყოველი ქართველი ბავშვის სახელმძღვანელო იყო, სულერთია ეს ყმაწვილი აღმსარებლობით ქრისტიანი იყო თუ მაჰმადიანი. მაჰმადიან ქართველ ბავშვს გული არ უნდა სტკენოდა. მისი ჩვილი გონება არ უნდა დაფიქრებულიყო, რომ რაღაც განსხვავებაა ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის, რაღაც უთანხმოებაა. ერთ მერხს მიმსხდარ ორ ქართველ ყმაწვილს არ უნდა ეგრძნო, რაღაც მათთვის გაუცნობიერებელი დაპირისპირების არსებობა.

მე იაკობ გოგებაშვილის სიბრძის მომხრე ვარ. მოაზროვნე ქართველი მარტო მე-19 საუკუნეში არ ფიქრობდა ასე. ასე ფიქრობდა და იქცეოდა იგი მე-11-12 საუკუნეებშიც. სამაგალითოა დავით აღმაშენებლის რელიგიური ტოლერანტობა.

საქართველო რელიგიური შემწყნარებლობის სანიმუშო ქვეყანა უნდა იყოს.

რაც შეეხება ამ მხრივ თურქეთში არსებულ ვითარებას, ვერა-ფერს გეტყვით. ისე კარგად არ ვიცნობ თურქეთში არსებულ რელი-გიურ ატმოსფეროს, რომ თავს უფლება მივცე მასზე მსჯელობის.

კორესპ._ თქვენი წიგნები, თქვენი წერილები, ჩვენთვის ქრეისტომატიულ სახელმძღვანელოდ იქცა, არა მარტო ხელოვნებაში, ლიტერატურაში. ნებისმიერ საკითხზე მსჯელობის დროს ვკითხულობთ ხოლმე _ რა თქვაო ამაზე აკაკი ბაქრაძემ.

დღეს რას გვეტყვის ბატონი აკაკი ქართულ ხელოვნებაზე, კულტურაზე. მოგეხსენებათ, შინააშლილობამ როგორ ჩაკლა ჩვენში კულტურული ცხოვრება.

ა.ბ. _ ნიკო ლორთქიფანიძე ამბობდა, რომ ხელოვნება შვილიაო აურაცხელი სიმდიდრისა და უკიდურესი სიღარიბისა. შეიძლება პარადოქსად მოგეჩვენოთ, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ დამერწმუნეთ, ასე იქნება. საქართველო აურაცხელ სიმდიდრეს დიდხანს ვერ შეიძენს. ამას ბევრი რამ სჭირდება. რაც მთავარია, სჭირდება დრო. უკიდურესი სიღარიბე კი მალე დადგება. ეს სიღარიბე გაანადგურებს საშუალო მდგომარეობის ობივატელურ ატმოსფეროს საქართველოში. როცა ეს მოხდება და

უკიდურესი სიღარიბე ძალუმად შეგვაწუხებს, საქართველოში დაიწყება ხელოვნების აღორძინება. მაშინ სული გაგვახსენდება და სულის კანონით დავიწყებთ ცხოვრებას. ეს კი მწერლობა-ხელოვნების განახლებას შეუწყობს ხელს.

დღეს საქართველოში სული დაპატიმრებულია ობივატელურ მისწრაფებათა მიერ. უმრავლესობა იმას ფიქრობს, რომ ის ქონება შეინარჩუნოს, რაც კომუნისტური რეჟიმის დროს, წესიერი თუ უწესო გზით, დააგროვა. რა თქმა უნდა, ვერ დაარწმუნებთ, რომ ამას ვერ მოახერხებს. მაგრამ, როცა ფაქტს დაინახავს, მაშინ დაიჯერებს. ქართველის სული ობივატელობის არტახებისაგან განთავისუფლდება და ლაღად ცხოვრებას დაიწყებს. მართალია ღარიბი იქნება, მაგრამ ალალი და ლაღი. ეს სილაღე მას მშვენიერებას მოასურვებს კიდეც და შეაყვარებს კიდეც. ამას მოჰყვება ჩვენში ხელოვნება-მწერლობის ახალი გაფურჩქვნა.

როცა სიღარიბის პატიოსნება და რელიგიით, ხელოვნება-მწერლობით განწმენდილი სული შეერთდება, იგი სიმდიდრის შექმნასაც დაიწყებს, მაგრამ არა ქურდობით, ძარცვა-გლეჯით, ყაჩაღობით მოპოვებული სიმდიდრის, არამედ შრომით, ოფლით შექმნილი სიმდიდრის.

არის სიმდიდრე დავით სარაჯიშვილისა და კონსტანტინე ზუბალაშვილისა და არის სიმდიდრე დღევანდელი კლეპტოკრატისა. დღევანდელი კლეპტოკრატის სიმდიდრე კლავს ხელოვნება-მწერლობას, რადგან მას მაკულატურა უყვარს (ნახეთ, რა იყიდება დღეს წიგნის ბაზარზე ანდა რით არის სავსე ჩვენი გაზეთები. სულიერი დაცემის შემზარავი სურათია). დავით სარაჯიშვილის სიმდიდრე კი აღორძინებს ხელოვნება-მწერლობას. გიორგი ქართველიშვილმა ფული «ვეფხისტყაოსნის» დასტამბვაში დახარჯა. დღევანდელი კლეპტოკრატი კი ეკატერინე მეორის საყვარლების შესახებ ბეჭდავს წიგნს. მას წიგნი მხოლოდ ფულის მოხვეჭის საშუალებად მიაჩნია. ეს კულტურის მტრობაა. სანამ ვერ გავიგებთ იმას, რომ ფული თავად კულტურაა და მას ჭკვიანური მოხმარება უნდა, მანამ ყოველთვის იქნება იგი (ფული) ბოროტების წყაროდ გამოყენებული.

გაღატაკებისა და მერე ისევ გამდიდრების პროცესი კი ქართველმა ხალხმა უნდა გაიაროს. ამის შესაბამისად განვითარდება ქართული კულტურაც.

კორესპ. – თქვენი მოსაზრება საქართველო-თურქეთის ახლახან დადებული ხელშეკრულების შესახებ და საერთოდ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის პერსპექტივებზე.

ა.ბ. _ საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში ახალი ერა უნდა დაიწყოს. მიმაჩნია, რომ ეს ურთიერთობა კლასიკური ნიმუში უნდა გახდეს იმისა, როგორი მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს ქრისტიანულ და ისლამურ ქვეყნებს შორის. თუ თურქეთი და საქართველო ამას მიაღწევს, ეს იქნება დიდად სასარგებლო არა მარტო ამ ორი ქვეყნისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ამ კუთხით, ახალი ხელშეკრულება კეთილი საქმის დასაწყისია. იგი თანდათანობით უნდა განვითარდეს და გამტკიცდეს. ამას ხელს ვერაფერი შეუშლის, გარდა უგუნურებისა. უგუნურება კი ხალხთა ურთიერთობაში უნდა გამოირიცხოს. სხვა არა იყოს რა, ოცდამეერთე საუკუნე იწყება. კაცობრიობა ახალ კოსმოსურ ცივილიზაციებთან შესახვედრად უნდა მოემზადოს. ნუთუ მიწიონებმა (землянин) საერთო ენა ვერ უნდა გამოვძებნოთ? იმედი მაქვს, რომ ეს ენა გამოიძებნება. ერთ-ერთი ამის ნიმუში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაც იქნება.

25.VIII.1992.

წაგება შეუძლებელია

სულიერ ტკივილებს ასეთ დროს სალბუნად ედება ხოლმე გონიერებით, სიკეთით, სიყვარულით და იმედით გაჯერებული სიტყვები. მით უმეტეს, მათგან, ვისიც გჯერა, ვისი მამულიშვილობა და პატრიოტიზმი გწამს, ვისაც შენი ერის სინდის-ნამუსად და პატიოსნებად თვლი...

ჩვენი კორესპონდენტი რიტა ბაინდურაშვილი შეხვდა და ესაუბრა ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს და ბატონ აკაკი ბაქრაძეს (იბეჭდება ბაქრაძის პასუხი).

აკაკი ბაქრაძე _ ყოველ ომში, სავალალოდ და საუბედუროდ, ახალგაზრდები იღუპებიან. ასეთია ომის ულმობელი ბუნება. ომს დიდი ფიზიკური ძალა და ენერგია სჭირდება. ეს ენერგია და ძალა ხანდაზმულებს უკვე აღარ აქვთ. ომი კი არა და, ფეხბურთი რომ ფეხბურთია, იქ აღარ ვარგიან ხანდაზმულები. ორმოც-ორმოც-დაათწლიანი პელეების გუნდს დღევანდელი თბილისის «დინამო» რომ შეაჯიბრო, რომელი გაიმარჯვებს? ცხადია თბილისის «დინამო». ახალგაზრდები არიან და იმიტომ. ემოციურად ამაღელვებელია და გულისამაჩუყებელი ხანდაზმულების ფახიფუხი _ ჩვენ წავიდეთ ომში და ჩვენი შვილები სიკვდილისაგან დავიფაროთო. კეთილშობილია ეს სურვილი, მაგრამ ნუ მიწყენთ და ღიმილის მომგვრელია იგი... რა თქმა უნდა, მე ვიცი ბევრი ხანდაზმული ადამიანია ქართულ ჯარში. ვაჟკაცურად იბრძვიან, დაღუპული შვილების ადგილსაც იჭერენ მამები, ბარაქალა მათ! ეს საამაყოა, საქებარია და სახოტბო, მაგრამ ისიც მართალია, რომ ბერიკაცების ლაშქარს ჯერ არც ერთი ომი არ მოუგია. აფხაზეთში (სხვაგანაც) ომი კი აცილებლად უნდა მოვიგოთ. წაგება შეუძლებელია. აფხაზეთში რომ წავაგოთ ომი შინაური თუ უცხო მტერი, ყველა შემოგვესევა. ქართველები სუსტები ყოფილანო და საქართველოს მიწა-წყალს მთლად გააპარტახებენ.

აფხაზეთის ომი არ არის ბოლო ომი. ჩვენ სხვა ომების გადახდაც მოგვიწევს. არავის ვაშინებ. უბრალოდ, მწარე სინამდვილეს გეუბნებით. ეს უნდა გავითვალისწინოთ, რადგან ომის მოგებას მარტო იარაღიანი ჯარისკაცი და ოფიცერი არ ჰყოფნის. ომის მოგებას მძლავრი ეკონომიკა სჭირდება, საათივით აწყობილი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ომის მოგებას რკინის დისციპლინაც სჭირდება და თავდადებული შრომაც. ფულიც სჭირდება ომის მოგებას. ნაპოლენისათვის უკითხავთ _ ომში რომ გაიმარჯვო, ამისთვის რააო საჭირო? დიდ მხედართმთავარს უპასუხებია _ ფული, ფული და ფულიო. ხანდაზმულების ჭკუა, ნიჭი და ენერგია ამ პრობლემის მოგვარებაში უნდა დაიხარჯოს.

დღეს, უპირველესად და დაუყოვნებლად, ორი საკითხი უნდა გადაწყდეს _ რეგულარული, ერთიანი ქართული არმიის შექმნა და საკუთარი სამხედრო მრეწველობის ჩამოყალიბება. როგორც კი ამას მოვახერხებთ, ყოველ მტერს საკადრის პასუხს გავცემთ. რეგულარული არმიის ჩამოყალიბება და საკუთარი სამხედრო მრეწველობის შექმნა მთელი ერის საქმეა და არა მხოლოდ ხელისუფლების. საერთოდ, საომარ პირობებში ერი და ხელისუფლება ხელიხელჩაკიდებული უნდა მუშაობდნენ. ერისა და ხელისუფლების ერთიანობა ყოველი გამარჯვების საწინდარია.

ომში ერთი საშველი არსებობს _ გამარჯვება. გამარჯვებისათვის კი ორივე ძალა უნდა გამოვიყენოთ _ პოლიტიკური სიბრძნეც და სამხედრო ძლიერებაც.

არც ის არის გამორიცხული, რომ აფხაზეთში ომი გაჭიანურდეს. ამისათვისაც უნდა ვიყოთ მზად. ჩვენ ხომ ვიცით, რუსეთის ხელისუფლებას რა მზაკვრობა აქვს ჩაფიქრებული საქართველოს წინააღმდეგ. იქნებ რუსეთისათვის ხელსაყრელია ყარაბაღის ვითარების შექმნა აფხაზეთში. აგერ ხუთი წელიწადია ომია სომხეთსა და

აზერბაიჯანს შორის და მის დამთავრებას პირი არ უჩანს. ხანმოკლეც და ხანგრძლივი ომიც ჩვენგან მოითხოვს _ ყოველი ქართველი თავ-თავის ადგილას მუშაობდეს და იბრძოდეს ჯარისკაცის ერთგულებით, გამბედაობითა და თავგანწირვით.

რუსეთის მიერ აფხაზეთის დაპყრობა იქნება საქართველოს უფრო დიდი და სასტიკი დამარცხება, ვიდრე იყო ამჟამად «თურქეთის საქართველოდ» წოდებული ტერიტორიის დაკარგვა.

ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. სხვა გზა საქართველოს არა აქვს.

გაზ. «თბილისი»,
30 ოქტომბერი, 1992.

სიმართლეს ნუ ეძებ იქ, სადაც ყვირიან

მანანა ჯარიაშვილი _ ბ-ნო აკაკი, თქვენ რომ მემატიანე იყოთ, რას უწოდებდით ხანას, რომელშიც დღეს საქართველოა _ აღმავლობის, რაკიღა დამოუკიდებელი გახდა, თუ _ დაცემის, უკიდურესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და შინაომების გამო?

აკაკი ბაქრაძე _ იმ საქმეთა შორის, რომელსაც ადამიანი აკეთებს, ყველაზე ძნელი და რთული დამოუკიდებელი ქვეყნისა და თავისუფალი საზოგადოების აშენებაა. ჩვენ დღეს სიტყვა _ «დემოკრატია» _ ისე წამდაუწუმ გვესმის, როგორც რამდენიმე წლის წინათ გვესმოდა _ «სოციალიზმი», «კომუნიზმი». როგორც სოციალიზმი ვერ ააშენა ამ სიტყვის ხშირად ხსენებამ, ასევე ვერ აშენდება დემოკრატიული ქვეყანა და საზოგადოება სიტყვა «დემოკრატიის» უთვალავჯერ გამეორებით. ამ პროცესს დიდი, ხანგრძლივი დრო უნდა. ქართველ ხალხს არასოდეს უცხოვრია დემოკრატიის პირობებში. არც რომელიმე დემოკრატიულ ქვეყანას დავუპყრივართ ოდესმე. როგორც ჩვენი საკუთარი, ისე დამპყრობლის პოლიტიკური წესწყობილება არსებითად ერთპიროვნული მმართველობა იყო. იმ სამიოდე წელიწადს კი, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა (1918-1921 წ.წ.), ჩვენში მაშინ ზუსტად ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორიც დღეს არის. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. თუ ჩვენ გვინდოდა შედარებით მშვიდობიანად აგვეშენებინა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო, მოვლენათა განვითარების თანდათანობითობის გზას უნდა დავდგომოდით (თანდათანობითობის აუცილებლობას ჯერ კიდევ ნიკო ნიკოლაძე ქადაგებდა). მაშინ ნაკლებად ჩავვარდებოდით იმ უბედურ დღეში, რაშიც დღესა ვართ. მაგრამ ჩვენ სულწასული ხალხი ვართ და ყველაფერი უცბად, სასწრაფოდ, თათარიახნად მოვინდომეთ. მოვინდომეთ მაშინ, როცა თეორიულადაც კი არ გვქონდა დამუშავებული ეკონომიკური რეფორმა, ადმინისტრაციული რეფორმა, არ გვყავდა ჯარი და ა.შ. შეუძლებელია ყველა იმ პრობლემის ერთად და პარალელურად მოგვარება, რა პრობლემებიც დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ ქვეყანას დაატყდება თავს. რაკი ყველაფრის გაკეთება ხელის ერთი დაკვრით მოვისურვეთ, შედეგიც ის მივიღეთ, რაც უნდა მიგვეღო _ ნგრევა.

საზოგადოების ცხოვრებაში ისეთივე ზუსტი კანონები მოქმედებს, როგორც ბუნებაში. ყველას გვინახავს, გაზაფხულზე ხე აყვავილდება, ნაყოფს გამოიღებს და დაამწიფებს. ეს პროცესი ჩუმად, უხმაუროდ და თანდათანობით მიმდინარეობს. ასე უნდა ქვეყანასაც შენება. ლეონარდო და ვინჩის უთქვამს: _ Dove si grida non и scienza სიმართლეს ნუ ეძებ იქ, სადაც ყვირიანო. ყვირილი, დაპირისპირება, მტრობა, სიძულვილი ის გრიგალია, რომელიც აყვავებულ, მსხმოიარე ხეს ფესვებიანად გლეჯს,

ამტვრევს და ანადგურებს. მაგრამ, ბუნების წესით, გრიგალი გადაივლის, ისევ სიმშვიდე დაისადგურებს. მისგან დანგრეულ-დალეწილი ქვეყანა ისევ იწყებს აღორძინებას. ასე მოხდება საქართველოში. თანდათანობით გამოვფხიზლდებით იმ მტრობა-სიძულვილისაგან, რომელიც დღეს მძვინვარებს ჩვენში. მივხვდებით ჩვენს დანაშაულს და მისი გამოსყიდვისათვის შრომას დავიწყებთ. მეტი სიყვარულით შევხედავთ ერთმანეთს. ურთიერთნდობით შევეცდებით საერთო ტკივილი ერთად მოვიშუშოთ. ბუნება, არსებობა თავად გულისხმობს მტრობა-სიძულვილისა და მეგობრობა-სიყვარულის მონაცვლეობის ისეთსავე კანონზომიერებას, როგორითაც დღე და ღამე ცვლიან ერთმანეთს.

ამიტომ ამჟამინდელ საქართველოში ორივე არსებობს _ დაცემაც და აღმავლობაც. დაცემა ჩვენი არსებობის დღევანდელი შინაარსია, აღმავლობა _ ხვალინდელი.

აღმავლობა თუ გვინდა, ყველაფერს მოთმინებითა და შეგნებით უნდა შევხედოთ. დღეს საქართველოს მკაფიო გეზი, შრომა, კეთილგონიერება და ურთიერთნდობა სჭირდება. ჩვენ უნდა შეგვაკავშიროს მოახლოებულმა, სტიქიური უბედურების ბადალმა საშიშროებამ, ეკონომიკურმა განსაცდელმა. თუ ამას შევიგნებთ და მივხვდებით, საქართველოს აღმავლობაც დაიწყება. თუ ვერ შევიგნებთ და ვერ მივხვდებით, ჩვენს დაღუპვას სხვას ვეღარ დავაბრალებთ. საბედისწერო განაჩენს ჩვენ თვითონვე გამოვუტანთ ჩვენს თავს.

მ.ჯ. – მოვლენები, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, ბუნებრივი ისტორიული პროცესია, თუ პოლიტიკოსების მიერ გარკვეული მოსაზრებით ხელოვნურად შექმნილი ვითარება _ აფხაზეთი, შიდა ქართლი და სხვა?..

ა.ბ. _ ერთიცა და მეორეც. ახლა მსოფლიოში ორი პროცესი მიმდინარეობს. ერთია გაერთიანებისა და მეორე _ დაშლისა. ერთიანდება, მაგალითად, ევროპა. ბევრი ლაპარაკია ესპანურენოვანი სამყაროს გაერთიანებაზე, პორტუგალიურენოვანსაც აქვს ამის სურვილი. დაიშალა სსრკ, იუგოსლავია. გაიყო ჩეხოსლოვაკია, მაგრამ ცალ-ცალკე ჩეხეთსაც უნდა ევროგაერთიანებაში შესვლა და სლოვაკიასაც, ინდოეთსაც ემუქრება დაშლა, კანადას კი გაყოფა. კვებეკს ცალკე უნდა არსებობა. ორივე _ გაერთიანებაც და დაშლაც _ ბუნებრივი პროცესია. მაგრამ ამ ბუნებრივ პროცესს სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა პოლიტიკური მიზნით იყენებს. ხელოვნურად ართულებს პრობლემას.

საქართველო დაშლის პროცესში მოჰყვა.

სსრკ-ის დაშლა სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთი უცბად დაყაბულდებოდა მისი უზარმაზარი იმპერიის გაქრობას და არ იბრძოლებდა მისი აღდგენისათვის. პატარა სერბია არ ეგუება იუგოსლავიის დაშლას და თერმობირთვულიარაღიანი რუსეთი როგორ დათანხმდებოდა ამას უომრად და უბრძოლველად? ისიც ეძებს ნაირ-ნაირ ხერხსა და საშუალებას იმპერიის შესანარჩუნებლად.

უკვე 1801 წლიდან რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ორ საშუალებას იყენებს _ შინააშლილობას და ეკონომიკურ სიდუხჭირეს.

ყოველმა ჭკუათმყოფელმა ქართველმა იცის, რომ აფხაზეთის, აჭარის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიები შეიქმნა იმისათვის, რომ ისინი გამოეყენებინათ საქართველოს წინააღმდეგ, თუ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობისათვის დაიწყებდა ბრძოლას. როგორც ხედავთ, იყენებს კიდეც მათ რუსეთი. უბრალოდ, ყეყეჩია იგი, ვინც ფიქრობს, რომ რუსეთს აფხაზების ან ოსების ბედ-იღბალი აღელვებს. ალბათ, აფხაზებისა და ოსების ბელადებმაც იციან ეს, მაგრამ წყალი ამღვრეულია და ყველა შარლატანი ცდილობს თევზის დაჭერას.

ცოდნით, რა თქმა უნდა, ვიცოდით, რისთვის იქმნებოდა ავტონომიები, მაგრამ ჩვენი ბედოვლათობის გამო რუსეთის ამ პოლიტიკას ვერაფერი დავუპირისპირეთ, ვერც წარსულში და ვერც დღეს. დავუპირისპირეთ კი არა, ცნებებსა და ტერმინებსაც ვერ ვხმარობთ სწორად. მაგალითად, იმ ტერიტორიას, რომელიც მოსკოვის განკარგულებით, ქართველმა ბოლშევიკებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის გამოყვეს, ხან სამაჩაბლოს ვეძახით და ხან შიდა ქართლს. ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო ოთხი რაიონისაგან შედგებოდა _ ცხინვალის, ახალგორის, ზნაურის (ანუ დღევანდელი ყორნისის) და ჯავის რაიონებისაგან. სამაჩაბლო კი მხოლოდ ცხინვალის რაიონის რამდენიმე სოფელია. ახალგორის, ყორნისის, ჯავის რაიონები სამაჩაბლოში არასოდეს შედიოდნენ. ჩვენ რა, როცა გავყვირით _ სამაჩაბლო, სამაჩაბლოო _ დანარჩენ ტერიტორიას ვთმობთ? ცხადია, არაფრის დათმობას არ ვაპირებთ, მაგრამ აზრს ზუსტად ვერ გამოვხატავთ.

თუ სამაჩაბლო ბევრად უფრო მცირე ტერიტორიაა, ვიდრე ის მიწა-წყალი, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს ეჭირა, შიდა ქართლი კი გაცილებით უფრო დიდია. შიდა ქართლს გორის რაიონიც ეკუთვნის, კასპისაც, ხაშურისაც და კიდევ ზოგიერთი სხვა რამეც. ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ პოლიტიკაში ყოველ ცნებას, ყოველ ტერმინს ზუსტი გამოყენება სჭირდება, რომ მტერმა შეცდომით ან უმეცრებით არ ისარგებლოს და პირშიჩალაგამოვლებული არ დაგვტოვოს.

მართალია, უსაშველოდ დავიგვიანეთ, მაგრამ დღეს დაუყოვნებლივ უნდა შევიმუშაოთ საქართველოს ეთნიკური მოწყობის პოლიტიკა, რითაც, ერთი მხრივ, შევებრძოლებით რუსეთის მზაკვრობას, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველი ერის მოკავშირედ გავხდით იმ ხალხებს, რომელნიც საქართველოში ცხოვრობენ. ეს გადაუდებელი საქმეა.

მ.ჯ. _ ურთულესი საკითხი, რომელიც მთელი სიმწვავით დადგა პარლამენტის წინაშე _ როგორი ორიენტაცია უნდა აირჩიოს საქართველომ?

ა.ბ. _ თუ ორიენტაციაში ცხოვრების წესის არჩევას, ანუ ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ, საგანმანათლებლო მოწყობას ვგულისხმობთ, უდავოდ ევროპული ორიენტაცია უნდა ავირჩიოთ. თანამედროვე ცივილიზაცია ცხოვრების ევროპული წესის შედეგია. ვინც ცხოვრების ევროპული წესი აირჩია, მან უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია. ამის მკაფიო მაგალითია იაპონია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა უძველესი თვითმყოფადი კულტურის ქვეყანაა, იგი მაინც ცხოვრების ევროპულ წესს გაჰყვა და გადაიქცა კიდეც თანამედროვე ცივილიზაციის ტონის მიმცემად. ასე მოუვიდათ სამხრეთ კორეას, ტაივანს, ტაილანდს და სხვებს. ისინიც ცხოვრების ევროპულმა წესმა გახადა მოწინავე ქვეყნებად.

თუ ორიენტაციაში მფარველის მოძებნას ვგულისხმობთ, მაშინ არც ერთი ორიენტაცია არ გამოგვადგება. დღეს მფარველის მძებნელი ქვეყანა ვერაფერს მიაღწევს და მარადიული ჩამორჩენილობისათვის იქნება განწირული. 21-ე საუკუნის სახით ისეთი ეპოქა მოვა, როცა ყველა თავად უპატრონებს თავს და ხელში არავის მიაჩერდება _ როდის მიშველისო. ქართველმა ხალხმაც უმფარველოდ უნდა იარსებოს. სხვაგვარად იგი სამარცხვინო არსებობის მსხვერპლი გახდება.

როცა ორიენტაციაზეა ლაპარაკი, მე ყოველთვის ცხოვრების წესის არჩევას ვგულისხმობ და ამიტომ ვარ ევროპული ორიენტაციის მომხრე.

მ.ჯ. _ როგორ შეფასებას აძლევთ პარლამენტს და მის მოღვაწეობას?

ა.ბ. – მოგვწონს თუ არ მოგვწონს, დღეს საქართველოს უფრო მაღალი დონის პარლამენტი ვერ ეყოლება. ამის შესაძლებლობა, ამის კადრები არ არსებობს და იმიტომ. ჩვენ მოწმენი და მოყურადენი ვართ 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს,

დანიშნული სახელმწიფო საბჭოს და ისევ არჩეული, _ ამჯერად 11 ოქტომბერს, _ პარლამენტის საქმიანობისა. მართალს თუ ვიტყვით, ისინი ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდებიან, მიუხედავად იმისა, რომ პირველშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც იყო თითო-ოროლა კაცი, რომლის ზნეობრივი და ინტელექტუალური დონე არც ერთი ქვეყნის პარლამენტარის დონეს არ ჩამოუვარდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი, სიმცირის გამო, ამინდს ვერ ქმნიან. ამინდს ის უმრავლესობა ქმნის, რომელიც შემთხვევით შევიდა პარლამენტში და არა კანონზომიერებით; ეს იმის ბრალიც არის, რომ ქართველი ხალხი თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრებისათვის ჯერ არ არის მომზადებული.

ახლა აქა-იქ ისევ გაისმის ხმები, ახალი არჩევნები მოვაწყოთო. არ შეიძლება, დაუშვებელია ხალხის გაპამპულება, გამასხარავება. წამდაუწუმ არჩევნების მოწყობით უკეთეს პარლამენტს ვერ მივიღებთ. როგორც ვთქვი, დღეს ქართულ პოლიტიკურ აზრს მეტი შესაძლებლობა არა აქვს. დღესდღეობით რაცა ვართ, ესა ვართ. მომავალში ვნახოთ _ როგორ წარიმართება ჩვენი განათლებისა და კულტურის საქმე. ამიტომ არჩევნობანას თამაშს თავი დავანებოთ (ხალხს საბოლოოდ ნუ გავუტეხთ გულს), პოლიტიკურ იწილო-ბიწილოს მოვეშვათ, ხელები დავიკაპიწოთ, შრომას შევუდგეთ, ვისაც რა შეგვიძლია, მაქსიმალურად კარგად ვაკეთოთ, რომ ჩვენი გაჭირვებული და საცოდავი ქვეყანა მომაკვდინებელი განსაცდელისგან ვიხსნათ.

გაზ. «რესპუბლიკა»,
25. II. 1993.

«ბრძოლა ნიჰილისტებსა და ოპტიმისტებს შორის კარგა ხანს გასტანს»

მწარე მარცხმა საქართველო სერიოზულად შეაშფოთა, ქვეყნის შიგნით დაპირისპირებებს საზღვარი არა აქვს, რასაც ქვეყანა სრულ კატასტროფამდე მიჰყავს. სად არის გზა ხსნისა? კონფლიქტური ვითარებიდან ქვეყანა მშვიდობისა და ჭეშმარიტების გზაზე რომ გამოვიყვანოთ. ამასთან დაკავშირებით ორიოდე კითხვით მივმართეთ ბატონ აკაკი ბაქრაძეს.

ციალა ბოლქვაძე _ ბატონო აკაკი, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მოიწონა სოჭის შეთანხმება. მეტიც, ისინი თვლიან, რომ საქართველომ დამოუკიდებლად ვერ იარსება! საქართველოს ტელევიზიით იგივე აზრი გამოთქვა ბატონმა ჯუმბერ პატიაშვილმა. როგორია თქვენი შეხედულება?

აკაკი ბაქრაძე _ რა თქვა და როგორ ჯუმბერ პატიაშვილმა არ ვიცი. პირადად არ მომისმენია. ამიტომ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება კითხვას ზოგადად _ შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა, _ მოგახსენებთ.

დიდი ხნის წინათ ჩემს წიგნში «ილია ჭავჭავაძე» ვწერდი:

იმთავითვე ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიისადმი ორგვარი დამოკიდებულება არსებობდა _ უიმედო და იმედიანი, ანუ ნიჰილისტური და ოპტიმისტური. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქასრესასიანი თავს დაესხა საქართველოს და ასფაგურ მეფე იმიერკავკასიაში წავიდა დამხმარეთა საშოვნელად, მაეჟან სპასპეტი არწმუნებდა ქართველებს _ «დარჩომილ ვართ ჩუენ ობლად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი. აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა მივაგოთ წინა მეფესა სპარსთასა

მორჩილება და ვითხოვოთ მისგან წყალობა და ვითხოვოთ მისგან ძე მისი მეფედ ჩვენდა...» მას აქეთ ასე მოდის. ნიჰილისტები მუდამ სხვის მორჩილებას ასწავლიდნენ ქართველებს. თან არწმუნებდნენ, ამაზე დიდი ბედნიერების წარმოდგენა შეუძლებელიაო. ოპტიმისტები კი საკუთარი თავის რწმენას უნერგავდნენ, თავისუფლებისათვის ბრძოლას უქადაგებდნენ და ჩასჩიჩინებდნენ. რაკი ქართველი ხალხი, მის გრძელი ისტორიის მანძილზე, უფრო ხშირად სხვათა ქვეშევრდომი ყოფილა, ჩანს ნიჰილისტები სჭარბობდნენ ჩვენში ოპტიმისტებს. მაგრამ რაკიღა ქართველი ხალხი დღესაც ცოცხალია, ქმნის, იღწვის, შრომობს და მომავალს აშენებს, ეტყობა, ოპტიმისტები უფრო ღონიერი და ძლიერი იყვნენ. თუ ნიჰილისტები რაოდენობით ჭარბობდნენ, ოპტიმისტები ძალითა და ჭკუით სჯობნიდნენ.

დღესაც ასეა: დღესაც ებრძვიან ნიჰილისტები და ოპტიმისტები ერთმანეთს. ეს ბრძოლა კარგა დიდხანს გასტანს, სანამ საქართველო საბოლოოდ არ მოიპოვებს დამოუკიდებლობა-თავისუფლებას. ამისათვის აუცილებელია ოპტიმისტებმა დაამარცხონ ნიჰილისტები. ამ დამარცხებაში, რა თქმა უნდა, იარაღით, ძალდატანებით დამარცხებას არ ვგულისხმობ. ვგულისხმობ აზრით, რწმენით, სიბრძნით დამარცხებას.

არასოდეს საქართველოს უფრო დიდი მტერი არ ჰყოლია, ვიდრე ეროვნული ენერგიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებაა. ამიტომ ნიჰილიზმი ქართველის სულიერ სამყაროში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიძლიოს.

დღევანდელ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ნიჰილისტები არ უნდა მონაწილეობდნენ. ახლა ჩვენ რწმენით, იმედით, ენერგიით, ჭკუით სავსე პოლიტიკოსები გვჭირდება და არა შეშინებული ნიჰილისტები. ნიჰილისტებს შეუძლიათ იმუშაონ საქმიანობის ყველა დარგში (მეცნიერება, მრეწველობა), მაგრამ პოლიტიკაში _ არა.

ისიც უნდა გითხრათ, რომ ოპტიმიზმი ცრუ საფუძველს არ უნდა ეყრდნობოდეს. ოპტიმიზმის საფუძველი უნდა იყოს ერის თვისებების ღრმა ანალიზი, ზუსტი ცოდნა და ობიექტურობა; როცა პოლიტიკოსს ზედმიწევნით ეცოდინება _ რა შეუძლია და რა არა ქართულ ეროვნულ ენერგიას, _ მას არც ნიჰილიზმი გაუტეხს გულს და არც ეიფორია დაახვევს თავბრუს და გზა-კვალს აურევს.

ც.ბ. _ საქართველომ მრავალგზის მარცხი განიცადა... საუბარში თქვენ აღნიშნეთ, რომ დღითიდღე უკან-უკან მიდის ქვეყანა. რა არის ჩვენი უკუსვლის მიზეზი და როგორ გესახებათ გადარჩენის გზა?

ა.ბ. _ ჩვენი გადარჩენა იმაზეა დამოკიდებული _ როდის და როგორ გაერთიანდება ორად გახლეჩილი საქართველო. რამდენ ხანს გაგრძელდება 28 ოქტომბრის ხელისუფლების მომხრეებისა და 11 ოქტომბრის ხელისუფლების მომხრეების დაპირისპირება.

ჩვენი ყველა მარცხის უმთავრესი და ძირითადი მიზეზი ეს დაპირისპირებაა. ვერცერთი ქვეყანა, თუ იგი ორად არის გაყოფილი, გამარჯვებას ვერ მოახერხებს.

თუ გამოიძებნა გზები და საქართველო გამთლიანდა, მაშინ ჩვენ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ყოველგვარ გასაჭირს. ომიც მოვიგოთ, ეკონომიკაც ავაღორძინოთ, დანაშაულებანიც აღვკვეთოთ, კულტურაც გამოვაცოცხლოთ, ერთი სიტყვით, ქვეყანა ქვეყანას დავამსგავსოთ. თუ დაპირისპირება, მტრობა-შუღლი გაგრძელდა, მაშინ ბევრად უფრო დიდი უბედურება გველის, ვიდრე დღემდე გადავიტანეთ.

ყველაზე სახიფათო ის გახლავთ, რომ ჩვენი ხალხის ორად გახლეჩით ძალიან მარჯვედ სარგებლობს რუსეთი. ნაირნაირ საშუალებებით, იგი წყალს კიდევ უფრო მეტად ამღვრევს და თავის სასარგებლოდ თევზს იჭერს. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან ყველაზე მძიმე მდგომარეობა ჩვენ გვაქვს. სომხეთსა და

აზერბაიჯანში ერთი კონფლიქტია და ისიც ორ სახელმწიფოს შორის. საქართველოში სამი კონფლიქტია და ისიც ქვეყნის შიგნით: დაპირისპირებულია ქართველი და ქართველი, ქართველი და აფხაზი, ქართველი და ოსი. მე მგონია, მტკიცება არ სჭირდება იმას, რაოდენ უფრო რთულია საქართველოს მდგომარეობა. რუსეთი რატომ გაუშვებს ხელიდან მისთვის ამ მეტად სასარგებლო სიტუაციას? რა თქმა უნდა, არ გაუშვებს და გააკეთებს კიდეც იმას, რასაც მოისურვებს.

ასე, რომ ჩვენი მომავალი დამოკიდებულია იმაზე, მოვახერხებთ მორიგებას თუ ვერა. ამიტომ ყოველი გონიერი ქართველი უნდა ეძებდეს გზებს, რომ საქართველო ისევ ერთიანი და მთლიანი გახდეს.

გაზ. «ბიზნეს-კურიერი»,
1993 წ. 6 აგვისტო

მხოლოდ საკუთარი ძალის იმედით[1]

კორესპ. _ პარლამენტის არჩევნებში თქვენ მხარს უჭერდით ბლოკს «11 ოქტომბერი». დღეს ეს ბლოკი პარლამენტში წარმოდგენილია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და სახალხო ფრონტის დეპუტატთა ჯგუფებით და ფრაქციით «რესპუბლიკელები». გამართლდა თუ არა თქვენი იმედები? რას იტყვით მათ მუშაობაზე?

აკაკი ბაქრაძე _ ჩემდა სამწუხაროდ, ვერ გაამართლა. ბლოკი «11 ოქტომბერიც» პარლამენტის ფუჭი მრავალსიტყვაობის ჭაობში ჩაიძირა. არადა, ახლა ჩვენ ლაპარაკში ერთი წამის დაკარგვის უფლებაც არ გვაქვს. «არ მწამს სიტყვა ცარიელი... საქმე, საქმე, მხოლოდ საქმე» (აკ. წერეთელი).

კორესპ. _ თქვენ დაგვპირდით, რომ სწორედ არჩევნების შემდეგ ილაპარაკებდით, რატომ არ მიიღეთ არჩევნებში მონაწილეობა. იქნებ ახლა შეიძლება გვიპასუხოთ?

ა.ბ. _ კარგი, ბატონო, გიპასუხებთ. სხვებიც მისვამენ ამ კითხვას და შევეცდები მათი ცნობისმოყვარეობაც დავაკმაყოფილო. ოღონდ მაპატიეთ, თუ პასუხი გრძელი გამომივა.

დავიწყოთ სულ თავიდან.

პირველი: შეიძლება მკითხველს ახსოვდეს, 1990 წლის 26 მაისს გაზეთ «თბილისში» ვწერდი: «თუ ქართული ეროვნული მოძრაობა გაითიშა, გაიყო, მას გამარჯვება არ უწერია». რისაც მაშინ მეშინოდა, ის დღეს უკვე მომხარი ფაქტია. მართალია, ბევრს სწყინს, ბრაზობს კიდეც, როცა ვამბობ _ ქართული ეროვნული მოძრაობა დამარცხდა-მეთქი, _ მაგრამ გავუსწოროთ თვალი სინამდვილეს და ისე ვიმსჯელოთ.

საქართველო ეკონომიკურად დაიქცა. დაქცევის პროცესის შეჩერება არ ხერხდება. პირიქით: ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. როდის შეჩერდება ეს პროცესი და როდის დაიწყება სიტუაციის გაუმჯობესება, _ ამას ვერავინ იტყვის.

საქართველო როგორც ერთიანი ქვეყანა და ერთიანი ეროვნული სხეული დაიშალა. შინააშლილობა გრძელდება. თბილისის ხელისუფლების იურისდიქცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არ ვრცელდება. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია. ოკუპირებული ტერიტორიის დასაბრუნებლად დიდი სისხლისღვრა მოგვიწევს. მშვიდობიანი გზით ვაი, რომ ამას ვერ მოვახერხებთ.

საქართველო ხელში ჩაუვარდა ნაირნაირი ჯურის ავაზაკებს. უსაშინლესი კრიმინოგენური ვითარებაა. უმოწყალოდ იძარცვება ქვეყანა. ხალხი ზნეობრივად დაქვეითდა. ეკონომიკურად გაღატაკდა. როდის ვუშველით ამას? არავინ უწყის.

კულტურული ცხოვრება შეჩერდა.

მეტს აღარ გავაგრძელებ. რაც ვთქვი, ისიც საკმარისია. მაგრამ შეკითხვით კი შეგეკითხებით: რა მდგომარეობაც დღეს საქართველოშია, თუ ის დამარცხება არაა, მაშინ დამარცხება რაღაა? თუ საქმე ისეა, როგორც ჩვენი გამოჩენილი მსახიობი პიერ კობახიძე ხუმრობდა თურმე: მარჯანიშვილის თეატრში არაფერს ჩავარდნას არ ეძახიან, თუ სცენის იატაკი არ ჩატყდა და მსახიობები სარდაფში არ ჩაცვივდნენო.

ეროვნული მოძრაობის დამარცხება კი გამოიწვია სწორედ იმან, რომ იგი გაითიშა-გაიყო. დაიწყო არა საქართველოს ხსნისათვის ბრძოლა, არამედ ხელისუფლებისათვის.

თავდაპირველად ყველა რევოლუცია უსისხლოდ ხდება. სამოქალაქო ომი და ჟუჟვა-ხოცვა მერე იწყება, როცა ძველი თანამებრძოლები ხელისუფლებას, როგორც ნადავლს, ვერ იყოფენ.

1789 წლის 14 ივლისს აჯანყებულმა ფრანგებმა ბასტილია უსისხლოდ აიღეს. იმ საზარელ ბასტილიაში, რომელიც საფრანგეთის ყოველ მოქალაქეს შიშის ზარს სცემდა, პატიმრებიც კი არ ყოფილან. ლუი მეთექვსმეტე და მისი ხელისუფლება რევოლუციას არსებითად წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდა. უბედურება მერე დატრიალდა, როცა გამარჯვებული რევოლუციონერები ერთმანეთში ვერ მორიგდნენ, ერთმანეთს მიესიენ და გილიოტინით პანტაპუნტით წაცალეს ერთმანეთს თავები. ამასობაში საქმეში როიალისტებიც ჩაერივნენ და დაიწყო დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა.

რუსეთშიაც ორივე რევოლუცია, თებერვლისაც და ოქტომბრისაც უსისხლოდ მოხდა, მშვიდობიანად. სისხლისღვრა და სამოქალაქო ომი მერე ატყდა, როცა ბოლშევიკებმა 1918 წლის დამფუძნებელი კრება გარეკეს და ხელისუფლებას მარტოდმარტო დაეპატრონენ. პირში ჩალაგამოვლებულმა პარტიებმა ეს ვერ აიტანეს და ერთმანეთს დასცხეს. ამით მონარქიის მომხრეებმაც ისარგებლეს და სამოქალაქო ომიც გაჩაღდა. რა სისხლის ზღვა დააყენა ამ ომმა, ეს ყველასათვის კარგად ცნობილია.

ისტორიის ეს გამოცდილება უთუოდ და უთუმცაოდ მოითხოვდა ეროვნული მოძრაობის ძალების ერთიანობას, სხვაგვარად საქართველოშიც განმეორდებოდა ის უბედურება, რასაც შინააშლილობა ჰქვია.

ერთიანობის შესანარჩუნებლად მიზანშეწონილად მივიჩნიე ის, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნული მოძრაობის ყველა პარტია და საზოგადოება ერთ მთლიან ბლოკად გამოსულიყო («მამული», 1990 წ., [1]16). არჩევნებში ორი ბლოკი მიიღებდა მონაწილეობას: ერთი, მაშინდელი მმართველი პარტიის, კომუნისტების, ბლოკი და მეორე, ეროვნული მოძრაობის ყველა პარტიისა და საზოგადოების გაერთიანებული ბლოკი.

ეს ერთიანობა მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ეროვნული მოძრაობა უკვე გახლეჩილი გახლდათ. უკვე არსებობდა ეროვნული კონგრესი. ეროვნული მოძრაობის ერთი ფრთა საერთოდ არ მონაწილეობდა არჩევნებში. აუცილებლად ვთვლიდი იმათ ერთად ყოფნას, არჩევნებში ვინც მონაწილეობდა. მაგრამ გაერთიანება არ მოხერხდა. უმრავლესობას თავთავის სახელით უნდოდა არჩევნებში მონაწილეობა. უკანასკნელად კიდევ ერთხელ მოვუწოდეთ. გაზეთ «მამულში» (1990 წ. №20), გაშლილ გვერდზე, ეროვნული მოძრაობის ყველა მეთაურის სურათი დავბეჭდეთ. დევიზად გალაკტიონის სიტყვები გამოვიყენეთ: «გათენდა, შეერთდით, შეერთდით, შეერთდით, დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!».

არაფერმა გაჭრა. გაერთიანება არ მოხერხდა.

რაკი ეროვნული მოძრაობის ერთიანობის აღდგენა გამოითიშა, მომავალი შინააშლილობაც ცხადად გამოიკვეთა. ამიტომ არჩევნებში არც რუსთაველის საზოგადოებისა და არც პირადი მონაწილეობა უკვე აღარ მსურდა (ამას დაადასტურებს

რუსთაველის საზოგადოების მაშინდელი მმართველობის ყველა წევრი). მაგრამ რუსთაველის საზოგადოებას არ უნდოდა გამოკლებოდა არჩევნებს. მე შემეძლო უარი მეთქვა პირად მონაწილეობაზე, მაგრამ რა უფლება მქონდა წინ გადავღობებოდი მთელი საზოგადოების სურვილს. პოზიცია დავთმე და ფორმალურ მონაწილეობას დავთანხმდი. ამან გამოიწვია მაშინ ჩემი 49-ე ნომრობა. მერე ერთმა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ჩემს იმჟამინდელ საქციელს «პოლიტიკური კეკლუცობა» უწოდა («ლიტერატურული საქართველო», 1992 წ., 27 მარტი). ალბათ, მკითხველი მიხვდება, რომ ეს არავითარი «კეკლუცობა» არ ყოფილა.

ერთი სიტყვით, ჩემი მცდელობა დამარცხდა.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი: ახლა ხშირად მაყვედრიან _ «მრგვალმა მაგიდამ» გაერთიანება შესთავაზა და უარი თქვაო. ჩემი პრინციპი იყო ეროვნული მოძრაობის ყველა ძალის გაერთიანება. «მრგვალი მაგიდა» მთავაზობდა რუსთაველის საზოგადოებისა და «მრგვალი მაგიდის» გაერთიანებას ერთ საარჩევნო ბლოკად. ამგვარ გაერთიანებას პირადად ჩემთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რაკი ძირითადი იდეა _ მთელი ეროვნული მოძრაობის ერთიანი ბლოკით არჩევნებში მონაწილეობა _ დამარცხებული იყო. ეს ერთიანობა უბრალოდ აკვიატებული აზრი არ ყოფილა. ყველა დროში ყველა მტერი საქართველოს წინააღმდეგ ქართველი ხალხის მძიმე სენს _ დაქსაქსულობას _ იყენებდა (დღეს ხომ მაინც ცხადად და ნათლად ჩანს, რა ოსტატურად იყენებს რუსეთი ჩვენს გათიშულობასა და დაქსაქსულობას!). ააცდენდა კი ორი ბლოკის («მრგვალი მაგიდა» + რუსთაველის საზოგადოება) ერთიანობა საქართველოს იმ სისხლიან უბედურებას, რაც ეროვნული მოძრაობის გათიშულობით ემუქრებოდა? რა თქმა უნდა, ვერა. ამაში დაეჭვება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ისტორიული პროცესის ინჩი-ბინჩი არ ეყურება. 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებისათვის კი «მრგვალ მაგიდას» რუსთაველის საზოგადოების მოკავშირეობა არ სჭირდებოდა. ეს არჩევნებმაც დაადასტურა.

ეროვნული მოძრაობის ერთიანობა-მთლიანობის აუცილებლობას მაშინ როგორ გავიგებდით, როცა ეს დღესაც არ გვესმის. ისევ დაფანტულ-დაქსაქსული ვართ, ისევ გრძელდება პარტიული კინკლაობა, ხელისუფლებისათვის ბრძოლა, შინააშლილობა. ვერა და ვერ გავაცნობიერეთ, რომ საქართველოს ემუქრება ტერიტორიული დანაკუწების საფრთხეც და სულიერ-ქონებრივი გაღატაკების საფრთხეც. როგორც უნდა გვძულდეს ერთმანეთი, როგორც უნდა ვიყოთ ბოღმით გაგუდული ერთმანეთის მიმართ, ჩვენ მაინც უნდა გავერთიანდეთ და მტერს ერთიანობით შევებრძოლოთ. სხვა გზა ხსნისა არ არის.

მეორე: ეროვნული მოძრაობის საბედისწერო შეცდომა იყო, როცა მან უგულვებელჰყო ეკონომიკა და მთელი ყურადღება პოლიტიკას მიაპყრო, როცა ფიქრობდა, რომ ჯერ პოლიტიკური ძალაუფლება უნდა ჩაეგდო ხელში და ეკონომიკას მერე მოუვლიდა. პრინციპი _ ჯერ პოლიტიკა და მერე ეკონომიკა მაშინაც მცდარად მიმაჩნდა («მამული», 1989 წ. №2) და დღესაც ასევე მიმაჩნია.

როცა ეროვნული მოძრაობა ეკონომიკას მეორეხარისხოვან საქმედ თვლიდა, სულ მცირე ორ გარემოებას არ ითვალისწინებდა:

ა) სტალინმა და ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სსრკ ორი ჯაჭვით შეკრა _ იდეოლოგიურითა და ეკონომიკურით. მოკავშირე რესპუბლიკები, რომელნიც სსრკ-ში შედიოდნენ, ეკონომიკით ისე იყვნენ ერთმანეთს მიწებებული, როგორც სიამის ტყუპისცალები. როგორც სიამის ტყუპისცალების განცალკევება ურთულესი და უმძიმესი პროცესია, ასევე იყო ურთულესი და უძნელესი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დაშორიშორება. მხოლოდ სკალპელით თანდათან, ფრთხილად და

ფაქიზად უნდა გადაგვეჭრა ეკონომიკის დამაკავშირებელი ძაფები. ჩვენ კი ისინი ერთი დარტყმით, უხეშად, ბლაგვი ნაჯახით დავგლიჯეთ. დაგლეჯამ ეკონომიკური ჟანგბადის მოწოდება შეწყვიტა და ახლა ხმელეთზე ამოყრილი თევზებივით ვფართხალებთ. ჩვენი სულწასულობის გამო იმ ხაფანგში გავებით, რომელიც სტალინმა წინასწარ დააგო.

ბ) დრომ აჩვენა, რომ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა. აუცილებელი გახდა იმ სისტემის _ სოციალური საბაზრო ეკონომიკის _ შემოღება, რაც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ეს საკუთრების ფორმის შეცვლას ითხოვდა. საზოგადოებრივი (სახელმწიფო) საკუთრება კერძოთი უნდა შეცვლილიყო. ეს კი, ვადიმ ბაკატინის მოხდენილი შედარებით რომ ვთქვათ, ნიშნავდა _ ერბოკვერცხიდან ისევ კვერცხის გაკეთებას. ადვილია კვერცხიდან ერბოკვერცხის გაკეთება, მაგრამ რამდენად არის შესაძლებელი ერბოკვერცხიდან ისევ კვერცხის გაკეთება, ეს თავად განსაჯეთ. ასეთ ვითარებაში გვჭირდებოდა ეკონომიკური რეფორმის ბრძნული გეგმა. ბრძნული კი არა, არავითარი გეგმა არ ყოფილა შემუშავებული. მართალია, დრო და დრო, კომუნისტური რეჟიმის დამხობამდე, ეროვნული მოძრაობის ესა თუ ის წარმომადგენელი ან ჯგუფი აქვეყნებდა ეკონომიკურ პროგრამებს, მაგრამ ისინი უტყუარად ერთ რამეს მოწმობდნენ და ადასტურებდნენ _ ქართული ეკონომიკური აზრის მოუმზადებლობას რეფორმისათვის. აგრეთვე იმას, რომ საქართველოს არ ჰყავდა ეკონომისტთა რაზმი, რომელსაც შეეძლო ურთულესი ვითარებისათვის თავის გართმევა და ქვეყნის ეკონომიკური პატრონობა.

ნურავის ეწყინება ეს. ეს დასკვნა უდაო გახადა საქართველოს დღევანდელმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ.

ქართული პოლიტიკური და ეკონომიკური აზრის უსუსურობის ბრალია ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკა, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებიდან დღემდე, ისევ იმ კლეპტოკრატიის ხელშია, ვის ხელშიაც იყო კომუნისტური რეჟიმის დროს. დღეს უმთავრესი ამოცანაა კლეპტოკრატიის ჩამოცილება ეკონომიკის ასპარეზიდან. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ნურავის ექნება იმის იმედი, რომ საქართველო თავს დააღწევს ეკონომიკურ ქაოსს. ამ ქაოსს კლეპტოკრატია საგანგებოდ ქმნიდა და ქმნის იმისათვის, რომ ამღვრეულ წყალში თევზი უხვად დაიჭიროს.

რაც ზემოთ გითხარით, იქიდან ერთი დასკვნა გამომდინარეობს: ჩემი მცდელობა _ განსაკუთრებული და საგანგებო ყურადღება მიქცეოდა ეკონომიკას _ მარცხით დამთავრდა. როცა განგებამ ხელისუფლება არგუნა ეროვნულ მოძრაობას, იგი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ეკონომიკური საქმიანობისათვის.

მესამე: ბუნებაში ყველაფერი, რაც იზრდება და ვითარდება, იზრდება და ვითარდება თანდათანობით. ბავშვი იზრდება თანდათანობით, ხე-ხილი ისხამს და მწიფდება თანდათანობით, ყანა აღმოცენდება თანდათანობით და ა.შ. ამ პროცესებს ვერ დააჩქარებ. მით უმეტეს, უცბად, ერთბაშად ვერც გაზრდი, ვერც დაამწიფებ და ვერც აღმოაცენებ. თანდათანობითობა ბუნების კანონზომიერებაა და მას ვერსად გაექცევი. უცბად და ერთბაშად მარტო დანგრევა შეიძლება, აშენება _ არა. ისტორიაშიც, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ეს კანონი მოქმედებს. ვინც ამის დარღვევას მოინდომებს, იგი საქმის გაფუჭების მეტს ვერაფერს შესძლებს.

ამ კანონზომიერების გამო იყო რუსთაველის საზოგადოება მომხრე ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა განვითარებულიყო თანდათანობით, ევოლუციის გზით. გამოაქვეყნა კიდეც მან ეს გეგმა გაზეთ «კომუნისტში» 1990 წლის 17 აგვისტოს (უფრო ვრცლად ამაზე ლაპარაკი იყო რუსთაველის საზოგადოების საარჩევნო

პროგრამაში). მაგრამ ამ გეგმას არავინ გამოხმაურებია (უარყოფითადაც კი). საერთოდ, ყურადღების ღირსადაც არ ჩაითვალა.

ეკონომიკური მოწყობის გეგმა რომ არ არსებობდა, ამაზე უკვე ვილაპარაკეთ. საუბედუროდ, არ არსებობდა არც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და ეთნიკური მოწყობის გეგმაც.

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ ერთი უპირველესი ამოცანა იყო ბიუროკრატიის მაქსიმალური შემცირება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. ბიუროკრატია ახრჩობს და გასაქანს არ აძლევს შემოქმედებით შრომას. სოციალური საბაზრო ეკონომიკა კი სწორედ თავისუფალ შრომას ეყრდნობა. თუ ბიუროკრატია შებოჭავდა თავისუფალ შრომას, მაშინ სოციალური საბაზრო ეკონომიკაც ვერ ჩამოყალიბდებოდა. ამდენად, გადაუდებელი საქმე იყო ახლებური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, რამდენადაც შესაძლებელია მცირე ბიუროკრატიით. როგორც იცით, ეს პრობლემა დღესაც არ არის გადაწყვეტილი და მხოლოდ ლაპარაკისა და სჯა-ბაასის ფაზაშია. არადა, კომუნისტური რეჟიმის დამხობიდან უკვე ორი წელიწადი და შვიდი თვე გავიდა (სხვათა შორის, დემოკრატიულმა საქართველომ 2 წელიწადი და ცხრა თვე იარსება).

ასევე საჭირო იყო საქართველოს ეთნიკური მოწყობის მყარი გეგმაც. სხვა რომ არა იყოს რა, საქართველოში სამი ავტონომია არსებობდა და მათი ბედ-იღბალი ძალიან მკაფიოდ უნდა გაგვეაზრებინა. ყოველი არაქართველი, რომელიც ჩვენში ცხოვრობდა, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებელი უნდა გაგვეხადა. მაგრამ ეს მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, როცა მათ ნათლად ეცოდინებოდათ _ რა ადგილი უჭირავთ და რა ფუნქციას ასრულებენ დამოუკიდებელ საქართველოში. ამის მაგიერ, ზოგიერთმა იმის მტკიცება დაიწყო საქართველო მრავალეროვანი ქვეყანა არ არისო. არის თუ არა საქართველო მრავალეროვანი ქვეყანა და გვჭირდებოდა თუ არა ეთნიკური მოწყობის პროგრამა, ამას დღეს ბრმაც ხედავს: არაქართველთაგან ერთნი (აფხაზები, ოსები) იარაღით გვებრძვიან და ღვიძლ მიწა-წყალს გვართმევენ და მეორენი (აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები და სხვანი) გულგრილად უყურებენ საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს.

ჯარის შექმნის ურთულესი პრობლემაც წინ გვედო. არ გვქონდა სამხედრო მრეწველობა, არ გვქონდა ფული, ქართველი ფსიქოლოგიურად ჯარისკაცობისათვის არ იყო მომზადებული. როცა ვთქვი, რომ ქართველი ისევე არ იმსახურებს ქართულ ეროვნულ ჯარში, როგორც არ მსახურობს საბჭოთა არმიაში-მეთქი, _ განცვიფრებული სახეებით შემომხედეს და მტკიცება დაიწყეს _ საბჭოთა არმიაში პროტესტის ნიშნად არ მსახურობენ. როგორც კი ქართული ჯარის ჩამოყალიბება დაიწყება ქართველ ჭაბუკებს შინ ჯაჭვით ვერ დააბამ, ყველა ჯარში გაიქცევაო. ახლა ხომ ვხედავთ, როგორ არსებობს ქართული შეიარაღებული ძალა, თავგამეტებული და თავდადებული ენთუზიასტების მცირე ჯგუფის ხარჯზე. უმრავლესობა დეზერტირობს და ყველა ღონით ცდილობს თავი აარიდოს სამხედრო სამსახურს. გაზეთმა «დრონმა» (1993 წ. [1]35) დეზერტირების სია გამოაქვეყნა. მხოლოდ ერთი სამხედრო-სასწავლო ცენტრიდან 89 კაცი გაპარულა შინ. დარჩა კი ვინმე მანგლისის სამხედრო-სასწავლო ცენტრში? სხვა ადგილებიდან რამდენია გაქცეული?

არმიისა და ჯარისკაცისადმი პატივისცემისა და ერთგულების გრძნობის აღზრდას ქართველის ცნობიერებაში დიდი დრო უნდა. ჩვენ არასოდეს არ გვყოლია რეგულარული არმია. ფეოდალური საქართველო სახელდახელოდ შეკრებილი სახალხო ლაშქრით იბრძოდა. რუსეთის არმიაში სამსახური კი ქართველს ყოველთვის ჭირის დღესავით სძაგდა. თუ მიდიოდა, მიდიოდა ძალდატანებით. ეს ძალადობა კი მას

ყოველგვარ ჯარს სამუდამოდ აძულებდა. ამ სიძულვილის დაძლევას და არმიის, ჯარისკაცობის შეყვარებას დიდი აღმზრდელობითი მუშაობა სჭირდება და, რა თქმა უნდა, ისევე დიდი დროც, ანუ თანდათანობითობა.

როგორც ეროვნულ მოძრაობას, ისე ქართველ საზოგადოებას თანდათანობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. ეს უტყუარად გამოვლინდა 1989 წლის 11 ნოემბერს თბილისის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრა-კრებაზე («თბილისი», 1989 წ., 14 ნოემბერი). ასე, რომ ამ საკითხშიც დავმარცხდით.

უნდა იმას მტკიცება, რომ ადამიანი, რომლის შეხედულებებსაც არ იზიარებს საზოგადოება, ხალხი, არჩევნებში არ უნდა მონაწილეობდეს? ვფიქრობ, რომ არ უნდა. ასე იყო მაშინ. ასეა დღესაც. ჩემი აზრი, რომ ეროვნული მოძრაობა დამარცხდა, არ გაიზიარეს. ეს გაზეთმა «შანსმა» (1993 წ., №21-22) დააფიქსირა კიდეც. მაგრამ ეს არაფერი. შეიძლება ამა თუ იმ პარტიას, ამა თუ იმ პოლიტიკოსს ჰქონდეს მეტნაკლებად მისაღები პროგრამა როგორ მოწესრიგდეს ეკონომიკური ქაოსი, როგორ დავამთავროთ ომი ანდა როგორ ვუშველოთ განათლებასა და კულტურას (თუმცა არც ეს პროგრამები წარმოუდგენია ვინმეს ხალხისათვის), მაგრამ არავინ (მათ შორის, მეც) უწყის ორი უმთავრესი და უძირითადესი რამ _ როგორ დავაცხროთ სიძულვილი, რომელიც საქართველოში მძვინვარებს და როგორ ვისწავლოთ შრომა.

დღეს ქართველ ხალხს არაფერი აერთიანებს, არც სარწმუნოება, არც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიყვარული, არც საქართველოს გადარჩენის წყურვილი. ახლა საქართველოში უთვალავი გაზეთი გამოდის, მაგრამ ვერსად შეხვდებით რაიმე პოზიტიურ პროგრამას ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად. ისინი სავსეა მხოლოდ ბოღმით, გესლით, ლანძღვა-გინებით, საბუთიანი თუ უსაბუთო კრიტიკით, მოყვასის მარცხით გამოწვეული სიხარულით, ნიშნისმოგების კბილების კრეჭით. საქართველოში ყველაფრის კრიზისია, მაგრამ ყველაზე შემზარავია და საშიში აზროვნების კრიზისი. რა დასძლევს და მოაგვარებს აზროვნების კრიზისს?

ღრმად მჯერა და მწამს, რომ 11 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ იმ ადამიანებს, რომელთაც ჰქონდათ პროგრამა, თუნდაც ზერელე, _ როგორ შეიძლება აზროვნების კრიზისის გადალახვა, სიძულვილის დაცხრობა და შრომის სწავლა. ასეთი პროგრამა არ მქონდა და 11 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა ამიტომ არ მივიღე.

თუ ეს სამი ურთულესი პრობლემა ვერ მოვაგვარეთ, ვერცერთ საჭირბოროტო საკითხს ვერ გადავწყვეტთ. ამას სკეპტიციზმად ნუ ჩამომართმევთ. ეს მარტივი სიმართლეა.

კორესპ. _ როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრი, რას იტყვით, როგორი სახელმწიფო გვინდა?

ა.ბ. _ ოცნებით ყველას გვინდა დემოკრატიული, თავისუფალი, ერთიანი, მთლიანი, მდიდარი, ძლიერი, კულტურული, განათლებული, მშვიდობიანი, მოწესრიგებული, აღორძინებული სახელმწიფო. მაგრამ პრაქტიკულად, რეალურად, საქმით როგორს ავაშენებთ, დრო აჩვენებს.

კონკრეტულ ნიმუშს თუ მთხოვთ, გეტყვით, რომ მინდა ისეთი სახელმწიფო იყოს საქართველო, როგორიც შვედეთია. მართალია, იქ მონარქიაა და მე რესპუბლიკის მომხრე ვარ, მაგრამ ქართული სახელმწიფოს ბუნება და თვისება მინდა იყოს ისეთი, როგორიც შვედურ სახელმწიფოს აქვს.

კორესპ. _ თქვენ პირველმა დასვით საჯაროდ საქართველოს დემოკრატიულ საწყისებზე ადმინისტრაციული მოწყობის (სამხარეო თვითმმართველობის) საკითხი. დღეს, ქვეყნის დეზინტეგრაციის საფრთხის პირობებში, რა გზა უნდა ავირჩიოთ _ გაბედული ადმინისტრაციული რეფორმა თუ ცენტრალიზმი?

ა.ბ. _ მე ვიყავი და ვრჩები თვითმმართველობის მომხრედ, მაგრამ ეკონომიკური ქაოსის, ომის, შინააშლილობის ვითარებაში მეეჭვება, რომ თვითმმართველობა შემოღებული იქნეს. ამას ისიც უნდა დავუმატო, უახლოეს ხანებში საქართველოში დიქტატურა დამყარდება. დიქტატურისათვის კი, მოგეხსენებათ, თვითმმართველობა უცხო ხილია. ამას ნუ მიიღებთ წინასწარმეტყველებად. ესეც ისტორიის გამოცდილებით გაკეთებული დასკვნაა. თუ ნებას მომცემთ, იმასაც გეტყვით _ რატომ მოხდება ასე.

ყოველი რევოლუციის მამოძრავებელი მოტორია სიძულვილი, რომელიც ხალხის უდიდეს ნაწილს აქვს, ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში, არსებული ხელისუფლების მიმართ.

ინგლისის რევოლუციას ამოძრავებდა ის სიძულვილი, რომელიც ინგლისელ ხალხს და ინგლისურ ბურჟუაზიას ჰქონდა მონარქიისა და არისტოკრატიის მიმართ.

ასევე საფრანგეთის რევოლუციას ამოძრავებდა ფრანგი ხალხისა და ფრანგული ბურჟუაზიის სიძულვილი ბურბონთა დინასტიისა და არისტოკრატიის მიმართ.

რუსეთის რევოლუციასაც ამოძრავებდა რუსი ხალხისა და პროლეტარიატის სიძულვილი ცარისტული რეჟიმისა და მემამულე თავადაზნაურობის მიმართ.

ქართულ ეროვნულ მოძრაობას ამოძრავებდა ქართველი ხალხის სიძულვილი კომუნისტური რეჟიმისა და რუსეთის იმპერიის მიმართ.

ყოველ რევოლუციას ხალხი დიდი იმედით შეჰყურებს. ჰგონია, რომ, რაკი რევოლუცია მოხდება, ჯოჯოხეთი სამოთხით შეიცვლება. მაგრამ ასე არ ხდება. არცერთი რევოლუცია არაფერს იძლევა, გარდა იმისა, რომ ერთ ბატონს შეცვლის მეორეთი. ანატოლ ფრანსის სარკაზმულ ნათქვამს თუ გამოვიყენებთ, რევოლუცია მხოლოდ შუშებს ამტვრევს და შუშისჩამსმელებს ამდიდრებს. ყოველი რევოლუციის შემდეგ, ხალხი მოტყუებული და გაცუცურაკებული რჩება. როცა ხალხი ამას გააცნობიერებს, იგი სასოწარკვეთილებაში ვარდება, გული უტყდება და პასიური ხდება.

ინგლისის რევოლუციამაც, საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციამაც გული გაუტეხა ხალხს. ხალხმა იგი ვერ მიიღო, რასაც მოელოდა და რისიც სჯეროდა.

ქართველი ხალხიც იმედის თვალით უყურებდა ეროვნულ მოძრაობას. მასთან აკავშირებდა არა მარტო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განახლებას, არამედ ეკონომიკურ-სოციალურ კეთილდღეობასაც. მაგრამ იმედი გაუმტყუნდა. რა ვითარებაა დღეს საქართველოში, ამაზე უკვე ვილაპარაკეთ ჩვენი საუბრის დასაწყისში. თუმცა რა ლაპარაკი უნდა, ყველა ცხადად ხედავს.

ხალხს ბავშვის თვისება აქვს. როგორც შეშინებული, დაჩაგრული ბავშვი დედის კალთაში ეძებს თავშესაფარს და პატრონს, ასევეა გულგატეხილი და აპათიაში ჩავარდნილი ხალხიც. იგი ძლიერ პიროვნებაში ეძებს პატრონსა და მშველელს. ისეთი პიროვნებანიც ჩნდებიან, მაგალითად, ინგლისში _ კრომველი, საფრანგეთში _ ნაპოლეონი, რუსეთში _ სტალინი. ისინი ცრუ თუ მართალი დაპირებებით ხალხს რაღაც მიზნისაკენ წარმართავენ, ხალხიც მათ გარშემო ირაზმება. ისევ ახალი იდეალით აღენთება, იბრუნებს შემოქმედებით ენერგიას, უქრება აპათია და აღთქმული მიზნისაკენ მიდის დიქტატორის მეთაურობით. მართალია, ბოლოს დიქტატორის აღთქმული მიზანიც ფუჭი აღმოჩნდება, მაგრამ ხალხი კმაყოფილია იმით, რომ გარკვეული ხნით შემოქმედებითად არის აღგზნებული და სიცოცხლის ხალისით ანთებული.

დღევანდელ ვითარებას რომ თავი დააღწიოს ქართველი ხალხიც დაიწყებს მშველელისა და პატრონის ძებნას. იპოვის კიდეც. იქნება ეს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელი თუ ახალი ვინმე, არ ვიცი. ვიცი ის, რომ ასეთი

პიროვნება უთუოდ გამოჩნდება. იგი, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას არავის გაუყოფს და თავს აბსოლუტურ მმართველად გამოაცხადებს.

რაც ახლა გითხარით, იმას დღეისდღეობით არავინ დაიჯერებს. სასაცილოდაც მოეჩვენებათ. საქართველო მტკიცედ ადგას დემოკრატიის გზას და არ გადაუხვევსო, _ იტყვიან. იმასაც დაამატებენ _ თავს გავწირავთ და დიქტატურას არ დავუშვებთო. მაგრამ დიქტატურის მოსვლა არც პარლამენტის გუნება-განწყობილებაზე იქნება დამოკიდებული, არც პარტიებისა და არც ჯარის. იგი მორჩილებს დროის, ვითარებისა და ხალხის მოთხოვნილების კანონზომიერებას. არავის შეუმჩნევია წინასწარ როგორ გახდა დიქტატორი კრომველი, ნაპოლეონი, სტალინი. როცა მათი დიქტატორობა შეამჩნიეს, უკვე გვიან იყო. უკვე ისეთ ძალას ფლობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ხმის ამოღება აღარავის შეეძლო. ასეთია ისტორიული პროცესის საიდუმლოება. იგი ისე ჩუმად დადის, როგორც ძილი. ვერავინ ამჩნევს, როგორ მიეპარება ადამიანს ძილი. ისტორიულ პროცესს ისევე ჩუმად მოჰყავს დიქტატორი და სვამს თავის სკამზე.

კორესპ. _ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში აშკარად დომინირებს რუსეთის ფაქტორი. როგორ მოვახდინოთ ამ ფაქტორის ნეიტრალიზება?

ა.ბ. _ როგორც საგარეო ურთიერთობის პრინციპი, სადაო არ არის, უნდა ავირჩიოთ ყველა მეზობელ ქვეყანასთან, დიდი იქნება იგი, თუ პატარა, კეთილი, მშვიდობიანი, საქმიანი ურთიერთობა. მაგრამ მეზობელზე არის დამოკიდებული, სურს თუ არა მას ეს. თუ არ სურს, მაშინ ისე უნდა მოვეკიდოთ, რასაც იმსახურებს იგი. მოვლენები, რომელიც დღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ხდება, აშკარად მოწმობს იმას, რომ რუსეთს არ სურს ჩვენთან მშვიდობიანი, კეთილი და საქმიანი ურთიერთობა. იგი თვალთმაქცობს, ორპირობს, გვატყუებს. მას საქართველო ისევ კოლონიად მიაჩნია და ყველა საშუალებით ცდილობს ჩვენს დაჩაგვრას. იმით გაბოროტებული რუსეთი, რომ კოლონიები ხელიდან გაუსხლტა, დიდხანს არ დაადგება სინდის-ნამუსიან გზას ჩვენთან ურთიერთობაში, არც სხვებთან. ყოველთვის შეეცდება ცბიერებითა და მზაკვრობით ზიანი მოგვაყენოს. ხომ ნახეთ, რა მოუწყო აზერბაიჯანს, აჯანყება განჯაში. სომხეთთან ომში დამარცხებულ აზერბაიჯანს ზურგში ჩასცა დანა.

ჩვენ რუსეთთან ურთიერთობაში მტკიცე პოლიტიკას უნდა ვაწარმოებდეთ. უნდა გავაგებინოთ, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და რუსეთს შეუძლია ჩვენთან ჰქონდეს მხოლოდ ისეთი ურთიერთობა, როგორიც აქვს, ვთქვათ, დანიასთან ან ჰოლანდიასთან. მართალია, ამის შეგნება რუსეთის ხელისუფლებას გაუჭირდება, მაგრამ უნდა შევაგნებინოთ. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შეჩერება მხოლოდ სიმტკიცით შეიძლება. ჩვენი გაუტეხელობა და ქედმოუდრეკელობა უნდა იყოს ის ძალა, რომელიც რუსეთს აიძულებს მოგვექცეს მორიდებით და პატივისცემით. დღეს ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს, რომ აუცილებელია გაწყვეტილი ეკონომიკური კონტაქტების აღდგენა რუსეთთან. ჩვენ ურუსეთოდ, სხვა ქვეყნების (თუ გნებავთ, იგივე ჩინეთის) დახმარებით უნდა წამოვაყენოთ ფეხზე ქართული ეკონომიკა. როგორც უნდა გვიჭირდეს, ეკონომიკური დახმარებისათვის რუსეთს არ უნდა მივმართოთ თორემ სწორედ ეკონომიკურ თოკს წაგვიჭერს ყელში და საითაც უნდა იქით წაგვათრევს. ეს პოლიტიკაში ნაცადი ხერხია და უტყუარად მოქმედებს. ჩვენ იმ მშიერი მგლის სიამაყე უნდა გვქონდეს, გამაძღარ-გასუქებულ ძაღლს რომ შეხვდა. მგლის შეკითხვაზე _ კისერზე ტყავი გახეხილი რატომ გაქვსო _, ძაღლმა უპასუხა: ჩემი პატრონი მასმევს, მაჭმევს, მივლის, მსუქნადაც იმიტომ ვარო, მაგრამ, როცა მოესურვება, ჯაჭვით მაბამს და კისერიც იმ ჯაჭვმა გამიხეხაო. მგელი დაფიქრდა და ძაღლს უთხრა: _აბა, ჩემო კარგო, მე ტყეში მშიერი წანწალი და თავისუფლება მირჩევნია შენი პატრონის მსუყე სალაფავს და ჯაჭვსო.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაშიც ასეა: ეკონომიკურ სალაფავს ჯაჭვიც თან ახლავს. თუ ჩვენ მართლა გვინდა დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მაშინ წელებზე ფეხი უნდა დავიდგათ და ჩვენი ეკონომიკა ჩვენივე ძალ-ღონით აღვადგინოთ. მაშინ ყველა პატივისცემით შეგვხედავს და რუსეთიც იძულებული გახდება მორიდებით გველაპარაკოს. თუ ჩვენ ძველებურად გავაგრძელეთ წამდაუწუმ მოსკოვში ცუნცული, რუსეთი ყოველთვის თავის ყმად ჩაგვთვლის.

თუმცა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა გვირჩევნია _ მშიერი მგლის ბედი თუ მაძღარი ძაღლისა.

კორესპ. _ როგორია თქვენი გეგმები, რას აკეთებთ, როგორც მწერალი, კრიტიკოსი...

ა.ბ. _ ჟურნალმა _ «თეატრი და ცხოვრება» _ დაიწყო ჩემი წიგნის «ნიღბების სამყაროში» გამოქვეყნება. წელსვე «სარანგი» გამოსცემს ჩემს წიგნს «დაწუნებული გზა», რომელშიც პუბლიცისტური წერილებია თავმოყრილი.

1993 წ.

ეს რუსეთ-საქართველოს ომია

ლილი ბერბუთაშვილი _ რა ჰქვია დღევანდელ ომს აფხაზეთში?

აკაკი ბაქრაძე _ ომს, რომელიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს, ეწოდება რუსეთ-საქართველოს ომი. რუსეთი საქართველოს ეომება აფხაზების, ოსების, ჩრდილოკავკასიელების ხელით. თუ დასჭირდა სხვებსაც ჩარევს.

ლ.ბ. _ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა რესპუბლიკური პარტიის პროექტი აფხაზეთის მოწყობის შესახებ _ თქვენი აზრი? კონკრეტულად როგორ მოვაგვაროთ ჩვენი ურთიერთობები აფხაზეთში და ყოფილ «სამხრეთ ოსეთის» ავტონომიურ ოლქში?

ა.ბ. _ ვერც რესპუბლიკური პარტიის პროექტი და ვერც რომელიმე სხვა პროექტი (თუნდაც მთელი პარლამენტის) აფხაზეთსა და ცხინვალის, ანუ ყოფილ «სამხრეთ ოსეთის» აო-ში, შექმნილ ვითარებას ვერ მოაწესრიგებს. აფხაზები და ოსები ქართველებს ეომებიან რუსეთის განკარგულებით და სანამ მოსკოვი არ უბრძანებს მათ _ შეწყვიტეთო ომი, _ ისინი არ დამშვიდდებიან. ასე იყო, სხვათა შორის, 1918-21 წლებშიც. აფხაზებმა და ოსებმა ავტონომია მიიღეს ჯილდოდ 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებებისათვის. ამიტომ უნდა მოგვარდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. სანამ ეს ურთიერთობა არ მოგვარებულა, ყველა ცდა აფხაზ-ქართველთა, ოს-ქართველთა ურთიერთობის მოწესრიგებისა, მარცხით დამთავრდება.

ეს ერთი მხარეა საკითხისა. მეორე გახლავთ ის, რომ საერთოდ უნდა შემუშავდეს საქართველოს ადმინისტრაციული და ეთნიკური მოწყობის პროექტები. მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს კანონი _ ვის და რა პირობებში ეძლევა ავტონომია საქართველოში. ამჟამინდელი ავტონომიები საბჭოთა ხელისუფლების შექმნილია. საბჭოურ იურიდიულ მეცნიერებას კი დამუშავებული არ ჰქონდა _ ამა თუ იმ ხალხს, ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში რა პირობებში, რა უფლება-მოვალეობით ეძლევა ავტონომია. მაგალითად, ოსებს მისცეს ავტონომია საქართველოში, მაგრამ ქართველებს (ინგილოებს) აზერბაიჯანში არა. რატომ? კანონის საფუძველზე პასუხს ვერავინ მოგცემთ. ყველა ავტონომია, რომელიც ყოფილ სსრკ-ში არსებობდა შექმნილია თვითნებურად, ყოველგვარი მეცნიერული და სამართლებრივი განსაზღვრის თვინიერ.

ამიტომ ჯერ უნდა დამუშავდეს მეცნიერულად _ ავტონომიის როგორ განსაზღვრას იზიარებს ქართული სახელმწიფო სამართალი, რა მოთხოვნა-პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ესე თუ ის ხალხი, ავტონომიის სტატუსი რომ მიიღოს. საქართველოს ეთნიკური მოწყობისათვის აუცილებელია ეს სამუშაო დაუყოვნებლივ შესრულდეს. ჩემი ნათქვამიდან შემდეგი უნდა დავასკვნათ:

ა) საომარი ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის ოლქში შეწყდება იმის მერე, რაც მოგვარდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.

ბ) აუცილებელია ორი კანონის დამუშავება-მიღება: ა) საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობისა და ბ) საქართველოს ეთნიკური მოწყობისა.

გ) ამ დოკუმენტების საფუძველზე უნდა მოხდეს აფხაზ-ქართველთა და ოს-ქართველთა ურთიერთობის მოწესრიგება.

ლ.ბ. _ მოგეხსენებათ, ამას წინათ პარლამენტში კენჭისყრაზე დადგა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების 2 პროექტი. თქვენ რომელ პროექტს დაუჭერდით მხარს?

ა.ბ. _ არც ერთს. რა თქმა უნდა, თუ გვინდა, რომ საქართველო იყოს ნორმალური სამართლებრივი სახელმწიფო, მას ხელშეკრულებით გაფორმებული კანონიერი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს როგორც მეზობელ, ისე შორეულ სახელმწიფოებთან; მაგრამ საქართველო თითქმის 200 წლის მანძილზე იყო რუსეთის კოლონია. ამიტომ რუსეთმა მთელი მსოფლიოს გასაგონად უნდა მტკიცედ აღიაროს, რომ ა) იგი ერთხელ და სამუდამოდ ცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას, ბ) საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ხელშეუხებლობას, გ) არასოდეს ჩაერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, დ) არ მიიღებს მონაწილეობას ომში, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს წინააღმდეგ, ე) არა აქვს არავითარი პრეტენზია საქართველოს მიმართ.

რუსეთ-საქართველოს მომავალ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს ეს პუნქტები მკაფიოდ ჩაწერილი. ხელშეკრულების სხვა დანარჩენი საკითხები გადაწყდება მოლაპარაკება-შეთანხმებით.

ბალტიისპირეთისა და საქართველოს შედარება არ შეიძლება. ბალტიისპირეთს მთელი ევროპა (განსაკუთრებით გერმანია) იცავს, ჩვენ _ არავინ. მას მერე, რაც რუსეთი ღონიერი სახელმწიფო გახდა, ბალტიისპირეთი გერმანია-რუსეთის სადავო ტერიტორიაა. ძველთაგანვე ლიტვა-ლატვია-ესტონეთის დიდი ქალაქები (მაგალითად, რიგა, ტალინი) შედიოდნენ გერმანული ქალაქების ჰანზის კავშირში. მათ არც არასოდეს გაუწყვეტიათ სულიერი კონტაქტი გერმანულ სამყაროსთან. ახლა გერმანია ძლიერია. იგი იბრუნებს იმას, რაზეც ისტორიული პრეტენზია აქვს. ეკონომიკურად დაჩაჩანაკებულ რუსეთს კი დღეს გერმანია ისე სჭირდება დამხმარედ, როგორც მწყურვალს წყალი. გერმანიის ხათრით რუსეთი ბალტიისპირეთის მიმართ ლმობიერ და დამთმობ პოლიტიკას აწარმოებს.

რელიგიურად ბალტიისპირეთი კათოლიკურ სამყაროს ეკუთვნის. ეს სამყაროც მისი დამხმარეა. მალე ბალტიისპირეთი გაერთიანებულ ევროპას შეუერთდება. სამუდამოდ მშვიდობით, რუსეთო!

საქართველო კი მარტოა. მის გარშემო რელიგიურად უცხო სამყაროა, სოციალურ-ეკონომიკურად კი ღარიბი და ჩამორჩენილი (ევროპასთან შედარებით) ირან-თურქეთი. საქართველომ მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით უნდა გადაირჩინოს თავი.

ამდენად, რუსეთის დამოკიდებულება ბალტიისპირეთის მიმართ სხვაა და საქართველოს მიმართ _ სულ სხვა.

ლ.ბ. _ უამრავი მითქმა-მოთქმა გამოიწვია 21 თებერვლის კონფერენციამ, რომელიც ჩატარდა ფილარმონიაში. თქვენი შეფასება?

ა.ბ. _ 21 თებერვალს ჩატარებული კონფერენციის შეფასებაში ვეთანხმები გაზეთ «მიმომხილველს» (1993 წ., №9): ა) პროგნოზები საპნის ბუშტივით გასკდა, ბ) მოახდინა საქართველოში დაბალი პოლიტიკური კულტურის არსებობის დემონსტრაცია.

ლ.ბ. _ ქართველი ერი «რომ გახლეჩილია», ამას რა ეშველება?

ა.ბ. _ მთელ ყოფილ სსრკ-ში და, კერძოდ, საქართველოში, ამჟამად ერთი საზოგადოებრივი წესწყობილება (სოციალისტური) იცვლება მეორეთი (ჯერ გაურკვეველია, როგორით). ამგვარი ძირეული ცვლილება გამოწვეულია არა მარტო ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ასე შემდეგ მოვლენებით, არამედ როგორც კერძო პირის, ისე მთელი საზოგადოების სულიერ სამყაროში დაგროვებული სიძულვილით. თუ ისტორიულ პარალელს გავავლებდით, შეიძლებოდა გაგვეხსენებინა, რომ წინათ, 1917 წელს, მაგალითად, სიძულვილი დაგროვილი იყო მონარქისტული რეჟიმის მიმართ. ახლა კი დაგროვილია კომუნისტური რეჟიმის მიმართ. ამ სიძულვილმა ჯებირი გაარღვია და იფრქვევა როგორც ვულკანი. მანამ არ დამშვიდდება, სანამ ბოლომდე არ ამოიფრქვევა. ასევე არც სიძულვილი დაცხრება მანამ, სანამ ბოლომდე არ ამოინთხევა.

სიძულვილი ბრმაა. განსჯა არ შეუძლია. მტყუანის და მართლის გარჩევა არ ძალუძს. იგი სტიქიაა და განურჩევლად წალეკავს ყველას, ვინც წინ დახვდება. დღეს საქართველოში სიძულვილი მძვინვარებს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ იგი დაცხრება. ბოლომდე გადმოინთხევა და იმიტომ.

ეკლესიასტე ამბობს: «ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ მიწისქვეშეთში». შემდეგ ჩამოთვლის და გვასწავლის: «ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა, ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა, ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა... ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა, ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა».

ახლა საქართველოში ომის ჟამია, ნგრევის, მტრობის, გესლის ნთხევის, სიძულვილის ჟამი. გავა დრო და ეს ჟამი შეიცვლება მშვიდობის, შენების, სიყვარულის, ლხინის ჟამით. ასეთია ცხოვრების, ისტორიის მსვლელობის კანონზომიერება და იმიტომ. ისე, როგორც სახადს, ყველა ჟამს თავისი ბუდობის ხანა აქვს: ომისას _ თავისი, მშვიდობისას _თავისი, ნგრევისას _ თავისი, შენებისას _ თავისი, სიძულვილისას _ თავისი, სიყვარულისას _ თავისი. ამიტომ მოთმინება და მოლოდინი გვმართებს. მძიმეა ეს მოლოდინი და მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი. როცა ადამიანს მუწუკი აწუხებს, მანამ ვერ მორჩება, სანამ ჩირქი ბოლომდე არ გამოირწყვება.

ლ.ბ. _ ჩვენს ზნეობრივ დაცემას რა ეშველება?

ა.ბ. _ უკვე გითხარით: ახლა საქართველოში სიძულვილის ჟამია-მეთქი. ამ დროს ხალხის ზნეობრივი გახრწნა-დაცემა ჩვეულებრივი მოვლენაა. ზნეობის საფუძველი სიყვარულია და არა სიძულვილი. სიძულვილი უზნეობის საძირკველია. როგორც კი სიძულვილი დაცხრება, დაიწყება ზნეობრივი აღმავლობაც.

ლ.ბ. _ იარაღის დაკანონებაზე თქვენ რა აზრის ბრძანდებით?

ა.ბ. _ იარაღის ტარების დაკანონებასთან დაკავშირებით ტელევიზიით უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი. გამეორება მომიწევს. თუ იარაღის ყიდვა-გაყიდვას და ტარებას დააკანონებს პარლამენტი, ჩაიდენს საბედისწერო შეცდომას. ამით იგი არსებითად დააკანონებს ძარცვა-გლეჯის, მკვლელობა-ძალადობის და, საერთოდ, ყოველგვარი ავაზაკობის უფლებას.

დიდი შეცდომაა იმის ფიქრი, რომ თუ იარაღი ექნება პატიოსან ადამიანს, იგი თავს დაიცავს ბანდიტისაგან. დღევანდელ საქართველოში შემთხვევითი ბოროტმოქმედებანი

არ ხდება. ხდება ორგანიზებული და წინასწარგამიზნული. მის წინააღმდეგ ცალკეული ადამიანი, თუნდაც თხემით ტერფამდე შეიარაღებული, ვერას გააწყობს. ორგანიზებული ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლაა საჭირო ხელისუფლების მხრიდან. რადაც უნდა დაუჯდეს, ხელისუფლებამ ავაზაკებს იარაღი უნდა ჩამოართვას. უფრო მეტიც: თუ პოლიციელი ან სამხედრო პირი სამსახურებრივ მოვალეობას ან საგანგებო დავალებას არ ასრულებს, იარაღს არ უნდა ატარებდეს.

იარაღის ყიდვა-გაყიდვისა და ტარების დაკანონებას საქართველოში ვერც იმ მაგალითის მოშველიება გაამართლებს, რომ აშშ-ში, გერმანიაში, თუ სხვაგან სადმე იარაღი მაღაზიაში იყიდება და პოლიციის ნებართვა თუ გაქვს, ყიდვაც შეგიძლია და ტარებაც. ჯერ მოვაწყოთ საქართველო ისე, როგორც აშშ, გერმანია, დანია თუ ჰოლანდიაა მოწყობილი ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სოციალურად, კულტურულად და მერე კი, ბატონო, თუ საჭიროა იარაღის ტარებაც დაკანონდეს და გაიყიდოს კიდეც, თუ გვექნება. ახლა კი, როცა საქართველოში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, იარაღის ტარების დაკანონება, როგორც გითხარით, საბედისწერო შეცდომა იქნება.

ლ.ბ. _ მანამ სიძულვილი დაცხრება, რომ არ გადავშენდეთ, როგორ მივხედოთ ნარკომანიას?

ა.ბ. _ ნარკომანია მთელი კაცობრიობის უბედურებაა. მან ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ ცალ-ცალკე ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოერევა მას. ნარკომანიის წინააღმდეგ მთელი კაცობრიობის ერთიანი გონისა და ძალისხმევაა საჭირო.

საუბედუროდ, ნარკომანია ადამიანის ორ თანდაყოლილ თვისებას ეყრდნობა _ მისწრაფებას ტკბობა-გაბრუებისაკენ და მისწრაფებას გამდიდრებისაკენ. თუ ერთისათვის ნარკოტიკი ტკბობა-გაბრუების საშუალებაა, მეორისათვის გამდიდრების წყაროა. ადამიანი კი არ მოიშლის არც ტკბობა-გაბრუებისა და არც გამდიდრების სიყვარულს. ამდენად ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის თვისების წინააღმდეგ ბრძოლაც არის. ეს კი ურთულესი და უძნელესი საქმეა.

გეხსომებათ მექსიკაში რომ იყო რუსთაველის თეატრი, მაშინ ქალაქ აგუას-კალიენტეშიც მოგვიწია ყოფნა. ქალაქს რომ ვათვალიერებდით, ნოდარ გურაბანიძე და მე მოულოდნელად ნარკომანების უბანში აღმოვჩნდით. თუ ვინმეს ცხადად სურს ჯოჯოხეთის წარმოდგენა, ეს უბანი უნდა ნახოს. ყველა აგუას-კალიენტელი ნარკომანი იქ იყრის თავს. აფთიაქებიც იქვეა, სადაც თავისუფლად ყიდიან ნარკოტიკებს. სამედიცინო დაწესებულებებიც ზედამხედველობას უწევენ ნარკომანებს. პოლიციელმა აგვიხსნა: ეს უბანი იმიტომ არის გამოყოფილი, რომ რაკი ყველა ნარკომანი აქ იყრის თავს, მათი მეთვალყურეობა იოლიაო. ნარკომანები კი იმიტომ არ გაურბიან ამ უბანს, რომ ნარკოტიკებს თავისუფლად ყიდულობენ და თუ დასჭირდათ, სამედიცინო დახმარებასაც მაშინვე იღებენო.

ეს იმიტომ გავიხსენე, რომ მეთქვა: მექსიკის ხელისუფლებამ სხვა ვერაფერი მოახერხა და ამგვარი უბნები შექმნა, რომ როგორმე ზედამხედველობა გაუწიოს ნარკომანეს.

იმედად ის რჩება, რომ კაცობრიობამ იქნება ერთად გამოძებნოს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება.

ლ.ბ. _ ურთულეს ეკონომიკურ მდგომარეობას უშველის ეროვნული ფულის შემოღება?

ა.ბ. _ ფულის გამოცვლა და ეროვნული ფულის ერთეულის შემოღება არ არის ცალკე პროცესი. იგი უშუალოდ უკავშირდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საქმიანობას. თუ ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ვერ დაამზადებს

პროდუქციას, რომლის გაყიდვა შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ბაზარზე, მაშინ ქართული ფული თვალისდახამხამებაში გადაიქცევა ფარატინა ქაღალდად, ბონად. ეს ფინანსურ კატასტროფას გვიქადის. ეროვნული ფულის შემოღებას დიდი სიფრთხილით და შეგნებით უნდა მოეკიდოს ყველა, განსაკუთრებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები. მათ უკითხავად ქართული ფულის შემოღება არ უნდა მოხდეს. უნდა ვიცოდეთ, რამდენად არიან ისინი მზად ამ ურთულესი პროცესისათვის.

გამორიცხული არ არის, კიდევ უფრო მძიმე ეკონომიკურ სიდუხჭირეში რომ ჩაგვაგდოს, ფულის გამოცვლა გვაიძულოს რუსეთმა. დასაშვებია, მან თავად შეცვალოს დღევანდელი საბჭოური ფული ახალი რუსული ფულით. მაშინ, ცხადია, იძულებული ვიქნებით შემოვიღოთ ეროვნული ქართული ფული. სხვა გზა აღარ იქნება. ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკების ვაჭკაცობაზე, მთელი ჩვენი ხალხის მუყაითობაზე იქნება დამოკიდებული, როგორც გავუძლებთ ამ დარტყმას.

ისე კი, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა ქართული ფული შემოგვეღო მას მერე, რაც ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მთელი ძალით და მაღალხარისხიანად ამუშავდებოდა.

ლ.ბ. _ მოვლენები სწრაფად იცვლება. თქვენი პროგნოზი წლის ბოლომდე?

ა.ბ. _ მე პროგნოზებს არ ვაკეთებ. ზოგჯერ ისტორიის ლოგიკის გათვალისწინებით, გარკვეული დასკვნა გამომაქვს. დასკვნა და პროგნოზი სრულიად სხვადასხვა რამ გახლავთ.

ჩვენი საუბრის დროს, ბუნებრივად, გამოიკვეთა სამი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა-მოგვარებაზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი.

ეს პრობლემებია: ა) ომი რუსეთთან; ბ) საქართველოში გამეფებული ტოტალური სიძულვილი; გ) ეკონომიკური რეფორმა, პრივატიზაცია, ფული და ა.შ. ამ პრობლემათა გადაჭრას დრო სჭირდება და მოთმინება. და კიდევ, ვითარების სირთულის ღრმა შეგნება მთელი ხალხის მიერ.

გაზ. «ივერია-ექსპრესი»,
2. III. 1993

საქართველოში კომუნისტური აზროვნება ისევ არსებობს

გიორგი არევიძე _ ბატონო აკაკი! დღეს საქართველო უმძიმეს კრიზისს განიცდის... ამას ყველა თვალნათლივ ხედავს და საინფორმაციო საშუალებები დღედაღამ გვიმეორებენ მწარე სინამდვილის ამსახველ დეტალებს... არადა, გამოსავლის ძიება მხოლოდ მიზეზთა ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი.

რა არის მიზეზი ჩვენი სამშობლოს დღევანდელი ყოფისა, ესოდენ სავალალო მდგომარეობისა?

აკაკი ბაქრაძე _ დღევანდელი მდგომარეობა გამოწვეული გახლავთ უპირველესად იმით, რომ ჩვენ არ ვიყავით მომზადებულნი თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად და არც ვიზრუნეთ იმისათვის, რომ როგორც ცალკეული მოქალაქე, ისე მთელი ხალხი, ამ უმძიმესი ამოცანის შესასრულებლად მომზადებულიყო. არადა, მის გადაწყვეტა-გადაჭრას სერიოზული მომზადება სჭირდებოდა ყველა დონეზე და ყველა თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ჩვენ სათანადო

ყურადღება ვერ მივაქციეთ ამას და, აქედან გამომდინარე, ჩავვარდით იმ უმძიმეს ვითარებაში, რომელიც დღეს არის გამეფებული საქართველოში...

რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან დიდი წინააღმდეგობები შეგვხვდებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე იმ ფაქტორების გამო, რომლებიც ჩვენში არსებობდა. ჯერ ერთი ის, რომ ძალიან ძნელი და მძიმეა იმ იდეოლოგიის დაძლევა, რომელიც კომუნისტურმა მოძღვრებამ დანერგა. მთავარი ის არის, რომ ეს იდეოლოგია მხოლოდ ბოლო 70 წლის მანძილზე არ ინერგებოდა ჩვენში _ ანუ იმ ხნის განმავლობაში, რაც საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა... სოციალიზმის პროპაგანდა საქართველოში იწყენა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. ეს პროპაგანდა აქტიურად მიმდინარეობდა და მას ბევრი მიმდევარიც ჰყავდა ჩვენში. ლაპარაკი იმაზე, თითქოს საქართველოში ხალხი არ უჭერდა მხარს ამ მოძღვრებას, და რომ ეს, ასე ვთქვათ, გარკვეული წრეების იდეოლოგია იყო, პირადად მე არამართებულად და უსაფუძვლოდ მიმაჩნია. არა. ხალხი მხარს უჭერდა ამ იდეას! თუ გადავავლებთ თვალს რუსეთის იმპერიაში სოციალიზმის ისტორიას, დავინახავთ, რომ ქართველები მეტად აქტიური მონაწილენი გახდნენ სოციალიზმის იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაში; თანაც, არა მარტო ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებებზეა საუბარი, რომლებიც ეწეოდნენ მის პროპაგანდას, არამედ თვითონ ხალხი, თავად ერი. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ 1905-1907 წწ. რევოლუცია რუსეთის იმპერიაში ყველაზე მძაფრი ფორმით საქართველოში გამოვლინდა. ეს ხომ მოწმობს იმას, რომ სოციალიზმის იდეას ძალიან სერიოზულად უჭერდა ხალხი მხარს... ასე რომ, თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენში პროპაგანდა, ქადაგება სოციალისტური იდეისა და ის ძალიან ღრმად არის გამჯდარი ყოველი ქართველი მოქალაქის ცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ძალიან ძნელია ამ იდეოლოგიის დაძლევა და მისგან განთავისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველა აგინებს კომუნიზმსა და სოციალიზმს, საქართველოში ჯერჯერობით ისევ არსებობს კომუნისტური აზროვნება და ჩვენი აზროვნების სისტემა ჯერჯერობით აბსოლუტურად კომუნისტურია; დღესაც ჩვენ სტერეოტიპებით ვაზროვნებთ და ამ სტერეოტიპებს ძალიან ვებღაუჭებით.

როგორც ვთქვით, სახელმწიფოებრიობის მშენებლობა მეტად რთული პროცესია. რთული პროცესია აზროვნების ტიპის შეცვლა და, ალბათ, იგი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. დიდხანს გასტანს მისი დაძლევა, მისი გადალახვა და მისი შეცვლა.

შემდეგი ფაქტორი გახლავთ ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება იოლი არ იქნებოდა მეზობელი იმპერიის არსებობის გამო. რუსეთი თავისი დიდი სახელმწიფოს დანგრევას ასე იოლად ვერ შეეგუებოდა. არსებითად, იმის შემდეგ, რაც რუსებმა მონღოლები დაამარცხეს და ისინი განდევნეს რუსეთიდან, ამ ქვეყანას დამარცხება არ განუცდია: ის იზრდებოდა, როგორც სახელმწიფო და როგორც პოლიტიკური ძალა. საუკუნეთა განმავლობაში რუსეთი ფართოვდებოდა და ბოლოს სუპერსახელმწიფო გახდა _ ნახევარი მსოფლიოს ბატონი და მბრძანებელი. აი, ასეთი სახელმწიფოს დანგრევა (რაც მთავარია, ცნობიერებაში დანგრევა) ძალიან ძნელი შესაგუებელი გახლავთ. დღეს რუსი ადამიანი, რუსი ხალხი შეურაცხყოფილად, დამცირებულად და ღირსებაშელახულად თვლის თავს და, ბუნებრივია, ოცნებობს იმაზე, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფოს ძლიერების აღდგენა, მისი ხელახალი რესტავრაცია.

ეს ვითარება გულისხმობს იმას, რომ რუსეთი ძალიან დიდსა და სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს იმ ქვეყნების დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, რომლებიც ოდესღაც მის იმპერიაში შედიოდნენ.

ამისათვის რუსეთს გააჩნია სხვადასხვა საშუალებანი და იყენებს კიდეც მათ _ ეს იქნება ეკონომიკური, მოუგვარებელი ეთნიკური საკითხები, თუ სხვა _ ყველაფერს გამოიყენებს იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ამ პროცესს, დაარწმუნოს როგორც ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, ისე მთელი ქართველი ხალხი იმაში, რომ საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა... ესე იგი, ჩანერგოს ჩვენს ცნობიერებაში ნიჰილიზმი და იძულებული გაგვხადოს, ისევ რუსეთის მფარველობა «ვისურვოთ».

ეს სამი ფაქტორი, რომლებიც მე ჩამოვთვალე, ჩემი აზრით, არსებითი ხასიათისა გახლავთ და ძირეული. შესაბამისად, ჩვენი მუშაობა, საქმიანობა იმ მიმართულებით უნდა წარიმართოს, რომ როგორმე გადაილახოს ეს 3 დიდი კედელი... შემდეგ კი შეგვეძლება, თანდათანობით მოვაგვაროთ ყველა ის მძიმე პრობლემა, რაც დღევანდელ საქართველოს კისერზე დააწვა.

მართლაც უმძიმესი ვითარებაა, მაგრამ ამ მძიმე ვითარებაში ჩვენ სწორედ გვმართებს, რამდენადაც შესაძლებელია, ღრმა გაანალიზება იმ მიზეზებისა, რამაც ეს გამოიწვია და თანდათანობითი ბრძოლა მათ წინააღმდეგ. «თანდათანობითიო», რომ ვამბობ, ვგულისხმობ გამოყოფას პირველხარისხოვანი, მეორეხარისხოვანი და ა.შ. საკითხებისა და პრობლემებისა, რათა ერთმანეთში არ ავურიოთ და არ მოხდეს ისე, რომ ბევრს შევეჭიდოთ ერთბაშად და ვერაფერი გადავწყვიტოთ.

გ.ა. _ ცხადია, სამომავლო გზების დასახვა დღევანდელ ვითარებაში უაღრესად რთულია... იქნებ მაინც გვეცადა იმ ძირითადი პრობლემების ჩამოთვლა, რომელთა გადაჭრა უპირველეს ამოცანად გესახებათ...

ა.ბ. _ უპირველეს საკითხად მე მიმაჩნია ეკონომიკის პრობლემა. ამის შესახებ მე ბევრი მილაპარაკია და მომავალშიც მომიწევს საუბარი, ვინაიდან, თუ არ იქნება მძლავრი ეკონომიკა, ვერც ერთი ის პრობლემა, რომელიც დღეს ჩვენ გვაწუხებს და გვაწვალებს, ვერ მოგვარდება. ყველა სახელმწიფოს არსებობის საძირკველი, ძირი, ფუძე, გახლავთ სწორედ ეკონომიკა.

ახლანდელი მდგომარეობა _ ის სუპერინფლაცია, რომელიც საქართველოშია, კატასტროფის მომასწავებელია. თუ ეს პროცესი ვერ შეჩერდა, ჩვენ უკვე ვერაფერს მოვახერხებთ და შეუძლებელი გახდება საერთოდ საქართველოს არსებობა.

დღეს საქართველოში ყველა _ მეეზოვით დაწყებული და სახელმწიფოს მეთაურით დამთავრებული _ სასაცილო მდგომარეობაშია ჩავარდნილი იმის გამო, რომ იმ ხელფასით, რომელიც ჩვენშია, ხახვის ყიდვაც კი არ შეიძლება; თანაც, უბედურება ის არის, რომ ვერ ვხედავთ პერსპექტივას იმისა, რომ ეს გაუფასურების პროცესი ქართული კუპონისა რომელიღაც ეტაპზე შეჩერდება...

ეს კი არ მოხდება, თუ არ დაიწყო პროდუქციის წარმოება. ამის გარეშე ვერავითარი უცხოური დახმარება, ვერავითარი უცხოური ვალი ვერ უშველის და ვერც წამოაყენებს ქვეყანას ფეხზე.

ეს პროცესი იმითაცაა საშიში, რომ უკვე იქმნება ის ვითარება, როდესაც საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი ფეხზე წამოყენება დემოკრატიული გზით შეიძლება ვეღარც მოხერხდეს, ანდა აუცილებელი გახდეს მკაცრი დიქტატურა. თუ ეს აუცილებელი გახდა, მაშინ ჩვენ ვკარგავთ ყველა იმ მონაპოვარს, რაზეც ვფიქრობდით და ვოცნებობდით... არადა, თუ ამ იდეალებს მოესპო იმედი, მოესპო რწმენა, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ყველაფერი ის, რაც ჩვენს ოცნებაში არსებობდა, გაუფასურდება და, რაც მთავარია, დაისადგურებს ნიჰილიზმი, უიმედობა, რაც ხალხს ხელს შეუშლის იმ მიზნის განხორციელებაში, რაც, უკვე

ასწლეულებია, დავისახეთ... ეს ხიფათი რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა სიღრმეში ჩავიხედოთ და შევიცნოთ, რა საშიშროება გვემუქრება.

მეორე პრობლემა, რომელიც აგრეთვე ძალიან გვემუქრება და გადასაწყვეტი გახლავთ, ეს არის ჩვენი დამარცხება სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით. საქართველოს ამჟამად დაკარგული აქვს ცხინვალის ოლქი და აფხაზეთი. ეს არის ჩვენი ისტორიის ყველაზე უფრო ტრაგიკული ფაქტი. საქართველოს მისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ასეთი მძიმე დამარცხება არ განუცდია, იმიტომ რომ ძალიან მცირეა იმედი იმისა, რომ ჩვენ ამ ტერიტორიას უომრად დავიბრუნებთ. მე პირადად იმათ რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც ფიქრობენ, რომ იარაღის გარეშე ამ ტერიტორიების დაბრუნება არ შეიძლება.

უბედურება ისაა, რომ სამხედრო ძალით ამ ტერიტორიების დაბრუნება დღეს საქართველოს არ ძალუძს. მოგეხსენებათ, არმია არ არის მხოლოდ ჯარისკაცი, რომელსაც ავტომატი უჭირავს ხელში. არმია არის თანამედროვე დონე სამხედრო აზროვნებისა. არმია არის კარგი აღჭურვილობა და, რა თქმა უნდა, არმიას სჭირდება სამხედრო მრეწველობა! ნაყიდი იარაღით აღჭურვილი არმია ომს ვერ მოიგებს.

არმიას, გარდა ამისა, სჭირდება ღრმად გაცნობიერება იმისა, თუ რა დიდი ვალი აწევს მას _ ეს ცნობიერება დღევანდელ ქართულ ჯარში საერთოდ არ არსებობს... საუბედუროდ, გამოვიდა ისე, რომ არმიაში წავიდა ადამიანი მხოლოდ იმისათვის, რომ იარაღის საშუალებით ალაფი იშოვოს! არადა, მოალაფე არმია, არსებითად, ბანდაა, რომელიც ვერ შეძლებს ქვეყნის დაცვას, თავისი ღირსების შენარჩუნებას.

მაგრამ მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დღეს ქართველმა ერმა უნდა გამოამჟღავნოს, დაუნებებლობის გრძნობაა: ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქართველმა კაცმა ამ გასაჭირს გაუძლოს... არადა, დღევანდელი პრესის, ტელევიზიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში მიმდინარეობს ნიჰილიზმის პროპაგანდა, რის გამოც საზოგადოებაში შეიქმნა კაპიტულანტური განწყობილება. ეს კი, თავისთავად, იწვევს სრულ უიმედობას და, არსებითად, ცნობიერების გაქალაჩუნებას.

დღეს ჩაგვჩიჩინებენ, რომ ჩვენ, ქართველები არაფერი ვართ; აი, თურმე რანი ვყოფილვართ სინამდვილეში, რას ჩავდივართ და ა.შ.

არაფერს ჩავდივართ ჩვენ ისეთს, რაც ამგვარ მდგომარეობაში სხვა ხალხებს არ გაუკეთებიათ! ეს არის ჩვეულებრივი (მართალია, სამწუხარო, მაგრამ ჩვეულებრივი) მოვლენა, როცა დრო აიმღვრევა... მეგრული სიტყვაა ერთი _ «მიეროხანი», _ ძალიან კარგად მიესადაგება ჩვენს დღევანდელ ვითარებას.

ერის ამოცანა სწორედ ის არის, რომ ეს დასძლიოს!

ერთია კიდევ: ერის თვისებების გამომჟღავნებად მიიჩნევენ ვიღაც ნაძირალების სამარცხვინო ქმედებას და ივიწყებენ იმ დიდ შინაგან ძალასა და პოტენციას, რომელიც ქართველმა ერმა გამოავლინა თუნდაც XX საუკუნეში, ისეთი ბუმბერაზი პიროვნებების დაბადებით, როგორნიც გახლდნენ გალაკტიონი, ივანე ჯავახიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, დიმიტრი უზნაძე და ა.შ. და ა.შ. რატომ ამ ადმიანებში ვერ ხედავენ ქართული სულის გამომჟღავნებას და მაინცდამაინც ვიღაც არაკაცებს უკავშირებენ «ქართველობის» ცნებას... საიდან მოდის ეს?

გ.ა. _ ამ რამდენიმე დღის წინ გაზეთ «ივერია-ექსპრესში» გამოქვეყნდა ბატონ თეიმურაზ მირიანაშვილის სტატია, რომელშიც იგი ბრალს გდებთ თქვენ (და კიდევ რამდენიმე პირს) ქართველ საზოგადოებაში ანტირუსული განწყობის გაღვივებაში... რას იტყოდით ამ ბრალდების შესახებ და, ბარემ, იქნებ ორიოდე სიტყვით მოგვახსენოთ თქვენი პოზიცია საქართველოს ე.წ. «სნგ»-ში გაწევრიანების თაობაზე.

ა.ბ. _ მე წავიკითხე ეს წერილი და, ბუნებრივია, არაფერს, რაც მასში წერია, მე არ ვეთანხმები. არ ვეთანხმები უპირველესად, იმ ნიჰილისტური განწყობის გამო, რომელიც წერილშია გატარებული. მირიანაშვილის ხსენებული სტატია პირდაპირი გაგრძელებაა ნიჰილისტური იდეისა, რომელიც ჩვენში ყოველთვის არსებობდა... გავიხსენოთ XIX საუკუნე, როცა გამოვიდა გიორგი მუხრან-ბატონის წიგნი, აგრეთვე ივანე ჯაბადარის, სხვათა და სხვათა წერილები, რომლებშიც ამტკიცებდნენ ავტორები იმას, რომ ურუსეთოდ საქართველოს არსებობა არ შეუძლია.

ამისი საფუძველი ის გახლავთ, რომ ურწმუნოება არსებობს ჩვენი ეროვნული ენერგიის მიმართ.

არავინ ამცირებს არც რუსეთის სახელმწიფოს სიძლიერეს, არც რუსეთის კულტურულ მნიშვნელობას და არც მის როლს საერთოდ საკაცობრიო ცხოვრებაში და, თუ გნებავთ, კერძოდ, საქართველოს ცხოვრებაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო აუცილებლად მხოლოდ და მხოლოდ იმ საშუალებით ცხოვრობდეს, რასაც რუსეთი შესთავაზებს მას. თუ ჩვენ თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა გვინდა, ეს უნდა მოვახერხოთ საკუთარი ძალით და არც რუსეთის, არც ევროპის და არც ამერიკის იმედად საქართველო არ უნდა არსებობდეს. ამისი საშუალება მას აქვს!

მე პრინციპულად დამღუპველ პოლიტიკად მიმაჩნია ნიჰილიზმის ის პროპაგანდა, რომელიც დღეს ასე ფართოდ არის ჩვენში გავრცელებული და რომელსაც ასე ბეჯითად ქადაგებს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი.

რაც შეეხება რუსეთთან დამოკიდებულებას, საქართველომ თავის მეზობლებთან უნდა დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, როგორიც აქვს, ვთქვათ, დანიას გერმანიასთან, ე.ი. თავისუფალ ქვეყნებს შორის ურთიერთობა. საქართველო არის თავისუფალი ქვეყანა და უნდა გრძნობდეს კაცობრიობის ოჯახში თავს ყველა იმ უფლების მატარებლად, რომელიც ნებისმიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოს აქვს. ამას კი ჩვენ ვერასოდეს მივაღწევთ, თუ ისევ დავიწყებთ ლაქუცსა და კუდის ქიცინს რუსეთთან და მას მივიჩნევთ ჩვენს მფარველად და მხსნელად.

დღეს არავისთვის დამალული არ არის, იმათთვისაც კი, ვინც რუსეთს აქებს და ელაქუცება, რომ სწორედ რუსეთმა წაართვა საქართველოს ცხინვალის ოლქი და აფხაზეთიც... და როდესაც ამის შემდეგ კიდევ რუსეთს ეპირფერები, მეტი რომ არ ვთქვათ, მე მიმაჩნია იმ საშინელ ნიჰილიზმად, რომელიც საქართველოს დაღუპვის პირას მიიყვანს.

არსებობს თვალსაზრისი, რომ დსთ-ში შესვლა გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ეს მტკნარი სიცრუეა! ეს დსთ ნამდვილად არ არის და არც აქვს რაიმე ნიშან-თვისება იმისა, რასაც საბჭოთა კავშირი ერქვა. სსრკ ერთიანი სახელმწიფო გახლდათ, ერთიანი ეკონომიკით და რაკი სოციალიზმის პრინციპს ეყრდნობოდა, ხდებოდა საერთო დოვლათის განაწილება. ცოტა იყო თუ ბევრი, რაც გერგებოდა, მიიღებდი.

დსთ კი ცდილობს, ახალი, საბაზრო ეკონომიკური სისტემის შექმნას. ბაზარი კი ყიდვა-გაყიდვაა, აქ არავითარი განაწილება არ ხდება. თუ საქართველოს ფული ექნება, მაშინ რაღა საჭიროა დსთ-ში შესვლა? იგი იყიდის იმავე საქონელს, ვთქვათ, ირანში, თურქეთში. თანაც უკეთესი ხარისხისაც! თუ ფული არ ექნება, დსთ მას არაფერს მისცემს, ფინჩხსაც არ გადმოუგდებს!

მაშასადამე, არც ეკონომიკურად, არც ფინანსურად დსთ არაფერს გვაძლევს და ვიდგამთ კისერზე პოლიტიკურ-სამხედრო უღელს, რომლისგანაც თავის დაღწევა იოლი აღარ იქნება!

გალიაში შესვლაა იოლი, თორემ გალიიდან გამოსვლა ძალიან ძნელია...

ასე, რომ ეს ნაბიჯი დღევანდელი ხელისუფლების უმწვავეს პოლიტიკურ შეცდომად მიმაჩნია.

უმთავრესი მაინც სხვაა. დსთ-ში შესვლით, ისევ უკან, რუსეთში დაბრუნებით ჩვენ ფსიქოლოგიურად ვტყდებით. რაში გვჭირდებოდა მაშინ ყველაფერი ეს, თუ ისევ მოსკოვის კარებთან დავიჩოქებდით? რაში გვჭირდებოდა ამდენი მსხვერპლი, ეს აღტყინება, ზეიმი ოცნებებისა, ეს სიხარული?.. ეს არ შეიძლება ჩავიდინოთ ერის მიმართ! ერს სჭირდება მუდმივი გამხნევება, მუდმივი სიხარული, მუდმივი ოცნება, მუდმივი რწმენა... ამის გარეშე ერი ვერ იარსებებს. დსთ-ში შესვლის აქტით ჩვენ ხალხს რწმენას ვართმევთ...

მე მინდა კვლავ შევეხო რუსული კულტურის თემას.

რუსული კულტურა რომ დიდი კულტურაა, ამის სწავლება არავის სჭირდება; არავინ უარყოფს არც პუშკინის, არც დოსტოევსკის, არც ჩეხოვის მნიშვნელობას და მიამიტი ადამიანებისათვის თვალში ნაცრის შეყრაა ლაპარაკი იმაზე, თითქოს ვიღაცეები არ აფასებენ დიდ რუს მოღვაწეებს. მაგრამ არც ის არის დასავიწყებელი, რა ძირითადი თვისება აქვს ამა თუ იმ კულტურას. შეიძლება ძლიერი კულტურა ჰქონდეს ერს, მაგრამ იყოს მასში ისეთი რამ, რაც საშიშია სხვა, მცირერიცხოვანი ერისთვის. მე ხშირად ვახსენებ ხოლმე შესანიშნავ რუს პოეტს _ ტიუტჩევს, რომლის ცნობილ ლექსში «რუსკაია გეოგრაფია» _ გამოთქმული აზრი აბსოლუტურად არ განსხვავდება ჟირინოვსკის ქადაგებისაგან.

რუსეთს ისევე, როგორც სხვა დიდ ქვეყნებს, სურს, რომ დაიპყროს კულტურულად მცირერიცხოვანი ერები. ამას გათვალისწინება სჭირდება რუსეთის მიმართაც და, ვთქვათ, აშშ-ის, გერმანიის და სხვა დიდი ქვეყნების მიმართ დამოკიდებულებაშიც!

გ.ა. _ ბატონო აკაკი, თქვენ ხშირად გსაყვედურობენ პასიურობას. მიიჩნევენ, რომ გაურბიხართ პასუხისმგებლობას და ამიტომაც არ მიიღეთ მონაწილეობა აწინდელი პარლამენტის არჩევნებში. წინა არჩევნებში კი 49-ე ნომრად გიხილათ ამომრჩეველმა «რუსთაველის საზოგადოების» წარდგენილ სიებში...

ა.ბ. _ ამას ბევრი მეკითხება. ბევრს ვუპასუხე კიდეც, მაგრამ, როგორც ჩანს, ცნობისმოყვარეობა ვერ დაკმაყოფილდა და ამიტომ კიდევ გავიმეორებ იმას, რაც ადრე მითქვამს.

მე იმთავითვე ვიყავი და ახლაც მომხრე ვარ ამისა: ჩვენი ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს თანდათანობით მშენებლობა უნდა მომხდარიყო და არავითარ შემთხვევაში მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა აჩქარება და მოუთმენლობა... თავისუფალი სახელმწიფოს აშენება მეტისმეტად რთული პროცესია. თავის დროზე ვწერდი: საქართველო საბჭოთა კავშირიდან ისე უნდა გაიპარის, როგორც პატიმარი მიიპარება ციხიდან; თუ პატიმარი ხმაურს და ბრახუნს ასტეხს, «არიქა, ვიპარებიო» _ ბუნებრივია, დაიჭერენ და უკან დააბრუნებენ. ასე დაგვემართა ჩვენც.

ჩემი პრინციპი, არსებითად, უარყოფილ იქნა 28 ოქტომბრის არჩევნებში, როცა რუსთაველის საზოგადოება დამარცხდა; ხოლო რაკი უარყვეს, მე მიზანშეწონილად აღარ მივიჩნიე საქმეში მონაწილეობა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ ვიზიარებდი გზას, რომელსაც 28 ოქტომბრის ხელისუფლება ადგა (ისევე როგორც მიუღებელია ჩემთვის 11 ოქტომბრის ხელისუფლების კურსი) და მეორეც: ჩემთვის ნათელი გახდა, რომ საზოგადოებამ და ხალხმა ის არ გაიზიარა, რასაც ვფიქრობდი მე. აქედან გამომდინარე, ვერ დავინახე პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის აზრი...

მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ პრინციპი, რომლითაც მაშინ მოდიოდა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ეროვნული მოძრაობის გარკვეული ნაწილი, ჩემთვის მიუღებელი იყო.

როცა ეროვნული ფორუმი დაიშალა, მაშინ ვწერდი: თუ ქართული ეროვნული მოძრაობა გაიყოფა, იგი დამარცხდება-მეთქი. დამარცხდა კიდეც... ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს გამარჯვების ერთადერთი შანსი აქვს _ ეს არის ერთიანობა და ერთი მიზნისკენ ერთ მუშტად შეკრული სიარული.

სწორედ ამიტომ დავანებე პოლიტიკურ საქმიანობას თავი და არც ახლა ვაპირებ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

მე მგონია, რადგან მოიშალა ის პრინციპი, რომელიც მოიტანდა დადებით შედეგს, ჩემთვის ახლა პოლიტიკური საქმიანობა აღარ მიმაჩნია აზრიანად და მიზანშეწონილად. ჩვენ შანსი გავუშვით ხელიდან, ახლა კი ყველაფერი თავიდან გასაკეთებელი გახდა.

საქართველოში, სამწუხაროდ, ხალხი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს საზოგადოებრივ საქმიანობასა და პოლიტიკურ საქმიანობას. მე, შეძლებისდაგვარად, საზოგადოებრივ საქმიანობას ვეწეოდი და ვეწევი დღესაც. პოლიტიკური საქმიანობა კი სხვაა. საზოგადოებრივი საქმიანობის დროს გაიზიარებს თუ არა ხალხი ამა თუ იმ პირის შეხედულებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. პოლიტიკური საქმიანობის დროს კი ხალხის მხარდაჭერას გადამწყვეტი და არსებითი მნიშვნელობა აქვს. ვერც ერთი პოლიტიკოსი, რაგინდ ნიჭიერი, ენერგიული და ჭკვიანი იყოს იგი, ვერაფერს მოახერხებს, ქვეყანას ვერ ააღორძინებს თუ ხალხი სულითა და გულით არ დგას მის მხარეს. რუსთაველის საზოგადოების პროგრამას ხალხმა ხმა არ მისცა (მოგეხსენებათ, 28 ოქტომბრის არჩევნებში რუსთაველის საზოგადოების არც ერთი კანდიდატი დეპუტატად არ აურჩევიათ). ეს კი იმის უტყუარი საბუთი იყო, რომ ხალხმა რუსთაველის საზოგადოების პროგრამა არ მიიღო. მე კი დღესაც მნიშვნელოვნად და სწორად მიმაჩნია რუსთაველის საზოგადოების მაშინდელი პროგრამა. დრომ დაადასტურა თანდათანობითობის პრინციპის სიმართლე. დრომ ისიც დაადასტურა: ხალხმა რასაც მხარი დაუჭირა, ის მიიღო. ამიტომ საქართველოში დღეს შექმნილ ვითარებას ცალკეულ პოლიტიკოსებს ნუ დავაბრალებთ. ეს შედეგია მთელი ხალხის შეცდომისა.

დღესდღეობით ამას ისიც დაემატა, რაც ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია: დსთ-ში გაწევრიანება... ეს მიმაჩნია საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვის ტოლფასად!

სხვათა შორის, დსთ-ში შესვლის მომხრეები წამდაუწუმ გაიძახიან _ დსთ-ში შესვლის მოწინააღმდეგენი სხვა ალტერნატივას არ ასახელებენ, არ გვეუბნებიან, სხვაგვარად როგორ მოვიქცეთო. ამის პასუხად ერთი ითქმის: ალტერნატივას დასახელება არ უნდა იმიტომ, რომ შესვლის ალტერნატივა, ჩვეულებრივ, არშესვლაა. ის, ვინც საქართველოს დსთ-ში შესვლის წინააღმდეგია, მარტივად მხარს უჭერს საქართველოში დსთ-ში არშესვლას. ასე რომ, ვითარება ნათელია. ისინი კი, ვინც ფიქრობს, რომ საქართველო, ეკონომიკურად ან რომელიმე სხვა თვალსაზრისით, ვერ მოახერხებს თავი დააღწიოს დღევანდელ ტოტალურ სიდუხჭირეს, არ არიან დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს ამშენებელნი. სულერთია, რა თანამდებობა უჭირავთ მათ. დღევანდელ საქართველოს უნდა ხელმძღვანელობდნენ ისინი, ვისაც სჯერა ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიის, სწამს იმისა, რომ საქართველოს საკუთარი ძალით შეუძლია ომში გამარჯვებაც (ოკუპირებული ცხინვალის ოლქისა და აფხაზეთის დაბრუნება), ქვეყნის ეკონომიკურ-ფინანსური მოწყობაც, კულტურულ-საგანმანათლებლო აღორძინებაც. დარწმუნებულია იმაში, რომ საქართველოს დსთ-ში შესვლა კი არ უშველის, არამედ ქართველი ხალხის, მთელი საქართველოს მოსახლეობის ჭკუა, ნიჭი და გარჯა-შრომა.

გაზ. «თემი», №2, 1993

ახალგაზრდობა აუცილებლად უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში

კონსტანტინე გურიელი _ ბატონო აკაკი, თუ შეიძლება მოკლედ შევაფასოთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა.

აკაკი ბაქრაძე _ საქართველოს მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ეს ყველასათვის ცხადი და ნათელია. აქ განსაკუთრებული დაკვირვება, განსაკუთრებული უნარი, რათა ამოვიცნოთ ჩვენი მდგომარეობა, საჭირო არ არის. ყველაფერი ხელისგულზე დევს და ყველაფერი იოლი დასანახია: ეკონომიკის თვალსაზრისით, ჯერჯერობით არაფერს გამოსწორების პირი არ უჩანს, ჩვენი ეკონომიკის დაცემის შეჩერებაც არ მომხდარა. რაღას იმედი უნდა გვქონდეს _ იმისი, რომ ქართული ეკონომიკის დაცემა შეჩერდება?.. ეს ძნელი სათქმელია, რადგან რაიმე მკაფიო ნიშანი იმისა, რომ უახლოეს ხანებში დადგება მისი შეჩერების პერიოდი, არ ჩანს. არც დამნაშავეობის თვალსაზრისით არის კარგად ჩვენთან საქმე. გარეგნულად თითქოს ისე ჩანს, რომ პოლიცია იჩენს გარკვეულ აქტიურობას: დამნაშავეთა გარკვეული ნაწილი დააპატიმრეს კიდეც. მაგრამ საერთოდ ამ მიმართულებით ჩვენ ვერ ვიგრძენით შეღავათი, ვერ ვიგრძენით ის, რომ ბოლოს და ბოლოს შემცირდება დანაშაულთა რაოდენობა და საზოგადოებას საშუალება ექნება სული მოითქვას... იმის გამო, რომ ჩვენში ასეთი მძიმე ვითარებაა, უცხოელებიც მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენენ, რომ თავიანთი საქმიანობა გააჩაღონ საქართველოში და ამით ჩვენი ეკონომიკის აღორძინებას ხელი შეუწყონ, გაჩნდეს ახალი იმედები იმისა, რომ ჩვენი გაჩერებული ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდება, ჩვენი სოფლის მეურნეობა დაიწყებს სულ სხვა მიმართულებით განვითარებას და ა.შ.

ვერც პოლიტიკის თვალსაზრისით ვიტყვით რაიმეს სანუგეშოს, რადგან საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მტრის მიერ არის დაპყრობილი. ვერც ცხინვალის ოლქში, ვერც აფხაზეთში ვერაფერი გადავწყვიტეთ ჩვენს სასარგებლოდ: მტერი თანდათანობით მტკიცედ იკიდებს ფეხს ამ ტერიტორიაზე, ქართული მოსახლეობა კი გამოძევებულია და მას არავითარი საშუალება არა აქვს, ჯერჯერობით, თავის მიწა-წყალს დაუბრუნდეს. ამ მიმართულებით ვითარება უფრო რთულდება, რადგან ჩვენი მტრები, გათამამებულნი იმით, რომ ჩვენ ვერ ვაჩვენეთ ძალა, კვლავინდებურად ახალ გეგმებს აწყობენ ჩვენი ტერიტორიების მისატაცებლად და დასაქუცმაცებლად.

ასე რომ, რომელი კუთხითაც უნდა შევხედოთ ჩვენს მდგომარეობას, ჯერჯერობით, მძიმე ვითარებაა. საქმე ის არის, რომ მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, არ ჩანს რაიმე რეალური გზა, რეალური ნაბიჯი ვითარების გამოსასწორებლად. ვერც ხელისუფლება, ვერც პარტიები რამე ხელშესახებს, საიმედოს ვერ გვთავაზობენ. ვართ ჩიხში, ამ ჩიხში ვტრიალებთ და ჯერჯერობით ვერ მოგვიძებნია გამოსავალი...

კ.გ. _ ბატონო აკაკი! როდესაც ამგვარი მდგომარეობა იყო საქართველოში (და ამას მსოფლიო ისტორიის გამოცდილებაც გვიჩვენებს), ყოველთვის გამოდიოდა ქვეყნის მოწინავე ნაწილი _ ინტელიგენცია, პოლიტიკოსები _ რომელიც საზოგადოებას მოუწოდებდა აღმაფრენისაკენ, «ჭირსა შიგან გამაგრებისაკენ», იმის დასაბუთებისკენ, რომ მას ძალუძს ამა თუ იმ სიძნელის გადატანა... დღეს კი ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგია «თეიმურაზ ხევისთავის» სინდრომს ავითარებს. დღევანდელ

ხელისუფლებას არ შეუძლია მართოს ქვეყანა, ამიტომ საჭიროა «დიდი მფარველის» მოძებნა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს, თვითონ არის შინაგანად ასეთი: მოკარნახის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია.

იქნებ დროა, ამ თაობამ ხელისუფლების სადავეები გაათავისუფლოს _ ასაკი აქ, რასაკვირველია, არ იგულისხმება, _ აქ ვგულისხმობ მენტალიტეტს, აზროვნების წესს, მსოფლმხედველობას; და თუ ისინი მოინდომებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, მათ საზოგადოება კი არ უნდა მოატყუონ, არამედ სიმართლე უთხრან, უნდა აღიარონ, რომ უცხო ძალის დახმარების გარეშე ქვეყნის მართვა არ შეუძლიათ!

ა.ბ. _ მე იმთავითვე ვიყავი მომხრე და ახლაც მომხრე ვარ იმისა, რომ პოლიტიკაში და ეკონომიკაში ფართოდ გაეღოს კარი ახალგაზრდობას.

ყოველგვარ საქმიანობაში, როდესაც ასეთი დიდი გარდატეხა ხდება ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიაში, ახალგაზრდობას ეძლეოდა სამოქმედო ასპარეზი და სარბიელი. ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა იმიტომ კი არა რომ ხანდაზმულ ადამიანს არ შეუძლია ახლებურად შეხედოს მოვლენებს, არამედ იმის გამო, რომ ასეთ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში ერს დიდი ენერგია სჭირდება და ეს ენერგია სწორედ ახალგაზრდობას აქვს. ერს სჭირდება ცოცხალი, ცინცხალი გონების ადამიანები. ახალგაზრდობას გააჩნია გაბედულება, რომელიც თავდაპირველად გონივრულად შეიძლება არც მოგეჩვენოს, მაგრამ აუცილებელია, რადგან ეს არის აქტიური პოლიტიკა და აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში კი აუცილებელია ისეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა, რომელიც სანუკვარ მიზანს მიგვაღწევინებს.

ახალგაზრდობა აუცილებლად უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში _ კონკრეტულად _ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სადაც დიდი ენერგია, ცოცხალი ტვინი და სწრაფი მოქმედების უნარია საჭირო. პარლამენტში კიდევ დასაშვებია ხანდაზმული ადამიანების მოღვაწეობა _ ეს საკანონმდებლო ორგანოა და მსჯელობა, განსჯა, აწონ-დაწონა, გამოცდილება მაინც საჭირო გახლავთ... მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძირითადად ახალგაზრდობა უნდა იყოს _ ეს პრემიერ-მინისტრი იქნება თუ რომელიმე დიდი განყოფილების უფროსი... ეს საქმე ძირითადად ახალგაზრდობას უნდა მივანდოთ. მე თქვენ ჩამოგითვლით მაგალითებს იმისას, რა ასაკისა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც დიდ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდნენ. მაგალითებს მოვიყვან საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციიდან და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციიდან:

დანტონი 35 წლისა იყო, როცა დასაჯეს; რობესპიერი _ 36 წლის, სენ-ჟიუსტი _ 27-სა, დეშელენი _ 34 წლის. ეს ადამიანები სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, როცა ქმნიდნენ დიდ პოლიტიკას... ყველაზე უფროსი მათ შორის იყო მარატი _ სულ 50 წლისა!

ეს ახალგაზრდული ენერგია, ეს ძალა ქმნის სწორედ იმ ახალ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც თან ახლავს ყველა დიდ გარდაქმნას.

ახლა რუსეთი ვნახოთ: სტალინი 38 წლისა იყო, როცა ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, სვერდლოვი _ 32-სა, ტროცკი 37 წლისა... ამას თვითონ ის გარემოება ითხოვს, რაც დაკავშირებულია დიდ პოლიტიკურ ძვრებთან და ამიტომ, ბუნებრივია, უნდა მივცეთ ახალგაზრდობას მეტი ასპარეზი, რათა ამ მძიმე ისტორიულ ვითარებაში თავისი თავი მკაფიოდ გამოავლინოს, რადგან სხვაგვარად არ იქნება ის წარმატება და ის აღმავლობა, რაც ჩვენ გვჭირდება დღევანდელ ვითარებაში. ჩვენთან კი პირიქით ხდება _ ცალკეული გამონაკლისის გარდა, სწორედ ის ადამიანები გვყავს ხელისუფლების თითქმის ყველა სფეროში, რომელთაც დიდი ხანია დამტკიცებული აქვთ, რომ მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ... ეს არავისთვის შესამოწმებელი არ არის, რადგან ყველა მათგანს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება ამა თუ იმ საქმიანობით და ვიცით,

რომ მათ არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებიათ... ამ დროს კი მათგან მოვითხოვთ, რომ უმძიმეს კრიზისულ ვითარებაში რაღაც გააკეთონ _ ეს შეუძლებელია!

ამიტომ აუცილებელია, ახალგაზრდობას მიეცეს გზა და მათ მეტი ნდობა გამოეცხადოს. თუ ჩვენ გვსურს, დავამკვიდროთ ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ძირფესვიანად უნდა გამოვცვალოთ არსებული ეკონომიკური სისტემა, გამოვცვალოთ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა და დავამყაროთ სოციალური საბაზრო ეკონომიკა. აი, ამ ვითარებაში ახალგაზრდა უკეთ გაიკვლევს გზას, ვიდრე ხანდაზმული. ხანდაზმულს არა აქვს ახალთან შეგუების, ათვისების და სიღრმეში წვდომის ის უნარი, რაც აქვს ახალგაზრდას.

კ.გ. _ ბატონო აკაკი, თქვენ აღნიშნეთ, რომ გაბედულად უნდა მივცეთ ასპარეზი ახალგაზრდობას, მაგრამ ხელისუფლებაში მოსული ხალხი დღევანდელ საქართველოში იმიტომ არის მოსული, რომ არავის დაუთმოს თავისი ადგილი. ხომ არ დადგა დრო იმისა, რომ ახალგაზრდულმა ნაწილმა ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც საქართველოსთვის მართლაც შესტკივა გული და საქმის კეთების სურვილითაა განმსჭვალული, ერთიანი ძალით იფიქროს ხელისუფლების სათავეში მოსვლა და მათ ამისათვის მოუწოდოს «ძველი თაობის» იმ ნაწილმა, რომელსაც გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული «შეცდომები» არ დაუშვია.

ა.ბ. _ ძალიან რთულია კონკრეტულად თქვა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი. აქ მრავალი ვარიანტი არსებობს, თუნდაც ისეთი, რომ ახალგაზრდობამ თვითონ აიღოს ხელში სადავეები... მაგრამ საქმე ის არის, რომ ხელისუფლებამ ეს თავად უნდა გააკეთოს! ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი უნდა კეთდებოდეს კანონიერების ფარგლებში და არა ძალდატანებით, რომელიც კულტურული საზოგადოებისათვის მიუღებელია. ამიტომ ამას როგორმე თვითონ არსებული ხელისუფლება უნდა მიხვდეს და ამ მხრივ მოახდინოს დიდი რეორგანიზაცია. ახლა ჩვენ ვხედავთ ასეთ სურათს: ახალგაზრდობა განსაკუთრებით აქტიურობს ჟურნალისტიკაში. უამრავი გაზეთი გამოდის, რომელთაც ძირითადად ახალგაზრდობა აკეთებს. ამ გაზეთებს ბევრი ნაკლი აქვთ. ხარვეზებსაც შეიცავენ, შეიძლება ანალიზის სიღრმითაც დიდად არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მაინც ძალიან კარგი რამ არის!

რაც დღეს საქართველოში კარგი კეთდება, ყველაფერი ახალგაზრდობისგან მოდის და ის თანდათანობით მკვიდრდება. ყველაფერი ნელ-ნელა დაიხვეწება, დაიწმინდება და დაგვრჩება ის თავანკარა, წმინდა, რაც საზოგადოებას სჭირდება, ხოლო რაც ზედმეტია და ზედაპირული, ის წავა და ჩამოშორდება.

რა თქმა უნდა, ფორმები უნდა გამოიძებნოს და ამაზე უფრო საჭიროა, როგორ უნდა გაკეთდეს ეს, რადგან არ შეიძლება უცბად, ემოციურად, ზერელედ გადავწყვიტოთ პრობლემები. საჭიროა ანალიზი, ფიქრი, კონკრეტული გზების გამოძებნა. მაგრამ ერთი რამ კი ცხადი უნდა იყოს ყველასათვის: ახალგაზრდობა ძალიან ფართოდ უნდა მოვიდეს ხელისუფლების ყველა სტრუქტურაში. როგორ? ეს მოსაძებნია. მოსაძებნია, როგორც დღევანდელი ხელისუფლების, ისე იმ ახალგაზრდობის მიერ, რომელსაც ამისი სურვილი აქვს და თავს გრძნობს მზად საქმის გასაკეთებლად. ეს რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს.

მე ზემოთ მაგალითი მოვიყვანე იმისა, თუ რა ახალგაზრდები იყვნენ ბოლშევიკები, როცა ხელისუფლება ჩაიგდეს ხელთ. მაგრამ მერე მანამდე არ მიდიოდნენ თანამდებობებიდან, სანამ კუბოთი არ გაასვენებდნენ... ერთ-ერთი მიზეზი, რამაც სოციალიზმი დაღუპა, ესეც გახლდათ.

დღეს საქართველოს ხელისუფლებამ იმას უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ არ დაბერდეს!

კ.გ. _ ბატონო აკაკი, თქვენი მხრივ რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელსაც სურს ხელისუფლებაში მოსვლა, რათა ქვეყანა გამოიყვანოს კრიზისიდან?

ა.ბ. _ ჩვენ უცბად არ უნდა მოვინდომოთ ქვეყნის სამოთხედ გადაქცევა და მისი აშენება. რაკი საქართველო დაადგა დამოუკიდებლობის გზას, რაკი საქართველო დაადგა ძირეული სოციალური და ეკონომიკური სისტემის ცვლილებების გზას, ბუნებრივია, ამას დრო სჭირდება და სულსწრაფობამ არ უნდა გვძლიოს.

დღეს ამგვარი დამოკიდებულებაა: «მე თუ ვერ მოვესწარი, რაღად მინდა ეს ყოველივე»... არასწორი მიდგომაა საკითხისადმი! ჩვენ შევცვალეთ სისტემა _ ერთი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა დაინგრა, მეორე კი უნდა აშენდეს. ჯერ მშენებლობა არ დაწყებულა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი უნდა აშენდეს.

თავს ნუ დავიიმედებთ იმით, რომ ეს უცბად მოხდება; ამგვარ პროცესებს დრო სჭირდება, მით უმეტეს, ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის. ხშირად მოჰყავთ ხოლმე გერმანიის მაგალითი... არასწორი ანალოგიაა _ იქ ხდებოდა ავადმყოფი, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმის გაჯანსაღება, ჩვენ კი მკვდარი უნდა გავაცოცხლოთ! ჩვენთან მკვდარია არსებითად საზოგადოებრივი სისტემა _ ეს უნდა გავითვალისწინოთ და ამიტომ უცბად რაიმე აღმავლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. საქართველოში ვითარება შეიცვლება დიდი პერიოდის შემდეგ. მე ერთხელ უკვე ვთქვი, რომ 25 წელი დასჭირდება ვითარების შეცვლას. მაშინ ძალიან გაბრაზდა ქართველი საზოგადოება, მაგრამ დღეს უკვე რეალურად ვრწმუნდებით ამ ვადის აუცილებლობაში. ქვეყნის აღორძინებას სჭირდება დრო, ჩვენ კი გაუთავებლად ვწუწუნებთ და არაფერს ვაკეთებთ.

კ.გ. _ ბატონო აკაკი! დღეს ბევრს ლაპარაკობენ «ძველი კავშირების აღდგენაზე»... თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი...

ა.ბ. _ ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა ჩამოვაყალიბოთ სოციალური საბაზრო ეკონომიკა. ამისათვის ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, მრეწველობის რა დარგები დასჭირდება საქართველოს; სოფლის მეურნეობის რომელ დარგებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი... ჩვენ ხომ ერთიანი, მთლიანი საბჭოთა კავშირის ნაწილი ვიყავით... მართალია, საქართველოს საქართველო ერქვა, აზერბაიჯანს აზერბაიჯანი და ა.შ., მაგრამ ეს ხომ ერთიანი სახელმწიფო იყო და ამ სახელებს სხვა მნიშვნელობა არ ჰქონდა, უფრო მეტი იმაზე, ვინემ თბილისის გუბერნია, კალუგის გუბერნია ან ბაქოს გუბერნია. დღეს ეს ყველაფერი მოშლილია და უნდა აშენდეს ქართული სახელმწიფო, დამოუკიდებელი სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ. როდესაც ამგვარად დგას საკითხი, ჩვენ ხომ უნდა დავსვათ საკითხი, რომ ის სამრეწველო ობიექტი, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს აშენდა, რამდენად გამოადგება საქართველოს _ რა უნდა დარჩეს იქიდან და რაზე უნდა ვთქვათ უარი. ჩვენ ესენი არ განგვისაზღვრავს. მე, სამწუხაროდ, არსად მინახავს არც ერთი სპეციალისტის წერილი იმ სამრეწველო პოტენციალის თაობაზე, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს გვქონდა, გამოადგება საქართველოს თუ შესაცვლელია და როგორ უნდა შეიცვალოს იგი: რა დარგს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი... სჯობს ამაზე ვიფიქროთ, ვინემ გაუთავებლად ვილაპარაკოთ ე.წ. ძველი კავშირების აღდგენაზე. ახლა ჩვენ ყველანი ვგავართ პალოზე დაბმულ ცხენს, რომელსაც იმ სიგრძეზე შეუძლია მოძრაობა, რომლის საშუალებასაც მას ბაწარი აძლევს და ამ პალოს გარშემო იგი ტრიალებს და ტრიალებს, მოძოვა ყველა ბალახი და ტრიალებს ამ გამოუვალ წრეში, იმის გამო, რომ მიმართულება არ იცის, არ იცის საით უნდა წავიდეს.

ჩვენ ვლაპარაკობთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ეს მიზანია. როგორ მივიდეთ ამ მიზნამდე _ როგორი მრეწველობით, როგორი სოფლის მეურნეობით, განათლებით, კულტურით და ა.შ. ეს თუ კონკრეტულად არ ჩამოვაყალიბეთ, ეს ლაპარაკი იქნება და არა რეალობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს. და ეს ერთგვარი სასოწარკვეთა დღეს გამოწვეულია ამ არაკონკრეტულობით. კაცი როცა ლაპარაკობს, სახლი უნდა ავაშენოო და არ ათავებს მხოლოდ ამაზე ლაპარაკს, მის მიმართ რწმენა ადამიანებს ეკარგებათ. მაგრამ ეს კაცი თუ ამ ლაპარაკს საქმეს მიაყოლებს, ხალხი ირწმუნებს, რომ კაცი მართლა აპირებს რაღაცის აშენებას.

გაზ. «თემი»
№6, 1993

ისევ დადგება ჟამი სიყვარულისა

სალომე ზვიადაძე _ თქვენი აზრით, რა არის დღევანდელობის ყველაზე დიდი უბედურება და რა უნდა ვუშველოთ?

აკაკი ბაქრაძე _ დღევანდელობის ყველაზე დიდ უბედურებად მიმაჩნია ის სიძულვილი, რაც ამჟამად საქართველოში მძვინვარებს. რაც შეეხება შველას, ეს მანამ არ მოხერხდება, სანამ სიძულვილი ბოლომდე არ ამოინთხევა. ამაზე ერთხელ უკვე ვილაპარაკე და იმასვე ვიტყვი ახლაც.

ეკლესიასტე ამბობს: «ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი აქვს ამ მიწისქვეშეთში». შემდეგ ჩამოთვლის და გვასწავლის: «ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა, ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა, ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა, ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა».

ახლა საქართველოში სიძულვილის ჟამია. ომის, ნგრევის, გესლის ნთხევის, მტრობის ჟამიც არის, მაგრამ გავა დრო და ეს ჟამი შეიცვლება მშვიდობის, შენების, სიყვარულის, მეგობრობის ჟამით; ისე, როგორც სახადს, ყველა ჟამს თავისი ბუდობის ხანა აქვს: ნგრევისას _ თავისი, სიძულვილისას _ თავისი, სიყვარულისას _ თავისი, ომისას _ თავისი, მშვიდობისას _ თავისი.

თუ მოთმინება გვეყოფა, სიძულვილი ამოინთხევა, ადამიანთა გულები განთავისუფლდება-გაიწმინდება და ყველაფერი მოწესრიგდება, ისევ დადგება სიყვარულისა და მეგობრობის ჟამი. მთავარია მოთმინება გვეყოს.

ს.ზ. _ როგორ მიგაჩნიათ, ყველას აქვს უფლება _ პოლიტიკოსს თუ ხელოვანს _ მორალი წაგვიკითხოს? მოქმედებს თუ არა ეს ფართო საზოგადოებაზე, რომელსაც მეტნაკლებად ყველაფერი ახსოვს?

ა.ბ. _ პასუხად ზურაბ კუხიანიძის ერთი ლექსი მახსენდება:

ახლა ყველამ ალესა
ენა, როგორც სასხლავი:
ვინც კაი ყმა იყო და
ვინც ქედს ხრიდა ყმასავით.
ახლა,
როცა სიტყვას ვამბობთ
და არა ვართ უბრებად,
სინდისს ვკითხოთ, გვაქვს კი ყველას
ლაპარაკის უფლება?!

მაგრამ ცხოვრება ასეა მოწყობილი: მპარავი ქურდობის წინააღმდეგ ლაპარაკობს, როსკიპი მეძაობის წინააღმდეგ გაჰკივის, მკვლელი ადამიანის სიცოცხლის დაცვას მოითხოვს... მით უმეტეს, როცა დრო ამღვრეულია, ურცხვობას, უტიფრობას, უნამუსობას საზღვარი არა აქვს. ცხოვრება გაძლებაა და ადამიანმაც ყველაფერს უნდა გაუძლოს. გაძლების უნარს გვანიჭებს ის მშვენიერება, რაც სამყაროშია _ აყვავებული ხე, მწვანედ აბიბინებული ველ-მინდვრები, მოჩუხჩუხე ნაკადულები, ცხოველები, ფრინველები _ ერთი სიტყვით, ჩვენს გარშემო არსებული თვალწარმტაცი ბუნება. გვანიჭებს შრომა, მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი და, რა თქმა უნდა, ის სულიერება, რასაც რელიგია უნერგავს ადამიანს. ასე, რომ ადამიანს ბევრი მოკავშირე ჰყავს იმ ბოროტების წინააღმდეგ, რაც სინდისგარეცხილობას მოაქვს.

ს.ზ. _ რა ხდება დღევანდელ ქართულ კინოში და როგორ გესახებათ მისი განვითარების პერსპექტივები?

ა.ბ. _ ქართულ კინოს დღეს უსაშველოდ უჭირს. დუხჭირმა დრომ მოიტანა ეს. დრო რომ დამშვიდდება, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, კინოც წამოდგება ფეხზე. ქართულ კინოს არასოდეს მოჰკლებია ნიჭიერი ადამიანები. დღესაც მრავლად არიან ისინი, ოღონდ ნივთიერად არიან ხელმოკლენი. კინო ისეთი დარგია ხელოვნებისა, სადაც ფინანსურ-მატერიალური შესაძლებლობა, ტექნიკური აღჭურვილობა საქმის კეთილად დაგვირგვინებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ქართული ეკონომიკის სიმძლავრე გადაწყვეტს ჩვენი კინოხელოვნების ბედს. მართალია, ჩვენი ეკონომიკა დღეს დანგრეულია, მაგრამ გული არ უნდა გავიტეხოთ. ნელ-ნელა ისიც გაშლის ფრთებს, გახდება ჩვენი კულტურის აღორძინების საფუძველი.

ს.ზ. _ რას გვირჩევთ, როგორ გავამრავალფეროვნოთ ჩვენი გაზეთი. იქნებ რაიმეს შემოგვთავაზებთ კინოში თქვენი მუშაობის ისტორიიდან.

ა.ბ. _ დღეს ჩვენ ბევრი კინომცოდნე გვყავს. ისინი უფრო აქტიურად უნდა მუშაობდნენ გაზეთში, აწვდიდნენ ნაირნაირ სტატიებს ამა თუ იმ საკითხზე, რაც კინოს ეხება. ქართულ კინოში, მისი მრავალწლიანი არსებობის მანძილზე, უამრავი ადამიანი მუშაობდა. აუცილებელია მათი გახსენება, მათი ღვაწლის აღნიშვნა, ვრცელი თუ მოკლე ბიოგრაფიის, პორტრეტის გამოქვეყნება, ჩვენი კინორეჟისორების, სცენარისტების, ოპერატორების, მსახიობების, მხატვრების, კომპოზიტორების პირად არქივებში უთვალავი კინოდოკუმენტია. მათ გამომზეურება უნდა. საზოგადოებას ეს აინტერესებს და გაზეთისთვისაც მომგებიანი მასალაა. ძველი კინოფილმების, განსაკუთრებით მივიწყებულის, კადრები სათანადო ახსნა-განმარტებით უთუოდ იქნება მკითხველისათვის ყურადღების საგანი. ერთი სიტყვით, ბევრი რამის გამოძებნა-გამოჩხრეკა შეიძლება, ოღონდ ჩვენმა კინომცოდნეებმა არ უნდა იზარმაცონ. არადა, როგორ გვიყვარს მცონარობა? დოდო აბაშიძემ იცოდა ხშირად გახსენება: პაპაჩემს თავის დიდ ეზოში, კაკლის ხის ქვეშ, ჭილოფს გაუშლიდნენო. მუთაქებს დაუწყობდნენ, ხელადით ღვინოს დაუდგამდნენ, ჩურჩხელებს, ხილს დაულაგებდნენ. ისიც წამოწვებოდა მხართეძოზე და იყო ასე მთელი დღე ოცნებაში გართული. მზე რომ მიადგებოდა და შეაწუხებდაო, თითონ არ წამოდგებოდა, გვერდს არ მოინაცვლებდა, შინამოსამსახურეებს დაუყვირებდა: გამაჩოჩეთ, ბიჭებო, ჩეროში. ისინიც გააჩოჩებდნენ.

მშვენიერი კინოკომედიის გადაღება შეიძლება სათაურით _ გამაჩოჩეთ ჩეროში!.

გაზ. «ეკრანი»,
№8, 1993

ახლა ყველა ქართველში ოთარაანთ ქვრივის თვისებამ უნდა გაიღვიძოს

კორესპ. _ ბატონო აკაკი, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ ოფიციალურად იზეიმა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეიძლება შეფასდეს ის ვითარება, საერთაშორისო და შიდა-პოლიტიკურიც, რა ვითარებაშიც ეს მოხდა.

აკაკი ბაქრაძე _ რა თქმა უნდა, ეს აქტი უდიდესი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. დიდი ხნის შემდეგ ქართველმა ხალხმა მოახერხა მისი სახელმწიფოებრივი სახის აღდგენა და ეროვნული თავისუფლების მოპოვება. ეს, არსებითად, მოულოდნელად მოხდა, იმიტომ რომ ამისათვის წინასწარ მომზადებული ჩვენი ხალხი არ ყოფილა. იმ პერიოდის პარტიები, მათ შორის სოციალ-დემოკრატიული პარტიაც, რომელიც შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება გახდა, არ იყო მზად, რომ საქართველო ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. იმხანად ჩვენი პოლიტიკური აზრი საქართველოს ავტონომიაზე უფრო შორს არ წასულა. ეს იდეა (ავტონომიისა) მე-19 საუკუნეში გაჩნდა და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედშიც ავტონომიის იდეის გარშემო იყო საუბარი. მაგრამ სრული ეროვნული დამოუკიდებლობა და სრული ეროვნული თავისუფლება არც ერთ პარტიას მაშინ მიზნად არ ჰქონია.

მართალია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ცდილობდა სრული ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის განხორციელებას, მაგრამ იგი (ეროვნულ დემოკრატიული პარტია) ძალიან მცირერიცხოვანი იყო და მაშინ ის გავლენა არ ჰქონდა საქართველოში, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ ამ პარტიას ძალაუფლება აეღო ხელში. უფრო აქტიური ისინი იმ დროს გახდნენ, როდესაც საქართველო უკვე დამოუკიდებელი იყო და დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა. მანამდე ეს პარტია შედარებით სუსტი იყო მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიას ძალიან კეთილშობილი წევრები ჰყავდა და დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ ისინი. მაგრამ ჩვენში მძლავრობდა სოციალ-დემოკრატიული აზრი და ეს სოციალ-დემოკრატიული აზრი, ავტონომიასაც კი უარყოფდა, არათუ დამოუკიდებლობას. მათ ეგონათ, როგორც ჩანს, ბევრ მათგანს გულწრფელადაც სწამდა, რომ პროლეტარული რევოლუცია, პროლეტარიატის დიქტატურა და, საერთოდ, სოციალიზმი, ეროვნულ საკითხს ისე კარგად მოაგვარებდა, რომ არავინ მოისურვებდა ამქვეყნად დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ცხადია, ეს მცდარი აზრი მათ ამოძრავებდათ იმ პერიოდშიც კი, როდესაც გაჩნდა შესაძლებლობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, რაც იყო შედეგი რუსეთის იმპერიის დანგრევისა. პირველმა მსოფლიო ომმა დაანგრია რუსეთის იმპერია და გაჩნდა საშუალება იმისა, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს თავისუფლება მიეღოთ. მაგრამ მერე გარემოება სხვაგვარად წარიმართა. სწორედ სოციალ-დემოკრატიამ, მისმა ბოლშევიკურმა ფრთამ მოახერხა რუსეთის იმპერიის აღდგენა, უკვე სხვა თვალსაზრისით, მაგრამ მაინც ძველი იმპერიული სახელმწიფოს აღდგენა და საქართველოს დაპყრობა 1921 წლის თებერვალ-მარტში...

მაგრამ თავად ფაქტს _ 1918 წლის 26 მაისის არსებობისას _ აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ისტორიაში. მიუხედავად იმ მძიმე ვითარებისა, რაც საბჭოთა ხელისუფლების დროს არსებობდა, ჩვენი ხალხი მაინც ატარებდა გულში თავისუფლების იდეას და ზოგჯერ აქტიურადაც გამოხატავდა. თუნდაც ამის მაგალითია 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში. ამის მაგალითია ქართული ემიგრაციის ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, როდესაც II მსოფლიო ომი დაიწყო, ქართული ეროვნული არმიის შექმნის მცდელობა გერმანიაში, რომელიც

მოვიდოდა საქართველოში და თავისუფლებას მოიტანდა. საქართველოშიც არსებობდა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ გამოეყენებინათ სწორედ II მსოფლიო ომში გერმანიის გამარჯვება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ცხადია, რომ გულში ყველას ედო ეს და ყველა მეტნაკლებად ცდილობდა, თუ პრაქტიკულად ვერ განახორციელებდა, სულიერად ეს იდეა არასოდეს გამქრალიყო ჩვენი ხალხის ცნობიერებიდან.

კორესპ. _ დამოუკიდებლობის იმ პირველ წლებში (18 წლიდან მოყოლებული) რომ გატარებულიყო უფრო მკვეთრი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ეროვნულიც, იყო თუ არა შესაძლებლობა, თქვენი აზრით, გახანგრძლივებულიყო დამოუკიდებლობის ეს პერიოდი?

ა.ბ. _ ძნელი სათქმელია. შეიძლება გამოძებნოს კაცმა იმის საბუთები, რომ შეიძლებოდა მისი გახანგრძლივება, ან პირიქით _ გამოძებნოს საბუთები, რომ ის მარცხი, რაც მოხდა 1921 წლის თებერვალ-მარტში, გარდაუვალი იყო. მაგრამ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ ჩვენი მაშინდელი დამოუკიდებლობის დაღუპვა გამოიწვია იმან, რომ მაშინაც გაიხლიჩა ქართველი ხალხი. ერთნი იყვნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც იბრძოდნენ, რომ საქართველო ისევ რუსეთთან ერთად ყოფილიყო, მეორე _ ის ეროვნული ნაწილი ქართველი ხალხისა, რომელიც ამ დამოუკიდებლობის გადარჩენას ცდილობდა, მათ შორის მენშევიკური ნაწილი ქართული სოციალ-დემოკრატიისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უკვე შეუძლებელი გახდა. ამ დაპირისპირებამ ბოლშევიკური და მენშევიკური ფრთისა, გამოიწვია სრული გახლეჩა ქართველი ხალხისა ორად. ისეთი მცირერიცხოვანი ხალხი, როგორიც ქართველები არიან, ბუნებრივია, ვერ შეძლებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, თუ ერი გახლეჩილია, თუ პოლიტიკური ბრძოლა შიგნით ძალიან მძაფრია და დაუნდობელი. მაშინ სწორედ ამგვარი მძაფრი და დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა ქართულ პოლიტიკურ წრეებს შორის.

აი, ეს, მე მგონია, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გაკვეთილია, რომელიც დღესაც უნდა გამოვიყენოთ ჩვენ; იმიტომ რომ, თუ გაგრძელდა ერის გახლეჩა, თუ გაგრძელდა პოლიტიკური უვადო დაპირისპირება ერთმანეთისა, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ისევ განვიცადოთ მარცხი, რადგან საქართველოს უხდება ბრძოლა ძალიან დიდსა და ძლიერ სახელმწიფოსთან იმისათვის, რომ მან დამოუკიდებლობა და თავისუფლება შეინარჩუნოს. ეს არ არის ინდოეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა, როდესაც ინდოეთი ბევრად უფრო მძლავრი და დიდია, ვიდრე დიდი ბრიტანეთი, როცა კოლონია უფრო ღონიერია, ვიდრე მეტროპოლია. ინდოელებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არ ჰქონდეთ, ისინი მაინც შეძლებენ ინგლისის დამარცხებას. მაგრამ საქართველო ამას ვერ მოახერხებს. საქართველო ერთი პაწია ქვეყანა გახლავთ მცირერიცხოვანი მოსახლეობით და უპირისპირდება მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ქვეყნის დამარცხება, მით უმეტეს, დღევანდელ ვითარებაში, როდესაც შეიარაღებულია ყველა იმ იარაღით, რაც კი კაცობრიობას აქვს.

მაშასადამე, ამ ვითარებაში არსებობს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნების ერთადერთი საშუალება. ეს გახლავთ ერთიანობა, რომ ერი მთლიანად იბრძოდეს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის და ერთმანეთს არ უსწორებდეს ანგარიშს. კარგად უნდა გავაცნობიეროთ ის ურთულესი მდგომარეობა, რომელშიაც საქართველოა დღეს. თუ ჩვენ ამას მოვახერხებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, შევძლებთ მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნებას. ამიტომ ის გაკვეთილი, რაც 1921 წლის თებერვალ-მარტში მოხდა, დღეს ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ სწორედ

იმის გამო, რომ მაშინაც ქართველობა დაუპირისპირდა ერთმანეთს და, ბუნებრივია, მტერმა ამით ძალიან კარგად ისარგებლა. თავი რომ დავანებოთ ყველაფერს, იმ ჯარს _ მე-11 არმიას თუ მე-9 არმიას, რომელიც საქართველოში შემოვიდა, ერთი აღმოსავლეთიდან _ სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან და მეორე _ დასავლეთიდან, აფხაზეთის მხრიდან, სწორედ ქართველები მეთაურობდნენ და ქართველები წარმოადგენდნენ იმ ძირითად ხელმძღვანელ ძალას, რომელიც რუსეთის ამ ჯარს წინ მოუძღოდა. ბუნებრივია ისიც, რომ აი, ამ ქართველებს, რომლებიც მეთაურები იყვნენ, საქართველოშიც ჰყავდათ გარკვეული ჯგუფები, მომხრეები, როგორც შეიარაღებული ძალის თვალსაზრისით, ისე პარტიულობის თვალსაზრისით. მათ, ყველამ ერთად, მისცეს ძალა და საფუძველი, დასაყრდენი იმას, რაც ჩაიდინა ლენინის მთავრობამ და მოახერხეს საქართველოს ახალი ოკუპაცია.

ასეთი ვითარებით ყოველთვის სარგებლობს მოწინააღმდეგე და, ცხადია, არც 1921 წელს გაუშვიათ იგი ხელიდან. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ვითარება არც მომავალში გაუშვას ხელიდან რუსეთმა. ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, გაკვეთილი, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტმა მოგვცა, ძალიან დამაფიქრებელი უნდა იყოს ჩვენთვის და კარგად უნდა ჩავწვდეთ მის არსს, მსგავსი შეცდომა კიდევ რომ არ მოხდეს.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღესდღეობით ამის შეგნება არ ჩანს, ისევ ვაგრძელებთ ერთმანეთთან მტრობას, ისევ ვაგრძელებთ ერთმანეთთან შუღლს, და სრულებით არ ვფიქრობთ, რა შედეგი შეიძლება ამას მოჰყვეს. ჩვენი პირადი ამბიცია, ჩვენი პირადი გუნება-განწყობილება უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ვიდრე მთელი ქვეყნის ბედი და ეს ძალიან სახიფათო მოვლენა გახლავთ. სამწუხარო იქნება მეტისმეტად, უფრო მეტიც, ჩვენი უგუნურების დამადასტურებელიც, თუ 1921 წლის მსგავსი შეცდომა გავიმეორეთ.

კორესპ. _ 1921 წლიდან, ვიდრე ეროვნული მოძრაობა დაიწყებოდა საქართველოში ხელახლა 70-იანი წლების მიწურულს, ეს პერიოდი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული იყო საქართველოს ისტორიაში _ აქ იყო დიდი სამამულო ომიც, 24 წლის აჯანყებაც, რეპრესიებიც; როგორ შეაფასებთ ამ პერიოდს იმის გათვალისწინებით, რაც შემდგომ დაიწყო საქართველოში უკვე ეროვნული მოძრაობის მხრივ.

ა.ბ. _ მე ეს პერიოდი მიმაჩნია სწორედ ახალი ეროვნული მოძრაობის მომამზადებელ პერიოდად. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ყველაფერ იმას, რაც ამ პერიოდში შეიქმნა და კარგად გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ჩვენი მწერლობა, ჩვენი მეცნიერება ამ მოძრაობას ამზადებდა მიუხედავად იმისა, რომ პარალელურად არსებობდა აგიტაციური ლიტერატურაც, რომელსაც კომუნისტური ხელისუფლება მოითხოვდა და მიმდევრებიც ჰყავდა.

ამ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებებიც შეიქმნა, მეცნიერული წიგნებიც დაიწერა, თეატრმაც და კინომაც თავისი გარკვეული როლი შეასრულა. მარტო ის, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა შექმნა ძალიან ღრმა სახეები კვაჭი კვაჭანტირაძისა, თეიმურაზ ხევისთავისა და სხვებისა და სხვებისა, კარგად მოწმობს იმას, როგორი ღრმა ანალიზი მიმდინარეობდა ქართული ხასიათისა და ქართული ყოფა-ცხოვრებისა, რომ იქიდან გარკვეული დასკვნა გამოგვეტანა.

ის, რაც «ჯაყოს ხიზნებში» წერია, წინასწარმეტყველებაა და ყველაფერი ეს, ჩვენდა საუბედუროდ, სიტყვასიტყვით აგვიხდა. ჯაყოსა და თეიმურაზ ხევისთავის დაპირისპირება არ არის ორი ადამიანის დაპირისპირება. აქ სიმბოლოებია გადმოცემული. არსებითად, მარგოს ბედი საქართველოს ბედია, როდესაც ერთი უძლური ძალა და მეორე უხეში ძალა ამ ქალს აბურთავებს. ეს უძლური ძალა იყო სწორედ ის უსუსური ხელისუფლება, რომელიც 1918-21 წლებში გაჩნდა ჩვენში და

უხეში ძალა იყო ბოლშევიკური რუსეთისა, მისი ქართველი მიმდევრებით, რომელთაც საქართველოს სიმბოლო მარგო ასე ათამაშეს და ასეთ უბედურ მდგომარეობაში ჩააგდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწარმოები გახლავთ და ღრმად რომ შეგვეხედა, დავინახავდით იმ ფესვებს, რომლებიც უნდა მოგვეკვეთა და სულ სხვა მიმართულებით უნდა წავსულიყავით.

ასევე შეიძლება დავასახელოთ სხვა ნაწარმოებები, თუნდაც ისტორიული ხასიათის რომანები, რომლებიც ჩვენში ეროვნულ ღირსებას აღვიძებდა. შემთხვევით ხომ არ იწერება «დავით აღმაშენებელი», კონსტანტინე გამსახურდიას რომანი? «დავით აღმაშენებელი» სწორედ იმიტომ იწერება, რომ ის მომავალ საქართველოზე ოცნებაა და არა, ვთქვათ, მარტო იმისი აღწერა, რაც წარსულში იყო. ის, რაც იქ წერია, გულისხმობდა მომავალ საქართველოს, გულისხმობდა იმას, რა და როგორ უნდა ეკეთებინა ქართველ ხალხს იმისათვის, რომ თავისი ეროვნული ღირსება დაებრუნებინა და ეროვნული სახელმწიფო აღედგინა. აი, ასეთი უამრავი ნაწარმოების დასახელება შეიძლება, თუ გნებავთ, პოეზიაში, დრამატურგიაში, სხვაგან და სხვაგან, რადგან ამ საშუალებით აღვიძებდნენ და ამაგრებდნენ ჩვენს ეროვნულ ფსიქიკას, რათა ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ამის რეალური საშუალება გაჩნდებოდა, ჩვენი ხალხი ამოძრავებულიყო.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი სახეა ყვარყვარე თუთაბერი, რომელიც პოლიკარპე კაკაბაძემ შექმნა. «ყვარყვარე თუთაბერში» მარტო იმათ არ გულისხმობდა, რომლებიც დაუმსახურებლად მოექცნენ კომუნისტური ხელისუფლების სათავეში. «ყვარყვარე თუთაბერი» გაფრთხილებაც არის, რომ ის არ განმეორდეს, რომ ვიღაც ლაზღანდარამ და არამზადამ არ ისარგებლოს შემთხვევით და არ წამოსკუპდეს ხელისუფლების მაღალ სკამზე და ამით არ მოხდეს ერის დაკნინება და დამცირება. ეს არ არის მარტო კონკრეტული ვითარების ასახვა, მომავალზე ფიქრიც გახლავთ, რადგან ყველა ხალხი ამა თუ იმ პოლიტიკური თაღლითის წამოტივტივებას ხელს უწყობს თავისი გულუბრყვილობით და ხალხმა ეს გულუბრყვილობა როგორმე უნდა დაივიწყოს, რომ მოტყუებული არ დარჩეს.

ასე, რომ ძალიან ბევრი რამ გაკეთდა იმ პერიოდში იმისათვის, რომ ჩვენი გონება გამოფხიზლებულიყო და თანდათანობით მომზადებულიყო. ამიტომაც იქცა იგი მოსამზადებელ პერიოდად იმ ეროვნული მოძრაობისა, რომელიც მერე გვიან დაიწყო ჩვენში და, ბოლოს და ბოლოს, გამარჯვებით დამთავრდა...

რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება როგორმე უნდა შევინარჩუნოთ; ამ გამარჯვებას სერიოზული მარცხიც ახლდა და აი, ეს მარცხი გასათვალისწინებელი გახლავთ. ეს მარცხია სწორედ ის მოვლენები, რომელთა მოწმენი დღეს ჩვენ ვართ. ეროვნული გათიშულობა, შინააშლილობა, ომები, ეკონომიკური გასაჭირი _ ეს ყველაფერი ჩვენი მოუმზადებლობის შედეგია და ეროვნული მოძრაობის სუსტი მხარე. ამ უკიდურესად მძიმე მდგომარეობას აქვს თავისი მეტად უარყოფითი შედეგიც. ეს გახლავთ ის, რომ ხალხს გული უტყდება და თანდათანობით კარგავს იმ იდეას, რისთვისაც იგი მზად იყო თავი დაედო. ეს სერიოზული მოვლენაა და თუ არ შევეცდებით მის ახსნა-განმარტებას, მის თავიდან აცილებას, ეს იქნება დამღუპველი შეცდომა.

კორესპ. _ რამდენად შეიძლება საერთო მოინახოს ამ ორ დამოუკიდებლობის მოპოვებას შორის? რა არის საერთო და რა არის განსხვავება ამ ორ დამოუკიდებლობის პერიოდს შორის და აი, ახლა, როცა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, როგორ ვიბრძოლოთ ამისათვის. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ მზად ვიყავით და ვართ ქვეყნის სამართავად?

ა.ბ. _ საერთო, ალბათ, ის არის, რომ მაშინაც დამოუკიდებლობა მივიღეთ რუსეთის იმპერიის დაშლით და ახლაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის

დაშლის შედეგად. როგორც რუსეთის იმპერიის დაშლა, ისე საბჭოთა კავშირის დაშლა იყო საერთაშორისო მოძრაობის შედეგი. მაშინ რუსეთის იმპერიის დაშლაში უდიდესი როლი შეასრულა გერმანიის სახელმწიფომ.

ახლა ჩვენ შორს წაგვიყვანდა ამაზე საუბარი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ არსებითად ლენინი და ბოლშევიკები რუსეთის ხელისუფლებაში დასვა გერმანიის აგენტურამ და გერმანიის დაზვერვამ. ამით ისინი ცდილობდნენ რუსეთი გამოეყვანათ პირველი მსოფლიო ომიდან, როგორც ინგლისისა და საფრანგეთის მოკავშირე. გერმანიის დაზვერვამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ძალა გამხდარიყო რუსეთში ხელისუფლება, რომელიც დათანხმდებოდა გერმანიასთან ზავს. ამისთვის სჭირდებოდათ მათ ლენინი და ბოლშევიკები. ამიტომაც დაიდო ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, რომელიც რუსეთისათვის ყველა თვალსაზრისით წამგებიანი იყო. მაგრამ ეს იყო პირობა, რომელიც ლენინმა და მისმა რაზმმა მისცა გერმანიის მთავრობას, თუკი გერმანია ხელს შეუწყობდა მათ გამარჯვებას რუსეთში. ლენინმა ეს პირობა პირნათლად შეასრულა. სხვაგვარად გერმანია შეეცდებოდა მის ჩამოგდებას. გამარჯვებულ პარტიას კი ბოლომდე სურდა ხელისუფლების შენარჩუნება.

ასე, რომ აქ ბევრია სალაპარაკო და ძალიან ბევრი რამ არის ისეთი, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ ბოლომდე არ იცის; მაგრამ, როგორც გითხარით, ძალიან ხანგრძლივი საუბარი გამოგვივა, რისი დროც არ არის. მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სწორედ საერთაშორისო მდგომარეობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი მაშინ რუსეთის იმპერიის დაშლასა და ცარიზმის დამხობაში.

იგივე მოხდა ახლაც, როდესაც II მსოფლიო ომი დამთავრდა და რუსეთი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, არსებითად, ზესახელმწიფო, ორ ქვეყანას _ აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის მოხდა გაყოფა მსოფლიოსი; ერთ ნაწილში გაბატონდა აშშ და მეორეში _ საბჭოთა კავშირი; ბუნებრივია, ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის დაიწყო ბრძოლა. მართალია, ეს ბრძოლა არ ყოფილა იარაღით და სისხლიანი, მაგრამ ყველა სხვა საშუალებით ეს ბრძოლა მიმდინარეობდა. რაკი აშშ ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრად უფრო ძლიერი იყო რუსეთზე, ბოლოს და ბოლოს, მან მაინც მოახერხა რუსეთის ეკონომიკური დამარცხება. რუსეთის ეკონომიკურმა დამარცხებამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა. ვერ გაუძლო რუსეთმა აშშ-თან შეჯიბრს ეკონომიკაში. რაკი მოეშალა საფუძველი სახელმწიფოებრივი არსებობისა, ეს სახელმწიფო დაიშალა.

წინასწარ უნდა გვეფიქრა, რომ, როდესაც დაიწყო ე.წ. «ცივი ომი», სულერთია _ ცივი იქნებოდა თუ ცხელი ეს ომი, ვიღაცის გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო და ამ შემთხვევაში ეს დამთავრდა აშშ-ის გამარჯვებით. ეს მოწმობდა იმას, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო არსებობას ვეღარ შეძლებდა და დაიშალა კიდეც. ამ დაშლის შედეგია ის, რაც ყველა იმ რესპუბლიკამ მიიღო, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაპყრობილი იყო, და მათ შორის ჩვენც.

ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მნიშვნელობა და დიდი ძალა არ ჰქონდა იმ შინაგან მოძრაობას, ეროვნული მოძრაობის სახით, რომელიც ყველა ქვეყანაში მიმდინარეობდა და განსაკუთრებით საქართველოში. რა თქმა უნდა, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს მოძრაობა რამდენიმე საათში შეიძლებოდა გაენადგურებინა ხელისუფლებას, თუკი იგი ამას მოისურვებდა და არ იქნებოდა ის უმთავრესი, რომელიც ქვეყნის დაშლას მოწმობდა. რადგან არც საქართველო და არც მთელი კავკასია, არც ბალტიისპირეთი და არც შუა აზია იმ ძალას არ წარმოადგენდა, რომელსაც მარტოდმარტო შეეძლო ეროვნული თავისუფლების მოპოვება. ამაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ იმას, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ ძლიერებას

ძირი გამოუთხარა ცივმა ომმა და როგორც სახლი წაიქცევა, თუ მას საძირკველი გამოაცალეს, ისე წაიქცა საბჭოთა კავშირი. გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენ ამისათვის მოუმზადებელი არ ვყოფილვართ. მაგრამ ამისი შემჩნევა უფრო ადრე შეგვეძლო, უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსები რომ ვყოფილიყავით, რადგან ეს ნგრევა უკვე 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იან წლებში დაიწყო. 70-იან წლებში იყო ძალიან ხშირად მძიმე ეკონომიკური გასაჭირი. ეს ანეკდოტში ასე გამოიხატა: ტელედიქტორი აცხადებს _ მაყურებელთა თხოვნით დღეს ნაჩვენები იქნება ეკრანზე ერთი ნაჭერი ყველიო. ბევრი ასეთი ანეკდოტი არსებობდა მაშინ, რაც ზუსტად გამოხატავდა ვითარებას. როცა ოფიციალურ ლიტერატურაში აკრძალულია ლაპარაკი, მაშინ ანეკდოტი და ამგვარი ხუმრობები გამოხატავენ დროსა და ვითარებას.

აი, ასეთი ვითარება იმას მიანიშნებდა, რომ ძალიან მძლავრი ეკონომიკური გასაჭირის ნიშნები გამოჩნდა. მათი გამოსწორება არ შეიძლებოდა, რადგან ეს ნიშნები მოწმობდა იმას, რომ სოციალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა, უძლურია და მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალიზმს, როგორც ეკონომიკურ სისტემას. რაკი ასეთი ვითარება შეიქმნა უკვე 70-იან წლებში, კარგად შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ უახლოეს ხანებში ეს უზარმაზარი სახელმწიფო დაინგრეოდა. მაგრამ ყურადღება ვერ მივაქციეთ და გარკვეულად მოუმზადებელი შევხვდით იმას, რასაც შემდეგ ოფიციალურად დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. სხვათა შორის, იყო ლაპარაკი, რომ ჩვენ დამოუკიდებლობა მოგვეპოვებინა თანდათანობით. თავის დროზე რუსთაველის საზოგადოება ამაზე ლაპარაკობდა, რომ თანდათანობის გზას თუ გავყვებოდით, უკეთეს შედეგს მივიღებდით. თანდათანობითობაში იგულისხმებოდა სწორედ ეკონომიკური მომზადება: ყველამ კარგად იცოდა, როდესაც საბჭოთა კავშირი ჩამოყალიბდა სტალინის მეთაურობით ისეთი ეკონომიკური სისტემა შეიქმნა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ერთმანეთს სიამის ტყუპებივით მიეწება. ბუნებრივია, მათი განცალკევება ურთულესი პრობლემა გახლავთ. დღეს მიაღწია მეცნიერებამ იმას, რომ სიამის ტყუპებისათვის შეიძლება ოპერაციის ჩატარება და მათი განცალკევება. მანამდე კი ყოველგვარი ცდა მათი განცალკევებისა მთავრდებოდა სიკდილით.

ასეთი ეკონომიკური სისტემა შექმნა სტალინმა და მისმა აპარატმა საბჭოთა კავშირში. როდესაც ასეთი სისტემა არსებობდა, მისი დაშლა რომ უმძიმეს ეკონომიკურ ვითარებაში ჩაგვაგდებდა, ამას უნდა მივმხვდარიყავით. ამიტომაც ვთვლიდი მაშინ, რომ უპირველესად აუცილებელი იყო სწორედ ეკონომიკური სისტემის მომზადება. აგრეთვე საჭირო იყო სახელმწიფოს შესანარჩუნებლად და მტკიცედ ფეხზე დასაყენებლად ბიუროკრატიული სისტემის მოსპობა. ამას წინასწარ სჭირდებოდა მომზადება, მაგრამ არც ეს არ გაკეთებულა. დღესაც ისეთივე მძლავრი ბიუროკრატიაა საქართველოში, როგორიც კომუნისტური რეჟიმის დროს იყო.

საჭირო იყო არმიის შექმნა, თუნდაც სპორტული განწყობის და სპორტული გაერთიანებების საშუალებით. ჩვენ დღეს არმია არ გვყავს. ის ჯარი, რომელიც საქართველოში არსებობს, არმია არ არის. ეს არის ენთუზიასტების ჯგუფი, თავგანწირული ადამიანების ჯგუფი, რომელიც ქვეყნის დაცვას ცდილობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთი ძალა ქვეყნის დასაცავად რეალური არ გახლავთ. ამიტომ გზადაგზა გვიხდება არმიის შექმნა. ეს კი ურთულესი პროცესი გახლავთ და ამ ურთულესი პროცესის ომთან ერთად ასე პარალელურად გატარება უმძიმეს ვითარებაში აგდებს საქართველოს. ამისათვის საფუძველიც რაღაცნაირად წინასწარ უნდა ჩაგვეყარა. ასე, რომ უამრავი საკითხი, რომლებიც წინასწარ უნდა მომზადებულიყო, სწორედ მოუმზადებელი დარჩა. ამ საკითხების მომზადების შემთხვევაში კი იმ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელიც ისტორიულმა პროცესმა გვაჩუქა, იოლად

მივიღებდით. მაგრამ ამისათვის ჩვენ არ ვიყავით მზად. ახლა დავიწყეთ მომზადება და, ბუნებრივია, ძალიან მძიმე ტვირთის ზიდვა გვიწევს, ძალიან მძიმე პერიოდი უნდა გადავიტანოთ, რომ ყველაფერი ეს, ბოლოს და ბოლოს, ფეხზე დადგეს და მან ის რეალური სახე მიიღოს, რაც საჭიროა თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის.

კორესპ. _ ბატონო აკაკი, როგორც თქვენ ბრძანეთ, და ძნელია არ დაგეთანხმოთ ადამიანი, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება როგორც გარეგანი ფაქტორებით იყო განპირობებული, ისე შინაგანი ბრძოლითაც და მოუმზადებელი დარჩა ძალიან ბევრი საკითხი. ხომ არ ითამაშა ამაში, თქვენი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი როლი იმან, რომ ჩვენ ვამჯობინეთ უფრო მეტად გამოჩენილიყო ჩვენი როლი ამ პროცესში და უგულებელვყავით შავი სამუშაო, აუცილებელი სამუშაო.

ა.ბ. _ ამაში, რა თქმა უნდა, ბევრმა რამ ითამაშა როლი და, სამწუხაროდ, ცუდი როლიც. მაგრამ უმთავრესი მაინც, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ ძალიან სულწასული ხალხი ვართ და გვგონია, საქმის გაკეთება ერთი ხელის დაკვრით შეიძლება. ჩვენ ყოველთვის რაღაცნაირად სუფრულ-საქეიფო განწყობილება გვაქვს და ასე სახელმწიფოს აშენება არ შეიძლება. ასე შეიძლება სუფრაზე მოიქცეს კაცი და კარგი დროც გაატაროს, თვითონაც მხიარული იყოს და დანარჩენი მონაწილეებიც. მაგრამ იმას, რასაც სახელმწიფოს აშენება ჰქვია, უმძიმესი შრომა სჭირდება. უბრალო ქოხი რომ ქოხია, იმასაც ვერ ააშენებს ადამიანი იოლად და სახელმწიფო როგორღა უნდა აშენდეს იოლად? მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სახელმწიფოებრიობა დიდი ხანია აღარ აქვს და დიდი ხნის მანძილზე ის არსებითად აღარ არსებობდა, არა მარტო როგორც პოლიტიკური ერთეული, არამედ როგორც ერი. როდესაც საქართველოში რუსთა ბატონობა დამკვიდრდა, მან საქართველო გააუქმა, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად, სოხუმის, ბათუმისა და ზაქათალის ოლქებად აქცია. ცნება «საქართველო», როგორც პოლიტიკური ცნება, აღარ არსებობდა. ამას მხოლოდ ჩვენი მწერლები და პოეტები ახსენებდნენ თავიანთ მოთხრობებში, პუბლიცისტურ წერილებში და ლექსებში, თორემ პოლიტიკურ სისტემაში ასეთი რამ აღარ არსებობდა.

ეს რას ნიშნავდა? ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთმა საქართველო დაშალა, როგორც ეროვნული სხეული, როგორც პოლიტიკური, როგორც სახელმწიფოებრივი სხეული. ამ სხეულის აღდგენა-გაცოცხლება და მისი გარკვეული სისტემის სახით ჩამოყალიბება კი ურთულესი პრობლემაა. ამ ურთულეს პრობლემას, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლოზუნგით _ დამოუკიდებლობა და თავისუფლება გვინდაო, ვერ გავაკეთებდით. ამისათვის ჩვენ მძიმე შრომა მოგვიწევს. თავი უნდა დავანებოთ ყოველგვარ ზერელობას, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, ქართველის ხასიათში არის და ძალიან მძიმე შრომითა და ბრძოლით უნდა ავაშენოთ ის, რისი აშენებაც გვინდა.

ახლა ყველა ქართველში ოთარაანთ ქვრივის თვისებამ უნდა გაიღვიძოს, ანუ ილია ჭავჭავაძის თვისებამ, როდესაც უდიდესი შრომითა და ენერგიით აღწევდა ის ყველაფერს. შემთხვევით კი არ არის ილიას მიერ ოთარაანთ ქვრივის სახე შექმნილი. იმ დიდი ოჯახის შექმნა, რომელიც ოთარაანთ ქვრივს ჰქონდა, მხოლოდ იმ თავგანწირული შრომით, წესრიგით და პატიოსნებით შეიძლებოდა, რომელიც ამ ქალს ახასიათებდა. რა თქმა უნდა, ჩვენც უნდა შევეცადოთ, რომ საუკეთესო თვისებები მოვძებნოთ ჩვენს ხასიათში და უარვყოთ ყველა ის მანკიერებანი, რომლებიც გვახასიათებს. ეს მძიმე ისტორიული ცხოვრების ბრალია, თუ სხვა რამ მიზეზისა, ფაქტი ფაქტია მაინც, ჩვენ ვართ ბევრი მანკიერი თვისების მატარებელი როგორც პიროვნულად, ისე მთელი ერი და ეს ჩვენი სულიერი სამყაროდან უნდა განიდევნოს.

მაშინ შევძლებთ მივაღწიოთ და რეალური გახდეს ყველაფერი ის, რაც დღეს იურიდიულად არსებობს, მაგრამ ფაქტობრივად ჯერ განხორციელებული არ არის.

ტელეინტერვიუ, 26 მაისი, 1993

«სოჭის შეთანხმების» თაობაზე ბატონი აკაკი ბაქრაძე უპასუხებს სამ კითხვას

კორესპ. _ აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე თქვენი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ცნობილია. ემოციურად ბევრი გეთანხმებათ, მაგრამ ანალიტიკურად კიდევ მეტი არ გეთანხმებათ. ბევრში კი თქვენმა გამოსვლამ პირდაპირი აღშფოთებაც გამოიწვია. მაგრამ ამჯერად ამ საკითხების გარჩევას ნუ შევუდგებით. გთხოვთ გაგვიზიაროთ, რას ხედავთ ამ ხელშეკრულების ალტერნატივად? რა გზას ხედავდით ამ ხელშეკრულებაზე ხელის არმოწერის შემთხვევაში? და რა გზას ხედავთ ახლა, ხელის მოწერის შემდეგ?

აკაკი ბაქრაძე _ 27 ივლისის შეთანხმებას მოვაწერდით ხელს თუ არ მოვაწერდით, შედეგიც და გზაც ერთნაირი იქნებოდა. არის კიდეც: რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთისათვის, დღევანდელ დღეს, საქართველო დამარცხდა. განსხვავება ზნეობრივ დამოკიდებულებაშია. თუ ხელს არ მოვაწერდით, დავმარცხდებოდით, მაგრამ ღირსებას შევინარჩუნებდით. მტრის წინაშე ქედს არ მოვიდრეკდით. ხელმოწერით არა მარტო დავმარცხდით, არამედ ღირსებაც დავკარგეთ, ქედი მოვიდრიკეთ და მტერი მომრიგებელ მოსამართლედ და მშვიდობის მედროშედ დავპატიჟეთ.

არის დამარცხებული, რომელიც ღირსებას ინარჩუნებს და არის დამარცხებული, რომელიც ღირსებას კარგავს. ისტორიამ ამისი ბევრი მაგალითი იცის. სამწუხაროდ, ეს მარტივი რამ დღევანდელ საქართველოში ძალიან ბევრისათვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა.

იმედად ისღა დაგვრჩენია, რომ მწარე დამარცხებამ იქნებ ჩვენი მძინარე თავმოყვარეობა და ღირსება გამოაღვიძოს. იქნებ ახლა მაინც ფხიზელი თვალით დავინახოთ რამოდენა უბედურება გვემუქრება. იქნებ ახლა მაინც დამარცხებამ ჭკუა გვასწავლოს და მომავალი ომებისათვის სერიოზულად მოვემზადოთ. ძველი რომაული ანდაზა _ თუ მშვიდობა გინდა, ომისათვის ემზადეო _ დღესაც ისევე ბრძნულია, როგორც ანტიკურ ეპოქაში იყო.

კორესპ. _ თქვენმა გამოსვლამ გარკვეული იდეოლოგიური დასაყრდენი და გასამართლებელი მიზეზი მისცა ანტისახელმწიფოებრივ ძალებს, რომლებიც დიდი ხანია ემზადებიან და შესაფერის მომენტს არჩევენ... რამდენიმე დღეში საქართველო ისევ სამოქალაქო ომის რეალური საფრთხის წინაშე დადგება, თქვენი აზრით, რას მოუტანს საქართველოს ა) არსებული ხელისუფლების გამარჯვება?.. და ბ) ოპოზიციის გამარჯვება?.. და თუ გქონდათ ან ახლა გაქვთ გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ამ მოვლენებში კატალიზატორის როლის გამო?..

ა.ბ. _ თუ დღეს საქართველოში სამოქალაქო ომის საფრთხე არსებობს, ეს ხელისუფლების უსუსურობის ბრალია და არა იმისა, რომ მე 27 ივლისის შეთანხმება არ მომეწონა. ნუ გადმომაბრალებთ იმას, რასაც ხელისუფლებამ ვერ მოუარა. რა უდევს საფუძვლად ახლანდელი დაპირისპირების გააქტიურებას, ეს ცხადად ჩანს გაზეთ «დროშში» (1993 წ. ¹54) დაბეჭდილ თემურ ფიფიას ინტერვიუში: «ყველაფრის თავი და თავი, როგორც უკვე ვთქვი, სიმდიდრის მითვისებასთანაა დაკავშირებული. ლაპარაკია იმ პროდუქციის გატანაზე, რომელიც სამეგრელოში მზადდება და ლოთი ქობალიას

შეიარაღებული ფორმირების ხელშია. ყველაფერი იმიტომ დაიწყო, რომ ვერც ფოთიდან და ვერც სენაკიდან ვერ გაიტანეს პროდუქცია. სენაკის აეროპორტთან ინცინდენტიც ჩაის გატანასთან იყო დაკავშირებული». სხვათა შორის, ასე კომუნისტებმა იცოდნენ. თუ იტყოდი _ ფერმაში ძროხა არ იწველებაო, ერთ დავიდარაბას ატეხდნენ, იმპერიალიზმის წისქვილზე ასხამსო წყალს. მთელ მსოფლიოს გააგებინა, რომ სსრკ-ში მეცხოველეობას უჭირსო.

28 ოქტომბრის ხელისუფლების მომხრეებისაგან მე ლანძღვა-გინება არც მაშინ დამკლებია, როცა ძალაუფლება ჰქონდათ და არც მაშინ, როცა იგი დაკარგეს. იმედი მაქვს, არც მომავალში მომაკლდება. მათი გააქტიურება სრულებით არ უკავშირდება ჩემს გამოსვლას ტელევიზიით. ისინი, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის აქტიური იყვნენ. ჩემი წაქეზება მათ არ სჭირდებათ. ჰყავთ წამქეზებელი. ასე, რომ არც კატალიზატორის როლი შემისრულებია და არც სტაბილიზატორის.

ვისაც მეხსიერება არ ღალატობს, ეხსომება: უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ძაღლის ყბა გამოვიბი და ლაპარაკი არ გამითავებია _ თუ ქართველი ხალხი, ეროვნული მოძრაობა გაიხლიჩა, საქართველო დამარცხდება-მეთქი. ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნდა ქართველი ხალხის ორ ბანაკად გაყოფა და ურთიერთდაპირისპირება. დაათვალიერეთ უკანასკნელი ოთხი წლის «მამული» და ამის დამადასტურებელ უამრავ საბუთს ნახავთ. სულ რამდენიმე დღის წინათ, ისევ გავიმეორე ერთიანობის აუცილებლობა «ბიზნეს-კურიერში» (1993 წ. №9), მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, ვინ გიგდებს ყურს.

ყველაზე შემზარავი, რაც პოსტკომუნისტურმა სამწლიანმა პერიოდმა გამოავლინა, ის არის, რომ ქართველი ხალხის ერთიანობა-მთლიანობა მოჩვენებითი ყოფილა. ქართველი ხალხი იმდენად აღმოჩნდა ერთიანი, რამდენადაც რუსეთის ერთიან სახელმწიფოში ცხოვრობდა. როგორც კი გაქრა რუსეთი, ვითარცა გამაერთიანებელი ფაქტორი, ქართველი ხალხი დაიშალა და «კუნჭულური პატრიოტიზმი» აღორძინდა. ყველაზე მძიმე განსაცდელი ჩვენს ქვეყანას ამით დაემუქრა. ყველაფერს ეშველება, თუ გავერთიანდებით. ეს უნდა მოხდეს არა სხვისი შიშით, არამედ ქართველი ხალხის სულის მოთხოვნილებით. მაშინ იქნება ერთიანობა მტკიცე. თუ ქართველმა ხალხმა მტკიცე ერთიანობას ვერ მიაღწია და ყველა კუთხემ კუნჭულ-კუნჭულ მოინდომა «კანონიერი ხელისუფლება», ისე დაგვემართება, როგორც დავით გურამიშვილი ბრძანებს:

ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი
ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს, _
ეგრეთ ქართლი და კახეთი
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს.

ქართულ მწერლობას, ქართულ მეცნიერებას, საერთოდ, ქართულ აზროვნებას ურთულესი და უმძიმესი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი: დაშლილი ქართული ეროვნული სხეულის გამთლიანება და ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება.

11 ოქტომბრის, ანუ დღევანდელმა ხელისუფლებამ ჯერჯერობით უმთავრესი რამ _ ეკონომიკის რღვევა-დაშლის პროცესის შეჩერება _ ვერ მოახერხა. ამისათვის აუცილებელია, რომ 11 ოქტომბრის ხელისუფლებამ მეტი ძალა და სიმტკიცე

გამოიჩინოს. ვერც ერთი ხელისუფლება ვერ უპატრონებს ეკონომიკას, თუ ვერ აღადგინა წესრიგი და დისციპლინა ქვეყანაში. იმ რვა თვის მანძილზე, რაც ეს ხელისუფლება არსებობს, ამ მიმართულებით მან ჯერ ნაბიჯი წინ ვერ გადადგა. ახლა მთავრობა იცვლება. უახლოეს დღეებში ახალი მთავრობა გვეყოლება. ვნახოთ, რას იზამს იგი.

დღევანდელ ვითარებასა და დღევანდელ პირობებში ძველი, 28 ოქტომბრის ხელისუფლება, რამდენადაც უნდა იაქტიუროს, ძალაუფლებას ვერ დაიბრუნებს. მიტინგებითა და ხმამაღლა ყვირილით ეს არ ხერხდება. სხვა ძალა კი მათ არა აქვთ. ერთადერთი, რაც 28 ოქტომბრის ხელისუფლებას შეუძლია, ეს არის ის, რომ გააჩაღოს ახალი სისხლისღვრა. ამითაც ვერაფერს მიაღწევს, გარდა იმისა, რომ ჩაიდენს საბედისწერო და უპატიებელ დანაშაულს.

არც 28 ოქტომბრისა და არც 11 ოქტომბრის ხელისუფლებას სხვა გზა, გარდა მორიგებისა და შეთანხმებისა, არა აქვს. 1995 წლის ოქტომბერში მთავრდება როგორც ერთის, ისე მეორის იურიდიული უფლებამოსილება. ორივეს მომხრეებმა ახალ არჩევნებში უნდა სცადონ ბედი. იქ გამოჩნდება, ვის გამოუცხადებს ნდობას ქართველი ხალხი. მანამდე კი ყოველგვარი ბრძოლა ხელისუფლებისათვის უნდა შეწყდეს, თორემ პოლიტიკურ-პარტიული კინკლაობანი, დაპირისპირება და კონფრონტაცია საქართველოს ისედაც დაქცეულ ეკონომიკას ისეთ მდგომარეობაში ჩააგდებს, რომ ვერავითარი ხელისუფლება ვეღარ უშველის. ქვეყანა დაიღუპება და მარადიული მათხოვრობისათვის გავიწირებით, როგორც ეს იყო მე-17 და მე-18 საუკუნეებში. რას ნიშნავს ეს 21-ე ასწლეულის დასაწყისში ყველა ჭკუათმყოფელისათვის ცხადია. ვერც მოზღვავებულ მტერს გავუმკლავდებით, თუ ეროვნულ ერთიანობას ვერ მივაღწევთ.

საქართველოს უდიდესი უბედურება დღეს ისიც არის, რომ ჩვენში მართლა პოლიტიკოსი ძალიან ცოტაა, პოლიტიკას მიტმასნებული და ადევნებული კი _ უთვალავი. მიტმასნებულებსა და ადევნებულებს საქმის კეთება არ ძალუძთ, მარტო ლაყბობა ეხერხებათ, ამიტომ წალეკა ლაპარაკმა ყველაფერი. ეკონომიკის მოწესრიგებას თავაუღებელი შრომა უნდა და არა ენის დაუსრულებელი რატრატი.

ხალხს უნიათო ხელისუფლება არ უყვარს. ხალხს მტკიცე და ძლიერი ხელისუფლება უყვარს. ის ხელისუფლება უყვარს, რომლისაც ეშინია (რუსთაველის «შიში შეიქმს სიყვარულსა» მარტო ღმრთის შიშსა და სიყვარულს არ გულისხმობს). დემოკრატიის ისეთ კლასიკურ ქვეყანაშიც კი, როგორიც აშშ, ხალხი პატივს ძლიერ პრეზიდენსა და ხელისუფლებას სცემს. კარტერი მაშინვე გადაირჩიეს, როგორც კი მან ირანს აშშ-ის ძალა ვერ აჩვენა. ბუშს მოწონება და ტაში ხვდა წილად, რაკი ერაყს კუვეიტი წაართვა. ქლინტონსაც სიხარულით აფოფინებული თვალებით შეხედეს, როცა მან «ტომაჰავკით» ბაღდადში ერაყის საიდუმლო პოლიციის შენობა მიანგრ-მოანგრია.

რას იზამთ, ასეთია ხალხის ბუნება. ხალხი ვერ იტანს ქაოსს, უწესრიგობას და განუკითხაობას. იგი დისციპლინას, წესრიგს, კანონიერებასა და სამართლიანობას ეტრფის. ეს ყველა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, არსებობის შენარჩუნება თუ უნდა.

თუ დემოკრატიამ სიმტკიცე ვერ გამოიჩინა, წესრიგი და დისციპლინა ვერ დაამყარა, საქართველოში დიქტატურა მოვა. ხალხი დღევანდელ ქაოსს დიდხანს ვერ მოითმენს და ერთგულებას იმას გამოუცხადებს, ვინც წესრიგს, დისციპლინას და ლუკმა-პურს დაჰპირდება. მაგრამ ისიც კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ეს დიქტატორი ქართველი არ იქნება. ყველა დიქტატურას და ყველა დიქტატორს საყრდენი ძალა სჭირდება. ნაჭერ-ნაჭერ დაქუცმაცებულ საქართველოში ამ საყრდენ ძალას ქართველი დიქტატორი ვერ იპოვის. ამიტომ საყრდენი ძალაც უცხო იქნება და დიქტატორიც უცხო. უცხო დიქტატორი რომ ახალ მონობას ნიშნავს, ვფიქრობ, ამას მტკიცება არ სჭირდება.

რასაც ვამბობ, ნუ შეხედავთ ამას ზერელედ, ეს რეალური საფრთხეა.

კორესპ. _ მსოფლიოში დიდი ხნის დაწყებულია პროცესი (შეგვიძლია ათვლა დავიწყოთ ჩერჩილის ფულტონში წარმოთქმული სიტყვიდან) ბოროტების უზარმაზარი კომუნისტური ციტადელის დაშლისა. და ეს პროცესი აგერ, ჩვენ თვალწინ შევიდა საბოლოო ფაზაში. ამ პროცესში საქართველოს სრულიად გარკვეული საკუთარი როლი და ფუნქცია აქვს გამოყოფილი. ამგვარად, დადგა განსაკუთრებული ისტორიული მომენტი (რომელსაც მრავალი საუკუნე ამაოდ ელოდა საქართველო), როცა ჩვენი ქვეყანა, როგორც სუვერენული, სრულუფლებიანი სუბიექტი ჩაბმულია მსოფლიოს მოწინავე ძალების ინტერესების სფეროში და ეს ინტერესები როგორც გლობალურად, ასევე ლოკალურად, თანხვდება ქართველი ერის ინტერესებს. პროცესის ან თუნდაც «საქართველოს ნაწილის» წარმმართველად მსოფლიოს მოწინავე ძალების მიერ შერჩეულია ედუარდ შევარდნაძე.

თვლით თუ არა, რომ ამ პროცესში მონაწილეობა საქართველოს გზაა?.. თუ რაიმე სხვა, უკეთესი გზაც არსებობს და თუ ზემოაღნიშნულ პროცესს აღიარებთ მოწინავე მსოფლიოსათვის (და მასთან ერთად საქართველოსათვის) ჭეშმარიტ გზად, როგორ აფასებთ შევარდნაძის როლს ამ პროცესში?

ა.ბ. _ იმაში გეთანხმებით, რომ მსოფლიო ახალი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წესრიგისათვის იბრძვის. მაგრამ ამ ახალ წესრიგში და ახალ სისტემაში საქართველოს რა ადგილს მიაკუთვნებენ, ეს ჯერჯერობით ნათელი არ არის. ჩემთვის მხოლოდ ის არის ცხადი, რომ ვერავითარი ახალი წესრიგი და ახალი სისტემა ვერ გვიშველის, თუ ჩვენი პრობლემები ჩვენ თვითონ არ მოვაგვარეთ. «თვით უპატრონეთ თავისთავს, ნუ იმედოვნებთ სხვებზედა» (ვაჟა-ფშაველა).

სამი ვეშაპი უტევს დღეს საქართველოს _ ა) რუსეთ-საქართველოს ომი, წარმოებული აფხაზების, ოსების, ჩრდილოკავკასიელების ხელით, ბ) კრიმინოგენური ვითარება და შინააშლილობა, გ) ეკონომიკური ქაოსი. სამივე ვეშაპი ქართველმა ხალხმა უნდა დაამარცხოს, მისმა პოლიტიკურმა სიბრძნემ, მისმა სულიერმა მხნეობამ და ვაჟკაცობამ, მისმა სიბეჯითემ და შრომისმოყვარეობამ. სხვა ამ საქმეში ჩვენ ვერ დაგვეხმარება, რარიგ კეთილადაც უნდა იყოს იგი განწყობილი ჩვენს მიმართ.

მსოფლიოს ახალი პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური წესრიგი და სისტემა როგორ ბედ-იღბალს უმზადებს საქართველოს, ამის შესახებ ერთი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება იმისდა მიხედვით, რაც მოხდა და რაც ხდება.

მოხდა და ვიცით: შექმნილ ისტორიულ გარემოებათა ძალდატანებით, მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში რუსეთმა ა) დათმო სოციალიზმი, როგორც იდეოლოგია და როგორც პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ბ) უარი თქვა მთელ მსოფლიოში მისი გამავრცელებლის როლზე, გ) აირჩია სოციალური საბაზრო ეკონომიკა, ანუ უარყო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის იდეალები და კაპიტალიზმში დაბრუნება მოისურვა, დ) დათანხმდა სსრკ-ის დაშლას და ე) ხელი აიღო აღმოსავლეთ ევროპისა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე.

არ ვიცით ამის საკომპენსაციოდ რას შეჰპირდნენ რუსეთს. ამაზე პრესაში (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ხელმისაწვდომ პრესაში) არაფერი დაბეჭდილა. მიუხედავად მსოფლიოში შექმნილი ვითარებისა, გარემოებათა ძალდატანებისა, ისეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, ამგვარ დათმობებს არ აკეთებს, თუ რაღაც სანაცვლო გარანტია არ მიიღო. ჩემი ვარაუდით, რუსეთს აღუთქვეს ა) დიდი ფინანსურ-მატერიალური დახმარება სოციალური საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაში და ბ) რუსეთის დიდი სახელმწიფოს დატოვება 1939 წლის საზღვრებში. რა თქმა უნდა, არა სსრკ-ის ფორმითა და სახით, არამედ სხვაგვარად. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები

მიიღებენ დამოუკიდებლობას, მის ყველა ატრიბუტს, გახდებიან გაეროს წევრები, მაგრამ დარჩებიან რუსეთის გავლენის სფეროში, ანუ იქნებიან რუსეთის სატელიტები. სხვაგვარად რომ გითხრათ, საქართველოსა და რუსეთს შორის იქნება ის დამოკიდებულება, რაც, ვთქვათ, იყო ბულგარეთსა და სსრკ-ს შორის. ბულგარეთი იყო დამოუკიდებელი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა იურიდიული და ფაქტობრივი ატრიბუტით, გაეროს წევრი, აღიარებული დანარჩენი მსოფლიოს მიერ, მაგრამ ამასთანავე იყო სსრკ-ის სატელიტი.

რამდენად არის ჩემი ვარაუდი მართალი, ამას უახლოეს ხანებში გვეტყვის რუსეთ-საქართველოს მომავალი ხელშეკრულება.

ისიც უნდა გითხრათ, რომ, თუ ჩემი ვარაუდი სწორი აღმოჩნდება, მაშინ საქართველოს ფორმალურად, ალბათ, დაუტოვებენ აფხაზეთსაც და ყოფილ სამხრეთ ოსეთის აო-საც. ოღონდ ორივეს ავტონომიის უფლებით. თუ ჩემი ვარაუდი მხოლოდ ვარაუდია და მეტი არაფერი, მაშინ აფხაზეთსა და ცხინვალის ოლქს დიდი ომის თვინიერ ვერ დავიბრუნებთ.

იმასაც ვფიქრობ, რომ ჩემი ვარაუდის გაცნობით თქვენს ბოლო კითხვასაც გავეცი პასუხი.

გაზ. «მამული»,
№27, აგვისტო, 1993

დედამიწიონებისა და უცხოპლანეტიონების შეხვედრა გარდაუვალია!

გიგლა გობეჩია _ რამდენიმე წლის წინათ გაზეთ «მამულში» გამოქვეყნებულ წერილში თქვენ წერდით: «მართალია ბევრი უარყოფს სიცოცხლეს რომელიმე სხვა პლანეტაზე, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია ამ უკიდეგანო სამყაროში, დედამიწის გარდა, სხვაგან არ არსებობდნენ გონიერი არსებანი. 21-ე საუკუნეში კაცობრიობას მათთან შეხვედრა მოუწევს. ნუ გაგიკვირდებათ და ამის უშუალო საბუთია «მფრინავი თეფშები» და ის გაუთავებელი სჯა-ბაასი, რასაც ისინი იწვევენ». ჩემი შეკითხვა ასეთი იქნება _ მარტოოდენ ამ «უშუალო საბუთს» ემყარება თქვენი დასკვნა, თუ არის კიდევ რაღაც სხვაც. და კიდევ, ხომ არ განავრცობდით ამ აზრს?

აკაკი ბაქრაძე _ ჩემი დასკვნა ემყარება კაცობრიობის ცოდნის განვითარებას. ეს ცოდნა მუდმივ განვითარებადია. იგი არასდროს ამოიწურება. ადამიანის ცოდნის წადილი არ შეწყდება. ახლის ძიება, ახლის წვდომა ადამიანის გონების თვისებაა. რა თქმა უნდა, დედამიწაზე ჯერ კიდევ უთვალავი რამ დარჩა, რაც არ ვიცით, მაგრამ ზოგადი წარმოდგენით ჩვენ უკვე ვიცნობთ იმ პლანეტას, რომელზეც ვცხოვრობთ. ახლა თანდათანობით მოდის დრო, როცა დედამიწის იქით უნდა გავიხედოთ. ეს დაიწყო უკვე: ადამიანი იყო მთვარეზე. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ადამიანი არაფერს იგონებს ისეთს, რაც მას არ სჭირდება. ამას ნათლად ადასტურებს ტექნიკის ისტორია. რაკი ადამიანმა მე-20 საუკუნეში კოსმოსური ტექნიკის მშენებლობა დაიწყო, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ეს პრაქტიკულად სჭირდება. ეს პრაქტიკული საჭიროება კი გახლავთ სხვა პლანეტაზე მოგზაურობა, ცოდნის გაფართოება, ცოდნის ახალი საფეხურის ათვისება. ასე, რომ ჩემი დასკვნა მარტივად გამომდინარეობს დღევანდელი მეცნიერული და ტექნიკური აზრის განვითარებიდან.

გ.გ. _ თავად თქვენ როდის დაინტერესდით პარაფსიქოლოგიის საკითხებით? თვლით თუ არა მას მომავლის მეცნიერებად, როგორც ამას ახლა ბევრი მიიჩნევს?

ა.ბ. _ ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, როცა ჩემთვის ერთი რამ «აღმოვაჩინე»: რასაც კომუნისტური იდეოლოგია აგინებს, ლანძღავს და თათხავს, ის ძალიან საინტერესოა. ამასაც უბრალოდ მივაგენი. ჩემი მოწაფეობის წლებში, ყმაწვილებს შორის, ძალიან პოპულარული იყო დაჭერილი და დახვრეტილი მწერლების კითხვა. ჩვენ ყველანი დიდი გატაცებით ვკითხულობდით მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს და სხვებს. ვკითხულობდით იმ ლანძღვა-გინებასაც, რასაც კომუნისტური პრესა ეწეოდა და ნათლად ვხედავდით: კომუნისტური იდეოლოგია ტყუის. ჯავახიშვილის მოთხრობები და რომანები, ტიციან ტაბიძის ლექსები, გრიგოლ რობაქიძის «გველის პერანგი» და სხვანი და სხვანი ჩინებული ლიტერატურაა. მაშასადამე, მათ წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა არა მარტო ტენდენციურია, არამედ მცდარიც, ცრუ და მატყუარაა. რაკი ასეა, ყველაფერი, რასაც კომუნისტური იდეოლოგია აგინებს, თავად უნდა შეამოწმო (რა თქმა უნდა, თუ გაქვს ამის საშუალება). თავად უნდა დარწმუნდე, რა არის მართალი და რა _ ტყუილი.

კომუნისტური იდეოლოგია პარაფსიქოლოგიასაც გაწიწმატებული აგინებდა. ჩემთვის ეს იმას ნიშნავდა, რომ პარაფსიქოლოგია საინტერესოა. მას უნდა ღრმად გაეცნო და საკუთარი დასკვნა გააკეთო. ასე დაიწყო ჩემი დაინტერესება პარაფსიქოლოგიით. შემდეგ რამდენადაც მეტად ვეცნობოდი პარაფსიქოლოგიას, იმდენად ცხადად ვხედავდი, რომ ლიტერატორისათვის აუცილებელია მისი ცოდნა. განსაკუთრებით, თუ გინდა ღრმად ჩაწვდე მითოლოგიას, სასულიერო მწერლობას. მეტნაკლებად ამოიცნო იქ აღწერილი მოვლენები. მე თუ მკითხავს ვინმე, არც ვაჟა-ფშაველას წვდომა შეიძლება პარაფსიქოლოგიის თვინიერ და არც გალაკტიონ ტაბიძისა.

მართალი რომ გითხრათ, მე არ მიყვარს იმგვარი გამოთქმები როგორიც არის, მაგალითად, «მომავლის მეცნიერება». რომელიმე ერთი მეცნიერება ადამიანის ცნობისწადილს ვერ დააკმაყოფილებს. რომელიმე ერთი მეცნიერება ვერც სამყაროს შეცნობას მოახერხებს. ამას მეცნიერების ცოდნის ნაირ-ნაირი დარგები სჭირდება. მრავალფეროვნებაა აუცილებელი. ცხადია, პარაფსიქოლოგიაც განვითარდება და უფრო მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ადამიანთა ცხოვრებაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი «მომავლის მეცნიერება» გახდება. მომავალში მეცნიერების იმდენი ახალი დარგი დაიბადება, რომ დღევანდელმა ადამიანებმა შეიძლება გაკვირვებისაგან პირი დავაღოთ. ეს სამყარო იმით არის მშვენიერი, რომ იგი მრავალფეროვანია. რუსთაველი რომ ბრძანებს _ გვაქვს უთვალავი ფერითა _ მეცნიერებაც, ხელოვნებაც (თავად პარაფსიქოლოგიაც) იმით არის მშვენიერი, რომ მრავალფეროვანია.

ამ მრავალფეროვან მეცნიერულ სამყაროში პარაფსიქოლოგიას თავისი ადგილი აქვს და მას ნურც რამეს მივუმატებთ და ნურც რასმე მოვაკლებთ.

გ.გ. _ გქონიათ ურთიერთობა ამა თუ იმ ძლიერ ფენომენთან? თუ არა, რატომ? სურვილიც კი არ გაგჩენიათ?

ა.ბ. _ არ მქონია და არც სურვილი გამჩენია. ალბათ, იმიტომ რომ ისინი ახალს ვერაფერს მეტყვიან.

ყველაზე დიდი და მიუწვდომელი საიდუმლო, რაც ხილულ სამყაროში არსებობს, გახლავთ ადამიანის სხეულის ის ნაწილი, რომელსაც თავის ტვინი ეწოდება. რა არ შეუძლია მას, რა ნიჭიერებას არ ავლენს იგი! (სამწუხაროდ, უნიჭობასაც აურაცხელს). ნიჭიერება ხომ მარტო პოეტობა არ არის, მუსიკოსობა არ არის, მხატვრობა არ არის. ნიჭიერებაა ტელეპათიაც, ნათელმხილველობაც, ტელეკინეზიც, წინასწარმეტყველებაც. როგორც მწერლის ნიჭით შეიძლება იყოს დაჯილდოებული ადამიანი, ასევე შეიძლება

ფლობდეს იგი ტელეპათის ნიჭს. რა არის აქ გასაკვირელი ან უცნაური? ჩემი აზრით, არაფერი. პარაფსიქოლოგიური ნიჭიერება ახალი ამბავი ხომ არ არის. ამის მაგალითებს უძველესი მატიანეები იცნობენ, უძველეს მწერლობაშია აღწერილი, ოღონდ იმას კი უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ პარაფსიქოლოგიური ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანი ძალიან იშვიათია, უფრო იშვიათი, ვიდრე პოეტური, მხატვრული ან მუსიკალური ნიჭის მქონე ადამიანი. ლექსს უთვალავი ადამიანი წერს, მაგრამ გალაკტიონ ტაბიძე ერთია. ამას თვითონაც ხედავდა და თავმდაბლობის თვინიერ ამბობდა: «როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი». ასეა საერთოდ: პარაფსიქოლოგიური ნიჭიერების მატარებელი ადამიანიც შეიძლება საუკუნეში ერთი იყოს და არა ისე სოკოებივით მომრავლებული, როგორც დღეს საქართველოშია. ყველა მეორე ქართველს დღეს თავი ან ტელეპათი ჰგონია ან ექსტრასენსი, ან ნათელმხილველი, ან წინასწარმეტყველი და ა.შ. ეს სასაცილოა, მაგრამ იმასაც ნუ დავმალავთ, რომ საშიშიც არის. ძალიან ცოდვაა ერი, რომელსაც ამდენი ნათელმხილველი და წინასწარმეტყველი ჰყავს.

გ.გ. _ მახსოვს თქვენ ერთგან წერდით, რომ საჭიროა ამ საკითხების პროპაგანდა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ამან ცნობიერების მასობრივი «ლიანგური შერყევა» (თქვენი სიტყვებია) გამოიწვიოს. როგორი ფორმით მიგაჩნიათ ამ საკითხების პროპაგანდა უფრო ეფექტურად?

ა.ბ. _ საგანგებო გაზეთი ან ჟურნალი უნდა არსებობდეს, სადაც მუდმივად იქნება ლაპარაკი პარაფსიქოლოგიის პრობლემებზე. მკითხველს ექნება საშუალება ფართო ინფორმაციის მიღებისა. ამ გაზეთში თუ ჟურნალში უნდა იბეჭდებოდეს ყველაფერი (ჩვენი შესაძლებლობისდაგვარად, ცხადია), რაც უცხოეთში ქვეყნდება პარაფსიქოლოგიის მიმართულებით. უცხოეთში დიდძალი ლიტერატურაა დაგროვებული ამ დარგში და როცა მას გაეცნობა ჩვენი მკითხველი, მოვლენებს უფრო მშვიდად აღიქვამს.

გ.გ. _ მფრინავი თეფშების და, საერთოდაც, გამოუცნობი მოვლენების თემა არაერთ დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს უფორიაქებდა და დღესაც უფორიაქებს გონებას როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. როგორი იქნება თქვენი კომენტარი?

ა.ბ. _ პოლიტიკა უდიდესი პასუხისმგებლობაა ქვეყნისა და ხალხის მომავლის წინაშე. პოლიტიკოსმა, თუ იგი მართლაა პოლიტიკოსის ნიჭით აღჭურვილი, უნდა გაითვალოს არა მარტო საკუთარი ქვეყნის, არამედ კაცობრიობის მომავალიც. რამდენად შორს გათვლის, იმდენად უფრო ნიჭიერია. რით ემუქრება კაცობრიობას ამოუცნობი მოვლენები, გინდ «მფრინავი თეფში» იყოს იგი და გინდ «მცურავი»? მე არ ვლაპარაკობ მხოლოდ კონკრეტულ საგანზე. მე უფრო იდეა მაინტერესებს. რამ გააჩინა აზრი «მფრინავი თეფშის» არსებობისა? თავად «თეფშის» არსებობამ თუ რაღაც სხვამ, უფრო მნიშვნელოვანმა და არსებითმა? პოლიტიკოსმა ეს უნდა ამოიცნოს. ერთია იმ ხალხის მართვა, ვისაც არ სჯერა «მფრინავი თეფშის» არსებობა და მეორეა იმ ხალხის მართვა, ვისაც სჯერა მისი არსებობა. ამდენად ბუნებრივია პოლიტიკოსების აფორიაქება.

როცა რეალურად გამოიკვეთა ატომური ბომბის გაკეთების შესაძლებლობა, ამან მეცნიერებაზე ადრე პოლიტიკოსები დააინტერესა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ატომური ბომბით სხვა ქვეყნების დაპყრობა შეიძლებოდა, არამედ იმიტომაც, რომ უნდა გამოძებნილიყო გზები, როგორ შეიძლება მისგან თავდაცვა. არსებითია სწორედ თავდაცვა. თუ «მფრინავი თეფში» არსებობს, მაშინ სხვა ცივილიზაციაც არსებობს. როგორ შეიძლება ამ ცივილიზაციისაგან თავდაცვა? ეს პრობლემა გადასაწყვეტია როგორც მეცნიერების, ისე პოლიტიკოსების მიერ.

70-იან წლებში ინგლისში ფუტუროლოგთა ყრილობა ჩატარდა. ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა შიში გამოთქვა: თუ არსებობს, დედამიწის გარეთ, უცხო ცივილიზაცია, ჩვენ მიწიონებს (ე.ი. დედამიწაზე მცხოვრებთ) დიდი საფრთხე გვემუქრებაო. რუსმა მეცნიერმა დაამშვიდა: თუ დედამიწაზე მოვა უცხო ცივილიზაციის წარმომადგენელი, იგი ისეთ მაღალ დონეზე იქნება თავისი შეგნებით, რომ ადამიანებს არავითარი საფრთხე არ დაემუქრებაო. ამ იმედიან განწყობილებას ინგლისელმა სევდიანად უპასუხა _ თქვენ კენგურუს დაპატიჟებთ ჩაიზე?

მაშინ რა ვქნათ, თუ უცხოპლანეტიონი მიწიონებს კენგურუებად მიგვიჩნევს? ამის პასუხი პოლიტიკოსებმა უნდა მოძებნონ. მათ უნდა მოამზადონ დედამიწა უცხო სამყაროსთან შესახვედრად. ამიტომ ბუნებრივია მათი აფორიაქება, მოვლენის ამოხსნის მცდელობა, გზების ძიება. ვერც ერთი პარაფსიქოლოგი ვერ იტყვის, როდის მოხდება მიწიონებისა და უცხოპლანეტიონების შეხვედრა, მაგრამ ასეთი შეხვედრა რომ მოხდება, ეს არ მეეჭვება. ამის საბუთი ცივილიზაციის ისტორიაა.

გ.გ. _ დღეს ბევრმა იცის, რომ საქართველოს პარლამენტშიც გამოჩნდნენ ამ საკითხებით დაინტერესებული პარლამენტარები. თქვენ რას იტყვით?

ა.ბ. _ მხოლოდ დაინტერესება არ კმარა. საქმე ის არის, რამდენად ღრმად გვესმის პარაფსიქოლოგიის არსი. კაცობრიობის ისტორია იცნობს ერთ-ერთ პირველ პარაფსიქოლოგს კასანდრას, რომლის წინასწარმეტყველებას ტროელებმა არ დაუჯერეს და ილიონი დაიქცა. პოლიტიკოსს ზუსტად და უემოციოდ უნდა შეეძლოს იმის მიხვედრა _ რა დაიჯეროს და რა არა. ამიტომ, თუ ბევრად არა, პოლიტიკოსი ცოტათი მაინც თავადაც უნდა იყოს პარაფსიქოლოგი. ამ მხრივ ქართულ პოლიტიკაში, საერთოდ, და, კერძოდ, პარლამენტში, შავად არის საქმე.

გ.გ. _ რა იცით ცნობილ თბილისელ წინასწარმეტყველ ლელა კაკულიაზე. იცნობთ მისი პოლიტიკური ხასიათის პროგნოზებს? როგორია შთაბეჭდილება?

ა.ბ. _ მხოლოდ ის, რაც იბეჭდება ოფიციალურად პრესაში. მის პოლიტიკურ პროგნოზებს არ ვიზიარებ.

გ.გ. _ რამდენადაც ვიცი, ყველა ნორმალურ ქვეყანაში იყენებენ ფენომენთა სამსახურს სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად. ჩვენთან რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

ა.ბ. _ მართალი ხართ. დაზვერვაში, საიდუმლო პოლიციაში და სხვაგან პარაფსიქოლოგებს საზღვარგარეთ დღეს აქტიურად იყენებენ. ჩვენთან რა მდგომარეობაა ამ მხრივ, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ეს არ ვიცი, მაგრამ ქართველის დაუდევრობას თუ გავითვალისწინებთ, აშკარაა საქმე მოწესრიგებული არ გვექნება..

გ.გ. _ ჩვენთან მეტნაკლებად ცნობილია ბიბლიის დამოკიდებულება ფენომენოლოგიისადმი. თქვენ როგორ ახსნით ამას და კიდევ, ხომ ვერ გვეტყოდით, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ყურანში?

ა.ბ. _ ფენომენოლოგიისადმი ყურანის დამოკიდებულება არსებითად ისეთივეა, როგორიც ბიბლიის. ბიბლიაც და ყურანიც დიდი რელიგიების ფუძე-წიგნებია. ისიც კარგად ცნობილია, რომ, ამ წიგნების მიხედვით, სამ მსოფლიო რელიგიას _ იუდაიზმს, ქრისტიანობას, ისლამს _ ექვსი ძირითადი საერთო დებულება აქვს _ 1. ღმერთი არსებობს, 2. ღმერთი ერთია, 3. ყველაფერს ღმერთი განაგებს, 4. სამყარო ღმერთმა შექმნა, 5. გამოცხადება, 6. მკვდრეთით აღდგომა. ამ დებულებათა კუთხით უყურებენ ისინი მოვლენებს, მათ შორის ფენომენოლოგიასაც. ანდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ფენომენოლოგიისადმი დამოკიდებულების საფუძველი ამ დებულებებშია.

გაზ. «ფენომენი»,
№2, 1994

აუცილებელია, საქართველოს მომავლის რწმენა დაუბრუნდეს!

კორესპ. _ ბატონო აკაკი, რა აზრის ბრძანდებით ჟენევის მოლაპარაკებებზე და უკანასკნელ ხანებში გალში დატრიალებულ ტრაგედიაზე?

აკაკი ბაქრაძე _ ჟენევის მოლაპარაკებას ერთხელ უკვე წყლის ნაყვა ვუწოდე. ახლაც ამ აზრისა ვარ. რუსეთის დახმარებით გამარჯვებული აფსარები (ეთნონიმ აფსუას ქართული შესატყვისი აფსარია და არა აფხაზი. აფხაზები ქართული ტომია. სწორედ ისინი არიან გამოდევნილი აფხაზეთიდან. მათ ადგილს აფსარები, სომხები, რუსები და ჩრდილოკავკასიელები იკავებენ) არაფერს დათმობენ. არც რუსეთი მისცემს უფლებას რაიმე დათმონ. აფხაზეთის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან მხოლოდ სამხედრო ძალით შეიძლება. ამიტომ ახლა ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნამდვილი არმია ჩამოყალიბდეს.

რუსეთის «წუხილი» გუდაუთის ხროვის საქციელის გამო ერთ შემთხვევას მაგონებს. როცა სტალინმა ბუხარინის განადგურება გადაწყვიტა, პოლიტბიუროზე მისი გაკრიტიკება მოლოტოვს დაავალა. სტალინმა დამავალაო და მოლოტოვმა სულ ბდღვირი ადინა ბუხარინს. პოლიტბიუროს სხდომა რომ დამთავრდა, შეშინებული ბუხარინი სტალინს მივარდა: კობა (ძველი «მეგობრები» იყვნენ და ბუხარინი «სიყვარულით» ასე ეძახდა სტალინს), ნუთუ გჯერა ის, რაც ახლა მოლოტოვმა ჩემზე ილაპარაკაო? სტალინმა დაამშვიდა ბუხარინი: ხომ იცი მოლოტივი რა თავხედი და თავნებაა, არავის არაფერს უჯერებს. დღესაც ასე მოიქცა. მოლოტოვს ყურს ვინ უგდებსო.

ბუხარინის ცხოვრება რით დამთავრდა კარგად არის ცნობილი. ისიც ვიცით, რა ყურმოჭრილი ყმა იყო მოლოტოვი სტალინისა. ასეთივე ყურმოჭრილი ყმაა გუდაუთის ხროვა მოსკოვისა. იგი იმას აკეთებს, რასაც რუსეთი ავალებს. ჩვენთვის უკეთესია თავი დავანებოთ ზღაპრებს მოსკოვის ხელისუფლების კეთილი განწყობილების შესახებ საქართველოსადმი. ძალა მოვიკრიბოთ და დაპყრობილი ქართული მიწა-წყალი (აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი) ვაჭკაცობით და გმირობით დავიბრუნოთ.

გალის რაიონის ტრაგედია პირდაპირი გაგრძელებაა მეფის რუსეთის კავკასიური პოლიტიკისა. ხომ გახსოვთ მოჰაჯირობის სახელით ცნობილი უბედურება, როცა კავკასიელი მაჰმადიანები (მათ შორის, ქართველებიც) აჰყარეს და უცხოეთში გააძევეს. ამის მიზანი კავკასიის ტერიტორიის დაცარიელება და იქ რუსთა დასახლება იყო. აფხაზეთიდან ქართველთა გაძევება დიდი ხნის წინათ (უკვე მე-19 საუკუნეში) შედგენილი გეგმაა. საერთოდ აფხაზეთიდან და კერძოდ გალის რაიონიდან ქართველთა განდევნა იმ ძველი გეგმის განხორციელებაა, ახალ ვითარებაში და ახალ პირობებში.

კორესპ. _ რა ზეგავლენას მოახდენს იუგოსლავიაში აშშ-რუსეთის დაპირისპირება საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე?

ა.ბ. _ ძნელი სათქმელია. ახლა იუგოსლავიაში ძალთა მოსინჯვა მიმდინარეობს. ვინ ვის შეაშინებს: ევროპა-ამერიკა რუსეთს, თუ რუსეთი ევროპა-ამერიკას. თუ ევროპა-ამერიკა შეაშინებს რუსეთს, ეს ვითარება ჩვენც და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ. თუ, პირიქით, რუსეთი შეაშინებს ევროპა-ამერიკას, მაშინ ჩვენი ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება. რუსეთი გათამამდება და უფრო აქტიურად შეუდგება იმპერიის აღდგენას. მოვლენათა მომავალი განვითარება დაგვანახვებს ნათლად საით მიდის საქმე.

კორესპ. _ თქვენი აზრით, რატომ არ ტარდება რეალური ეკონომიკური რეფორმები საქართველოში?

ა.ბ. _ რეფორმები რომ ჩაატარო, უნდა მკაფიოდ იცოდე, რა გინდა და როგორ გინდა. დღევანდელი ხელისუფლება კი დაბნეულია. იგი (დღევანდელი ხელისუფლება) ცნობიერებით კომუნისტურია. სიტყვით შეიძლება უარყოფდეს კიდეც თავის კომუნისტურობას, მაგრამ რა უყოს ცნობიერებას? როგორ მოერიოს მას? ათეული წლების განმავლობაში ძვალსა და რბილში გამჯდარ იდეოლოგიას როგორ უნდა უთხრას უარი, როგორ დასძლიოს იგი? ეკონომიკური რეფორმა უპირველესად მოითხოვს კომუნისტური იდეოლოგიის უარყოფას, ხელაღებით უარის თქმას სოციალისტურ ეკონომიკაზე, კაპიტალისტური, ანუ, როგორც დღეს ამბობენ, სოციალური საბაზრო ეკონომიკის აუცილებლობის აღიარებას. ამის სიტყვით აღიარება იოლია (აღიარებენ კიდეც), მაგრამ საქმით გაკეთება ძნელი. ძნელია თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ჩვენში რეალურად და ნამდვილად არავინ იცის, რა არის ეს სოციალური საბაზრო ეკონომიკა. მარტო ის რა საშინელებაა, რომ ჩვეულებრივ მჩოდარებს, ანუ სპეკულიანტებს ბიზნესმენებს ვეძახით. რა აქვთ მათ საერთო? არაფერი, სრულიად არაფერი. ბიზნესმენი შემოქმედია, ახლის შემქმნელია, მეწარმეა. მჩოდარი კი ჩვეულებრივი გადამყიდველია. ერთ ადგილას შედარებით იაფად ყიდულობს საქონელს და მეორე ადგილას უფრო ძვირად ყიდის. არავინ არაფერს ჰქმნის დღეს საქართველოში. ქართულ ეკონომიკას სპეკულიანტობით უდგას სული.

ამ ვითარებამ ხელისუფლება შეაშინა. ხალხიც, სხვათა შორის. დაბნეული ხელისუფლება და დაბნეული ხალხი ერთმანეთს შესჩერებია პირში და ნაბიჯი ვერცერთი მიმართულებით ვერ გადაუდგამს. ასე იქნება ყველაფერი გაყინული მანამ, სანამ საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ჩატარება არ დაევალება უცხოეთიდან მოწვეულ სპეციალისტებს, იმათ, ვინც იცის თეორიულადაც და პრაქტიკულადაც რა არის სოციალური საბაზრო ეკონომიკა. ნუ ეწყინებათ ეს ჩვენს ეკონომისტებს. მათ არ ჰქონდათ საშუალება პრაქტიკულად შეეცნოთ სოციალური საბაზრო ეკონომიკა. მარტო თეორიულად არაფრის სწავლა არ შეიძლება. ცოდნა მაშინ ხდება ცოდნა, როცა პრაქტიკითა და ვარჯიშით არის თეორია გამაგრებულ-გამტკიცებული. ფეხბურთელი მარტო თეორიული ცოდნით ითამაშებს ფეხბურთს, თუ არ ივარჯიშა და პრაქტიკულად არ ითამაშა? ქირურგი გააკეთებს ოპერაციას მარტო თეორიული ცოდნით, თუ არ ივარჯიშა და პრაქტიკულად არ დაეუფლა ოპერაციის ხელოვნებას? ეს საერთო წესია. ეკონომისტი რატომ უნდა იყოს გამონაკლისი?

საქართველოში ეკონომიკური რეფორმა ჩატარდება მაშინ, როცა საქართველოს ეყოლება გაბედული ხელისუფლება, რომელსაც არ შეეშინდება ამ უძნელესი და აუცილებელი პროცესის განხორციელება. ამ ხელისუფლების ცნობიერება თავისუფალი უნდა იყოს ძველისაგან, ანუ სოციალისტური ეკონომიკისაგან. იგი ანთებული უნდა იყოს ახლის, ანუ სოციალური საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების სურვილით. არ უნდა ეშინოდეს უცხოელ სპეციალისტებს მიანდოს ეკონომიკური რეფორმის ჩატარება (რა თქმა უნდა, ქართველი ეკონომისტების დახმარებით). მაგრამ უცხოელი სპეციალისტები აშშ-დან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან არ უნდა მოვიწვიოთ. ისინი უნდა მოვიპატიჟოთ ისეთივე პატარა ქვეყნებიდან როგორიც საქართველოა: დანიიდან, ნორვეგიიდან, ჰოლანდიიდან და ა.შ. ბუნებრივ პირობებს არსებითი მნიშვნელობა აქვს, სივრცესაც. შავი ზღვაც ზღვაა, მაგრამ ვეშაპი ვერ იცხოვრებს მასში და ვერ გამრავლდება. ვეშაპმა ოკეანეში იცის, რა უნდა ჰქნას. პატარა თევზები კი დიდებულად გრძნობენ თავს შავ ზღვაში, მათთვის შესაფერის სივრცეში. როცა ეკონომიკურ

რეფორმებზე ვფიქრობთ, ეს გასათვალისწინებელია. ჭკუა იმ ადამიანებს ვკითხოთ, ვინც ზედმიწევნით იცის პატარა ქვეყნის შესაძლებლობა და უნარი.

კორესპ. _ რას იტყვით 1994 წლის 1 მარტს პარლამენტში სნგ-ს რატიფიკაციის შესახებ?

ა.ბ. _ საუბედუროდ, პირველ მარტს პარლამენტის უმრავლესობამ საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტობრივად და იურიდიულად გააუქმა. სხვას არაფერს ნიშნავს დსთ-ში შესვლის გადაწყვეტილების რატიფიკაცია. საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ დღეებს კიდევ ერთი თარიღი მიემატა. მაგრამ, იმედია, ეროვნული მოძრაობა ძალას მოიკრებს და საქართველოს თავისუფლების საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს.

კორესპ. _ რა გზით უნდა წარიმართოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში?

ა.ბ. _ აუცილებლად მიმაჩნია ეროვნული მოძრაობის ერთიანი ცენტრის შექმნა. ამ ცენტრის ამოცანა უნდა იყოს: 1. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეფორმის, 2. ეკონომიკური რეფორმის, 3. საგანმანათლებლო რეფორმის, 4. ქართული არმიის ჩამოყალიბების გეგმა-პროგრამების ზედმიწევნით ზუსტად დამუშავება. ხალხმა მკაფიოდ და ნათლად უნდა იცოდეს, ახალ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ რას გააკეთებენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები.

ეროვნული მოძრაობის ერთიანმა ცენტრმა არჩევნებამდე უნდა ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა, ანუ ე.წ. «ტენევოი კაბინეტ». ხალხმა ისიც წინასწარ უნდა იცოდეს, ახალ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ვინ და როგორი ადამიანები დაიკავებენ მინისტრთა პოსტებს.

ეროვნული მოძრაობის ერთიანმა ცენტრმა უნდა უხელმძღვანელოს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებასაც.

მომავალ ხელისუფლებას უმძიმესი და ურთულესი პრობლემები აქვს მოსაგვარებელი. მან უნდა აღადგინოს პირწმინდად დაქცეული ეკონომიკა, თან სრულიად ახალი პრინციპების მიხედვით, შექმნას და ჩამოაყალიბოს ნამდვილი არმია, ბრძოლისუნარიანი, დისციპლინირებული და ზნეობრივი. ჩაატაროს საგანმანათლებლო რეფორმა და ამით უშველოს ჩვენს ძირფესვიანად მოშლილ განათლებას. ააღორძინოს სიკვდილის პირას მისული ქართული კულტურა, ალაგმოს ავაზაკთა თარეში. დაამკვიდროს მშვიდობიანი საქმიანი ცხოვრების ვითარება. დაიბრუნოს მტრისაგან დაპყრობილი ქართული ტერიტორია. შინ დააბრუნოს და საკუთარ ოჯახში ცხოვრების საშუალება მისცეს უთვალავ დევნილ და დაჩაგრულ ადამიანს. აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებელი გახადოს ჩვენი ქვეყნის საზღვრები.

გამოიყვანოს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან.

და, რაც მთავარია, საქართველოს მომავლის რწმენა დაუბრუნოს ქართველ ხალხს, რომ იგი წელშიგატეხილი, დაბეჩავებული და სასოწარკვეთილი არ უყურებდეს ხვალინდელ დღეს.

ასეთი ძალის ხელისუფლება უნდა შექმნას ეროვნულმა მოძრაობამ, თუ სურს, რომ შთამომავლობა წყევლა-კრულვით არ იხსენიებდეს.

გაზ. «ივერია»,
1994წ., №36, მარტი

«ნიჭი პატიოსანი უნდა იყოს!»

ეს ინტერვიუ აკაკი ბაქრაძესთან 14 თებერვალს ჩავიწერეთ, მაგრამ საკითხები, რომლებიც დღეს მიიპყრობს თქვენს ყურადღებას, სულაც არ არის მოძველებული. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში დაგპირდით, საუბარი იქნება ყველაფერზე, გარდა პოლიტიკისა და ეკონომიკისა, ასე რომ...

ანა გაგნიძე _ ბატონო აკაკი, სკოლაში როგორ სწავლობდით და რა იყო თქვენი სკოლისათვის დამახასიათებელი. როგორ ფიქრობთ, მოახდინა გავლენა თქვენზე?

აკაკი ბაქრაძე _ განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, მაგრამ სკოლა ყოველთვის ტოვებს ადამიანში მნიშვნელოვან კვალს. თუნდაც იმიტომ, რომ სკოლაში ხდება ცნობიერების ჩამოყალიბება, ცოდნის შეძენა, ურთიერთობა ადამიანებთან _ მასწავლებლებთან, თანაკლასელებთან. ამიტომ ტოვებს მნიშვნელოვან კვალს. მით უფრო, რომ ჩვენს სკოლაში კარგი პედაგოგები ასწავლიდნენ.

ა.გ. _ შატალოზე თუ ყოფილხართ?

ა.ბ. _ როგორ არა. ეს ჩვეულებრივი ბავშვური ამბავია. ამ ანცობაში მეტნაკლებად ყველა მოწაფე მონაწილეობს.

ა.გ. _ დღეს ძალიან იმატა უმიზეზო გაცდენებმა. თითქმის მოშლილია სასწავლო პროცესი, ცდება ბევრი გაკვეთილი. იქნებ ეს მასწავლებლების ან იმ სიტუაციის ბრალია, რომელიც ახლაა დასადგურებული სკოლაში _ უპასუხისმგებლობის...

ა.ბ. _ ყველა დროში და ყველა სკოლაში არიან მოსწავლეები, რომელნიც სწავლობენ, მასწავლებელები, რომელნიც კარგად ასწავლიან და მოსწავლეები, რომლებიც არ სწავლობენ, მასწავლებლები, რომლებიც ცუდად ასწავლიან. ასევე ყველა სკოლაში არის ისეთი ვითარება, რომელიც მოწაფეებს არ მოსწონთ. ამ მხრივ დღეს რაიმე განსაკუთრებული არ ხდება. მაგრამ აწმყოზე წუწუნი საერთოდ დამახასიათებელია ადამიანისათვის. წარსულს იგი უფრო მეტად აიდეალებს. ალბათ, იმიტომ, რომ მეხსიერებაში წარსულის მხოლოდ ნათელი ფერები რჩება. ცუდს კი ივიწყებს. როდესაც დღევანდელი ახალგაზრდები დაბერდებიან, ისინიც იტყვიან, რომ მათი ახალგაზრდობის დროს, მათი სკოლა და მასწავლებლები იყვნენ მშვენიერები, ხოლო იმას, რაც მათი სიბერის დროს იქნება, ჩათვლიან ცუდად, მოუწყობლად. იწუწუნებენ _ ჩვენს ახალგაზრდობაში საქმე კარგად იყო, ახლა ყველაფერი ცუდად არისო.

სხვა საკითხია ეკონომიკური სირთულეები. ეს საერთოდ დამახასიათებელია საბჭოური ყოფისათვის. ასე იყო ჩვენს ბავშვობაშიც, მაგრამ მაშინ ამ გასაჭირს ომით (1941-45 წ.) და მისი მომდევნო პერიოდით ხსნიდნენ. უფრო ადრეც რთულად იყო ეკონომიკის საქმე, მაგრამ აბრალებდნენ იმპერიალისტურ გარემოცვას. ასე, რომ სსრკ-ში ეკონომიკურად დალხინებული ადამიანი არასოდეს ყოფილა.

ა.გ. _ როგორ ფიქრობთ, სკოლაში მასწავლებლების ასაკი შეზღუდული უნდა იყოს? ახლა ტენდენციაა შემცირებისაკენ, კოლექტივების «გაახალგაზრდავებისაკენ». მაგრამ, ჩემი აზრით, არიან ნათელი პიროვნებები და არ შეიძლება ხელაღებით ყველას სამსახურიდან განთავისუფლება.

ა.ბ. _ რა თქმა უნდა. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს თავში რა უდევს. ასაკი ზოგჯერ ძალიან დიდი უპირატესობაა ამა თუ იმ ადამიანისა. იგი დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას აძლევს კაცს. ადამიანისადმი დამოკიდებულება უნდა განისაზღვროს არა წლოვანების, არამედ ჭკუისა და ნიჭის მიხედვით. სულელი და ტუტუცი ახალგაზრდაც ბევრია და ბებერიც. ისევე, როგორც ახალგაზრდაც არის

ნიჭიერი და გონიერი და ბებერიც. ასე რომ, ასაკი არავითარი უპირატესობის ნიშანი არ არის, გარდა იმისა, რომ ხანდაზმულს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება. თუმცა არც ახალგაზრდა უნდა იყოს ამ თვისებას მოკლებული.

ა.გ. _ თქვენი დროის უნივერსიტეტიდან დღევანდელში რას გადმონერგავდით?

ა.ბ. _ უნივერსიტეტის სახე დამოკიდებულია პიროვნებებზე, რომლებიც უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ მაშინ და დღეს. ამიტომ, რისიმე გადმონერგვა შეუძლებელია. ვერასოდეს გადმონერგავთ შალვა ნუცუბიძის, კოტე ბაქრაძის, ნიკო ბერძენიშვილის, კორნელი კეკელიძის და სხვათა ლექციებს. ისინი თვითონ იყვნენ საინტერესო ადამიანები, უაღრესად მიმზიდველნი თავიანთი ნიჭით, განათლებით. ისინი ქმნიდნენ უნივერსიტეტის სახეს. როცა წარსულზე ვლაპარაკობთ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მისი მშვენიერება გავიხსენოთ. ნუ ვეცდებით წარსულის დაბრუნებას. ვცადოთ უნივერსიტეტის დღევანდელი დღე გავხადოთ მშვენიერი და ამაღლებული.

ა.გ. _ ბევრს გვაინტერესებს, განახლდება თუ არა თქვენი ლექციები უნივერსიტეტში.

ა.ბ. _ არა. ჩემთვის არავის შემოუთავაზებია ამგვარი რამ, თუმცა უნივერსიტეტები ჩვენში მომრავლდა. რატომღაც ჩემი ლექციების ყოველთვის ეშინოდათ. როგორც ჩანს, ეშინიათ დღესაც. გარდა ამისა, ლექციების წაკითხვას დიდი ფიზიკური ძალა სჭირდება. ამ მხრივ მთლად საიმედოდ ვერა მაქვს საქმე.

ა.გ. _ ბატონო აკაკი, თქვენი აზრით, რომელი საგნის შესწავლას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე?

ა.ბ. _ მე არ ვიცი, როგორია ჰუმანიტარული ფაკულტეტების სასწავლო პროგრამა დღეს, მაგრამ, თუ არ ასწავლიან, მიმაჩნია, რომ გარკვეული დრო უნდა დაეთმოს მჭევრმეტყველებას, ლოგიკას, რელიგიის ისტორიის შესწავლას.

ძალიან ხშირად ვართ მოწმე იმისა, რომ რადიოში, ტელევიზიაში, ტრიბუნაზე სიტყვის წარმოთქმისას ადამიანს აზრის ჩამოყალიბება უჭირს. მჭევრმეტყველების გაკვეთილებს შეუძლია ნიჭიერ ადამიანს გარკვეული ჩვევები შესძინოს. ეს კი მეტისმეტად საჭირო გახლავთ. ჩვეულებრივი მეტყველების დროსაც ადამიანი აზრს გასაგებად უნდა გადმოგვცემდეს და მოსასმენად სასიამოვნო უნდა იყოს.

რელიგიის ისტორიის შესწავლაც საჭიროა. ოღონდ მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ერთი რომელიმე, ვთქვათ, ქრისტიანობის ისტორიის სწავლას. ვგულისხმობ, საერთოდ, ყველა დიდი რელიგიის ისტორიას. ჯერ ერთი, ამით გასაგები გახდება კაცობრიობის რელიგიური სახე და თავისებურება. ისიც გვეცოდინება კაცობრიობის რელიგიის მოზაიკაში ქრისტიანობას რა ადგილი უჭირავს. მეორეც: გამომუშავდება ის ტოლერანტული დამოკიდებულება, რომელიც სხვადასხვა რწმენის ადამიანებს ერთმანეთთან უნდა ჰქონდეთ. მესამეც: ადამიანი, რომელიც მთლიან ცოდნას შეიძენს, თვითონვე მიხვდება, რომელი რელიგიაა მისი სულისათვის უფრო ახლობელი და სად შეიძლება მოიპოვოს მან სიმშვიდე და შვება. ეს ადამიანის თავისუფლების ერთი საწინდარიც გახლავთ.

ა.გ. _ ბატონო აკაკი, ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი?

ა.ბ. _ ო, ძნელი სათქმელია. მე ბევრი მწერალი მიყვარს, როგორც ქართველი, ისე რუსი, უცხოელი. ასევეა ხელოვნების სხვა დარგებშიც. ყოველგვარი მწერლობა კარგია, თუ ის ნიჭიერია, ცუდია უნიჭობა.

ა.გ. _ რა შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენზე ავანგარდისტული მხატვრობა?

ა.ბ. _ ავანგარდისტული მხატვრობა ისევე აუცილებელია, როგორც ყველა სხვა მიმართულება. აქაც ყველაფერი ნიჭზეა დამოკიდებული. ერთხელ საშუალება მქონდა მენახა ერთი ინგლისელი მხატვრის ნამუშევარი, რომელსაც «მოწყენილობა» ერქვა.

არაფერი იყო ტილოზე დახატული, გარდა წრეებისა, კუბებისა, სამკუთხედებისა, მაგრამ მოწყენილობის ზუსტ განწყობილებას ქმნიდა. ასე რომ, ყველაფერი მხატვრის ნიჭიერებაზეა დამოკიდებული. მთავარია მან ემოციური კავშირი დაამყაროს მნახველთან.

ა.გ. _ იზიარებთ გამოთქმას: «ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ძევს»?

ა.ბ. _ მთლად ასე არ არის. ბევრ ჯანსაღ სხეულში ძალიან მახინჯი სული დგას, ისე როგორც, ბევრ გონჯ სხეულში _ კეთილშობილი. მაგრამ საერთოდ ადამიანი უნდა ცდილობდეს სხეულიც ჯანსაღი ჰქონდეს და სულიც. სხეული ჭურჭელია სულისა და თუ ის კარგად იქნება შენახული, ბუნებრივია, სულისათვის უკეთესი იქნება. ისე კი, ადამიანში, როგორც ჩეხოვი ამბობდა, ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს.

ა.გ. _ თქვენ თუ ყოფილხართ სპორტით დაკავებული?

ა.ბ. _ თავგადაკლული სპორტსმენი ვიყავი-მეთქი, ვერ ვიტყვი. მაგრამ სპორტული სანახაობა უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას მანიჭებს. როგორც ყველა ქართველი ბავშვობაში მეც ვფეხბურთელობდი, მაგრამ ნიჭი ფეხბურთელისა არ მქონია.

ა.გ._ იქნებ ისიც სპორტია, რომ თქვენ არ ეწევით?

ა.ბ. _ არა. უბრალოდ ვერაფრით შევეჩვიე თუთუნის წევას. იგი ყოველთვის ზიზღს იწვევდა ჩემში.

ა.გ. _ საერთოდ, ადამიანს რასაც უკრძალავენ, ყველაზე მეტად უყვარს. თქვენ რას გიკრძალავდნენ ხოლმე და რას არა?

ა.ბ. _ აკრძალვასაც აქვს თავისი ვიწრო და ფართო მნიშვნელობა. თუ თქვენ მეკითხებით, რას მიკრძალავდნენ ოჯახში მშობლები, მაშინ უნდა გიპასუხოთ, რომ სრულიად თავისუფლად ვარ აღზრდილი. არაფერი ჩემთვის ჩემს დედ-მამას არ აუკრძალავს. როცა მინდოდა ვმეცადინეობდი, როცა მინდოდა ვთამაშობდი, როცა მინდოდა კინოში მივდიოდი, ერთი სიტყვით, ჩემი თავის უფალი მე ვიყავი. თუ ლაპარაკია პოლიტიკურ თავისუფლებაზე, რა თქმა უნდა, თავისუფლება საოცნებო იყო. მინდოდა უცხოეთში სწავლა, მაგრამ, ცხადია, ეს ფუჭი ოცნება იყო. მიყვარდა მოგზაურობა, მაგრამ ესეც განუხორციელებელი დამრჩა. მინდოდა თავისუფალი აზროვნება და წერა, მაგრამ ძალიან ძნელად ხერხდებოდა. ასე, რომ პოლიტიკურმა დიქტატურამ მძიმე ვითარებაში მაცხოვრა, მაგრამ რას იზამთ... მძიმე ცხოვრება ხასიათის ჩამოყალიბებაში დამეხმარა.

ა.გ. _ როდის იყავით ყველაზე ბედნიერი?

ა.ბ. _ ამის პასუხს ალბათ ვერ მოგცემთ. ზოგჯერ ადამიანს ბედნიერს ხდის სრულიად მცირე და უბრალო რამ, მაგრამ რაკი საქმიანობა, რომელსაც მე ვეწეოდი უკავშირდება ლიტერატურასა და ხელოვნებას, კმაყოფილებისა და ბედნიერების გრძნობა ძალიან ბევრჯერ მქონია. ვთვლი, რომ კარგი წიგნის წაკითხვა, კარგი სპექტაკლის, კარგი ფილმის ნახვა და ზოგჯერ მონაწილეობა მათ შექმნაში დიდ სიამოვნებას მანიჭებდა და ვთვლი, რომ ამასთანავე ბედნიერიც ვიყავი. ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება, მაგალითად, «ყვარყვარეს» პრემიერა და ის ზეიმი, რომელიც რუსთაველის თეატრში იყო. ყოველი საქმიანობა, რომელსაც ადამიანი სიყვარულით ეწევა, მე მგონი, დიდ ბედნიერებას განიჭებს.

ა.გ. _ ამბობენ, აკაკი ბაქრაძეს ყველაფერზე გული გაუტყდა და, ესე იგი, საშველი ნამდვილად აღარ არისო.

ა.ბ. _ მცდარი დასკვნა გაუკეთებიათ. ცალკეული პიროვნების ან მთელი კაცობრიობის ცხოვრებას ადამიანი რომ განაგებდეს, მაშინ შეიძლებოდა გული გაგტეხოდა. მაგრამ როგორც პიროვნების, ისე მთელი კაცობრიობის ცხოვრებას ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი ძალა განაგებს. მსოფლიოს განვლილი

ისტორია ამტკიცებს, რომ ეს ძალა სამართლიანი და კეთილია. მართალია, ამ ქვეყნად ბევრი უბედურება დატრიალებულა, მაგრამ საბოლოოდ მაინც კეთილს გაუმარჯვია. ჩვენ სინამდვილეს ამ ზოგადი კანონზომიერების კუთხით უნდა ვუყუროთ და მაშინ გული არ გაგვიტყდება არც მე და არც სხვებს. შეიძლება ადამიანი შეეწიროს უსამართლობას, უმადურობას, ცილისწამებას, მზაკვრობას, ვერაგობას, მაგრამ, თუ ცხოვრების გამოცდილებას დავუჯერებთ, უნდა ვიწამოთ, რომ ბოლოს მაინც ყველაფერი ისე ლაგდება როგორც სამართლიანობა და კეთილშობილება ითხოვს. არსებობისათვის ნაძირალაც ისევე საჭიროა, როგორც კეთილშობილი. ოღონდ ადამიანს არჩევანის გაკეთება უნდა შეეძლოს. ვაი, იმას, ვინც არჩევანს მცდარად გააკეთებს.

ა.გ. _ ჩვენ მომავალი ჟურნალისტები ვართ. თქვენი აზრით, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც ჟურნალისტს აუცილებლად უნდა გააჩნდეს.

ა.ბ. _ ჩემი აზრით, უპირველესი თვისება, რაც ყველა სპეციალობის ადამიანს უნდა ჰქონდეს, არის ნიჭი. მაგრამ ეს ნიჭი უნდა იყოს პატიოსანი. რაც კაცობრიობას უბედურება მოსვლია, ეს ყველაფერი უპატიოსნო ნიჭის ბრალია. ამიტომ ჟურნალისტი არასოდეს უნდა ცდილობდეს სიტყვით ისარგებლოს და მოატყუოს ადამიანი, მიაწოდოს ცრუ ინფორმაცია, არ იცოდეს საქმე, რომელზეც წერს, არ შეამოწმოს ყველაფერი და არ აწონ-დაწონოს. ადამიანი შეიძლება ზოგჯერ შეცდეს, ბუნებრივია, ჟურნალისტებიც ცდებიან, მაგრამ გააჩნია შეცდომას: არის შეცდომა უნებლიე და არის «შეცდომა» საგანგებოდ გამიზნული. პატიოსანმა ნიჭმა არ უნდა იკისროს საგანგებო «შეცდომის» ჩადენა.

ცოდნას, განათლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტისათვის, რადგან, გარდა იმისა, რომ ის ჟურნალისტია, კიდევ რომელიმე დარგში უნდა იყოს დასპეციალებული. მაგალითად, ჟურნალისტი თუ ფიზიკა არ იცის, ფიზიკაზე კარგად ვერ დაწერს და ა.შ. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზევე უნდა ხდებოდეს მომავალი ჟურნალისტის დასპეციალება იმ დარგებში, რომელშიც ის იმუშავებს. მაგალითად, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, სპორტისა და ა.შ. როცა ამ დარგებში უკვე ექნება განათლება მიღებული, ბუნებრივია, იგი უკეთ იმუშავებს პრესაში.

აუცილებელია ენების ცოდნა. არა მარტო ისეთი პოპულარული ევროპული ენებისა, როგორიც ინგლისური, ფრანგული, გერმანულია, არამედ ქართველებისათვის საჭირო სპარსული, თურქული, იაპონური, ჩინური ენების შესწავლაც. ნათქვამია, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. თუ აქვს ნიჭი და საშუალება, ენების შესწავლისათვის ახალგაზრდამ დრო და ენერგია არ უნდა დაიშუროს. მაგრამ ჟურნალისტისათვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც პატიოსნებაა. ნიჭი პატიოსანი უნდა იყოს!

1994 წ. გაზ. «ახალგაზრდა ივერიელის» დამატება

რა სურს ქართველ ხალხს _ საქართველოს გადარჩენა თუ საბოლოო წასვლა ისტორიის ასპარეზიდან?

კორესპ. _ ბატონო აკაკი, როგორც თქვენი წიგნის _ «მწერლობის მოთვინიერების» წინასიტყვაობაშია მითითებული, წიგნი შედგენილია იმ ლექციების საფუძველზე, რომლებსაც თქვენ კითხულობდით უნივერსიტეტში 70-იან წლებში. მე თვითონ გახლდით თქვენი აქტიური მსმენელი და ვიცი, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ

პერიოდში ამგვარი ხასიათის ლექციებს. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმგვარი შეფასება, რომელსაც ჩვენ უნივერსიტეტის კედლებში ნაკლებად ვისმენდით.

როგორც თქვენ წერთ, გინდოდათ საბუთების მოშველიებით დაგეხატათ დროის სურათი. ამ წიგნში ძირითადად ნაჩვენებია ის, თუ რა დაწოლას განიცდიდა კომუნისტური პარტიის მხრივ ქართული მწერლობა და, აქედან გამომდინარე, ამისი შედეგები.

პირველი კითხვა ასეთი იქნება: დღეს დღის წესრიგში თითქოს აღარ არის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის ზეწოლა. იხსნება თუ არა დღეს ის პრობლემა, რომელიც იმ პერიოდში ჰქონდა ქართულ მწერლობას?

აკაკი ბაქრაძე _ ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ეს პრობლემა ვერ მოიხსნება, იმიტომ რომ საქმე მარტო ის არ არის, რას აკეთებდა ოფიციალური პოლიტიკა. უფრო მნიშვნელოვანია ის, რა გავლენა დატოვა ადამიანთა ცნობიერებაში ამ ოფიციალურმა პოლიტიკამ. ჯერ ქართველი კაცის ცნობიერება, არც მწერლისა და არც ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქისა, არ არის თავისუფალი იმ ცნობიერებისაგან, რომელიც ჩაინერგა კომუნისტური რეჟიმის მიერ. სანამ ეს ცნობიერება იქნება, მანამ პრობლემა, რაც დასმულია ამ წიგნში, აქტუალური იქნება. უმთავრესი ამოცანა სწორედ ის გახლავთ, ადამიანთა გონება გათავისუფლდეს ყველაფერი იმისაგან, რაც ამ 70 წლის მანძილზე ბატონობდა, როგორც ოფიციალური იდეოლოგია. ეს, რა თქმა უნდა, იოლი საქმე არ გახლავთ. ამას არსებითად თაობათა გამოცვლა უნდა. ის ადამიანები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დაიბადნენ, გაიზარდნენ, მოწიფულ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ, ძალიან ძნელად გათავისუფლდებიან ამ იდეოლოგიისაგან და ისიც თითო-ოროლა ადამიანი. ლიანგი, მასა ამისაგან ვერ გათავისუფლდება. ამიტომ პროცესი მაშინ დამთავრდება, როცა თაობები გამოიცვლება და მოვა უკვე ახალ შეხედულებათა ნიადაგზე აღზრდილი ადამიანები. მანამდე ყველაფერი ეს ქვეცნობიერად იარსებებს ყველა ჩვენთაგანის ცნობიერებაში.

ამიტომ ეს პრობლემა ახლაც აქტუალური გახლავთ. ამოცანაც ის არის, რომ ამ მიმართულებით მსჯელობამ ძალიან ფართო ხასიათი მიიღოს და მოხდეს ყველაფრის გადაფასება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ სიძულვილი, მტრობა და შუღლი დავნერგოთ. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ყველაფერი ავხსნათ, რაც ხდებოდა და რატომ ხდებოდა, რისთვის ხდებოდა და ამას დავუპირისპიროთ სრულიად საწინააღმდეგო თავისუფალი შეხედულებანი. თანდათანობით ამ გზით, ალბათ, გარკვეული პერიოდის შემდეგ უკვე გათავისუფლდება ჩვენი ცნობიერება წარსულის ნაშთისაგან და ჩვენც ვისწავლით თავისუფალ აზროვნებას, თავისუფალ დამოკიდებულებას ყველაფრისადმი, მათ შორის, მწერლობისადმი და, საერთოდ, ცხოვრებისადმიც.

ამ წიგნში წერია, რომ სულის რევოლუციაა საჭირო. სწორედ სულის რევოლუცია გულისხმობს, რომ გამოიცვალოს ჩვენი ცნობიერება და გახდეს სხვა. ეს კი დიდ დროს მოითხოვს, დიდ მუშაობასაც და, რაც მთავარია, აღზრდა-განათლების სრულიად ახალი სისტემის შექმნას. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ჯერჯერობით, არაფერი კეთდება.

კორესპ. _ ბატონო აკაკი, თქვენ ერთგან წერთ, რომ ამ პერიოდში ქართულმა მწერლობამ რაღაცნაირად დაკარგა ერის წინამძღოლის ფუნქცია. დღეს ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ ეს განსაკუთრებით დიდი დანაკლისია ერისათვის.

როგორ ფიქრობთ, შეძლებს ამ ფუნქციის აღდგენას და კონკრეტულად მწერლობას რა დახმარების გაწევა შეუძლია ამ მძიმე ვითარებაში?

ა.ბ. _ როცა კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა და საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა, მწერლობამ, როგორც ერის წინამძღოლის ფუნქციის

შემსრულებელმა, ამ თვალსაზრისით, უკანა პლანზე გადაიწია. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს ბუნებრივი მოვლენა გახლავთ, რადგან მწერლობა არსად, არც ერთ ქვეყანაში არ კისრულობს ერის მეთაურობას. ერის მეთაურობა სხვა საქმის ადამიანებს ევალებათ, პოლიტიკოსებს ევალებათ და პოლიტიკურ ფილოსოფიას ევალება. მაგრამ თუ საქართველოში მწერლობა იყო ერის მეთაური, ეს ჩვენი გაჭირვების შედეგი გახლდათ. როდესაც ჩვენი ქვეყანა კოლონიურ მდგომარეობაში იყო, ჩვენ ჩვენი ხელისუფლება არ გვყავდა. ჩვენი პოლიტიკური აზრი თეორიული ხასიათის იყო და არა პრაქტიკული და ა.შ. ამიტომ მწერლობა, ბუნებრივია, ცდილობდა ამ სიცარიელის შევსებას, ცდილობდა რაღაცნაირად მოეხერხებინა, რომ ხალხი დაეცვა, შეენახა ჩვენი ენა, სარწმუნოება, მამული, თუ გნებავთ, ცნობიერება, რადგან ცნობიერება თუ ეროვნული არ არის, ის ხალხი უკვე გადაგვარებულია. როდესაც ვითარება შეიცვალა და კომპარტიამ იკისრა მთელი ერის მეთაურობა, მაშინ მწერლობას დამხმარე ფუნქცია მიენიჭა, თუ შეიძლება ასე ითქვას, არსებითად მწერლობა გადააქციეს იმ იდეოლოგიის პროპაგანდისტად, რომელსაც კომუნისტური რეჟიმი ნერგავდა.

მართალია, ამ პერიოდში იყო წინააღმდეგობა და ძალიან სერიოზული წინააღმდეგობაც, მაგრამ არსებობდა საღი მწერლობა, სრულიად მკაფიოდ გამოკვეთილი ამოცანითა და მიზნით და ასრულებდა კიდეც ამ ფუნქციას. ამაზე ლაპარაკი მეორე წიგნში «მწერლობის მოთვინიერების» გაგრძელებაში იქნება და იქ გამოჩნდება, როგორ ებრძოდა ჩვენი მწერლობა ოფიციალურ იდეოლოგიას. თუ პირველ წიგნში ნაჩვენებია, როგორ თრგუნავდა მწერლობას ხელისუფლება, მომდევნო წიგნში _ «გადარჩენა» _ ნაჩვენები იქნება, როგორ უწევდა ამას წინააღმდეგობას მწერლობა და როგორ ცდილობდა ყველაფერი ის, რაც ტრადიციულად იყო ჩამოყალიბებული ჩვენში, ჩვენს მწერლობაში და, საერთოდ, ჩვენს სულიერ ცხოვრებაში, იმის შენახვას, გადარჩენას და ტარებას...

დღევანდელ ვითარებაში უფრო რთული მდგომარეობა შეიქმნა, ვიდრე ადრე იყო. ადრე მწერლობამ იცოდა, რისთვის უნდა ებრძოლა, რა უნდა ეკეთებინა, რა გზები გამოეძებნა იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწია კომუნისტური რეჟიმისა და კომუნისტური იდეოლოგიისათვის. ახლა დაბნეულობამ მოიცვა მთელი ჩვენი საზოგადოება და, მათ შორის, მწერლობაც. ერთი მხრივ, თითქოს გამოჩნდა პოლიტიკური ძალა, რომელსაც სურს იყოს ერის ხელმძღვანელი, სინამდვილეში კი ამ პოლიტიკურ ძალას ის უნარი არ აღმოაჩნდა, რასაც ერის ხელმძღვანელი ჰქვია. პრეტენზია აქვს, მაგრამ უნარი _ არა. ძალა არ შესწევს ამისა. ამიტომ ხდება ისეთი მოვლენები, რომლებიც მეტისმეტად მძიმე და, შეიძლება ითქვას, კატასტროფულიც კი აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის. ამ ვითარებაში მწერლობამ დაკარგა ის გამბედაობა და ის სითამამე, რომელიც მას ადრე ჰქონდა. დაკარგა სწორედ იმის გამო, რომ თუ მაშინ იცოდა კომუნისტური იდეოლოგია ქართველი ხალხის ეროვნული ცხოვრების მტერია, ახლა არ იცის _ მტერია თუ არა ქართველი ხალხისა ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც დღევანდელ საქართველოში მოქმედებენ. არის ერთი მიმართულებით თითქოს ისიც, რომ ეს პოლიტიკური ძალები საქართველოს გადასარჩენად იბრძვიან, მაგრამ არის მეორე მიმართულებით ისიც, რომ ეს პოლიტიკური ძალები შეცდომით თუ საგანგებოდ საქართველოს კატასტროფისაკენ უბიძგებენ.

აი, ამ ვითარებაში მწერლობამ ვერ გამოძებნა თავისი პოზიცია. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ ის ამას ვერ მოახერხებს. ხვალ, ალბათ, გამოიძებნება ეს პოზიცია, მით უმეტეს, რომ ერთი რამ ყოველთვის არის მოქმედი და რეალური. ეს გახლავთ ის, რაც მარკესმა თქვა: «მე ვემსახურები ჩემს ხალხს და არა ჩემი ქვეყნის მთავრობას».

აი, ეს იდეა მწერლობამ არასოდეს უნდა დაკარგოს. რა ვითარებაც უნდა შეიქმნას, რა პოლიტიკური ძალებიც უნდა იყვნენ საქართველოში, როგორი ერთგულიც უნდა იყვნენ ისინი ქართული სამყაროსი და ქართული ცნობიერების, მწერლობას მაინც აქვს ამოცანა _ იგი უნდა ემსახურებოდეს ხალხს, იმ ტკივილების მოშუშებას, რომელიც ყველა დროში და ყველა ვითარებაში ერს აწუხებს, უნდა აძლევდეს მიმართულებას, საითაც ერმა უნდა იაროს. ყველაზე დიდი ზემოქმედება ადამიანზე, კერძო პირი იქნება თუ მთელი ერი, სულიერებაზე ზემოქმედება მწერლობას შეუძლია. უმთავრესიც სწორედ ის არის, რომ სულიერებაზე მოახდინოს მწერალმა ზეგავლენა. ეს ამოცანა კი ყველა დროში იარსებებს. რაკი ყველა დროში იარსებებს, ბუნებრივია, რომ დღევანდელ დაბნეულობასაც იოლად უნდა მოვერიოთ და იოლად უნდა გადაილახოს ის წინააღმდეგობა, რაც ამგვარმა გაყოფამ გამოიწვია, როდესაც არსებობს თითქოს ისიც, რომ გვყავს პოლიტიკური ძალები, ვისაც ქვეყნის პატრონობა შეუძლია და, ამავე დროს, არის იმის გრძნობაც, რომ პოლიტიკური ძალები სრულიად უსუსურია იმისათვის, რომ საქართველოს გაუძღვენ წინ.

კორესპ. _ ბატონო აკაკი, ერთგან თქვენ ბრძანებთ საკმაოდ კატეგორიულად და არაორაზროვნად, თუ ჩვენ არ გავთავისუფლდით იმ ილუზიისაგან, რომ რუსეთი არის ჩვენი მფარველი, არაფერი გვეშველებაო. ახლა როცა ჩვენი ქვეყნის ბედი უკავშირდება ისევ რუსეთს...

თქვენი აზრი, თუ შეიძლება, ამ საკითხთან დაკავშირებით.

ა.ბ. _ ეს ძალიან სამწუხაროა. ჩვენ ისევ ვაგრძელებთ იმ ძველი (როგორც სულიერი, ისე პოლიტიკური) მიმართულების აღდგენას, რაც საქართველოში დიდი ხნის წინათ დაინერგა.

საქართველო მომწყვდეულია ორ მაჰმადიანურ სახელმწიფოს შორის _ თურქეთსა და ირანს შორის. იგი გამუდმებულ ბრძოლას ეწეოდა გადარჩენისათვის და როდესაც მან ვერ დაინახა სხვა მშველელი ძალა, რუსეთს მიმართა. აქედან ჩვენს ცნობიერებაში უკვე დიდი ხანია, საუკუნეების მანძილზე, ჩაინერგა რუსეთის სახე, როგორც ჩვენი პატრონისა და ჩვენი გადამრჩენელისა. იმის მაგიერ, რომ თანდათანობით გადავლახოთ ეს მანკიერი აზრი, თუ მანკიერი იმედი, თუ მანკიერი რწმენა იმის, რომ კიდევ უფრო მეტად დავარწმუნოთ ისედაც დაბეჩავებული ჩვენი ცნობიერება იმაში, რომ ურუსეთოდ ვერ ვიარსებებთ.

დღეს, მე-20 საუკუნის ბოლოს და მოახლოებული 21-ე საუკუნის დასაწყისში, როგორც ქართულმა პოლიტიკურმა ძალამ, ისე ქართულმა მწერლობამ, ისე მთელმა ქართველმა ხალხმა პირდაპირ უნდა უპასუხოს კითხვას: რა სურს ქართველ ხალხს _ საქართველოს გადარჩენა თუ საბოლოო წასვლა ისტორიის ასპარეზიდან?

თუ ჩვენ ისე გავაგრძელებთ ცხოვრებას _ რუსეთია ჩვენი ერთადერთი იმედი და ურუსეთოდ არსებობა არ შეგვიძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ისტორია მთავრდება, ქართველი ხალხის არსებობა მთავრდება, რადგან 21-ე საუკუნეში ისეთი ატმოსფერო შეიქმნება და ისეთი ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკური ხასიათის, კულტურული თუ ეკონომიკური ხასიათისა, რომ არც ერთ ხალხს, რომელსაც არა აქვს უკვე მყარად ჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფო, გადარჩენის იმედი აღარ ექნება. ეს თავისთავად მოხდება ისტორიული განვითარების შედეგად.

ახლა ბევრი ლაპარაკია უცხოურ ფილოსოფიაში, უცხოურ მწერლობაში, საერთოდ, უცხოურ აზროვნებაში იმის თაობაზე, რომ 21-ე საუკუნე იქნება პლანეტური ცივილიზაციის საუკუნე. აი, ასეთი ცნება «პლანეტური ცივილიზაციის საუკუნე» იმას ეწოდება, რომ აღარ იქნება ის განსხვავება, ის საზღვრები, ის რაღაც გამოკვეთილი ცალკეული ერთეულები, რომლებიც დღეს არსებობს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ

პოლიტიკურად არ იარსებებს ერთი სახელმწიფო, მეორე, მესამე თუ მეოთხე... მაგრამ მათ შორის კონტაქტები ძალიან გაიოლდება, ძალიან გამარტივდება როგორც კულტურული, ისე ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით და ეს თავისთავად იწვევს ურთიერთდაახლოებას. ამ ვითარებაში ყველა ხალხს მხოლოდ მაშინ შეეძლება თავის თავს უპატრონოს (განსაკუთრებით მცირერიცხოვან ხალხებს), როდესაც მათ მყარად ჩამოყალიბებული სახელმწიფო აქვთ და იციან თავიანთი სახელმწიფო როგორ მართონ, რა მიმართულებით, რას გაუღონ კარი და რას დაუკეტონ. როდესაც ასეთ ვითარებაში მინდორში აღმოვჩნდებით, რაკი არ გვექნება ჩვენი სახელმწიფო, არ გვექნება არათუ კარი და კედელი, არამედ სხვა საშუალებანიც იმისათვის, რომ თავი დავიცვათ, ტრიალ მინდორში აღმოჩენილებს ქარი იქით წაგვიღებს, საითკენაც იგი დაუბერავს.

ამ მდგომარეობის გამო დღევანდელ დღეს ძალიან სერიოზული ამოცანის წინაშე ვდგავართ. დღეს არ არის ლაპარაკი მარტო იმაზე, რომ საქართველოს ეკონომიკურად უჭირს, რომ ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობამ რაღაც განუზომელი სახე მიიღო _ არსებითად, ყოველი მეორე კაცი ყაჩაღად გადაიქცა, არც იმაზეა ლაპარაკი _ რა უბედურება დაგვემართა, როდესაც საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მტრის მიერ ოკუპირებულია და მისი დაბრუნების იმედი ძალიან მცირეა. ე.ი. ყველა უბედურება, რაც შეიძლება ერს დამართოდა, ქართველ ხალხს დაემართა _ ამ მძიმე ვითარებაშიც კი უნდა წარმოვიდგინოთ, რომ წინ უარესი უბედურებაა _ ჩვენი ცნობიერება ისევ ხდება ყმის ცნობიერება, ისევ ხდება მონის ცნობიერება და ეს მონა შეჩერებია ხელში მშველელად იმას, ვინც ყველაზე დაუძინებელი მტერია მისი. აი, ეს პროცესი უფრო საშიშია, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი, რომელიც ჩვენში მოხდა და, ალბათ, მომავალშიც მოხდება.

აი, ამ მიმართულებითაა საჭირო ფიქრი, ლაპარაკი, ზრუნვა, ყველაფრის კეთება, რისი გაკეთებაც ადამიანს შეუძლია, რომ ქართველი ადამიანის ცნობიერებიდან განიდევნოს რუსეთი, როგორც მშველელი, როგორც მამა, როგორც მზრუნველი. რუსეთი უნდა არსებობდეს ქართველი კაცის ცნობიერებაში, როგორც მეზობელი, ისევე როგორც ჩვენი მეზობელია თურქეთი, სპარსეთი ან უფრო შორეული ქვეყნები.

კორესპ. _ აუცილებელი მეზობელი...

ა.ბ. _ რა თქმა უნდა, ამ მეზობელს ვერ მოვიცილებთ, მაგრამ მეზობელს მივანიჭოთ მეზობლის სტატუსი და არა მამის, მარჩენლისა და მზრუნველის სტატუსი. ეს არის ახლა უმთავრესი, რადგან თუ ჩვენი ცნობიერება ასეთ დონეზე დარჩა, მაშინ ჩვენ, არსებითად, ამას არ ვამბობთ არც არავის შესაშინებლად, არც სკეპტიკური აზრის გამო, სრულიად საღად, სრულიად მშვიდად მოგახსენებთ, რომ 21-ე საუკუნეში ქართველი ხალხის არსებობის ისტორია დამთავრდება. დამთავრდება, თუ მან არ ირწმუნა საკუთარი თავის ძალა, თუ არ ირწმუნა, რომ მას დაუხმარებლად შეუძლია არსებობა, რომ პურსაც იშოვის, ყველსაც იშოვის, ხორცსაც იშოვის... კულტურასაც შექმნის, წიგნებსაც დაწერს, სპექტაკლებსაც დადგამს, ფილმებსაც გადაიღებს, ერთი სიტყვით, იცხოვრებს იმ ცხოვრებით, რითაც უნდა ცხოვრობდეს თავისუფალი ადამიანი და თავისუფალი ერი.

აი, ეს თუ არ ირწმუნა ჩვენმა ხალხმა, მთელმა ჩვენმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ _ პოლიტიკური იქნება, ლიტერატურული იქნება თუ სხვა რომელიმე _, მაშინ არსებითად შეგვიძლია ჩვენს თვითმკვლელობას ხელი მოვაწეროთ და ამით არსებობა დავამთავროთ.

კორესპ. _ სხვათა შორის, ბატონო აკაკი, პოლიტიკური მოღვაწენი ყოველთვის იმას ამტკიცებენ, რომ რუსეთის გარეშე საქართველოს თურმე დამოუკიდებლად არსებობა არ

შეუძლია. არათუ რუსეთის გარეშე, საერთოდ დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია და მაინც, თუ ვინმემ ამ ფსიქოლოგიური ზემოქმედების წინააღმდეგ გაილაშქრა, მწერლობა იყო. მე ვგულისხმობ ოთარ ჭილაძის და კიდევ ერთი-ორი წერილი იყო «ლიტერატურულ საქართველოში» დაბეჭდილი ამის შესახებ. ოთარ ჩხეიძე იგივე...

ა.ბ. _ რა თქმა უნდა, ამას ყველაზე უფრო აქტიურად მწერლობა ებრძვის, იმიტომ რომ მწერლობამ იცის ის სულიერი მდგომარეობა, რაც ადამიანს აქვს. მწერალი, რა უნიჭოც უნდა იყოს, ის ხედავს სულიერ მოძრაობას ადამიანში და, მით უმეტეს, ნიჭიერი მწერალი. სულიერი მოძრაობისათვის ყურადღება არსებითი ხასიათისა გახლავთ. შეიძლება გამოასწოროთ ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური მდგომარეობა, სამხედრო მდგომარეობა და სხვა, რომელიც გნებავთ მდგომარეობა, მაგრამ თუ ადამიანს დაეუფლა სულიერი კრიზისი, ამის გამოსწორება უკვე უძნელესი და ურთულესი საქმეა. აქ აქვს მწერლობას ყველაზე უფრო მეტი სამუშაო და ებრძვის კიდეც იმ უმთავრეს მიზეზს, რაც ამ სულიერ კრიზისს იწვევს.

სულერთია, ქართველ მოქალაქეს გაცნობიერებული აქვს თუ არა, რა ემართება მას _ ქვეცნობიერად მაინც არსებობს მასში სულიერი კრიზისი სწორედ იმის გამო, რომ საკუთარი თავის იმედი არა აქვს და სხვას მისჩერებია. ადამიანი მათხოვარი იმიტომ კი არ ხდება, რომ ის ხეიბარია, რაღაც აკლია _ ფეხი, ხელი, ან თვალი, ან ყური _ არამედ იმის გამო, რომ სულიერი სიმტკიცე აღარ აქვს, გატყდა სულიერად.

მე მინახავს ადამიანები და ვიცნობდი კიდეც ზოგიერთს, რომელსაც არც ერთი ფეხი არ ჰქონდა, მაგრამ ოჯახს პატრონობდა, ურიკაზე დამჯდარი ამუშავებდა ყანას. რატომ? იმიტომ რომ სულიერად არ იყო გატეხილი. მაგრამ მინახავს აგრეთვე ადამიანი, რომელიც სრულიად ჯანსაღია _ ხელიც აქვს, ფეხიც და არც რაიმე სნეულება აწუხებს, მაგრამ ქუჩაში დგას ხელგაწვდილი. ხელგაწვდილია იმიტომ, რომ სული აღარ აქვს და არა იმიტომ, რომ ხეიბარია ხორციელად. ეს არის უმთავრესი. თუ ადამიანი სულიერად ხეიბარია, მას მათხოვრობას ვერაფერი გადააჩვევს. ასევეა ერიც: ისიც ხომ ადამიანებისაგან შედგება და ერს იგივე თვისებები აქვს, რაც კერძო პირს, რაც ადამიანს.

თუ ერი სულიერად გატყდება, მაშინ მას ვეღარაფერი გადაარჩენს. თუ ერი სულიერად არ გატყდება, თუ ის გაუძლებს გასაჭირს, მაშინ ის ხვალ ფეხზე დადგება, ხვალ ყველა დანაკარგს აანაზღაურებს და ყველაფერი ექნება, რაც კი საჭიროა ადამიანის არსებობისათვის. ჩვენი დღევანდელი საშიშროება სწორედ ის გახლავთ, რომ სულიერ მხნეობას ვკარგავთ.

გრ. რობაქიძის რომანის _ «გრაალის მცველნი» _ უმთავრესი ლაიტმოტივი სწორედ ის არის, რომ ქართულმა საზოგადოებამ და, მათ შორის, მწერლობამაც გრაალი ანუ რწმენა, იმედი უნდა დაიცვას. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამ რომანის მიხედვით, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში დამარცხდება თუ არ დამარცხდება, სამხედრო თვალსაზრისით, ქართველობა. თუ ქართველობა დამარცხდება, მაგრამ სულიერ მხნეობას შეინარჩუნებს, ეს დამარცხება იოლი გადასატანია. თუ ქართველობა დამარცხდება და სულიერ მხნეობასაც დაკარგავს, მაშინ განადგურდება იგი. ასევე ფიქრობს ჩეკისტი ველსკი, რომელიც ებრძვის ქართულ სულიერებას და ცდილობს გრაალის პოვნას, რათა გაანადგუროს იგი. მან იცის, აჯანყებულ ქართველებს სამხედრო თვალსაზრისით იოლად დაამარცხებენ _ ეს პრობლემა არაა რუსეთისათვის. მაგრამ დაამარცხებენ კი სულიერად? ამიტომ ველსკის ამოცანაა _ სულიერად დაამარცხოს ქართველობა, მაშინ ექნება შედეგი სამხედრო დამარცხებას. თუ სულიერად ვერ დაამარცხა, მაშინ არავითარი შედეგი არ ექნება. აი, ამ პრობლემას ეხება რომანი. ეს რომანი იმ მიზნითაც არის დაწერილი, რომ ჩვენი საზოგადოება სულიერად არ დაცემულიყო, სულიერად არ გატეხილიყო. ეს ამოცანა დღესაც დგას. დღევანდელ

ვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი ვართ და გვაქვს რაღაც ამის იურიდიული ნიშნები, ეს ვერაფერს გვიშველის, თუ სულიერად არ ვართ მომზადებული ამ დამოუკიდებლობისათვის და სულიერად არ ვართ მხნედ განწყობილი, ეს იურიდიული ნიშნები ქაღალდზე დარჩება და რეალურად არაფერი იქნება. მწერლობა ამას ხედავს. რაკი ხედავს, რამდენადაც შესაძლებელია აქტიურად უნდა ილაპარაკოს ამაზე _ იქნება ეს გამოხატული პუბლიცისტური წერილით თუ რომანით, მოთხრობით, პოემით, ლექსით, დრამატურგიით თუ რითაც გნებავთ. ამაზე უნდა ილაპარაკოს, რადგან აქ უნდა ჩაუნერგოს მწერლობამ ჩვენს ხალხს და ჩვენს ერს, რომ არც ისე ცუდად არის საქმე, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. გასაჭირი ბევრი ყოფილა ქართველი ხალხის თავზე, მაგრამ გადაუტანია და მაინც წამომდგარა ფეხზე. ყველა გასაჭირი შეგვიძლია გადავიტანოთ მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, თუ ჩვენი სულიერი მხნეობა არ გატყდება.

კორესპ. _ მაგრამ იდეალური ვარიანტი მაინც, ალბათ, ის არის, რომ ხელისუფლებაც ამასვე ფიქრობდეს, ბატონო აკაკი, იმიტომ რომ, როცა ხელისუფლება ამბობს _ ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად არსებობა, მწერალმა რაც უნდა თქვას, მაინც რომანტიულობაში უფრო ჩაუთვლიან ადამიანები, ვიდრე რეალობაში. ეს წინააღმდეგობა ძალიან ბევრს ვნებს ამ თვალსაზრისით.

ა.ბ. _ ხელისუფლება მოვალეა და ხელისუფლებაც იმიტომ არის ხელისუფლება, რომ მან პირველმა უნდა ჩაუნერგოს ხალხს მხნეობა. პირველმა ასწავლოს გასაჭირის გაძლება. სამწუხაროდ, დღეს ასე არ ხდება. მარტო დღეს არ არის ასე. როგორც ჩანს, ხელისუფლება გაცილებით უფრო ადრე გატყდა სულიერად, ვიდრე მთელი ხალხი. სხვა დროშიაც, სამწუხაროდ, ხელისუფლება სწორედ იმ უარყოფით როლს ასრულებდა ჩვენი ხალხის ისტორიაში, რაც მიმართული იყო ჩვენი მხნეობისა და სიმტკიცის წინააღმდეგ.

მაგრამ ძალიან შორეულ პერიოდს თუ გავიხსენებთ _ დიმიტრი თავდადებულს, ან ქეთევან წამებულს, ან ლუარსაბ II _ დავინახავთ, ისინი გრძნობდნენ პასუხისმგებლობას და რაც სამხედრო თვალსაზრისით, პოლიტიკური თვალსაზრისით არ შეეძლოთ გაეკეთებინათ, აკეთებდნენ სულიერების თვალსაზრისით, პირადი მაგალითით აჩვენებდნენ, რომ არავითარ გასაჭირში არ უნდა გატყდეს კაცი. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი წარსულიდან დღევანდელობისათვის. დღესაც ხელისუფლებისაგან ამგვარი მაგალითები უნდა მოვითხოვოთ და არა ქადაგება იმისა, რომ თუ ვიღაცამ არ გვიშველა, თუ ვიღაცამ მათხოვარივით არ გამოგვიგზავნა რაღაც საჩუქარი, ისე ჩვენი ხალხი არსებობას ვერ შეძლებს. ჩვენ დღეს დახმარებაზე არ უნდა ვლაპარაკობდეთ. დღეს უნდა ვლაპარაკობდეთ, როგორ მოვძებნოთ თვითონ ძალები იმისათვის, რომ ჩვენი მეურნეობაც აღდგეს, ჩვენი მრეწველობაც აღდგეს, ჩვენი კულტურული ცხოვრებაც განახლდეს... ყოველგვარ დახმარებაზე ლაპარაკი ისეთივე უარსაყოფი უნდა იყოს, როგორც რაიმე დამამცირებელი აქტი, რომელსაც პიროვნებისა თუ ერის მიმართ მიმართავენ.

აი, ამ მდგომარეობაში ხელისუფლება თავის როლს ვერ ასრულებს. პირიქით, უარყოფით როლს ასრულებს და თუ დღეს რაიმე გვჭირდება, სწორედ ისეთი ხელისუფლება, ვისაც ექნება ამ სიმტკიცის რწმენა და იმის უნარიც, რომ ეს სიმტკიცე გადასდოს ხალხს. ამიტომ აუცილებელი გახლავთ, არა შეიარაღებული ძალით, არამედ კანონიერების გზით შევქმნათ ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ექნება ვაჟკაცობა, მხნეობა, ხალხს წინ გაუძღვება და ჩაუნერგავს მხნეობას.

რა თქმა უნდა, მწერლობა იმ როლს ვერ შეასრულებს, რასაც ხელისუფლება, რადგან ხალხი მაინც მასობრივად ხელისუფლებას მისჩერებია თვალებში და არა მწერალს.

ამიტომ, თქვენი თქმისა არ იყოს, შეიძლება ეს პოეტურ აღტაცებად ან აღტკინებად ჩაუთვალონ მწერალს. მაგრამ მაინც მწერლობამ ამას ძალიან დიდი და სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. არის მწერალი, რომლის ავტორიტეტი დიდია და ხალხი მეტნაკლებად მაინც ყურს უგდებს. არის მწერალი, რომლის ავტორიტეტი მცირეა და შეიძლება ხალხმა ყური არ დაუგდოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფუნქციის შესრულება არ უნდა შეწყვიტოს.

აი, აქ იდეალური ვარიანტი ის იქნებოდა, თუ ხელისუფლება და მწერლობა ამ თვალსაზრისით ერთ საერთო მოდუსს გამოძებნიდა და ერთად შეეცდებოდა ერის გადარჩენას. მაგრამ რაკი ასე არ ხდება, მწერლობა უნდა შეეცადოს, გააკეთოს ყველაფერი, რაც აუცილებელია დღევანდელი ვითარებისათვის. ყველაზე უფრო სამარცხვინო ადამიანისათვის და განსაკუთრებით მწერლისათვის ის გახლავთ, როდესაც მას თავის კანტური დასჩემდება და არ შეუძლია თავის გაჩერება, სულ აკანტურებს ყველაფერზე. ეს ყველაზე საშინელი მოვლენაა, რომელიც შეიძლება საერთოდ ხელოვნებასა და მწერლობაში მოხდეს. ამოცანა ის გახლავთ, თავის კანტური შევწყვიტოთ და შევეცადოთ იმ მხნეობის დანერგვას, რაც აუცილებელია.

ზოგჯერ შეიძლება რეალურ ცხოვრებაში არ არის მხნეობის, ვაჟკაცობის მაგალითი, მაგრამ ამისათვის მწერალი მაგალითებს იგონებს. ამისათვისაა ალბათ მწერლობა საჭირო. თუ მწერლობაში ყველაფერი ის იქნება, რაც ცხოვრებაშია, მაშინ შეიძლება მწერლობამ ფუნქცია დაკარგოს. ზოგჯერ მწერლობაში ის უნდა იყოს, რაც სინამდვილეში არ არის. არავითარი მინდია არ შეიძლება არსებობდეს რეალურ სინამდვილეში. რაკი მწერლობაში არსებობს, ეს უდიდესი ზნეობრივი მაგალითია, ეს უდიდესი მხნეობაა იმისათვის, რა სიღრმეების წვდომა შეუძლია ადამიანს და ის არ არის მატლი, რომელიც მიწაზე დაღოღავს. ამიტომ არსებობს ეს სახე, ამიტომაა ის შექმნილი, რომ ეს აზრი არასოდეს გაუქრეს არც ერთ მოქალაქეს, სულერთია, დაინტერესებულია თუ არა იგი ლიტერატურით.

მაგრამ იდეალური შემთხვევა იქნებოდა, რა თქმა უნდა, თუ ჩვენ ისეთი ხელისუფლება გვეყოლებოდა, რომელიც არ გატყდებოდა არც ერთ ვითარებაში და აჩვენებდა სულიერი მხნეობისა და ვაჟკაცობის მაგალითს. სამწუხაროდ, მოკლებული ვართ ამას.

კორესპ. _ ილია ჭავჭავაძეს, ზუსტ პერიფრაზს ვერ გავაკეთებ ალბათ, მაგრამ ერთ წერილში აქვს: საქმე ის კი არ არის გლახაკი განიკითხო, არამედ ის, რომ ის წამოაყენო, ჩაუნერგი საკუთარი ძალების რწმენა და ადამიანად აქციო. ამ შემთხვევაში გასახსენებელია ეს.

ა.ბ. _ რა თქმა უნდა. საერთოდ, ყოველგვარი მოძრაობის უპირველესი ამოცანა ის გახლავთ, რომ დაცემული ადამიანი წამოაყენოს ფეხზე. თორემ ჩვეულებრივ მათხოვარს, რომელიც ქუჩაში დგას, ყველა გამვლელ-გამომვლელი ჩაუგდებს ორიოდე კაპიკს, არავინ დაამადლის. მაგრამ ეს მის მდგომარეობას არ ცვლის. ის კაცი კი, ვინც მას მხნეობას ჩაუნერგავს და ფეხზე წამოაყენებს, ყველაფერს შეცვლის მის ცხოვრებაში. ყველა ამოცანა, ყველა მიზანი აქეთკენ მიდის, რომ ეს შეძლოს ადამიანმა. ალბათ, რელიგიებიც ამიტომ გაჩნდა ქვეყანაზე, რომ ღმერთის ძალით შეძლოს ადამიანმა იმ სულიერი მხნეობის დაბრუნება, რომელიც მას არსებობისათვის აუცილებლად სჭირდება.

კორესპ. _ დიდი მადლობა, ბატონო აკაკი. ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება და დავამთავრებ იმ წიგნით, რომლითაც საუბარი დავიწყეთ _ როდის გამოვა მეორე ნაწილი, რომელსაც «გადარჩენა» ჰქვია.

ა.ბ. _ მეორე ნაწილის გამოსვლა დამოკიდებულია იმ ვითარებაზე, რაც დღეს ჩვენშია წიგნის გამოცემისათვის. მთლად არ არის მზად, მაგრამ მის გამზადებას ბევრი დრო არ სჭირდება, რაღაც ცალკეული თავები შეიძლება უახლოეს დღეებშიც გამოვაქვეყნო, მაგრამ წიგნის გამოცემის იმედი ახლანდელ ვითარებაში, მართალი რომ გითხრათ, მაინცადამაინც დიდი არა მაქვს.

კორესპ. _ ამას იმიტომ გეუბნებით, რომ პირადად დიდი სურვილი გამიჩნდა, რაც შეიძლება მალე გამოვიდეს ეს წიგნი და წავიკითხო, იმიტომ რომ ამ პირველი ნაწილით შეიძლება გული გაუტყდეს ადამიანს ისეთი მაგალითები და ნიმუშებია მოტანილი ჩვენი მწერლობის ცხოვრებიდან.

ა.ბ. _ სამწუხაროდ, ყველაფერი ის, რაც «მწერლობის მოთვინიერებაში» წერია, სინამდვილე გახლავთ. ეს იყო ის სინამდვილე, რომელშიაც ჩვენი მწერლობა ცხოვრობდა და მუშაობდა. და სწორედ ძალა ჩვენი მწერლობისა ის არის, რომ მიუხედავად ამ მდგომარეობისა, ის მაინც არსებობს. დაიწერა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. არსებობდა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი მწერალი. თავისთავად ის, რომ ამ პერიოდში, როდესაც ეს ამბები ხდებოდა, ცხოვრობდნენ გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე და სხვები, უკვე მოწმობს იმ ძალას, რაც ჩვენს მწერლობას აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იმათაც კი, ვინც მე ჩამოვთვალე, ზოგჯერ აქვთ გადახვევა იმ გენერალური ხაზიდან, რაზეც მწერლობა უნდა იდგეს, მაგრამ ეს იმ მძიმე ვითარების ნაკარნახევი გახლავთ, რომელშიაც თითოეულ მათგანს უხდებოდა ცხოვრება და საქმიანობა, მაგრამ არსებითი მაინც შენარჩუნებულია. მარტო ის მაგალითი რად ღირს, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა ყველაფერი ის, რაც დღევანდელ საქართველოში ხდება, იწინასწარმეტყველა. ჩვენ რომ უფრო ღრმად შეგვძლებოდა ჩახედვა იმ წიგნებში, რომლებიც მან დაწერა და დაგვიტოვა, შეიძლება დღევანდელ დღეს გადავრჩენილიყავით: მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ვერ დავინახეთ ეს სიღრმე, აღსრულდა ის, რაც იწინასწარმეტყველა.

კორესპ. _ რას გულისხმობთ?

ა.ბ. _ რას ვგულისხმობ? ვგულისხმობ იმას, რომ მომრავლდებოდა კვაჭი კვაჭანტირაძეები, რომ საქართველო გახდებოდა კვაჭი კვაჭანტირაძეების ქვეყანა, რომ საქართველოს არ აღმოაჩნდებოდა ის ენერგია, რომელიც მას სჭირდება თავის შესანახად... ის, რაც ჩვენს პრესაში ხდება, ჩვენს ტელე-რადიოში ხდება, ის, რაც ჩვენი ხელისუფლების პროპაგანდაში ხდება, რომ საქართველო ვერ გადარჩება ურუსეთოდ და რომ რუსეთთან თუ არ გვექნება მუდმივი «ძმური» კავშირები, მაშინ არაფერი გვეშველება _ ეს თეიმურაზ ხევისთავის ფილოსოფიაა. ის მდგომარეობა, რომელშიაც დღეს საქართველოა, ეს არის მარგოს მდგომარეობა _ დამცირებული, შეურაცხყოფილი და ყოველგვარი უბედურების გადამტანი.

კორესპ. _ შეგუებული...

ა.ბ. _ და შეგუებული, რადგან ძალა არ შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ხატავს იმ სურათს, რა თქმა უნდა, მხატვრული ალეგორიის ენით, რაც დღეს, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენში არსებობს. ყველაფერი ეს თავის დროზე რომ ამოგვეცნო, დღევანდელ ვითარებას ასე არ შევხედავდით. მაგრამ ვერ ამოვიცანით. მარტო ამ ფაქტის არსებობა მეტყველებს იმას, რა დიდი ზნეობრივი ძალა ჰქონდა ჩვენს მწერლობას, მიუხედავად იმისა, რომ პარალელურად ის მაგალითებიც არსებობდა, რომლებიც ამ წიგნშია.

კორესპ. _ წეღან ბრძანეთ, რომ «გადარჩენიდან» ალბათ ნაწილებს გამოვაქვეყნებო და მინდა გთხოვოთ, ჩვენს პროგრამაში იქნებ ჩვენს მსმენელს წაუკითხოთ...

ა.ბ. _ კი, ბატონო, ზოგიერთს წავიკითხავ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.
კორესპ. _ გმადლობთ.

რადიოინტერვიუ.
28. II. 1994

უბრალოდ, ანალოგიების გვეშინია

მაია აბრამიშვილი _ პავლე მოციქულის წერილში ნათქვამია: «მწვალებელს მეორე და მესამე შეგონების შემდეგ განეშორე, იცოდე, რომ ასეთი კაცი გაირყვნა და სცოდავს». და მაინც: საქართველოში, პრინციპულად თუ უნებურად, რამდენიმე ქრისტიანი გამაჰმადიანდა. ზოგი სხვადასხვა სექტას მიეკედლა. როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანთა ცოდვაა თუ ბრმა შემთხვევითობა?

აკაკი ბაქრაძე _ ვიდრე თქვენს კითხვებს ვუპასუხებდე, ზოგადად უნდა გითხრათ ჩემი დამოკიდებულების შესახებ რელიგიური აღმსარებლობისადმი.

მე ვიზიარებ და მხარს ვუჭერ იმ აზრს, რომ ადამიანის სინდისი თავისუფალია. ადამიანს უფლება აქვს, მისი თავისუფალი სინდისის მიხედვით, აირჩიოს რელიგიური რწმენა. ძალდატანების თვინიერ გახდეს ქრისტიანი, მუსლიმი ან რომელიმე სხვა რელიგიის მიმდევარი. უფრო მეტიც: შეუძლია იყოს ათეისტი, თუ ეს ადამიანის თავისუფალი სინდისის მოთხოვნით ხდება.

აქედან გამომდინარე, თუ ადამიანი გახდა მუსლიმი ან რომელიმე სექტას მიეკედლა, ეს არ არის (რა თქმა უნდა, ჩემი აზრით) არც ცოდვა და არც ბრმა შემთხვევა. ეს არის თავისუფალი სინდისის არჩევანი. თუ საქართველო უნდა იყოს თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა, მაშინ ადამიანებს ვერ წავართმევთ სინდისის თავისუფლებას.

ერთი პატარა შენიშვნაც: ჩვენ ცნებას «მაჰმადიანი» შეცდომით ვხმარობთ. ისლამის მიხედვით, ერთი ადამიანი არ შეიძლება იყოს მეორე ადამიანის მიმდევარი. ადამიანი თუ ადამიანის მიმდევარია, მაშინ პიროვნების თავისუფლება დათრგუნულია. ადამიანი მხოლოდ ღმერთის მიმდევარი შეიძლება იყოს. მუჰამედი, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარმეტყველი იყო და ღვთის კაცი, იგი მაინც ადამიანი გახლდათ. მართლმორწმუნე მუსლიმმა შეიძლება შეურაცხყოფად მიიღოს, როცა მას ვეუბნებით მაჰმადიანი ხარო. იგი ისლამის, ანუ რელიგიური მოძღვრების მიმდევარია და არა კონკრეტული პირის, მუჰამედის. ცუდი არ იქნება, თუ ამგვარ ნიუანსებს ყურადღებას მივაქცევთ.

მ.ა. _ წლების განმავლობაში სასულიერო ლიტერატურის, განათლების გავრცელებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ასეთმა დამოკიდებულებამ ერი სულიერად გაუნათლებელი, უსწავლელი დატოვა. ადამიანებს გემოვნება დაუქვეითა.

დღეს დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ მართლმადიდებლობის ერთ-ერთი საფუძველი, სახარების ახალი თარგმანი, რომელსაც კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ავრცელებს ეკლესია, საკმაოდ მკრეხელური შეცდომებითაა გაჯერებული, რაც გახდა კიდეც სექტანტების ერთ-ერთი დასაყრდენი.

არსებობს თუ არა ასეთ პირობებში ჭეშმარიტების დაუფლების რეალური საშუალება და როგორ?

ა.ბ. _ მოგეხსენებათ, ბიბლიის თარგმნა უძნელესი და ურთულესი საქმეა. ყველა ქვეყანაში ბიბლიის თარგმანი საუკუნეების მანძილზე იხვეწება, ზუსტდება, დგინდება. ასე იყო ძველად საქართველოშიაც. ბიბლიის ახალი თარგმანიც დროთა განმავლობაში

დაიხვეწება, დაზუსტდება, დადგინდება. ბიბლიოლოგია ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მთელი მეცნიერებაა. ბიბლიოგები გამოწვლილვით, დაწვრილებით სწავლობენ ბიბლიის ყოველ ფრაზას, ყოველ სიტყვას და ასე ცდილობენ მისი შინაარსის ჩაწვდომას. სამწუხაროდ, რაკი საქართველოში დიდი ხნის მანძილზე არსებობდა ათეისტური საზოგადოება, არც ბიბლიის შესწავლა მიმდინარეობდა. თუ ჩვენი მეცნიერება ამ მიმართულებით რაიმეს აკეთებდა, ძირითადად მას ენათმეცნიერული ხასიათი ჰქონდა. ქართული ბიბლიოლოგიის შექმნა უახლოესი მომავლის საქმეა. როცა იგი ჩამოყალიბდება, ხელი შეეწყობა ბიბლიის ახალი თარგმანის დამუშავება-დახვეწას.

თუ რომელიმე სექტანტი ამბობს ამა თუ იმ სექტის წევრი იმიტომ გავხდი, რომ ბიბლიის ახალ ქართულ თარგმანში შეცდომები აღმოვაჩინეო, _ მაშინ იგი სექტანტი კი არ არის, არამედ _ აფერისტი. ჯერ ერთი, ბიბლიის ახალ თარგმანთან ერთად არსებობს ძველქართული თარგმანიც და შეიძლება შემოწმება _ სად არის შეცდომა და სად არა. მეორეც, რატომ არის რომელიმე სექტანტი დარწმუნებული, რომ ბიბლიის რუსული, გერმანული, ფრანგული ან რომელიმე სხვა თარგმანში შეცდომები არ არის? თუ ახალი ქართული თარგმანის დამწუნებელ სექტანტს ძველი აღთქმა ძველებრაულ ენაზე აქვს ჩაბულბულებული, ხოლო ახალი აღთქმა ძველბერძნულ ენაზე და ზედმიწევნით ზუსტად იცის _ რა წერია და როგორ?

ერთი სიტყვით, ბიბლიის ახალქართულ თარგმანში დაშვებული შეცდომები სამწუხაროა, მაგრამ ისინი სექტანტობის საფუძველი ვერ გახდებიან.

რელიგიური ჭეშმარიტების დაუფლება ბიბლიის თარგმანის ავ-კარგიანობაზე არ არის დამოკიდებული. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლეთ წმიდა წიგნები და ჩავწვდით იქ დაწერილს. შეიძლება ადამიანი ძველებრაულსაც ფლობდეს და ძველბერძნულსაც, ძველ და ახალ აღთქმებს ორიგინალში კითხულობდეს და მაინც უთვალავი თავსატეხი კითხვა აწუხებდეს, რადგან სხვადასხვაგვარია ბიბლიის ინტერპრეტაციები.

ორიოდე კონკრეტულ მაგალითს მოვიშველიებ.

წმიდა პავლე მოციქულის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ წერია: «რამეთუ უკუეთუ ვილოცვიდე ენითა, სული ჩემი ილოცავს, ხოლო გონებაY ჩემი უნაყოფო არს» (XIV,14). რუსულ თარგმანში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: “Ибо, когда я молюсь на незнакомом языке, то хотя дух мой и молится, но ум мой остается без плода”.

როგორც ხედავთ, რუსულ ტექსტში არის სიტყვა незнакомый ქართულში კი არა. არც გერმანულ თარგმანშია незнакомый და არც იტალიურში. არადა, ეს სიტყვა მთელ ფრაზას აზრს უცვლის. საიდან გაჩნდა იგი რუსულ ტექსტში? თუ ძველბერძნულში არის ეს სიტყვა, მაშინ რატომ არ თარგმნეს ქართველებმა, გერმანელებმა, იტალიელებმა? თუ ძველბერძნულ ტექსტში არ არის, მაშინ რატომ ჩაამატეს რუსებმა?

ასე, რომ ჩვენ ხელთ ვერ გვექნება ტექსტი, რომელსაც შეიძლება ბრმად ვენდოთ. ყველაფერს შემოწმება უნდა, დაკვირვება და საკუთარი დასკვნის გაკეთება. ასე უნდა მივიდეთ რელიგიურ ჭეშმარიტებამდე.

მეორე მაგალითითაც უნდა შეგაწუხოთ: ჟურნალი «შპიგელი» (1994 წ., [1]13) იუწყება, რომ გYოტინგელი თეოლოგი გერდ ლYუდამერი უარყოფს ქრისტეს აღდგომას და მიაჩნია, რომ ეს იყო მისი მოწაფეების ხილვა, ვიზიონი. ამას ამტკიცებს ქრისტიანი თეოლოგი. არაფერს მოგახსენებთ 1989 წელს გამოცემულ ფრანც ალტის ბესტსელერზე _ «ქრისტე _ პირველი ახალი ადამიანი», რომელშიც გატარებულია აზრი, რომ ჯვარცმა იყო მოჩვენებითი სიკვდილი (სცჰეინტოტ). ანდა 1992 წელს გამოცემულ კარლ ჰერბსტის რომანი «სისხლის სამართლის საქმე გოლგოთაზე». ავტორი «ირწმუნება», რომ ქრისტე არ მომკვდარა. იგი აბრეშუმის გზით ჩინეთში გაემგზავრაო.

სხვათა შორის, პაკისტანში აჩვენებენ ადგილს, სადაც თითქოს ხანდაზმული ქრისტე გარდაიცვალა. ამ ადგილას ტაძარია აგებული.

ასე, რომ ყოველმა ადამიანმა რელიგიურ ჭეშმარიტებას საკუთარი გონების ძალით უნდა მიაგნოს. ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ შეხედულება-აზრს იგი ვერ იპოვნის. არც შეიძლება ეს. ადამიანის გონება მუდმივ მაძიებელია. იგი ვერ შეჩერდება. ეს მაძიებელი გონება ნაირნაირ აზრს ბადებს არა მარტო მეცნიერება-ხელოვნებაში, არამედ _ რელიგიაშიც. ოღონდ ადამიანს თავად უნდა შესწევდეს ძალა და უნარი _ ამოიცნოს ამ ნაირნაირ შეხედულება-აზრში სად არის ტყუილი და სად _ სიმართლე.

მ.ა. _ რამდენიმე თვეა თბილისში ურთიერთთანამშრომლობის მიზნით ჩამობრძანდნენ ეკუმენისტური მოძრაობის წარმომადგენლები. როგორ შეაფასებდით მსოფლიო ქრისტიანთა გაერთიანებას, რომელთა მიმდინარეობებს შორისაც უამრავი თეოლოგიური განსხვავებაა ტრადიციებში, დოგმატებში, რჯულმოძღვრებაში.

ა.ბ. _ ეკუმენისტური მოძრაობის მიზანია სხვადასხვა რელიგიურ შეხედულებათა მორიგება, მათი მშვიდობიანი თანაარსებობა. არ შეიძლება ადამიანები უმოწყალოდ ხოცავდნენ ერთმანეთს, ვთქვათ, იმისათვის, რომ ერთი კათოლიკეა და მეორე _ პროტესტანტი. უკვე რამდენიმე წელიწადია ასე ხდება ჩრდილოეთ ირლანდიაში. მადლობა ღმერთს, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მოსალოდნელია ეს ხოცვა-ჟლეტა შეწყდეს. ანდა, ყოფილ იუგოსლავიაში, როგორ ავლებენ მუსრს ერთმანეთს ქრისტიანი და მუსლიმი სერბები.

კი ბატონო, სიტყვით, კალმით, არგუმენტებით რამდენიც უნდათ, იმდენი იკამათონ სხვადასხვა რელიგიური შეხედულებების ადამიანებმა, მაგრამ ჭეშმარიტების დასადგენად რა საჭიროა ტყვია და ავტომატი? კაცობრიობის რელიგიურმა ისტორიამ იცის უთვალავი ფაქტი _ რა დაუნდობლად ჟუჟავდნენ ერთმანეთს სხვადასხვა რელიგიური შეხედულებისა და რწმენის ადამიანები. თუ კი ოცდამეერთე საუკუნეში მაინც მოხდება ის, რომ რეალურად დამკვიდრდება რელიგიური შემწყნარებლობა, ეს იქნება კაცობრიობის საღი გონების დიდი გამარჯვება. თუ ამ მიზანს განახორციელებს ეკუმენისტური მოძრაობა, საქმედ აქცევს მას, რა შეიძლება იყოს ამაზე კეთილშობილური მიზანი?

მე ყოველთვის ვიყავი რელიგიური შემწყნარებლობის, რელიგიური მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრე. ამ აზრის ვარ დღესაც. ამდენად, ეკუმენისტური მოძრაობის მომხრეც ვარ.

ნუთუ მე-20 საუკუნის ბოლო წლებში ჩვენთვის გაუგებარი უნდა იყოს ის აზრი, რაც ლესინგმა გამოთქვა «ნათან ბრძენში?».

მ.ა. _ მრავალი ქვეყანა, სადაც თვლიან, რომ სარწმუნოება სახელმწიფოებრივი შემადგენლობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, კანონიერად, ოფიციალურად დაცულია სხვადასხვა სექტებისაგან. როგორ ფიქრობთ, ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება თუ არა ჩაითვალოს აგრესიად? და კიდევ, თვითონ ფაქტი, რომ სხვადასხვა სექტების წარმომადგენლები ტრადიციულად მართლმადიდებლურ საქართველოში ქადაგებენ, ნიშნავს თუ არა ადამიანზე სულიერ ძალადობას?

ა.ბ. _ თუკი საქართველო იქნება საერო დემოკრატიული სახელმწიფო, მაშინ ეკლესიის საქმეებში ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს. ეკლესია გამოყოფილი უნდა იქნეს სახელმწიფოსაგან. ყველა დროში ეკლესიას საკუთარი იურიდიული ინსტიტუტი ჰქონდა, საკუთარი სასამართლო. დამნაშავეს თავად სჯიდა. ისიც დასაშვებია, რომ, შეთანხმების საფუძველზე, ეკლესია და სახლმწიფო დამნაშავეობას ერთად ებრძოდნენ.

თუ სახელმწიფო აღიარებს სინდისის თავისუფლებას, მაშინ იგი სექტებს ვერ შეებრძოლება, ცხადია, თუ სექტანტი სისხლის სამართლის დანაშაულს არ ჩადის, არ

კლავს, არ ქურდობს, არ მექრთამეობს, არ ძალადობს და ა.შ. თუ სისხლის სამართლის დანაშაულს ჩადის, მაშინ იგი ისევე უნდა ისჯებოდეს, როგორც ყოველი სხვა მოქალაქე.

სექტებისაგან ეკლესია თავს თავად უნდა იცავდეს სიტყვისა და შთაგონების ძალით. რომელიმე სექტანტი სიტყვის, შთაგონების ძალით, პროპაგანდისტის უნარით რატომ უნდა სჯობდეს ოფიციალური რელიგიის წარმომადგენელს? თუ ოფიციალურ რელიგიას ჰყავს ღრმად განათლებული, საქმის მცოდნე, პატიოსანი, შთაგონებული სასულიერო მოღვაწე, მაშინ სექტები ფეხს ვერ მოიკიდებენ. სექტები იქ მრავლდებიან, სადაც ოფიციალური ეკლესია უღონოა, ან ყურადღებას არ აქცევს სექტანტობას.

თუ რომელიმე სექტა მრევლს აგროვებს მხოლოდ ქადაგებით, სიტყვით, ამას ვერ დავარქმევთ ვერც აგრესიას და ვერც სულიერ ძალადობას. თუ მიმართავს მოტყუებას, მოქრთამვას, დაშინებას და სხვა ამგვარ საშუალებებს, მაშინ ეს არა მარტო აგრესია და ძალადობაა, არამედ სამართლებრივი დანაშაულიც. იგი უნდა კატეგორიულად აღიკვეთოს.

მ.ა. _ კონსტანტინეპოლის და მსოფლიო პატრიარქმა, ბართლომეოს პირველმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ «რელიგიურ თემებზე ცარიელი ინფორმაციის მიყრა მკითხველისა და ტელემაყურებლებისათვის, თუ მას არ ახლავს სიღრმისეული ანალიზი, საქმის ბოროტად გამოყენებაა და სხვა არაფერი». დღეს საინფორმაციო საშუალებები როგორც მართლმადიდებლობის, ასევე სხვადასხვა სექტების წარმომადგენელთა საქმიანობის ზედაპირული შეფასებით უფრო შემოიფარგლებიან, ვიდრე სიღრმისეული ანალიზით. როგორ ფიქრობთ, რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ამან პრობლემებით, ეკონომიკური სიდუხჭირით თავგზააბნეულ საზოგადოებაში.

ა.ბ. _ უმეცრებას, გაუნათლებლობას, ზერელობას ყოველ საქმეში ცუდი შედეგი მოაქვს. ამასვე მოიტანს რელიგიაშიც. უთავბოლობამ და უწესრიგობამ რელიგიურ განათლებაში შეიძლება უარესი ნაყოფი გამოიღოს, ვიდრე ათეიზმმა გააკეთა ეს. ამიტომ რელიგიური განათლების პრობლემები სერიოზული ფიქრისა და განსჯის საგანი უნდა გახდეს.

გაზ. «თბილისი»,
23 სექტემბერი, 1994 წ.

ქართველს არ უყვარს,
როცა სიმართლეს ეუბნებიან

მანანა ჯარიაშვილი _ ბატონო აკაკი, კანონზომიერია საქართველოში მიმდინარე მოვლენები თუ ხელოვნურ პროცესთან გვაქვს საქმე?

აკაკი ბაქრაძე _ ის, რაც საქართველოში ხდება, კანონზომიერია, რადგან შედეგია ჩვენი უვიცობისა და უდარდელ-უზრუნველობისა.

ჩვენ სურვილი გვქონდა დამოუკიდებლობა-თავისუფლებისა, მაგრამ ამისათვის არ მოვმზადებულვართ არც ერთი კუთხით _ არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად, არც ფინანსურად, არც სოციალურად, არც სამხედრო თვალსაზრისით.

არ გაგვითვალისწინებია, რომ როცა ერთი სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემა ირღვევა, მას ყოველთვის თან ახლავს ქაოსი, დიდი გასაჭირი და სიდუხჭირე. ამიტომ ზედმიწევნით უნდა მოემზადო, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, თავიდან აიცილო ქაოსიც, გაჭირვებაც და სიდუხჭირეც.

კონკრეტულ მაგალითებს მიაქციეთ ყურადღება: საქართველოში ყოველმა ჭკუათმყოფელმა კაცმა იცოდა, რომ ელექტროენერგიის კრიზისი უკვე 70-იან წლებში არსებობდა. იგი თანდათანობით რომ გაღრმავდებოდა და არ გამოსწორდებოდა, ესეც ცნობილი იყო. გაკეთდა რაიმე ამის გამოსასწორებლად? არაფერი. დღეს კი გვიკვირს, ამ დღეში რომ ვართ.

ისიც არავისთვის იყო უცნობი, რომ ქართული მრეწველობა რუსეთსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს იყო მიჯაჭვული. თუ ამ ჯაჭვებს რუსეთი გაწყვეტდა, ჩვენი მრეწველობა ხმელეთზე ამოგდებულ თევზს დაემსგავსებოდა და სულს დაღაფავდა. მოვემზადეთ იმისათვის, რომ ვინიცობაა რუსეთი მიმართავდა ეკონომიკურ ბლოკადას, ჩვენი მრეწველობა, ნაწილი მაინც, არ გაჩერებულიყო? არა. ისე ვიქცეოდით, თითქოს ქვეყანას შეუძლია უმრეწველოდ, უსოფლისმეურნეობოდ იარსებოს, იცხოვროს.

ვერც იმას ვიტყვით, რომ არ ვიცოდით, რისთვის იყო შექმნილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ვიცოდით, თუ საქართველო დამოუკიდებლობას მოისურვებდა, აფხაზეთსა და «სამხრეთ ოსეთს» ზურგში უნდა ჩაეცა მახვილი. შევქმენით ჩვენი შეიარაღებული ძალა, რომ ომის შემთხვევაში თავი დაგვეცვა? არა.

კიდევ ერთს ვიტყვი და მეტად აღარ გავაგრძელებ საუბარს. დღეს საქალაქო ტრანსპორტის ერთადერთი საშუალება მეტრო შემოგვრჩა. სხვა არაფერი გვაქვს. როგორ ვექცევით მას? იმის მაგიერ, რომ თვალის ჩინივით მოვუფრთხილდეთ, ვიზრუნოთ მასზე, მოვუაროთ და ვუპატრონოთ, ველურად ვეპყრობით.

ამდაგვარი მაგალითი უთვალავი შეიძლება მოვიტანოთ. ყველაფერი ეს ერთ რასმე მოწმობს: რაც საქართველოში მოხდა და ხდება სრულიად კანონზომიერია.

მ.ჯ. _ თქვენეული ანალიზი ჩეჩნეთის ამბებთან დაკავშირებით, როგორ გავლენას იქონიებს ეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე და კერძოდ საქართველოზე?

ა.ბ. _ ჩეჩნეთი რუსეთის ბედისწერა აღმოჩნდა. მკაფიო და გასაგები რომ იყოს, რატომ ვამბობ ამას, ცოტა შორიდან დავიწყებ.

ამ საუკუნეში რუსეთის იმპერია ორჯერ დაიშალა _ პირველად 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შედეგად და მეორედ 90-იანი წლების დასაწყისში.

პირველი დაშლის შემდგომ მან განახლება მოახერხა, სახელი შეიცვალა და ფსევდონიმად სსრკ დაირქვა. აღდგენას ახლაც ცდილობს და ახლაც ფსევდონიმს ებღაუჭება _ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. რაც პირველად გამოუვიდა, მეორედ იმას ვეღარ მოახერხებს. რატომ?

როცა რუსი ბოლშევიკ-კომუნისტები პროლეტარულ რევოლუციას ამზადებდნენ, ისინი სრულებით არ აპირებდნენ რუსეთის იმპერიის დაშლას. მათ მონარქიის დამხობა და სოციალური რევოლუცია აკმაყოფილებდათ. იმპერიის კი შენარჩუნება უნდოდათ. ლენინიც, ტროცკიც, სტალინიც მსოფლიოში გაბატონებაზე ოცნებობდნენ. მსოფლიო იმპერატორის სახელი ენატრებოდათ. რუსეთის იმპერიას როგორ დაშლიდნენ? როგორ უნდა შეენარჩუნებინათ იმპერია? აქ ლენინმა გამოძებნა ფორმულა _ ჯერ დავიშალოთ და მერე ისევ გავერთიანდეთ. ე.ი. დავშალოთ რუსეთის მონარქისტული იმპერია, მაგრამ, გამარჯვების შემდეგ, ისევ აღვადგინოთ ახალ საფუძველზე. მართლაც ასე მოხდა. ორი რევოლუციის _ თებერვლისა და ოქტომბრის _ შედეგად რუსეთის მონარქისტული იმპერია დაიშალა და მერე ახალ საფუძველზე ისევ აღდგა.

რუსმა ბოლშევიკ-კომუნისტებმა სსრკ-ად წოდებულ რუსეთის იმპერიას სამი რამ დაუდეს საძირკვლად _ სოციალიზმი, ათეიზმი და ერთპარტიულობა.

სოციალიზმი იმიტომ, რომ ამით ხალხი მოხიბლეს, საყოველთაო ქონებრივ თანასწორობას დავამყარებთო, აღარ იქნება მდიდარი და ღარიბი, ყველა მიწიერ სამოთხეში ვიცხოვრებთო. ბუნებრივია, ამ ცრუ დაპირებამ ხალხი მოხიბლა და სოციალიზმის ერთგული გახადა.

ათეიზმი იმიტომ, რომ რუსეთის მონარქისტული იმპერია რელიგიურად ჭრელი იყო _ ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი და ა.შ. ეს რელიგიები ერთმანეთისადმი მტრულად იყო განწყობილი. ეს მტრობა კი რუსეთის იმპერიაში მოსახლე ხალხების ერთიანობას უშლიდა ხელს. ერთიანობის მიღწევა ათეიზმის საფუძველზე გადაწყვიტეს. გააუქმეს ქრისტიანობაც, ისლამიც, ბუდიზმიც და სხვებიც. ათეისტური საზოგადოება ჩამოაყალიბეს, რამაც დროებით სსრკ-ში ხალხები გააერთიანა.

ერთპარტიულობა იმიტომ, რომ ნაირ-ნაირი პარტიების არსებობა ნაირ-ნაირ პოლიტიკურ აზრს გულისხმობდა. ესეც ხელს უშლიდა ერთიანობას. უნდა ყოფილიყო ერთი პარტია, ერთი მიზნით, ერთი პროგრამით. ამ პარტიის წევრები, სულერთია ვინ იქნებოდა იგი, რუსი, ყირგიზი, ქართველი, ტაჯიკი, ბურიატი, სომეხი თუ სხვა ერის კაცი, ერთ მიზანს _ სოციალიზმს ემსახურებოდნენ, ერთ ცენტრს _ მოსკოვს ემორჩილებოდნენ. განსხვავებული აზრი აკრძალული იყო. თუ ვინმე გაბედავდა და თავში განსხვავებულ აზრს გააჭაჭანებდა, ან სამარე ელოდა, ან კატორღა. სანამ სოციალიზმი, ათეიზმი, ერთპარტიულობა მტკიცედ იდგა, სსრკ მონოლითურად შეკრულ სახელმწიფოს ჰგავდა. მაგრამ თანდათანობით გამოირკვა და ნათელი გახდა, რომ სოციალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა, სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა. სხვათა შორის, არ უნდა შეგვეშალოს და ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სოციალიზმი, როგორც სოციალური თანასწორობის იდეა და სოციალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა. სოციალიზმმა, როგორც სოციალური თანასწორობის იდეამ, გაიმარჯვა. იგი მიიღო და აითვისა კაპიტალიზმმა. თავად ტერმინი, ცნება სოციალური საბაზრო ეკონომიკა ამას გულისხმობს. ეკონომიკა საბაზრო, ანუ კაპიტალისტური, მაგრამ სოციალურად მოუწესრიგებელი. ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა, მათ შორის შვედეთიც, რომლის მოშველიება ქართველ სოციალისტებს უყვართ, ამის მაგალითია. მაგრამ სოციალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა, დამარცხდა. მან ვერ გაუძლო კაპიტალიზმთან ბრძოლას. სოციალიზმი რომ მარცხდებოდა სსრკ-ში ეს უკვე 70-იან წლებში იყო ნათელი ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის. მაგრამ სკკპ-ს არ სურდა პოზიციის დათმობა და იგი განწირულ ეკონომიკურ სისტემას მაინც ებღაუჭებოდა. ვერ მიხვდა, რომ სოციალიზმის გადარჩენა შეუძლებელი იყო. რამდენიმე წელიწადი კიდევ იჯახირა, კიდევ ივაგლახა სსრკ-მა და 90-იანი წლების დასაწყისში სული დალია. როცა ეს დასასრული გარდაუვალი გახდა, ბოლშევიკ-კომუნისტებმა ისევ სცადეს ლენინის ფორმულის _ ჯერ დავიშალოთ და მერე ისევ გავვერთიანდეთ, გამოყენება. ბელორუსიაში, ბელოვეჟსკაია პუშჩაში შეიკრიბნენ რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის თავკაცები _ ელცინი, კრავჩუკი და შუშკევიჩი და სსრკ-ის დაშლა გამოაცხადეს. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ადგილას ელვის სისწრაფით გაჩნდნენ «დამოუკიდებელი» სახელმწიფოები. მალე ამ «დამოუკიდებელმა» სახელმწიფოებმა გამოაცხადეს «დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის» შექმნა და შევიდნენ კიდეც შიგ. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ «დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა» მკვდრადშობილი გაერთიანებაა. მას არავითარი იდეა, გარდა მოსკოვის სურვილისა, საფუძვლად არ უდევს. თუ ლენინსა და მის რაზმს ჰქონდა იდეა _ სოციალიზმი, ათეიზმი, ერთპარტიულობა, ელცინსა და მის რაზმს არავითარი იდეა არა აქვთ. პირიქით, დაშლას უწყობენ ხელს. სოციალიზმის ნაცვლად კაპიტალიზმი ანუ სოციალური საბაზრო ეკონომიკა უნდათ, ათეიზმის ნაცვლად

რელიგიები აღორძინდა და რუსეთის იმპერიის ხალხები რელიგიურად ისევ დაიყო და ერთმანეთს დაუპირისპირდა. ერთპარტიულობის მაგიერ მრავალპარტიულობა შემოიღეს. აქაც ერთიანობას საფუძველი გამოაცალეს.

ამგვარი ვითარების ბუნებრივი და კანონზომიერი შედეგი დაშლაა, მაგრამ დაშლა არა მხოლოდ სსრკ-ისა, არამედ რუსეთის ფედერაციისაც. რუსეთის ფედერაციაც იმპერიული სახელმწიფოა. მართალია, ვისაც რუსეთის ფედერაციის გადარჩენა უნდა, ყვირის, გულში ხელს იბაგუნებს და ამტკიცებს, რუსეთის ფედერაცია იმპერიული სახელმწიფო არ არისო, მაგრამ ეს სიცრუეა. ეს იგივეა ამტკიცო: ცხოველი, რომელიც ყეფს და იკბინება ძაღლი არ არისო.

არსებობს გავრცელებული გამოთქმა: ქალი ან არის ფეხმძიმედ, ან არ არის. სანახევროდ ორსულობა არ შეიძლება. ასევეა იმპერიული სახელმწიფოს დაშლაც. სსრკ-ის სანახევროდ დაშლა არ კმარა. ისტორიული პროცესი დასრულებული არ არის. უნდა დაიშალოს რუსეთის ფედერაცია. სხვა დასასრული არ არსებობს. ამიტომ გახლავთ საბედისწერო შეცდომა რუსეთის მცდელობა _ ძალადობით შეინარჩუნოს ჩეჩნეთი. ჩეჩნეთს იმდენივე უფლება აქვს გამოეყოს რუსეთს და იყოს დამოუკიდებელი, რამდენიც საქართველოს. შეიძლება მეტიც. იმიტომ რომ ქართველი მეფეები საუკუნეების მანძილზე ევედრებოდნენ რუსეთს მფარველობას, ჩეჩნეთს კი ეს არ უთხოვია. პირიქით, ოცდაათი წელიწადი ებრძოდა რუსეთს და უზარმაზარმა იმპერიამ ძლივს მოახერხა ამ პაწაწინა ქვეყნის დამარცხება. ძალა ხალხის მრავალრიცხოვნობაში კი არ არის, არამედ ერთიანობასა და სულიერ სიმტკიცეშია. ქართველი ხალხის უბედურება ის კი არ არის, რომ მცირერიცხოვანია, არამედ ის, რომ დაშლილია. ერთიანობა არა აქვს. ერთი ალთას გარბის, მეორე ბალთას. ჩეჩნებს ეს ერთიანობა აღმოაჩნდათ და არც სულის სიმტკიცე ჰკლებიათ. უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც ეს პაწაწინა ქვეყანა ებრძვის თვალუწვდენელ იმპერიას და თერმობირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური იარაღით აღჭურვილმა რუსეთმა ვერაფერი დააკლო.

ზნეობრივად და სულიერად ჩეჩნეთმა უკვე გაიმარჯვა. იგი არ შეშინდა. ქედი არ მოიხარა. რუსეთს ომში ისე შეება, როგორც ტოლი-ტოლს. რუსეთმა გაუგონარი სირცხვილი ჭამა. სპილო თავს დაესხა ჭიანჭველას და აღმოჩნდა, რომ არაფერი შეუძლია. რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებს თავგზა აებნათ. არ იციან, რა მოუხერხონ ჩეჩნეთს. ეს იმისი დასტურია, რომ რუსეთში არასოდეს ყოფილა დემოკრატია, არც არის და არც არასოდეს იქნება. თან კაცობრიობის თვალში სამარადჟამოდ დარჩება თავლაფდასხმული: მოსპო პაწაწკინტელა ქვეყანა, გაანადგურა მცირერიცხოვანი ხალხი.

მეტსაც გეტყვით, თუ ჩეჩნეთი კიდევ გაუძლებს რუსეთის არმიას ორი-სამი კვირა, მერწმუნეთ, იგი დაამარცხებს რუსეთს ყველა თვალსაზრისით. თუ ომი გაგრძელდა და უახლოეს დღეებში რუსეთმა ვერაფერი მოახერხა, მაშინ მოსკოვში ისეთი ორომტრიალი ატყდება, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობს. ელცინსა და მის ხელისუფლებას სულ კინწისკვრით გააგდებენ. გამორიცხული არ არის ხეებზე ჩამოაკონწიალონ. ახალ ხელისუფლებას სხვა არაფერი დარჩება გარდა იმისა, რომ ჩეჩნეთთან ომი შეწყვიტოს და მოლაპარაკება გამართოს. ეს კი იმის უთუო და უთუმცაო საბუთი იქნება, რომ, როგორც დავითმა გოლიათს, ჩეჩნეთმა ისე რუსეთს კისერი მოუგრიხოს.

ვნახოთ. ერთი კი ცხადია, რაკი რუსეთი ზნეობრივად და სულიერად ჩეჩნეთთან ომში დამარცხდა, მის ფედერაციას ვერაფერი გადაარჩენს. როგორც ძველი ქსოვილი იხევა ფხრიწინ-ფხრიწინით, ასე დაიშლება რუსეთის ფედერაციაც. რუსეთის ფედერაციის შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას რაც ელის,

ადვილი წარმოსადგენია. ეს ვითარება საქართველოს ძალიან ხელსაყრელ პირობებს უქმნის.

ამიტომაც მოგახსენეთ დასაწყისში ჩეჩნეთი რუსეთის ბედისწერა აღმოჩნდება-მეთქი.

თუ რუსეთი გააგრძელებს ფედერაციის იარაღითა და ძალადობით შენარჩუნების პოლიტიკას, გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებს, ფედერაციას ვერ შეინარჩუნებს. სისხლის ზღვას კი დააყენებს. თუ რუსეთი ნებაყოფლობით დათმობს ფედერაციას, გაათავისუფლებს მასში შემავალ ხალხებს, დიდად მოგებული დარჩება. ისეთივე მოგებული, როგორც საფრანგეთი დარჩა, როცა ალჟირი დათმო და მის დამოუკიდებლობას დათანხმდა. მაგრამ ამას გენერალ დე გოლის ვაჟკაცობა და ჭკუა სჭირდება. აქვს კი რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებაში ვინმეს ამის ჭკუა და ვაჟკაცობა?

მ.ჯ. _ ბატონო აკაკი, თქვენ არაერთხელ გამოგითქვამთ პროგნოზი, ახალი წლიდან მოვლენათა როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ?

ა.ბ. _ ქართველს არ უყვარს, როცა სიმართლეს ეუბნებიან. იმედი წამართვაო წუწუნებს, რადგან ტყუილს ეძახის იმედს. მაგრამ დღეს არ შეიძლება ტყუილით თავის დამშვიდება. მწარე სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში შექმნილ ვითარებას როგორმე თავი დავაღწიოთ. 1995 წელი უფრო მძიმე იქნება, ვიდრე 1994 წელი. იმიტომ, რომ იმ უთვალავი პრობლემიდან, რაც საქართველოს თავს ახვევია, არც ერთის მოგვარება ჯერ არ დაგვიწყია.

ჩამოვთვალოთ ზოგიერთი:

დასაბრუნებელია მტრის მიერ ოკუპირებული მიწა-წყალი. გავაკეთეთ ამ მიმართულებით რამე? ჯერჯერობით არაფერი. საპატრონო და დასაბინავებელია 200 000-ზე მეტი დევნილი. ეს უმძიმესი ტვირთია, რომლის ზიდვა იოლი არ გახლავთ. გაზის უქონლობის გამო, საქართველო თურქმენეთის ეკონომიკური კოლონია გახდა. დავიწყეთ საქმე ამ პრობლემის გადასაჭრელად? საუბედუროდ, არა. ისევ თურქმენეთს ვეხვეწებით, გვიშველეთო. სადამდე? ჩვენი მრეწველობა არსებითად გაჩერებულია. შევძლებთ მის ამოქმედებას ელექტროენერგიის, გაზის, საერთოდ, სათბობ-საწვავის უქონლობის პირობებში? ცხადია, ვერა. არც ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის გადაგვიდგამს ნაბიჯი წინ. ჩვენი სოფლის მეურნეობა გაურკვეველ მდგომარეობაშია. გლეხებმა არ იციან, ვისია მიწა. ისევ საზოგადო საკუთრება არსებობს თუ კერძო საკუთრება მკვიდრდება? არც მიწის კანონი არსებობს, არც პრივატიზებისა. გლეხმა არ იცის, ნაშრომს ძველებურად წაართმევს ხელისუფლება თუ არ წაართმევს. ამის გამო უსულგულოდ მუშაობს და თავს არ იწუხებს ქვეყნის დოვლათის შესაქმნელად. როდის მოწესრიგდება ეს?

საქართველოს უზარმაზარი საგარეო ვალი აქვს. იგი იზრდება და იზრდება. მისი გადახდის საშუალებანი კი ჯერჯეროზით არ ჩანს.

ამგვარი პრობლემების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება. ამ ვითარება-მდგომარეობაში როგორ უნდა ვიფიქროთ, რომ 1995 წელი 1994-ზე უკეთესი იქნება?

დიდი ბედნიერება იქნება, თუ 1995 წელს რაღაცის კეთებას დავიწყებთ. თუნდაც ერთი ზარული რომ ავაშენოთ, იმედის ნაპერწკალს გააჩენს _ ნგრევა შეწყდა და შენება დაიწყო.

მ.ჯ. _ ვის აქვს დღეს უფლება საქართველოში «ბედნიერი ერის» პრინციპით ელაპარაკოს ქართველ ხალხს?

ა.ბ. _ იმას, ვისაც აქვს ნიჭი «ბედნიერი ერი» დაწეროს.

გაზ. «ბიზნეს-კურიერი»,
№30, 1994

ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება თანდათან ჩამოყალიბდება და საქართველოც აწყობილ-ცივილიზებული ქვეყნების რიგს შეუერთდება

კორესპ. _ რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა ბ-ნ აკაკი ბაქრაძეს მანამდე ვთხოვეთ, ვიდრე მას ყოფილი თავდაცვის მინისტრი ბ-ნი თენგიზ კიტოვანი მომავალ ხელისუფალთა შესაძლო კანდიდატებს შორის დაასახელებდა. ამდენად, მასთან ამ საკითხზე საუბარი შემდეგისთვის გადავდოთ (შესაძლოა ჩავთვალოთ, რომ ბ-ნ აკაკისთან მომავალი ინტერვიუსთვის კითხვა უკვე დასმულია).

ამჟამად ჩვენ უფრო წარსულისა და დღევანდელობის ურთიერთობები გვაინტერესებს. არცთუ დიდი ხნის წინ ხმა გავრცელდა, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველო ვერ მიიღებს დახმარებას, ვიდრე არ მოხდება სტაბილიზაციაო, და უფრო მეტიც, რომ ეს ხალხი, ე.ი. ქართველები ხომ არ გაგიჟდნენო. როგორც გაირკვა, მსგავსი განცხადება ქლინტონს არ გაუკეთებია და არც გააკეთებდა, მაგრამ, იმის შემხედვარე, რაც დღეს საქართველოში ხდება, ხომ არ ღირს ჩვენ თვითონვე დავუსვათ ეს კითხვა საკუთარ თავს. იქნებ, ისევ საქართველოს ისტორიაში ვეძებოთ ჩვენი არაგონივრული მოქმედებების პარალელები. ამასთან, ცხადია, ბ-ნ აკაკისაგან ჩვენი მკითხველი პროგნოზსაც ელის საზოგადოებრივი განვითარების შესახებ.

აკაკი ბაქრაძე _ ამერიკის პრეზიდენტის განცხადება, ალბათ, მორიგი ქართული ჭორია. ამას არ იტყოდა არც ერთი ჭკუათმყოფელი ამერიკელი, მით უმეტეს, პრეზიდენტი. ადამიანი, ქართველი იქნება თუ უცხო, ვინც თუნდაც ზერელედ იცნობს კაცობრიობის ისტორიას, არ გაიკვირვებს, არ გაიოცებს იმას, რაც საქართველოში ხდება ამ ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე. ასე იყო, ასეა და ასე იქნება ყველა ქვეყანაში, როცა ერთი საზოგადოებრივი წესწყობილება იშლება და მეორე ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ამის საბუთად ისტორიის გახსენებით თავს არ შეგაწყენთ. დღევანდელი მაგალითებიც საკმარისია. დავაკვირდეთ რა ხდება ყოფილ იუგოსლავიაში, რუანდაში, სომალიში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და ა.შ. ზოგიერთმა შეიძლება იწყინოს, აფრიკის ქვეყნებს შეგვადარაო, თუმცა საწყენი არაფერია. იუგოსლავია შუა ევროპაში მდებარეობს, მაგრამ ერთმანეთს იქაც დაუნდობლად ჟუჟავენ. თუ გნებავთ, მაღალკულტურული ჩრდილოეთ ირლანდია გავიხსენოთ. რა დაუნდობლად მუსრავენ ისინი ერთმანეთს რელიგიურ ნიადაგზე. კათოლიკე ირლანდიელს სძულს პროტესტანტი ირლანდიელი და პროტესტანტ ირლანდიელს _ კათოლიკე ირლანდიელი. ასე, რომ ადამიანი ყველგან ადამიანია. ლიანგისათვის არაფერს ნიშნავს კულტურა. რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, სხვებსა და სხვებს ლიანგი არ კითხულობს. თუ კითხულობს, ბევრს ვერაფერს იგებს. მათ ცალკეული პიროვნებები კითხულობენ და მათზე ზემოქმედებს. კულტურა პიროვნებას აყალიბებს და არა მასას, ლიანგს. ლიანგს პოლიტიკა აყალიბებს. რაკი ჩვენ საუკუნეების მანძილზე არ გვიცხოვრია დამოუკიდებლად, საკუთარი პოლიტიკა არ გვქონია, სხვისი პოლიტიკით ვცხოვრობდით _ ხან ირანის, ხან თურქეთის, ხან რუსეთის, ბუნებრივია, რომ

დავიბენით, როცა საშუალება მოგვეცა საკუთარი პოლიტიკური ჭკუით ცხოვრებისა. გაიხსენეთ, როცა გაერომ დეკოლონიზაციის პროგრამა შეადგინა 50-იან წლებში, იქ მითითებული იყო _ რომელი კოლონია როდის მიიღებდა დამოუკიდებლობას. თუ ერთი ხუთი წლის შემდეგ ეღირსებოდა პოლიტიკურ თავისუფლებას, მეორეს იგი ათი წლის შემდეგ ერგებოდა, მესამეს _ თხუთმეტი წლისა და ა.შ. რატომ? იმიტომ, რომ გათვალისწინებული იყო, რომელი კოლონია როგორ იყო მომზადებული, ყველა თვალსაზრისით, დამოუკიდებლობისათვის. უფრო კარგად მომზადებულნი, მას უფრო ადრე მიიღებდნენ, ცუდად მომზადებულნი _ უფრო გვიან.

სსრკ მოულოდნელად დაიშალა. არავინ მოელოდა იმას, რომ უზარმაზარი კოლოსი უცბად გაქრებოდა. გარდაქმნა-პერესტროიკა იმისათვის კი არ წამოუწყიათ, რომ სსრკ დაენგრიათ. არა, იგი სსრკ-ს გამაგრება-განმტკიცების მიზნით დაიწყეს. მაგრამ სსრკ ისე იყო ეკონომიკურად შიგნიდან გამოხრული, რომ ვეღარაფერი გადაარჩენდა. მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს იგი ნაცარტუტად იქცა. ამ დღეს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები (ბალტიისპირეთის გარდა) მოუმზადებელი შეხვდნენ. მოულოდნელად მიიღეს იმისი უფლება, რაზეც ოცნებობდნენ, მაგრამ არ ემზადებოდნენ. ამ მოუმზადებლობამ გამოიწვია ის ქაოსი, რაც დღეს საქართველოშია (და სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებშიც). საქართველოს ახლა იმის გაკეთება უხდება, რისთვისაც ჩუმად, მალულად უკვე 1921 წლიდან უნდა მომზადებულიყო. მაგრამ ბოლშევიკურ-კომუნისტურმა რეჟიმმა ისეთი შიში დანერგა მთელ სსრკ-ში, რომ დამოუკიდებლობა-თავისუფლება ხალხს უტოპიად მიაჩნდა.

როცა მოუმზადებელ ერს მოულოდნელად მიეცემა საშუალება დამოუკიდებლობა-თავისუფლებისა, მას ძალიან მტკიცე ხელისუფლება სჭირდება. საქართველოში კი 1990 წლის 28 ოქტომბრიდან არსებითად ხელისუფლება არ არსებობს. მერე რა, რომ ორჯერ ჩავატარეთ არჩევნები? ვერცერთხელ ვერ შეიქმნა ხელისუფლება, რომელიც ერს გაუძღვებოდა წინ, დამოუკიდებლობის მძიმე გზაზე ატარებდა. ამ ვითარებაში რატომ გვიკვირს ის უბედურებანი, რაც საქართველოშია? როცა ფარას მგლები დააზარალებენ, ცხვრები კი არ არიან დამნაშავე, არამედ მწყემსები. მათ ევალებოდათ ფარის მოვლა-პატრონობა. თუ ქვეყანაში საქმე ცუდად არის, იქ ერთადერთი დამნაშავე არსებობს _ ხელისუფლება.

მე თუ მკითხავთ, ქართველსაც და უცხოელსაც უფრო ის თავშეკავებულობა, თავდაჭერილობა უნდა აოცებდეს და აკვირვებდეს, რასაც დღევანდელ ვითარებაში ქართველი ხალხი იჩენს. ვის სმენია, ვის უნახავს ის, რომ ხალხს ხელფასი ეძლეოდეს ისეთი ფულადი ერთეულით, რომლითაც არაფრის ყიდვა არ შეიძლება და ერი მაინც ითმენდეს ამას? რომელი ამერიკელი, რომელი ევროპელი, აზიელი თუ აფრიკელი მოითმენდა ამას? ქართველი ხალხი კი ითმენს. აი, რა არის გასაოცარი. აბა, ერთხელ ქლინტონმა ამერიკელებს, ხელფასის სახით, ქართული კუპონი მისცეს და მთელი მსოფლიო დაინახავს, რა ამბავიც დატრიალდება აშშ-ში. დიდად პატივცემული აშშ-ის პრეზიდენტი თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებს, ისე ჩამოაკონწიალებენ ამერიკელები თეთრი სახლის წინ პირველსავე ხეზე.

ხალხი სხვაა და ისინი, ვინც ამღვრეული წყლით სარგებლობენ, ძარცვავენ, ანგრევენ, კლავენ _ სრულიად სხვა. ეს ნაძირალური ნაწილი ყოველ ერში არსებობს. მისი ერთან გაიგივება არამც და არამც არ შეიძლება. ჭურჭელში ჩასხმული სუფთა, კამკამა ღვინო ხომ გინახავთ, მის ფსკერზე მთხლეა, მაგრამ იგი ღვინის სიწმინდეს ხელს ვერ უშლის. საკმარისია ეს ჭურჭელი გადააბრუნოთ, თავდაყირა დააყენოთ, რომ ღვინო აიმღვრევა და მთხლე ზედაპირზე ამოტივტივდება. მაგრამ როცა ჭურჭელს დადგამთ, მთხლე ისევ ფსკერზე დაეფინება. ღვინო ისევ კამკამა და სუფთა გახდება. ასევეა საზოგადოებაც.

როცა ის მოწესრიგებულია, სიმშვიდეა, ნაძირალური ნაწილი სოროშია შემძვრალი, გატრუნულია, მის არსებობას ვერც კი ამჩნევს ხალხი, მაგრამ საკმარისია საზოგადოებრივი სიმშვიდე დაირღვეს, მოხდეს ომი, აჯანყება, ამბოხება, რევოლუცია, რომ ნაძირალური ნაწილი ზედაპირზე ამოტივტივდება. შეიძლება ქვეყნის პატრონობაც კი მოისურვოს, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. ომიც მთავრდება, აჯანყებაც, ამბოხებაც, რევოლუციაც, საზოგადოებრივი ცხოვრებაც მშვიდდება, წესრიგდება. ნაძირალური ნაწილი ისევე სოროში მიძვრება, იმალება. ეს ისტორიული პროცესის კანონზომიერებაა. მართალია, ეს უცბად, ერთბაშად, მალე არ ხდება. ამას დრო სჭირდება. საქართველოშიც მოვა ეს დრო, ოღონდ სულწასულობამ არ უნდა გვძლიოს. როგორც უნდა ენატრებოდეს მშობლებს ბავშვის დაბადება, ცხრა თვეზე ადრე ეს არ მოხდება. ყველაფერს თავის დრო აქვს და იმიტომ. ეს დრო საქართველოშიც მოიტანს იმ სიმშვიდეს, სილამაზეს, შრომას, წესრიგს, რაც ასე გვენატრება დღეს. ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება თანდათან ჩამოყალიბდება და საქართველოც აწყობილ-ცივილიზებული ქვეყნების რიგს შეუერთდება. მაგრამ ეს პროცესი რომ მიზანსწრაფულად წარიმართოს, დრო ტყუილუბრალოდ არ დავკარგოთ, საქართველოს მტკიცე და ძლიერი ხელისუფლება სჭირდება.

რაც შეეხება ისტორიულ პარალელებს, ის რამდენიც გნებავთ, იმდენია.

საუკუნეების მანძილზე არსებობდა საქართველოში ადამიანით ვაჭრობა. ამას ქართული მატიანეც გვიამბობს და უცხოელი მისიონერებიც. შემზარავი ამბები აქვთ აღწერილი. ადამიანთა ვაჭრობას არც საერო ხელისუფლება თაკილობდა და არც სასულიერო. მღვდლები ეკლესიაში ამწყვდევდნენ მრევლს და მერე ყველას ერთად ჰყიდდნენ. მარტო არქანჯელო ლამბერტის წაკითხვაც კმარა იმის გასაგებად, რაც საქართველოში ხდებოდა. ერთი ოჯახის წევრებიც კი ჰყიდდნენ ერთმანეთს. და ეს, როგორც უკვე ვთქვი, საუკუნეები გრძელდებოდა.

მე-19 საუკუნეშიც იყო საქართველოში ადამიანით ვაჭრობა. აკაკი წერეთელს აქვს აღწერილი ეს პუბლიცისტურ წერილში და პიესებში (იხილეთ, მაგალითად, მისი პიესა «გაიძვერები»). დასავლეთ საქართველოში იპარავდნენ ბავშვებს და თბილისში სომეხი ვაჭრების ოჯახებში ჰყიდდნენ მოსამსახურეებად. ეს ბავშვები ჩაგვრას ვერ უძლებდნენ, ან იხოცებოდნენ, ან თბილისელი კახპებისა და ქურდბაცაცების რიგებს ავსებდნენ.

ეს «ტრადიცია» დღეს თავისებურად გრძელდება. მოჰარული ადამიანების ოჯახი, ახლობლები იძულებული არიან ავაზაკებს გადაუხადონ ის ფასი, ის ღირებულება, რასაც ისინი ითხოვენ. მაგრამ საქართველო გამონაკლისი არ არის. ადამიანის მოპარვისა და ამ გზით ფულის გამოძალვის ზნე-ჩვეულება ყველა ქვეყანაშია გავრცელებული, განსაკუთრებით მდიდარ და კეთილმოწყობილ სახელმწიფოებში.

არც ტერორიზმია უცხო ჩვენთვის, არც სხვა ქვეყნებისათვის. 900-იან წლებში დიდი ტერორისტული ხოცვა-ჟლეტა იყო ჩვენში გაჩაღებული. 20-იან წლებში გამოდიოდა ჟურნალი «რევოლუციის მატიანე». მასში იბეჭდებოდა ქართველი ტერორისტების მოგონებები. ისინი უბოდიშოდ იხსენებენ და იკვეხნიან, ვინ სად, როდის და როგორ მოკლეს.

გასული საუკუნის ბოლოსა და ამ საუკუნის პირველ მეოთხედში ბევრი გამორჩეული ქართველი მოკლეს _ ესტატე ბოსლეველი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ხიზანიშვილი, ილია ჭავჭავაძე, კათალიკოსი კირიონ მეორე, თედო რაზიკაშვილი, უგზოუკვლოდ დაიკარგა ივანე მაჩაბელი. მართალია, ბოროტმოქმედებაში ბრალი მაშინდელ ხელისუფლებას ედება, მაგრამ მკვლელები ხომ ქართველები იყვნენ! სამწუხაროდ, ჩვენ არც ერთი ეს ბოროტმოქმედება არ გამოგვიძიებია ბოლომდე, მკვლელები არ

დაგვიდგენია და ფაქტისთვის ზუსტი სახელი არ დაგვირქმევია. და ეს მოხდა სულ რაღაც 37 წლის მანძილზე (1885-1922 წწ.).

მაგრამ ტერორიზმიც ხომ მთელ მსოფლიოშია გავრცელებული! მარტო იტალიური «წითელი ბრიგადების» საქმიანობის გახსენება რამდენს ამბობს. აგერ არსებითად ყველა თანამედროვე ადამიანის თვალწინ არ მოკლეს აშშ-ში ჯონ კენედი, რობერტ კენედი, მარტინ ლუთერ კინგი? განა ლონდონში არ გამოასალმეს სიცოცხლეს ბულგარელი მწერალი-დისიდენტი გიორგი მარკოვი? ისლამურ ფუნდამენტალისტთა ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც მთელ მსოფლიოში მძვინვარებენ? ერთი სიტყვით, ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოს ავადმყოფობაა.

საქართველოს ისტორია სავსეა ხელისუფლებისათვის სისხლიანი ბრძოლის ფაქტებით. ზოგიერთს ჩამოვთვლი.

ბაგრატ მეფემ გაანადგურა კლარჯთა ხელმწიფენი სუმბატ და გურგენ.

დავით აღმაშენებელმა მოსპო ბაღვივაშთა გვარი.

გიორგი მესამეს აუჯანყდა ძმისწული დემნა ბატონიშვილი. გიორგი მეფემ დაამარცხა ამბოხებულნი და სასტიკად დასაჯა ისინი.

როცა თამარის წინააღმდეგ აღსდგა რუსი უფლისწული გიორგი–იური, მას ქართველ ფეოდალთა ერთი ნაწილიც მიემხრო. მეფემ ისინი დაუნდობლად გაანადგურა. ეს დიდსა და კეთილმოწყობილ საქართველოში ხდებოდა. მერე როცა ქართველთა სამეფო დაიშალა, სისხლიანი ბრძოლა ხელისუფლებისათვის ხომ აღარ შეწყვეტილა და აღარ. კონსტანტინე ბატონიშვილმა მამა და ძმა დახოცა. აბდულა-ბეგი თავგამეტებული ებრძოდა ერეკლე მეორეს. სოლომონ პირველმა რაჭის ერისთავთა საგვარეულო მოსპო. პაატა ბატონიშვილმა ერეკლე მეორეს შეთქმულება მოუწყო, რის გამოც მეფემ შეთქმულნი უმკაცრეს სასჯელს მისცა.

არ ღირს მაგალითების ჩამოთვლის გაგრძელება, თორემ არც დრო გვეყოფა და არც გაზეთის ფურცლები.

სხვა ქვეყნებშიც ასე იყო. რომელი ქვეყნის ტახტი არ არის მორწყული ხელისუფლებისათვის დაღვრილი სისხლით? ივანე მრისხანემ საკუთარი შვილი მოკლა. პეტრე პირველი თავად აწამებდა ალექსის, ღვიძლ შვილს. ჯალათებმა ალექსი მამის თვალწინ მოკლეს. განა ინგლისის ტახტს არ სცხია სკოტლენდის დედოფლის მერი სტიუარტის მოკვეთილი თავის სისხლი? ტანში შიშისა და სასოწარკვეთის ჟრუანტელი დაგივლის, როცა ესპანეთის დიდი დედოფლის იზაბელასა და მისი თანამეცხედრის, მეფე ფერდინანდის ასულის, ინფანტა ხუანას თავგადასავალს წაიკითხავ. იგი გაიმეტეს მშობლებმაც და შვილმაც, იმპერატორმა კარლოს მეხუთემ. ხუანა გიჟად გამოაცხადეს და მთელი ცხოვრება ბნელ ჯურღმულში გაატარა.

მეფეების ჩარლზ პირველის და ლუი მეთექვსმეტის მოჭრილი თავები? ნიკოლოზ მეორის ამოწყვეტილი ოჯახი?

ვინ აღწერს სისხლის იმ ღვართქაფს, რაც ბიზანტიის, ირანის, თურქეთის სამეფო კარზე იღვრებოდა.

ყველა დროში, ყველა ქვეყანაში ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაკავშირებულია უზომო სისხლთან და უბედურებასთან. საქართველოში სამოქალაქო ომის მხოლოდ ჩანასახი გამოჩნდა. XX საუკუნეში რუსეთში ოთხი წელიწადი მძვინვარებდა იგი. მუსრს ავლებდა ყველას განურჩევლად. 30-იან წლებში სამი წელიწადი ჟუჟავდნენ ერთმანეთს ესპანელები. უფრო ადრე არც გერმანიას, არც ინგლისს, არც იტალიას, არც საფრანგეთს, არც აშშ-ს ასცდენია სამოქალაქო ომი.

ასე, რომ ისტორიული პარალელები და მაგალითები უამრავია. საქართველო მსოფლიოს ნაწილია და აქაც იგივე ხდება, რაც დედამიწის დანარჩენ ნაწილში.

ქართველიც ადამიანია და არც მისთვის არის რაიმე ადამიანური უცხო _ არც კარგი და არც ცუდი.

გონივრულია თუ უგუნური ის ფაქტები, რაც ჩამოვთვალე? პოლიტიკაში ასე არ ისმის კითხვა. გონივრულისა თუ უგუნურის, ზნეობრივისა და უზნეოს, სამართლიანისა და უსამართლოს მიმართ პოლიტიკას სხვა დამოკიდებულება აქვს. პოლიტიკაში გონივრულია, ზნეობრივია, სამართლიანია ყველაფერი, რასაც გამარჯვება მოაქვს. უგუნურია, უზნეოა, უსამართლოა ყველაფერი, რასაც დამარცხება მოჰყვება.

პოლიტიკაში მოვლენისადმი დამოკიდებულების ეროვნული კუთხეც არსებობს. ქართველებისათვის თემურ ლენგი ბოროტების განსახიერებაა, შუააზიელებისათვის კი დიდი პოლიტიკოსი და მთავარსარდალია. ბისმარკი გერმანელებისათვის პოლიტიკური სიბრძნის სიმბოლოა, ფრანგებისათვის კი _ მილიტარისტული ბოროტმოქმედებისა.

რას იზამთ, ასეთია პოლიტიკის ბუნება და თვისება.

ერთადერთი, რაც ჩვენ მართლაც გამოგვარჩევს სხვებისაგან, ეს გახლავთ ის, რასაც სულხან-საბა ორბელიანი განჯგონებულობას უწოდებს. განჯგონებული იგია, ვისაც ბოროტი კეთილი ჰგონია. სხვა ხალხები ჩვენ მხოლოდ იმით გვჯობნიან, რომ ბოროტსა და კეთილს ერთმანეთში არ ურევენ. მტერს არ მიადგებიან და არ ემუდარებიან, ჩემი ძმა და მშველელი ხარო. თუ ჩვენ ბოროტისა და კეთილის ერთმანეთისაგან გარჩევას ვისწავლით, მაშინ შედარებით ადვილად შევძლებთ თავი დავაღწიოთ ჩვენში გამეფებულ ქაოსს.

გაზ. «ახალგაზრდა ივერიელი»,
11.V.1994

მე ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრე ვარ

ნატო გუბელაძე _ ბატონო აკაკი, თქვენი სახელი ჩემი თაობის ცნობიერებაში ძირითადად ეროვნულ მოძრაობას უკავშირდება. ამიტომ არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ მივაპყრო ერთ ფრიად მნიშვნელოვან მტკივნეულ საკითხს: დღეს ხშირად გაიგონებთ შანის მოგებით ნათქვამს _ ეროვნულმა მოძრაობამ დაგვღუპა, მიტინგობიამ და შიმშილობანამ დაგვაქცია და გაგვაღატაკაო. თქვენი აზრით, სად დავუშვით შეცდომა, რატომ მოხდა, რომ საქართველოსათვის ყველაზე ტრაგიკული და სისხლიანი აღმოჩნდა თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა.

აკაკი ბაქრაძე _ ქართველი კაცის კერძოდ და საერთოდ ხალხის ყველაზე ცუდი თვისება ის არის, რომ ექსტრემალურ ვითარებაში შიშით თავგზა ებნევა და არ იცის, რას აკეთებს.

ასე იყო ისტორიულად. სანიმუშოდ უახლოეს ფაქტებს დავასახელებ.

როცა ილია ჭავჭავაძე მოკლეს და მიხვდნენ რა ბოროტმოქმედებაც ჩაიდინეს, იმის მაგიერ, რომ ნამდვილი დამნაშავე ეძებნათ, დაედგინათ ვინ ჩაიდინა ეს, რა მიზნით და რატომ, ერთმანეთს მიესივნენ. ატყდა ერთი დაუნდობელი ლანძღვა-გინება, დანაშაულის ერთმანეთზე გადაბრალება, დატრიალდა მტრობა და შუღლი. მაშინდელ პრესას ვინც იცნობს, იგი დამეთანხმება, რომ შემზარავია იმ სულმდაბლობის კითხვა, რასაც მაშინ ავლენდნენ.

ასე მოხდა 1921 წლის შემდეგაც. იმის ნაცვლად, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დამარცხების ნამდვილი მიზეზები გაგვერკვია და დაგვედგინა, ისევ ერთმანეთს მივესიეთ. ისევ ლანძღვა-გინებით, თათხვით, ცილისწამებით და ლაფის სროლით ავიკლეთ ერთმანეთი. ისევ ერთმანეთზე გადაბრალების გზას დავადექით. ამ მასალებით სავსეა ემიგრაციული პრესაც და ადგილობრივი კომუნისტურიც.

ახლაც ასე დაგვემართა. გვეგონა, როგორც კი დამოუკიდებლობას გამოვაცხადებდით, მაშინვე გაშლილ სუფრასთან მიგვიწვევდნენ და, როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა, შეიქმნებოდა «ცივი ზუთხისა და ცხელი რომის ტვლიპინ-ტვლიპინი და კახური ღვინის ყლურწუნ-ყლურწუნი». ასე არ მოხდა. დამოუკიდებლობა მძიმე მოსაპოვებელი აღმოჩნდა და... შეშინებულნი _ ეს რა დაგვემართაო, _ ისევ ერთმანეთს მივესიეთ. ისევ ავტეხეთ თათხვა-გინება, ცილისწამება და ერთმანეთის ლაფში ამოსვრა.

სულხან-საბა ორბელიანის იგავი თუ გახსოვთ _ «სოფლის მაშენებელნი»? მამალი და ძაღლი რომ დაძმობილდნენ და სოფლის აშენება მოინდომეს. _ შენ იყეფე, მე ვიყივლებ და სოფელი აშენდებაო. რაც იმათ ააშენეს, ესეც კარგად ცნობილია. ასე მოვინდომეთ ჩვენც დამოუკიდებელი საქართველოს აშენება. როცა არაფერი გამოგვივიდა, დავიბენით, შევშინდით და თავგზაარეული ღობე-ყორეს ვაწყდებით. დამნაშავეს ვეძებთ. თან ვერ გვიპოვნია. პაწია-პაწია ჯგუფებად, პარტიებად დაქუცმაცებული საქართველო ერთიერთმანეთს აბრალებს ჩვენ თავს დატეხილ უბედურებას. 28 ოქტომბრის ხელისუფლების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ქვეყანა 11 ოქტომბრის ხელისუფლებამ დააქცია. 11 ოქტომბრის ხელისუფლების მომხრეები კი თვლიან, რომ სწორედ 28 ოქტომბრის ხელისუფლებამ დაღუპა საქართველო.

ქაოსია არა მარტო საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ცხოვრებაში, არამედ ჩვენი პოლიტიკოსების ცნობიერებაშიც. ისიც ხომ ნათელია, რომ ბოღმა, გესლი, სიძულვილი ადამიანს გონებას უბრმავებს, საღი აზროვნების უნარს ართმევს, უაზრო შუღლისა და მტრობის მსხვერპლად აქცევს. ბოღმითა და სიძულვილით გონდაბნელებული «პოლიტიკოსები» კი (ვგულისხმობ, როგორც 28 ოქტომბრის, ისე 11 ოქტომბრის ხელისუფლების მომხრეებს) ვერც დამოუკიდებელ საქართველოს ააშენებენ და ვერც ქვეყანასა და ხალხს იხსნიან იმ უსაშველო კრიზისისაგან, რომელშიაც აღმოვჩნდით. ხსნისათვის აუცილებელია საღი გონება, სუფთა გული და სპეტაკი სული.

მომავლისაკენ მიმავალი ნაბიჯი რომ არ შეგვეშალოს, ახლა მაინც უნდა ნათლად გავიაზროთ, რა ისტორიული პროცესი მიმდინარეობდა 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში.

სსრკ არ დაუნგრევია არც გორბაჩოვსა და მის კომპანიას და არც ეროვნულ მოძრაობას. სსრკ დამარცხდა დიდ ეკონომიკურ ომში. ამის შედეგად დაიშალა იგი. როცა მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, სსრკ-სა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის დაიწყო დიდი ეკონომიკური ომი. ევროპა-ამერიკის ღრმად მოაზროვნე პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ სსრკ-ის დამარცხება იარაღით და სისხლიანი ომით შეუძლებელი იყო. თუ ევროპა-ამერიკას ჰქონდა თერმობირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, სსრკ-ც ფლობდა მას. ამ იარაღით ბრძოლა მთელ კაცობრიობას განადგურებას უქადდა. სსრკ სხვა გზით, სხვა ხერხით უნდა დამარცხებულიყო. და დაიწყო ეკონომიკური ომი. არანაკლებ დაუნდობელი და მძიმე, მაგრამ ამ ომს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ადამიანები არ იხოცებოდნენ. თითქმის ნახევარი საუკუნე გაგრძელდა ეს ეკონომიკური ომი და 80-იანი წლების ბოლოს სსრკ სრული განადგურებით დამთავრდა. დამარცხდა და განადგურდა არა მარტო სსრკ, არამედ საერთოდ სოციალიზმ-კომუნიზმის იდეა.

მრავალრიცხოვანი კომუნისტური პარტიები მთელ მსოფლიოში ისე გაქრნენ, რომ ცამ უყო პირი თუ მიწამ ველარ გაიგებ.

არც აღმოსავლეთ ევროპა განთავისუფლებულა სსრკ-ის კეთილი ნებით და არც გერმანია გაერთიანებულა. ორივე მოვლენა იყო შედეგი სსრკ-ის სასტიკი დამარცხებისა ეკონომიკურ ომში.

ამდენად, რაც ზემოთ ითქვა, იქიდან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

პირველი _ გორბაჩოვმა და მისმა კომპანიამ სსრკ კი არ დაანგრია, არამედ მისი გადარჩენა მოინდომა რეფორმის გზით და არ გამოუვიდა. სსრკ იმდენად იყო უკვე ეკონომიკურად გამოფიტული, რომ მისი გადარჩენა არაფერს და არავის შეეძლო.

მეორე: ეროვნულმა მოძრაობამ კი არ დაანგრია სსრკ, არამედ, პირიქით, სწორედ სსრკ-ის დასუსტება-დანგრევამ მისცა საშუალება ეროვნულ მოძრაობას ამოქმედებისა და მოღვაწეობისაც.

ამ ორი დასკვნიდან კიდევ ერთი დასკვნა გამომდინარეობს: დღევანდელი ეკონომიკური სიდუხჭირე უშუალოდ შედეგია სსრკ-ის დამარცხებისა ეკონომიკურ ომში. ხანდაზმულებს შეუძლიათ მოიგონონ 60-იანი წლები, უპურობა, როცა «მოზელილ ტალახს» აჭმევდნენ ხალხს პურის ნაცვლად. უცხოეთს რომ მაშინ პური არ გამოეგზავნა, სსრკ-ის მოსახლეობა შეიძლება ამოწყვეტილიყო. იმჟამად საქართველოში ხორცის დამზადების გეგმა რომ შეესრულებინათ, ერთიანად გაჟუჟეს, რაც ჩვენში ცხენი იყო.

ანდა, 70-იანი წლების სასურსათო კრიზისი? სსრკ ცკ-ის პლენუმიც კი მოიწვიეს სასურსათო კრიზისის მოსაგვარებლად. უამრავი სიტყვა დაიხარჯა, უამრავი დადგენილება დაიწერა, უამრავი გადაწყვეტილება მიიღეს, მაინც არაფერი ეშველა საქმეს.

თუ ყმაწვილებს არა, ხანდაზმულებს ხომ ახსოვთ ეს. ხსოვნა რად გვინდა. გავეცნოთ იმდროინდელ სახელმწიფო და პარტიულ დოკუმენტებს და ეკონომიკური მდგომარეობის მთელ სურათს დავინახავთ. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი პრესა ცრუპენტელა იყო, იქაც კი ბევრ მასალას იპოვნით ჩემი ნათქვამის დამადასტურებელს.

ამ სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირის ბუნებრივი განვითარების შედეგად მივედით დღევანდელ მდგომარეობამდე. ეროვნული მოძრაობა აქ არაფერ შუაშია. მას თავისი შეცდომები ეყოფა. ისინი, ვინც გაიძახის _ ეროვნულმა მოძრაობამ დაგვღუპაო, _ ან შეგნებული დემაგოგია ან უვიცი და მიამიტი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლიანგს (მასას) მიზეზშედეგობრივი აზროვნება არ შეუძლია. იგი მხოლოდ შიშველი ფაქტის მიხედვით მსჯელობს. ფაქტი კი ის არის, რომ დღეს მაღაზიები ცარიელია. რატომ და რის შედეგად მოხდა ეს, ამას ლიანგი არ დაეძებს. სწორედ აქ იმალება ეროვნული მოძრაობის მწარე შეცდომა. იგი (ეროვნული მოძრაობა) კარგად უნდა მომზადებულიყო ეკონომიკური სიდუხჭირის დასახვედრად. არა მარტო თეორიულად შემუშავებული ზუსტი ეკონომიკური გეგმა უნდა ჰქონოდა, არამედ პრაქტიკული ღონისძიებების გატარებაც უნდა შესძლებოდა. ხალხისათვის კი გულწრფელად უნდა აეხსნა _ რა ეკონომიკური გასაჭირი ელოდა. ეროვნულმა მოძრაობამ ეს ვერ გააკეთა.

იქნებ ეროვნული მოძრაობა თავად არ ელოდა ამგვარ ეკონომიკურ ვითარებას? წინასწარ ვერ მიხვდა, როგორ, რა გზით წავიდოდა საქართველოს ცხოვრება? ამგვარი ფიქრი არ იქნებოდა მართალი, რადგან სულ მცირე სამი მიზეზის გამო ეროვნულ მოძრაობას ზუსტად უნდა სცოდნოდა, რა ეკონომიკური ვითარება შეიქმნებოდა.

უნდა სცოდნოდა

ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როცა ერთი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური სისტემა ინგრევა (და სსრკ-ში ეს სისტემა პირწმინდად დაინგრა) და მეორე, ახალი ჯერ

კიდევ შექმნილი არ არის, მას ყოველთვის თან ახლავს ეკონომიკური სიდუხჭირე, დიდი გასაჭირი. ასე იყო ყველა ქვეყანაში, ყველა ეპოქაში და, ბუნებრივია, საქართველოშიც ასე მოხდებოდა.

მეორეც იმიტომ, რომ ყველასათვის კარგად იყო ცნობილი რეალური ვითარება: ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ერთმანეთზე მიბმული იყო ეკონომიკური ჯაჭვებით. ეს კომუნისტურ-ბოლშევიკებმა განგებ გააკეთეს. სწორედ იმიტომ, რომ კოლონიები, ანუ მოკავშირე რესპუბლიკები, რუსეთს ვერასოდეს გაქცეოდნენ. თუ მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებლობას მოინდომებდნენ, მაშინვე რუსეთი მათ გადაუჭრიდა ეკონომიკურ ძარღვებს და მოახრჩობდა. ასეც მოიქცა. საქართველოს (სხვებსაც) გადაუჭრა ეკონომიკური ძარღვები და ყელში დასახრჩობად წაუჭირა ხელი. რაკი ვიცოდით, რომ ეს უთუოდ მოხდებოდა, ამ დარტყმას მზად უნდა დავხვედროდით. ვერ დავხვდით.

მესამეც იმიტომ, რომ, როცა ეკონომიკური სიდუხჭირის დრო დგება, საასპარეზოდ გამოდის მანამდე მიმალური, სოროში შემძვრალი ნაძირალური ნაწილი საზოგადოებისა. იგი იწყებს ქვეყნისა და ხალხის დაუნდობელ ძარცვას. საქართველოშიც ასე მოხდა. ეს ნაძირალური ნაწილი ქვეყანას მოეფინა და ძარცვავს და გლეჯს, წვავს და ანგრევს, აუპატიურებს და კლავს, უასაკოსა და ასაკიანს იპარავს და ჭირისუფალს ფულს ძალავს. საუბედუროდ, ეროვნულმა მოძრაობამ ვერაფერი იღონა იმისათვის, რომ ამ ნაძირალებისათვის გზა გადაეღობა. თუ სრულად ვერ აღკვეთავდა მათ მოქმედებას, ნაწილობრივ მაინც შეეშალა ხელი.

ასე, რომ მოულოდნელი და უცნობი არაფერი ყოფილა. იწერებოდა კიდეც მაშინ ამ ეკონომიკური საფრთხის შესახებ, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას. გაიძახოდნენ _ ჯერ ძალაუფლება ჩავიგდოთ ხელში და ეკონომიკას მერე მოვუვლითო. რა თქმა უნდა, ეს შეცდომა იყო და საბედისწეროც. ყველა ძალაუფლება მაშინ არის ღონიერი, როცა აწყობილ ეკონომიკას ეფუძნება. თუ ეკონომიკა მოშლილია, ვერცერთი ხელისუფლება დიდხანს ვერ იბოგინებს.

მეორე საბედისწერო შეცდომა გახლდათ ის, რომ ეროვნული მოძრაობის ერთიანობა დაიშალა ნაწილ-ნაწილ და ერთმანეთს წაეკიდნენ. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა ომია და ომში არ შეიძლება ერთი სარდალი ალთას გარბოდეს და მეორე _ ბალთას. ასეთი სარდლების ხელში არმია განწირულია დამარცხებისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ნაწილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ერთმაენთს და დამარცხებამაც არ დააყოვნა.

1990 წლის მაისში, მოსკოვში, ქართველთა სათვისტომომ დაპატიჟა და შეხვედრა მოუწყო ბალტიისპირელ დეპუტატებს. მეც ვესწრებოდი ამ შეხვედრას. ნაირნაირ საკითხებზე იყო მსჯელობა. ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ ბალტიისპირელებს კითხვა დაუსვა _ თქვენ, ბალტიისპირელები, იბრძვით დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ჩვენც, ქართველებიც ვიბრძვით ამისათვის. ხომ არ იქნებოდა უკეთესი, რომ ერთმანეთთან კავშირი შეგვეკრა, პირი მიგვეცა და ერთიანი ძალით გვემოქმედა სსრკ-ისა და კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ? ამაზე ერთ-ერთმა ბალტიისპირელმა დეპუტატმა უპასუხა _ არ მიმაჩნია ეს კავშირი მიზანშეწონილად. ჩვენ ჩვენ საქმეს გავაკეთებთ. თქვენ თქვენი საქმე გააკეთეთო. მერე გაიცინა და დაამატა: იცით, რატომ არ მიმაჩნია ჩვენი კავშირი მიზანშეწონილად? ჩვენი ხასიათების სხვაობის გამო. ჩვენ ჯერ ვფიქრობთ, რა გავაკეთოთ და როგორ და მერე ვაკეთებთ. თქვენ ჯერ აკეთებთ და მერე ფიქრობთ, რა გააკეთეთ.

კარგად დაუფიქრდით ამ მწარე სიტყვებს _ ჯერ აკეთებთ და მერე ფიქრობთ, რა გააკეთეთ. აი, რატომ აღმოჩნდა საქართველოსათვის ყველაზე ტრაგიკული და სისხლიანი თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა.

გახსოვთ, რამდენი ყვირილი იყო საქართველოში ბალტიისპირეთის გზით არ უნდა ვიაროთ, ეს გზა დამღუპველია და ა.შ. ახლა ბალტიისპირეთი თავისუფალია, დამოუკიდებელია. საქართველომ კი ისევ დაიდგა რუსეთის უღელი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაშიაც (СНГ) ამოყო თავი. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაც თავიდან არის დასაწყები.

ნ.გ. _ ბატონო აკაკი, თქვენ წიგნში «რწმენა» წერთ, რომ «კონფლიქტი _ ქართველი და აფხაზი, ქართველი და ოსი, ქართველი და გადასახლებული თურქი _ მანამ იარსებებს, სანამ ქართული ეროვნული მოძრაობა არ გაიმარჯვებს ან არ დამარცხდება. თუ ქართული ეროვნული მოძრაობა გაიმარჯვებს, იგი თავად მოაგვარებს ამ კონფლიქტს»? _ საბოლოოდ დავმარცხდით? თუ ხედავთ რეალურ პერსპექტივას დაკარგული მიწების დაბრუნებისას?

ა.ბ. _ თუ დღევანდელი ხელისუფლება დარჩა საქართველოს სათავეში, მაშინ აფხაზეთსა და ცხინვალის ოლქს ვერასოდეს დავიბრუნებთ. დღევანდელმა ხელისუფლებამ აფხაზეთიცა და ცხინვალის ოლქიც საბოლოოდ მისცა რუსეთს.

თუ ახალი არჩევნების დროს (მომავლ წელს) მოვახერხეთ ახალი ხელისუფლების არჩევა და დღევანდელის გაძევება, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აფხაზეთსაც დავიბრუნებთ და ცხინვალის ოლქსაც. მართალია, ძნელად, მაგრამ მაინც დავიბრუნებთ.

ამიტომ მომავალ არჩევნებს ქართველი ხალხი ძალიან სერიოზულად უნდა მოეკიდოს.

ნ.გ. _ როგორ დაახასიათებდით საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას?

თვლით თუ არა დღევანდელ მთავრობას რეფორმისტულად? ელოდით თუ არა მისგან სხვა შედეგებს?

როგორ აფასებთ დღევანდელ პარლამენტს? საერთოდ, როგორი პოლიტიკური ინსტიტუტის არსებობა მიგაჩნიათ იდეალურად საქართველოსათვის (საპარლამენტო, საპრეზიდენტო, თუ მონარქისტული)?

მიიღებთ თუ არა მონაწილეობას მომავალ არჩევნებში? (თქვენზე ამბობენ, საპრეზიდენტოდ ემზადებაო?..)

ა.ბ. _ დღევანდელ ხელისუფლებას (მთავრობა იქნება იგი თუ პარლამენტი, სულერთია) არაფერი აქვს რეფორმისტული. ეს არის ჩვეულებრივი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი, ვირეშმაკა კომუნისტური ადმინისტრაცია.

დღევანდელი მთავრობა არავითარ რეფორმას არ ჩაატარებს. არც არავინ უნდა იყოს ისეთი გულუბრყვილო, რომ მისგან რეფორმებს მოელოდეს.

საერთოდ, იდეალური პოლიტიკური წესწყობილება არ არსებობს. არც არასოდეს იარსებებს. ყველა წესწყობილებას უამრავი ნაკლი აქვს. უბრალოდ უნდა გამოიძებნოს ამა თუ იმ ერისათვის მეტნაკლებად შესაფერისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. იმ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის, რა დღეშიც ახლა საქართველოა, აუცილებელია ძლიერი ხელისუფლება. ძლიერიც და სუსტიც მონარქისტულიც შეიძლება იყოს, საპრეზიდენტო რესპუბლიკაც და პარლამენტური რესპუბლიკაც. ჩვენთვის უმთავრესი გადასაწყვეტი პრობლემა ძლიერებაა. როგორ შევქმნათ ძლიერი ხელისუფლება? აი, საკითხის თავი და თავი. თუ ძლიერი ხელისუფლება ვერ შევქმენით, მაშინ ის უბედურება, რაც საქართველოში ტრიალებს, არასოდეს დამთავრდება. ამიტომ მომავალ

არჩევნებში ის პირები უნდა ავირჩიოთ, რომელნიც იქნებიან ნიჭიერი, ჭკვიანი, პატიოსანი, ენერგიული, საქმიანი და ძლიერი. ასეთი ადამიანები კი ძალიან ცოტაა. ამის გამო საქართველოს პარლამენტში სრულებით არ არის საჭირო 200 და 300 დეპუტატი. სრულიად საკმარისი იქნება დიდი-დიდი ასი დეპუტატი. რამდენად ცოტაა დეპუტატი, იმდენად ნაკლებია ლაყბობა. იმდენად მეტი საქმის გაკეთება იქნება შესაძლებელი. ღმერთმა ნუ ქნას ისეთი შეცდომა მოგვივიდეს, როგორიც 28 ოქტომბერსა და 11 ოქტომბერს მოგვივიდა, როცა პარლამენტი ძირითადად გაავსეს ყოვლად უმაქნისმა ადამიანებმა (რა თქმა უნდა, ცალკეულ გამონაკლისს არ ვგულისხმობ).

პირადად მე ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრე ვარ.

რაც შეეხება თქვენი კითხვის ბოლო ნაწილს, ერთი ძველი ამბავი უნდა გავიხსენო.

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე, გვარად მაჩაბელი, დააპატიმრეს. ექვსი წელიწადი იჯდა სატუსაღოში. სასჯელი მოიხადა და შინ დაბრუნდა. ცხინვალში, ლიახვის ხიდზე, იქაური ებრაელი შეხვდა და გახარებულმა მიაძახა _ მადლობა ღმერთს, შინ მშვიდობიანად დაბრუნებულს გხედავ! იმ ძაღლთაპირმა რუსებმა ამდენ ხანს ციხეში რატომ გაყურყუტესო. ჰაიტ, _ შეუძახა გაბრაზებულმა მაჩაბელმა, _ ექვსი წელიწადი რუსის ჯალათებმა ვერ მათქმევინეს საიდუმლო და შენ გინდა ლიახვის ხიდზე, ერთ წუთში, გამომტყუოო.

ნ.გ. _ თქვენი აზრით, რატომ აღმოჩნდა ქართული კუპონი დღევანდელ მდგომარეობაში და შესაძლოა თუ არა მისი გადარჩენა?

ა.ბ. _ ქართული კუპონი მსხვერპლია იმ ეკონომიკური შეტევის, რომელსაც რუსეთი მიმართავს საქართველოს წინააღმდეგ. ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რატომ მიაჯაჭვეს ერთმანეთს ეკონომიკურად ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკები. როცა დაწყდა ეს ეკონომიკური ჯაჭვები, მოიშალა საქართველოს (სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისაც) ეკონომიკა. ეკონომიკის მოშლა ბუნებრივად იწვევს ფულის დაცემა-გაუფასურებას. ამას მიემატა ქართული კლეპტოკრატიის ბნელი საქმიანობაც (ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, სპეკულაცია, მფლანგველობა და ა.შ.). ორი ფრონტიდან შეტევას ქართული საცოდავი კუპონი კი არა და დოლარიც ვერ გაუძლებდა.

ეკონომიკურ-ფინანსურად ახლა საქართველო მოჯადოებულ წრეშია. მეურნეობები (მრეწველობა იქნება თუ სასოფლო) ვერ მუშაობს იმის გამო, რომ კუპონი უვარგისია, ანუ მეურნეობას არა აქვს ფინანსური საყრდენი. კუპონი სრულიად გაუფასურებულია იმის გამო, რომ მოიშალა მრეწველობა-სოფლის მეურნეობა. როგორ შეიძლება ამ მოჯადოებული წრიდან თავის დაღწევა? მე პირადად სხვა ხსნას ვერ ვხედავ, გარდა დიდი ფინანსური სესხისა, მაგალითად ისეთის, როგორიც აშშ-მა მისცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპას, მარშალის გეგმის შესაბამისად. მისცემს ვინმე საქართველოს ამგვარ სესხს? საქართველოსადმი დღევანდელი საერთაშორისო დამოკიდებულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ნაკლებ მოსალოდნელია. მაგრამ საერთაშორისო ვითარება წამდაუწუმ იცვლება და იქნება საქართველოსაც გაუღიმოს ბედმა.

ნ.გ. _ დღეს რომ საქართველოში ძლიერი მაფიაა, ამას უკვე ხმამაღლა ამბობენ, მაგრამ დღევანდელი მთავრობის უმოქმედობა, მათ ალიანსზე ხომ არ მიგვანიშნებს, თუ...

ა.ბ. _ ჯერ ტერმინებზე შევთანხმდეთ. იმას, რასაც თქვენ მაფიას უწოდებთ, მე კლეპტოკრატიას (ქურდების მმართველობას) ვეძახი, იმიტომ, რომ მაფია სხვა მოვლენაა და კლეპტოკრატია სხვა. კლეპტოკრატია სოციალიზმის ღვიძლი შვილია. ეს არის მუქთახორათა საზოგადოებრივი ფენა, რომელიც არაფერს აკეთებს, მაგრამ ყველაფერს კი ითვისებს. კლეპტოკრატია სახელმწიფო მმართველობის შემადგენელი ნაწილია. ასე იყო კომუნისტური რეჟიმის დროს, ასეა დღესაც.

უცხოეთში მაფიის წარმომადგენელი შეიძლება ჩუმად შეძვრეს სახელმწიფოს მმართველობაში, მაგრამ ეს იშვიათი მოვლენაა, რადგან ხელისუფლება ამას ებრძვის. კომუნისტური რეჟიმის დროსაც და დღესაც კლეპტოკრატიას ხელისუფლებაში კარი გახსნილი აქვს.

მაფიის წარმომადგენლები უმდიდრესი ადამიანები არიან, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკის მოშლა კი არ უნდათ, არამედ ამ ეკონომიკის თავის სასარგებლოდ მართვა. კლეპტოკრატია კი ქვეყნის ეკონომიკას შლის იმისათვის, რომ გაღატაკებულ ქვეყანაში იპარპაშოს.

როცა დასჭირდება, მაფია იყენებს ქურდებს, ავაზაკებს, მკვლელებს, მაგრამ მათ თავის წრეში არ აჭაჭანებს, კლეპტოკრატი კი სწორედ ქურდებთან, ავაზაკებთან, მკვლელებთან და ამგვარ დამნაშავეებთან ერთად არსებობს ყელიყელ გადაჭდობილი.

მაფიის წევრები ისეთივე მდიდარ ადამიანებს ძარცვავენ როგორიც თავად არიან. ღარიბებს, ღატაკებს, უქონელთ ნაკლებად ერჩიან. კლეპტოკრატია კი სწორედ ღარიბს, ღატაკს, უქონელს ყვლეფს.

მაფიას ღიად, ლეგალურად არ შეუძლია ქვეყნის მართვა. იგი ცდილობს ქვეყნის მმართველობაზე ფარულად, ჩუმად მოახდინოს გავლენა. კლეპტოკრატიას კი ღიად, აშკარად უჭირავს მმართველობის საჭე და კანონის არ ეშინია (მაფია კი ძალიან უფრთხის კანონს).

კლეპტოკრატია ბევრად უფრო შემზარავი მოვლენაა, ვიდრე მაფია.

მგონი, გასაგები უნდა იყოს, რატომ არის დღევანდელი მთავრობა უმოქმედო.

ნ.გ. _ თუ დავაკვირდებით დღეს საქართველოში რეფორმების წინააღმდეგია ძალიან გაჭირვებული, მშიერი ხალხი და მაფია (მაგ., ფასების გათავისუფლების). ისინი «ერთ ენაზე ლაპარაკობენ». რატომ ხდება ასე?

ა.ბ. _ არა, არა! ისინი ერთ ენაზე არ ლაპარაკობენ. კლეპტოკრატია იმიტომ ებრძვის რეფორმებს, რომ ქვეყანაში ვითარების შეცვლა არ უნდა. ახალი ვითარება მათი მოქმედების ასპარეზსა და საშუალებას შეზღუდავს. თავისუფალი პარპაშის უფლებას წაართმევს. გამორიცხული არ არის (თუ ხელისუფლება ძლიერი იქნება) საერთოდ მოსპოს კლეპტოკრატია.

გაჭირვებულ, მშიერ ხალხს კი ეშინია რეფორმების, საერთოდ ყოველგვარი ცვლილებებისა. უარესი არ მოხდესო, _ გული უსკდება. ხალხს კონკრეტული მაგალითი სჭირდება ვითარების გაუმჯობესებისა. რაკი ამას ვერ ხედავს, უფრთხის რეფორმებს. როგორც კი ხალხი დაინახავს მდგომარეობის რეალურ გაუმჯობესებას (თუნდაც იოტის ოდენს), მაშინვე დაუჭერს მხარს რეფორმებს. მაგრამ რეფორმებს ნამდვილსა და არა ცრუს.

ნ.გ. _ იყო დრო, როცა საქართველოში ბევრს ლაპარაკობდნენ ქართული ენის დაცვის საკითხებზე. მერე ეს მოძრაობა მინელდა. ამჟამად ქუთაისში განათლების რეფორმამ გააუქმა ორენოვანი სკოლები, რაც აღნიშნული სკოლების მესვეურებმა ტრაგედიად აღიქვეს და ლამისაა შოვინიზმი დაგვწამონ. როგორია თქვენი დამოკიდებულება ორენოვანი სკოლებისადმი?

ა.ბ. _ თუ საქართველო ნამდვილად დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნება, არავითარი ორენოვანი, სამენოვანი სასწავლებლები არ უნდა არსებობდეს. საქართველოს მოქალაქე, სულერთია ქართველი იქნება იგი თუ არაქართველი, განათლებას ქართულად უნდა იღებდეს. ასეა ყველა ქვეყანაში და საქართველოშიც ასე უნდა იყოს.

ის სხვაა, რომ ქართულ სკოლაში უცხო ენები _ ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, რუსული, თურქული, სპარსული, არაბული, სომხური, აზერბაიჯანული,

ბერძნული და სხვანი _ კარგად უნდა ისწავლებოდეს. მომავალში ეს დასჭირდებათ დიპლომატებს, უცხოეთში ქართველ კორესპონდენტებს, ვაჭრობის მუშაკებს და ა.შ. აუცილებელია ქართულ სკოლადამთავრებულმა ერთ-ერთი უცხო ენა ზედმიწევნით კარგად იცოდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ენაზე შეეძლოს არა მარტო კითხვა, არამედ თავისუფალი მეტყველებაც და წერაც. ეს ამოცანა ქართულმა სკოლამ აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს.

საერთოდ სკოლა კი საქართველოში ქართული უნდა იყოს. არაქართული სკოლით, ორენოვანი იქნება იგი თუ ბევრენოვანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვერ აშენდება.

გაზ. «ახალი ქუთაისი»
14.XI.1994

ქართული საქმე

(სამი შეკითხვა ბატონ აკაკი ბაქრაძეს)

1. საქართველო და ქართველობა. ჩვენი დღევანდელი დღე. მიზეზები რამაც ამ გასაჭირში ჩაგვაგდო. შეგვეძლო კი აგვეცილებინა თავიდან ყოველივე? რას გვიქადის დღევანდელი დღე. რას, რა ორიენტაციას უნდა მივაპყროთ მზერა, რომ ქართული ხომალდი გამოვიყვანოთ ამ მარჩხობებიდან?

2. ტრადიცია და თანამედროვეობა. რას ვკარგავთ ისტორიულ-კულტურული მონაპოვრებიდან, რა გვრჩება და რას ვითვისებთ ახალს? ხომ არ ვრჩებით კულტურული მსოფლიოს პროვინციად და თუ ვრჩებით, რა უნდა ვიღონოთ აქედან გასასვლელად? «მონანიების» გმირის სიტყვები იმის თაობაზე, რომ ის თავის მხატვრობით ვერ გაანათლებს ერს, რომელმაც რუსთაველი ზეპირად იცოდა, ცოტა ირონიულ ელფერს ხომ არ იძენს თანამედროვე პირობებში, როცა ქართული თეატრი და კინო, მწერლობა, მიუხედავად მისი მაღალი დონისა, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს სძენს ერს და იმ მიზეზით კი სულაც არა, რომ «ვეფხისტყაოსანი» იცის ზეპირად.

3. უკანასკნელი წლების პოლიტიკურმა, სოციალურმა და სხვა სახის რყევებმა, ომმა, რომელშიც ჩვენ დამარცხება ვიწვნიეთ, სხვა მრავალმა მიზეზმა ხელი შეუწყო ნიჰილიზმის გაღვივებას ქართველების შესაძლებლობებისა და უნარის მიმართ. იგი ქართველი ერის გარკვეულ ნაწილში არის ფეხმოკიდებული. ვინ ან რა ძალამ უნდა იტვირთოს ამ სენისაგან ერის გათავისუფლება, რა მეცადინეობით შეიძლება ამის გაკეთება?

აკაკი ბაქრაძე :

1. ქართული ეროვნული მოძრაობა ისე დაიწყო და განვითარდა, რომ გარდაუვალი გახდა ის მდგომარეობა, რომელშიაც დღეს საქართველოა. დღევანდელი ვითარება რომ თავიდან აგვეცილებინა, აუცილებელი იყო სხვა გზით გვევლო, მაგრამ, საუბედუროდ, ის მიმართულება ავირჩიეთ, რომელიც უთუო დამარცხებამდე მიგვიყვანდა. დამარცხება რამდენიმე ძირითადმა მიზეზმა განაპირობა.

პირველი: ქართველი ხალხი არ იყო მომზადებული დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ორი საუკუნეა, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა (1801 წლიდან ვითვლით). არ არის ეს მართალი. საქართველოს დამოუკიდებლობის ნგრევა მონღოლთა შემოსევის შემდეგ დაიწყო. მართალია, გიორგი ბრწყინვალემ

საქართველო ფეხზე წამოაყენა, მაგრამ, ამ მეფის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენს ქვეყანას ახალი უბედურება დაატყდა თავს _ თემურლენგის შემოსევები. თემურლენგმა საბოლოოდ გატეხა წელში ქართული სამეფო და მერე ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა მისი ნამდვილი შინაარსით აღარ ღირსებია. ჩვენი მეფეები ბევრს ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ვაი, რომ უშედეგოდ. 1555 წელს კი თურქეთმა და ირანმა საქართველო შუაზე გაიყვეს: აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, დასავლეთ საქართველო კი _ თურქეთს. ამ დღიდან საქართველო აღარ არის დამოუკიდებელი აღარც ფაქტობრივად და აღარც იურიდიულად. დასავლეთ საქართველოს მეფეები არიან თურქეთის ვასალები, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები კი _ ირანისა. ქართველ მეფეებს, სულერთია იმიერ საქართველოსი იქნებოდა თუ ამიერ საქართველოსი, თურქეთის სულთანები და ირანის შაჰები ისევე ნიშნავდნენ, როგორც მოსკოვი ნიშნავს საქართველოს კპ ცკ-ის მდივანს.

საქართველოს ირან-თურქეთისაგან განთავისუფლებისათ ან შეზღუდეს ირან-თურქეთის ბატონობა, მაგრამ სრული განთავისუფლება მაინც ვერ მოახერხეს. ისინი ისევ დარჩნენ ვასალებად: ერეკლე მეორე _ ირანისა და სოლომონ პირველი _ თურქეთისა. მართალია, ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ ყველაფერი ეს იცის, მაგრამ რატომღაც ამ სამართლებრივ ვითარებას ხაზს არ უსვამს. საქმეს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს სოლომონ პირველი ან ერეკლე მეორე სრულიად დამოუკიდებელი მეფეები იყვნენ. საქართველოს წარსულსაც და თანამედროვეობასაც სრული სიმართლე სჭირდება და არა შელამაზებული ტყუილი. მაშინ აღარ ვიტყვით, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა 1801 წელს დაკარგა. 1801 წელს მოხდა არა დამოუკიდებლობის დაკარგვა, არამედ საქართველოს სახელმწიფოს საერთოდ გაუქმება. მისი გადაქცევა რუსეთის უბრალო ნაწილად. საქართველო რუსეთის ისეთივე ნაწილი გახდა, როგორიც იყო, ვთქვათ, კალუგის გუბერნია. ასეთი რამ არ გაუკეთებიათ არც მონღოლებს, არც სპარსელებს და არც თურქებს. ისინი იმითაც კმაყოფილნი იყვნენ, რომ საქართველო მათი ვასალი იყო. რუსეთმა კი საერთოდ მოსპო საქართველო როგორც სამეფო, როგორც სახელმწიფო. გაანადგურა ქართული სამეფო დინასტია. საქართველოს ეკლესიიდან განდევნა ქართული ენა და რუსული დაამკვიდრა.

რაკი საქართველო 1555 წლიდან, აღარც იურიდიულად და აღარც ფაქტობრივად, დამოუკიდებელი აღარ ყოფილა, ქართველი მეფეების წინ ალტერნატივა სხვაგვარად იდგა: საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა, მაგრამ იგი ვასალია ისლამური ირან-თურქეთისა. ამ ვასალობისაგან თავის დაღწევა საქართველომ ვერ მოახერხა. ამ ვითარებაში რა სჯობს _ იყოს ქრისტიანული საქართველო ისლამური ირან-თურქეთის ვასალი თუ ქრისტიანული რუსეთისა? ქართველმა მეფეებმა, მათ შორის ერეკლე მეორემ, ამჯობინეს ქრისტიანული რუსეთის ვასალობა. არჩევანი სარწმუნოებრივი ერთიანობის სასარგებლოდ გაკეთდა, მაგრამ მოტყუვდნენ. ქრისტიანული რუსეთი ბევრად უფრო სასტიკი დამპყრობელი აღმოჩნდა, ვიდრე ისლამური ირან-თურქეთი. ამიტომ არ არის საჭირო რელიგიის პოლიტიკაში გარევა.

დღევანდელმა რუსეთუმე პოლიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ ის სიფლიდე, რასაც რუსეთის ხელისუფლება მიმართავს პოლიტიკაში.

ეს გრძელი ისტორია იმიტომ მოგახსენეთ, რომ ქართველი ხალხი საუკუნეებია, რაც დამოუკიდებელი და თავისუფალი არ ყოფილა. ბუნებრივია, რომ მან არ იცის, რა არის თავისუფლება-დამოუკიდებლობა. ამიტომ იყო აუცილებელი დიდი იდეოლოგიური მუშაობა, ქართველ ხალხში დამოუკიდებლობა-თავისუფლების იდეის აღზრდა-ჩამოყალიბება, იმ სირთულეთა და სიძნელეთა ჩვენება, რაც დამოუკიდებლობის გზაზე

ერს წინ დახვდებოდა. ეს არ გაკეთდა, რის გამოც ქართველი ხალხი მოუმზადებელი შეხვდა სსრკ-ის დაშლას.

მეორე: ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ სათანადოდ და მთელი სიღრმით არ გაითვალისწინა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის არსი. არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ რუსეთი ადვილად არ შეეგუებოდა მისი დიდი სახელმწიფოს, ანუ იმპერიის დაშლას. ყველა ხრიკს, ყველა ფანდს მიმართავდა იქითკენ, რომ აღედგინა ის, რაც დაირღვა. ასეც იქცევა. ეძებს გზებს იმის დასაბრუნებლად, რაც დაკარგა. კერძოდ, საქართველოში ამ მიზნით იყენებს ეკონომიკურ მოშლილობას, დამნაშავეობას, დივერსიებს. საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აჯანყებს ავტონომიებს (აფხაზებისა და ოსების ამბოხება). ამარაგებს მათ ფულით, სურსათ-სანოვაგით, იარაღით, გამოცდილი ჯარისკაცებითა და ოფიცრებით. ამას მომზადებული ვერ შეხვდა ეროვნული მოძრაობა. მას არ აღმოაჩნდა არცერთი ფარი, რომელსაც რუსეთის დარტყმებს დაახვედრებდა.

მესამე: ყველა მოკავშირე რესპუბლიკა და, ცხადია, საქართველოც, სსრკ-ში ერთმანეთზე ეკონომიკური ჯაჭვით იყო გადაბმული, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სსრკ-ში არსებობდა ერთიანი სახელმწიფოს ერთიანი ეკონომიკური სისტემა. ბუნებრივია, რომ, როცა სსრკ დაიშლებოდა, დაირღვეოდა ეს სისტემაც, რასაც თავისთავად მოყვებოდა ეკონომიკური სიდუხჭირე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ასეც მოხდა. ეროვნულ მოძრაობასაც, საქართველოს მთელ მოსახლეობასაც ეს უნდა გაეთვალისწინებინა და მას სათანადოდ მომზადებული უნდა შეხვედროდა. ამის მაგიერ დღეს გაოცებული ვკითხულობთ: ეს რა დაგვემართა? ეს რა მოგვივიდა? რა დღეში ჩავცვივდით? არაფერი მოულოდნელი და განსაკუთრებული არ მომხდარა. მოხდა ის, რაც ყოველთვის, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში ხდება, როცა იშლება ერთი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სისტემა. ახალი კი ჯერ შექმნილი არ არის.

ეროვნული მოძრაობის შეცდომა ის არის, რომ ხალხი ამგვარი ეკონომიკური ვითარებისათვის არ მოამზადა. თორემ ამ ეკონომიკური სიდუხჭირის თავიდან აცილება მას არ შეეძლო. სსრკ თავისით დაიშალა სწორედ იმიტომ, რომ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა. სოციალიზმმა ეკონომიკური ბრძოლა კაპიტალიზმთან პირწმინდად წააგო. ამ წაგებას მოჰყვა შედეგად სსრკ-ის დაშლა. დღეს საქართველოში 70-იან-80-იანი წლების კომუნისტური რეჟიმიც რომ იყოს, ეკონომიკურად მაინც ასეთი ვითარება იქნებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ობივატელის ჭკუა ამას ვერ ხვდება და ბრალს იმას დებს, ვინც დამნაშავე არ არის. ამით სარგებლობს დღევანდელი ნეოკომუნისტური ხელისუფლება და სურს საკუთარი დანაშაული ეროვნულ მოძრაობას გადააბრალოს. სიმართლე მალე გაირკვევა: როცა სოციალიზმის რესტავრაციის მოსურნენი საქართველოს მთლად დააქცევენ, მაშინ ყველაზე დუხჭირი გონების ადამიანებიც კი ნათლად დაინახავენ _ ვინ არის მტყუანი და ვინ _ მართალი.

სოციალიზმის რესტავრაცია შეუძლებელია. საქართველოს აქვს ერთადერთი გზა: ჩვენშიაც დამკვიდრდეს ის ეკონომიკური სისტემა, რაც მთელ მსოფლიოშია. რამაც გაამართლა და ყველა ქვეყანას ეკონომიკური კეთილდღეობა მოუტანა. ეს ეკონომიკური სისტემა გახლავთ სოციალური საბაზრო ეკონომიკა. მაგრამ ხალხმა ისიც უნდა იცოდეს, რომ საქართველოში სოციალური საბაზრო ეკონომიკურ სისტემას დღევანდელი ნეოკომუნისტური ხელისუფლება ვერ ჩამოაყალიბებს. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას დიდი დრო უნდა. უცბად და ერთბაშად ეს არ მოხერხდება. ოღონდ, რამდენადაც დავაგვიანებთ სოციალური

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების დაწყებას, იმდენად გავახანგრძლივებთ ქართველი ხალხის ეკონომიკურ გასაჭირს.

2. არსებობა, სიცოცხლე მუდმივი მოძრაობაა, მუდმივი ცვალებადობაა. ამ მუდმივ მოძრაობასა და ცვალებადობაში, ბუნებრივია, ჩვენც რაღაცას დავკარგავთ და რაღაცას შევიძენთ. გამორიცხული არ არის, რომ მარტო ცუდი კი არ დავკარგოთ, არამედ _ კარგიც. მარტო კარგი კი არ შევიძინოთ, არამედ _ ცუდიც. ეს შეძენა-დაკარგვის კანონზომიერებაა და ამან არ უნდა შეგვაშინოს. თუ საქართველო დღევანდელი მსოფლიოს განვითარებას ფეხდაფეხ არ მიჰყვება, იგი არა მარტო უნუგეშოდ ჩამორჩენილი გახდება, არამედ _ დაიღუპება. ოცდამეერთე საუკუნე იქნება კიბერნეტიკის, რობოტოტექნიკის, ელექტრონიკის, თერმობირთვული ენერგეტიკის, კოსმოსში მოგზაურობის საუკუნე. ცხადია, საქართველოც ამ ფერხულში უნდა ჩაებას. უნდა შესძლოს საკუთარი სიტყვის თქმა, საკუთარი საქმის კეთება. ჩვენ დღეს იმაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, გუშინ, ანუ ისტორიაში, რა გაგვიკეთებია, არამედ იმაზე ხვალ, ანუ მომავალში რას გავაკეთებთ. ისტორია, წარსული ხალხს უნდა ახსოვდეს, უვლიდეს და ინახავდეს, მაგრამ ისტორიით, წარსულით ცხოვრება არ შეიძლება. ეს სიკვდილს ნიშნავს. მთელი ხალხი თუ ცალკეული პიროვნება მომავლით, ხვალინდელი დღის შენებით უნდა ცხოვრობდეს. მხოლოდ ასეთ ხალხს შეუძლია იარსებოს 21-ე საუკუნეში. არასოდეს არ ყოფილა ისე საჭირო და მნიშვნელოვანი ილიას სიტყვები, როგორც დღეს არის: «მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...» მივცემთ ამ მომავალს ხალხს, ვიარსებებთ, ვერ მივცემთ, გადავშენდებით.

ისტორია ჩვენ არაფერს მოგვცემს, თუ დღევანდელობას ვერ ავუღეთ ალღო და ცხოვრების დინებას ჩამოვრჩით. ფინეთსა და ფინელებს გაცილებით მოკლე ისტორია აქვთ, ვიდრე საქართველოს და ქართველებს, მაგრამ შექმნეს მსოფლიოში ერთი ყველაზე უფრო კეთილმოწყობილი, მდიდარი, განათლებული და კულტურული სახელმწიფო. ჩვენ კი ჯერჯერობით ვერაფერი მოვახერხეთ. ეს კი იმის ბრალია, რომ სულ უკან ვიხედებით, სულ ისტორიით ვიკვეხნით, მაგრამ ვერაფერს ვამბობთ ან დღეს რას ვაკეთებთ, ან ხვალ რას გავაკეთებთ. შოფერი, რომელიც ავტომანქანას მართავს, სულ წინ უნდა იყურებოდეს. თუ უკან-უკან ხედვა დაიწყო, აუცილებლად რაღაცას დაეჯახება. მანქანასაც დაამტვრევს და თავადაც დაიღუპება. ასეა ქვეყანაც და ხალხიც. ხალხი სულ წინ უნდა იყურებოდეს, მომავალს ხედავდეს და ქვეყანას ისე აშენებდეს. როცა ამას კარგად გავაცნობიერებთ, მსოფლიო ცხოვრების ორღობეში აღარ აღმოვჩნდებით. ჩვენც საპატიო ადგილს დავიკავებთ საკაცობრიო ცხოვრებაში.

3. მართალია, ჩვენ სამარცხვინოდ დავმარცხდით აფხაზეთშიაც და შიდა ქართლშიაც, მაგრამ ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს. ვაჟკაცი ის კი არ არის, ვინც არ დამარცხებულა, არამედ იგი, ვისაც დამარცხება უწვნევია, მაგრამ ქალაჩუნურად, დედლურად არ მოქცეულა. რწმენა არ დაუკარგავს. ძალა მოუკრებია და მტერი დაუმარცხებია. საბოლოო გამარჯვება მოუპოვებია.

აფხაზეთში და შიდა ქართლში დამარცხებამ ჩვენ ჭკუა უნდა გვასწავლოს. ყველაფერი კარგად უნდა გავაანალიზოთ და ისე მოვიქცეთ, რომ მეორედ ასეთი სამარცხვინო და თავმოსაჭრელი რამ აღარ დაგვემართოს.

ჩვენ სულ ვიღაცას ან რაღაცას დავეძებთ, ვინც ან რაც გვიშველის. ეს საბედისწერო შეცდომაა. ჩვენ, ყველამ ერთად, უნდა ვუშველოთ თავისთავსაც და საქართველოსაც. ერთმა კაცმა შეიძლება «ვეფხისტყაოსანი» დაწეროს და მას დამხმარე არ სჭირდება.

ერთმა კაცმა შეიძლება დახატოს «იმერეთი _ დედაჩემი» და მას დამხმარე არ სჭირდება. ერთმა კაცმა შეიძლება «აბესალომი და ეთერი» შექმნას და მას დამხმარე არ სჭირდება. პოლიტიკაში ასე არ არის. პოლიტიკაში ერთი კაცი ვერას გახდება, თუ ერი, ხალხი არ უდგას გვერდით. დავით აღმაშენებელი მარტო არ იყო. მას ქართველი ხალხი უჭერდა მხარს. დიდგორში როგორ გაიმარჯვებდა იგი, თუ ყველა მეომარი თავგანწირული არ იბრძოლებდა? ეს ერთიანობა გვჭირდება დღეს ჩვენ. ყველა მოქალაქე უნდა იყოს გამსჭვალული იმის რწმენით, რომ დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო ააშენოს. ჩვენ «ქართლის ცხოვრება», «ვეფხისტყაოსანი», დავით გურამიშვილი, სულხან-საბა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა თავისუფლების სიყვარულს, ვაჟკაცობას, ზნეობრიობას, მამულისათვის თავდადებას გვასწავლის. და მაინც კიდევ ვეძებთ სხვა მასწავლებლებს? ამათ თუ ვერაფერი გვასწავლეს, სხვა რაღას მოახერხებს? ჩვენი მეფეები, ჩვენი გმირები, ჩვენი წამებულები როგორ გაკვეთილს გვაძლევენ! თუ ესეც ვერ ავითვისეთ, სხვა როგორ დაგვეხმარება? ეს სულიერი კულტურაა ჩვენი ძალა. რა თქმა უნდა, გააზრებული დღევანდელობისა და მომავლის კუთხით. სწორედ ჩვენი მოღვაწეები _ წმინდანები, მეფეები, გმირები თუ მწერლები _ არ გვაძლევენ უფლებას სასოწარკვეთილებისა და უნუგეშობისას. ისინი მარტო წარსულში არ ყოფილან. ისინი დღესაც არიან და მომავალშიც მოვლენ. ამას მალე დავინახავთ. ისტორიის ჯაჭვი საქართველოში არ გაწყვეტილა. არც გაწყდება. გაწყვეტა ანტიბუნებრივი მოვლენა იქნებოდა.

მართალია, დამარცხებამ დაგვაბნია და სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო, მაგრამ ესეც გაივლის. ის ადამიანებიც გამოჩნდებიან, ვინც ქვეყანას კრიზისულ ვითარებაში უნდა უხელმძღვანელონ. ამას ისტორიული პროცესის კანონზომიერება ითხოვს. ოღონდ ერთი კია: ხალხი მომავლის რწმენით უნდა განიმსჭვალოს. ამ რწმენის ჩანერგვა ყველას მოვალეობაა _ ეკლესიის, სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის, მეცნიერების, მწერლობის, ჟურნალისტიკის, ერთი სიტყვით, ყველასი, ვისაც ჭკუა ეკითხება.

20-იან წლებში, როცა დემოკრატიული საქართველო დამარცხდა და საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა, ხალხი და ქვეყანა უიმედობამ და სასოწარკვეთამ მოიცვა, მაგრამ ერის ჭკუა და გონება მალე გამოფხიზლდა. დაიწყო ბრძოლა და შრომა სულიერი აღორძინებისათვის. განვლილი 70 წელი მარტო ბოლშევიკ-კომუნისტების პარპაშის წლები არ ყოფილა. ეს იყო ეპოქა ვერიკო ანჯაფარიძის, დიმიტრი არაყიშვილის, ელენე ახვლედიანის, გიორგი ახვლედიანის, სანდრო ახმეტელის, კონსტანტინე გამსახურდიასი, ლადო გუდიაშვილის, აკაკი ვასაძის, სესილია თაყაიშვილის, გიორგი ლეონიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, კოტე მარჯანიშვილის, ევგენი მიქელაძის, ნიკო მუსხელიშვილის, კოლაუ ნადირაძის, იაკობ ნიკოლაძის, შალვა ნუცუბიძის, ანდრია რაზმაძის, გალაკტიონ ტაბიძის, დიმიტრი უზნაძის, ზაქარია ფალიაშვილის, ლეო ქიაჩელის, გერონტი ქიქოძის, სერგო ქობულაძის, გიორგი შავგულიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, უშანგი ჩხეიძის, აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლის, პავლე ინგოროყვასი, თამარ ჭავჭავაძის, აკაკი ხორავასი, ივანე ჯავახიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა და სხვათა. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. თუ კომუნისტური რეჟიმის დროს ქართველმა ხალხმა შესძლო ასე მძლავრად გამოემჟღავნებინა ეროვნული ენერგია, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში რა შებოჭავს მის ძალას? ვერაფერი. ოღონდ სულწასულობამ არ უნდა გვძლიოს და უცბად და ერთბაშად არ უნდა მოვინდომოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის აშენება. თუ ჩვენ გაგებით და მოთმინებით გავყვებით ისტორიის მსვლელობას, მაშინ მალე ვიხილავთ იმ ქვეყანას, რომელიც ყველა ქართველის ოცნებაა.

ჟურნ. «ბაგრატის ტაძარი»,
1994 წ. 19 აპრილი

ვინც ფიქრობს სოციალიზმი აღორძინდება, მწარე შეცდომის მსხვერპლია

კორესპ. _ როგორ დაახასიათებთ საქართველოში არსებულ დღევანდელ ვითარებას?

აკაკი ბაქრაძე _ საქართველოში შექმნილ მდგომარეობას ჩემი დახასიათება არ სჭირდება. ყველა ნათლად ხედავს, რომ იგი უკიდურესად მძიმეა.

კორესპ. _ თქვენ რამდენიმე წლის წინ წერდით, რომ იმპერია მაინც დაიშლება. ჩვენ კი უნდა ვეცადოთ არ მოვყვეთ ამ ნანგრევებშიო. რა შეცდომა დაუშვა მაშინ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც დღეს დამანგრეველსაც უწოდებენ?

ა.ბ. _ ეროვნულმა მოძრაობამ უამრავი შეცდომა დაუშვა, სამწუხაროდ და სავალალოდ. ყველას ჩამოთვლას საგაზეთო საუბარში ვერც მოვახერხებ და, ალბათ, არც არის აუცილებელი. გამოვყოფ მხოლოდ უმთავრეს სამ შეცდომას.

პირველი: ეროვნულმა მოძრაობამ უარყო ერთი საზოგადოებრივი წესწყობილებიდან მეორეზე გადასვლის თანდათანობის პრინციპი. ერთბაშად მოინდომა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ამან საბედისწერო შედეგამდე მიგვიყვანა, რადგან არც ეროვნული მოძრაობის ძირითადი ბირთვი და არც ქართველი ხალხი მზად არ იყო ახალ საზოგადოებრივ ფორმაციაზე გადასვლისათვის. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე უკვე ცხადი გახდა, რომ განათლების თვალსაზრისით, ქართველი ხალხი ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ხალხია მსოფლიოში. კომუნისტური ცრუგანათლების ნაყოფმა დღეს იჩინა თავი. საქართველოში თითქმის ყოველ მეორე კაცს უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს, მაგრამ ეს დიპლომი უმრავლეს შემთხვევაში ან ფულით არის ნაყიდი, ან ნაცნობობით ნაშოვნი. ბევრს ეგონა, სხვას ვატყუებო და თავად დარჩა მოტყუებული. კომუნისტურმა ცრუგანათლებამ მოატყუა ქართველი ხალხი. იგი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტად ანუ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მშენებლობისათვის. ამ ვითარებაში თანდათანობითობას, ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულს წინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვებისათვის. სწორედ ეს არ გააკეთა ეროვნულმა მოძრაობამ. მწვერვალზე სირბილით ყველაზე გამოცდილი და ოსტატი მთამსვლელიც ვერ ავა. მწვერვალზე დინჯად, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ახვიდე.

დამოუკიდებლობა-თავისუფლება ერის ცხოვრების მწვერვალია. მისი დაპყრობაც თანდათანობით უნდა მოხდეს. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, რომელიც საუკუნეების მანძილზე არ ყოფილა დამოუკიდებელი და თავისუფალი.

მეორე: ეროვნული მოძრაობის გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო ერთიანობა. მაგრამ ერთიანობის მაგიერ, იგი ნაწილ-ნაწილ დაიშალა. ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვერ გაიმარჯვებს, თუ იგი ერთიანი არ არის და დაშლილ-დანაკუწებულია. სამწუხაროდ, ეროვნულმა მოძრაობამ ერთიანობის შენარჩუნება ვერ მოახერხა. იგი გაიხლიჩა და ერთმანეთს დაუპირისპირდა.

უნდა გავიხსენოთ სრულიად მართალი სიტყვები, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნებშია»: «ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრია. ერთმანეთს ჭირიანებივით გავურბოდით

და ისე ვერიდებოდით, თითქო სხვადასხვა ტომისა და სისხლისანი ვყოფილიყავით. მუდამ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით».

ეს მემკვიდრეობა მძიმე წარსულმა დაგვიტოვა. მისი დაძლევა ხანგრძლივ საგანმანათლებლო მუშაობას ითხოვდა. ეს საგანმანათლებლო მუშაობა ეროვნულმა მოძრაობამ ვერ ჩაატარა.

მესამე: ეროვნულმა მოძრაობამ სისუფთავე და სიწმინდე ვერ შეინარჩუნა. მას უთვალავი შემთხვევითი, უნიჭო და უჭკუო ადამიანი მიეტმასნა. მათ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა უნდოდათ. სრულებით არ აინტერესებდათ საქართველოს ბედ-იღბალი. ამ უნიჭო, უჭკუო და შემთხვევითი ადამიანების ჭაობში ჩაიძირა ეროვნული მოძრაობა.

როცა მიმდინარეობს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, საჭიროა და აუცილებელი ნიჭიერი, ჭკვიანი, ენერგიული და პატიოსანი ადამიანები. საქართველოში სწორედ ამის საპირისპირო მოხდა: როგორც 28 ოქტომბრის, ისე 11 ოქტომბრის ხელისუფლებაში ძირითადი უმრავლესობა უნიჭო, უჭკუო, უენერგიო და უპატიოსნო ადამიანებმა შეადგინეს. შედეგიც უნაყოფო მივიღეთ.

რაც შეეხება გესლიან დაცინვას _ ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობა, ეს საქართველოს მტრების მოგონილია, რომ საქართველოს საბოლოოდ დაეკარგოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრძოლის სურვილი. მტერს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მარტო დამარცხება არ აკმაყოფილებს. მას უნდა ზნეობრივადაც დააკნინოს იგი, სახელი გაუტეხოს მას და ქართველი მარადიული ყმობისთვის გასწიროს.

კორესპ. _ ბევრს საუბრობენ მაფიაზე, ხელისუფალნიც და უბრალო ადამიანებიც. რა სახის მაფიაა დღეს საქართველოში და რა ძალებს შეუძლიათ მისი განადგურება ან კლასიკური მაფიის სახის მიცემა, რომ ხალხის სასიკეთო შემოქმედებისათვის წარიმართოს იგი?

ა.ბ. _ ამ რამდენიმე წლის წინათ, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს, ვწერდი, რომ სოციალიზმმა სსრკ-ში სამი ძალა წარმოშვა _ პარტოკრატია, ბიუროკრატია და კლეპტოკრატია («კლეპტოს» ბერძნულად ქურდია). ამ სამი ძალიდან ყველაზე საშინელი და დამანგრეველი კლეპტოკრატია იყო და არის. მაფია კლეპტოკრატიასთან შედარებით აკვნის ბავშვია. რატომ? შევეცდები ავხსნა ეს.

კლეპტოკრატია სოციალიზმის ღვიძლი შვილია. იგი შეიძლება დაიბადოს მხოლოდ იქ, სადაც არ არსებობს კერძო საკუთრება. სსრკ-შიც, როგორც სოციალისტურ ქვეყანაში, ასე იყო: არ არსებობდა კერძო საკუთრება. ყველაფერი ეკუთვნოდა სახელმწიფოს. ვთქვათ, ღვინის ქარხანა სახელმწიფო ქონება იყო. მისი დირექტორი _ სახელმწიფო მოხელე, რომელიც ხელისუფლებისაგან ჯამაგირს იღებდა. მაგრამ დირექტორის ბედი რაიკომის მდივანზე, ან აღმასკომის თავმჯდომარეზე, ან მინისტრზე იყო დამოკიდებული. თუ დირექტორი არ მოიპარავდა და ნაქურდალს არ მიუტანდა უფროსებს, მას მოხსნიდნენ და სხვას დანიშნავდნენ. რა თქმა უნდა, დირექტორს მოხსნა არ უნდოდა. იგი იპარავდა და ზევით მიჰქონდა. რაკი იპარავდა, ბუნებრივია, მარტო სხვისთვის ხომ არ იქურდებდა? იპარავდა თავისთვისაც.

ვერც დირექტორი, ვერც აღმასკომის თავმჯდომარე, ვერც რაიკომის მდივანი, ვერც მინისტრი ნაპარავ ფულს საჯაროდ ვერ გამოაჩენდა. სურვილიც რომ ჰქონოდა, საზოგადოებრივ საქმეში მუქთად ნაშოვნ ფულს ვერ დახარჯავდა. ჯერ, ეშინოდა დაპატიმრების და, მეორე, არ არსებობდა კერძო საკუთრება, რომ საკუთარი ქარხანა, ფაბრიკა ან სხვა რამ საზოგადოებისათვის სასარგებლო აეშენებინა. სახელმწიფოს კი ნაქურდალ ფულს ვერ დაუბრუნებდა. მაშინ რატომღა იპარავდა? ასე და ამგვარად,

ცალკეულ პირთა ხელში გროვდებოდა მკვდარი უზარმაზარი კაპიტალი, გადამალული და შენახული მუთაქებში, ლეიბებში, ქოთნებში და ქვევრებში. ერთადერთი, რაც კლეპტოკრატებს შეეძლოთ ეს იყო ის, რომ სხვებზე უკეთ ესვათ, ეჭამათ, ჩაეცვათ, დაეხურათ, მანქანები ეყიდათ. მაგრამ ამ პირად კეთილდღეობას იმდენი ფული არ სჭირდებოდა, რაც სახელმწიფო ხაზინის ქურდებს ჰქონდათ. ასე ჩამოაყალიბა სოციალიზმმა ახალი საზოგადოებრივი ფენა კლეპტოკრატიის სახით, რომელიც უზარმაზარ თანხას ფლობდა, მაგრამ საზოგადოებრივი საქმისათვის არც ხარჯავდა და ვერც ხარჯავდა.

კლეპტოკრატია გახდა საზოგადოების ხორცმეტი, რომელიც უზომოდ, შეუბრალებლად და დაუნდობლად ყვლეფდა იმათ, ვინც შრომობდა, ყვლეფდა, მაგრამ თავად არაფერს აკეთებდა.

მაფია მარტო არ ყვლეფს, არ იპარავს და არ ქურდობს. იგი ნაძარცვ ფულს მუთაქებში, ლეიბებში, ქვევრებში და ქოთნებში არ მალავს. იგი აშენებს კიდეც სახლებს, გზებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, ე.ი. საზოგადოებისათვის აკეთებს რაღაცას. ეს ფილმებშიც კი ჩანს, თავი დავანებოთ გამოკვლევებს მაფიაზე დაწერილს. მაგალითად, ამის წაკითხვა შეგიძლიათ მაფიის ერთ-ერთი გამოჩენილი ისტორიკოსის, მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორის ჰენერ ჰესის წიგნში «მაფია (წარმოშობა, ძალაუფლება და მითი)».

მაშასადამე:

მაფია ეწევა ძარცვა-გლეჯას, მკვლელობებს, მაგრამ ქმნის კიდეც და აკეთებს კიდეც.

კლეპტოკრატია ეწევა ძარცვა-გლეჯას, მკვლელობებს, მაგრამ არც არაფერს აკეთებს და არც არაფერს ქმნის.

ამიტომ არის კლეპტოკრატია მაფიაზე ბევრად უარესი.

დღეს საქართველოში ყველაფერს სოციალიზმის დროს ჩამოყალიბებული და კომუნისტური რეჟიმის დანატოვარი კლეპტოკრატია ფლობს. ეს მან დაანგრია საქართველო და არა ეროვნულმა მოძრაობამ. ეროვნული მოძრაობის უბედურება ის არის, რომ იგი ვერ მოერია კლეპტოკრატიას. პირიქით. კლეპტოკრატიამ ჩაიგდო ხელში ეროვნული მოძრაობა და თოკი წაუჭირა ყელში.

კლეპტოკრატია რომ დამარცხდეს, ხალხი და ხელისუფლება ერთად უნდა იყოს. ცალ-ცალკე ვერც ხალხი დაამარცხებს კლეპტოკრატიას და ვერც ხელისუფლება. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ კლეპტოკრატი არასოდეს გახდება ბიზნესმენი.

ბიზნესმენი შემოქმედია. იგი აწარმოებს, აშენებს, ქმნის. კლეპტოკრატი კი სხვის ნაშრომს ითვისებს. მას არა აქვს შემქმნელის, მწარმოებლის, მკეთებლის ნიჭი. იგი მხოლოდ მძარცველი და მიმთვისებელია. ამიტომ ებრძვის იგი ყოველგვარ შემოქმედებას, მწარმოებლობას, მკეთებლობას. ამიტომაც არ ტარდება საქართველოში რეფორმები და ყველაფერი გაყინულია ერთ ადგილზე. მართალია, საქართველო გაიძარცვა, მაგრამ საქურდალი ჯერ კიდევ დარჩა. კლეპტოკრატიას იმ დარჩენილის მოპარვაც უნდა.

თუ ჩვენ მართლა გვინდა ბიზნესის აღორძინება, კლეპტოკრატია გზიდან უნდა ჩამოვიცილოთ.

კორესპ. _ როგორია თქვენი დამოკიდებულება საქართველოში საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებისადმი? რას გვეტყვით კერძო ბანკებზე?

ა.ბ. _ ძველ ტერმინებს თუ ვიხმართ, რომელიც ახლა მოდაში აღარ არის, უნდა ვთქვათ, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკასთან ბრძოლაში სოციალისტური ეკონომიკა დამარცხდა. დამარცხდა საბოლოოდ და სამუდამოდ. ვინც ფიქრობს სოციალიზმი ისევ აღორძინდება, მწარე შეცდომის მსხვერპლია. ფაქტს ხომ ხედავთ: მთელს მსოფლიოში

სოციალიზმი საპნის ბუშტივით გაქრა. მარტო ჩრდილოეთ კორეაში და კუბაზე ებღაუჭებიან მას. მაგრამ კიმ-ირ-სენის სიკვდილთან ერთად, ჩრდილოეთ კორეაშიც მალე დაიწყება სოციალიზმის უარყოფა. კუბაზე კი საქმე ისე მიდის, რომ მალე აღარც ერთი კუბელი აღარ დარჩება იქ, და ფიდელ კასტროს მარტოდმარტო მოუწევს სოციალიზმში ცხოვრება.

ჩვენ ერთადერთი გზა დაგვრჩა _ ავირჩიოთ კაპიტალიზმი ანუ სოციალური საბაზრო მეურნეობა (კაპიტალიზმის დღევანდელი ფორმა). ამას ვერსად გავექცევით. რამდენადაც ჩქარა გავაკეთებთ ამას, იმდენად მალე გამოსწორდება ეკონომიკური ვითარება საქართველოში.

რაკი სოციალური საბაზრო ეკონომიკა კერძო საკუთრებას ეყრდნობა, ბუნებრივია, კერძო ბანკებიც უნდა არსებობდეს. ის ნუ შეგვაშინებს, რომ კერძო ბანკების უკან უამრავი თაღლითი და აფერისტი იმალება, ატყუებს ხალხს. ფულს დასცინცლავენ და მერე იმ ფულს მიითვისებენ და იმალებიან. აქ დამნაშავე მარტო თაღლითი და აფერისტი არ არის. აქ უფრო მეტად დამნაშავე ის უმეცრება და გაუნათლებლობაა, რაზეც უკვე მოგახსენებდით. როცა ესა თუ ის ბანკი გვპირდება 18-20% მოგებას მოგცემთო, ის ან უმეცარია და საბანკო საქმისა არა გაეგება რა, ან მატყუარა, თაღლითი და აფერისტია. 18-20% მოგება მსოფლიოს უძლიერეს და უძველეს ბანკებსაც არ შეუძლიათ. ქართული ღარიბი ბანკი ამას როგორ მოახერხებს? მიამიტი, უმეცარი ხალხი კი ამ ზღაპარს იჯერებს. ამ ბანკებში ფული შეაქვს და მერე გაცუცურაკებული რჩება. ამიტომ კერძო ბანკი კი არ არის ცუდი, არამედ ჩვენი უმეცრება.

კორესპ. _ აფხაზეთის ომი. შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება და დღეს რაში ხედავთ გამოსავალს? რა ელის სამაჩაბლოს?

ა.ბ. _ ჯერ უნდა გითხრათ ის, რომ ქართული პრესა არამართებულად ხმარობს ცნებას «სამაჩაბლო». ყოფილ სამხრეთ ოსეთის აო-ს გაცილებით დიდი ტერიტორია ეჭირა, ვიდრე სამაჩაბლოა. სამაჩაბლო რამდენიმე სოფელია ცხინვალთან. ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო კი შედგებოდა ოთხი რაიონისაგან _ ცხინვალის, ლენინგორის (ახლა ძველი სახელი დაუბრუნდა და ისევ ახალგორი ჰქვია), ზნაურის (ახლა ყორნისის) და ჯავის რაიონებისაგან. არც ახალგორის, არც ყორნისის, არც ჯავის რაიონები სამაჩაბლოში არ შედის. ხედავთ, რა თავზარდამცემია ჩვენი უმეცრება? ისიც კი არ ვიცით, რა გვეკუთვნის და რისთვის ვიბრძვით. ამაზე ბევრჯერ ვთქვი და დავწერე, მაგრამ ყურსა ბამბისასა, არავინ აინუნში არ აგდებს. თუ გვინდა, რომ ძირეული, მამაპაპეული ქართული ტერიტორია არ დავკარგოთ, ცნებები მაინც ვიხმაროთ სწორად.

ისე როგორც აფხაზეთის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ს ტერიტორიის დაბრუნება ომით და იარაღით შეიძლება. მოლაპარაკებით და მშვიდობიანად მას არავინ დააბრუნებს. ოკუპანტები დაპყრობილი ტერიტორიიდან ნებაყოფლობით არ წავლენ. ისინი ქართულმა არმიამ უნდა გარეკოს, როცა ამისი ძალა და უნარი ექნება.

ისტორია იცნობს ტერიტორიის დაბრუნების კიდევ ერთ გზას _ ყიდვას. მაგალითად, აშშ-მა საფრანგეთისაგან იყიდა ლუიზიანას შტატი და, სხვათაშორის, არც ისე ძვირად _ 15 მილიონ დოლარად; რუსეთისაგან ალასკა შეიძინა კიდევ უფრო იაფად _ 7,5 მილიონ დოლარად; აგერ ახლა, ჩვენ თვალწინ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ სსრკ-სგან იყიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ საქართველოს ექნება ოდესმე იმდენი ფული, რომ რუსეთისაგან გამოისყიდოს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის აო-ს ტერიტორია? მეეჭვება. ჩვენი მიწა-წყალი ისევ ბრძოლით უნდა დავიბრუნოთ. ამისათვის ძალიან სერიოზულად უნდა მოვემზადოთ.

რაც შეეხება აფხაზეთში ომის თავიდან აცილებას, უნდა გითხრათ, რომ ძალიან მიამიტი არიან ის ადამიანები, რომელნიც ფიქრობენ, რომ აფხაზეთში ომი ქართული

ჯარის გადაადგილებამ გამოიწვია. ეს ომი დღეს კი არა, 1921 წლიდან არის დაგეგმილი და დეტალურად დამუშავებული. «სვობოდნაია გრუზიამ» (1993 წ., 21 იანვარი) გამოაქვეყნა გენერალ სიტინის საიდუმლო მოხსენებითი ბარათი. იგი 1921 წელს არის დაწერილი და მიმართულია ლენინისადმი. ამ ბარათში მკაფიოდ არის ახსნილი _ როგორ უნდა ჩაკლან საქართველოს თავისუფლებისადმი ლტოლვა. გეგმაში აფხაზეთს თავისი ადგილი უჭირავს _ რა უნდა მოხდეს და როგორ. ისიც ნათქვამია, რომ, თუ საქართველო დამოუკიდებლობას მოინდომებს, მაშინ უნდა წაართვან ტერიტორია, პირველ რიგში აფხაზეთი. ამით ტერიტორიაწართმეული საქართველო წელში გატყდება და შეშინებული უარს იტყვის დამოუკიდებლობაზე. ასე რომ, ეს ომი მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე მზადდებოდა. გადაადგილდებოდა თუ არ გადაადგილდებოდა ქართული ჯარი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქართველებს იქიდან მაინც გამორეკავდნენ. მთელი ამ სამოცდაათი წლის მანძილზე აფსარები სულ იმუქრებოდნენ _ ქართველები უნდა გავრეკოთ აფხაზეთიდან და მათი მიწა-წყალი მივითვისოთო.

(დიახ, აფსარები და არა აფხაზები. ალექსანდრე ონიანის გამოკვლევების შემდეგ, სირცხვილია ეს ორი ეთნონიმი ერთმანეთში ავურიოთ. აფხაზი ქართველი ტომის სახელია, ვისაც ეკუთვნის აფხაზეთი. აფსარი კი აფსუას ქართული შესატყვისია. აფსარი _ აფსუა ჩრდილოეთ კავკასიიდან არის მოსული ჩვენში ხიზნად. ახლა აფსარმა ხიზანმა ჩვენ ისე გამოგვაგდო საკუთარი სახლიდან, როგორც თეიმურაზ ხევისთავი ჯაყომ).

აფსარებს ჩვენ ვეფიცებოდით ძმობას, თორემ ისინი ყოველთვის მტრად გვთვლიდნენ და მტრულადვე გვექცეოდნენ. ცრუ ძმობის თამაშმა დაღუპა საქართველო, თორემ არავისთვის ყოფილა უცნობი, რომ როგორც კი დროს იხელთებდა, რუსეთი მაშინვე მოგვისევდა აფსარებს და ჩრდილოეთ კავკასიელებს და ტერიტორიას წაგვართმევდა.

აფხაზეთში ომი ერთადერთ შემთხვევაში არ მოხდებოდა: თუ ქართველობა ნებაყოფლობით დატოვებდა თავის მამა-პაპეულ მიწა-წყალს და მას გადამთიელ აფსარს დაუთმობდა. ამას კი ვერც ერთი თავმოყვარე ერი ვერ გააკეთებს. მართალია, ომი წავაგეთ, მაგრამ ისე არ დავცემულვართ და წავმხდარვართ, რომ ჩვენი ღვიძლი მიწა-წყალი ნებაყოფლობით დაგვეთმო. რაც შეგვეძლო ვიომეთ, მომავალშიც ვიომებთ აფხაზეთის დასაბრუნებლად. ქართველთა არც ერთი თაობა არ უნდა შეეგუოს ამ სამარცხვინო დამარცხებას. მანამდე უნდა იბრძოლოს, სანამ აფხაზეთს და ყოფილ ოსეთის აო-ს ტერიტორიას არ დაიბრუნებს.

კორესპ. _ არის თუ არა ქართველი ერი ყველაზე საზიზღარი და გაუტანელი?

ა.ბ. _ ეს კითხვა ერთდროულად მიამიტიც არის და რთულიც.

მიამიტი იმდენად, რამდენადაც ქართველი ხალხი ისეთივეა, როგორიც არის ყველა სხვა ხალხი დედამიწის ზურგზე. აქვს თავისი კარგი თვისებები და ავიც. როცა მიეროხანი დგება, ყოველი ხალხი ავლენს იმ ავ თვისებებს, რაც მას აქვს. ამ მხრივ ქართველები გამონაკლისნი არ არიან.

რთულია იმდენად, რამდენადაც ქართველთა ავ თვისებებში უნდა მოვძებნოთ ის, რაც ჩვენთვის არის სპეციფიკური. ეს იოლი საქმე არ არის. ამას ძალიან გულდასმით უნდა კვლევა-დაკვირვება. მე შევეცადე გამეკეთებინა ეს სტატიაში «მკვახე შეძახილი».

რა თქმა უნდა, ამ საკითხზე მსჯელობა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ამგვარ ინტერვიუში იგი არ მოხერხდება.

კორესპ. _ როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?

ა.ბ. _ საქართველოს მომავალი ნორმალური იქნება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამას ვერც უცბად მივაღწევთ და ვერც ადვილად.

ქვეყნის მომავლის ასაშენებლად თავგანწირული შრომაა საჭირო, თანაც ხანგრძლივი.

საქართველოში (როგორც ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში) სრულიად ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ა.შ. სისტემაა ასაშენებელი. ეს კი დროს ითხოვს, ცოდნას, გამოცდილებას, შრომისმოყვარეობას.

როცა გამოვავლენთ შრომისმოყვარეობას, ცოდნას, გამოცდილებას, მოთმინებას, საქართველოს მომავალიც გამოიკვეთება.

ახლა საქართველოში დროა, როცა სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი და ყაჩაღი ერთად, ხელიხელჩაკიდებული «საქმიანობენ». სოლომონ ისაკიჩი ზანდუკში აგროვებს ფულებს, ყაჩაღი კი ძარცვავს. მაგრამ მოვა დრო, სოლომონ ისაკიჩი ან მისი შვილი ზანდუკს გახსნის. დაინახავს, რომ მის ფულს ქვეყნის სასარგებლოდ დახარჯვა სჭირდება. დახარჯავს კიდეც, რადგან სხვა გზა არ ექნება. ზანდუკში უქმად მდებარე ფული დალპება. დავით სარაჯიშვილის მამა ზაქარია ისეთივე კაცი იყო, როგორც სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, მაგრამ დავითი კი ევროპულად განათლებული დიდი ბიზნესმენი გახლდათ. პროცესი დღესაც ისე განვითარდება, როგორც მე-19 საუკუნეში განვითარდა. ეს ისტორიის თვისებაა და იმიტომ.

როცა დავით სარაჯიშვილები მოვლენ, როცა სტეფანე ზუბალაშვილები მოვლენ, როცა აკაკი ხოშტარიები მოვლენ, ისინი ყველა ჯურის ავაზაკებს ალაგმავენ, რათა საქმეში ხელი არ შეეშალოთ.

შეიძლება მკითხოთ, როდის იქნებაო ეს? ჰოოო, დრო დიდი უნდა და მოთმინებაც. ჩვენ, როგორი სულწასულებიც უნდა ვიყოთ, ისტორიის მსვლელობას ვერ დავაჩქარებთ და ვერც შევანელებთ. ჩვენ ისტორიის მსვლელობას უნდა მივყვეთ ფეხდაფეხ. ძველი ლათინური ანდაზაა: რომი ერთ დღეში არ აშენებულაო.

გაზ. «ბიზნესექო»,
ოქტომბერი, 1994

ხალხს აერთიანებს,
ამთლიანებს მხოლოდ დიქტატურა

ქეთი ხატიაშვილი – უპირველეს ყოვლისა, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ინტერვიუსათვის, მართალი გითხრათ არ ველოდი თანხმობას. თქვენზე ამბობენ საზოგადოებისაგან გაირიყა და არავის იღებსო...

აკაკი ბაქრაძე – ვინც ამას ამბობს, ეტყობა, დღევანდელ ქართულ პრესას სრულებით არ კითხულობს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩემი აუარებელი ინტერვიუ დაიბეჭდა გაზეთებში. სტატიაც ბევრი გამოვაქვეყნე. როგორც წესი, თვეში ორჯერ მაინც გამოვდივარ რადიოთი. მკითხველსა და მსმენელს თავი მოვაბეზრე, მაგრამ რაკი ტელევიზიაში იშვიათად ვჩანვარ, ჩანს, გაზეთსა და რადიოს საქმედ არ მითვლიან. ტელევიზიით გამოსვლა კი დღესდღეობით ჩემთვის ძნელი გახდა. უნდა გითხრათ ისიც, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს არ მძვინვარებდა ცენზურა ისე მკაცრად ტელევიზიაში, როგორც დღეს, ამას დაემატა ელექტროენერგიის ნაკლებობა და ცენზურამ მთლად გაშალა ფრთა. თუ გაზეთში თავისუფალი სიტყვა არსებობს, ტელევიზიაში მან ფეხი ამოიკვეთა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავისუფალი სიტყვა დაბრუნდება ტელევიზიაშიც და როგორც სხვებს, ისე მეც მომეცემა საშუალება ვესაუბრო მსმენელებს.

ქ.ხ. – არსებობს ფრაზა «სახელმწიფო ინტერესები” და არის ხალხის ინტერესებიც. თქვენი აზრით, როგორი ურთიერთდამოკიდებულება უნდა იყოს ამ ცნებებს შორის? საქართველოს სინამდვილეში ხშირად ხომ არ გამორიცხავენ ისინი ერთმანეთს?

ა.ბ. – სახელმწიფოს ინტერესები და ხალხის ინტერესები იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს. როცა ალექსანდრე მაკედონელმა ან ნაპოლეონმა დაპყრობითი ომები დაიწყეს, ეს ხელმწიფის, აქედან სახელმწიფოს, ინტერესი იყო და არა ხალხის. ამ ომებში ხალხი მსხვერპლი გახლდათ. ანდა ის, რაც დღეს ჩეჩნეთში ხდება, შეუძლებელია რუსი ხალხის ინტერესს წარმოადგენდეს (ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ომში უბრალო ადამიანების შვილები იხოცებიან), მაგრამ იგი რუსეთის სახელმწიფოს ინტერესია. რუსეთის სახელმწიფოს სურს შეინარჩუნოს დაპყრობილი ტერიტორიები, ამით რუსეთის იმპერიის მთლიანობა, როგორც წესი, ხალხის ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს ეწირება. ამიტომ ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები ხშირად ებრძვიან ერთმანეთს. აქედან იბადებიან რევოლუციები, მაგრამ რევოლუციის შედეგად წარმოქმნილი ახალი სახელმწიფო ისევ თრგუნავს ხალხს. მაგალითად, თეორიულად ოქტომბრის რევოლუცია მოხდა ხალხის ინტერესების დასაცავად. მაგრამ როგორც კი ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა, მან პრაქტიკულად უფრო მეტად დათრგუნა ხალხი, ვიდრე დამხობილი მონარქია აკეთებდა ამას ადრე. ამის გამოა, რომ რევოლუციების შედეგად ხალხი ყოველთვის წაგებული რჩება. ეს საერთო წესია მსოფლიოში და საქართველოც არ არის გამონაკლისი.

სახელმწიფო ყოველ დროში და ყველა ქვეყანაში ხალხის დამორჩილების ინსტიტუტია. მაგრამ არსებობს სახელმწიფოს მეორე მხარე, ურომლისოდ ხალხი ვერ იარსებებს – ეს არის წესრიგი. უწესრიგოდ ხალხი უპატრონო ჯოგს დაემსგავსება. ამ წესრიგს კი სახელმწიფო ამყარებს. ამიტომ იგი აუცილებელია.

პარადოქსული ვითარება გამოდის: სახელმწიფო აუცილებელია ხალხის, საზოგადოების წესრიგისათვის, ამავე დროს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები იშვიათად ემთხვევიან ერთმანეთს. რას ვიზამთ, ასე ცხოვრობს კაცობრიობა ათადან-ბაბადან და ასე იცხოვრებს მომავალშიც. სახელმწიფოსა და ხალხის ურთიერთობა პარადოქსთა იმ რიგს ეკუთვნის, ურომლისოდაც ვერ ცოცხლობს.

ქ.ხ. – ჭანტურიას მკვლელობის შესახებ ყველას საკუთარი მოსაზრება გააჩნია. ზოგი გიორგაძეს მიიჩნევს დამნაშავედ, ზოგიც ჯაბას ადებს ხელს. როგორია ამ ფაქტის თქვენეული ვერსია?

ა.ბ. – ისეთი მძიმე ტრაგიკული დანაშაული, როგორიც არის გ. ჭანტურიას მკვლელობა, არ შეიძლება გახდეს ქუჩის მითქმა-მოთქმის საგანი. ჭორი და მითქმა-მოთქმა ხელს უშლის სიმართლის დადგენას. ეს მკვლელობა მაღალი პროფესიული ოსტატობით უნდა გამოიძიონ იმ უწყებებმა, რომელთაც ევალებათ ეს. მათ უნდა დაადგინონ, დააზუსტონ ყველაფერი. დამნაშავეებს მიაგნონ და უმკაცრესად დასაჯონ, მანამდე უსაფუძვლო ვარაუდების კორიანტელი ქუჩის ჭორია და მეტი არაფერი. ჭორი ბრბოს გართობაა და წესიერ საზოგადოებას იგი არ შეშვენის.

ქ.ხ. – ვარაუდი, გიორგი ჭანტურიას ტრაგიკული მკვლელობა ქართული ერის შეკავშირება-გამთლიანებას შეუწყობდა ხელს, არ გამართლდა. რატომ? და მაშინ რა აღმოჩნდება შემაკავშირებელი?

ა.ბ. – დედამიწის ზურგზე არც ერთ დროში არც ერთ ქვეყანაში, ამა თუ იმ პიროვნების მკვლელობას ხალხი არ შეუკავშირებია, არ გაუმთლიანებია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 ასწლეულის დასაწყისში ილია ჭავჭავაძეზე დიდი პიროვნება საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ მის მკვლელობას ქართველი ხალხი არ შეუკავშირებია, არ გაუმთლიანებია. როგორც იყო დაშლილ-დანაკუწებული, ისევე

დარჩა. ფიქრი იმისა, რომ ვისიმე მკვლელობა ხალხს გააერთიანებს, გაამთლიანებს მიამიტი, გულუბრყვილო ფიქრია. პოლიტიკაში მიამიტობა-გულუბრყვილობას წაგების მეტი არაფერი მოაქვს.

ხალხს აერთიანებს, ამთლიანებს მხოლოდ დიქტატურა, ოღონდ გააჩნია რისი დიქტატურა. სამი სახის დიქტატურა არსებობს – სულის (რელიგიის), პიროვნებისა და ფულის. სულის დიქტატურა არსებობს, მაგალითად, ირანში. იქ გაერთიანდა და გამთლიანდა სხვადასხვა ხალხი – ქურთები, აზერბაიჯანელები, თავად სპარსელები. პიროვნების დიქტატურა იყო სსრკ-ში, სტალინისა. სსრკ-შიც გაერთიანებული იყვნენ ნაირ-ნაირი ხალხები. მათი ერთიანობა არ დარღვეულა სსრკ-გერმანიის ომის დროსაც კი.ფულის დიქტატურა არის აშშ-ში. აქ ერთიანია სხვადასხვა რასის (თეთრკანიანი, ზანგი, ყვითელკანიანი), სხვადასხვა ერის ადამიანები. ფულის დიქტატურა სხვაგანაც არსებობს, მაგალითად, იაპონიაში, გერმანიაში. მართალია, აშშ, იაპონია, გერმანია პოლიტიკური დემოკრატიის კლასიკურ ქვეყნებად ითვლებიან, მაგრამ მათი ძლიერება აგებულია ფულის დიქტატურაზე. აშშ-იაც, გერმანიაშიც, იაპონიაშიც ყოველ დაწესებულებაში უმკაცრესი რეჟიმი არსებობს. ვაი მას, ვინც ამ წესრიგს დაარღვევს. ამ სიმკაცრეს ემყარება ამ სახელმწიფოების (სხვებისაც, უფრო პატარების, ისრაელის, დანიის, ნორვეგიის, ნიდერლანდების და ა.შ.) კეთილდღეობა.

დიქტატურის ამ სამი სახეობიდან ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე მყარი ფულის დიქტატურაა. პიროვნების დიქტატურა შეიძლება გაქრეს ამ პიროვნებასთან ერთად. სულის დიქტატურა, თუ მან ადამიანებს კეთილდღეობა არ მოუტანა, მალე სწყინდებათ და მასზე უარს ამბობენ. კეთილდღეობა მოაქვს ფულს (როგორც უნდა ვაძაგოთ ფული და შევიძულოთ იგი, მაინც ასეა). სულის დიქტატურაც და პიროვნების დიქტატურაც ძალიან ხშირად გადაზრდილია ფულის დიქტატურაში. მაგალითად, საფრანგეთში იაკობინელთა და ნაპოლეონის დიქტატურა გადაიზარდა ფულის დიქტატურაში. დღევანდელ ირანში სულის დიქტატურა თანდათან გადადის ფულის დიქტატურაში. ირანში საქმიანი წრეები ამას უკვე აღარ მალავენ.

ფულის დიქტატურის ხანგრძლივობა და სიმყარე გამოწვეულია იმით, რომ იგი ათავისუფლებს ადამიანსა და შრომას. თავისუფალი ადამიანი და თავისუფალი შრომა ერთდროულად ქმნის პიროვნებისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობას და ერთიანობას. ამის ნიმუშია ევროპა. ფულის დიქტატურის საფუძველზე იწყება სხვადასხვა ხალხთა და სხვადასხვა სახელმწიფოთა ერთიანობა.

ქართველი ხალხის გაერთიანება-გამთლიანება და იმ ხალხებისაც, რომელნიც საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ ქართველები არ არიან, მაშინ მოხდება, როცა დიქტატურის ამ სამი სახეობიდან ერთ-ერთი დამყარდება.

ქ.ხ. – ბ-ნო აკაკი, თქვენ ხშირად გეკითხებიან ხოლმე რჩევებს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე. მიუღიათ თუ არა მხედველობაში თქვენი მოსაზრებები სახელმწიფო მმართველ სტრუქტურებში?

ა.ბ. – არც ერთი ხელისუფლების დროს, არც კომუნისტური, არც 28 ოქტომბრის, არც დღეს, 11 ოქტომბრის ხელისუფლების ჟამს, ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს. თუ ფიქრობენ, რომ მე ვინმე რამეს მეკითხება, ისინი მწარე სიცრუის მსხვერპლნი არიან. რაკი არავინ არაფერს მეკითხება, ბუნებრივია, ვერც რაიმეს გაითვალისწინებდნენ და მხედველობაში მიიღებდნენ.

ქ.ხ. – დღეისათვის ყველაზე მწვავე პრობლემად აფხაზეთის საკითხი ითვლება. თქვენი აზრით, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებელი სამშვიდობო მოლაპარაკებები? როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

ა.ბ. – იმ პოლიტიკით, რასაც დღეს ადგას ხელისუფლება, აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი სამუდამოდ დაკარგულია. აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი რომ დაიბრუნოს საქართველომ, ამისათვის აუცილებელია ხელისუფლების შეცვლა, აუცილებელია ახალი ხელისუფლების მოსვლა, რომლისთვისაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესი წმიდათაწმიდა იქნება.

ქ.ხ. – ბ-ნო აკაკი, ხომ არ აპირებთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?

ა.ბ. – ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორი საარჩევნო კანონი გამოქვეყნდება. დავუცადოთ ამ კანონს და შემდეგ ვილაპარაკოთ.

გაზ. «ალია”,
28 დეკემბერი. 1994

სიამოვნებას მივანიჭებ, ვისაც ვძულვარ

გუბაზ მეგრელიძე – ბატონო აკაკი, არაერთხელ გითქვამთ, რომ შორს დგახართ პოლიტიკისაგან. ამავე დროს, ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდით საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საკუთარ აზრს მკვეთრად გამოხატავდით. მაშინ საზოგადოებრივი აზრი თქვენს მხარეზე იყო. დღეს გრძნობთ ხალხის მხარდაჭერას?

აკაკი ბაქრაძე – რამდენად მიჭერს ხალხი მხარს, ეს არჩევნების დღეს, 5 ნოემბერს, გამოჩნდება. ჯერჯერობით კი იმისი თქმა შემიძლია, რომ ხალხი დაუჭერს მხარს იმ კანდიდატს, რომელსაც ყველაზე მკაფიო პროგრამა ექნება ორი ძირითადი პრობლემის მოსაგვარებლად – ეკონომიკური პრობლემისა და ოკუპირებული ქართული ტერიტორიის დაბრუნებისა.

გ.მ. – რა გზას ხედავთ დაკარგული ტერიტორიების აღსადგენად?

ა.ბ. – ამაზე ბევრჯერ მილაპარაკია. ხალხისათვის ეს ცნობილია და გამეორებას აზრი არა აქვს.

გ.მ. – თუ პრეზიდენტი გახდით, ამ საკითხთან დაკავშირებით ელცინს თუ შეხვდებით და როგორ ფიქრობთ, მოიტანს თუ არა იგი სასურველ შედეგს?

ა.ბ. - ელცინთან შეხვედრა სასურველ შედეგს არ მოიტანს. ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ჩემზე ბევრად უკეთ იცნობს ელცინს და შეიძლება ვთქვათ კიდეც, რომ მეგობრობენ, ბევრჯერ შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს, მაგრამ ჩვენთვის არავითარი დადებითი შედეგი ამას არ მოყოლია. ვითარება იოტის ოდენადაც არ შეცვლილა. რუსეთს თავისი პოლიტიკური მიზნები აქვს საერთოდ კავკასიის მიმართ და კერძოდ საქართველოსადმი. ეს მიზანი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ცალკეული პოლიტიკური ხელმძღვანელი მას ვერ შეცვლის. ეს პოლიტიკური მიზანი მაშინ შეიცვლება, როცა რუსეთი უარს იტყვის თავის კოლონიურ იმპერიაზე და ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება. ჯერჯერობით იგი კბილებით ებღაუჭება თავის კოლონიურ იმპერიას. მაშასადამე, არც მისი მიზანი შეიცვლება. ჩვენ თავად უნდა ვაიძულოთ რუსეთი ჩვენდამი დამოკიდებულება შეცვალოს და პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტს. ეს რომ შესაძლებელია, ჩეჩნებმა დაამტკიცეს, თუ ჩვენ ისეთსავე სიმტკიცეს გამოვიჩენთ, როგორიც ჩეჩნებმა გამოავლინეს, მოსკოვში სირბილი არ დაგვჭირდება.

გ.მ. – ბატონო აკაკი, თქვენი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, რა რეფორმებს გაატარებთ?

ა.ბ. – ვერავითარი რეფორმები ვერ განხორციელდება მანამ, სანამ არ გადაწყდება საკუთრების პრობლემა. რეფორმების განსახორციელებლად აუცილებელია მყარი და

აწყობილი ეკონომიკა. ეკონომიკის ასაწყობად და სიმყარისათვის კი – კერძო საკუთრება. ფორმულა ასეთია: საკუთრების ფორმის დადგენა – ამის საფუძველზე ეკონომიკის განვითარება – რეფორმების განხორციელება. სხვაგვარად რეფორმების განხორციელება შეუძლებელია.

გ.მ. – რა ღონისძიებებს გაატარებდით მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის?

ა.ბ. – როცა ეკონომიკური აღორძინება დაიწყება, მოსახლეობის სოციალური დაცვაც შესაძლებელი გახდება. უამისოდ მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე ლაპარაკი ზედმეტია. უბრალოდ ტყუილი იქნება ეს.

გ.მ. - როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება კავკასიური სახელმწიფოებისადმი?

ა.ბ. – კეთილმეზობლური. ჯერ კიდევ ლეონტი მროველმა ჩამოაყალიბა იდეა კავკასიელი ხალხების ძმობისა. ეს იდეა ქართული სამეფო კარის იდეა იყო. მას პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა. მართალია, დღეს კეთილმეზობლური ურთიერთობის გატარება იოლი არ არის, იმდენი მტრობა და შუღლი დაითესა კავკასიელთა შორის, მაგრამ ეს აუცილებელია. ჩვენ ყველამ, ქართველებმაც და სხვებმაც, უნდა დავძლიოთ ეს მტრობა-შუღლი და მოვძებნოთ საერთო ენა ჩვენი მომავლის ასაშენებლად.

გ.მ. – როგორ ფიქრობთ, ქართველებისათვის საამაყო ზნეობა, სამშობლოს სიყვარული სად გაქრა?

ა.ბ. – არსად, ისევ ქართველებშია. თუ დაკვირვებიხართ, ზოგჯერ ყველაზე უფრო თავაზიანი, ზრდილი, განათლებული ადამიანი ატეხს ჩხუბსა და ალიაქოთს. ყველა გაკვირვებული მისჩერებია, რა დაემართაო ამ კაცს. არაფერი დამართია. ყოველ ადამიანში არის დადებითი და უარყოფითი ენერგია. როცა უარყოფითი ენერგია დაგროვდება ადამიანში, იგი უნდა გადმოიღვაროს. ამ ვითარებაში კარგავს წონასწორობას ესა თუ ის ზრდილი, თავაზიანი და განათლებული ადამიანი. გადმოიღვრება ეს უარყოფითი ენერგია და ადამიანი ისევ თავის ნამდვილ სახეს უბრუნდება.

ასევეა მთელი ერიც. ერსაც აქვს დადებითი და უარყოფითი ენერგია. როცა ერს უარყოფითი ენერგია დაუგროვდება, ისიც უნდა გადმოიღვაროს. უკანასკნელ წლებში ქართველ ხალხს უარყოფითი ენერგია დაუგროვდა და იგი იღვრება. მალე გადმოღვრის პროცესი დამთავრდება და ქართველი ხალხი დაუბრუნდება თავის დადებით ბუნებას.

გ.მ. – თქვენ პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, რომ არსებული პროცესები თავისით, ბუნებრივად დალაგდება. ამიტომაც პოლიციის შეფის დ. მიქაძის «რისხვა" დაიმსახურეთ. მან განაცხადა – ჩვენ ამდენს ვშრომობთ და აკაკი ბაქრაძე ვერ ხედავსო. რას იტყვით ამის შესახებ?

ა.ბ. – მე პრესკონფერენციაზე ცოტა სხვანაირად ვთქვი. ჩემი აზრი ასეთი იყო: ადამიანი, როგორც ცალკეული, ისე მთელი საზოგადოება, მიდრეკილია წესრიგისაკენ, მშვიდი ცხოვრებისაკენ. არც ადამიანს ცალკე აღებულს და არც მთელ საზოგადოებას მუდმივ ქაოსში, უწესრიგობაში, ფორიაქში ცხოვრება არ შეუძლია. როგორც კონკრეტული ადამიანი, ისე მთელი საზოგადოება თანდათან წყნარდება და სიმშვიდესა და წესრიგს დაეძებს. ჩვენს საზოგადოებაში უკვე დგება ეს დრო. ხელისუფლებამ იგი უნდა გამოიყენოს. უფრო აქტიურად წარმართოს საქმიანობა. არავის შრომის დამცირება აზრად არ მქონია.

გ.მ. – თქვენ არც ერთი რეჟიმის დროს ხელისუფლება არ «გწყალობდათ". როგორ ხსნით ამ გარემოებას?

ა.ბ. – ხელისუფლების და პიროვნების ურთიერთობა ყოველთვის კონფლიქტურია. ხელისუფლება ცდილობს პიროვნება ჰყავდეს მორჩილებაში. პიროვნება კი ცდილობს იყოს თავისუფალი. ეს კონფლიქტი მარადიულია. და ეს კარგია, რადგან შემოქმედების

საფუძველია. თუ პიროვნება მორჩილი ხდება, იგი კარგავს შემოქმედებით ნიჭსა და უნარს. ამგვარი დაპირისპირებით არის გამოწვეული ჩემი კონფლიქტიც ყველა ხელისუფლებასთან.

გ.მ. – პრესაში თქვენს წინააღმდეგ აქტიური ანტიკამპანია მიმდინარეობს (გაზეთებს «მთაწმინდასა" და «კომუნისტურ პარტიას" ვგულისხმობ). რას იტყვით ამის შესახებ?

ა.ბ. – არაფერს განსაკუთრებულს. ჩვეულებრივი ამბავია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალტერ შეელი აგროვებდა იმ კარიკატურებს, რომელნიც მასზე იბეჭდებოდა პრესაში. მერე ამ კარიკატურების გამოფენა მოაწყო. მანაც და საზოგადოებამაც დიდად ისიამოვნეს და იცინეს. შეელის მიბაძვით, მეც ვაგროვებ იმ სტატიებს, რომელშიაც თავდაუზოგავად მაკრიტიკებენ. ერთ მშვენიერ დღეს, როცა საშუალება მექნება, ცალკე წიგნად გამოვცემ. ამით სიამოვნებას მივანიჭებ იმათ, ვისაც ასე ვძულვარ.

გაზ. «დრო",
№2, 1995

საქართველოს მესამედ ოკუპაცია

ხათუნა რეხვიაშვილი – 1995 წ. 22 მარტს, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ შექმნილი დოკუმენტის პარაფირება მოახდინეს რუსეთისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრებმა – პავლე გრაჩოვმა და ვარდიკო ნადიბაიძემ.

ამ დოკუმენტში დაფიქსირებულია ქართული მხარის განსაკუთრებული აზრი: ხელშეკრულებას მსვლელობა მიეცემა მხოლოდ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.

საკითხის აქტუალობის გამო, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, საჯაროდ განვიხილოთ ქართული ჯარის ჩამოყალიბების, უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე დაკანონების პირობების და ვადების საკითხი.

ნიჰილიზმი კარგს არაფერს მოგვიტანს. დაშვებულ შეცდომებზე გაუთავებელი საუბრის და წუწუნის დრო აღარ არის. საჭიროა კონკრეტული გადაწყვეტილებები. შექმნილ მძიმე მდგომარეობაში გამოსავალი მხოლოდ რეალური შესაძლებლობების შეფასებით და ხელშეკრულების საფუძვლიანი არგუმენტირებული ანალიზის საფუძველზე უნდა ვეძიოთ. საკითხი ძალზე მწვავეა და სერიოზული. მხოლოდ ემოციებმა შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. ამიტომ შევეცდებით პერიოდულად შემოგთავაზოთ პოლიტიკოსთა და სპეციალისტთა აზრი.

კითხვები შემდეგია:

1. რუსეთ-საქართველოს პარაფირებული სამხედრო ხელშეკრულების პოლიტიკური შეფასება
2. კვოტების გადანაწილება ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის
3. ხელშეკრულების მნიშვნელობა ქართული ჯარის ფორმირებაში
4. საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების განლაგების ვადების განსაზღვრა

აკაკი ბაქრაძე – ამ ხელშეკრულებით დასტურდება რუსეთის მიერ საქართველოს მესამედ ოკუპაცია ქართველებისვე ხელშეწყობით. საქართველო ამ ხელშეკრულებით კაბალურ მდგომარეობაში რომ იგდებს თავს, ამას არც ქართველი რუსეთუმეები

უარყოფენ, მაგრამ ხალხს იმით ანუგეშებენ, რომ რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის ოლქს დაგვიბრუნებსო. მტკნარი სიცრუეა ეს – არ დაგვიბრუნებს!

ერთი კითხვა დავსვათ: რატომ დამარცხდა საქართველო აფხაზეთის ომში? ამ კითხვას სამი პასუხი შეიძლება ჰქონდეს.

ა) ან აფსუაები (ოსებიც) იმდენად გულადი, მამაცი, მეომარი ხალხია, რომ მიუხედავად მცირერიცხოვნებისა (სულ 80000-ია), დაამარცხეს მათზე ბევრად მრავალრიცხოვანი (4 მილიონამდე), მაგრამ ლაჩარი და ქალაჩუნა ქართველები.

ბ) ან აფხაზეთში ქართული ჯარი გაყიდა სარდლობამ (საერთოდ, ხელისუფლებამ) და ქართული მიწა-წყალი მტერს მისცა.

გ) ან აფსუაების უკან რუსეთი იდგა. რუსეთი ეომებოდა საქართველოს და ამან გამოიწვია ქართველთა დამარცხება.

დამარცხების პირველ ორ მიზეზს კატეგორიულად უარვყოფთ ან ყველანი (ისინიც კი, ვინც რუსეთს მამა-მარჩენალს ეძახის) ერთხმად ვამტკიცებთ, რომ საქართველო დაამარცხა რუსეთმა და აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი წაგვგლიჯა.

თუ ასეა, თუ რუსეთმა დაგვამარცხა, რატომღა შეგვიბრალებს და დაგვიბრუნებს იმას, რაც ომითა და სისხლისღვრით წაგვართვა?

მოსკოვმა უბრძანა აფხაზებს – საქართველოს წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეთო, - მოაწყვეს.

მოსკოვმა უბრძანა – ქართველი მოსახლეობა საკუთარი მიწა-წყლიდან გარეკეთო, - გამოგვრეკეს. ვინც დარჩა, იმათი რეგულარული ამოწყვეტა მიმდინარეობს.

მოსკოვმა უბრძანა აფსუაებს - ქართველთა არც ერთ წინადადებას არ დათანხმდეთ, აფხაზეთი რუსეთის ნაწილად გამოაცხადეთო, - ასეც იქცევიან.

ასეთი ყურმოჭრილი ყმები რატომ უნდა დაჩაგროს რუსეთმა, გაწეული სამსახური არ დაუფასოს, აფსუათაგან დაღვრილ სისხლს მიაფურთხოს და აფხაზეთი საქართველოს დაუბრუნოს? ამას რუსეთი არ გააკეთებს და ვერც გააკეთებს. ვერ გააკეთებს არა მარტო იმიტომ, რომ აფსუაების «ღვაწლს” ანგარიში უნდა გაუწიოს, არამედ იმიტომაც, რომ რა პასუხი უნდა გასცეს ე.წ. «კავკასიის ფედერაციას”. ჩეჩნეთში ომმა უტყუარად დაადასტურა, რომ ე.წ. «კავკასიის ფედერაცია” რუსეთის სუკ-ის მიერ შექმნილი ორგანიზაციაა. როცა აფხაზეთში ომი მიმდინარეობდა, «კავკასიის ფედერაცია” ძალიან ფაფხურობდა, მუშტებს იქნევდა და იმუქრებოდა, შარაგზის ავაზაკებს აგროვებდა და საქართველოში აგზავნიდა, როგორც კი ჩეჩნეთში დაიწყო ომი, «კავკასიის ფედერაცია” სოროში შეძვრა, გაიტრუნა და ხმა გაკმინდა. ჩეჩნეთში ჩეჩნების დასახმარებლად ერთი კაციც კი არ გაუგზავნია. «კავკასიის ფედერაცია” მოქმედების ასპარეზიდან შარშანდელი თოვლივით გაქრა. თუ რუსეთი აფხაზეთს დაუბრუნებს საქართველოს, მაშინ რატომ შექმნა «კავკასიის ფედერაცია”, რატომ დახარჯა ზღვა ფული ამ ჯაშუშური ორგანიზაციის შესანახად?

საქართველოსთვის აფხაზეთის წართმევა რუსეთს XX საუკუნის დასაწყისშიც უნდოდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთის კოლონია იყო. საქართველო მთლიანადაც და ნაწილ-ნაწილ რუსეთს ეკუთვნოდა. თითქოს არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა წართმევისა და მაინც ართმევდა. იმიტომ, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც აფხაზეთი ეწოდება, რუსი მოსახლეობა უნდა ცხოვრობდეს. სამხედრო თვალსაზრისით, ეს მოსახლეობა უნდა აკონტროლებდეს კავკასიას – როგორც იმიერს, ისე ამიერს.

ასე რომ, ფუჭ ოცნებას ნუ მივეცემით: რუსეთი აფხაზეთს არ დაგვიბრუნებს. «დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაშიც” საქართველო იმ იმედით შევიდა, რომ რუსეთი აფხაზეთს დაგვიბრუნებსო, მაგრამ ხვიშტი შეგვრჩა ხელში. არაფერს

ვამბობ იმ უთვალავ ხრიკზე, რითაც საუკუნეების მანძილზე აცუცურაკებდა რუსეთი საქართველოს. 25-წლიანი ხელშეკრულებაც მორიგი მოტყუებაა.

აბა, რა ვქნათ, როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთი, - გაისმის აქა-იქ წუწუნი.

აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა ორი გზით შეიძლება;

ან საქართველომ უნდა აღიაროს თავისი დამარცხება, თავისი უძლურება და დათმოს აფხაზეთი,

ან შექმნას ძლიერი ბრძოლისუნარიანი არმია, რომელსაც შეეძლება საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა, მტრის დამარცხება, ექნება ძალა იმისა, რომ აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, დაიბრუნოს აფხაზეთი ომით, ბრძოლით.

სხვა გზები აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად არ არსებობს. საქართველომ ამ ორიდან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ეს გზა, კარგია იგი თუ ცუდი.

ზოგიერთი იმით გვანუგეშებს, რომ სხვა ძლიერ ქვეყნებსაც (კონკრეკულად, აშშ-ს) აქვთ ბაზები ამა თუ იმ ქვეყანაში. მართალია, აქვთ, მაგრამ ეს ჩვენთვის რა ნუგეშია? გუანტანამო (აშშ-ის ბაზა კუნძულ კუბაზე) გეოგრაფიულად ეკუთვნის კუბას, თორემ ამ ტერიტორიაზე კუბის სახელმწიფო იურისდიქცია არ ვრცელდება. ფიდელ კასტრო ბევრს ეცადა, გაეძევებინა გუანტანამოდან ამერიკელები, მაგრამ ვერას გახდა. დარჩა და დარჩა იგი აშშ-ს. ასეთი გუანტამო, როგორც ამბობენ, რუსეთს საქართველოში ოთხი ექნება. როგორც მოისურვებს, ისე იპარპაშებს.

პანამის ხელისუფლებაც ძალიან ცდილობს, დაატოვებინოს აშშ-ს ჯარს პანამის არხის ზოლი, მაგრამ არაფერი გამოსდის. პირიქით, როცა გენერალმა ნორიეგამ ანტიამერიკული პოლიტიკის გატარება დაიწყო, აშშ-მა დაიჭირა და ციხეში ჩააგდო ბრალდებით – ნარკოტიკებით ვაჭრობდაო. უცხო სახელმწიფო დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტს იჭერს, ასამართლებს და საპყრობილეში ამწყვდევს. ისტორიაში გაუგონარი ამბავია ეს. მაგრამ ამას აშშ აკეთებს ძლიერის უფლებით და იმის საშუალებით, რომ პანამის ტერიტორიაზე აშშ-ის არმია დგას.

საუბედუროდ, ასე მოხდება საქართველოშიც. საკმარისია, რუსეთს არ მოეწონოს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა, რომ მაშინვე დაიჭერენ სახელმწიფო მეთაურს, გაასამართლებენ და სატუსაღოში უკრავენ თავს. დააბრალებენ, ნარკოტიკებით ვაჭრობდაო. მე შენ გეტყვი და, საქართველოს ნარკომანები აკლია თუ ნარკოტიკებით ვაჭარნი.

ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც იყო სსრკ-ის სამხედრო ბაზები. ამ ბაზების წყალობით, გდრ დამოუკიდებელი სახელმწიფო კი არ იყო, არამედ სსრკ-ის ნაწილი, სსრკ-ის ნების ამსრულებელი. მოსკოვის თვინიერ გდრ თითსაც ვერ გაანძრევდა. ეს ერთი. მეორეც: როცა გერმანია გაერთიანდა და გდრ-დან რუსეთის ჯარი წამოვიდა, ამ ბაზებში ისეა განადგურებული ყველაფერი (მიწაც კი), რომ მის აღდგენას მილიარდობით მარკა დასჭირდება.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ცხადია, რომ უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები ამა თუ იმ ქვეყანაში კოლონიალიზმის სახეობაა. საქართველოც რუსული კოლონიალიზმის ახალ სისტემაში შევიდა. იყო ცარისტული კოლონია, მერე კომუნისტურ კოლონიად იქცა, ახლა «დემოკრატიული" კოლონია გახდა.

ისიც ფუჭი იმედია, რომ თუ რუსეთი აფხაზეთს არ დაგვიბრუნებს, 25-წლიან სამხედრო ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტი რატიფიკაციას არ მოახდენსო. სახელმწიფოს მეთაურიც ხელს მოაწერს და პარლამენტიც სულ ტაშის ტკაცა-ტკუცით ჩაატარებს რატიფიკაციას. ამგვარი სურათის მოწმე არაერთგზის ვყოფილვართ.

იარაღის იმ რაოდენობით, რასაც საქართველოს რუსეთი არგუნებს, ერთ ბანდიტსაც ვერ დაიჭერ, არათუ ქვეყანას დაიცავ, მის ტერიტორიას, სახელმწიფოებრიობას, დაიბრუნებ მტრის მიერ ოკუპირებულ მიწა-წყალს. სხვათა შორის, წიგნში «ჰიტლერის საუბარი მაგიდასთან ფიურერის მთავარ ბინაში", ნაცისტური გერმანიის თავკაცი ამბობს – დაპყრობილისათვის იარაღის მიცემაო ყველაზე დიდი შეცდომა დამპყრობელისა. ეს მარტივი ჭეშმარიტება მოსკოვმაც კარგად იცის. ამიტომ სასაცილოა ლაპარაკი რაიმე კვოტებზე. ხელშეკრულების ძირითადი მიზანია, საქართველო აღარ იყოს დამოუკიდებელი და ისევ დარჩეს რუსეთის კოლონიად. კვოტებიც ამის შესაბამისად არის განსაზღვრული.

ქართული ჯარი აღარ შეიქმნება, იქნება რუსეთის არმიის ერთ-ერთი დივიზია, რომელშიც ქართველები იმსახურებენ. დაახლოებით იქნება ისე, როგორც 20-იან წლებში ანდა მეორე მსოფლიო ომის დროს იყო. არსებობდა ე.წ. ქართული დივიზიები, რომელიც სსრკ-ის არმიის ნაწილი იყო. ეს აღიარა კიდეც დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთმა მეთაურმა – «რუსული ყაიდის ქართული ჯარი" ჩამოყალიბდებაო (ანუ ქართველები რუსულ ჯარში იქნებიან). გულახდილად არის ნათქვამი – საქართველოს ჯარი აღარ ეყოლება. 25-წლიანი ხელშეკრულებაც ამ მიზანს ემსახურება.

ეს ვადა უკვე სამუდამოა. 25-წლიანი ხელშეკრულების ვადა სადღაც 2020 წელს დამთავრდება. ამ დროის მანძილზე, ისედაც საქართველოში მტკიცედ ფეხმოდგმული რუსეთი, ისე მყარად დამკვიდრდება ჩვენში, რომ ყოველგვარი ოცნება საქართველოს თავისუფლება-დამოუკიდებლობაზე სამუდამოდ დასამარდება. საერთოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ 21-ე საუკუნეში კაცობრიობას ეროვნული თავისუფლების იდეა აღარ დააინტერესებს. იგი ამ იდეის მიმართ სრულიად გულგრილი გახდება, თუ თავისუფლება-დამოუკიდებლობის თვალსაზრისით რაიმეს მოვახერხებთ, ამ დარჩენილ 5-6 წელიწადში უნდა შევძლოთ. თუ ეს დრო გაგვექცა, მაშინ თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის იდეა საბოლოოდ დამარცხდება.

ამიტომ, დღეს ქართველი ხალხის, ყოველი ქართველის უპირველესი ვალია, ყველა პოლიტიკური ღონე იხმაროს და უარყოს 25-წლიანი სამხედრო ხელშეკრულება.

გაზ. «კავკასიონი",
19 აპრილი, 1995

ინტერვიუ... ინტერვიუ...

ლანა შიუკაშვილი – ბატონო აკაკი, თვლით თუ არა, რომ ქართველი ერის მომავალში რელიგია გადამწყვეტ როლს შეასრულებს?

აკაკი ბაქრაძე – იმ შემთხვევაში თუ ქართული ეკლესია შრომის სიყვარულს აღზრდის ქართველ ხალხში. ადამიანს ღმერთთან ურთიერთობა შრომით აქვს. ღმერთი შემოქმედია. ეს უმშვენიერესი სამყარო მისი შექმნილია. თუ ადამიანს მართლა სურს იყოს სახედ ღვთისად შექმნილი, მაშინ იგი აუცილებლად უნდა ეწეოდეს შემოქმედებითს შრომას, როცა ვამბობ «შემოქმედებითს", სრულებით არ ვგულისხმობ მის მარტივ გაგებას – ლექსების წერას, ხატვას, მსახიობობას, მუსიკოსობას და ა.შ. ვგულისხმობ მის ფართო გაგებას. როცა ადამიანი მიწას ხნავს, ბაღ-ბოსტანს უვლის, აშენებს, გზები გაჰყავს, შოფრობს, ტრაქტორისტობს, მეცხოველეობას ემსახურება და ა.შ., იგი დიდ შემოქმედებითს შრომას ეწევა. ამ შრომაში უნდა იყოს უმაღლესი მიზანი – შრომით ღმერთთან ურთიერთობა. შრომის სიყვარული ადამიანში ოჯახმაც უნდა

აღზარდოს, სკოლამაც, მეცნიერებამაც, მწერლობა-ხელოვნებამაც, მაგრამ რელიგიას ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია.

ზნეობრივი ადამიანის აღზრდაც შრომით შეიძლება. მშრომელი ადამიანი არასოდეს გახდება ბოროტმოქმედი. ბოროტმოქმედი ხდება შარახვეტია, უქნარა, მუქთახორა. რაკი რელიგიის ერთ-ერთი მიზანი ზნეობრივი ადამიანის აღზრდაც არის, ეს საქმიანობაც შრომასთან უნდა დაკავშირდეს.

უშრომლად არ არსებობს არც ზნეობა და არც ღმერთის სიყვარული. თუ ქართული ეკლესია ამას გააგებინებს ქართველ ხალხს და ამ რწმენას შთაუნერგავს, იგი დიდ როლს შეასრულებს საქართველოს აღორძინებაში. ,,... საქმეთაგან განმართლდების კაცი და არა სარწმუნოებისაგან ხოლო" (მოციქული იაკობის ეპისტოლე, II. 2").

ლ.შ. – განვითარების რა ეტაპზე დგას დღევანდელი ქართული ლიტერატურა?

ა.ბ. – მე-20 საუკუნის ქართული მწერლობა დიდი მწერლობაა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მე-20 საუკუნეში დაიწერა აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვასილ ბარნოვის, დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელის, ჭოლა ლომთათიძის და სხვათა ბევრი თხზულება. საკმარისია იმის თქმაც, რომ მე-20 საუკუნეში დაიწყეს და დაამთავრეს თავიანთი შემოქმედება გალაკტიონ ტაბიძემ, ნიკო ლორთქიფანიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, გრიგოლ რობაქიძემ, კოლაუ ნადირაძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გიორგი ლეონიძემ, ტიციან ტაბიძემ და ბევრმა სხვამ. დღესაც ბევრი ნიჭიერი მწერალი მოღვაწეობს. ეს მწერლობა ერთიანია. მისი გაყოფა არ შეიძლება დღევანდელად და გუშინდელად.

ყოველი ადამიანი თავის სამშობლოს, თავის ხალხს მაშინ ემსახურება, როცა იმ საქმეს, რომელიც პროფესიად აირჩია, ზედმიწევნით კარგად აკეთებს.

არის ასეთი ფილმი – «ხიდი მდინარე კვაიზე". მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელებს ინგლისელი ტყვე ოფიცრები და ჯარისკაცები ჯუნგლებში მიჰყავთ. მდინარე კვაიზე ხიდი უნდა ააშენონ. ამ ხიდზე ფრონტზე მიმავალმა იაპონიის არმიამ უნდა გაიაროს. ინგლისელი ოფიცრები და ჯარისკაცები უარს ამბობენ ააშენონ ხიდი. მაგრამ მათ მეთაურ პოლკოვნიკს სხვა აზრი აქვს. იგი თანახმაა ააშენოს ხიდი. გაოცებულ თანამებრძოლებს ეუბნება: ჩვენ ინგლისელები ვართ. ჩვენ ვაშენებთ და არ ვანგრევთ. ომის შემდეგ, როცა ამ ხიდზე გაივლიან ადამიანები, უნდა თქვან – ეს ხიდი ინგლისელებმა ააშენესო.

ასეა: თუ ჩვენ საქართველოს გადარჩენა გვინდა, საქმე ისე უნდა ვაკეთოთ, რომ ათეული წლების შემდგომ აღტაცებულმა შთამომავლობამ თქვას – ეს მე-20 საუკუნის ქართველების ნახელავია.

მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობას შეუძლია ამის თქმა. ამას ბევრი წიგნი ადასტურებს, რომელთაც ახლა აღარ ჩამოვთვლი. გალაკტიონ ტაბიძე კი არ იკვეხნიდა, სიმართლეს ამბობდა – «და იშვიათად თუ მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის". დიახ, ქართული მე-20 საუკუნე ქართული მწერლობის, ქართული ხელოვნების საუკუნეა და არა ბოლშევიკ-კომუნისტებისა.

ახლა მე-20 საუკუნე მთავრდება და ოცდამეერთე იწყება. ქართული მწერლობის ახალი აღორძინება ოცდამეერთე საუკუნეში დაიწყება.

ლ.შ. – მოგეხსენებათ, დღეს საქართველოში გაზეთების ბუმია. რა აზრის ბრძანდებით ამის შესახებ?

ა.ბ. – ჩემი აზრით, გაზეთის ძირითადი დანიშნულებაა ახალთახალი, ცინცხალი, მრავალმხრივი, მართალი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას. ბუნებრივია, გაზეთი, რომელიც კვირაში ერთხელ, მით უმეტეს, თვეში ერთჯერ, გამოდის, ამას ვერ მოახერხებს. მათი ინფორმაციები უკვე მეტად მოძველებული იქნება. ამიტომ ვერ

ვიტყვი, რომ დღეს საქართველოში გაზეთების ბუმია. უფრო მართალი ვიქნებოდით თუ ვიტყოდით, რომ ნაბეჭდი ფურცლების ბუმია.

ქართველს თეორეტიკოსობის ჭია ჭამს. თეორიულად ყველამ კარგად ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ და როგორ , როგორ უნდა მოვიქცეთ და როგორ – არა, რა არის საჭირო და რა – არა. მაგრამ პრაქტიკულად ყველა უძლური ვართ და ვერაფერს ვაკეთებთ. ქვეყანაც თავზე გვენგრევა. დღევანდელი გაზეთად წოდებული ფურცლებიც ამ თეორიული ჭიის დაკმაყოფილებას ემსახურება. დააკვირდით, «გაზეთები" სულ თეორიული სჯა-ბაასით არის სავსე. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ «თეორიული ვულკანი" მალე ამოიფრქვევა, დაცხრება და გაზეთებიც იმდენი იქნება, რამდენიც საჭიროა. ისეთი იქნება, როგორიც საჭიროა.

ლ.შ. – სტატისტიკურად, განვითარებულ ქვეყნებში შობადობა კლებულობს, შედარებით განუვითარებელ ქვეყნებში _ მატულობს. რით ახსნით იმას, რომ საქართველოში შობადობამ ძალიან დაიკლო.

ა.ბ. – შობადობის ზრდა და კლება ბუნების კანონებს ემორჩილება. ადამიანის სურვილი ნაკლებ ზეგავლენას ახდენს მასზე. ჩვენ ბევრიც რომ მოვისურვოთ გამრავლება, მაინც ვერ გავმრავლდებით, თუ ეს არ უნდა ბუნების კანონზომიერებას, რომელიც შეუცნობელია ადამიანისათვის. ასევე არ მოიკლებს შობადობა, თუ ისევ ბუნების კანონზომიერებას არ უნდა ეს. სიცოცხლის არსებობა ადამიანზე არ არის დამოკიდებული. მას შეუცნობელი ღვთაებრივი ძალა განაგებს. ამ ძალამ იცის – როდის უნდა იზრდებოდეს შობადობა და სად. მანვე იცის, როდის უნდა კლებულობდეს იგი და სად. სტატისტიკა იმას ითვლის, რაც არის, მაგრამ წარმოდგენაც არ აქვს იმაზე – რატომ არის ასე. თქვენი კითხვის პასუხს მაშინ შევძლებდი, ბუნების ღვთაებრივი საიდუმლოს ამოცნობა რომ შემეძლოს. ჩემდა სამწუხაროდ, ეს არ ძალმიძს.

ლ.შ. – რას უსურვებთ ჩვენს გაზეთს?

ა.ბ. – გახდეს ნამდვილი გაზეთი და არა ნაბეჭდი ფურცელი.

გაზ. «პარადოქსი",
№1, 1995

შემოქმედი პოლიტიკას უბრუნდება

სანდრო ბრეგაძე – ბატონო აკაკი! ჩვენი საუბრის ძირითადი თემა საქართველო და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია იქნება. აქედან გამომდინარე უპრიანია გადმოგვცეთ თქვენი მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობა და დღევანდელი გადასახედიდან შეაფასოთ ყოველივე.

აკაკი ბაქრაძე – გულახდილად რომ გითხრათ, ძალიან მომწყინდა პოლიტიკაზე გაუთავებელი ლაპარაკი. მით უფრო, რომ ვერაფერი შვილი პოლიტიკოსები გამოვდექით. ქვეყანა დავაქციეთ და ვითარების გამოსწორებას ჯერჯერობით საიმედო პირი არ უჩანს. ჩემი სურვილი რომ იყოს, გაცილებით მეტი გატაცებით ვისაუბრებდი კულტურის, სიტყვაკაზმული მწერლობისა და ხელოვნების პრობლემებზე, ვიდრე პოლიტიკაზე.

ხელოვნება ადამიანის ცნობიერებას ათავისუფლებს დოგმებისა და თარგებისაგან, პოლიტიკა კი პირიქით: დოგმისა და თარგის ჩარჩოში ჭედავს ადამიანის ცნობიერებას. ამა თუ იმ დოგმით გონდაბნელებული ადამიანები მომავალ საქართველოს ვერ

ააშენებენ. XXI საუკუნის საქართველო იმ ადამიანებს შეუძლიათ ააშენონ, ვისი აზროვნებაც თავისუფალია და არ არის შებოჭილი დოგმებისა და თარგების არტახებით. სულერთია როგორია ეს დოგმა, რელიგიური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, თუ სხვაგვარი.

მართალია, ხელოვნება-მწერლობის ბედი დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაშიც შეიძლება მწერლისა და ხელოვნის აქტიური საქმიანობა. ოღონდ ამას თავგამოდებული შრომა სჭირდება. ჩვენ არ უნდა ვუცადოთ, როდის დადგება საქართველოში ნივთიერი კეთილდღეობა. ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ერის სულიერი ცხოვრების შეფერხება კი არაფრით არ შეიძლება.

უდავოა, ამა თუ იმ ქვეყნის ძლიერება ეკონომიკას ეყრდნობა, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იგი კულტურასაც ეფუძნება. ამის დამადასტურებელი მაგალითების მოხმობა შორს წაგვიყვანდა. მხოლოდ ერთს გაგახსენებთ: მარტო გარიბალდის მხედრებმა კი არ დაამარცხეს ავსტრიის იმპერია, არამედ იტალიურმა მუსიკამაც. როცა მთელი ვენა იტალიურად მღეროდა, ავსტრიის იმპერია უკვე წელში გაწყდა. ვერდის ჰანგები უფრო ძლიერად მუსრავდა ავსტრიის იმპერიის ძლიერებას, ვიდრე იტალიელი ჯარისკაცის ტყვია.

საქართველო მაშინ გაიმარჯვებს, როცა ეკონომიკური და კულტურული აღორძინების პრობლემას თანაბრად გადაჭრის და მოაგვარებს.

ს.ბ. – ამ ბოლო ხანს მოდური გახდა ეროვნული მოძრაობის განქიქება. ალბათ, დროა, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

ა.ბ. – ეროვნულმა მოძრაობამ თავისი ძირითადი მისია შეასრულა: საქართველო გაიყვანა და დააყენა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზაზე. თავისუფლება-დამოუკიდებლობის მოპოვება არასოდეს, არც ერთ ეპოქაში, არც ერთ ქვეყანაში იოლი არ ყოფილა. იგი უმძიმესი გამოცდაა მთელი ერისა. ამ გამოცდას ქართველმა ხალხმა უნდა გაუძლოს. ჩვენ, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან გულუბრყვილონი ვიქნებოდით, თუ ვიფიქრებდით, რომ საქართველოს ვინმე დამოუკიდებლობა-თავისუფლებას ხონჩით მიართმევდა და არავითარი გასაჭირი და განსაცდელი არ შეხვდებოდა. ისეთი უზარმაზარი და მძლავრი იმპერია, როგორიც რუსეთის იმპერიაა, ადვილად არ იშლება. ამ დაშლას სისხლიც უხვად ახლავს, ეკონომიკური სიდუხჭირეც და ზნეობრივი დაქვეითებაც. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს უამრავი მტერი ჰყავს როგორც გარეთ, ისე შიგნით, ჩვენში რაც მოხდა, იმან არ უნდა დაგვაბნიოს. საქართველო საუკუნეების მანძილზე არ ყოფილა დამოუკიდებელი და თავისუფალი. ხან ირანის ყმა იყო, ხან თურქეთის, ხან რუსეთის. ქართველმა კაცმა არ იცის, რა არის ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ამ მდგომარეობაში მძიმე შეცდომები სრულებით არ ყოფილა გამორიცხული. ეს შეცდომები ეროვნულ მოძრაობასაც მოუვიდა, მაგრამ ძირითადი და უმთავრესი მაინც გააკეთა – ქართველი ხალხი გამოაღვიძა და თავისუფლება-დამოუკიდებლობის სიყვარულით აღანთო.

რაც შეეხება გასაჭირსა და სიდუხჭირეს, რომელიც დღეს ქართველ ხალხს ადგას, ერთი რამ უნდა მოგახსენოთ: ჩვენ მოგვწონს და ვიკვეხნით იმით, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ყველამ კარგად ვიცით, ღვთისმშობლის, წმინდა მარიამის ძემ რა გზა გაიარა გოლგოთისაკენ მიმავალმა და როგორ ეცვა ჯვარს კაცობრიობის სახსნელად. როგორ ფიქრობთ – ღვთისმშობლის წილხვდომილმა საქართველომ, თავისუფლება-დამოუკიდებლობისაკენ მიმავალმა, ტანჯვა-ვაების გზა არ უნდა გაიაროს? მაშინ რატომ არის იგი წმინდა მარიამის წილხვედრი?

ს.ბ. – ეროვნული მოძრაობის დროებითი მარცხი ბევრმა მიზეზმა გამოიწვია. აქედან ერთ-ერთი ძირითადი ურთიერთშორის შუღლი და დაპირისპირებაა, რაც, როგორც ხშირად მიუთითებენ, ზოგადქართულ ხასიათში უნდა ვეძიოთ. როგორ მოჩანს 1991-1992 წლის სამხედრო გადატრიალება დღევანდელი გადასახედიდან?

ა.ბ. – ის, რაც 1991 წლის დეკემბრის ბოლოს და 1992 წლის იანვრის დასაწყისში მოხდა, გარდაუვალი იყო. როცა რომელიმე მოძრაობა (სულერთია ეროვნული მოძრაობაა ეს, თუ სოციალური, რელიგიური და სხვა) ორად გაიხლიჩება, მათ შორის სისხლიანი შეჯახება გარდაუვალია. ამას ნათლად გვასწავლის ისტორიის გამოცდილება (უთვალავი მაგალითის დასახელება შეიძლება). ქართული ეროვნული მოძრაობაც ორად იყო გაყოფილი. ადრე თუ გვიან, მათი შეჯახება აუცილებლად მოხდებოდა და მოხდა კიდეც, როცა ერთი და იმავე მოძრაობის ორი ნაწილი დაიჩემებს, რომ ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა (ან რელიგიური, ან სოციალური და სხვა) მე ვარ და მეორე ცრუაო, იქ საქმე დაღუპულია. იქ სისხლის სუნი დგას და იგი დაიღვრება. სამწუხაროდ და საუბედუროდ, პოლიტიკური ისტორიის ამ მწარე კანონზომიერებას ვერ გავექეცით. ამ დაპირისპირების შედეგი უაღრესად სავალალოა და ცხადია, სავალალო შედეგი საქართველომაც მთელი სიმძაფრით იწვნია.

ს.ბ. – თანამედროვე საქართველოს ყველაზე დიდი ტრაგედია მისი ძირძველი ტერიტორიების _ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს – დაკარგვაა. სავალალო განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის არქონა, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის მეშვეობით წართმეული ტერიტორიების დაბრუნება?

ა.ბ. – ბევრჯერ მითქვამს და ახლაც უნდა გავიმეორო: ცნებას «სამაჩაბლო" შეცდომით ვხმარობთ. ტერიტორია, რომელიც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ეჭირა, გაცილებით დიდია, ვიდრე ისტორიული სამაჩაბლო იყო. არც ახალგორის (ყოფილი ლენინგორის), არც ჯავის რაიონები სამაჩაბლოში არ შედიოდა. ერი, რომელმაც არ იცის, რა წაართვეს, თავის ქვეყანას როგორ უპატრონებს?

ესეც ბევრჯერ მაქვს ნათქვამი: 11 ოქტომბრის ხელისუფლების პოლიტიკას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიმართ არ ვიზიარებ. უფრო მეტიც: ეს პოლიტიკა საქართველოსთვის დამღუპველად მიმაჩნია. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაჭრა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით არ მოხერხდება. მით უმეტეს მაშინ, როცა საქმეში ცხვირს ჰყოფს მოსკოვი, რომელმაც მოახდინა ფაქტობრივად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია. ოკუპანტი მომრიგებელ მოსამართლედ რომ არ გამოდგება, ამას რა დიდი მტკიცება უნდა?

ს.ბ. – არსებობს თუ არა, თქვენი აზრით, ბუნებაში იდეოლოგია, რომელიც მიესადაგება ჩვენს ქვეყანას, თუ საჭიროა რაიმე თვისობრივად ახლის შექმნა?

ა.ბ. – თავისუფლების იდეოლოგია კარგად არის ცნობილი კაცობრიობისათვის. საქართველომ იმ იდეოლოგიით უნდა იცხოვროს, რითაც ცხოვრობს შვეიცარია, ჰოლანდია, დანია, ნორვეგია, ერთი სიტყვით, ჩვენებრ პატარა ქვეყნები. როცა ველოსიპედი გამოგონილია, ისევ ველოსიპედის გამოგონებაზე ფიქრი ტვინის ჭყლეტაა და მეტი არაფერი.

ს.ბ. – რა აზრის ბრძანდებით ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტზე?

ა.ბ. –საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი (იხ. «კავკასიონი", 1995 წლის 30 მაისი და 1995 წლის 4 ივლისი). ერთი სიტყვით, ჩემი დამოკიდებულება უარყოფითია.

ს.ბ. – გამოდგება თუ არა რუსეთი საქართველოს საიმედო მოკავშირედ?

ა.ბ. – არა. რუსეთი საქართველოს (მთელ კავკასიას) უყურებს როგორც თავის ისტორიულ ყმას. ძალიან დიდი დრო დასჭირდება იმას, რომ რუსეთი გადაეჩვიოს საქართველოსადმი ამგვარ დამოკიდებულებას, ბატონი და ყმა სტრატეგიული მოკავშირენი ვერ იქნებიან. როცა მოვა დრო და რუსეთი აღარ შეხედავს საქართველოს, როგორც თავის ყმას, მაშინ, რა თქმა უნდა, სტრატეგიულ მოკავშირეობაზე ლაპარაკი შესაძლებელი გახდება.

ს.ბ. – საქართველოში ოდითგანვე პოპულარული იყო და ახლაც ბევრი მხარდამჭერი ჰყავს «კავკასიური სახლის" იდეას, რომლის განხორციელებასაც ცდილობდა ზვიად გამსახურდია. ბევრს ეს რეალურად მიაჩნია, ბევრს უტოპიად...

ა.ბ. – «კავკასიური სახლის" იდეა უძველესი ქართული პოლიტიკური იდეაა. როცა ლეონტი მროველმა კავკასიის ხალხები ძმებად გამოაცხადა და ერთი მამამთავარი მოუძებნა, ეს იდეა მაშინ ჩაისახა, მაშინ გახდა ქართული სამეფო კარის ძირითადი პოლიტიკური მიმართულება, მაგრამ იგი დამარცხდა. ბაგრატიონთა დინასტიამ მისი განხორციელება ვერ მოახერხა.

დროდადრო ეს იდეა ისევ და ისევ წამოტივტივდებოდა პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე. მაგალითად, 1917-21 წლებში, კომუნისტური ამიერკავკასიის ფედერაციაც ამ იდეის დამახინჯებული ვარიანტი იყო.

დღევანდელ ვითარებაში მისი განხორციელება მე უტოპიად მიმაჩნია, იმდენი განსხვავება და წინააღმდეგობაა კავკასიის ხალხებს შორის. საკმარისია იმ მტრობის გახსენება, რაც სომხეთსა და აზერბაიჯანელებს, ოსებსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფსუა-ხალხს შორის არსებობს. ამ მტრობის დაცხრობა იოლი საქმე არ გახლავთ, არსებობს რელიგიური წინააღმდეგობაც – ქრისტიანული კავკასია და მუსლიმური კავკასია. «კავკასიურ სახლს" ხელს უშლის რუსეთის ინტერესებიც კავკასიაში. ეს იდეა რომ განხორციელდეს, აუცილებელია საუკუნეების მანძილზე პროპაგანდისტული მუშაობა: ისტორიული მტრობის დაძლევა როგორც ეთნიკური, ისე რელიგიური კუთხით. კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთნდობის (რაც დღეს არ არსებობს) დანერგვა. მათი ცნობიერების იმ იდეით განმსჭვალვა, რასაც ჯერ კიდევ ლეონტი მროველი ქადაგებდა. თუ ყველაფერს ამას შევძლებთ, მერე შეიძლება «კავკასიური სახლი" უტოპიიდან რეალობად გადაიქცეს.

ს.ბ. – თქვენი აზრით, ვინ შეიძლება გაიმარჯვოს მომავალ არჩევნებში?

ა.ბ. – როგორი პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებში, ამის წინასწარმეტყველება არ შემიძლია. ისე კი აუცილებლად მიმაჩნია ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა გამარჯვება. თუ ასე არ მოხდა, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობა-თავისუფლების საკითხი ბეწვზე დაეკიდება.

ს.ბ. – თქვენ, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, წამოაყენებთ თუ არა თქვენს კანდიდატურას საპრეზიდენტო ან საპარლამენტო არჩევნებში?

ა.ბ. – ამას იმის მერე გადავწყვეტ, როცა ცნობილი გახდება საბოლოოდ როგორი სახელმწიფო იქნება საქართველო – საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო.

ს.ბ. – გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრება ჩეჩნეთში მიმდინარე ომთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რა შედეგებით დამთავრდება იგი.

ა.ბ. – ჩეჩნებმა სასწაული მოახდინეს. უზარმაზარი, თვალუწვდენელი, თერმობირთვული იარაღით თხემით ტერფამდე აღჭურვილი რუსეთის იმპერიას კისერი მოუგრიხეს და თავისი, ჩეჩნური ნება უკარნახეს. ასეა ყოველთვის, როცა ხალხმა იცის, რისთვის იბრძვის და რატომ, როცა მისი ეროვნული ენერგია გაუტეხელია. ჩანს,

ჩეჩნებს ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდათ გაცნობიერებული რისთვის იბრძოდნენ და რატომ.

რუსეთს სურდა ჩეჩნეთი სამაგალითოდ დაესაჯა, რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებსაც რომ არ გასჩენოდათ თავისუფლების სურვილი, მაგრამ პირიქით მოხდა: ჩეჩნეთმა მთელ მსოფლიოს უჩვენა, რომ ეშმაკი (რუსეთი) არც ისე საშიშია, როგორც ხატავენ. მისი დამარცხებაც შეიძლება და ლაზათიანი გაპანღურებაც. ჩეჩნეთი რუსეთის იმპერიის დამონებული ხალხებისათვის თავისუფლების დროშად გადაიქცა. ამით ამ პაწია ხალხმა უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა.

გაზ. «ჯორჯიან თაიმსი”,
№28, 1995

აკაკი ბაქრაძე პრეზიდენტობის კანდიდატი

გიორგი უძილაური – ბატონო აკაკი, რატომ მაინცდამაინც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ დაგასახელათ პრეზიდენტობის კანდიდატად?

აკაკი ბაქრაძე – უბრალოდ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ მეტი აქტიურობა გამოიჩინა ამ მიმართულებით.

გ.უ. – ამ ორგანიზაციასთან ერთად თქვენ ალბათ მხარს დაგიჭერენ კოსტავას საზოგადოება, რესპუბლიკელების ნაწილი და პარლამენტგარეშე ოპოზიციური პარტიები. კიდევ ვის მხარდაჭერას ელოდებით მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში?

ა.ბ. – ჯერჯერობით, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, მხოლოდ იმ პარტიების წარმომადგენლებთან მისაუბრია, დანარჩენებს მეტნაკლებად დიდი ინიციატივა არ გამოუჩენიათ.

გ.უ. – სავარაუდოა, რომ თქვენი ორი უძლიერესი კონკურენტის – ედუარდ შევარდნაძის და ჯაბა იოსელიანის წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსური პრობლემა გადაწყვეტილი იქნება. თქვენ რა გზებით აპირებთ საპრეზიდენტო კამპანიის გამართვას?

ა.ბ. – ფინანსური თვალსაზრისით ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნებში, მაგრამ არსებობს სხვა ძალაც, რომელსაც ზნეობრიობის ძალა ეწოდება და ჩვენც ძირითადად ამ ძალის იმედად ვართ. რაიმე დაპირება ფინანსური დახმარების შესახებ ჩვენ ჯერჯერობით არ მიგვიღია.

გ.უ. – ვთქვათ, გაიმარჯვეთ საპრეზიდენტო არჩევნებში. რა ცვლილებებს უნდა ელოდოს საქართველო საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?

ა.ბ. – უახლოეს მომავალში მე გამოვაქვეყნებ ჩემს პროგრამას, სადაც იქნება პასუხი.

გ.უ. – 29 აგვისტოს ინციდენტის თქვენეული შეფასება გვინდოდა. რა ძალებს შეიძლება მიეწეროს ამ ტერორისტული აქტის მოწყობა?

ა.ბ. – ტერორიზმს, როგორც გარკვეულ მოვლენას დღევანდელ ცხოვრებაში, ყველა ნორმალური და გონიერი ადამიანი გმობს. ეს ე.წ. პოლიტიკური შიდსია. რაც შეეხება 29 აგვისტოს, მე ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგანაც იმის გარდა, რაც პრესაში გამოქვეყნდა, ინფორმაცია მე არ გამაჩნია და, საერთოდ, მოვლენაზე ლაპარაკი უაზროა, თუ არა გაქვს საკმარისი ინფორმაცია. უნდა ვაცალოთ სამართალდამცავ ორგანოებს. თუ მათ რამე შეუძლიათ, ალბათ რამეს მიაგნებენ, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ რამეს მიაგნონ, რადგან ჩვენ ტერორიზმის არა ერთი და ორი

ფაქტი გვქონდა, მაგრამ არც ერთი გამოვლენილი არ არის. მაგრამ წინასწარ უსაფუძვლო მსჯელობას, მე უფრო ლოდინს ვამჯობინებდი.

გ.უ. – რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლეს იგორ გიორგაძე. შეძლებს თუ არა ოპოზიცია არჩევნებამდე გადაირჩიოს ძალოვანი სტრუქტურების სხვა შეფები?

ა.ბ. – სამწუხაროდ, ჩვენში პარადოქსული, ზოგჯერ სასაცილო ამბები ხდება. სულ რამდენიმე თვის წინათ იგორ გიორგაძეს ჩინი მოუმატეს სწორედ ტერაქტის შემდეგ. დღეს კი იმავე გიორგაძეს სამსახურიდან ხსნიან, რადგანაც მან თავიდან ვერ აიცილა 29 აგვისტოს ტერაქტი. როდესაც ხელისუფლების ცხოვრებაში ასეთი შეუსაბამო და პარადოქსული ამბები ხდება, იქ ნაკლებად არის მოსალოდნელი სამართლიანი დასკვნა და გადაწყვეტილება როგორც მოხსნის, ასევე დანიშვნის თვალსაზრისით. ამიტომ, ხელისუფლება ძალიან მტკიცე და მყარი უნდა იყოს და არ უნდა ხდებოდეს ასეთი შეუსაბამო მოვლენები.

გ.უ. – ოპოზიციური ძალების ერთი ნაწილი ახლო მომავალში აპირებს ეროვნული ყრილობის მოწვევას. მასში მონაწილეობას მიიღებენ ეროვნულ სათათბიროში გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებთანაც თქვენ თანამშრომლობთ. ხომ არ ექნება ადგილი ისეთივე დაპირისპირებას, როგორიც იყო ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს დროს?

ა.ბ. – ალბათ, არ იქნება ის დაპირისპირება, რამაც ტრაგიკული შედეგი გამოიღო. ორხელისუფლებიანობის ელემენტი დამღუპველია. სწორედ ამან დაღუპა მაშინდელი ხელისუფლება. მე მგონია, დღეს ეს არ მოხდება, რადგანაც ეს ბრძოლა არ არის. სათათბიროს ის ძალა არა აქვს, რაც ოფიციალურ ხელისუფლებას და როცა ეს ხელისუფლება მოინდომებს, მაშინ გაანადგურებს ამ გაერთიანებას. ამ შემთხვევაში მას არ შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ეროვნული ძალების გაერთიანების თვალსაზრისით.სხვა უფრო მეტის გაკეთება ამ სათათბიროს არ შეუძლია. თუ ამ მისიას შეასრულებს სათათბირო, მაშინ მისი ფუნქცია შესრულებული იქნება.

გ.უ. – რატომ დაიწყო მხედრიონის წევრთა დევნა ხელისუფლების მიერ? პარალელურად კი მისი ლიდერი პრეზიდენტობის კანდიდატია.

ა.ბ. – ესეც ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი პარადოქსული მოვლენაა. ერთი მხრივ, მიმდინარეობს მხედრიონის დევნა და მისი წევრების დაპატიმრება, მეორე მხრივ კი მის ხელმძღვანელს პრეზიდენტობის კანდიდატად ასახელებენ. მე ვთვლი, რომ ეს გახლავთ ქართული პოლიტიკური ცხოვრების დაბნეულობა და ამ დაბნეულობას შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვეს.

გ.უ. – ოპოზიციური ძალების ნაწილი თვლის, რომ იგორ გიორგაძე იყო მოსკოვის კაცი და ატარებდა რუსულ პოლიტიკას. თქვენც იგივე აზრის ხართ?

ა.ბ. – მე არ ვიცი, არის თუ არა დაკავშირებული გიორგაძე, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთთან. ის, რომ გიორგაძე ხშირად არის მოსკოვში, არაფერს ნიშნავს. დღევანდელი საქართველოს ყველა სახელმწიფო პირი წამდაუწუმ მოსკოვში დარბის და რუსეთს ეკითხება ჭკუას. გიორგაძე რაღა გამონაკლისია. თვით ედუარდ შევარდნაძე არ არის რუსეთის კურსის გამტარებელი? მე მგონი, ეს ასეა. რა გამონაკლისია გიორგაძე? მის პოლიტიკას მთლიანად წარმართავს რუსეთი და ისეთი ორგანო, როგორიც არის უშიშროების სამსახური, ბუნებრივია, დაკავშირებულია რუსეთთან. რა, თავდაცვის სამინისტრო ან საზღვაო ჯარები არ არიან რუსეთთან დაკავშირებული? ყველაფერს ისე უკავშირებენ რუსეთს, თითქოს უიმისოდ არ იქნება არც ელექტროენერგია, არც გაზი და არც ნავთობი. და დღეს ლაპარაკი, რომ შევარდნაძემ რუსეთის მოკავშირე მოიცილა, მგონი, აბსურდულია.

გ.უ. – იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გახდით ქვეყნის ლიდერი, რა პოლიტიკას გაატარებთ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად?

ა.ბ. – რაც აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო, მე ყოველთვის ვამბობ და ახლაც გავიმეორებ, რომ აფხაზეთის მშვიდობიანი გზებით დაბრუნება შეუძლებელია. წართმეულ ტერიტორიას მშვიდობიანად არავინ დაგვიბრუნებს, დღევანდელი აფხაზეთი და შიდა ქართლი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და სანამ საქართველოს არ ეყოლება კარგად ორგანიზებული არმია, რომელსაც შეეძლება მტრის დამარცხება და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება, ეს საკითხი არ მოგვარდება. იმავე პოლიტიკას გავატარებ, თუ არჩეული ვიქნები საქართველოს პრეზიდენტად, რადგან აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაბრუნების სხვა გზა არ არსებობს, მოლაპარაკება თავის მოტყუებაა. თუ ჩვენ ძალიან გვინდა თავი მოვიტყუოთ, შეგვიძლია ეს მოლაპარაკება უსასრულოდ გავაგრძელოთ, თუ არა და, არის ერთადერთი გზა – მძლავრი არმია. ან უნდა ვაღიაროთ ჩვენი დამარცხება, ან შეიარაღებული ძალის მეშვეობით დავიბრუნოთ წართმეული.

გაზ. «ახალი თაობა”,
№52, 1995

ქართველი ხალხი იმისათვის არ იბრძოდა, რომ რუსეთის იმპერიის ერთი ფორმიდან მეორეში შესულიყო

ნათია ქარუმიძე – ბატონო აკაკი, რამ გადაგაწყვეტინათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება?

აკაკი ბაქრაძე – ვითარება, რომელიც საქართველოში შეიქმნა, ყველა ქართველ მოქალაქეს აიძულებს გადადგას გარკვეული ნაბიჯები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ, მეც მაქვს გარკვეული მოსაზრებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას, ალბათ, სასიკეთოდ გამოადგება. ის, რაც ახლა ეკონომიკის სფეროში ხდება, სოციალისტური ეკონომიკის გადარჩენის გზაა. მე მგონი ნათლად გამოჩნდა, რომ სოციალისტური ეკონომიკა არ არის სიცოცხლისუნარიანი, ამიტომ მისი შენარჩუნების მცდელობა ფუჭად დროის კარგვაა.

მიმაჩნია, რომ საქართველოს შესვლა «დსთ”-ში საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული აქტია. ქართველი ხალხი იმისათვის არ იბრძოდა, რომ რუსეთის იმპერიის ერთი ფორმიდან მეორეში შესულიყო. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მე არ მიმაჩნია აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობა. ომი მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს შორის. ამ ომში საქართველო დამარცხდა. გამარჯვებული დათმობებზე არ წავა. ომით დაკარგულს, ომითვე უნდა დაბრუნება. რა თქმა უნდა, აუცილებელია ძლიერი არმიის შექმნა. მთავარია ხალხს ჩაუნერგო, რომ ვაჟკაცობით არავის ჩამორჩება. ნუ იქნება სკეპტიკური განწყობილება. თუ ვიფიქრებთ, რომ არაფერი შეგვიძლია, დავმარცხდებით. რუსეთის იმპერიის დამარცხების შესაძლებლობა ჩეჩნებმა დაამტკიცეს. დღეს რუსეთი კი არ კარნახობს თავის პირობებს, არამედ ჩეჩნეთს ეხვეწება დათმობებზე წასვლას. ისინი ცდილობენ პოლიტიკა ისე წარმართონ, რომ არც რუსეთი დარჩეს შეურაცხყოფილი და არც ჩეჩნეთის თავისუფლებისათვის მებრძოლნი. ასეთი პოლიტიკით ჩვენც შევძლებთ

აფხაზეთის დაბრუნებას. მე ისევ ვიმეორებ, აფხაზეთში ბრძოლას დღეს და ხვალ არ ვაპირებთ. ჯერ ჯარი უნდა აღიჭურვოს იარაღით, საკვებითა და ტანსაცმლით. თუ ჩვენ უძლურნი და მხდალნი ვართ, მაშინ საქართველომ უნდა აღიაროს დამარცხება. თუ ღირსეული ხალხი ვართ, მაშინ ვიბრძოლოთ საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენისათვის. რა გვირჩევნია, სამარცხვინო მშვიდობა, თუ მამაცური ბრძოლა საქართველოს ერთიანობისათვის?

ნ.ქ. – აფხაზეთის ომის წაგებამ ახალგაზრდებში, და არა მარტო მათში, «დამარცხებულის კომპლექსი" განავითარა. ხელს ხომ არ შეუშლის ეს ფაქტორი საომარი მოქმედების თავიდან დაწყებას და ჩვენს საკეთილდღეოდ დამთავრებას?

ა.ბ. – გარკვეულ გავლენას ესეც მოახდენს, მაგრამ ხელისუფლების მთავარი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხალხს მხნეობა, სიმამაცე ჩაუნერგოს.

ნ.ქ. – როგორ შეფასებას მისცემდით პარლამენტის მიერ მიღებულ კონსტიტუციას?

ა.ბ. – კონსტიტუციის ის ვარიანტი, რომელიც პარლამენტს უნდა განეხილა, დავიწუნე და ამის შესახებ ჩემი მოსაზრებები გაზეთ «კავკასიონში" გამოვაქვეყნე. რაც შეეხება პარლამენტის მიერ მიღებულ კონსტიტუციას, იგი არ გამოქვეყნებულა და მეც არ გავცნობილვარ, ამიტომ კომენტარისაგან თავს შევიკავებ. ის, რომ კონსტიტუციაში არ არის შეტანილი ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის საკითხები, გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ის არ არის კონსტიტუციის საბოლოო სახე. მე აუცილებლად მიმაჩნია, კონსტიტუციაში განსაზღვრული იყოს თუ რა არის საქართველო და ვინ არის ქართველი ხალხი.

ნ.ქ. – როგორც საუბრიდან ჩანს, თქვენ უნიტარული სახელმწიფოს მომხრე ბრძანდებით. ხომ არ გამოიწვევს ეს ფაქტი არამარტო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, არამედ აჭარის საკითხის გამწვავებასაც?

ა.ბ. – მოდით, ერთ რამეზე შევთანხმდეთ. სამაჩაბლო წარმოადგენს ყოფილი სამხრეთ ოსეთის მცირე ნაწილს და თუ ჩვენ ამ ოლქს «სამაჩაბლოს" სახელით მოვიხსენიებთ, ეს შეიძლება მტრებმა საკმაოდ სარფიანად გამოიყენონ ჩვენდა საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება აფხაზეთს, ჩვენ დიდი შეცდომა დავუშვით, როდესაც ერთმანეთს გავუტოლეთ ორი ეთნიკური ტერმინი – აფხაზი და აფსარი.

რაც შეეხება უნიტარიზმს, ყოველივე ამას ბევრი წინააღმდეგობა დახვდება, მაგრამ უნდა შევძლოთ მათი გადალახვა. ჯერ ერთი, პოლიტიკური თვალსაზრისით აჭარის ავტონომია სრულიად უსაფუძვლოა. აჭარლები ქართველი ხალხის ერთ-ერთი ძირითადი ტომია. ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ ისინი მუსლიმი ქართველები არიან. როდესაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა, საქართველოში ათეისტური ხელისუფლება იყო და სასაცილოა ათეისტურ სახელმწიფოში რელიგიური ნიშნით ავტონომიის შექმნა. ეს იყო საქართველოს დაშლისკენ მიმართული იარაღი, რომელსაც დღესაც იყენებენ.

ნ.ქ. – ბატონო აკაკი, როგორ შეაფასებდით ტერორისტული აქტების გახსნას არჩევნების წინ?

ა.ბ. – რა თქმა უნდა, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ტერორიზმის წინააღმდეგია. ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოს შიდსია. მის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ დამნაშავეების ასეთი ნაუცბათევი მიგნება სერიოზულად არ მიმაჩნია. ეს უფრო წინასაარჩევნო ფანდია. როდესაც ირკვევა, რომ ტერორისტულ აქტებს აწყობდა ორი სახელმწიფო სტრუქტურა (უშიშროების სამინისტრო და მაშველთა კორპუსი), ნუთუ ამაზე პასუხისმგებელი არ არის პარლამენტი, მისი თავმჯდომარე, მთავრობა. ეს მდგომარეობა ძლიერ ჰგავს სსრკ-ს 30-იანი წლების რეპრესიებს, როდესაც ხელისუფლება ყველა არასასურველ პირს იშორებდა.

ნ.ქ. – ბატონო აკაკი, ხომ შეიძლება ამ სტრუქტურებს «განტევების ვაცის" როლი ჰქონდეთ დაკისრებული?

ა.ბ. – ასე გამოდის. როდესაც გია ჭანტურია მოკლეს, 10 დღე არ იყო გასული და იგორ გიორგაძეს ჩინი მოუმატეს, გენერალ-ლეიტენანტობა უბოძეს. ახლა კი მას სწორედ ამ ტერორისტული აქტის მოწყობაში სდებენ ბრალს. გამოდის, რომ ჩინი ტერაქტის მოწყობისათვის მოუმატეს. თუ ხელისუფლებამ ეს არ იცოდა, თავი უნდა შეეკავებინა, ხოლო თუ იცოდა, უარესი... რა, მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა?

ნ.ქ. – ბატონო აკაკი, იყო დრო, როდესაც თქვენ «მხედრიონის" დამცველად გვევლინებოდით. როგორ აფასებთ უკანასკნელ პერიოდში ამ დაჯგუფებასთან დაკავშირებულ მომხდარ მოვლენებს?

ა.ბ. – უპირველეს ყოვლისა, მინდა დავაზუსტო. მე «მხედრიონს" კი არა, ჯაბა იოსელიანს ვიცავდი, როდესაც იგი დააპატიმრეს. მისი დაპატიმრებით იწყებოდა განხეთქილება ეროვნულ მოძრაობაში. ეროვნული მოძრაობის გახლეჩა მისი დამარცხების წინაპირობა იყო. დღესდღეობით ასეც მოხდა, ეროვნული მოძრაობა დამარცხდა, მისი მოწინააღმდეგე კი გამარჯვებულია. ჩვენი ხალხი უნდა დაფიქრდეს, სურს თუ არა იმ იდეალების შენარჩუნება, რომელიც ამ მოძრაობას გააჩნდა.

ნ.ქ. – იბრძვის თუ არა ეროვნული მოძრაობა ერთი ფრონტით?

ა.ბ. – სამწუხაროდ, არა.

ნ.ქ. – ბატონო აკაკი, მიდის პოლიტიკოსთა «გაწითლების» პროცესი. რა არის ამის მიზეზი?

ა.ბ. – ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ხელისუფლებისთვის ბრძოლა.

ნ.ქ. – ბატონო აკაკი, მიუხედავად იმისა, რომ მავანნი დაბეჯითებით ცდილობენ ჩაუნერგონ ხალხს ედუარდ შევარდნაძის უალტერნატიობა, ნათლად გამოჩნდა, რომ მას ორი სერიოზული კონკურენტი ჰყავს: თქვენ და ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი. რას იტყოდით ამ უკანასკნელის შესახებ.

ა.ბ. – ჯუმბერ პატიაშვილის ახლანდელ პროგრამას არ ვიცნობ და გამიჭირდება რაიმეს თქმა.

ნ.ქ. – გყავთ თუ არა გუნდი, რომელსაც დაეყრდნობით ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში?

ა.ბ. – რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ არაფერს ვიტყვი ამის თაობაზე.

ნ.ქ. – ბატონო აკაკი, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში პირველ რიგში რა პრობლემებს მოაგვარებდით?

ა.ბ. – ეკონომიკური საკითხების მოგვარებას შევუდგებოდი. მას დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ უნდა დავიწყოთ რეალურად ფიქრი, რადგან თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა, ვერ გადაიჭრება ვერც სამხედრო, საგანმანათლებლო, კულტურული, სამედიცინო პრობლემები.

ნ.ქ. – ბატონო აკაკი, აღნიშნავენ ეკლესიასთან თქვენი ანტაგონისტური დამოკიდებულების შესახებ...

ა.ბ. – ეს აზრი იმან გამოიწვია, რომ 70-იან წლებში ერთ-ერთ ჩემს გამოსვლაში, როდესაც ვლაპარაკობდი იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც საქართველოში ორიენტაციის თვალსაზრისით მიმდინარეობდა, ვთქვი, საქართველოს რომ კათოლიციზმი აერჩია, ევროპა გაცილებით მეტ ყურადღებას მიაქცევდა-მეთქი. ეს ისტორიული პროცესის ახსნა გახლდათ და არა ჩემი პირადი დამოკიდებულება მართლმადიდებლური ეკლესიისადმი... სულხან-საბაზე უფრო ჭკვიანი იმ ეპოქაში, არავინ მეგულება, როდესაც იგი კათოლიკე ხდება, ეს გამოწვეულია პოლიტიკურ-ეროვნული თვალსაზრისით, ამას ახსნა, ვითარების გათვალისწინება სჭირდება. მე მიმაჩნია, რომ საბას დიპლომატიური

სვლა სწორი იყო. საქართველო, რომ კათოლიკური ყოფილიყო, ევროპა მეტ ყურადღებას მიაქცევდა. დემოკრატიულ ქვეყანაში სინდისის თავისუფლებაც უნდა არსებობდეს.

ნ.ქ. – ბატონო აკაკი, ისტორიული პროცესი ახსენეთ და, თქვენი აზრით, რომელ ქვეყნებზე უნდა გაიაროს საქართველოს პოლიტიკურმა ფაქტორმა?

ა.ბ. – მე ვიყავი, ვარ და ვიქნები მუდამ დასავლური ორიენტაციის მომხრე. არა იმიტომ, რომ ისეთი პროცესები ხდება, რაც მოსაწონია, არამედ იმიტომ, რომ საქართველო ისტორიულად დასავლური სამყაროს ნაწილია. ანტიკურიდან მოყოლებული, იგი ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის ნაწილია, რასაც კარგად გამოხატავს მითი არგონავტებზე. მეორე გახლავთ ის, რომ სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რაც დასავლეთმა ჩამოაყალიბა, მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და იგი ყველასათვის მისაღები აღმოჩნდა. ძნელად წარმოსადგენია იაპონიაზე უფრო განვითარებული აღმოსავლური ქვეყანა, მაგრამ იგი დასავლური ეკონომიკური სისტემით შეიქმნა ძლიერი. ასეთი პროცესები სხვა ქვეყნებშიც მიმდინარეობს. ჩვენ ძალიან ბევრს ვსაუბრობთ იმაზე, რომ XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა უდიდესია. ის იმის შემდეგ ავიდა ამ სიმაღლეზე, რაც პეტრე I-მა და ეკატერინე II-მ დასავლური ორიენტაცია აირჩიეს და ნებით თუ ძალით დანერგეს რუსეთში. ამ თვალსაზრისით, საქართველომ უნდა აირჩიოს ის გზა, რომელსაც მსოფლიო დაადგა, მხედველობაში ეკონომიკა მაქვს. საჭიროა, არა ბრმად და მექანიკურად განმეორება, არამედ ცნობიერი შერწყმა ქართული კულტურისა და დასავლური გამოცდილების.

ნ.ქ. – ბატონო აკაკი, რამდენად დროულია ამ ეტაპზე ლარის შემოღება, როგორ თვლით, ეს ეკონომიკური ნაბიჯი უფროა თუ პოლიტიკური?

ა.ბ. – ეს უფრო პოლიტიკურ ნაბიჯად მიმაჩნია, რადგან, ძალიან საეჭვოა, ფულადი ერთეულის შემოღება ქვეყანაში, სადაც არანაირი ეკონომიკური პროდუქცია არ იქმნება. ნასესხები დოლარით ლარის მდგრადობას ვერ შევინარჩუნებთ. ყოველი ქვეყნის ფულადი ერთეული იმ შემთხვევაშია მყარი და მდგრადი, თუ წარმოებები დატვირთვით მუშაობენ და კარგ პროდუქციას ქმნიან. რაკიღა ასეა, ბუნებრივია, ლარის ბედიც მთლიანად საიმედო არ არის.

ნ.ქ. – ისევ არჩევნების თემას მივუბრუნდეთ. თქვენი პროგნოზით, იქნება თუ არა ეს არჩევნები დემოკრატიული?

ა.ბ. – ძნელი სათქმელია, წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთ ამასთან დაკავშირებით. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შეგნებულად მიუდგება ხალხი არჩევნებს.

29 დეკემბერი. 1995.

ქართველმა ხალხმა უნდა შეინარჩუნოს სრულფასოვანი ერის სახე

კორესპ. – რამ გადაგაწყვეტინათ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება?

აკაკი ბაქრაძე – საქართველო გახდა «დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" (რაც რუსეთის იმპერიის მორცხვი ფსევდონიმია) წევრი.

რუსეთმა დაიპყრო საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი – აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი. იქიდან გამოდევნა ქართული მოსახლეობა და დაიწყო ქართული მიწა-წყლის უცხო ტომებით დასახლება.

დღევანდელი ხელისუფლება იბრძვის საქართველოს ფედერალური მოწყობისათვის. მიმდინარეობს გააფთრებული პროპაგანდა იმისათვის, რომ ქართველს ჩაუნერგონ არასრულფასოვნების შეგნება. არავითარი პირი არ უჩანს საქართველოში ეკონომიკური ვითარების უკეთესობისაკენ შეცვლას.

ქვეყანას ისევე, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს, მართავს უზარმაზარი ბიუროკრატიული და კლეპტოკრატიული მუქთახორა აპარატი.

მე მიმაჩნია, რომ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსი (ცხადია, ეკონომიკურიც) ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს, თუ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, და ქართველ ხალხს, როგორც ერს, სურს ოცდამეერთე საუკუნეში ღირსეული არსებობა, ჩვენ უნდა დავადგეთ სრული დამოუკიდებლობის გზას.

სხვა გზას საქართველო სრული დამარცხებისაკენ მიჰყავს. დღეს პრობლემა ასე დგას:

ან საქართველო იქნება დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფო და ქართველი ხალხი – სრულფასოვანი ერი,

ან საქართველო გახდება ისევ რუსეთის გუბერნია, ქართველი ხალხი კი – ეთნოგრაფიული მასალა.

მე იმ ადამიანთა რიგს ვეკუთვნი, ვისაც სურს ქართველმა ხალხმა შეინარჩუნოს სრულფასოვანი ერის სახე, საქართველო კი იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ მიზნის განხორციელებისათვის არ კმარა მარტო ლაპარაკი. ამას რეალური ხელისუფლება სჭირდება. ამიტომ გადავწყვიტე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა.

კორესპ. – საზოგადოებას მიაჩნია, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო შევარდნაძეს რეალური კონკურენტი არ ეყოლება...

ა.ბ. – თუ საზოგადოებას მართლა ასე მიაჩნია და ვითარებაც მართლა ასეთია, მაშინ დაღუპულა საქართველოს საქმე და ეგ არის. ამ ცოტა ხნის წინათ პირზექაფმორეული გავკიოდით – საქართველო მთელს მსოფლიოს პრეზიდენტებით მოამარაგებსო, - ახლა კი ჩვენივე საკუთარი სახელმწიფოს მეთაურის კონკურენტიც ვერ გვიპოვია?! შეიძლება საზოგადოება (თუ იგი მართლა საზოგადოებაა) ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში ასე უთავბოლოდ ვარდებოდეს? ეს ხომ იმას მეტყველებს, რომ ამგვარ საზოგადოებას არც ადგილი აქვს, არც მიზანი და არც ენერგია მიზნის მისაღწევად. მე არ მინდა დავიჯერო, რომ ქართული საზოგადოება ასე დამბლადაცემულია.

ჯანსაღმა საზოგადოებამ იცის, რომ შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ.

«სხვადასხვა მიზეზებში" იგულისხმება საქართველოს ყოფნა რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში. შევარდნაძის როლი ამ «საქმეში", სოციალური მდგომარეობა, აპათია, ანტაგონიზმი ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ძალების მიმართ.

მართალია, თქვენ მიერ ჩამოთვლილი წინააღმდეგობანი არსებობენ, მაგრამ მომავალი, ახალი ხელისუფლების ამოცანა სწორედ მათი დაძლევა-გადალახვაა. თუ ქართველ ხალხს სურს დარჩეს ეს წინააღმდეგობანი, მაშინ იგი მხარს დღევანდელ ხელისუფლებას დაუჭერს. თუ სურს მათი გადალახვა-დაძლევა, მაშინ ახალ ხელისუფლებას აირჩევს.

კორესპ. – რა თქმა უნდა, სასურველია, რომ შევარდნაძეს რეალური მოწინააღმდეგე ჰყავდეს, მაგრამ იქნება კი ეს რეალური მოწინააღმდეგე აკაკი ბაქრაძე, რომელსაც, დასამალი არ არის, საზოგადოება აფასებს, როგორც კარგ თეორეტიკოსს, პოლიტიკა კი პრაქტიკული საქმიანობაა.

ა.ბ. – პოლიტიკა არ არის მარტო პრაქტიკული საქმიანობა. იგი თეორიაც არის. თუ პოლიტიკოსს არა აქვს კარგი თეორია, იგი კარგ პრაქტიკულ საქმიანობას ვერ გასწევს.

იდეალური პოლიტიკა კარგი თეორეტიკოსისა და კარგი პრაქტიკოსის შერწყმაა. ვიქნები თუ არა მე რეალური კონკურენტი ედუარდ შევარდნაძისა, ამაზე ჩემგან საუბარი, მეტი რომ არ ვთქვა, უხერხულია. ამას ხალხი და არჩევნების შედეგი უპასუხებს.

კორესპ. – საქართველოს პრეზიდენტობის ექვსი კანდიდატი ჰყავს. რა დამოკიდებულება გაქვთ ჯუმბერ პატიაშვილთან? ცნობილია, რომ თქვენ და პატიაშვილი «მოძრაობა სიცოცხლისათვის" სათავეში იდექით.

ა.ბ. – არც ჯუმბერ პატიაშვილი და არც მე «მოძრაობა სიცოცხლისათვის" სათავეში არ ვყოფილვართ. ეს ტყუილია. «მოძრაობას სიცოცხლისათვის" ჰყავს მეთაურები. ჩვენ უბრალოდ რამდენჯერმე კონსულტაცია გვთხოვეს ამა თუ იმ საკითხზე. ყოველ შემთხვევაში ჩემი «საქმიანობა" უფრო შორს არ წასულა. ალბათ, ამის გამოა, რომ «მოძრაობამ სიცოცხლისათვის" ჯუმბერ პატიაშვილს დაუჭირა მხარი და არა მე.

ჯუმბერ პატიაშვილსა და მე, პოლიტიკური კუთხით, არავითარი ურთიერთობა არ გვაქვს. ხოლო როგორც ადამიანს, დიდ პატივს ვცემ.

კორესპ. – თუ ბაქრაძე მემარჯვენე ორიენტაციის კანდიდატია, გიორგაძე კი «მემარცხენე" პოლიტიკოსი, რა კვალიფიკაციას მისცემთ სხვა რეალურ კანდიდატებს, მაგალითად, შევარდნაძეს, პატიაშვილს. არიან თუ არა ისინი ცენტრისტები?

ა.ბ. – არ ვიცი.

კორესპ. – თუ შევარდნაძე და პატიაშვილიც ორთოდოქსული მენტალიტეტის პოლიტიკოსები არიან, რა გამოდის, რომ აკაკი ბაქრაძე ერთადერთი ეროვნული ძალაა არჩევნებში?

ა.ბ. – სამწუხაროდ, ეროვნული მოძრაობა ამ არჩევნებშიაც არ მონაწილეობს ერთიანი ფრონტით. ამჯერადაც დანაწევრებულია იგი, რაც არ გამოიღებს კარგ ნაყოფს.

ყოველთვის იმის მომხრე ვიყავი, რომ ეროვნულ მოძრაობას ერთიანი ფრონტით მიეღო მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ, როგორც წინათ, არც ახლა მოხერხდა ეს. თუმცა ჯერ კიდევ არის დრო, გავითვალისწინოთ წარსულის შეცდომები და არ გავიმეოროთ ისინი.

ჩემდამი დამოკიდებულებაშიც არ არის ერთიანი ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ფრთა. მაგალითად, ჩემი კანდიდატურის მომხრე არ არიან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ტრადიციონალისტები, მერაბ კოსტავას საზოგადოება და ზოგიერთი სხვაც. რომ არაფერი ვთქვათ იმათზეც, ვინც ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს.

კორესპ. – თავის დროზე ეროვნული ძალების მოსვლა ხელისუფლებაში კანონზომიერი იყო. გადატრიალების შემდეგ საქართველოს სხვა ფსიქოლოგიის ხალხი ჩაუდგა სათავეში. გადატრიალების მიზეზი იყო ეროვნული ხელისუფლების ლიდერთა პიროვნული სისუსტეც. მიგაჩნიათ თუ არა, რომ პრეზიდენტი ბაქრაძე მზად არის იმისათვის, რომ გაუძლოს შიდა და გარე დაწოლებს?

ა.ბ. – თუ პრეზიდენტობა გინდა, უნდა გაუძლო. საერთოდ, ცხოვრება გაძლებაა და მით უფრო ქვეყნის მეთაურობა. თუ ვერ გაუძლებ, ჩამოგაგდებენ. შეიძლება ხეზეც ჩამოგაკონწიალონ.

კორესპ. – პრეზიდენტ ბაქრაძესა და ოპოზიციონერ ბაქრაძეს შორის განსხვავება იქნება თუ არა?

ა.ბ. – რაკი პრეზიდენტის ფუნქცია სხვაა და ოპოზიციონერის ფუნქცია სხვა, ამის შესაბამისად განსხვავებაც იქნება.

კორესპ. – არ გაშინებთ პოლიტიკის შიდა სამზარეულოს გაცნობა?

ა.ბ. – ანდაზაა: ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც ხატავენ. საერთოდ კი, სუფთა ის ადამიანი კი არ არის, ვისაც წუმპეში არასოდეს გაუვლია, არამედ იგი, ვინც წუმპეში ისე

გაიარა, რომ ჭუჭყი არ მიეცხო. პოლიტიკის წუმპეც ასეა. არიან ადამიანები, რომელნიც გორაობენ პოლიტიკურ წუმპეში და არიან ადამიანები, რომელნიც შედარებით სუფთად გაივლიან მას. ამის მაგალითები ისტორიამ უამრავი იცის. მათი ჩამოთვლით ახლა არ შეგაწუხებთ.

კორესპ. – 70-იანი წლების ბოლოს და 80-იან წლებშიც თქვენს ლექციებს უამრავი მსმენელი ჰყავდა; როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ თითქმის იმავე საზოგადოებამ უარყო ლექციებიდან მიღებული ძირითადი იდეა და სულ სხვა მენტალიტეტს, სულ სხვა აზროვნებას, სულ სხვა იდეალს, თეორიას დაუკრა ტაში?

ა.ბ. – ჩვეულებრივი ამბავია. ისტორიის გამოცდილებით ვიცით, რომ ქართველებს ძალიან სწრაფად ეცვლებათ გუნება-განწყობილება. თუ 70-იან და 80-იან წლებში კომუნისტური რეჟიმის კრიტიკის გუნება-განწყობილება ჰქონდათ, საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდნენ, დღეს სხვა გუნებაზე არიან: კომუნისტური რეჟიმის აღდგენაზე ოცნებობენ და ეროვნული მოძრაობის დაცინვა-გაქილიკება მოსწონთ. დღეს მე რომ იგივე ლექცია წავიკითხო, რასაც 70-იან და 80-იან წლებში ზღვა ხალხი ესწრებოდა, კაციშვილი არ შემოვა აუდიტორიაში. არ შემოვა იგივე ადამიანი, რომელსაც 70-იან წლებში მასზე დასწრება აუცილებლად მიაჩნდა. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩვენს ხალხს მყარი იდეალი არა აქვს. თუ გუშინ მზად იყო დამოუკიდებლობისათვის თავი გაეწირა, დღეს თავადვე ამასხარავებს დამოუკიდებლობის იდეას და აბითურებს მას.

ყოვლად დაუშვებელია – გუშინ დამოუკიდებლობისათვის იბრძოდე და დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას უხათქუნებდე ტაშს. ან მაშინ თვალთმაქცობდი, ან დღეს. თვალთმაქცებს კი იდეალი არა აქვთ.

ჩვენი ხალხის ამ თვისებას ძალიან ოსტატურად იყენებს მტერი და თავის დუდუკზე გვათამაშებს.

ყოველ ერს, მათ შორის, ქართველებსაც მარადიული მიზანი სჭირდება, რომელსაც არასოდეს განიდგება. თუ ერი ამ მიზანს წამდაუწუმ იცვლის, მაშინ იგი ვერ ააშენებს ქვეყანას როგორც დამოუკიდებელ და თავისუფალ სახელმწიფოს.

კორესპ. – იდეალიზმის ქადაგება აუცილებელია, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს ოპოზიციის პრეროგატივაა და არა ხელისუფლების?

ა.ბ. – თუ თქვენს კითხვაში ცნება «იდეალიზმი” იდეალს გულისხმობს, მაშინ ხელისუფლებისათვის აუცილებელია იდეალის ქადაგება.უფრო მეტიც, იდეალის ქადაგება და ამ მიმართულებით ერის ტარება ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა.

თუ ცნება «იდეალიზმი” უტოპიის ელემენს ითვალისწინებს, მაშინაც არ უნდა იყოს ეს უცხო ხელისუფლებისათვის. «ადამიანი იქნებოდა სულელი და საზიზღარი, უტოპია რომ არ არსებობდეს” – ამბობს უნგრელი მწერალი დიორდ კონრადი. ასეთივე აზრის არის ხოსე ორტეგა-ი გასეტიც.

არც ხელისუფლება უნდა იყოს სულელი და საზიზღარი.

კორესპ. – წარმატებას გისურვებთ.

გაზ. «მსგეფსი”,
5. X. 1995

რუსეთთან კუკუმალობანას თამაში არავითარ შედეგს არ გამოიღებს

(ტელევიზია, წინასაარჩევნო გამოსვლა)

კორესპ. – ბ-ტო აკაკი, განსაკუთრებით დამაფიქრებელია თქვენი დამოკიდებულება CHГ- სა და რუსეთის მიმართ. ბევრი ფიქრობს, რომ თქვენ ქართველებს ისევ ახალი სისხლისღვრისაკენ და სასაკლაოსაკენ მოუწოდებთ. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკაში დასაშვებია ასე ღია ფაქტებით ლაპარაკი?

აკაკი ბაქრაძე – ამ კითხვის პასუხი გაზეთში დაიბეჭდება, მაგრამ მაინც მიზანშეწონილად მიმაჩნია ტელევიზიის საშუალებითაც მოგახსენოთ ჩემი აზრი.

რუსეთისადმი დამოკიდებულება საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მართლაც არსებითი მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ საკითხი სხვაგვარად უნდა წარმოვიდგინოთ, რაკი ჩვენ ვაშენებთ და გვინდა დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო. ყველას ახსოვს, რომ 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმით მთელმა საქართველომ, მთელმა მისმა მოსახლეობამ ერთსულოვნად ხმა მისცა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას. გავიდა ცოტა ხანი და საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შევიდა. ეს უკვე მიზნის შეცვლა გახლავთ. საქართველო მიდიოდა ერთი მიმართულებით, ერთი მიზნისაკენ, მან გეზი შეცვალა და სხვა მიმართულებით, სხვა მიზნისაკენ წავიდა. ამ ვითარებაში ვფიქრობ, რომ არა მარტო ხელისუფლებამ, არამედ მთელმა ხალხმა უნდა დაადგინოს – საით მიდის, რა სურს მას და როგორი საქართველო წარმოუდგენია მომავალში. თუ საქართველო დარჩება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ჩემი აზრით, ეს არის საქართველოს ისევ რუსეთის სახელმწიფოში შესვლა და რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად გახდომა. მართალია, ჩვენ გვარწმუნებენ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა სახელმწიფოთა ისეთი გაერთიანებაა, როგორიც ევროგაერთიანება, მაგრამ ეს მართალი არ გახლავთ.

სახელმწიფოთა გაერთიანება, რომელიც ევროპაში არსებობს, სულ სხვა საფუძველზე აშენდა და სულ სხვა საძირკველი აქვს. ეს არის დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოების ნებაყოფლობითი გაერთიანება და თანდათანობით მომზადებული როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. ამ სახელმწიფოთა წევრები სრულებით არ გახლავთ ერთმანეთზე დამოკიდებული პოლიტიკური თვალსაზრისით. მათ საერთო მიზანი აერთიანებთ და ამ საერთო მიზნის წყალობით შეუძლიათ ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება. მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დაქვემდებარებული ევროგაერთიანების რომელიმე სახელმწიფოს – ძლიერი იქნება ეს სახელმწიფო, დიდი იქნება ეს სახელმწიფო, თუ სუსტი და პატარა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანება კი, რომელიც ჩვენში უფრო CHГ- ს სახელით არის ცნობილი, სულ სხვა ტიპის გაერთიანება გახლავთ. ეს არის მცდელობა იმისა, რომ რუსეთმა დაიბრუნოს ის, რაც სსრკ-ის დაშლის შედეგად დაკარგა და ცდილობს ისევ აღადგინოს დიდი რუსული იმპერიული სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ახალ ვითარებაში და ახალ პირობებში. ამის გამო ამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრთა უფლება შეზღუდულია და დამოკიდებულია იმაზე, რა სურვილები და მიზნები აქვს რუსეთს. შემთხვევით ხომ არ არის ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ არსებობდეს ერთიანი ფული, არსებობდეს საერთო პარლამენტი ამ სახელმწიფოთა და ა.შ. ყველაფერი ეს თანდათანობით მიგვიყვანს სწორედ იქამდე, რომ ბოლოს და ბოლოს გამთლიანდება რუსეთის დანგრეული იმპერია და საქართველოც აღმოჩნდება ამ იმპერიის ნაწილი.

აი, ამიტომ ბუნებრივად მიმაჩნია, რომ ჩვენ სრულიად მკაფიოდ და ნათლად განვსაზღვროთ, ბოლოს და ბოლოს, როგორი კურსი უნდა აირჩიოს საქართველომ

იმისათვის, რომ მან ააშენოს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო. მარტო ის რად ღირს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველო შევიდა იმის შემდეგ, როდესაც აფხაზეთის ოკუპაცია მოხდა, როდესაც საქართველო აფხაზეთში დამარცხდა და მან დაკარგა მისი ძველი, ისტორიული ტერიტორია და იძულებული გახდა გადაედგა ნაბიჯი მიმართული სწორედ ჩვენი სუვერენიტეტის წინააღმდეგ. აი, ეს საკითხი ბუნებრივად მეტყველებს იმას, რომ ჩვენ არ ვართ ნებაყოფლობითი წევრი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა. ჩვენ ძალდატანებით შევედით იქ და აფხაზეთი გამოყენებული იქნა სწორედ ბერკეტად და საშუალებად იმისათვის, რომ საქართველოც გამხდარიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი. ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველომ შეცვალა თავისი პოლიტიკური კურსი მისი ხელისუფლების წყალობით და ახლა უნდა გავარკვიოთ, მომავალში რა მიმართულებით ვივლით. მაგრამ აფხაზეთის დაბრუნება, ანდა შიდა ქართლის დაბრუნება არ მოხდება მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. ამგვარი დაბრუნება არ ხდება მშვიდობიანი მოლაპარაკების საშუალებით და ამის საბუთი ისიც გახლავთ, რომ აგერ ორი წელიწადია გრძელდება ეს მოლაპარაკებანი, მაგრამ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მივაღწიეთ, იოტისოდენაც კი ვერ გადავდგით ნაბიჯი წინ. ცხადია, ამგვარ ვითარებაში ფიქრი იმისა, რომ რუსეთი დათმობს ამ ტერიტორიებს საქართველოს სასარგებლოდ, მეტისმეტად გულუბრყვილო ფიქრი იქნება, უფრო მეტი რომ არაფერი ვთქვა.

ჩვენთვის ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ არავითარი აფხაზურ-ქართული კონფლიქტი, არავითარი ოსურ-ქართული კონფლიქტი რეალურად არ არსებობდა. არსებობდა რუსეთის ინტერესები საქართველოში და ამ ინტერესებისათვის რუსეთმა მოახდინა აღნიშნული ტერიტორიების ოკუპაცია. რა თქმა უნდა, მან გამოიყენა გარკვეული განწყობილებანი, რომელიც აფხაზთა და ოსთა შორის არსებობდა, ისინი მიმართა საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ თავად პროცესის წარმმართველი ყველა თვალსაზრისით რუსეთი იყო. ეს მას სჭირდებოდა მისი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

შეიძლება თუ არა ნდობა რუსეთისა და ფიქრი იმისა, რომ ჩვენ რუსეთი დაგვიბრუნებს აღნიშნულ ტერიტორიებს ან დაგვეხმარება აღნიშნული ტერიტორიების დასაბრუნებლად სრულიად უანგაროდ. რა თქმა უნდა, ამისი ფიქრი ყოვლად დაუშვებელი გახლავთ. თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიას, დავინახავთ, რომ ყველა ისტორიულ ეტაპზე რუსეთი ატყუებდა საქართველოს.

რუსეთმა მოატყუა ვახტანგ VI, როცა მას შეუთანხმდა და მოუწოდა სპარსეთისაკენ ერთობლივი ლაშქრობისათვის. როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და ვახტანგი თავისი ჯარით გამოცხადდა საბრძოლველად, რუსეთის ჯარი არ მოვიდა. პეტრე I-მა ვახტანგ VI მოატყუა და უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

როდესაც ერეკლე II ებრძოდა თურქებს, გენერალმა ტოტლებენმა დაპირდა დახმარება, მაგრამ მოატყუა ერეკლე და იგი ბრძოლის ველზე არ გამოცხადდა. პირიქით, ბრძოლის ველი მიატოვა და საქართველოში ცრუ ხმები გაავრცელა, ერეკლე და ქართული ჯარი დამარცხდაო. ახლა საქართველოს მოსახლეობამ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე უნდა დაიფიცოსო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო გენერლის პირადი გადაწყვეტილება. ეს იყო მითითება პეტერბურგიდან. ამგვარ გადაწყვეტილებებს ჩვეულებრივი გენერლები ვერ მიიღებდნენ და თუ მიიღებდნენ მათ სასტიკი სასჯელი ელოდათ. ეს იყო დავალება პეტერბურგისა, რომელიც გენერალმა

ტოტლებენმა პირნათლად შეასრულა. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მისი ვარაუდი არ გამართლდა. ერეკლემ და ქართულმა ჯარმა იმ ბრძოლაში გაიმარჯვეს.

არც 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლის დროს დახმარებია რუსეთი საქართველოს, თუმცა პირობის თანახმად მოვალი იყო მას ეს დახმარება გაეწია.

1783 წლის ტრაქტატი პირწმინდად დაირღვა 1801 წელს, როცა მოხდა საქართველოს ანექსია და არა იმ პირობების განხორციელება, რომელსაც ტრაქტატი ითვალისწინებდა. 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებაც დაარღვია რუსეთმა. 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთი სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და უარს ამბობდა ყოველგვარ პრეტენზიაზე საქართველოს მიმართ; მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ წითელი არმია თავს დაესხა საქართველოს და იგი დაიპყრო. ასე, რომ მთელი ამ გრძელი ისტორიის მანძილზე, ჩვენ ვხედავთ ერთადერთ სურათს – რუსეთი ატყუებს საქართველოს.

რუსეთი მომავალშიაც გააგრძელებს ამ მოტყუებას, რადგან რუსეთისათვის მთავარია მისი სახელმწიფო ინტერესები და არა ის, რომელი ხელისუფლება მართავს რუსეთს. აგერ 200 წლის მანძილზე რუსეთს ნაირ-ნაირი ხელისუფლება მართავს, მაგრამ საქართველოს მიმართ მისი დამოკიდებულება ყოველთვის ერთნაირია. არაფერი ამ დამოკიდებულებაში არ შეცვლილა. არ შეიცვლება იგი არც მომავალში. ამიტომ ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ – რას ვაპირებთ, რა გვინდა და როგორ უნდა მოვიქცეთ, რაკი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აუცილებელია იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს შევქმნათ ჩვენ მართლაც დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა, ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჩვენი ეროვნული ღირსება, ჩვენ უნდა მოვიწმინდოთ დამარცხების ჭუჭყი და შევუდგეთ ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეს მისი ტერიტორიების დაბრუნებით. ამისათვის, მართალია, არაპოპულარულია ის, რასაც მე ახლა ვიტყვი და, მით უმეტეს, წინასაარჩევნო ვითარებაში, მაგრამ არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ იმ გზით, რითაც იგი დავკარგეთ, ანუ ომით. როცა ამას ვამბობთ, ბუნებრივია, არავის მოვუწოდებ არც სისხლისღვრისაკენ და არც ახალი სასაკლაოს შესაქმნელად. უბრალოდ ვამბობ რეალურ ვითარებას და წარმოვადგენ იმ აუცილებლობას, რაც გახლავთ საჭირო და გადამწყვეტი, რომ ჩვენი დაკარგული ტერიტორიები ჩვენვე დაგვიბრუნდეს, დარბეული და აწიოკებული ხალხი კი დაბრუნდეს შინ, თავის ისტორიულ საცხოვრისში.

გადაწყვეტილებ კი, ბუნებრივია, ამ მიმართულებით მთელმა ხალხმა უნდა მიიღოს, რადგან ეს არ არის გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ვანდოთ ერთ პიროვნებას ან, თუ გნებავთ, მთელ პარლამენტს, არამედ მთლიანად მთელი ხალხისათვის უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება მისაღები და აუცილებელი. ეს არის ჩემი აზრი;

გაიზიარებს თუ არ გაიზიარებს მას საზოგადოება, ეს უკვე მომავლის საქმე გახლავთ.

დღევანდელ ვითარებაში არსებობს პოლიტიკა, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ «მშვიდობის შესანარჩუნებლად ტერიტორიის დათმობას”. ე.ი. ესა თუ ის სახელმწიფო ამჯობინებს მშვიდობის შენარჩუნებას და ამ მიზნით თმობს თავის ტერიტორიას. ამისი მაგალითი არსებობს – ისრაელმა თავისი ტერიტორია დაუთმო პალესტინელ არაბებს, რაშიც, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი როლი შეასრულა აშშ-მა. მათ (ამერიკელებმა) აიძულეს ისრაელი დაეთმო ეს ტერიტორია და ამით გარკვეულად დაემშვიდებინათ აღელვებული პალესტინელი არაბები. მაგრამ მოჰყვება თუ არა ამას მშვიდობა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის დამაფიქრებელი, რადგან არ არის გამორიცხული, რომ უკვე დაკმაყოფილებულმა პალესტინელმა არაბებმა გაცილებით

მეტი მოითხოვონ, ვიდრე დღეს ითხოვენ. როდესაც დადგება სწორედ აი, ამ მეტის მოთხოვნის საკითხი, მაშინ ვნახოთ, როგორ მოიქცევა ისრაელი, რადგან ამ დათმობებმა შესაძლებელია ისრაელის სახელმწიფო კატასტროფამდე მიიყვანოს. და თუ მოხდება ისე, რომ შეიზღუდება მიცემის უფლებები, რომელიც ისრაელს აქვს, როგორც სახელმწიფოს, ბუნებრივია, ისიც, რომ ისრაელის მიმართ მთელი არაბული სამყარო სრულიად სხვაგვარად განეწყოს და შესაძლებელია ძველი ისტორიული ტრაგედია განმეორდეს, რაც არაერთგზის განუცდია ისრაელს.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელი სამყარო გაყოფილი იყო ორად – აშშ-ის გავლენის სფეროდ და სსრკ-ის გავლენის სფეროდ. ახლა, როდესაც სსრკ დაიშალა, ბუნებრივია ისიც, რომ რუსეთი ცდილობს გავლენის იმ სფეროების შენარჩუნებას, რომელიც სსრკ-ს ჰქონდა. მაგრამ ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებს. აშშ კი ცდილობს მოახდინოს იმ ტერიტორიის ათვისება, რომელიც ადრე სსრკ-ის გავლენის ქვეშ იყო და კიდევ უფრო მეტად გაფართოვდეს მისი გავლენის სფერო. ამ ვითარებაში, ცხადია, ამერიკელებმა უნდა როგორმე მიიმხრონ არაბები, გააკეთონ ის, რაც არაბებს კეთილად განაწყობს აშშ-ის მიმართ და ამით ფეხს მოიკიდებს იმ ზონაში, რომელიც ოდესღაც სსრკ-ის გავლენის სფერო იყო. ამ მიმართულებით ათმობინებს აშშ ისრაელს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს არაბების სასარგებლოდ. როგორ და რანაირად გადაწყდება ყველა ეს საკითხი, ისევ და ისევ მომავალი აჩვენებს, თუმცა პროცესი მიმდინარეობს, როგორც გითხარით, იმ პოლიტიკის შესაბამისად, რომელსაც ეწოდება ტერიტორიის დათმობა მშვიდობის შესანარჩუნებლად.

საქართველოს შეუძლია ამგვარი ნაბიჯი გადადგას, დათმოს აფხაზეთი, შიდა ქართლიც და ამით მშვიდობა შეინარჩუნოს და არ მოხდეს საქართველოში არავითარი სისხლისღვრა. მაგრამ საკითხს სხვა კუთხეც აქვს, სხვა მხარეც აქვს – იქნება კი ეს ღირსეული საქციელი ქართველი ხალხისათვის? იქნება კი ეს ჩვენი ეროვნული ღირსების შენარჩუნება და არა მისი დამცირება-დაკნინება? სწორედ აქ უნდა გავაკეთოთ არჩევანი: რა გვინდა – ღირსების დაკარგვით, ტერიტორიების დაკარგვით შევინარჩუნოთ მშვიდობა, თუ დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები, აღვადგინოთ ჩვენი შელახული და დამცირებული ღირსება.

ეს ალტერნატივა ძალიან მძიმე ალტერნატივა გახლავთ და მისი გადაწყვეტა მხოლოდ ხალხს შეუძლია და არა ცალკეულ პირს ან მთელ პარლამენტს. რაკი ჩვენმა ხალხმა თავის დროზე საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას მისცა ხმა, ბუნებრივია, დღესაც უნდა განსაზღვროს მან თავისი დამოკიდებულება ყველა იმ პრობლემისადმი, რომელიც მის წინ დგას და ერთ-ერთი ასეთი პრობლემა სწორედ ის გახლავთ, რაზედაც ახლა ვლაპარაკობდით. ამ პრობლემის გადაწყვეტაში არსებით როლს ასრულებს რუსეთი, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს არა აფხაზებთან ან შიდა ქართლში დასახლებულ ოსებთან, არამედ თავად რუსეთთან, რადგან რუსეთის მიერ არის ყველაფერი, როგორც უკვე მოგახსენეთ, მოფიქრებული და განხორციელებული. როგორი პოლიტიკაც უნდა იყოს ამ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, მიმაჩნია, რომ სრულიად ღიად, აშკარად ყველას უნდა ვუთხრათ რა მოხდა სინამდვილეში და რა როლი შეასრულა ამ საქმეში რუსეთმა. თვითონ რუსეთის გასაგონადაც ეს ღიად და აშკარად უნდა ითქვას, იმიტომ რომ დამალული პოლიტიკა, ფარული კუკუმალობანას თამაში არავითარ შედეგს არ გამოიღებს. არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ იმდენად გამოცდილი პოლიტიკოსები ვართ, რომ იოლად მოვატყუებთ რუს პოლიტიკოსებსა და რუსეთის პოლიტიკის კურსს გამოვცვლით, ხელიდან გამოვართმევთ იმ ტერიტორიას, რომელიც დავკარგეთ.

რუსეთმა ძალიან კარგად იცის, რას აკეთებს, რატომ აკეთებს. ყველაფერი შემუშავებული აქვს იმისათვის, რომ განახორციელოს მისი ისტორიული პოლიტიკა, რომელსაც იგი არ ცვლის. ჩვენ თუ დავიწყებთ მასთან ფარულ დიპლომატიურ თამაშს, არ მოხერხდება რუსეთის დიპლომატიის მოტყუება და თვითონ აღმოვჩნდებით მოტყუებულები და გაცუცურაკებული. ამიტომ მიმაჩნია, რომ ღიად უნდა ითქვას სათქმელი და ღიად უნდა დაისვას საკითხი: რა გვსურს, ისევ დავრჩეთ რუსეთის სახელმწიფო ნაწილად თუ მოვახერხოთ ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნება, დავიბრუნოთ ყველაფერი ის, რაც დავკარგეთ.

მე მუდამ ვიყავი მომხრე და ახლაც მომხრე ვარ იმისა, რომ ბოლომდე ვიბრძოლოთ ყველა შესაძლებლობით დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, ჩვენი ეროვნული ღირსება და ჩვენი სიმართლე აღვადგინოთ, ამის შესაბამისი იყოს დამოკიდებულება რუსეთის მიმართაც. საქართველოს რუსეთის მიმართ უნდა ჰქონდეს იგივე დამოკიდებულება, რაც აქვს თურქეთთან ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიმართ, ხოლო რუსეთი ჩვენ ისევე უნდა გვცემდეს პატივს, როგორც სცემს პატივს პატარა ქვეყნების დამოუკიდებლობას – ნორვეგიის, დანიის, ჰოლანდიისა... რუსეთი არ უნდა გვიყურებდეს როგორც ყოფილ კოლონიას, რომლის დაბრუნება უნდა. რუსეთმა ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა თქვას საქართველოზე, როგორც კოლონიაზე. პატივი სცეს ჩვენს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. მისი პოლიტიკაც შესაბამისად უნდა განახორციელოს.

თუ რუსეთი ამას თავისით არ გააკეთებს, მაშინ ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ვაიძულოთ რუსეთი, რომ ამგვარი დამოკიდებულება ჰქონდეს საქართველოსადმი. ამის შესაძლებლობა რომ არსებობს, ეს უკვე ჩეჩნებმა დაამტკიცეს. ჩეჩნები უკვე აიძულებენ რუსებს პატივი სცენ ჩეჩენი ხალხის სურვილს და წავიდნენ იმ გზით, რა გზითაც მათ ჩეჩენი ხალხის ნება უკარნახებს. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, ოღონდ ამას სჭირდება დიდი ნებისყოფა, დიდი სურვილი და თავგანწირვა საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ოქტომბერი, 1995

ჩვენი სულწასულობის გამო ნანგრევებში ამოვყავით თავი

სპარტაკ ქობულია – ბატონო აკაკი, ერთხანს თქვენ რუსთა-ველის საზოგადოებას ხელმძღვანელობდით, შემდეგ ეს უპირველესი ეროვნული საზოგადოება, სინამდვილეში, დაიშალა. ყველა პატრიოტს, ნაღდ მამულიშვილს დღესაც აფიქრებს ეს ამბავი. თუ რუსთაველი მთელი საქართველოა (და სიმბოლურად, ეს მართლაც ასეა!) ამდენი პარტიებისა და გაერთიანებების გვერდით რატომ ვერ შევძელით რუსთაველის საზოგადოების შენარჩუნება?

აკაკი ბაქრაძე – 1990 წლის ნოემბერში მე გადავდექი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარის თანამდებობიდან, მაშინ ახალ თავმჯდომარედ აირჩიეს თენგიზ სიგუა, რომელიც ამჟამადაც ამ საზოგადოების თავმჯდომარეა, გადადგომა უფრო ადრე, 1990 წლის მაისში მინდოდა. რატომ და რისთვის _ ამის ახსნა-განმარტება მაშინვე მივეცი ხალხს. ეს განმარტება დაბეჭდილია 1990 წლის 26 მაისის გაზეთ «თბილისში». თუ ვინმეს სიმართლე აინტერესებს, შეუძლია გაეცნოს ამ წერილს. ჩემი გადადგომა

გადაიდო რამდენიმე თვით, თავად რუსთაველის საზოგადოების წევრების თხოვნით, ოქტომბერში დანიშნული არჩევნების ჩატარებამ. რო-გორც კი არჩევნები დამთავრდა, რუსთაველის საზოგადოების ყრი-ლობამ ჩემი თხოვნა გადადგომის შესახებ დააკმაყოფილა.

როგორ მუშაობდა რუსთაველის საზოგადოება ჩემს გადადგომამდე, ეს იციან არა მარტო რუსთაველის საზოგადოების წევრებმა, არამედ ყოველმა ობიექტურმა კაცმა საქართველოში.

რა მოხდა 1990 წლის ნოემბრის შემდეგ, ეს უნდა ჰკითხოთ იმ ადამიანს, ვინც ამ დროიდან თავმჯდომარეობს რუსთაველის საზოგადოებას.

ჩემი აზრით, რუსთაველის საზოგადოება უნდა იყოს საზოგადოება, რომელიც დაინტერესებული იქნება კულტურის საკითხებით და არა პოლიტიკით, მით უმეტეს, დღეს, როცა პოლიტიკური პარტიები უზომოდ მომრავლებულია. სხვათა შორის, თქვენ არ გიკითხავთ ეს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: საჭიროა, რომ კონსტიტუციურად დადგინდეს – საქართველოში ხუთ პარტიაზე მეტი არ იყოს, თორემ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება, ცხადია, არჩევნებიც ბუფონადას დაემსგავსება.

ს.ქ. – თქვენი წინასაარჩევნო პლატფორმა რადიკალური, მკვეთრი გადაწყვეტილებებით გამოირჩევა. განსაკუთრებით დამაფიქრებელია თქვენი დამოკიდებულება დსთ-ს, საერთოდ, რუსეთის მისამართით. ბევრს მიაჩნია, რომ აკაკი ბაქრაძე ქართველებს სისხლისღვრისაკენ, სასაკლაოსაკენ უბიძგებსო! როგორ ფიქრობთ, პოლიტიკაში შეიძლება ასე «ღიად", გათვლების გარეშე, ლაპარაკი?

ა.ბ. – ყველა ჭკუათმყოფელმა ადამიანმა იცის, რომ არავითარი სისხლისღვრისა და სასაკლაოსაკენ არ მოვუწოდებ მე ქართველ ხალხს. ერთადერთი, რაც მსურს, ეს გახლავთ ის, რომ ქართველმა ხალხმა ეროვნული ღირსება შეინარჩუნოს და ყველა ვითარებაში დაიცვას იგი. დღეს ქართველი ხალხის ღირსება შელახულია და დამცირებული. ქართველი ხალხი დამარცხებულია. მან ომი წააგო და ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი (აფხაზეთი და შიდა ქართლის ის ნაწილი, რომელსაც კომუნისტებმა «სამხრეთ ოსეთის"აო უწოდეს) მტერს აქვს დაპყრობილი, მოსახლეობა კი – დევნილი, აწიოკებული და უსახლკაროდ დარჩენილია. დაუყოვნებლივ გადასაწყვეტია ეს ურთულესი საკითხი.

ამ პრობლემის მოგვარება მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით არ მოხერხდება. არ არის საჭირო ისტორიული მაგალითების მოხმობა. ეს განვლილმა ორმა წელიწადმაც ნათლად დაამტკიცა. ორი წელიწადია დავრბივართ იქით-აქეთ – ჟენევა იქნება, სოჭი თუ მოსკოვი და არაფერი გამოდის. წინ ნაბიჯიც ვერ წავდგით.

ჩვენ გვარწმუნებდნენ, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შევალთ, აფხაზეთს დაგვიბრუნებენო. მოგვატყუეს. შევედით დსთ-ში, მაგრამ არავინ არაფერი დაგვიბრუნა.

საქართველოს ფედერალური მოწყობა თურმე იმიტომ არის საჭირო, რომ აფხაზეთს დაგვიბრუნებენ. ტყუილია ესეც.

საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების 25-წლიანი არსებობაც იმიტომ უნდა დაკანონდეს თურმე, რომ აფხაზეთი დავიბრუნოთ. ამ ფუჭი ოცნების მკაფიო პასუხი მოგვცეს მოსკოვიდან: რას მიედ-მოედებით, რა შუაშია აფხაზეთი და ბაზები. საქართველოსათვის აფხაზეთის დაბრუნება არავის უფიქრიაო.

ყველაფერი, რაც მოგახსენეთ, ცხადად გვეუბნება, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ვერც ჩვენს წართმეულ ტერიტორიას დავიბრუნებთ და ვერც აწიოკებულ, დარბეულ და დევნილ მოსახლეობას დავაბრუნებთ მამაპაპეულ მიწა-წყალზე.

ამიტომ ვთქვი, რომ აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაბრუნება შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რა გზითაც დავკარგეთ, ანუ ომით. ამისათვის კი მომზადებაა საჭირო, ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნაა საჭირო, ამისათვის აუცილებელი ნივთიერ-ქონებრივი ძალის მოკრებაა საჭირო. ეს არის ჩემი აზრი და არავის ვახვევ თავს.

ჰო, ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ წინააღმდეგი ვიყავი დსთ-ში შესვლისა და აუცილებლად მიმაჩნია იქიდან გამოსვლა. მაგრამ რატომ არის ეს «სისხლისღვრისაკენ» მოწოდება?

რუსეთისადმი საქართველოს დამოკიდებულება უნდა იყოს, რა თქმა უნდა, კეთილმეზობლური, ისეთივე, როგორიც აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან, ირანთან და სხვებთან და არა მარტო მეტი. არასოდეს მითქვამს და არც ვიტყვი, რომ რუსეთთან არ უნდა გვქონდეს მჭიდრო ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობანი. მაგრამ რუსეთი საქართველოს ისევე უნდა უყურებდეს, როგორც დანიას, ნორვეგიას, ჰოლანდიას და სხვებს. მათ რუსეთი თანაბარუფლებიან პარტნიორად თვლის, ასევე თანაბარუფლებიან პარტნიორად უნდა ჩათვალოს მან საქართველოც.

ს.ქ. – «კაკო ბაქრაძე ხალხს, ახალგაზრდობას აბუნტებს, პრაქტიკული მოქმედების დროს კი იმალებაო" – მე ვიცი, რომ თქვენ ამ სერიოზულ ბრალდებას უკვე უპასუხეთ, მაგრამ იქნებ, კიდევ ერთხელ გაიმეოროთ ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის.

ა.ბ. – არავინ არასოდეს არავის წინააღმდეგ არ ამიბუნტებია. არც არასოდეს დავმალულვარ. ეს ცილისმწამებლებისა და დემაგოგების მოგონილია. ისინი ყველა დროში მრავლად არიან. მათ გონიერი ადამიანები არ უგდებენ ყურს.

მე არ ვარ რევოლუციის მომხრე. ევოლუციის მომხრე ვარ. თანდათანობით განვითარების მომხრე ვარ. ბუნებაში ყველაფერი თანდათანობით ვითარდება. მიწაში ჩაგდებული თესლი თანდათანობით ღივდება, ამოდის, იზრდება და ნაყოფი მოაქვს. ასევეა, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. აქაც ევოლუციურ განვითარებას მოაქვს დადებითი შედეგი. მე ყოველთვის ვაკრიტიკებდი საზოგადოებრივ უარყოფით მოვლენებს. მისი გამოსწორება თანდათანობით უნდა მომხდარიყო, ევოლუციური გზით და არა ბუნტითა და რევოლუციით. ბუნტსა და რევოლუციას მხოლოდ ნგრევა, უბედურება მოაქვს. მაგრამ ეროვნულმა მოძრაობამ ამას ანგარიში არ გაუწია. შეეცადა თავისუფლება-დამოუკიდებლობა უცბად, ერთბაშად მოეპოვებინა, მაგრამ შეცდა და დამარცხება იწვნია.

მე ღია პოლიტიკის მომხრე ვარ. საქართველო, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, ახლა ყალიბდება. იგი ან საბოლოოდ გახდება დამოუკიდებელი და თავისუფალი, ან ისევ კოლონიურ უღელს დაიდგამს. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენი ხალხის ნებისყოფაზე, სიმტკიცეზე, მიზნის ერთგულებაზე. ამ ვითარებაში დიპლომატობანას თამაში, პოლიტიკური კუკუმალობანა ჩვენ არ მოგვიტანს დადებით შედეგს.

1985 წლის შემდეგ ყოველი ადამიანისათვის, ვისაც ისტორიის პროცესი ესმის, ნათელი იყო, რომ სსრკ დაიშლებოდა, მოკავშირე რესპუბლიკები განთავისუფლდებოდნენ, ამისათვის აჩქარება და ფაცი-ფუცი სრულებით არ იყო საჭირო. მაგრამ ჩვენ სულწასული ხალხი ვართ და ვერ მოვითმინეთ. სულწასულობის გამო, ნანგრევებში ამოვყავით თავი. მადლობა ღმერთს, მე ამას მანამ ვწერდი, სანამ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები მოხდებოდა. დამადასტურებელ მასალას ყველა დაინტერესებული მკითხველი ნახავს ჩემს წიგნში «დაწუნებული გზა".

ს.ქ. – თუ გაპრეზიდენტდით, პრაქტიკულად როგორ აპირებთ ქართველთა აზროვნების, მთელი ჩვენი მენტალიტეტის გარდაქმნას. თვლით თუ არა, რომ ჩვენი ერი, სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, მძიმე ავადმყოფივითაა?

ა.ბ. – ქართველი ხალხი დაბნეულია. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ იოლად, მეტისმეტად ადვილად წარმოვიდგინეთ დამოუკიდებლობა-თავისუფლების მოპოვება. როცა ასე არ მოხდა, როცა მივხვდით, რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება მძიმე, სისხლიანი და ეკლიანი გზაა, თავზარდაცემული დავრჩით. მიეროხანის დადგომამ კი სულ მოგვიღო ბოლო (მიეროხანი მეგრული სიტყვაა და ნიშნავს დროს, როცა ძაღლი პატრონს ვერ ცნობს და ყველაფერი თავდაყირა დგას). ყოველ ხალხს ემართება ეს, მით უმეტეს, როცა იგი დამარცხებულია. დღეს ჩვენ დამარცხებული ხალხი ვართ. მტერს აქვს დაპყრობილი აფხაზეთი და შიდა ქართლი.დამარცხებული ერი დროებით კარგავს რწმენას და სასოწარკვეთილებას ეძლევა. აღარ სჯერა მომავლის. მაგრამ, მოგეხსენებათ, დრო ყველაფრის მკურნალია. გარკვეულმა დრომ უნდა გაიაროს, რომ ერს სიმშვიდე დაუბრუნდეს, მერე კი წყნარი გონებით განსჯის, ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. ამიტომ არ არის საჭირო ქართველთა აზროვნებისა და მენტალიტეტის გარდაქმნა.

ს.ქ. – რა აზრის ბრძანდებით საბაზრო ეკონომიკაზე და საქართველოსთვის ეკონომიკური განვითარების როგორ მოდელს აირჩევდით?

ა.ბ. – მე მომხრე ვარ სოციალური საბაზრო ეკონომიკის, არაერთხელ მითქვამს ეს და დამიწერია. საქართველომ, თუ სურს, თავი დააღწიოს ეკონომიკურ სიდუხჭირეს, სოციალური საბაზრო ეკონომიკა უნდა აირჩიოს: თუ ასე მოხდება, მაშინ საქართველოში კერძო საკუთრება უნდა დამკვიდრდეს. სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძველი კერძო საკუთრებაა და იმიტომ. კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს: კერძო საკუთრება წმიდათაწმიდაა და ხელშეუხებელი. მაგრამ, ჩვენი ვითარების შესაბამისად, არის ერთი მაგრამ... მიწის პრობლემა. ეს საკითხი ასე წარმომიდგენია:

მიწა სახელმწიფო საკუთრებაა (სხვა ყველაფერი კერძო, დიდი სამრეწველო ობიექტების ჩათვლით).

მიწა გლეხს ეძლევა მუდმივ მემკვიდრეობით მფლობელობაში. გლეხისათვის მიწის ჩამორთმევის უფლება არავის აქვს.

მაგრამ გლეხს არა აქვს მიწის გაყიდვის უფლება. თუ რაიმე მიზეზით გლეხს აღარ სურს იყოს მიწათმოქმედი, მაშინ იგი მიწას უბრუნებს სახელმწიფოს. სახელმწიფო ყიდულობს გლეხისაგან ამ მიწას.

რაც გითხარით, ზოგადი პრინციპია. იგი უნდა დამუშავდეს იურიდიული თვალსაზრისით და მიიღოს კანონის სახე.

ს.ქ. – როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი? რა როლი ენიჭება პრეზიდენტს ამ მომავლის გამოჭედვაში?

ა.ბ. – საქართველოს უმძიმესი გზა აქვს გასავლელი, მაგრამ მომავალში იგი იქნება ღირსეული ქვეყანა.

ს.ქ. – ახლა, თქვენი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების «მწვერვალზე", რაზე ფიქრობთ?

ა.ბ. – ჩვეულებრივად, რაზეც ყოველ დღე ვფიქრობდი, ზოგჯერ სრულიად უბრალო სასაცილო საგნებზეც კი.

ს.ქ. – თქვენი იდეალი ცხოვრებაში, ლიტერატურაში, პოლიტიკაში.

ა.ბ. – კონკრეტულად ვერავის დავასახელებ. ბევრი მწერალი, ბევრი პოლიტიკოსი, ბევრი ადამიანი იწვევს ჩემს აღტაცებას...

ს.ქ. – გისურვებთ წარმატებებს.

ა.ბ. – გმადლობთ.

გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა”,
21.X.1995

უნდა გავთავისუფლდეთ შინაგანი მონობისაგან

ტრისტან ყველაიძე – ლოზუნგი - გადავარჩინოთ ქართული კულტურა, ალბათ, გახსოვთ. ცოტა უცნაური იყო ეს ლოზუნგი. ვერ მივხვდი, რა იგულისხმებოდა ამ გადარჩენაში, რადგან, მოგეხსენებათ, ერის კულტურა არ განისაზღვრება მარტო იმით, რომ მას კარგი მომღერლები და მოცეკვავეები ჰყავს. ერის კულტურა მოიცავს, ალბათ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფენას. ამ შემთხვევაში, ალბათ, იგულისხმებოდა კულტურის ის სფერო, რომელსაც ჩვენ ხელოვნებას ვეძახით. აი, უკვე გავიდა 3-4 წელი და ეს ლოზუნგიც თავისთავად დავიწყებას მიეცა. როგორ ფიქრობთ, ბატონო აკაკი, გამოსწორდა ჩვენი მდგომარეობა, გადარჩა ქართული კულტურა, თუკი საერთოდ ჰქონდა რაიმე გადასარჩენი. ამასთან დაკავშირებით, რას იტყვით.

აკაკი ბაქრაძე – ალბათ, ეს ლოზუნგი თავის დროზე გულისხმობდა, რომ მატერიალური დახმარება, ნივთიერი დახმარება გაეწიათ კულტურისათვის, კერძოდ ხელოვნებისათვის. მოგეხსენებათ, რომ ხელოვნება სულიერი ცხოვრების გამოხატულება გახლავთ, მაგრამ მას ძალიან სერიოზულად სჭირდება სწორედ ნივთიერი დახმარება, ფულადი დახმარება, რაკი სპექტაკლის დადგმას დიდი ფული სჭირდება, ფილმის გადაღებას დიდი ფული სჭირდება, წიგნების გამოცემას ფული სჭირდება. ერთი სიტყვით, ნივთიერი და ფულადი დახმარების გარეშე ვერ ხერხდება, რომ ეს სულიერი შემოქმედების ნაყოფი გახდეს მთელი ხალხის კუთვნილება, მიეწოდოს მას (ხალხს). სწორედ ამ ხიდს, ამ გზას სჭირდება ის დახმარება, რომელსაც მეტნაკლებად უწევს ხელისუფლება ხელოვნებას და, საერთოდ, კულტურულ ცხოვრებას. ალბათ, ეს იგულისხმებოდა ამ ლოზუნგში. მაგრამ რაკი საქართველოში არ არის კარგად ეკონომიკური მდგომარეობა, რაკი ჯერჯერობით ვერ გამოსწორდა ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია წარმოებასთან, ცხადია, ლოზუნგი ლოზუნგად დარჩა და მან რეალური შედეგი ვერ გამოიღო.

ტ. ყ. – ალბათ, იგულისხმებოდა – გადავუხადოთ რაღაც გარკვეული თანხები თეატრს, კინოს და იქნებ ამით გადარჩესო.

ა.ბ. – ეს იგულისხმება, რა თქმა უნდა. თორემ შემოქმედებით პროცესში დახმარება არავის შეუძლია. ეს დამოკიდებულია თვითონ იმ პიროვნებაზე, იმ ადამიანზე, ვინც ქმნის. ამიტომ დახმარება გულისხმობდა მხოლოდ და მხოლოდ ფულად, ნივთიერ დახმარებას, რადგან არა მარტო ხელოვანმა უნდა იცხოვროს შედარებით უფრო კეთილმოწყობილად, არამედ მთლიანად მთელმა საქმიანობამ, რაც დაკავშირებულია ხელოვნებასთან, კულტურასთან, მწერლობასთან.

ტ. ყ. – ბატონო აკაკი, მე ასე მგონია, ერთნაირად დაფინანსება ხელოვნების ყველა ნაწარმოებისა, არ შეიძლება. ეს უარეს შედეგს გამოიღებს. ვთქვათ, მე ვარ მდიდარი კაცი და შემიძლია დავაფინანსო კინო, თეატრი და ა.შ. მაგრამ თუ ერთნაირად ვაფინანსებ კარგსაც და ცუდსაც, ე. ი. მაღალი ხარისხის ხელოვნების მაწარმოებს და უფრო მდარე ხარისხისას, ეს უფრო დათვური სამსახური არ გამოდის? როგორ ფიქრობთ, დაფინანსებას რა მიზანდასახულება ახასიათებს?

ა.ბ. – დღევანდელ ვითარებაში, ალბათ, დაფინანსების სისტემა მთლიანად უნდა შეიცვალოს, რადგან თუ ჩვენ დავადგებით სოციალური საბაზრო ეკონომიკის გზას, თუ საქართველოში იქნება კერძო საკუთრება, მაშინ, ცხადია, ის წესები და ის მეთოდები, რითაც ხელოვნება ცხოვრობდა, კულტურა ცხოვრობდა კომუნისტური რეჟიმის დროს, უკვე აღარ გამოდგება და არავითარ შედეგს არ მოგვცემს. დღეს, როგორც ჩანს, ეს საკითხი სულ სხვაგვარად უნდა დაისვას და სულ სხვაგვარად უნდა გადაიჭრას. ისე, როგორც ეს არის უცხოეთში, ისე, როგორც ეს იყო მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩვენში, როდესაც ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები და სხვ. გარკვეულ როლს თამაშობდნენ სწორედ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში თავიანთი ნივთიერი, მატერიალური დახმარების კუთხით. ალბათ, მომავალში ასეც იქნება, რადგან თანდათანობით გამოჩნდებიან ახალი სარაჯიშვილები, ახალი ზუბალაშვილები, ახალი ხოშტარიები და ისინი ამ მხრივ, მატერიალურ-ფინანსური თვალსაზრისით, გაუწევენ სერიოზულ დახმარებას ჩვენს კულტურას, მაგრამ როგორ უნდა დაფინანსდეს თითოეული სპექტაკლი, ან თითოეული წიგნი, ან თითოეული ფილმი – ეს იმის შესაბამისად უნდა გადაწყდეს, ვინც მართავს უშუალოდ ამ დარგებს ხელოვნებისას. გამომცემელმა უნდა იცოდეს, რომელი წიგნია ისეთი, რომელიც ღირსია დაფინანსების, კარგად გამოცემის, ფართო პროპაგანდა გაეწიოს და მიეწოდოს მკითხველ საზოგადოებას. ასევე თეატრში – რომელ სპექტაკლს უნდა განსაკუთრებული მხარდაჭერა, სად გამოვლინდა ყველაზე მკაფიოდ რეჟისორის, მსახიობის, დრამატურგის ნიჭი, რომელ სპექტაკლს შეუძლია მართლა მაღალი სულიერი ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებაზე და ასევე ფილმიც. ეს უნდა იყოს იმ წრის, იმ ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს ამა თუ იმ დარგს ხელოვნებისა, ვინც პატრონობს თეატრს, კინოს, გამომცემლობებს და ა.შ.

როგორც ჩანს, ახლა ყველა საზოგადოებაში არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფართო მოხმარების ნიმუშები ხელოვნებისა. მაგრამ ის დაიდგმება სპექტაკლად, ან გადაიღება ფილმად, ან დაიხატება იმის შესაბამისად, რა მოთხოვნილება აქვს ლიანგს, რა მოთხოვნილება აქვს მასას და აკმაყოფილებს მეტნაკლებად მას. მაგრამ არის ხელოვნების მაღალი ნიმუშები, რომლებიც შესაძლოა არ სარგებლობს საერთო მოწონებით. მხოლოდ გარკვეული ნაწილია საზოგადოებისა მისი დამფასებელი, მაგრამ თავისთავად ეს არის მაღალი ხელოვნება.

ერთხელ, მახსოვს ნოდარ კაკაბაძეს თავის წერილში მოჰყავდა ერთი ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთმა მანდილოსანმა თომას მანის წიგნი უკან დააბრუნა, რადგან ჩათვალა, რომ ეს ისე პოპულარული არ არის, როგორც ალექსანდრე დიუმას რომელიმე რომანი და ირჩია, დიუმა წაეღო თომას მანის ნაცვლად, რადგან იგი (თომას მანი) ძნელი და რთული საკითხავია, დიუმა კი უფრო პოპულარულია და ყველა კითხულობს. რა თქმა უნდა, ამ მანდილოსანს თავისი გემოვნება აქვს, თავისი სურვილები და მასაც უნდა ჰქონდეს თავისი სულის საზრდო. მაგრამ თომას მანი სხვა კატეგორიის მკითხველისათვის არის. ამან არ უნდა გამოიწვიოს ხელოვნებაში გარკვეული ელემენტის შეტანა ამ თვალსაზრისით, რაკი იყიდება, რაკი ბევრი კითხულობს, აქედან მეტი მოგებაც შეიძლება იყოს, ამან არ უნდა დაჩაგროს ხელოვნების ისეთი ნიმუშები, რომელთაც მართლა აქვს ღირებულება ერის სულიერ ცხოვრებაში. მასობრივმა მოთხოვნილებამ არ უნდა შეცვალოს, არ უნდა დააკნინოს სწორედ ის მაღალი ღირებულება ხელოვნებისა, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ერის კულტურას, რაც საუკუნეებს უძლებს და რითაც ყველა ხალხი და ყველა ერი ამაყობს.

აი, ეს წონასწორობა რამენაირად არ უნდა დაირღვეს. ეს უკვე იმათი უშუალო მოვალეობაა, ვინც ხელმძღვანელობს ამ დარგებს, ვისაც ავალია პატრონობა დარგებისა და საერთოდ კულტურისა.

ტ. ყ. – ბატონო აკაკი, მე მინდა ჩვენს ამომრჩეველს მივაწოდო ასეთი ინფორმაცია, რადგან შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, ბატონი აკაკი ბაქრაძე 70-იანი წლების დასაწყისიდან თითქმის ბოლომდე გახლდათ რუსთაველის თეატრის დირექტორი. მაყურებელმა იცის, ამ წლებში რუსთაველის თეატრმა როგორ წარმატებას მიაღწია და ჩემი ღრმა რწმენით ამაში დიდი წვლილი ბატონ აკაკი ბაქრაძეს მიუძღვის. ახლა ისიც მინდა ვთქვა, ბატონო აკაკი, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში რამდენიმეჯერ გაიჟღერა სპექტაკლ «ყვარყვარესთან" დაკავშირებულმა ბევრმა პერიპეტიამ. მე, როგორც სხვები, არ ვუჩივი ჯერჯერობით მაინცდამაინც მეხსიერებას და ძალიან კარგად მახსოვს – რა და როგორ ხდებოდა. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო და გადაუჭარბებლად ვთქვა, რომ თუ არა ბატონი აკაკი ბაქრაძე, სპექტაკლი «ყვარყვარე" დღის სინათლეს ვერ იხილავდა. მოგეხსენებათ, რომ რუსთაველის თეატრის დირექტორი გახლდათ ცეკას ნომენკლატურა და ბატონი აკაკი ვალდებული იყო დაეცვა ცენტრალური კომიტეტის ინტერესები. მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ბატონი აკაკი თავისი რწმენით, თავისი სინდისით მოქმედებდა და მხოლოდ და მხოლოდ მისი დამსახურებაა, რომ ეს შესანიშნავი სპექტაკლი «ყვარყვარე" იხილა მაყურებელმა. ამასთან დაკავშირებით ხომ არაფერს გაიხსენებდით?

ა.ბ. – გახსენება ბევრი რამის შეიძლება, მაგრამ ახლა ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი არ არის, ჩემი აზრით, მიზანშეწონილი. ისტორია ყველაფერს თავის ადგილას დასვამს და თავის ადგილს მიუჩენს. არ შეიძლება ისტორიის არც გაუკეთესება და არც დამახინჯება-გაუარესება. რაკი ვიცი, ისტორიამ იცის თავისი მართალი სიტყვის თქმა და ყველაფერს თავისი ადგილი ექნება, ამიტომ დღეს ამაზე ლაპარაკი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ჩემი აზრით, ერთი რამე გახლავთ საყურადღებო: ადამიანი შინაგანად უნდა იყოს თავისუფალი და პროპაგანდისტულმა მიზანმა არ უნდა სძლიოს ხელოვნის შინაგანი თავისუფლება. ჩვენდა საუბედუროდ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში არა მარტო ცენზურა არსებობდა და ეს ცენზურა ზღუდავდა, ასაჭურისებდა აზრს, არამედ ამ პერიოდმა ჩამოაყალიბა ხელოვანი, რომელიც დათრგუნულია, დაჩაგრულია და რომ ასიამოვნოს იმას, ვინც ერთი საფეხურით მაღლა დგას, კადრულობს ყველაფერს.

აი, ეს თვისება როგორმე უნდა განიდევნოს ხელოვნის ცხოვრებიდან – მწერალი იქნება ის, მხატვარი იქნება, მსახიობი იქნება, რეჟისორი იქნება, მუსიკოსი იქნება თუ ვინც გნებავთ. ყველა ის ადამიანი, ვინც ხელოვნებას ემსახურება და ვისაც სურს ნამდვილი ხელოვანის სახელი ატაროს, შინაგანად უნდა იყოს თავისუფალი და ამ თავისუფლების კარნახით უნდა მეტყველებდეს და ამ თავისუფლების კარნახით უნდა აწოდებდეს საზოგადოებას ამა თუ იმ ინფორმაციას. ხოლო რას ქმნის ის და რას აკეთებს, ეს მეორე საკითხია. თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თუ შინაგანი თავისუფლება არ არსებობს ხელოვანში, მაშინ ვერც შემოქმედებაში იქნება თავისუფალი. რაკი ხელოვანის ცნობიერებაში არსებობს დათრგუნვის, მორჩილების ელემენტი, ეს ზეგავლენას ახდენს მასზე, რაც ხელს უშლის თავისუფალ შემოქმედებას. სცენაზე მდგარი მსახიობი, თუ თვითონ შინაგანად არ არის თავისუფალი, ვერ ითამაშებს თავისუფალ ადამიანს, ნიჭის მიუხედავად. ასევეა კომპოზიტორი, ვერ დაწერს მუსიკას, რომელიც იქნება ამაღლებული, თავისი ჟღერადობით მძლავრი და ძლიერი; მწერალი ვერ დაწერს წიგნს, რადგან ადამიანში არსებული დაჩაგრულობა, დათრგუნულობა ბუნებრივად გამოჟონავს და დაეტყობა მის შემოქმედებას. ამიტომ

ამოცანა სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენ ადამიანები ამ თვისებისგან გავთავისუფლდეთ. აქ გადამწყვეტი როლი სწორედ ხელისუფლებას ენიჭება და დღეს საქართველოში ისე არაფერია საჭირო, როგორც სრულიად ახალი ტიპის ხელისუფლება.

ჩვენ ვიცით კომუნისტური ტიპის ხელისუფლება რა იყო, რას აკეთებდა იგი ადამიანის სულის საწინააღმდეგოდ. დღევანდელი ხელისუფლების უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ადამიანის სულში აღზარდოს თავისუფლება. ამის ნიმუში კი თვითონ უნდა მისცეს, თვითონ იყოს მოკარნახე, რომ ადამიანმა იმოქმედოს თავისუფლად, ილაპარაკოს გულწრფელად, მისი შემოქმედება იყოს გულწრფელი, მართალი. რა თქმა უნდა, თუ ამას ახლავს ნიჭი, შეიძლება უკვე ძალიან მაღალი რანგის მხატვრული ქმნილება მივიღოთ. კულტურაც თავისთავად ძალიან მაღალი რანგის გახდება.

არავითარ კულტურას არა აქვს ფასი, თუ მას არ ქმნის შინაგანად თავისუფალი ადამიანი, თუ მას არ ქმნის ადამიანი, რომელსაც აღარ აქვს დაჩაგრულობის სინდრომი, დაბეჩავებულობის სინდრომი. თუ ასე მოხდება, რა თქმა უნდა, ხარისხი კულტურისა სულ სხვა იქნება. ამ საქმეში, როგორც ითქვა, განსაკუთრებული როლი ენიჭება ხელისუფლებას, რადგან სწორედ ხელისუფლებამ უნდა მისცეს ამისი სტიმული საზოგადოებას. განსაკუთრებით ჩვენში, რადგან ჩვენ უკვე ვცხოვრობდით ისეთ სისტემაში, რომელიც ადამიანის სულის დაჩაგვრას ყველაზე დიდ დროს ანდომებდა და ძირითადად სწორედ დაჩაგრული ადამიანის სულს აშენებდა. ჩვენ ახლა ამისგან უნდა გავთავისუფლდეთ. გავთავისუფლდებით იმ შემთხვევაში, თუ ამას ხელს შეუწყობს ხელისუფლება. ხელისუფლებას არ უნდა მოსწონდეს ადამიანი, რომელიც მას გუნდრუკს უკმევს. ხელისუფლებას არ უნდა მოსწონდეს ადამიანი, რომელიც მისი დაჩაგრულობის გამო, ლაქიის როლს კისრულობს. როდესაც ადამიანი დაინახავს, რომ ხელისუფლება არ იღებს ასეთ დამოკიდებულებებს, მაშინ იგი თანდათან დაიწყებს გათავისუფლებას მონობისაგან.

ჩვენ შეიძლება გვიჭირდეს ნივთიერად, გვიჭირდეს მატერიალურად, არ იყოს ყველაფერი კეთილად მოწყობილი, მაგრამ მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გავთავისუფლდეთ შინაგანი მონობისაგან. მაშინ მატერიალური საშუალებანიც, ნივთიერი საშუალებანიც უკეთესად შეიქმნება და ეს თავისუფალი ადამიანი თავისი შემოქმედებით გაცილებით ღონიერი იქნება და გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას მოგვცემს (იქნება ეს წიგნი, სპექტაკლი, კინო, თუ რაც გნებავთ). ის გლეხები და ის მუშებიც, რომლებიც მინდვრებში და ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ, რადგან აქაც ამ თავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ჩემი აზრით, ამიტომ არის არსებითი და მნიშვნელოვანი ხელისუფლების როგორი ტიპი ჩამოყალიბდება უახლოეს ხანებში. რამდენად იქნება ეს ხელისუფალი თავად თვითონ თავისუფალი და რამდენად იქნება მოსურნე იმისა, რომ მის გარშემო იყვნენ თავისუფალი ადამიანები და არა დაბეჩავებული, დათრგუნული და დაჩაგრული ადამიანები, რომლებიც მათ წამდაუწუმ აქებენ, მაგრამ შინაგანად გულწრფელი არ არიან.

ტ. ყ. – გასაგებია, ბატონო აკაკი. აბსოლუტურად გეთანხმებით. ახლა ჩვენ ერთმანეთში ნუ ავურევთ ხელოვნებას და პოლიტიკას, მაგრამ მინდა ასეთი ფაქტი გაგახსენოთ, ისევ გამომდინარე იქიდან, რომ თავისუფალი უნდა იყოს ხელოვანი და არ უნდა ფიქრობდეს, რით ასიამოვნოს მთავრობას, ხელისუფლებას და ა.შ. აფხაზეთის ომი ჯერ ახალი დაწყებული გახლდათ. 3-4 კაცი იქნებოდა, ალბათ, მკვდარი, მეტი არა. ამ დროს მოსკოვში გაიმართა ჩეხოვის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, სადაც მიწვეულნი იყვნენ საქართველოდან რუსთაველის თეატრი და მარჯანიშვილის

თეატრი. მაშინ ქართველმა თეატრალურმა საზოგადოებამ ძალიან მძლავრი პროტესტი გამოხატა იმის ნიშნად, რომ ამბობენო – თქვენ, ე.ი. რუსები იქ, აფხაზეთის საკითხში რაღაც ხელს აფათურებთ და ამიტომ ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას ამ ფესტივალშიო. მეც, ბევრმა კოლეგამაც და საერთოდ, ხელისუფლებამაც ეს აბსოლუტურად ნორმალურ პრეტენზიად მიიღო. არავითარი ძალდატანება არ ყოფილა. ახლა რუსები ამბობენ, რომ რომანოვი ჩაერია საქმეში, ლავროვი ჩაერია საქმეში, ნუ ურევთო ერთმანეთშიო – ხელოვნება სხვაა, პოლიტიკა სხვა, ჩამოდით და რაღაც აჩვენეთო. მაგრამ არაფრით ეს საქმე არ გამოვიდა. შემდეგ კი, როდესაც რუსეთმა თავისი ზრახვები აფხაზეთში ბოლომდე მიიყვანა და ამას თვითონ ხელისუფლებაც არ მალავს, მოხდა ასეთი რამ – რუსთაველის თეატრმა საკუთარი ინიციატივით, ცოტა ფული თვითონ იშოვეს, ცოტა რუსებიც დაეხმარათ, ჩავიდნენ დედაქალაქში – მოსკოვში – და მოაწყვეს გასტროლები. ეს არის ორმაგი მორალი, ბატონო აკაკი. თქვენ როგორ გესახებათ, რისი ბრალია ეს? რაშია საქმე?

ა.ბ. – ჩემი აზრით, ეს არის უშუალო შედეგი იმისა, რომ ჩვენში არ არსებობს საზოგადოება. საზოგადოება არ გახლავთ კრებული ადამიანებისა, რომლებსაც გარკვეული სახე არა აქვთ. დღეს ჩვენში არ არის საზოგადოება, რადგან მას სახე არა აქვს, არა აქვს მიზანი, არა აქვს ის მისწრაფება, რომლითაც ყველა საზოგადოება ცხოვრობს. საქართველოში იყო საზოგადოება. ჩვენ ხშირად ვამბობთ – არისტოკრატთა საზოგადოება, ბურჟუაზიის საზოგადოება, უფრო მეტიც, კინტოების საზოგადოებაც კი არსებობდა საქართველოში. მას სრულად გამოკვეთილი სახე ჰქონდა და იმ სახეში გარკვეული შინაარსი იდო. შეიძლება მივიღოთ ეს შინაარსი, შეიძლება არ მივიღოთ, მაგრამ ისინი სრულიად გამოკვეთილნი იყვნენ ამ თვალსაზრისით და მონაწილეობდნენ მთელი ჩვენი ხალხისა და მთელი ჩვენი ერის ცხოვრებაში. დღეს კი ასეთი საზოგადოება ჩვენში არ არსებობს. ჩვენში არის რაღაც კრებული ხალხისა, რომელსაც სრულიად არა აქვს თავისი სახე.

ტ. ყ. – თეატრის მაყურებელიც ასეა. ვერ გაიგებ, რა სახე აქვს. ადრე იყო, თეატრს ჰყავდა მაყურებელი თავისი, მოდიოდნენ, სალაროში ბილეთის აღებამდე კითხულობდნენ – ვინ თამაშობს? რა ხდება თეატრში? ვინ დადგა? ახლა ვერ გაიგებ, ვინ მოდის, რა მოდის... შეიძლება სავსეა თეატრი, მაგრამ...

ა.ბ. – ესეც, მაგალითი, რომელიც თქვენ მოგაქვთ, რასაც ვამბობდი, იმის გაგრძელებაა... რუსთაველის თეატრს უნდა ჰყავდეს თავისი მაყურებელი, როგორც მარჯანიშვილის თეატრს უნდა ჰყავდეს თავისი მაყურებელი, ოპერის თეატრს უნდა ჰყავდეს თავისი მაყურებელი და ა.შ. ჩემს ახალგაზრდობაშიაც ასე იყო. იყო ხალხი, რომელიც არ გამოტოვებდა არც ერთ სპექტაკლს, რადგან ის თვლიდა, რომ ამ თეატრის მაყურებელია, მას პატივი უნდა სცეს.

ტ. ყ. – ასე დღეს აღარ არის.

ა.ბ. – აღარ არის, იმიტომ რომ, წეღან რომ მოგახსენებდით, არ არის საზოგადოება. ბუნებრივია, არ არის ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც თავისი გემოვნება აქვს, თავისი კუთხე აქვს, თავის ხედვა აქვს სამყაროსი და ხელოვნებისა. და, ბუნებრივია, მიდის იქ, სადაც იკმაყოფილებს შეხედულებებს და არა ის, რომ შემთხვევით გამვლელი კაცი ღია კარს დაინახავს, შევა, დაჯდება და არ იცის, სად ზის, ან რატომ ზის.

აი, ეს გლობალური საქმე გახლავთ, ურთულესი პრობლემაა, რადგან ვერც ერთი ხალხი, ვერც ერთი საზოგადოება ვერ დაიკვეხნის კულტურით, ვერ დაიკვეხნის აღზრდა-განათლებით, თუ მას მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახე არა აქვს. მინდა ვთქვა ის, რომ სწორედ სულიერი თვალსაზრისით უნდა იყოს ყველაფერი გაკეთებული იმისათვის, რომ ხელოვანიც, მსმენელიც, მკითხველიც გათავისუფლდეს

ბორკილებისაგან, რომლებიც განვლილმა დრომ დაგვიტოვა როგორც მაყურებლის, მკითხველისა და მსმენელის სახით, ისე თვითონ იმ შემოქმედის სახით, რომელიც ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებს ქმნის და ორივე ერთად ურთიერთდამოკიდებულებაში წარმოქმნის სწორედ იმ ჰარმონიას, რაც აუცილებელია კულტურისათვის, რაც აუცილებელია შემოქმედებისათვის.

აი, ამ მიმართულებით დიდი საზრუნავია და, ალბათ, ყველა ხელისუფალმა, ვინც იქნება მომავალში, და მთლიანად მთელმა ხელისუფლებამ ამაზე ძალიან სერიოზულად უნდა იზრუნოს.

ტელეინტერვიუ,
28. 10. 1995

გვეყოფა თუ არა ჭკუა?

კორესპ. –საქართველოს დღეს უჭირს – ეს ფორმულირება ძალზედ მარტივია და აშკარა იმისათვის, რომ ვინმემ მასში ეჭვი შეიტანოს. სამაგიეროდ მსგავსი ერთიანობა არ არის, როცა საქმე მიზეზების ძიებას ეხება. ჩვენ ვთხოვეთ ცნობილ მწერალს, კრიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს ბ-ნ აკაკი ბაქრაძეს, ეპასუხა კითხვაზე: რამ შექმნა არსებული ვითარება საქართველოში, დრომ, ცხოვრებამ თუ პიროვნებამ, ობიექტურმა თუ სუბიექტურმა ფაქტორებმა?

აკაკი ბაქრაძე – როცა ისტორიული პროცესი მიმდინარეობს, ყველა ფაქტორი მოქმედებს ერთად და ურთიერთკავშირში. მათ ვერ განაცალკევებ.

საქართველო არა მარტო უზარმაზარი სახელმწიფოს – სსრკ-ის ნაწილი იყო, არამედ დანარჩენი მსოფლიოსაგან ძირეულად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული სისტემისაც. კარგი იყო ეს სისტემა თუ ცუდი, ეს სხვა საკითხია. ჩვენი საუბრისათვის მთავარია ის, რომ არსებობდა სისტემა. რუსული კომუნიზმი (ისევე, როგორც იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი) მკაფიოდ ჩამოყალიბებული სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული სისტემა იყო. ამის უარყოფა შეუძლებელია. სამივე მოვლენა – რუსული კომუნიზმი, იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი – სოციალიზმის თეორიამ წარმოშვა მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში. სამივემ მიაღწია ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და გაბატონებას. მერე სამივე დამარცხდა. თუ იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი (სსრკ-ში კომუნისტური პროპაგანდის წყალობით, ამ ორ მოვლენას ერთნაირად წარმოადგენდნენ. ეს შეცდომაა. ისინი არსებითად განსხვავებული მოვლენებია. მათი გათანაბრება არ შეიძლება) დამარცხდა და განადგურდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად, სსრკ დაინგრა ე.წ. ცივი ომის წყალობით. ომი ომია, ცხელი იქნება იგი თუ ცივი, და აუცილებლად ვისიმე გამარჯვებით და ვისიმე დამარცხებით უნდა დამთავრდეს. თითქმის ნახევარი საუკუნე მიმდინარეობდა ცივი ომი სსრკ-სა და მისი სატელიტების წინააღმდეგ. ბოლოს იგი, როგორც ვიცით, დამთავრდა სოციალისტური სამყაროს დაშლითა და დამარცხებით. გაიმარჯვა იმ სისტემამ, რომელსაც სსრკ-ში კაპიტალიზმს უწოდებდნენ, ხოლო დანარჩენ მსოფლიოში – სოციალურ საბაზრო ეკონომიკას.

ეს მოვლენები ჩვენს თვალწინ მოხდა. ჩვენ მისი მოწმენიც ვართ და მონაწილენიც. გვინდოდა თუ არ გვინდოდა, საქართველო ამ უზარმაზარი მსოფლიო პროცესის წნეხის ქვეშ აღმოჩნდა (ისევე, როგორც ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა).

ცხადია, ამას თავისი შედეგი ახლდა. სსრკ-ში მოსახლე ხალხების (მათ შორის, ქართველებისაც) პოლიტიკური აზროვნების უსუსურობა და უმწეობა იმით გამოიხატა, რომ ვერავინ განსაზღვრა – რით დამთავრდებოდა ცივი ომი. ამიტომ სსრკ-ის დაშლას ყველა მოუმზადებელი შეხვდა. ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა იგი. არადა, თუ სოციალიზმის ისტორიას გავითვალისწინებდით, სსრკ-ის დანგრევა არც მოულოდნელი უნდა ყოფილიყო და არც მოუმზადებელი უნდა დავხვედროდით.

სოციალიზმის ისტორია ისევე ძველია, როგორც კაცობრიობისა. სხვადასხვა სახის სოციალიზმი, ამა თუ იმ ქვეყანაში, ყოველთვის იბადებოდა, მაგრამ არსებობას ყოველთვის დამარცხებით ამთავრებდა. ვინც მეტნაკლებად იცის კაცობრიობის ისტორია, იგი დამეთანხმება, რომ სოციალიზმი არსებობდა ძველ ეგვიპტეშიც (სხვათა შორის, ძალიან ჰგავდა რუსულ სოციალიზმს). ძველი ეგვიპტე რომ დაინგრა, სწორედ ქურუმული სოციალიზმის ბრალია ეს. მას მერე, სადაც კი სოციალიზმი იჩენს თავს, არსებობას დამარცხებით ამთავრებს. მე-20 საუკუნეშიც სოციალიზმის ორი მიმდინარეობაც – იტალიური ფაშიზმიც და გერმანული ნაციზმიც – განადგურდა. როგორ უნდა გადარჩენილიყო რუსული კომუნიზმი? რა ნიშნით და რა თვისებით შეეძლო თავიდან აეცდინა ისტორიის კანონზომიერება? რა თქმა უნდა, რუსულ კომუნიზმს არ ჰქონდა განსაკუთრებული ნიშანი და თვისება, რომელიც მას მარცხისაგან იხსნიდა. ამდენად, ნათელი იყო, რომ, ადრე თუ გვიან, ისიც ფაშიზმისა და ნაციზმის ბედს გაიზიარებდა, მაგრამ ამის დანახვა თავის დროზე ვერ მოხერხდა. არავის ეყო პოლიტიკური აზროვნების გამჭრიახობა და შორსჭვრეტის უნარი. ამას მოჰყვა ის სავალალო შედეგი, რაც დღეს ყოფილი სსრკ-ის სივრცეში სუფევს.

ყველაფერს, მით უმეტეს სახელმწიფო მშენებლობას, წინას-წარი მომზადება უნდა; პროცესი თანდათანობით ცვლით უნდა მიმ-დინარეობდეს, რომ ერთი სახელმწიფოებრივი წესწყობილებიდან მეორეზე ქვეყანა შედარებით უმტკივნეულოდ გადავიდეს.სსრკ-ში მთელი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემა ერთბაშად დაინგრა. არაფერი იყო მზად მის შესაცვლელად. ყველაფერი ნანგრევებში აღმოჩნდა. ნანგრევებიდან ამოძრომა და ახალი სისტემის დამკვიდრება რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამ ისედაც რთულსა და ხანგრძლივ პროცესს კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ სსრკ ერთიანი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემა იყო. არცერთ მოკავშირე რესპუბლიკას დამოუკიდებელი არაფერი ჰქონდა. მოკავშირე რესპუბლიკები ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული პოლიტიკურადაც, სოციალ-ეკონომიკურადაც, კულტურულადაც, განათლებითაც. ეს განგებ იყო გაკეთებული. ამით სსრკ-ის ერთიანობის შენარჩუნება უნდოდათ. სსრკ-ს ამანაც ვერ უშველა. მაგრამ გადაჯაჭვულობა ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის (რუსეთისათვისაც კი) საბედისწერო აღმოჩნდა. ყველაფერი ნიადაგგამოცლილი შერჩათ ხელში, მათ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწიათ.

უფრო კონკრეტულად: მთელ სსრკ-ში სოფლის მეურნეობა საზოგადო, კოლექტიური საკუთრების პრინციპით მუშაობდა. როცა ეს დაინგრა, ბუნებრივად, ისევ კერძო საკუთრებას უნდა დაბრუნებოდა ხალხი. მაგრამ საკუთრების ფორმის მექანიკური ცვლა არ კმარა. აუცილებელია მთელი ხალხისა და ცალკეულ პირთა ცნობიერების შეცვლაც. ეს კი ხელწამოსაკრავი საქმე არ გახლავთ. კოლექტიური საკუთრება ადამიანს

ერთ ცნობიერებას უყალიბებს, ხოლო კერძო საკუთრება სრულიად სხვას, ძირეულად განსხვავებულს.

კერძო საკუთრება ადამიანში აყალიბებს სიბეჯითეს, შრომის სიყვარულს, დამოუკიდებელ აზროვნებას, სხვისი საკუთრების პატივისცემას... კოლექტიური საკუთრება კი პირიქით, ადამიანში ნერგავს სიზარმაცეს, მუქთახორობას, გონებრივ პასიურობას, სხვისი საკუთრების მიმთვისებლობას.

როცა ეს ორი ცნობიერება დაუპირისპირდა ერთმანეთს, ადამიანები დაიბნენ. არ იციან, რა აკეთონ. ცნობიერების შეცვლას თაობათა გამოცვლა უნდა. როცა 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში კოლექტივიზაცია მიმდინარეობდა და გლეხებს საკუთრებას ართმევდნენ, ადამიანები ელდის, ზარისა და დარდის გამო, იხოცებოდნენ. ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა არსებობა კერძო საკუთრების თვინიერ. ახლა, როცა მიწის პრივატიზაცია ხდება, 30-იანი წლების ადამიანთა შვილიშვილები და ბადიშის შვილები ალმაცერად და ათვალისწუნებით უყურებენ კერძო საკუთრებას, კოლმეურნეობას შენატრიან. იმიტომ, რომ სხვადასხვაა ამ თაობისა და იმ თაობის ცნობიერება.

ცნობიერების ამ განსხვავებულობით სარგებლობენ თაღლითები, აფერისტები, ნაირნაირი ჯურის ავაზაკები და ისედაც დაქცეულ ქვეყანას კიდევ უფრო მეტად აქცევენ. უკვალოდ და უშედეგოდ არ ჩაუვლია კომუნისტურ პროპაგანდას, მიმართულს კერძო საკუთრების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, არ მიმდინარეობს საპირისპირო ახსნა-განმარტება – რას ნიშნავს კერძო საკუთრება და რატომ აღმოჩნდა იგი უფრო მძლავრი, როგორ დაამარცხა კოლექტიური საკუთრება. ეს კი აუცილებელია. ადამიანისათვის მკაფიო და ნათელი უნდა გახდეს – რა მოხდა და რატომ.

ადამიანს, რომელსაც კოლექტიური საკუთრების ნიადაგზე ჩამოყალიბებული ცნობიერება აქვს, არ შეუძლია ახალი, სოციალური საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა. სანამ არ შეიცვლება ჩვენი საზოგადოების ცნობიერება, არ მოხერხდება არც ახალი სოციალ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება და არც ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების შექმნა. ეს პრობლემა არც ადრე ყოფილა ჩვენი პოლიტიკოსების ზრუნვის საგანი და არც დღეს არის. ესეც გახლავთ ერთ-ერთი საფუძველი საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარებისა.

სიტუაციას ართულებს ისიც, რომ რუსეთს არ სურს დათმოს თავისი დიდი იმპერიული სახელმწიფო. ამის უტყუარი დასტურია ჩეჩნეთში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა. ჩეჩნეთი რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყანაა. დღეს ჩეჩნებს თავისუფლება უნდათ და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ამის უფლებას ჩეჩნეთს რუსეთი არა და არ აძლევს. რადაც უნდა დაუჯდეს, ცდილობს შეინარჩუნოს ჩეჩნეთი, როგორც რუსეთის კოლონია. რუს პოლიტიკოსებს არ უნდათ გაიგონ, რომ კოლონიალიზმის ეპოქა დამთავრდა. ვერარა ძალა ვერ გადაარჩენს ნგრევისაგან რუსეთის იმპერიას. რამდენად ჩქარა დაინგრევა რუსეთის იმპერია, ანუ რუსეთის ფედერაცია, იმდენად უკეთესია ეს თავად რუსეთისათვის. იგი შექმნის მძლავრ ეროვნულ რუსულ სახელმწიფოს. მაგრამ, რუსეთის საუბედუროდ, არ აღმოჩნდა რუსი პოლიტიკოსი, რომელიც ამას გაიგებს და განახორციელებს კიდეც. რუსეთის ამგვარი განწყობილება ართულებს და ამძიმებს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მდგომარეობას საერთოდ და კერძოდ საქართველოსას.

რუსეთი არ გამოთხოვებია აზრს, რომ საქართველოს ისევ დაიბრუნებს და ისევ კოლონიურ ვითარებაში ჩააგდებს. ამ მიზნით მოხდა აფხაზეთისა და შიდა ქართლის დიდი ნაწილის ოკუპაცია. ამ მიზნით ტოვებს იგი რუსეთის სამხედრო ბაზებს საქართველოში. ამ მიზნით შეათრიეს საქართველო « დამოუკიდებელ სახელმწიფოთა

თანამეგობრობაში". როცა ქვეყნის დიდი ნაწილი დაპყრობილია მტრის მიერ, იქ ვითარება, პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც, სოციალურიც, კულტურულიც, საგანმანათლებლოც, მძიმე და სავალალოა.

ახლა ბევრი ლაპარაკია რეფორმებზე. მაგრამ როგორ ჩაატარებენ სრულყოფილ ეკონომიკურ რეფორმას, როცა საქართველოს აღარ ეკუთვნის აფხაზეთი, შიდა ქართლის დიდი ნაწილი? როცა დაპყრობილ ტერიტორიაზე არ მოქმედებს ქართული ფული და ქართული ენა არ არის მიჩნეული სახელმწიფო ენად? როგორ ჩაატარებენ სრულყოფილ ადმინისტრაციულ რეფორმას, როცა საქართველოს იურისდიქციას არ ცნობს არც აფხაზეთი და არც კომუნისტების მიერ შექმნილი «სამხრეთ ოსეთი"? როგორ ჩაატარებენ სრულყოფილ საგანმანათლებლო რეფორმას, როცა ქართულ სკოლას დევნიან და აუქმებენ როგორც აფხაზები, ისე ოსები?

იცოდა Yთუ არა ქართულმა პოლიტიკურმა აზრმა, რომ რუსეთი დაიპყრობდა და საქართველოს წაართმევდა აფხაზეთსა და შიდა ქართლის დიდ ნაწილს? რა თქმა უნდა, იცოდა. ეს, არავისთვის, ვინც სრულ ჭკუაზე იყო, დამალული და დაფარული არ ყოფილა ჯერ კიდევ 20-იან წლებში, როცა საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დამკვიდრდა. მაგრამ ქართულ პოლიტიკურ აზრს არ უზრუნვია იმისათვის, რომ რუსეთის ხელისუფლების მზაკვრული განზრახვა ჩაეშალა, მომზადებული დახვედროდა მას. ვისთვის არის საეჭვო ის, რომ საქართველო რუსეთს ვერ აჯობებს ძალით. მეტისმეტად დიდია მათ შორის განსხვავება. საქართველოს რუსეთისათვის უნდა ეჯობნა ჭკუით. მაგრამ ჩვენ სწორედ ეს ჭკუა არ აღმოგვაჩნდა. ეს ბევრმა პოლიტიკურმა მოვლენამ დაადასტურა, რომელთაც ამჯერად არ ჩამოვთვლი.

ერთმანეთშია ჩახლართულ-არეული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, დროის ტენდენციები და პიროვნებათა პოლიტიკური უნიჭობა-ნიჭიერება. მათი ერთიანობა ქმნის იმ ვითარებას, რაც საქართველოშია. მისგან თავის დაღწევას დიდი დროც უნდა და დიდი ჭკუაც. ამისათვის დროის ნაკლებობა რომ არ იქნება, ეს უდავოა. მაგრამ გვეყოფა თუ არა ჭკუა, ეს კი საკითხავია.

«ახალგაზრდა ივერიელი",
8-14 აგვისტო, 1996 წ.

პიროვნება, რომელიც აზროვნებს, შეუძლებელია იყოს მონა

მედეა გეგეშიძე – ბატონო აკაკი, არ ვიცი ეს გამომდინარეა ჩემი პროფესიიდან თუ ხასიათიდან, ძალიან არ მიყვარს ბიოგრაფიის დაწყება, ვთქვათ, დავიბადე ამა და ამ წელს...

აკაკი ბაქრაძე – გერმანელ მწერალს ერნს ტოლერს ერთი ასეთი ლექსი აქვს, უფრო სწორად მის პროზაულ თარგმანს გეტყვით სიტყვასიტყვით: მე დავიბადე – მოვკვდი, მოვკვდი – დავიბადე, მე თვითონ გავხდი ჩემი თავის დედა. ბუნებრივად ჩანს ამ ლექსიდან, რომ ერთია ფიზიკური დაბადება ადამიანისა და მეორეა, როდესაც ის თავის თავს თვითონ ქმნის, ანდა გარემო, რომელშიაც ის ცხოვრობს, მას ახლად, ხელმეორედ შობს და მისცემს სხვა სახეს, სხვა დამოკიდებულებას...

ასე, რომ ორი მხარეა: ერთია ის, რომ იგი (ადამიანი), ჩვეულებრივ, როგორც გარკვეული პიროვნება, დაიბადება დედის წიაღიდან და მეორეა, როდესაც ის ცდილობს

თვითონ ჩამოაყალიბოს თავისი თავი და, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს – რა გარემოებაში ცხოვრება უხდება და რა გარემოებაც მასზე ზეგავლენას ახდენს.

მე ერთი რამის მომხრე არა ვარ, რომელიც დღევანდელ ვითარებაში გაჩნდა: რაკი მოგვეცა უფლება და საშუალება, ყველაფერს, რაც ამ 70 წლის მანძილზე იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში (საქართველოშიც, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირის ნაწილში) ხელაღებით რომ უარყოფენ, ყველაფერს შავი ფერებით რომ ხატავენ, თითქოს არაფერი კარგი არ ყოფილა. ასე, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, საზოგადოება ვერ იარსებებს ასე. ყველა ვითარებაში რაღაც კარგიც არის ცუდის გვერდით. მით უმეტეს, საქართველოში მარტო კომუნისტური ხელისუფლება არ ყოფილა. აი, ამ პერიოდში ჩვენს ცნობიერებას აყალიბებდნენ ისეთი გამოჩენილი ქართველი მწერლები, როგორიც იყვნენ: ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, კოლაუ ნადირაძე და ბევრი სხვა. ისინი სხვას ქადაგებდნენ, სხვანაირ სურათს ხატავდნენ ჩვენი ცხოვრებისა და სხვანაირ მომავალს წარმოგვიდგენდნენ. ამიტომ ისინი დიდ გავლენას ახდენდნენ ჩვენზე.

ასე იყო ქართული თეატრიც. ჩვენ ვართ მოწმენი და მაყურებელნი ისეთი მსახიობებისა, როგორიც იყვნენ: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სესილია თაყაიშვილი, თამარ ჭავჭავაძე, გიორგი შავგულიძე და ა.შ. ასევე დიდი მხატვრები: დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, სერგო ქობულაძე და სხვები და სხვები. ყველაფერი ეს ხომ იყო ჩვენი საზოგადოების ნაწილი და ჩვენ ხომ ვიყავით ყველაფერ ამის უშუალო მოწმენიც. ჩვენზე ზემოქმედებას ახდენდა ეს ხალხი და ჩვენი ცნობიერებაც ამ ხალხის საშუალებით ყალიბდებოდა.

ამიტომ, როდესაც ჩვენ ამ პერიოდზე ვლაპარაკობთ (განსაკუთრებით ჩემი თაობა და შედარებით უფრო უმცროსები, ან ცოტათი უფროსები) ყურადღება უნდა მივაქციოთ და ვაჩვენოთ, რომ ეს ეპოქა მარტო კომუნისტური რეჟიმის ეპოქა კი არ იყო, არამედ დიდი ცხოვრების ეპოქაც იყო. ამას ყურადღება უნდა მიექცეს და განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ის საშინელებანი, რომლებიც ამ პერიოდში ხდებოდა და ის, რაც ამ პერიოდში იქმნებოდა და, ბუნებრივია, ჩვენს სულიერ სამყაროს აყალიბებდა.

მ.გ. _ შეიძლება ვიღაც მართლაც მარტო მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებზე იზრდებოდა, მაგრამ მთელი თაობები ხომ პოულობდნენ საზრდოს იმ ადამიანების შემოქმედებაში, ვინც თქვენ ჩამოთვალეთ. ისინი სად უნდა წავიდნენ...

ა.ბ. – ეს არ შეიძლება. ეს უზარმაზარ სიცარიელეს შექმნის ისტორიაში და ამ სიცარიელეს მომავალი ვერ დაეყრდნობა. მომავალი ყოველთვის ეყრდნობა რაღაცას. ეს რაღაცა შეიძლება იყოს დადებითი მხარის მატარებელიც, უარყოფითი მხარის მატარებელიც. მაგრამ თუ ეს საყრდენი არა აქვს მომავალს, ისე იგი (მომავალი) ვერ აშენდება. ეს გამორიცხულია. ამიტომ საჭიროა, რომ გარკვეული სინამდვილიდან ჩვენ ავიღოთ სწორედ ის, რაც არის მომავლის საფუძველი და რაც ყოველთვის გამოგვადგება, ყოველთვის იქნება ჩვენი თანამგზავრი. ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვები არიან ჩვენი მუდმივი თანამგზავრნი, ასევე მუდმივი თანამგზავრნი არიან ის ადამიანებიც, რომლებიც მე ჩამოვთვალე და ჩვენი საყრდენი. ეს არის ძალიან დიდი და სერიოზული ბირთვი ჩვენი კულტურისა. მასზე დაყრდნობა აუცილებელია, თუ გვინდა რომ ავაშენოთ მომავალი, რისკენაც ყველა ჩვენგანი მიილტვის და ცდილობს რაღაც გააკეთოს.

ამიტომ იმ ადამიანს, რომელიც ამ სინამდვილეში იზრდებოდა და ყალიბდებოდა, საამაყოც ბევრი აქვს და სატირალიც. რადგან ამის პარალელურად უზარმაზარი უბედურებანი გადაიტანა ჩვენმა ხალხმა, განსაკუთრებით იმ თაობამ, რომელსაც მე ვეკუთვნი. ჩვენ ვიყავით მოწმენი დაჭერების, გადასახლებების, დახვრეტების ჩვენს

ბავშვობაში. ჩვენ ვიყავით II მსოფლიო ომის ბავშვები არსებითად. ჩვენ ვართ უკმაყოფილონი დღევანდელი სინამდვილით, რომ უჭირს ადამიანს. აბა, მაშინ გენახათ, რა გასაჭირი იყო, რა უბედურება ტრიალებდა. ღამეებს ათენებდა ადამიანი, რომ ასი გრამი შავი, ტალახივით პური ეშოვნა და ეჭამა.

მ.გ. – მაგრამ როგორ მუშაობდა...

ა.ბ. – შრომობდა სწორედ იმის გამო, რომ რაღაც რწმენა არსებობდა, რომლის უარყოფა შეუძლებელია.

ახლა ზოგიერთმა დღევანდელმა ადამიანმა შეიძლება ირონიულად შეხედოს ისეთ წიგნს, როგორიც არის «როგორ იწრთობოდა ფოლადი". მაგრამ ეს არ არის მართალი. «როგორ იწრთობოდა ფოლადი" არ არის მარტო პროპაგანდისტული წიგნი. «როგორ იწრთობოდა ფოლადი" გარკვეული თაობის ცხოვრების სურათია. ამ თაობას სწამდა იმის, რასაც აკეთებდა და, რაც მთავარია, ეს რწმენა სხვა ადამიანებსაც გადაედებოდათ.

აი, ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ახლა გამოვავლინეთ ჩვენთვის ძალიან მტკივნეულ დროში, როცა აფხაზეთი დავკარგეთ, შიდა ქართლი დავკარგეთ, გულგრილი რომ აღმოჩნდა დიდი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, მე, რა თქმა უნდა, ბოდიშს ვუხდი იმ მცირე ნაწილს, რომელმაც თავი გასწირა ამ საქმისათვის, მაგრამ მე მოგახსენებთ იმ ნაწილზე, რომელსაც სრულებით არ აწუხებდა, დიდ უმრავლესობას სრულებით არ აწუხებდა. ეს მაშინ არ ყოფილა და არ ყოფილა სწორედ იმგვარი წიგნების წყალობით, რადგან იმგვარი წიგნები ძალიან სერიოზულ რწმენას უნერგავდა ხალხს.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ სოციალიზმი ცრუ იდეალი იყოო და ამ ცრუ იდეალს შეეწირნენ ადამიანები. სხვათა შორის, მე პირველმა ვთქვი (არც ვიკვეხნი ამას), რომ სოციალიზმი ცრუ იდეალი იყო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ცრუ იდეალი იყო, ის ძალიან დიდ და სერიოზულ რწმენას უნერგავდა ადამიანებს და ყველაზე კრიტიკულ მომენტში სიმხნევეს ანიჭებდა.

მ.გ. – სოციალიზმმა თავისი იდეოლოგიის შექმნა მოახერხა, ისეთი იდეოლოგიის, რომელმაც რწმენის ჩანერგვა შეძლო. ჩვენ ჩვენი იდეოლოგია დღესაც არა გვაქვს.

ა.ბ. – სწორედ ეს არის საქმე. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ აშენდება, თუ მას იდეოლოგია არა აქვს. იდეოლოგია უნდა ჰქონდეს ყოველთვის ყველა ხალხს. შეიძლება ეს იდეოლოგია რაღაც აბსტრაქტულ იდეებს ეყრდნობოდეს, შეიძლება სრულიად კონკრეტულ რაღაცას – ყოფითს, მაგრამ რაღაც იდეოლოგია უნდა არსებობდეს – იდეოლოგია, რომლისთვისაც ადამიანები მზად არიან თავიანთი ენერგია დახარჯონ და შეიძლება სიცოცხლეც კი გასწირონ. ვერავითარ დამოუკიდებელ საქართველოს, ვერავითარ თავისუფალ საქართველოს ვერ ავაშენებთ, თუ ჩვენ რწმენა არ გვექნება, იდეოლოგია არ გვექნება.

საქართველოს ყველა თავის ისტორიულ მონაკვეთში ამგვარი რწმენა ჰქონდა და ის ამ რწმენას იცავდა. როდესაც, მაგალითად, ქართველი მწერალი ამბობს, რომ – ქართლად ყველა ქვეყანა შეირაცხვის, სადაც ჟამი ქართულად შეიწირვის და «კირიე-ელეისონ" ბერძნულად ითქმის – ეს იმას ნიშნავს, რომ ის ამკვიდრებს ქრისტიანულ იდეოლოგიას და ამის გარშემო რაზმავს საქართველოს მოსახლეობას, იმასაც განსაზღვრავს – რა არის საქართველო. ე.ი. საქართველო არის ყველგან, სადაც ქართული წირვა-ლოცვა მიმდინარეობს. ეს უკვე იდეოლოგიაა. ის ქვეყანაც კი, სადაც შეიძლება ქართველები არ ცხოვრობენ, მაგრამ ქართული წირვა-ლოცვაა, მას ის საქართველოდ მიაჩნია. ეს დიდი იდეოლოგიაა.

ამ იდეოლოგიის საფუძველზე აღმოცენდა მერე დავით აღმაშენებელი. ეს იყო მისი საყრდენი. როდესაც ჩვენი იდეოლოგია სუსტდება, ბუნებრივია, საქართველოც,

როგორც სახელმწიფო, სუსტდება, როგორც სამხედრო ერთეული სუსტდება და დამარცხებებიც ამას მოჰყვება. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ დღევანდელ ვითარებაში ამის ჩამოყალიბება აუცილებელია და ჩვენი ცხოვრება, პიროვნული ცხოვრება იქნება თუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ამ მიმართულებით რაღაცას უნდა აკეთებდეს.

ჩვენ, განსაკუთრებით ჩემს თაობას (ცოტა უფროსს თუ ცოტა უმცროსს), იდეოლოგიური ცხოვრების გარკვეული გზა გაგვივლია და ვიცით, რა ვითარებაში მიმდინარეობდა ყველაფერი ეს. მართალია, დღევანდელი დამოკიდებულება ამ იდეოლოგიური სახელმწიფოს მიმართ უარყოფითია, მაგრამ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან. ის, რაც კარგია, ავიღოთ და რაც ცუდია, უარვყოთ. ისტორიის წაშლა კი არ შეიძლება. სიცარიელეში აღმოვჩნდებოდით და სიცარიელე საფუძვლად მომავლისათვის ვერ გამოდგება.

ჩვენ ვცხოვრობდით ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებულ იდეოლოგიურ სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, ეს ჩვენს გონებას აჩლუნგებდა და გარკვეული ერთი მიმართულებით წარმართავდა. მაგრამ, მეორე მხრივ, რწმენა იმისა, რომ რაღაც სერიოზულს ემსახურება ყოველი ადამიანი, ძალიან ღონიერს ხდიდა იმ საზოგადოებას. როდესაც ეს რწმენა დაიკარგა, ის საზოგადოებაც მაშინ დაიშალა. რაკი დღეს ახალი საქართველოს აშენება გვინდა, სწორედ უნდა გამოვძებნოთ ის იდეოლოგიური საყრდენი, რაზეც აშენდება ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მ.გ. – იდეოლოგია საიდან უნდა მოვიდეს. მთავრობამ უნდა გვიკარნახოს თუ ვინ? როგორ იქმნება საერთოდ სახელმწიფოში იდეოლოგია?..

ა.ბ. – იდეოლოგია, რა თქმა უნდა, იმათ უნდა შექმნან, ვისაც თავისი თავი პოლიტიკოსად მიაჩნია და ქვეყნის პატრონობის პრეტენზია აქვს. ეს, ვთქვათ, იქნება ოფიციალური ხელისუფალი თუ საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მეცნიერი და ა.შ. ყველას მოვალეობაა. მაგრამ მაინც წარმმართველი ძალა ხელისუფლებაა.

თავის დროზე ჩვენში ქრისტიანულმა რელიგიამ შექმნა იდეოლოგია. დღეს შეიძლება მარტო რელიგიას კი არ დაევალოს ეს, არამედ მეცნიერებას, ხელოვნებას და მთლიანად მთელს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას და აქედან ჩამოყალიბდეს ის, რაც მომავალში გახდება ჩვენი სახელმწიფოს სიმძლავრის საფუძველი და ახალი საქართველოც სწორედ ამაზე დაყრდნობით აშენდება.

ალბათ, გახსოვთ, როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობა ჩატარდა, ამ ყრილობაზე ბერია გამოვიდა მოხსენებით და განასხვავა ორი ერი – კაპიტალისტური ერი და სოციალისტური ერი (ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ჩემს პირად საქმესაც შეეხება). რა თქმა უნდა, ასეთი განსხვავება – კაპიტალისტური ერი და სოციალისტური ერი – მას იდეოლოგიისათვის სჭირდებოდა და იმის საქადაგებლად, რომ სოციალისტური ერები კარგად ვითარდებიან, კაპიტალისტური ერები დიდ კრიზისს განიცდიან და, საერთოდ, იშლება კაპიტალისტური სამყაროო. ეს სუფთა პოლიტიკური და პროპაგანდისტული გამოსვლა იყო. მაგრამ როგორც მაშინ იყო მიღებული, ამგვარი ყრილობების მასალები ხდებოდა ჩვენი მეცნიერების განსჯის საგანი და არა მარტო მეცნიერების, ჩვენი ახალგაზრდობის განსჯის საგანი. სტუდენტებს, მოწაფეებს ავალებდნენ მოხსენებების გაკეთებას და იყო სჯაბაასი, იმართებოდა სამეცნიერო კონფერენციები.

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით (რომ არსებობს ორი ერი – კაპიტალისტური და სოციალისტური) თბილისის უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ერთ-ერთმა სტუდენტმა მაშინ, თუმცა უკვე ასაკში შესული კაცი იყო, რადგან ომში იყო ნამყოფი და საბჭოთა კავშირის გმირიც იყო,

გააკეთა მოხსენება. მაგრამ, არსებითად, წაიკითხა მხოლოდ ბერიას მოხსენება და თავისი არაფერი დაუმატებია. მე გამოვედი და ვუთხარი – ასე არ შეიძლება. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ასეთი ფორმულირება, როგორიც არის – სოციალისტური ერი და კაპიტალისტური ერი – მეცნიერულად გამართლებულია, მაშინ თქვენ ეს მეცნიერულად უნდა დაასაბუთოთ სათანადო არგუმენტებით, ხოლო მარტო განცხადება მეცნიერისათვის შეუფერებელია. პოლიტიკოსს შეუძლია განაცხადოს მარტო და მეტი არაფერი თქვას. მაგრამ რაკი ეს გინდათ გახადოთ მეცნიერების საგნად და მეცნიერების მსჯელობა წარმართოთ ამ მიმართულებით, მაშინ თქვენ უნდა ზუსტი არგუმენტებით დაასაბუთოთ, რომ არსებობს კაპიტალისტური ერი, არსებობს სოციალისტური ერი და რომ კაპიტალისტური ერები იხრწნებიან, სოციალისტური ერები კი აყვავების გზაზე დგანან. თუ ამას არ გააკეთებთ, მაშინ ეს პროპაგანდისტული განცხადებაა, მერე კიდევ ბერია მეცნიერი არ არის და მეცნიერებას მისი ნათქვამი მსჯელობის საგნად არ გამოადგება-მეთქი.

ბერაი მეცნიერი არ არისო – ამას მოჰყვა რაღაც საშინელება. დაიხურა, რა თქმა უნდა, იმ წუთას სამეცნიერო კონფერენცია. შეწყვიტეს ყოველგვარი საუბარი. გახდა ჩემი სიტყვა დიდი მსჯელობის საგანი, დაწყებული მაშინდელი სუკის თავმჯდომარით, დამთავრებული უნივერსიტეტის რექტორით. ალბათ, ნიკო კეცხოველი რომ არ ყოფილიყო მაშინ უნივერსიტეტის რექტორი, არა მარტო უნივერსიტეტიდან გამაგდებდნენ, არამედ უფრო შორსაც. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო იმ დროს.

ასე, რომ ამგვარი დამოკიდებულებანი, მართალია, საშიში იყო თავისი თვალსაზრისით, მაგრამ იმის საშუალებას გვაძლევდა, რომ ზოგიერთ პრობლემაზე უფრო ფართოდ გვეფიქრა და გვემსჯელა.

მ.გ. – ეს თქვენი სტუდენტობის პერიოდია... 30 წლის შემდეგ მე «თანაგრძნობის" რადიოარხზე შემოვიღე რუბრიკა «არ ახალი", რა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან გამწვავებული იმ პერიოდში – «მამები და შვილები". უნდა გენახათ, ახალგაზრდები რას ლაპარაკობდნენ ჩვენზე, მამებზე. როგორ წარმოვიდგინოთ ჩვენი ცხოვრება?

ა.ბ. – ახლა ლაპარაკია რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობა არასოდეს შეწყვეტილა; თუ არასოდეს შეწყვეტილა ეს მოძრაობა, მაშასადამე, ვიღაცეები მონაწილეობდნენ მასში, არა? ე.ი. ეს ერთი მთლიანი ხაზია, რომელიც ზოგჯერ აშკარად ვლინდებოდა, ღიად ვლინდებოდა, ზოგჯერ – პასიურად, მაგრამ ყოველთვის არსებობდა; რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ყველა თაობას რაღაც წვლილი აქვს შეტანილი მასში.

მე რომ კაცმა მკითხოს, ისეთი რომანი, როგორიც «ჯაყოს ხიზნებია" და სხვები მიხეილ ჯავახიშვილისა, ეროვნული მოძრაობის უდიდესი საძირკველია. იქ ნაწინასწარმეტყველებია ყველაფერი ის, რაც მერე ჩვენ დაგვემართა. ნაწინასწარმეტყველებია ის ტიპებიც კი, რომლებიც მერე ჩვენი ცხოვრების ბატონები გახდნენ: იგივე ჯაყოები, იგივე კვაჭი კვაჭანტირაძეები, იგივე დამპატიჟეები. ყველანი ესენი ჩვენმა სინამდვილემ წარმოშვა. ყველაფერი ეს მიხეილ ჯავახიშვილმა ამ სინამდვილის დასაწყისში დაინახა და კლასიკური ტიპები დახატა. ეს მოძრაობაა, აბა რა არის? თანაც რამხელა მასშტაბის მოძრაობაა!

მერე კიდევ იმასაც გეტყვით, 1954 წელს «ახალგაზრდა კომუნისტში", როცა მიხეილ კაკაბაძე იყო ამ გაზეთის რედაქტორი, ვენორი ქვაჩახიამ დაიწყო კრიტიკული წერილების სერიის ბეჭდვა, რომელსაც დაერქვა სახელად «რა არის კრიტიკა". მასში მონაწილეობა მიიღეს ზურაბ კაკაბაძემ, ნოდარ კაკაბაძემ, ოთარ ჯინორიამ და სხვებმა. აი, ეს წერილების სერია, რომელიც მაშინ «ახალგაზრდა კომუნისტში" დაიბეჭდა, რასაც მერე შეეწირა მიხეილ კაკაბაძე, როგორც რედაქტორი (მოხსნეს და, საერთოდ, რედაქცია

დაარბიეს და სრულიად ახალი რედაქცია ჩამოაყალიბეს), არის მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით (ჯერ კიდევ მე-20 ყრილობამდე, ვიდრე იტყოდნენ რაღაცას კულტის წინააღმდეგ) პირველი კრიტიკა სოციალისტური იდეოლოგიისა ლიტერატურაში, ხელოვნებაში; სერიოზული კრიტიკა, ძალიან ზუსტად მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობილი.

ახლა ამას ჩვენ არ ვახსენებთ რატომღაც. არადა ეს არსებითი ხასიათისა იყო – აი, იქ პირველად გამოჩნდა, რომ მოვიდა თაობა, რომელიც სულ სხვანაირად უყურებს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან და სრულიად სხვა პრინციპებით უნდა მომავალში ცხოვრება.

ეს წერილები, რომლებიც თითქმის მთელი წლის მანძილზე იბეჭდებოდა, თუ არ მეშლება, და მერე ამას დიდი, როგორც გითხარით, გამოხმაურება მოჰყვა, იყო არსებითად სწორედ იმ იდეოლოგიური საფუძვლის შერყევის პირველი ცდა, რომელიც ასე მყარი გვეგონა ყველას და ასე გაბატონებული ჩვენს სინამდვილეში.როგორ გახდა შესაძლებელი, რომ ამ თაობას ამგვარი კითხვა დაესვა და მოეძებნა ამ კითხვის ნამდვილი პასუხი? ეს იმიტომ, რომ ამ თაობის მასწავლებლები იყვნენ: შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, ვუკოლ ბერიძე და სხვები და სხვები. ისინი იძლეოდნენ ამის მაგალითს, ამის საშუალებას და ამის შინაარსსაც.

მ.გ. – არაპირდაპირ.

ა.ბ. – არაპირდაპირ და ზოგჯერ პირდაპირაც.

მაგალითად, როდესაც კოტე ბაქრაძის «ლოგიკის" განხილვა მიმდინარეობდა უნივერსიტეტში, იქ პირდაპირ ითქვა ისეთი რაღაცეები, რომლებიც ჩვეულებრივ პრესაში არ დაიბეჭდებოდა არავითარ შემთხვევაში, მაგრამ იქ, ტრიბუნიდან ითქვა. ჩვენთვის, სტუდენტებისათვის, რომლებიც ამას ვუსმენდით, დასაფიქრებელი ხდებოდა – ყველაფერი ეს რასთან არის დაკავშირებული. რატომ არის, რატომ ასე ხდება და არა სხვანაირად.

დავუშვათ, იგივე ლექციები, რომლებსაც კორნელი კეკელიძე ატარებდა, ვუკოლ ბერიძე ატარებდა, შალვა ნუცუბიძე ატარებდა, ნიკო ბერძენიშვილი, მაგალითად, ისტორიაში და სხვანი და სხვანი. ესენი არ იყო სტანდარტული იდეოლოგიის ჩარჩოში ჩასმული ლექციები; ეს იყო ლექციები, რომლებიც გვასწავლიდა იმას, რომ შენ უნდა დაარღვიო ამ იდეოლოგიის საზღვრები, გზები და საშუალებანი მოძებნო იმისა, რომ მისი მონა არ გახდე და თავისუფლად იაზროვნო და მიხვდე იმას, რა არის საჭირო და რა არ არის საჭირო. ეს ასე ღიად, შესაძლებელია, არ იდო წიგნებსა და გაზეთებში, მაგრამ ლექციებზე, პირად საუბრებში, განხილვებზე ყველაფერი ეს იდო და აქედან, ბუნებრივია, ყველა გონიერი ახალგაზრდა ბევრ რამეს სწავლობდა.

მ.გ. – ძალიან ხშირად გვესმის ამ ბოლო დროს, რომ ჩვენ ვიყავით მონები...

ა.ბ. – უნდა გითხრათ, რომ პიროვნება, რომელიც აზროვნებს, შეუძლებელია დაიმონოთ, იყოს მონა. მონები არიან ისინი, ვინც სტანდარტული, კონიუნქტურული აზროვნების ჩარჩოში ექცევა და ფიქრობს, რომ ესაა ერთადერთი ჭეშმარიტება.

ასეთი მონები დღესაც უამრავია. აქვთ ამოჩემებული რაღაც და ბრმად გაჰკივიან – ეს ასეა და ტვინს არ ანძრევენ.მაგრამ ვისაც აზროვნება შეეძლო, მისი დამონება შეუძლებელი იყო მაშინაც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მკაცრ ჩარჩოში იყო ჩასმული. საშუალება არ ჰქონდა წიგნის დაბეჭდვისა, საზოგადოებრივი ლექციის წაკითხვისა და რაღაც საქმიანობაში მონაწილეობისა, მაგრამ თავისთავად თავისუფალი პიროვნება ყოველთვის თავისუფალი იყო. ადამიანი, რომელიც შინაგანად თავისუფალია, ის ციხეშიც თავისუფალია, თუმცა შეიძლება მთელი ცხოვრება მოუწიოს საკანში ჯდომა, მაგრამ ის, ვინც შინაგანად არ არის თავისუფალი და აზროვნება არ

შეუძლია, ის ყველა სოციალურ ვითარებაში მონაა, რადგან მხოლოდ ერთი ვარიანტი აქვს – ვიღაცას ამოიჩემებს და იმას მისდევს, ფიქრობს, რომ ისაა მხოლოდ ჭეშმარიტების მქადაგებელი და სხვა ქვეყანაზე არავინ და არაფერია. მაგრამ თუ ასე არ ფიქრობს ადამიანი, არ არის გონებაშეზღუდული, ბუნებრივია, ვერავითარი სოციალური სინამდვილე მას ვერ დაიმონებს, ვერ შებოჭავს, ვერ შეზღუდავს მის სულიერ სამყაროს მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება წიგნის დაბეჭდვაც აუკრძალოთ, წერილების გამოქვეყნებაც აუკრძალოთ და ა.შ.

პირადადაც მქონია ამგვარი შემთხვევები, როცა ან ლექციის კითხვის უფლება არ მოუციათ, ან წიგნი დაუბრუნებიათ უკან და რაღაცეები, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ჩემს დამოკიდებულებაზე და, ალბათ, ჩემისთანების დამოკიდებულებაზე სრულებით არ მოქმედებდა.

რადიოინტერვიუ,
ნოემბერი, 1996

მე პრინციპულად ვეწინააღმდეგები პრეზიდენტის კურსს

კორესპ. – 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებიდან წელიწადნახევარზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე როგორ შეაფასებდით საქართველოს პრეზიდენტის მოღვაწეობას?

აკაკი ბაქრაძე – მე პრინციპულად წინააღმდეგი ვარ იმ პოლიტიკური კურსისა, რომელსაც პრეზიდენტი ადგას. ამდენად ჩემი შეფასება, ცხადია, უარყოფითია.

კორესპ. – ბევრს მიაჩნია, რომ დღევანდელი პარლამენტი წინა პარლამენტზე უკეთესია.

ა.ბ. – უკეთესი ნამდვილად არ არის. როგორ შეიძლება დღეს ვინმემ თქვას, რომ პარლამენტი რაღაცას აკეთებს, როდესაც ნახევარი საქართველო ოკუპირებულია. სამწუხაროდ, იმ უმძიმესი ვითარების გამოსწორების არავითარი შანსი არ ჩანს. პლებისციტის ჩატარება, დადგენილების მიღება, მხოლოდ და მხოლოდ პოზიციის დაფიქსირებაა, რეალურად კი ისინი არაფრის მომტანი ღონისძიებებია.

კორესპ. – რას იტყოდით ქართული ჯარის ჩამოყალიბების რთულ პროცესზე?

ა.ბ. – ცოტა შორიდან დავიწყებ. 1961 წელს თბილისში ხელოვნების მუშაკთა დიდი თათბირი გაიმართა. ამ თავყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდიაც გამოვიდა. მან გაიხსენა: - დემოკრატიულ რესპუბლიკაში მენშევიკურმა მთავრობამ რუსეთიდან დაბრუნებული გენერლები დანიშნა ქართული არმიის მეთაურებად. მაშინ ასეთი რამ ვთქვი, ის კაცი, ვისაც რუსულ სკოლაში უსწავლია, რუსს თოფს ვერ ესვრის და ეს გენერლები ვერ შექმნიან ისეთ ჯარს, რომელიც რუსეთის აგრესიის შემთხვევაში, საქართველოს დაიცავს. სამწუხაროდ, ეს ჩემი წინასწარმეტყველება ახდა, ქართულმა არმიამ 1921 წელს წინააღმდეგობა ვერ გაუწია რუსის ჯარსო.

ზუსტად ანალოგიური მდგომარეობაა ამჟამადაც. ჩვენი სამხედროები, ბუნებრივია, დაბნეულები არიან, ვინაიდან დღევანდელი ვითარებით იარაღი უნდა შეაბრუნონ მათ წინააღმდეგ, ვისაც მთელი თავისი ცხოვრება ემსახურებოდნენ და ერთგულების ფიცს აძლევდნენ. რუსული იდეოლოგიით აღზრდილი ეს ხალხი ვერავითარ ეროვნულ არმიას ვერ ჩამოაყალიბებს. ამიტომ ჩვენი ახალგაზრდობა, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვზარდოთ ქართული იდეოლოგიით, ამის შემდეგ სამხედრო საქმის დასაუფლებლად

გავაგზავნოთ არა რუსეთში, არამედ საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, აშშ-ში. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი საფუძველი ჩაეყაროს ნამდვილ ეროვნულ არმიას.

კორესპ. – თქვენი აზრით, რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა?

ა. ბ. – რამდენიმე წელიწადია, გლახა ჭრიაშვილივით ერთსა და იმავეს ვიმეორებ: თუ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, სურს თავისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, უცხო ქვეყნის (სულ ერთია, ეს რუსეთი იქნება თუ სხვა სახელმწიფო) სამხედრო ბაზები თავის ტერიტორიაზე არ სჭირდება. საქართველო საკუთარ თავს თვითონ უნდა იცავდეს და მის არმიას უნდა შესწევდეს ქვეყნის მოვლა-პატრონობის უნარი.

კორესპ. – ბატონო აკაკი, რა გზები გესახებათ ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად?

ა. ბ. – ეკონომიკური კოლაფსიდან ჩვენ ვერ გამოვალთ, თუ ერთხელ და სამუდამოდ არ დავადექით სოციალური საბაზრო ეკონომიკის გზას. ამასთანავე, აუცილებელია გაუქმდეს შემბოჭავი კანონები, რომლებიც აფერხებენ მეწარმეობის განვითარებას. მეწარმეები მეტ თავისუფლებას საჭიროებენ.

კორესპ. – ჩეჩნეთის რესპუბლიკა – იჩქერიის ხელმძღვანელობამ არაერთხელ განაცხადა, რომ მათ სურთ საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა და მეგობრობა – თქვენი კომენტარი.

ა. ბ. – კარგია კეთილი განცხადებები, მაგრამ მას რეალური საფუძველი აქვს? ეს რეალური საფუძველი ხმამაღლა უნდა ითქვას და შემდგომ დაისახოს გზები ძველი მტრობის, შუღლის გადასალახავად, ურთიერთობების სრულიად ახალი პრინციპების ჩამოსაყალიბებლად. ჩეჩნებსა და ქართველებს ბევრი საერთო გვაქვს ზნე-ჩვეულებებში, ყოფა-ცხოვრებაში და ასე შემდეგ. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ქართულ ლიტერატურაში (თუ გნებავთ ვაჟას პოემებში) ყოველთვის ჩვენი დაპირიპირებაა ასახული.

კორესპ. – ალექსანდრე ყაზბეგთან არავითარი დაპირიპირება არ არის.

ა. ბ. – ყაზბეგთან ეს დაპირისპირება არ არის იმ ნიადაგზე, რომ იგი ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი ანტირუსული მწერალია საქართველოში. ასე მკაფიო ანტირუსული პოლიტიკა არც ერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში არ არის გატარებული და აქედან გამომდინარე, ცდილობსკავკასიელთა შეკავშირებას. ჩვენ სწორედ ასეთი მომენტები უნდა წამოვწიოთ წინა პლანზე და შევეცადოთ მათ განმტკიცება-გაძლიერებას.

«დილის გაზეთი”,
21 ივლისი, 1997

სად გაქრა აკაკი ბაქრაძე?

მაია ქსოვრელი – როგორ ასრულებს ერის ქომაგის როლს დღევანდელი ქართული მწერლობა?

აკაკი ბაქრაძე – გააჩნია, რას ვიგულისხმებთ «ერის ქომაგში”. ჩემთვის მწერლობისაგან (საერთოდ ხელოვნებისაგან) ერის ქომაგობა ნიშნავს მაღალი ხარისხის მხატვრული ნაწარმოების შექმნას. სტენდალი ნაპოლეონის არმიის ოფიცერი იყო, მაგრამ ამის გამო არ არის იგი ფრანგი ხალხის ქომაგი., არამედ იმით, რომ «წითელი და

შავი” დაწერა, «პარმის სავანე” დაწერა. ლევ ტოლსტოიც ოფიცერი იყო და ყირიმის ომში მონაწილეობდა. მაგრამ არც ის არის ამის გამო რუსეთის ქომაგი. ისიც იმდენად არის რუსეთის ქომაგი, რამდენადაც უბრწყინვალესი მწერალია. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, კნუტ ჰამსუნს მთელი ნორვეგია და ევროპა გმობდა იმისათვის, რომ მან ჰიტლერსა და ნაციზმს სოლიდარობა გამოუცხადა. მაგრამ გავიდა დრო და ეს ამბავი უსიამოვნო ბიოგრაფიულ ფაქტად დარჩა. მეტი არაფერი. კნუტ ჰამსუნი ისევ კნუტ ჰამსუნია, ნორვეგიის სახელი და სიამაყე. ამდენად მისი ქომაგიც.

მწერლის როლი, ადგილი და დანიშნულება ერის ცხოვრებაში მისი ნიჭიერებით განისაზღვრება, იმ ნაწარმოებებით განისაზღვრება, რასაც იგი დატოვებს აწმყოსა და მომავლისათვის. ყოველი მწერალი იმ ნიჭის შესაბამისად ემსახურება ერს, რაც უზენაესმა დაანათლა. დღესაც ასეა. თუ მკითხველები კმაყოფილი არ არიან რომელიმე კონკრეტული ქართველი მწერლის საქციელით, ეს მას პირადად ეხება და არა საერთოდ ქართულ მწერლობას. იმის პასუხად კი, - როგორ ახორციელებს დღეს ქართული მწერლობა ქომაგის როლს, - უნდა ითქვას, შესაბამისად იმისა, რა ნიჭი და სინდისი აქვს მას.

მ.ქ. – რამდენად რელიგიურები ვართ?

ა.ბ. – რთული კითხვაა. იგი კარგა ხანია მსჯელობის საგანია ჩვენში. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილი წუხდა: მართალია, საქართველო თხუთმეტი საუკუნეა ქრისტიანული ქვეყანაა, «მაგრამ შინაგანს ქრისტიანობას იგი აქომამდე თითქმის მოკლებულია”. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ მწერლობაში დიდი სჯა-ბაასი იყო გამართული ერთი კითხვის გარშემო – ქართველი ქრისტიანია თუ წარმართი? ამ კამათში ბევრი ქართველი მწერალი მონაწილეობდა. საგაზეთო საუბარში მათი ჩამოთვლა აუცილებელი არ არის. მხოლოდ ერთ ციტატას გაგაცნობთ. «ვისაც «დიონისოს ღიმილი” ყურადღებით წაუკითხავს, მას ეცოდინება, რომ ჩემს კოსმოსოფიას ქრისტიანიზმთან არაფერი აქვს საერთო” (კ. გამსახურდია – «კრიტიკა, Essays”, II წიგნი, გვ. 187). ეს დავა მიმდინარეობდა მძვინვარე ათეიზმის ეპოქაში. იგი უაღრესად საინტერესოა. მას საკმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს ჩემს წიგნში «გადარჩენა”, რომელიც ჯერ არ გამოცემულა. როცა ქართველი ხალხის რელიგიურობაზე ვფიქრობთ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ისტორიას კომუნისტურმა ეპოქამ დიდი დაღი დაასვა. კიდევ ერთხელ შეგაწუხებთ ციტატით. გრიგოლ რობაქიძის რომანში «გრაალის მცველნი” ბოლშევიკი ჩეკისტი ველსკი ეუბნება თანამგზავრს: «ჩვენ გვინდა, რომ კაცობრიობამ ტოტალური თავისუფლება მოიპოვოს”. განცვიფრებული თანამგზავრი ეკითხება – «და ამისათვის ადამიანიდან ღმერთი უნდა გავდევნოთ?» ველსკი უდასტურებს _ «აუცილებლად. იმიტომ, რომ სადაც ღმერ-თი ისევ სუნთქავს, იქ არ არის ადგილი თავისუფლებისათვის». ხედავთ, რომ კომუნისტი თავისუფლებას უღმერთობასთან აკავშირებს. ეს არ არის ახალი თვალსაზრისი. თავისუფლების უღმერთობასთან დაკავშირება ანტიკური ეპოქიდან მომდინარეობს. პრომეთეუსი, ამირანი, ღმერთმებრძოლეობის მითოსი. გაზეთისათვის შეუფერებლად გავუტიეთ. დასკვნის სახით კი უნდა ვთქვათ, რომ კითხვას – რამდენად რელიგიურები ვართ? – ვერც მარტივად და ვერც ცალმხრივად ვერ ვუპასუხებთ. აქ ქართველი ხალხის რელიგიური ცხოვრების მთელი ისტორიაა გასათვალისწინებელი. შეიძლება გადაწყვეტით მაშინაც ვერაფერი ვთქვათ, რადგან მერყეობის სურათი მკაფიოდ ჩანს.

მ.ქ. – რას ნიშნავს ცნება «საზოგადოება” და თუ არსებობს დღევანდელ საქართველოში საზოგადოება?

ა.ბ. – ერთი მიზნით, ერთი შეგნებით, ერთი მისწრაფებით, ერთი ნებით შეკავშირებულ ადამიანთა კრებულს. ამ კუთხით თუ შევხედავთ, საქართველოში საზოგადოება ჯერჯერობით არ არსებობს. ალბათ, მომავალში ჩამოყალიბდება.

მ.ქ. – როგორ შეაფასებდით ჩვენს თაობას?

ა.ბ. – როგორც კონკრეტულ პიროვნებას, ისე მთელ თაობას, სანამ იგი მოღვაწეობს და საქმიანობს, ვერ შევაფასებ. შეფასება როგორც კონკრეტული პიროვნების, ისე მთელი თაობისა, შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა იგი საქმიანობა-მოღვაწეობას დაასრულებს. არც ერთი თაობა არ არის ერთფეროვანი. ყველა თაობას ჰყავს თავისი საუკეთესო წარმომადგენლები და თავისი ნაძირალები. ბუნებრივია, თქვენს თაობასაც ჰყავს ისინი – როგორც კარგები, ისე ცუდები. შეფასება დამოკიდებულია იმაზე, რა შედეგით დამთავრდება ამა თუ იმ თაობის მოღვაწეობა. ასე, რომ აჩქარებით დასკვნის გაკეთება მიზანშეწონილი არ არის, ყველაფერს თავის დრო აქვს.

მ.ქ. – თქვენი აზრით, ვისთვის იყო სიკვდილი ყველაზე დიდი უსამართლობა?

ა.ბ. – ამ კითხვას მე ვერ ვუპასუხებ, რადგან სრულებით არ მიმაჩნია სიკვდილი უბედურებად. მე იმ აზრს ვიზიარებ, რასაც ვაჟა-ფშაველა ასე გამოთქვამს – «ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა...»

ჯერ ერთი, არსებობა-სიცოცხლე დაბადება-გაჩენისა და სიკვდილ-გაქრობის ერთიანობაა. თუ არ იქნება დაბადება-გაჩენა, არ იქნება არსებობა-სიცოცხლე. ასევეა, თუ არ იქნება სიკვდილ-გაქრობა, არ იქნება არსებობა-სიცოცხლე.

მეორეც, თუ არ იქნებოდა სიკვდილი, არ იქნებოდა არც ადამიანის შემოქმედებითი შრომა. სიკვდილის შიშით ქმნის ყველაფერს ადამიანი. ეს არის ის იმპულსი, რომელიც ადამიანს აკეთებინებს ყოველგვარ საქმეს, როგორც წვრილმანს, ისე რთულსა და მნიშვნელოვანს. სიკვდილის შიში რომ არ ყოფილიყო, ადამიანი ერთი უქნარა, ზარმაცი, უმაქნისი არსება იქნებოდა. არაფერს გააკეთებდა. ლუარსაბ თათქარიძესავით ბუზების თვლით იქნებოდა დაკავებული. მაგრამ, როცა ცხოვრებას ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ ყოველ გონიერ ადამიანს სურს, სანამ მოკვდებოდეს, «სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სადმე დარგოს" (ვახტანგ მეექვსე). ეს სურვილია ადამიანის ქმედების მამოძრავებელი ძალა. ის კი გაპირობებულია სიკვდილის შიშით.

რაკი სიკვდილისადმი ასეთი დამოკიდებულება მაქვს, ცხადია, თქვენი კითხვის პასუხის ავტორად არ გამოვდგები.

მ.ქ. – პრეზიდენტობის კანდიდატად რომ დაგასახელონ მორიგ არჩევნებში, თუ მიიღებდით მონაწილეობას?

ა.ბ. – არა. ქართველმა ამომრჩეველმა უკვე მომცა ამის გაკვეთილი. გონიერება მოითხოვს, რომ გაკვეთილი კარგად ისწავლოს კაცმა.

მ.ქ. – სად გაქრა ბატონი აკაკი ბაქრაძე?

ა.ბ. – არსად. სადაც იყო, იქ არის. თუ იმას გულისხმობთ, რომ ლექციებს არ ვკითხულობ, მაშინ უნდა გითხრათ, რომ არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს მე არ დავუპატიჟებივარ. ძალით კი სრულებით არ ვაპირებ ვინმეს კარი შევუმტვრიო. ანდა, თუ იმას გულისხმობთ, რომ ტელევიზიით არ გამოვდივარ, მაშინ გეტყვით, რომ არც ტელევიზიას შემოუხევია ჩემთვის კალთა, ჩვენთან მობრძანდიო. ჩემთვის იქაც დაკეტილია კარები. თუმცა რომც დამიძახონ, არ მივალ. დამადლებული ლუკმა მწარეა.

რაც შეეხება პრესას, ზომიერად ვბეჭდავ წერილებს იმ გაზეთებში, რომელნიც ჩემდამი კეთილად არის განწყობილი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ორი წიგნი გამოვეცი. ერთადერთი, რასაც თავს ვარიდებ, ეს ინტერვიუებია. ჯერ ერთი, გაუთავებელმა ინტერვიუებმა ერთფეროვანი და მოსაწყენი გახადა ჩვენი პრესა. მეორეც, ძალიან ხშირად ერთსა და იმავე კითხვებს სვამენ. მაგალითად, რა აზრის ვარ თურქულ

უნივერსიტეტზე. ერთხელ უკვე გამოვთქვი უარყოფითი დამოკიდებულება. რამდენჯერ უნდა გავიმეორო ეს? ანდა მეკითხებიან – როგორ ვუყურებ აფხაზეთის პრობლემას. 1978 წლიდან ვწერ ამაზე. რაც ამაზე დამიწერია, ერთად რომ შევაგროვო, კარგა მოზრდილი წიგნი გამოვა. კიდევ რაღა უნდა ვთქვა? თან ისიც საგულისხმოა: ჩემს აზრს არც 70-იან წლებში აქცევდა ვინმე ყურადღებას და არც დღეს აქცევს. სანამდე უნდა შევაყარო კედელს ცერცვი? არადა, სწყინთ, როცა ინტერვიუზე უარს ვეუბნები. ერთმა ჭკვიანმა ფრანგმა თქვა – ყველა ჟანრი კარგია, გარდა მოსაწყენისაო. ძალიან მოსაწყენი ჟანრია ინტერვიუ. თქვენც ნუ გეწყინებათ, ამის მეტად ინტერვიუს თუ არ მოგცემთ.

გაზ. «სტუდენტური პაემანი”,
№1, 17 სექტემბერი, 1997

თავად კორუმპირებულები გაჰკივიან – არიქა, დასცხეთო კორუფციას!

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის ვერას იტყვით მასზედ, რომ აზრი უმალ საკამათოდ არ იქცეს, - ბევრი ხელს ჩაიქნევს, ზურგს შემოგაქცევს და შეიძლება შემოგძახოს: მოგცლია – ქვეყანა იღუპება! თუმცა ფარულად ან სააშკარაოდ მისი აზრი ბევრ გლეხს, მუშას და ა.შ. აინტერესებს.

დღეს ქართველთაგან უმრავლესობა ხშირად კილავს ამ ადამიანებს და იცით რატომ? – ბ-ნი აკაკი ბაქრაძე პასიურობსო, იმალებაო. ამაზე ბ-ნი კიტა ბუაჩიძეც მიუთითებს თავის «შავზე შავ წიგნში”... თუმც ბევრნი ამ ქართველთაგან თვით არიან პასიურნი და კარის მეზობლებსაც რომ უკლავდნენ, კარს მიღმა დაიმალებიან.

შეუცდომელი ვინ არის, მაგრამ არის უნებლიე და განზრახული შეცდომები, რომელთაგან რაა საპატიო ან პირუკუ, ეს განსასჯელია...

მეოთხედი საუკუნე მაკავშირებს ბ-ნ აკაკი ბაქრაძესთან, არ ვართ დიდი მეგობრები, ხშირად მსურს ხოლმე მასთან საუბარი, - უარს არასოდეს მეუბნება და სტუმარ-მასპინძლობის შედეგებით ვკმაყოფილდები. ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც მას ჩამოვართვი «ლიტერატურული საქართველოსათვის”, ძირითადად 9 აპრილის ტრაგედიამ განაპირობა. ორიოდე თვის წინ კერძო საუბარში აკაკი ბაქრაძემ სინანულით აღნიშნა, რომ თუ რაიმე სასარგებლო აზრი გამოუთქვამს პრესის ფურცლებიდან, იგი უმალ დავიწყებას ეძლევა და იმედი ქრებაო...

უფალმა მომიტევოს, თუ ვცდები და, მე მაინც ავიღე საწერ-კალამი და გაუფრთხილებლად, გულისფანცქალით ბ-ნი აკაკისაკენ გავემართე. ძველი ნაცნობ-მეგობრობის ხათრით ინტერვიუზე უარი ვერ მითხრა, თუმცა იმდენი ვისაუბრეთ, ჩემს კითხვებს აქ აღარც შემოგთავაზებთ და პირდაპირ მონოლოგის სახით გაწვდით ბატონ აკაკი ბაქრაძის საუბარს. ტექსტიდან კითხვები თავისთავად იგულისხმება.

თენგიზ თალაკვაძე

თავდაპირველად უნდა გითხრათ ის, რომ მე უარს ვეუბნები ყველას, ვინც ინტერვიუს, საუბარს შემომთავაზებს ამა თუ იმ გაზეთისათვის. ახლა გამონაკლისს ვუშვებ ჩვენი ძველი ნაცნობობის გამო. იმასაც გეტყვით, რატომ ვამბობ უარს. ეს არ არის უბრალო ახირება. ამას გარკვეული საფუძველი აქვს.

პირველი გახლავთ ის, რომ არის დრო, როცა სიტყვა სრულიად კარგავს ფასს და მას ყურს არავინ უგდებს. ახლა ასეთი დროა საქართველოში. არც ხალხი და არც ხელისუფლება არავითარ ანგარიშს არ უწევს იმას, რაც იწერება და იბეჭდება. დააკვირდით: დაიწერება, ვთქვათ, ამა თუ იმ ჩინოვნიკის შესახებ ესა და ეს დანაშაული ჩაიდინაო. ხალხი წაიკითხავს ამას და მხოლოდ იმას იტყვის – ეს ვინ ყოფილაო, ნახე რაები გაუკეთებიაო – და ამით ამოიწურება მისი დამოკიდებულება. არც იმას ითხოვს, რომ, თუ რაც დაიბეჭდა, ის მართალია, ჩინოვნიკი დანაშაულისათვის დასაჯეთო, და არც იმას – თუ ის, რაც დაისტამბა, ტყუილია, ცილისწამებაა, მაშინ ჟურნალისტსა და გაზეთს მოეთხოვოსო პასუხი. სიმართლის დადგენის არავითარი სურვილი არ უჩნდება. უბრალოდ, ან გაიკვირვებს ან კმაყოფილებით მოიფშვნეტს ხელებს და რაც წაიკითხა, იმას დავიწყებას მისცემს. არც ხელისუფლება იწუხებს თავს იმით, რაც იწერება. მისი დამოკიდებულება დაწერილ-დაბეჭდილისადმი გამოიხატება ფორმულით – წერეთ და იკითხეთ. ანდა სხვაგვარად – ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

ასეთ ვითარებაში წერასა და ბეჭდვას არავითარი შედეგი არ ახლავს.

მეორე ის, რომ დაწერილ-დაბეჭდილისადმი ხალხის გულგრილი დამოკიდებულების გამო საქართველოში საზოგადოებრივი აზრი არ იქმნება. პრესა, რადიო-ტელევიზია საზოგადოებრივ აზრს ვერ აყალიბებს. ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ საქართველოს უთვალავი პრობლემა აწუხებს. ბევრის ჩამოთვლა არც არის საჭირო. საკმარისია დავასახელო მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორია ჩვენი ქვეყნისა, მისი დაბრუნების საკითხი. ამ პრობლემისადმი გაოგნებულად გულგრილია ხალხიც და ხელისუფლებაც. არც ხალხს აქვს რაიმე გეგმა წართმეული ტერიტორიის დაბრუნებისა და არც ხელისუფლებას. არ არსებობს რაიმე ერთიანი აზრი ამ საკითხზე. ერთი ერთს ამბობს, მეორე – მეორეს, მესამე – მესამეს და ა.შ. ყველაფერი მიმდინარეობს თვითდინებით. თვითდინებით კი არც ერთიანი საზოგადოებრივი აზრი შეიქმნება და, მით უმეტეს, არც პრობლემა მოგვარდება.

გნებავთ, მეორე მეტად საჭირბოროტო საკითხი ავიღოთ – ენერგეტიკული კრიზისი. ამაზე იწერება პრესაში, ლაპარაკია რადიო-ტელევიზიაში. თავად ენერგეტიკოსებიც ბევრს ვიშვიშებენ. შეიცვალა რამე? გადაიდგა წინ ნაბიჯი? რა თქმა უნდა, არა. საზოგადოებრივი აზრი მაშინ არის საზოგადოებრივი აზრი, თუ იგი პრობლემის მოგვარება-გადაწყვეტას უწყობს ხელს. თუ ამას ვერ ახერხებს, მაშინ საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს.

ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ხელისუფლება თავად დგამს კომედიას. მაგალითად, ახლა ამგვარ კომედიას კორუფციის წინააღმდეგ თამაშობენ. კორუფციის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ დაკვეთილი სტატიებიც მრავლად იბეჭდება. არის ეს საზოგადოებრივი აზრის შექმნა? ცხადია, არა. ის, რაც ახლა ვითომ კორუფციის წინააღმდეგ ხდება, სინამდვილეში არის კორუფციის დაცვა, მისთვის ხელის შეწყობა, ამდენად, ანტისაზოგადოებრივი აზრია.

კორუმპირებული არ შეიძლება იყვნენ უბრალო, რიგითი მოქალაქენი. მათ ამის საშუალება არა აქვთ. კორუმპირებული მხოლოდ ხელისუფლება, ჩინოვნიკობა შეიძლება იყოს, რაკი მათ აქვთ კორუფციის საშუალება. მაშასადამე, როცა კორუფციას «უცხადებს" ბრძოლას ხელისუფლება, არსებითად ბრძოლას «უცხადებს" თავისთავს. რა საჭიროა ეს? ხელისუფლებამ ხომ ზედმიწევნით ზუსტად იცის, ვინ არის კორუმპირებული. მოსთხოვოს მას პასუხი დანაშაულისათვის. ანდა, თუ ვინმემ სინდისის ქენჯნა იგრძნო, - კორუფციაში ჩავეფალი, ეს რა დამემართაო, - მაშინ გადადგეს. აღიაროს დანაშაული და პოსტი დატოვოს. ამას ხომ არავინ აკეთებს. პირიქით, ყოველი ხელისუფალი ისე ებღაუჭება თანამდებობის სკამს, რომ ვერარა

ძალით გამოგლეჯთ ხელიდან. არც იმას აპირებს, ვინმეს პასუხი მოსთხოვოს დანაშაულისათვის. თავად კორუმპირებულები გაჰკივიან – არიქა, დასცხეთო კორუფციას. ისე იქცევიან, როგორც ბაზრის ჯიბგირები. ბაზრის ჯიბგირი, რომელიც მოქალაქეს ფულს ამოაცლის ჯიბიდან, ზოგჯერ თავად იწყებს ყვირილს – ქურდი, ქურდი არ გაუშვათო. მოქალაქეებს გზაკვალი რომ აუბნიოს, სხვა მიმართულებით იშვერს ხელს. დაბნეული დაზარალებულიც იქით გარბის, სადაც დამნაშავე არ არის. ჯიბგირი კი არხეინად ახერხებს მიმალვას. ამ ჯიბგირივით იქცევა კორუმპირებული ხელისუფლება, როცა ვითომ ებრძვის კორუფციას.

ასეთ ვითარებაში წერასა და ბეჭდვას რეალური შედეგი არ ახლავს.

მესამე კი ის გახლავთ, რომ დღეს ხელისუფლება პრესას, რადიო-ტელევიზიას ისევე ეპყრობა, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს კომპარტიის ცკ-ში გაგზავნილ ხელმოწერილ თუ ანონიმურ წერილებს ექცეოდა. გახსოვთ, ალბათ, მაშინ ცენზურის მიერ მკვეთრად იყო განსაზღვრული – რა შეიძლებოდა დაბეჭდილიყო და რა – არა. ურიცხვი გასაჭირით გაბეზრებული ადამიანები გულისტკივილის გამოსახატავად კომპარტიის ცკ-ში აგზავნიდნენ წერილებს, პატიოსნები – ხელმოწერით, უნამუსოები ანონიმურად. ამ წერილებს არავინ კითხულობდა. აგროვებდნენ და სანაგვეში ყრიდნენ. ისე, ზოგჯერ, ხანდახან, ძალიან იშვიათად რომელიმე წერილს გამოეხმაურებოდნენ. აქაოდა, მშრომელთა საჩივრებს უყურადღებოდ არ ვტოვებთო.

ახლა ხელისუფლებას აღარავინ (თუ სულიერი სნეულებით არ არის ავად) უგზავნის ბარათებს. ყველაფრის დაბეჭდვა შეიძლება, დედის გინებისაც კი. ეს ერთობ კარგ ტონად ითვლება და ყველა გაზეთის კარი ღიაა. რაკი იმ ხელმოწერებმა თუ ანონიმურმა წერილებმა, რაც წინათ კომპარტიის ცკ-ში იგზავნებოდა, მასმედიაში გადაინაცვლა, ხელისუფლებაც ძველებური უყურადღებობით და გულგრილობით ეპყრობა დაბეჭდილ სტატიებს. ეს მეტად ადვილად შესამუშავებელი პოზიცია იყო, რაკი ძალაუფლება ისევ ნაკომკავშირალ და ნაკომუნისტარ ჩინოვნიკებს უპყრიათ. ძველ გამოცდილებას ეფექტურად იყენებენ.

ასეთ ვითარებაში წერასა და ბეჭდვას ფუჭი შრომის შინაარსი აქვს. ფუჭი შრომა კი უსაქმურობაზე ბევრად უარესია.

კალამი თოფი არ არის, რომ ადამიანმა იგი შურიძიების იარაღად გამოიყენოს. კალამი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სიმართლის დადგენას უნდა ემსახურებოდეს. სამწუხაროდ, დღეს კალამი ძირითადად შურისძიებას ემსახურება, რაც მას ეთიკურ ძალას უკარგავს. იმ ნდობას ართმევს, ურომლისოდაც წერა-ბეჭდვას ფასი და ღირებულება არა აქვს. ამას მეოთხე ნიშნად იმასაც თუ დავამატებთ, რომ პრესამ ეთიკური ღირსება დაკარგა, - ყველაფერს კადრულობს საარსებოდ რამდენიმე გროშის საშოვნელად, - უეჭველი გახდება, რატომ არ იზიდავს ადამიანს მას-მედიაში თანამშრომლობა.

ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ჩემი გულგრილი დამოკიდებულება პრესისა და რადიო-ტელევიზიის მიმართ.

ასეთ ვითარებაში, რაც ამჟამად საქართველოშია, ხალხი სიტყვას აღარ დაუჯერებს. ბევრი ყოფილა სიტყვა, ბევრი ყოფილა დაპირება. არც ერთმა არ გაამართლა. მოტყუებული ხალხი ახლა მხოლოდ საქმეს თუ ენდობა. თუ დაინახა ხალხმა, რომ რაღაც საქმე კეთდება, შეიძლება მაშინ გაუჩნდეს ნდობა, მაშინ დაებადოს იმედი. თუ ვისმეს ხალხის ნდობის მოხვეჭა სურს, მან საქმე უნდა აკეთოს. საქმე კონკრეტული და ადვილად დასანახი.

თქვენც ჩივით და სხვისგანაც ბევრჯერ გამიგონია – ხალხი პასიური გახდა. ყველაფერს გულცივად და ხელჩაქნეული უყურებსო. ხალხი არ გამხდარა არც პასიური,

არც გულგრილი და არც ხელჩაქნეული. იგი უნდობელი გახდა. აღარ უნდა კიდევ მოტყუებული დარჩეს. გაცუცურაკებულ-გაპამპულებული აღმოჩნდეს. ამიტომ ფრთხილად იქცევა. უნდა უფრო წინდახედული აღმოჩნდეს, ვიდრე ადრე იყო.

დააკვირდით: ქართველი ხალხი (ყველა ხალხი, რომელიც სსრკ-ის ტერიტორიაზე ცხოვრობდა) ენდო სოციალისტებს. სამოცდაათ წელიწადზე მეტი აშენა სოციალისტური სისტემა. მიწიერი სამოთხის მოლოდინში ყველა გასაჭირი აიტანა. ამის შედეგად კი, ბოლოს, ტყუილის მსხვერპლი გახდა. სოციალისტური სისტემა დაინგრა. მისგან ნაცარტუტა დარჩა, ახლა ხალხი იძულებულია უკან, 1917 წელში დაბრუნდეს. ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ტანჯვა-გვემაში გამოვლილი სამოცდაათი წელი დაივიწყოს და რასაც უარყოფდა, ისევ ის იწამოს. ახალი საზოგადოებრივი სისტემის მშენებლობას შეუდგეს.

და ჩვენ გვინდა, რომ ასე მწარედ მოტყუებული ხალხი აქტიური იყოს, ლიტონ დაპირებას ენდოს? ასე არ ხდება.

ქართველი ხალხი ენდო ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას. გაჰყვა მას ერთგულად, ლიანგურად. იმედოვნებდა: ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება ყველა იმ ტკივილს მოუშუშებდა, რაც სოციალიზმმა მიაყენა. აქაც მოტყუვდა, აქაც გაბითურდა.

ხალხი იმედოვნებდა: საქართველო იქნებოდა ერთიანი, მთლიანი, ძლიერი. მოხდა კი პირიქით: საქართველოს სხვა ტერიტორიასაც ემუქრება წართმევა. ჩვენ კი არავითარი ძალა არ აღმოგვაჩნდა თავდაცვისა, წინააღმდეგობის გაწევისა. სამარცხვინოდ დამარცხებული აღმოვჩნდით.

ხალხი იმედოვნებდა: როცა საქართველო იქნება დამოუკიდებელი, იგი გახდებოდა ეკონომიკურად ძლიერი, განათლებული, კულტურულად ამაღლებული. მოხდა კი პირიქით: ეკონომიკა პირწმინდად მოიშალა. დაეცა განათლება და კულტურა. განათლებისა და კულტურის მუშაკები სავალალო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, აღარც მრეწველობა გვაქვს და აღარც სოფლის მეურნეობა, ფაბრიკა-ქარხნები გაიძარცვა და გაიქურდა, დაინგრა და დაიშალა. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ვენახები გაიჩეხა და განადგურდა. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ქართველი ადამიანი მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვიტა და სხვადახვა ქვეყანაში გააგდო საწანწალოდ. ქართველმა ქალებმა მსოფლიოს საროსკიპოები გაავსეს. ქართველმა მამაკაცებმა – მსოფლიოს შავი ბაზარი. ქართველი ბავშვები ქუჩებშია გამორეკილი სამათხოვროდ.

და ჩვენ გვინდა, რომ ასე მწარედ მოტყუებული ხალხი აქტიური იყოს, ლიტონ დაპირებებს ენდოს? ასე არ ხდება.

ჩვენ გვინდა აქტიური იყოს ხალხი, რომელიც ვერ გარკვეულა, რა ხდება მის თავს?. გაოგნებული ხალხი უყურებს: ისინი, ვინც გუშინ ინტერნაციონალიზმსა და კომუნიზმის ნათელ მწვერვალებს დაუზარებლად უწევდნენ პროპაგანდას, დღეს ეროვნულ იდეალებსა და დამოუკიდებლობაზე ქადაგებენ. ისინი, ვინც გუშინ მამალი ათეისტები იყვნენ, დღეს ღრმად «მორწმუნე” ქრისტიანები არიან. ისინი, ვინც გუშინ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის პორტრეტებით რთავდნენ ოთახ-კაბინეტებს, დღეს ქრისტიანი წმინდანების ხატებს იკიდებენ. ეს ადამიანები ქვეყნის მეთაურობას და მმართველობას იჩემებენ. რით უშველეს მათ საქართველოს კომუნისტური რეჟიმის დროს და რით უშველიან დღეს? არავინ უწყის. ამ დაბნეულ ვითარებაში ხალხი ვეღარ მიმხვდარა – სად არის სიმართლე და სად – ტყუილი. ხალხი, რომელმაც არ იცის სად არის ტყუილი და სად – სიმართლე, აქტიური ვერ იქნება. იგი ყველაფერზე ხელს ჩაიქნევს და გულხელდაკრეფილი დაელოდება უცნობ მომავალს. ამ გაოგნებისაგან ხალხს ცარიელი სიტყვა ვეღარ გამოიყვანს. მხოლოდ კონკრეტულ, რეალურ საქმეს

შეუძლია ხალხის გამოფხიზლება. მოტყუებული ხალხი იმას ენდობა, ვის გაკეთებულ საქმესაც დაინახავს.

როცა ერთი საზოგადოებრივი წეს-წყობილება იშლება და მეორე უნდა დამკვიდრდეს, ამ შუალედში ყოველი ხალხი იბნევა, სულიერ და ნივთიერ სიღატაკეში ვარდება, ზნეობრივად ქვეითდება... ქართველ ხალხს იგივე დაემართა, რაც ყველა სხვა ხალხს დაემართებოდა მიეროხანში, ანუ ისეთ დროში, როცა ყველაფერი თავდაყირა დგას, ძაღლი პატრონს ვერ სცნობს, ხსნის გზა ჯერ ნაპოვნი არ არის. ყველა ხალხი, რომელიც სსრკ-ში ცხოვრობდა, ახლა ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორშიც ქართველი ხალხი. ხომ ხედავთ, რა ხდება რუსეთში. თავგზა აქვთ დაკარგული. ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ნახევრადმკვდარი პრეზიდენტი მოვალეობისაგან გაათავისუფლონ, მშვიდი სიკვდილის საშუალება მისცენ, არ აწამონ. გინდა თუ არა პრეზიდენტის მოვალეობა შეასრულეო, - ჩასჩიჩინებენ და ქვეყნის გადარჩენას მიცვალებულისაგან ელიან. აღარაფერს ვამბობ იმ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე, რაც რუსეთში სუფევს (წლობით ვერ იღებენ ადამიანები იმ მცირე ხელფასსაც კი, რომელიც მათ აქვთ. რის გამოც იფიცებიან მეშახტეები, ექიმები, მასწავლებლები და ა.შ.). გაიხრწნა და დაიშალა რუსეთის არმია. მძვინვარებს ტერორიზმი, რომლის წინააღმდეგ პოლიციას ვერაფერი მოუხერხებია. ერთი სიტყვით, მიეროხანში ყველა ხალხი ერთნაირად მძიმე და სავალალო მდგომარეობაში ვარდება. ბუნებრივია, ვერც ქართველი ხალხი იქნებოდა გამონაკლისი. ამან სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩაგვაგდოს. პირიქით, ახლა უნდა გამოიძებნოს ის ძალა, რომელიც ქვეყანასა და ხალხს მიეროხანის მდგომარეობიდან გამოიყვანს. ეს ძალა საკუთარ თავში უნდა იპოვოს, როგორც მთელმა ქართველმა ხალხმა, ისე თითოეულმა ჩვენთაგანმა. ვაჟა-ფშაველა გვირჩევს: «თვით უპატრონეთ თავის თავს, ნუ იმედოვნებთ სხვებზედა". საქართველოს ვითარება-მდგომარეობა გამოსწორებას, მართალია, დიდი დრო უნდა, დიდი ნებისყოფა და გონიერება («რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა", - ბრძანებს რუსთაველი), სჭირდება ნაბიჯ-ნაბიჯ მტკიცე სიარული მიზნის მისაღწევად, მაგრამ მაინც ყველაფერს ეშველება, ყველაფერი მოწესრიგდება.

ეს ბევრჯერ მითქვამს და ახლაც უნდა გავიმეორო: ქართველი ხალხი არც უკეთესია სხვა ხალხებზე და არც უარესი. თავისი ავკარგით ისეთივეა, როგორიც სხვები. ჩვენ ერთნაირ შეცდომას დავუშვებთ, თუ ვიფიქრებთ, რომ ქართველები სხვებს ვჯობივართ ანდა პირიქით, ქართველები სხვებზე უარესები ვყოფილვართ. ჩვენ გვაქვს ჩვენი ღირსება და ჩვენი ნაკლი. ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. არც მეტისმეტად გავყოყოჩდეთ და არც სასოწარკვეთილებაში ჩავვარდეთ. როცა ჩვენს შესაძლებლობას საღად შევხედავთ, იმ გზასაც ვიპოვნით, რომელიც მიეროხანიდან გამოგვიყვანს.

კოლონიალიზმი, კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნა მარტო იმით კი არ არის მძიმე და ცუდი, რომ დამპყრობელი გჩაგრავს, არამედ უფრო იმით, რომ დაპყრობილ ხალხს ილუზიით ცხოვრებას აჩვევს. ქართველი ხალხი, საქართველო, საუკუნეების მანძილზე იმყოფებოდა კოლონიურ მდგომარეობაში. იგი 1801 წელს არ დაწყებულა. გაცილებით ადრე დაიწყო. როცა საქართველოს ხელისუფლებამ დაინახა, რომ ძალით, იარაღით ვერ გაუმკლავდებოდა ვერც თურქეთს და ვერც სპარსეთს, მფარველის, პროტექტორის ძებნას შეუდგა. ამ ძებნამ ქართველ ხალხში დაბადა კეთილი მფარველის, კეთილი პროტექტორის ილუზია. დიდი დიპლომატიური წვალებისა და ჯახირის შემდეგ, რუსეთს მიაპყრო საქართველომ იმედის თვალი. ილუზიის სუბიექტი რუსეთი გახდა. მოვიდა რუსეთი საქართველოში და ილუზია დაინგრა. იგი უფრო სასტიკი და დაუნდობელი დამპყრობელი აღმოჩნდა, ვიდრე თურქეთი და სპარსეთი იყო. მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა ილუზიას გამოვთხოვებოდით. ილუზია რომ გაგვემართლებინა,

მისი თეორიული ახსნა მოვინდომეთ. ჯერ იმის მტკიცება დაიწყო, რომ არაფერი მომხდარა განსაკუთრებული. მხოლოდ სამეფო დინასტია შეიცვალა საქართველოში, ბაგრატიონების მაგიერ რომანოვები მოვიდნენო (დ. ყიფიანი). მერე ვაღიარეთ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, მართალია, ბოროტება იყო, მაგრამ უმცირესი ბოროტება. უფრო დიდი ბოროტება იქნებოდა, საქართველო თურქეთის ან სპარსეთის კოლონიად რომ დარჩენილიყო (სტალინი). ბოლოს იქამდე მივედით, რომ ესეც უარვყავით. ჩვენს ურთიერთობას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, სიტყვა ბოროტება არ შეშვენისო (ედ. შევარდნაძე). ქართული აზროვნება კეთილისმყოფელი რუსეთის ილუზიისაგან უნდა განთავისუფლდეს. ეს ილუზია მარტო დღეს კი არ არსებობს, სულხან-საბა ორბელიანის ეპოქაშიც არსებობდა.

სულხან-საბა ორბელიანი მარტო დიდი მწერალი არ არის. იგი დიდი პოლიტიკოსიც გახლავთ. იგი მკაფიოდ ხედავდა, რომ საქართველო ევროპული განვითარების გზას უნდა დასდგომოდა. მხოლოდ მაშინ დაუბრუნდებოდა ჩვენი ქვეყანა ისტორიული განვითარების მაგისტრალურ გზას.

სხვათა შორის, ეს დღევანდელობამ ნათლად და უდაოდ გვიჩვენა. აზიის ის ქვეყნები, რომელთაც განვითარების ევროპული გზა აირჩიეს (იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაილანდი და სხვ.), ნივთიერადაც აღორძინდნენ და სულიერადაც, არც საკუთარი სახე და მე დაუკარგავთ. მაგრამ ს.-ს. ორბელიანს საქართველოში ბევრი მომხრე არ ჰყოლია. ქართველთა უმრავლესობა მაინც რუსეთისაკენ იყურებოდა. იგი მიაჩნდა მხსნელად. ამის საფუძველი ის იყო, რომ საქართველოც მართლმადიდებლური ქრისტიანული ქვეყანა იყო და რუსეთიც. მართლმადიდებლობა იდეოლოგიურად აჯაჭვავდა საქართველოს რუსეთს. თუ საქართველო ევროპაში დაინახავდა მფარველსა და პროტექტორს, მაშინ მას რელიგიური ორიენტაციაც უნდა შეეცვალა, სხვაგვარად ევროპა საქართველოთი არ დაინტერესდებოდა, და არც მჭიდრო და მტკიცე კონტაქტი დამყარდებოდა მასთან. არც დამყარდა. რაკი საქართველომ რელიგიური ორიენტაცია არ შეიცვალა, იგი რუსეთის იმპერიის ნაწილი აღმოჩნდა. ევროპა ჩვენგან შორს დარჩა. იცით, მაშინ მადლობის მაგიერ, ს.-ს. ორბელიანი დასაჯეს; სვეტიცხოვლის ეზოში წვერებით ათრიეს.

ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ამ საკითხზე ბევრი მაქვს დაწერილი. თუ ვისმეს ჩემი აზრი აინტერესებს, შეუძლია მისი წაკითხვა.

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ორიენტაციისათვის ბრძოლა დღესაც გრძელდება. ხომ ხედავთ, რა ორომტრიალია ატეხილი ნატო-ს გაფართოების გარშემო. როგორ ემუქრება რუსეთი აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს – ნატოში შესვლა არ გაბედოთ, თორემ ყურებს აგაგლეჯთო. მართალია, რუსეთი უკვე ველარავის ვერაფერს ააგლეჯს, მაგრამ თავის ბოროტებას მაინც არ იშლის. არც მოიშლის, სანამ პირში სული უდგას. ამიტომ ჩვენ გვჭირდება მტკიცე, ურყევი პოზიცია, ისევ რუსებს მივჩანჩალებდეთ კუდში, თუ ბოლოსა და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ, ავირჩიოთ განვითარების ევროპული გზა. ეს პრობლემა ქართველთა დღევანდელმა თაობამ უნდა გადაწყვიტოს. მერე გვიან იქნება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთის ორიენტაციის ქართველ პოლიტიკოსთა შორის, სულერთია მეფე იქნებოდა იგი თუ რიგითი ჩინოვნიკი, ს.-ს. ორბელიანზე ბრძენი და შორსმჭვრეტელი არცერთი არ ყოფილა. არც საქართველო ჰყვარებია რომელიმეს სულხან-საბაზე მეტად. არ იქნება ურიგო, ამას თუ გაითვალისწინებენ დღევანდელი პოლიტიკოსებიც.

რაც შეეხება სტალინს.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა შეამჩნია საქართველოს ისტორიის ერთი კანონზომიერება, რომელიც მან ასე გამოთქვა: «თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინამცა გვენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი". როგორც ხედავთ, დავით აღმაშენებელს, პიროვნულად, როგორც პოლიტიკოსსა და მხედართმთავარს, გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდაო, ამბობს მემატიანე, ვიდრე საქართველო, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო, მას აძლევდაო. მაშასადამე, დასმულია პრობლემა ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობისა.

ეს პრობლემა ალექსანდრე მაკედონელის წინაშეც იდგა. პლუტარქეს სიტყვით, ყმაწვილ ალექსანდრეში როცა მამამ, მეფე ფილიპემ, შეამჩნია მსოფლიო დამპყრობელი, შვილს უთხრა თურმე: «შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევს!.."აქაც ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობის პრობლემა დგას. ალექსანდრესაც მძლავრი ქვეყანა სჭირდება ის საქმე რომ გააკეთოს, რისი გაკეთებაც უფალმა დაავალა.

ნაპოლეონიც დგას ამ პრობლემის წინაშე. პატარა კორსიკა ვერ მისცემს მას იმ ძალას, რაც მას სჭირდება ევროპის დასაპყრობად. ამისათვის იგი საფრანგეთის იმპერატორი უნდა გახდეს.

ხედავთ, რომ ალექსანდრე მაკედონელს, დავით აღმაშენებელს, ნაპოლეონს ერთნაირად აქვთ გადასაწყვეტი ის პრობლემა, რასაც პიროვნების ძალის შეუსაბამობა ვუწოდეთ. სტალინიც ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ბესო ჯუღაშვილი მეფე რომ ყოფილიყო, ალბათ, ისიც ფილიპე მაკედონელივით ეტყოდა შვილს: შენი შესაფერი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, საქართველო შენ ვერ დაგიტევს.

სტალინი მსოფლიო იმპერატორად გააჩინა უფალმა, ამიტომ მას ისეთი ქვეყანა სჭირდებოდა, რომელიც მსოფლიო იმპერატორობის საშუალებას მისცემდა. ასეთი ქვეყანა რუსეთი იყო. სტალინიც რუსეთის იმპერიის მბრძანებელი გახდა. იგი საქართველოში ვერ დარჩებოდა. იცით კარგად, ვეშაპები შავ ზღვაში არ არიან. პატარაა მათთვის შავი ზღვა და იმიტომ. ვეშაპს ოკეანე სჭირდება, რომ იცოცხლოს. ასევე სჭირდებოდა ოკეანე ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონს, სტალინს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთი პატარა სამშობლო არ უყვარდათ. მაგრამ უყვარდათ იმდენად, რამდენადაც ამის უფლებასა და საშუალებას დიდი ქვეყნების მბრძანებლობა აძლევდა. ნაპოლეონს კორსიკა იმდენად უყვარდა, რამდენადაც ამის უფლებას საფრანგეთის იმპერატორობა აძლევდა. სტალინსაც იმდენად უყვარდა საქართველო, რამდენადაც ამის უფლებას რუსეთის ხელმწიფობა აძლევდა. ეს ურთიერთობა ტრაგიკულია. ტრაგიკულია ქვეყანაც, რომლის შვილი თავის ძალასა და ნიჭიერებას სხვა ქვეყნის საკეთილდღეოდ ხარჯავს. ტრაგიკულია ადამიანიც, რომელიც სამშობლოს ნაცვლად სხვა ქვეყანას ემსახურება. მაგრამ ამ ტრაგიზმს ვერავინ ვერსად გაექცევა, რადგან უზენაესმა ინება ასე. ტრაგიკული იყო, როგორც პიროვნება, დავით აღმაშენებელიც, რადგან საქართველოს სიმცირემ მას არ მისცა საშუალება მისი კოლოსალური შესაძლებლობის განხორციელებისა. ამას დასტირის კიდეც მემატიანე.

ასე რომ, სტალინი მსხვერპლია იმ შეუსაბამობისა, რომელიც ეგზომ ბრძნულად ამოიცნო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა.

გაზეთი «საქართველო",
№15,16 თებერვალი, 1997 წ.

ურჩი ქართველის «თეთრი კუნძული»

ლიტერატურის ინსტიტუტში, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ეგიდით, აკაკი ბაქრაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: «კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხივრება და ღვაწლი». ლექციის შემდეგ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ბატონ აკაკის.

შეკითხვა – თქვენ აღნიშნეთ, რომ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ერისა და პიროვნების კვლევაა, ძიებაა «თავური ფენომენის» აღმოსაჩენად. იქნებ დააკონკრეტოთ, მაინც რა არის ეს ფენომენი?

აკაკი ბაქრაძე – ის, მართლაც, ეძებდა, როგორც თვითონ ეძახდა, ამ თავურ ფენომენს. ეს არის ელემენტი, რომელიც არ იცვლება ქართველისათვის და, საერთოდ, არც ერთი ერის ადამიანისათვის, ანუ ეს იგივეა, თუ რატომ ხდება გერმანელი გერმანელად, რუსი _ რუსად, ქართველი _ ქართველად და ა.შ. ამ ფენომენის ძიება იყო მისთვის ძირითადი საკითხი. ძიებისას უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ენასა და მითოლოგიას; მისი აზრით, ენის შემოქმედი, ბუნებრივად, ხალხია, რომელიც მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს საუკუნეების მანძილზე. შეიძლება მას ემატება რაღაც სიტყვები ან ახალი ცნებები ჩნდება, ცხოვრების განვითარების შესაბამისად, მაგრამ თვითონ არსი ენისა არ იცვლება. ეს პროცესი მას საშუალებას აძლევს, ენაში ეძებოს და იპოვოს ის, რაც მისი აზრით, მიგვიყვანს თავურ ფენომენამდე _ ამა თუ იმ ხალხის თვისება _ ბუნების განმარტებისათვის რომ გვჭირდება.

მეორე ასეთ ელემენტად გრიგოლ რობაქიძეს მითოლოგია მიაჩნია, რადგან მითოლოგიაც კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია. მითოლოგიურ ქმნილებებშიც ჩანს ხალხის დამოკიდებულება, შეხედულება სინამდვილეზე, ყველაფერ იმაზე, რაც ადამიანს აინტერესებს და მის ცხოვრებას ქმნის. იგი ცდილობს, მითოლოგიიდანაც ამოიღოს ქართული სამყაროს თავისებურებანი, გადმოსცემს რა შორეულ წარსულის თუ თანამედროვეობის ამბებს, მითის სუნთქვა ყველგან იგრძნობა.

ამ თავური ფენომენის ძიებაში, როცა განსაკუთრებულ ყურადღებას ენას და მითოლოგიას აქცევს, ქართულ ენაში გამოყოფს ზოგიერთ სიტყვას, რომლებშიც, მისი აზრით, ჩანს სწორედ თავდაპირველი დამოკიდებულება ქართველებისა, რაც არ გამქრალა დროთა განმავლობაში. მაგალითად, თვლის, რომ ერთნაირი ფუძე აქვს ცეცხლს, ცხენს და ცოცხს, და მათ ერთმანეთთან აკავშირებს. ცეცხლი და ცოცხი _ გამწმენდი საშუალებაა. ამ წმენდას, სისუფთავეს, სიწმინდეს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან, მისი აზრით, დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ უნდა იყოს სუფთა, წმინდა, აგრეთვე, აგზნებადი. მუდმივ შემოქმედებითს პროცესში ყოფნა, ამ აგზნებადობის გარეშე წარმოუდგენელია.

თითქოს უცნაურია ცეცხლისა და ცოცხის ასე დაკავშირება, მაგრამ გრიგოლ რობაქიძე მათში სწორედ ამგვარ შინაარსს დებს.

შეკითხვა – ამას უკავშირდება და, ლექციაზეც აღნიშნეთ, გრიგოლ რობაქიძისეული აზრი ხელისუფლებაზე. ქართველისათვის ხელისუფალი არ შეიძლება იყოს რაიმე სიბინძურეში გარეული, ის სისუფთავით, სიწმინდით გამორჩეულია. თუმცა ძალაუფლების გარეშე მაინც წარმოუდგენელია მისი მეფობა და, ამის დასადასტურებლად, მოიტანეთ თავად გრიგოლ რობაქიძის სიტყვები: «სახელმწიფოს გარეშე კი მხოლოდ ანგელოზებს და ცხოველებს შეუძლიათ ცხოვრება».

რას გვეტყვით, საერთოდ, სიტყვა «ხელისუფლების» საკრალურ მნიშვნელობაზე?

ა. ბ. – გრიგოლ რობაქიძის აზრით, ქართულ წარმართობაში მეფე-ხელმწიფეა ქვეყნის პატრონ-მმართველი. მზიფეა ეს ხელი, ძლიერია. თუმცა ეს სიმწიფე ნიშნავს იმასაც, რომ ხელმწიფე ვალდებულია ქვეყნის, ხალხის წინაშე, ამიტომ განსაკუთრებული თვისებებით უნდა იყოს აღჭურვილი. ამავე დროს, ჩვენთან ხელისუფლებას საკრალური ღირებულებაც აქვს, რადგან სიტყვაში «ხელისუფალი» უფალია ჩადებული და ეს უფალი დაკავშირებულია ღმერთთან, რადგან ჩვენ უფლობით მივმართავთ მას.

აქედან გამომდინარე, გრიგოლ რობაქიძე აყალიბებს მეფე-მღვდლის იდეას, რომელიც, ერთდროულად, არის საერო და სასულიერო ხელისუფალიც. მისი აზრით, დავით აღმაშენებელი სწორედ ამგვარი ხელისუფალია. მას ევროპულ თქმულებებში ცნობილ იოანე პრესვიტერთან აკავშირებს და თვლის, რომ ამ იოანე პრესვიტერში სწორედ დავით აღმაშენებელი იგულისხმება. აქ იგი ხელისუფლების სიწმინდისა და საკრალურობის მიხეილ წერეთლისა და ზურაბ ავალიშვილისეულ აზრს იზიარებს.

შეკითხვა – ლექციაზე თქვით, რომ ასეთი ანალიზით, იგი განაგრძობს იმ წარმოდგენების ჩამოყალიბებას, იმთავითვე რომ ჰქონდა ძველ ქართველს, მაგრამ იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ამგვარი შეხედულებების და დამოკიდებულებების მიუხედავად, ქართველები, უმეტესწილად, დამარცხებულები არიან...

ა. ბ. – მას უნდა, ამ დამარცხების მიზეზიც ახსნას. ამას პრომეთეოსის მითში ეძებს, რადგან პრომეთეოსი ურჩობისათვის ისჯება. მისი წარმოდგენით, ქართველი, ძალა შესწევს თუ არა ურჩობისა, გარემოს მაინც არ ემორჩილება, ამიტომაც ხშირად მარცხდება და დასჯილია, როგორც პრომეთეოსი, გრიგოლ რობაქიძე ქართველის დამარცხების მიზეზებს სწორედ ამ ურჩობაში ეძებს.

შეკითხვა – თქვენი აზრით, ხელისუფლებაზე, პოლიტიკურ ვითარებაზე საკრალურმა წარმოდგენამ ხომ არ გამოიწვია მისი დაინტერესება გრაალის თემით?..

გთხოვთ, აქვე განგვიმარტოთ გრიგოლ რობაქიძის ფსევდონიმი «ავალონ კარდუელი».

ა. ბ. – გრაალის თემას მან მთელი რომანი უძღვნა, მაგრამ იგი არ იმეორებს ტრადიციულ, კლასიკურ ვარიანტს.

გრაალის ორი ძირეული ვარიანტი არსებობს: ერთი მოდის ძველი ფრანგი მწერლის კრეტიენ დე ტრუას რომანისაგან, მეორე _ გერმანელი მწერლის ვოლფრამ ფონ ეშენბახისაგან. პირველის მიხედვით, გრაალზე თქმულება უკავშირდება ბრიტების ლეგენდარული მეფის არტურის სახელს. განსაკუთრებული პატიოსნების, ძლიერების, კეთილშობილების _ რაინდების ამოცანაა წმინდა გრაალის დაცვა, მისი მოვლა-პატრონობა და, საერთოდ, სამართლიანი სამყაროს დამკვიდრება. ეს თემა ძალზე გავრცელებულია ევროპულ ლიტერატურაში და მისი მრავალი ვარიანტი არსებობს. კრეტიენ დე ტრუას მიხედვით, გრაალი არის თასი, რომელშიც იოსებ არიმათიელმა (მას შემდეგ, რაც ქრისტეს სისხლიანი კვართი გახადა და გაწურა) ქრისტეს სისხლი დააგროვა. ვოლფრამ ფონ ეშენბახთან გრაალი ძვირფასი თვალია, ქვაა, რომელიც ლიუციფერის გვირგვინს მოტყდა, როდესაც ლიუციფერი ძირს დაანარცხეს და ანგელოსთა სამყაროდან განდევნეს. ორივე შემთხვევაში, გრაალი განასახიერებს სიწმინდეს, სისუფთავეს, კეთილშობილებას, ამაღლებულობას, მშვენიერებას _ ყველაფერ კარგს, რასაც კი ადამიანი წარმოიდგენს, ამიტომ ადამიანის ვალია, დაიცვას და უპატრონოს მას და საუკუნიდან საუკუნეში ატაროს ეს იდეალები. სწორედ ასე იქცევიან მეფე არტურის მრგვალი მაგიდის გარშემო შეკრებილი რაინდები, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს, თავის რომანში, არც ერთი ეს ვარიანტი არა აქვს გამოყენებული. იგი საკუთრივ შექმნილ ვარიანტს გვთავაზობს: რომელიღაც დროს, საქართველო ძალზე

მძიმე ვითარებაში ჩავარდება, ქვეყანა განადგურებულია და უკანასკნელი რაინდები, რომლებიც ქვეყანას იცავდნენ, დაინახეს, რომ დამარცხდნენ და არაფრის გადარჩენა აღარ შეუძლიათ, თავის მოკვლას გადაწყვეტენ. უფსკრულის პირას მათ გამოეცხადებათ ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელში უჭირავს ქალის თმებით შეკრული ჯვარი. ეს ქალი ამ ჯვარს გადასცემს რაინდების მეთაურს და როცა იგი შეეხება, ჯვარი აყვავდება, მტევნებს მოისხამს, ამ მტევნებისაგან დაწურული სითხეა გრაალში მოთავსებული.

ამ გრაალს, როგორც საქართველოს უკვდავების სიმბოლოს, იცავენ შემდეგ რაინდები. მაგრამ ევროპული ლიტერატურისაგან განსხვავებით, გრიგოლ რობაქიძესთან დამცველები რაინდები კი არა, ხელოვნების მუშაკები _ მწერლები, მხატვრები არიან, ის ადამიანები, რომლებიც ერის სულზე ზრუნავენ და ამ სულიერი ხატის შექმნას ცდილობენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, შალვა დადიანი... იმდროინდელი ხელოვნების მოღვაწენი. თვითონ გრიგოლ რობაქიძე მთავარი მოქმედი პირის ლევან ორბელის პროტოტიპია.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ როდესაც მას, სიცოცხლის ბოლო წლებში, ახალგაზრდა ქალი გიტა ფონ შტრახვიტცი შეუყვარდა, ერთ-ერთ წერილში სწერს, მე ვერსად ვიპოვე ჩვენი სიყვარულის დარი გრძნობის აღწერა, ალბათ, ეს ჰგავს ნორინასა და ლევან ორბელის სიყვარულსო.

ნორინა და ლევან ორბელი რომანის პერსონაჟები არიან. გრიგოლი განსაკუთრებით მიუთითებს იმ თავზე, სადაც აღწერილია ნორინასა და ლევან ორბელის ტყეში გასეირნება. ეს სურათი წარმოუდგენია მას იმ სიყვარულის ხატად, რომელსაც სიცოცხლის ბოლოს ეზიარა.

რაც შეეხება «ავალონ კარდუელის» განმარტებას, ეს კარგად ჩანს თავად გრიგოლ რობაქიძის ბარათებიდან, რომლებიც მან 1952 წლის 15 დეკემბერს ორ მეგობარს _ ნინო სალიასა და არმინ ზიგრიტს _ ერთდროულად, გაუგზავნა. ჩემთვის სახელი «Aვალლონ ჩარდწელლ» ავირჩიე. მას აქვს ჩემთვის განსაკუთრებული აზრი. «ავალონ» არის მითოსურად გააზრებული «თეთრი კუნძული» ჩრდილოურ-ატლანტური ტრადიციისა, საიდანაც გამომდინარეობს ჩემი სულიერი არსება. ჩარდწელლ ასევე ჟღერს, როგორც «ქართველი»...

ნინო სალიას იმასაც სწერს, მე სოფელ სვირში ვარ დაბადებული, სვირი კი ძველ ქართულად «მცველს» ნიშნავსო. თავად გრაალის მცველად მიმაჩნია თავი და ავალონიც ამიტომ მიტაცებდაო. ავალონი ხომ წმინდა გრაალის ლეგენდას უკავშირდება. ლექსიკონებში ვარაუდია: «ავალონ» ან ირლანდიური აბალ-დან ან ვალიური აფალ-იდან წარმოსდგება. აბალ-იც და აფალ-იც «ვაშლს» ნიშნავს. კელტურ-ბრიტანულ მითოლოგიაში ავალონი შორეულ დასავლეთში მდებარეობს და «ნეტართა კუნძულია». ამ კუნძულზე შუშის კოშკები და დარბაზებია. ხეები ჯადოსნურ ვაშლებს ისხამენ, რომელნიც ადამიანს უკვდავებას ანიჭებენ. ვაშლებს კუნძულზე მოსახლე უტურფესი ქალები არიგებენ. გადმოცემის თანახმად, კამლანთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ბრიტების ლეგენდარული მეფე არტური ამ კუნძულზე მიიყვანა ფერია გორგანამ _ ის მეფე არტური, რომლის მრგვალი მაგიდის გარშემო თავს იყრიდნენ წმინდა გრაალის რაინდები.

ჩანს, გრაალის ლეგენდის საკუთარი, ქართული ვარიანტის შექმნასთან ერთად, მას თავად უნდოდა, ყოფილიყო გრაალის რაინდი. ზოგიერთ პირად ბარათს ასეც აწერია, _ ავალონ _ გრიგოლ რობაქიძე, ანდა ავალონ ორბელი.

შეკითხვა – თქვენ აღნიშნეთ, რომ გრიგოლ რობაქიძე ქართულ წარმართულ და ქრისტიანულ სამყაროს ერთ მთლიანობაში წარმოიდგენს და მათ შორის წინააღმდეგობას ვერ ხედავს...

ა. ბ. – მისი აზრით, წარმართობა საქართველოში ბუნებრივად გადავიდა ქრისტიანობაში და მათ შორის, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ ყოფილა შინაგანი ბრძოლა. ამის ყველაზე საუკეთესო გამოხატულებად თვლის ნინოს ჯვარს, რომელიც ვაზისა და ქალის თმებით შეკრულია. მისი აზრით, ვაზი და ქალის თმები წარმართული იდეისაგან მოდოს და ეს წარმართული იდეა, უკვე ამ სიმბოლოში გადატეხილი, გამოხატავს იმ ერთიანობას, რომელიც, მისი აზრით, არსებობს ქართულ წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. ქართული წარმართობიდან ამოიზარდა ქრისტიანობა, ქრისტიანობა მისი ბუნებრივი გაგრძელებაა, უკვე ახალ მსოფლმხედველობრივ ასპექტში გადატეხილი. ესეც ერთი ძირითადი იდეაა მისი შემოქმედების, სწორედ ამიტომ წარმოუდგენია საქართველო სარწმუნოებასთან მთლიანობაში, სწორედ აქ არის დაბრუნების იდეის რობაქიძისეული ვარიანტიც.

იგი ინდური რელიგიის მსგავსად კი არ ამბობს ადამიანის ხელმეორედ მოსვლაზე, მისი აზრით, განმეორდება ის სულიერი თვისებები და ღირებულებები, რომელთაც პიროვნება, ან, თუ გნებავთ, მთელი ერი ატარებს. ეს მას, ალბათ, იმდენად სჭირდება, რამდენადაც მიაჩნია, რომ თავის ეპოქაში ამ თვისებების ერთგვარი დაკნინება-დაქვეითება მოხდა და საჭიროა მისი განახლება -აღორძინება, დაბრუნება. ასეთი ფრაზაც აქვს ერთ-ერთ ადრინდელ რუსულად დაწერილ წერილში «ქართული მოდერნიზმი»_ ქართველი ქალი გამეშჩანებული ამორძალიაო, ე.ი. ბუნებით ამორძალია, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი მეშჩანად გადაიქცა. სწორედ ეს ამორძალური ელემენტი უნდა გაცოცხლდეს და განახლდეს ქართველ ქალში და ამით დაბრუნდეს მისი საუკეთესო ძალა, თვისებები, შეუპოვრობა, რომელიც თავიდანვე ჩვენს ბუნებაში იყო... ამიტომ დაინტერესდა მედეას მითით, საერთოთ, ამორძალების მითით, რაც ასახული აქვს რომანში «მეგი». აქაც და «გველის პერანგშიც» იგი დაეძებს საუკეთესო თვისებებს, რომლებიც ოდესღაც, ტრადიციულად, არსებობდა ქართველში და ცდილობს, ისინი განმეორდეს ახალ დროში.

შეკითხვა – მაინც რამ განაპირობა ლენინით, სტალინით, ჰიტლერით და მუსოლინით გრიგოლ რობაქიძის დაინტერესება. ამის გამო მას ხომ უსიამოვნებაც შეემთხვა, სიცოცხლის ბოლოს ნაწარმოებებსაც აღარ უბეჭდავდნენ.

ა. ბ. – ლენინი, სტალინი, მუსოლინი, ჰიტლერი _ მნიშვნელობა არა აქვს, მათ მიმართ უარყოფითი თუ დადებითი დამოკიდებულება გვაქვს, ერთ რამეს ვერსად გაექცევი _ ისინი ძლიერი ადამიანები არიან. სხვა საკითხია, რისთვის გამოიყენეს ეს სიძლიერე.

50-იან წლებში გრიგოლ რობაქიძეს მოუხდა განმარტებების დაწერა, თუ რატომ შექმნა ესეები ჰიტლერსა და მუსოლინზე, რადგან, ამის გამო, მან ძალზე დიდი დევნა განიცადა, აღარ უბეჭდავდნენ აღარც ძველ და აღარც ახალ ნაშრომებს. ამ ახსნა-განმარტებაში იგი იმოწმებს ჩერჩილის ნათქვამს: თუ ოდესმე ჩემი ხალხი დამარცხდება და ის იძულებული იქნება გადაიტანოს დამარცხების სიმწარე, მე ვისურვებდი, მას ისეთი მეთაური გამოსჩენოდეს, როგორიც ჰიტლერია, რადგან ჰიტლერმა შეძლო გერმანელი ხალხის ფეხზე დაყენება და დამარცხების სიმწვავის მოცილება. გერმანელებმა ისევე იგრძნეს თავი იმ ძალად და ხალხად, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ ყველაფერი, რასაც მოისურვებენო.

ეს იდეა ჰიტლერმა შთაუნერგა თავის ხალხს, ასეთი ადამიანის არსებობა მოსაწონადაც მიაჩნდა ჰიტლერის დაუძინებელ მტერს. ამ აზრს იყენებს გრიგოლ რობაქიძე და ასე ხატავს ჰიტლერსაც და მუსოლინსაც.

გრიგოლ რობაქიძის წიგნებს, ბუნებრივია, იყენებდნენ გარკვეული პროპაგანდის მიზნით (ცხადია, ასეთ წიგნებს ყველა პოლიტიკოსი გამოიყენებს), მაგრამ თვითონ ძიება მაინც სხვა ხასიათისა და შინაარსისა იყო. ეს არის სწორედ იმ ძლიერ ადამიანებზე

ფიქრი, ოცნება, ნოსტალგია, მას რომ აწუხებდა. ერთი რამ მან ძალინა ზუსტად დაინახა _ XX საუკუნის უზარმაზარი მოვლენების მიუხედავად, ადამიანის ღირსება დაკნინდა და დაქვეითდა, აღარ აქვს ის ძალა და ღონე, რომელიც, ჩვეულებრივ, კლასიკური ლიტერატურიდან და მითოლოგიიდან ვიცით, ასეთი ადამიანების გამოჩენა კი ბუნებრივად იწვევდა მისი მაძიებელი გონების გატაცებას, რადგან ხედავდა, რომ რაღაცნაირად აღორძინდა ის ძველი, უდრეკი თვისებები, რომლებიც ხიბლავდა და, ამიტომ, ამ ოთხივე პიროვნებით დაინტერესებაც ბუნებრივია.

მათ მიმართ დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება გვექნება, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ერთი რამ უდავოა, XX საუკუნის ისტორიის შემქმნელია ოთხივე _ ლენინიც, სტალინიც, ჰიტლერიც და მუსოლინიც...

აქ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: ჩვენს ცხოვრებაში ცალკე ფაშიზმი და ცალკე ნაციზმი, აქედან _ ცალკე ჰიტლერი და ცალკე მუსოლინი იმ კომუნისტური პროპაგანდის მიხედვით არსებობს, რაც ყველას გაგვივლია. ჯერჯერობით, მოვლენების გადაფასება ჩვენში, ისევე, როგორც ბოლშევიკური რევოლუციისა, არ მომხდარა. გადაფასებაში ვგულისხმობ არა ვისსამე უშვერ ძაგებას, არამედ მოვლენების მეცნიერულ გაანალიზებას, როცა ყველას თავისი ადგილი დაეთმობა. ამ კუთხით, გრიგოლ რობაქიძის ნაშრომები, ვფიქრობ, ძალზე საინტერესოა და მაინცადამაინც დიდი საბოდიშო მას არაფერი აქვს, არც სხვებს, რომლებიც ცდილობენ მის გამართლებას. მას გასამართლებელი არაფერი აქვს. ეს ჩვეულებრივი შემოქმედებითი პროცესია, როდესაც მწერალს აინტერესებს ძლიერი პიროვნება, ვისაც ისტორიის მართვა შეუძლია.

შეკითხვა – გრიგოლ რობაქიძის ზოგიერთი ნაწარმოები ჩვენთვის, ჯერჯერობით, უცნობია. ისინი თავის ბარათებში ჰქონდა დასახელებული.

ა. ბ. – მათ ზუსტ რაოდენობას ვერ გეტყვით, მაგრამ თვითონ წერილებში რამდენიმეს ასახელებს. ომის შემდეგ, როცა დაიწყო მისი არზებითი იზოლაცია, არაფერს უბეჭდავდნენ და ხშირად მიმართავდა სხვადასხვა გამომცემლობას, კერძო პირებს, დახმარებოდნენ წიგნის გამოცემაში.

ამ წერილებს აგზავნიდა გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში _ მთელს ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთ-ერთი მისი წერილიდან ვგებულობთ, რომ ამერიკაში შეპირებიან წიგნების გამოცემას. იქვე ფურცელზე ჩამოუწერია ანგარიში _ რა დაუჯდებოდა ინგლისურად ამ წიგნების თარგმნა. 600 დოლარი გამოსულა, რაც მისთვის ძნელად მისაწვდომი ყოფილა.

ხოლო ჩვენამდე არ მოღწეული წიგნებიდან არის წიგნი ფრიდრიხ ნიცშეზე. გრიგოლ რობაქიძე ამბობს, რომ ის ბუნდოვანი, რაც ნიცშეს ფილოსოფიაში არსებობს და რომლის ამოცნობაც ვერავინ მოახერხა, მან ამოიცნო და ჩამოაყალიბა ამ წიგნში.

წერილებში დასახელებული მეორე წიგნი ეგვიპტური მოთოლოგიის საიდუმლოს ეხება და «ნესოს პერანგი» ჰქვია, მესამე წიგნს _ «იზისის ჭა, ანუ იზისოს წყარო». ესეც, ჩანს, ეგვიპტური და ბერძნული მითოლოგიების საიდუმლოზეა. ამათ გარდა, გრიგოლი წერილებში ასახელებს კიდევ ერთ წიგნს, რომელსაც ჰქვია «ისრაელი, როგორც საიდუმლო და ბედისწერა». აქ უნდა იყოს საუბარი მოსე წინასწარმეტყველზე.

ჯერჯერობით, მის პირად წერილებში მხოლოდ ეს ოთხი წიგნია მოხსენიებული. გამორიცხული არ არის, რომ იმ არქივში, რომელიც შვეიცარიაშია და, ჯერჯერობით, მისი ჩამოტანა ვერ მოხერხდა, სხვა ნაწარმოებიც იყოს. იმის მიუხედავად, რომ რთულ ვითარებაში უწევდა ცხოვრება და არ ჰქონდა ნაწარმოებების დაბეჭდვის იმედი, ძალზე აქტიურად მუშაობდა და ბევრს წერდა.

შეკითხვა – ბატონო აკაკი, კონკრეტულად, რომელ დოკუმენტურ წყაროებს ეყრდნობით წიგნზე მუშაობისას?

ა. ბ. – ძირითადი დოკუმენტები შეაგროვა ავთანდილ ჩხიკვიშვილმა, გურამ შარაძემაც ჩამოიტანა გარკვეული ნაწილი. მასალები შეაგროვა, აგრეთვე ლაშა ბაქრაძემ. ესენია ცალკეული დოკუმენტური წერილები, სხვათა რეკომენდაციები, წერილები და შეხედულებანი მასზე.

ამ წერილების მიხევით, საინტერესოა ცნობა ერთი პიროვნების შესახებ, ვინც 1945 წლის აპრილში რობაქიძე ბერლინიდან გამოიყვანა და შვეიცარიაში წაიყვანა. მაგრამ მისი ვინაობა, ჯერჯერობით, ვერ დავადგინეთ. გრიგოლი ხშირად მოიხსენიებს თავის წერილებში იმ ვიღაც ქართველს. ბუნებრივია, იმ ვითარებაში ეს კაცი მაღალი ნდობით სარგებლობდა პოლიტიკურ წრეებში და გერმანელი ხელისუფლებისათვის ნდობით აღჭურვილი პირი იყო, თორემ, ალყაშემორტყმული ბერლინიდან საშინელი ხოცვა-ჟლეტის დროს გამოიყვანო ადამიანი, გაატარო მთელი გერმანია, შვეიცარიაში ჩაიყვანო და არავინ გაგაჩეროს, წარმოუდგენელია. სამწუხაროდ, ეს პიროვნება ჩვენთვის ჯერ ცნობილი არ არის.

შეკითხვა – ხომ ვერ გვეტყვით, რომელი იქნება შემდეგი წიგნი?

ა. ბ. – მინდა განვაგრძო «მწერლობის მოთვინიერების» თემა. პირველ წიგნში ვწერდი მწერლებზე ხელისუფლებისა და ცენზურის ზეგავლენის შესახებ. თუ როგორ ზღუდავდნენ, ებრძოდნენ მწერლობას. მეორე წიგნში ვაპირებ, გადმოვცე შემდეგი: მიუხედავად შეზღუდვებისა და ზეწოლისა, მაინც როგორ მოახერხა მწერლობამ არსებობა და მარადიული ღირებულებების შექმნა. ვთქვათ, გამსახურდია «ბელადსაც» წერს და სხვა რაღაცეებსაც. ასევე, გიორგი ლეონიძე, «ბავშვობა და ყრმობასთან» ერთად, სხვა ნაწარმოებებსაც ქმნის. პარალელურად ხდება ხარკის გადახდაც და, ამავე დროს, თავისუფალი შემოქმედებაც იბადება. მაგალითად, გრიგოლ რობაქიძეს დაწერილი აქვს ნარკვევები, რომლებიც ერთგვარი ხარკის გაღებაა, მაგრამ ამასთან ერთად ცდილობს ყურადღება ისეთ პრობლემებსაც მიაქციოს და აჩვენოს, რაც ამ ხარკში არ შედის .

ამ წიგნში ვაჩვენებ, როგორ ცდილობს მწერლობა, თავიდან აიცილოს ხელისუფლების ძალდატანება, უღელი, ცენზურის გავლენა და მაინც თავისი გზით იაროს. ამას, მეორენაირად, გადარჩენაც ჰქვია.

ესაუბრა თამარ შაიშმელაშვილი
გაზ. «თბილისი», 1997 წ.

როგორი იქნება 2010 წლის საქართველო?

მედე გეგეშიძე – ბატონო აკაკი, მოვედი რომ ვილაპარაკოთ მომავალზე ე.ი. მომავალზე, რომელიც შემოფარგლული გვაქვს 2010 წლამდე. რა იქნება? თქვენ შეიძლება 2010 წლის შემდეგაც მოინდომოთ რაღაცის წინასწარმეტყველება, მაგრამ ამაზე არ გვექნება საუბარი...

...ვილაპარაკოთ რაზე? საზოგადოების მშენებლობაზე, ხალხის განწყობილებაზე, სულიერების სფეროზე თუ საერთოდ ყველაფერზე...

აკაკი ბაქრაძე – ლაპარაკი შეიძლება ყველაფერზე, იმიტომ რომ ყველა საკითხი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ცალკე შეიძლება ვერც კი გამოვყოთ ესა თუ ის

საკითხი. ამიტომ ლაპარაკი შეიძლება უფრო ზოგადი და საერთო გამოვიდეს, ვიდრე დაკონკრეტებული. ახლა თუ ვილაპარაკებთ იმაზე, რა გველის 2010 წლამდე, დაახლოებით 10 წლის მანძილზე – ეს ძალიან მცირე დროა და რაიმე, არსებითად, უკეთესობისაკენ არ შეიცვლება. მით უფრო, რომ ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქვს უკეთესისაკენ შევცვალოთ არსებული ვითარება.

მ.გ. – ჩვენ, ვის ჩვენ?

ა.ბ. – ყველას, ხალხსაც და ხელისუფლებასაც. ის, რომ ხალხი წუწუნებს, ის, რომ ხალხი წამდაუწუმ ჩივის – ეს არ ნიშნავს, რომ მას რაიმეს შეცვლა უნდა. იმას, ვისაც რაიმეს შეცვლა უნდა (იქნება ეს ცალკეული ინდივიდი თუ მთელი ხალხი), ძალიან დიდი აქტივობა სჭირდება და საკუთარი მეს გამოვლენა. ხალხმა თავისი მე უნდა გამოავლინოს. თავისი მოთხოვნა უნდა გამოავლინოს. უფრო მეტიც, ხალხმა შეიძლება უბრძანოს კიდეც ხელისუფლებას, რომ ეს ასე უნდა გაკეთდეს და მოითხოვოს მისი შესრულება. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ჩვენი ხალხი მეტისმეტად პასიურია, რაღაცის მოლოდინშია და ფიქრობს, რომ ამას ვიღაც სხვა გააკეთებს მის მაგიერ.

მ.გ. – რა ფორმით უნდა გამოავლინოს, ბატონო აკაკი?

ა.ბ. – ყოველგვარი ფორმით. მე, მაგალითად, იმის მომხრე ვარ, რომ, თუ საჭიროა, ხალხმა იარაღსაც მოკიდოს ხელი. გარდა ამისა, არსებობს მოთხოვნა პრესის საშუალებით, არსებობს გაფიცვები, დემონსტაციები, მიტინგები... ათასგვარი ფორმა არსებობს პროტესტისა, თუ ხალხი უკმაყოფილოა ყველაფერი იმით, რაც არის.

მ.გ. – მაგრამ როცა იყო ასეთი პროტესტი და იარაღის ჟღარუნი, რა მოგვცა ამან?

ა.ბ. – ამან არაფერი მოგვცა, იმიტომ რომ არ გავაგრძელეთ უკეთესისათვის ბრძოლა. იარაღის ჟღარუნი იმას არ ნიშნავს, რომ დღეს ვიღაც ჩამოვაგდოთ ან წავართვათ ხელისუფლება და მერე გულზე ხელი დავიკრიფოთ. ველოდოთ, ახალი ხელისუფლება როდის გაასწორებს საქმეს. ეს არაფერს ნიშნავს. აზრი მაშინ ექნებოდა გადატრიალებას, რომელიც საქართველოში მოხდა, თუ ხალხი შეძლებდა უკეთესი ხელისუფლების მოყვანას, არჩევას და დავალების მიცემას. ხალხი აძლევს ხელისუფლებას დავალებას. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს არ ხდება. ჩვენთან ხალხი უაღრესად პასიურია და სულ იმის მოლოდინშია, ვიღაც «მამა" მოვა, მოუვლის, უპატრონებს, კალთაში ატარებს და ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი კარგად იქნება. ის ქვეყანა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ და გვინდა ვიცხოვროთ, ყველა ჩვენთაგანმა უნდა ააშენოს, ცალ-ცალკე და ერთად. სხვაგვარად არ გამოვა ის საქმე, რასაც ამა თუ იმ სახელმწიფოს კეთილმოწყობა, კეთილდღეობა და მაღალი დონე ჰქვია არსებობისა – კულტურული თვალსაზრისით იქნება ეს, ეკონომიკური თვალსაზრისით, სოციალური თუ რომელიც გნებავთ. ამას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მ.გ. – თქვენ ბრძანეთ, ხალხმა უნდა უბრძანოსო. ყოველ შემთხვევაში, აგრძნობინოს, გააგებინოს მთავრობას – რა უჭირს, რა ულხინს და როგორ უნდა წარიმართოს ცხოვრება. აქტიური უნდა იყოს ხალხი. აქედან გამომდინარე, როგორი არის პასუხისმგებლობის საკითხი – ხალხი აგებს პასუხს სახელმწიფოს წინაშე, თუ სახელმწიფო – ხალხის წინაშე?

ა.ბ. – მე არ ვაცალკევებ ერთმანეთისაგან ხალხსა და სახელმწიფოს. სახელმწიფო ხალხია. სხვა სახელმწიფო არ არსებობს. სახელმწიფო ხალხია და როდესაც ამ სახელმწიფოში ყველაფერი არეულია და ქაოსით არის მოცული, ეს იმ ხალხის ბრალია, ვინც ამ სახელმწიფოში ცხოვრობს.

მ.გ. – მარტო ხალხის ბრალია? ხელმძღვანელობის? მთავრობის?..

ა.ბ. – ხელმძღვანელობის არჩევა ხალხზეა დამოკიდებული. ხალხი მოვალეა ის ხელმძღვანელობა აირჩიოს, რომელიც საქმეს გააკეთებს. არ უნდა ძალიან დიდი

ნიჭიერება იმას, რომ შეამჩნიო – ის ხალხი, ვინც დღეს საქართველოს ხელისუფლებაშია, არაფრის გამკეთებელია. ამას არ უნდა დიდი ჭკუა, დიდი განათლება, დიდი ცოდნა. თავისთავად ყველას სახეზე აწერია, რომ ამ ხალხს ქვეყნის პატრონობა არ შეუძლია, ხელმძღვანელობა არ შეუძლია. არც ერთ მინისტრს, არც ერთ პარლამენტარს, არც თვითონ პრეზიდენტს დღევანდელი საქართველოს ხელმძღვანებლობა, საქართველოს ფეხზე დაყენება არ შეუძლია. ეს ყველას სახეზე აწერია. და ამას ხალხი ითმენს. მეტსაც გეტყვით, ჩვენ ვიქნებით უახლოეს დღეებში ახალი არჩევნების მომსწრენი და აირჩევენ სწორედ ისევ ამ ხალხს. იქ თითო-ოროლა კაცი თუ შეიცვლება, თორემ ყველა სხვა დანარჩენი იგივე იქნება. აქ უკვე, ხალხის გარდა, სხვა არავინაა დამნაშავე.

მ.გ. – მაპატიეთ, ბატონო აკაკი, თქვენ როგორ ფიქრობთ, შეცდა ის ხალხი, რომელმაც თქვენ არ აგირჩიათ პრეზიდენტად? თუ არ შეცდა?

ა.ბ. – მაგაზე მე პასუხს ვერ გეტყვით, იმიტომ რომ ეს იმის საქმეა, ვინც არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. მაგრამ ამაზე არ არის საქმე, მე ამირჩევენ თუ სხვას აირჩევენ. აირჩიონ უნდა ის კაცი, ვინც იცის – რა ქვეყანას აშენებს. შეიძლება ვერ ააშენოს ეს ქვეყანა, მაგრამ ცოდნით ხომ უნდა იცოდეს ეს? სურვილი ამისა მაინც უნდა ჰქონდეს და წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს, რა უნდა მას. არც ერთ ადამიანს, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, სულერთია რა პოსტი უჭირავს, პრეზიდენტის პოსტი უჭირავს თუ სახელმწიფო მინისტრისა, პარლამენტარის პოსტი უჭირავს თუ რომელიმე სხვა, თუ გნებავთ, გამგებლის თუ გუბერნატორისა, არც ერთ მათგანს არ უთქვამს (არსად ეს არ წერია, ერთ სტრიქონსაც კი ვერსად ნახავთ) – რას აშენებენ, როგორ აშენებენ და რა უნდათ. შეიძლება ის ხალხი აირჩიო, ვინც ვერ გეტყვის, რას აკეთებს? შეიძლება მისცეთ შეკვეთა დურგალს, რომელმაც არ იცის მაგიდის გაკეთება? და ჩვენ ვაძლევთ შეკვეთას ადამიანებს, ვირჩევთ ადამიანებს, რომლებმაც არაფერი თავის საქმეში არ იციან. არაფერს ნიშნავს, რომ ზოგიერთს ლაპარაკი შეუძლია, რაღაც დაპირებების მოცემა შეუძლია. მთავარია ის შინაგანი ძალა, ის შინაგანი სურვილი, ის შინაგანი თავგანწირვა, რომელიც თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს.

საქართველოს სახელმწიფო დღემდე არ არსებობდა. საქართველო იყო კოლონიური ქვეყანა. დიდი, უზარმაზარი იმპერიის ნაწილი და მას ამ იმპერიის მმართველები მართავდნენ. ქართველობა ამ დროს მეტისმეტად პასიური იყო, რადგან რა დირექტივაც მოვიდოდა იმპერიის ცენტრიდან, ის უნდა შეესრულებინა. მეტნაკლებად, კარგად თუ ავად ამას აკეთებდა. ახლა ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი სახელმწიფოს ამშენებელი. ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ შემოქმედნი; ამიტომ დღეს ყოველი თანამდებობის პირი, ვინც საქართველოში ამ თუ იმ პოსტზე ზის, უნდა იყოს შემოქმედი. ჩინოვნიკი შემოქმედი არ არის. შემოქმედი ის არის, ვინც ახალს ქმნის, აშენებს ახალს და ცდილობს, რომ ყველაფერი ის, რაც იყო და რაც უვარგისია თანდათანობით გადაყაროს და დაამკვიდროს, ააშენოს ის, რაც კარგია. ეს მხოლოდ შემოქმედს შეუძლია. ასეთი პიროვნება დღევანდელ ხელისუფლებაში, კიდევ ვიმეორებ გლახა ჭრიაშვილივით, არ არის. და მეტიც, ის ხალხი, ვინც ადრე, სანამ საბჭოთა ხელისუფლება დაემხობოდა, გვესაუბრებოდა იმაზე (მათ შორის შეიძლება მეც ჩამთვალოთ) – რა არის უვარგისი. შეიძლება ანალიზი სწორი იყო, მაგრამ ჩვენ არ გვითქვამს ჩვენი ხალხისათვის, რა არის კარგი და როგორ უნდა ავაშენოთ ის.

მ.გ. – არც ახლა გვეუბნებიან ამას?

ა.ბ. – არც ახლა გეუბნებით! ჩვენთან რა არის ახლა? აიღეთ ჩვენი პრესა. უამრავი გაზეთებია საქართველოში. მგონი, რამდენი მოქალაქეცაა საქართველოში, იმდენი გაზეთია. არის რადიო, ტელევიზია (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო) და თითქოს მასმედია ძალიან ფართოდ არის წარმოდგენილი დღეს საქართველოში. მაგრამ

დამისახელეთ ერთი გაზეთი, ერთი რადიოგადაცემა, ერთი ტელეგადაცემა, სადაც ხალხს ეუბნებიან იმას, რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა გააკეთოს და როგორი სახელმწიფოა მათთვის სასურველი. არსად არ არის ეს. ჩვენთან არის ერთმანეთის ლანძღვა-გინება, ერთმანეთის თათხვა, ერთმანეთის კრიტიკა. ჩვენთან არის ლაპარაკი იმაზე, რომ ეს უვარგისია, მაგრამ უვარგისზეა ლაპარაკი იმის შემდეგ, რაც ურემი გადაბრუნდება. როცა ურემი მიდის, მაშინ არავინ ამბობს – აი, ამ გზაზე ურემი ვერ გაივლის. როცა გადავარდება უფსკრულში, მერე ვამბობთ, რომ ურემი გადავარდა უფსკრულში. თურმე ეს მეურმის ბრალი ყოფილა. მაგრამ არ არის მარტო მეურმის ბრალი, სხვაც ხომ ხედავდა, რომ ურემი არასწორად მიდიოდა. გააჩერე ეს მეურმე და უთხარი: სად მიდიხარ, უფსკრულში გადავარდები. მაგრამ არა? ყველა უყურებს, საით წავა ეს ურემი, სანამ არ გადავარდება უფსკრულში მანამდე. ამიტომ მდგომარეობა არ იცვლება და უკეთესობისაკენ არ მიდის.

მ.გ. – ბატონო აკაკი, ახლა თქვენც უყურებთ იმ ურემს, რომელიც უფსკრულში გადავარდნას აპირებს... და თქვენ ამბობთ, რომ ადამიანები თავად არიან თავისი ბედის შემოქმედნი და თავისი სახელმწიფოსიც... თქვენ გამოჩენილი ადამიანი ბრძანდებით და სწორედ თქვენ ყველაზე პირველი, ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც მიუთითებდით, - რა არ ვარგა, რა არ შეიძლება. აი, ბრძანეთ ახვა, დღეს რა უნდა გავაკეთოთ. ჯერ კიდევ ათი წელი დიდი დროა და ვნახოთ...

ა.ბ. – ათი წელი დიდი დროა თითქოს, მაგრამ არც ისე დიდი, რომ ძირეული ცვლილება მოხდეს. მაგრამ უპირველესი, რაც უნდა გაკეთდეს ახლანდელ ვითარებაში, გახლავთ ის, რომ შეიცვალოს არსებული ხელისუფლება კანონიერი გზით, არჩევნების გზით. მით უმეტეს, რომ ამის უფლება და საშუალება გვაქვს. არჩევნები იქნება წელსაც და არჩევნები იქნება მომავალ წელსაც როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის. ხელისუფლება უნდა შეიცვალოს ყველა მის რგოლში. მაგრამ ხელისუფლება რომ შეიცვალოს ყველა მის რგოლში, ჯერ უნდა მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ის წრე, რომელიც პასუხისმგებლობას იკისრებს ქვეყნის ბედზე. ვერც ერთი დღევანდელი პარტია, ვერც ერთი დღევანდელი პოლიტიკოსი ცალ-ცალკე ვერ შეძლებს საქართველოში ვითარების შეცვლას. ყველა პარტიამ იმ პერიოდის მანძილზე, რაც 1990 წლიდან დღემდე გავიარეთ, დაახლოებით 9 წლის მანძილზე, დაამტკიცა, რომ ისინი არც პოლიტიკოსები არიან და ვერც ქვეყნის ბედს ვერ გადაწყვეტენ. ამიტომ უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ყველა არსებული პარტია გაუქმდეს. ამ არსებული პარტიების საფუძველზე და სხვა საფუძველზეც ჩამოყალიბდეს მაქსიმუმ სამი ახალი პარტია, შედარებით იმ უკეთესი ადამიანებისაგან, ვისაც მართლა შეუძლია იფიქროს ქვეყნის ბედზე და რაღაც გააკეთოს ამ მიმართულებით. და ამ სამ პარტიას შორის მოეწყოს არჩევნები. თუ ყველა ის პარტია, რომლებიც დღეს საქართველოში არსებობენ (და ეს უთვალავია), მონაწილეობას მიიღებს ახალ არჩევნებში, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიღებთ უკეთეს პარლამენტს, შეიძლება ბევრად უარესი პარლამენტი მივიღოთ. არც ის კანდიდატები გამოდგებიან პრეზიდენტებად, რომლებიც ახლა დაასახელებენ თავიანთ თავს საპრეზიდენტოდ, რადგან იმათ უკვე დაამტკიცეს, რომ ქვეყნის პატრონობა არ შეუძლიათ, ქვეყნის მეთაურობა მათ არ შეუძლიათ. სხვათა შორის, ეს ძალიან ნათლად დაამტკიცა თვითონ ედუარდ შევარდნაძემაც, რომ ახალი საქართველოს მშენებლობა არ შეუძლია. მას შეიძლება შეეძლო ძალიან ჩინებული ჩინოვნიკი ყოფილიყო კომუნისტურ სახელმწიფოში, მაგრამ შემოქმედი პრეზიდენტი, რომელიც ახალ ქვეყანას ააშენებს და შექმნის, ეს თვისებები მას არ აღმოაჩნდა. მან ძალიან მკაფიოდ დაამტკიცა ეს იმ პერიოდის მანძილზე, რაც ის საქართველოს მეთაურობს. ამიტომ, ჩემი აზრით, ამ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს; პატიოსანი კაცი თუ არის, მონაწილეობა არ

უნდა მიიღოს, რადგან არ გამოდგება ისევე, როგორც სხვა კანდიდატურები (მათ შორის, ჩემი კანდიდატურაც). სულ სხვა თაობა უნდა მოვიდეს, სხვა შემოქმედებითი უნარის პატრონი, რომ ვითარება როგორმე შეიცვალოს საქართველოში.

მ.გ. – ბატონო აკაკი, მე არჩევნებზე უნდა წავიდე და ხმა მივცე. თქვენ არ შეიძლება არ გქონდეთ ნაფიქრი, ვისი კანდიდატურები შეიძლება დასახელდეს. რას მირჩევთ, ვის მივცე ხმა?

ა.ბ. – არავის. ისინი, ვინც დღეს პოლიტიკის ასპარეზზეა და თითქოს რაღაცას წარმოადგენს, იმათ შორის არც ერთს.

მ.გ. – აბა?

ა.ბ. – ახალი ხალხი უნდა მოვიდეს.

მ.გ. – ახალი ხალხი საიდან უნდა მოვიდეს?

ა.ბ. – საზოგადოებიდან. ჩვენ მარტო იმ ხალხის ამარა ვართ, ვინც დღეს ზედაპირზე ტივტივებს და წამდაუწუმ ტელევიზია-რადიოშია! ჩვენთან არის ხალხი, რომლებიც შეიძლება არ ეჩხირება არავის თვალში, წინა პლანზე არ დგას, მაგრამ არის ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომელსაც შეუძლია სრულიად ახალი თვალით შეხედოს დღევანდელ ვითარებას და ის სიახლე მოიტანოს, რაც აუცილებელია. ჩვენ ცარიელ ადგილას ვაშენებთ საქართველოს სახელმწიფოს. ოდესღაც სახელმწიფო რომ გვქონდა, დღეს არაფერს ნიშნავს. დღეს სხვა ვითარებაა, სხვა მსოფლიოა და სხვა გარემო. სხვა ურთიერთდამოკიდებულებაა სახელმწიფოთა შორის, ქვეყნებს შორის, სხვა კულტურაა და სხვა დონეა სრულიად აზროვნებისა. ამიტომ ის, რაც შორეულ წარსულში იყო, დღეს ის მხოლოდ ისტორიისათვის გამოგვადგება და არა დღევანდელობისათვის. ამიტომ ის ხალხი უნდა მოვძებნოთ, ის ახალგაზრდობა უნდა მოვძებნოთ, რომელმაც თანამედროვეობას აუღო ალღო და რომელმაც კარგად იცის – რა ხდება დღევანდელ მსოფლიოში, როგორი იქნება მომავალი მსოფლიო ხვალ, ზეგ და ა.შ. როგორი იქნება მომავალი მსოფლიო, თუ გნებავთ, იმ 2010 წელს, სანამდეც ჩვენ გვინდა ახლა ვისაუბროთ.

მსოფლიო თავის გზით მიდის. ამ გზიდან მას ვერავინ და ვერაფერი გადაახვევინებს. ჩვენც ამ გზას უნდა გავყვეთ. მაგრამ გავყვებით იმ ადამიანების საშუალებით, ვინც ეს იცის და არა იმ ადამიანების საშუალებით, რომლებიც გუშინდელი დღით ცხოვრობენ და ვერ გათავისუფლებულან იმ სტერეოტიპისაგან, რაც მათ აღზრდით, თუ გნებავთ, საქმიანობით ან იმ მდგომარეობით მიიღეს, რომელიც მათ ჰქონდათ. ამისაგან გათავისუფლება იოლი არ არის და სრულიად ახლის დაწყება. ახალი ახალმა უნდა დაიწყოს.

მ.გ. – მართალი ბრძანდებით. ახალი ახალმა უნდა დაიწყოს. მაგრამ, ბატონო აკაკი, ახლა ძალიან ხშირად გამიგია, წამიკითხავს, ვიცი და უცხოელებთანაც ურთიერთობა მქონია, იქ ყოფილა ამაზე ლაპარაკი, ჩვენ ახლა საქართველოში ძალიან გვჭირდება ისეთი ადამიანების მოზიდვა, რომლებიც რაღაცას გაგვიკეთებენ და ააშენებენ. ხომ? ახალგაზრდები ამას ცუდად არ გააკეთებენ, მაგრამ რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა, მგონი, ჩვენზე ნაკლებ არ იცის ის, რასაც ვერ აკეთებს და რაც არ გამოსდის. არ ვიცი, შეიძლება, ვცდები, მაგრამ მაინც მგონია, ისეთ ადამიანებსაც უთქვამთ, არა ისეთს, რომლებიც თქვენ არ მოგწონთ და არც მე მომწონს და რომლებსაც მე ხმას არ მივცემ, რომ ერთადერთი ვარიანტი ამ უცხოური ინვესტიციებისათვის არის ედუარდ შევარდნაძე. თქვენ ძალიან პატიოსანი კაცი ბრძანდებით, ბატონო აკაკი. ამას თქვენი მტრებიც ვერ უარყოფენ. მაგრამ, სხვათა შორის, თქვენ იმათთვის გარანტი ვერ იქნებით თავიანთი კაპიტალის ჩამოტანის დროს და აი, შევარდნაძეს ენდობა მთელი მსოფლიო. მე ახლა ვამბობ იმას, რაც ყველასათვის

ცნობილია და ყველა ამაზე ლაპარაკობს. ერთმა კიდეც დამირეკა, რომ ნუ ამბობთ, ედ. შევარდნაძეს ვერავინ შეცვლისო, როგორც პრეზიდენტსო. მე ამას არ ვამბობ. ედ. შევარდნაძეს ძალიან ბევრი ვინმე შეცვლის. მაგრამ ახლა, ამ პერიოდში იქნებ უმჯობესია ვიფიქროთ, რა არის ჩვენთვის ხელსაყრელი აი, ამ პიროვნებისაგან, პრეზიდენტისაგან.

ა.ბ. – რაც ახლა თქვენ მითხარით, ეს მწარე შეცდომაა. არავინ გვაძლევს ჩვენ ინვესტიციებს იმის გამო, რომ საქართველოში პრეზიდენტად არის ედუარდ შევარდნაძე. არ არის ედუარდ შევარდნაძე არც სომხეთში პრეზიდენტი, არც აზერბაიჯანში, არც ყაზახეთში, არც უზბეკეთში და არც სხვაგან, მაგრამ იმათაც აძლევენ ინვესტიციებს და, სხვათა შორის, უფრო დიდს, ვიდრე საქართველოს. ინვესტიციებს ყოველთვის მოგვცემენ, თუ დაინახავენ, რომ ჩვენ მართლა ვაშენებთ ახალ ქვეყანას და ვიცით, რას ვაშენებთ. სულერთია, სრულიად ახალგაზრდა კაცი, პირტიტველა კაცი რომ იყოს დღეს საქართველოს პრეზიდენტი, თუ იგი დაარწმუნებს როგორც ქართველებს, ისე არაქართველებს, უცხოელებს, რომ კარგად ხედავს თავის ქვეყნის მომავალს და იცის, რაც უნდა აკეთოს, ყველა მისცემს მას ინვესტიციას. იმიტომ რომ არავის უნდა დღეს მსოფლიოში არსებობდეს ჩამორჩენილი, ღატაკი, დაუძლურებული ქვეყანა. ეს ყველას ტვირთად აწევს. კაცობრიობა დღეს აღარ ცხოვრობს დანაწევრებულად. კაცობრიობა, როგორც ერთი მთლიანი ცხოვრობს და როდესაც აფრიკაში, ან აზიაში, ან, თუ გნებავთ, კავკასიაში ვინმეს უჭირს, ეს ევროპაში არის ტკივილის საგანი. ისინი ფიქრობენ იმაზე, რომ იქნებ იქ შეცვალონ მდგომარეობა უკეთესისაკენ და ცდილობენ ამის გაკეთებას. ამიტომ საქართველოშიც ასე მოხდება. ოღონდ უნდა მოხდეს ის, რომ იმათ, ვისაც ჩვენთვის ინვესტიციების მოცემა უნდათ, დაინახონ, რომ ჩვენ შეგვიძლია ქვეყნის პატრონობა, ქვეყნის მართვა და რაღაცის კეთება.

ყველაზე დიდი უბედურება, რაც ამჟამად საქართველოს სჭირს, ის არის, რომ შემოდის უამრავი ფული, შემოდის სესხი, რომელიც ჩვენ ძალიან დიდ ტვირთად დაგვაწვება და რომელიც მომავალში ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გადასახდელი იქნება, ამ სესხით კი საქართველოში რეალურად არაფერი გაკეთებულა. ვთქვათ, ამ 9 წლის მანძილზე, აი, ბატონო, შეხედეთ – რა მშვენიერი რაღაც გავაკეთეთო, ვერ გავაკეთეთ. მაგალითად, ვერ ავაშენეთ ახალი ელექტროსადგური. გაუთავებელი ლაპარაკია ენერგოკრიზისზე და ერთი ახალი ელექტროსადგური ვერ ავაშენეთ. ნუთუ ამდენი ფულით, რაც საქართველოში შემოდის, ერთი ელექტროსადგურის აშენება არ შეიძლებოდა? ვერ ავაშენეთ ერთი ახალი ქარხანა, რომელიც ისეთ პროდუქციას გამოუშვებს, რომლის გაყიდვა შესაძლებელი იქნება უცხოეთის ბაზარზე და კონკურენტუნარიანი იქნება ეს საქონელი.

მ.გ. – აშენება რად გვინდა. რაც აშენებულია, ის ავამუშაოთ იქნებ?

ა.ბ. – რაც აშენებულია, ის იმდენად არის განადგურებული რომ არსებითად თავიდან უნდა აშენება. ჩვენ თვითონ გავძარცვეთ, გავანადგურეთ, აღარაფერი არ დაგვიტოვებია შიგ და არსებითად თავიდანაა ეს ყველაფერი გასაკეთებელი. სოფლის მეურნეობაში ვერაფერი გავაკეთეთ ისეთი, რომ ვიღაცის ყურადღება მიიპყროს და რაღაც ფართო ბაზარი მიეცეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

აი, ახლა, გუშინ ვუსმინე გადაცემას. რაღაც სომხურ-ამერიკული ფირმა არსებობს თურმე, რომელიც ბორჯომს უშვებს და ყიდის აშშ-ში. ჩვენმა ცნობილმა ისტორიკოსმა დევი ბერძენიშვილმა შემთხვევით იყიდა ეს. ნახა, რომ სომხური ფირმის გამოშვებაა. როცა იმასაც ვეღარ ვახერხებთ, რომ ჩვენ თვითონ მაღალხარისხოვანი ბორჯომი გამოვუშვათ და ის უცხოელი არ მოტყუვდეს, მიხვდეს, რომ ეს ფალსიფიცირებულია – ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ უუნარო საზოგადოება, უუნარო ხალხი აღმოვჩნდით და იმ

სიკეთესაც ვერ ვუწევთ მფარველობასა და პატრონობას, რომელიც ღმერთმა გვიბოძა. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენს მიმართ გარკვეული ეჭვიც შეიძლება შეიქმნას უცხოეთში. ალბათ, გვიყურებენ ისე, რომ აქვს კი ამ ხალხს უნარი, რაღაც გააკეთოს, თავისი ქვეყანა ააშენოს?

ამიტომ გაჩნდა იდეა, ეს იდეა იმას კი არ გულისხმობს, რომ მე საქმე ვაკეთო, არამედ იმას, რომ ვეძებო «მამა". ახლა ჩვენ გვინდა, შევარდნაძეს ერქვას «მამა" და ყველაფერზე პასუხისმგებელი შევარდნაძე იყოს. ჩვენ კი არაფერზე. აი, ამ მამამ გვიპატრონოს, გულხელდაკრეფილი ვიყოთ. ახლა შევარდნაძე – მამა არის, ადრე გამსახურდია – მამა იყო, კიდევ ადრე ბერია – მამა იყო, კიდევ უფრო ადრე სტალინი – მამა იყო და ა.შ. სულ «მამას" ვეძებთ. არადა ეს «მამა" ჩვენ არ გვიშველის – ვინც უნდა იყოს ის, რა მასშტაბის პოლიტიკოსიც უნდა იყოს, იმიტომ რომ ხალხი თვითონ შველის თავის თავსა და თავის ქვეყანას. ის ინიციატივა, ის თაოსნობა, რომელიც ხალხს უნდა ჰქონდეს, თუ არ გამოვავლინეთ, კიდევ ვიმეორებ, ვერ გვიშველის ვერავითარი გამოჩენილი პოლიტიკოსი. ის დაბნეული აღმოჩნდება და გულხელდაკრეფილი იქნება თვითონაც იმის გამო, რომ გარშემო პასიურობას დაინახავს; ის ვერ მოახერხებს ვერაფრის გაკეთებას, როცა გარშემო დაინახავს, რომ არავინ ხელს არ ანძრევს, მხოლოდ ყველა რაღაცას ითხოვს, წუწუნებს და ჩივის. თუ ვინმე რაიმეს ფაფხურობს ის აუცილებლად არის ყალთაბანდი, აფერისტი, თაღლითი. ასეთ ვითარებაში ვერ გაკეთდება საქმე. მართალია, მეთაური უნდა იყოს ისეთი კაცი, ვისაც ყველაფრის ამის წარმართვა შეეძლება, მაგრამ იმასაც უნდა ხედავდეს, რომ ვისთანაც ურთიერთობა აქვს – იმ ხალხს, ვისაც ის მეთაურობს, თვითონაც უნდა გამარჯვება, თვითონაც უნდა რაღაც სიახლე. როდესაც გამარჯვება არ უნდა ხალხს და მხოლოდ რაღაცის მოლოდინშია, ისიც (მეთაური) პასიური და უძლური ხდება.

კონსტანტინე გამსახურდიას აქვს «დიდოსტატის მარჯვენაში" ნათქვამი – თუ ხალხს გამარჯვება არ უნდა, ალექსანდრე მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო. ეს მართალია. არის ერთი მშვენიერი ეპიზოდი ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიაში: იგი სპარსელებს ებრძოდა თავისი მცირე რაზმით. წინ გაიჭრა და სპარსელების ალყაში მოექცა. ისეთი სურათი შეიქმნა, იქიდან უკვე ვეღარ დააღწევდა თავს. მაგრამ, როცა მისმა ჯარისკაცებმა დაინახეს, ჩვენი მეფე ალყაში და დიდ გასაჭირშიაო, რაზმი რომ მიასკდა, სულ გადათელა ყველაფერი და გამოიყვანა მეფე. იმათ რომ ეფიქრათ – იქიდან თვითონ გამოვიდესო, ისაა მხედართმთავარი, ისაა ვაჟკაცი, ჩვენ ვიყოთ აგერ და ვუყუროთო, ბუნებრივია, ტყვედ დარჩებოდა. მაგრამ როცა დაინახეს, რომ იმას უჭირდა, რაზმი ზვავივით, ტალღასავით მიასკდა, გადათელეს სუყველა და გამოიხსნეს მაკედონელი. აი, ეს აქტიურობა უნდა იყოს საზოგადოებაში. მაშინ მაკედონელიც კაი ვაჟკაცია და კარგად მეთაურობს ხალხს.

მ.გ. – მაპატიეთ, ახლა ჩემი ეს გულუბრყვილო შეკითხვა, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვბედავ. ვთქვათ, ავირჩიეთ ის პირტიტველა კაცი, რომელიც თქვენ დაგვიხატეთ. მე რატომღაც ვერ ვხედავ ამას პრაქტიკულად, რაღაც მაინც თეორიულად არის ეს კაცი დახატული. თქვენ, როგორც მოქალაქემ, მე თქვენი პატივისმცემელი მეორე მოქალაქე, აი, რა ვქნათ მე და თქვენ, რას გავაკეთებთ მაშინ?

ა.ბ. – ახლა მე და თქვენ, ყველა მოქალაქე მეტად აქტიური უნდა ვიყოთ ჩვენს საქმიანობაში. მე ვარ, ვთქვათ, ამ პროფესიის კაცი, ის არის იმ პროფესიის კაცი და ა.შ. ყველამ ჩვენს პროფესიაში, რამდენადაც შეგვიძლია, მაქსიმალურად უნდა ვაკეთოთ ის, რაც გასაკეთებელია. მაშინ, რა თქმა უნდა, შედარებით უფრო გამოიცვლება უკეთესობისაკენ და რაღაც ნათელიც გამოჩნდება.

ახლა ასეთი რამ ავიღოთ – მიწები დარიგდა, მართალია, დიდი რაოდენობით არა, შეიძლება არასწორადაც დარიგდა, ეს პრივატიზაცია მთლად გამართულად ვერ ჩატარდა, მაგრამ ფაქტი ხომ არის, რომ გლეხებს რაღაც მიწა მიეცათ. მე ვიყავი ახლა დასავლეთ საქართველოშიც და აღმოსავლეთ საქართველოშიც. ვნახე, რომ დიდი უმრავლესობა ამ დარიგებული მიწებისა მიტოვებულია. იქ არაფერი კეთდება. თუ იყო რაიმე გაკეთებული, გაჩანაგებულია – ხეხილი გაჩანაგებულია, სახნავ-სათესი მიტოვებულია. ვკითხე კიდეც – რატომ არ ამუშავებთ, რატომ არის ასე? პასუხი იყო ამგვარი: მე მყოფნის ის, რაც მაქვს და მეტი არ მინდა. ეს ერთი. მეორე პასუხი იყო – რა ვქნათ, არ არის საწვავი, არ არის ტექნიკა, არ არის სასუქები და ა.შ. ამიტომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ვერაფერს. შეიძლება ეს მართალია და აქ არაფერია საეჭვო, მაგრამ ხომ არის რაღაც, რომელიც ყველა ჩვენთაგანში უნდა არსებობდეს, სულერთია – გლეხია, მუშაა თუ ინტელიგენტია... დავუშვათ, მე არა მაქვს საშუალებანი, რომელიც აუცილებელია რომ მქონდეს, მაგრამ ხომ მაქვს მიწა, რომელიც უდიდესი სიმდიდრეა და ამ მიწას ხომ უნდა ვუპატრონო, მე რომ გლეხი ვარ გული ხომ უნდა მტკიოდეს იმის გამო, რომ ჩემი მიწა, რომელიც ჩემი არსებობის წყაროა, უპატრონოდ არის მიტოვებული?! თუნდაც ხელით, თუნდაც ბარით, თუნდაც თოხით, მას არ უნდა ვპატრონობდე?.. მაგალითად, ღარიბი კაცი ვარ და მყავს ავადმყოფი დედა, ან შვილი, ან ვიღაც ახლობელი. არ შემიძლია, რომ ის საუკეთესო საავადმყოფოში დავაწვინო. მაგრამ იმას ხომ ვაკეთებ, რაც შემიძლია. ხომ ვცდილობ, რომ რაღაცით გამოვაჯანმრთელო, რაღაც გავუკეთო ისეთი, რომ შედარებით უკეთესი ვითარება შეექმნას? აი, ეს დამოკიდებულება აღარ არსებობს ჩვენში. სანამ ეს დამოკიდებულება არ გაჩნდება, სასუქიც რომ იყოს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც რომ იყოს, ყველაფერიც რომ იშოვოს იმ კაცმა, ის მაინც არ გაანძრევს ხელს. არ გაანძრევს ხელს იმის გამო, რომ არა აქვს შინაგანი პათოსი, შინაგანი წყურვილი, შინაგანი პასუხისმგებლობა. ის, რომ პატრონია, ეს გრძნობა არა აქვს. რაღაცის უქონლობა არის მხოლოდ მომიზეზება იმისა, რომ თავი იმართლოს. არადა, თავის მართლების პოზიცია ყოველთვის არ გამოდგება.

მ.გ. – ბატონო აკაკი, ეს გულგრილობა მარტო გლეხებს არ ახასიათებს. ეს ახლა ჩვენი საერთო უბედურებაა. ოღონდ ძალიან გთხოვთ, ნუ დააბრალებთ საბჭოთა ხელისუფლებას. რის გამო გახდა ქართველი კაცი გულგრილი საერთო საქმის მიმართ, თავისი კერძო საქმის მიმართაც, რატომ ივიწყებს, რომ ეს მიწაა მისი მარჩენალი?

ა.ბ. – საბჭოთა ხელისუფლებას ამ შემთხვევაში, რაზეც ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ, შეიძლება დაბრალდეს ის, რომ მან (საბჭოთა ხელისუფლებამ) უაღრესად პასიური გახადა ადამიანი. ეს პასიურობა ჯერჯერობით არ გამქრალა, არ გამოსულა ჩვენი სხეულიდან. მაგრამ, როგორც ჩანს, პასიური ჩვენი ხალხი ყოველთვის იყო მანამდეც, სანამ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა და შორეულ ისტორიულადაც.

თუ თვალს გადავავლებთ მე-19 საუკუნეს, დავინახავთ, რომ მე-19 საუკუნეში ქართველობა და ის ხალხი, ვინც კავკასიაში ცხოვრობდა, ან კერძოდ, არაქართველები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ. ქართველობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, რადგან მაინც თავის მიწა-წყალზე ცხოვრობდა. მაგრამ ამ ჩვენს ტერიტორიაზე გაცილებით დიდ წარმატებას მიაღწიეს და დიდი სიმდიდრე მოიხვეჭეს სომხებმა, ვიდრე ქართველებმა. რატომ მოხდა ის, რომ საქართველოში, თუ გნებავთ, თბილისში, მდიდარი სომეხი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ქართველი? ხომ ერთნაირ მდგომარეობაშია ერთიც და მეორეც? არავის უთქვამს, რაკი თქვენ სომხები ხართ, მოგივლით, გიპატრონებთ და აი, თქვენ – ქართველებს არ მოგივლით, არ გიპატრონებთო. მაგრამ ისინი (სომხები) უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. აი, ახლა თქვენ, რამდენი მდიდარი სომხის დასახელება

შეგიძლიათ, თბილისელი სომხის, არსებითად გაქართველებულისა, და რამდენი ქართველი მდიდრისა? რაშია საქმე? აქ ერთი მიზეზი შეიძლება არსებობდეს – პასიურობა. სომეხი გაცილებით უფრო მეტს მუშაობდა და შრომობდა, ვიდრე ჩვენი კაცი.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან, რაკი მაგალითების საშუალებით, ალბათ, უფრო მკაფიოდ წარმოვიდგენთ ყველაფერს. ილია ჭავჭავაძეს ერთხელ ასეთი შემთხვევა ჰქონდა (ამას იაკობ მანსვეტაშვილი ყვება თავის მემუარებში): ილიას ეზოში გლეხმა ღორი შეუშვა. ილიამ ეს გლეხი დაიჭირა და აცემინა. ილია მივიდა გლეხთან და უთხრა – დაიმახსოვრე, იმიტომ კი არ გცემ, რომ ჩემს ეზოში ღორი შემოუშვი. შენი ღორი ჩემს ეზოს ვერაფერს დააკლებს, მაგრამ ამ ღორს შენ მეზობლის ეზოშიც შეუშვებ და იმ ღარიბ კაცს დააქცევ. აი, ამიტომ გცემ. ეს დაიმახსოვრეო.

დააკვირდით ამ სიტყვებს. მაშასადამე, გლეხი ცდილობს არ იშრომოს. სხვის ეზოში შერეკოს თავისი ღორები, იქიდან რაღაც მოიპაროს და ამით აცხოვროს ოჯახი. აი, ამ თვისების წინააღმდეგ იბრძვის ილია ჭავჭავაძე და ამ ავი თვისების გამო სცემს ამ გლეხს. მერე, რა თქმა უნდა, მის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს ეს და წერდნენ, რომ ფეოდალია, მემამულეა, ბატონია და გლეხებს ჩაგრავდაო. მაგრამ ილიას საქციელის არსია მნიშვნელოვანი – შენ არ უნდა იყო უპატიოსნო და არ უნდა ცდილობდე ყალთაბანდური, მდარე და უზნეო ხერხებით თავისი თავის შენახვას. აი, ამაშია საქმე. როგორც ჩანს, ეს ცუდი, მანკიერი თვისება ჩვენ გვქონდა ყოველთვის.

მ.გ. – იქნებ საერთოდ ადამიანს?

ა.ბ. – ვერ ვიტყვით ამას, იმიტომ რომ ძალიან კარგად ვიცით, რა უმძიმეს პირობებში მუშაობს ხალხი და რა უმძიმეს პირობებში აშენებენ საუკეთესო ქვეყანას. მაშასადამე, ეს საერთო ადამიანური თვისება არაა.

მ.გ. – ბატონო აკაკი, ჩვენ არ დაგვიკარგავს იმედი, ჩვენც ავაშენებთ.

ა.ბ. – არა. იმედი არ დაგვიკარგავს. სწორედ იმისათვის, რომ იმედი გვქონდეს, ის მანკიერი თვისებანი, რომლებიც ჩვენ გვაქვს, უნდა მოვიცილოთ. როდესაც მე მანკიერებაზე ვლაპარაკობ, იმიტომ კი არა, რომ ვიღაცას გული მინდა გავუტეხო და იმედი დავუკარგო, არამედ იმიტომ, რომ მანკიერება მოვიცილოთ.

როგორ შეიძლება, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჰოლანდია, რომელიც გაცილებით უარეს კლიმატურ პირობებში ცხოვრობს, ვიდრე ქართველები და საქართველოა, ყვავილებით ირჩენდეს თავს, საუკეთესო ყვავილნარი ჰქონდეს მოშენებული და საქართველოში ჰოლანდიურ ყვავილებს ჰყიდიდნენ? – ეს დავუშვათ? შეიძლება, რომ მსოფლიოში ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი ქვეყანა ნორვეგია იყოს, რომელიც არსებითად ყინულშია და საქართველო შიმშილით კვდებოდეს? ეს ხომ შრომაზეა დამოკიდებული. როგორ დავიჯერო, რომ ნორვეგიაში ყველა გენიალური პოლიტიკოსია და მათი წყალობაა, რომ ასე მშვენივრადაა ეს ქვეყანა აწყობილი? ეს ქვეყანა იმიტომ არის ასე კარგად მოწყობილი, რომ იქ ხალხია მშრომელი. ის ხალხი ცდილობს, იმ მცირე მონაცემებითაც კი, რომელიც მათ ბუნებამ მისცა, მაქსიმუმი მიიღონ და მაქსიმალურად გამოიყენონ ის. ამაზეა ლაპარაკი.

სხვათა შორის, დღევანდელ მსოფლიოში პატარა ქვეყნები ბევრად უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე დიდი ქვეყნები. დანია თავისი კეთილმოწყობით და თავისი სიმდიდრითა და დოვლათით პირველ ადგილას არის იმ სიაში, სადაც აშშ მეთოთხმეტეა. რატომ? იმიტომ რომ ის პატარა ქვეყანაა. მას იმოდენა სამხედრო ხარჯები არა აქვს, იმოდენა ვალი არ ადევს მთელი მსოფლიოს წინაშე, იმოდენა ტვირთი არ აწევს, რაც აშშ და ამიტომაც უკეთესად აწყობს თავის ქვეყანას. ამაზეა ლაპარაკი! თუ ჩვენ ამის გაკეთება გვინდა, ჩვენს თავში უნდა ჩავიხედოთ, ჩვენს სულში უნდა ჩავიხედოთ და მოვძებნოთ ის

მანკიერებანი, რომლებიც გვაქვს და თანდათან უნდა გამოვასწოროთ, რომ შედარებით უკეთესი ვითარება შეიქმნას ჩვენში.

ახალგაზრდობისაკენ რატომ ვიყურები? იმიტომ, რომ მეტი ენერგია აქვს, მეტი სურვილები და მეტი ძალა შესწევს. ჩვენ, მე და თქვენ, ჩაკეტილ ქვეყანაში გავიზარდეთ. მოსკოვში ან ლენინგრადში თუ ჩავიდოდით, გვეგონა რაღაც სასწაული მოხდა. ახლა ბავშვები ძალიან თავისუფლად დადიან, სადაც უნდათ იქ. აღარ არის დაკეტილი არც აფრიკა, არც აზია, არც ამერიკა, არც ევროპა. იქ სწავლობენ კიდეც. ყველაფერი ეს მათ ჰორიზონს უფართოებს. სხვა თვალით უყურებენ ისინი ამ სინამდვილეს და ამიტომაც ვამბობ, რომ ისინი უნდა წამოვწიოთ წინა პლანზე, იმათ უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ქვეყანას უპატრონონ. უფროსი თაობა ამას უნდა მიხვდეს და მათ გვერდით დადგეს. ისე კი არა, რომ მე ასაკოვანი ვარ, ბრძენი ვარ და არაფერი მეშლება და შენ როგორ მიბედავ რამეს, არა! უნდა დავფიქრდეთ, გამოვდგებით კი ჩვენ დღევანდელ ვითარებაში იმ ძალად, რომელიც ახალ ქვეყანას ააშენებს? თუ უკეთესია იმათ მივცეთ საშუალება და ჩვენ იმათ გვერდით დავდგეთ და მივეშველოთ, რაც შეგვიძლია.

მ.გ. – ბატონო აკაკი, რასაც თქვენ ახლა ლაპარაკობთ, ანალიზია იმისა, რა ცხოვრებით ვიცხოვრეთ და როგორ უნდა გავიაროთ და მივიდეთ იმ 2010 წლამდე... მაგრამ ძველ თემას უნდა დავუბრუნდე – მდიდრები საქართველოში ცოტანი იყვნენ და უმეტესობა იყო, ვთქვათ, სხვა ეროვნების ხალხი. ახლა გამოჩნდნენ მდიდრები. მაინტერესებს თქვენგან პატარა, სახელდახელო ანალიზი, რითი და როგორ ვმდიდრდებით ახლა ჩვენ? შრომით თუ დაგროვილ კაპიტალზე დაყრდნობით მოვახერხეთ მეურნეობის, მრეწველობის თუ რაღაც საქმის განვითარება? რანაირი სიმდიდრე არის ამ გარდამავალ პერიოდში ამ არეულ საქართველოში?

ა.ბ. – ალბათ, ნაირ-ნაირი საშუალებებით. ზოგიერთი შესაძლებელია შრომით. ზოგიერთი, ცხადია, კომუნისტური რეჟიმის დროს მოპარულ ფულს იყენებს და ცდილობს დაიმკვიდროს თავისი ადგილი და თავისი სახელი. ზოგიერთი სესხებით შემოსულ ფულს იჯიბავს და ამ საშუალებებით წარმართავს თავის საქმიანობას. ნაირ-ნაირი ფორმები არსებობს. სხვათა შორის, ეს შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ამ მიმართულებით ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ რა ფორმებია გამოყენებული დღევანდელ ვითარებაში – ამა თუ იმ პიროვნების ხელში გარკვეული სიმდიდრე რომ დაგროვდა; მერე ეს ქვეყანას უნდა მოხმარდეს.

მაგრამ არის ერთი გარემოება, ჩემი აზრით, რომელიც უპირველესი გადასაწყვეტია. ეს გახლავთ ახალი ეკონომიკური სისტემის იურიდიული საფუძველი. ჩვენ დავანგრიეთ ერთი ეკონომიკური სისტემა. უფრო სწორად, თვითონ დაანგრია ამ ეკონომიკურმა სისტემამ თავისი თავი. სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა და, ბუნებრივია, რომ მოკვდა თავისი ბუნებრივი სიკვდილით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაკი აღარ არსებობს ე.წ. სოციალური ეკონომიკა, ახალი ტიპის ეკონომიკას დღევანდელ ვითარებაში თავისი კანონები არ სჭირდება. ჩვენ, სამწუხაროდ, პირველად კაცობრიობის ისტორიაში აღმოვჩნდით რაღაც უნიკალური მოვლენა, როდესაც ისტორია უკან დავაბრუნეთ. იმ ხალხებმა, რომლებიც სსრკ-ში ცხოვრობდნენ, ისტორია უკან დააბრუნეს – 1917-ში და ახლა 1917-დან ვიწყებთ სიარულს. ეს ძნელია, იმიტომ რომ 1917 წლიდან სასწაულები მოხდა კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენ ყველაფერი ეს გამოვტოვეთ, გვერდი ავუარეთ და ახლა უკან დავბრუნდით. ეს დიდი დაბრკოლებაა ცნობიერების თვალსაზრისით, ეს დაბრკოლებაა ეკონომიკის თვალსაზრისით და ყველა კუთხით, უზარმაზარი კედელია და, ბუნებრივია, ამის გადალახვა იოლი არ არის. არა მარტო ჩვენში, არამედ ასეთივე მძიმე მდგომარეობაა რუსეთშიც, შუა აზიაშიც და სხვაგანაც. ახლა უკრაინა ერთი უმდიდრესი ქვეყანაა არა მარტო იმ სივრცეში,

რომელსაც სსრკ ერქვა, არამედ მსოფლიოში, მაგრამ მასაც ძალიან უჭირს. უჭირს იმის გამო, რომ რაღაც დაინგრა და ახლის შენება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. სხვათა შორის, ძალიან კარგად თქვა ვადიმ ბაკატინმა. გახსოვთ ალბათ, სსრკ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. მან ერთხელ თქვა, როდესაც 1917 წლის შემდეგ რევოლუციის შედეგად ჩვენში კერძო საკუთრება გაუქმდა და საზოგადო საკუთრება შემოვიდა, ეს შედარებით იოლი საქმე იყოო. მაგრამ ახლა უკან დავბრუნდეთ, გავაუქმოთ საზოგადოებრივი საკუთრება და გადავიდეთ კერძო საკუთრებაზე ძალიან რთული საქმეაო. და ასეთი მაგალითი მოიყვანა – ეს იმას ჰგავსო, თუ კვერცხისაგან ერბოკვერცხის გაკეთება იოლი იყო, აბა, ბიჭი ხარ და ერბოკვერცხისაგან გააკეთეო კვერცხი.

ეს ურთულესი საქმეა, მაგრამ უნდა გავაკეთოთ, მეტი გამოსავალი არ არის. სხვანაირად უკვე აღარ შეიძლება. ამიტომ უნდა მოხდეს სასწაული.

ეს სასწაული რომ მოხდეს, უპირველესად, უნდა შეიქმნას მისი იურიდიული და კანონიერი საფუძველი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს არ არის შექმნილი და არც მაინცდამაინც ვჩქარობთ. ახლა, ვინც იმუშავებს, დიდ სიმდიდრეს დააგროვებს, მცირე სიმდიდრეს დააგროვებს, დავუშვათ რაღაც განსაკუთრებულს შექმნის თუ არა, ყველას სჭირდება ეს საფუძველი. ის გაუთავებელი დავა, მაგალითად, ამდენი გადაიხადონ დღევანდელმა მრეწველებმა თუ არ უნდა გადაიხადონ, ვძარცვავთ თუ არ ვძარცვავთ დღევანდელ მრეწველებს, ვაძლევთ თუ არა მათ საშუალებას წინსვლისა და განვითარებისა, იმის შედეგია, რომ საფუძველი არ არსებობს.

მ.გ. – კანონმა უნდა გადაწყვიტოს.

ა.ბ. – კანონმა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ კანონი არ არსებობს. კანონი არსებობს ასეთი – მე დღეს რაღაც მჭირდება, მაგრამ ბიუჯეტში ფული არ არის. მოდით, იმათ წავგლიჯოთ ეს ფული, ვისაც აქვს და როგორმე ბიუჯეტი შევავსოთ. ასე არ შეიძლება. კანონი უნდა არსებობდეს და, ბიუჯეტს უჭირს თუ არ უჭირს, ის კანონი არ უნდა დაირღვეს, მაშინ შესაძლებელი გახდება, რომ ყველა მოქალაქემ იგრძნოს თავი მყარად და გააკეთოს საქმე, რომლის გაკეთებაც მას ევალება. მაგრამ როდესაც მოქალაქემ იცის, რომ შეიძლება სახელმწიფომ მას წაართვას, ის უკვე აღარ მუშაობს იმ ენთუზიაზმითა და იმ თავგამეტებით, რაც საჭიროა, ის სულ აქეთ-იქით იყურება შეშინებული. ბაზა უნდა მოიძებნოს, რეალური იურიდიული ბაზა იმისი, რომ ის, რაც მოხდება, ამ კანონს არ დაარღვევს, ამ კანონის საფუძველზე განვითარდება. მაშინ, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იქნება, რომ გამჭვირვალდეს მდიდრების შემოსავლები, გვეცოდინება როგორ მდიდრდებიან, რა საშუალებით მდიდრდებიან და საიდან აქვთ მათ ეს ფული. ახლა, რა თქმა უნდა, ნაირ-ნაირი ფორმები არსებობს, ნაირ-ნაირი საშუალებები, ნაირ-ნაირი გზები და ვისაც რა ეხერხება, იმის მიხედვით მოქმედებს.

მ.გ. – ბატონო აკაკი, მე კი მგონია, რომ ადამიანი მარტო თავისთვის არ მდიდრდება. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ უმეტესწილად მდიდრდება ის ხალხი, ვინც მხოლოდ თავისთვის მდიდრდება.

ა.ბ. – საქმე ის გახლავთ, რომ თავდაპირველად, როცა ადამიანი სიმდიდრეს აგროვებს, ყველა, როგორც ჩანს, თავისთვის აგროვებს ამას. ის რომ ჩემი სიმდიდრე შემიძლია სხვასაც მოვახმარო და ქვეყნის სასარგებლოდაც გავხადო და სხვა ადამიანების სასარგებლოც გახდეს, ეს შემდეგ მოდის. თავდაპირველად ყველა სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილია. ერთხელ ვთქვი, ახლა საქართველოში სოლომონ ისაკიჩის დროა-მეთქი. სოლომონ ისაკიჩი თავის თავსაც კი არ უმხელდა თავის სიმდიდრეს, სანამ არ დააძალეს და არ უთხრეს, ჩახედე, კაცო, იმ შენს ზანდუკს და ნახე

რამდენი ფული გაქვსო. და როცა ზანდუკში ბევრი ფული დაინახა, თვითონვე გაუკვირდა.

მ.გ. – სარაჭიშვილები როდისღა იქნებიან?

ა.ბ. – სარაჭიშვილი იქნება შემდეგი თაობა.

მ.გ. – 2010 წლისთვის ვერ მოვესწრებით?

ა.ბ. – 2010 წლისათვის საქართველოში სარაჭიშვილები არ იქნებიან. საქართველოში სარაჭიშვილები იქნებიან, უკეთეს შემთხვევაში, 2040 წლის შემდეგ.

მ.გ. – ყველაფერი ისე რომ წარიმართოს, როგორც თქვენ თეორიულად ჩამოაყალიბეთ, მაინც არა?

ა.ბ. – არა, დრო უნდა ამას, იმიტომ რომ თაობები უნდა შეიცვალოს. ავიღოთ თუნდაც სარაჭიშვილის მამა, ზაქარია სარაჭიშვილი. ის ნამდვილი სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი იყო. მაგრამ სულ სხვა მოვლენა გახლდათ დავით სარაჭიშვილი. რატომ? იმიტომ, რომ ის ეტაპი, რომელიც სოლომონ ისაკიჩს უნდა გაევლო, მამამისმა გაიარა და შვილი მან სხვანაირად გაზარდა. სარაჭიშვილი უცხოეთში სწავლობდა და, უპირველეს ყოვლისა, იგი დიდი მეცნიერი იყო და მერე გახდა მრეწველი. ეს უკვე იმ თაობის ვალია, რომელიც მეჯღანუაშვილებს მოუყვება. დღევანდელი მეჯღანუაშვილების შვილები და შვილიშვილები იქნებიან ისეთი მრეწველები, როგორიც დავით სარაჭიშვილი იყო, თორემ დღევანდელ მეჯღანუაშვილს თქვენ ვერ მოსთხოვთ იმას, რომ ქველმოქმედი იყოს, დიდი საქმე აკეთოს და ხალხის კეთილდღეობაზე იფიქროს. დღეს ტყუილია ამაზე ლაპარაკი. ეს ცრუ ლაპარაკი იქნება და ცრუ მოწოდება, არც ერთი ამას არ გააკეთებს. მაგრამ, როგორც გითხარით, იმათი შვილები და შვილიშვილები გააკეთებენ, რადგან ისინი უკვე სხვა აზროვნებისა იქნებიან და სხვანაირად შეაფასებენ საკუთარ სიმდიდრესაც.

მ.გ. – მე მგონი, ბატონო აკაკი მივედით 2010 წლამდე. ნელ-ნელა მივედით. მინდა გკითხოთ – მაინც რა იქნება, თქვენი აზრით 201- წელს, როგორები იქნებიან ჩვენი მეჯღანუაშვილები, სარაჭიშვილები და ზუბალაშვილები. ჩვენი ახალგაზრდები ისევ უმუშევრად იყიალებენ? ჩვენი ქარხნები ისევ ერთ მუჭა დირექტორატს მოემსახურება, თუ იმ სამ-ოთხ ათას მუშახელს, რომელიც გაშვებულია ქუჩაში და ბაზრობაზე დგას. უკან დააბრუნებს და ამუშავებს?

ა.ბ. – ჩვენ ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი იმისათვის, რომ 2010 წელს მდგომარეობა სერიოზულად იყოს შეცვლილი. ეს დაბრკოლებანი და ეს პრობლემები, რომელიც ჩვენს გარშემოა, ძალიან ძნელად მოსაგვარებელია და ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენს ჩვენს ეკონომიკაზე. ავიღოთ ასეთი ფაქტი – დღეს საქართველო ტერიტორიული თვალსაზრისით შეკრეჭილია, საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი საქართველოს აღარ ეკუთვნის და დავიბრუნებთ თუ არ დავიბრუნებთ, ეს პრობლემა გახლავთ. ეს გადასაწყვეტი პრობლემაა. გადასაწყვეტი პრობლემაა ან იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ვაღიაროთ ჩვენი დამარცხება და ვთქვათ, რომ ამ ტერიტორიებს ვეღარ დავიბრუნებთ და დარჩეს ის მტერს, ან იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ამ ტერიტორიებს აუცილებლად დავიბრუნებთ და ის ისევ საქართველოს ნაწილი იქნება. ეს იმიტომ, რომ როდესაც ქვეყანაში არსებობს 300 ათასამდე ლტოლვილი, საქართველოსავით პატარა ქვეყანას კი არა, უზარმაზარ სახელმწიფოებსაც კი მძიმე ტვირთად დასწოლია. ამიტომ ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს. ერთი შეხედვით, ეს პოლიტიკურ-სამხედრო და სოციალური პრობლემაა, მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით, დავინახავთ, რომ უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკასთან ეს არის ბარიერი, რომელიც უნდა გადავლახოთ.

იმ ფორმებით, იმ ხერხებით, იმ საშუალებებით ან ტემპით რომლითაც ახლა ჩვენ ამ პრობლემის გადაწყვეტას ვცდილობთ, ბუნებრივია, ეს 2010 წლამდე არ მოხერხდება. ამ მხრივაც ძალიან დიდი და მძიმე ტვირთი აწევს საქართველოს.

მეორე პრობლემა, რომელიც ასევე არსებითად მნიშვნელოვანი გახლავთ, ეს არის ის, რომ ჩვენ გავანადგურეთ, გავაჩანაგეთ ყველაფერი, რაც გვქონდა, მაგრამ არ ვიცით, რა გვინდა მის მაგიერ. მაგალითად, საქართველოში არსებობდა ჩაის მრეწველობა საკმაოდ დიდი მოცულობით, მაგრამ სჭირდება თუ არა საქართველოს ჩაის ამხელა წარმოება, არ ვიცით. თუ ჩვენ საერთოდ გვჭირდება ჩაის მრეწველობა, მაშინ უნდა დავადგინოთ, რა და როგორი რაოდენობით გვინდა ჩაი საქართველოში, დანარჩენი ტერიტორია კი, რომელიც ჩაის უჭირავს, გამოვიყენოთ სხვა საქმეში. ჩაის უზარმაზარი პლანტაციები, რომელიც საქართველოში არსებობდა, განადგურებულია და ეკალ-ბარდებით არის მოცული. არც ჩაი მოდის ამ ტერიტორიაზე და აღარც სხვა რამ კულტურა. როგორც ახლახან გავიგე, შეიძლება ჩაის ექსპორტი დაგვჭირდეს. ამაზეც გვმართებს დაფიქრება. მაგრამ ჯერ მთავარი მაინც ის არის, თუ რას ვუშვრებით იმ უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც დღევანდელ საქართველოში ჩაის უჭირავს. რას ვუტოვებთ ჩაის და რაზე შეიძლება მოვაშენოთ სხვა კულტურა, რომელიც დღეს ქვეყანას სჭირდება. თორემ ახლა არაფერი ხდება, თითო-ოროლა ბუჩქი თუ იკრიფება, რაღაც თითო-ოროლა ქარხნისათვის, დანარჩენი მიტოვებულია, ეს უზარმაზარი მეურნეობები მიცემულია მთლიანად ეკალ-ბარდსა და პარტახს, ასე არ შეიძლება.

მ.გ. – ეს პლანტაციები შესყიდული ხომ არა აქვს ვინმეს?

ა.ბ. – არც არავის აქვს შესყიდული და არც არაფერი კეთდება. გლეხის საკარმიდამოსთან ახლოს თუ არის, ხომ კარგი, თუ არა და ეს გლეხი თავისი ნება-სურვილით ამას ყველაფერს ძირკვავს, იქ რაღაც სხვას თესავს. არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჩაის. უზარმაზარი ჩაის მეურნეობებია დასავლეთ საქართველოში, ისინი ელიან თავიანთი ბედის გადაწყვეტას და ეს უნდა გადაწყდეს ნათლად და მკაფიოდ.

ასევე დგას ჩვენი მევენახეობის და მეღვინეობის საკითხიც. ვაგრძელებთ თუ არა იმ ტრადიციულ ქართულ მევენახეობა-მეღვინეობას, ისევ ვიქნებით თუ არა დიდი მწარმოებლები ღვინისა, ესეც გადასაწყვეტია. გლეხები უკვე ეჭვის თვალით უყურებენ თავიანთ ვენახებს. რატომ? იმიტომ, რომ შავ ყურძენს იბარებენ, თეთრ ყურძენს კი არა. ამიტომ დგას ახლა კახელი გლეხი და ფიქრობს, აკაფოს თუ არ აკაფოს რქაწითელი ან სხვა მაღალი ჯიშის ვაზი. არაა გამორიცხული, რომ აკაფოს და მის ნაცვლად საფერავი ჩაყაროს. ხშირად მისაუბრია გლეხებთან, ისინი ერთსა და იმავეს იმეორებენ, ვისაც საფერავი ჰქონდა იმას არა უშავს რა, ფული იშოვა, ვისაც არა და დარჩა უკაპეიკოდო. რატომ? იმიტომ, რომ იმას არ ყიდულობენ, ამას ყიდულობენო. აქაც გადასაწყვეტია რას ვაკეთებთ, როგორ ვაკეთებთ, რაშია საქმე და როგორ უნდა იყოს ეს საქმე.

გადასაწყვეტი გახლავთ კიდევ ერთი დიდი პრობლემა: საქართველომ პური უნდა იყიდოს თუ მას შეუძლია თავის რჩენა საკუთარი ხორბლის საშუალებით? საბჭოთა პერიოდში იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საქართველოს შეუძლია თავისი თავი პურით თვითონ არჩინოს, მერე შეიცვალა ეს აზრი, მერე ისევ განახლდა ამაზე საუბარი. რადგან საკითხი იყო დასმული, მაშასადამე, რაღაც საფუძველი აქვს ამას. რამდენი ასეული და ათასეული წელია საქართველო არსებობს და მას ჰქონდა პური და ის ირჩენდა თავის თავს. მაშასადამე, რაღაც საშუალებანი გვაქვს. რა ვქნათ დღეს? დავადგეთ თუ არა იმ გეზს, რომ ჩვენ ჩვენი პური გვქონდეს? თუ უმჯობესია რაღაც სხვა ვაწარმოოთ და პური ვიყიდოთ? ესეც გადასაწყვეტია. მექანიკურად მუშაობა არ შეიძლება. რაღაცას ვაკეთებთ და რისთვის ვაკეთებთ, არ ვიცით.

გადაუწყვეტელია მრეწველობის საკითხიც. გვაქვს უზარმაზარი მეტალურგიული ქარხანა რუსთავში, ეს დიდი ქალაქი, ახლა მეორე თუ მესამე ქალაქია საქართველოში, ამ ქარხნის გამო და ამ ქარხნის გარშემო აშენდა. ჩვენ ნედლეული არა გვაქვს, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ვამუშაოთ. სად ვიყიდოთ ეს ნედლეული? როგორ დავაყენოთ საქმე, რომ ეს უზარმაზარი ქარხანა მუშაობდეს და არ ცდებოდნენ ის სპეციალისტები და მუშახელი რომლებიც ამ ქარხანაში მუშაობდნენ?

ვერ გადავწყვიტეთ ეს პრობლემები და ამიტომ არის გაუთავებელი დავა, გაფიცვები, ხელფასის მოთხოვნები და ა.შ. პრობლემა უნდა გადაწყდეს ან ასე, რომ აღარ გვინდა ჩვენ ეს მეტალურგიული ქარხანა, მოხდეს მისი დემონტაჟი და რაღაცა სხვა აშენდეს მის ადგილას, ან გვინდა და იქნება მეტალურგიული ქარხანა ისევე მნიშვნელოვანი ობიექტი ქართული მრეწველობის, როგორც აქამდე იყო. ესეც გადასაწყვეტია. პრინციპია გადაუწყვეტელი, ამ დროს კი ლაპარაკი მიმდინარეობს იმაზე, თუ ვინ მოვა დირექტორად, ვინ გადაიხდის ფულს, ვინ მოგვაწოდებს გაზსა და ელექტროენერგიას... ეს არის ლაპარაკი, ეს საქმე არ არის.

მ.გ. – მე კი მაინც მინდა თქვათ, რა დღეში ვიქნებით 2010 წელს.

ა.ბ. – ამ პრობლემებზე შემთხვევით არ მისაუბრია. თუ ისინი დროზე არ გადაწყდა, 2010 წელს ბევრად უარეს მდგომარეობაში ვიქნებით, ვიდრე დღეს ვართ. მაგრამ თუკი ამ წლების განმავლობაში დავიწყებთ ამ საკითხების მოგვარებას, მაშინ შეიძლება გვქონდეს იმედი, რომ უკეთესობისაკენ წავალთ.

მ.გ. – ბატონო აკაკი, თქვენ იცით, რომ რადიოში ყველაფერს ვინახავთ ჩაწერილს, თქვენ გამოსვლას განსაკუთრებით. ახლა ფირის ძალიან დიდი კრიზისი გვაქვს. საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოს რადიოს ფირები აღარ აქვს. ამიტომ ძალიან ბევრ ჩანაწერს, ისეთს, რომელსაც ფონდში უნდა ვუშვებდეთ, ვშლით, მაგრამ გპირდებით, რომ თქვენი საუბრის ჩანაწერს არ წავშლით. მე ვიქნები, თუ სხვა, მოვისმენთ ამას 2010 წელს და, ღმერთმა ქნას, ყველაფერი, ეს თქვენ ჩემზე ნაკლებად არ გაგიხარდებათ, არ გამართლდეს და რამენაირად ჩვენ ამ სიტუაციიდან, ამ ვითარებიდან, გამოვიდეთ და უკეთესად შევხვდეთ ამ ბუხართან 2010 წელს.

ა.ბ. – სულით და გულით მინდა ჩემი ნათქვამი არ გამართლდეს, მაგრამ როდესაც თქვენ მეუბნებით, რადიოში ფირი არ არის რომ ჩავწეროთო, იმ ქვეყანაში შეიძლება 2010 წელს კარგად იყოს საქმე?

მ.გ. – კი, მაგრამ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ახლა ძალიან კარგად არის საქმე, ამაზე უარესად იწყებოდა. ეს თქვენ ჩემზე უკეთესად იცით.

ა.ბ. – ამას დრო უნდა, 10 წელიწადი არ არის ის დრო, რომელიც ამას შეცვლის.

მ.გ. – შეიძლება 10 წლის შემდეგ ბევრი არაფერი შეიცვალოს, მაგრამ თუკი ოდნავ მაინც გამოსწორდება მდგომარეობა, თუკი ექვს-ექვსი თვის აუღებელ ხელფასებზე არ გვექნება ლაპარაკი, ესეც ხომ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ა.ბ. – რა თქმა უნდა. ამიტომ ვამბობ რომ უნდა შეიცვალოს მდგომარეობა, ამიტომ ჩამოვთვალე ის საკითხები, რომელთა მოგვარება თავის შედეგს მოგვცემს, რომ 2010 წელს შედარებით უკეთესად იყოს საქმე. მაგრამ თუ ამას ვერ მოვაგვარებთ, ბუნებრივია, არ იქნება საქმე უკეთესად.

მ.გ. – იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი უკეთესად იქნება. საქმეც უკეთესად იქნება, ჩვენც უკეთესად ვიქნებით. უფრო აქტიურები ვიქნებით და უფრო ღირსეულ მთავრობასაც ავირჩევთ.

ა.ბ. – 2000 წელს მე პირადად აღარ ვიქნები, მაგრამ...

მ.გ. – 2010 წელზეა ლაპარაკი, როგორ არ იქნებით.

ა.ბ. – 2001, ან 2003 წელს კიდევ შეიძლება, მაგრამ 2010 წელს?!

მ.გ. – არა, ბატონო აკაკი, ჩვენ 2010 წელს უნდა დაველოდოთ, ამაზე ხომ შევთანხმდით.

კარგად ბრძანდებოდეთ! ერთად გავიხსენებთ ერთიმეორეს აქ, ამ ბუხართან.

კარგად იყავით! დიდი მადლობა.

რადიოინტერვიუ,
12 მარტი, 1999 წ.

დავით აღმაშენებლის ნავში შეიძლება ჩაჯდეს ინტელიგენტი, მაგრამ...

ამრიტა ჯანაშია – «ჟამი არს დუმილისა და ჟამი სიტყვისა". თქვენ დუმილით ხვდებოდით ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. იქნებ, დადგა «ჟამი სიტყვისა"?

აკაკი ბაქრაძე – მოხდა ისე, რომ სიტყვა გაბითურდა, მან მნიშვნელობა, ღირებულება და ფასი დაკარგა. გინდ გითქვამს სიტყვა, გინდ არ გითქვამს. გინდ დაგიწერია, გინდ – არა. სულერთია, სიტყვის გამო ყურს არც ხელისუფლება აბარტყუნებს, არც ხალხი.

ხელისუფლება მოქმედებს პრინციპით: წერეთ და იკითხეთ, ყურზე ხახვი არ დამაჭრათო.

როგორც გინდათ ამხილეთ ხელისუფლების ბოროტმოქმედება, როგორც გინდათ ახადეთ ნიღაბი მის შავ საქმიანობას, ამას არავითარი შედეგი არ ახლავს. ყველაფერი რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

მეორე მხრით, ხალხს დიდი ხანია დაკარგული აქვს სიტყვისადმი ნდობა. ჯერ, სამოცდაათი წლის მანძილზე კომუნისტები ატყუებდნენ. რასაც ისინი ჰპირდებოდნენ, ყველაფერი ნაცარტუტად იქცა. კაცობრიობის «ბედნიერი" მომავალი – კომუნიზმი – ისე გაქრა, რომ ნაკვალევიც კი არსად ჩანს. მერე დამოუკიდებელი საქართველოს სამოთხეს ელოდა ხალხი. ეს სამოთხეც ფუჭი ოცნება დარჩა. საქართველო ტერიტორიულად რაც იყო, ისიც აღარ არის. გაკრიჭეს და გაატყავეს. უამრავი ადამიანი მშობლიური მიწა-წყლიდან აჰყარეს და უსახლკარო ბოგანოდ აქციეს. არც იმათ დასდგომია კარგი დღე, ვისაც რბევა-აწიოკება არ შეხებია. არ არის ხელფასები. არ არის პენსიები. ლუკმაპურის საშოვნელად ხალხმა წანწალი დაიწყო. რას არ კადრულობს ქართველი ორიოდე გროშის საშოვნელად –თაღლითობას, ქურდობას, ყაჩაღობას, როსკიპობას, მათხოვრობას... ამ საუკუნის დასაწყისში ნიკო ლორთქიფანიძე გოდებდა – იყიდებაო საქართველო! საუკუნის ბოლოს მისი შიში სრული რეალობა გახდა. საქართველოში ქართველს აღარაფერი დარჩა. ყველაფერი უცხოს ხელში გადავიდა. სულ მალე საქართველოში საქმე ისე იქნება, როგორც გიორგი ერისთავის კომედიებშია: მდიდარი უცხოელების სასახლეებში ქართველები ხელზე მოსამსახურე გოგოებად და ბიჭებად ირბენენ.

ამ ვითარებაში გვინდა ხალხს სიტყვის სჯეროდეს? უნდობლობა – ეს არის ხალხის პასიური პროტესტი. სხვა მას არაფერი შეუძლია.

სიტყვისადმი უნდობლობას თავად სიტყვის მსახურთა უპასუხისმგებლობამაც შეუწყო ხელი. იმის მაგიერ, რომ სიტყვის მსახური სიტყვას მოფრთხილებოდა, ფაქიზად მოქცეოდა, სიყვარულით მოჰკიდებოდა, პირიქით მოიქცა: გააპამპულა და დაამცირა იგი. რაკი ცენზურა გაქრა, თავაშვებული და ბილწი პრესის პარპაში დაიწყო. გამოდის, როგორი გაზეთიც გნებავთ. იბეჭდება, რაც გნებავთ. წამოვიდა უნიჭობის, უაზრობის, უგემოვნების ღვართქაფი. მან ყველაფერი წალეკა, ბუნებრივია, სიტყვაც.

ბალახტარობის იმ ზღვაში, რაც დღეს საქართველოში მძვინვარებს, სიტყვის გადარჩენა ძალიან ძნელია, თუ შეუძლებელი არა.

«დემოკრატიული" საქართველო უფრო მზაკვრულად მოექცა სიტყვას, ვიდრე კომუნისტური საქართველო. მართალია, კომუნისტური საქართველო კრძალავდა სიტყვას: თუ ცენზურას არ აკმაყოფილებდა, არ ბეჭდავდნენ წიგნებს, არ აჩვენებდნენ წარმოდგენებს, თაროზე დებდნენ ფილმებს – მაგრამ, ამავე დროს, სიტყვის ეშინოდათ, ანგარიშს უწევდნენ, პატივს სცემდნენ. გრძნობდნენ სიტყვის იდუმალ ძალას. «დემოკრატიულმა" საქართველომ ცენზურა გააუქმა. თითქოს სიტყვა გაათავისუფლა, მაგრამ ღირსება ჩამოართვა, აბუჩად აიგდო, გააქარწყლა მაკულატურისა და ხალტურის მღვრიე ლანქერში.

ასეთ ვითარებაში სიტყვის ჟამი არ დადგება.

დღევანდელ საქართველოში სიტყვა მკვდარია. ამ დროს სიტყვას ის მეტ პატივს სცემს და აფასებს, ვინც დუმს, ვიდრე ის, ვინც აღვირახსნილი ლაქლაქებს.

ა.ჯ. – «ჩემი გამარჯვების ყველაზე დიდ სიტკბოებას მაშინ განვიცდი, როცა განსაცდელიდან დავიხსნი იმათ, ვინც ჩემს წინააღმდეგ იბრძოდა" – ამბობდა კეისარი. შევარდნაძის მიერ ზვიადისტთა შეწყალებას რა შეფასებას მისცემდით?

ა.ბ. – ჯერ ერთი, კეისრის სიტყვებს არაფერი აქვთ საერთო საქართველოს ხელისუფლების ქმედებასთან. მეორეც, რამდენად სასიამოვნო და სასიხარულოა კომედიის ყურება-მოსმენა თეატრში, იმდენად საზიზღარია იგი ცხოვრებაში და პოლიტიკაში. ან დაჭერა რა იყო, ან განთავისუფლება რა არის? თუ დამნაშავენი არ იყვნენ, რა უფლებით დააპატიმრეს? თუ დანაშაული ჩაიდინეს, რა უფლებით ათავისუფლებენ? ქვეყანა, სადაც უდანაშაულოს აპატიმრებენ, ქვეყანა არ არის. არც ის ქვეყანაა ქვეყანა, სადაც დამნაშავეს ციხიდან უშვებენ და არ სჯიან. ასე, რომ ტყუილად ნუ ვაწუხებთ კეისარს იმ აბსურდის ამოსაცნობად, რაც საქართველოში ხდება.

ა.ჯ. – «არსენა მარაბდელში" ალექსანდრე ორბელიანი ამბობს: «რუსი ცხენით მისდევს ევროპას, ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამოგვრჩეთო. ჩვენც დასისხლიანებული მივრბივართ და გვგონია, რუსი სიკეთეს გვიშვრება". დღეს რუსი არ მიგვათრევს, ჩვენ გავრბივართ ევროპისაკენ, გავხდით კიდევაც «ევროპელები". რა სიკეთის და რა სიავის მოტანა შეუძლია ჩვენთვის გაევროპელებას?

ა.ბ. – ჯერ ის გავარკვიოთ, რას ვგულისხმობთ ცნებაში – «გაევროპელება". რომელიმე ევროპულ პოლიტიკურ სტრუქტურაში შესვლა ან გეოგრაფიულად ევროპის კონტინენტზე ცხოვრება სრულიად არ ნიშნავს «ევროპელობას". არსებობის დაწყების დღიდან დღემდე გეოგრაფიულად ევროპაში ცხოვრობენ ყალმუხები, ჩუვაშები, ბაშკირები, კომი ხალხი და სხვანიც, თუნდაც ალბანელები, მაგრამ რა აქვთ მათ საერთო ან ევროპასთან, ან ევროპულ კულტურასთან? თურქეთიც რამდენი ათეული წელიწადია უკვე ევროპულ პოლიტიკურ სტრუქტურებშია გაწევრიანებული, მაგრამ რა ეტყობა თურქეთის მოსახლეობას ევროპელობის? თუგინდ იმ თურქებს, რომელნიც წლობით ცხოვრობენ ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში?

ევროპული კულტურა და ცივილიზაცია ის არის, რაც რომანული და გერმანული მოდგმის ხალხებმა შექმნეს. გაევროპელებაც ამ კულტურა-ცივილიზაციის ათვისებას ნიშნავს. რამდენად ძნელია ეს, რუსებმა ცხადად დაგვანახვეს. პეტრე პირველის ძალდატანებით, ეკატერინე მეორის მონდომებით რუსებმა სულითა და გულით სცადეს გაევროპელება, მაგრამ ვერ შეძლეს, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც-რაღაცეები ისწავლეს. ევროპა ევროპად დარჩა, რუსეთი – რუსეთად, თუმცა სანკტ-პეტერბურგი და მისი მიდამოები გარეგნულად ევროპულად ააშენეს, მაგრამ კალუგა, რიაზანი, ტამბოვი და სხვანი და სხვანი, მოსკოვიც კი, მონღოლურ-რუსული დარჩა, ვერ მოახერხეს ეს

რუსებმა იმიტომ, რომ ჯიში არ ეყოთ. ყველა საქმეში ჯიშია გადამწყვეტი. არის ძროხა, რომელიც ათ ლიტრს იწველის და არის ძროხა, რომელიც- ხუთ ლიტრს. ხუთლიტრიანი ძროხა, როგორც უნდა გამოკვებოთ იგი, როგორც უნდა დაბან-დარეცხოთ, როგორ კეთილმოწყობილ ბოსელში უნდა დააბათ, ათ ლიტრს ვერ მოიწველის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს მისი ჯიში არ არის. ხალხებიც ასევე იყოფა ჯიშის მიხედვით. ნუ იფიქრებთ, რომ რაღაც საშინელ რასისტულს ვამბობ. არა, რასიზმი აქ არაფერ შუაშია. ჯიში სხვაა სრულიად და რასა – სხვა. მაგალითად, ზანგებს აღმოაჩნდათ ჯიში თანამედროვე ცივილიზაციის ათვისებისა, აითვისეს კიდეც. დააკვირდით ამერიკელ ზანგებს, სულერთია, სად ცხოვრობენ, აშშ-ში, კანადაში თუ ბრაზილიაში. ყველა საქმეში წარმატებით მონაწილეობენ, გარეგნულადაც დახვეწილი და რაფინირებული გახდნენ. თათრკანიანისაგან უბრალოდ ფერით განსხვავდებიან, თორემ სხვა მხრივ არაფრით ჩამოუვარდებიან. მაგრამ ჯიშის იგივე თვისება, რაც ზანგებს აქვთ, არ აღმოაჩნდათ ამერიკელ ინდიელებს. ისინი ან სრულებით ვერ ეთვისებიან თანამედროვე ცივილიზაციას, ან ძალიან ძნელად და ტანჯვით. სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ამერიკის კონტინენტზე ზანგები და ინდიელები თანაბარ მდგომარეობაში არიან, მაგრამ რაც ზანგებმა მოახერხეს, ის ინდიელებმა ვერ შეძლეს, ჯიში არ აძლევს ამის საშუალებას.

მომავალი აჩვენებს, როგორ გაევროპელდება ქართველი, ბუნებრივად და ორგანულად აითვისებს ევროპულ კულტურა-ცივილიზაციას, თუ იმით დაკმაყოფილდება, რომ ქართულ ენას ინგლისური სიტყვებით დაანაგვიანებს, დაკაჩული კაბით იკვინტრიშებს და სოდომის ცოდვას ცივილიზაციის მწვერვალად ჩათვლის.

სიკეთისა თუ სიავის მოტანა ათვისების უნარზე იქნება დამოკიდებული. თუ ბუნებრივად და ორგანულად ავითვისებთ ევროპულ ცივილიზაციას, ნათლად და ცხადად გავაცნობიერებთ, რაა ევროპულ ცივილიზაციაში ჩვენთვის მისაღები და რა არა, მაშინ გაევროპელება დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოს. თუ ბრმა და ზერელე მიმბაძველობით დავკმაყოფილდებით, მაშინ დიდი ხიფათი გველის. ასე, რომ კარგიც და ავიც ჩვენზეა დამოკიდებული და არა სხვაზე.

ა.ჯ. – დღეს საქართველოში უამრავი სექტაა, რომელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავს. დიდ საშიშროებას გვიქმნის ვაჰაბიზმი. თქვენი აზრი მათი წარმოშობის მიზეზებზე და რას გვიქადის ეს საბოლოო ჯამში?

ა.ბ. – რაკი თქვენს კითხვაში კონკრეტულად ვაჰაბიზმია ნახსენები, ამით დავიწყოთ.

ვაჰაბიზმი სუნიკური ისლამის სექტაა. იგი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა არაბეთის ნახევარკუნძულზე. მისი დამაარსებელია მუჰამედ იბნ აბდულ-ვაჰაბი. იგი 1766 წელს გარდაიცვალა. ვაჰაბიზმის გავრცელებასა და დამკვიდრებაში ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მუჰამედ იბნ აბდულ-ვაჰაბის შვილმა და შვილიშვილმა – აბდულ-აზიზმა და საუდმა. ვაჰაბიზმი დღეს საუდის არაბეთის მთავარი რელიგიური დოქტრინაა.

იმაზე საუბარი, რით განსხვავდება ვაჰაბიზმი ორთოდოქსული ისლამისაგან, ძალიან გაგვიჭიანურდებოდა, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი.

ვინც ისლამს თუნდაც ზერელედ იცნობს, ეცოდინება, რომ ისლამში ღმერთს 99 ეპითეტი აქვს. მუსლიმი ამ ეპითეტებს კრიალოსანზე ითვლის (ამიტომ გახლავთ მუსლიმის საყვარელი ნივთი კრიალოსანი). ვაჰაბისტები კი თითებზე ითვლიან და არა კრიალოსანზე. შეიძლება ეს სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ საქმე ასე უბრალოდ არ არის. ამის გამო შესაძლებელია ერთმანეთიც დახოცონ.

ვაჰაბისტები უარყოფენ იდშმას, ანუ უმაღლესი რანგის მუსლიმ იდეოლოგთა საერთო აზრს ეთიკისა და რელიგიის საკითხებზე. მათ მიაჩნიათ, რომ ყველას, ვინც იცის კითხვა, ყურანი და წმინდა ტრადიციები, თავად შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანა. ამიტომ ავტორიტეტებს ვაჰაბისტები არ ცნობენ.

ვაჰაბისტების აზრით, მხოლოდ ღმერთმა უწყის ადამიანთა საიდუმლოებანი. რაკი ასეა, წმინდანებისა და მოციქულებისადმი ლოცვას ღირებულება არა აქვს. ისინი უარს ამბობენ წმინდანთა თაყვანისცემაზე. უფრო მეტიც: აუცილებლად არც მუჰამედის საფლავის პატივისცემა მიაჩნიათ. არც მისი დაბადების დღეს ზეიმობენ.

ვაჰაბიზმი ყოფილი სსრკ-ის მუსლიმანურ რესპუბლიკებში (მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში) სსრკ-ის დაქცევის შემდეგ შემოვიდა.

საუდის არაბეთი მძლავრი და მდიდარი ქვეყანაა. მას შეუძლია (და აკეთებს კიდეც ამას) ვაჰაბიზმის გავრცელებას აქტიურად შეუწყოს ხელი ყველა თვალსაზრისით – ფულითაც და პროპაგანდისტებითაც.

«რას გვიქადის ეს?" აბა, ისტორიას გავხედოთ. ისლამი მე-7 საუკუნეში დაიბადა. მას აქეთ ქრისტიანული საქართველო ებრძვის ისლამურ სამყაროს. მაგრამ ისლამურმა სამყარომ საქართველო ვერ დაამარცხა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ზიანი მიაყენა: წაართვა ტერიტორია – ე.წ. «თურქეთის საქართველო". გაამუსლიმა მოსახლეობის ერთი ნაწილი.

საუკუნეების მანძილზე მუსლიმური სამყაროს სამი ბურჯი – არაბეთი, სპარსეთი, თურქეთი – ეომებოდა საქართველოს. იპყრობდნენ, მაგრამ საქართველო მაინც არსებობს. საქართველოს ისტორია და არსებობა ბრძოლას ნიშნავს, უსასრულო, გაუთავებელ ბრძოლას. საქართველოს არსებობა მაშინ შეწყდება, თუ მან ბრძოლას დაანება თავი, თუ თეიმურაზ ხევისთავის კაცთმოყვარეობა ამოიჩემა და დაუძინებელ მტრებს «მარადიული" ძმობა შესთავაზა, თუ დაავიწყდება ვაჟას უკვდავი ანდერძი: «სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა".

თუ გონივრულად და ჭკუით მოვიქცევით, არც ვაჰაბიზმია საფრთხე და არც სექტები. ისევ ისტორიას მივმართოთ. 70 წელიწადი მძვინვარებდა საქართველოში ათეიზმი. მერე როგორი ათეიზმი! არაფერს რომ არ ინდობდა. ეკლესიებს ანგრევდა, წვავდა, ანადგურებდა. სასულიერო პირებს იჭერდნენ, კატორღაში ასახლებდნენ, ხვრეტდნენ, ხოცავდნენ. სადღაა ეს მძვინვარე კომუნისტური ათეიზმი ახლა? სამუდამოდ გაქრა. ყოფილი კომკავშირელ-კომუნისტი ათეისტები ახლა ხატებს ეთაყვანებიან, გულზე ჯვრებს იკიდებენ და ეკლესიებში დარბიან. თუ წინათ თოფითა და ტყვიით დასდევდნენ მორწმუნეებს, ახლა მათ გვერდით დგანან და წრმენის სიმტკიცეში ეჯიბრებიან. ერთჯვრიანი დროშა არ ყოფნით და გულში ხელის ბაგუნით გაიძახიან – ხუთჯვრიანი გვინდაო.

კომუნისტური ათეიზმი და ქრისტიანობის სრული გამარჯვებით დამთავრდა.

რომელი სექტა შეედრება თავისი ძალით კომუნისტურ ათეიზმს? ვერც ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სექტის უკან მდიდარი და მძლავრი ორგანიზაცია დგას, რომელიც ფულს არ ზოგავს მრევლის გასამრავლებლად.

დღევანდელ საქართველოში სექტების სიმრავლე გასაკვირი არ უნდა იყოს. 70 წლის განმავლობაში, ხალხის გრძნობა და გონება მხოლოდ ათეიზმს ეჭირა. სხვა რამ მისთვის არ არსებობდა. აკრძალული იყო. ახლა ათეიზმი გაქრა. ხალხის გრძნობა და გონება დაცარიელდა. ცარიელი ადგილი რაღაცამ უნდა დაიკავოს და ნაირ-ნაირი რელიგიური მიმდინარეობანი ღია კარებში შემოიჭრნენ, ცარიელი ადგილი დაიკავეს. ამას დაემატა ნივთიერი სიდუხჭირე. ხალხს უჭირს. ლუკმა-პურზე ოცნებობს. ამით სარგებლობს ამა თუ იმ სექტის წარმომადგენელი. დაბნეულ და გაჭირვებულ ადამიანს სთავაზობს

დახმარებას, ფინანსურ ხელშეწყობას, ზრუნვას. ეს საუკუნეებით გამოცდილი ხერხებია ადამიანთა გადაბირების.

უკვე გითხარით, რომ საქართველოს არსებობა ბრძოლას ნიშნავს-მეთქი, ბრძოლა გრძელდება. ქართველს არსებობა თუ უნდა, ბრძოლა უნდა მოიგოს.

ა.ჯ. – უნდა იჯდეს თუ არა ინტელიგენცია ხელმწიფის ნავში?

ა.ბ. – თუ შეიძლება მეც ვიკითხავ: თვითონ ხელმწიფე ინტელიგენტი არ არის? მეეჭვება, ესპანეთში დღეს ბევრი იყოს ისეთი დახვეწილი ინტელიგენტი, როგორიც მეფე ხუან-კარლოსია. განა ინტელიგენტობამ მას ხელი უნდა შეუშალოს ქვეყნის მართვაში? ანდა ესპანელმა ინტელექტუალებმა მას ზურგი უნდა შეაქციონ, რაკი ხელმწიფეა?

მე მესმის, რასაც გულისხმობთ. ამიტომ, ხელმწიფეს გააჩნია. დავით აღმაშენებლის ნავში შეიძლება ჩაჯდეს ინტელიგენტი, მაგრამ გიორგი მეთორმეტის ნავში – არა. იმაზეც ბევრია დამოკიდებული, თავად ინტელიგენტი რას წარმოადგენს. არიან ადამიანები, რომელთაც ხელმწიფის ნავში ჯდომით ქვეყნისა და ხალხისათვის დიდი სიკეთის გაკეთება შეუძლიათ. არიან ადამიანები, რომელნიც ხელმწიფის ნავში ჯდომით ბოროტების მეტს არაფერს მოიმოქმედებენ. ამიტომ რაღაც ერთი საზომის ამოჩემება არ გამოდგება. იმით უნდა გავზომოთ, რას აკეთებს ესა თუ ის კაცი და არა იმით – სად ზის. შალვა ნუცუბიძემ თქვა ერთხელ ლექციაზე: საქმე ის კი არ არის, თავზე რა გახურავს, არამედ თავში რა გაქვს. საქმე ის კი არ არის ტანზე რა გაცვია, არამედ გულში რა გაქვს. ამ ბჭობას თუ გავაგრძელებთ, შეიძლება ითქვას: საქმე ის კი არ არის, სად ზიხარ, არამედ, რას აკეთებ.

ა.ჯ. – თქვენეული პროგნოზი მომავალი საპარლამენტო არჩევნებისა.

ა.ბ. – პროგნოზირება უმადური საქმეა, მაგრამ, რაკი კითხვა დაისვა, გიპასუხებთ: გაიმარჯვებენ მოქალაქეთა კავშირი და ედ. შევარდნაძე. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოქალაქეთა კავშირი და ედ. შევარდნაძე ამჟამად გაბატონებული ძალაა და შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ არჩევნების პროცესზე, გააყალბონ მისი შედეგები, არა, მოქალაქეთა კავშირმა და ედ. შევარდნაძემ ყურიც რომ არ გააბარტყუნონ, ხალხი მაინც მათ აირჩევს. შევეცდები ავხსნა – რატომ.

ჯერ ერთი, ქართველმა არ იცის, რა არის არჩევნები, რა პოლიტიკური იარაღია იგი და როგორ უნდა გამოიყენოს. ან საიდან უნდა იცოდეს. ქართველს არასოდეს უცხოვრია დემოკრატიის ვითარებაში, როცა ქვეყნის პოლიტიკურ ბედს არჩევნები წყვეტს. ამიტომ ქართველი ამომრჩევლის მართვა ძალიან იოლია. როგორი შედეგიც გინდა, ისეთ შედეგს მიიღებ მისგან.

მეორეც, ქართველი ხელისუფლებაში ყოფნას არ უყურებს, როგორც ქვეყნისა და ხალხის მსახურებას, როგორც მძიმე მოვალეობას და ტვირთს. ხელისუფლებაში ყოფნა ქართველისათვის ნიშნავს ბევრი ფულის შოვნას და პირადი კეთილდღეობის მოწყობას. რაკი ასე მიაჩნია, ახალს ძველი გულწრფელად ურჩევნია. დარწმუნებულია: ძველს თავის საქმე უკვე მოკვარახჭინებული აქვს. რაც წასაღები იყო, წაღებული აქვს. გამაძღარია. მისი სიხარბე, ნაწილობრივ მაინც, დამშვიდებულია. ახალმა კი ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. გამგელებული უნდა ეცეს ქვეყნისა და ხალხის ქონებას. რაც მისათვისებელია, უნდა მიითვისოს. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ძველის, გამაძღარ-დამშვიდებულის, არჩევა სჯობს ახლის, მშიერ-გამგელებულის არჩევას.

მესამეც, პარტიები იდეისათვის არ იბრძვიან. იბრძვიან პარლამენტში ადგილის მოსაპოვებლად. პარლამენტში მოსახვედრად კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ედ. შევარდნაძის კეთილგანწყობილება. ამიტომ არჩევნების დროს პარტიები ერთმანეთს უფრო ჩაბირავენ, ვიდრე მოქალაქეთა კავშირს.

მეოთხეც, ოპოზიციურ პარტიათა შორის მეტი წინააღმდეგობაა, ვიდრე რომელიმე ოპოზიციურ პარტიასა და მოქალაქეთა კავშირს შორის. ამის გამო ოპოზიციური პარტიები ვერ გაერთიანდებიან. ცალ-ცალკე კი ისინი მოქალაქეთა კავშირს ვერ დაამარცხებენ. ოპოზიციურ პარტიათა შორის შინაგანი წინააღმდეგობის გამოყენება მოქალაქეთა კავშირმა კარგად იცის. მოქალაქეთა კავშირის ძირითადი ნაწილი ძველი კომუნისტები და კომკავშირლები არიან. მართალია, კონიუნქტურული მოსაზრებით, მათ კომუნისტურ იდეას ზურგი შეაქციეს, მაგრამ კომუნისტურ-კომკავშირული ინტრიგები, ხრიკები და ფანდები დავიწყებისათვის არ მიუციათ. სამწუხაროდ, ამას ხალხი ვერ ამჩნევს.

მეხუთეც, საქართველოში არსებობს პოლიტიკური მირაჟი – მოქალაქეთა კავშირი და ედ. შევარდნაძე ხალხს არ უყვარს. მწარე შეცდომაა და თავის თავის მოტყუება. უყვარს და ძალიანაც. ცალკეულ ადამიანთა, ანდა ადამიანთა მთელი ჯგუფების წუწუნი, ლანძღვა-გინება, უკმაყოფილება ვითარებას არ ცვლის. ხომ გაგიგონიათ, ზოგჯერ გაბრაზებული დედა შვილს როგორ წყევლის – რატომ მუცელში არ გამიწყალდი, შენ მომიკვდი, შენ არ დასარჩენო და სხვა. მაგრამ ეს ხომ ნამდვილი წყევლა არ არის. ამ სიტყვებში მეტი სიყვარულია, ვიდრე სიძულვილი. ამიტომ სიტყვებმა არ უნდა შეგვაცდინოს. საქმით კი მოქალაქეთა კავშირისა და ედ. შევარდნაძის სიძულვილი (ლიანგის მხრით და არა ცალკეული მოქალაქეთა მხრიდან) არ გამომჟღავნებულა.

ერთი სიტყვით, ასე ვფიქრობ. თუ შევცდები და გავმტყუნდები, ძალიან გამიხარდება.

გაზ. «საქართველო”,
№24, 1999

უკანასკნელი საუბარი
ბატონ აკაკი ბაქრაძესთან

(«ქართული საქმე ქართველმა უნდა გააკეთოს”)

(ძნელია, გადაამეტო აკაკი ბაქრაძის, როგორც მამულიშვილის ღვაწლის შეფასებისას. დღეს ქართველი ერი მოწიწებით იხრის ქედს მისი ნათელი ხსოვნის წინაშე. ეს უკანასკნელი ინტერვიუ, რომელიც გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე შედგა, ალბათ ერთგვარი ზნეობრივი და პოლიტიკური ანდერძიცაა ქართველთა მომავალი თაობების მიმართ.

ინტერვიუ მზად გვქონდა დასაბეჭდად, როდესაც ბატონ აკაკის გარდაცვალების ამბავი მოვიდა და მხოლოდ იმის მოსაზრებით, რომ საზოგადოებას «ცხელ-ცხელ» ინფორმაციაზე დახარბებულად არ ჩავეთვალეთ, შეგნებულად შევიკავეთ თავი მისი იმჟამად გამოქვეყნებისაგან...

...დღეს უფრო უპრიანად გვეჩვენება, რომ «ზეციური საქართველოდან” მოვისმინოთ დიდი ერისკაცის უკანასკნელი შეგონება.)[1]

თენგიზ ჩხაიძე – ერს ძნელბედობის დასაძლევად, ურთულესი ვითარებიდან თავის დასაღწევად, თავის გადასარჩენად და კეთილდღეობის მოსაპოვებლად, უწინარეს ყოვლისა, მოგეხსენებათ, ერთობა ესაჭიროება. ბავშვობიდანვე დაგვისწავლია აკაკის ბრძნული ნათქვამი – ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისათვის სახრჩობელაო. ჩვენი

სულიერი მოძღვარნიც (მხედველობაში მყვანან სასულიერო პირები) ხშირად შეგვაგონებენ: ძალა ერთობაშია. ერთობა სიყვარულში. რა გვიშლის ხელს, თქვენი აზრით, ბატონო აკაკი, ვიყოთ ერთიანნი, გვიყვარდეს ერთმანეთი, თითოეული ცალ-ცალკე და ყველანი ერთად ვასრულებდეთ პატრიოტის უმთავრეს მცნებას: ჯერ საქართველო, მერე – მე.

აკაკი ბაქრაძე – მართალია, გვასწავლიდნენ. დღესაც ასწავლიან. მაგრამ სწავლებას მეორე მხარეც აქვს – ათვისება. ავითვისეთ კი ის, რასაც გვასწავლიდნენ? ჩავწვდით მის არსს, თუ ვერა? სამწუხაროდ, ვერც ავითვისეთ და ვერც ჩავწვდით. შეიძლება მექანიკურად გავიზეპირეთ კიდეც, მაგრამ ეს არ კმარა. აკაკის ღაღადისს ჩვენი სული და გული არ შეუძრავს. აკაკის მოწოდება ქართველის არსებობის მიზანი არ გამხდარა. როგორც ვიყავით ფეტვის მარცვლებივით დაფანტული, ისეთივე დავრჩით.

ვერც ერთი ერი ვერ გაერთიანდება, თუ მას საერთო მიზანი, საერთო იდეალი არა აქვს. რა მიზანი აქვს დღეს ქართველ ხალხს, რა იდეალი? არავითარი. ქართველებმა საერთო ეროვნულ მიზნად მტრის მიერ დაპყრობილი ტერიტორიის (აფხაზეთი და შიდა ქართლი) დაბრუნებაც კი ვერ ვაქციეთ. აფხაზეთისა და შიდა ქართლის ბედ-იღბალზე მარტო დევნილები წუხან. დანარჩენ საქართველოს კი ეს პრობლემა სრულებით არ აწუხებს. ყურსაც არ აბარტყუნებს. ახლა კი არა, ომის დროსაც ასე იყო. როცა ქართველების უმცირესი ნაწილი სისხლს ღვრიდა, თავს წირავდა, უმრავლესობა (უდიდესი უმრავლესობა!) «ვარხალალოს" დასძახოდა, ქეიფსა და ჭამა-სმაში ატარებდა დროს. სრულებით არ ადარდებდა ქვეყნისა და თანამოძმეთა მდგომარეობა. წლები გავიდა, რაც აფხაზეთი და შიდა ქართლი წართმეული გვაქვს. დაბრუნებას არავითარი პირი არ უჩანს. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო ქრება დაბრუნების იმედი. ეს ვითარება მთელი ერის წუხილის საგანი ვერ გახდა. სამაგიეროდ, მთელი საქართველო იმით არის აჭყლოპინებული, რომ აზია-ევროპის დერეფანი ვიქნებით. ყველა ამ დერეფანში გაივლის. გამვლელ-გამომვლელი ნასუფრალს გადმოგვიყრის და ერთი მაგრად გავძღებით. ამის მეტზე არაფერზე არ არის ლაპარაკი. დერეფნობა არ შეიძლება ერის მიზანი იყოს, მისი იდეალი გახდეს. თუ ქართველის ოცნება ის არის, რომ მსოფლიოს ორღობე გახდეს, მაშინ საბოლოოდ დაღუპულა ჩვენი საქმე და ეგ არის.

ისტორიულად ქართველ ხალხს ჰქონდა მისია – ყოფილიყო კავკასიის მეთაური და დაეცვა ქრისტიანობა კავკასიურ სივრცეში. მე-7 საუკუნიდან მოყოლებული მე-19 ასწლეულის დასაწყისამდე ქართველი ხალხი ასრულებდა ამ მისიას ისე, როგორც შეეძლო, ხან წარმატებით, ხან წარუმატებლად. მე-19 საუკუნეში რუსეთმა ჩამოართვა საქართველოს ეს მისია. კავკასიის მეთაურობაც მან იკისრა და ქრისტიანობის დაცვაც. ქართველი ხალხი დარჩა უმისიოდ, უმიზნოდ და უიდეალოდ. ეს იყო ყველაზე მძიმე, გამანადგურებელი შედეგი, რაც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას მოჰყვა. უმიზნოდ, უიდეალოდ, უმისიოდ დარჩენილი ერი აღარ არის უკვე ერი. ქართველობა თავისთავს თვითონვე არ თვლის ერად და ხშირად ამას უბრალოდ ვერც კი ამჩნევს. ორ სრულიად მარტივ მაგალითს მოვიტან ამის საბუთად. ახლახან თურქეთში საშინელი მიწისძვრა მოხდა. ის რაიონებიც დაზარალდა, სადაც ქართველები მოსახლეობენ. პრესაში, რადიო-ტელევიზიაში დაიწყეს ლაპარაკი – თურქი ქართველებიც შეეწირნენო მიწისძვრას, იმის მაგიერ, რომ ვთქვათ – თურქეთის ქართული მოსახლეობაც გახდაო სტიქიური უბედურების მსხვერპლი. რა ცნებაა, რა ტერმინია თურქი ქართველი? თუ თურქია, ქართველი როგორღა არის? თუ ქართველია, თურქი როგორღა არის? რატომ მოვიგონეთ ეს ყოვლად გაუგებარი ცნება? იმიტომ რომ ქართველი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, თავის ხალხს ერად არ თვლის. მისთვის ქართველი რაღაც ეთნიკური ტერმინია, მაგრამ ვერ გარკვეულა, რა შინაარსის. ამიტომ შეუძლია თქვას – თურქი

ქართველი, რუსი ქართველი, გერმანელი ქართველი, და ა.შ. მალე გაჩნდება ცნებაც _ ზანგი ქართველი.

რაც უკვე მოგახსენეთ, იმისვე გამეორება შეიძლება «თურქი მესხის" მიმართაც. თან თავგამეტებული ვამტკიცებთ იმას, რომ მესხები ქართული ტომია, თან ყველა დოკუმენტში ვწერთ – «თურქი მესხები". როცა გავაცნობიერებთ, რომ «თურქი მესხი" აბსურდული ცნებაა, აღშფოთებული გავიძახით – ვინ მოიგონა ეს. როგორ შეიძლება «თურქი მესხი" არსებობდეს. ეს მტრების შემოგდებული ტერმინია და ა.შ. «თურქი მესხი" უცხოს არ მოუგონია, ისევე, როგორც «თურქი ქართველი". ორივე ცნება ჩვენ, ქართველებმა, მოვიგონეთ, დავამკვიდრეთ, მას-მედიაში და დოკუმენტებში გზა გავუკაფეთ. რამდენი ათეული წელიწადია ვერ მივხვდით იმას, რომ «თურქი მესხის" მაგიერ ვთქვათ – სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მუსლიმი ქართველი. რატომ ვართ ჩვენ ყოველთვის წაგებული, როცა მტრებს ან მოკეთეებს ვეკამათებით? იმიტომ, რომ ცნებებს მყარ შინაარსს ვერ ვანიჭებთ და სწორად ვერ ვხმარობთ. თუ ჩვენ"თურქი მესხის" ძახილს თავს არ დავანებებთ, დედამიწის ზურგზე მესხებს ქართველებად არავინ ჩათვლის და არც მესხეთს მიიჩნევენ ქართულ ტერიტორიად. რაკი ჩვენ თვითონ ქართველები ვთვლით მესხებს თურქებად (ცნება «თურქი მესხი" სხვას არაფერს ნიშნავს), თურქეთი მესხეთის ტერიტორიასაც ადვილად მიითვისებს.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ორი პაწია მაგალითი ნათლად ადასტურებს იმასაც, რომ ჩვენი ერთიანი ეროვნული ცნობიერება ბუნდოვანია, ჩამოუყალიბებელია. ის ხალხი ვერ გაერთიანდება, რომელსაც ერთიანი ეროვნული ცნობიერება ესოდენ ბუნდოვანი, ჩამოუყალიბებელი და ქაოტური აქვს.

იმისათვის, რომ ქართველი ხალხი ერთიანი იყოს, აუცილებელია მიზანი, იდეალი, მისია, რისთვის არსებობს ქართული სახელმწიფო? სანამ ეს არ გაკეთებულა, ვერავითარი მოწოდება ქართველობას ვერ გააერთიანებს.

თ.ჩ. – საბჭოური ხელისუფლება ავიწროებდა, დევნიდა ეკლესიას. ვითარება ძირეულად შეიცვალა. ხელისუფლება ხელს უწყობს საეკლესიო მოღვაწეობის გაშლას, ქრისტიანული სარწმუნოება თითქოს აღორძინების გზას ადგას. და მაინც, ჩვენი სინამდვილის შემხედვარენი, ალბათ, ვერ ვიტყვით, საზოგადოებაში ქრისტიანული ზნეობა მკვიდრდებაო. რისი ბრალია, თქვენი აზრით, ეკლესია რომ ჯეროვან ზეგავლენას ვერ ახდენს ხალხზე, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის სულიერ ფორმირებაზე?

ა.ბ. – სამოცდაათი წელიწადი არსებობდა საქართველოში ათეისტური საზოგადოება, 1921 წლის შემდეგ დაბადებული ყოველი ადამიანი საქართველოში ათეისტი იყო, მყარად ჩამოყალიბებული კომუნისტური ცნობიერებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრკ-ში მცხოვრები ხალხების ცნობიერებიდან რელიგიურობა სრულიად განდევნილი იყო. მერე მოუმზადებლად ვითარება შეიცვალა, კომუნიზმი დაემხო. კომუნისტური იდეოლოგია სასაცილო გახდა. აზრობრივ სიცარიელეში დარჩენილმა ხალხმა ისევ ეკლესიას მიაშურა. მაგრამ მიაშურა მექანიკურად, არაგააზრებულად, არაცნობიერად.

ქრისტიანობა ურთულესი და უღრმესი მოძღვრებაა. მისი წვდომა იოლად შეუძლებელია. გუშინდელი ათეისტი ხელის ერთი დაკვრით ქრისტიანი ვერ გახდება. ამას დიდი დრო უნდა. მხოლოდ ეკლესიაში სიარულით, პირჯვრის გარდასახვით, ხატების კოცნით ადამიანი ქრისტიანი ვერ გახდება. ქრისტიანად გახდომა მაშინ შეიძლება, როცა ეს მოძღვრება ადამიანის სულის უფსკრულში შეაღწევს. ისტორიულადაც ასე იყო: პირველ საუკუნეში დაიწყო საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება ანდრია პირველწოდებულმა, მაგრამ ქართველი ხალხი ქრისტიანი მეოთხე ასწლეულში გახდა. ხედავთ, რა უზარმაზარი დრო დასჭირდა ქრისტიანობის

დამკვიდრებას? ახლა კი გვინდა, რომ 70-წლიანი ათეისტური საზოგადოება, უცბად, რამდენიმე წელიწადში ქრისტიანული გახდეს? საქართველოში (რუსეთშიც, უკრაინაშიც, სომხეთშიც) ქრისტიანობად მოქცევა მეორედ მიმდინარეობს. ეს რთული და ძნელი პროცესია. ამიტომ ქრისტიანული ზნეობაც ძნელად მკვიდრდება.

ამას გარდა, სხვა სირთულეებიც არის. კომუნისტურ-ათეისტურ საზოგადოებაში ხელმეორედ დაიწყო რელიგიურობამ აღორძინება, ეკლესიაში ბევრი ხელმრუდე და სულმრუდე ადამიანი შეიპარა. ფეხი მოიკიდა. ზოგჯერ გაბატონებული მდგომარეობაც დაიჭირა. ისინი ეკლესიას სახელს უტეხენ. საქართველოში კიდევ ერთი ახალი რუის-ურბნისის კრებაა საჭირო, რომ ქართული ეკლესია უკეთურობისაგან განიწმინდოს. თუ ეს არ მოხდა, ათეიზმი შეიძლება ისევ შემობრუნდეს, თანაც უფრო მძლავრად, ვიდრე ეს კომუნისტური რეჟიმის დროს იყო.

რაც მოგახსენეთ, იმაზე უფრო არსებითი მიზეზიც არსებობს, რომელიც ხელს უშლის საქართველოში ქრისტიანული ზნეობის დამკვიდრებას. ეს გახლავთ საერთოდ მსოფლიოში რელიგიური (ქრისტიანული, ისლამური, ბუდისტური და სხვა) ზნეობის ტოტალური რღვევა. სხვათა შორის, ისლამური ფუნდამენტალიზმი ისლამური ზეობრივი კატეგორიების რღვევამ წარმოშვა. ფუნდამენტალიზმით ცდილობენ შეაჩერონ ეს რღვევა, მაგრამ ეს მწარე შეცდომაა. ძალადობით ისტორიული პროცესის შეჩერება შეუძლებელია. წარმოუდგენელია უფრო დიდი ძალადობა, ვიდრე ის, რასაც კომუნიზმი იყენებდა, მაგრამ მან ვერაფერს მიაღწია. პირიქით, თავად დაიღუპა. ამდენად ფუნდამენტალიზმი, გნებავთ ისლამური, გნებავთ ქრისტიანული, ზნეობრივი კატეგორიების რღვევას ვერ აღკვეთავს.

მაგალითად, ჩვენ, ქართველები, ვუყურებთ, როგორ ირღვევა ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი ძირითადი მცნება – არა იმრუშო. მრუშობა ახლა სრულებით აღარ გახლავთ სამარცხვინო საქმე. იგი ჩვეულებრივ პროფესიად არის მიჩნეული, თან სარფიან, შემოსავლიან პროფესიად. მთელ მსოფლიოში როსკიპები გამოდიან რადიო-ტელევიზიით და იკვეხნიან თავიანთი საქმიანობით. როსკიპობას არ თვლიან ექიმობაზე, ინჟინრობაზე, აგრონომობაზე ნაკლებ ღირსეულ პროფესიად. თავსაც იწონებენ და სხვასაც აწონებენ. ვუყურებთ ამას და ჩვენც ისე გვინდა მოვიქცეთ, როგორც იქ, უცხოეთში იქცევიან, რადგან ცივილიზაციაში გვინდა ფეხის შედგმა. რაკი მრუშობა ცივილიზაციის ნიშნად ჩაითვალა, ჩვენც აღარ გვერცხვინება მისი.

სოდომის ცოდვა ერთ უდიდეს ცოდვად იყო მიჩნეული, სულ ცოტა ხნის წინათ, უშახბაზობა (ძველ თბილისში ჰომოსექსუალისტს უშახბაზს ეძახდნენ) ჩვენში ყველაზე სამარცხვინო რამ იყო. უშახბაზი საზოგადოებაში ადვილად ვერ გამოჩნდებოდა. ახლა მთელ მსოფლიოში ჰომოსექსუალისტთა თანასწორუფლებიანობისათვის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს. ჩვენც ხომ ვერ ჩამოვრჩებით ცივილიზაციას და საქართველოშიც პედერასტობა სანაქებო საქმედ იქცა. დარცხვენის მაგიერ თავი ამაყად უჭირავთ და სხვებს დასცინიან, აბუჩად იგდებენ. სულ მალე აღარავინ დაწერს «ტრისტან და იზოლდას” ანდა «რომეო და ჯულიეტას”. უხვად დაიწერება «ტრისტან და ტრისტან” ანდა «იზოლდა და იზოლდა”, «რომეო და რომეო”, ანდა «ჯულიეტა და ჯულიეტა”. მკითხველი თუ მაყურებელი ცრემლების ღვარღვარით მოკვდება იმის შემხედვარე, თუ როგორ ვერ იქორწინეს ორმა ტრისტანმა ანდა ორმა რომეომ. საზოგადოებაში, სადაც ვაჟი ვაჟობას კარგავს და ქალი – ქალობას, რელიგიური ზნეობრივი კატეგორიები ვერ იზეიმებს. როცა მთელ მსოფლიოში ტოტალური რღვევა მიმდინარეობს რელიგიური ზნეობრივი კატეგორიების, საქართველო მარტო ვერ მოახერხებს ზნეობრიობის შენარჩუნებას. ამის მოხერხებას რკინის ნებისყოფა და სიმტკიცე სჭირდება. დრომ გვიჩვენა, რომ ქართველს რკინის ნებისყოფა და სიმტკიცე კი

არა, ცვილის ნებისყოფა და სიმტკიცე არ აღმოაჩნდა. თუ მსოფლიო გამოძებნის გზებს თავი დააღწიოს რელიგიური ზნეობრივი კატეგორიების რღვევას, მაშინ საქართველოც მოახერხებს რაღაცას. თუ მსოფლიომ ეს გზები ვერ გამოძებნა, ვერც საქართველო გადაურჩება უზნეობას.

თ.ჩ. – რაიმე მოვლენის ანალიზისას საჭიროა სწორად შევაფასოთ იგი, განვსაზღვროთ მისი არსი. მცდარი დიაგნოზი ჩიხისაკენ მიმავალი გზაა. საქმე, უპირველეს ყოვლისა, ეხება ქვეყნის ახლანდელი პოლიტიკური მიმართულების სისტემის არსის სწორ განსაზღვრას. უამისოდ როგორ ავაგებთ მართებულად საშინაო პოლიტიკას. ან რა საფუძველს დაემყარება ჩვენი რწმენა საქართველოს უკეთესი მერმისისა?

ხელისუფლების, ოფიციოზისა და ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი, ჩვეულებრივ, ამბობს: ვაშენებთ დემოკრატიულ საქართველოს, საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა. მართლა ასეა თუ არა? ზოგიერთი ნიშნის მიხედვით (სიტყვის, აზრის, პრესის თავისუფლება) ასეა. მაგრამ, თუ სინამდვილეს უფრო ღრმად ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ახლანდელი პოლიტიკური მმართველობის სისტემა თავისი არსით პლუტოკრატიაა.

თქვენ, ბატონო აკაკი, მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ იმ ძალას, ქურდობით, ხალხისა და სახელმწიფოს ძარცვა-გლეჯით გამდიდრებულ იმ ჯგუფებსა თუ ფენას, რომელიც საზოგადოებრივ ბატონობას ესწრაფოდა და მიაღწია კიდეც საწადელს, კლეპტოკრატები უწოდეთ. იზიარებთ თუ არა დღესაც ამ აზრს, და თუ იზიარებთ, რა გზა, რა საშუალება გესახებათ საიმისოდ, რომ პლუტოკრატია (კლეპტოკრატია) დემოკრატიულ წყობად გარდაიქმნას, რამდენადაც საზოგადოების წყლულების წარმატებით მკურნალობა პლუტოკრატიის (კლეპტოკრატიის) ვითარებაში შეუძლებელია?

ა.ბ. – ღარიბ-ღატაკ ქვეყანაში დიქტატურა შესაძლებელია. დემოკრატია არა. სიღარიბე და სიღატაკე როგორც ხალხს, ისე ხელისუფლებას წამდაუწუმ აიძულებს, დაარღვიოს წესი და კანონი. სადაც წესი და კანონი ირღვევა, იქ, ბუნებრივია, დემოკრატია ვერ იარსებებს. დემოკრატია წესის და კანონის უმტკიცეს დაცვას გულისხმობს.

დღევანდელი საქართველო ღარიბ-ღატაკი ქვეყანაა. მოსახლეობის სულ ცოტა 95%-ს საარსებო მინიმუმი არ გააჩნია. თვეობით და წლობით ადამიანები ვერ იღებენ ხელფასს, პენსიას. არ არსებობს სოციალური დაცვის უზრუნველყოფის არავითარი სისტემა. ვერცერთი პროფესია – გნებავთ ექიმობა, გნებავთ ინჟინრობა, გნებავთ აგრონომობა, გნებავთ პედაგოგობა – ვერ იძლევა გარანტიას, რომ შეგეძლებათ თავის და ოჯახის რჩენა. თუ ძარცვა-გლეჯას არ მიმართეს, საშიმშილოდ არიან განწირულნი სამხედრო მოსამსახურენი, პოლიციის თანამშრომლები. ვისაც ძალ-ღონე ჰყოფნის, უცხოეთში გარბის ლუკმაპურის საშოვნელად. კორუფცია ყველაფერს ჭამს. დაუზოგავად იძარცვება სახელმწიფო ხაზინა. ქვეყანა მთლიანად მოშლილი და დაშლილია. ასეთ ვითარებაში დემოკრატია ვერ იარსებებს.

არც არსებობს საქართველოში და არც სხვაგან სადმე.

დემოკრატიის არც გარეგნული ნიშნებია საქართველოში. რასაც დღეს პრესის თავისუფლებას ეძახიან, ის სინამდვილეში აღვირახსნილობა და თავაშვებულობაა. რაც სიტყვის თავისუფლებად არის მიჩნეული, ის სინამდვილეში ლანძღვა-გინების, თათხვა-ძაგების ნებართვაა. საქართველოში არ დარჩენილა არავინ – არც პრეზიდენტი, არც პატრიარქი, არც საზოგადო მოღვაწე, არც მწერალი, არც ხელოვანი, არც მეცნიერი, ერთი სიტყვით, არავინ – ვინც არ გაელანძღოთ, არ გაეთათხოთ, თავზე ლაფი არ

დაესხათ. ყველა ჩიტირეკია და შარახვეტია, ვისაც მოისურვებს იმას გათათხავს. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვინ არის ის პიროვნება, ვისაც ჩიტირეკიები და შარახვეტიები მიესიენ. მთავარია, თათხვის სურვილი გქონდეს. თუ, ერთი მხრივ, ეს იმას მოწმობს, რომ საქართველო უპრინციპო და უზნეო ქვეყანაა, მეორე მხრივ, იმას ადასტურებს, რომ იგი არავის სცემს პატივს, არავინ და არაფერი მისთვის ფასეული არ არის. მე სრულებით არ ვგულისხმობ კერპთაყვანისმცემლობას, ან ლენინიზაციას, ანუ ადამიანის ღვთაებად ქცევას. ვგულისხმობ ეთიკას, პოლემიკის ეთიკას, როცა განსხვავებულ აზრს გამოთქვამ, კამათობ, დავობ, მაგრამ მოკამათის ადამიანურ ღირსებას არ შეურაცხყოფ. თქვენ კარგად იცით ეს: ლალი ავალიანმა გამოაქვეყნა საპოლემიკო მასალები, ერთი მხრივ, გრიგოლ რობაქიძესა და მეორე მხრივ, არჩილ ჯორჯაძეს, დიმიტრი უზნაძეს და ლევან მეტრეველს შორის. მიმოხილვით წერილში, რომელიც ამ საპოლემიკო მასალას ერთვის, ქალბატონი ლალი აღნიშნავს, განსაცვიფრებელიაო ის ეთიკა, ურთიერთპატივისცემა, რასაც მოპაექრეები ამჟღავნებენ. ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებიან, დავობენ, პაექრობენ, მაგრამ ერთმანეთის მიმართ განმსჭვალულნი არიან უღრმესი პატივისცემით და ღვაწლის დაფასებით. ეს ძველი ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ვთქვა – აზრის თავისუფლება ეს არის. ერთმანეთის ლანძღვა – თათხვა არც აზრის, არც სიტყვის თავისუფლებასთან არის კავშირში და არც დემოკრატიასთან. ასე რომ იყოს, მაშინ 30-იანი და 40-იანი წლების საბჭოური პრესა თავისუფალი პრესა ყოფილა და კომუნისტური რეჟიმი – დემოკრატიული რეჟიმი. აბა, გადაათვალიერეთ მაშინდელი პრესა და ნახავთ, რა ლანძღვა-თათხვაა გაჩაღებული! სამწუხაროდ, ამ კომუნისტურ ტრადიციას, დღევანდელი პრესა დიდი წარმატებით იყენებს და შესაშურ მემკვიდრეობითობას ამჟღავნებს.

რატომ არის ასე გალაღებული ეს მემკვიდრეობითობა? იმიტომ, რომ საქართველოს ისევ ის კლეპტოკრატები მართავენ, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის დროს მართავდნენ. გვარებითაც კი შეიძლება ჩამოვთვალო. კომუნისტური რეჟიმის დროს მათ დიდძალი ფული მოიპარეს ხაზინიდან. როცა კომუნისტური რეჟიმი დაეცა, ამ მოპარული ფულით ქონებაც შეიძინეს და ხელისუფლებასაც ისევ დაეუფლენ. ხალხი კი როგორც იყო გაძარცვული, ისევ ისე დარჩა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ეს ასე იყო ჩაფიქრებული. განხორციელებითაც ისე განხორციელდა, როგორც ჩაფიქრებული იყო.

კომუნისტური რეჟიმი ორი მხრიდან შეტევამ დასცა. პირველი გახლდათ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბრძოლა. ეკონომიკურად სოციალიზმმა ვერ აჯობა კაპიტალიზმს. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ე.წ. ცივი ომის ეპოქაში, კაპიტალიზმმა ეკონომიკურად ძირი გამოუთხარა სოციალიზმს, საყრდენი გამოაცალა და სოციალიზმი ისე დაინგრა, როგორც საძირკველმორღვეული შენობა. კაპიტალიზმს გაუადვილდა სოციალიზმის დაშლა იმიტომ, რომ ამას დიდად შეუწყო ხელი სსრკ-ში კომუნისტი კლეპტოკრატების, ანუ ხაზინის ქურდების გაბატონებამ. ეს იყო სოციალიზმის დამხობის მეორე მიზეზი. კლეპტოკრატები უმოწყალოდ ძარცვავდნენ ხაზინას. მათ უთვალავი ფული ჰქონდათ გადამალული. მაგრამ ამ ნაპარავ-დამალულ ფულს ვერ ხმარობდნენ. კომუნისტური იდეოლოგია და რეჟიმი უშლიდა ხელს. ამიტომ კლეპტოკრატებისათვის აუცილებელი იყო სოციალიზმის დანგრევა. ამით საშუალება მიეცემოდათ ნაქურდალ-გადამალული ფულის სამზეოზე გამოტანისა და ღიად მოხმარებისა. ასეც მოხდა: სოციალიზმი და სსრკ დაანგრიეს მსოფლიო კაპიტალიზმის შემოტევამ და შიგნით არსებულმა კომუნისტურმა კლეპტოკრატიამ. მაგრამ კომუნისტურმა კლეპტოკრატიამ სოციალიზმი და სსრკ იმიტომ კი არ დაანგრია, რომ ძალაუფლება ხელიდან გაეშვა, არამედ იმიტომ, რომ მოპარული ფულიც თავისუფლად მოეხმარა და ძალაუფლებაც შეენარჩუნებინა. ეს ცხადად და ნათლად გამოჩნდა, როცა

ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ხელისუფლების სათავეში ისევ ძველი კომუნისტები დარჩნენ.

ასე რომ, კლეპტოკრატები ისევ ისე მართავენ საქართველოს, როგორც ადრე, კომუნისტური რეჟიმის დროს მართავდნენ. კლეპტოკრატია და დემოკრატია ძალიან შორს არიან ერთმანეთისაგან. არავითარი დემოკრატია არ იქნება საქართველოში მანამ, სანამ ისევ კლეპტოკრატები ჭამენ ქვეყანას.

თ.ჩ. – ახლანდელი ჩვენი მდგომარეობის კრიზისს ოფიციალურად «საბიუჯეტო კრიზისს" ვუწოდებთ. თუ გავითვალისწინებთ რეალურ ვითარებას, კერძოდ, იმას, რომ ფარულ ეკონომიკას თავისი ხვედრითი წილის მიხედვით გაბატონებული მდგომარეობა უკავია და ეს არანორმალური მდგომარეობა წლების განმავლობაში უცვლელია, ხელისუფლება უძლურია მასთან ბრძოლაში, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეკონომიკური რეფორმის ამ ექვსი წლის მანძილზე დანგრეული ეროვნული წარმოება დაახლოებით ოცი პროცენტით აღვადგინეთ (ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად), ხომ არ იქნება უფრო მართებული, ვაღიაროთ: ე.წ. «საბიუჯეტო კრიზისი" ეკონომიკური და გარკვეულწილად, პოლიტიკური კრიზისის გამოხატულებაა.

ა.ბ. – რა თქმა უნდა: საბიუჯეტო კრიზისი პირდაპირი და უშუალო შედეგია ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისა.

თ.ჩ. – სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის განხილვა-შეფასებისას, რასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, ხელთ უნდა გვქონდეს სათანადო სტატისტიკური მონაცემები, უტყუარი ეკონომიკური და სოციალური ინფორმაცია. ამ მხრივ ჩვენში უაღრესად არადამაკმაყოფილებელი ვითარებაა. ის საშუალებას აძლევს ზოგიერთს, შელამაზებულად, მეტიც, გაყალბებულად წარმოადგინოს არსებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, ირწმუნებოდეს, ხალხი დღეს უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე გუშინ ცხოვრობდა, ხალხის ცხოვრების პირობები თანდათან უმჯობესდებაო. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის სიმწირის ვითარებაში, რაც, ბუნებრივია, დემაგოგიის შესაძლებლობას ქმნის, მეტისმეტ პასიურობას იჩენენ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და ეკონომიკის სამინისტრო?

ა.ბ. – ისეთ ვითარებაში, როგორიც დღეს არის საქართველოში, არც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და არც ეკონომიკის სამინისტრო ზუსტ ცნობებს არ მიაწვდის მოქალაქეებს. ტყუილი და სიცრუე სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია. განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური სიდუხჭირე ბატონობს. ვინ მისცემს უფლებას ან სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენს, ან ეკონომიკის სამინისტროს სიმართლე უთხრას ხალხს? თუ ორივე ეს უწყება სიმართლეს იტყვის, მაშინ ხელისუფლება დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. ცხადად და ნათლად გამოჩნდება, რომ ქვეყნის მართვას, განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით, ხელისუფლება თავს ვერ ართმევს, უძლურია და უუნარო. ამ ვითარებაში ხელისუფლებას ერთადერთი გზა რჩება – ტყუილი. თვალში ნაცარი უნდა შეაყაროს ხალხს, მოტყუებით ცრუ იმედი უნდა მისცეს – საქმე კარგად მიდის, აბა, თქვენ იცით, შიმშილობაც აიტანეთ, უმუშევრობაც, უხელფასობაც, უპენსიობაც და ყველა ჭირი და ვარამიო.

არ მოტყუვდეთ. ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ სიმართლეს ვერც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისაგან და ვერც ეკონომიკის სამინისტროსაგან. ამიტომ პასიურობა ორივე უწყების ბუნებრივი მდგომარეობაა.

თ.ჩ. – როგორ შეაფასებდით იმ რეფორმას, განათლების დარგში რომ ხორციელდება? საერთოდ, როგორ უყურებთ ახალგაზრდობის პრობლემას?

ა.ბ. – ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს საშუალება სწავლა-განათლებისა, სასურველი პროფესიის დაუფლებისა, უნდა ჰქონდეს ასპარეზი შრომისათვის, თავისი უნარისა და ნიჭის გამოვლენისათვის, უნდა ჰქონდეს სათანადო პირობები, მისდიოს სპორტს, მიხედოს თავის ფიზიკურ აღზრდას. ამ მხრივ მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოა. ბევრ ახალგაზრდას, სამშობლოში რომ ვერ უპოვია თავისი ადგილი, ვერ მოუკიდებია ფეხი ცხოვრებაში, კვლავინდებურად საზღვარგარეთისკენ უჭირავს თვალი.

თ.ჩ. – რა პრაქტიკული ზომების განხორციელება მართებს, თქვენი აზრით, ხალისუფლებას ახალგაზრდობის პრობლემების მოსაგვარებლად?

ა.ბ. – სანამ საქართველოში ეკონომიკური ვითარება ძირეულად არ შეიცვლება, არც ახალგაზრდობისა და სწავლა-განათლების მდგომარეობა შეიცვლება. განათლების კარგი სისტემა იმ ქვეყნებშია, სადაც მძლავრი ეკონომიკაა. თანამედროვე სკოლას სრულყოფილი ტექნიკური აღჭურვილობა სჭირდება. მარტო მერხი, დაფა და სახელმძღვანელო აღარ კმარა, აუცილებელია კომპუტერები, ლაბორატორიები, საცდელ-ექსპერიმენტული ხელსაწყოები. უცხოეთში დღეს სკოლები უზარმაზარ სამეცნიერო-სამრეწველო დაწესებულებას ჰგავს. ამ მხრივ დედაქალაქისა და სოფლის სკოლა თანაბრად და ერთნაირად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. საქართველოს ბევრ დაბა-სოფელში სკოლა იმ დროს გაგახსენებთ, როცა ხარის ბექზე ნახშირით ასწავლიდნენ წერა-კითხვას. უსახსრობისა და სიღარიბის ბრალია ეს. ქართულმა სკოლამ რა უნდა ჰქნას, როცა მასწავლებლებს თვეობით ვერ მიუღიათ ის საცოდავი ხელფასი, რაც დღეს პედაგოგებს აქვთ. მშიერი მასწავლებელი და მშიერი მოწაფე! რა განათლება დაიბადება ამგვარი წყვილისაგან?

ხელისუფლებამ, რადაც უნდა დაუჯდეს, ეკონომიკა უნდა აღორძინოს, ქართულ სკოლასაც მაშინ ეშველება, მაგრამ ქართული ეკონომიკა ქართველმა მეწარმეებმა უნდა აღორძინონ. საწარმოო და სამრეწველო ობიექტების გაყიდვა ქართულ ეკონომიკას ვერ უშველის. უცხოელი ქართულ საქმეს არ გააკეთებს, ქართული საქმე ქართველმა უნდა გააკეთოს, ქართული ეკონომიკაც ქართველმა უნდა დააყენოს ფეხზე. თუ ეს მოხდება, სკოლებისა და სწავლა-განათლების საქმეც წელგამართული ივლის.

თ.ჩ. – როგორც იქნა, გვეღირსა, საკუთარი თავის ბატონ-პატრონები ვიყოთ; არავინ გვიშლის, თავისუფლად, ჩვენივე ნებით, გარედან ჩაურევლად ვავითარებდეთ ჩვენს კულტურას; ვესწრაფოდეთ ეროვნული ხასიათის, თავისთავადობის აღდგენასა და დაცვას. არადა, ახალი საფრთხე გამოგვიჩნდა, ძველზე არანაკლებ საშიში. გავხსენით თუ არა კარები, მოგვაყარეს და მოგვაყარეს ათასგვარი ნაგავი, ჩვენც დავეხარბეთ მას. უცხოური იდეოლოგიისა და ზნე-ჩვეულების მდარე გამოვლინებათა ზემოქმედებას დავემორჩილეთ; ქედი წავუხარეთ დასავლეთის მასობრივი კულტურის ექსპანსიას. შეუზღუდავად ეწევა რეკლამა ეროტომანიას, პორნოგრაფიას, ძალადობას, სადიზმს... ხელი ეწყობა ადამიანში ცხოველური საწყისის გაღვიძებას. ვიჩენთ თუ არა სათანადო ნებასა და სიმტკიცეს ამ მავნე სენთან საბრძოლველად? ეგებ იმ ქვეცნობიერ და, ცოტა არ იყოს, სახიფათო აზრს ავყოლილვართ, - არა უშავს, თუკი გადასარჩენი ვართ, მაინც გადავრჩებითო; დაე, განვითარდეს სტიქიურად მოვლენები; მოსანელებელს თავისთავად მოვინელებთ, მოსაგვარებელი თავისთავად მოგვარდებაო.

თქვენ რას ფიქრობთ ყოველივე ამის თაობაზე?

ა.ბ. – შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: კულტურის აღორძინების საქმეს კოლონიალიზმი მაინცდამაინც ხელს ვერ უშლის. რომმა პოლიტიკურად და სამხედრო კუთხით საბერძნეთი დაიპყრო, მაგრამ კულტურულად საბერძნეთი უფრო იყო რომის დამპყრობელი, ვიდრე რომი – საბერძნეთისა. ყველა რომაელი თავის ღირსების საქმედ თვლიდა ბერძნული ენისა და კულტურის ცოდნას. იტალია დიდხანს

იყო ავსტრიის იმპერიის უღელქვეშ, მაგრამ ვენის თეატრებში იტალიური ოპერა ჰქუხდა და ავსტრიელებს ვერც კი წარმოედგინათ, რომ გერმანულადაც შეიძლებოდა ოპერის დაწერა. მე-19 საუკუნეში პოლონეთი და ფინეთი რუსეთის კოლონია იყო, მაგრამ კულტურულად ორივე ბევრად აღემატებოდა რუსეთს. მე-19 საუკუნის რუსულ პრესაში გაუთავებელი წუწუნია: რაშია საქმე? რატომ და როგორ გვჯობნიან პოლონელები და ფინელებიო. რაღა შორს გავრბივართ ნიმუშების მოსახმობად. მე-19 საუკუნის ქართული კულტურა ავიღოთ. გარდა მე-12 საუკუნისა, ვერცერთი ეპოქის ქართული კულტურა ვერ სჯობნის მე-19 საუკუნის ქართულ კულტურას. აბა, მითხარით კიდევ რომელ საუკუნეში იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა? რომ არაფერი ვთქვათ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, გრიგოლ ორბელიანზე, რაფიელ ერისთავზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, დავით კლდიაშვილზე და კიდევ ბევრ სხვაზე?

მაგრამ კულტურა კოლონიალიზმის ვითარებაში მაშინ აღწევს წარმატებას, როცა მან (კულტურამ) იცის, რას ემსახურება, რატომ და რისთვის.

ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, რომ იარაღით ისინი რომაელებს ვერ მოერეოდნენ და ამიტომ კულტურით ებრძოდნენ.

იტალიელებმა ჯერ მუსიკით დაამარცხეს ავსტრიელები და მერე იარაღით.

პოლონელებიც და ფინელებიც მიხვდნენ, რომ რუსის ჯარს ვერ გაუმკლავდებოდნენ და ამიტომ კულტურით დაჯაბნეს რუსეთი.

20-იან წლებში კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: როცა ერი სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხდება, მან მთელი თავისი ენერგია კულტურის ფრონტზე უნდა მიმართოსო. ასეც მოხდა მე-19 საუკუნეში. ქართული ენერგია კულტურისაკენ წარიმართა და შედეგიც სათანადო მივიღეთ. მე-19 საუკუნეში ქართველი ხალხი ქართულმა კულტურამ დაიცვა და გადაარჩინა.

მართალია, დღეს საქართველო პოლიტიკურ-იურიდიულად კოლონია აღარ არის. მაგრამ ეკონომიკური კოლონიალიზმისათვის ჩვენს ქვეყანას თავი ჯერ კიდევ არ დაუღწევია. ყველაფერი არსებითად უცხოელთა ხელშია. ყველაფერს ისინი ყიდულობენ. მაღაზია-ბაზრებში ძირითადად უცხოური საქონელი იყიდება. იშვიათად ჩანს ქართული. რაც ჩანს, იმასაც, ქართული გვარის გვერდით, უცხოური გვარი უზის. ეს, ცხადია, საქართველოს ბევრად უფრო მძიმე პირობებს უქმნის, ვიდრე პოლიტიკური კოლონიალიზმი.

ამას კულტურული კოლონიალიზმიც ემატება. თანდათანობით ვკარგავთ საკუთარ ხმას, საკუთარ ფერს, საკუთარ თვალსაზრისს. მარტო უცხოურს ვიმეორებთ. უცხოური იაფფასიანი კულტურის ჩრდილად გადავიქეცით. ბალახტარა კულტურის მიბაძვა იოლია. ძნელია ნამდვილ ფასეულობათა შექმნა. ყველაზე დიდი ხიფათი, რაც საქართველოს ემუქრება, გახლავთ კულტურული სახის დაკარგვა. საქართველოში შეიძლება ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. ალბათ, ადრე თუ გვიან, გამოსწორდება კიდეც. მაგრამ კულტურული სახე თუ დავკარგეთ, მას უკვე ვეღარ აღვადგენთ. კულტურული სახის დაკარგვა კი ჩვენი ეროვნული მე-ს დაკარგვის ბადალი იქნება, ანუ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი კულტურული ერთეული გაქრება, სხვაში გაითქვიფება.

თავისით არაფერი მოგვარდება. თავისით მხოლოდ ფუჭდება. ქართული კულტურული სახის შესანარჩუნებლად თავგამეტებული ბრძოლაა საჭირო როგორც ხალხის, ისე ხელისუფლების მხრიდან.

ჩვენი საუბრის დასაწყისში ითქვა, რომ ერს ერთიანობისათვის საკუთარი მიზანი, იდეალი და მისია სჭირდება. ასევეა კულტურაც. კულტურას, რომელსაც არა აქვს მიზანი, იდეალი, მისია, კულტურა არ არის. ქართულ კულტურას გადარჩენა თუ სურს,

აუცილებლად, უნდა ჩამოაყალიბოს – რა მიზანს, რა იდეალს, რა მისიას ემსახურება.სხვისი მიბაძვით ვერცერთი კულტურა ვერ გადარჩება, ცხადია, ვერც ქართული.

საკუთარი მიზნის, იდეალის, მისიის ჩამოყალიბება სრულებით არ ნიშნავს სხვა ხალხების კულტურული მიღწევების გაუთვალისწინებლობას. პირიქით, სწორედ მის გათვალისწინებას, ათვისებას ნიშნავს, მაგრამ საკუთარი პრიზმით, საკუთარი მსოფლმხედველობით. თუ საკუთარი თვალსაზრისი და მსოფლმხედველობა არ გვექნა, ქართული კულტურა, მთელი საქართველო, არავის დააინტერესებს. არავის მიიზიდავს. იგი იმ დერეფან-ორღობეში მოკვდება, რომლის გაყვანა ასეთ დიდ ოცნებად გვაქვს გადაქცეული.

თ.ჩ. – თქვენს ხელში რომ ძალაუფლება იყოს, პირველ ყოვლისა, რას მოიმოქმედებდით, რას გააკეთებდით?

ა.ბ. – თქვენმა შეკითხვამ ერთი შემთხვევა გამახსენა, რომელიც კინოსტუდია «ქართულ ფილმში" მოხდა. კინოსტუდიაში, 50-იანი წლების დასაწყისში, ბევრი კინორეჟისორი მუშაობდა, რომელსაც ფილმის გადაღების საშუალება არ ეძლეოდა. არ ეძლეოდა იმის გამო, რომ «ქართული ფილმის" წლიური გეგმა მხოლოდ ორი ფილმი იყო. ორი ფილმი კი გადასაღებად მხოლოდ ძველი სახელმოხვეჭილი კინორეჟისორების ულუფა იყო. დანარჩენები კი უნუგეშო მოლოდინით ელოდნენ თავის ხვედრს. და, აი, 1957 წლიდან ქართულ ფილმს გეგმა გაეზარდა და წელიწადში შვიდი ფილმის გადაღების უფლება მიეცა. აქამდე გაჩუმებული და მომლოდინე კინორეჟისორები ერთხმად ახმაურდნენ და მოითხოვეს – მათთვისაც მიეცათ ფილმის გადაღების საშუალება. იყო კინოსტუდიის სამხატვრო საბჭოზე ერთი დავა-კამათი. როგორ მოქცეულიყვნენ, რა ექნათ, ვისთვის მიეცათ დადგმა-გადაღების საშუალება და ვისთვის – არა. მაშინ წამოდგა კინომსახიობი და რეჟისორი ლევან ხოტივარი და იმ კინორეჟისორებს მიმართა, რომელთაც ასე თუ ისე, მუდამ ჰქონდათ გადაღების საშუალება. თქვენთან შედარებით მე ერთი უპირატესობა მაქვსო – უთხრა მათ ლევან ხოტივარმა, - თქვენ ყველამ უკვე დაამტკიცეთ, რომ უნიჭოები ხართ. მე ჯერ ეს არ დამიმტკიცებია, რადგან არაფერი გადამიღიაო. ახლა მეც მომეცით საშუალება ჩემი უნიჭობის დამტკიცებისო.

ლევან ხოტივარისა არ იყოს, ჩემი უპირატესობა ის არის, რომ მე, სხვებივით, ვინც ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პოლიტიკის ასპარეზზე ფაფხურობდა, ჩემი პოლიტიკური უნიჭობა ჯერ არ დამიმტკიცებია, რადგან ძალაუფლება არ მქონია. ახლა თქვენ გინდათ საიდუმლო გამომტყუოთ, რომ ჩემი უნიჭობაც აშკარად გამოჩნდეს? არ გეტყვით.

გაზ. «საქართველო»,
4-11 აპრილი, 2000 წ.